შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი

ბასკერვილების ძაღლი

თავი I

მისტერ შერლოკ ჰოლმსი

მისტერ შერლოკ ჰოლმსი, რომელიც ჩვეულებრივ გვიან დგებოდა, თუ არ ჩავთვლით იმ არცთუ იშვიათ შემთხვევებს, როცა საერთოდ არ უხდებოდა ხოლმე დაწოლა, მაგიდას მისჯდომოდა და საუზმობდა. პატარა ნოხზე ვიდექი ბუხართან და ხელში იმ ჯოხს ვატრიალებდი, ჩვენს გუშინდელ სტუმარს რომ დარჩა. ეს იყო ბუნიკიანი კარგა მოზრდილი ჯოხი, - ერთი იმგვარ საგანთაგანი, რომელსაც «საფუძვლიან საბუთს» უწოდებენ ხოლმე. ბუნიკის ქვემოთ მიჭედებულ გოჯის სიგანის ვერცხლის ფირფიტაზე ასეთი წარწერა იყო: «ჯეიმს მორტიმერს, ჩ. კ. ჰ. ო., მისი მეგობრებისგან ჩკლს-დან», მერე კი თარიღი: «1884». უწინდელ დროში ასეთ მაგარ, მძიმე, საიმედო ჯოხებს პატივცემული შინაური ექიმები ატარებდნენ.

- აბა, უოტსონ, რას იტყვით მაგ ჯოხზე?

ჰოლმსი ზურგშექცევით იჯდა და მეგონა, რომ ჩემი მანიპულაციები მისთვის შეუმჩნეველი დარჩებოდა.

- საიდან იცით, რას ვაკეთებ? კაცი იფიქრებს, რომ ზურგზედაც თვალები გაქვთ!

- ამაზე ადვილი რაა, როცა ჩემს წინ გაპრიალებული ვერცხლის საყავე დგას და შიგ ყველაფერი მოჩანს. - მიპასუხა შერლოკმა. - მართლა უოტსონ, რას იტყვით ჩვენი სტუმრის ჯოხზე, ყურადღებიდან სულ გამოგვეპარა, ვერც შევნიშნეთ და არც კი ვიცით, რისთვის მოვიდა. რაკი ასეთი მარცხი მოგვივიდა, ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ შემთხვევით დარჩენილ ნივთს. შეისწავლეთ ჯოხი და სცადეთ ამის მიხედვით პატრონის პიროვნების დადგენა. მე კი მოგისმენთ.

- მე თუ მკითხავთ, - დავიწყე და თან ვცდილობდი ჩემი მეგობრის მეთოდს მივყოლოდი, ჯოხის პატრონი ექიმი მორტიმერი ასე, შუახნის კაცი უნდა იყოს, თანაც ყველასაგან პატივცემული, რაკი მეგობრები ასეთი ყურადღებით ეკიდებიან.

- კარგია! - თქვა ჰოლმსმა. - ჩინებულია!

- ამას გარდა ვფიქრობ, რომ სოფლის ექიმია და მაშასადამე ფეხით ბევრი ხეტიალი უხდება.

- ასე რატომ ფიქრობთ?

- იმიტომ, რომ ეს ჯოხი, ეტყობა, უწინ არცთუ ურიგო ყოფილა, ახლა კი ისეა გაცვეთილი, ვერც კი წარმომიდგენია, ქალაქელ ექიმს რანაირად უნდა ეჭიროს ხელში. რკინის ბურნუკი სრულიად მოსცვეთია, - ჩანს, ექიმ მორტიმერს ამის დახმარებით არა ერთი მილი გაუვლია.

- უაღრესად ჯანსაღი მსჯელობაა, - თქვა ჰოლმსმა.

- ამ წარწერისა კი: «მეგობრებისაგან ჩლკს-დან» აი, რა გითხრათ: მე ვფიქრობ, რომ ასოები «კლს» აღნიშნავენ კლუბს, უფრო მოსალოდნელია, რომ მონადირეთა

კლუბს, რომლის წევრებსაც ალბათ, სამედიცინო დახმარებას უწევდა, რისთვისაც ეს პატარა სახსოვარი მიურთმევიათ.

- უოტსონ, თქვენ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეთ! - შესძახა ჰოლმსმა, სავარძელში გადაწვა და პაპიროსი გააბოლა. - არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩემი მცირე დამსახურების ჩვეული თავაზიანობით აღწერის დროს, საკუთარ შესაძლებლობას ამცირებთ. თუ საკუთრივ თქვენგან არ იფრქვევა სინათლის მოკაშკაშე სხივი, ყოველ შემთხვევაში თქვენ ხართ სინათლის მეგზური. განა ცოტაა ისეთი ხალხი, რომლებიც თვითონ არ ბრწყინავენ ნიჭით, მაგრამ სხვა ადამიანებში ნიჭის ნაპერწკალს აღანთებენ. ესეც საგულისხმო ნიჭი და უნარია. მე თქვენგან უზომოდ დავალებული ვარ, ჩემო მეგობარო.

პირველად მესმოდა ჰოლმსისაგან ასეთი რამ და უნდა მოგახსენოთ, რომ მისმა სიტყვებმა განუზომელი სიამოვნება მომანიჭეს. რადგან, ცოტა არ იყოს, თავმოყვარეობას მიბღალავდა ჰოლმსის გულგრილობა ჩემს მიმართ. მე აღტაცებული ვიყავი მისი პიროვნებით და ვცდილობდი ამ კაცის მუშაობის მეთოდი საქვეყნოდ ცნობილი გამეხადა, ის კი ჩემს მოწადინებას ყოველთვის უხალისოდ ხვდებოდა. ამას გარდა, ვამაყობდი იმით, რომ შევძელი ჰოლმსის მეთოდის არა მარტო ათვისება, არამედ მისი პრაქტიკულად გამოყენებაც და ამით ჩემი მეგობრის ქება დავიმსახურე. ჰოლმსმა ჯოხი გამომართვა და მისი დათვალიერება შეუიარაღებელი თვალით დაიწყო. შემდეგ ეტყობა, რაღაცამ ძალიან დააინტერესა, პაპიროსი განზე გადადო, ფანჯარასთან მივიდა და ისევ განაგრძო ჯოხის დათვალიერება, ოღონდ უკვე გამადიდებელი მინით უკირკიტებდა.

- ღმერთმა უწყის, რა არის, მაგრამ მაინც საგულისხმოა, - თქვა და თავის საყვარელ ადგილზე დაბრუნდა, დივანის კუთხეში. - აქ რაღაც მონაცემები არის და მათ ზოგიერთი დასკვნებისათვის გამოვიყენებთ.

- ნუთუ რაიმე გამომეპარა? - ვკითხე, ცოტა არ იყოს, თვითკმაყოფილების გრძნობით. - იმედი მაქვს, სერიოზული არაფერი გამომრჩენია?

- სამწუხაროდ, ჩემო ძვირფასო უოტსონ, თქვენი დასკვნების დიდი ნაწილი მცდარია. როცა გითხარით, სინათლის მეგზური ხართ-მეთქი, იცით, ვგულისხმობდი, რომ წინა კაცი უკანა კაცის ხიდია და თქვენი მარცხი და შეცდომა ზოგჯერ მეხმარება სწორი გზის პოვნაში. მაგრამ ამჯერად არც იმდენად შემცდარი აღმოჩნდით. ეს კაცი ნამდვილად არ ეკუთვნის ქალაქში მოსაქმეთა რიცხვს. იგი ფეხით მართლაც საკმაოდ ბევრს დადის.

- მაშ, მართალი ვყოფილვარ.

- ამ ერთში - კი.

- მაგრამ ეს ხომ ყველაფერია?

- არა, არა, ჩემო ძვირფასო უოტსონ, ეს არ არის ყველაფერი, სულაც არ არის ყველაფერი. ასე, მაგალითად, მსგავსი საჩუქარი ექიმს ყველაზე უფრო ადვილად შეეძლო მიეღო რომელიმე სამკურნალო დაწესებულებიდან და არა მონადირეთა კლუბიდან, ხოლო როცა სამკურნალო დაწესებულების წინ ასოები «ჩკ» სწერია, «ჩარინგ-კროსის» სახელწოდება თავისთავად აგეკვიატება.

- შეიძლება, თქვენ მართალი ხართ.

- ყველა ნიშანი ასეთ ახსნას ითხოვს. და თუ ჩემს მოსაზრებას სამუშაო ჰიპოთეზად მივიღებთ, ჩვენი უცნობი სტუმრის პიროვნების დასადგენად დამატებითი მონაცემები გვექნება.

- კარგი. დავუშვათ, რომ «ჩკლს» ნიშნავს «ჩარინგ-კროსის ლაბორატორია-საავადმყოფოს». რა შემდგომი დასკვნები გამოდის აქედან?

- ნუთუ არაფერი მოგდით თავში? თქვენთვის ხომ ცნობილია ჩემი მეთოდი? სცადეთ, გამოიყენოთ.

- დასკვნა დღესავით ნათელია: ვიდრე სოფელში წავიდოდა, ეს კაცი ლონდონში მუშაობდა.

- ცოტა უფრო შორს რომ წავიდეთ? შეხედეთ, რა კუთხიდანაც გნებავთ: რისთვის მიეცა საჩუქარი ამ კაცს? როდის მიიჩნიეს საჭიროდ თავიანთი კეთილგანწყობის გამოსახატავად აი ამ ჯოხის მირთმევა? ეტყობა, მაშინ, როცა ამ ექიმმა მორტიმერმა სამკურნალო დაწესებულება მიატოვა და კერძო პრაქტიკაზე გადავიდა. მას რომ საჩუქარი მიართვეს, ეს ჩვენთვის ცნობილია. უნდა ვივარაუდოთ, რომ საავადმყოფოში მუშაობას სოფლის პრაქტიკა ამჯობინა. მეტისმეტად გაბედული ხომ არ იქნება ჩვენი ვარაუდი, თუ ვიტყვით, რომ საჩუქარი სწორედ წასვლასთან დაკავშირებით მიართვეს?

ეს სავსებით შესაძლებელია.

ახლა შენიშნეთ, რომ ამ კაცს არ შეეძლო ყოფილიყო სამკურნალო დაწესებულების კონსულტანტების შტატში, რადგან ეს მისაწვდომია მხოლოდ საგრძნობი პრაქტიკის მქონე ლონდონელი მკურნალისათვის, ასეთი ექიმი კი ქალაქიდან ძნელად თუ წავიდოდა. მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო? თუ საავადმყოფოში მუშაობდა და შტატში არ ირიცხებოდა, მაშინ ის უმნიშვნელო კურატორი ყოფილა, რომელიც საავადმყოფოსთან ცხოვრობდა, ესე იგი, პრაქტიკანტზე ცოტა მეტი. საავადმყოფოდან კი ამ ხუთი წლის წინ წასულა - დახედეთ ამ თარიღს. ამრიგად, ჩემო ძვირფასო უოტსონ, თქვენი დარბაისელი, ხნიერი შინაური ექიმი გაქრა, მის ნაცვლად კი ჩვენ წინაშე აღიმართა ოცდაათიოდე წლის უაღრესად სანდომიანი ახალგაზრდა კაცი, სულაც არაპატივმოყვარე, გულმავიწყი და ნაზად მოყვარული თავისი ძაღლისა, რომელიც, ჩემი აზრით, ტერიერზე დიდია, მაგრამ მასტიფზე პატარა უნდა იყოს.

უნდობლად გავიცინე, შერლოკ ჰოლმსი კი სავარძელში გადაწვა და ჭერისაკენ გაუშვა კვამლის წვრილი, ჰაერში ლამაზად დარხეული რგოლები.

- რაც შეეხება უკანასკნელ მოსაზრებას, აქ თქვენი შემოწმება არაფრით არ შეიძლება, - ვთქვი მე. - მაგრამ ამ კაცის ასაკსა და კარიერაზე ზოგიერთ ცნობას კი ახლავე ვიპოვით. ჩემი წიგნების თაროდან გამოვიღე სამედიცინო ცნობარი და გვარი მორტიმერი მოვძებნე. იქ რამდენიმე მორტიმერი აღმოჩნდა, მაგრამ მე მაშინვე მივაგენი იმას, ვინც წინა დღეს გვესტუმრა, და ხმამაღლა წავიკითხე ყველაფერი, რაც მას შეეხებოდა:

- «მორტიმერი ჯეიმს, 1882 წლიდან სამეფო ქირურგიული საზოგადოების წევრი. გრიმპენი, დარტმური, დევონშირის საგრაფო. 1882 წლიდან 1884 წლამდე - ჩარინგ-კროსის საავადმყოფოს კურატორი. მიღები აქვს ჯეკსონის პრემია შედარებით პათოლოგიაში შრომისათვის «ხომ არ ჩავთვალოთ სნეულებანი ატავისტური ხასიათის მოვლენად?» შვეციის პათოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, ავტორი სტატიებისა «ატავიზმის ანომალიური მოვლენები («ლანცეტი», 1882), «მივდივართ თუ არა პროგრესისაკენ?» («ფსიქოლოგიის მოამბე», მარტი, 1883). გრიმპენის, ტორსლის და ჰაი-ბეროუს სამრევლოების სოფლის ექიმი».

- სიტყვაც არ არის ნათქვამი მონადირეთა კლუბზე, უოტსონ, - ცბიერი ღიმილით თქვა ჰოლმსმა. - სამაგიეროდ ნამდვილი სოფლის ექიმია, როგორც მოხდენილად შენიშნეთ. ჩემი ვარაუდი გამართლებულია. რაც შეეხება ზედსართავებს, თუ არ ვცდები, ასეთები შევარჩიე: სიმპათიური, არაპატივმოყვარე და გულმავიწყი. ეს კი ვიცი გამოცდილებით - მხოლოდ სიმპათიური ადამიანები

ღებულობენ გამოსამშვიდობებელ საჩუქრებს. ყველაზე უფრო არაპატივმოყვარენი ცვლიან ლონდონის პრაქტიკას სოფლისაზე, და მხოლოდ გულმავიწყი ადამიანები ტოვებენ სადარბაზო ბარათის ნაცვლად ჯოხს, მას შემდეგ, რაც მთელი საათი იცადეს თქვენს სასტუმრო ოთახში.

- ძაღლი?

- გაწვრთნილი ძაღლია, პატრონს დაჰყვება და პირით ნივთებს დაატარებს. ეს არც ისე მსუბუქი ჯოხია, ეტყობა, ძაღლი მას შუაადგილას ჰკიდებდა პირს, ამიტომ კბილების კვალი სავსებით გარკვევით ჩანს. ნაკბილევთა შორის მანძილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტერიერისათვის ასეთი ყბები მეტისმეტად ფართოა, მასტიფისათვის კი ძლიერ ვიწრო. შესაძლებელია, რომ ...ღმერთო ჩემო! ჰო, რა თქმა უნდა! თმახუჭუჭა სპანიელია.

ამას ამბობდა ჰოლმსი და თან ოთახში ბოლთას სცემდა, მერე სარკმლის ნიშთან გაჩერდა. მის უკანასკნელ სიტყვებში ისეთი მტკიცე რწმენა გამოსჭვიოდა, რომ გაკვირვებულმა გადავხედე.

- მომისმინეთ, ჩემო მეგობარო, საიდან ხართ ამაში დარწმუნებული?

- იმ უბრალო გარემოებიდან, რომ მე ვხედავ ძაღლს ჩვენს კართან და აი, მისი პატრონის ზარიც. არ წახვიდეთ, უოტსონ, გთხოვთ. თქვენ ხომ კოლეგები ხართ და თქვენი დასწრება დამეხმარება. აი, საბედისწერო წუთი, უოტსონ! თქვენ გესმით ნაბიჯების ხმა კიბიდან. ეს ნაბიჯები იჭრებიან თქვენს ცხოვრებაში და არ იცით, რა მოაქვთ - სიავე თუ სიკეთე. რა დასჭირდა მეცნიერ კაცს, ექიმ ჯეიმს მორტიმერს მაძებარ შერლოკ ჰოლმსისაგან?.. მობრძანდით.

ჩვენი სტუმრის გარეგნობამ გამაოცა, რადგან ტიპიური სოფლის ექიმის ნახვას ველოდი. ექიმი მორტიმერი აღმოჩნდა ძალიან მაღალი, გამხდარი კაცი. გრძელი ცხვირი ნისკარტივით ჰქონდა წამოშვერილი რუხ, ერთიმეორის ახლოს ღრმად ჩამჯდარ თვალებს შორის, სათვალის ოქროს ჩარჩოების მიღმა რომ ციმციმებდნენ. ჩაცმული ისე იყო, როგორც მისი პროფესიის ადამიანს შეეფერება, ოღონდ რამდენადმე დაუდევრად: ძლიერ გაცვეთილი პიჯაკი და დაცხავებული შარვალი ეცვა. თუმცა ახალგაზრდა იყო, უკვე მხრებში იხრებოდა და როცა კეთილისმსურველი მზერით გვათვალიერებდა, კისერს უცნაურად იგრძელებდა. როგორც კი ჩვენი სტუმარი ოთახში შემოვიდა, მისი მზერა მაშინვე იმ ჯოხს მისწვდა, რომელიც ჰოლმსს ეჭირა ხელში, და სიხარულის წამოძახილით მივარდა მას.

- რა ბედნიერებაა! მე კი ვერაფრით ვერ გავიხსენე, სად დავტოვე, აქ თუ სახომალდო კომპანიაში. ასეთი რამის დაკარგვა! ეს პირდაპირ საშინელება იქნებოდა!

- ნაჩუქარია? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- დიახ, სერ.

- ჩარინგ-კროსის საავადმყოფოდან?

- დიახ, იქაური მეგობრებისაგან, ჩემი ქორწილის დღეს.

- ვაი-ვაი, რა ცუდია! - შესძახა ჰოლმსმა თავის ქნევით.

ექიმმა მორტიმერმა თვალები გაოცებით დაახამხამა.

- რა არის აქ ცუდი?

- მხოლოდ ის, რომ თქვენ დაარღვიეთ ჩვენი დასკვნების მსვლელობა. მაშ, ეს საქორწინო საჩუქარი იყო?

- დიახ, სერ. მე დავქორწინდი და მივატოვე საავადმყოფო, და კონსულტანტის თანამდებობის მიღების ყველა იმედიც. საჭირო იყო საკუთარი სახლის მოწყობა, ოჯახის დაბინავება.

- აი, ხედავთ, არც ისე ძლიერ შევმცდარვართ. - თქვა ჰოლმსმა. - ახლა კი, დოქტორ ჯეიმს მორტიმერ...

- რას ბრძანებთ! მე არა მაქვს დოქტორის წოდება, მხოლოდ სამეფო ქირურგიული საზოგადოების უბრალო წევრი გახლავართ.

- და, უთუოდ, მეცნიერული გონების კაცი ბრძანდებით?

- მე მხოლოდ ზოგიერთი რამ მაკავშირებს მეცნიერებასთან, მისტერ ჰოლმს: ასე ვთქვათ, ნიჟარებს ვაგროვებ ცოდნის უკიდეგანო ოკეანის სანაპიროზე. თუ არ ვცდები, მაქვს პატივი ველაპარაკებოდე მისტერ შერლოკ ჰოლმსს და არა...

- არა, ჩემი მეგობარი უოტსონი, აგერ თქვენ წინა დგას.

- ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, სერ. თქვენი სახელი ხშირად იხსენიება თქვენი მეგობრის სახელის გვერდით: თქვენ მეტისმეტად დამაინტერესეთ, მისტერ ჰოლმს. სულ არ ველოდი, რომ ასეთი გრძელი თავის ქალა გექნებოდათ და ასე ძლიერ განვითარებული წარბზედა რკალები. ნება მიბოძეთ გაგისინჯოთ კეფის ნაკერი. ეგ თავის ქალის ტვიფარი, სერ, რომელიც გნებავთ იმ ანთროპოლოგიურ მუზეუმს დაამშვენებდა მანამ, სანამ თვით დედნის მიღებას მოახერხებდა. მლიქვნელობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ პირდაპირ მშურს ასეთი თავის ქალა.

შერლოკ ჰოლმსმა ჩვენი უცნაური სტუმარი სავარძელში ჩასვა.

- როგორც ჩანს, ორივენი საკუთარი საქმის ენთუზიასტები ვართ, სერ, - უთხრა სტუმარს. - თქვენი საჩვენებელი თითი მეუბნება, რომ გახვეულ თამბაქოს ამჯობინებთ. ნუ გერიდებათ, მოსწიეთ.

მორტიმერმა ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი, თამბაქო, და განსაცვიფრებელი სიმარდით გაახვია პაპიროსი. გრძელი, ოდნავ მთრთოლავი თითები ისევე მკვირცხლად და მოუსვენრად მოძრაობდნენ, როგორც მწერის საცეცები.

ჰოლმსი მშვიდად იჯდა, მაგრამ მისი სწრაფი ანაზდეული მზერა, რომელსაც ესროდა ხოლმე ჩვენს თავშესაქცევ თანამოსაუბრეს, მოწმობდა, რომ ამ კაცმა ძლიერ დააინტერესა.

- არა მგონია, სერ, რომ თქვენი გუშინდელი და დღევანდელი სტუმრობა და ჩვენდამი პატივის დადება მარტო ჩემი თავის ქალის გამოკვლევის მიზნით მომხდარიყოს.

- არა, სერ, რა თქმა უნდა, არა! მართალია, მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შემთხვევა მომეცა, მაგრამ სულაც არ მოვსულვარ ამისათვის, მისტერ ჰოლმს, მე სულაც არა ვარ პრაქტიკული ყაიდის კაცი, ამასთან ჩემს წინაშე უეცრად აღიმართა ერთი უაღრესად სერიოზული და უცნაური ამოცანა. რამდენადაც თქვენ გთვლით მთელ ევროპაში მეორე მაძებრად...

- ეგრე გგონიათ! ნება მომეცით გკითხოთ, ვინ მიგაჩნიათ პირველ მაძებრად? - საკმაოდ მკვეთრი კილოთი იკითხა ჰოლმსმა.

- მეცნიერულად მოაზროვნე ადამიანებს მუსიე ბერტილიონის შრომები უფრო მეტ პატივისცემას უნერგავენ.

- მაშინ რატომ მას არ მიმართეთ?

- მე ვლაპარაკობდი, სერ, «აზროვნების მეცნიერულ ხასიათზე», მაგრამ როგორც პრაქტიკოსს, თქვენ ტოლი არა გყავთ, ეს საერთოდ აღიარებულია. იმედი მაქვს, სერ, ზედმეტი არაფერი მიკადრებია...

- ისე, სულ ცოტა კი გამკენწლეთ, - მიუგო ჰოლმსმა. - მაგრამ მე ვფიქრობ, სერ მორტიმერ, რომ სრულიად სწორად მოიქცეოდით, თუ ახლავე მიუკიბ-მოუკიბავად მოყვებოდით იმ საქმის ვითარებას, რომლის გადასაწყვეტადაც ჩემთან მოსულხართ.

თავი II
ბასკერვილების გვარის წყევლა

- ჯიბეში ერთი ხელნაწერი მაქვს, - თქვა ექიმმა ჯეიმს მორტიმერმა.

- ეს მაშინვე შევნიშნე, როგორც კი შემოხვედით, - მიუგო ჰოლმსმა.

- მეტად ძველი ხელნაწერია.

- ასე, მეთვრამეტე საუკუნისა, თუ ყალბი არაა.

- ეს საიდან იცით, სერ?

- ლაპარაკის დროს, რამდენჯერმე მოვკარი თვალი თქვენი ჯიბიდან ამოჩრილი ხელნაწერის კიდეს. აბა, ის ექსპერტი რას მიქვია, ვინც დოკუმენტის თარიღის ამოცნობაში ათ-ოც წელზე მეტს თუ შეცდება. შემთხვევით ხომ არ წაგიკითხავთ ჩემი პატარა შრომა ამ საკითხზე? მე თქვენს მანუსკრიპტს ათას შვიდას ოცდაათი წლით ვათარიღებ.

- ზუსტი თარიღი ათას შვიდას ორმოცდაორია, - თქვა ექიმმა მორტიმერმა და პიჯაკის გვერდის ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო. - ეს საგვარეულო რელიქვია შესანახად გადმომცა სერ ჩარლზ ბასკერვილმა, რომლის უეცარმა ტრაგიკულმა სიკვდილმა ამ სამი თვის წინ ასე ააღელვა მთელი დევონშირი. მე თავს ვთვლიდი სერ ჩარლზის არა მარტო ექიმად, არამედ მის პირად მეგობრადაც. ეს იყო ძალაუფლების მოყვარული კაცი, ჭკვიანი, ფრიად პრაქტიკული, არა ფანტაზიორი, ისევე როგორც თქვენი მორჩილი მონა. და მაინც ამ დოკუმენტს ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა, მზად იყო კიდეც იმ დასასრულისათვის, რასაც ბედი უმზადებდა.

ჰოლმსმა ხელი გაიწოდა, ხელნაწერი გამოართვა და მუხლებზე გაასწორა.

- უოტსონ, დააკვირდით «დ» ასოს დაწერილობას. ეს ერთი იმ თავისებურებათაგანია, რამაც დახმარება გამიწია თარიღის დადგენაში.

მაღლიდან დავხედე გაყვითლებულ ფურცელზე ნახევრად გადაშლილ სტრიქონებს. გვერდის დასაწყისში ეწერა: «ბასკერვილჰოლი», ქვემოთ კი მსხვილი გაკრული ხელით იყო გამოყვანილი «1742».

- ეს, ეტყობა, რაღაც ჩანაწერია.

- დიახ, ერთი გადმოცემისა, რომელიც ბასკერვილების გვარში დღემდე ცოცხლობს.

- მაგრამ, რამდენადაც მივხვდი, თქვენ ჩემთან მოხვედით უფრო პრაქტიკული და დროის მიხედვით უფრო ახლობელი საკითხის გამო რჩევის მისაღებად.

- დიახ, სასიცოცხლოდ ახლობელი საკითხისათვის! ის არ ითმენს გადადებას, ერთ დღე-ღამეში უნდა გადაწყდეს. ხელნაწერი ძალიან მოკლეა და მას უშუალო დამოკიდებულება აქვს საქმესთან. თუ ნებას მომცემთ, წაგიკითხავთ.

ჰოლმსი სავარძელში გადაწვა, თითების ბოლოები ერთმანეთს მიაბჯინა და ბედისადმი მორჩილების გამომეტყველებით დახუჭა თვალები. ექიმი მორტიმერი სინათლისაკენ მიბრუნდა და მაღალი წრიპინა ხმით დაიწყო ძველი დროის საინტერესო მოთხრობის კითხვა:

- «მრავალი მოწმობა არსებობს ბასკერვილების ძაღლზე. მაგრამ რამდენადაც ვარ უშუალო შთამომავალი ჰუგო ბასკერვილისა და ძაღლის ამბავი გაგონილი მაქვს მამაჩემისაგან, მას კიდევ - პაპაჩემისაგან სმენია, ჩემს ვალად ვრაცხ ჩავწერო ესე ისტორია, რომლის ჭეშმარიტება საეჭვო არ არის. ამით მინდა იწამოთ, შვილნო ჩემნო, რომ უზენაეს მსაჯულს, რომელიც ჩვენი ცოდვებისათვის გვსჯის, ნებავს კიდევაც მოგვიტევოს შეცოდებანი ჩვენნი მისთვის ჩვეული სათნოებით და რომ არ არსებობს

ისეთი მძიმე წყევლა, რომლის გამოსყიდვაც არ შეიძლებოდეს ლოცვითა და მონანიებით. მაშ, მიეცით დავიწყებას საშინელი ნაყოფი წარსულისა, მაგრამ გაფრთხილდით მომავალში, ნუღარ შესცოდავთ, რათა ჩვენდა დასაღუპავად არ მისცეთ თავისუფლება ბნელ ვნებათა ღელვას, რამაც ამდენი ზიანი მოუტანა მთელ ჩვენს გვარსა და მოდგმას.

იცოდეთ, რომ დიდი ამბოხის ჟამს (რომლის ისტორიაც დიდად განსწავლულ ლორდ კლარენდონის მიერაა დაწერილი და, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, გირჩევთ წაიკითხოთ) ბასკერვილების მამულის მფლობელი იყო ჰუგო ბასკერვილი და ამ ჰუგოს სრულიად სამართლიანად შეიძლება ეწოდოს აღვირახსნილი, უკაცური და უღმერთო კაცის სახელი. მეზობლები აპატიებდნენ ყველა შეცოდებას, რადგანაც ჩვენს მხარეში არასოდეს არ უცხოვრიათ წმინდანებს, მაგრამ ჰუ-გოს ბუნებით ჰქონდა მიდრეკილება განუსჯელი და სასტიკი ხუმრობისადმი, რამაც მისი სახელი აქცია საიგავოდ მთელ დევონის მხარეში. მოხდა ისე, რომ ჰუგოს შეუყვარდა (თუ შეიძლება მის ბნელ ვნებას ეწოდოს ეგზომ წმიდა სახელი) ერთი ფერმერის ქალიშვილი. ეს ფერმერი ბასკერვილების მამულის მეზობლად ცხოვრობდა. მაგრამ სიმწყაზარითა და წესიერებით ცნობილი ნორჩი ქალიშვილი ყოველნაირად გაურბოდა ჰუგოს და მისი სახელის გაგონებაც კი არ სურდა. და აი, ერთხელ - ეს იყო სწორედ წმიდა მაიკლის დღეს - ჰუ-გო ბასკერვილმა აიყოლია ექვსი ყველაზე უფრო თავზეხელაღებული, უწესო, ქარაფშუტა ამხანაგი, ისარგებლა ქალის მამის და ძმების შინ არყოფნით და გაიტაცა თავის სასურველი. ბასკერვილ-ჰოლში რომ დაბრუნდა, ტყვე ქალი ერთ-ერთ ზედა ოთახში დამალა, თვითონ კი ძველი ჩვეულების მიხედვით დაიწყო ქვედა სართულში მეგობრებთან ქეიფი. უბედური ქალი კინაღამ გაგიჟდა, როცა გაიგონა, როგორ ყვიროდნენ და ილანძღებოდნენ ქვედა სართულზე მყოფი გალეშილი არამზადები. იმ ადამიანების მოწმობით, რომლებიც იცნობდნენ ჰუგო ბასკერვილს, ნაბახუსევი ჰუგო ისე თავშეუკავებელი იყო, რომ იმ ღვთის საგმობი სიტყვებისაგან, რომელთა წარმოთქმითაც იგი თავის ბაგეებს ბილწავდა, ადამიანი შეიძლებოდა დამდნარიყო. ბოლოს ქალიშვილი შიშმა იქამდე მიიყვანა, რომ ჩაიდინა საქმე, რასაც ვერ გაბედავდა ყველაზე უფრო გამბედავი და მოხერხებული მამაკაცი, სახელდობრ: გამოვიდა ლავგარდანზე, ჩამოჰყვა სუროს, რომელიც გასულიყო (და გადის ახლაც) სიმაგრის სამხრეთ კედელზე და სირბილით გაუყვა ჭაობებზე გამავალ გზას მამის სახლისაკენ, რაც სამი მილის დაშორებით იდგა ბასკერვილების მამულიდან.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჰუგომ მიატოვა სუფრა, რათა თავისი ტყვე ქალიშვილისათვის საჭმელ-სასმელი მიეტანა, ან იქნებ მასთან დარჩენაც სურდა. უარესიც ჰქონდა აზრად, მაგრამ ნახა, რომ გალია ცარიელია და ჩიტი სადღაც გაფრენილა. მაშინ დაეუფლა ჰუგოს ეშმაკეული. რადგან შმაგივით ჩაირბინა კიბე, შევარდა სანადიმო დარბაზში, შეხტა მაგიდაზე, მიმოფანტა ბოთლები და კერძები, შემდეგ კი ყველას გასაგონად დაიფიცა, რომ სულსა და სხეულს მი-ჰყიდის ეშმას ოღონდ დაეწიოს გაქცეულს. ვიდრე მისი სიშმაგით გაოცებული თანამესუფრეები გაოგნებული იდგნენ, ერთმა მათგანმა, ყველაზე უფრო გულქვამ და გალეშილმა, დაიყვირა, საჭიროა ტყვე ქალის კვალზე ძაღლის გაშვებაო. ასეთი სიტყვები რომ გაიგონა, ჰუგო გარეთ გამოვარდა, მეჯინიბეებს უბრძანა შეეკაზმათ მისი შავრა ფაშატი, გამოეშვათ ძაღლები და ეყნოსებინათ მათთვის თავსაფარი, რაც ქალიშვილს დავარდნოდა. ამის შემდეგ ამხედრებული არამზადა ძაღლების ხროვასთან ერთად მთვარით გაშუქებული ჭაობის გზას დაადგა.

თანამეინახენი ერთ ხანს მდუმარედ თავდახრილნი იდგნენ და გონს ვერ მოსულიყვნენ, რისთვის ატყდა ასეთი არეულობა. მაგრამ აი, მათს ღვინით დაბნელებულ გონებას მისწვდა, თუ რა შავი საქმე მოხდებოდა ტორფის ჭაობებში. მაშინ ყველა აყვირდა: ზოგი ცხენს ითხოვდა, ზოგი დამბაჩას, ზოგიც ღვინოს. შემდეგ უფრო დალაგებით მოიფიქრეს, ყველანი, - სულ ცამეტი კაცი, - შესხდნენ ცხენებზე და მდევარს შეუერთდნენ. მთვარე კაშკაშებდა, მდევრები ერთ რიგად მისდევდნენ გზას, რომლითაც მათი აზრით უნდა ევლო ქალს, თუ მამის სახლში დაბრუნდებოდა.

ერთი-ორი მილი რომ გაიარეს, მწყემსი შემოხვდათ და ჰკითხეს, ხომ არ შეგხვედრიაო გაქცეული ან მდევარი. მწყემსმა, როგორც ამბობდნენ, შიშისაგან, ჯერ ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ კი მაინც აღიარა, მიდიოდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც ძაღლები ედგნენ კვალშიო. «მაგრამ მე ვნახე სხვა რამეც, - დასძინა მან, - ჰუგო ბასკერვილმა ჩამიქროლა გვერდით შავი ფაშატით, უკან კი ძაღლი მისდევდა, და ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენს კვალზე მავალი ასეთ ჯოჯოხეთის ქმნილების ხილვისაგანო».

მთვრალმა სკვაირებმა შეაგინეს მწყემსს და ცხენები გააქროლეს, მაგრამ სულ მალე ტანში ყინულმა დაუარათ, რადგან ფლოქვების ხმა მოესმათ, შავი ფაშატიც მაშინვე დაინახეს უმხედროდ, პირიდან ქაფი გადმოსდიოდა და სადავეები ძირს მოსთრევდა. თავგზადაბნეული მხედრები შეჯგუფდნენ, ყველა შიშმა და ელდამ აიტანა, მაგრამ მაინც განაგრძეს გზა ჭაობის სიღრმისაკენ, თუმცა ყოველი მათგანი, აქ რომ მარტო ყოფილიყო, სიამოვნებით მოაბრუნებდა ცხენს და შინ დაბრუნდებოდა. წყნარად განაგრძეს გზა და ბოლოს ნაპრალის პირას ძაღლებიც ნახეს. მთელი ხროვა, ძველთაგანვე განთქმული ჯიშის სიწმინდითა და სიაფთრით, შესაბრალისად ყმუოდა. ზოგიერთი ძაღლი ჩუმად გარბოდა განზე, სხვებს კი ბეწვი აბურძგნოდათ, თვალებს აბრიალებდნენ და იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე წინ გამოჩენილ ხვრელში გამძვრალიყვნენ.

მხედრები შეჩერდნენ, რაღა თქმა უნდა, ბევრად უფრო ფხიზელნი, ვიდრე გზაზე გასვლის წინ იყვნენ. ბევრი მათგანი ვერც ბედავდა წინ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ სამმა, ყველაზე უფრო გაბედულებმა ან იქნებ ყველაზე უფრო შექეიფიანებულებმა, ცხენები ხრამის სიღრმეში შეიყვანეს. იქ თვალწინ გადაეშალათ ფართო კორდი, ზედ კი უხსოვარ დროს აღმართული ორი ქვის სვეტი იხილეს. ასეთი კორდები ჭაობებში დღესაც გვხვდება. მთვარე მკაფიოდ ანათებდა კორდს, რომლის შუაგულშიც ეგდო შიშსა და დაქანცულობისაგან მკვდარი ბედშავი ქალიშვილი. მაგრამ არც ქალიშვილის უსულო გვამის ხილვაზე, არც მის გვერდით დაგდებულ ჰუგო ბასკერვილის გვამის დანახვაზე არ უგრძნია სამ თავზე ხელაღებულ უსაქმურს, როგორ დაუდგათ თმა ყალყზე. არა! ჰუგოს თავს დასდგომოდა საზარელი ურჩხული - უზარმაზარი, შავი ნადირი, შესახედავად ძაღლის მსგავსი, მაგრამ უფრო მაღალი და დიდი ყველა ძაღლზე, რომელიც კი ოდესმე მოკვდავს უხილავს. აი, ამ ურჩხულმა გამოღადრა მათს თვალწინ ყელი ჰუგო ბასკერვილს, შემდეგ მათკენ შემოაბრუნა გასისხლიანებული დრუნჩი და მდევრებს ცეცხლოვანი თვალები შეანათა. შიშისაგან დაზაფრულმა მდევრებმა ყვირილი ატეხეს და ჭაობისაკენ თავქუდმოგლეჯილებმა მოჰკურცხლეს. ერთი მათგანი, როგორც ამბობენ, იმავე ღამეს მოკვდა, ვერ გადაიტანა ის, რაც იხილა, ორი დანარჩენი კი ისე წახდა, ასეთი მძიმე განსაცდელის ხილვის შემდეგ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვეღარ გამოჯანმრთელდა.

ასეთია, შვილნო ჩემნო, თქმულება იმ ძაღლზე, რომელმაც მას შემდეგაც ბევრი უბედურება დაატეხა თავს ჩვენს გვარს. და თუ ყოველივე ეს ჩავწერე, მხოლოდ

იმისათვის, რომ ცოდნა ნაკლებად გვაძრწუნებს ხოლმე, ვიდრე უთქმელობა და ვარაუდები.

განა საჭიროა იმის უარყოფა, რომ ჩვენს გვარში მრავალი კვდებოდა უეცარი, საშინელი და იდუმალი სიკვდილით? მაშ, დაე, ნუღარ დაგვტოვებს განგება თავისი უხვი წყალობის გარეშე და ნუღარ დასჯის უდანაშაულო მემკვიდრეებს, შობილთ მესამე და მეოთხე თაობის შემდეგ, რომელთაც ელით შურისგება, როგორც არის ნათქვამი სახარებაში. იმ განგებას ვანდობ თქვენ თავს, შვილნო ჩემნო, და გაფიცებთ: ერიდეთ ღამით ჭაობებში გასვლას, როცა ბოროტების ძალები თავისუფლად ბატონობენ.

(დაწერილია ჰუგო ბასკერვილის ხელით შვილების - როჯერისა და ჯონისათვის, და ვუბრძანებ მათ, შეინახონ ყოველივე ეს საიდუმლოდ თავიანთი დის ელიზაბეტისაგან)».

როცა ეს უცნაური ამბავი წაიკითხა, ექიმმა მორტიმერმა სათვალე შუბლზე აიწია და მისტერ შერლოკ ჰოლმსს მიაჩერდა. ჰოლმსმა დაამთქნარა და სიგარის ნამწვი ბუხარში შეაგდო.

- მერედა, აქ რა არის ისეთი? - წარმოთქვა მშვიდად.

- თქვენი აზრით, ეს არ არის საინტერესო?

- საინტერესოა - ზღაპრების მოყვარულთათვის.

ექიმმა მორტიმერმა ჯიბიდან ამოიღო ოთხად დაკეცილი გაზეთი.

- კარგი, მისტერ ჰოლმს. ახლა გაგაცნობთ უფრო თანამედროვე ამბავს. აი «დევონშირის ქრონიკის» ამა წლის თოთხმეტი ივნისის ნომერი. აქ დაბეჭდილია მოკლე ანგარიში იმ ფაქტებზე, რომლებიც დაკავშირებულია სერ ჩარლზ ბასკერვილის სიკვდილთან, რაც რამდენიმე დღის წინათ მოხდა.

ჩემმა მეგობარმა ოდნავ წინ წაიწია, მის მზერაში მეტი ყურადღება შევნიშნე. მორტიმერმა სათვალე შეისწორა და დაიწყო:

- «სერ ჩარლზ ბასკერვილის, ლიბერალთა პარტიის მოსალოდნელი კანდიდატის უეცარმა სიკვდილმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მთელ შუა დევონშირზე. თუმცა სერ ჩარლზი შედარებით ცოტა ხნის წინ დამკვიდრდა ბასკერვილ-ჰოლში, მაგრამ თავისი გულკეთილობითა და სიუხვით უკვე მოასწრო ყველა იმ ადამიანის სიყვარულისა და პატივისცემის მოხვეჭა, ვისაც მასთან საქმე ჰქონია. ნუვორიშების ბატონობის ჩვენს დროში სასიამოვნოა ვიცოდეთ, რომ უკეთესი დროის მომსწრე ძველი გვარის შთამომავალმა საკუთარი ხელებით შეძლო შეექმნა დოვლათი და მიემართა ის თავისი გვარის ოდინდელი დიდების აღსადგენად. როგორც ცნობილია, სერ ჩარლზი აწარმოებდა ფრიად შემოსავლიან ექსპედიციებს სამხრეთ აფრიკაში. იმ ადამიანთა საპირისპიროდ, რომლებიც არ შეჩერდებიან მანამ, სანამ ფორტუნის ბორბალი მათივე საწინააღმდეგოდ არ შეტრიალდება, მან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და გონების სიფხიზლით მოახდინა თავისი შემოსავლის რეალიზაცია და ინგლისში დაბრუნდა დიდძალი კაპიტალით. ბასკერვილ- ჰოლში სერ ჩარლზი დასახლდა სულ ამ ორი წლის წინ, მაგრამ ხმები სხვადასხვანაირ სრულყოფასა და მამულის ახლადგაშენებაზე, რაც მისმა სიკვდილმა შეაჩერა, უკვე დიდი ხანია გავრცელდა. უშვილომ ჯერ კიდევ სიცოცხლეში არა ერთხელ გამოამჟღავნა განზრახვა გაებედნიერებინა თავისი თანამემამულეები, და მრავალ აქაურ მცხოვრებს პირადი საფუძველი აქვს დასტიროდეს მის უდროოდ გარდაცვალებას. სერ ჩარლზის უხვ შეწირულობაზე საქველმოქმედო საჭიროებებისათვის როგორც ადგილობრივი მასშტაბით, აგრეთვე მთელი საგრაფოს მასშტაბითაც არა ერთხელ იყო ლაპარაკი გაზეთის ფურცლებზე.

ვერ ვიტყვით, რომ ძიებამ სავსებით გაარკვია სერ ჩარლზ ბასკერვილის სიკვდილის გარემოებანი, თუმცა ბოლო კი მოუღო ადგილობრივ ცრუმორწმუნეთა შორის გავრცელებულ ხმებს. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი გამოვთქვათ, რომ სიკვდილი გამოიწვია არაბუნებრივმა მიზეზმა. სერ ჩარლზი იყო ქვრივი და თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოტა ახირებული. მიუხედავად თავისი დიდი შეძლებისა, ცხოვრობდა ძალიან თავშეკავებულად, და ბასკერვილ-ჰოლში მხოლოდ ორი მოსამსახურე ცოლ-ქმარი ბერიმორები ჰყავდა. ქმარი ასრულებდა ლაქიის მოვალეობას, ცოლი - მნისას. თავიანთ ჩვენებებში, რაც განსვენებულის მეგობრების ჩვენებებს ეთხვევა, ბერიმორებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში სერ ჩარლზის ჯანმრთელობა შესამჩნევად გაუარესდა. მათი სიტყვით, განსვენებული უჩიოდა გულს, რასაც მოწმობდა მისი სახის ფერის ცვალებადობა, გახშირებული სუნთქვა და მძიმე სულიერი განწყობილება. ექიმმა ჯეიმს მორტიმერმა, განსვენებულის ახლო მეგობარმა და შინაურმა მკურნალმა, თავის ჩვენებაში იგივე დაადასტურა.

ფაქტიურად ყველაფერი სრულიად უბრალოდ დატრიალდა. სერ ჩარლზ ბასკერვილს ჩვეულებად ჰქონდა დაძინების წინ ბასკერვილ-ჰოლის ურთხელის განთქმულ ხეივანში გასეირნება. ცოლ-ქმარი ბერიმორები ადასტურებენ, რომ ამ ჩვეულებას არასოდეს არ ღალატობდა. 4 ივნისს სერ ჩარლზს განუცხადებია, რომ მეორე დღეს ლონდონს აპირებდა გამგზავრებას და ბერიმორისთვის უბრძანებია ნივთების ჩალაგება, საღამოს კი ჩვეულებისამებრ სასეირნოდ წასულა, რომლის დროსაც თურმე მუდამ სიგარას ეწეოდა. ამის შემდეგ სერ ჩარლზი შინ აღარ დაბრუნებულა. შუაღამისას, როცა უნახავთ, რომ ჰოლში კარი ჯერაც ღიად ყოფილა დარჩენილი, ბერიმორი შეშფოთებულა, ფარანი აუნთია და თავისი ბატონის საძებნელად გაუწევია. ნესტიანი დღე ყოფილა და ხეივანში ჩარლზის ნაკვალევი თურმე ძალიან კარგად ჩანდა. ამ ხეივნის შუაში არის პატარა ჭიშკარი, საიდანაც გზა გადის ტორფის ჭაობებისაკენ. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით სერ ჩარლზი აქ მდგარა რამდენიმე წუთს, შემდეგ კი წასულა... და ხეივნის სულ ბოლოში იპოვნეს მისი გვამი.

აქ ამოუხსნელი რჩება ერთი გარემოება. ბერიმორი ამბობს, რომ ჭიშკრის იქით სერ ჩარლზის კვალის ხასიათი იცვლება: ეტყობა, ფეხის წვერებზე მიდიოდაო. ამ დროს ხეივნის ახლოს ჭაობზე გაუვლია ბოშა-ჩარჩს, ვინმე მერფის. მას გაუგონია ძახილი, ოღონდ ვერ გაურკვევია, რა მხრიდან, რადგან მისივე თქმით, ძლიერ მთვრალი ყოფილა. არავითარი ძალადობის კვალი სერ ჩარლზის ტანზე არ აღმოჩნდა. მართალია, სამედიცინო ექსპერტიზა აღნიშნავს განსვენებულის სახის შეცვლას ისე, რომ კაცი ვერა ცნობს - ექიმ მორტიმერს პირველად არც კი დაუჯერებია, რომ მის წინ ესვენა მისი მეგობარი და პაციენტი, მაგრამ ასეთი მოვლენა ხშირად ახლავს თან დახრჩობით ან სულის ხუთვით სიკვდილს, როცა გულის მოქმედება წყდება. ეს დადასტურდა გაკვეთით, რამაც ექსპერტიზას მისცა გულის დახანებული ორგანული მანკის სრული სურათი. სამედიცინო ექსპერტიზის მონაცემებზე დამყარებული ძიება მივიდა უეცარი სიკვდილის დასკვნამდე, რაც საგრძნობლად ამსუბუქებს საქმის ვითარებას, რადგან სასურველია, რომ სერ ჩარლზ ბასკერვილის მემკვიდრე დასახლდეს ბასკერვილ-ჰოლში და განაგრძოს თავისი წინამორბედის ბრწყინვალე წამოწყება, შეწყვეტილი ეგზომ ტრაგიკული აღსასრულით. გამომძიებლის პროზაულად ზუსტმა დასკვნებმა გაჰფანტა სერ ჩარლზის სიკვდილთან დაკავშირებული რომანტიკული თქმულებები, რომლებიც პირიდან პირში გადადიოდა და ბასკერვილ- ჰოლის პატრონის გამონახვა გააადვილა. როგორც ამბობენ, სერ ჩარლზის უახლოეს ნათესავად ითვლება მისტერ ჰენრი ბასკერვილი (თუ ცოცხალია), განსვენებულის უმცროსი ძმისშვილი. ჩვენს ხელთ არსებული

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ეს ახალგაზრდა კაცი ამერიკაში იმყოფება. ახლა მიღებულია ზომები მის მოსაძებნად, რათა გადაეცეს დიდი მემკვიდრეობა».

ექიმმა მორტიმერმა გაზეთი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

- აი ყველაფერი, რაც იყო გამოცხადებული სერ ჩარლზ ბასკერვილის სიკვდილზე, მისტერ ჰოლმს.

- ეგ საქმე მართლაც არაა მოკლებული ერთგვარ ინტერესს, და ძალიან დიდ მადლობას გიცხადებთ ამისათვის, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა. - თავის დროზე ეს ამბავი გაზეთებში მეც წავიკითხე, მარგამ მაშინ ისე მოუცლელი ვიყავი ვატიკანის კამეების ისტორიასთან დაკავშირებით და ისე ვცდილობდი მეამებინა პაპისათვის, რომ ყურადღებიდან გამომრჩა რამდენიმე საინტერესო საქმე, რაც ინგლისში მოხდა. მაშ, ეს არის ყველაფერი, რაც იყო გამოცხადებული სერ ჩარლზის სიკვდილზე?

- დიახ.

- ახლა იმ ფაქტებზე მიამბეთ, რომლებიც პრესაში არ გამოქვეყნებულა. - აქ ჰოლმსი სავარძელში გადაწვა, თითების ბოლოები ერთმანეთს მიაბჯინა და სასტიკი და მიუდგომელი მოსამართლის სახე მიიღო.

- ამაზე ჯერ არავისთან დამიძრავს სიტყვა, - დაიწყო მორტიმერმა აშკარა მღელვარებით. - საქმის ძიების დროს ბევრი რამე დავფარე იმ უბრალო მიზეზით, რომ მეცნიერ კაცს არ შეშვენის ცრუმორწმუნეთა მიერ დარხეული ჭორების აყოლა. მე მგონია, გაზეთის რედაქცია სწორად მოიქცა. ბასკერვილ-ჰოლის ისედაც ბურუსით მოცული რეპუტაციის გაღრმავება ნიშნავს მის უპატრონოდ გაპარტახებისათვის განწირვას. ამ მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდი და ზოგი რამის დამალვა ვამჯობინე, რადგან ზედმეტი გულახდილობა სარგებლობას მაინც ვერ მოიტანდა. მაგრამ თქვენ ყველაფერი მინდა გიამბოთ.

ტორფის ჭაობები - საკმაოდ უკაცური ადგილებია, მაგრამ შორეული თუ ახლობელი მეზობლები ცდილობენ უფრო ხშირ-ხშირად შეხვდნენ ერთიმეორეს. რაც შემეხება მე, საკმაოდ ბევრ დროს ვატარებდი სერ ჩარლზ ბასკერვილთან. ლეფტერჰოლელი მისტერ ფრენკლენდისა და ნატურალისტ მისტერ სტეპლტონის გარდა მთელს ჩვენს მიდამოებში რამდენიმე მილის მანძილზე ვერც ერთ განათლებულ ადამიანს ვერ შეხვდებით. სერ ჩარლზს უყვარდა განმარტოება, მაგრამ მისმა სნეულებამ დაგვაახლოვა. საერთო ინტერესებმა კი კიდევ უფრო განამტკიცეს ეს ურთიერთობა. სერ ჩარლზმა ბევრი ძვირფასი სამეცნიერო მასალა ჩამოიტანა სამხრეთ აფრიკიდან და ჩვენ ერთად მრავალი სასიამოვნო საღამო გავატარეთ ბუშმენებისა და ჰოტენტოტების შედარებით ანატომიაზე მსჯელობაში.

ბოლო ხანებში ჩემთვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ სერ ჩარლზის ნერვების დაძაბულობა უკანასკნელ საზღვარს უახლოვდებოდა. მას სწამდა ეს ლეგენდა, რაც ახლა წაგიკითხეთ და როცა თავის მამულში სეირნობდა, ღამღამობით ერიდებოდა ჭაობებში გასვლას. თქვენ ეს სისულელედ მოგეჩვენებათ, მისტერ ჰოლმს, მაგრამ სერ ჩარლზი დარწმუნებული იყო, რომ მის გვარს ტვირთად აწვა საშინელი წყევლა, და მართლაც, მაგალითები, რომლებიც მოჰყავდა თავისი გვარის წარსულიდან, არაფერ სანუგეშოს არ წარმოადგენდა. მას მოსვენებას არ აძლევდა აკვიატებული იდეა რაღაც აჩრდილის მსგავს არსებაზე და მუდამ მეკითხებოდა ხოლმე, ხომ არ ნახე რაიმე უცნაური, როცა ავადმყოფთა სანახავად დადიოდი, და ხომ არ გსმენია ძაღლის ყეფაო. უკანასკნელ კითხვას სერ ჩარლზი უფრო ხშირად იმეორებდა და ამასთან მღელვარებისაგან ხმა უთრთოდა.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, ტრაგიკულ შემთხვევამდე სამი კვირით ადრე საღამოს ეტლით მივედი ბასკერვილ- ჰოლში. შარაბანიდან გადმოვედი,

მივუახლოვდი მას და უეცრად შევნიშნე, რომ სერ ჩარლზი ჩემს მხრებს უკან საითღაც იყურება და საზარელი შიში ჩასდგომია თვალებში; უეცრად მოვბრუნდი და თვალი მოვკარი ხეივნის ბოლოში რაღაც არსებას. რაც მოზრდილ შავ ხბოს ჰგავდა. სერ ჩარლზი ისე აღელვებული და შეშინებული იყო, რომ იძულებული გავხდი მივსულიყავი იმ ადგილას, სადაც ეს უცნაურობა გამოჩნდა, რათა გამერკვია, საით წავიდა იგი. მაგრამ იქ აღარაფერი ჩანდა. ამ შემთხვევამ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს მეგობარზე. მთელი ის საღამო მასთან გავატარე. სწორედ მაშინ შეეცადა აეხსნა ჩემთვის თავისი შეშფოთების მიზეზი და მთხოვა ამ ხელნაწერის შენახვა, ახლა რომ გაგაცანით. ამ ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტზე მხოლოდ იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამან უკანასკნელ ტრაგედიაში რაღაც მნიშვნელობა შეიძინა, მაშინ კი ყველაფერი ეს წმინდა წყლის სისულელედ მეჩვენა, რაც ვერაფრით ვერ ამართლებდა ჩემი მეგობრის მღელვარებას.

სერ ჩარლზი ჩემი რჩევით ლონდონისაკენ გასამგზავრებლად ემზადებოდა. გული ვერა ჰქონდა კარგად, ხოლო შიში, რაც წუთითაც არ ასვენებდა, მის ჯანმრთელობას კიდევ უფრო აუარესებდა, თუმცა ჩემი აზრით, ამ შიშის მიზეზები უბრალოდ გამოგონილი იყო. იმედი მქონდა, რომ რამდენიმე თვით ქალაქში ყოფნა სერ ჩარლზზე გამაჯან-საღებლად იმოქმედებდა და უკან დაბრუნებული სულ სხვა ადამიანად იქცეოდა. იმავე აზრისა იყო მისტერ სტეპლტონი, რომელიც ჩვენი საერთო მეგობრის ჯანმრთელობაზე მუდამ დიდად ზრუნავდა. და აი, სულ უკანასკნელ წამს თავს დაგვატყდა ასეთი საშინელი უბედურება.

ლაქია ბერიმორმა, რომელმაც ღამით იპოვნა სერ ჩარლზის გვამი, დაუყოვნებლივ გამომიგზავნა მეჯინიბე პერკინსი. მე სამუშაოს ვუჯექი და ჯერ არ მეძინა, ამიტომ სწრაფად აღმოვჩნდი ბასკერვილ-ჰოლში, მომხდარი უბედურებიდან, სულ დიდი, ერთი საათის შემდეგ. ყველა ფაქტი, რაც აღნიშნული ჰქონდა ძიებას, შევამოწმე და ერთიმეორეს შევუდარე. სერ ჩარლზის ნაკვალევს გავყევი ურთხელის ხეივანში, დავათვალიერე ჭიშკართან ის ადგილი, სადაც ჩარლზი, როგორც ჩანს, დიდხანს იდგა, ყურადღება მივაქციე მის ფეხთა კვალის შეცვლილ ხასიათს, დავრწმუნდი, რომ მის გარდა მხოლოდ ლაქიის ფეხის კვალია რბილ მიწაზე და ბოლოს გულმოდგინედ გამოვიკვლიე გვამი, რასაც ჩემამდე არავინ შეხებოდა. სერ ჩარლზი პირქვე იწვა, ხელები გაშლილი ჰქონდა, თითებით მიწა ჩაებღუჯა და კრუნჩხვას ისე მოეშალა მისთვის სახე, რომ ერთბაშად ვერც კი ვიცანი. ფიზიკური ზიანი გვამს არ აჩნდა, მაგრამ ბერიმორმა გამომძიებელს არასწორი ჩვენება მისცა. მისი სიტყვით, მიწაზე გვამთან არავითარი კვალი არ ყოფილა. უბრალოდ, ვერ შენიშნა. სერ ჩარლზის გვამის სიახლოვეს ჩანდა სავსებით ახალი და მკაფიო...

- კვალი?

- კვალი.

- კაცის თუ ქალის?

ექიმმა მორტიმერმა რაღაც უცნაურად გადმოგვხედა და თითქმის ჩურჩულით გვიპასუხა:

- მისტერ ჰოლმს, ეს იყო უზარმაზარი ძაღლის თათების კვალი.

თავი III

ამოცანა

გამოგიტყდებით, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. სერ მორტიმერს ხმა ისე უთრთოდა, რომ ჩანდა თავისივე მონათხრობი ამბავი აღელვებდა. ჰოლმსმა მთელი ტანით წინ წაიწია, და მის თვალებში გაღვიძებულმა ინტერესის მშრალმა, მსუსხავმა ნაპერწკალმა იელვა.

- თვითონ ნახეთ?

- სწორედ ისევე, როგორც ახლა თქვენ გხედავთ.

- და ამაზე არაფერი გითქვამთ!

- რისთვის უნდა მეთქვა?

- ნუთუ თქვენ გარდა კვალი სხვამ ვერავინ შეამჩნია?

- კვალი გვამიდან დაახლოებით ოცდაათი ნაბიჯით იყო დაცილებული და ალბათ ყურადღება არავინ მიაქცია. მე თვითონაც ვერ შევნიშნავდი, ლეგენდა რომ არ მომგონებოდა.

- ჭაობებში ალბათ ბევრსა ჰყავს ქოფაკი ძაღლები?

- რაღა თქმა უნდა. მაგრამ ის ქოფაკი არ გახლდათ.

- თქვენ ამბობთ, რომ ძალიან დიდი ზომის კვალი იყო?

- უზარმაზარი.

- მაგრამ სერ ჩარლზის გვამს არ უახლოვდებოდა?

- არა.

- როგორი ამინდი იდგა მაშინ?

- ნესტიანი, ცივი.

- წვიმა თუ იყო?

- არა.

- რას წარმოადგენს ეს ხეივანი?

- გარშემო მჭიდროდ ერთმანეთზე მიკრული ძველი ურთხელების მწვანე ღობე ევლება, შუაში გზა გადის, ასე რვა ფუტის სიგანისა.

- ბუჩქნარსა და გზას შორის არის რაიმე?

- კი, ორსავე მხარეს გადის გაზონების ზოლი - ბუსნო, რომლის სიგანე ექვსი ფუტი იქნება.

- თუ სწორად გაგიგეთ, ხეივანში არის პატარა ჭიშკარი?

- დიახ, ეს ჭიშკარი გადის ჭაობებისაკენ.

- სხვა გასასვლელი არ არის?

- არა.

- მაშასადამე, ხეივანში მოხვედრა შეიძლება ან პირდაპირ სახლიდან, ან ჭიშკრიდან?

- არის კიდევ ერთი გასასვლელი - ფანჩატურიდან, ხეივნის ბოლოში.

- სერ ჩარლზი მივიდა იმ ფანჩატურამდე?

- არა, ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე ეგდო იქიდან.

- ახლა, სერ მორტიმერ, მიპასუხეთ, გეთაყვა, ერთ ფრიად მნიშვნელოვან კითხვაზე: თქვენ კვალი შენიშნეთ არა ბალახზე, არამედ გზაზე?

- ბალახში კვალი ჩვეულებრივ არა ჩანს.

- იმავე მხარეს იყო კვალი, რა მხარესაც ჭიშკარია?

- დიახ, სულ კიდეში, ჭიშკართან ახლო.

- უაღრესად საინტერესოა! კიდევ ერთი კითხვა: ჭიშკარი დახურული იყო?

- არა მარტო დახურული, არამედ დაკეტილიც, ბოქლომით.

- რა სიმაღლისაა?

- ოთხიოდე ფუტის.

- მაშ, შეიძლება ზედ გადაძრომა?

- დიახ.

- თვით ჭიშკრის ახლოს იყო რაიმე შენიშნული?

- არა, ისეთი არაფერი.

- ღმერთო ჩემო! ნუთუ იქაურობა არ დაგითვალიერებიათ?

- დავათვალიერე.

- და ვერაფერი იპოვეთ?

- იქ ძნელი იყო რაიმეს შემჩნევა. სერ ჩარლზი, ეტყობა, ჭიშკართან მიწას ტკეპნიდა ასე ხუთი-ათი წუთი მაინც.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- იმიტომ, რომ მისი სიგარიდან ფერფლი ორჯერ დაცვივდა.

- ჩინებულია! აი, ასეთი თანაშემწე მესმის! ხომ მართალია, უოტსონ? ახლა, კვალი?

- ხრეშზე კარგად ჩანდა მისი ფეხის ნაკვალევი, სხვაგან კი არსად მინახავს.

შერლოკ ჰოლმსმა მოუთმენლად დაირტყა ხელი მუხლზე.

- ახ! მე რომ იქ ვყოფილიყავი! - შესძახა. - ეს, ეტყობა, უაღრესად საინტერესო საქმეა. რა მდიდრული შესაძლებლობანია სერიოზული სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის! ხრეში - ისეთი მდიდარი მასალაა, რაზედაც ბევრი რამის ამოკითხვას შევძლებდი! ახლა კი გადარეცხილია წვიმით, გათელილია ცნობისმოყვარე ფერმერთა ფეხსაცმელებით! ახ, სერ მორტიმერ, ექიმო მორტიმერ! რატომ მაშინვე არ მიხმეთ? რა ცოდვა აწევს თქვენს სინდისს!

- მე არ შემეძლო თქვენთვის მომემართა, მისტერ ჰოლმს: მაშინ მომიხდებოდა ყველა ამ ფაქტის გამოცხადება, ახლა კი აგიხსენით, რა მაკავებდა ასეთი ნაბიჯებისაგან. ამას გარდა, ამას გარდა...

- რაღას ყოყმანობთ?

- არის ისეთი სფერო, სადაც უძლურია თვით ყველაზე უფრო გამჭრიახი და ყველაზე უფრო გამოცდილი მაძებარი.

- თქვენ ვარაუდობთ, რომ საქმე გაქვთ ზებუნებრივ ძალებთან?

- ამას არ ვამბობ.

- «არ ვამბობ», მაგრამ «ვფიქრობ»?

- მას შემდეგ, რაც ეს მოხდა, მისტერ ჰოლმს, მე მიამბეს რამდენიმე ისეთი შემთხვევა, რომელთა დაკავშირება მოვლენათა ბუნებრივ განვითარებასთან ძნელია.

- მაგალითად?

- გამოვარკვიე, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ჯერ კიდევ სერ ჩარლზის სიკვდილამდე ნახა ჭაობებში რაღაც უცნაური ბასკერვილის დემონის მსგავსი არსება. ყველა, ვინც ის უცნაური არსება იხილა, ერთხმად ირწმუნება, რომ იგი არც ერთ სხვა ცხოველს არა ჰგავს, რომელსაც კი მეცნიერება იცნობს, ყველა, ვინც ის ნახა, ერთხმად ამტკიცებს: ესაა რაღაც უსაშველო სიდიდის მანათობელი მოჩვენებაო. მე დავკითხე ეს ადამიანები. ერთი მათგანი, ჩვენი მეზობელი, ძალიან ფხიზელი გონებისაა, მეორე იქაური მჭედელი და ერთიც ფერმერი. ყველანი ერთხმად ლაპარაკობენ რაღაც არაჩვეულებრივ მოჩვენებაზე და თითქმის სიტყვა სიტყვით იმეორებენ იმ ძაღლის აღწერას, რაზედაც ლაპარაკია ლეგენდაში. დამიჯერეთ, მისტერ ჰოლმს, მთელ ჩვენს მხარეში საშინელება მეფობს, ღამით ჭაობებში გამოსვლას ვერავინ ბედავს, ყველაზე უფრო უშიშარ მამაცთა გარდა.

- და თქვენ, მეცნიერ კაცს, გჯერათ, რომ ეს ზებუნებრივი მოვლენაა?

- თვითონაც აღარ ვიცი, რისი მჯერა და რისი არა.

ჰოლმსმა მხრები აიჩეჩა.

- აქამდე ჩემი სამძებრო მოღვაწეობა მიმდინარეობდა სააქაოს ფარგლებში, - თქვა ჰოლმსმა. - მე ვებრძვი ბოროტებას, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევს ჩემი მცირე ძალა და გარემოება, მაგრამ თვით ბოროტების მშობელი წინაპრის წინააღმდეგ ამხედრება ჩემის მხრით მეტისმეტი იმედის დამყარება იქნება საკუთარ თავზე. მაინც თქვენ ალბათ არ უარყოფთ, რომ კვალი ხრეშზე სავსებით რეალური ამბავია?

- ძაღლზე, რომელზედაც ლაპარაკია ლეგენდაში, ვერ ვიტყვით, რეალური არ არისო, თუ მან შეძლო ადამიანისათვის ყელი გამოეღადრა. და მაინც მასში იყო რაღაც დემონური.

- მე ვხედავ, თქვენ საბოლოოდ გადახვედით მისტიკოსთა მხარეზე, ექიმო მორტიმერ. რაკი ასეა, მაშინ ის გამაგებინეთ: თუ ამ თვალსაზრისზე დგახართ, რაში დაგჭირდათ ჩემი დახმარება? თქვენ მეუბნებით, რომ სერ ჩარლზის სიკვდილის გარემოებათა კვლევა უსარგებლო საქმეა, და ამავე დროს მთხოვთ ხელი მოვკიდო ამ საქმეს.

- მე არაფერი მაგდაგვარი არ მითხოვია?

- მაშინ რით შემიძლია გემსახუროთ?

- რჩევით. მითხარით, როგორ მოვიქცე სერ ჰენრი ბასკერვილთან, რომელიც ვატერლოოს სადგურზე ჩამოვა. - ექიმმა მორტიმერმა საათს დახედა, - ზუსტად ერთ საათსა და თხუთმეტ წუთში?

- ესაა მემკვიდრე?

- დიახ. სერ ჩარლზის სიკვდილის შემდეგ მალე გავიგეთ, რომ ჰენრი ბასკერვილი სამეურნეო საქმიანობას ეწევა თავის ფერმაში, კანადაში. დახასიათებათა მიხედვით, ესაა მშვენიერი, ღირსეული ახალგაზრდა კაცი. - ახლა გელაპარაკებით არა როგორც ექიმი, არამედ როგორც სერ ჩარლზის რწმუნებული და ანდერძის ამსრულებელი.

- მემკვიდრეობის სხვა პრეტენდენტები არ არიან?

- არა. ერთადერთი მეორე ნათესავი, რომელზედაც რაიმეს გაგება მოვახერხეთ, ესაა როჯერ ბასკერვილი, უბედური სერ ჩარლზის უმცროსი ძმა. სულ სამი ძმა იყო. შუათანა ახალგაზრდობაში მოკვდა - ამ ჰენრის მამა. უმცროსი როჯერი ოჯახში ნაბოლარად ითვლებოდა. მან მემკვიდრეობად მიიღო ბასკერვილების დესპოტიზმი და როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავდა თვით ჰუგო ბასკერვილის პორტრეტს. ინგლისში ვერ გაძლო და იძულებული გახდა თავი ცენტრალური ამერიკისათვის შეეფარებინა, სადაც მოკვდა კიდეც 1876 წელს ყვითელი ციებისაგან. ჰენრი - უკანასკნელი ნაშიერია ბასკერვილების გვარისა. ერთი საათისა და თხუთმეტი წუთის შემდეგ უნდა შევხვდე მას ვატერლოოს სადგურზე. გუშინ შემატყობინა დეპეშით, რომ დღეს დილით ჩამოდის საუთჰემპტონში. ჰოდა, მირჩიეთ, მისტერ ჰოლმს, როგორ მოვიქცე მასთან?

- რატომ. ჩამოსვლისთანავე თავის საგვარეულო მამულს არ უნდა მიაშუროს?

- დიახ. ასეთი გადაწყვეტილება თავისთავად იჩენს თავს. მაგრამ მოიგონეთ, რომ ყველა ბასკერვილი, რომელიც იქ დასახლდა, ტრაგიკულად დაიღუპა. დარწმუნებული ვარ, სერ ჩარლზს რომ სიკვდილის წინ ჩემთან დალაპარაკების საშუალება ჰქონოდა, ძველი გვარის უკანასკნელი შთამომავლის ამ საშინელ ადგილზე ჩამოყვანას ნამდვილად ამიკრძალავდა. ამავე დროს არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ ჩვენს უღიმღამო, მწირ მხარეში მცხოვრებთა მთელი კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, უარს იტყვის თუ არა სერ ჰენრი თავის მამულში დასახლებაზე. თუ ბასკერვილ- ჰოლი დაცარიელდება და გაპარტახდება, სერ

ჩარლზის ყველა წამოწყება დაიღუპება. მეშინია, ვაითუ ადგილობრივი საქმეებით ჩემმა პირადმა დაინტერესებამ გაიმარჯვოს ჩემში და ამიტომ მოგმართავთ რჩევისათვის.

ჰოლმსი ჩაფიქრდა.

- ორი სიტყვით რომ ვთქვა, საქმე ასეა, - თქვა ბოლოს. - თქვენ გგონიათ, რომ რაღაც ბოროტი ძალა დარტმურს საშიშ ადგილად ხდის ბასკერვილებისათვის. სწორად გაგიგეთ?

ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი საბუთი ასეთი საფრთხისათვის უკვე არსებობს.

- ასეა. მაგრამ თუ თქვენი თეორია ზებუნებრივ ძალებზე ნამდვილად სწორია, მაშინ ისინი ახალგაზრდა კაცს დაღუპავენ არა მარტო დევონშირში, არამედ ლონდონშიც. ძნელი წარმოსადგენია ასეთი ვიწრო ადგილობრივი ძალაუფლების მქონე ეშმაკი. ეს ხომ რომელიმე სამრევლო სამმართველოს წევრი არ არის!

- თვითონ რომ შეგხვედროდათ ასეთი ამბები, მისტერ ჰოლმს, ამგვარ ხუმრობას არ დაიწყებდით. მაშასადამე, თქვენი აზრით, ამ ახალგაზრდა კაცისათვის სულ ერთია, სად იქნება - ლონდონში თუ დევონშირში? ის ჩამოვა ორმოცდაათი წუთის შემდეგ. მირჩიეთ, რა ვქნა?

- მე გირჩევთ, სერ, უხმოთ კებს, აიყვანოთ თქვენი სპანიელი, შემოსასვლელთან რომ იქექება, და სადგურში სერ ჰენრი ბასკერვილის შესახვედრად გაეშუროთ.

- შემდეგ?

- შემდეგ დამელოდებით, ვიდრე მოვიფიქრებ საქმის ვითარებას, შევადგენ გეგმას, მანამდე კი არაფერი უთხრათ.

- რამდენი ხანი დაგჭირდებათ ამისათვის?

- ერთი დღე და ღამე. ძალიან დამავალებთ, სერ მორტიმერ, თუ ჩემთან მოხვალთ ხვალ ათ საათზე და თან მოიყვანთ სერ ჰენრი ბასკერვილს. მინდა გავეცნო.

- კარგი, მისტერ ჰოლმს.

რიცხვი და პაემანის დრო მანჟეტზე დაიწერა და მერე, თვალების ცეცებით გავიდა ოთახიდან. ჰოლმსმა კიბის საქცევიდან გადასძახა:

- კიდევ ერთი კითხვა, სერ მორტიმერ. თქვენ ამბობთ, რომ მოჩვენება ჭაობებში ადრეც უნახავთ?

- დიახ, ამას ადასტურებს სამი კაცი.

- სერ ჩარლზის სიკვდილის შემდგ აღარაფერი შეუნიშნავთ?

- არ ვიცი, არ გამიგონია.

- მადლობელი ვარ. გზა მშვიდობისა.

ჰოლმსი დივანის კუთხეში ჩვეულ ადგილზე დაჯდა და სახეზე იმ მშვიდმა, კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა, რომელიც ყოველთვის მაშინ გაუჩნდებოდა ხოლმე, როცა თავის შესაფერი ამოცანა ეგულებოდა.

- მიდიხართ, უოტსონ?

- დიახ, თუ ვერაფრით დაგეხმარებით.

- არა, ჩემო მეგობარო, თქვენი დახმარება მაშინ მესაჭიროება ხოლმე, როცა მოქმედებას ვიწყებ. მაგრამ რა ჩინებული საქმეა! პირდაპირ არაჩვეულებრივია! როცა ბრედლის ახლოს გაივლით, შეიარეთ და სთხოვეთ, ერთი გირვანქა ძალიან მაგარი თამბაქო გამომიგზავნოს. წინასწარ მადლობას გიხდით. ეცადეთ საღამომდე შინ აღარ დაბრუნდეთ. მაშინ კი სიამოვნებით გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი აზრები იმ უაღრესად საინტერესო ამოცანაზე, რაც ამ დილით მოგვცეს.

დაძაბული გონებრივი მუშაობის დროს განმარტოება და სიმშვიდე აუცილებელი იყო ჩემი მეგობრისათვის, როცა საქმის უწვრილმანესი დეტალების აწონ-დაწონა უხდებოდა. ერთიმეორის მიყოლებით რამდენსამე თეორიას აგებდა. ადარებდა მათ და წყვეტდა, რა ცნობები იყო მნიშვნელოვანი და რა უნდა უარეყო. ამიტომ მთელი დღე კლუბში გავატარე და ბეიკერსტრიტზე მხოლოდ საღამოს, დაახლოებით ცხრა საათისათვის დავბრუნდი.

სასტუმროს კარი შევაღე და პირდაპირ შემეშინდა - ხანძარი ხომ არ გაჩენილა-მეთქი! მართლაც, ოთახში ისეთი კვამლი იდგა, რომ სინათლე ძლივსღა ბჟუტავდა, მაგრამ ჩემი შიში ამაო იყო: ცხვირში მაგარი, იაფი თამბაქოს მკვეთრი სუნი მეცა და ერთბაშად ყელი დამწვა. კვამლის ბურუსში სავარძელში მოხერხებულად მჯდარი ჰოლმსი შევნიშნე. ხალათი ეცვა და კბილებში შავი თიხის ჩიბუხი გაეჩარა. გარშემო ქაღალდის რაღაც გრაგნილები ეწყო.

- გაცივდით, უოტსონ? - მკითხა ჰოლმსმა.

- არა, ამ შხამიანმა საკმეველმა პირდაპირ სუნთქვა შემიკრა.

- ჰო, თქვენ მგონი მართალი ხართ, აქ ცოტა თამბაქოს კვამლი დამდგარა.

- რაღა ცოტა! სული შემეხუთა!

- მაშინ ფანჯარა გააღეთ. გეტყობათ, მთელი დღე კლუბში მჯდარხართ.

- ჰოლმს, ჩემო ძვირფასო!

- მართალს ვამბობ?

- რა თქმა უნდა, მართალს ამბობთ, მაგრამ რანაირად...

ჩემს დაბნეულ სახეს შეხედა და გაიცინა.

- თქვენი გულუბრყვილობა, უოტსონ, ჭეშმარიტად აღტაცების ღირსია! რომ იცოდეთ, როგორ მსიამოვნებს თქვენზე ჩემი მცირე ძალების შემოწმება! ჯენტლმენი გადის სახლიდან საძაგელ, წვიმიან ამინდში. საღამოს კი ბრუნდება შინ კოხტა, გაკრიალებული, ისე რომ ერთი ლაქაც არსად ემჩნევა. ცილინდრი და ფეხსაცმელი უწინდებურად უციმციმებს. მაშასადამე, მთელი დღე სადღაც იჯდა ფეხმოუცვლელად. ახლო მეგობრები არა ჰყავს. სადღა წავიდოდა? განა აშკარა არ არის?

- დიახ, სრულიად გარკვეულია.

- ქვეყანა სავსეა ასეთი გარკვეული ამბებით, მაგრამ მათ ვერავინ ამჩნევს. როგორ ფიქრობთ, სად ვიქნებოდი მე?

- ჩემსავით მთელი დღე ფეხმოუცვლელად იჯექით?

- სულაც არა, მე მოვასწარი დევონშირის შემოვლა.

- წარმოსახვით?

- სრული სიმართლეა. ჩემი სხეული აქ დარჩა, სავარძელში, და რა სამწუხაროდაც არ უნდა გეჩვენოთ ეს ამბავი, მოასწრო ერთ დღეში ორი დიდი საყავის დაცლა და თამბაქოს განუზომელი რაოდენობის მოწევა. როგორც კი წახვედით, სტეფორდთან კაცი ვაფრინე დარტმურის ჭაობების რუკისათვის, და ჩემი სული მთელი დღე იქ დაეხეტებოდა. საკუთარ თავს ვაიმედებ, რომ ეს ადგილები ზედმიწევნით ავითვისე.

- რუკა დიდი მასშტაბისაა?

- დიახ, ძალიან დიდი. - მერე ამ რუკის ერთი სექტორი გაშალა და მუხლებზე დაიდო. - აი ის უბანი, რაც გვაინტერესებს. შუაში ბასკერვილ-ჰოლი დგას.

- ტყით გარშემორტყმული?

- ჰო, აგრეა. ურთხელის ხეივანი აქ აღნიშნული არ არის, მაგრამ ჩემი ვარაუდით ის მარჯვნივ გადის, ჭაობების გაყოლებით. აი, ეს ნაგებობათა ჯგუფი სწორედ ის

პატარა სოფელი გრიმპენია, სადაც დგას შტაბი - ბინა ჩვენი მეგობრის, ექიმ მორტიმერისა. როგორც ხედავთ, ხუთი მილის მანძილზე გარშემო საცხოვრებელი ძალიან იშვიათად გვხვდება. აი, ესაა ლეფტერ-ჰოლი, ექიმი რომ ამბობდა. ეტყობა, აქ უნდა იყოს ნატურალისტ სტეპლტონის სახლი, თუ სწორად დავიმახსოვრე იმ კაცის გვარი. აი, ეს - ორი ფერმაა: «ქვის სვეტები» და «დამპალი ჭაობი». აქედან თოთხმეტ მილზე - პრინსტაუნის საკატორღო ციხეა. ამ ორ წერტილს შორის და მათ გარშემო გადაშლილია კუშტი, სიცოცხლის ნიშანწყალს მოკლებული ჭაობი. აი სცენა, სადაც გათამაშდა ეს ტრაგედია, და იქნებ ერთხელ კიდევ გათამაშდეს, ჩვენი დახმარებით.

- დიახ, უბედური ადგილებია.

- სცენა ისეა გამართული, უკეთესი არ შეიძლება. თუ ეშმაკმა ნამდვილად ისურვა ადამიანთა საქმეში ჩარევა...

- მაშ, თქვენც იქითკენ მიდიხართ, რომ ყოველივე რაღაც ზებუნებრივი ძალების მოქმედებით ახსნათ?

- მერე, განა ეშმაკის მოციქული არ შეიძლება ხორცშესხმული არსება იყოს? ამჯერად გადასაწყვეტი გვექნება ორი საკითხი. პირველი: იყო თუ არა აქ ჩადენილი ბოროტმოქმედება? მეორე: რაში გამოიხატება ეს ბოროტმოქმედება და როგორ მოხდა? რასაკვირველია, თუ ექიმი მორტიმერი მართალია და სწორად ივარაუდა, რომ აქ საქმე გვაქვს ძალებთან, რომლებიც ბუნების კანონებს არ ემორჩილებიან, მაშინ მოგვიხდებოდა იარაღის დაყრა. მაგრამ ვიდრე ამით დავკმაყოფილდეთ, ჯერ უნდა შევამოწმოთ სხვა ჰიპოთეზები. მოდით, დავხუროთ ფანჯარა, თუ წინააღმდეგი არა ხართ. უცნაური კია, მაგრამ ვფიქრობ, თამბაქოს ბოლის კონცენტრაცია ხელს უწყობს აზრის კონცენტრაციას. მე ჯერ არ მივსულვარ იქამდე, რომ ყუთში ჩავძვრე ფიქრის დროს, მაგრამ ლოგიკური დასკვნა ჩემი თეორიიდან ასეთია. როგორაა საქმე, მოასწარით ამაზე დაფიქრება?

- მთელი დღე თავში ეს საქმე მიტრიალებს.

- მერე, რა მოიფიქრეთ?

- ბუნდოვანი ისტორია გახლავთ.

- დიახ, ძალზე თავისებური ისტორიაა. განსაკუთრებით ზოგიერთ დეტალებში. მაგალითად, შეცვლილი კვალი. როგორ ახსნით ამას?

- მორტიმერმა თქვა, თითქოს გზის ეს ნაწილი სერ ჩარლზს ფეხის წვერებზე შემდგარს გაევლოს.

- მე მგონი, ექიმმა ვიღაც იდიოტის მიერ ძიების დროს წარმოთქმული სიტყვები გაიმეორა. რისთვის უნდა დასჭირვებოდა ადამიანს ხეივანში ფეხის წვერებზე სიარული?

- მაშ, რა მოხდა?

- გარბოდა, უოტსონ. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, სიკვდილს გაურბოდა. ისე გარბოდა, რომ გულმა ვერ გაუძლო და ასე სირბილში დაეცა მკვდარი.

- გარბოდა? მერე ვის გაურბოდა?

- მთელი თავსატეხიც ეს არის. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ჩარლზ ბასკერვილმა შიშით თავგზა დაკარგა, ვიდრე გაიქცეოდა.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- ის, რამაც ჩარლზ ბასკერვილი დააფრთხო, ჭაობების მხრიდან მოდიოდა. თუ ეს მართალია და არა ვცდები, - ეტყობა კი, რომ არ უნდა ვცდებოდე, - მაშინ არა სახლისაკენ, არამედ სახლიდან გაქცევა მხოლოდ გონებადაკარგულ ადამიანს შეეძლო. ბოშამ ძიებას უჩვენა, რომ სერ ჩარლზი შველას ითხოვდა, თან კი იქით გარბოდა, სადაც შველა ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. შემდეგ კიდევ ერთი

გამოცანა: ვის ელოდა იმ საღამოს და რატომ უნდა შეხვედროდა მას არა სახლში, არამედ ურთხელის ხეივანში?

- თქვენ ფიქრობთ, რომ ვინმეს ელოდა.

- თვითონ განსაჯეთ. ხანში შესული ავადმყოფი კაცი საღამოს სასეირნოდ წავიდა - არაფერი გასაოცარი ამაში არ არის. მაგრამ იმ დღეს ხომ ნესტიანი, ცივი ამინდი იყო! რატომ დასჭირდა ტყუილად ჭიშკართან დგომა. ხუთი, იქნება მთელი ათი წუთიც, როგორც ამტკიცებს ექიმი მორტიმერი, რომელმაც ყურადღება მიაქცია პაპიროსის ფერფლს? სხვათა შორის, უცნაურია, მაგრამ არ შეიძლება არა ვცნოთ მისი დაკვირვების უნარი.

- სერ ჩარლზი ასე ყოველ საღამოს სეირნობდა.

- და ყოველ საღამოს ჩერდებოდა ჭიშკართან? არა მგონია. პირიქით, არსებული ცნობებით სერ ჩარლზს ჭაობებიდან თავი ყოველთვის შორს ეჭირა.

იმ საღამოს კი იქ ვიღაცას ელოდა. ტრაგედია მისი ლონდონს განზრახული გამგზავრების წინ მოხდა. ხედავთ, უოტსონ, როგორ ეწყობა ყველაფერი - რგოლი რგოლზე! ახლა კი მომეცით, გეთაყვა, ვიოლინო, და ჩვენ ამ საქმეზე ყოველგვარ ფიქრსა და ზრუნვას იმ იმედით გადავდებთ, რომ ხვალ ექიმ მორტიმერისა და სერ ჰენრი ბასკერვილის სტუმრობა ახალ საკვებს მოგვცემს ფიქრებისათვის.

თავი IV
სერ ჰენრი ბასკერვილი

ჩვენ ადრე ვისაუზმეთ და ხალათწამოსხმული ჰოლმსი მნახველთა მისაღებად გაემზადა. ჩვენმა კლიენტებმა არც ერთი წუთით არ დაიგვიანეს. როგორც კი საათმა ათი დაჰკრა, ექიმი მორტიმერი კაბინეტში ახალგაზრდა ბარონეტის თანხლებით შემოვიდა. ეს უკანასკნელი ოცდაათი წლისა იქნებოდა. შუატანის, ჯმუხი ახალგაზრდა კაცი ძალიან ცოცხალი და ჯანმრთელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი სახის გამომეტყველება ჯიუტი მეჩვენა. ხშირი შავი წარბების ქვემოდან გამომზირალი მუქი თაფლისფერი თვალები გაბედულად გვაცქერდებოდნენ. სპორტული ყავისფერი კოსტიუმი და მუქი ქარდაკრული სახის კანი მოწმობდნენ, რომ ეს კაცი არ იყო შინ ჯდომას მიჩვეული, არ იყო აზიზი, ამავე დროს კი მშვიდი, შთამაგონებელი გარეგნობა ნამდვილი ჯენტლმენის იერს აძლევდა.

- სერ ჰენრი ბასკერვილი, - წარმოგვიდგინა ექიმმა მორტიმერმა.

- დიახ, სწორედ ის გახლავართ, - თქვა ბარონეტმა, - და ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, მისტერ ჰოლმს, რომ თუნდაც თქვენს მეგობარს არ წამოვეყვანე დღეს თქვენთან, მე მაინც საკუთარი ნებით მოვიდოდი. ამბობენ, რომ თქვენ შეგიძლიათ გამოიცნოთ სხვადასხვა რებუსები, მე კი სწორედ ამ დილით შემემთხვა ისეთი გამოცანა, რომლის ამოხსნის უნარი არ შემწევს.

- დაბრძანდით, სერ ჰენრი. თუ სწორად გაგიგეთ, ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ თქვენ უჩვეულო რაღაც შეგემთხვათ.

- ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვაძლევ, მისტერ ჰოლმს. ეტყობა, ვიღაც გამეხუმრა. მაგრამ ამ დილით მივიღე აი ეს წერილი, თუ ამას წერილი შეიძლება ვუწოდოთ.

კონვერტი მაგიდაზე დადო და ჩვენ მისი დათვალიერება დავიწყეთ. სრულიად ჩვეულებრივი კონვერტი აღმოჩნდა, რუხი ქაღალდისა. მისამართი - «ოტელი ნორთემბერლენდი», სერ ჰენრი ბასკერვილს» - გამოყვანილი იყო მსხვილი ბეჭდური

ასოებით, საფოსტო შტემპელზე კი ეწერა: «ჩარინგ-კროსი», და გაგზავნის თარიღი - წინა დღის საღამო.

- ვინმემ იცოდა, რომ თქვენ გაჩერდებოდით ნორთემბერლენდის სასტუმროში? - ჰკითხა ჰოლმსმა ჩვენს სტუმარს და გამომცდელი მზერა მიაპყრო.

- არავინ. მხოლოდ ექიმ მორტიმერთან შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტე, სად გავჩერდებოდი.

- მაშ, ეტყობა ექიმი მორტიმერი თვითონ გაჩერდა იქ?

- არა, მე ვცხოვრობ ნაცნობებთან, - თქვა ექიმმა მორტიმერმა, - და არავინ არ იცოდა, რომ ჩვენ სწორედ ამ ოტელში წავიდოდით.

- ჰმ! გამოდის, რომ თქვენი მიმოსვლით ვიღაც ძლიერ დაინტერესებულია.

ჰოლმსმა კონვერტიდან ოთხად დაკეცილი წერილი ამოიღო და მაგიდაზე გაშალა. ფურცლის შუა ადგილას ერთიმეორის გვერდით მიწებებული ნაბეჭდი ასოებისაგან შედგენილი ერთადერთი ფრაზა ჩანდა. ეს ფრაზა შემდეგს იუწყებოდა: «თუ თქვენთვის გონება და სიცოცხლე ძვირფასია, ტორფის ჭაობებისაგან შორს დაიჭირეთ თავი». სიტყვები «ტორფის ჭაობებისაგან» დაწერილი იყო ხელით, მელნით.

- აი, მისტერ ჰოლმს, - თქვა სერ ჰენრი ბასკერვილმა. - იქნებ ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს და ვინაა ასე დაინტერესებული ჩემი საქმეებით?

- თქვენ რაღას იტყვით, ექიმო მორტიმერ? ამჯერად აქ, ეტყობა, არაფერი ზებუნებრივი არ არის?

- დიახ, სერ, მაგრამ იქნებ წერილი გამოგზავნილია ისეთი კაცის მიერ, რომელიც დარწმუნებულია, რომ მთელი ეს ისტორია ზებუნებრივია.

- რომელი ისტორია? - მკვახედ ჰკითხა სერ ჰენრიმ. - თქვენ, ჯენტლმენებო, ეტყობა, ჩემს საქმეებს უკეთ ხართ გაცნობილი, ვიდრე თვითონ მე?

- ყველაფერს გაგანდობთ, სერ ჰენრი. უამისოდ აქედან არ წახვალთ, ენდეთ ჩემს სიტყვას, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა. - ახლა კი მოდით, გავეცნოთ ამ საინტერესო დოკუმენტს, რომელიც შეადგინეს და საფოსტო ყუთში გუშინ საღამოს ჩაუშვეს. უოტსონ, გვაქვს თუ არა გუშინდელი «ტაიმსი»?

- აგერ, კუთხეში გდია.

- მაპატიეთ, მაგრამ უნდა შეგაწუხოთ, მომაწოდეთ, გეთაყვა, ის გვერდი, რომელზედაც დაბეჭდილია მოწინავე. - ჰოლმსმა სწრაფად გადაავლო თვალი გაზეთს - «ვაჭრობის თავისუფლება»... მშვენიერი მოწინავეა! ნება მომეცით წავიკითხო ერთი აბზაცი: «თუ ვინმე შეეცდება ჩაგაგონოთ, რომ მრეწველობის ის დარგი, რომლითაც თქვენ ხართ დაინტერესებული, საპროტექციო ტარიფების მფარველობის ქვეშ არის მოქცეული, შორს დაიჭირეთ თავი ასეთი ადამიანებისაგან, რადგან გონებამ უნდა გიკარნახოთ, რომ ასეთი სისტემა ბოლოს და ბოლოს მოშლის ჩვენს იმპორტს და დაარღვევს ნორმალურ ცხოვრებას ჩვენი კუნძულისას, რომლის ინტერესები თქვენთვის და ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასია, როგორც სიცოცხლე». რას იტყვით ამაზე, უოტსონ? - შეჰყვირა ჰოლმსმა და თან სიხარულით ხელები მოიფშვნიტა. - ბრწყინვალე აზრია, ხომ მართალია?

ექიმმა მორტიმერმა ჰოლმსს ისე გადახედა, როგორც მზრუნველმა ექიმმა მძიმედ სნეულ პაციენტს, ხოლო სერ ჰენრი ბასკერვილმა მე მომაპყრო თავისი თაფლისფერი თვალების გაურკვეველი მზერა.

- არც ისე კარგად ვერკვევი ისეთ საკითხებში, როგორიცაა სატარიფო სისტემა, - თქვა მან ბოლოს, - მაგრამ მეჩვენება, რომ ჩვენ თემიდან გადავუხვიეთ.

- პირიქით! ჩვენ ახლა კვალს მივყვებით, სერ ჰენრი. უოტსონი ჩემს მეთოდს უკეთ იცნობს, ვიდრე თქვენ, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩემ მიერ წაკითხულის აზრი მასაც ისევე გამოეპარა, როგორც თქვენ.

- დიახ, გამოგიტყდებით, ვერავითარ კავშირს ვერა ვხედავ წერილსა და გაზეთის მოწინავეს შორის.

- ეს კავშირი კი, ჩემო ძვირფასო უოტსონ, იმდენად მჭიდროა, რომ არსებითად ერთი შედგენილია მეორისაგან. «თუ», «თქვენთვის», «შორს დაიჭირეთ თავი», «გონება», «სიცოცხლე», «ძვირფასია». ნუთუ ვერ გამოიცანით, საიდან არის აღებული ეს სიტყვები?

- აჰ, ეშმაკმა წაიღოს! რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ! რა ბრწყინვალედ მიხვდით! - შესძახა სერ ჰენრიმ.

- თუ ჯერ კიდევ ეჭვი გეპარებათ, შეხედეთ სიტყვებს «შორს დაიჭირეთ თავი...» - მთლიანად არის ამოჭრილი გაზეთიდან.

- ჰო, დიახ... კი, ნამდვილად!

- იცით, მისტერ ჰოლმს, მე ვერც კი წარმომიდგენია, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა! - თქვა ექიმმა მორტიმერმა, რომელიც გაოცებული შესცქეროდა ჩემს მეგობარს. - იმის გამოცნობა, რომ სიტყვები ამოჭრილია საგაზეთო ტექსტიდან, ჯერ კიდევ არაფერია. მაგრამ უშეცდომოდ რომ დაასახელოთ გაზეთი, და ამასთანავე - უჩვენოთ სტატია, საიდანაც არის ამოღებული, ეს უკვე ყოველგვარ წარმოდგენას სცილდება! როგორ გამოიცანით?

- ექიმო მორტიმერ, მე ვფიქრობ, რომ თქვენ შეგიძლიათ გაარჩიოთ ზანგის თავის ქალა ესკიმოსის ქალასგან?

- რა თქმა უნდა, შემიძლია.

- რანაირად?

- ეს ხომ ჩემი საყვარელი საგანია! განსხვავება მათ შორის სავსებით ნათელია. წარბზედა რკალები, სახის კუთხე, ყბის აღნაგობა...

- მე კიდევ ჩემი ახირება მაქვს. ჩემი აზრით, განსხვავება ბორგესის ჩაშპონილი შრიფტისა, რომლებითაც იწყობა «ტაიმსის» მოწინავე წერილები, იაფფასიანი საღამოს გაზეთების ბრმა შრიფტისაგან არა ნაკლებ აშკარაა, ვიდრე განსხვავება თქვენი ზანგებისა და ესკიმოსების თავის ქალებს შორის. შრიფტების ცოდნა მაძებრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ელემენტარული მოვალეობაა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ახალგაზრდობაში ერთხელ ამერია «ლიდის მერკური» და «დილის უწყებები». მაგრამ «ტაიმსის» მოწინავეს ვერაფერთან ვერ აურევ, ეს სიტყვები მხოლოდ იქიდან შეიძლებოდა ამოეჭრათ. ხოლო რამდენადაც წერილი გაგზავნილი იყო გუშინ, ყველაფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, რომ გუშინდელ გაზეთში უნდა ჩაგვეხედა.

- მაშ, მისტერ ჰოლმს, - თქვა სერ ჰენრი ბასკერვილმა, - ვიღაცამ შეადგინა ეს წერილი სიტყვებისაგან, რომელიც მაკრატლით ამოჭრა.

- მანიკურის მაკრატლით, - შეაწყვეტინა ჰოლმსმა. - მიაქციეთ ყურადღება, რა მოკლე ბოლოები აქვს? იმისათვის, რომ ამოეჭრა სიტყვები «შორს დაიჭირეთ თავი...» საჭირო გახდა ორი ჭრილის გაკეთება.

- სავსებით სწორია. ვიღაცამ ამოჭრა ეს სიტყვები მოკლებოლოებიანი მაკრატლით და ქაღალდზე დააწება...

- ჩვეულებრივი წებოთი, - ჩაურთო ჰოლმსმა.

- და დააწება ჩვეულებრივი წებოთი ქაღალდზე. მაგრამ რატომ არის ხელით დაწერილი «ტორფის ჭაობები»?

- იმიტომ, რომ წერილის ავტორმა ვერ იპოვნა ეს სიტყვები გაზეთში. ყველა დანარჩენი სიტყვა საკმაოდ ჩვეულებრივია, მათ შეხვდებით ყოველ ტექსტში, ეს დანარჩენები კი უფრო იშვიათად გვხვდება.

- ფრიად სარწმუნო ახსნაა. კიდევ რისი ამოკითხვა მოახერხეთ, მისტერ ჰოლმს?

- ცოტა რამ კიდევ მოვახერხე, თუმცა ავტორი ყოველნაირად ცდილა, რომ კვალი წაეშალა. როგორც თვითონვე შეგიძლიათ დარწმუნდეთ, მისამართი დაწერილია ბეჭდური ასოებით. მაგრამ ისეთი გაზეთი, როგორიც «ტაიმსია», იშვიათად მოხვდება უბრალო ხალხის ხელში. მაშასადამე, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ წერილი შედგენილი იყო განათლებული კაცის მიერ, რომელიც ცდილობდა თავი გაესაღებინა გაუნათლებელ ადამიანად. ამ მიზნით განზრახ შეუცვლია ხელი, ალბათ ეშინოდა, რომ არ გეცნოთ, ახლა თუ არა, შემდეგ მაინც. ამას გარდა, მიაქციეთ ყურადღება, რომ სიტყვები მიწებებულია უსწორმასწოროდ, ზოგიერთი მათგანი სტრიქონიდან გამოდის. მაგალითად, სიტყვა «სიცოცხლე» სულაც არა დგას თავის ადგილზე. ეს მოწმობს ავტორის დაუდევრობას, ან იქნებ მღელვარებას და აჩქარებას. მე, სიმართლე გითხრათ, უფრო იმას ვფიქრობ, რომ ყველაფერი მღელვარების და სიჩქარის ბრალია, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ კაცს დაუდევრობა გამოეჩინა ასეთ სერიოზულ საქმეში. თუ ნამდვილად ჩქარობდა, საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ. გუშინ საფოსტო ყუთში ჩაშვებული წერილი სერ ჰენრის ხომ ისედაც მიუსწრებდა ოტელში? იქნებ ავტორს ეშინოდა რაიმე დაბრკოლებისა? მაგრამ ვისი?

- ჩვენ, მგონი, ვარაუდების სფეროში შევედით, - შენიშნა ექიმმა მორტიმერმა.

- უმჯობესია თქვათ - სფეროში, სადაც იწონება ყველა შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ შევარჩიოთ მათგან ყველაზე უფრო სარწმუნო. ასეთია მეცნიერული გამოყენება წარმოსახვის ძალისა, რაც სპეციალისტებთან ყოველთვის მტკიცე მატერიალურ საფუძვლებს ეყრდნობა. თქვენ, ცხადია, ამას უწოდებთ წმინდა ვარაუდს, მაგრამ მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მისამართი იწერებოდა რომელიმე სასტუმროში.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- უფრო ყურადღებით დაათვალიერეთ კონვერტი, და თქვენ ნახავთ, რომ დამწერს ბედმა უმტყუნა საწერ მოწყობილობათა შოვნაში. კალამი ორჯერ გაეყინა ერთ სიტყვაზე და საჭირო გახდა მისი სამჯერ ჩაწება სამელნეში, რათა ასე მოკლე მისამართი დაეწერა. მაშასადამე, მელანი ცოტა ყოფილა, ძლივს ფარავდა ძირს. საკუთარი კალამი და სამელნე იშვიათად მიიყვანს ადამიანს ასეთ მდგომარეობამდე, ხოლო ერთიც და მეორეც რომ გღალატობდეს, ეს უკვე სრულიად იშვიათი შემთხვევაა. მაგრამ, როგროც იცით, სასტუმროებში საწერ-კალამი და მელანი იშვიათად მოიძებნება. დიახ, მე, თითქმის უყოყმანოდ ვიტყვი, რომ თუ ყველა საქაღალდე კალათს გავსინჯავდით ყველა სასტუმროში ჩარინგ-კროსის სიახლოვეს და ვიპოვიდით «ტაიმსის» დაჭრილ გვერდს, ამ უცნაურ წერილის ავტორს მაშინვე მივაგნებდით... თუმცა მოიცათ! ეს რა არის?

მან თვალებთან ახლოს მიიტანა ქაღალდი, რომელზედაც სიტყვები იყო დაკრული და ყურადღებით დააკვირდა.

- აბა, რა იყო?

- არა, არაფერი, - თქვა ჰოლმსმა და წერილი მაგიდაზე დადო. - ქაღალდი სრულიად კრიალაა, ჭვირნიშანიც არა ჩანს. არა, ჩვენ გამოვწურეთ ამ საინტერესო წერილიდან ყველაფერი, რაც შეიძლებოდა. ახლა კი გვიამბეთ, სერ ჰენრი, რაიმე არაჩვეულებრივი ხომ არ შეგმთხვევიათ იმ წუთიდან, რაც ლონდონში ჩამოხვედით?

- არა, მისტერ ჰოლმს, თითქოს ისეთი არაფერი შემხვედრია.

- არავინ გდარაჯობდათ, არავინ გზვერავდათ?

- როგორც ვატყობ, რაღაც დეტექტურ რომანში ამოვყავი თავი, - თქვა ჩვენმა სტუმარმა. - ვის მოუვიდოდა აზრად ჩემი დაზვერვა?

- მომეცით ვადა, ჩვენ ამაზედაც ვილაპარაკებთ. ჯერ კი დაფიქრდით: ნუთუ არაფერი გაქვთ საამბობი?

- გააჩნია, რას თვლით თქვენი ყურადღების ღირსად.

- ყველაფერს, რაც ასე თუ ისე ჩვეულებრივი ცხოვრების ჩარჩოებიდან გამოდის.

სერ ჰენრიმ გაიღიმა.

- თითქმის მთელი ჩემი ბავშვობა და ყრმობა შეერთებულ შტატებსა და კანადაში გავატარე, ამიტომ ცხოვრების ინგლისური წესი ჩემთვის ჯერ ახალია. მაგრამ, არა მგონია, თქვენში ნორმალურ მოვლენად ითვლებოდეს, როცა კაცი უეცრად ცალ ფეხსაცმელს დაკარგავს.

- განა თქვენ ცალი ფეხსაცმელი დაკარგეთ?

- ჩემო მეგობარო, - შესძახა ექიმმა მორტიმერმა, - თქვენი ფეხსაცმელი ალბათ უბრალოდ სადღაც მიაგდეს! მოინახება. განა შეიძლება მისტერ შერლოკ ჰოლმსის შეწუხება ასეთი წვრილმანი ამბით?

- მაგრამ აკი მეკითხება, უჩვეულო ხომ არაფერი შეგემთხვათო?

- სავსებით სწორია, - თქვა ჰოლმსმა. - მე მაინტერესებს ყოველი წრილმანი, რარიგ სულელურიც არ უნდა იყოს იგი. მაშ, თქვენ დაკარგეთ ფეხსაცმელი?

- დიახ, მაგრამ შეიძლება მართლა სადღაც მიაგდეს. საღამოს კართან დავტოვე, რომ გაეწმინდათ, დილით კი მხოლოდ ერთი ცალი დამხვდა. დერეფნის მსახურისაგან გონივრულ პასუხს ვერ ვეღირსე. უფრო საწყენი ის არის, მხოლოდ გუშინ ვიყიდე და ფეხის ჩადგმაც ვერ მოვასწარი.

- როგორ, ახალი ფეხსაცმელი გასაწმენდად მიეცით? ეს რისთვის?

- ღია ყვითელი ფერისა იყო. ამიტომ ვუბრძანე მუქი ფერის საცხით გაეპრიალებინათ.

- მაშ, ლონდონს ჩამოსვლისთანავე გასწიეთ ფეხსაცმელის შესაძენად?

- უბრალოდ დავდიოდი მაღაზიებში. ექიმმა მორტიმერმა ამფსონობა გამიწია. საქმე ის არის, რომ თუ ადამიანს დიდი მამულის გამგებლად გახდომა უწერია, ჩაცმაც შესაფერისად ჰმართებს, დასავლეთში კი ჩაცმულობას იმდენ ყურადღებას არ ვაქცევდი. სხვა ნივთებთან ერთად ეს ფეხსაცმელიც ვიყიდე ექვს დოლარად, ჩაცმა კი არ დამცალდა.

- თუ ეს ქურდობაა, საკმაოდ უაზრო გამოდის, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა. - მე, მართალი გითხრათ, ვიზიარებ ექიმ მორტიმერის აზრს: თქვენი ფეხსაცმელი მალე მოინახება.

- ახლა კი, ჯენტლმენებო, - გადაჭრით თქვა ბარონეტმა, - მეყოფა მსჯელობა იმაზე, რაც წესიერად არც ვიცი. დროა ამისრულოთ სიტყვა და ამიხსნათ, რა მიზანი აქვს მთელ ამ ლაპარაკს.

- კანონიერი მოთხოვნაა, - დათანხმდა ჰოლმსი. - ექიმო მორტიმერ, ჩემი აზრით, თქვენ თვითონვე ყოველივე უნდა უამბოთ სერ ჰენრის, რაც ჩვენ მოგვიყევით.

ამ თხოვნით გამხნევებულმა ჩვენმა სწავლულმა მეგობარმა მაშინვე ამოიღო ჯიბიდან ხელნაწერი, ის გაზეთი და სიტყვა სიტყვით გაიმეორა თავისი გუშინდელი მოთხრობა. სერ ჰენრი დიდი ყურადღებით უსმენდა ექიმს და დროდადრო გაოცების წამოძახილებით აწყვეტინებდა საუბარს.

- ჰმ! კარგი მემკვიდრეობა კი დამრჩენია! - თქვა მან, როცა გრძელი მოთხრობა დასრულდა. - ძაღლის ამბავი, რა თქმა უნდა, ბავშვობაშივე მსმენია. ამ ლეგენდის მოყოლა უყვარდათ ხოლმე ჩვენს ოჯახში, თუმცა დღემდე მას არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. რაც შეეხება ბიძაჩემის სიკვდილს, ისე ამერია თავში ყველაფერი, რომ ჯერაც ვერ გავრკვეულვარ. ჩემი აზრით, თქვენ თვითონაც არ იცით, ვისთვის უნდა მიგემა თქვენ

დასაზვერავნიც კებში ჩაჯდებოდნენ, თვალთაგან არ დაკარგავდა. მაგრამ მის მეთოდს მაინც აქვს ერთი სუსტი ადგილი.

- კებმენი?

- სწორედ.

- რა სამწუხაროა, რომ მისი ნომერი ვერ შევნიშნეთ.

- ჩემო ძვირფასო უოტსონ! მართალია, ამჯერად სატრაბახო არაფერი მაქვს, მარგამ ნუთუ გგონიათ, რომ მე ნომერიც არ შემინიშნავს? ინებეთ: ორი ათას შვიდას ოთხი. თუმცა ამჯერად ეს არაფრად გვარგია.

- არ ვიცი, რა უნდა გექნათ კიდევ.

- როგორც კი შევნიშნე, მაშინვე მისი საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა გავბრუნებულიყავი, აუჩქარებლად მექირავებინა კები და საპატიო მანძილზე გავყოლოდი. კიდევ უკეთესი იქნებოდა წავსულიყავი ოტელისაკენ და იქ დამეცადა მოვლენათა შემდგომი მსვლელობისათვის. ეს იდუმალი თანამგზავრი ბასკერვილს მიაცილებდა კარებამდე და ჩვენც მისივე საკუთარი მეთოდის დახმარებით შევძლებდით იმის გარკვევას, თუ საით გაქრებოდა. ახლა კი ჩვენმა მოწინააღმდეგემ განსაცვიფრებლად მარდად გამოიყენა ჩემი უადგილო აჩქარება, რამაც გაგვცა და კვალი დაგვაკარგვინა.

ამ ლაპარაკით ნელა მივყვებოდით რიჯენსტრიტს და უკვე აღარ ვხედავდით ექიმ მორტიმერსა და მის თანამგზავრს.

- ახლა აზრი აღარა აქვს თვალის დევნებას, - თქვა ჰოლმსმა. - მათი კვალი გაქრა და მეტად აღარ გამოჩნდება. ისღა დაგვრჩენია ვნახოთ, რა იარაღი გვაქვს ხელთ და გაბედულად მოვიხმაროთ იგი. კარგად მოასწარით კებში მჯდარი კაცის დანახვა?

- სახე ვერა, წვერი კი დავინახე.

- მეც... აქედან ჩანს, რომ წვერი ხელოვნური იყო. როცა ჭკვიანი კაცი მიდის ისეთ სარისკო საქმეზე, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს ითხოვს, მას ესაჭიროება წვერი ან ნიღაბი. შევიაროთ აქ, უოტსონ.

ჰოლმსი იმ რაიონის შიკრიკთა კანტორაში შევიდა, კანტორის უფროსი აღტაცებული შეეგება.

- აჰა, უილსონ, ვხედავ, არ დაგვიწყებიათ, რომ ერთხელ ბედმა გამიღიმა და შევძელი ერთ პატარა საქმეში დაგხმარებოდით.

- რასა ბრძანებთ, სერ, განა ამის დავიწყება შეიძლება? თქვენ გიმადლით, რომ სახელი არ გამიტყდა, შევინარჩუნე ავტორიტეტი და იქნება სიცოცხლეც.

- აზვიადებთ, ჩემო მეგობარო! სხვათა შორის, უილსონ, მაგონდება, ერთი ბიჭუნა გყავდათ, სახელად კარტრაიტი, რომელმაც დიდი საზრიანობა გამოიჩინა თქვენი საქმის გამოძიების დროს.

- დიახ, სერ, ახლაც ჩემთან მუშაობს.

- ხომ არ შეიძლება გამოიძახოთ? მადლობელი ვარ. აი, კიდევ რა: გეთაყვა, დამიხურდავეთ ეს ხუთგირვანქიანი.

უფროსის ძახილზე თოთხმეტი წლის ჭკვიანი გამომეტყველების ცოცხალი ყმაწვილი გამოჩნდა, შორიახლო დადგა და მოწიწებით დაუწყო ცქერა სახელგანთქმულ მაძებარს.

- მომეცით «სასტუმროების მეგზური», - თქვა ჰოლმსმა. - გმადლობთ. შეხედეთ, კარტრაიტ, აი ეს - ჩარინგ-კროსის რაიონის ოცდასამი სასტუმროს სახელწოდებებია.

- დიახ, სერ.

- თქვენ ყველას მოივლით რიგრიგობით.

- მესმის, სერ.

- თავდაპირველად მეკარეებს მისცემთ თითო შილინგს. აი, ოცდასამი შილინგი.

- მესმის, სერ.

- ეტყვით, რომ გინდათ გასინჯოთ ნაგავი, რაც გუშინ კალათებიდან გადაყარეს. ასე აუხსენით: ერთი უაღრესად საჭირო დეპეშა გაგზავნილია შეცდომით სხვა მისამართზე და ნაბრძანები გაქვთ მისი პოვნა. გასაგებია?

- დიახ, სერ.

- მაგრამ, სინამდვილეში მოსძებნით გაზეთ «ტაიმსის» გვერდს, საიდანაც მაკრატლით არის ამოჭრილი რამდენიმე გვერდი. აი «ტაიმსის» ნომერი, გვერდი კი, აი, ეს არის. შეძლებთ გაზეთის სხვა ნომრებისაგან მის გარჩევას?

- დიახ, სერ.

- მეკარეები, რა თქმა უნდა, დერეფნის მსახურებთან გაგაგზავნიან, იმათაც თითო შილინგს მისცემთ. აი კიდევ ოცდასამი შილინგი. ოცდასამი შემთხვევიდან ოცი ალბათ ისეთი აღმოჩნდება, რომ კალათებიდან ნაგავი გადაყრილი იქნება და დამწვარი. მაგრამ სამ დანარჩენ სასტუმროში გიჩვენებენ ქაღალდების გროვას, რომელშიაც დასძებნით ამ გვერდს. წარმატება ნაკლებ მოსალოდნელია. ყოველ შემთხვევისათვის, გაძლევთ კიდევ ათ შილინგს. საღამოს დეპეშით შემატყობინებთ, რის გაკეთება შეძელით. ახლა, უოტსონ, მე და თქვენ ისღა დაგვრჩა, ტელეგრაფით ვიკითხოთ ორიათას შვიდას ოთხი ნომერი კებმენის ამბავი. შემდეგ რომელიმე სურათების გალერეაში შევიხედოთ ბონდსტრიტზე და საუზმობამდე დარჩენილი დრო იქ გავატაროთ.

თ ა ვ ი V
ს ა მ ი გ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ძ ა ფ ი

შერლოკ ჰოლმსს საკვირველი უნარი ჰქონდა, როცა მოესურვებოდა, შეეძლო თავიდან განედევნა საქმეებზე ფიქრი. იგი მთლიანად შთაინთქა თანამედროვე ბელგიელ მხატვართა ტილოების დათვალიერებაში და მთელი ორი საათის განმავლობაში ალბათ არც გახსენებია უცნაური ისტორია, რომელშიაც გარემოებათა ძალით ჩვენც ჩართულნი აღმოვჩნდით. მთელ გზაზე სურათების გალერეიდან «ნორთემბერლენდის» ოტელამდე მხოლოდ მხატვრობაზე ლაპარაკობდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცოდნა ამ დარგში უაღრესად პრიმიტიული იყო.

- სერ ჰენრი ბასკერვილი ზემოთ გელოდებათ, - გვითხრა ვესტიბულის მორიგემ. - გვთხოვა სტუმრები მაშინვე მიგვეყვანა მასთან.

- ნებას მოგვცემთ თქვენი სტუმრების სია გავსინჯოთ? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- სიამოვნებით, სერ.

«ბასკერვილების» გვარის შემდეგ წიგნში იყო კიდევ ორი ჩანაწერი: «თეოფილიუს ჯონსონი ოჯახით, ნიუ-კასტლიდან» და «მისის ოლდმორი მოახლითურთ, ელტონიდან».

- ეს ის ჯონსონი ხომ არ არის, ოდესღაც რომ ვიცნობდი? -უთხრა ჰოლმსმა მორიგეს. - ადვოკატია, ჭაღარა, ცოტათი კოჭლობს.

- არა, სერ, მისტერ ჯონსონი - ნახშირის მაღაროების მფლობელია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯენტლმენი, თქვენი ხნის იქნება.

- თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ადვოკატი არაა?

- დარწმუნებული ვარ, სერ. მისტერ ჯონსონი ჩვენი ხშირი სტუმარია. ამ კაცს დიდი ხანია ვიცნობთ.

- მართლა? აღარ გედავებით. მისის ოლდმორ... სადღაც გამიგონია ეს გვარი. მაპატიეთ ასეთი ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ისედაც ხდება ხოლმე, ეძებ ერთ ნაცნობს, პოულობ კი მეორეს.

- მისის ოლდმორი სუსტი ჯანმრთელობის ქალია, სერ. მისი ქმარი ერთ დროს გლოსტერის მერი იყო. ეს ქალი მხოლოდ ჩვენთან ჩერდება, როცა ქალაქში ჩამოდის.

- გმადლობთ. ალბათ ამერია სხვა ლედისთან... ეს კითხვები დაგვეხმარნენ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენაში, უოტსონ, - განაგრძო ჰოლმსმა ხმადაბლა, ვიდრე კიბეზე ავდიოდით. - ახლა ჩვენთვის ნათელია, რომ ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან ჩვენი მეგობრით, აქ არ გაჩერებულან. მაშასადამე, ისინი გულმოდგინედ აკვირდებიან მის ყოველ ნაბიჯს, რაშიაც უკვე დავრწმუნდით, და იმავე დროს ერიდებიან ბასკერვილის თვალში მოხვედრას. ეს კი ბევრს ნიშნავს.

- მაგალითად, რას?

- აი, თუნდაც იმას... ჰალლო! ჩემო მეგობარო! რა მოხდა?

როგორც კი ზედა სართულზე ავედით პირისპირ შევეფეთეთ სერ ჰენრი ბასკერვილს, რომელიც კიბის თავზე იდგა. ხელში ძველი დამტვერიანებული ფეხსაცმელი ეჭირა. მრისხანებას სახეზე ერთიანად წამოენთო. ენაც კი ებმოდა გაშმაგებისაგან, და როცა ბოლოს მეტყველების უნარი დაუბრუნდა, მაშინვე გადავიდა აშკარა ამერიკულ აქცენტზე, რაც დილით არ შეგვინიშნავს.

- ვინა ვგონივარ ამ ოტელში - სულელი? - დაიყვირა ჰენრიმ. - ჩემთან ხუმრობის ნებას არავის არ მივცემ! თუ ეს ხეპრე არ იპოვნის ჩემს ფეხსაცმელს, სკანდალს ავტეხ! მეც მაქვს იუმორის გრძნობა, მისტერ ჰოლმს, მაგრამ აქაურმა ხუმარებმა ცოტა გადაამლაშეს.

- ჯერ კიდევ ეძებთ თქვენს დაკარგულ ფეხსაცმელს?

- დიახ, ვეძებ და არ დავმშვიდდები, ვიდრე არ ვიპოვი.

- მაგრამ, მე როგორც მახსოვს, თქვენ ახალ ფეხსაცმელზე ლაპარაკობდით, ახალ, ღია ყვითელ ფეხსაცმელზე.

- დიახ. სერ. ახლა იგივე ამბავი დაემართა შავსაც.

- როგორ! ნუთუ უკვე...

- დიახ! მე სულ სამი წყვილი ფეხსაცმელი მაქვს: ახალი - ღია ყვითელი, ძველი შავი და ლაქის ფეხსაცმელები, რომლებიც ახლა მაცვია. გუშინ საღამოს დამეკარგა ერთი ყვითელი ფეხსაცმელი, დღეს წაიღეს შავიც. აბა, იპოვეთ? მიპასუხეთ, რას მომჩერებიხართ? - მიუბრუნდა იგი დაბნეულ გერმანელ მსახურს, რომელიც ის იყო დერეფანში გამოჩნდა.

- არა, სერ. ყველას ვკითხე. არავინ არაფერი იცის.

- მაშ, მომისმინეთ: ან იპოვით საღამომდე ჩემს ფეხსაცმელს, ან წავალ მმართველთან და ვეტყვი, რომ დაუყოვნებლივ მივდივარ აქედან.

- ფეხსაცმელი მოინახება. სერ... სიტყვას გაძლევთ, რომ მოინახება... ცოტა მოითმინეთ, სერ.

- მხედველობაში იქონიეთ, ეს უკანასკნელი იქნება. მე აღარ დავუშვებ, რომ ასე გამქურდონ ამ ავაზაკთა ბუნაგში! მისტერ ჰოლმს, მაპატიეთ, გეთაყვა, რომ ასეთი წრილმანებით გაწუხებთ...

- ასეთი წვრილმანები იმსახურებენ იმას, რომ მათთვის ადამიანი შეწუხდეს.

- თქვენ ძალიან სერიოზულად ეკიდებით მათ!

- თქვენ თვითონ რას მიაწერთ ყოველივე ამას?

- არც კი ვცდილობ ავხსნა. ჩემს სიცოცხლეში ასეთი სულელური და უცნაური შემთხვევა არ მქონია.

- უფრო უცნაური? ჰო, სწორედ რომ უცნაურია, - თქვა ჩაფიქრებულმა ჰოლმსმა.

- თქვენ თვითონ რაღას იტყოდით ამაზე?

- მე, სიმართლე რომ ითქვას, ჯერ არაფერი გამეგება. ძალიან დახლართული ამბავია, სერ ჰენრი. თუ მას კავშირი აქვს ბიძათქვენის სიკვდილთან, მაშინ იმ ხუთასი ძალზე სერიოზული საქმიდან, რომელთა გახსნაც მე მომიხდა დღემდე, ეს ყველაზე რთული იქნება. მაგრამ მე ხელთა მაქვს რაღაც ძაფები, და ერთმა მათგანმა უსათუოდ უნდა მიგვიყვანოს კვანძის გახსნამდე. შესაძლოა ზედმეტი დრო დავკარგოთ, ხელი ჩავავლოთ არა იმ ძაფს, რომელიც საჭიროა, მაგრამ ადრე თუ გვიან საჭიროსაც მივაგნებთ.

ძალიან სასიამოვნოდ გავატარეთ დრო საუზმეზე, მხოლოდ გაკვრით შევეხეთ იმ საკითხებს, რომელთა გამო ჩვენ ოთხნი ერთად შევიყარეთ. ჰოლმსი მხოლოდ მაშინ გაეცნო ბასკერვილის შემდგომ გეგმებს, როცა მთელი ჩვენი კომპანია მასთან ერთად შევიდა მის ნომერში.

- მე წავალ ბასკერვილ-ჰოლში.

- როდის?

- კვირის ბოლოს.

- თქვენი გადაწყვეტილება სწორად მიმაჩნია, - თქვა ჰო-ლმსმა, - ახლა აღარავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ ლონდონში თქვენ მზვერავები მოგიჩინეს. მაგრამ ასეთ დიდ ქალაქში ძნელი დასადგენია, რა ხალხია ისინი და რა უნდათ თქვენგან. თუ ბოროტი განზრახვით მოქმედებენ, მაშინ საფრთხე გვემუქრება, რისი თავიდან აცილებაც არ შეგვიძლია. სერ მორტიმერ, იცით თუ არა, რომ დღეს, როცა ჩვენგან წახვედით, თქვენ გზვერავდნენ?

ექიმი მორტიმერი ადგილზე შეხტა.

- გვზვერავდნენ? ვინ?

- აი ეს, სამწუხაროდ, არ შემიძლია გითხრათ. თქვენ მეზობლებსა და ნაცნობებს შორის დარტმურში ხომ არავინ გეგულებათ ისეთი, ხშირ, შავ წვერს რომ ატარებდეს?

- არა... თუმცა, მომითმინეთ... ჰო, რა თქმა უნდა! სერ ჩარლზის ლაქიას, ბერიმორს აქვს ხშირი, შავი წვერი.

-ჰმ! ახლა სად არის?

- ბასკერვილ-ჰოლში. სახლი მის მეურვეობაშია დარჩენილი.

- უნდა შევამოწმოთ, ნამდვილად იქ არის, თუ ლონდონშია.

- როგორ გავაკეთოთ ეს?

- მომეცით დეპეშის ბლანკი. «მზად ხართ თუ არა სერ ჰენრის ჩამოსვლისათვის»? მისამართი ასეთია: «ბასკერვილ-ჰოლი, მისტერ ბერიმორს». სად არის იქ უახლოესი ტელეგრაფი? გრიმპენში? ჩინებულია! მეორე დეპეშას ვგზავნით გრიმპენში, კანტორის უფროსის სახელზე: «ბერიმორის მისამართით გაგზავნილი ტელეგრამა გთხოვთ გადასცეთ პირადად. არყოფნის შემთხვევაში გამოგზავნეთ უკანვე ნორთემბერლენდის ოტელში სერ ჰენრი ბასკერვილის სახელზე». აი, ასე. საღამოს გვეცოდინება, არის თუ არა ბერიმორი თავის ადგილზე დევონშირში.

- შესანიშნავია, - თქვა ბასკერვილმა. - სხვათა შორის, ექიმო მორტიმერ, რას წარმოადგენს ეს ბერიმორი?

- იგი მამულის განსვენებული მმართველის შვილია. ეს უკვე ბერიმორების მეოთხე თაობაა, რომელიც ბასკერვილ-ჰოლში ცხოვრობს. რამდენადაც ვიცი, ის და მისი ცოლი სავსებით პატივსაცემი ადამიანები არიან.

- მიუხედავად ამისა, - თქვა სერ ჰენრიმ, - ჩემთვის ცხადია, რომ ვიდრე ბასკერვილ-ჰოლი უპატრონოა, ეს ადამიანები იქ უზრუნველად და გაურჯელად ცხოვრობენ.

- დიახ, მართალია.

- მიიღო თუ არა ბერიმორმა რამე სერ ჩარლზისაგან სამემკვიდრეოდ? - იკითხა ჰოლმსმა.

- მას და მის ცოლს განსვენებულმა თითქოს ხუთასი გირვანქა უანდერძა.

- ჰმ! და ეს ბერიმორებმა იცოდნენ?

- დიახ. სერ ჩარლზს უყვარდა ლაპარაკი თავის განკარგულებებზე სიკვდილის შემთხვევაში.

- საინტერესო ფაქტია.

- იმედი მაქვს, - თქვა ექიმმა მორტიმერმა, - რომ ყველას ეჭვის თვალით არ შეხედავთ, ვისაც სერ ჩარლზმა რაიმე უანდერძა? მეც დამიტოვა ათასი გირვანქა.

- აი, რა ყოფილა. კიდევ ვის დაუტოვა?

- ანდერძში ნაჩვენები იყო რამდენიმე წვრილი თანხა სხვადასხვა პირებისათვის და დიდი შეწირულობანი საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის. მემკვიდრეობა ხომ მთლიანად გადავიდა სერ ჰენრის ხელში.

- რა თანხას შეადგენს ეს მემკვიდრეობა?

- შვიდას ორმოცი ათას გვირვანქას.

- ეჭვიც არ მქონდა, რომ საქმე ასეთ უზარმაზარ კაპიტალს ეხებოდა, - თქვა მან.

- სერ ჩარლზი მდიდარი კაცი იყო, მაგრამ მისი შეძლების ნამდვილი რაოდენობა გაირკვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფასიან ქაღალდებს გავეცანით. მემკვიდრეობის საერთო თანხა მილიონს უახლოვდება.

- ღმერთო ჩემო! ასეთი უზარმაზარი თანხისათვის კი ღირს თავის გაწირვა. კიდევ ერთი კითხვა, ექიმო მორტიმერ. დავუშვათ, რომ ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს რაიმე მოუვიდა... არც ისე სასიამოვნო ჰიპოთეზაა, მაგრამ მაპატიეთ... ვინღა იქნება მაშინ მამულის მფლობელი და მემკვიდრე?

- ვინაიდან სერ ჩარლზის უმცროსი ძმა, სერ როჯერი, უცოლშვილოდ მოკვდა, ბასკერვილ-ჰოლი გადავა შორეული ნათესავების დესმონდების ხელში. ჯეიმს დესმონდი უკვე ხანში შესული კაცია, მღვდელია და ვესტმორლენდში ცხოვრობს.

- მადლობელი ვარ. მეტად საინტერესო წვრილმანებია. ხომ არ შეხვედრიხართ მისტერ ჯეიმს დესმონდს?

- კი, ერთხელ შემოიარა სერ ჩარლზთან. ძალიან დარბაისლური შესახედაობის კაცია და უძრახველ ცხოვრებას ეწევა, როგორც პატიოსან ადამიანს შეეფერება. მახსოვს, სერ ჩარლზს უნდოდა მისი უზრუნველყოფა, მაგრამ თვითონვე გადაჭრით უარჰყო ის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სთხოვეს.

- და ასეთ მორიდებულ კაცს უნდა დარჩეს სერ ჩარლზის მთელი ქონება?

- მხოლოდ მამული გადავიდოდა მის ხელში, რადგან საგვარეულოდ ითვლება, ხოლო ფულს მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ახლანდელი მფლობელი სხვა განკარგულებას არ გასცემდა, რაც სავსებით შესაძლებელია, რადგან სერ ჰენრის უფლება აქვს ისე მოექცეს მემკვიდრეობას, როგორც მოესურვება.

- თქვენ უკვე შეადგინეთ ანდერძი, სერ ჰენრი?

- არა, მისტერ ჰოლმს, ამისი თავი არა მქონდა. ამასთანავე ვფიქრობ, რომ ფულის გათიშვა მამულისა და ტიტულისაგან არ შეიძლება. სწორედ ასეთი აზრისა ყოფილა უბედური ბიძაჩემიც. განა ბასკერვილ-ჰოლის პატრონი შეძლებს აღადგინოს

თავისი გვარის ოდინდელი დიდება, თუ საამისო საშუალება აღარ ექნება? არა, სადაც სახლი და მიწაა, იქ უნდა იყოს ფულიც.

- სავსებით სწორია. ამრიგად, სერ ჰენრი, მეც ასე მგონია, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროთ დევონშირში, ოღონდ ერთი პირობით: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქ თქვენი მარტო გაშვება.

- ექიმი მორტიმერი ჩემთან ერთად ბრუნდება.

- მაგრამ ექიმ მორტიმერს ბევრ დროს ართმევს პრაქტიკა. გარდა ამისა, ის ბასკერვილ-ჰოლიდან რამდენიმე მილის დაშორებით ცხოვრობს, დიდი სურვილის მიუხედავად, ექიმი ვერას დაგეხმარებათ. ერთგული ადამიანი უნდა იახლოთ, სერ ჰენრი, ისეთი, რომელიც სულ მუდამ თქვენთან იქნება.

- მისტერ ჰოლმს, ნუთუ დათანხმდებით, რომ თვითონ გამყვეთ?

- თუ საქმე კრიზისამდე მივა, როგორმე ჩამოვაღწევ თქვენამდე, მაგრამ თვითონაც მოგეხსენებათ, ჩემი ფართო პრაქტიკა და განუწყვეტელი მოთხოვნები, რომელთაც ყოველის მხრიდან მაყრიან, საშუალებას არ მაძლევს ლონდონიდან განუსაზღვრელი დროით გავემგზავრო. ახლა, მაგალითად, ინგლისის ერთი ყველაზე უფრო პატივცემული ადამიანთაგანი შანტაჟისტის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება და მოსალოდნელი კატასტროფის არიდება მხოლოდ მე შემიძლია. არა, პირადად არაფრით არ შემიძლია დარტმურში გამგზავრება.

- ვიღას მირჩევთ, რომ წავიყვანო თქვენ მაგიერ?

ჰოლმსმა ხელი მხარზე დამადო.

- თუ ამას იკისრებს ჩემი მეგობარი, აი, ადამიანი, რომელსაც შეიძლება ენდოთ მძიმე წუთებში, რაშიაც საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი.

ეს წინადადება მეხივით დამეცა თავში, მაგრამ ბასკერვილს ჩემი პასუხისათვის არც კი დაუცდია, უკვე მხურვალედ მართმევდა ორივე ხელს.

- ექიმო უოტსონ! რა თავაზიანობაა ეს თქვენი მხრით! - შესძახა მან. - ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაში ვარ, ხოლო საქმის ვითარება თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. თუ წამოხვალთ და ბასკერვილ-ჰოლში იცხოვრებთ ჩემთან, ამას არასოდეს არ დავივიწყებ!

თავგადასავლებში მუდამ იფარება რაღაც განსაკუთრებული მომხიბვლელობა ჩემთვის, ხოლო ჰოლმსის სიტყვებმა და აღტაცებამ, რითაც ბარონეტი გამოეხმაურა მის წინადადებას, პირდაპირ მომინადირეს.

- სიამოვნებით გავემგზავრები ბასკერვილ-ჰოლში, - ვუპასუხე მე, - და იქ გატარებულ დროს დაკარგულად არ ჩავთვლი.

- გამომიგზავნით დაწვრილებით ანგარიშებს, - მითხრა ჰოლმსმა. - ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში - ეს გარდუვალია - ხელმძღვანელობას გავუწევ თქვენ მოქმედებას. ვფიქრობ, გამგზავრების დღედ შეიძლება დაინიშნოს შაბათი, არა?

- ხელს გაძლევთ ეს, ექიმო უოტსონ?

- სავსებით.

- მაშასადამე, თუ ვადა არ შეიცვლება, მივემგზავრებით შაბათს, მატარებლით, თერთმეტის ნახევარზე, პედინგტონის სადგურიდან.

ავდექით, და ის იყო, გამომშვიდობებას ვაპირებდით, რომ უეცრად ბასკერვილმა შეჰყვირა და კუთხეში მდგარი კარადის ქვეშიდან ერთის ამბით გამოათრია დაკარგული ფეხსაცმელი.

- აი, ის ფეხსაცმელი, მე რომ დავკარგე!

- დაე, ყველა სხვა თავსატეხიც ასე იოლად აიხსნას! - თქვა შერლოკ ჰოლმსმა.

- მაგრამ ეს მაინც მეტისმეტად უცნაურია, - შენიშნა ექიმმა მორტიმერმა. - მე ჯერ კიდევ საუზმის წინ გადავჩხრიკე მთელი ოთახი.

- მეც, - თქვა ბასკერვილმა. - ყველა კუთხე გადავქექე. ფეხსაცმელი არსად არ იყო.

- მაშასადამე, დერეფნის მსახურმა დადო აქ, ვიდრე ვსაუზმობდით.

გერმანელის დასაძახებლად გაიქცნენ, მაგრამ იმან ვერაფერი გვითხრა, ვერც შემდგომმა კითხვებმა მოგვცეს რაიმე შედეგი. ისედაც სწრაფად ცვალებადსა და აშკარად სულელურ თავსატეხთა სერიას მიემატა კიდევ ერთი. სერ ჩარლზის ტრაგიკულ სიკვდილზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენ წინ გადაიშალა სულ რაღაც ორ დღეში მომხდარ ამოუხსნელ მოვლენათა მთელი ჯაჭვი: გაზეთიდან ამოჭრილი სიტყვებისაგან შედგენილი წერილი, კებში მჯდომი წვეროსანი უცნობი, ჯერ სრულიად ახალი ფეხსაცმლის, მერე კი ნახმარი შავი ფეხსაცმლის დაკარგვა და ახლა მისი მოულოდნელი გამოჩენა.

ბეიკერსტრიტისაკენ მიმავალ კებში ჰოლმსი ჩუმად იჯდა. მოღუშულ შუბლსა და დაძაბულ მზერაზე ეტყობოდა, ისიც ჩემსავით ცდილობდა სისტემაში მოეყვანა ეს უცნაური ფაქტები, რომელთაც ერთიმეორესთან, ჩანდა, არავითარი კავშირი არა ჰქონდათ. მთელი დანარჩენი დღე და საღამო თავის კაბინეტში გაატარა, ფიქრებსა და თამბაქოს კვამლში ჩაფლულმა.

სწორედ სადილის წინ ორი დეპეშა მივიღეთ. პირველი გვაუწყებდა:

«ესაა შემატყობინეს, ბერიმორი შინაა. ბასკერვილი».

მეორე:

«დავიარე ოცდასამი სასტუმრო. სამწუხაროდ «ტაიმსის» დაჭრილი გვერდი ვერ ვიპოვე. კარტრაიტი».

- აი, უეცრად გაწყდა ორი ძაფი, უოტსონ. არაფერი არ ჯობია ისეთ საქმეებს, რომლებშიაც ყველაფერს თითქოს ჩვენ წინააღმდეგ შეუკრავს პირი. მაშინ შედიხარ აზარტში. რა გაეწყობა, სხვა კვალს უნდა მივყვეთ.

- თქვენ გაქვთ კიდევ ერთი ვერსია, «მეეტლე», რომელსაც მიჰყავდა ის უცნობი.

- სავსებით სწორია. მე მოვიკითხე იმისი გვარი და მისამართი სარეგისტრაციო კანტორაში და ახლა არც გამიკვირდება, თუ ჩემს კითხვაზე პასუხს მივიღებთ.

ზარის წკრიალმა გვაუწყა ის, რამაც თვით ჰოლმსის ყველა მოლოდინს გადააჭარბა. კარებში გამოჩნდა ტანმაღალი ყმაწვილი, ეტყობოდა, თვითონ კებმენი იყო.

- კანტორაში მითხრეს, რომ სწორედ ამ მისამართით იკითხეს ორი ათას შვიდას ოთხი ნომერი კები, - დაიწყო ახლადმოსულმა. - უკვე შვიდი წელია კებმენად ვარ და არავითარი საჩივარი არ ყოფილა. ვიფიქრე, მოდი, თვითოვე მივალ, ვიკითხავ, რა დავაშავე-მეთქი.

- თქვენ არაფერი არ დაგიშავებიათ, გეთაყვა, - თქვა ჰოლმსმა. - პირიქით, მე ნახევარ სოვერენს გაჩუქებთ, ოღონდ მიპასუხეთ პირდაპირ ჩემს კითხვაზე.

- აი, კაცმა არ იცი, სად იპოვი და სად დაკარგავ! - ჩაიცინა კებმენმა. - აბა, რა გნებავთ, სერ?

- უპირველეს ყოვლისა თქვენი გვარი და მისამართი იმ შემთხვევისათვის, თუ დაგვჭირდებით.

- ჯონ კლეიტონი, ბოროუში ვცხოვრობ, ტრაპისტრიტზე, სამ ნომერში. კები დგას შიპლი-იარდზე, ვატერლოოს სადგურთან.

- ახლა კი, კლეიტონ, მიამბეთ თქვენს მგზავრზე, რომელიც ზვერავდა აი, ამ სახლს დღეს დილის ათ საათზე, შემდეგ კი უთვალთვალებდა ორ ჯენტლმენს რიჯენსტრიტზე.

კებმენმა გაკვირვებით შეხედა ჰოლმსს და, ეტყობოდა, ცოტა შერცხვა.

- რა გითხრათ, როცა თვითონვე ყველაფერი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. - გვიპასუხა სტუმარმა - მგზავრმა მითხრა, მაძებარი ვარო, და მიბრძანა, ლაყბობა არ იყოსო.

- აი, ხედავთ, ძვირფასო, აქ სერიოზული საქმეა, და თუ რაიმეს დამიფარავთ, შეიძლება ძალიან არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდეთ. მაშ, იმ კაცმა თავს მაძებარი უწოდა?

- დიახ, სერ.

- და როდის გამოგიცხადათ ეს?

- როცა ფულს იხდიდა.

- კიდევ გითხრათ რამე?

- თავისი გვარი მითხრა.

ჰოლმსმა გამარჯვებულის მზერა მესროლა.

- თავისი გვარი? მეტისმეტი გაუფრთხილებლობააა მისი მხრით! არ გვარია?

- მისი სახელია, - თქვა კებმენმა, - მისტერ შერლოკ ჰო-ლმსი.

კებმენის პასუხმა პირდაპირ თავზარი დასცა ჩემს მეგობარს. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს მის სახეზე ასეთი განცვიფრებული გამომეტყველება. მთელი ორი წუთი სიტყვის დაძვრა ვერ მოახერხა. შემდეგ ხმამაღლა გადაიხარხარა.

- დარტყმაა, უოტსონ! ზუსტი დარტყმა! - თქვა მერე. - ჩემს მოპირდაპირეს ხელში დაშნა უჭირავს და არც სისწრაფეში ჩამომრჩება, არც სიზუსტეში. ამჯერად გამაცურა. მაშ, მისი სახელია შერლოკ ჰოლმსი, არა?

- დიახ, სერ, თვითონ ასე თქვა.

- ჩინებულია! ახლა მითხარით, სად აიყვანეთ ეს მგზავრი და რა მოხდა შემდეგ?

- დილის ათის ნახევარზე დამიძახა ტრაფალგარსკვერზე. მაძებარი ვარო, მითხრა, ორ გინეას დამპირდა, თუ ზუსტად შევასრულებდი მის ყველა ბრძანებას და არაფერს არ შევეკითხებოდი. რა გაეწყობოდა, ასეთ ფულზე უარს ვინ იტყვის. ოტელ ნორთემბერლენდთან მივიყვანე და იქ შევჩერდი. მერე იქიდან გამოვიდა ორი ჯენტლმენი, ბირჟიდან კებს დაუძახეს და სადღაც აქეთ წამოვიდნენ, თქვენი ქუჩისაკენ.

- აი, ამ სახლისაკენ, - თქვა ჰოლმსმა.

- შესაძლებელია. მაგრამ უკეთესი იქნება თუ ჩემს დამქირავებელს ჰკითხავთ. მან მიბრძანა ეტლი ქუჩის შუაგულში გამეჩერებინა და იქ დაახლოებით საათ-ნახევარს ვიდექით. შემდეგ იმ ორმა ჯენტლმენმა გვერდით ჩამოგვიარეს და ჩვენც ბეიკერსტრიტზე გამოგვემგზავრეთ. შემდეგ შევუხვიეთ...

- ეს უკვე ვიცი, - შეაწყვეტინა ჰოლმსმა.

- როგორც კი რიჯენსტრიტზე გავედით, ზედა სარკმელი ასწია და დამიყვირა: «გარეკეთ ვატერლოოს სადგურისაკენ». ცხენს შოლტი გადავკარი და ათი წუთის შემდეგ ადგილზე ვიყავით. ორი გინეა მომცა, არ მოუტყუებივარ! - და სადგურისაკენ წავიდა. შემდეგ მობრუნდა და მითხრა: «იქნებ გაინტერესებთ, ვის დაატარებდით? შერლოკ ჰოლმსს». აი, როგორ მოხდა ყველაფერი.

- გასაგებია. და მეტად აღარ გინახავთ?

- არა, მეტად აღარ მინახავს.

- ახლა ამიწერეთ მისტერ შერლოკ ჰოლმსის გარეგნობა.

კებმენმა კეფა მოიფხანა.

- არც ისე ადვილია. ასე, ორმოცი წლისა იქნება, საშუალო ტანის, თქვენზე ორიოდე დუიმით დაბალი, სერ. სუფთად აცვია, შავ წვერს ატარებს, ნიჩბისებურს, სახე ფერმკრთალი აქვს. მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

- თვალები რა ფერისა აქვს?

- აი, ეს არ მაგონდება...

- მეტი ვერაფერი დაიმახსოვრეთ?

- ვერაფერი, სერ.

- ჰო, კეთილი. აი თქვენი ნახევარი სოვერენი. მეორე ნახევარს კი მიიღებთ მაშინ, როცა ამ კაცზე კიდევ რაიმეს გამიგებთ. ნახვამდის.

- ბედნიერად ბრძანდებოდეთ, სერ. მადლობელი ვარ.

ჯონ კლეიტონმა ჩაიცინა და გავიდა. ჰოლმსმა კი მხრები აიჩეჩა და იმედგაცრუებულის ღიმილით მომიბრუნდა.

- გაწყდა მესამე ძაფიც, - თქვა მან. - ახლა კეთილი უნდა ვინებოთ და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. აი ცბიერი მხეცი! გაიგო ჩვენი სახლის ნომერი, გაიგო, რომ სერ ჰენრი ბასკერვილი აქ რჩევის მისაღებად მოვიდა, მნახა რიჯენსტრიტზე, მოისაზრა, რომ კების ნომერი შენიშნულია, კებმენს იპოვნიან და გადაწყვიტა ჩემი გამასხარავება. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, უოტსონ, ამჯერად საქმე გვაქვს ღირსეულ მოწინააღმდეგესთან. ლონდონში დავმარცხდი. იმედი ვიქონიოთ, რომ დევონშირში სამაგიეროს თქვენ მიუზღავთ. და მაინც ეს ამბავი ძლიერ მაწუხებს.

- რა?

- აი, თქვენი გამგზავრება. ძალიან ცუდი საქმეა, უოტსონ. ცუდი და საშიში. და რაც მეტს ვფიქრობ ამაზე, მით უფრო ნაკლებად და ნაკლებად მომწონს. იცინეთ, მეგობარო, იცინეთ, მაგრამ ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ბეიკერსტრიტზე საღი და უვნებელი დაბრუნდებით.

თ ა ვ ი V I
ბ ა ს კ ე რ ვ ი ლ - ჰ ო ლ ი

სერ ჰენრი ბასკერვილმა და ექიმმა მორტიმერმა დანიშნული დღისათვის ყველა თავიანთი საქმე დაამთავრეს და ჩვენ პირობისამებრ დევონშირისაკენ გავემგზავრეთ. სადგურზე რომ გვაცილებდა, მისტერ შერლოკ ჰოლმსი სათანადო რჩევა-დარიგებებს მაძლევდა და გზას მილოცავდა.

- არ დაგიწყებთ იმაზე ლაპარაკს, ვისზე მაქვს ეჭვი და რას ვფიქრობ, უოტსონ, რომ თავს ჩემი აზრი არ მოგახვიოთ, - მეუბნებოდა ჰოლმსი. - მე მესაჭიროება ფაქტები, დაწვრილებითი ანგარიშები, ხოლო მათს ერთმანეთთან დაკავშირებას მე თვითონ მოვახდენ.

- რა გაინტერესებთ? - ვკითხე მე.

- ყველაფერი, რაც ასე თუ ისე ეხება ამ საქმეს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ბასკერვილისა და მისი მეზობლების ურთიერთობა, ხოლო თუ რამეს გაიგებთ სერ ჩარლზის სიკვდილზე ახალსა და საგულისხმოს, ესეც აღნიშნეთ. უკანასკნელ დღეებში რაღაც ცნობები შევკრიბე, მაგრამ, სამწუხაროდ, დასაკვეხნი არაფერი მაქვს. მოვახერხე მხოლოდ ერთი რამის დადგენა: უახლოესი მემკვიდრე, მისტერ ჯეიმს დესმონდი, ნამდვილად მშვენიერი ადამიანია, მხცოვანი, ასე რომ ეს მზაკვრობა მის

საქმედ არ მიმაჩნია. ვფიქრობ, თამამად შეიძლება ამიერიდან მას თავი მივანებოთ. მაშასადამე, რჩებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ იყრიან თავს სერ ჰენრი ბასკერვილის გარშემო.

- ხომ არ ჯობია ახლავე მოვიშოროთ თავიდან ცოლ-ქმარი ბერიმორები?

- არავითარ შემთხვევაში! უფრო უხეში შეცდომის დაშვება ძნელი იქნებოდა. თუ არაფერში არ არიან დამნაშავე, მაშინ ეს მეტისმეტი უსამართლობა იქნებოდა მათ მიმართ, ხოლო თუ დამნაშავეები არიან, შემდეგ მათ ვეღარ იპოვნი. არა, არა! დე, იყონ ასე ეჭვმიტანილნი. მერე, თუ არ ვცდები, იქ არის მეჯინიბე, ორი ფერმერი, ჩვენი მეგობარი ექიმი მორტიმერი, ეტყობა, უზადო პატიოსნებით აღსავსე კაცი და მისი ცოლი, რომელზედაც ჩვენ არაფერი ვიცით. არ დაივიწყოთ არც ნატურალისტი სტეპლტონი და მისი და - როგორც ამბობენ, ფრიად მიმზიდველი ახალგაზრდა ქალი. არც ლეფტერჰოლელი მისტერ ფრენკლენდი - აგრეთვე უცნობი პირი, და ორი-სამი სხვა მეზობელი. აი ხალხი, რომელიც თქვენი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს.

- ვეცდები თავი არ შევირცხვინო.

- იარაღი მიგაქვთ?

- მე მგონი, ზედმეტი არ იქნება.

- უდავოდ. რევოლვერი დღისით და ღამითაც თან იქონიეთ. ნურც ერთი წამით ნუ შეასუსტებთ სიფხიზლეს.

ჩვენს მეგობრებს უკვე მოესწროთ პირველი კლასის ბილეთების შეძენა და პლატფორმაზე გველოდნენ.

- არა, ახალი არაფერია, - თქვა ექიმმა მორტიმერმა ჩემი მეგობრის კითხვის პასუხად. - შემიძლია მხოლოდ დავიფიცო, რომ უკანასკნელ ორ დღეს ჩვენ არავინ გვზვერავდა. სულ გვახსოვდა ეს და ყურადღებიდან არავინ გამოგვრჩენია.

- იმედი მაქვს, ამ დღეებში განუყრელად ერთად იყავით?

- დიახ, გუშინდელის გარდა. ასეთი წესი მაქვს: ქალაქში რომ ჩავდივარ ხოლმე, ერთ დღეს მთლიანად ვწირავ გართობას, და გუშინაც ქირურგიული კოლეჯის მუზეუმში ვიყავი.

- მე კი პარკში წავედი და მოსეირნე ხალხს ვათვალიერებდი, - თქვა ბასკერვილმა. - ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

- მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თქვენის მხრით ეს იყო წინდაუხედავად გადადგმული ნაბიჯი, - უთხრა მოღუშულმა ჰოლმსმა და თავი გააქნია. - გთხოვთ, სერ ჰენრი, უგამყოლოდ ნურსად გახვალთ, სხვაგვარად უბედურება არ აგცდებათ. იპოვნეთ მეორე ცალი ფეხსაცმელი?

- არა, სერ, უკვალოდ გაქრა.

- მაშ ასე? საინტერესოა! ჰო, გზა მშვიდობისა, - დასძინა ჰოლმსმა, როცა მატარებელი დაიძრა. - სერ ჰენრი! დაიმახსოვრეთ დარიგება უცნაური ლეგენდიდან, რასაც გვიკითხავდა ექიმი მორტიმერი, და ერიდეთ ღამღამობით ტორფის ჭაობებზე გასვლას. როცა ბოროტი ძალები თავისუფლად დანავარდობენ.

ფანჯრიდან გავიხედე და შორს ჩემი მეგობრის მაღალ, გამხდარ ტანს მოვკარი თვალი. იგი უძრავად იდგა პლატფორმაზე და მიმავალ მატარებელს თვალს არ აშორებდა.

სწრაფად მივიწევდით წინ და თავს ისე ვგრძნობდი, უკეთესად არ შეიძლებოდა. თვალყურს ვადევნებდი ჩემს თანამგზავრებს და თავს ექიმ მორტიმერის პატარა სპანიელთან თამაშით ვიქცევდი. რაღაც ორი-სამი საათის შემდეგ მიწის მუქი ელფერი წითლად შეიცვალა, აგურმა ადგილი დაუთმო გრანიტს, ხოლო მობიბინე, შემოღობილი საძოვრები, რომელზედაც ჟღალი ძროხები ცვრიან ბალახს ძოვდნენ,

მოწმობდნენ, რომ ამ ადგილებში, სინესტის მიუხედავად, უკეთესი ჰავაა, ვიდრე აღმოსავლეთში. ახალგაზრდა ბასკერვილი ფანჯარას არ შორდებოდა და როცა დევონშირის მშობლიურ პეიზაჟებს ხედავდა, სიხარულის წამოძახილი აღმოხდებოდა ხოლმე.

- სად არ მოვხვედრილვარ მას შემდეგ, რაც აქედან წავედი, მისტერ უოტსონ! - თქვა მან. - და მაინც ამ ადგილს ვერაფერი შეედრება.

- გვიჩვენეთ ისეთი დევონშირელი, რომელიც აღტაცებული არ იქნება თავისი დევონშირით.

- აქ საქმე იმდენად თვითონ დევონშირის სარგაფოში არაა, რამდენადაც ადამიანებში, რომლებითაც ისაა დასახლებული, - თქვა ექიმმა მორტიმერმა. - ჩვენი მეგობრის მრგვალი თავის ქალის ერთხელ დანახვაც საკმარისია, რომ მასში შევიცნოთ კულტურული რასის წარმომადგენელი, თავისი აღფრთოვანებითა და ძლიერი განცდებისადმი მიდრეკილებით. განსვენებულ სერ ჩარლზს ჰქონდა სრულიად გამორჩეული იშვიათი აღნაგობის თავის ქალა - ნახევრად გალური, ნაბევრად იბერიული. სერ ჰენრი, თქვენ ხომ, რამდენადაც ვიცი, ბავშვობის მერე არ გინახავთ ბასკერვილ- ჰოლი?

- არასოდეს არ მინახავს, რადგან ჩვენ ვცხოვრობდით პატარა კოტეჯში, სამხრეთ სანაპიროზე. როცა მამა გარდამეცვალა, მეცამეტე წელში ვიყავი და მაშინვე ჩვენს მეგობრებთან ამერიკაში წავედი. ეს ადგილები ჩემთვის თითქმის ისევე ახალია, როგორც ექიმი უოტსონისათვის, და მე პირდაპირ გული მელევა, ვიდრე ტორფის ჭაობები გამოჩნდება.

- ხედავთ? თუ ასეა, თქვენი სურვილი ასრულებულია - შეგიძლიათ დატკბეთ მათი ხილვით, - თქვა ექიმმა მორტიმერმა და ფანჯარაში გაგვახედა.

საძოვრების მწვანე კვადრატების მიღმა, ტყიანი ბორცვების იქით შორეული, ფანტასტიკური სიზმარეული ჩვენების მსგავსად, ნაღვლიანი, რუხი, დაკბილული გორაკი გამოჩნდა. ბასკერვილი იქით იცქირებოდა და სანახაობას თვალს არ აცილებდა. მისი ხარბი მზერა იმაზე ლაპარაკობდა, თუ რა ბევრს ნიშნავდა მისთვის პირველი გაცნობა იმ კუშტ მხარესთან, სადაც დროთა მანძილზე მისი სისხლით მონათესავე ადამიანები ბატონობდნენ და ღრმა ნაკვალევს ტოვებდნენ. სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი, აშკარა ამერიკული აქცენტით მოლაპარაკე ახალგაზრდა კაცი, ჩემს გვერდით იჯდა ჩვეულებრივ სარკინიგზო ვაგონში. მის შავგვრემანსა და მეტყველი სახის ხილვაზე დაუცხრომელ და ძალაუფლების მოყვარულ ბასკერვილთა შთამომავალს ვჭვრეტდი. ხშირი წარბები, თხელი ნესტოები და დიდი თაფლისფერი თვალები მეტყველებდნენ სიამაყეზე, სიმამაცესა და ძალაზე. თუ პირქუში ტორფის ჭაობები მძიმე და საშიში ამოცანის პირისპირ დაგვაყენებენ, ასეთი ადამიანის გულისათვის ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, რადგან იგი თქვენს ყოველგვარ რისკს გაბედულად გაიზიარებს.

მატარებელი ერთ პატარა მიყრუებულ სადგურზე გაჩერდა და ჩვენ ვაგონიდან ჩამოვედით. დაბალი თეთრი ღობის იქით იდგა ეტლი, რომელშიაც ორი ტანმორჩილი ღონიერი ცხენი იყო შებმული. ჩვენი ჩამოსვლა აქ, ეტყობოდა, მოვლენა იყო, რადგანაც თვით სადგურის უფროსი გამოგვეგება. მტვირთავებიც ჩვენ შემოგვეხვივნენ და თავიანთ სამსახურს გვთავაზობდნენ. ეს იყო პატარა წყნარი სოფელი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად პლატფორმის გამოსასვლელთან ორი ჯარისკაცი შევნიშნე. მუქი სამოსელი ეცვათ, კარაბინებზე დაყრდნობილი იყვნენ და დაჟინებით გვიცქეროდნენ. უშნო, გაურანდავი სახის პატრონმა მეეტლემ ქუდი მოიხადა, სერ ბასკერვილს მიესალმა. და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე თეთრ ფართო გზაზე

მივქროდით. თემშარის ორივე მხარეს საძოვართა მწვანე ფერდობები მოჩანდა. ხშირი ფოთლებიდან პატარა სახლების წვეტიანი სახურავები გაიელვებდა ხოლმე, მაგრამ წინ, ამ მშვიდი, მზით გაჩირაღდნებული მხარის მიღმა, საღამოს ცის ფონზე მუქად და პირქუშად მოჩანდა ტორფის ჭაობების უღიმღამო ზოლი, დასერილი შავბედითი ბორცვების წვეტიანი მწვერვალებით. ჩვენმა ეტლმა მთავარი გზიდან გადაუხვია და აღმართს შეუყვა. ახლა ასეული წლების მანძილზე ვეება მიწაყრილებს შორის გაკვალულ და ღრმად დაღარულ გზაზე მივდიოდით, რომლის ორივე მხარე ხორცოვან შვიტას და ნესტიან ხავსს დაეფარა. ბრინჯაოსფრად მოციმციმე გვიმრა და მაყვლის ფოთლები ჩამავალ მზეში ლივლივებდნენ. აღმართ-აღმართ განვაგრძობდით გზას, ქვის ვიწრო ხიდით გავედით პატარა მდინარეზე, რომელიც რუხ ლოდებს შორის ზათქითა და ღრიალით მიედინებოდა. მდინარეც და გზაც მუხნარითა და ფიჭვნარით დაფარულ ველზე მიიკლაკნებოდნენ. ყოველ ნაბიჯზე ისმოდა ბასკერვილის აღტაცებული წამოძახილი. ცნობისმოყვარეობით ატანილი იხედებოდა გარშემო და უთვალავ კითხვას გვაყრიდა. მისი აზრით აქ ყველაფერი მშვენიერი იყო, მაგრამ მე ვერასგზით ვერ დამეძლია ის კაეშანი, რომელიც ბორცვიდან ბორცვამდე გადაშლილი შემოდგომის დაღდასმული საძოვრების ხილვამ აღმიძრა. ყვითელი ფოთლები ფარფატით ცვიოდნენ ძირს და მიწას ფიანდაზად ეფინებოდნენ. ჩვენი ეტლის თვლების გრიალი თანდათან მიწყდა, რადგან ოთხივე ბორბალი უკვე ნახევრად დამპალი ბალახის სქელ ფენაში ჩაიძირა. «ნაღვლიან საჩუქრებს უფენს ფეხქვეშ ბუნება ბასკერვილ-ჰოლის ახალ მფლობელს!» - გავიფიქრე ჩემთვის. - შეხედეთ! - უეცრად შესძახა დოქტორმა მორტიმერმა. - ეს რა არის? ჩვენ წინ აღმართულიყო მანანით დაფარული ფრიალო ბორცვი, - ტორფის ჭაობთა სიახლოვის პირველი ნიშანი. ამ გორაკის თავზე, თითქოს კვარცხლბეკზე აღმართული ცხენის ქანდაკიაო, ისე მკვეთრად ისახებოდა შაშხანით ხელში მდგარი მხედარი. ის აკვირდებოდა გზას, რომლითაც ჩვენ მოვდიოდით.

- პერკინს, რას ნიშნავს ეს? - იკითხა ექიმმა მორტიმერმა.

კოფოზე მჯდარი მეეტლე მოგვიბრუნდა:

- პრინსტაუნის ციხიდან პატიმარი გაიქცა, სერ. აი უკვე მესამე დღეა, რაც დაეძებენ. ყველა გზაზე გუშაგი დააყენეს, ყველა სადგურზე, მაგრამ სულ ამაოდ. აქაური ხალხი ამით ძალიან უკმაყოფილოა, სერ.

- რატომ? ვინც კვალს იპოვის, ხომ ხუთ გირვანქას დაჰ-პირდნენ.

- ეს ასეა, სერ, თუმცა ხუთი გირვანქის იმედი ნაკლებია, მაგრამ გაქცეული რომ ყველა შემხვედრის ყელის გამოღადვრას არ მოერიდება, ეს უფრო დასაჯერებელია. ასეთი კაცი არაფრის წინაშე არ დაიხევს უკან, ეს რომელიმე პატარა ბაცაცა როდია.

- ვინ არის ასეთი?

- სელდენი, რომელმაც ნოტინგჰილში ჩაიდინა მკვლელობა.

კარგად მახსოვდა სელდენის საქმე, რადგან თავის დროზე ამ საქმეს შერლოკ ჰოლმსი აწარმოებდა. იგი დაინტერესებული იყო იმ სისასტიკით, რითაც ეს მკვლელობა გახმაურდა და უმიზნო მხეცობით, რითაც აღინიშნებოდა ამ ურჯულის ყველა მოქმედება. დანაშაული იმდენად არაადამიანური იყო, რომ მოსამართლეებს ეჭვი შეეპარათ სელდენის გონების სისაღეში და ამიტომაც სიკვდილის განაჩენი ციხით შეუცვალეს.

ეტლი გორაკის თავზე ავიდა, და ჩვენ თვალწინ გადაიშალა ტორფის ჭაობთა უზარმაზარი სივრცე, სადაც აქა-იქ კლდის ლოდები და ქვის სვეტები მოჩანდა. ცივი ქარი, ჭაობების მხრიდან რომ უბერავდა, ძვალსა და რბილში ატანდა. სადღაც აქ, ამ ჭაობთა სევდისმომგვრელ ზედაპირზე, კაცის-სახა ეშმაკი სოროში იწვა და გულის

სიღრმეში ინახავდა სიძულვილს ადამიანების მიმართ, რომელთაც იგი თავიანთი საზოგადოებიდან განდევნეს. მხოლოდ ამით გამძაფრებაღა აკლდა იმ გაორკეცებულ, პირქუშ შთაბეჭდილებას, რომელსაც ჩვენ წინ გადაშლილი უკაცრიელი უდაბნო, მოვარდნილი ქარი და მოქუფრული ზეცა ტოვებდნენ. თვითონ ბასკერვილიც კი გაყუჩდა და უფრო ძლიერ გაეხვია პალტოში.

ნაყოფიერი ადგილები უკან მოვიტოვეთ. როცა განვლილ გზას გავხედეთ - ჩამავალი მზის სხივები ხნულებსა და ხშირ ბუჩქნარში წვებოდა და სწრაფ ნაკადულებს ოქროსფრად აელვარებდა. გზა, რომელიც უზარმაზარი კაჭრებით მოფენილ მუქ-მოწითალო გადასასვლელებზე გადიოდა, სულ უფრო გაპარტახებული და ძნელად სავალი ხდებოდა. დროდადრო ჩვენ წინ მოჩანდა ქვის ზღუდეებით გარშემორტყმული კოტეჯები, რომელთა ძუნწი მოხაზულობა სუროთიც კი არ იყო დაფარული. შემდეგ ჩვენს თვალწინ გადაიშალა მუხნარითა და ფიჭვით დაფარული ველი, რომელიც უღრან ტყეს წააგავდა, თუმცა ნახევრად გამხმარი და შემოძარცული ხეები ამ მიდამოებში ადამის ჟამიდან მქროლავ ქარს ერთიანად დაეღვლარჭნა და დაეჩიავებინა. ხეების თავზე ორი მაღალი კოშკი იყო აღმართული. ჩვენმა მეეტლემ შოლტით მიგვითითა მათზე და რიხიანად წარმოთქვა:

- ბასკერვილ-ჰოლი.

მამულის პატრონი ეტლში წამოდგა, ლოყები შეუფაკლდა და თვალებში ცეცხლმა გაუელვა. რამდენიმე წუთის შემდეგ მივაღწიეთ ჩუქურთმიან თუჯის ჭიშკრამდე, რომლის ფათალოთი დაფარულ ორ სვეტს ბასკერვილების ღერბი - ტახის თავები ამშვენებდა. მეკარის პატარა ქვის სახლიც ისევე დაძველებულ-დახავსებული იყო, ნივნივები გაშიშვლებოდა, მაგრამ მის წინ იდგა ახალი, ჯერაც დაუმთავრებელი ნაგებობა - სერ ჩარლზის მიერ აფრიკიდან ჩამოტანილი ოქროს პირველი ნაყოფი.

ჭიშკრის მიღმა ძველი მაღალი ხეების ორი მწკრივი იწყებოდა. მათი ტოტები კუშტ თაღად გვადგა თავზე. ბორბლების ხმაური ისევ ჩაინთქა ფოთლების შრიალში. ბასკერვილი შეკრთა, როცა დაინახა გრძელი ჩაბნელებული ხეივანი, რომლის ბოლოშიც სახლის მოხაზულობა ბუნდოვნად მოჩანდა.

- ეს აქ მოხდა? - წყნარად იკითხა ბარონეტმა.

- არა, არა, ურთხელის ხეივანში, იქითა მხარეს.

ახალგაზრდა მემკვიდრემ გარემოს მოღუშული მზერა მოავლო:

- სულაც არ მიკვირს, რომ ასეთ ადგილას ბიძაჩემი ყოველ წუთს უბედურებას მოელოდა, - თქვა ბოლოს. - აქ ვისაც გნებავთ, იმას შეიპყრობს შიში და ძრწოლა. მოიცადეთ, ნახევარი წელიც არ გაივლის, რომ აქ ელექტრონს გავიყვან, და მაშინ აქაურობას ვერ იცნობთ! შესასვლელთან ედისონისა და სვანის ათასსანთლიანი ნათურები იციმციმებენ.

ხეივანს უკან ფართო გაზონი იყო. შემოვუარეთ მას და სახლს მივადექით. ბინდბუნდში შევნიშნე მხოლოდ ფასადი და ყათარი. ყველაფერი ერთიანად სუროს დაეფარა. ღია რჩებოდა მხოლოდ ფანჯრები და ღერბებისათვის განკუთვნილი ოვალები. შენობის ამ მხარეზე ორი ძველებური დაკბილული სათოფურებიანი კოშკი იყო აღმართული. მარჯვნიდან და მარცხნიდან მათთვის შავი გრანიტის ორი ფრთედი მიედგათ. ეტყობოდა, გვიანდელი მინაშენები უნდა ყოფილიყო. მრავალი ალათით დახლართული ფანჯრიდან გაზონს მკრთალი ნათელი ეფინებოდა. წვეტიან სახურავზე მაღალი საკვამლე მილებიდან ასული კვამლი წვებოდა.

- კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, სერ ჰენრი! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბასკერვილ-ჰოლში!

ჩრდილიდან მაღალი კაცი გამოვიდა და ეტლის კარი გამოაღო ჰოლის განათებულ კარებში გამოჩნდა ქალის სილუეტი. ისიც მოვიდა ეტლთან და კაცს ჩემოდნების ჩამოღებაში დაეხმარა:

- სერ ჰენრი, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, თუ პირდაპირ სახლში წავალ? - თქვა ექიმმა მორტიმერმა, - ცოლი მელოდება.

- დარჩით, ჩვენთან ისადილეთ!

- არა, ნამდვილად არ შემიძლია. ალბათ საქმეც ბევრი დამიგროვდა. სიამოვნებით დაგათვალიერებინებდით თქვენსავე სახლს, მაგრამ ბერიმორი ამას ჩემზე უკეთ შეასრულებს - შესანიშნავი გიდია. ბედნიერად! და გახსოვდეთ, რა დროსაც არ უნდა დაგჭირდეთ ჩემი თავი, დღისით თუ ღამით, ნუ მომერიდებით, კაცი გამომიგზავნეთ.

ბორბლების ხმაური თანდათან მიწყდა ხეივნის სიღრმეში, და ჩვენს ზურგს უკან მძიმე კარი მიიხურა.

ჰოლი, რომელშიაც ჩვენ აღმოვჩნდით, ძალიან ლამაზი იყო - ფართო, მაღალი, მძიმე და დროისაგან ჩამუქებული მუხის ნივნივებიანი. ძველებურ ბუხარში, რომელსაც თუჯის ცხაური ჰქონდა, კუნძები ტკაცუნებდნენ და შიშინებდნენ. ეტლში ხანგრძლივი ჯდომით შეცივნულმა მე და სერ ჰენრიმ ხელები ცეცხლს მივუფიცხეთ. შემდეგ ჰოლის მუხით მოპირკეთებული კედლების თვალიერებას მოვყევით. მაღალ, ვიწრო ფანჯარაში ფერადი მინები ჩაესვათ. ირმის თავები და ღერბები, რომლებიც ჭაღის მკრთალ შუქზე ძლივს მოჩანდნენ, კედლებს კიდევ უფრო უმატებდნენ მშვენებას.

- სწორედ ასე მქონდა წარმოდგენილი ყველაფერი, - თქვა სერ ჰენრიმ. - ნამდვილი საგვარეულო ბუდეა, ხომ მართალია? აბა წარმოიდგინეთ, ჩემი წინაპრები ხომ აქ ცხოვრობდნენ ხუთი საუკუნის განმავლობაში! ამას რომ გაიხსენებ, ძალაუნებურად საზეიმო გუნებაზე დადგები.

მისი შავგვრემანი სახე ბავშვური სიხარულით ბრწყინავდა. ის იდგა სინათლის წრეში, რაც ჭაღიდან ეცემოდა, ხოლო ჩრდილები კედლებზე წვებოდნენ და მის თავზე შავ ფარდად ეშვებოდნენ. ბერიმორმა ჩვენი ჩემოდნები ოთახებში გაიტანა, მერე უკან დაბრუნდა და ისე მოწიწებით დაგვადგა თავს, როგორც კარგად გაწვრთნილ მსახურს შეეფერება. არაჩვეულებრივი გარეგნობის პატრონი გახლდათ - მაღალი, წარმოსადეგი, მკრთალსა და სასიამოვნო სახეს ფართო შავი წვერი უჩრდილავდა.

- სადილი მოგართვათ, სერ?

- მზად არის?

- რამდენსამე წუთში იქნება, სერ. ცხელი წყალი ოთახებში გაქვთ. მე და ჩემი ცოლი ბედნიერი ვიქნებით, სერ ჰენრი, თუ პირველ ხანებში აქ დაგვტოვებთ, მაგრამ ახალ წესებთან დაკავშირებით თქვენ ხომ დიდი შტატი დაგჭირდებათ!

- რა ახალ წესებთან დაკავშირებით?

- მე მინდა ვთქვა, რომ სერ ჩარლზი მარტოხელად ცხოვრობდა და ჩვენ ორს სავსებით შეგვეძლო დაგვეკმაყოფილებინა ჩვენი სამსახურით, თქვენ კი, სერ, ალბათ უფრო ხელგაშლილად იცხოვრებთ და ყველაფრის ახლებურად მოწყობა მოგიხდებათ.

- მაშასადამე, თქვენ და თქვენს მეუღლეს წასვლა გინდათ?

- თუ ეს რაიმე წყენას არ მოგაყენებთ, სერ.

- მაგრამ თქვენი წინაპრების რამდენიმე თაობა ხომ ბასკერვილ-ჰოლში ცხოვრობდა! სულაც არ ვისურვებდი ჩემი აქ ყოფნის პირველსავე ნაბიჯებთან იყოს დაკავშირებული ძველებური ოჯახური ურთიერთობის დარღვევა.

ლაქიის ფერმკრთალ სახეზე მღელვარების კვალი შევნიშნე.

- ეს მე და ჩემს მეუღლესაც გვიმძიმს, სერ. მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ ძალიან მიჩვეულები ვიყავით სერ ჩარლზს და მისი სიკვდილის შემდეგ დღემდე წელში ვერ გავმართულვართ. გვიმძიმს აქ დარჩენა. ჩვენ აღარ შეგვიძლია ვიგრძნოთ თავი ბასკერვილ-ჰოლში, ისე, როგორც უწინ ვგრძნობდით.

- რას აპირებთ?

- იმედი მაქვს, სერ, რაიმეს მოვახერხებთ. სერ ჩარლზმა ხომ ჩვენზე უხვი წყალობა მოიღო. ახლა კი ნება მომეცით გიჩვენოთ თქვენი ოთახები.

ძველებური ჰოლის ზედა ნაწილს მოაჯირიანი გალერეა გასდევდა, სადაც ორმალიანი კიბით შეიძლებოდა ასვლა. აქედან მთელ შენობას ჰქონდა ორი გრძელი დერეფანი, რომლებშიაც ყველა საწოლი ოთახიდან კარი გამოდიოდა. ჩემი და ბასკერვილის ოთახები ერთ ფრთედზე იყო, თითქმის ერთმანეთის პირისპირ კარი კარზე. ესენი უფრო თანამედროვედ გამოიყურებოდნენ, ვიდრე სახლის ცენტრალური ნაწილი. ოთახებში გაკრული ნათელი ფერის შპალერი და მრავალი მოციმციმე სანთელი ამსუბუქებდნენ მძიმე შთაბეჭდილებას, რაც ბასკერვილ-ჰოლში ჩამოსვლისთანავე შემექმნა.

მაგრამ, ქვედა სართულზე მოთავსებულმა სასადილომ, თავისი პირქუში იერით, მაშინვე შეგვაძრწუნა. ეს იყო გრძელი ოთახი, რომლის ერთ ბოლოში იდგა ოჯახის უფროსის მაგიდა. ეს ადგილი ერთი საფეხურით იყო ამაღლებული ოთახის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც გათვალისწინებული იყო დაბალი წოდების პირთათვის. შორეულ კიდეში იყო ქანდარა მენესტრელთათვის. ჩვენს თავს ზემოთ შავად ჩანდნენ უზარმაზარი კოჭები, უფრო მაღლა კი ჭვარტლიანი ჭერი ზიმზიმებდა. ადვილი შესაძლებელია, რომ მოგიზგიზე ჩირაღდნები, და შმაგი მხიარულება ამსუბუქებდნენ ამ ოთახის პირქუშ იერს, მაგრამ ახლა, როცა ერთადერთი შუქფარიანი ლამპის შუქზე იჯდა შავებში გამოწყობილი ორი ჯენტლმენი, მათი ხმა როგორღაც თავისთავად ყრუდ გაისმოდა. განწყობილებაც დამძიმებული გვქონდა. სრულიად ნაირნაირ კოსტიუმებში გამოწყობილ წინაპართა მთელი წყება - დაწყებული ელისაბედ დედოფლის დროის კარისკაცებით და გათავებული რეგენტობის დროინდელი სალუქებით - კედლიდან დაგვცქეროდა და სულს დუმილით გვიმძიმებდა. საუბარი როგორღაც არ ეწყობოდა და ოდნავ შვებით მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე, როცა სადილის შემდეგ საბილიარდოში - სრულიად თანამედროვე ოთახში თამბაქოს მოსაწევად გავედი.

- ვერაფერს იტყვი, მოწყობილობა სრულიადაც არ არის სახარბიელო და გამამხიარულებელი, - თქვა სერ ჰენრიმ. - ყოველივე ამას კაცი ალბათ თანდათანობით შეეჩვევა, მაგრამ ახლა თავს საკუთარ ტყავში ვერა ვგრძნობ. არ მიკვირს, რომ ბიძაჩემი, რომელიც ასეთ სახლში მარტო ცხოვრობდა, ნერვიულობდა. რას იზამ, იქნებ ძილმა გვიშველოს და დილით აქაურობა არც ისე მოსაწყენი გვეჩვენოს.

ვიდრე დავწვებოდი, ფანჯრის ფარდა გადავწიე და გარეთ გავიხედე. ფანჯარა სადარბაზო კარის წინ გაზონს გადა-ჰყურებდა. გაზონის უკან მაღალი ხეები ქარში ირხეოდნენ და კვნესოდნენ. სადღაც გამალებით მიმავალ ღრუბლებს შორის მთვარე გამოკრთა. მის ცივ შუქზე ჩანდა კლდეთა უსწორმასწორო გრეხილი და კუშტი ჭაობების გრძელი ზოლი. დარწმუნებულმა, რომ ბასკერვილ-ჰოლზე ჩემი

ახლანდელი შთაბეჭდილება სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა პირველს, ფარდა დავუშვი.

მაგრამ არც ეს შთაბეჭდილება აღმოჩნდა უკანასკნელი. დაღლილობის მიუხედავად, დაძინება არ შემეძლო, ვტრიალებდი ლოგინში და ამაოდ ვუხმობდი ძილს. სადღაც შორს ყოველ თხუთმეტ წუთში საათი რეკავდა და მთელ სახლში გამეფებულ მკვდარ დუმილს სხვა არაფერი არღვევდა. უეცრად შუაღამის ყრუ სიჩუმეში ჩემს სმენას მოსწვდა სრულიად მკაფიო ხმა. არა, ამის მოჩვენება არ შეიძლებოდა. ეს იყო ქვითინი, გულამოსკვნილი ქვითინი ქალისა, რომლის გული დარდისაგან იმსხვრევა. ლოგინიდან წამოვიწიე და სმენად ვიქეცი. ტირილი სადღაც ახლოს ისმოდა, თვითონ სახლში. დავიცადე ასე ნახევარი საათი, მთელი არსებით გულისყურად ქცეულმა, მაგრამ გარდა საათის რეკვისა და კედელზე მიტმასნილი სუროს შრიალისა, მეტი აღარაფერი გამიგონია.

თავი VII
მერიპიტჰაუსელი სტეპლტონები

დილის მაცოცხლებელმა მშვენიერებამ ჩვენი ხსოვნიდან ამოშალა ის შთაბეჭდილება, რაც ორთავეს ბასკერვილ- ჰოლთან პირველი გაცნობის შემდეგ დაგვრჩა. როცა მე და სერ ჰენრი სასაუზმოდ დავჯექით, მზის ცხოველი ნათელი იფრქვეოდა ვიწრო ფანჯრიდან, რომლის მინებზე გამოსახული ფერადი ღერბები მრავალფერ სხივთა კიაფით იატაკს დასთამაშებდა. მუქი, მუხით მოპირკეთებული კედლები მზის სხივებზე ბრინჯაოსფრად ბზინავდა, და ახლა კიდევაც გვიჭირდა იმის წარმოდგენა, რომ სულ ახალხან, წინა საღამოს ამავე ოთახმა ასეთი კაეშნით აგვივსო გულები.

- სახლი აქ არაფერ შუაშია. ალბათ თვითონ ჩვენა ვართ ყველაფერში დამნაშავე, - თქვა ბარონეტმა. - გზაში დავიღალეთ, გავითოშეთ, და აი, ყველაფერი მუქად მოგვეჩვენა. ღამით დავისვენეთ, სული მოვითქვით, თავს შესანიშნავად ვგრძნობთ, და გარშემო ყველაფერი უფრო მხიარულად გვეჩვენება.

- მაგრამ ყველაფერს ჩვენს წარმოდგენას ვერ გადავაბრალებთ, - ვუპასუხე ბასკერვილს. - მითხარით, მაგალითად, ღამით არ გაგიგონიათ ვიღაცის, მგონი, ქალის, ტირილი?

- მართლა, ბურანში წასულს მეც მომელანდა რაღაც ამნაირი. დიდხანს ვუსმენდი და მერე გადავწყვიტე, რომ ყოველივე სიზმარი იყო.

- არა, მე სრულიად გარკვევით გავიგონე ყველაფერი და დარწმუნებულიც ვარ, რომ ქალი ტიროდა.

- ახლავე უნდა მოველაპარაკოთ ბერიმორს.

მან ზარი დააწკარუნა, ლაქიას უხმო და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. მე მომეჩვენა, რომ ბერიმორს ისედაც ფერმკრთალი სახე, სულ გაუფითრდა, როცა ბატონისაგან ასეთი კითხვა მოისმინა.

- სახლში სულ ორი ქალია, სერ ჰენრი, - მიუგო ბერიმორმა. - ერთი ჭურჭლის მრეცხავია, იქითა ოთახში იძინებს, მეორე - ჩემი ცოლია, მაგრამ გარწმუნებთ, ის არ ტიროდა.

და მაინც ამ კაცმა სიმართლე არ გვითხრა. სადილის შემდეგ მე უცაბედად შევხვდი მისის ბერიმორს დერეფანში, დღისით, მზისით. ეს იყო მაღალი, ძალიან მშვიდი, თავდაჭერილი ქალი, მრგვალი სახე და მკაცრად მოკუმული ბაგეები ჰქონდა.

მაგრამ თვალებმა - წითელმა, წამოსივებულმა ქუთუთოებმა გასცეს ბერიმორის მეუღლე. მაშასადამე, ღამით ამ ქალს უტირია, ხოლო თუ ეს ასე იყო, ქმარს აუცილებლად უნდა სცოდნოდა. ამ კაცმა კი გაბედა და უარზე დადგა, თუმცა შეიძლებოდა, სიცრუეში დაეჭირათ. რისთვის? რატომ ტიროდა ქალი ასე გულამოსკვნით? ამ ფერმკრთალსა და კეთილსახიერ, შავწვერა კაცს, რაღაც იდუმალი და პირქუში ნისლი ებურა. მან პირველმა აღმოაჩინა სერ ჩარლზის გვამი, და მოხუცი ბასკერვილის სიკვდილის გარემოებანი ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ ამ კაცის სიტყვებიდან. ნუთუ ეს ბერიმორი ვიხილეთ კებში რიჯენსტრიტზე? ყოველ შემთხვევაში, წვერი სწორედ ამისი ჰქონდა. კებმენი ლაპარაკობდა შუა ტანის კაცზე, მაგრამ ეს შთაბეჭდილება შეიძლებოდა მცდარი ყოფილიყო. როგორღა დავადგინო ჭეშმარიტება? უპირველეს ყოვლისა, ცხადია, უნდა ვნახო საფოსტო კანტორის უფროსი გრიმპენში და გავიგო მისგან, უშუალოდ ბერიმორს მისცეს თუ არა ხელში ჩვენი დეპეშა. ისედაც და ასედაც, ყოველ შემთხვევაში, შერლოკ ჰოლმსისათვის შესატყობინებელი მასალა ხელში მექნება.

სერ ჰენრი საუზმის შემდეგ საქმიანი ქაღალდების სინჯვას შეუდგა, და მე სრულიად თავისუფალი დრო მომეცა. ოთხიოდე მილი გავიარე კარგ გზაზე, ჭაობის გაყოლებით და ერთ პატარა, ულაზათო სოფელში შევედი. თვალში მომხვდა ორი შედარებით უფრო წარმოსადეგი შენობა - სასტუმრო და ექიმ მორტიმერის სახლი. საფოსტო კანტორის უფროსს, რომელიც ამასთანავე აქაური მედუქნეც აღმოჩნდა, ჩვენი დეპეშა დაემახსოვრებინა.

- ცხადია, სერ, - მითხრა მან, - დეპეშა პირდაპირ მიერთვა მისტერ ბერიმორს, როგორც იყო მითითებული.

- ვინ წაიღო?

- ჩემმა ბიჭმა. ჯეიმს, შენ არ წაუღე დეპეშა ბასკერვილ-ჰოლში მისტერ ბერიმორს?

- ჰო, მამა.

- და პირადად მას გადაეცი?

- არა, მისტერ ბერიმორი სხვენზე იყო, დეპეშა მივეცი მის ცოლს, ასე დამპირდა, ახლავე გადავცემო.

- თვითონ მისტერ ბერიმორი ნახე?

- არა, სერ, აკი მოგახსენეთ, სხვენზე იყო-მეთქი.

- საიდან იცი, სად იყო, თუკი თვითონ არ გინახავს?

- აბა, რა საკადრისია, ცოლმა ხომ იცოდა, სადაც იყო მისი ქმარი! - თქვა გაბრაზებულმა ფოსტის უფროსმა. - დეპეშა ხომ ჩაბარებულია? ხოლო თუ რაიმე შეცდომა მოხდა, თვითონ მისტერ ბერიმორმა იჩივლოს.

დაკითხვის გაგრძელებას აზრი აღარა ჰქონდა, მაგრამ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ჰოლმსის ეშმაკური ხერხი ფუჭი აღმოჩნდა, და ჩვენ მაინც არ ვიცოდით, გაემგზავრა თუ არა ბერიმორი მაშინ ლონდონს. დავუშვათ, რომ გაემგზავრა. დავუშვათ, რომ მან უკანასკნელმა ნახა ცოცხალი სერ ჩარლზი და პირველმა მიაკვლია მის მემკვიდრეს, როგორც კი იმან ინგლისში ფეხი შემოდგა. რა გამოდის აქედან? ბერიმორი ვინმეს შეგონებით მოქმედებს, თუ თვითონ აქვს თავისი საკუთარი ვერაგული გეგმები? რა აზრი აქვს მისთვის ბასკერვილების დევნას? მე გამახსენდა გაზეთიდან ამოჭრილი სიტყვებისაგან შედგენილი უცნაური გაფრთხილება. ნუთუ ეს ბერიმორის ნახელავია? ან იქნებ სხვა ვინმემ გამოაგზავნა, ვინც მისი ხელის შეშლას ცდილობს. ერთადერთი დამაჯერებელი ახსნა ამ ამბებს მისცა სერ ჰენრიმ, როცა თქვა, რომ თუ ბასკერვილთა საგვარეულო მამულიდან

ბასკერვილების განდევნა მოხერხდა, მაშინ ცოლ-ქმარი ბერიმორები სიკვდილამდე უზრუნველად იცხოვრებენო. მაგრამ განა ეს რამენაირად ამართლებს ღრმა და დახვეწილ ინტრიგას, რომელიც უხილავ ქსელში ხვევს ახალგაზრდა ბარონეტს? ჰოლმსმა თვითონვე აღიარა, რომ მის ყველა სენსაციურ კვლევათა შორის ეს ყველაზე უფრო დახლართული და რთული საქმეა. მოვდიოდი, მოვყვებოდი უკაცურ, პირქუშ გზას და ღმერთს ვთხოვდი, რომ ჩემი მეგობარი რაც შეიძლებოდა მალე განთავისუფლებულიყო, ჩამოსულიყო და ჩემთვის ეგზომ სამძიმო პასუხისმგებლობა მოეხსნა.

ჩემი ფიქრი ანაზდად შეწყვიტა სწრაფი ნაბიჯის ხმამ, რაც ზურგიდან მომესმა. ვიღაცამ სახელი დამიძახა. მოვიხედე, მეგონა ექიმ მორტიმერს დავინახავდი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად უკან ვიღაც მაღალი, ოცდათხუთმეტ-ორმოცი წლის ქერა გამხდარი კაცი მომდევდა. იგი სუფთად იყო გაპარსული. ვიწრო გრძელი ნიკაპი ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. რუხი კოსტიუმი ეცვა და ჭილის ქუდი ეხურა. მხარიღლივ გადაკიდებული ჰქონდა თუნუქის ბოტანიკური კოლოფი, ხელში კი პეპლების საჭერი მწვანე ბადე ეჭირა.

- მომიტევეთ ჩემი სითამამე, ექიმო უოტსონ, - დაიწყო უცნობმა ისე, რომ რიგიანად სულის ამოთქმაც ვერ მოასწრო. - აქ ასეთი მოურიდებელი ხალხი ვართ და არ ველოდებით ხოლმე ოფიციალურ წარდგენას. ალბათ გაგონილი გექნებათ ჩემი სახელი ჩვენი საერთო მეგობრის მორტიმერისაგან. მე მერიპიტჰაუსელი სტეპლტონი ვარ.

- თქვენ ადვილად გიცნობთ კაცი კოლოფითა და ბადით, - ვთქვი მე, რადგან ჩემთვის ცნობილი იყო, რომ მისტერ სტეპლტონი ნატურალისტია, მაგრამ თქვენ როგორღა გამოიცანით, ვინა ვარ მე?

- მორტიმერთან ვიჯექი და ფანჯრიდან დამანახა თქვენი თავი, როცა მის სახლს ჩაუარეთ. ერთი გზა გვაქვს და გადავწყვიტე დაგწეოდით, თვითონ წარმომედგინა თქვენთვის ჩემი თავი. იმედი მაქვს, სერ ჰენრი ძალიან არ დაიღლებოდა ხანგრძლივი მოგზაურობით.

- არა, ჩინებულად გრძნობს თავს, გმადლობთ.

- ჩვენ ყველას გვეშინოდა, რომ განსვენებული სერ ჩარლზის სავალალო აღსასრულის შემდეგ ახალი ბარონეტი აღარ ისურვებდა აქ ცხოვრებას. ძნელია მოსთხოვო შეძლებულ კაცს, რომ თავი ცოცხლად დაიმარხოს ასეთ მიყრუებულ მხარეში, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა ექნება მის აქ ყოფნას მთელი ოლქისათვის. მე მგონია, აქ მომხდარმა ამბავმა ცრუმორწმუნესავით შიში ვერ ჩაუნერგა სერ ჰენრის.

- არა, არ მგონია.

- თქვენ, რა თქმა უნდა, იცით ლეგენდა საზარელ ძაღლზე, რომელიც თითქოს ბასკერვილების გვარს დევნის.

- დიახ, ვიცი.

- რა ცრუმორწმუნე ხალხია აქაური ფერმერები! პირდაპირ გასაოცარია! თითქმის ყველანი მზად არიან დაიფიცონ, რომ თავიანთი თვალით ნახეს ეგ ძაღლი ჭაობებში. - სტეპლტონი ღიმილით ლაპარაკობდა, მაგრამ მის თვალებში ამოვიკითხე, რომ თავის ნათქვამს ბევრად უფრო სერიოზულად ეკიდება. - ლეგენდამ სრულიად მოიცვა სერ ჩარლზის არსება და ამან მოიყვანა ასეთ ტრაგიკულ აღსასრულამდე.

- რანაირად?

- როცა ადამიანს ასე დაძაბული აქვს ნერვები, ყოველი ძაღლის გამოჩენა შეიძლება საბედისწეროდ გათავდეს სუსტი და სნეული გულისათვის. მე ვფიქრობ,

რომ იმ საღამოს სერ ჩარლზმა ნამდვილად ნახა რაღაც მსგავსი ურთხელის ხეივანში. ძალიან მიყვარდა მოხუცებული კაცი, ვიცოდი, რომ ავადმყოფი გული ჰქონდა და ვგრძნობდი, რაღაც უბედურება მოხდებოდა.

- საიდან იცოდით, რომ სნეული გული ჰქონდა?

- ჩემი მეგობრის მორტიმერისაგან მქონდა გაგებული.

- მაშასადამე, თქვენ გგონიათ, რომ სერ ჩარლზს მართლა თავს დაესხა რაღაც ძაღლი და ამის შედეგად მოკვდა?

- იქნება თქვენ გაქვთ რაიმე უფრო სარწმუნო ცნობები?

- არა, მე ჯერ კიდევ ვერ მივსულვარ გარკვეულ დასკვნებამდე.

- მისტერ შერლოკ ჰოლმსი?

ერთი წამით სუნთქვა შემეკრა ამ სიტყვების გაგონებაზე, მაგრამ ჩემი თანამოსაუბრის მშვიდი სახე და მტკიცე გამოხედვა იმაზე მეტყველებდნენ, რომ სულაც არ ფიქრობდა მოულოდნელად დავებნიე თავისი კითხვით.

- ექიმო უოტსონ, რა საჭიროა თავის მოკატუნება, თითქოს არ გიცნობდეთ? - მითხრა ახალმა ნაცნობმა. - სახელგანთქმული მაძებრის ამბავი ჩვენს მხარესაც მოედო, და განა შეგიძლიათ იგი ისე განადიდოთ, რომ თვითონ ჩრდილში დარჩეთ? ექიმმა მორტიმერმა აშკარად თქვა, რომ თქვენ სწორედ ის ექიმი უოტსონი ბრძანდებით. და რაკი თქვენ აქ გამოჩნდით, მაშასადამე, მისტერ შერლოკ ჰოლმსი დაინტერესებულია ამ ამბით, და მეც, ბუნებრივია, ცნობისმოყვარეობა მძლევს, მინდა გავიგო მისი თვალსაზრისი.

- სამწუხაროდ, მე არ შემიძლია გიპასუხოთ კითხვაზე.

- მაშინ ნება მომეცით, გკითხოთ: ხომ არ დაგვდებს პატივს თავისი ჩამოსვლით მისტერ შერლოკ ჰოლმსი?

- ახლა მას არ შეუძლია ლონდონიდან გასვლა, სხვა საქმეები აქვს.

- რა საწყენია! ის შუქს მოჰფენდა იმას, რაც ჩვენთვის ბინდით არის მოცული. მაგრამ თქვენც ხომ აწარმოებთ ძიებას, ექიმო უოტსონ? და თუ შემიძლია თუნდაც რაიმეთი ხელი გაგიმართოთ, მიმსახურეთ ისე, როგროც გენებოთ. ერთი მინიშნებაც მეყოფა, თუ ვისზე გაქვთ ეჭვი, და მაშინვე შევუდგები საქმეს. იქნებ ისედაც იყოს, ახლავე გამოგადგეთ რჩევით ან მითითებით.

- გარწმუნებთ, მე მხოლოდ სტუმრად ჩამოვედი ჩემს მეგობართან, სერ ჰენრისთან, და არავითარი დახმარება არ მესაჭიროება.

- ჩინებულია! - შესძახა სტეპლტონმა. - სრულიად მართებულად იქცევით: სიფრთხილეს თავი არ სტკივა. სავსებით დავიმსახურე ასეთი მკვახე პასუხი ჩემი აბეზარობით და გპირდებით, მეტად აღარ შევეხები ამ საკითხს.

იმ ადგილამდე მივედით, სადაც გზის მარჯვენა მხარეს იწყებოდა ბალახით დაფარული ბილიკი და ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ზოლად გადიოდა ჭაობებში. მარცხნივ აღმართულიყო ფრიალო, კაჭრებით მოფენილი ბორცვი, რომელზედაც ძველად გრანიტს ამუშავებდნენ, ციცაბო ფერდობის გზისპირა მხარე ხშირი გვიმრით და მაყვლით იყო დაფარული. შორს ჰორიზონტზე კვამლის მუქი ბოლქვები ტაატით მიიწევდნენ ზეცისაკენ.

- ამ ბილიკს თუ გავყვებით, მერიპიტჰაუსი არც ისე შორსაა, - თქვა სტეპლტონმა. - გასწირეთ ერთი საათი დრო, და მექნება სასიამოვნო შემთხვევა ჩემს დას წარვუდგინო თქვენი თავი.

პირველ წამს გავიფიქრე, სერ ჰენრის ახლო უნდა ვიყო-მეთქი, მაგრამ შემდეგ გამახსენდა ანგარიშები და ქაღალდები, რომლებიც ზვინად ეყარა მის მაგიდაზე. ამ საქმეში ვერაფერს დავეხმარებოდი. ჰოლმსი კი მთხოვდა გავცნობოდი ადამიანებს,

რომლებიც ცხოვრობდნენ ბასკერვილ-ჰოლის მეზობლად ამიტომ მივიღე სტეპლტონის მიწვევა და ჩვენ ერთად შევუხვიეთ მარჯვნივ.

- შესანიშნავი ადგილებია აქ, - მითხრა თანამგზავრმა, რომელიც გასცქეროდა მწვანე ბორცვების ტალღოვან ხაზს, რომლის თავზეც გრანიტის მთაგრეხილის ფანტასტიკური მოხაზულობა ზღვის ზვირთებივით აღმართულიყო. ეს ჭაობები მზერას არასოდეს არ ღლიან. მერე, რამდენ საიდუმლოებას შეიცავენ - უნაპირონი, უდაბურნი, გამოუცნობელნი!

- კარგად იცნობთ ამ ჭაობებს?

- სულ მეორე წელია, რაც ამ მიდამოებში ჩამოვსახლდი. ძველი ადგილობრივი მცხოვრებლები ალბათ ჯერაც ახალბედას მეძახიან. სერ ჩარლზის ჩამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ გადმოვედით, მაგრამ ჩემი მოწოდების წყალობით მოკლე ხანში მოვასწარი აქაურობის გამოკვლევა, ყოველ კუთხე-კუნჭულს ვიცნობ. იმასაც გეტყვით, რომ ტორფის ჭაობებს ჩემზე უკეთ არავინ არ იცნობს.

- განა ეს ასე ძნელი საქმეა?

- სრულიადაც არ არის ადვილი. აი, მაგალითად, დააკვირდით იმ ვაკეს, აქა-იქ აღმართული უცნაური გორაკებით. თქვენი აზრით, ეს ადგილი რით არის შესანიშნავი?

- ცხენის საჭენებლად არის კარგი.

- თქვენს ადგილზე ყველა ასე იტყოდა, მაგრამ ბევრს სიცოცხლედ დაუჯდებოდა ასეთი შეცდომა. ხედავთ, რამდენი ღია მწვანე ფერის მდელოა?

- ჰო, ეს ალბათ უკეთესი მიწებია?

სტეპლტონმა გაიცინა:

- თქვენს წინაშეა გრიმპენის უზარმაზარი ჭანჭრობი, - თქვა ნატურალისტმა. - ამ ჭაობში მოხვედრილი კაცი თუ ცხოველი დაღუპულია. საკმარისია ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და მორჩა. აი, გუშინ ვნახე, როგორ შეხეტიალდა იქ ვიღაცის პონი და, რა თქმა უნდა, დაიღუპა. დიდხანს ჩანდა პონის თავი ჭანჭრობის ზედაპირზე. საბრალო, ისე ფართხალებდა, კისერს იგრძელებდა, ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ ბოლოს ლიამპალმა შთანთქა. გვალვაშიაც საშიშია იქ სიარული, შემოდგომის წვიმების შემდეგ კი ეს ნამდვილად სასიკვდილო ადგილია. ამის მიუხედავად არა ერთხელ შევსულვარ გრიმპენის ჭანჭრობის შიგ შუაგულში და იქიდან ცოცხალი მოვბრუნებულვარ. შეხეთ! კიდევ ერთი უბედური პონი!

მწვანე ლელიანში რაღაც მოშავო საგანი კოტრიალობდა და ფართხალებდა. შემდეგ შამბნარში გაიელვა ტანჯვით წინ წამოწეულმა კისერმა, და ჭაობები შესძრა საშინელმა შეძახილმა. მე შიშით გამაცივა, მაგრამ ჩემს თანამგზავრს, ეტყობა, ჩემზე ძლიერი ნერვები ჰქონდა.

- რა თქმა უნდა! - თქვა მან, - ჩაითრია. ეს მეორეა ამ ორ დღეში, მარტო მე რაც ვნახე. რამდენი ისე დაიღუპა, ვინ იცის! წავლენ გვალვაში და შემოდგომამდე იქა რჩებიან. ვიდრე არ დაიღუპებიან. დიახ, გრიმპენის ჭაობი - საზარელი ადგილია.

- და თქვენ მაინც დადიხართ იქით?

- ჰო, იქ ორი-სამი ბილიკია, მარდი კაცი იოლად გავა. ყველა ვიპოვე და გვარიანადაც შევისწავლე.

- მაინც რა გინდათ ასეთ საშიშ ადგილებში?

- აგერ, ხედავთ იმ შორეულ ბორცვებს? ეს ნამდვილი კუნძულებია გაუვალ საფლობებს შორის, რომელთაც თანდათან გარემოიცვეს ეს კუნძულები ყოველი მხრიდან. გაიკვლიეთ მათ შორის გზა და თქვენ ნახავთ, რა იშვიათი მცენარეებია იქ, რა პეპლები!

- როდისმე ვეცდები.

სტეპლტონმა გაოცებით შემომხედა.

- ღვთის გულისათვის, თავიდან მოიშორეთ ეგ აზრი! - შესძახა ნატურალისტმა. - თქვენი დაღუპვა ჩემს სინდისს დააწვება. უკან ვეღარ დაბრუნდებით, დამიჯერეთ. მე თვითონ მხოლოდ იმისათვის ვბედავ იქით წასვლას, რომ მაქვს ნიშანთა რთული სისტემა.

- შეჩერდით! - შევძახე უცებ. - ეს რა არის?

ჭაობებიდან ხმადაბალი, გაბმული და გამოუთქმელად ნაღვლიანი ყმუილი გაისმა, ჰაერი გაიჟღინთა ამ ხმით, მაგრამ საიდან ისმოდა, ამის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. გაურკვეველი კვნესით დაწყებული, თანდათან გადავიდა ყრუ ღმუილში და ისევ დაეშვა გულის გამგმირავ გოდებამდე. სტეპლტონმა რაღაც უცნაურად გადმომხედა.

- საიდუმლოებით მოცული ადგილებია ეს ჭაობები, - თქვა წყნარად.

- რა არის ეს?

- ფერმერები ამბობენ, ასე ბასკერვილების ძაღლი ყმუის, როცა მსხვერპლს დაინახავსო. ადრეც მსმენია, მაგრამ დღეს რაღაც ძალიან ხმამაღლა ყმუის.

ელდის ცახცახით ატანილმა, თვალი მწვანე შამბნარით დაფარულ ჰორიზონტისაკენ გაზიდულ დაბლობს მოვავლე. არავითარი შრიალი, არავითარი ნიშანი სიცოცხლისა - მხოლოდ ორი ყორანი იჯდა ქვის სვეტზე ჩვენს უკან და ყრანტალებდა.

- თქვენ ხომ ნასწავლი კაცი ხართ! ასეთი სისულელით თქვენი გაბრიყვება ძნელია, - ვთქვი მე, - როგორ ახსნით ამ ყმუილს?

- ჭანჭრობი ხშირად გამოსცემს ძალიან უცნაურ ხმებს. იქნება შლამი წვება, იქნება წყალი მატულობს, იქნებ, ვინ იცის კიდევ, რა.

- არა, არა! ეს იყო ცოცხალი არსების ხმა.

- შეიძლება. არასოდეს მოგისმენიათ წყლის ბუღას ძახილი?

- არა, არ მომისმენია.

- ინგლისში ახლა ეს ფრინველი იშვიათია, არსებითად ყანჩის ეს სახე გადაშენდა, მაგრამ ასეთ ჭაობებში ყველაფერია მოსალოდნელი. სულაც არ გამიკვირდებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ჩვენ მოგვესმა ამ ფრინველის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის ხმა.

- ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია უფრო უცნაური და შემაძრწუნებელი ხმები!

- რა სალაპარაკოა, იდუმალებით მოცული ადგილებია. შეხედეთ იმ გორაკს. როგორ ფიქრობთ, ეს რა უნდა იყოს?

ციცაბო ფერდობი თითქოს რუხი ქვის რგოლებით იყო დაფარული. ოცამდე ასეთი რგოლი დავთვალე.

- ეს რაღაა? ფარეხები?

- არა, ეს ჩვენი პატივცემული წინაპრების საცხოვრებლებია. წინაისტორიული ადამიანი მჭიდროდ იყო დასახლებული ტორფის ჭაობებში, ხოლო რაკი მათ შემდეგ აქ აღარავის უცხოვრია, ეს შინაური მყუდრო ბუდე მთელი და ხელუხლებელი დარჩა. მხოლოდ სახურავებია გადახდილი. ვისაც სურს, შეუძლია მივიდეს და ნახოს მათი ბინები და საწოლი.

- მთელი პატარა ქალაქია! როდის იყო ეს ადგილი დასახლებული?

- ნეოლითის ხანაში. უფრო ზუსტი დრო არ არის დადგენილი.

- რა საქმიანობას ეწეოდა მაშინდელი ადამიანი?

- ჯოგებს აძოვებდა აქვე, ამ ფერდობებზე, ხოლო როცა ქვის ნაჯახმა თანდათან დაუთმო ადგილი ბრინჯაოს კეტს, კალის მოპოვება ისწავლა. ხედავთ იმ თხრილს მოპირდაპირე გორაკზე? ეს მისი მუშაობის კვალია. დიახ, ექიმო უოტსონ, ჩვენს ჭაობებში თქვენ იპოვნით საგულისხმო თავისებურებას. აჰ! მომიტევეთ, გეთაყვათ ეს, ალბათ, ციკლოპიდესია!

პატარა ფარვანამ ჩაგვიქროლა, და სტეპლტონი განსაცვიფრებელი სიმარდითა და სისწრაფით დაედევნა დასაჭერად. თავზარდაცემულმა შევნიშნე, რომ პეპელა პირდაპირ ჭანჭრობისაკენ გაფრინდა, ჩემი ახალი ნაცნობი კი, თითქოს აქ არაფერიაო, ბელტიდან ბელტზე ხტომით დაედევნა, ბადით აღჭურვილი. რუხი კოსტიუმი და მკვეთრი მოძრაობა თვითონ მას რომელიღაც უზარმაზარ პეპელას ამსგავსებდა, ვიდექი და რაღაც აღტაცებისა და შიშის ნარევი გრძნობით შევცქეროდი. სულ მეჩვენებოდა, რომ სადაც არის ფეხი დაუცდება და მუხთალ ჭანჭრობში ჩაინთქმება-მეთქი. უეცრად ფეხის ხმა მომესმა. მოვიხედე და თითქმის ჩემ გვერდით ქალი დავინახე. იქითა მხრიდან მოსულიყო, სადაც კვამლი ჩანდა, მერიპიტ-ჰაუსის სიახლოვის მაჩვენებელი, მაგრამ აქამდე არ შემეძლო მისი დანახვა, რადგან ბილიკი, რომლითაც მოვიდა, იქვე დაღმართში იკარგებოდა.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს იყო მის სტეპლტონი, რადგან ამ ადგილებში სხვა ქალის ხილვის მოლოდინი ნაკლებად უნდა მქონოდა. ამას გარდა, ამ ქალზე გაგონილი მქონდა, მშვენიერი არსებააო, და მართლაც, ბილიკით მომავალი ქალი გასაოცარი სილამაზის პატრონი იყო - უჩვეულო სილამაზისა. უფრო მეტი განსხვავება და-ძმას შორის ძნელი წარმოსადგენი იყო. ძმა შეუხედავი, ქერა, ჭროღათვალებიანი, ეს კი - შავგვრემანი, რომლის მსგავსი ინგლისში არც მინახავს. პირდაპირ ცეცხლი იყო, მერე რა მოხდენილი, მოყვანილი, მაღალი. ამ ქალის ნატიფი, ამაყი ნაკვთები იმდენად სწორი იყო, რომ მრავლისმეტყველი ტუჩები და მშვენიერი შავი თვალების ელვისებური მზერა რომ არა, მისი სახე უსიცოცხლო გეგონებოდათ.

ძვირფას კაბაში მოხდენილად გამოკვალთული ასეთი იდეალური აღნაგობის არსების ხილვა უჩვეულო და მოულოდნელი იყო უკაცურ ბილიკზე, რომელიც ტორფის ჭაობებში მიიკლაკნებოდა. როცა მოვიხედე, ამ ქალის მზერა სტეპლტონისაკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ მაშინვე მოუჩქარა ნაბიჯს და ჩემთან მოვიდა. ქუდი მოვიხადე, გავემზადე, რომ ამეხსნა ჩემი აქ ყოფნის მიზეზი, მაგრამ უეცრად მისმა სიტყვებმა ჩემი ფიქრები სულ სხვა მხარეს წარმართეს.

- მიატოვეთ აქაურობა! - მითხრა ქალმა, - და დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ ლონდონს.

ამის პასუხად სხვა ვერაფერი მოვახერხე, მხოლოდ შეძრწუნებული მზერა მივაპყარი. ქალმა მოუთმენლად და-ჰკრა ფეხი მიწას, მის თვალებში ნაპერწკალმა გაიელვა.

- რისთვის უნდა გავემგზავრო? - ვკითხე.

- ნუ ითხოვთ ახსნა-განმარტებას. - ქალი ლაპარაკობდა წყნარად, სწრაფად და ოდნავ ენამოჩლექით. - ღვთის გულისათვის, დამიჯერეთ! გაემგზავრეთ, რომ მეტად თქვენი ფეხი აღარ იყოს ამ ჭაობებში!

- კი მაგრამ, მე ხომ ეს არის ჩამოვედი!

- ღმერთო ჩემო, - შესძახა ქალმა, - ნუთუ არ გესმით, რომ თქვენთვის სიკეთე მინდა? გაემგზავრეთ ლონდონს! დღესვე! თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება! ჩუ! ჩემი ძმა მოდის! სიტყვა არ დაძრათ მასთან... გეთაყვათ, მომიწყვიტეთ აი ის ჯადვარი. აქ ჩვენთან ბევრი ორქიდეაა, მაგრამ თქვენ ცოტა დაგაგვიანდათ: შემოდგომაზე ისინი უკვე ჭკნობას იწყებენ.

სტეპლტონმა თავი ანება პეპელას დევნას და ჩვენთან ერთიანად გაწითლებული და აქოშინებული მოვიდა.

- აჰ, ეს შენა ხარ, ბერილ! - თქვა მან, მაგრამ ამ მისალმებაში განსაკუთრებული გულთბილობა ვერ შევნიშნე.

- როგორ გირბენია, ჯეკ!

- ჰო, ციკლოპიდესის იშვიათ ეგზემპლარს დავედევნე. გვიან შემოდგომაზე აქ მათი ნახვა არც ისე ადვილია. წარმოიდგინე, რა საწყენია, ვერ დავიჭირე!

მშვიდი, დაუდევარი კიოლთი ლაპარაკობდა და თან თავისი პატარა ჭროღა თვალებით ხან მე შემომხედავდა, ხან დას.

- მგონი, გაცნობა უკვე მოგისწრიათ?

- დიახ, მე ვეუბნებოდი სერ ჰენრის, ახლა უკვე გვიან არის ჩვენი მიდამოების სილამაზით თვალის შექცევა - ჯადვარი უკვე ჭკნება-მეთქი.

- რაო? როგორ ფიქრობ, ვინ დგას შენ წინ?

- სერ ჰენრი ბასკერვილი.

- არა, არა - წარმოვთქვი მე. - ნუ მაჯილდოვებთ სხვისი ტიტულით. მე მხოლოდ სერ ჰენრის მეგობარი ვარ - ექიმი უოტსონი.

ქალის მეტყველ სახეს წყენის სიწითლემ დაუარა.

- მაშასადამე, ისე ვლაპარაკოდით, ერთიმეორისა არა გვესმოდა რა, - თქვა მან.

- არც ამდენი დრო გქონდათ სალაპარაკოდ, - თქვა სტეპლტონმა ისე, რომ გამომცდელი მზერა დისთვის არ მოუშორებია.

- ექიმი უოტსონი ჩვენს მეზობლად მივიჩნიე, - თქვა ქალმა. - მაგრამ, როგორც ვატყობ, მისთვის სულ ერთია, ჰყვავის ჯადვარი თუ ჭკნება. ისე ხომ მაინც შემოივლით ჩვენსას მერიპიტ-ჰაუსში?

რამდენიმე წუთში ჩვენ მივაღწიეთ შესახედავად პირქუშ ფერმას. შორეულ წარსულში ეს შენობა რომელიღაც შეძლებული მესაქონლის საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი უფრო თანამედროვე ყაიდაზე გადაეკეთებინათ. ფერმას გარშემო პატარა ბაღი ერტყა. აქაც, ისევე როგორც მთელ ჭაობებზე, დაბალი, ჯუჯა, ჩია ხეები იზრდებოდა. მსახური, რომელმაც კარი გაგვიღო, ისეთივე იყო, როგორიც ამ სახლს შეეფერებოდა - მოხუცი, მთლად დანაოჭებული, ჩაყვითლებულ სერთუკში გახვეული. მაგრამ ოთახებმა თავიანთი სიდიდითა და მოხდენილობით გამაკვირვეს. ეს უკანასკნელი, ეტყობა, დიასახლისის გემოვნებას უნდა მიეწეროს. ფანჯრიდან გადავხედე უნაპირო, გრანიტის ლოდებით მოფენილ ჭაობს, რაც ჰორიზონტის ხაზამდე აღწევდა, და გავიფიქრე: «რამ მოიყვანა ამ მიყრუებულ მხარეში ეს განათლებული ადამიანი და მისი მშვენიერი და?»

- უცნაური ადგილი აგვირჩევია სამოსახლოდ, არა? - თქვა სტეპლტონმა თითქოს ჩემი ფიქრების პასუხად. - და მაინც აქ საუცხოოდ ვგრძნობ თავს. ხომ მართალია, ბერილ?

- ჰო, ძალიან კარგად, - მიუგო ქალმა, მაგრამ მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა.

- მე მკოლა მქონდა ჩრდილოეთის ერთ-ერთ საგრაფოში, - თქვა სტეპლტონმა. - ჩემი ტემპერამენტის ადამიანისათვის ასეთი საქმე ცოტა მშრალი და უინტერესოა, მაგრამ მე მიზიდავდა მჭიდრო კავშირი ახალგაზრდობასთან. რა ბედნიერებაა გადასცე მათ შენი ცოდნა, შენი იდეები, ხედავდე, როგორ ყალიბდებიან შენ თვალწინ ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანები! მაგრამ ბედმა გვიმუხთლა. სკოლაში ეპიდემიამ იფეთქა და სამი ყმაწვილი მოკვდა. ასეთი დარტყმის შემდეგ ვერ იქნა, ვერ გამოვასწორეთ საქმეები, ჩემი კაპიტალის მეტი ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა. და

მაინც, ჩემს საყვარელ ბავშვებთან განშორება რომ არა, მოხარულიც ვიქნებოდი ამ მარცხისა, რადგან ჩემსავით ბოტანიკით და ზოოლოგიით გატაცებული ადამიანისათვის აქ სამუშაოდ ხელუხლებელი და მდიდარი მხარეა. ამას გარდა, ჩემი დაც ბუნების არა ნაკლებ მოყვარულია. ეს აღსარება, ექიმო უოტსონ, თვითონვე დაიტეხეთ თავს: რა გრჯიდათ, რომ ასე ნაღვლიანად გადახედეთ ფანჯრიდან ჩვენს ჭაობებს!

- დიახ, არ უარვყოფ, მართლა მეჩვენა, რომ აქ ცხოვრება მოსაწყენია, თქვენთვის იმდენად არა, რამდენადაც თქვენი დიასახლისისათვის.

- არა, სულაც არა ვარ აქ მოწყენილი, - სწრაფად მომიგო ქალმა.

- ჩვენ მეცნიერულ მუშაობას ვეწევით, გვაქვს დიდი ბიბლიოთეკა და გვყავს ძალიან საინტერესო მეზობლები. ექიმი მორტიმერი თავის დარგში ფრიად ნაკითხი კაცია. უბედური სერ ჩარლზი აგრეთვე მშვენიერი თანამოსაუბრე იყო. ძალიან ახლოს ვიყავით ერთიმეორესთან, და არც კი შემიძლია გადმოგცეთ, როგორ გვიმძიმს ეს დანაკლისი. რას იტყვით, თუ დღეს ვინახულებ სერ ჰენრის? ხელს ხომ არ შევუშლი?

- დარწმუნებული ვარ, თქვენი გაცნობა ძალიან გაუხარდება.

- მაშინ სიკეთე მიყავით და შეატყობინეთ წინასწარ. იქნებ პირველ ხანებში, ვიდრე ახალ ადგილს არ შეეჩვევა, რამეში გამოვადგეთ. ახლა კი, ექიმო უოტსონ, ამობრძანდით ზევით, ფრთაქერცლოვანთა კოლექციას გიჩვენებთ. გავკადნიერდები და გეტყვით, რომ ასეთ სრულ კოლექციას ინგლისის ამ ნაწილში ვერსად ნახავთ. ხოლო იმ დროისათვის, როცა დათვალიერებას დავასრულებთ, საუზმეც მზად იქნება.

მაგრამ მე უკვე მიმეჩქარებოდა ჩემს მეურვეობაში მყოფ სერ ჰენრისთან. ჭაობების ნაღვლიანობამ, უბედური პონის დაღუპვამ, გამოუცნობმა ყმუილმა, რაც უეჭველად რაღაც კავშირში იყო შავბნელ ლეგენდასთან, ბასკერვილების გვარში რომ არსებობდა, - ფრიად ნაღვლიან გუნებაზე დამაყენა. ხოლო ამ მეტნაკლებად ბუნდოვან წარმოდგენებს თუ მის სტეპლტონის არცთუ ორაზროვანი სიტყვები დაემატებოდა, რომელთაც ისეთი დამარწმუნებელი ძალა ჰქონდა, რომ მათ სიმართლეში ეჭვიც არ მეპარებოდა, მაშინ ჩემი მოწყენისა და აჩქარების მიზეზი ადვილი ასახსნელი გახლდათ. უარი ვთქვი საუზმეზე, თუმცა დაჟინებით მეპატიჟებოდნენ, და იმავე ბილიკით შინისაკენ გავეშურე.

მაგრამ ამ ბილიკის გარდა აქ, ეტობა, იყო მეორეც, უფრო მოკლე, რადგან გზაზე გასვლაც ვერ მოვასწარი, რომ მის სტეპლტონი დავინახე, პირდაპირ ჩემს თვალწინ აღიმართა, აწითლებული ლოყები კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას ჰმატებდნენ. იჯდა გზის პირას ქვაზე, მძიმედ სუნთქავდა და მკერდზე ხელს იჭერდა.

- მინდოდა დაგწეოდით, ექიმო უოტსონ, და მთელი გზა სირბილით გამოვიარე, - თქვა ჩემს მიახლოებაზე. - ქუდის დახურვაც კი ვერ მოვასწარი. დაყოვნება არ შემიძლია, რადგან ძმა ჩემს არყოფნას შენიშნავს. მინდა მხოლოდ პატიება გთხოვოთ ჩემი უგუნური შეცდომისათვის: მე ხომ სერ ჰენრი მეგონეთ. გთხოვთ დაივიწყოთ ყველაფერი, რაც გითხარით, თქვენთან ამას არაფერი საერთო არა აქვს.

- როგორ შემიძლია ამის დავიწყება, მის სტეპლტონ! ჩემი მეგობრის, სერ ჰენრის ბედი ძალიან მაწუხებს. მითხარით, რატომ ითხოვდით ასე დაჟინებით მის გამგზავრებას ლონდონში?

- ქალის კაპრიზია, ექიმო უოტსონ! როცა უფრო დავუახლოვდებით ერთმანეთს, თქვენ დარწმუნდებით, რომ ყოველთვის არ შემიძლია ავხსნა ჩემი სიტყვები და საქციელი.

- არა, არა! მე მახსოვს, რა აღელვებული იყავით. მახსოვს თქვენი თვალები. მის სტეპლტონ, გთხოვთ უფრო მეტი გულახდილობა გამოიჩინოთ, როგორც კი ამ ადგილებში ფეხი შემოვდგი, მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩემ გარშემო რაღაც ლანდები გროვდებიან. ისე დავდივარ, თითქოს გრიმპენის ჭანჭრობში ვიყო და ყოველ წუთს მემუქრებოდეს მწვანე შამბნარში ჩანთქმა. ამიხსენით, რას მანიშნებდით. და მე გადავცემ თქვენს გაფრთხილებას სერ ჰენრის.

გაურკვეველი გაუბედაობის ჩრდილმა გადაუქროლა სახეზე მის სტეპლტონს, მაგრამ წამიც არ გასულა, რომ მისი მზერა ისევ მკაცრი გახდა, და ასე მიპასუხა:

- მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას აძლევთ ჩემს სიტყვებს, ექიმო უოტსონ. სერ ჩარლზის სიკვდილმა შეგვაძრწუნა მე და ჩემი ძმა. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით განსვენებულს, რადგანაც ამ ბილიკზე უყვარდა სეირნობა, ჩვენი სახლისაკენ რომ მოდის. ლეგენდა იმ წყევლაზე, რაც ტვირთად აწევს ბასკერვილების გვარს, სერ ჩარლზს სულს უმძიმებდა. როცა კატასტროფა მოხდა, მე გავიგე, რომ მისი შიში არ იყო უსაფუძვლო. ახლა ძალიან მაწუხებს სერ ჩარლზის მემკვიდრის ჩამოსვლა, და საჭიროდ მივიჩნიე მისი გაფრთხილება, რათა დროზე გაერიდოს საფრთხეს, რაც თავს დასტრიალებს. აი, სულ ეს არის, სხვა არაფერი მქონდა სათქმელი.

- მაინც რა საფრთხეა ეს?

- გაგიგონიათ თქმულება ძაღლზე?

- ამ სისულელის არ მჯერა!

- მე კი მჯერა. თუ გაქვთ თუნდაც მცირეოდენი ზეგავლენა სერ ჰენრიზე, დაუყოვნებლივ წაიყვანეთ აქედან. ეს ადგილი საბედისწეროა ბასკერვილებისათვის. ქვეყანა დიდია. რატომ უნდა იცხოვროს სერ ჰენრიმ მაინცდამაინც აქ, სადაც საფრთხე ემუქრება?

- აი, სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა აქ დასახლება. ასეთი ხასიათი აქვს ამ ადამიანს, და თუ უფრო გარკვევით არ მეტყვით, ძალიან გამიჭირდება მისი აქედან წაყვანა.

- არ შემიძლია უფრო გარკვეული ცნობების მოცემა იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი არ გამაჩნია.

- მაშინ, მის სტეპლტონ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი რამ გკითხოთ. თუ ეს ყველაფერია, რისი თქმაც გინდოდათ, რატომღა გეშინოდათ, რომ ძმას არ გაეგონა? ჩემი აზრით, აქ არაფერია ისეთი, რაც შეიძლებოდა არ მოსწონებოდა მას, ან ვინმე სხვას.

- ჩემს ძმას არაფრით არ უნდა, რომ ბასკერვილ-ჰოლი დაცარიელდეს. ეს ზიანს მიაყენებს საბრალო ხალხს, რომელიც აქ ცხოვრობს, ამ ჭაობებში. საშინლად გაბრაზდებოდა ჩემზე, რომ გაეგო, როგორ ვცდილობ სერ ჰენრიზე ზეგავლენის მოხდენას. მაგრამ მე ჩემი ვალი მოვიხადე და მეტს ჩემგან ვეღარაფერს გაიგონებთ. ახლა კი უნდა წავიდე, თორემ ეჭვს აიღებს, რომ თქვენ გესაუბრებოდით, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ამ სიტყვებზე შებრუნდა და კაჭრებს შორის გაქრა, მე კი, რაღაც გაურკვეველი შიშით ატანილი, ბასკერვილ-ჰოლისაკენ გავეშურე.

თავი V|||
ექიმ უოტსონის პირველი ანგარიში

ამ დღიდან დაწყებული, საქმეების მსვლელობას გადმოგცემთ შერლოკ ჰოლმსისადმი მიმართული ჩემი წერილებით, რომლებიც ჩემ წინ აწყვია მაგიდაზე. ყველა წერილი შენახულია, ერთი დაკარგული ფურცლის გარდა, და ისინი ყველა ჩემს აზრსა და ეჭვს უკეთ გადმოსცემენ, ვიდრე ამას თვითონ მოვახერხებდი, მარტოოდენ მეხსიერებას რომ დავყრდნობოდი, თუმცა არც მეხსიერებიდან წაშლილა იმ დღეების ტრაგიკული მოვლენები.

ბასკერვილ-ჰოლი

13 ოქტომბერი

ძვირფასო ჰოლმს!

ჩემი ადრინდელი წერილებისა და დეპეშების მიხედვით თქვენ იცით, რაც მოხდა უკანასკნელ ხანს ქვეყნიერების ამ ყველაზე უფრო მიყრუებულ კუთხეში. რაც უფრო მეტ ხანს ცხოვრობთ ამ მიდამოებში, მით უფრო მეტად და მეტად ღრღნის სულს ნაღვლიანობა ამ ჭაობთა, ამ უსაზღვრო სივრცეებისა, რომლებიც, სხვათა შორის არ არიან მოკლებულნი თავისებურ კუშტ მომხიბვლელობას. საკმარისია გარეთ გავიდე, ამ სივრცეებს გავხედო და უეცრად ვგრძნობ, რომ თანამედროვე ინგლისი სადღაც უკან რჩება, მის ნაცვლად კი გარშემო ხედავ მხოლოდ საცხოვრებელთა კვალს, წინაისტორიული ადამიანის ნახელავსა და ნამუშევარს. ეს დიდი ხნის წინ გამქრალი ტომი თავის თავს მოგვაგონებს ყველგან - აი, მისი ქოხები, აი საფლავები, აგერ უზარმაზარი ქვის ლოდები, დარჩენილნი იმ ადგილას, სადაც ალბათ მათი საკერპეები იყო. შესცქერი პრიმიტიული იარაღით დასერილ გორაკთა ფერდობებს, სადაც მიტმასნილან რუხი ქოხები და გავიწყდება, რომელ საუკუნეში ცხოვრობ. უეცრად რომ ერთ-ერთი ქოხის დაბალ კარში გამოჩნდეს მხეცის ტყავიანი ბანჯგვლიანი არსება, მშვილდი მოზიდოს და ისარი ისროლოს, უთუოდ იგრძნობთ, რომ აქ მისი ყოფნა უფრო ბუნებრივია, ვიდრე თქვენი. ყველაზე უფრო უცნაური ისაა, რომ ეს ადამიანები ასე მჭიდროდ დასახლებულან აქაურ უნაყოფო მიწებზე. არქეოლოგი არა ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მეომარ ხალხს არ უცხოვრია, უფრო მგონია, რომ ეს იყო დაჩაგრული ტომი, რომელიც კმაყოფილდებოდა იმით, რაზედაც უარს ამბობდნენ სხვები.

მაგრამ ყოველივე ამას არაფერი საერთო არა აქვს ამ მიდამოებში ჩემს ყოფნასთან, და ალბათ სულაც არ არის საინტერესო ისეთი ჭეშმარიტად პრაქტიკული ადამიანისათვის, როგორიც თქვენ ხართ. აქამდე არ შემიძლია დავივიწყო თქვენი გულგრილობა საკითხისადმი, მზე ტრიალებს დედამიწის გარშემო თუ პირიქით, დედამიწა მზის გარშემო. მაშ, გადავიდეთ ფაქტებზე, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ სერ ჰენრი ბასკერვილთან.

უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში თქვენ ჩემგან არ მიგიღიათ არავითარი ცნობა იმ უბრალო მიზეზებით, რომ მოსათხრობი არაფერი მქონდა. მაგრამ შემდეგ მოხდა ერთი უცნაური ამბავი, რასაც თავის დროზე შეგატყობინებთ, ახლა კი გავარკვიოთ სხვა გარემოებები, რომელთაც არცთუ ისე მცირე მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საქმისათვის.

ერთი ამ გარემოებათაგანი - ფრიად არსებითი, თუმცა სულაც არ მომიხსენებია ჩემს წერილებში - ესაა კატორღელი, რომელიც ჭაობებში იმალება. ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მან მიატოვა აქაურობა. მარტოხელა ფერმერთა საბედნიეროდ და სასიხარულოდ. ორი კვირაა, რაც გაიქცა და მას შემდეგ მისი ასავალ-დასავალი კაციშვილმა არ იცის. ძნელი წარმოსადგენია, ამ ხნის განმავლობაში აქაურ ჭაობებში ადამიანს როგორ უნდა ეარსება. მართალია, დასამალი ადგილი ბევრია, ყოველი ქვის ქოხი გამოადგებოდა თავშესაფრად, მაგრამ უჭმელად

ხომ ვერ გაძლებდა! იქნებ ცხვრებს კლავს და ჭამს, არა! კატორღელი უდავოდ წავიდა ამ ჭაობებიდან, ამიტომაც შორეული ფერმების მცხოვრებნი ახლა დამშვიდებით იძინებენ.

ჩვენ, ოთხი ჯანმრთელი, ღონიერი ვაჟკაცი, რომლებიც ბასკერვილ-ჰოლში ვცხოვრობთ, თუ გაჭირდა, ვალში არ დავრჩებით არავის, მაგრამ, გამოგიტყდებით: სტეპლტონებზე რომ ვფიქრობ, მოსვენება მეკარგება. ახლო მეზობლები მათ არა ჰყავთ, ასე რომ, რაიმე დახმარების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ. მოსამსახურე ქალი, მოხუცი ლაქია, და და-ძმა, - ეს უკანასკნელი კი, ეტყობა, სულაც არაა ძალგულოვანი, - აი, მერიპიტ-ჰაუსის მთელი მოსახლეობა. ესენი სრულიად უმწეონი აღმოჩნდებიან ამ ნოტინგჰილელი მკვლელის წინაშე, თუ მათ სახლში შეიჭრება. მე და ჰენრი ძლიერ ვწუხდით მათზე და კიდევაც გვინდოდა, რომ მეჯინიბე პერკინსს ღამეები მერიპიტ-ჰაუსში გაეთია, მაგრამ სტეპლტონმა ამისი გაგონებაც არ ისურვა.

საქმე ის არის, რომ ჩვენი მეგობარი ბარონეტი ძლიერ ინტერესს ამჟღავნებს ჩვენი მშვენიერი მეზობლის მიმართ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ასეთ ცოცხალ ადამიანს მოწყენილობა აწუხებს ამ მიყრუებულ მხარეში, ხოლო ეს ქალი, უნდა სიმართლე ითქვას, მომაჯადოებელი, მშვენიერი არსებაა. არის მასში რაღაც ეგზოტიკური სიფიცხე, თავისი სრულიად გულგრილი და თითქოს ვნებადამცხრალი ძმის საწინააღმდეგოდ. თუმცა მის ძმაშიც იგრძნობა რაღაც დაფარული ცეცხლი. ყველაფრიდან ჩანს, რომ დაზე ერთობ ძლიერი ზეგავლენა აქვს. არა ერთხელ დამიჭერია ქალიშვილის მზერა, როცა ძმას შეჰყურებს ხოლმე და თავის ნათქვამზე მისი კვერის დაკვრას ელოდება. მინდა იმედი მქონდეს, რომ ერთმანეთს შორის თანხმობა აქვთ. ასეთი მშრალი სხივი თვალებში და ასეთი თხელი, მოკუმული ბაგეები ხშირად მოწმობენ მტკიცე, შესაძლოა მკაცრ ხასიათზეც. ყოველ შემთხვევაში, ეს ნატურალისტი, საინტერესო ტიპია. თქვენს ცნობისმოყვარეობას უსათუოდ აღძრავდა.

სტეპლტონმა სერ ჰენრი ჩამოსვლის დღესვე ინახულა. მეორე დღეს კი წაგვიყვანა იქ, სადაც მოხდა ამბავი, დაკავშირებული უზნეო ჰუგოზე არსებულ ლეგენდასთან. რამდენიმე მილი გავიარეთ ჭაობების სიღრმეში და აღმოვჩნდით პატარა ველზე, ისეთ ნაღვლიანსა და დუხჭირ ადგილას, რომ თავისთავად შეიძლებოდა ასეთი ლეგენდის ჩასახვისათვის ხელი შეეწყო. ვიწრო გასასვლელმა ორ დაფშვნილ ქვის სვეტს შორის გაშლილ მდელოზე გაგვიყვანა, მოლი ჭაობის ბალახით იყო დაფარული. შუაში ეგდო ორი უზარმაზარი ლოდი, რომლებსაც თავები წამწვეტებული ჰქონდათ და რომელიღაც ურჩხულის გიგანტურ დამპალ ეშვებს მოგვაგონებდნენ. აქ ყველაფერი ზუსტად შეესატყვისება იმ სცენის აღწერილობას, რომელზედაც ეს ძველი ტრაგედია მოხდა. სერ ჰენრი ცნობისმოყვარეობით იხედებოდა აქეთ-იქით და სულ ეკითხებოდა სტეპლტონს, ნუთუ მართლა გჯერათ ადამიანთა საქმეებში ზებუნებრივი ძალების ჩარევის შესაძლებლობისო. დაუდევარი კილო ჰქონდა, მაგრამ ვატყობდი, ყოველივე ამას ძლიერ სერიოზულად ეკიდებოდა. სტეპლტონი თავშეკავებულად პასუხობდა, ბევრ რამეს არ ამბობდა ბოლომდე და აშკარად უფრთხილდებოდა ახალგაზრდა ბარონეტის გრძნობებს. რამდენიმე მსგავსი შემთხვევა გვიამბო, როცა ესა თუ ის გვარი თაობიდან თაობამდე განიცდიდა რაიმე უკეთური ძალების ზეგავლენას, და მთელი ამ მოთხრობების მოსმენის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ სტეპლტონს ბევრი სხვა ადგილობრივი მცხოვრების მსგავსად სწამს ლეგენდა ბასკერვილების ძაღლზე.

უკან რომ ვბრუნდებოდით, სასაუზმოდ მერიპიტ-ჰაუსში შევუხვიეთ და სერ ჰენრი მის სტეპლტონს მაშინ გაეცნო. პირველსავე გაცნობაზე გაიტაცა ამ ქალმა, და

ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ორმხრივი გრძნობაა. როცა შინ ვბრუნდებოდით, ერთთავად იმ ქალიშვილზე ლაპარაკობდა, და მას შემდეგ არ გასულა თითქმის არც ერთი დღე, რომ არ ვინახულოთ სტეპლტონები. დღეს ისინი ჩვენთან სადილობენ, ხოლო სერ ჰენრი უკვე მომავალ კვირას მათთან წასვლაზე ლაპარაკობს.

ერთი შეხედვით სტეპლტონი დისათვის უკეთეს ქმარს ვერც ინატრებდა. მიუხედავად ამისა, არა ერთხელ შემინიშნავს, რომ იგი შუბლს იკრავს, როცა სერ ჰენრი მისი დის მიმართ ყურადღებას იჩენს. სტეპლტონი, ეტყობა, ძლიერ მიეჩვია თავის დას, ალბათ მარტოობა აშინებს, მაგრამ ეს ხომ ეგოიზმის უმაღლესი სახეა! - ხელი შეუშალო ასეთ ბრწყინვალე წყვილს - ეს ხომ დანაშაულია? ამის მიუხედავად ფაქტი ფაქტია - სტეპლტონს აშკარად არ სურს, რომ ეს მეგობრობა გადაიქცეს სიყვარულად, და, ჩემი დაკვირვებით, ყოველნაირად ცდილობს მარტო არ დატოვოს ისინი. სხვათა შორის, თუ საქმე ძლიერ გატაცებამდე მივა, მდგომარეობა გართულდება და მაშინ თქვენი დარიგების შესრულება, სერ ჰენრის თვალს ნუ მოაცილებო, თითქმის შეუძლებელი გახდება. ხოლო თუ მკაცრად მივყვები ჩემთვის მოცემულ ბრძანებას, თვითონვე განსაჯეთ, როგორ შეარყევს ეს აქ ჩემს რეპუტაციას.

ამ დღეებში, უფრო ზუსტად ხუთშაბათს, ჩვენთან ისაუზმა ექიმმა მორტიმერმა. მან «გრძელ დაბლობად» წოდებულ ყურღანში გათხრების შედეგად იპოვა წინაისტორიული ადამიანის თავის ქალა, რამაც აუწერელი სიხარული მოჰგვრა. თავისი საქმის მეორე ასეთ ენთუზიასტს, ვგონებ, ვერც იპოვით. საუზმის შემდეგ მოვიდნენ სტეპლტონები, და სერ ჰე-ნრის თხოვნით კეთილმა ექიმმა ყველანი ურთხელის ხეივანში წაგვიყვანა იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოხდა ყველაფერი იმ საბედისწერო ღამეს. ეს ხეივანი კარგა გრძელია. სანახავად პირქუში და ჩაბნელებული. ორივე მხრიდან მჭიდრო კედლად გასდევს შეკრეჭილი ურთხელების რიგი და ბუსნოს ვიწრო ზოლები. მის ბოლოში დგას ნახევრად დანგრეული საჩრდილობელი. სწორედ შუაში ჭაობებზე გამავალი ჭიშკარია. ამ ჭიშკართან დაცვივნულა მოხუცი ბასკერვილის სიგარის ფერფლი. ჭიშკარი ხისაა, თეთრად შეღებილი და ურდულით დაკეტილი. მის იქით გადაჭიმულია უნაპირო ჭაობები. მე გავიხსენე თქვენი თეორია აქ მომხდარ ამბებზე და შევეცადე წარმომედგინა, როგორ მოხდა ყოველივე ეს. ჭიშკართან მდგომმა ბასკერვილმა შენიშნა, როგორ უახლოვდებოდა ჭაბებიდან რაღაც და ისე შეეშინდა ამ ჩვენებისა, რომ თავგზა დაკარგა, და მანამ გარბოდა, ვიდრე ელდისა და დაქანცულობისაგან მკვდარი არ დაეცა. იგი გრძელ, დაბურულ ხეივანში გარბოდა, მაგრამ რამ ან ვინ გააქცია? რომელიმე მეცხვარის ქოფაკმა, რომელიც ჭაობებში დაძრწოდა? თუ უზარმაზარი ძაღლის შავმა, უხმო ლანდმა? ან იქნებ ამაში ადამიანის ხელი ურევია? იქნებ ფერმკრთალი, ფრთხილი ბერიმორი ნაკლებს ლაპარაკობს, ვიდრე იცის? გაურკვევლობის ბურუსითა და ნისლითაა მოცული ყველაფერი და ვფიქრობ, დანაშაული ამის იქით იფარება.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გწერდით, მოვახერხე კიდევ ერთი აქაური მეზობლის - დეფტერ-ჰოლის მკვიდრის - მისტერ ფრენკლენდის გაცნობა, რომელიც, სამხრეთ მხარეზე, ჩვენგან ოთხი მილის დაშორებით ცხოვრობს. ეს ჭაღარა, მწითური მოხუცი მეტად ღვარძლიანია. მისტერ ფრენკლენდი გადარეულია ბრიტანეთის კანონმდებლობაზე. მას მთელი ქონება ყოველნაირ საჩივრებზე გაუნიავებია. სასამართლო პროცესებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის მართავს. ხან მოსარჩელის როლში გამოდის, ხან მომჩივანისა, და ასეთი გართობა, თვითონაც მოგეხსენებათ, ცოტა ძვირი ჯდება. უცბად თავში მოუვა და თავის

მამულზე გავლას აკრძალავს - დე, სამრევლო საბჭომ დაამტკიცოს, რომ ეს სწორი არ არისო. შემდეგ საკუთარი ხელით დაამტვრევს ვინმეს ჭიშკარს და განაცხადებს, აქ ადამის ჟამიდან საქვეყნო გზა იყოო, - კეთილი ინებოს ადგილის პატრონმა და უჩივლოს სხვისი მიწის საზღვრების დამრღვევს. ზეპირად იცის ძველი სათემო სამართალი და თავის ცოდნას ზოგჯერ მეზობელი სოფლის - ფერნვორსის ინტერესებისათვის იყენებს, ზოგჯერ კი მის საწინააღმდეგოდ, ასე რომ, სოფლის მცხოვრებნი ხან ზეიმით დაატარებენ ქუჩებში, ხანაც სიმბოლურად წვავენ კოცონზე. ამბობენ, რომ ახლა მისტერ ფრენკლენდი ერთად აწარმოებს შვიდ საჩივარს, რომლებიც უეჭველად შთანთქავენ მისი ქონების დარჩენილ ნაწილს. ამრიგად იგი დაკარგავს შხამიან ნესტარს და სრულიად უწყინარ, მშვიდობიან მოხუცად იქცევა. სხვა მხრივ ეს არის გულჩვილი, თვინიერი კაცი და მე მხოლოდ იმისათვის ვახსენებ, რომ თქვენვე ითხოვთ ჩემგან ყველა მეზობლის აღწერას. ახლა მისტერ ფრენკლენდმა მეტად უცნაური თავშესაქცევი საქმე იპოვა. როგორც ასტრონომ-მოყვარულს, მას მშვენიერი ჭოგრიტი აქვს და მთელი დღეები თავისი სახლის სახურავიდან ჭაობებს აკვირდება, იმ იმედით, რომ გაქცეულ კატორღელს იპოვის. მისტერ ფრენკლენდს რომ თავისი ჯერაც დაუხარჯავი ენერგია მარტო ამ საქმისათვის მოეხმარებინა, ყველაფერი საუცხოოდ იქნებოდა, მაგრამ დადის ხმები, თითქოს განზრახული აქვს პასუხისგებაში მისცეს ექიმი მორტიმერი იმისათვის, რომ ვიღაცის საფლავი გათხარა ისე, რომ ახლო ნათესავების ნებართვაც არ აუღია. როგორც უკვე ხვდებით, ლაპარაკია ნეოლითის ადამიანზე, რომლის თავის ქალაც იპოვა ექიმმა გრძელი დაბლობის ყურღანის გათხრის დროს. დიახ, მისტერ ფრენკლენდს ერთგვარი ნაირფეროვნება შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში, რაც ახლა ჰაერივით გვესაჭიროება.

ახლა, როცა შეგატყობინეთ ყველაფერი, რაც შემეძლო - გაქცეულ კატორღელზე, სტეპლტონებზე, ექიმ მორტიმერზე და მისტერ ფრენკლენდზე ლეფტერ-ჰოლიდან, თქვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებო საგანზე გადავდივარ და მოგიყვებით ბერიმორებზე, კერძოდ იმ ამბებზე, რომლებიც წუხელის ღამით მოხდა.

დავიწყებ იმ დეპეშიდან, რომელიც ლონდონიდან გამოვაგზავნეთ იმ მიზნით, რომ დავრწმუნებულიყავით, იმ დღეს ბერიმორი ადგილზე იყო, თუ არა. თქვენ უკვე იცით ჩემი საუბრის შინაარსი ფოსტის უფროსთან, საიდანაც გამოირკვა, რომ თქვენმა შემოწმებამ არაფერი არ მოგვცა და საჭირო ცნობა ვერ მივიღეთ. ეს ამბავი სერ ჰენრის ვუთხარი, მან მისთვის ჩვეული უშუალობით იმწამსვე დაიბარა ბერიმორი და დეპეშის ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა. ბერიმორმა თქვა, რომ დეპეშა ნამდვილად გადასცეს.

- ბავშვმა თავისი ხელით ჩაგაბარათ? - ჰკითხა სერ ჰენრიმ.

ბერიმორმა გაკვირვებით შეხედა და ერთი წუთი ჩაფიქრდა.

- არა, - თქვა მან. - მაშინ სხვენზე ვიყავი და დეპეშა ცოლმა გადმომცა.

- პასუხი თქვენ დაწერეთ?

- არა, ცოლს ვუთხარი, როგორ უნდა დაეწერა, ისიც ჩავიდა სხვენიდან და დაწერა.

საღამოს ბერიმორი თვითონვე დაუბრუნდა ამ თემას.

- სერ ჰენრი, კარგად ვერ გავიგე, რისთვის მეკითხებოდით იმ დეპეშაზე, - ნუთუ რაიმე დავაშავე და თქვენი ნდობა დავკარგე?

სერ ჰენრი შეეცადა ბერიმორი დაერწმუნებინა, რომ მისდამი კეთილად იყო განწყობილი და საკმაოდ ბევრი ძველი ნივთი აჩუქა, რადგან ყველაფერი, რაც ლონდონში შეიძინა, უკვე ბასკერვილ-ჰოლში იყო ჩამოტანილი.

ძალიან დამაინტერესა მისის ბერიმორმა. ამ წარმოსადეგ, პატივსაცემ მანდილოსანს პურიტანული სიწმინდისაკენ მიდრეკილება ეტყობა, არცთუ ბრწყინვალე ჭკუისაა. ერთი შეხედვით ძნელია უფრო აუღელვებელი არსების წარმოდგენა. მაგრამ თქვენ უკვე იცით, რომ აქ პირველსავე ღამეს გავიგონე მწარე ქვითინი, და მას შემდეგ არა ერთხელ შემინიშნავს ცრემლის კვალი მის სახეზე. ამ ქალს ღრღნის რაღაც მძიმე კაეშანი. ზოგჯერ თავში ასეთი ფიქრი მომდის: ეს შებღალული სინდისის ქენჯნა ხომ არ არის-მეთქი? მერე ეჭვი მეპარება, რომ ბერიმორი ოჯახში ტირანია. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ეს საეჭვო პირია, უცნაურია, ხოლო წინა ღამის მოვლენებმა საბოლოოდ გააძლიერეს ჩემი ეჭვი.

თუმცაღა, თავისთავად ეს მოვლენა არც ისე მნიშვნელოვანია. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ მე ფხიზელი ძილი ვიცი, ხოლო აქ, ბასკერვილ-ჰოლში, სადაც ასი ყური უნდა გამოვისხა, განსაკუთრებით ფხიზლად მძინავს. გუშინ ღამით, ასე ორ საათზე, ჩემი ოთახის ახლოს ფრთხილი ნაბიჯების ხმა მომესმა. ავდექი, კარი გავაღე და დერეფანში გავიხედე. ვიღაცის გრძელი შავი ჩრდილი დავლანდე. ეს იყო ჩრდილი ადამიანისა, რომელიც სანთლით ხელში ძლივს გასაგონი ნაბიჯებით მიჰყვებოდა დერეფანს. ფეხშიშველა იყო, შარვალი ეცვა და თხელი პერანგი. მხოლოდ სახის ბუნდოვანი მოხაზულობა დავინახე, მაგრამ სიმაღლის მიხედვით გავარკვიე, რომ ბერიმორი იყო. ნელა მიდიოდა, წყნარად, და მის ყოველ მოძრაობაში იყო რაღაც ქურდული, დაძაბული, სიფრთხილის მანიშნებელი.

ჩემი წერილებიდან უკვე იცით, რომ ორივე დერეფანს გალერეა ჰკვეთს, რომელიც ჰოლს გარს ევლება. დაველოდე, ვიდრე ბერიმორი თვალს მიეფარებოდა და მერე მივყევი. როცა გალერეაში გავედი, უკვე გრძელი დერეფნის სულ ბოლოში იყო გასული, შემდეგ ერთ-ერთი ღია ოთახის კარში შუქმა იელვა - მაშასადამე, იმ ოთახში შევიდა. უნდა გითხრათ, რომ ეს საცხოვრებელი ოთახები არაა და მათში ავეჯიც კი არ დგას, მაშასადამე, ბერიმორის საქციელი სრულიად ამოუხსნელი ხდებოდა. ოთახში შესული, ეტყობა, უძრავად იდგა, რადგანაც სანთლის ალი არ ირხეოდა. რაც შეიძლება უხმაუროდ გავიარე დერეფანი და ოთახში შევიჭვრიტე.

ბერიმორი განაბული იდგა ფანჯარასთან, თითქოს სარკმელს ზედ მიჰკვრიაო, სანთელიც ზედ მინასთან მიეტანა. პროფილში დავინახე - დაძაბულ მოლოდინში გაშეშებული სახე, მზერა ჭაობთა კუნაპეტი სიბნელისათვის მიეპყრო; ასე იყურებოდა ფანჯრიდან რამდენიმე წუთის განმავლობაში. მერე წყნარად დაიკვნესა და მოუთმენელი მოძრაობით ჩააქრო სანთელი. მაშინვე დავბრუნდი ჩემს ოთახში და მალე გავიგონე იმავე ფრთხილი ნაბიჯების ხმა დერეფნიდან. რულმორეულს დიდი ხნის შემდეგ მომესმა, როგორ გადატრიალდა სადღაც გასაღები, მაგრამ საიდან მოდიოდა ეს ხმა, ვერ გავარჩიე. რას ნიშნავს ყოველივე ეს, არც ამის თქმა შემიძლია, მაგრამ ამ პირქუშ სახლში ხდება რაღაც ბნელი საქმეები, რომელთა არსს დღესა თუ ხვალ გავარკვევთ. არ მინდა შეგაწუხოთ ამაზე საკუთარი თეორიებით, რადგან ჩემგან ითხოვდით მხოლოდ ფაქტების შეტყობინებას. დღეს დილით მე და სერ ჰენრიმ დიდხანს ვილაპარაკეთ და შევიმუშავეთ მოქმედების გეგმა, რომელიც ჩემს ღამის დაკვირვებებს ემყარება. მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში გიამბობთ, რადგან საქმისათვის ასე სჯობია.

თავი |X
ექიმ უოტსონის მეორე ანგარიში

ბასკერვილ-ჰოლი
15 ოქტომბერი

ძვირფასო ჰოლმს!

თუ თქვენი დესპანი აქ ჩამოსვლის პირველ ხანებში არ განებივრებდათ ახალი ამბებით, აღიარეთ, რომ ახლა ამ ხარვეზს ერთიორად ანაზღაურებს, რადგან მოვლენები სწრაფად მისდევენ ერთიმეორეს. ჩემი უკანასკნელი ანგარიში ცარიელ ოთახში ფანჯარასთან მდგარ ბერიმორის დრამატული აღწერით დავასრულე. მას შემდეგ შევკრიბე ახალ მოვლენათა მთელი კრიალოანი, რაც უეჭველად გაგაოცებთ. სულ არ ველოდი, თუ საქმის ვითარება ასე შემოტრიალდებოდა. უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში მდგომარეობას ერთი მხრივ საგრძნობლად მოეფინა შუქი, მეორე მხრივ - კიდევ უფრო დაიხლართა. მაგრამ ჯობს ყოველივე დაწვრილებით მოგითხროთ, რომ თვითონვე შეგეძლოთ განსჯა.

ჩემი ღამის თავგადასავლის შემდეგ, მეორე დილით, საუზმის წინ ოთახი დავათვალიერე, ღამით ბერიმორი რომ შევიდა. ფანჯარას, რომელშიაც ის დაჟინებით იხედებოდა, ყველა სხვა ფანჯრებთან შედარებით აქვს ერთი უპირატესობა: აქედან ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ იშლება მთელი ჭაობების მიდამო. ორ ხეს შორის სივრცეში მთელი ჭაობი ხელისგულივით მოჩანს. სხვა ფანჯრებიდან კი თითქმის ვერაფერი დაინახება. მაშასადამე, ბერიმორმა ეს ფანჯარა იმისათვის აირჩია, რომ დაენახა ვინმე ან რამე ტორფის ჭაობებში. თუმცა, ღამე ბნელი იყო და მე არ ვიცი, რისი იმედი ჰქონდა. ამიტომ აზრად მომივიდა: ხომ არ არის ეს რაიმე სასიყვარულო ინტრიგა-მეთქი? მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება - სიფრთხილე, რითაც ბერიმორი მოქმედებს და მისი ცოლის ტანჯვაც. ასეთი გარეგნობის პატრონს თავისუფლად შეუძლია დაატყვევოს რომელიმე სოფლელი ქალიშვილის გული, ასე რომ, ეს ვარაუდი არცთუ უსაფუძვლოა. მაშინ, ოთახში რომ დავბრუნდი, ხომ კარის გაღების ხმა გავიგონე. ალბათ ბერიმორი საიდუმლო პაემანიდან დაბრუნდა. ასეთი აზრები ყოველ დილით მოსვენებას მიკარგავდნენ. შემდეგისათვის ჩემი მოსაზრება შეიძლება უსაფუძვლოც გამოდგეს, მაგრამ ამის მიუხედავად, აუცილებლად მიმაჩნია მათი თქვენთვის შეტყობინება.

ვიდრე ბერიმორის მოქმედების მოტივებს მეტი შუქი მოეფინება, ვგრძნობ, მეტისმეტად დიდ პასუხისმგებლობას ავიღებდი ჩემს თავზე, თუ იმღამინდელ ამბებზე არაფერს მოგწერდით. საუზმის შემდეგ მე და ბარონეტი კაბინეტში შევედით და მას ყოველივე ვუამბე. ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამას სერ ჰენრი საკმაოდ გულგრილად შეხვდა.

- მე ვიცი, რომ ბერიმორი ღამღამობით დასეირნობს, და დიდი ხანია ვემზადები მასთან მოსალაპარაკებლად, - თქვა მან მშვიდად. - არა ერთხელ გამიგონია მისი ნაბიჯის ხმა დერეფანში, დაახლოებით იმავე საათებში, როცა თქვენ ამბობთ.

- იქნება ყოველ ღამე მიდის იმ ფანჯარასთან?

- შეიძლება. ხოლო თუ ასეა, უნდა დავზვეროთ და გავიგოთ რას აკეთებს იქ. საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში თქვენი მეგობარი ჰოლმსი?

- დარწმუნებული ვარ, ისიც ამასვე გააკეთებდა, - ვუპასუხე მე. - ჩუმად გაედევნებოდა და გაიგებდა, რას საქმიანობდა ბერიმორი ოთახში ფანჯარასთან.

- მაშინ მოდით. ეს ერთად გავაკეთოთ.

- ასე ხომ გაგვიგებს!

- ვერა. ბერიმორს ცოტა ყურს აკლია, ესეც არ იყოს, რისკი ხომ უნდა გავწიოთ. ჩემთან დაველოდოთ ოთახში და მერე უკან მივყვეთ.

- სერ ჰენრიმ სიამოვნებისაგან ხელები დაისრისა, ალბათ იმით გახარებულმა, რომ რაღაც ნაირფეროვნება მაინც შეგვეძლო შეგვეტანა ჩვენს მოსაწყენ ცხოვრებაში.

ბარონეტმა უკვე მოასწრო მოლაპარაკება იმ ხუროთმოძღვართან, რომელმაც სერ ჩარლზისათვის ახალი მშენებლობის გეგმა მოამზადა, ლონდონიდან მენარდე მოიწვია, ასე რომ მოკლე ხანში აქ მოსალოდნელია დიდი ცვლილებები. პლიმუტიდან ჩამოვიდნენ დეკორატორები და მეავეჯეები. ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენი მეგობარი ფართო ნაბიჯებით მიდის წინ და არ დაზოგავს არც შრომას, არც ფულს, რათა თავისი გვარის ოდინდელი დიდება აღადგინოს. როცა სახლს ახლებურად მოაწყობს, ბარონეტს ცოლის შერთვაღა დასჭირდება და სურათიც დასრულებული იქნება. ჩვენ შორის რომ ითქვას, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ საქმის მოგვარება არ გაჭირდება, რადგან სერ ჰენრი ისეა გატაცებული მომაჯადოებელი მის სტეპლტონით, რომ მეტი აღარ შეიძლება. თუმცა რომანი არც ისე იოლად ვითარდება, როგორი მოლოდინიც მსგავს გარემოებაში შეიძლებოდა გვქონოდა. მაგალითად, დღეს მათ ურთიერთობას ოდნავ შესამჩნევი ბზარი დაეტყო, რამაც ჩვენი მეგობარი ძლიერ გააოცა და შეაწუხა.

ბერიმორზე საუბრის შემდეგ სერ ჰენრიმ ქუდი მოიხადა და სადღაც წასასვლელად გაემზადა. მეც, რა თქმა უნდა, იგივე გავაკეთე.

- ჩემთან მოდიხართ, უოტსონ? - მკითხა და რაღაც უცნაურად შემომხედა.

- ეს დამოკიდებულია იმაზე, საით მიდიხართ. თუ ჭაობებში - კი, - ვუპასუხე მე.

- ჭაობებში.

- ხომ იცით, რა განკარგულებები მაქვს მიღებული? არ მინდა ხელი შეგიშალოთ, მაგრამ ჰოლმსს ჩემთვის თქვენი მარტო დატოვების უფლება არ მოუცია, მეტადრე ჭაობებში. ეს თვითონაც ძალიან კარგად იცით.

სერ ჰენრიმ კეთილი ღიმილით დამკრა ხელი მხარზე.

- ძვირფასო მეგობარო, - მითხრა მან, - მთელი თავისი გამჭრიახობისა და საზრიანობის მიუხედავად ჰოლმსს არ შეეძლო წინასწარ დაწვრილებით გამოეცნო, როგორ წარიმართებოდა აქ ჩემი ცხოვრება. გამიგეთ? სხვა ვინმესი რა მოგახსენოთ და თქვენ კი არა მგონია, ხელი შემიშალოთ. გემუდარებით, გამიშვით მარტო.

თვითონვე განსაჯეთ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. დავიბენი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა მეთქვა, ამასობაში კი სერ ჰენრიმ აიღო თავისი ჯოხი და წავიდა.

მაგრამ საკმარისი იყო ცოტა მოსაზრება და უკვე სინდისის ქენჯნა ვიგრძენი - რატომ დავრთე ნება უჩემოდ წასულიყო! ერთიც ვნახოთ, ლონდონს ჩამოსვლის შემდეგ იძულებული გავხდე ვაღიარო თქვენს წინაშე, რომ ჩემმა უყურადღებობამ უბედურებამდე მიგვიყვანა? მარტო ამის გაფიქრებაზეც კი ცეცხლი მომეკიდა. ჯერ კიდევ არ იყო გვიან, შეიძლებოდა დავწეოდი და მეც მაშინვე მერიპიტ- ჰაუსისაკენ გავეშურე.

სწრაფად მივყვებოდი გზას, სერ ჰენრის ვერ ვხედავდი. რამდენიმე წუთში მივაღწიე იმ ადგილს, სადაც ჭაობებში მიმავალი ბილიკი იწყება. აქ ამორჩეული გზის სისწორემ დამაეჭვა და გორაკზე ავედი, საიდანაც ჭაობი ხელისგულივით ჩანდა. ეს სწორედ ის გორაკია, სადაც ერთ დროს ქვის სამტეხლო იყო. იქიდან მაშინვე დავინახე ბარონეტი. იგი ჩემგან მეოთხედი მილის დაშორებით ბილიკს მიჰყვებოდა, გვერდით კი მის სტეპლტონი მისდევდა. აშკარად ჩანდა, წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი და დღევანდელი შეხვედრა შემთხვევითი არ ყოფილა. საუბრით გართულნი ძალიან ნელა მიდიოდნენ. მის სტეპლტონის ჟესტიკულაციიდან ჩანდა, რომ ცდილობდა

რაღაცაში დაერწმუნებინა სერ ჰენრი, რომელიც ყურადღებით უსმენდა და დროგამოშვებით უარის ნიშნად თავს აქნევდა. ლოდებს შორის ვიდექი და არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. რომ დავწეოდი და ეს ინტიმური საუბარი შემეწყვეტინებინა, უაზრობა იქნებოდა. მაგრამ ჩემი მოვალეობა ხომ ისაა, რომ ერთი წამითაც არ დავტოვო უმეთვალყუროდ სერ ჰენრი. მეგობრის ზვერვა - ძალიან არასახარბიელო საქმეა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო და მეც განვაგრძე ჩემი დაკვირვება გორაკის მწვერვალიდან, იმ განზრახვით, რომ შემდეგ სინდისის დასამშვიდებლად ყველაფერს სერ ჰენრის ვუამბობდი. მართალია, რაიმე საფრთხეში რომ ჩავარდნილიყო, ვერაფერს დავეხმარებოდი, რადგან მეტისმეტად შორს ვიყავი, მაგრამ თვითონვე დამეთანხმებით - აქ საქმე არჩევანზე არ იყო.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, საუბრით გატაცებული სერ ჰენრი და ქალიშვილი შეჩერდნენ, და აქ უეცრად ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მე არა ვარ მათი შეხვედრის ერთადერთი მოწმე. ლოდებს შორის რაღაც მწვანემ გაიელვა. უფრო დაკვირვებით შევხედე და დავრწმუნდი, რომ ეს იყო ჯოხზე წამოცმული მწვანე ნაჭერი, ჯოხი კი ბილიკზე მომავალ კაცს ეჭირა. ეს იყო სტეპლტონი, პეპლების დასაჭერი ბადით. იგი ჩემზე ბევრად ახლოს იყო მათთან და გეზიც პირდაპირ მათკენ ჰქონდა აღებული. იმ წუთას სერ ჰენრი მის სტეპლტონს გადაეხვია, მაგრამ ქალი მიბრუნდა, ხელიდან გასხლტომას შეეცადა. კაცი მისკენ დაიხარა, ქალმა სახე მოარიდა... უეცრად ერთმანეთს მოსწყდნენ და უკან მიიხედეს. მათი შეშფოთების მიზეზი გახლდათ სტეპლტონი, რომელიც მთელი ძალით მათკენ გამორბოდა, და თან სულელურად აქნევდა პეპლების საჭერ ბადეს. იგი სასოწარკვეთით იქნევდა ხელებს და როცა შეყვარებულებს გაუსწორდა, საშინლად აღელვებული აწრიალდა, ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მაგრამ ჩემი აზრით, სტეპლტონი რაღაცაში ბრალს სდებდა სერ ჰენრის, ის კი თავს იმართლებდა და თანდათან მოთმინებიდან გამოდიოდა. ქალიშვილი იქვე იდგა და ქედმაღლურად დუმდა. ბოლოს, სტეპლტონი მკვეთრად მობრუნდა, მბრძანებლურად დაუქნია ხელი დას და იმანაც ჯერ გაუბედავად შეხედა სერ ჰენრის, მერე კი უსიტყვოდ გაჰყვა ძმას. სტეპლტონი ხელებს ისე იქნევდა, რომ ეტყობოდა, ნატურალისტის რისხვა დასაც არ ასცდა. ბარონეტმა მათ მზერა გააყოლა, შემდეგ კი თავი ჩაჰკიდა და წყნარი ნაბიჯით უკან გამობრუნდა.

ჩემს თვალწინ გათამაშებული სცენიდან ვერაფერი გავიგე, ძალიან შემრცხვა, რომ ასეთი სურათის მოწმე შევიქენი. სხვა არაფერი დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ გორაკიდან ჩამერბინა და ბარონეტს გზაში შევხვედროდი. გაჯავრებისაგან სახე გასწითლებოდა, წარბი შეეკრა, ჩანდა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ექნა.

- ჰელლოუ, უოტსონ! საიდან, რა ქარმა მოგიტანათ? ნუთუ მაინც გამოჰყევით ჩემს კვალს?

ყველაფრის ახსნა მომიხდა: როგორ ვიგრძენი, რომ არ შემეძლო მისი მარტო გაშვება, როგორ წავედი მის კვალზე, როგორ გავხდი მათი შეხვედრის მოწმე. სერ ჰენრიმ თვალები დააკვესა, მაგრამ ჩემმა გულახდილობამ ფარ-ხმალი დააყრევინა, და მართალია, მხიარულად არა, მაგრამ მაინც გაიცინა.

- ჰო, ასეთ უდაბნოში მეგონა შეიძლებოდა განმარტოების იმედი მქონოდა, მაგრამ არ გამოვიდა! თითქოს ყველანი შეთანხმდნენ იმის ცქერით დამტკბარიყვნენ, თუ როგორ ვეარშიყებოდი ქალიშვილს. არშიყობა კი საკმაოდ მარცხიანი გამომივიდა. სად იყავით ჩასაფრებული?

- აი, იმ გორაკზე.

- ესე იგი, ქანდარაზე. მისი ძმა კი პირველ რიგებში მოეწყო. ნახეთ, როგორ დაგვესხა თავს?

- ვნახე.

- არასოდეს გიფიქრიათ, რომ ეგ სტეპლტონი სრული ჭკუისა არ არის?

- არა, არ მიფიქრია.

- არც მე. დღევანდელ დღემდე სტეპლტონს ყველაზე უფრო ნორმალურ ადამიანად ვთვლიდი, ახლა კი ვერ გამიგია, ვის უნდა ჩააცვას კაცმა დამამშვიდებელი პერანგი - იმას თუ მე. ნუთუ ასე უხეირო ვარ? უოტსონ, მიპასუხეთ, რა მიშლის ხელს, რომ კარგი ქმარი ვიყო იმ ქალისა, რომელიც მიყვარს?

- მე თუ მკითხავთ, არაფერი არ გიშლით.

- ჩემს საზოგადოებრივ მდგომარეობას ვერ დაიწუნებს, მაშასადამე, მიზეზი თვით ჩემშია საძიებელი. რა აქვს სტეპლტონს ჩემი საწინააღმდეგო? ჩემს სიცოცხლეში ადამიანისათვის ზიანი არ მიმიყენებია. ამ კაცს კი არ უნდა თავის დას გამაკაროს.

- ასე თქვა?

- დიახ, და კიდევ დაუმატა რაღაც-რაღაცეები. იცით, უოტსონ, მე ეს ქალი სულ რამდენიმე კვირის წინ გავიცანი, მაგრამ პირველი შეხვედრისთანავე ცხადი გახდა, რომ იგი ჩემთვისაა შექმნილი და მასაც... მასაც... თვითონაც კარგად გრძნობდა თავს ჩემთან, შემიძლია დავიფიცო! ქალის თვალები სიტყვებზე უკეთ მეტყველებენ. მაგრამ ის ჩვენი დაახლოების წინააღმდეგი იყო, მე მხოლოდ დღეს მომეცა მასთან ცალკე მოლაპარაკების შესაძლებლობა. ქალი სიამოვნებით დათანხმდა ამ შეხვედრაზე, მაგრამ როგორ ფიქრობთ, რისთვის? რომ ჩვენს სიყვარულზე გველაპარაკნა? არა, მისი ნება რომ ყოფილიყო, მაიძულებდა ამაზე გავჩუმებულიყავი. ენაზე ერთი რამ აკერია: აქ საშიშიაო, და მანამდე ვერ დავმშვიდდები, ვიდრე არ წახვალ ბასკერვილ-ჰოლიდანო. მე ვუთხარი, რომ მასთან შეხვედრის შემდეგ აქედან წამსვლელი არა ვარ, ხოლო თუ ეს აუცილებელია, თვითონაც ჩემთან უნდა წამოვიდეს. ერთი სიტყვით, წინადადება მივეცი, მაგრამ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, ისე დაგვაცხრა თავს მისი შეშლილი ძმა. ბრაზისაგან ერთიანად გაფითრებულიყო, მისი უფერული თვალები კი პირდაპირ ცეცხლს აფრქვევდნენ. რისი უფლება მივეცი თავს! როგორ ვბედავ ჩავაცივდე და საშველი არ მივცე ქალს ჩემი არშიყობით, ამით ხომ თავს ვაზიზღებ. იქნება მგონია, რომ ბარონეტს ყველაფერი ეპატიება? მისი ძმა რომ არ ყოფილიყო, ვუჩვენებდი სეირს! მაგრამ ისღა ვუთხარი, რომ არაფერი სამარცხვინო ჩემს გრძნობებში არ არის და იმედი მაქვს, ოდესმე მექნება პატივი, ვუწოდო მის სტეპლტონს ჩემი ცოლი-მეთქი. მაგრამ ამან არ მიშველა და ბოლოს მეც გამოვედი მოთმინებიდან, გავცხარდი, თუმცა თავის შეკავება მმართებდა, რადგან ჩემს გვერდით ქალიშვილი იდგა. ამის შემდეგ სტეპლტონი, თავისი დის თანხლებით წავიდა, მე კი დავრჩი მარტო, როგორც ნახეთ, სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში. ახლა, უოტსონ, ამიხსენით, რას ნიშნავს ყოველივე ეს, და საუკუნოდ დავიმახსოვრებ თქვენს სამსახურს!

თავი ვიტეხე, ხან ასე ვიფიქრე, ხან ისე, მაგრამ მთელმა ამ ამბავმა მეც არანაკლებ საგონებელში ჩამაგდო. ჩვენი მეგობრის ტიტული, მისი სიმდიდრე, ახალგაზრდობა, ხასიათი, გარეგნობა - ყველაფერი მის სასარგებლოდ ლაპარაკობს, და მე არ ვიცი რა ამ კაცზე ცუდი და ურიგო, გარდა ერთი ბნელი ბედისწერისა, რაც მართლა ტვირთად აწევს მის გვარს.

დიახ! უცნაურია, რომ სერ ჰენრის წინადადება უარყოფილია ასე უხეშად, და ქალიშვილის სურვილის გაუთვალისწინებლად. უცნაურია ისიც, რომ თვით ქალიშვილი ყოველივე ამას ასე გულგრილად შეხვდა. თუმცა ჩვენი ეჭვები იმავე საღამოს გაფანტა სტეპლტონმა. მოვიდა, უხეშობისათვის ბოდიში მოიხადა, დიდხანს

საუბრობდა სერ ჰენრისთან მის კაბინეტში და ისე იქცეოდა, თითქოს კამათი არც მოსვლოდათ. მომავალი პარასკევისთვის კი მერიპიტ-ჰაუსში სადილად დაგვპატიჟა.

- მე ჯერ არა ვარ დარწმუნებული, რომ ეგ კაცი სრული ჭკუისაა, - თქვა სერ ჰენრიმ. - ახლაც თვალწინ მიდგას იმავე სახით, დილით რომ თავს დაგვესხა. მაგრამ მართალი უნდა ითქვას, ბოდიში ამომწურავი იყო, ვერ დაიწუნებდი.

- როგორ ახსნა თავისი გაცხარება?

- თქვა, რომ მის სტეპლტონი მისთვის ყველაფერია. ეს გასაგებია, და მე ძალიან მიხარია, რომ იცის თავისი დის ფასი. მთელი სიცოცხლე ერთად გაუტარებიათ, მასთან განშორების ფიქრიც კი თავზარს სცემს. აქადე თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ხვდებოდა ჩემს გრძნობებს თავისი დის მიმართ, მაგრამ როცა საკუთარი თვალით ნახა და დარწმუნდა, რომ შეიძლება სამუდამოდ წავართვა, მარტო ამის გაფიქრებაზეც კი თავი ვეღარ შეიკავა. ძალიან ნანობს თავის საქციელს და აღიარებს, რომ ეგოისტური და სულელურია მისი მხრით იმის ფიქრი, თითქოს შეიძლება თავის გვერდით შეინარჩუნოს ისეთი ლამაზი ქალი, როგორიც მის სტეპლტონია. თუ მასთან განშორება გარდუვალია, ბარემ განმაშორებელი შენ იყავი, ჩვენი მეზობელიო. ასეა თუ ისე, მისთვის ეს დიდი დარტყმაა, და ადვილად ვერ შეეგუება ამ ამბავს. ასე მითხრა: თუ დამპირდით, რომ უახლოესი სამი თვის განმავლობაში თქვენს სიყვარულზე არას იტყვით და ჩემს დასთან მარტო მეგობრობით დაკმაყოფილდებით, ხელს აღარ შეგიშლითო. დავპირდი და საქმე ამით დამთავრდა.

როგორც ხედავთ, ერთი ჩვენი პატარა საიდუმლო ამოიხსნა. ხოლო ფეხით იმ ჭანჭრობის ფსკერი მოსინჯვა, რომელშიაც ვფართხალებთ, სახუმარო საქმე არ გახლავთ. ახლა ჩვენთვის ცნობილია, რატომ ეკიდებოდა ასე მტრულად სტეპლტონი თავის დის თაყვანისმცემელს და ისეთ სასურველ სასიძოს, როგორიცაა სერ ჰენრი.

ახლა კი გავყვეთ კვალს მეორე ძაფისა, რომლის ერთი ბოლო ამ რთულ გორგალში როგორც იქნა ვიპოვე. მინდა გიამბოთ ღამის საიდუმლო ქვითინზე, მისის ბერიმორის ნამტირალევ სახეზე და ლაქიის გამოუცნობ მოგზაურობაზე იმ ფანჯრისაკენ, რომელიც ჭაობებს გადასცქერის. მომილოცეთ, ძვირფასო ჰოლმს, და თქვით, რომ თქვენი თანაშემწე ბუზებს არ ყლაპავს. ნდობა ჩემდამი, რაც იმაში გამოიხატა, რომ აქ გამომაგზავნეთ, სავსებით გამართლებულია. ეს მორიგი ამოცანა რომ გამოგვეცნო, სულ ერთი ღამე დაგვჭირდა.

მე ვთქვი «ერთი ღამე», მაგრამ ნამდვილად უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა «ორი ღამე», რადგან პირველ ღამეს ვერაფერი გამოვარკვიეთ. მე და სერ ჰენრი თითქმის დილამდე ვისხედით ოთახში, მაგრამ გარდა საათის რეკვისა, კიბეზე არაფერი გაგვიგონია. ეს მომქანცველი სიფხიზლე იმით დასრულდა, რომ სერ ჰენრის და თქვენს მორჩილ მსახურს ორთავეს ჩაეძინათ თავიანთ სავარძლებში. მართალია, ამ მარცხმა ვერ შეგვაშინა, გადავწყვიტეთ ხელახლა გვეცადა ბედი. მომდევნო ღამეს პატრუქს დავუწიეთ და ვისხედით სრულიად უხმაუროდ, თან პაპიროსს პაპიროსზე ვეწეოდით. დრო არაჩვეულებრივად ნელა მიიზლაზნებოდა, მაგრამ გვამხნევებდა იგივე აზარტი, რომლითაც მონადირე მოთმინებით ელოდება ხაფანგთან ნადირის მისვლას, დაჰკრა პირველმა, ორმა, და უკვე ვკარგავდით იმედს, როცა უეცრად დაღლილობა სადღაც გაქრა - მე და სერ ჰენრი ორთავე ერთდროულად გავიმართეთ წელში. დერეფნიდან იატაკის ჭრიალი მოისმა, ქურდული ნაბიჯი ჩვენს ოთახს უახლოვდებოდა, მერე ჩაგვიარა და თანდათან სადღაც შორს მიწყდა. ბარონეტმა უხმაუროდ გააღო კარი. ნადირს მივყევით, მას უკვე მოესწრო ტალანის გავლა. დერეფანში სრული სიბნელე სუფევდა. ყოველნაირი სიფრთხილის დაცვით მივედით უშორეს ფრთამდე, იქ კი ჩვენს თვალწინ გაიელვა მაღალი შავწვერა კაცის ფიგურამ,

რომელიც მხრებში მოხრილიყო და ფეხის წვერებს ძლივს აკარებდა იატაკს. ნაცნობ კარში გაუჩინარდა, სანთელმა წამით გაანათა იქაურობა და შემდეგ ბნელ დერეფანში მხოლოდ წვრილი მოყვითალო სხივი დარჩა. ფრთხილად ვუახლოვდებოდით ამ სხივს, წინასწარ გულდასმით ვსინჯავდით ყოველ ფიცარს, ვიდრე ფეხს დავადგამდით. ფეხშიშველი ვიყავით, მაგრამ ძველი იატაკის ფიცრები ისე ჭრაჭუნობდნენ ყოველ მიკარებაზე, თითქოს კვნესიანო. ჩემი აზრით, არ შეიძლებოდა ეს ხმაური არ გაეგონა კაცს, მაგრამ ჩვენდა ბედად ბერიმორს მართლაც ყურს აკლდა, ამას გარდა, მეტისმეტად გართული იყო თავისი საქმით. ბოლოს მივაღწიეთ კარამდე და ოთახში შევიჭვრიტეთ. ლაქიას სანთელი ეჭირა, სარკმელთან იდგა და სახით მინას მიჰკვროდა. ისევე, როგორც ორი ღამის წინ ვიხილე.

წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმა არა გვქონდა, მაგრამ ბარონეტი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც უეცარი გადამწყვეტი მოქმედება ყველაზე უფრო ბუნებრივად მიაჩნიათ. იგი თამამად შევიდა ოთახში. ბერიმორი ნახტომით მოსცლიდა ფანჯარას, სულ ძლივს ითქვამდა და მკვდარივით გაფითრებული, მთელი სხეულით აკანკალებული დადგა ჩვენ წინ. თვალებში ელდა ჩასდგომოდა. შეშინებული გვაცქერდებოდა ხან მე, ხან სერ ჰე-ნრის.

- ბერიმორ, რას აკეთებთ აქ?

- არაფერს, სერ, - მღელვარებისაგან ენას ძლივს იბრუნებდა. ხელში სანთელი უცახცახებდა და უსწორმასწორო ჩრდილები კედლებსა და ჭერზე დალიცლიცებდნენ. - ფანჯარა, სერ... მე ყოველ ღამე ვამოწმებ ხოლმე, ყველაფერი დაკეტილია თუ არა.

- მეორე სართულზეც კი?

- დიახ, სერ, მთელ სახლში.

- მომისმინეთ, ბერიმორ, - მკაცრად თქვა სერ ჰენრიმ. - ჩვენ გადავწყვიტეთ გავიგოთ თქვენგან სიმართლე. ასე რომ, რაც უფრო მალე აღიარებთ ყოველივეს, მით უკეთესი იქნება. აბა! კმარა თავის მოკატუნება! აქ რა გინდათ?

ლაქიამ უმწეოდ შემოგვხედა და სრულიად დაბნეულმა ხელები მოკუმშა.

- ცუდს არაფერს ვაკეთებდი, სერ. ფანჯარასთან მხოლოდ სანთელი მეჭირა.

- რისთვის გეჭირათ სანთელი, ვის უნათებდით?

- ამას ნუ მკითხავთ, სერ ჰენრი... ნუ მკითხავთ! გეფიცებით, ეს ჩემი საიდუმლო არ არის, სერ, და მე არ შემიძლია მისი გაცემა. მარტო მე რომ მეხებოდეს, არაფერს დაგიმალავდით.

უეცრად თავში მოულოდნელმა აზრმა გამიელვა და ავიღე სანთელი, რომელიც ბერიმორს ფანჯრის რაფაზე დარჩენოდა.

- ეს ალბათ პირობითი ნიშანია. ვნახოთ, იქნება რაიმე პასუხი, თუ არა.

სანთელი ზედ მინასთან მივიტანე, ისევე როგორ ბერიმორი აკეთებდა. და ღამის უკუნეთ წყვდიადში გავიხედე. მთვარე ღრუბლებს იყო მოფარებული, და პირველ წამს შევნიშნე მხოლოდ ხეების რიგი, რაც ჭაობის მუქ ზედაპირს ჩრდილავდა. უეცრად გამარჯვების წამოძახილი აღმომხდა, როცა ფანჯრის შავ კვადრატში დავინახე ღამის წყვდიადში მოკიაფე პატარა ყვითელი წერტილი.

- აგერ, ნახეთ!

- არა, არა, სერ... - წაილუღლუღა ლაქიამ. - გარწმუნებთ, სერ...

- სანთელი მარჯვნივ გადაიტანეთ, უოტსონ! - შესძახა ბარონეტმა. - ხედავთ? იქაც გადაინაცვლა ცეცხლმა. აბა, არმზადავ, შენ ისევ ჯიუტობ? ეს ხომ ნიშანია! აღიარე: ვინ არის შენი თანამზრახველი და რას აპირებთ?

ლაქიამ აშკარად გამომწვევი მზერა ესროლა.

- ეს ჩემი საქმეა, თქვენ ის არ გეხებათ. მე არაფერს არ ვიტყვი.

- მაშინ შეგიძლია თავი დათხოვნილად ჩათვალოთ.

- მესმის, სერ. ჩანს, არაფერი გაეწყობა.

- თავლაფდასხმულს გაგიშვებთ! გრცხვენოდეთ! ჩვენი წინაპრები ას წელზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ ერთ ჭერქვეშ, თქვენ კი რაღაც შეთქმულებას აწყობთ ჩემს წინააღმდეგ.

- არა, არა, სერ! თქვენს წინააღმდეგ არა!

ეს სიტყვები წარმოთქვა ქალის ხმამ. მოვიხედეთ. კარებში იდგა სიკვდილივით ფერმიხდილი მისის ბერიმორი, რომელიც ფერწასულობით ქმარს არ ჩამოუვარდებოდა. მის სახეზე აღბეჭდილი შიში რომ არა, ეს ზონზროხი დედაკაცი პერანგისა და შალის ამარა ფრიად კომიკურ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

- ჩვენ დაგვითხოვეს, ელიზა. აი, რით დამთავრდა ყველაფერი, წადი, ჩაალაგე ნივთები, - უთხრა ბერიმორმა.

- ჯონ, ჯონ, სადამდე მიგიყვანე! ეს სულ ჩემი ბრალია, სერ ჰენრი, მხოლოდ ჩემი გულისთვის დათანხმდა ამაზე... მხოლოდ ჩემი გულისათვის!

- ბოლოს და ბოლოს მითხარით, რა ხდება!

- რომ არ დავეხმაროთ, ჩემი უბედური ძმა ჭაობებში შიმშილისაგან დაიღუპება. ხომ ვერ დავუშვებთ, რომ ის დაიღუპოს ჩვენს კარზე. ჯონი ნიშანს აძლევს, რომ საჭმელი მზადაა, ის კი გვიჩვენებს, სად მივიტანოთ.

- მაშ, თქვენი ძმაა ის...

- ...გაქცეული კატორღელი, სერ... კაცის მკვლელი სელდენი.

- სრული სიმართლეა, სერ, - დაუმოწმა ბერიმორმა. - აკი მოგახსენეთ, სხვის საიდუმლოს ვერ ვიტყვი-მეთქი, ახლა კი თვითონვე გაიგონეთ და იცით, რომ თქვენ წინააღმდეგ არაფრის მოწყობას არ ვაპირებთ.

აი, როგორ ამოიხსნა ამ სანთლების საიდუმლოება და ღამის მოგზაურობათა თავსატეხი გამოცანა! მე და სერ ჰენრი განცვიფრებული შევცქეროდით მისის ბერიმორს. ნუთუ ეს ფლეგმატური პატივცემული ქალიც იმავე სისხლისა იყო, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე უფრო საშიშ დამნაშავის ძარღვებში ჩქეფდა?

- დიახ, სერ. ჩემი ქალწულობის გვარი სელდენია. კატორღელი კი ჩემი უმცროსი ძმაა. ბავშვობიდანვე გავანებივრეთ, ყველაფრის ნებას ვაძლევდით, თითქოს მისთვის ყველაფერი დასაშვები იყო, თითქოს ქვეყნიერება მხოლოდ მისი გულისათვის იყო შექმნილი. შემდეგ გაიზარდა, მოხვდა ცუდ ამხანაგებში და თითქოს ქაჯი ჩაუსახლდაო სულში. მან გადაიყოლა დედაჩემი და ტალახში ამოსვარა ჩვენი სახელი. რაც დრო გადის, სულ უარეს და უარეს დანაშაულს სჩადის. რამ იხსნა სახრჩობელისგან? მხოლოდ ღვთის წყალობამ. მაგრამ ჩემთვის, სერ, ის ისეთივე თმახუჭუჭა ბიჭუნაა, რომელთანაც ვთამაშობდი, და რომელსაც, როგორც უფროსი და, მზრუნველად ვადექი. ამიტომაც გამოიქცა ციხიდან - ჩვენ აქ ვეგულებოდით და იცოდა, დახმარებაზე უარს ვერ ვეტყოდით. როცა აქ ღამით მოლასლასდა, დაღლილი და მშიერი და მდევარი კი კვალდაკვალ მოსდევდა, რაღას ვიზამდით? შემოვუშვით, დავაპურეთ, ყველაფერში დავეხმარეთ, რაც შეგვეძლო. მერე ის იყო, თქვენ მოხვედით, და ისევ ჭაობებში ყოფნა ამჯობინა, ვიდრე ორომტრიალი მიწყდება. ასეა ახლაც, იცდის და დღესაც იქ იმალება. ჩვენ კი ყოველ ღამე ვამოწმებთ, ხომ არ წავიდა, ვუნათებთ ფანჯარაში, ხოლო როცა საპასუხო ნიშანს გვაძლევს, ჩემს ქმარს მიაქვს დანიშნულ ადგილზე პური და ხორცი. სულ იმას ვფიქრობთ, წავიდოდაო, მაგრამ ვიდრე იქ არის, ბედის ამარა ვერ მივატოვებთ. მე მორწმუნე ქალი ვარ და

ტყუილებს არ მოვყვები. თუ ამაში არის ცუდი რამ, ჩემი ქმარი არაფერ შუაშია: ამას მხოლოდ ჩემი გულისათვის აკეთებს.

ისეთი გრძნობით ლაპარაკობდა, არ შეიძლებოდა მისთვის არ დაგეჯერებინათ.

- ეს მართალია, ბერიმორ?

- დიახ, სერ ჰენრი, ჭეშმარიტება გახლავთ.

- რა გაეწყობა, ცოლისადმი ერთგულებისათვის ვერ გაგკიცხავთ. დაივიწყეთ ის, რაც გითხარით. წადით თქვენს ოთახში, დილით კი ყველაფერს განვსჯით, როგორც საჭიროა.

როცა წავიდნენ, ისევ გავიხედეთ ფანჯარაში. სერ ჰენრიმ მთლიანად გამოაღო სარკმელი და სახეში გვეცა ღამის ცივი ნიავი. შორს, სიბნელეში ჯერ კიდევ კიაფობდა პატარა ცეცხლი.

- მიკვირს, როგორ არ ეშინია! - თქვა სერ ჰენრიმ.

- ეტყობა, მხოლოდ აქედან ჩანს.

- შეიძლება. თქვენი აზრით, სად უნდა იყოს?

- სადმე გრანიტის სვეტებთან.

- ასე, ორ მილზე, არა?

- ამდენიც არ იქნება.

- ჰო, რაკი ბერიმორს საჭმელი დაჰქონდა, მაშ, შორს არ ყოფილა. ახლა ელის, როდის მივლენ მის ნიშანზე. უოტსონ, წავალ და შევიპყრობ იმ არამზადას.

მეც იმავე აზრმა გამიელვა. ბერიმორებმა ხომ თანამზრახველებად არ გაგვიხადეს. ჩვენ ვაიძულეთ გაეცათ თავიანთი საიდუმლო. ის კაცი საშიში იყო საზოგადოებისათვის. ამნაირი ადამიანისა არც შებრალება შეიძლება, არც გამართლება. შემთხვევით უნდა გვესარგებლა და ისეთ ადგილას დაგვებრუნებინა, საიდანაც ზიანის მოტანა აღარ შეეძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი დაუდევრობა იქნებ სხვებს ძვირად დასჯდომოდათ, - მაგალითად, სტეპლტონებს, რომელთაც ყოველღამე ელოდათ თავდასხმის საშიშროება. ალბათ ეს აზრი აქეზებდა სერ ჰენრისაც, როცა ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა.

- მეც თქვენთან წამოვალ.

- მაშინ რევოლვერი აიღეთ და ფეხსაცმელი ჩაიცვით. უნდა ვიჩქაროთ, თორემ შუქს ჩააქრობს და დაიმალება.

ხუთი წუთი არ გასულა, რომ მთელი სისწრაფით მივყვებოდით ხეივანს, უსიტყვოდ ვუსმენდით შემოდგომის ქარის ერთფეროვან ღმუილს და ხმელი ფოთლების შრიალს. ჰაერში სიდამპლისა და სინესტის სუნი იდგა. მთვარე მხოლოდ დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ღრუბლებიდან, რომლებიც ზოლად მიჰყვებოდნენ ცის თაღს, ხოლო როცა ჭაობზე გავედით, წვრილი წვიმა წამოვიდა. ყვითელი ცეცხლი ისევ ისე კიაფობდა წინ.

- თქვენ წამოიღეთ რამე? - ვკითხე ჰენრის.

- კი, შოლტი.

- რაც შეიძლება სწრაფად ვიმოქმედოთ, რომ გონს მოსვლის დრო არ დარჩეს და წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწროს. - აკი ამბობენ, თავზე ხელაღებული კაციაო. თავს მოულოდნელად უნდა წავადგეთ.

- უოტსონ! - უეცრად წამოიწყო ბარონეტმა. - ნეტავ რას იტყოდა ამაზე ჰოლმსი? გახსოვთ? «ღამით, როს ქვეყნად ბატონობენ ქვესკნელის ძალნი...»

და თითქოს მისი სიტყვების პასუხად, სადღაც შორს, ჭაობთა პირქუშ სივრცეში, ის უცნაური ხმა გაისმა, რამაც ასე გამაოცა რამდენიმე დღის წინ გრიმპენის ჭანჭრობში. ქარს ჯერ ყრუ ღრენა მოჰყვა, მერე ღმუილი, რომელიც ბოლოს თანდათან

ნაღვლიან ყმუილში გადაიზარდა. იგივე ველური, მრისხანე ხმები განმეორდა ერთიმეორის მიყოლებით და ზარდამცემმმა ბგერამ აავსო ჰაერი. ბარონეტმა სახელოში ჩამავლო ხელი, და მე წყვდიადშიც კი შევნიშნე, რა მკვდრის ფერი ედო სახეზე.

- ღმერთო ჩემო, უოტსონ, ეს რა არის?

- არ ვიცი. ამბობენ, რომ ასეთი ხმები იშვიათი არ არის ამ ჭაობებში. მე უკვე მომისმენია ეს ყმუილი.

ხმა ისევ შეწყდა. სრული სიწყნარე ჩამოვარდა. ვიდექით, ვუსმენდით ყურდაცქვეტილნი, დაძაბულნი, მაგრამ მეტად აღარაფერს დაურღვევია ჭაობებში გამეფებული მდუმარება.

- უოტსონ, - თქვა ბარონეტმა, - ეს ძაღლის ყმუილი იყო.

სისხლი გამეყინა ძარღვებში, რადგან სერ ჰენრის ხმა შიშმა გაბზარა.

- რას ამბობენ ამ ხმებზე? - იკითხა მან.

- ვინ?

- აქაური მცხოვრებლები.

- ესენი ხომ სრულიად უმეცარი ხალხია! განა სულ ერთი არ არის, რას ამბობენ აქაურები?

- უოტსონ, მითხარით, რას ლაპარაკობენ ამაზე?

ერთი წუთით შევყოყმანდი, მაგრამ კითხვა ისე იყო დასმული, რომ გვერდის ავლა აღარ შემეძლო.

- ამბობენ, ბასკერვილების ძაღლიაო.

სერ ჰენრიმ ამოიგმინა.

- დიახ, ასე ყმუილი მხოლოდ ძაღლს შეუძლია, - თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ. - მაგრამ ის შორსაა. ჭანჭრობის იქითა მხარეს.

- რა მოგახსენოთ, ვერ გავიგე, სად ყმუოდა?

- ქარმა მოიტანა. გრიმპენის ჭანჭრობი სადღაა? იქით?

- დიახ.

- ხმაც იქიდან მოდიოდა. გეყოფათ, უოტსონ! აკი თვითონვე თქვით, რომ ძაღლი ყმუოდა. მე ხომ ბავშვი არა ვარ. მითხარით სიმართლე, ნუ გეშინიათ.

- მაშინ ჩემთან ერთად სტეპლტონი იყო და თქვა, რომელიღაც ფრინველი იძახის ასეო.

- არა, ეს ძაღლიაო. ღმერთო ჩემო! ნუთუ მთელ ამ არაკებში არის თუნდაც სიმართლის ნატამალი? ნუთუ მართლა უჩინარი საფრთხე მემუქრება? თქვენ როგორ ფიქრობთ, უოტსონ?

- არა, არა!

- ასეთ სისულელეებზე სიცილი ლონდონში ადვილი საქმეა, მაგრამ სულ სხვაა ბნელ ჭაობებში ამ ყმუილის გაგონება. მერე, ბიძაჩემი? მის გვამთან ხომ ძაღლის კვალი ნახეს? ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა. სულაც არა ვარ მხდალი, უოტსონ, მაგრამ ძარღვებში სისხლი მეყინება ამ ხმის გაგონებაზე. აი, ნახეთ ჩემი ხელი.

- არა უშავს, ხვალ ყველაფერი გაივლის.

- არა, ამ ყმუილს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. ახლა რა ვქნათ?

- შინ დავბრუნდეთ?

- არაფრის გულისათვის! თუ დაჭერაა ამ არამზადისა, დაჭერა იყოს. მე და თქვენ კატორღელზე ვნადირობთ, ხოლო სულთამხუთავი ძაღლი ალბათ ჩვენზე ნადირობს. წავიდეთ, უოტსონ! თუნდ მთელი ჯოჯოხეთის ძალები აქ გაჩნდნენ, ჭაობებში, უკან დახევა მაინც არ შეიძლება.

ყოველ ნაბიჯზე ბორძიკით მივიწევდით წინ. მარჯვნივ და მარცხნივ ბნელში კლდოვანი ბორცვები მუქ სილუეტებად აზიდულიყვნენ. წინ კი, უწინდებურად, ყვითელი შუქი შუქურასავით მოჩანდა. არაფერი არ არის ისე მაცდური, როგორც პატარა შუქი უკუნეთ სიბნელეში. სინათლე ხან შორს ჰორიზონტზე ციმციმებდა, ხანაც სულ ახლოს გაიელვებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავინახეთ სინათლის წყარო და დავრწმუნდით, რომ შორს აღარ ვიყავით. - ეს იყო ქვებს შორის ნაპრალში დამაგრებული ჩამწვარი სანთელი. ლოდები შუქს ქარისა და გარეშე თვალისაგან იცავდნენ. ღიად მხოლოდ ის მხარე რჩებოდა, საითაც ბასკერვილ-ჰოლი მდებარეობდა. ჩვენ შეუმჩნევლად ვუახლოვდებოდით სინათლეს, რადგან გრანიტის დიდი ლოდი გვფარავდა. ფრთხილად ამოვეფარეთ ლოდს და გარემოს ზვერვა დავიწყეთ. უცნაური სანახავი იყო სანთელი ამ შუაგულ ჭაობში! ერთი ყვითელი ენა ალისა, ქვაზე მოციმციმე, და სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი გარშემო.

- ახლა რაღა ვქნათ? - ჩურჩულით იკითხა ჰენრიმ.

- დავიცადოთ აქ. ალბათ სადმე ახლოს იქნება. სადაცაა გამოჩნდება.

ვერც კი მოვასწარი ამის თქმა, რომ კიდევაც დავინახეთ იგი. ნაპრალში, სადაც სანთელი ენთო, გამოჩნდა საშინელი, დამღუპველი ვნებებით დაღარული სახე, რომელსაც არავითარი ადამიანურის ნიშანწყალი არ აჩნდა. სწორედ ასეთი ჭუჭყით დაფარული, ბანჯგვლიანი სახე და გაჩეჩილი ჯაგარა თმა ექნებოდა ერთ-ერთ პირველყოფილ ველურს, რომელიც თავს აფარებდა ამ ბორცვის ფერდობებს. სანთლის ალი ირეკლებოდა პატარა ცბიერ თვალებში, რომლებსაც ბოროტად აბრიალებდა. ეს თვალები იმ მხეცის თვალებს წააგავდა, რომელმაც სიბნელეში მონადირის ნაბიჯის ხმა გაიგონა. ეტყობოდა, სელდენი რაღაცამ დააეჭვა, ალბათ მასა და ბერიმორს ჰქონდათ ჩვენთვის უცნობი რაიმე პირობითი ნიშანი, ან იგრძნო, რომ კარგი საქმე არ არის მის თავს, რადგან მის საზიზღარ სახეზე შიშის კვალი შევნიშნე, ყოველ წამს შეეძლო ჩაექრო შუქი და სიბნელეში მიმალულიყო. წინ გავიჭერი, სერ ჰენრიც გამომყვა. კატორღელმა ერთი შეჰღმუვლა და გვესროლა ქვა, რომელიც ჩვენს გვერდით ლოდზე დაიმსხვრა. მხოლოდ ეს შევნიშნე, ტანდაბალი იყო, ბეჭგანიერი. საბედნიეროდ, ამ დროს ღრუბლებიდან სავსე მთვარე გამოცურდა. სირბილით შევყევით გორაკს, კატორღელი კი მის ფერდობზე მეორე მხრიდან ჩარბოდა, გარეული თხის სიმარდით ხტებოდა ქვიდან ქვაზე. მარჯვე სროლით შეიძლებოდა მისი დაჭრა, მაგრამ რევოლვერი მხოლოდ თავდაცვისათვის მქონდა წამოღებული და არა იმიტომ, რომ შეუიარაღებელი კაცისათვის ზურგში მესროლა.

მე და სერ ჰენრი გვარიანი მორბენლები ვიყავით, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ კატორღელს ვერ დავეწეოდით. იგი დიდხანს ჩანდა წინ, მთვარის შუქზე, და თანდათან პატარა წერტილად იქცა, რომელიც შორეულ ბორცვის ფერდობზე მიცოცავდა. მზერას ძლივს ვაწვდენდით. მანძილი ჩვენს შორის სულ უფრო იზრდებოდა. ბოლოს, სრულიად გამოგველია ძალ-ღონე, ქვაზე ჩამოვსხედით და შევცქეროდით კატორღელის ფიგურას, რომელიც თვალთაგან გვეკარგებოდა.

და აი, სწორედ ამ დროს მოხდა რაღაც უცნაური და მოულოდნელი. ის იყო გადავწყვიტეთ, მიგვეტოვებინა უსარგებლო დევნა და წამოვდექით, რომ უკან გამოვბრუნებულიყავით. მთვარე ჩვენგან მარჯვნივ იყო. გრანიტის უსწორმასწორო მწვერვალი მკვეთრად იხატებოდა მის ვერცხლისფერ დისკოზე. და ამავე დისკოზე დავინახე უძრავად მდგარი ადამიანის ფიგურა, თითქოს შავი ხისაგან გამოკვეთილი ქანდაკებააო. არ იფიქროთ, ჰოლმს, რომ ეს იყო ჰალუცინაცია! შემეძლო, როგორც არასოდეს, ჩემს მზერას დავნდობოდი! რამდენადაც შემეძლო დამენახა, ეს იყო მაღალი, გამხდარი კაცი. იდგა, ოდნავ ფეხებგადგმული, მკერდზე

ხელებგადაჯვარედინებული, თავჩაქინდრული, თითქოს დაფიქრებული გასცქეროდა ტორფისა და გრანიტის სამეფოს, რომელიც მის წინაშე გადაჭიმულიყო. აი, ასეთად მყავდა წარმოდგენილი აქაური ჭაობების სული! ეს არ იყო კატორღელი. შორს იდგა იმ ადგილიდან, სადაც კატორღელი მიიმალა. სიმაღლითაც მეტი იყო. მოულოდნელობისაგან დავიყვირე და ბარონეტს ხელი წავავლე. წამი, რაც ამისათვის დამჭირდა, საკმარისი გახდა - ადამიანი გაქრა. გრანიტის სვეტის წვეტიანი წვერი უწინდებურად ჩამჯდარიყო მთვარის დისკოში, მაგრამ უძრავი, უტყვი ფიგურა იქ აღარ იყო.

მაშინვე გადავწყვიტე, რომ საჭიროა მისვლა და ამ სვეტის დათვალიერება, მაგრამ ჩვენ საკმაოდ შორს ვიყავით, ხოლო ბარონეტს თავგადასავლების თავი აღარა ჰქონდა. - ჯერაც ვერ დამშვიდებულიყო საშინელი ყმუილის გაგონების შემდეგ, რამაც ბნელით მოცული საგვარეულო გადმოცემა მოაგონა. ამას გარდა, თვითონ არაფერი დაუნახავს და მაშასადამე, ისე ვერც ააღელვებდა ეს საკვირველი სანახაობა.

- ალბათ გუშაგია. კატორღელის გაქცევის შემდეგ ჭაობი სავსეა დარაჯებით, - თქვა გულგრილად.

შეიძლება სერ ჰენრი მართალი იყო, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდოდა ამაში საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი. დღესვე შევატყობინებთ პრინსტაუნის ხელისუფალთ, სად იმალება კატორღელი. მაგრამ მაინც საწყენია, რომ თვითონ ვერ მოვახერხეთ მისი შეპყრობა და ხელახლა ციხეში ზეიმით დაბრუნება!

ასეთია უკანასკნელი ღამის ამბები, და თქვენ, ძვირფასო ჰოლმს, უნდა აღიაროთ, რომ გაქვთ ამის თაობაზე სრული ანგარიში. ჩემი მოთხრობების მეტ ნაწილს, რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს საქმესთან, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია შეგატყობინოთ ჩემს წერილებში ყველა ფაქტი, - ამოარჩიეთ მათგან ისეთები, რომლებიც სამსახურს გაგიწევენ. რაღაც წარმატებანი მაინც გვაქვს. ამოვხსენით ბერიმორების უცნაური ქცევის მიზეზი, ამან კი ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. მაგრამ ტორფის ჭაობების საიდუმლო, მის უცნაურ ბინადართა საიდუმლო უწინდებურად ამოუხსნელია. იქნებ მომდევნო წერილში ოდნავ მაინც შევძლო ჭანჭრობში ჩამოწოლილ უკუნეთში სინათლის შეტანა. ყველაზე უკეთესი კი ის იქნებოდა, რომ აქ თვითონ ჩამოსულიყავით.

თავი X
ნაწყვეტები ექიმ უოტსონის დღიურიდან

აქამდე სრულიად იოლად ვართმევდი თავს იმ ამბების გადმოცემას, რომელთაც ბასკერვილ-ჰოლში ჩემი გამგზავრების პირველ დღეებში შერლოკ ჰოლმსს ვწერდი. ახლა კი იძულებული ვარ ეს ხერხი მივატოვო, ისევ ჩემს მეხსიერებას დავენდო და ამბები საკუთარი დღიურიდან ამონაწერებით დავამოწმო. ქვემოთ მოყვანილ ორ ნაწყვეტს მივყავართ იმ მოვლენებთან, რომლებიც საუკუნოდ ჩამებეჭდა ტვინში.

მე კატორღელის უშედეგო დევნასა და იმ ამბებზე შევჩერდი, რაც ამ დევნას მოჰყვა. განვაგრძობ თხრობას მომდევნო დილიდან.

16 ოქტომბერი. ნისლიანი უღიმღამო დღეა, ცრის. ბასკერვილ-ჰოლზე მძიმედ ჩამოწვნენ ღრუბლები, რომლებიც დროდადრო ცრიატდებიან და მაშინ შორს მოჩანს ტორფის ჭაობების პირქუში სივრცეები. აქა-იქ ვერცხლისფრად იელვებენ ხოლმე გორაკთა ფერდობები და სველი კაჭრები. შინაც და ღია ცის ქვეშაც ერთნაირი მოწყენილობაა. იმის შემდეგ, რაც ღამით განიცადა, ბარონეტი უხასიათოდაა. მე

თვითონაც რაღაც სიმძიმე მაწევს გულზე და გარდუვალი უბედურების წინათგრძნობა სულს მიხუთავს - ეს წინათგრძნობა მით უფრო საშინელია, რომ მისი ახსნა არ შემიძლია.

და განა მოუსვენრობის საფუძველი არა გვაქვს? საკმარისია გავიხსენოთ ჯაჭვი იმ მოვლენებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აქ არსებობენ და მოქმედებენ ბნელი ძალები. ბასკერვილ-ჰოლის უკანასკნელი მეპატრონის სიკვდილი, რაც ზუსტად ემთხვევა ოჯახურ გადმოცემას; ფერმერთა შორის მოარული ხმები უცნაურ არსებაზე, რომელიც დროგამოშვებით გამოჩნდება ხოლმე ჭაობებში... მე თვითონაც ხომ საკუთარი ყურით ორჯერ მოვისმინე ძაღლის შორეული ყმუილის მსგავსი ხმები. ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლება, რომ ყოველი აქ მომხდარი ამბავი ბუნების კანონთა გარეშე გამოვაცხადოთ! თქვენ თვითონ განსაჯეთ! მოჩვენება და ლანდია ძაღლი, რომელიც კვალს ტოვებს მიწაზე და ხმამაღლა ყმუის? არა, ეს აუტანელია! სტეპლტონს და თუნდაც მორტიმერს შეეძლოთ აჰყოლოდნენ საერთო განწყობილებას, მაგრამ მე თუ რაიმე ღირსება გამაჩნია, ესაა საღი აზრი, და ვერასოდეს ვერ დავემორჩილები ცრურწმენას! ამისათვის საჭიროა აქაურ ფერმერთა განვითარების დონეზე დაშვება - ფერმერთა, რომლებიც არ კმაყოფილდებიან გადმოცემით რაღაც სასტიკ ძაღლზე და მონაყოლს ცეცხლის ალსაც უმატებენ, რასაც ის არნახული საშინელება თურმე პირიდან და თვალებიდან აფრქვევს. ჰოლმსი ყურსაც არ მიაპყრობდა მსგავს ბოდვას, მე კი მისი პიროვნების წარმომადგენელი ვარ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მე ორჯერ მოვისმინე ეს ყმუილი. ხომ შეიძლება, რომ ჭაობებში მართლაც დარბოდეს რომელიმე უზარმაზარი ძაღლი? მაშინ ხომ ყველაფერი ნათელი გახდება! მაგრამ სად იმალება, რას ჭამს, საიდან მოვიდა, რატომ ვერავინ ხედავს მას დღისით? უნდა ვაღიარო, რომ თუ ყოველივე ამას დამაჯერებელ ახსნას მივცემთ, არანაკლები სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდებით. მაგრამ თუნდაც ძაღლი განზე დავტოვოთ - როგორ ავხსნათ ის, რაც ლონდონში მოხდა? უცნობი კებში. წერილი, რომლის ავტორი აფიცებდა სერ ჰენრის არ გამოჩენილიყო ჭაობებში? ამაში ხომ არაფერია ზებუნებრივი, თუმცა ერთიც და მეორეც შეიძლება მიეწეროს როგორც მეგობრულ, ასევე მტრულ ძალებს. მაგრამ სად არის ახლა ეს მტერი თუ მოყვარე? ლონდონში დარჩა თუ აქეთ გამოგვყვა? ნუთუ... ნუთუ სწორედ ის ვიხილე გრანიტის სვეტის თავზე?

მართალია, მხოლოდ თვალი შევასწარი, მაგრამ ზოგი რამ მაინც გარკვევით შევნიშნე და მზად ვარ ეს ფიცით დავამტკიცო. აქაური მცხოვრები არაა - ახლა სერ ჰენრის ყველა მეზობელს ვიცნობ. სტეპლტონზე მაღალია და ფრენკლენდზე საგრძნობლად გამხდარი. შეიძლებოდა ეს კაცი ბერიმორად მიგვეღო, მაგრამ ბერიმორი მე და სერ ჰენრიმ შინ დავტოვეთ, გარდა ამისა, ვერც შეძლებდა შეუმჩნევლად გამოგვყოლოდა. მაშასადამე, აქაც, ისევე როგორც ლონდონში, ჩვენი კვალის მიგნებას ვიღაც უცნობი ცდილობს. დღემდე ვერ შევძელით მისგან თავის დაღწევა. რომ შემეძლოს ამ კაცის დაჭერა, ყველა ჩვენს გაუგებრობას ფარდა აეხდებოდა. აი ჩემი მიზანი, და მთელ ჩემს ძალ-ღონეს ვიხმარ, რომ ამას მივაღწიო.

ჩემი პირველი წადილი იყო საკუთარი გეგმები სერ ჰენრისათვის გამეზიარებინა, მაგრამ რომ დავფიქრდი, გადავწყვიტე თამაში დამოუკიდებლად განმეგრძო და რაც შეიძლება ნაკლები მელაპარაკა ამაზე. ბარონეტი სიტყვაძვირი და თავის ფიქრებში გართული კაცია. ყმუილმა, რაც ჭაობებში გაიგონა, მასზე ძალიან იმოქმედა. მეც უმჯობესად ჩავთვალე აღარ გამეღრმავებინა მისი მოუსვენრობა, მაგრამ იარაღს არა ვყრი, ჩემი პასუხისმგებლობით მინდა ვიმოქმედო.

დღეს საუზმის შემდეგ ჩვენთან პატარა სცენა გათამაშდა. ბერიმორმა სთხოვა სერ ჰენრის, ნება მომეცით ცალკე მოგელაპარაკოთო, და ორივენი კაბინეტში გავიდნენ. საბილიარდოში ვიჯექი, მესმოდა მათი აწეული ხმა და მშვენივრად ვხვდებოდი, რაზედაც იყო ლაპარაკი. მალე კაბინეტის კარი გაიღო და ბარონეტმა დამიძახა.

- ბერიმორი ნაწყენია ჩვენზე, - მითხრა სერ ჰენრიმ. - წარმოიდგინეთ, რომ დევნა მისი ცოლისძმისა, რომლის საიდუმლო თავისი ნებით გაგვანდო, ჩვენის მხრივ უპატიოსნობა ყოფილა.

- შეიძლება მე გავცხარდი, სერ ჰენრი, გთხოვთ მაპატიოთ. მაგრამ მე მაინც ძალიან გავოცდი, როცა განთიადისას თქვენი ნაბიჯის ხმა გავიგონე და შევიტყვე, რომ სელდენის შეპყრობა გქონდათ გადაწყვეტილი. მაგ უბედურს ისედაც ცუდი დღე ადგას და ისღა აკლია, რომ კვალში ჩავუყენო ვინმე.

- სელდენი რომ ნამდვილად საკუთარი სურვილით გაგეცათ, ეს სულ სხვა საქმე იქნებოდა, - თქვა ბარონეტმა. - მაგრამ თქვენ, უფრო სწორად თქვენმა ცოლმა აღიარა სიმართლე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ გაიძულეთ. სხვა გზა არც გქონდათ.

- არ მეგონა, თუ სიტყვაზე დამიჭერდით, სერ ჰენრი. არაფრით არ მეგონა.

- სელდენი საშიშია საზოგადოებისათვის. ეს ხომ ისეთი კაცია, არაფრის წინაშე უკან რომ არ დაიხევს. ამას მისი გამომეტყველება თვალნათლივ ადასტურებს. გაიხსენეთ, რა მწირედ არის აქაურობა დასახლებული. აიღეთ თუნდაც მისტერ სტეპლტონი - თავდასხმის შემთხვევაში რისი იმედი უნდა ჰქონდეს, მხოლოდ საკუთარ მკლავს თუ დაენდობა. არა! ვიდრე ამ კაცს ბორკილს არ დაადებენ, თავს უშიშრად ვერ ვიგრძნობთ.

- სელდენი ხელსაც არავის ახლებს, გეფიცებით! აქაური მცხოვრებლებისათვის ახლა იგი არ არის საშიში. დამიჯერეთ, სერ ჰენრი, რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი მოგვარდება, ის სამხრეთ ამერიკაში წავა. გევედრებით, ნუ შეატყობინებთ პოლიციას, რომ სელდენი აქ იმყოფება, ჭაობებში. მას უკვე აღარ ეძებენ და შეუძლია გემს დამშვიდებით დაელოდოს. თუ პოლიციას შეატყობინებთ, მე და ჩემს ცოლს ავი საქმე დაგვემართება. გთხოვთ, სერ, ნუ მიმართავთ პოლიციას!

- უოტსონ, რას იტყვით ამაზე?

მხრები ავიჩეჩე.

- თუ ეს კაცი ამერიკაში წავა, გადასახადის გადამხდელები უფრო თავისუფლად ამოისუნთქავენ.

- ვთქვათ, რაიმე უბედურება მოახდინა გამგზავრების წინ?

- არა, სერ! გიჟი ხომ არ არის! ჩვენ მივეცით ყველაფერი, რაც საჭიროა. ახალი დანაშაული კი ხიფათში ჩააგდებს.

- ეს მართალია, - თქვა სერ ჰენრიმ. - კარგი, ბერიმორ...

- უფალმა დაგლოცოთ, სერ! რა მადლობელი ვარ! თუ სელდენი კიდევ დაიჭირეს, ჩემი ცოლი ამ დარდს ვეღარ გადაიტანს.

- ისე გამოდის, უოტსონ, რომ მე და თქვენ სისხლის სამართლის დამნაშავეს ვფარავთ. მაგრამ ახლა ალბათ გამბედაობა აღარ მეყოფა, რომ ის კატორღელი გავცე. კეთილი, ამით დავასრულოთ. შეგიძლიათ წახვიდეთ, ბერიმორ.

ლაქიამ კიდევ წაილუღლუღა მადლობის ნიშნად ორიოდე სიტყვა და წავიდა კარისაკენ, მაგრამ ზღურბლზე უეცრად შეჩერდა.

- თქვენ ისე კარგად მომექეცით, სერ, რომ მინდა როგორმე მადლობა გადაგიხადოთ, - დაიწყო გაუბედავად. - მე ცოტა რამ ვიცი, სერ ჰენრი... შეიძლება აქამდე ტყუილად ვდუმდი, მაგრამ ეს გამოირკვა მაშინ, როცა ძიება უკვე

დამთავრებული იყო. ჯერ კიდევ არავისთან არ მილაპარაკია ამაზე... ლაპარაკია სერ ჩარლზის სიკვდილზე.

მე და ბარონეტი ადგილზე შევხტით.

- თქვენთვის ცნობილია სიკვდილის გარემოებანი?

- არა, სერ.

- მაშ, რა იცით,?

- მე ვიცი, რატომ იდგა ჭიშკართან ასე გვიან ღამით - პაემანი ჰქონდა ქალთან.

- პაემანი ქალთან! სერ ჩარლზს!

- დიახ, სერ.

- ვინ არის ის ქალი?

- სახელს ვერ გეტყვით, სერ, ვიცი მხოლოდ პირველი ასოები: ლ. ლ.

- სერ ჰენრი, იმ დილით ბიძათქვენმა წერილი მიიღო. მის სახელზე ჩვეულებრივ მრავალი წერილი მოდიოდა, ცნობილი კაცი იყო და თავისი სიკეთით სახელი ჰქონდა განთქმული. ყველა შესჩიოდა თავის დარდს. მაგრამ იმ დილით მხოლოდ ერთი წერილი მოვიდა, ამიტომაც დავიმახსოვრე. მისამართი ქალის ხელით იყო დაწერილი, ბეჭედზე კი აღნიშნული იყო «კუმბ-ტრესი».

- მერე?

- არც მომაგონდებოდა მერე ეს წერილი, ჩემი ცოლი რომ არა. სერ ჩარლზის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა, ჩემმა მეუღლემ მისი ყოფილი კაბინეტის დალაგება დაიწყო. ბუხრის სიღრმეში რაღაც ქაღალდის ფურცელი იპოვა. ფურცლის მეტი ნაწილი ფერფლად იყო ქცეული, მაგრამ ერთი პატარა ნაგლეჯი - სწორედ ბოლო - გადარჩენილიყო და კაცი სიტყვებს გაარჩევდა, თუმცა მელანი მხურვალებისაგან გაუფერულებულიყო და ქაღალდიც სანახევროდ გარუჯული აღმოჩნდა. ჩანდა, მხოლოდ მინაწერი გვეჭირა ხელში. აი, რა წავიკითხეთ: «გთხოვთ, როგორც ჯენტლმენს, დაწვით ეს წერილი და იყავით ჭიშკართან საღამოს ათ საათზე». დაბლა ეწერა ორად ორი ასო: «ლ. ლ.».

- ეს ნაგლეჯი შენახული გაქვთ?

- არა, სერ, ხელში შემომეფშვნა.

- მანამდე თუ იღებდა სერ ჩარლზი იმავე ხელით ნაწერ წერილებს?

- არ ვიცი, სერ. არ მიმიქცევია ყურადღება. ეს წერილიც იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ერთადერთი იყო იმ დღეს.

- და თქვენ არ იცით, ვინ არის ეს «ლ. ლ.»?

- არა, სერ, წარმოდგენა არა მაქვს. მაგრამ მე ვფიქრობ, ეს ლედი რომ გვეპოვა, გავიგებდით ზოგიერთ წვრილმანს სერ ჩარლზის სიკვდილზე.

- პირდაპირ არ მესმის თქვენი, ბერიმორ! როგორ შეიძლებოდა აქამდე დაგემალათ ასეთი მნიშვნელოვანი ცნობები?

- იცით, სერ, ამის შემდეგ ანაზდად დაგვატყდა თავს უბედურება. გარდა ამისა, მე და ჩემს ცოლს ძალიან გვიყვარდა სერ ჩარლზი და ვერ ვივიწყებდით მის სიკეთეს. ვიფიქრეთ, რატომ უნდა გავქექოთ ძველი ამბავი-თქო? ჩვენს ბატონს ეს სულ ერთია უკვე აღარ უშველის, ხოლო როცა საქმეში ჩარეულია ქალი, საჭიროა ფრთხილად მოქმედება. აკი თვით ყველაზე უფრო ღირსეული ადამიანებიც...

- თქვენი აზრით, ეს შეურაცხყობს მის ხსოვნას?

- დიახ, სერ, გადავწყვიტე, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვიდოდა. მაგრამ თქვენ ისეთი სიკეთე გამოიჩინეთ ჩვენდამი... აღარ შემიძლია დაგიფაროთ ის, რაც ვიცი.

- კარგი, ბერიმორ, შეგიძლიათ წახვიდეთ.

როცა ლაქია გავიდა, სერ ჰენრი მე მომიბრუნდა:

- აბა, უოტსონ, რას იტყვით სინათლის ამ ახალ სხივზე?

- ჩემი აზრით, ამ სხივმა კიდევ უფრო დააბნელა ყველაფერი.

- ჰო. მართალია. მაგრამ ეს «ლ.ლ.» რომ გვეპოვა, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ქალი, რომელმაც ბევრი რამ იცის, ხოლო ეს უკვე სერიოზული მიღწევაა! საჭიროა მხოლოდ მისი მიგნება. ახლა როგორ მოვიქცეთ?

- დაუყოვნებლივ შევატყობინოთ ყოველივე ჰოლმსს. იქნებ ამან დააყენოს სწორ კვალზე. დარწმუნებული ვარ, მაშინვე აქ გაჩნდება.

ჩვენს ოთახში შევედი და იმდღევანდელ ამბებზე დაწვრილებითი ანგარიში დავწერე. შევატყობინე, თუ რა მოხდა იმ დილით. ჩემი მეგობარი ბოლო დროს, ეტყობა, ძალიან მოუცლელია, რადგან ბეიკერსტრიტიდან იშვიათი და მოკლე პასუხები მოდის. მათში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ჩემს ანგარიშებზე, ხოლო ჩემი აქ ჩამოსვლის მიზანზე - მხოლოდ გაკვრით. შანტაჟის იმ საქმემ, ეტყობა, მთლიანად შთანთქა ჰოლმსი, მაგრამ უკანასკნელი მოვლენები უსათუოდ მიიპყრობენ მის ყურადღებას და ისევ გაუღვიძებენ ინტერესს ჩვენი ძიებისადმი, როგორ მინდა, რომ აქ იყოს!

17 ოქტომბერი. დღეს მთელი დღე წვიმს. მძიმე წვეთები აშრიალებენ ხშირ ფათალოს, ეცემიან ლავგარდანს და მიედინებიან დაბლა. მომაგონდა ღია ცის ქვეშ ტორფის ჭაობების სიღრმეში დამალული კატორღელი. საბრალო! რა მძიმეც არ უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ახლანდელი ტანჯვა რამდენადმე მაინც გამოისყიდის ყველა შეცოდებას. მერე მომაგონდა ის, მეორე ადამიანიც... კების ფანჯარაში გაელვებული სახე, თითქოს მთვარის დისკოზე ამოკვეთილი ბნელი ფიგურა. ნუთუ ის ბნელეთის თანამგზავრი, მოუხელთებელი მზვერავი, ამ დელგმაში დაეხეტება?

საღამოს საწვიმარი წამოვიგდე მხრებზე და ჭაობების სიღრმისაკენ გავემართე. საშინელი სურათები მესახებოდა, წვიმა სახეში მცემდა, ქარი ყურებში მიწიოდა. ვინც ახლა გრიმპენის ჭანჭრობში დაეხეტება, ღმერთი იყოს მისი მფარველი. ასეთ ამინდში აქ გორაკებიც კი ერთიან საფლობად იქცევიან. ვიპოვე გრანიტის სვეტი, რომელზედაც იდგა ის მარტოხელა მჭვრეტელი, და მისი უსწორმასწორო დაკბილული თავიდან დავათვალიერე ძირს გადაშლილი პირქუში ჭაობები. ამ ჩამუქებულ დაბლობს კოკისპირულად აწვიმდა. მძიმე, ტყვიისფერი ღრუბლები დედამიწაზე ეშვებოდნენ, ხოლო მათს ნაგლეჯებს სვეტებად შესდგომოდნენ გორაკების უცნაური მოხაზულობანი. შორს მარცხნივ, ხეების კენწეროების ზემოთ ნისლში ძლივს ჩანდა ბასკერვილ-ჰოლის ვიწრო კოშკები. მხოლოდ ისინი მეტყველებდნენ ამ მიდამოებში ადამიანის არსებობაზე, თუ არ ჩავთვლით წინაისტორიულ ქოხმახებს გორაკთა ფერდობებზე. და არსად არავითარი კვალი იმ უცნობისა, ამავე სვეტზე ორი ღამის წინ რომ ვნახე.

უკან რომ ვბრუნდებოდი, ექიმი მორტიმერი წამომეწია, რომელიც თავისი ეტლით მოდიოდა დამპალი საფლობის მხრიდან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ექიმი ჩვენს მიმართ ძალიან გულისხმიერი იყო, და თითქმის დღეც არ გავიდოდა, რომ არ შემოევლო ბასკერვილ-ჰოლში იმის გასაგებად, თუ როგორ ვიყავით. ექიმმა ეტლში ჩამსვა და შინ გაცილება შემომთავაზა. ძალიან შეწუხებული იყო თავისი სპანიელის დაკარგვის გამო. ჭაობებისაკენ წასული ძაღლი უკან აღარ დაბრუნებულიყო. ვანუგეშებდი ექიმს, როგორც შემეძლო, თვითონ კი ვიგონებდი,

როგორ ჩაიძირა გრიმპენის ჭანჭრობში პონი, და ვფიქრობდი, რომ მორტიმერი ძნელად თუ იხილავდა თავის პატარა ძაღლს.

- სხვათა შორის, ექიმო, - ვუთხარი მე და თან მასთან ერთად ვხტოდი ოღროჩოღრო გზაზე, - თქვენ ალბათ ყველას იცნობთ, ვინც კი ამ არემარეში ცხოვრობს.

- ვფიქრობ, რომ ყველას.

- მაშინ, იქნება მითხრათ სრული გვარი და სახელი ქალისა, რომლის ინიციალებია «ლ. ლ.»?

მორტიმერი დაფიქრდა და მერე თქვა:

- ვერ გეტყვით. მართალია, ბოშებსა და ფერმის მუშებზე თავდებობას ვერ ვიკისრებ, მაგრამ თვით ფერმერებსა და ჯენტრის შორის ასეთი ინიციალები თითქოს არავის არ უდგება. თუმცა მოითმინეთ, - დასძინა პაუზის შემდეგ, - არის ერთი ლაურა ლაიონსი - ესეც თქვენი «ლ.ლ.», მაგრამ ის კუმბ-ტრესიში ცხოვრობს.

- ვინ არის ეს ქალი?

- ფრენკლენდის ქალიშვილი.

- როგორ! ამ ახირებული მოხუცის?

- სავსებით სწორია! მხატვარს გაჰყვა ცოლად, გვარად ლაიონსს, რომელიც აქ ეტიუდებისათვის ჩამოდიოდა. ის არამზადა გამოდგა და მიატოვა ქალი, თუმცა, როგორც გამიგონია, ყველფერში მხოლოდ ერთი მხარის დადანაშაულება არ შეიძლება. მამამ თავის ასულზე ხელი აიღო, რადგან ქმარს უნებართვოდ გაჰყვა. ისიც შეიძლება, რომ მიზეზი მარტო ეს არ იყოს. ერთი სიტყვით, ორთავე ცოდვილმა - მოხუცმაც და ახალგაზრდამაც - ამ ქალს სიცოცხლე გაუმწარა.

- მერე, როგორღა ცხოვრობს?

- მოხუცი ფრენკლენდი, ალბათ, ცოტა რამეს აძლევს, რაღა თქმა უნდა, ძალიან ცოტას, რადგან საქმე თვითონაც ვერა აქვს კარგად. მაგრამ რა მძიმე ცოდვაც არ უნდა ჩაედინა, საკუთარი შვილის ასე გაწირვა მაინც არ შეიძლებოდა. როცა ეს ისტორია ცნობილი გახდა, მეზობლები - სტეპლტონი და სერ ჩარლზი - დაეხმარნენ ქალს და საშუალება მისცეს პატიოსნად ეცხოვრა. ამ საქმეში ცოტა წვლილი მეც მიმიძღვის. გვინდოდა მანქანაზე ბეჭდვა შეესწავლა.

მორტიმერმა მკითხა, რატომ გაინტერესებს ეს ამბავიო და მეც დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა, თანაც შევეცადე არ გამემხილა ყველა წვრილმანი, რადგანაც სრულიადაც არ არის საჭირო ჩვენი საიდუმლოებანი უცხო ადამიანებს გავუზიაროთ.

ხვალ დილით კუმბ-ტრესიში გავემგზავრები, და თუ მოვახერხე ამ მეტად საეჭვო რეპუტაციის ქალის, მისის ლაიონსის ნახვა, ამით გადავდგამთ წინ დიდ ნაბიჯს. რათა ჩვენი თავსატეხების რიცხვი ერთით შემცირდეს.

სხვათა შორის, თქვენი მორჩილი მსახური ნელ-ნელა გველივით ბრძენი ხდება. როცა მორტიმერმა მეტისმეტად დაწვრილებით დამიწყო გამოკითხვა, მე სიტყვა ბანზე ავუგდე: რომელ ტიპს ეკუთვნის-მეთქი ფრენკლენდის თავის ქალა, ამან გადამარჩინა: გზის მთელი დანარჩენი ნაწილი კრანიოლოგიის ლექციას მიეძღვნა. შერლოკ ჰოლმსთან გატარებულ წლებს ჩემთვის ამაოდ არ ჩაუვლიათ.

ამ ნაღვლიანი წვიმიანი დღის აღწერა რომ დავასრულო, კიდევ ერთ საუბარს გავიხსენებ, ამჯერად ბერიმორთან. ამ საუბარმა კიდევ ერთი კვანძის წვერი მომცა ხელში, რასაც საჭირო შემთხვევაში გავყვები.

მორტიმერი ჩვენთან დარჩა, და სადილის შემდეგ მან და ბარონეტმა ეკარტეს თამაში წამოიწყეს. ლაქიამ ყავა ბიბლიოთეკაში მოგვართვა და აქ შემთხვევა მქონდა მისთვის რამდენიმე კითხვა დამესვა.

- აბა, ბერიმორ, რას აკეთებს თქვენი კეთილი ნათესავი? გაემგზავრა, თუ ჯერ კიდევ იმალება ჭაობებში?

- არ ვიცი, სერ. ნეტავი, მალე წავიდოდეს! რამდენ ხიფათს გადაგვკიდა. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად წავუღე საჭმელი, მისი არა ვიცი რა. ეს კი ამ სამი დღის წინათ გახლდათ.

- მაშინ კი ნახეთ?

- არა, სერ, მაგრამ შემდეგ შევამოწმე - საჭმელი ადგილზე არ იყო.

- რაკი საჭმელი ადგილზე არ აღმოჩნდა, მაშასადამე, ჯერაც ჭაობებშია.

- თითქოს ასეა, სერ, თუ მეორე კაცმა არ აიღო.

ხელი, რომლითაც ფინჯანი მეჭირა, შუა გზაზე გამიშეშდა, და მე მთელი გულისყურით ბერიმორს დავაშტერდი.

- მაშ, თქვენ ამბობთ, რომ იქ კიდევ მეორე ადამიანიც იმალება?

- დიახ, სერ, ჭაობებში კიდევ ერთი ადამიანი უნდა იყოს.

- თქვენ ნახეთ?

- არა, სერ.

- მაშ, აბა საიდან იცით მისი ამბავი?

- ამ ერთი კვირის წინ თვითონ სელდენმა მითხრა, ვიღაც კაცი კიდევ იმალებაო ჭაობებში, მაგრამ ჩემი ფიქრით, სერ უოტსონ, ის მეორე კატორღელთაგანი არ უნდა იყოს... არ მომწონს ეს ამბავი, სერ უოტსონ, სულაც არ მომწონს! - მოულოდნელი ძალით წამოსცდა ბერიმორს.

- ჩემო მეგობარო! აქ მე ვმოქმედებ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ბატონის სასარგებლოდ. მხოლოდ იმ მიზნით ჩამოვედი, რომ სერ ჰენრის დავეხმარო. პირდაპირ მითხარით: სახელდობრ რა არ მოწონთ?

ერთი წუთით ბერიმორი ყოყმანობდა, თითქოს ნანობდა თავის აფეთქებას ან იმას, რომ თავისი მშფოთვარე გრძნობების გამოსახატავად შესაფერი სიტყვები ვერ იპოვა.

- არაფერი, რაც იქ ხდება, სერ! - შესძახა ბოლოს და ხელი გაიშვირა წვიმის ნაკადებით დაფარული ფანჯრებისაკენ, რომლებიც ჭაობებს გადაჰყურებდნენ.

- ეს რაღაც კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს. იქ, ჩემი აზრით, შავ-ბნელ საქმეს იზრახავენ, მერწმუნეთ! ახლა მხოლოდ ეს მინდა: რომ სერ ჰენრი რაც შეიძლება მალე წავიდეს აქედან ლონდონში!

- ასე რამ შეგაშინათ?

- გაიხსენეთ სერ ჩარლზის სიკვდილი! იმას ნუ უყურებთ, რა თქვა იმ გამომძიებელმა! ყური მიუგდეთ, რა ხდება ღამით ჭაობებში! ადამიანები ხომ არაფრის გულისათვის არ დათანხმდებიან დაღამების შემდეგ იქ გასვლაზე... ახლა ის კაცი, ჭაობებში რომ დადის და ვიღაცას ზვერავს, - ვის ზვერავს? რას ნიშნავს ყოველივე ეს? არა! მათთვის, რომელნიც ბასკერვილების გვარს ატარებენ, ეს საქმე კარგად არ გათავდება, და მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა სერ ჰენრის ახალი მსახური მოვა. ჩემს ადგილს დაიჭერს და მე შემეძლება აქაურობას გავეცალო!

- მიამბეთ იმ კაცის ამბავი, - ვუთხარი ლაქიას. - რა იცით იმ ადამიანზე? რა თქვა სელდენმა? ხომ არ იცის, სად იმალება და რისთვის?

- სელდენმა ორჯერ ნახა, მაგრამ ფრთხილი და ეშმაკი ყოფილა. ჯერ პოლიციელად მიიღო, მაგრამ მერე დარწმუნდა, რომ სულ სხვა ვინმეა. გარეგნობით ჯენტლმენია, მაგრამ რა უნდა ამ ჭაობებში, ძნელი სათქმელია.

- მაინც სად იმალება?

- სელდენი ამბობს, ძველ ქოხებში, ფერდობზეო. იცით, იქ გორაკებზე გამოქვაბულებია, სადაც ძველ დროს ადამიანებს უცხოვრიათ.

- მერე, რას ჭამს?

- სელდენს შეუნიშნავს, რომ მასთან ვიღაც პატარა ბიჭი დადის, ალბათ ის თუ უზიდავს საჭმელსა და ყველაფერს, რაც ესაჭიროება. კუმბ-ტრესიდან უნდა დადიოდეს.

- კეთილი, ბერიმორ. როგორმე სხვა დროსაც მოვილაპარაკებთ ამაზე. - როცა ლაქია გავიდა, ფანჯარასთან გავჩნდი და დაბინდულ მინაში გავხედე ცაზე მსრბოლ ღრუბლებსა და ქარში მოქანავე ხეებს. თუ ასეთ ამინდში სახლშიც კი არ არის მყუდროება, რა გუნებაზე უნდა იყოს ჭაობებში ქვის ქოხმახში მყოფი ადამიანი? რა სიძულვილი უნდა გენთოს გულში, რომ ადამიანს ჩაუსაფრდეთ ასეთ ადგილას და ისიც ასეთ ამინდში! ან რამ აამხედრა ეს კაცი, რომ თავს ასეთი სასტიკი ტანჯვა არგუნა?

ჭაობის ერთ-ერთ ქოხში იფარება თვით არსი იმ გამოცანისა, რაც ასე მტანჯავს. ვფიცავ, ერთი დღეც არ გაივლის, რომ გავაკეთებ ყველაფერს, რაც ადამიანს ძალუძს და ამ საიდუმლოებას მაინც ამოვხსნი!

თავი X|
კაცი გრანიტის სვეტზე

ჩემი დღიურის უკანასკნელ თავში აღწერილმა ამბებმა 18 ოქტომბრამდე მიგვიყვანეს, ეს ის რიცხვია, საიდანაც ზემოთ მოთხრობილი ყველა დაუჯერებელი ამბავი სწრაფად დაიძრა საშინელი დასასრულისაკენ. უკანასკნელი დღეების მოვლენები ისე ჩამეჭედა მეხსიერებაში, რომ შემიძლია ჩანაწერების დაუხმარებლად მოგითხროთ.

ამრიგად, დავიწყოთ იმ დღიდან, რომლის კვირაძალზე გამოვარკვიე პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ორი გარემოება. პირველი: რომ მისის ლაურა ლაიონსმა კუმბ-ტრესიდან წერილი მისწერა სერ ჩარლზ ბასკერვილს და პაემანი დაუნიშნა სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ უკანასკნელმა სიკვდილი ჰპოვა (ამასთან დათქმულ საათს), და მეორე: რომ ადამიანი, რომელიც ჭაობებში იმალება, უნდა ვეძიოთ ქვის ქოხებში, ბორცვის ფერდობზე. ვგრძნობდი, რომ ახლა გაუბედაობასა და მოუსაზრებლობას მხოლოდ ხელის შეშლა შეეძლო ამ ორი გამოცანის გადაწყვეტაში.

იმ საღამოს ვერ მოვახერხე მისის ლაიონსზე მეთქვა რამე ბარონეტისათვის, რადგან მორტიმერი გვიანობამდე შეჰყვა მასთან ბანქოს თამაშს. მაგრამ მეორე დღეს საუზმეზე ჩემი აღმოჩენა გავუზიარე და ვთხოვე, კუმბ-ტრესიში წამომყევი-მეთქი. პირველად სიამოვნებით დამეთანხმა, მაგრამ როცა დავფიქრდით და კარგად ავწონ-დავწონეთ, გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ მარტო მე წავიდოდი. ჩვენი აზრით, რაც უფრო ოფიციალურად იქნებოდა მოწყობილი ეს გამგზავრება, მით უფრო ნაკლებ წარმატებას მივაღწევდით. ამიტომ სინდისის ქენჯნის გარეშე დავტოვე შინ სერ ჰენრი, თვითონ კი ამ ახალ სამძებრო საქმეზე გავწიე.

კუმბ-ტრესიში რომ ჩავედი, პერკინსს ვუბრძანე, ცხენებს მიხედე-მეთქი და მაშინვე ვიპოვე ლედი, რომელიც უნდა დამეკითხა. მისი სახლის პოვნა არ გამჭირვებია - სოფლის შუაგულში იდგა. მოსამსახურემ, რომელმაც კარი გააღო, ზედმეტი ცერემონიის გარეშე შემიყვანა სასტუმრო ოთახში, სადაც საწერ მანქანასთან მჯდარი ქალი დამხვდა. იგი სასიამოვნო ღიმილით ადგა, რომ მომგებებოდა, მაგრამ

როცა უცნობი კაცი დამინახა, მოიღუშა, ისევ მაგიდას მიუჯდა და მოსვლის მიზეზი მკითხა.

ერთი შეხედვით მისის ლაიონსი განსაცვიფრებელი სილამაზის ქალი გახლდათ. ღია თაფლისფერი თვალები ჰქონდა, წაბლისფერი თმა, ვარდისფერ ღაწვებზე ოდნავ ჭორფლი ეყარა, მაგრამ სახეზე ისეთი მომხიბვლელი ელფერი დაჰკრავდა, როგორიც თეთრი ვარდის გულში გვინახავს. ვიმეორებ, პირველი შთაბეჭდილება ძალიან ძლიერი იყო. მაგრამ როცა კარგად დავაკვირდი და უფრო კრიტიკული თვალით შევხედე, მის პიროვნებაში რაღაც არასასიამოვნო, იქნებ უხეშიც აღმოვაჩინე. არ ვიცი, რა ჩრდილავდა ამ სრულყოფილ სილამაზეს - პირის ორსავე მხარეს არსებული ნაკეცები, თუ მკაცრი გამოხედვა. მაგრამ ეს აზრი თავში უფრო გვიან მომივიდა. პირველ წუთს კი უბრალოდ ვიგრძენი, რომ ჩემს წინ ზის ძალიან ლამაზი ქალი, და ეს ქალი მეკითხება, რისთვის მოხვედიო. მხოლოდ ახლა მივხვდი, რამდენად საჩოთირო იყო ჩემი ვიზიტის მიზანი.

- მაქვს პატივი ვიცნობდე თქვენს მამას, - ვუთხარი პასუხად.

დასაწყისი საკმაოდ უხეირო გამოდგა და ლედიმ ეს დაუყოვნებლივ მაგრძნობინა.

- მე არაფერი საერთო არა მაქვს ჩემს მამასთან, - თქვა ქალბატონმა. - არაფრით არა ვარ მისგან დავალებული და მის მეგობრებს არა ვთვლი ჩემს მეგობრებად. იგი ჩემზე ზრუნვით თავს არ იწუხებს. სერ ჩარლზ ბასკერვილი და ზოგიერთი სხვა გულშემატკივარი რომ არა, შიმშილი მელოდა.

- მე სწორედ განსვენებულ სერ ჩარლზ ბასკერვილზე მინდა გელაპარაკოთ.

ფერწასულ სახეზე ჭორფლი ნათლად გამოეხატა.

- სახელდობრ, რა გაინტერესებთ? - იკითხა და თითები ნერვულად შეათამაშა მანქანის კლავიშებზე.

- იცნობდით?

- აკი გეუბნებოდით, ბევრით ვარ-მეთქი დავალებული მისგან. თუ მოვახერხე ფეხზე დადგომა, ეს უფრო იმის წყალობით, რომ იმ კაცმა ჩემდამი გულისხმიერება გამოიჩინა.

- მიწერ-მოწერა გქონდათ მასთან?

ლედიმ სწრაფი მზერა მტყორცნა და მის თაფლისფერ თვალებში ბოროტმა ნაპერწკალმა გაიელვა.

- ამიხსენით ამ დაკითხვის მიზანი, - მკაცრად თქვა ქალმა.

- მიზანი ერთია: გადარჩეთ თქვენთვის არასასიამოვნო გახმაურებას. მოდით, ახლავე მოვილაპარაკოთ, თორემ ეს საქმე ჩვენზე აღარ იქნება დამოკიდებული და შედეგი უარესი იქნება.

მისის ლაიონსს კიდევ უფრო გაუკრთა ფერი და დიდხანს დუმდა, მერე უეცრად შემომხედა და თავხედური, გამომწვევი კილოთი მითხრა.

- კარგი, მე თანახმა ვარ. რა გნებავთ იცოდეთ?

- გქონდათ თუ არა მიმოწერა სერ ჩარლზთან?

- დიახ, მივწერე ორჯერ, დიდსულოვნება და თავაზიანობა დავუმადლე.

- ამ წერილების თარიღები გახსოვთ?

- არა.

- პირადად შეხვედრიხართ?

- სულ რამდენჯერმე, კუმბ-ტრესიში მისი ჩამოსვლის დროს. სერ ჩარლზი ძალიან თავმდაბალი კაცი იყო, არ უყვარდა თავისი ქველი საქმეების გამომზეურება.

- იშვიათად სწერდით, იშვიათად ხვდებოდით და ამის მიუხედავად იმდენად ახლო იცნობდა თქვენს საქმეებს, რომ კიდევაც გეხმარებოდათ! რანაირად?

ჩემს ხრიკიან კითხვაზე დაუფიქრებლად მიპასუხა:

- საერთო ძალით მეხმარებოდნენ სხვა ჯენტლმენებიც, რომელთაც იცოდნენ ჩემი სამწუხარო ისტორია. ერთი მათგანი იყო მისტერ სტეპლტონი, სერ ჩარლზის მეზობელი და ახლო მეგობარი. ამ კაცმა ჩემდამი განსაკუთრებული სიკეთე გამოიჩინა და მისი საშუალებით გამეცნო სერ ჩარლზი.

უკვე ვიცოდი, რომ სერ ჩარლზ ბასკერვილს არა ერთხელ დაუვალებია სტეპლტონისათვის ეწარმოებინა მისი საქველმოქმედო საქმეები, ამიტომაც ასეთი ახსნა სავსებით დამაკმაყოფილებელი მეჩვენა.

- ახლა მითხარით: თქვენს წერილებში სერ ჩარლზს არ სთხოვდით პირად შეხვედრას?

ქალი რისხვით აენთო.

- ასეთ კითხვას უადგილოდ ვთვლი, სერ!

- მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ მე იძულებული ვარ გავიმეორო ეს კითხვა.

- კარგი, გიპასუხებთ: რა თქმა უნდა, არა!

- სერ ჩარლზის სიკვდილის დღესაც კი?

ღაწვებზე ვარდის ფერი გაუქრა და სახე მკვდარივით გაუფითრდა. გამშრალი ტუჩები აუცახცახდა, და მე უფრო დავინახე, ვიდრე გავიგონე კიდევ ერთი «არა».

- აშკარად გღალატობთ მეხსიერება. შემიძლია კიდევაც გაგიმეოროთ თქვენი წერილის ერთი ფრაზა. იქ ნათქვამია: «გევედრებით, როგორც ჯენტლმენს, დაწვით ეს წერილი და იყავით ჭიშკართან საღამოს ათ საათზე».

მომეჩვენა, კიდევ ერთი წამიც და მისის ლაიონსი გრძნობას დაკარგავს-მეთქი, მაგრამ ნებისყოფის უზარმაზარი დაძაბვით თავს მოერია.

- მაშასადამე, არ არსებობენ ქვეყნად წესიერი ჯენტლმენები? - აღმოხდა მას.

- თქვენ უსამართლო ხართ სერ ჩარლზის მიმართ. მან შეასრულა თქვენი თხოვნა, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება დამწვარი წერილის წაკითხვაც. ახლა აღიარებთ, რა მისწერეთ იმ დღეს?

- დიახ, მივწერე, უარზე აღარ დავდგები! - შესძახა ქალმა და თავის სიტყვაში ჩააქსოვა მთელი გრძნობა. - არაფერს სამარცხვინოს არ ვხედავ იმ წერილში. დახმარებას ვითხოვდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ მოველაპარაკებოდი, უარს არ მეტყოდა.

- მაგრამ რატომ დანიშნეთ შეხვედრა ასე გვიან?

- გავიგე, რომ მეორე დღეს ლონდონს მიემგზავრებოდა, იქნებ რამდენიმე თვითაც. ამაზე ადრე კი არ შემეძლო მისვლა, მქონდა მიზეზები.

- რატომ მაინცდამაინც პარკში დაუნიშნეთ შეხვედრა? განა არ შეიძლებოდა ეს სახლში მომხდარიყო?

- თქვენი აზრით, შეიძლება ასე გვიან ქალი უცოლო კაცის სახლში მივიდეს?

- კარგი. რა მოხდა მაშინ, როცა პაემანზე მიხვედით?

- მე არსად არ წავსულვარ.

- მისის ლაიონს!

- გეფიცებით ყველაფერს, რაც ჩემთვის წმიდაა, არ წავსულვარ! ხელი შემიშალეს.

- რამ და ვინ შეგიშალათ?

- ეს ჩემი პირადი საქმეა. არ შემიძლია ამაზე ლაპარაკი.

- მაშასადამე, თქვენ დაუნიშნეთ პაემანი სერ ჩარლზს იმ ადგილზე, სადაც სიკვდილი ჰპოვა, თანაც იმავე საათს, თვითონ კი არც მისულხართ.

- სრული სიმართლეა.

მთელმა ჩემმა შემდგომმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ქალი ჯიუტად იდგა თავისაზე.

- მისის ლაიონს, - წარმოვთქვი ამ გრძელი და უშედეგო დაკითხვის დასასრულს, - თქვენ არ გსურთ გულახდილად ლაპარაკი და ამით იღებთ თქვენს თავზე დიდ პასუხისმგებლობას. თქვენი მდგომარეობა ფრიად საჩოთიროა. თუ დახმარებისათვის პოლიციას მივმართე, მაშინ ნახავთ, როგორ გაიტეხთ ამით სახელს. დავუშვათ, რომ თვითონ არაფერში არა ხართ დამნაშავე, მაგრამ მაშინ რატომ განაცხადეთ უარი თქვენს წერილზე, რაც სერ ჩარლზს სიკვდილის დღეს გაუგზავნეთ?

- მეშინოდა, რომ აქედან მცდარ დასკვნებს გააკეთებდნენ და არასასიამოვნო საქმეში ჩამითრევდნენ.

- რატომ ითხოვდით ასე დაჟინებით, რომ სერ ჩარლზს მოესპო თქვენი წერილი?

- თუ წაიკითხეთ, თვითონვე უნდა იცოდეთ ეს.

- არ ვამბობ, რომ მთელი წერილი წავიკითხე.

- თქვენ მთელი ფრაზა მითხარით ზეპირად.

- მხოლოდ პოსტსკრიპტუმი, წერილი დაიწვა, მთლიანად წაკითხვა შეუძლებელი იყო. ისევ გიმეორებთ კითხვას: რატომ ითხოვდით ასე დაჟინებით, რომ სერ ჩარლზს მოესპო თქვენი წერილი?

- ეს მეხება მხოლოდ მე.

- მაშინ მით უფრო უნდა მოერიდოთ საქვეყნო გამოძიებას და თავის მოჭრას.

- კეთილი, ყველაფერს გეტყვით. თუ ჩემი მწარე ხვედრის ამბავი თქვენამდე მოვიდა, გეცოდინებათ, რომ დაუფიქრებლად გავთხოვდი და ყველა საფუძველი მაქვს ამას ვნანობდე.

- კი, ზოგი რამ გამიგონია.

- ქმარი, რომელიც მძაგს, ქორწინების დღიდან მოყოლებული განუწყვეტლივ მდევნის, ლამობს ხელში ჩამიგდოს, მემუქრება. კანონი მის მხარეზეა, და მე ყოველდღე საფრთხე მომელის. იგი მექადნება, რომ კვლავ ერთად ვიცხოვრებთ. ვიდრე სერ ჩარლზს წერილს მივწერდი, გავიგე, რომ მოძალადისაგან თავის დაღწევას შევძლებდი, თუ საჭირო თანხა მექნებოდა. თავისუფლება მომცემდა სულიერ სიმშვიდეს, ბედნიერებას, საკუთარი თავის პატივისცემას, ქვეყნად ყველაფერს! სერ ჩარლზის დიდსულოვნება კარგად იყო ცნობილი, და მე ვფიქრობდი, რომ თუ ვუამბობდი ჩემს მდგომარეობას, დახმარებაზე უარს არ მეტყოდა.

- მაშ, რატომ არ წახვედით პაემანზე?

- იმიტომ, რომ ამასობაში დახმარება სხვისგან მივიღე.

- მაშინ მეორე წერილით უნდა შეგეტყობინებინათ, რატომ არ შეგეძლოთ მისვლა!

- ასედაც მოვიქცეოდი, რომ მეორე დღეს დილით მისი სიკვდილის გამო დაბეჭდილი ნეკროლოგი არ წამეკითხა.

საკმაოდ დალაგებული მოთხრობა გამოვიდა, და ჩემს კითხვებს აღარ შეეძლოთ შეერყიათ მისი სიმართლე. ყოველივე ამის შემოწმება შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ხერხით: უნდა გამეგო, მისის ლაიონსმა განქორწინების საქმე სერ ჩარლზის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო თუ არა.

პაემანზე არ ვყოფილვარო, ამგვარ ტყუილის თქმას ეს ქალი ძნელად თუ გაბედავდა, რადგან ბასკერვილ-ჰოლში მხოლოდ შარაბანით შეეძლო წასულიყო და

კუმბ-ტრესიში განთიადისას თუ დაბრუნდებოდა. ასეთ მოგზაურობას საიდუმლოდ ვერ შეინახავ. მაშასადამე, ან სიმართლეს ამბობდა, ან, ყოველ შემთხვევაში, სიმართლის ნაწილს. საგონებელში ჩავარდნილი და მარცხით შეწუხებული წამოვედი ამ ქალის სახლიდან. ჩემ წინ იგივე ყრუ კედელი იყო, რაც დასახული მიზნისაკენ მიმავალ ყველა გზაზე მეღობებოდა. როცა მისის ლაიონსთან ჩემი საუბარი მახსენდებოდა და მისი სახის გამომეტყველებასა და საქციელზე ვფიქრობდი, სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ბევრი რამ არ გამიმხილა. რატომ წაუვიდა ფერი? რატომ ვხდებოდი იძულებული ყოველი სიტყვა მაჯაგანით ამომეგლიჯა მისთვის? რატომ არ წავიდა პაემანზე, რომელიც სერ ჩარლზ ბასკერვილს დაუნიშნა? რაღა სწორედ დანიშნულ საათზე ჰპოვა სიკვდილი ჩარლზ ბასკერვილმა? ალბათ, ყოველივე ამის მიზეზი არც ისე უბრალო უნდა იყოს, როგორც მისის ლაიონსი ლამობდა ჩემთვის ჩაეგონებინა. დიახ. ამ გზით ვერაფერს გავხდებოდი, საჭირო იყო ჭაობების ქვის ქოხმახებისაკენ მიმავალი კვალის მიყოლა.

მაგრამ ეს კვალი უაღრესად ბუნდოვანი იყო, ამაში უკან დაბრუნებისას დავრწმუნდი, როცა წინაისტორიული ადამიანების საცხოვრებლებით დასერილ გორაკებს ჩავუარე. ბერიმორმა თქვა, ის მეორე კაცი ერთ-ერთ მიტოვებულ ქოხში იმალებაო, მაგრამ ასეთი ქოხები ხომ აქ ყოველ ნაბიჯზეა! თუმცა, ბერიმორის მითითებების გარდა, ჩემი საკუთარი მოსაზრებაც მქონდა, რადგან გრანიტის სვეტზე მდგარი ადამიანი საკუთარი თვალით ვიხილე. მაშასადამე, იქიდან უნდა დავიწყოთ ძებნა. ყოველ ქოხს გამოვიკვლევ და ბოლოს და ბოლოს ვიპოვი იმას, ვინც მესაჭიროება. თუ უცნობი ვიპოვნე, ვაიძულებ თავისი სახელიც მითხრას და აღიაროს, რისთვის გვდევნის ასე დაჟინებით, თუნდაც ამისათვის რევოლვერით დამუქრება დამჭირდეს. იგი ხალხმრავალი რიჯენტსტრიტიდან გაექცა ჰოლმსს, მაგრამ აქ, უბედურ ჭაობებში, ისე ადვილად ვეღარ გაიპარება. თუ მის საცხოვრებელ ქოხს მივაგენი და თვითონ შინ არ დამიხვდა, იმდენ ხანს დაველოდები, ვიდრე არ მოვა. ჰოლმსს ლონდონში გაუსხლტა, მაგრამ, თუ მისი ხელში მოგდება მოვახერხე და ჩემს მასწავლებელს ვაჯობე, მაშინ ნახეთ, როგორ ვიზეიმო!

ბედნიერებამ ბევრჯერ გვაქცია ზურგი ამ ძიების გზაზე, მაგრამ ახლა თვითონვე შემობრუნდა ჩემკენ, და წარმატების მაუწყებლად თმაჭაღარა, ღაჟღაჟა მისტერ ფრენკლენდი მომივლინა.

იგი გზატკეცილის პირად მდებარე თავის ბაღის ჭიშკართან შემომეყარა.

- გამარჯობათ, ექიმო უოტსონ! - შესძახა მისთვის უჩვეულო თავაზიანობით. - დაასვენეთ ცხენები! შემობრძანდით, მოილხინეთ, თითო ჭიქა ღვინო გადავკრათ.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც საკუთარი ასულისადმი მისტერ ფრენკლენდის დამოკიდებულებაზე მსმენია, ამ კაცის მიმართ არ შემეძლო რაიმე განსაკუთრებული მეგობრული გრძნობა მქონოდა. მაგრამ მინდოდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, პერკინსი შინ გამეგზავნა, და ასეთი საბაბი ძალზე დროული გამოდგა. ეტლიდან გადმოვედი, მეეტლეს ვუბრძანე, სენ ჰენრისათვის გადაეცა, რომ სადილობამდე დავბრუნდებოდი და ფრენკლენდს პირდაპირ სასადილო ოთახში შევყევი.

- დღეს სადღესასწაულო დღე მაქვს, სერ, ნამდვილი დღესასწაული! - განაცხადა ფრენკლენდმა და მხიარულად ჩაიხითხითა. - ორი პროცესი მოვიგე. ახლა აქაური ხალხი გაიგებს, რომ კანონი არის კანონი და რომ ჩემი სახით საქმე აქვთ ადამიანთან, რომელიც არ მოერიდება ურჩთა თავებზე რისხვის დატეხვას. მე მოვიპოვე მოხუც მიდლტონის პარკში თავისუფლად გავლის უფლება - ზედ შუაგულ პარკში, სერ! - მისი კარის წინ, რაღაც ას ნაბიჯზე, ეტლს გავაგრიალებ! აბა, რას იტყვით ამაზე? მოიცადონ, ჭკუას ვასწავლით ჩვენს მაგნატებს, წყეულიმც იყოს მათი თავი! დე,

გაიგონ, რომ არავინ არ დართავს ნებას შელახონ სათემო უფლებები! ამას გარდა, იმასაც მივაღწიე, რომ გზა ჩავკეტე იმ ტყისაკენ, სადაც აქაური ხალხი პიკნიკებს მართავს. ამ არამზადებს თავი ისე უჭირავთ, თითქოს კერძო საკუთრების უფლებები აღარ არსებობდეს! ასე ჰგონიათ, რომ ყველგან შეუძლიათ დატოვონ ცარიელი ბოთლები და ქაღალდის ნაგლეჯები. ორივე საქმე დასრულებულია, ექიმო უოტსონ, და ორივე სასამართლო პროცესი მოვიგე. ასეთი სასიხარულო დღე მას შემდეგ არ გამთენებია, რაც საკუთარ მამულში კურდღლებზე მონადირე სერ ჯონ მორლენდს ბრაკონიერობისათვის პასუხი ვაგებინე.

- ეს როგორღა მოახერხეთ?

- მიმართეთ სასამართლოს არქივებს, სერ. დაკარგული დრო არ დაგენანებათ. «ფრენკლენდი მორლენდის წინააღმდეგ». საქმე გაირჩა ლონდონში. ორასი გირვანქა დამიჯდა, სერ, მაგრამ მაინც მოვიგე!

- მერე, რა მოგცათ ამან?

- არაფერი, სერ, სრულიად არაფერი! მე ვამაყობ იმით, რომ მთელ ამ საქმეებში არავითარი პირადი დაინტერესება არა მაქვს. ამით მხოლოდ ჩემს საზოგადოებრივ მოვალეობას ვასრულებ. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ფერნვორსის მცხოვრებნი ამ საღამოს ჩემს ფიტულს კოცონზე დაწვავენ. როცა ასეთი რამ მოიგონეს, მოვითხოვე, რომ პოლიციას ბოლო მოეღო ამ უმსგავსოებისათვის. მაგრამ პოლიციის ხელისუფალთ ჩვენს საგრაფოში ძალზე სამარცხვინოდ უჭირავთ თავი, სერ! მე უფლება მაქვს იმედი ვიქონიო მათი დახმარებისა, ისინი კი არ მეხმარებიან! მოიცადეთ, საქმე «ფრენკლენდი პოლიციის წინააღმდეგ» მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას. ვაფრთხილებდი, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ ძვირად დაუჯდებოდათ თავიანთი აღმაშფოთებელი დამოკიდებულება ჩემდამი. და აი, ასრულდა ჩემი სიტყვა.

- რანაირად? - ვკითხე მე.

მოხუცმა ბევრის მთქმელი მზერა მესროლა.

- საშინლად უნდათ ერთი ამბის გაგება, ჩემთვის კი ცნობილია ზოგი რამ. მაგრამ მაგ არამზადებს არაფრის გულისათვის არ დავეხმარები.

უკვე დიდი ხანია ვეძებდი საბაბს, რომ რაც შეიძლებოდა მალე დავშორებოდი ამ ყბედს, მაგრამ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა დამაინტერესეს, თუმცა, ამ ინტერესის გამოჩენა არას მარგებდა, რადგან ჩემთვის ცნობილი იყო ცოდვილი მოხუცის ჭირვეული ხასიათი - საკმარისი იყო შეენიშნა, რომ მისგან რაიმეს გაგებას ვცდილობ და მაშინვე გაჩუმდებოდა. ამიტომ სრულიად გულგრილი კილოთი ვკითხე:

- ალბათ ისევ ბრაკონიერობის ამბავია, არა?

- ჰა-ჰა! არა, მეგობარო, აქ ბევრად უფრო სერიოზული საქმე გახლავთ. რას იტყვით, თუ ეს ეხება გაქცეულ კატორღელს?

მოულოდნელობისაგან შევკრთი.

- განა თქვენ იცით, ის სად იმალება?

- შეიძლება ადგილი ზედმიწევნით სწორად არ ვიცოდე, მაგრამ პოლიციის დაყენება მის კვალზე ნამდვილად შემიძლია. ნუთუ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ამ კაცის შეპყრობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხერხდეს, თუ გავიგებთ, ვინ უზიდავს საჭმელს და მის კვალს მივყვებით.

მოხუცი იმდენად ახლო იყო ჭეშმარიტებასთან, რომ სულის სიმშვიდე დავკარგე.

- დიახ, მართალია, - ვთქვი გუნებაშეცვლილმა, - მაგრამ რატომ გგონიათ, რომ კატორღელი ჯერ კიდევ ჭაობებშია?

- იმიტომ, რომ საკუთარი თვალით დავინახე კაცი, რომელიც მას საჭმელს უზიდავს.

გული შემეკუმშა, როცა ბერიმორი მომაგონდა, თუ ამ ბოროტი, გაიძვერა ბებრუცუნას ხელში მოხვდა, მისი საქმე ძალიან ცუდად წავა.

მაგრამ, რაც შემდეგ მითხრა, იმან ერთგვარი შვება მომგვარა.

- თქვენ წარმოიდგინეთ, საჭმელი ბავშვს დააქვს! - განაგრძო ფრენკლენდმა. - იმ პატარა ბიჭუნას ჩემი სახლის სახურავიდან ჭოგრით ყოველდღე ვხედავ. ერთხელ ამორჩეული გზით დადის, ერთსა და იმავე დროს. ვისთან? - ისმება კითხვა. - რა თქმა უნდა, კატორღელთან!

აი, დაბოლოს, წარმატებაც! მაგრამ მე ფრენკლენდს არ ვაგრძნობინე, რამდენად ვიყავი ამ საქმით დაინტერესებული. ბავშვიო! ბერიმორი ამბობდა, უცნობს ვიღაც ბავშვი ემსახურებაო. გამოდის, რომ ფრენკლენდმა მიაგნო ამ კაცის კვალს, ხოლო კატორღელი აქ არაფერ შუაშია. რომ შემძლებოდა მოხუცისაგან ყოველივე იმის გაგება, რაც იცოდა, ეს გამათავისუფლებდა ხანგრძლივი და მომქანცველი ძიებისაგან, მაგრამ ჩემი იარაღი ამ თამაშში უწინდებურად ურწმუნობა და სრული გულგრილობა გახლდათ.

- მე მგონია, რომ ეს რომელიღაც აქაური მწყემსის შვილია. ალბათ მამასთან სადილი დააქვს.

ძალაუფლების მოყვარე მოხუცს მცირეოდენი წინააღმდეგობაც კი თვალთაგან ნაპერწკლებს აფრქვევინებდა. ამჯერადაც თვალები ბოროტად დამიბრიალა და, როგორც გააფთრებული კატა, ისე აიფხორა.

- ასე გგონიათ, სერ? - მკითხა და ხელი ჩვენ თვალწინ გადაშლილ ჭაობებისაკენ გაიშვირა, - აი, იმ გრანიტის სვეტს ხედავთ? ასე! ახლა მის უკან აღმართულ დაბალ გორაკსა და კვრინჩხნარს? ეს ყველაზე უფრო ქვიანი ადგილია მთელ ჭაობებში. რა უნდა ქნან იქ მწყემსებმა? თქვენი ვარაუდი პირდაპირ უაზროა, სერ!

მორჩილად დავეთანხმე, ვერ გავითვალისწინე ასეთი გარემოება-მეთქი. ჩემი დამყოლი ხასიათი ფრენკლენდს ძალიან მოეწონა და შეუჩერებელი ლაქლაქი განაგრძო.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სერ, რომ ნაჩქარევ დასკვნებს არასოდეს არ ვაკეთებ. ამ ყმაწვილს, რომელსაც ხელში ფუთა უჭირავს, პირველად როდი ვხედავ. ყოველდღე, დღეში ორჯერაც კი ზოგჯერ... მოიცათ, ექიმო უოტსონ!.. თვალი მატყუებს, თუ იმ ბორცვის ფერდობზე რაღაც მოძრაობს?

და მართლაც, რამდენიმე მილის მანძილზეც კი შევნიშნე პატარა მუქი წერტილი, მომწვანო ბორცვის ფერდობზე რომ ჩანდა.

- წავიდეთ, სერ, წავიდეთ! - შესძახა ფრენკლენდმა, და სირბილით აჰყვა კიბეს, - თქვენი საკუთარი თვალით ნახავთ!

ბრტყელ სახურავზე სამფეხზე დამაგრებული კარგა მოზრდილი საჭვრეტი მილი იდგა. ფრენკლენდი ამ მილს მივარდა და საზეიმო კილოთი შესძახა:

- ჩქარა, ექიმო უოტსონ, ჩქარა! თორემ მალე ბორცვს მიეფარება!

მართლაც, ზურგზე ფუთამოკიდებული ყმაწვილი ფერდობს მიჰყვებოდა. როცა ბორცვის თავზე ავიდა, მე ცის ლურჯ ფონზე სრულიად ნათლად დავინახე მისი ძონძებში გახვეული უშნო ფიგურა. ყმაწვილმა ფრთხილად მიმოიხედა გარშემო, უთუოდ შეამოწმა, ხომ არ მითვალთვალებენო, და გორაკს მიეფარა.

- აბა, რას იტყვით, მართალი ვარ, თუ არა?

- მართლაც, ყმაწვილია, და ალბათ მიზეზიც აქვს, რომ იქ საიდუმლოდ იაროს.

- რა საიდუმლო მიზეზიც აქვს, ამას უბრალო პოლიციელიც გამოიცნობდა. მაგრამ მე მათ ერთ სიტყვასაც არ გავუმხელ. თქვენც, ექიმო უოტსონ, გთხოვთ, იყუჩოთ. გესმით? არც ერთი სიტყვა!

- როგორც ინებებთ.

- ისინი ყოვლად აღმაშფოთებლად უგულებელყოფენ ჩემს პიროვნებას. როცა მზის სინათლეზე გამოვა საქმე «ფრენკლენდი პოლიციის წინააღმდეგ», ქვეყანას გადაუვლის აღშფოთების ტალღა. არა, ნუ ექნებათ ჩემი დახმარების იმედი! თითსაც არ გაანძრევდნენ, რომ ამ არამზადებს ჩემი ფიტულის ნაცვლად თვითონ მე დავეწვი... როგორ! თქვენ უკვე მიბრძანდებით? ნუთუ ამ საზეიმო მოვლენასთან დაკავშირებით სურის დაცლაში არ დამეხმარებით?

მაგრამ მე მის მუდარას ყური არ ვათხოვე, ხოლო როცა ბერიკაცმა განაცხადა, მინდა სახლამდე მიგაცილოთო, ამ განზრახვაზეც ხელი ავაღებინე. ვიდრე ჩემი დანახვა შეეძლო, გზას მივყვებოდი, შემდეგ კი პირდაპირ იმ ქვიანი ბორცვისაკენ შევუხვიე, რომლის იქითაც ბავშვი მიიმალა. ყველაფერი ისე მოეწყო, რომ უკეთესად აღარ შეიძლებოდა, და გულში დავიფიცე, რომ თუ ვერ მოვახერხებდი იმ ბედნიერი შემთხვევის გამოყენებას, რაც ბედმა მიბოძა, ამისი მიზეზი ჩემი ენერგიის ნაკლებობა ან უყურადღებობა მაინც არ იქნებოდა.

როცა მწვერვალზე ავედი, მზე უკვე ჩადიოდა. და ბორცვის დამრეცი ფერდობები ერთ მხარეს მომწვანო-ოქროსფერი იყო, მეორე მხარეს კი მუქ ჩრდილში იძირებოდნენ. შორს, ზედ ჰორიზონტთან, მიწამდე ეშვებოდა ნისლი და ამ ნისლში გამოკრთოდა მელიის სვეტის ფანტასტიკური მოხაზულობა. ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, მხოლოდ რომელიღაც დიდი, რუხი ფრინველი - თოლია თუ კრონშნეპი - დანავარდობდა, მაღლა, ლურჯ სივრცეში. მე და ეს ფრინველი ვიყავით ერთადერთი ცოცხალი არსებანი უზარმაზარ ცის თაღსა და მის ქვეშ გაწოლილ უდაბნოს შორის. ჭაობების შიშველი სივრცეები, უკაცურობა, ამოუხსნელი საიდუმლოება და ჩემ მიერ დასახული ამოცანები - ყველაფერი ეს ყინავდა ჩემს გულს. ბავშვი არსად ჩანდა. მაგრამ ბორცვებს შორის მიკუნჭულიყვნენ ძველებური ქვის ქოხები, და მათ შორის იყო ერთი, რომლის გადარჩენილ სახურავს შეეძლო ავდრისაგან ადამიანის დაცვა. გულმა რაღაც მიგრძნო, როცა ქოხი დავინახე. ტანმა მიაზრა, რომ უცნობი სწორედ იმ სოროში უნდა მეძებნა და ბოლოს ასე ვიფიქრე: ფეხს გადავდგამ თუ არა მისი თავშესაფრის ზღურბლზე, იმწამსვე ხელში ჩავიგდებ-მეთქი.

ქოხისაკენ შეუმჩნევლად მივიპარებოდი - ზუსტად ისე, როგორც სტეპლტონი, როცა ბადეს პეპელას უმიზნებდა! როცა ახლოს მივედი, ჩემდა სასიამოვნოდ დავრწმუნდი, რომ გუმანმა არ მიმტყუნა და აქ ადამიანი ცხოვრობდა. კედელში დატოვებულ ხვრელამდე, რომელიც შესასვლელის მაგივრობას ეწეოდა, ქვებს შორის ოდნავ შესამჩნევი ბილიკი გადიოდა. თვით ქოხიდან ჩქამიც არ ისმოდა. უცნობი ან შიგნით იყო დამალული, ანდა ჭაობებში დაძრწოდა. სახიფათო შეხვედრის მოლოდინში ნერვები უკიდურესად დამეძაბა. პაპიროსი განზე ვისროლე, რევოლვერის სახელურს ხელი მოვუჭირე, სწრაფად მივედი ქოხის შესასვლელთან და შიგნით შევიხედე. ქოხი ცარიელი იყო.

მაგრამ ალღომ არ მომატყუა. აქ ნამდვილად ვიღაც ცხოვრობდა. ქვის საწოლზე, რომელზედაც ოდესღაც ნეოლითურ ადამიანს სძინებია, ახლა წყალგაუვალ მოსასხამში გახვეული საბნები ელაგა. პრიმიტიულ კერაზე ნაცრის გროვა ჩანდა. მის გვერდით სამზარეულოსათვის განკუთვნილი რამდენიმე ნივთი იდო და ნახევარი სათლი წყალი იდგა. კონსერვის ცარიელი ქილები მოწმობდნენ, რომ აქ არა ერთი

დღე უცხოვრიათ. როცა თვალები ბინდბუნდს მივაჩვიე, კუთხეში შევნიშნე რკინის ტოლჩა და ვისკის ბოთლი. ქოხის შუაგულში იდო ბრტყელი ქვა, რაც ალბათ მაგიდის მაგივრობას სწევდა. ზედ კი პატარა ფუთა მოჩანდა, სწორედ ის, მე რომ საჭვრეტი მილით დავინახე ყმაწვილის ზურგზე. ფუთაში იყო პური და კონსერვის ორი ქილა, ერთ ქილაში ბოლში გამოყვანილი ენა შევნიშნე, მეორეში კი ვაჟინში ჩადებული ატმები დავლანდე, ყოველივე ეს გავსინჯე, მინდოდა ბოხჩა თავის ადგილზე დამედო, რომ უეცრად გული შემიფრთხიალდა - ქვაზე ეგდო ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც რაღაც ეწერა. ავიღე და ძლივს გავარჩიე ფანქრით გამოყვანილი ბატიფეხური:

«ექიმი უოტსონი კუმბ-ტრესიში გაემგზავრა».

მთელი წუთი უძრავად ვიდექი. წერილი ხელში მეჭირა და ამ მოკლე ბარათის შინაარსზე ვფიქრობდი. ლოგიკურად ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: უცნობი ნადირობდა არა სერ ჰენრიზე, არამედ ჩემზე და თვით კი არ მზვერავდა, არამედ ვიღაც სხვა მომიჩინა - იქნება ეს ყმაწვილი? აქ იყო მისი უკანასკნელი ცნობაც. მას შემდეგ, რაც აქ ვცხოვრობ, ალბათ ჩემს ყოველ ნაბიჯს ზვერავდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხომ განუშორებელი გრძნობა მქონდა, რომ აქ რაღაც უხილავი ძალები მოქმედებენ და ჩვენ გარშემო ფრთხილად და მარჯვედ ხლართავენ უწვრილეს ბადეს, რომლის მსუბუქ შეხებას ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტებში ვგრძნობდით.

ეს არ იქნება ერთადერთი ბარათი-მეთქი, გავიფიქრე. ქოხს თვალი მოვავლე, მაგრამ მსგავსი ვერაფერი ვიპოვე. ვერც რაიმე კვალი აღმოვაჩინე, რომ იმის მიხედვით მემსჯელა ადამიანზე, რომელმაც საცხოვრებლად ასეთი უცნაური ქოხი აირჩია, ან მის ზრახვებზე. მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ უცნობი თავისი ჩვეულებებით სპარტანელს მიაგავდა და ცხოვრების მოხერხებულად მოწყობას ალბათ არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა. უკანასკნელი დღეების კოკისპირული წვიმები რომ მომაგონდა და პირდაღებულ სახურავს ავხედე, ვიგრძენი, რამდენად გართული იყო ეს კაცი თავისი საქმით, რაკი მისი გულისათვის ასეთ სადგომსაც კი ურიგდებოდა. ვინ არის? მოსისხლე მტერი, თუ მფარველი ანგელოზი? და მე თავს ფიცი მივეცი არ გავსულიყავი ამ ქოხიდან, ვიდრე ყველაფერს ბოლომდე არ გავიგებდი.

მზე უკვე ჩადიოდა და ცა დასავლეთისკენ ოქროსფრად ბრწყინავდა. ჩამავალი მნათობის ათინათი მოწითალო ზოლებად წვებოდა გრიმპენის ჭანჭრობის შორეულ გუბეებში. შორს აღმართულიყვნენ ბასკერვილ-ჰოლის კოშკები, ხოლო მათგან დაშორებით ძლივს ჩანდა კვამლი, რაც გრიმპენის სახურავებიდან ადიოდა. ამ კვამლსა და ბასკერვილ-ჰოლს შორის, გორაკის იქით, სტეპლტონების სახლი იდგა. საღამოს ოქროსფერი შუქი ყოველივეს ისეთ მშვენიერ სახესა და იერს აძლევდა, ისეთ უშფოთველ სიმშვიდეს, რომ თვალი ტკბებოდა, მაგრამ ჩემი გული ბუნებაში გამეფებულ სიმშვიდეს ვერ ერწმუნებოდა. უცნობი გარემო, რომელშიაც იფარებოდა რაღაც გარდუვალი, ყოველ წამს სულ უფრო მოახლოებული შეხვედრის მოლოდინი ჩემს აფორიაქებულ გულს ერთიანად აცახცახებდა. ნერვები დაძაბული მქონდა, მაგრამ ვიჯექი მტკიცე გადაწყვეტილებით ბნელ ქოხში და პირქუში ჯიუტობით ველოდი მისი ბინადრის დაბრუნებას.

დაბოლოს, მომესმა კიდევაც ავისმანიშნებელი ხმაური. აი, მისი ფეხსაცმლის ქუსლი ქვას მოხვდა. ერთხელ კიდევ... კიდევ... სულ უფრო ახლოვდება.. უბნელეს კუთხეს მივაშურე და რევოლვერის ჩახმახი ფეხზე შევაყენე. გადაწყვეტილი მქონდა, რომ ვიდრე უცნობს წესიერად არ დავათვალიერებდი, არც გამოვჩენილიყავი. გარეთ

ყველაფერი მიწყნარდა. ეტყობოდა, შეჩერდა. მერე ნაბიჯის ხმა ისევ გაისმა, და ქოხის შემოსასვლელი ვიღაცის ჩრდილმა დაფარა.

- დღეს საუცხოო ამინდია, ძვირფასო უოტსონ, - თქვა ჩემთვის კარგად ნაცნობმა ხმამ. - რისთვის ზიხართ დახუთულ ქოხში, განა სუფთა ჰაერზე ყოფნა არ სჯობია!

თავი X||
სიკვდილი ჭაობებში

მთელი ორი წუთი მაინც ვიდექი და საკუთარ ყურს არ ვუჯერებდი. მოულოდნელობისაგან სულის მოთქმა არ შემეძლო. შემდეგ მეტყველების უნარი დამიბრუნდა და ვიგრძენი, რა უზარმაზარი სიმძიმე მომეხსნა მხრებიდან. ეს ცივი, გესლიანი, გამქირდავი ხმა დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთ ადამიანს შეიძლება ეკუთვნოდეს.

- ჰოლმს! - შევძახე. - ჰოლმს!

- გამოდით, - მითხრა, - ცოტა ფრთხილად, გეთაყვა, რევოლვერთან ხუმრობა როდი ვარგა!

ვიწრო ხვრელში გავძვერი და დავინახე იგი. ჰოლმსი ქვაზე იჯდა. რუხ თვალებში კადნიერი შუქი ჩასდგომოდა და შემცბარს ასე მიყურებდა. ამ ხნის განმავლობაში ძლიერ გამხდარიყო, მაგრამ მხნე, მშვიდი სახე ჰქონდა, მზით დამწვარი და ბრინჯაოსფერი. სპორტულ ყაიდაზე გამოჭრილი კოსტიუმი ეცვა, ტურისტის კეპი ეხურა და ასე დასეირნობდა ჭაობებში! აქაც ერთგული დარჩენილიყო თავისი ჭეშმარიტად კატისებური გულმოდგინებისა სიკოხტავესა და სისუფთავეში - სახე ჩინებულად ჰქონდა გაპარსული, პერანგს ერთი ლაქაც არ ეტყობოდა. თითქოს ყველაფერი ეს ბეიკერსტრიტზე ხდებოდა!

- სხვას ვის შეეძლო თავისი გამოჩენით ასე გავეხარებინე, - ვთქვი მე, როცა ხელს ვართმევდი.

- და ამავე დროს ასე გაეკვირვებინეთ?

- დიახ, მართალი ხართ!

- მაგრამ გარწმუნებთ, მარტო თქვენ არ გაგკვირვებიათ. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მოახერხებდით ჩემი დროებითი თავშესაფრის მიგნებას, და არც ველოდი აქ თქვენთან შეხვედრას. ეს გაირკვა მხოლოდ ქოხიდან ოც ნაბიჯზე.

- ჩემი კვალი იცანით?

- არა, უოტსონ! ვშიშობ, რომ თქვენი კვალის გარჩევა იმ სხვა მრავალთა ნატერფალისაგან, რომლებიც ქვეყნად არსებობენ, დაუძლეველი ამოცანა იქნებოდა. თუ მომავალში ჩემს მოტყუებას მოინდომებთ, პირველად გირჩევთ გამოიცვალოთ თამბაქოს მაღაზია, რადგან საკმარისია დავინახო პაპიროსი «ბრედლი ოქსფორდსტრიტის» მარკისა, რომ მაშინვე გამოვიცნო, ჩემი მეგობარი უოტსონი სადმე მახლობლად იმყოფება-მეთქი. აი, თქვენი პაპიროსის ნამწვი, გზის მახლობლად ეგდო. ალბათ მაშინ გადააგდეთ, როცა ჩემი ქოხის იერიშით აღება გადაწყვიტეთ?

- სრული სიმართლეა.

- მეც ასე ვფიქრობდი... თანაც თქვენი გამობრძმედილი ხასიათი რომ ვიცი, მივხვდი, ქოხში იქნებოდით ჩასაფრებული, ამასთანავე რევოლვერმომარჯვებული და მის ბინადართა დაბრუნებას დაელოდებოდით. ამრიგად, ნამდვილად დამნაშავედ მიმიღეთ, ხომ?

- არ ვიცოდი, ვინ იყავით, მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა, გამომერკვია.

- ჩინებულია, უოტსონ! ჩემი საცხოვრებელი როგორღა იპოვეთ? ალბათ მაშინ დამინახეთ, როცა ჩემი დაუდევრობით მთვარისაკენ ზურგშექცევით ვიდექი და თქვენ კი კატორღელს მიდევდით?

- სწორედ მაშინ დაგინახეთ.

- და თანმიმდევრობით ყველა ქოხის თვალიერებას მოჰ-ყევით, ვიდრე არ მიპოვეთ, არა?

- არა, თქვენს კვალზე იმ ყმაწვილმა დამაყენა, საჭმელს რომ გიზიდავდათ. ზოგიერთებმა მას უკვე ზვერვაც დაუწყეს.

- აჰ! მოხუცი ჯენტლმენი საჭვრეტი მილით? მე ვნახე, როგორ ციმციმებს მზის სხივებზე მისი ლუპა, და პირველად ვერც მივხვდი, თუ რა უცნაურობა იყო ეს! - ადგა და ქოხში შეიხედა. - აჰა! კარტრაიტი აქ უკვე ყოფილა. ეს რა ქაღალდია? მაშ, თქვენ იყავით კუმბ-ტრესიში?

- დიახ.

- მისის ლაურა ლაიონსის სანახავად?

- სავსებით სწორია.

- ჩინებულია! ჩვენს ძიებაში მე და თქვენ, ეტყობა, პარალელური გზებით მივდიოდით, რაღას ვაყოვნებთ, ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ მოპოვებული ცნობები, და მაშინ ამ საქმეზე მეტნაკლებად სრული წარმოდგენა გვექნება.

- ყველა იმ საიდუმლოებისა და პასუხისმგებლობის სიმძიმე, რაც მძიმე ტვირთად მეწვა, თქვენი გამოჩენით ერთბაშად მომეხსნა და ძალიან მოხარული ვარ. ახლა ის მაინტერესებს, აქ როგორ მოხვდით და რას აკეთებთ? მე კი ვფიქრობდი, რომ ჰოლმსი უწინდებურად ბეიკერსტრიტზეა და შანტაჟის საქმეზე მუშაობს-მეთქი.

- მე მინდოდა, რომ სწორედ ასე გეფიქრათ.

- მაშ, თქვენ სარგებლობთ ჩემი დახმარებით და იმავე დროს არ მენდობით! - გავბრაზდი მე. - ეს არ დამიმსახურებია, ჰოლმს!

- ჩემო მეგობარო, ამ საქმეშიაც და ბევრ სხვაშიც თქვენი დახმარება ჩემთვის ფასდაუდებელი იყო. თუ გეჩვენებათ, რომ მოგატყუეთ, გევედრებით, ნუ გეწყინებათ! გულახდილად რომ გითხრათ, ახლა თუ აქა ვარ, ეს ნაწილობრივ თქვენივე გულისათვის ჩავიდინე. ვგრძნობდი, რომ თავს საფრთხეში იგდებდით და ძიება რომ პირადად მეწარმოებინა, იმისათვის ჩამოვედი. მე რომ თქვენი და სერ ჰენრის გვერდით ვყოფილიყავი, ჩემი თვალსაზრისი არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული თქვენი მოსაზრებებისაგან და ჩვენი მოწინააღმდეგეებიც უფრო ფხიზლად იქნებოდნენ. ბასკერვილ- ჰოლში ჩამოსვლა ძალიან შემბოჭავდა. ასე კი თავისუფლად შემეძლო მოქმედება, რადგან კულისებში ვრჩებოდი და სცენაზე გამოსასვლელად მხოლოდ ყველაზე უფრო გადამწყვეტ წამს ველოდი.

- მაგრამ რაში დაგჭირდათ ჩემგან დამალვა?

- თქვენ რომ გცოდნოდათ, მე აქ ვიყავი, ეს ვერაფერში დაგეხმარებოდათ და ამ ამბავს, შესაძლოა, ჩემი აქ ყოფნის გამომჟღავნებაც კი გამოეწვია. ალბათ მოგინდებოდათ მოგეთხროთ ჩემთვის ზოგი რამ, ან თქვენთვის ჩვეული გულკეთილობით აქ ჩემს უკეთ მოწყობასა და მომარაგებას მოისურვებდით. რა საჭიროა ზედმეტი რისკის გაწევა? მე თან წამოვიყვანე ყმაწვილი კარტრაიტი. გახსოვთ, შიკრიკების კანტორაში რომ ბავშვი მუშაობს? - აი, სწორედ ის, და შესანიშნავ სამსახურსაც მიწევს. თქვენ კარგად იცით, რომ მე დიდი მოთხოვნილების კაცი არა ვარ. ერთი ნაჭერი პური და სუფთა საყელო, სხვა რაღა უნდა ადამიანს? გარდა ამისა, კარტრაიტი ერთი ზედმეტი წყვილი თვალია, ერთი ზედმეტი წყვილი

ფეხი, და ისიც ძალზე სწრაფი. ერთიც და მეორეც ჩემთვის მეტად საჭირო აღმოჩნდა, პირდაპირ საუნჯეა!

- მაშასადამე, ყველა ჩემი ანგარიში ტყუილად იწერებოდა! - ვთქვი შემკრთალმა, როცა გამახსენდა, რამდენი შრომა და სიამაყე იყო მათში ჩაქსოვილი.

ჰოლმსმა ჯიბიდან წერილების დასტა ამოიღო.

- აი, თქვენი წერილები, ჩემო მეგობარო, შესწავლილი უაღრესი გულმოდგინებით, რაშიაც ეჭვი არ უნდა შეგეპაროთ. ყველაფერი ისე მოვაწყვე, რომ ეს წერილები ჩემთან მხოლოდ ერთი დღის დაგვიანებით მოდიოდა. მიიღეთ ჩემი მხურვალე მოლოცვა. შეუპოვრობა და დაკვირვების უნარი, რაც თქვენ ამ არაჩვეულებრივად რთულ საქმეში გამოამჟღავნეთ, ყოველგვარ ქებას აღემატება.

ჯერაც ვერაფრით შევრიგებოდი იმ ამბავს, რომ ასე მოხერხებულად პირში ჩალა გამომავლეს, მაგრამ ჰოლმსის გულთბილმა სიტყვებმა გაფანტეს ჩემი ეჭვები. ამას გარდა, გულის სიღრმეში ვგრძნობდი ჩემი მეგობრის სიმართლეს და ვაღიარებდი, რომ საქმის ინტერესები მოითხოვდნენ არ მცოდნოდა ჰოლმსის აქ ჩამოსვლის ამბავი.

- ჰოდა, ასე! - თქვა ჰოლმსმა ჩემი განათებული სახის დანახვაზე. - ახლა კი მომიყევით მისის ლაურა ლაიონსთან შეხვედრის ამბავი. მაშინვე მივხვდი, რომ ამ ქალთან გაემგზავრეთ, რადგან ახლა ჩემთვის უკვე ცხადია, კუმბ-ტრესიში იგი ერთადერთი ადამიანია, რომლისგანაც შეგვიძლია რაიმე გავიგოთ. გულახდილად გეტყვით, თქვენ რომ მასთან ამ დილით არ შეგევლოთ, ალბათ ხვალ დილით თვითონ ვესტუმრებოდი.

მზე უკვე ჩასული იყო, ჭაობებში ბინდი ჩამოწვა. ჰაერში სუსხი ტრიალებდა და ჩვენ ქოხში შევედით. იქ ნახევრად ბნელში მოვუყევი ჰოლმსს მისის ლაიონსთან ჩემი საუბრის შინაარსი და იგი ისე დაინტერესდა, რომ ბევრი რამის გამეორება დამჭირდა.

- ყველაფერი ეს ძალზე საყურადღებოა, - თქვა ჰოლმსმა, როცა თხრობა დავასრულე. - საქმე მეტისმეტად რთულია და მასში იყო ერთი ხარვეზი, რისი შევსებაც აქამდე არაფრით არ შემეძლო. თქვენ ალბათ იცით, რომ სტეპლტონი მისის ლაიონსთან მეგობრობს?

- არა, მეგობრობაზე არა ვიცი რა.

- ეს ფაქტია. ერთმანეთს ხვდებიან, მიწერ-მოწერაც აქვთ. საერთოდ მათ შორის სრული თანხმობაა, რაც შეგვიძლია საჭირო მომენტში გამოვიყენოთ. მათი მეგობრობა შეიძლება სტეპლტონის ცოლზე ზემოქმედებისათვის გამოგვადგეს...

- სტეპლტონის ცოლზე?

- ახლა, თქვენი აღმოჩენების სამაგიეროდ, მეც ზოგიერთ რამეს გაგიზიარებთ. ქალი, რომელსაც სტეპლტონი მის სტეპლტონს უწოდებს, სინამდვილეში მისი ცოლია.

- ღმერთო ჩემო! ამაში დარწმუნებული ხართ? მერე, სტეპლტონმა როგორ მოუყრუა ყური და დაიბრმავა თვალი, როცა სერ ჰენრი ცოლს ეკურკურებოდა?

- სერ ჰენრის რომანტიკული გრძნობები უბედურებით მხოლოდ სერ ჰენრისავე ემუქრებიან. როგორც შენიშნეთ, სტეპლტონი ყოველნაირად ცდილობს მოარიდოს ქალი ბარონეტის არშიყობას. ვიმეორებთ, ეს ლედი და კი არა, სტეპლტონის ცოლია.

- მაგრამ რისთვის დასჭირდა ასეთი ქამანდები?

- აი რისთვის: სტეპლტონმა გაითვალისწინა, რომ ეს ქალი მეტ სამსახურს გაუწევდა თავისუფალი ქალიშვილის როლში.

ყველა ჩემი გაურკვეველი ეჭვი, ალღოთი ნაკარნახევი, ყველა წინათგრძნობა ზედაპირზე ამოტივტივდა და ნატურალისტის გარშემო შეიკრა. ამ მშვიდი, უფერული კაცისაგან, რომელსაც ჩალის ქუდი ეხურა და ხელში პეპლების საჭერი

ბადე ეჭირა, რაღაც სახიფათო ქარი ქროდა. თავშეკავებულსა და და მომთმენს, თურმე ბაგეებზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებდა, გულში კი ღვარძლი ედო...

- მაშასადამე, ის არის ჩვენი მოწინააღმდეგე! მაშასადამე, ეს კაცი გვზვერავდა ლონდონში?

- დიახ, ასე ავხსენი ეს გამოცანა.

- ხოლო გაფრთხილება... იმ ქალმა გამოგზავნა?

- სავსებით სწორია.

წყვდიადიდან, რომელშიაც აქამდე ვეხეტებოდი, გამოჩნდა ნახევრად დანახული, ნახევრად კი ჩემ მიერ გამოცნობილი საზღაპრო ბოროტმოქმედების კონტურები.

- ნუთუ ეს სიმართლეა, ჰოლმს? საიდან გაიგეთ, რომ ის ქალი სტეპლტონის ცოლია?

- თქვენთან პირველი შეხვედრისას სტეპლტონი ისე გაიტაცა ლაპარაკმა, რომ თავისი ავტობიოგრაფიის ნაწილი გაგანდოთ, რასაც ალბათ დღესაც ნანობს. მას ნამდვილად ჰქონდა სკოლა ჩრდილოეთ ინგლისში. მასწავლებლის პოვნა კი ყველაზე იოლი საქმეა. სასკოლო სააგენტოები რომელ მასწავლებელზეც გინდათ ცნობებს უცებ მოგაწვდიან. ვიკითხე და მალე გავიგე, რომ ერთ სკოლაში ნამდვილად მოხდა ძალიან არასასიამოვნო ამბები და დირექტორი - რომლის ნამდვილი გვარიც სულ სხვაა და არა სტეპლტონი - ცოლთან ერთად მიიმალაო. ყველა გარეგნული ნიშანი ზუსტად დაემთხვა სტეპლტონის აღწერას, ხოლო როცა გავიგე მისი ენტომოლოგიით გატაცება, უკვე ყოველგვარი ეჭვი გამეფანტა და დავრწმუნდი, რომ ეს გაქცეული დირექტორი სწორედ სტეპლტონია.

წყვდიადი, რითაც გარემოცული ვიყავი, თანდათან იფანტებოდა, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ ჩრდილში რჩებოდა.

- თუ ეს ქალი მისი ცოლია, მაშინ რა შუაშია მისის ლაურა ლაიონსი? - ვკითხე ჰოლმსს.

- ესაა ამ ამბის ბნელით მოცული კუნჭული, რასაც ნაწილობრივ თქვენ მოჰფინეთ შუქი. კუმბ-ტრესიში თქვენი გამგზავრების შემდეგ, ბევრი რამ გაირკვა. მე, მაგალითად, არ ვიცოდი, რომ მისის ლაიონსს ქმართან გაყრა უნდოდა. ალბათ იმედი აქვს, რომ სტეპლტონი ითხოვს - ამ ქალმა ხომ არ იცის, რომ სტეპლტონი ცოლიანია!

- მაგრამ, როცა გაიგებს სიმართლეს?

- მაშინ ეს ლედი შეიძლება ჩვენთვის ძალიან სასარგებლო შეიქნეს. ხვალვე უნდა ვინახულო. ახლა კი, უოტსონ, როგორ ფიქრობთ, დრო არ არის მოვალეობის შესრულებას დაუბრუნდეთ? თქვენი ადგილი ხომ ბასკერვილ-ჰოლშია?

ჩამავალი მზის უკანასკნელი წითელი ანარეკლი ჩაქრა დასავლეთით და ჭაობებზე ბინდი ჩამოწვა. ჩამუქებულ ცაზე კანტიკუნტად აციმციმდნენ ვარსკვლავები.

- კიდევ ერთი, უკანასკნელი კითხვაც, ჰოლმს, - ვუთხარი და ავდექი. - ერთმანეთთან დასამალი ხომ არაფერი გვაქვს. რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას აწყობენ?

ჰოლმსმა ყრუ ხმით მიპასუხა:

- მკვლელობას, უოტსონ... გულგრილად მოფიქრებულ მკვლელობას. ნუ მკითხავთ დაწვრილებით. სტეპლტონი თავის ბადეში ხვევს სერ ჰენრის, მე კი ჩემს ბადეში მინდა თვითონ სტეპლტონი გავაბა. თქვენი დახმარებით იგი თითქმის ჩემს ხელთაა, ახლა გვემუქრება მხოლოდ ერთი საშიშროება - მას შეუძლია დაგვასწროს და პირველმა დაგვკრას. კიდევ ერთი დღე, შეიძლება ორიც, და ყველაფერი მზად

მექნება, მანამდე კი გაუფრთხილდით სერ ჰენრის, როგორც მოყვარული დედა უფრთხილდება ავადმყოფ ბავშვს. თქვენი სხვაგან ყოფნა დღეს სავსებით ბუნებრივია და საპატიო, მაგრამ მე კი, გეტყვით, რომ ვამჯობინებდი, არ მიგეტოვებინათ... გესმით?

ტანჯვითა და საშინელებით აღსავსე საზარელმა გამბულმა გმინვამ შესძრა უეცრად მდუმარე ჭაობები. ვუსმენდი და ვგრძნობდი, როგორ მეყინებოდა სისხლი ძარღვებში.

- ღმერთო ჩემო! რა უნდა იყოს?

ჰოლმსი წამოვარდა ადგილიდან და მისმა ათლეტურმა ტანმა ქოხში შემოსასვლელი დაფარა. იგი ოდნავ დაიხარა, კისერი წაიგრძელა, მთელი ყურადღებით მიაშტერდა სიბნელეს, და მხოლოდ ამის თქმა მოასწრო ჩურჩულით:

- ჩუმად! ჩუმად!

ეს გულისგამგმირავი ყვირილი, რამაც ასე გაგვაოცა, ჭაობების უკუნეთი სიღრმიდან მოდიოდა. მაგრამ აი, უფრო ახლოდან მოისმა და უფრო მკაფიოდაც...

- ეს რა ხმაა, ან საიდან მოდის? - ჩურჩულით თქვა ჰო-ლმსმა, და იმის მიხედვით, თუ როგორ გაებზარა ხმა ამ რკინის ნერვებიან ადამიანს, მივხვდი, რომ ეს გოდება ჰოლმსს სულის სიღრმემდე ჩასწვდა. - სად ყვირიან, უოტსონ?

- მგონია, იმ მხარეს, - ხელი გავიშვირე სიბნელეში.

- არა, აი იქ!

მტანჯველი ყვირილი ისევ გაისმა მდუმარე ღამეში, მაგრამ ახლა უფრო ახლოს, უფრო ხმამაღლა. ამჯერად მას თან ერთვოდა რაღაც სხვა ხმებიც - ყრუ, ხმადაბალი ბდღვინვა, გაბმული ზმუილი, რაც ზღვის ერთფეროვან ბუბუნსაც წააგავდა.

- ეს ძაღლია! - შეჰყვირა ჰოლმსმა. - გავიქცეთ, უოტსონ, გავიქცეთ! ღმერთო ჩემო! ოღონდ არ დაგვაგვიანდეს!

ამ სიტყვებზე ბნელში გადახტა, მეც უკან მივყევი. და უეცრად სადღაც წინ, კაჭრების იქით, ადამიანის სასოწარკვეთილი ამოძახილი გაისმა, რომელსაც ყრუ დარტყმების ხმა მოჰყვა. შევჩერდით. ყური მივუგდეთ. მაგრამ მეტად აღარაფერს დაურღვევია უქარო ღამის მძიმე დუმილი.

მე ვნახე, როგორ გიჟივით იტაცა ჰოლმსმა თავში ხელი და ფეხი მიწას დაჰკრა.

- დაგვასწრო, უოტსონ! დავაგვიანეთ!

- არა! ეს შეუძლებელია!

- რას ვაყოვნებდი, მე სულელი! თქვენც კარგი ვინმე ხართ, უოტსონ! მიატოვეთ ბასკერვილი მარტო, და აი, რით გათავდა ყველაფერი! არა! თუ არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება, სულ ერთია, იმ არამზადას მწარედ გადავუხდი.

გზას ვინღა დაეძებდა, პირდაპირ იქით გავვარდით, საიდანაც საშინელი ყვირილი მოგვესმა. ხან ფერდობზე მივბობღავდით, ხან დაბლა ვეშვებოდით, ბნელში ლოდებს ვეჯახებოდით, შამბნარს მკერდით მივარღვევდით. ყოველივე ბორცვის თავიდან ჩემი მეგობარი სწრაფად ათვალიერებდა გარემოს, მაგრამ ჭაობებზე გამეფებულიყო სრული წყვდიადი და მათს პირქუშ ზედაპირზე ვერავითარ მოძრაობას ვერ შენიშნავდით.

- ხედავთ რამეს?

- ვერაფერს.

- მოითმინეთ! ეს რა არის?

ყრუ კვნესა შემოგვესმა. მარცხნიდან მოდიოდა ეს ხმა. ქვიანი ბორცვის იქით უეცრად იწყებოდა კაჭრებით მოფენილი ფერდობი, და იქ დიდრონ ლოდებს შორის რაღაც შავი საგანი მოჩანდა. ახლოს მივირბინეთ და შავმა საგანმა უფრო გამოკვეთლი

მოხაზულობა მიიღო. ეს იყო ადამიანი, რომელიც მიწაზე პირდაღმა ეგდო. თავი რაღაც სასწაულებრივად მოქცეოდა, მხრები წამოეწია და ზურგიც ამოზნექილი ჰქონდა. ამ არაბუნებრივი სანახაობით შეძრწუნებული, პირველად ვერ მივხვდი, რომ კვნესა, რომელიც შემოგვესმა, მომაკვდავის უკანასკნელი გაბრძოლება იყო. თავდახრილნი ვიდექით და არც ხროტინი გვესმოდა, არც რაიმე ჩქამი. ჰოლმსი შეეხო უძრავ სხეულს, შეჰყვირა და მაშინვე ხელი მოაშორა. ასანთი გავკარით, სუსტმა შუქმა გაანათა გასისხლიანებული თითები და ის საშინელი გუბე, რასაც მიცვალებულის დამსხვრეული თავის ქალიდან გადმონადენი სისხლი აყენებდა. გული შეგვეკუმშა, - როცა ასანთის შუქზე ჩვენ წინაშე სერ ჰენრი ბასკერვილი ვიხილეთ.

განა შეიძლებოდა ამ არაჩვეულებრივი მოწითალო-ყავისფერი კოსტიუმის დავიწყება - სწორედ იმ კოსტიუმისა, რომლითაც პირველად გამოჩნდა ბარონეტი ბეიკერსტრიტზე! ერთი წამიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ გვეცნო დაღუპული, შემდეგ კი ასანთი ჩაქრა, როგორც ჩვენი უკანასკნელი იმედი. ჰოლმსმა დაიკვნესა და მე ბნელშიაც კი დავინახე, რა მკვდრის ფერი დაედო სახეზე.

- არამზადა! არამზადა! - ხელები თავისთავად შემეკუმშა მუშტებად. - ჰოლმს! არასოდეს არ ვაპატიებ ჩემს თავს, რომ სერ ჰენრი ბედის ანაბარა მივატოვე.

- ჩემი დანაშაული მეტია, უოტსონ. მე შევიწირე კლიენტი, ვიმსხვერპლე მხოლოდ იმისათვის, რომ შემეჯამებინა, ასე ვთქვათ, მომემთავრებინა ეს საქმე. მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე არ მახსოვს ასეთი მძიმე დარტყმა მოეყენებინოს ვისმეს, მაგრამ ვის შეეძლო ეთქვა, ვის შეეძლო სცოდნოდა, რომ მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, იგი რისკს გასწევდა და ჭაობებში მარტო გამოვიდოდა.

- ჩვენ გავიგონეთ მისი ყვირილი, ღმერთო ჩემო, რანაირი ყვირილი! გავიგონეთ და ვერ მივეშველეთ! მაგრამ სად გაქრა ის სულთამხუთავი ძაღლი - მისი სიკვდილის მიზეზი? იქნებ ახლაც აქ არის სადმე? ან სად არის სტეპლტონი? ყველაფრისათვის მივუზღავ სამაგიეროს!

- დიახ, ის აგებს პასუხს ყველაფრისათვის, ამაზე მე ვიზრუნებ. ბიძაც და ძმიწულიც - ორივე მკვდარია. ერთი შიშით მოკვდა, როცა თავის თვალწინ დაინახა ურჩხული, რომელსაც ზებუნებრივ არსებად სთვლიდა, მეორე კი მოკვდა მაშინ, როცა გაქცევით ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. მაგრამ ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ იმ ძაღლსა და მის მსხვერპლს შორის არის მიზეზობრივი კავშირი. მართალია, ყმუილი გავიგონეთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საბუთი, სერ ჰენრიმ შეიძლება დაცემის დროს გაიტეხა თავი. მე მაინც ვფიცავ, რა ცბიერიც არ უნდა იყოს ჩვენი მოწინააღმდეგე, ხვალ ის ჩემს ხელთ იქნება!

უეცარი და გამოუსწორებელი უბედურებით შეძრწუნებულნი, დასახიჩრებული გვამის წინ ვიდექით. რა ცუდად დასრულდა ჩვენი ხანგრძლივი და მძიმე შრომა. როცა ღრუბლებიდან მთვარემ გამოიხედა, ქვის გროვაზე ავედით, საიდანაც ჩვენი უბედური მეგობარი გადმოვარდა და იქიდან შევათვალიერეთ მთვარის შუქზე ვერცხლისფრად მბზინავი ჭაობები. შორს, გრიმპენის მხარეს ჩანდა ყვითელი ცეცხლი. ეს შუქი შეიძლებოდა მხოლოდ სტეპლტონების განმარტოებულ საცხოვრებელში ნთებულიყო. წყევლა-კრულვა აღმომხდა და იმ მხარეს მუშტით დავემუქრე.

- რაღას ვუცდით? დაუყოვნებლივ უნდა შევიპყროთ!

- საქმე ჯერ არ არის დამთავრებული, ის კი ისეთი ფრთხილი და ცბიერი კაცია! მერე რა, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით? აბა სცადეთ და დაუმტკიცეთ! ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და არამზადა ხელიდან გაგვისხლტება.

- მაშ რა ვქნათ?

- ხვალ საზრუნავი ყელამდე გვექნება. დღეს კი ისღა დაგვრჩენია, უკანასკნელი სამსახური გავუწიოთ სერ ჰენრის.

შვეულ ფერდობზე დავეშვით და მთვარის სხივებზე ვერცხლისფრად მოელვარე ქვებს შორის დაგდებულ უფორმო შავ სხეულთან მივედით. ტანჯვით მოკრუნჩხული სხეულის დანახვაზე გული შემეკუმშა და სიმწრისაგან თვალები ცრემლით ამევსო.

- დავუძახოთ ვინმეს, ჰოლმს. მარტო ჩვენ გვამს სახლამდე ვერ მივიტანთ. ღმერთო ჩემო, რა მოგდით? ხომ არ შეიშალეთ?

ჰოლმსმა შეჰყვირა და სერ ჰენრის გვამზე დაიხარა. უეცრად ცეკვას მოჰყვა, ხარხარით ჩამავლო ხელში ხელი და ნჯღრევა დამიწყო. ნუთუ ეს ჩემი სასტიკი, მუდამ თავშეკავებული მეგობარია? აი თურმე რა ხდება, როცა დაფარული ალი გარეთ გადმოხეთქავს ხოლმე!

- წვერი აქვს! წვერი!

- წვერი?

- ეს სერ ჰენრი არ არის... ღმერთო, ეს ჩემი მეზობელია, - კატორღელი! - ელვის სისწრაფით ვეცით გვამს, გადავაბრუნეთ გულაღმა და გასისხლიანებული წვერი ახლა პირდაპირ ცივ, ნათელი მთვარის ბადრ სახეს მიაჩერდა. საეჭვო აღარაფერი იყო! დაბალი შუბლი, მაიმუნივით ღრმად ჩამჯდარი თვალები, - ეს იგივე სახე იყო, რომელმაც ჩემ თვალწინ იმ ღამეს ნაპრალში გაიელვა.

მოკლული ბოროტმოქმედი სელდენი გახლდათ. აქ კი ყველაფერს მივხვდი. მომაგონდა, რომ ბერიმორს ბარონეტმა თითქმის მთელი თავისი სამოსელი აჩუქა. მაშასადამე, ბერიმორმა ეს ტანსაცმელი მისცა სელდენს, რათა წასასვლელად გამზადებულიყო. ფეხსაცმელი, პერანგი, კეპი - ყველაფერი ერთ დროს სერ ჰენრის ეკუთვნოდა. მართალია, ტრაგედია ტრაგედიად რჩებოდა, მაგრამ სელდენმა, ასე თუ ისე, მაინც დაიმსახურა სიკვდილი. სიხარულით აღარ ვიყავი, ისე ვუამბე ჰოლმსს, თუ როგორ მოხდა ყველაფერი.

- მაშასადამე, ეს უბედური კოსტიუმმა დაღუპა, - თქვა ჰოლმსმა. - ძაღლს, რა თქმა უნდა, სერ ჰენრის რაიმე ნივთი აყნოსეს - უთუოდ სწორედ ის ფეხსაცმელი, ოტელში რომ მოიპარეს - და მერე კატორღელის კვალზე მიუშვეს, აუხსნელი რჩება მხოლოდ ერთი რამ: როგორ დაინახა სიბნელეში სელდენმა, რომ ვიღაც მისდევდა?

- ალბათ, მოესმა.

- მოესმა ძაღლის ხმა ჭაობებში და მშველელს უხმო ისე, რომ დაჭერის საფრთხეს არ მოერიდა? არა, კატორღელს ამით ვერ შეაშინებ. აი, რა: როგორ დაინახა სელდენმა, რომ ძაღლი მისდევს?

- მე მგონია, ამაზე საკვირველი ამბებიც არის. თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი ყველა ვარაუდი სწორია, მაშინ ეს ძაღლი...

- მე არაფერს არ ვვარაუდობ.

- კეთილი. რატომ გაუშვეს ეს ძაღლი ჭაობში ამ ღამით. არა მგონია, ყოველთვის ასეთი თავისუფლებით სარგებლობდეს. სტეპლტონი ალბათ ელოდა, რომ სერ ჰენრი დღეს ჭაობებისაკენ გამოივლიდა.

- ჩემი ამოცანა უფრო რთულია. თქვენსაზე პასუხს მალე მივიღებთ, ჩემი კი ალბათ ისევ ამოუხსნელი დარჩება. ახლა კი გადავწყვიტოთ ამ უბედურს რა ვუყოთ. ხომ არ შეიძლება მელიებისა და ძერების საძიძგნად აქ დავტოვოთ?

- რომელიმე ქოხში დავასვენოთ, ვიდრე პოლიციას შევატყობინებთ.

- მართალია, ქოხამდე, ყოველ შემთხვევაში, მივიტანთ. შეხედეთ, უოტსონ! ეს რა არის? ნუთუ თვითონ ისაა? არა, რა კადნიერებაა! არც ერთი სიტყვა ჩვენს ეჭვებზე, არც ერთი სიტყვა! თორემ ყველა ჩემი გეგმა ჩაიფუშება.

ჭაობების სიღრმიდან ადამიანი გვიახლოვდებოდა. მისი სიგარის მკრთალი კვამლი შორიდან გამოჩნდა. მოკაშკაშე მთვარე დასციმციმცებდა და მაშინვე ვიცანი სწრაფად, ხტუნვა-ხტუნვით მომავალი ნატურალისტის კაფანდარა სხეული. დაგვინახა, შეჩერდა, მერე ისევ ჩვენკენ წამოვიდა.

- ექიმო უოტსონ! ნუთუ ეს თქვენა ხართ? არაფრით არ ველოდი, რომ ამ ჭაობებში გნახავდით! ღმერთო ჩემო! ეს რა არის? რა მოხდა? არა! შეუძლებელია! ნუთუ ეს ჩვენი მეგობარი სერ ჰენრია!

სტეპლტონმა ჩამიარა და გვამზე დაიხარა...

უეცრად სიგარა ხელიდან გაუვარდა:

- ეს... ეს ვინ არის? - ბორძიკით ჩაილაპარაკა.

- სელდენია, კატორღელი, პრინსტაუნის ციხიდან გაქცეული.

სტეპლტონმა მკვდარივით გაფითრებული სახე მოგვაპყრო. ნებისყოფის უჩვეულო დაძაბვით სძლია თავს, არაფრით არ გაუცია თავისი გაოცება და სასოწარკვეთილება. ჯერ ჰოლმსს მიაშტერდა, მერე მე.

- ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა! როგორ მოხდა?

- ეტყობა, აი იმ ფერდობიდან გადმოვარდა და კისერი მოიტეხა. მე და ჩემი მეგობარი ჭაობებში ვსეირნობდით და ვიღაცის ყვირილი გავიგონეთ.

- მეც ამ ყვირილმა გამომიყვანა სახლიდან. მაწუხებდა სერ ჰენრის ბედი.

- რაღა სახელდობრ სერ ჰენრის ბედი გაწუხებდათ? - ვერ მოვითმინე მე.

- დღეს საღამოს ჩვენსა უნდა შემოევლო და რატომღაც არ მოვიდა. ამან ძალიან გამაოცა, ხოლო როცა ჭაობებში ყვირილი გავიგონე, ბუნებრივია, სერ ჰენრი მომაგონდა და შევწუხდი. სხვათა შორის, - სტეპლტონმა მზერა ჩემგან ისევ ჰოლმსზე გადაიტანა, - ამ ყვირილის გარდა არაფერი გაგიგონიათ?

- არა, - თქვა ჰოლმსმა. - თქვენა?

- არც მე.

- მაშინ რისთვის გვეკითხებით?

- თქვენ ხომ იცით, რომ აქ ძაღლის აჩრდილზე და სხვა მსგავს სასწაულზე ლაპარაკობენ! აქაური ფერმერები ყვებიან, ღამღამობით ძაღლი ჭაობებში დაძრწისო. აი, მეც მაინტერესებს: იქნებ თქვენც გაიგონეთ?

- არა ძაღლი ყეფა არ გაგვიგონია, - ვთქვი მე.

- მაშ, ამ უბედურის დაღუპვას როგორღა ხსნით?

- დარწმუნებული ვარ, გამუდმებული შიშისაგან გონება დაუბნელდა და სულ იმას ფიქრობდა - ვაითუ დამიჭირონო. ალბათ სიგიჟის შემოტევის დროს ჭაობში დარბოდა, ბოლოს ფერდობზე დაგორდა და კისერიც მოიტეხა.

- ჰო, ეს ნამდვილად დასაჯერებელია, - თქვა სტეპლტონმა და აშკარად შეეტყო, რომ თავისუფლად ამოისუნთქა. - თქვენ რაღას ფიქრობთ ამაზე, მისტერ შერლოკ ჰოლმს?

- ძალზე მიხვედრილი ადამიანი ყოფილხართ! - თქვა ჩემმა მეგობარმა და მდაბლად დაუკრა თავი.

- რაც აქ ექიმი უოტსონი გამოჩნდა, იმ დღიდან ყოველ ცისმარე დღე თქვენს მოლოდინში ვიყავით. სწორედ რომ კარგ დროს ჩამოხვედით, ტრაგედიას პირდაპირ სულზე მოუსწარით.

- მართლაც აგრეა! მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მეგობარი მომხდარ ამბებს სწორად გაარკვევს და ამიტომ ხვალ ლონდონს მივემგზავრები. ამ უსიამოვნო ამბებმა გული ჩამწყვიტეს, მაგრამ ლონდონს წასვლას მაინც არ გადავდებ.

- როგორ! ხვალვე მიემგზავრებით?

- ვაპირებ.

- მაგრამ თქვენი ჩამოსვლა, რა თქმა უნდა, შუქს მოჰ-ფენს ყველა იმ მოვლენას, რომელთაც პირდაპირ ჩიხში მოგვაქციეს.

ჰოლმსმა მხრები აიჩეჩა.

- წარმატება მუდამ იოლად როდი მოდის. გამოკვლევის დროს ფაქტებს უნდა დავემყაროთ და არა ლეგენდებს. ამ საქმეს ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო მივადევნე.

ჩემი მეგობარი სრულიად ბუნებრივი და მშვიდი კილოთი ლაპარაკობდა. სტეპლტონი კი ყურადღებითა და დაჟინებით შესცქეროდა. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

- სიამოვნებით შემოგთავაზებდით გვამის ჩემს სახლში გადატანას, მაგრამ ჩემი და ისე შეშინდება, რომ უმჯობესია ამაზე ხელი ავიღოთ. მოდით, სახეზე რაიმე გადავაფაროთ და აქვე დავტოვოთ. დილამდე არაფერი მოუვა.

ასეც გავაკეთეთ. მე და ჰოლმსმა უარი ვუთხარით სტეპლტონს მერიპიტ-ჰაუსში მიპატიჟებაზე, შინ მარტო გავუშვით და ბასკერვილ-ჰოლისაკენ გავეშურეთ. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით, უკან მივიხედეთ და ჭაობების სიღრმისაკენ ნელ-ნელა მიმავალი სტეპლტონი დავლანდეთ. იქით კი, მის უკან მთვარით განათებულ ფერდობზე - ერთადერთი შავი ლაქა მოჩანდა, იმ ადგილას, სადაც ასეთი საშინელი სიკვდილით დაღუპული ადამიანი ეგდო.

- როგორც იქნა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩავებით! - თქვა ჰოლმსმა, რომელიც ჩემს გვერდით მოაბიჯებდა. - მაგრამ რა სიმტკიცეა! რა სწრაფად მოეგო გონს და როგორ შეიკავა თავი! დარტყმა კი ჭეშმარიტად თავბრუდამხვევი იყო - დანახვა იმისა, რომ შენი მსხვერპლია არა ის, ვისაც უმიზნებდი, არამედ სხვა. უოტსონ, ლონდონშიაც მითქვამს და ახლაც გიმეორებთ: უფრო ღირსეული მოწინააღმდეგე ჩვენ ჯერ არ შეგვხვედრია.

- მაინც ვნანობ, რომ დაგინახათ!

- პირველად ეს მეც ვინანე. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა!

- როგორ ფიქრობთ, თქვენთან შეხვედრა მის გეგმებზე იმოქმედებს?

- დიახ. უფრო ფრთხილად მოიქცევა, ან რაიმე გადამწყვეტსა და სახიფათო ნაბიჯს გადადგამს. როგორც არაჩვეულებრივ დამნაშავეთა უმრავლესობა, სტეპლტონიც ალბათ მეტიმეტად დიდ იმედს ამყარებს თავის ეშმაკობაზე და ფიქრობს, რომ პირში ჩალა გამოგვავლო.

- რატომ არ გინდათ მისი შეპყრობა?

- ჩემო ძვირფასო უოტსონ, თქვენ სწრაფი მოქმედება გიყვართ. თქვენი ინსტინქტები ყველაზე უფრო გადამწყვეტი ზომების მიღებას გკარნახობენ: აბა, დავუშვათ, რომ ღამით ეს კაცი დავიჭირეთ. რას მოგვცემს ეს? ვერაფერს ვერ დავუმტკიცებთ. აი, სად არის მისი ჩანაფიქრის მთელი ჯოჯოხეთური ეშმაკობა! სტეპლტონის თანამზრახველი რომ ადამიანი ყოფილიყო, საბუთებს მოვაგროვებდით, კვალს მივაგნებდით, მაგრამ აბა სცადეთ სამსჯავროზე უზარმაზარი ძაღლის გამოყვანა! განა ეს დაგვეხმარება იმაში, რომ მის პატრონს კისერზე სახრჩობელას საბელი ჩამოვაცვათ?

- მაგრამ დანაშაულის შედგენილობა ხომ სახეზეა?

- სრულებითაც არა! ჯერ ყველაფერი მხოლოდ სავარაუდოა. სასამართლოში თუ ასეთი ფანტასტიკური ისტორიების მოყოლა დავიწყეთ, მასხარად აგვიგდებენ.

- სერ ჩარლზის ამბავი?

- მკვდარი იპოვეს. ძალადობის კვალი არ აღმოუჩენიათ. მე და თქვენ ვიცით, რომ შიშით მოკვდა, ვიცით ისიც, თუ რამ შეაშინა. მაგრამ როგორ დავარწმუნოთ ამაში ის თორმეტი დამთხვეული, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა როლში იქნებიან? რა საფუძველზე დავასკვნით, რომ ამ საქმეში გარეულია ძაღლი? სადაა მისი კბილების კვალი? მე და თქვენ ისიც ვიცით, რომ ძაღლები მკვდრებს არ კბენენ და რომ სერ ჩარლზი მოკვდა უმალ, ვიდრე ძაღლი თავს დაესხმოდა. მაგრამ ამას ხომ დამტკიცება უნდა, ჩვენ კი ვერაფრით ვერ დავამტკიცებთ.

- მერე, დღევანდელი ღამე?

- არაფერი განსაკუთრებული მას არ მოუცია. მიზეზობრივი კავშირი ძაღლსა და კატორღელის დაღუპვას შორის მაინც არ არის. არავის არ უნახავს ეს ძაღლი. მართალია, ყმუილი გავიგონეთ, მაგრამ ის ხომ არ გვინახავს, რომ ძაღლი კატორღელს გამოედევნა. საბუთები არ გვყოფნის! არა, მეგობარო, ფაქტი ფაქტად რჩება: დანაშაულის შედგენილობა ვერ დავადასატურეთ და დამამტკიცებელი საბუთების თავმოყრაც ვერ შევძელით, მაგრამ დამნაშავეს რომ ბრალდება დავუმტკიცოთ, ყოველნაირი რისკი უნდა გავწიოთ.

- რას აპირებთ?

- მე დიდ იმედს ვამყარებ მისის ლაურა ლაიონსზე. როცა მისთვის საქმის ნამდვილი ვითარება გახდება ცნობილი, ეს ქალი სერიოზულ სამსახურს გაგვიწევს. გარდა ამისა, მე მეორე, საკუთარი გეგმაც მაქვს, მაგრამ წინასწარ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო, თუმცა მაინც იმედი მაქვს, რომ ხვალ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

ჰოლმსისაგან მეტი ვერაფერი გავიგე. ფიქრებში ჩანთქმულს ბასკერვილ-ჰოლის კარებამდე ხმა აღარ ამოუღია.

- შემოხვალთ?

- დიახ. ახლა უკვე აღარა აქვს აზრი დამალვას. მაგრამ კიდევ ერთი სიტყვა, უოტსონ. სერ ჰენრის ძაღლზე არაფერი უთხრათ. დე, სელდენის სიკვდილი იმავე მიზეზებს მიაწეროს, რომელთა ჩაგონებასაც სტეპლტონი ჩვენთვის ლამობდა. სერ ჰენრი ასე უფრო იოლად გადაიტანს ამ განსაცდელს, რაც ხვალ მოელის, როცა მერიპიტ-ჰაუსში წავა სადილად - თუ სწორად გავიგე თქვენი უკანასკნელი ანგარიში.

- მაგრამ იქ მეც ვარ მიწვეული.

- მაშინ თქვენ მიწვევაზე უარის თქმა მოგიხდებათ. სერ ჰენრი მარტო უნდა წავიდეს. ამისი მოწყობა ადვილი საქმეა. ...დიახ, ასეა. სადილზე დავაგვიანეთ, მაგრამ ვახშამს კი სწორედ დროზე შევესწარით.

თავი X|||
მახე დაგებულია

ახალი სტუმრის ხილვა სერ ჰენრის ისე არ გაჰკვირვებია, როგორც გაუხარდა. მას ღრმად სჯეროდა, რომ როცა შერლოკ ჰოლმსი უკანასკნელი დღეების ამბავს გაიგებდა, ლონდონში აღარ გაჩერდებოდა. ამის მიუხედავად, როცა გამოირკვა, რომ ჩემი მეგობარი უხელბარგოდ იყო ჩამოსული და არც ცდილობდა ეს ამბავი აეხსნა, ბარონეტმა გაოცებით ასწია წარბები. ჰოლმსი მაშინვე მოამარაგეს ყველაფრით, რაც ესაჭიროებოდა, და გვიანი ვახშმის შემდეგ ბარონეტს გავუმხილეთ ჩვენი თავგადასავლის ის ნაწილი, რისი ცოდნაც მისთვის საჭირო იყო. მაგრამ მანამდე ერთი მეტად მძიმე მოვალეობის შესრულება მომიხდა - ბერიმორსა და მის მეუღლეს შევატყობინე სელდენის დაღუპვა. ლაქიას თითქოს ზურგიდან ძალიან მძიმე ტვირთი

მოხსნესო, ისე თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ მისის ბერიმორმა სახე წინსაფრით დაარა და მწარედ ატირდა. მთელი ქვეყნის თვალში სელდენი საშინელი ბოროტმოქმედი იყო, რაღაც საშუალო ეშმაკსა და ნადირს შორის, დას კი, ეტყობოდა, იგი უწინდებურად ოინბაზ ბავშვად მიაჩნდა, რომელიც პატარაობაში ხელზე ებღაუჭებოდა. ჭეშმარიტად, ურჩხული უნდა იყოს სიცოცხლეში ადამიანი, თუ სიკვდილის დროს მდუღარე ცრემლით დამტირებელი ქალი არ გამოუჩნდება.

- მას შემდეგ, რაც თქვენ გაემგზავრეთ, უოტსონ, სულ შინ ვზივარ და მოწყენილობისაგან გავთავდი. - თქვა ბარონეტმა. - იმედი მაქვს, ასეთი მორჩილება ჩამეთვლება? თქვენთვის მოცემული სიტყვა რომ არა, ცხვირს გარეთ არ გამოვყოფ- მეთქი, ამ საღამოს ბევრად უფრო მხიარულად გავატარებდი ჭაობებში, რადგანაც სტეპლტონმა დამპატიჟა.

- დიახ, საღამოს ბევრად უფრო მხიარულად გაატარებდით, - ცივად თქვა ჰოლმსმა. - სხვათა შორის, თქვენ ალბათ არც დაგვიფასებთ იმ დამსახურებას, რომ როცა წეღან კისერმოტეხილ კაცს დავცქეროდით, თქვენ დაგტიროდით?

სერ ჰენრიმ თვალები დააჭყიტა.

- ეს რატომ?

- იმიტომ, რომ ბედშავი კატორღელი თქვენს კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ბერიმორს, რომელმაც კოსტიუმი მისცა სელდენს, ამის გამო სერიოზული უსიამოვნებანი მოელის პოლიციისაგან.

- არა მგონია, რამდენადაც მახსოვს, ტანისამოსზე არავითარი ნიშანი არ იყო.

- ჰო, მაშ მისი ბედი ყოფილა - და თქვენიც, რამდენადაც ყველანი გარეული ხართ კანონის საწინააღმდეგო მოქმედებაში. კაცმა რომ თქვას, მე, როგორც კეთილსინდისიერ მაძებარს, ყველანი უნდა დამეჭირეთ, თქვენს თანამზრახველებთან ერთად. მამხილებელ დოკუმენტად უოტსონის წერილები გამომადგებოდა.

- უმჯობესია ის გვიამბოთ, როგორ არის საქმე? - უთხრა ბარონეტმა. - მოახერხეთ თუ არა ამ დახლართულ საქმეში თავის და ბოლოს გარჩევა? მე და უოტსონმა, რაც ვიცოდით, იმაზე მეტი ვერა გავიგეთ რა.

- მე ვფიქრობ, რომ უახლოეს დროში ბევრი რამ გაირკვევა. ეს საქმე ერთობ რთული და დახლართულია. ჩემთვისაც კი ზოგი რამ აქამდე ბურუსითაა მოცული... მაგრამ ბურუსი გაიფანტება და ყოველივე კეთილად დასრულდება.

- უოტსონმა ალბათ გიამბოთ ის, რაც ჭაობებში გავიგონეთ. ასე რომ, ეს ცარიელი ცრუმორწმუნეობა არ არის. მე მქონია ისეთი საქმეები, რომლებშიაც ძაღლებიც იყვნენ გარეულნი და ამიტომ ჩემი მოტყუება ძნელია - ძაღლის ყმუილი არ შეიძლება ვერ გაარჩიო. თუ თქვენ იმ ქოფაკს პირზე ალიკაპს გაუკეთებთ და ჯაჭვით დააბამთ, დედამიწის ზურგზე უდიდეს მაძებრად ჩაგთვლით.

- თუ დამეხმარებით, ალიკაპსაც გავუკეთებ და ჯაჭვითაც დავაბამ.

- რასაც მიბრძანებთ, ყველაფერს გავაკეთებ.

- ჩინებულია! მაგრამ მე ვითხოვ ბრმა მორჩილებას, ყოველგვარი «რატომ» და «რისთვის» ზედმეტი იქნება.

- როგორც გენებოთ.

- თუ ამაზე მეთანხმებით, მაშინ გადავჭრით ამ ამოცანას. ეჭვი არ მეპარება, რომ...

ჰოლმსი შუა სიტყვაზე შეჩერდა და ჩემს თავს ზემოთ რაღაცას დააშტერდა. ლამპა პირდაპირ ჰოლმსს ანათებდა. სახე ისეთი უძრავი და გაქვავებული გაუხდა,

თითქოს კლასიკური ქანდაკებააო. მთელი თავისი არსებით შეშფოთებასა და დაძაბულობას გამოხატავდა.

- რა მოხდა? - ერთხმად შევძახეთ მე და სერ ჰენრიმ.

ჰოლმსმა მზერა ჩვენზე გადმოიტანა და ვიგრძენი, რომ მღელვარების დაფარვას ცდილობდა. მისი სახე უწინდებურად არაფერს არ გამოხატავდა, მაგრამ თვალები საზეიმოდ უიმციმებდა.

- მაპატიეთ, მაგრამ არ შემეძლო აღტაცების შეკავება, - თქვა და მოპირდაპირე კედელზე ჩამწკრივებულ სურათებზე მიგვითითა. - უოტსონი ამტკიცებს, რომ მე მხატვრობაში არაფერი გამეგება, მაგრამ ეს ჩემი ჯიბრთ მოსდის, რადგან ხელოვნების სფეროში ჩვენი აზრები ერთმანეთისას არ ემთხვევა. ეს პორტრეტები კი ნამდვილად ჩინებულია.

- მოხარული ვარ, - თქვა სერ ჰენრიმ და გაოცებულმა შეხედა ჩემს მეგობარს. - სურათებისა ბევრი მეც არაფერი მესმის. აი, ცხენი ან ხარი სხვა საქმეა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ თქვენ ხელოვნებით დატკბობისათვის დროს შოულობთ.

- თქვენ მაგის დარდი ნუ გაქვთ, კარგ საგანს ყოველთვის შევნიშნავ. სანაძლეოს ვდებ, რომ ის მანდილოსანი, ცისფერი აბრეშუმის კაბა რომ აცვია, ნელერის ფუნჯის ნაყოფი უნდა იყოს. ხოლო სქელი, პარიკიანი ჯენტლმენი უეჭველად რეინოლდსის დახატული იქნება. ეს ალბათ საგვარეულო პორტრეტებია?

- დიახ, ყველანი.

- მათი სახელები თუ იცით?

- ბერიმორი დიდხანს მავარჯიშებდა ამ დარგში და ვგონებ, გაკვეთილს წაუბორძიკებლად გიპასუხებთ.

- ვინ არის ის ჯენტლმენი, ჭოგრიტი რომ უჭირავს?

- ესაა კონტრ-ადმირალი ბასკერვილი, რომელიც ოსტ-ინდოეთში მსახურობდა. ეს კი, ლურჯსერთუკიანი, ხელში რომ გრაგნილი უჭირავს, სერ უილიამ ბასკერვილია, უილიამ პიტ უფროსის დროს თემთა პალატის კომისიის თავმჯდომარედ ყოფილა.

- აი, ეს კავალერი ჩემ პირდაპირ, შავი ხავერდის ბაფთებიანი კამზოლი რომ აცვია?

- ო! ამას კი უნდა გაეცნოთ. ესაა ყველა უბედურების მიზეზი - სერ ჰუგო. ბოროტმოქმედი, რომელმაც დასაბამი მისცა ლეგენდას ბასკერვილები ძაღლზე. ალბათ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე მას დავივიწყებთ.

პორტრეტს დიდი ინტერესითა და ცოტა შეშფოთებული შევცქეროდი.

- ღმერთო ჩემო! - თქვა ჰოლმსმა. - სახე კი ისეთი აქვს, მშვიდი, წყნარი. მართალია, თვალებში ჯოჯოხეთური ნაპერწკალი უელავს, მარგამ მე თქვენი ჰუგო რაღაც გოლიათად წარმომედგინა, რომელსაც ყაჩაღის გამომეტყველება უნდა ჰქონოდა.

- პორტრეტი ნამდვილად მისია. ამაში შეიძლება ეჭვი არ შეგეპაროთ. უკან ტილოს აწერია მისი სახელი და თარიღი - ათას ექვსას ორმოცდაშვიდი წელი.

მთელი დანარჩენი საღამო ჰოლმსმა მეტწილად მდუმარედ გაატარა, მაგრამ გარყვნილი ჰუგოს პორტრეტმა თითქოს მოაჯადოვა, და ვახშამზე სურათისათვის თითქმის თვალი არ მოუცილებია. მაგრამ ჰოლმსის აზრთა მსვლელობა ჩემთვის მხოლოდ მას შემდეგ გახდა ნათელი, როცა სერ ჰენრი დასაძინებლად წავიდა თავის ოთახში. ჰოლმსმა ღამის პატარა მაგიდიდან სანთელი აიღო, სანადიმო დარბაზისაკენ წამიძღვა და დროისაგან ჩაშავებულ პორტრეტთან მიმიყვანა.

- ვერაფერს ამჩნევთ?

დიდხანს შევცქეროდი ფართოფარფლებიან ქუდს, თეთრ ბაფთიან საყელოს და გრძელ კულულებს, რომლებიც სასტიკსა და ვიწრო სახეს თითქოს ჩარჩოდ შემოვლებოდნენ. ამ სახეს ვერავინ დასწამებდა ვერც ნაკვთების უხეშობას, ვერც გამომეტყველების სიმკაცრეს, მაგრამ მის მოკუმულ თხელ ბაგეში, ცივსა და შეუპოვარ მზერაში იყო რაღაც გულქვა, სასტიკი და ქედმაღლური...

- არავის არ მოგაგონებთ?

- სახის ქვედა ნაწილი სერ ჰენრის მიუგავს.

- სრული ჭეშმრიტებაა. მაგრამ ცოტა მოიცადეთ!

ჰოლმსი სკამზე შედგა, მარცხენა ხელში სანთელი ეჭირა, მარჯვენათი კი სურათს ქუდის ფარფლები და გრძელი კულულები დაუფარა.

- ციურო ძალნო! - შევძახე გაოცებისაგან ჭკუადაკარგულმა.

ტილოდან სტეპლტონის სახე შემომცქეროდა.

- აჰა! ნახეთ? ჩემი თვალები ხომ მიჩვეულნი არიან თვით სახის გამოყოფას იმისგან, რაც გარშემო აკრავს. მზერით ნიღბის სიღრმეში ჩაწვდომა - მაძებრის მთავარი თვისებაა.

- განაცვიფრებელია! თითქოს სტეპლტონის პორტრეტი იყოს!

- დიახ, სულიერად და ფიზიკურად წარსულისაკენ დაბრუნების საგულისხმო ცდაა. თუ საგვარეულო პორტრეტების შესწავლას შევუდგებით, სულთა ჩასახლება-გადასახლებას ვიწამებთ. ისიც ბასკერვილია, ეს სავსებით აშკარაა.

- და მემკვიდრეობისათვის იბრძვის.

- უთუოდ. ეს შემთხვევით თვალში მოხვედრილი პორტრეტი დამეხმარა ერთი ყველაზე უფრო რთული ხარვეზის შევსებაში. ახლა კი ჩვენს ხელთაა, უოტსონ, ახლა კი დავიჭირეთ ეს სტეპლტონი! და გეფიცებით, ხვალ ამ დროს უკვე ჩვენს ბადეში იფართხალებს, როგორც პეპლები ფართხალებენ მის ბადეში. ქინძისთავი, საცობი, იარლიყი და ბეიკერსტრიტის კოლექცია კიდევ ერთი ეგზემპლარით შეივსება.

ჰოლმსმა ხმამაღლა გადაიხარხარა და პორტრეტს მოშორდა. იგი იშვიათად იცინოდა, მაგრამ გავიგონებდი თუ არა მის სიცილს, ვიცოდი, რომ ვინმეს დიდი უბედურება ელოდა.

მეორე დღეს, დილით რომ ვდგებოდი, სარკმლიდან ჰოლმსს მოვკარი თვალი, ჩემზე ადრე ამდგარიყო, სადღაც წასულიყო და უკან დაბრუნებაც მოესწრო.

- დიახ, დღევანდელი დღე ჩემთვის ცოტა დავიდარაბიანი იქნება, - თქვა მხიარულად ჰოლმსმა და ხელები მოიფშვნიტა, თითქოს წინასწარ გრძნობდა მთელ ამ დავიდარაბას. - მალე საქმეს შევუდგებით. მახე დაგებულია. საღამოს კი ვნახავთ, ეს კბილბასრი ღლავი გაება, თუ ხელიდან დაგვისხლტა.

- უკვე მოასწარით ჭაობების მონახულება?

- გრიმპენამდე მივედი და იქიდან პრინსტაუნში სელდენის სიკვდილი დეპეშით ვაცნობე. ვფიქრობ, ამ საქმეზე არც ერთს აღარ შეგაწუხებენ. ამას გარდა, მე დავუკავშირდი ჩემს ერთგულ კარტრაიტს, რომელიც ჩემი დარდით აღარ იყო. იგი ისეთი ერთგულია, რომ მზად იყო ქოხის ზღურბლზე მომკვდარიყო, როგორც ძაღლი დააკვდება ხოლმე თავის პატრონის საფლავს.

- საიდან დავიწყებთ დღეს?

- უპირველეს ყოვლისა, ვნახოთ სერ ჰენრი. აი, თვითონ ბარონეტიც.

- დილა მშვიდობისა, ჰოლმს! - თქვა სერ ჰენრიმ. - თქვენ იმ გენერალს მომაგონებთ, რომელიც ბრძოლის დაწყების წინ შტაბის უფროსს ესაუბრება.

- ასედაც არის. უოტსონი ბრძანებების მისაღებად მოვიდა.

- მეც მაგიტომ გეახელით.

- ჩინებულია! თუ არა ვცდები, სტეპლტონებმა დღეს სადილად მიგიპატიჟეს, სერ?

- იმედი მაქვს, თქვენც წამოხვალთ? სტუმართმოყვარე ხალხია და თქვენი მისვლა ძალიან გაახარებთ.

- სამწუხაროდ, მე და უოტსონი ლონდონს უნდა გავემგზავროთ.

- ლონდონს?

- დიახ. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ უმჯობესია იქ ვიყოთ.

ბარონეტს თითქოს სახე მოექცაო.

- მე კი მეგონა, რომ ბოლომდე არ მიმატოვებდით! გულახდილად რომ გითხრათ, ბასკერვილ-ჰოლი ერთი ადამიანისათვის არც ისე სასიამოვნო სამყოფელია.

- ჩემო მეგობარო, თქვენ უნდა დამემორჩილოთ უსიტყვოდ და გააკეთოთ ყველაფერი, რასაც თქვენგან მოვითხოვ. უთხარით თქვენს მეგობრებს, რომ სიამოვნებით ვეწვეოდით, მაგრამ გადაუდებელი საქმეები ლონდონისაკენ გვიხმობენ. თუმცა დევონშირში ისევ მალე დავბრუნდებით. ხომ არ დაგავიწყდებათ ამისი თქმა?

- რაკი თქვენ ითხოვთ.

- გარწმუნებთ, სხვა გამოსავალი არ არის.

იმის მიხედვით, როგორ შეიკრა ამის გაგონებაზე ბარონეტმა შუბლი, მივხვდი, რომ განაწყენდა და ჩვენი გამგზავრება დეზერტირობად მიიჩნია.

- როდის აპირებთ გამგზავრებას? - ცივად იკითხა სერ ჰენრიმ.

- როგორც კი ვისაუზმებთ. ცხენებით გავემგზავრებით კუმბ-ტრესიმდე. უოტსონი თავის ნივთებს დატოვებს წინდად, რომ უკანვე დაბრუნდება. უოტსონ, ბარათი მისწერეთ სტეპლტონს და მიპატიჟებაზე უარის თქმისათვის ბოდიში მოუხადეთ.

- მეც მინდოდა ლონდონს წამოსვლა, - თქვა ბარონეტმა. - რა უნდა ვაკეთო აქ მარტო?

- თქვენი ადგილსამყოფელი და მამული ბასკერვილ-ჰოლია. თქვენ სიტყვა მომეცით დამემორჩილოთ საქმის დამთავრებამდე და, ჩემი ღრმა რწმენით, ბასკერვილ-ჰოლში უნდა დარჩეთ.

- კარგი, დავრჩები.

- კიდევ ერთი თხოვნა. მერიპიტ-ჰაუსში ეტლით გაემგზავრეთ. ეტლი გაისტუმრეთ და სტეპლტონებს უთხარით, რომ შინ ფეხით დაბრუნდებით.

- ფეხით, ჭაობებში?

- დიახ, მაგრამ აკი თქვენ თვითონ არა ერთხელ გამაფრთხილეთ, რომ ასე არ მოვქცეულიყავი.

- ახლა კი სრულიად დამშვიდდით და ისე გაემგზავრეთ სტეპლტონებთან. მე მოვითხოვ ამას იმიტომ, რომ თქვენი ვაჟკაცობის იმედი მაქვს.

- კარგი, ასე მოვიქცევი.

- და თუ ოდნავ მაინც რამედ გიღირთ სიცოცხლე, არ გადაუხვიოთ იმ ბილიკიდან, რომელიც მერიპიტ-ჰაუსიდან ბასკერვილ-ჰოლამდეა გატკეპნილი. მით უმეტეს, რომ ეს არის უმოკლესი გზა.

- ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც თქვენ მეუბნებით.

- აი, ეს კარგია. ჩვენ კი შევეცდებით საუზმის შემდეგ მაშინვე გავემგზავროთ, რათა სადილობისას უკვე ლონდონში ვიყოთ.

მოქმედების ასეთმა პროგრამამ ძალიან გამაოცა, თუმცა მახსოვდა, როგორ აფრთხილებდა წინა საღამოს ჰოლმსი სტეპლტონს თავის გამგზავრებაზე. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ იგი ჩემთან ერთად ირჩევდა გამგზავრებას და ისიც ისეთ დროს, რომელსაც თვითონვე სთვლიდა კრიტიკულ მომენტად! მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, მეგობრის ნება-სურვილს უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდი. მალე დავემშვიდობეთ კიდეც შეწუხებულ ბარონეტს. ორი საათის შემდეგ ეტლი უკანვე გავაგზავნეთ და კუმბ-ტრესის სადგურის პლატფორმაზე გავედით. იქ ტანმორჩილი ყმაწვილი გველოდა.

- რას მიბრძანებთ, სერ?

- კარტრაიტ, ჩაჯექი მატარებელში და ლონდონში გაემგზავრე. როგორც კი ჩახვალ, სერ ჰენრი ბასკერვილს ჩემი სახელით დეპეშა გამოუგზავნე. მოსწერე, ხომ არ უპოვია სადმე ჩემი უბის წიგნი, რომელიც დავკარგე. თუ იპოვა, ბანდეროლით ბეიკერსტრიტზე გამომიგზავნოს.

- მესმის, სერ.

- ახლა კი სადგურის კანტორაში იკითხე, ჩემს სახელზე ხომ არაფერია მოსული.

იმწამსვე უკან მობრუნებულ ბიჭს ხელში დეპეშა ეჭირა. ჰოლმსმა წაიკითხა თუ არა, მე გადმომცა. ტექსტს თვალი გადავავლე და შემდეგი ამოვიკითხე:

«დეპეშა მივიღე. მოვდივარ დაპატიმრების ორდერით. ვიქნები ხუთსა და ორმოცზე... ლესტრეიდი».

- ეს ჩემი დილანდელი დეპეშის პასუხია. ლესტრეიდი საუკეთესო პროფესიონალი მაძებარია, შეიძლება მისი დახმარება დაგვჭირდეს. აბა, უოტსონ, დრო გვაქვს, და სწორედ ახლა უნდა ვესტუმროთ თქვენს ნაცნობ მანდილოსანს, მისის ლაურა ლაიონსს.

ჰოლმსის მიერ შედგენილი ძიების გეგმა ჩემთვის ყოველ წამს უფრო ნათელი ხდებოდა. ალბათ, ბარონეტის საშუალებით დაარწმუნებს სტეპლტონს, რომ ჩვენ აქ არ ვიმყოფებით, ნამდვილად კი დავბრუნდებით უკან იმ დროისათვის, როცა ჩვენი დახმარება ყველაზე უფრო საჭირო იქნება. თუ სერ ჰენრი ჰოლმსისაგან ლონდონიდან გამოგზავნილ დეპეშას ახსენებს, ეს ხომ სრულიად გაფანტავს სტეპლტონის უკანასკნელ ეჭვს და ის იქნება, მე გონების თვალით უკვე ვჭვრეტდი, როგორ თანდათანობით ეხვეოდა ჩვენს ბადეში კბილბასრი ქარიყლაპია.

მისის ლაურა ლაიონსი თავის სამუშაო ოთახში იჯდა. შერლოკ ჰოლმსმა ისეთი პირდაპირობითა და ისე გულღიად დაიწყო ლაპარაკი, რომ ქალს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

- მე სერ ჩარლზ ბასკერვილის სიკვდილის გარემოებებს ვარკვევ, - დაიწყო ჩემმა მეგობარმა. - უოტსონმა გადმომცა ყველაფერი, რაც ამასთან დაკავშირებით მას გაუმხილეთ და ისიც, რაზედაც დუმილი ამჯობინეთ.

- რაზე ვამჯობინე დუმილი? - იკითხა ქალმა.

- თქვენ აღიარეთ, რომ სერ ჩარლზი საღამოს ათი საათისათვის ჭიშკართან დაიბარეთ. როგორც ვიცი, ის მოკვდა სწორედ იმ დროს და იმავე ადგილას. თქვენ დაფარეთ კავშირი, რაც ამ ორ ფაქტს შორის არსებობს.

- მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს.

- ასეთ შემთხვევაში ეს ორი ფაქტი ერთმანეთს ჭეშმარიტად განსაცვიფრებლად დაემთხვა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბოლოს და ბოლოს ამ კავშირს დავადგენთ. მე თქვენ წინაშე სრულიად გულახდილი ვიქნები, მისის ლაიონს... ლაპარაკია მკვლელობაზე, ხოლო საბუთები კი ამ საქმეში ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება ძიებაში მოხდეს არა მარტო თქვენი მეგობარი სტეპლტონი, არამედ მისი ცოლიც.

მისის ლაიონსი სავარძლიდან წამოიჭრა.

- ცოლი!

- ეს უკვე აღარავისთვის აღარ არის საიდუმლო. ქალი, რომელზეც სტეპლტონი გაიძახოდა, ჩემი და არისო, სინამდვილეში მისი ცოლია.

მისის ლაიონსი ისე ჩაჯდა სავარძელში და ისეთი ძალით ჩასჭიდა ხელები მის სახელურებს, რომ ფრჩხილები გადაუთეთრდა.

- მისი ცოლი! მისი ცოლი... მაგრამ ის ხომ უცოლოა!

შერლოკ ჰოლმსმა მხრები აიჩეჩა.

- დამიმტკიცეთ! დამიმტკიცეთ! თუ შეძლებთ... - ქალის თვალთა მძვინვარე ელვარება ყოველგვარ სიტყვაზე უკეთ მეტყველებდა.

- დამტკიცება არ გაჭირდება, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა და ჯიბიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო. - აი, ამ ცოლ-ქმრის ფოტოსურათები, იორკში გადაღებული ამ ოთხიოდე წლის წინათ, უკანა მხარეს წარწერაა: «მ-რ და მ-ს ვანდელერები». მაგრამ თქვენ, რა თქმა უნდა, ამოიცნობთ სტეპლტონს და იმ ქალსაც, თუ ოდესმე შეხვედრიხართ. შემდეგ იხილეთ ეს სამი დოკუმენტი, რომლებიც ხელმოწერილია იმ ადამიანების მიერ, ვინც ღირსნი არიან ყოველგვარი ნდობისა. ეს გახლავთ აღწერა მისტერ და მისის ვანდელერებისა, რომელთაც ოდესღაც კერძო სკოლა «სენტ-ოლივეტი» ჰქონდათ. წაიკითხეთ და თქვენ უეჭველად მიხვდებით, რომ ეს ნამდვილად თქვენთვის ნაცნობი ადამიანები არიან.

მისის ლაიონსმა სწრაფად გადაავლო თვალი ქაღალდებს და მზერა ჩვენზე გადმოიტანა. სასოწარკვეთილებამ მისი სახე უძრავ ნიღბად აქცია.

- მისტერ ჰოლმს, - წამოიწყო მისის ლაიონსმა, - ამ არამზადამ სიტყვა მომცა, ცოლად შეგირთავ, თუ ქმარს გაეყრებიო. მაშასადამე, არ შეიძლება ვენდო მის არც ერთ სიტყვას? მაშასადამე, ყოველთვის მატყუებდა? რისთვის? რისთვის? მე მეგონა, ჩემთვის იდაგებოდა, ნამდვილად კი, მხოლოდ იარაღი ვყოფილვარ მის ხელში. რისთვის შევუნახო საიდუმლო იმას, ვინც ასე ტყუის? რისთვის უნდა დავაფარო ხელი? დე, პასუხი აგოს თავისი ბოროტმოქმედებისათვის! მკითხეთ, რაც გნებავთ, აღარაფერს დავფარავ. ისე კი ფიცით შემიძლია დავადასტურო, რომ ჩემს წერილს თუ ჩემი საუკეთესო მეგობრის სერ ჩარლზის დაღუპვა შეეძლო, ვერ წარმომედგინა.

- ყოველი თქვენი სიტყვა მჯერა, ქალბატონო, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა. - ალბათ ძალიან გიმძიმთ ამაზე ლაპარაკი. მოდით, ასე გავაკეთოთ. მე თვითონ ვილაპარაკებ, და თუ რაიმე არსებითი შემეშალოს, შემისწორეთ. წერილი მისტერ სტეპლტონის კარნახით დაიწერა, არა?

- სწორედ ასე გახლავთ.

- ალბათ გეუბნებოდათ, სერ ჩარლზი თვითონ გაიღებს ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებული იქნება განქორწინებასთანო?

- დიახ.

- შემდეგ როცა წერილი გაიგზავნა, დაგარწმუნათ, რომ პაემანზე არ უნდა წასულიყავით?

- მითხრა, საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობა სრულიად დამეკარგება, თუ პროცესისათვის საჭირო თანხას სხვა ვინმე გადაიხდისო. იფიცებოდა, მთელი ჩემი სიღარიბის მიუხედავად, უკანასკნელ პენის გადავიხდი, ოღონდ მოვსპო ის დაბრკოლება, რაც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებსო.

- საქციელში ეტყობა, ძალიან თანმიმდევრული ადამიანია! ამრიგად, სხვა ამბებისა თქვენ არა გეცოდინებათ რა და სერ ჩარლზის სიკვდილი მხოლოდ გაზეთებიდან შეიტყვეთ?

- დიახ.

- და სტეპლტონმა პირობა ჩამოგართვათ, რომ სიტყვას არავისთან დასძრავდით პაემანზე?

- დიახ. მითხრა, სერ ჩარლზის სიკვდილი უაღრესად გაურკვეველ გარემოებაში მოხდა, და თუ წერილის არსებობას გაიგებენ, შენზე შეიძლება იეჭვიანონო. შემაშინა და მეც დუმილი ვარჩიე.

- მესმის. მაგრამ მცირე ეჭვი ხომ მაინც გქონდათ?

მისის ლაიონსმა თვალები დახარა, ეტყობოდა, პასუხის გაცემა უჭირდა.

- მე კარგად ვიცნობდი ამ ადამიანს, - თქვა ბოლოს. - მაგრამ რომ არ მოვეტყუებინე, არ გავცემდი.

- საერთოდ, კარგად გადარჩით. - თქვა შერლოკ ჰოლმსმა. - სტეპლტონი თქვენს ხელთ იყო, თვითონაც მშვენივრად იცოდა ეს და მაინც ცოცხალი დარჩით. უკანასკნელ თვეებში თქვენ შეიძლება უფსკრულში გადაჩეხილიყავით. ახლა კი, მისის ლაიონს, ნება მომეცით ყოველივე კარგი გისურვოთ. მაგრამ ჩვენ ალბათ კიდევ მოგვიხდება შეხვედრა.

- ამრიგად, საქმეს ნელ-ნელა ეფინება შუქი, - თქვა ჰოლმსმა, როცა ლონდონის ექსპრესის შესახვედრად ისევ გამოვედით სადგურის პლატფორმაზე. - მალე შევძლებ სრული თანმიმდევრობით აღვადგინო ბოროტმოქმედების მთლიანი სურათი. ვგონებ, ეს იქნება ჩვენი დროის ყველაზე უფრო სენსაციური ბოროტმოქმედება: კრიმინალისტები ალბათ იტყვიან, რომ რაღაც მისი მსგავსი უკვე მომხდარია და, რა თქმა უნდა, გაიხსენებენ 1866 წ. უკრაინაში, გროდნოში მომხდარ მკვლელობას, ანდა ჩრდილო კაროლინაში ანდერსონის მოკვლასთან დაკავშირებულ ფაქტებს, მაგრამ ახლანდელ ჩვენს საქმეში არის სრულიად თავისებური ნიშნები. ჩვენ ჯერაც ვერ წავუყენებთ პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს ამ ვერაგსა და ცბიერ ეშმას. მაგრამ გახსოვდეთ ჩემი სიტყვა, უოტსონ: იმ დროისათვის, როცა დასაძინებლად დაწვებით, ყველაფერი გარკვეული იქნება.

ლონდონის ექსპრესი გრიალით მოადგა სადგურის პლატფორმას, და პირველი კლასის ვაგონიდან ბაქანზე გადმოხტა ბულდოგის მსგავსი, პატარა ჯმუხი კაცი, რომელსაც დიდის ამბით მივესალმეთ. იმ მოკრძალებამ, რითაც ლესტრეიდი ჩემს მეგობარს ექცეოდა, ჩემთვის ნათელი გახადა, რომ ეს პროფესიონალი მაძებარი ბევრ რამეს მიმხვდარიყო იმ დროიდან, რაც ჰოლმსთან ერთად მუშაობა დაიწყო. საუცხოოდ მახსოვდა, ოდესღაც როგორ აგდებულად უცქეროდა ლესტრეიდი ჩვენი თეორეტიკოსის დედუქციურ მეთოდს, ლოგიკურ დასკვნებს და მსჯელობებს.

- აბა, რას იტვით, დიდი საქმეა? - იკითხა ლესტრეიდმა.

- ასეთი რამ კარგა ხანია არ მომხდარა, - თქვა ჰოლმსმა.-ორი საათი თავისუფალი დრო გვაქვს. მოდით, ვისადილოთ, შემდეგ კი, ლესტრეიდ, ჩვენ გაგიმასპინძლდებით დარტმურის უწმინდესი ჰაერით და დაგეხმარებით, რომ ლონდონის ნისლისაგან ყელი გაისუფთავოთ. აქ არასოდეს არ ყოფილხართ? მაშინ დიდხანს დაგამახსოვრდებათ თქვენი პირველი გაცნობა ამ ადგილებთან.

თ ა ვ ი X|V
ბ ა ს კ ე რ ვ ი ლ ე ბ ი ს ძ ა ღ ლ ი

შერლოკ ჰოლმსის ერთ-ერთი ნაკლი - თუ შეიძლება ამას ნაკლი ეწოდოს - ის იყო, რომ იგი არასოდეს არავის არ უზიარებდა თავის გეგმებს მანამ, ვიდრე მათი აღსრულების ჟამი არ დაჰკრავდა. ასეთი გულჩახვეულობა აიხსნებოდა, ნაწილობრივ, ამ კაცის ძლიერი ბუნებით, ბრძანებლობის სიყვარულითა და სურვილით განეცვიფრებინა ადამიანები, ნაწილობრივ კი პროფესიონალური სიფრთხილით. ასე იყო თუ ისე, შერლოკ ჰოლმსის ხასიათის ეს თვისება ბევრ უსიამოვნებას აყენებდა მათ, ვინც მასთან მუშაობდნენ, როგორც აგენტები და თანაშემწეები. მე თვითონაც ხშირად ვუწვალებივარ, მაგრამ ის, რაც იმ ბნელში მოგზაურობის დროს გადამხდა, ყველა ჩემს წინანდელ ტანჯვას აღემატებოდა. მძიმე გამოცდა გველოდა, მზად ვიყავით გადამწყვეტი იერიშისა და უკანასკნელი დარტყმისათვის, ჰოლმსი კი ჯიუტად დუმდა, და მე მხოლოდ ვარაუდით შემეძლო მის გეგმებს ჩავწვდომოდი. ჩემმა ნერვულმა დაძაბულობამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია, როცა უეცრად სახეში ცივი ქარი გვეცა. ბნელში მიმოვიხედე და გზის ორსავე მხარეს გადაჭიმული უდაბური სივრცე რომ შევიგრძენი, მაშინ მივხვდი, ისევ ჭაობებში ვიყავით. ცხენების ყოველი ნაბიჯი, ბორბლების ყოველი გადატრიალება ამ მოვლენათა კვანძის გახსნასთან გვაახლოებდა.

კუმბ-ტრესიში დაქირავებული მეეტლის თანდასწრებით არ შეიძლებოდა ლაპარაკი და ამიტომ მთელი ჩვენი მღელვარების მიუხედავად, მხოლოდ რაღაც წვრილმანებზე ვსაუბრობდით. თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე, როცა გზის იქით გამოჩნდა ფრენკლენდის კოტეჯი, საიდანაც სულ რაღაც ორი-სამი მილი რჩებოდა ბასკერვილ-ჰოლსა და იმ ადგილამდე, სადაც ტრაგედიის უკანასკნელი, შემაჯამებელი სცენა უნდა გათამაშებულიყო. მთავარ შესასვლელთან არ გავჩერებულვართ, ისე გავედით ურთხელის ხეივნის პატარა ჭიშკართან, მეეტლეს ანგარიში გავუსწორეთ. კუმბ-ტრესიში დავაბრუნეთ, ჩვენ კი მერიპიტ-ჰაუსის მიმართულებით წავედით.

- იარაღი თან გაქვთ, ლესტრეიდ?

ტანმორჩილმა მაძებარმა გაიღიმა:

- რაკი შარვალი მაცვია, მაშასადამე, უკანა ჯიბეც ექნება, ის კი ცარიელი არ იქნება.

- ძალიან კარგი! მე და უოტსონიც მზადა ვართ ყველა მოულოდნელობისათვის.

- როგორც ვხედავ, ძალიან სერიოზული ამბავი უნდა იყოს. მისტერ ჰოლმს? მინდა ვიცოდე, ჩვენ ორს რაღა მოგვეთხოვება ამ თამაშში?

- მოგეთხოვებათ მოთმინება. უნდა ვიცადოთ.

- მართალი გითხრათ, არც ისე მხიარული ადგილია! - მხრები აიჩეჩა მაძებარმა და ბორცვების პირქუშ ფერდობებსა და გრიმპენის ჭანჭრობზე გაწოლილ ნისლს თვალი გააყოლა. - აგერ, სადღაც ცეცხლი ანთია.

- ეს მერიპიტ-ჰაუსია - ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელი მიზანი. ახლა გთხოვთ, რაც შეიძლება ფრთხილად იაროთ და ჩურჩულით ილაპარაკოთ, - გვირჩია ჰოლმსმა.

ქურდულად მივაბიჯებდით იმ ბილიკზე, რომელიც სახლისაკენ მიდიოდა, მაგრამ მისგან ორასი იარდის მანძილზე ჰოლმსი შეჩერდა.

- უფრო იქით წასვლა აღარ არის საჭირო, - თქვა ჰოლმსმა. - აი, ეს კაჭრები მშვენივრად გაგვიწევენ საფრის მაგივრობას.

- აქ დავიცდით?

- დიახ, ჩავსაფრდებით. აი, აქ დადექით, ლესტრეიდ. უოტსონ, თქვენ ხომ ნამყოფი ხართ მაგ სახლში? ოთახების განლაგება იცით? აი, ეს ხლართიანი ფანჯარა რომ ჩანს - რა არის?

- მგონი, სამზარეულო.

- მომდევნო, კარგად განათებული?

- ეს სასადილოა.

- ფარდები აწეულია. ჩემზე კარგად იცით, როგორ შეიძლება იქ მისვლა. შეიხედეთ ფანჯარაში და ნახეთ რას აკეთებენ. ოღონდ, ღვთის გულისათვის, წყნარად! არაფერი გაიგონონ.

ფეხის წვერებზე მივედი იმ ქვის ყორესთან, რომელიც სტეპლტონის მწირ ბაღს ერტყა გარს და მის ჩრდილს გავყევი იმ ადგილამდე, საიდანაც ფარდაგადაწეულ ფანჯარაში შეიძლებოდა შეხედვა.

ოთახში ორნი იყვნენ - სერ ჰენრი და სტეპლტონი. სახე ორთავეს ჩემკენ ჰქონდა მოქცეული, ერთიმეორის გვერდით ისხდნენ მრგვალ მაგიდასთან, რომელზეც ყავა და ღვინო იდგა, და სიგარებს ეწეოდნენ. სტეპლტონი გაცხოველებით ლაპარაკობდა რაღაცაზე, მაგრამ ბარონეტი ფერწასული იჯდა და უყურადღებოდ უსმენდა. ეტყობოდა, მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ მალე უკან უნდა დაბრუნებულიყო და საბედისწერო ჭაობებზე გაევლო.

უეცრად სტეპლტონი წამოდგა და ოთახიდან გავიდა, სერ ჰენრიმ კი ჭიქაში ღვინო დაასხა, სავარძელში გადაწვა და სიგარა მოქაჩა. მე გარკვევით გავიგონე კარის ჭრიალი, შემდეგ კი ბილიკზე დაყრილი ხრეშის ხმაური. ნაბიჯის ხმა მიახლოვდებოდა. კედლის იქიდან დავინახე, რომ ნატურალისტი ბაღის კუთხეში პატარა ფარდულთან შეჩერდა. კლიტეში გასაღები აჩხაკუნდა და ფარდულიდან რაღაც ფუსფუსის ხმა მომესმა. სტეპლტონმა იქ სულ ორი წუთი დაჰყო, ისევ გადაატრიალა გასაღები, გვერდით ჩამიარა და სახლში შევიდა. ვნახე, რომ თავის სტუმართან დაბრუნდა, ფრთხილად გამოვბრუნდი ამხანაგებისაკენ და ყველაფერი ვუამბე.

- მაშ, ქალი მათთან არ არის? - იკითხა ჰოლმსმა, როცა თხრობა დავასრულე.

- არა.

- მაშ, სად უნდა იყოს? სამზარეულოსა და სასადილოს გარდა ხომ ყველა ფანჯარა ჩაბნელებულია?

- სწორედ არ ვიცი.

მე უკვე ვთქვი, რომ იმ საღამოს გრიმპენის ჭანჭრობზე თეთრი ნისლი იყო ჩამოწოლილი, ნელა მოიწევდა ჩვენს მხარეს, და დაბალ, მაგრამ სქელ ტალღად გვერტყმოდა ირგვლივ. მაღლიდან დაღვრილი მთვარის შუქი ამ ნისლს აქცევდა მოციმციმე ყინულის ველად, რომელზედაც შავი პიკებივით აღმართულიყვნენ შორეული გრანიტის სვეტების კენწეროები. ჰოლმსი იმ მხარეს შებრუნდა, საიდანაც ნისლის კედელი გვიახლოვდებოდა და მოუთმენლად აბუტბუტდა:

- შეხედეთ, უოტსონ, ნისლი პირდაპირ ჩვენკენ მოდის.

- ეს ცუდია?

- უარესი რა უნდა იყოს! ნისლი ერთადერთი რამ არის, რასაც შეუძლია ჩემი გეგმა ჩაშალოს. მაგრამ სერ ჰენრი იქ არ დააყოვნებს. უკვე ათი საათია. ახლა ყველაფერი - ჩვენი წარმატებაც და მისი სიცოცხლეც კი - იმაზეა დამოკიდებული, გამოვა თუ არა სახლიდან, ვიდრე ნისლი ბილიკამდე მოაღწევდეს.

ცა ისე იყო მოკრიალებული, რომ ღრუბლის ნასახიც არ ჩანდა. ვარსკვლავები ცივად ციმციმებდნენ მაღალ ტატნობზე. მთვარე ჭაობებს სუსტ, მქრქალ სხივებს

აფრქვევდა... პირდაპირ ჩვენს წინ ბუნდოვნად ჩანდა წვეტიანი სახურავის კონტურები, რომელზეც საკვამლე მილები ყალყზე შემდგარი ფაფარივით ამოჩრილიყვნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე. ქვედა სართულის ფანჯრებიდან ბაღს და ჭაობს ფართო ოქროსფერი ზოლები ეცემოდა. სამზარეულოდან მსახურები გამოვიდნენ. ახლა ლამპა მხოლოდ სასადილოში ენთო, სადაც ორნი - მკვლელობის განზრახვით შეპყრობილი მასპინძელი და სტუმარი, რომელსაც არაფრის ეჭვი არა ჰქონდა - სიგარებს ეწეოდნენ და საუბრობდნენ.

თეთრი საფარველი, რამაც თითქმის მთელი ჭაობი დაფარა, სახლს ყოველ წამს უახლოვდებოდა. პირველი გამჭვირვალე ქულები უკვე ოქროსფრად განათებულ ფანჯარასთან დაფარფატებდნენ. ბაღის შორეული კედელი სრულიად ჩანთქმულიყო ბოლქვებად დაშვებულ ბურუსში, რომლის თავზედაც მხოლოდ ხეთა კენწეროები მოჩანდა, აი, მოთეთრო რგოლები გამოჩნდა სახლის ორსავ მხარეს და ნელ-ნელა მჭიდრო რკალად შეერთდა. ზედა სართული სახურავიანად ამოცურდა ამ რკალის ზედაპირზე, როგორც ჯადოსნური ხომალდი მოლანდებული ზღვის ტალღებზე. ჰოლმსმა გაშმაგებით დაჰკრა მუშტი ქვაზე, რომლის უკანაც ვიდექით, და მოთმინებადაკარგულმა ფეხი დააბაკუნა.

- თუ თხუთმეტ წუთში არ გამოჩნდა, ბილიკი ნისლით დაიფარება, ნახევარი საათის შემდეგ ამ სიბნელეში საკუთარ ხელებსაც ვეღარ დავინახავთ.

- ცოტა უკან დავიწიოთ, და იქ მაღლობზე დავდგეთ.

- მართლა, ასე აჯობებს.

რაც უფრო გვიახლოვდებოდა ნისლი, ჩვენც უკან-უკან ვიხევდით, ვიდრე სახლიდან ნახევარ მილზე არ აღმოვჩნდით. ერთიანი მღვრიე თეთრი ზღვა, რასაც ზემოდან მთვარის ნათელი ეფრქვეოდა, დაჟინებით გვიტევდა.

- მეტისმეტად შორს წავედით, - თქვა ჰოლმსმა. - ეს უკვე საშიშია: შეიძლება, ვიდრე აქამდე მოაღწევს, დაეწიონ, რაც იქნება, იქნება, აქ შევჩერდეთ.

მუხლებზე დაეშვა და ყური მიწას დაადო.

- მადლობა ღმერთს, მგონი მოდის!

ჭაობის დუმილში სწრაფი ნაბიჯის ხმა გაისმა. ლოდებთან დახრილნი შევცქეროდით უფერულ-ვერცხლისფერ კედელს, რომელიც ჩვენკენ დინჯად მოიწევდა... ნაბიჯის ხმა ახლოვდებოდა, და აი, ნისლიდან, თითქოს ფარდა გადასწიაო, ისე გამოჩნდა ის, ვისაც ველოდით. მოწმენდილი ვარსკვლავიანი ცა რომ დაინახა, გაოცებულმა მიმოიხედა. შემდეგ სწრაფად განაგრძო გზა, ჩაგვიარა და ფერდობს შეუყვა, იქვე კაჭრებთან რომ იწყებოდა. გზადაგზა გამუდმებით უკან იხედებოდა, ეტყობოდა, ზურგიდან თავდასხმისა ეშინოდა.

- ჩუ! - წაიჩურჩულა ჰოლმსმა და ჩახმახი შეაყენა. - შეხედეთ! ძაღლი!

მოახლოებული ნისლის შიგ შუაგულში ზომიერი, აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა. თეთრი კედელი ჩვენგან უკვე ორმოცდაათ იარდზე იქნებოდა, და ჩვენ სამთავემ იქით მივაპყარით მზერა, ის კი არ ვიცოდით, რა ურჩხული გამოჩნდებოდა იქიდან. ჰოლმსის გვერდით ვიდექი და უეცრად შევხედე - ფერმკრთალი და აღელვებული ჩანდა, მთვარის შუქზე თვალები ცეცხლივით უელავდა. მაგრამ აი, ჩემი მეგობრის სახე მოულოდნელად გარდაიქმნა... მზერა უფრო მკაცრი და დაკვირვებული გაუხდა, გაოცებისაგან პირი გააღო. იმავე წამს ლესტრეიდმა შეჰყვირა და ელდანაკრავი პირდაღმა დაეცა. მე წელში გავიმართე და სანახაობით თითქმის გაქვავებულმა, აკანკალებული ხელი რევოლვერისაკენ წავიღე. დიახ! ეს იყო უზარმაზარი, კუპრივით შავი ნაგაზი. მაგრამ ასეთი ძაღლი ჩვენ, მოკვდავთ, არასოდეს არ გვინახავს. დაღებული ხახიდან ცეცხლს აფრქვევდა, თვალებიდან

ნაპერწკლები სცვიოდა, დრუნჩსა და ფაფარზე მოციმციმე ცეცხლი უელავდა. ვერა სულდგმულის ვერავითარი ცეცხლოვანი ფანტაზია ვერ წარმოიდგენდა უფრო საზარელ, უფრო ზარდამცემ სანახაობას, ვიდრე ეს ჯოჯოხეთის ქმნილება იყო, რომელიც ნისლიდან გამოვარდა და ჩვენკენ გამოეშურა.

ურჩხული ბილიკზე უზარმაზარი ნახტომებით მოჰქროდა და თან ჩვენი მეგობრის კვალს ყნოსავდა. გონს მხოლოდ მაშინ მოვედით, როცა უკვე გვერდით ჩაგვიქროლა. მაშინ მე და ჰოლმსმა ერთდროულად გავისროლეთ და გულგამგმირავმა ღმუილმა, რაც ამას მოჰყვა, დაგვარწმუნა, რომ ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთის ტყვია მიზანს მოხვდა. მაგრამ ძაღლი არ შეჩერებულა და წინ სრბოლას განაგრძობდა. ჩვენ მთვარის შუქზე დავინახეთ, როგორ მობრუნდა სერ ჰენრი, როგორ გადაჰკრა მკვდრის ფერმა, ელდანაკრავმა როგორ ასწია ხელები და ასე უმწეო მდგომარეობაში გაქვავდა, თანაც თვალს არ აშორებდა ურჩხულს, რომელიც უკვე ეწეოდა.

მაგრამ ტკივილისაგან აღმუვლებულმა ძაღლმა ჩვენი შიში თანდათან გაფანტა. რაც მოწყვლადია, მოკვდავიც არის! და თუ დაჭრილია, მაშ მისი მოკვლაც შეიძლება. ღმერთო! როგორ გარბოდა იმ ღამეს ჰოლმსი! ყოველთვის კარგ მორბენლად ვითვლებოდი, მაგრამ გამისწრო ისეთი მანძილით, რამდენითაც მე გავუსწარი პატარა მაძებარ ლესტრეიდს. სირბილით მივყვებოდით ბილიკს და გვესმოდა სერ ჰენრის განუწყვეტელი ყვირილი და ძაღლის ყრუ ღმუილი. სწორედ იმ წამს მივუსწარი, როცა მხეცი თავის მსხვერპლს მივარდა, მიწაზე დასცა და ყელში ჩაფრენას ცდილობდა. მაგრამ ჰოლმსმა ზედიზედ ხუთი ტყვია დაახალა გვერდში. ძაღლმა უკანაკნელად დაიღმუვლა, გაშმაგებით დააღრჭიალა კბილები, ზურგზე დაეცა, ოთხივე ფეხი უმწეოდ გაასავსავა და მოკვდა. სირბილისაგან აქოშინებული, საზარელ მანათობელ დრუნჩს რევოლვერის ლულით შევეხე, მაგრამ აღარ გამისროლია - ბუმბერაზი ძაღლი მკვდარი იყო.

სერ ჰენრი უგრძნობლად იწვა იქვე, სადაც ძაღლი წამოეწია. საყელო მოვგლიჯეთ და ჰოლმსმა ბედს მადლობა შესწირა, დარწმუნებულმა, რომ დაჭრილი არაა და დახმარებამ დროზე მიუსწრო. შემდეგ სერ ჰენრიმ წარბები შეარხია და თვითონაც სუსტად შეირხა. ლესტრეიდმა კბილებს შორის პატარა ბოთლიდან კონიაკი ჩააწვეთა, ერთი წამის შემდეგ წყვილი შეშინებული თვალი მოგვაჩერდა.

- ღმერთო ჩემო! - წაიჩურჩულა ბარონეტმა. - რა იყო ეს? სადაა?

- უკვე აღარ არის, - თქვა ჰოლმსმა. - მოჩვენებასთან, რომელიც სდევნიდა მთელ თქვენს გვარს, ერთხელ და სამუდამოდ გასწორებულია ანგარიში.

საზარელი მხეცი, რომელიც ჩვენს წინ ეგდო, ჭეშმარიტად თავისი ზომითა და ძალით ყოველ ცოცხალ არსებას შეაშინებდა. ეს არც წმინდა სისხლის მეძებარი იყო და არც წმინდა სისხლის მასტიფი, არამედ, ეტყობა, ნარევი - გამხდარი, საშინელი ძაღლი, ახალგაზრდა ძუ ლომის სიდიდისა. მისი უზარმაზაირ ხახა ჯერ კიდევ ანათებდა მოცისფრო ალით. ღრმად ჩამჯდარი ველური თვალების გარშემო ცეცხლოვანი რგოლები ევლებოდა. ხელი შევახე ამ მანათობელ თავს, და როცა მოვაცილე, შევნიშნე, რომ ჩემი ხელიც ანათებდა.

- ფოსფორი, - ვთქვი მე.

- დიახ, და რაღაც განსაკუთრებული პრეპარატია, - დაადასტურა ჰოლმსმა, ცხვირი ახლოს მიიტანა და დაყნოსა. - სუნი არა აქვს, რომ ძაღლს გეში არ დაეკარგა. მაპატიეთ, სერ ჰენრი, რომ ასეთი სასტიკი გამოცდა მოგიწყვეთ. მე ძაღლის სანახავად მომზადებული ვიყავი, მაგრამ არაფრით არ მეგონა, რომ ასეთ ურჩხულს ვიხილავდი. ამასთან, ნისლმაც შეგვიშალა, და ჯეროვანი შეხვედრა ვერ მოვუწყვეთ.

- თქვენ იხსენით ჩემი სიცოცხლე.

- ჯერ კი საფრთხეში ჩავაგდეთ, აბა, როგორა ხართ, შეგიძლიათ ადგომა?

- ერთი ყლუპი კონიაკიც შემასვით, და მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. ასე! ახლა თქვენი დახმარებით ავდგები. ამის შემდეგ რაღას აპირებთ?

- ჯერ აქ დაგტოვებთ, - დღეისათვის გეყოფათ ის, რაც განიცადეთ! - შემდეგ კი რომელიმე ჩვენგანი სახლში მიგაცილებთ.

ბარონეტმა სცადა ადგომა, მაგრამ ვერ შეძლო. თეთრი ტილოს ფერი ედო და მთელი ტანით ცახცახებდა, კაჭართან მივიყვანეთ, იქ დაჯდა და სახე ხელებში ჩარგო.

- ახლა კი წასვლა მოგვიხდება, - თქვა ჰოლმსმა. - უნდა დავასრულოთ დაწყებული საქმე. ყოველი წუთი ძვირფასია. დანაშაულის შედგენილობა ხელთა გვაქვს, რჩება მხოლოდ დამნაშავის შეპყრობა.

სანაძლეოს ვდებ, სახლში აღარ იქნება, - განაგრძობდა ჰოლმსი, რომელიც სწრაფად მიაბიჯებდა ჩვენთან ერთად ბილიკზე. - რევოლვერის ხმას გაიგონებდა, იმწამსვე მიხვდებოდა, რომ თამაში წააგო და სახლიდან გაიპარებოდა.

- რას ამბობთ! სახლიდან კარგა მანძილით დაშორებულნი ვიყავით, როცა ვისროლეთ, თანაც ნისლი აყრუებს ხმას.

- ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ძაღლის კვალზე სტეპლტონიც გამოიქცეოდა - გვამისათვის ხომ უნდა მოეცილებინა! არა! შინ უკვე ვეღარ მივაგნებთ. მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის, ყველა კუთხე უნდა გადავჩხრიკოთ.

შესასვლელი კარი ყურთამდე ღია დაგვხვდა, და როცა სახლში შევედით, მიხრწნილი მსახურის გასაოცრად, რომელიც დერეფანში შემოგვხვდა, ოთახების თვალიერებას მოვყევით. შუქი მხოლოდ სასადილოში ენთო, მაგრამ ჰოლმსმა იქიდან ლამპა აიღო და ასე ლამპით ხელში დაიარა სახლის ყველა კუნჭული. ადამიანი, რომელსაც ვეძებდით, უკვალოდ გამქრალიყო. მაგრამ ზედა სართულზე ერთ-ერთი საწოლი ოთახის კარი მაინც დაკეტილი აღმოჩნდა.

- ოთახში ვიღაცაა! - შესძახა ლესტრეიდმა.

გაისმა სუსტი კვნესა და შრიალი. ჰოლმსმა ფეხი ჰკრა კლიტის ოდნავ ზემოთ, და კარი მთლიანად გაიღო. რევოლვერებმომარჯვებულნი შიგ შევიჭერით.

მაგრამ თავხედი არამზადა, რომელზედაც ვნადიროობდით, არც აქ აღმოჩნდა. მის ნაცვლად იმდენი უცნაური და მოულოდნელი სურათი ვიხილეთ, რომ ადგილზე გავშეშდით.

ეს ოთახი პატარა მუზეუმს წარმოადგენდა. კედლებს მინის ყუთების რიგები ფარავდა. ყუთებში ინახებოდა პეპლების კოლექცია - ამ რთული და ბოროტმოქმედი ადამიანის საყვარელი პირმშო. შუაში აღმართული იყო მსხვილი ბიჯგი, რომელიც ჭერის დამპალ ძელებს ამაგრებდა. ამ ბიჯგზე ზეწრებით მიკრული იყო ადამიანი. ზეწრები თავიდან ფეხებამდე ისე ჰქონდა შემოხვეული, რომ პირველად ვერც კი გაარჩევდით, ვინ იყო ეს - ქალი თუ კაცი. ერთი ზეწარი ყელზე ჰქონდა შემოხვეული, მეორე სახის ქვედა ნაწილს უფარავდა, ისე რომ ღიად ჰქონდა მხოლოდ თვალები, რომლებიც მუნჯურად რაღაცას გვეკითხებოდნენ. სირცხვილი და ელდა ჩამდგარიყო ამ თვალებში. სახვევები იმწამსვე მოვხსენით, პირიდან, ჩვარი გამოვუღეთ, და ჩვენს ფეხებთან მისის სტეპლტონი დაეცა. თავი მკერდზე ჩამოუვარდა და მის კისერზე წკეპლის წითელი ნაკვალევი დავინახე.

- არამზადა! - შეჰყვირა ჰოლმსმა. - ლესტრეიდ, მისის სტეპლტონი სკამზე დასვით, სადა გაქვთ კონიაკი? ასეთი წამება გულს ვისაც გნებავთ, იმას შეუღონებს.

მისის სტეპლტონმა თვალები გაახილა.

- გადარჩა? - იკითხა. - გაიქცა?

- ჩვენ ის ვერსაით გაგვექცევა, ქალბატონო.

- არა, არა, ქმარზე კი არ გეკითხებით. სერ ჰენრი... გადარჩა?

- დიახ.

- ძაღლი?

- მოკლულია.

ქალმა ღრმად და შვებით ამოისუნთქა.

- მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! არამზადა! ნახეთ, რა მიყო! - ორთავე სახელო დაიკაპიწა, და ჩვენ დავინახეთ, რომ ხელები მთლად დალურჯებული ჰქონდა. - მაგრამ ეს კიდევ არაფერი... ეს არაფერი! გამაწამა, ჩემი სული იმ არამზადამ შებილწა. ვიდრე ჩემს გულში იმედი ბჟუტავდა და ვფიქრობდი, ვუყვარვარ-მეთქი, კიდევ ყველაფერს ვიტანდი, ყველაფერს - უდიერ მოპყრობასაც, მარტოობასაც, სიცრუით აღსავსე ცხოვრებასაც... მაგრამ თურმე მატყუებდა. მე იარაღი ვიყავი მის ხელში. - ქალმა ვეღარ მოითმინა და აქვითინდა.

- დიახ, ქალბატონო, ჩვენ აღარავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ სიკეთე ვუსურვოთ, - თქვა ჰოლმსმა. - მაშ, გაგვანდეთ, სად უნდა ვეძიოთ. თუ თქვენ მისი თანამზრახველი იყავით, ისარგებლეთ შემთხვევით, შეამსუბუქეთ თქვენი დანაშაული და დაგვეხმარეთ.

- მას მხოლოდ ერთ ადგილას შეუძლია დამალვა, სხვაგან თავს ვერსად შეაფარებს, - გვიპასუხა ქალმა. - ჭანჭრობის შიგ შუაგულში არის ერთი პატარა კუნძული, სადაც ოდესღაც საბადო ყოფილა. იქ ჰყავდა დამალული თავისი ძაღლი, იქვე ჰქონდა მომზადებული ყველაფერი იმ შემთხვევისათვის, თუ გაქცევა მოუხდებოდა.

ჰოლმსმა ფანჯარას ლამპა მიანათა. ნისლი თეთრ ბამბასავით ეკვროდა მინას.

- შეხედეთ, - თქვა. - ამაღამ ვერავინ გავა გრიმპენის ჭანჭრობში.

მისის სტეპლტონმა გაიცინა, ხელი ხელს შემოჰკრა, და მის თვალებში ავმა ნაპერწკალმა იელვა.

- იქით კი იპოვის გზას, მაგრამ აქეთ ვეღარ გამოვა! - შესძახა მან. განა ასეთ ღამეში ვინმე გაარჩევს სანიშნეებს? ჩვენ ერთად ჩავსვით ისინი მიწაში, რათა ჭანჭრობის ბილიკი დაგვენიშნა. ახ! რატომ ვერ მოვისაზრე დღეს მათი ამოძრობა! მაშინ თქვენს ხელთ იქნებოდა!

ასეთ ამინდში დევნაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მერიპიტ-ჰაუსის სრულუფლებიან მბრძანებლად დავტოვეთ ლესტრეიდი, ჩვენ კი სერ ჰენრისთან ერთად ბასკერვილ-ჰოლში დავბრუნდით. სტეპლტონების ისტორიის დაფარვას მისგან აზრი აღარ ჰქონდა. როცა საყვარელ ქალზე მთელი სიმართლე შეიტყო, სერ ჰენრიმ ვაჟკაცურად გადაიტანა ყოველივე.

მაგრამ ბარონეტისათვის ღამის მღელვარებამ უკვალოდ ვერ ჩაიარა. დილით იგი უგრძნობლად იწვა ხურვებისაგან და თავს ექიმი მორტიმერი ადგა. შემდგომში მათ ერთად იმოგზაურეს ქვეყნის გარშემო. და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა სერ ჰენრის ის მხიარულება და სიჯანსაღე, რომლითაც გამოირჩეოდა, ვიდრე ინგლისში ჩამოვიდოდა და ამ ავბედით მამულს დაეპატრონებოდა.

ახლა კი ჩემი უცნაური მოთხრობა სწრაფად უახლოვდება დასასრულს. როცა ვწერდი, მინდოდა მკითხველსაც გაეზიარებინა მთელი ჩვენი შიში და ბუნდოვანი ვარაუდები, რომლებიც დიდხანს აბნელებდნენ ჩვენს ცხოვრებას და ასეთი ტრაგედიით დასრულდნენ.

დილით ნისლი გაიფანტა და მისის სტეპლტონმა მიგვიყვანა იმ ადგილამდე, სადაც ჭანჭრობში მიმავალი ბილიკი იწყებოდა. ეს ქალი ისეთი ხალისითა და

სიხარულით მიგვიძღოდა ქმრის კვალზე, რომ მხოლოდ მაშინ გახდა ჩვენთვის ნათელი, რა საშინელი ცხოვრება ჰქონია. ჩვენ მას ტორფის ვიზრო ზოლთან დავშორდით, ნახევარკუნძულივით რომ იჭრებოდა ჭანჭრობში. პატარა წკნელები, ხან აქ რომ ერჭო მიწაში და ხან იქ. სანიშნედ მიჰყვებოდნენ დაკლაკნილ ბილიკს, რომელიც გადიოდა კოლბოხიდან კოლბოხამდე, ბელტიდან ბელტამდე, მწვანე გუბეებს შორის. ეს გუბეები გადაუღობავდნენ გზას ყველას, ვინც ამ ადგილებს არ იცნობდა. ჩამპალი ლელისა და შლამით დაფარული წყალმცენარეებისაგან ჭანჭრობში მძიმე ანაორთქლი იდგა. წამდაუწუმ გვიცდებოდა ფეხი, მუხლამდე ვეფლობოდით შავწებოვან ლიაში, რაც ზედაპირზე რბილ ტალღებად ირწეოდა. ბლანტი წუმპე ფეხს ეკვროდა და ისე გვიჭერდა, თითქოს ვიღაცის მარწუხივით ხელი გვეწეოდა ამაზრზენ სიღრმეში. თვალში მოგვხვდა მხოლოდ ერთადერთი საბუთი იმისა, რომ პირველნი არ მოვდივართ ამ სახიფათო გზით. ჭაობის ბალახით დაფარულ ბელტზე რაღაც შავი საგანი ეგდო. ჰოლმსმა იქით გაიწია და წელამდე ჩაეფლო წუმპეში. ჩვენ რომ არა, ძნელად თუ ოდესმე იხილავდა ფეხქვეშ მაგარ მიწას. ხელში გაცვეთილი წაღა ეჭირა. შიგნით ნიშანი ვნახეთ: «მეიერსი. ტორონტო».

- ასეთი ნაპოვნისათვის ღირდა ტალახის აბაზანის მიღება. აი, ჩვენი მეგობრის დაკარგული წაღა!

- აჩქარებაში სტეპლტონის მიერ დაკარგული?

- სწორედ ასეა. ძაღლს აყნოსა, როცა სერ ჰენრის კვალზე უშვებდა. მერე გაიქცა და ფეხსაცმელი ჭაობში დააგდო. ახლა, ყოველ შემთხვევაში, ვიცით, რომ ამ ადგილამდე მშვიდობით მოაღწია.

მაგრამ მეტი ვეღარაფერი გავიგეთ, თუმცა ბევრი რამ შეიძლებოდა გვევარაუდა. ბილიკზე კვალის დანახვა შეუძლებელი იყო - მაშინვე ასწორებდა ლია. იმედი გვქონდა, რომ უფრო მშრალ ადგილზე ვნახავდით, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. თუ მიწა სიმართლეს ამბობდა, სტეპლტონს ვერ უნდა მიეღწია კუნძულამდე, საითაც იმ ჩვენთვის სამახსოვრო ღამეს მიიჩქაროდა. ეს გულცივი, სასტიკი ადამიანი საუკუნოდ ჩაიმარხა გრიმპენის უძირო ჭანჭრობის აყროლებულ წიაღში.

წუმპით გარშემოზღუდულ პატარა კუნძულზე, სადაც თავის საშინელ თანამონაწილეს მალავდა, კიდევ ვნახეთ სტეპლტონისაგან დანატოვები კვალი. უზარმაზარი ოწინარი და სანახევროდ ღორღით ამოვსებული ღრმული მოწმობდა, რომ აქ ოდესღაც მაღარო უნდა ყოფილიყო. იქვე იდგა მადნისმთხრელთა ნახევრად დაქცეული ქოხმახები, საიდანაც ადამიანები, ეტყობა, ჭაობის შხამიანმა ოხშივარმა განდევნა. ერთ ასეთ ქოხში ვიპოვეთ კედელზე მიჭედებული რგოლი, ჯაჭვი და უამრავი გამოხრული ძვლები. ალბათ აქ ჰყავდა სტეპლტონს დამალული თავისი ძაღლი. ნაგავში აღმოვაჩინეთ ძაღლის ჩონჩხი, რომელსაც მოწითალო ბეწვით დაფარული ტყავის ნაგლეჯი შერჩენოდა.

- ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა ჰოლმსმა. - ეს ხომ სპანიელია! საბრალო მორტიმერი ვეღარასოდეს ვერ იხილავს თავის საყვარელ ძაღლს. ახლა კი, ვფიქრობ, ამ კუნძულმა უკვე გაგვიმხილა ყველა თავისი საიდუმლო. ძაღლის დამალვა ადვილი იყო, მაგრამ აბა, სცადეთ მისი გაჩუმება! აქედან მოდიოდა ეს ყმუილიც, რომლის გამგონე ადამიანებს დღისითაც კი ელეთმელეთი მოსდიოდათ. აუცილებელ შემთხვევაში სტეპლტონს შეეძლო ძაღლის გადაყვანა ფარდულში, სახლთან უფრო ახლოს, მაგრამ ასეთი რისკის გაწევა შეიძლებოდა მხოლოდ უკიდურეს კრიტიკულ წუთში იმ ანგარიშით, რომ საქმე მალე მოთავდებოდა. ხოლო ეს პასტა, კოლოფში რომ არის -

სწორედ ის მანათობელი შემადგენლობაა, რასაც თავის ძაღლს უსვამდა. ამ აზრამდე იგი ბასკერვილების საზარელ ძაღლზე არსებულმა ლეგენდამ მიიყვანა და განიზრახა სერ ჩარლზს ამ გზით გასწორებოდა. ახლა გასაკვირი არ არის, რომ ის უბედური კატორღელი ღრიალითა და გოდებით გაიქცა ზარდაცემული, როცა სიბნელიდან ასეთი მხეცი გამოვარდა. ასევე მოიქცა ჩვენი მეგობარი სერ ჰენრი და კარგი დღე არც ჩვენ დაგვადგებოდა, რომ მარჯვე გასროლით არ მოგვეკლა ის ურჩხული. სტეპლტონმა ვერაგულად მოიფიქრა ყველაფერი! ძაღლი დაეხმარა მას თავისი მსხვერპლის მოკვლაში, და მე გარწმუნებთ, უოტსონ, რომ არც ერთი აქაური ფერმერი არ ისურვებდა იმ ურჩხულის ახლოს გაცნობას. ასეთ არსებასთან ერთი შეხვედრაც საკმარისია. ეს ძაღლი ხომ ბევრმა ნახა ჭაობებში! ამაზე ლონდონშიაც მითქვამს, უოტსონ, და აქაც ვიმეორებ: არასოდეს გვქონია საქმე უფრო საშიშ ადამიანთან, ვიდრე სტეპლტონი იყო, რომელიც ახლა მშვიდად განისვენებს იქ, - და ხელით გვიჩვენა რუხ-მწვანე ჭანჭრობი, რომელიც შორს, ტორფის ჭაობების დამრეცი ფერდობებისაკენ იშლებოდა.

თავი XV
წარსულის თვალის გადავლება

ნოემბრის მიწურული იდგა. ერთ ცივ, ნისლიან საღამოს მე და ჰოლმსი მოგუგუნე ბუხართან ვისხედით მის კაბინეტში ბეიკერსტრიტზე. იმ ტრაგედიის შემდეგ, რითაც ჩვენი დევონშირში გამგზავრება დასრულდა, ჩემმა მეგობარმა ორი ძალიან სერიოზული საქმე გამოიკვლია. პირველი საქმით ამხილა პოლკოვნიკი ეპვუდი, რომელიც გარეული იყო «პატრიცის» კლუბში ბანქოს მაგიდის გარშემო ატეხილ აურზაურში. მეორე საქმით კი სავსებით გაამართლა უბედური მადამ მონპენსიე, რომელსაც ბრალად სდებდნენ თავისი გერის, ახალგაზრდა მადმუაზელ კარერის მკვლელობას. ეს კარერი, როგორ ცნობილია, ნახევარი წლის შემდეგ გამოჩნდა ნიუ-იორკში და ბედნიერადაც გათხოვდა. ასეთი რთული და სერიოზული საქმეების წარმატებით გამოკვლევის შემდეგ ჰოლმსი საუცხოო ხასიათზე იყო, მეც ამით ვისარგებლე და ბასკერვილების საიდუმლოებით მოცული ისტორიის ზოგიერთი წვრილმანი ვათქმევინე. მოთმინებით ვუცდიდი ამ ხელსაყრელ დროს. ვიცოდი, რომ ჰოლმსს არ უყვარდა თავში ერთდროულად რამდენიმე საქმის შენახვა და რომ მისი ნათელი, ლოგიკურად მოაზროვნე გონება წარსულის მოსაგონებლად მიმდინარე სამუშაოს არ მოწყდებოდა.

სწორედ იმ დღეებში ლონდონში იმყოფებოდა სერ ჰენრი და დოქტორი მორტიმერი. ისინი შორეული მოგზაურობისათვის ემზადებოდნენ. ექიმებმა ურჩიეს ბარონეტს ემოგზაურა და შერყეული ნერვული სისტემა გაემაგრებინა. დილით გვინახულეს კიდეც, ისე რომ, კარგი შემთხვევა მქონდა სიტყვა საჭირო თემაზე ჩამომეგდო.

- იმ კაცის თვალთახედვით, რომელიც თავს სტეპლტონს უწოდებდა, მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ უკეთესს ვერ ინატრებდი, სრულიად დალაგებულად და თანმიმდევრობით, - დაიწყო ჰოლმსმა. - მაგრამ ჩვენ ყოველივე ეს უაღრესად რთულად გვეჩვენებოდა, რადგანაც ოდნავი წარმოდგენაც არა გვქონდა იმაზე, თუ რით ხელმძღვანელობდა იგი თავის მოქმედებაში და მხოლოდ ცალკეული ფაქტები ვიცოდით. მას შემდეგ ორჯერ მქონდა საუბარი მისის სტეპლტონთან, და

ყველაფერი გაირკვა. ვფიქრობ, ახლა გამოცანები აღარ დარჩენილა. ამ საქმეზე ჩემი შენიშვნები შეგიძლიათ ბარათსაცავში ასო «ბანზე» მოსძებნოთ.

- იქნებ ამბავთა მსვლელობა უბრალოდ მეხსიერებით აღადგინოთ?

- სიამოვნებით, თუმცა არა მგონია ყველა წვრილმანი გავიხსენო, როცა ყურადღებას რაიმე ერთ საგანზე შეაჩერებ, წარსული ამბები გონებიდან ქრებიან. დამცველი, რომელმაც თავისი ხუთი თითივით იცის მორიგი საქმე და მისთვის სასამართლოში თავს შეაკლავს, რომ თავისი გაიტანოს, ორიოდე კვირის შემდეგ სრულიად ივიწყებს მას. მეც ასე ვარ: ყოველი მომდევნო კვლევა შლის გონებიდან წინა საქმეს და მადმუაზელ კარერმა თავისი პიროვნებით დაჩრდილა ჩემს თავში ბასკერვილ-ჰოლი. ხვალ ჩემ წინაშე დადგება ალბათ ახალი საქმე, გამოცანა, რომელიც თავის მხრივ დაჩრდილავს მომხიბლავ ფრანგ ქალს და გაიძვერა ეპვუდს. მაგრამ მე მაინც შევეცდები გადმოგიშალოთ მთელი ეს ისტორია, ხოლო თუ რაიმე დამავიწყდეს, მომაგონეთ.

ახალმა ცნობებმა სავსებით დამარწმუნეს, რომ საგვარეულო პორტრეტი არ ტყუოდა და ეს კაცი ნამდვილად ბასკერვილების გვარიდან იყო. ის როჯერ ბასკერვილის შვილი აღმოჩნდა. სერ ჩარლზის უმცროსი ძმისა, რომელსაც სამხრეთ ამერიკაში გაქცევა მოუხდა. როჯერი იქ დაქორწინებულა და დარჩენია შვილი, რომელიც მამის გვარს ატარებდა. ეს გახლდათ თქვენთვის არცთუ უცნობი სტეპლტონი, რომელიც კოსტარიკელ მზეთუნახავზე დაქორწინებულა, შეურთავს ვინმე ბერის გარსია, გაუფლანგავს სახელმწიფო თანხები, გამოუცვლია გვარი და, ვანდელერად მონათლული, ინგლისში გამოქცეულა. აქ იორკშირის აღმოსავლეთ ნაწილში სკოლა გაუხსნია. სამოღვაწეოდ ეს დარგი იმიტომ აურჩევია, რომ გზაში გამოცდილი და მცოდნე მასწავლებელი ფრებერი გაუცვნია. მისი განსწავლულობა და პრაქტიკა ვანდელერს დრომდე კარგად გამოუყენებია. მაგრამ კომპანიონი ჭლექით დაავადებული ყოფილა და მალე გარდაცვლილა, რის შემდეგაც სკოლის საქმე სულ უკან და უკან წასულა. ცოლ-ქმარ ვანდელერებს კიდევ ერთხელ მიუჩნევიათ საჭიროდ გვარის გამოცვლა და იმ დროიდან სტეპლტონებად ქცეულან. გასულა ხანი და სტეპლტონი თავისი დარჩენილი ქონებით, ახალი გეგმებითა და ენტომოლოგიით გატაცებული, სამხრეთ ინგლისში დასახლებულა. მე ვიკითხე ბრიტანეთის მუზეუმში და გამოვარკვიე, რომ ვანდელერი თავის დარგში ითვლებოდა აღიარებულ ავტორიტეტად და მისი სახელი ერთ-ერთი ღამეული პეპელისათვის მიუკუთვნებიათ, რომელიც ჯერ კიდევ იორკშირში აღუწერია.

ახლა მივედით მისი ცხოვრების იმ მომენტამდე, როცა იგი ჩვენთვის საინტერესო გახდა. ამ კაცმა, ეტყობა, გაიგო, რომ მას შეუძლია, თუ ორ ადამიანს სიცოცხლეს მოუსწრაფებს, დიდი მამულის პატრონი შეიქნეს. დევონშირში რომ მიემგზავრებოდა, მის გეგმებს ალბათ ჯერ კიდევ მეტად ბუნდოვანი სახე ჰქონდათ, მაგრამ ბოროტი განზრახვა მწიფდებოდა - შემთხვევითი ხომ არ არის, რომ საკუთარი ცოლი თავიდანვე დად გაასაღა! ქალის მახედ გამოყენება, როგოც ჩანს, წინასწარ განჭვრიტა, თუმცა შეიძლება ჯერ კიდევ ნათლად არ იცოდა, საქმე როგორ წაუვიდოდა. მისი მიზანი იყო მამულის ხელში ჩაგდება, ამის გულისათვის არ ერიდებოდა არავითარ საშუალებებს და ყოველგვარ რისკს ეწეოდა. ამრიგად, პირველ რიგში საჭირო იყო ბასკერვილ-ჰოლთან რაც შეიძლება ახლოს დასახლება, შემდეგ კი მეგობრული ურთიერთობის დამყარება სერ ჩარლზ ბასკერვილსა და სხვა მეზობლებთან.

ბარონეტმა თვითონ უამბო გადმოცემა ძაღლზე და ამრიგად საკუთარი ხელით გაითხარა სამარე. სტეპლტონმა, მე მას უწინდებურად ამ სახელით მოვიხსენიებ,

იცოდა, რომ სერ ჩარლზ ბასკერვილი გულით ავადმყოფი იყო და ძლიერ მღელვარებას შეეძლო მისი მოკვლა. ყველაფერი ეს გაგონილი ექნებოდა დოქტორ მორტიმერისაგან. გარდა ამისა, იცოდა, რომ სერ ჩარლზი ცრუმორწმუნე კაცია და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ბნელ ლეგენდას. გაქნილმა გონებამ მაშინვე უკარნახა ხერხი ბარონეტის თავიდან მოშორებისა, ისე რომ თვითონ უვნებლად დარჩენილიყო.

მოქმედების გეგმა რომ შეიმუშავა, სტეპლტონი მის განხორციელებას შეუდგა მთელი იმ გაწაფულობით, რაც მისი ბუნებისათვის იყო დამახასიათებელი. ჩვეულებრივი მკვლელი ასეთ შემთხვევაში უბრალოდ ავი ძაღლით დაკმაყოფილდებოდა. მაგრამ სტეპლტონს თავში მოუვიდა გენიალური აზრი - ექცია ეს ძაღლი ჯოჯოხეთის მოციქულად. იგი გაემგზავრა ლონდონს და იქ ფულჰემროუდზე, როსისა და მენგლსისაგან იყიდა ყველაზე უფრო დიდი ავი ძაღლი. შემდეგ ჩამოვიდა დევონშირში ჩრდილოეთის გზით და კარგა დიდი მანძილი ჭაობებში ფეხით იარა, რათა ძაღლი შინ ყველასაგან შეუმჩნევლად ჩაეყვანა. პეპლებზე ნადირობის საბაბით მოწყობილი ექსკურსიების დროს იპოვა გზა გრიმპენის ჭანჭრობის სიღრმეში, უფრო საიმედო ადგილის პოვნა კი ძაღლისათვის შეუძლებელი იყო. იქ დააბა ჯაჭვით და დაიწყო ხელსაყრელი დროის ლოდინი.

მაგრამ ასეთი შემთხვევა დიდხანს არ გამოჩნდა. სერ ჩარლზს ღამით თავისი მამულის საზღვრებს გარეთ კაცი ვერ გამოიტყუებდა. სტეპლტონი არა ერთხელ დარაჯობდა მოხუცებულს ძაღლის თანხლებით, მაგრამ ამაოდ. ჭაობებში ამ უნაყოფო ხეტიალის დროს სტეპლტონი, უკეთ მისი თანამონაწილე - ძაღლი - თვალში მოხვდა ორიოდე ადგილობრივ ფერმერს, და ლეგენდამ საზღაპრო ძაღლზე მიიღო ახალი დასაბუთება. მაშინ სტეპლტონმა მთელი თავისი იმედები დაამყარა ცოლზე, მაგრამ ამჯერად ქალმა ხასიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცე გამოიჩინა. მისის სტეპლტონმა გადაჭრით უარი თქვა მოხუცის მოჯადოების ცდაზე, რადგან იცოდა, რომ ამით სერ ჩარლზს დაღუპავდა. საქმეს ვერ უშველა ვერც მუქარამ, ვერც - სავალალოდ - ცემამ. ქალმა არ ისურვა ქმრის ხრიკების მონაწილედ გახდომა და სტეპლტონი დროებით ჩიხში მოექცა.

მაგრამ ჩიხიდან გამოსავალი მაინც იპოვა. სერ ჩარლზი მეგობრული გრძნობით განიმსჭვალა სტეპლტონისადმი და იგი შუამავლად მიუგზავნა მისის ლაურა ლაიონსს. სტეპლტონმა უცოლო კაცად გაასაღა თავი და სრულიად დაიპყრო ამ უბედური ქალის გული, დაარწმუნა, რომ ითხოვდა, თუკი ქმარს გაეყრებოდა. უეცრად აღმოჩნდა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედების დაწყება. ვინაიდან დოქტორ მორტიმერის დაჟინებითი რჩევით სერ ჩარლზი ლონდონს წასასვლელად ემზადებოდა, რაზედაც მოსაჩვენებლად სტეპლტონიც დათანხმდა. სტეპლტონმა იგრძნო, რომ წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა, თორემ მსხვერპლი ხელიდან გაუსხლტებოდა. და მან აიძულა მისის ლაიონსი მიეწერა სერ ჩარლზისათვის წერილი, რომლითაც მოხუცს ევედრებოდა შეხვედროდა ლონდონს გამზავრების წინ ბასკერვილ-ჰოლში. შემდეგ საპატიო მიზეზით თვითონვე გადააფიქრებინა მისის ლაიონსს პაემანზე მისვლა, და აი, დიდი ხნის ნანატრი შემთხვევაც მიეცა.

საღამოს კუმბ-ტრესიდან რომ დაბრუნდა, სტეპლტონმა მოასწრო გაქცევა ძაღლის მოსაყვანად, წააცხო რაღაც ჯოჯოხეთური ნივთიერება და მიიყვანა იმ ადგილზე, სადაც უნდა მისულიყო მოხუცი ბასკერვილი. პატრონის მიერ დაგეშილი ძაღლი ღობეზე გადახტა და უბედურ ბარონეტს დაედევნა. ბარონეტი ღრიალით გაიქცა ურთხელის ხეივანში. წარმოდგენილი მაქვს, რა სანახაობა იქნებოდა! გარშემო ბნელა და ამ სიბნელეში მოგდევს რაღაც საშინელება, რომელიც ხახიდან ცეცხლს აფრქვევს და ცეცხლოვან თვალებს აბრიალებს. ბარონეტს გულმა ვერ გაუძლო და

ხეივნის ბოლოში დაეცა. ძაღლი მისდევდა ბალახის ვიწრო ზოლზე და ამიტომაც გზაზე არაფერი აჩნდა, ადამიანის ნაკვალევის გარდა. როცა სერ ჩარლზი დაეცა, ძაღლმა ალბათ იყნოსა, მაგრამ პირიც არ ახლო მკვდარს და გაიქცა. აი, ეს კვალი შენიშნა დოქტორმა მორტიმერმა. სტეპლტონმა დაუძახა თავის ძაღლს და საჩქაროდ წაიყვანა უკანვე, გრიმპენის ჭანჭრობის სიღრმეში. ასეთია ის თავსატეხი, რამაც დააბნია პოლიცია, შეაშფოთა ყველა მეზობლად მცხოვრები და, ბოლოს, გამოსაკვლევად ჩვენს ხელში მოხვდა.

აი, ყველაფერი, რაც შეეხება სერ ჩარლზ ბასკერვილის სიკვდილს. თქვენ გესმით, რა ჯოჯოხეთური ეშმაკობით მოაწყო ყველაფერი ამ კაცმა! დამნაშავის მხილება ხომ შეუძლებელი იყო! თანამონაწილე მხოლოდ ერთი ჰყავდა, თანაც ისეთი, რომ არ გასცემდა. ხოლო მთელი ჩანაფიქრის ფანტასტიკური, წარმოუდგენელი ხასიათი მთლად აბნევდა ძიებას. საქმეში ჩარეული ორი ქალი, მისის სტეპლტონიცა და მისის ლაურა ლაიონსიც, ეჭვით თუ ხვდებოდნენ, ვინ იყო ნამდვილი მკვლელი. მისის სტეპლტონმა იცოდა, რომ მისი ქმარი რაღაც ხრიკებს აწყობს მოხუცის წინააღმდეგ, იცოდა ძაღლის არსებობაც. მისის ლაიონსს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია არც ერთზე და არც მეორეზე, მაგრამ ის შეაძრწუნა იმ ამბავმა, რომ სერ ჩარლზის სიკვდილი ზუსტად დაემთხვა ჭიშკართან მის მიერ დანიშნულ პაემანს. ეს პაემანი ჩაიშალა, და არც არავინ არ იცოდა, სტეპლტონის გარდა. მაგრამ ორივე ქალი მთლიანად ბოროტმოქმედის ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული და არაფერს არ ამხელდნენ. ამრიგად, ამოცანის პირველი ნახევარი წარმატებით იქნა შესრულებული, რჩებოდა მეორე - ბევრად უფრო რთული.

ადვილი შესაძლებელია, რომ სტეპლტონს სულაც არაფერი სცოდნოდა იმაზე, რომ კანადაში იმყოფებოდა მეორე მემკვიდრე. მაგრამ ეს მალე გაიგო თავისი ნაცნობის, ექიმ მორტიმერისაგან, რომელმაც სერ ჰენრი ბასკერვილის ჩამოსვლის დღეც კი შეატყობინა. პირველად თავში იმ აზრმაც გაუელვა, ხომ არ მოხერხდებოდა იმ კანადელთან ანგარიშის გასწორება თვით ლონდონში. სტეპლტონი ცოლს აღარ ენდობოდა, რადგან ახსოვდა, რომ თავის მახეში მოხუც ბასკერვილის გაბმაზე მტკიცე უარი უთხრა. ქალის დიდი ხნით მარტო დატოვებაც არ უნდოდა - შეიძლებოდა მასზე სულაც დაეკარგა ძალაუფლება. როგორ შემდეგ გავარკვიე, ისინი გაჩერდნენ ოტელში «მეკსბორო», კრევენსტრიტზე. სხვათა შორის, კარტრაიტი აქაც ყოფილიყო, «ტაიმსის» დაჭრილი გვერდის საძებრად. სტეპლტონი ცოლს დაკეტილ ნომერში ტოვებდა, თვითონ კი ყალბ წვერს იკეთებდა და ექიმ მორტიმერს კვალდაკვალ დასდევდა ბეიკერსტრიტზე, რკინიგზის სადგურზე, ოტელ «ნორთემბერლენდში». მისის სტეპლტონს ეჭვი ჰქონდა, ქმარი რაღაც გეგმებს აწყობსო, მაგრამ ქალს ისე ეშინოდა თავისი ქმრისა - ეს შიში შედეგი იყო მისი სისასტიკისა, - რომ ვერც კი გაბედა მიეწერა სერ ჰენრისათვის, საფრთხე გემუქრებაო. წერილი რომ სტეპლტონის ხელში მოხვედრილიყო, ვინ იყო თავდები მისი სიცოცხლისა? ბოლოს და ბოლოს, როგორ უკვე ვიცით, ეშმაკობას მიმართა: ამოჭრა საჭირო სიტყვები გაზეთებიდან და მისამართი შეცვლილი ხელით დააწერა. წერილი მივიდა ბარონეტამდე და გამოადგა პირველ გაფრთხილებად.

სტეპლტონს აუცილებლად უნდა ეშოვა რაიმე ნივთი სერ ჰენრის ჩაცმულობიდან იმ შემთხვევისათვის, თუ დასჭირდებოდა, რომ ძაღლი მის კვალზე მიეშვა. მოქმედებდა, როგორც ყოველთვის, სწრაფად და გაბედულად, არც ახლა დააყოვნა, და ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ოტელის მსახურებმა გაწეული სამსახურისათვის უხვი გასამრჯელო მიიღეს. მაგრამ აი, უბედურება! - პირველი წაღა ჩაუცმელი აღმოჩნდა და, ამრიგად, გამოუსადეგარი. სტეპლტონმა ის დააბრუნა და

სამაგიეროდ მიიღო მეორე. ამ ფაქტიდან გავაკეთე ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა. აშკარა გახდა, რომ საქმე გვაქვს ნამდვილ ძაღლთან, რადგანაც მხოლოდ ამით აიხსნებოდა სტეპლტონის ცდა, მიეღო უთუოდ ძველი ფეხსაცმელი. რაც უფრო სულელური და უაზრო ჩანს რაიმე დეტალი, მით უფრო მეტი ყურადღების ღირსია. ის გარემოებები, რომლებიც პირველად მხოლოდ ართულებენ საქმეს, ყველაზე უფრო ხშირად საქმის გასაღებად იქცევიან ხოლმე. საჭიროა მხოლოდ შესაფერისად, არა დილეტანტურად მიდგომა და გარჩევა.

მეორე დღეს ჩვენმა მეგობრებმა გვინახულეს, ხოლო კებში მჯდარი სტეპლტონი მათ შორიახლოდან ზვერავდა. ბევრი ნიშნით, და სხვათა შორის იმითაც, რომ სახით მიცნობდა, იცოდა ჩემი მისამართიც, მისი კარიერა არ განისაზღვრებოდა მხოლოდ ბასკერვილების საქმით, ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ. ასე, მაგალითად, უკანასკნელ სამ წელიწადში დასავლეთის საგრაფოებში მოხდა ოთხი დიდი ძარცვა, ხოლო დამნაშავეთა პოვნა არ მოხერხდა. უკანასკნელ მათგანს, რომელიც მაისის თვეში მოხდა ფოლკსტაუნკორტში, სისხლის ღვრაც კი მოჰყვა. მძარცველმა რევოლვერის გასროლით დასცა ყმაწვილი მოსამსახურე, რომელიც წამოეწია. ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ სტეპლტონი ამ გზით გამოასწორებდა ხოლმე თავის წამხდარ ფინანსურ მდგომარეობას და უკვე დიდი ხანია საშიში დამნაშავე იყო.

ამ კაცის საზრიანობასა და თავხედობაში დავრწმუნდით იმ დილით, როცა ასე მოხერხებულად დაგვისხლტა ხელიდან და მერე თავი შერლოკ ჰოლმსად გაასაღა, რადგან მშვენივრად იცოდა, რომ კებმენს ვიპოვნიდი. შემდეგ დარტმურში გაემგზავრა და ბარონეტის ჩამოსვლას დაუცადა.

- მოითმინეთ! - შევაწყვეტინე ჰოლმსს. - თქვენ სავსებით სწორად გადმოეცით საქმის მთელი მსვლელობა, მაგრამ ერთი მუხლი ჩემთვის მაინც ბუნდოვანია. რა იქნა ძაღლი, როცა მისი პატრონი ლონდონს წავიდა?

- კითხვა ფრიად არსებითია, ამით თვითონაც დავინტერესდი. სტეპლტონს, ცხადია, ჰყავდა თანამზრახველი, თუმცა საეჭვოა, რომ ყველა გეგმა მისთვის გაენდო - ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი თავი მთლიანად სხვის ხელში ჩაეგდო. გახსოვთ მოხუცი ანტონი, მსახური, მერიპიტ-ჰაუსში რომ ვნახეთ? ეს ბერიკაცი რამდენიმე წელი ცხოვრობდა სტეპლტონების სახლში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლა ჰქონდათ, და რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ისინი და-ძმა კი არა, ცოლ-ქმარი იყვნენ. ჰოდა, აი ეს ანტონი უკვალოდ გაქრა, ინგლისში არ იმყოფება. მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ სახელი ანტონი საკმაოდ იშვიათად გვხვდება ჩვენში, ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში კი ამ სახელს ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ. მოხუცი ინგლისურად მისის სტეპლტონზე ცუდად როდი ლაპარაკობდა, მაგრამ მასაც უცნაური აქცენტი ჰქონდა. მე თვითონ ვნახე, როგორ მიდიოდა გრიმპენის ჭანჭრობის სიღრმეში, ბილიკზე, რომელიც სტეპლტონს დაენიშნა. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ პატრონის არყოფნის დროს ძაღლს კვებავდა მოხუცი ანტონი, თუმცა, შესაძლებელია, არც კი იცოდა, რა მიზნით ჰყავდათ ეს ძაღლი.

ამრიგად, სტეპლტონები დაბრუნდნენ დევონშირში, მალე იქ თქვენ და სერ ჰენრი ჩახვედით. ახლა რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ჩემს თავზე. ალბათ გახსოვთ, რომ როცა წერილს ვათვალიერებდი, რომელიც სერ ჰენრის გამოუგზავნეს, დავინტერესდი, იყო თუ არა მასზე ჭვირნიშანი. ფურცელი თვალებთან მივიტანე და შევნიშნე, რომ «თეთრი იასამნის» სუნამოს სუნი უდიოდა. არსებობს სუნამოს სამოცდაცამეტი სახეობა, რომელთა ერთიმეორისაგან გარჩევა გამოცდილ მეძებარს უნდა შეეძლოს. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ძიების წარმატება ხშირად ამაზეა დამოკიდებული. თუ იასამნის სუნი აქვს, მაშასადამე ავტორი ქალია,

ხოლო იმ დროისათვის სტეპლტონები უკვე მაინტერესებდნენ. ამრიგად, მე დავრწმუნდი, რომ ძაღლი ნამდვილად არსებობს, და დევონშირში ჩემს ჩამოსვლამდე უკვე გამოვიცანი, თუ ვინ იყო დამნაშავე.

საჭირო იყო სტეპლტონზე თვალყურის დაჭერა. მაგრამ ეს რომ თქვენთან ერთად აშკარად ყოფნის დროს გამეკეთებინა, გაფრთხილდებოდა. ამიტომ მომიხდა ყველას მოტყუება, მათ შორის თქვენიც. ვთქვი, ლონდონში დავრჩები-მეთქი, სინამდვილეში კი თქვენ გამოგყევით. გაჭირვება, რაც გამოვიარე, სულაც არ იყო ისე საშიში, როგორც გეგონათ. საერთოდ, ასეთმა წვრილმანებმა არც უნდა შეგვიშალოს ხელი მუშაობაში, ასეთია ჩვენი საქმე. არსებითად, კუმბ-ტრესიში ვცხოვრობდი, ხოლო ქოხს ჭაობებში მაშინ მივაკითხავდი, როცა საჭირო ხდებოდა მოქმედების ადგილთან ახლოს ყოფნა. კარტრაიტი დევონშირში ჩამოვიდა ჩემთან ერთად, ყველგან დადიოდა, როგორც სოფლელი ბიჭი, და დიდი სამსახურიც გამიწია. ამას გარდა, მამარაგებდა საჭმლითა და სუფთა თეთრეულით, ამავე დროს თვალყურს გადევნებდათ თქვენ, როცა თვითონ სტეპლტონით ვიყავი გართული. ასე რომ, როგორც ხედავთ, ყველა რგოლი ჩემს ხელთ იყო.

თქვენ უკვე იცით, რომ თქვენი ანგარიშები დაუყოვნებლივ იგზავნებოდა ბეიკერსტრიტიდან კუმბ-ტრესიში. მათგან ძალიან ბევრი რამ გამოვიყენე. განსაკუთრებით ის, რომელშიაც სტეპლტონების ბიოგრაფიის ერთადერთი სწორი ეპიზოდი მაცნობეთ. ამის შემდეგ ჩემთვის უკვე ადვილი გახდა ორივე პიროვნების ვინაობის გარკვევა, და გავიგე კიდევაც, ვისთან მქონდა საქმე. მაგრამ კვლევას ართულებდა ერთი მეორეხარისხოვანი, გვერდითი გარემოება - კატორღელის გაქცევა და მისი კავშირი ბერიმორებთან. მაგრამ თქვენ ეს კვანძიც გახსენით, თუმცა მე იმავე დასკვნამდე ჩემი საკუთარი დაკვირვებით მივედი.

იმ დროისათვის, როცა თქვენ მიპოვეთ ქოხში ჭაობებს შორის, დანაშაულის სურათი სავსებით ნათელი იყო, მაგრამ ამ საქმის გამოტანა სასამართლოზე, ნაფიც მსაჯულთა წინაშე, ნაადრევი იქნებოდა. თვით სერ ჰენრის მოკვლის ამაო ცდა, რაც ბედშავი კატორღელის სიკვდილით დამთავრდა, უშუალო მამხილებელ საბუთად არ გამოდგებოდა. რჩებოდა ერთადერთი გზა: ბოროტმოქმედის შეპყრობა დანაშაულის ადგილზე. მოსატყუებლად კი სერ ჰენრის გამოყენება. ბარონეტი მარტო უნდა წასულიყო, თითქოს არავინ იცავდა. ასედაც მოვიქეცით, და მძიმე ნერვული ძრწოლის ფასად, რაც ჩვენმა მეგობარმა გადაიტანა, არა მარტო დავასრულეთ ძიება, არამედ სტეპლტონი დაღუპვამდე მივიყვანეთ. თუმცა საქმის ცუდად წარმართვის გამო საყვედური დავიმსახურე, მაგრამ აბა, ვის შეეძლო სცოდნოდა წინასწარ, რა საზარელი, ზარდამცემი სანახაობა წარმოსდგებოდა ჩვენ წინაშე. ვის შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ღამით ნისლი ჩამოწვებოდა და ძაღლი პირდაპირ იქიდან მოგვვარდებოდა! მიზანს მძიმე განსაცდელის ფასად მივაღწიეთ, მაგრამ ორივე - ნერვულ სნეულებათა სპეციალისტიც და ექიმი მორტიმერიც მარწმუნებს, რომ სერ ჰენრი მალე გამოკეთდებაო. მოგზაურობა დაეხმარება ჩვენს მეგობარს არა მარტო შერყეული ნერვების გამაგრებაში, არამედ გულის ჭრილობის გამთელებაშიც. საბრალო ხომ ასე მოტყუვდა მისის სტეპლტონში, რომელიც გულწრფელად და ღრმად უყვარდა! ეს ყველაზე მეტად აწუხებს.

ახლა მოსათხრობი დამრჩა, თუ რა როლი ითამაშა ამ ქალმა მთელ სამწუხარო ისტორიაში. არ მეეჭვება, რომ სტეპლტონმა სრულიად დაუმორჩილა ის თავის ზეგავლენას. რით ავხსნათ ეს? უყვარდა ის კაცი, თუ ეშინოდა მისი? თუ ორთავე ერთად? ეს გრძნობები ხომ სავსებით შეიძლება შეუთავსდნენ ერთიმეორეს! ყოველ შემთხვევაში, სტეპლტონი უტყუარად მოქმედებდა. მისის სტეპლტონი დათანხმდა,

რომ თავი მის დად გაესაღებინა, მაგრამ მკვლელობაში თანამზრახველობაზე კი გადაჭრით უთხრა უარი, ქმარი იძულებული გახდა დარწმუნებულიყო, რომ მისი ძალაუფლება განუსაზღვრელი არ არის. ქალი არა ერთხელ ცდილა გაეფრთხილებინა სერ ჰენრი, საშიშროება მოგელისო, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ ქმარს არ იმეტებდა. სტეპლტონი ალბათ არ იყო მოკლებული ეჭვიანობის უნარს, და როცა ბარონეტმა ნაზი გრძნობების გამომჟღავნება დაიწყო თავისი გულის რჩეულისადმი, თავი ვერ შეიკავა, თუმცა, ეს მის გეგმაში არ შედიოდა, აენთო და გასცა თავისი ბუნების მთელი სიფიცხე, რასაც აქამდე გულმოდგინედ ფარავდა. ამის მიუხედავად, იგი სერ ჰენრის აქეზებდა და არშიყობაში ხელს აღარ უშლიდა. სტეპლტონს იმედი ჰქონდა, რომ სერ ჰენრი ხშირად ივლიდა მათთან და ადრე თუ გვიან კლანჭებში ჩაუვარდებოდა. მაგრამ გადამწყვეტ წუთში ცოლმა გაუწია წინააღმდეგობა. გაქცეული კატორღელის დაღუპვის ამბავი შეეტყო და გაეგო, რომ სწორედ იმ საღამოს, როცა სერ ჰენრი ჰყავდათ დაპატიჟებული, ძაღლი ჭანჭრობიდან ფარდულში გადაიყვანეს. ამას მოჰყვა მშფოთვარე სცენა. მისის სტეპლტონმა ქმარს ბოროტმოქმედი უწოდა და პირველად გაიგონა მისგან, რომ ჰყოლია მეტოქე. წინანდელი ერთგულება სიძულვილით შეიცვალა. სტეპლტონი მიხვდა, რომ ცოლი გასცემდა და შებოჭა, რათა სერ ჰენრის დაღუპვაში ხელის შემშლელი თავიდან მოეცილებინა. ყველა მისი ვარაუდი ემყარებოდა იმას, რომ ბარონეტის სიკვდილის ამბავს რომ გაიგებდნენ, საგრაფოში გაიხსენებდნენ წყევლას, რაც ბასკერვილების გვარს აწვა ტვირთად. მაშინ ისევ მიაღწევდა ცოლის მორჩილებას და აიძულებდა გაჩუმებულიყო. სტეპლტონი აქაც შეცდა. მისი ბედი გადაწყვეტილი იყო ჩვენი ჩარევის გარეშეც. ქალი, რომლის ძარღვებშიც ესპანური სისხლი სჩქეფს, ღალატს არ აპატიებდა...

აი ყველაფერი, ჩემო ძვირფასო უოტსონ. ხოლო თუ გნებავთ უფრო დაწვრილებითი ანგარიში ამ არაჩვეულებრივ საქმეზე, მომიხდება ჩემს ჩანაწერებში ჩახედვა. მაგრამ, მგონი, არსებითი არაფერი გამომიტოვებია.

- ნუთუ სტეპლტონს იმედი ჰქონდა, რომ სერ ჰენრიც მოკვდებოდა ამ საფრთხობელას დანახვაზე?

- ძაღლი სრულიად ველური იყო, ამას გარდა, ნახევრად მშიერი ჰყავდა. თუ სერ ჰენრი ადგილზევე არ მოკვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, საშინელი სანახაობა ძალ-ღონეს გამოაცლიდა და წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა.

- დიახ, რა თქმა უნდა. კიდევ ერთი კითხვა მრჩება. თუ სტეპლტონი დაამტკიცებდა თავის უფლებას ბასკერვილ- ჰოლის ადგილ-მამულზე, როგორღა ახსნიდა იმ ფაქტს, რომ ის, მემკვიდრე, ცხოვრობდა სხვისი გვარით, და ისიც ასე ახლო თავისი მამულიდან? ნუთუ ეს არ აღძრავდა ეჭვს?

- ამ კითხვაზე პასუხის მოცემა გამიჭირდება - თქვენ მეტად ბევრს ითხოვთ ჩემგან. ჩემი მოქმედების სფერო - წარსული და აწმყოა, ხოლო რას აპირებს ადამიანი მომავალში, ამის ახსნას არ ვკისრულობ. ცოლის სიტყვებით, მისი ქმარი ამაზე ხშირად ფიქრობდა. ხედავდა სამ გამოსავალს. პირველი: გამგზავრებულიყო სამხრეთ ამერიკაში, იქ თავისი ვინაობა დაედგინა ბრიტანეთის საკონსულოში და იქიდან მემკვიდრეობა გამოეთხოვა, ინგლისში ჩამოუსვლელად. მეორე: ყოველივე ეს გაეკეთებინა ლონდონში, ისე რომ პირველად სახე შეეცვალა და ვერავის ეცნო. ბოლოს, მესამე: გაესაღებინა მემკვიდრედ გარეშე პირი. წინასწარ მოემარაგებინა ყველა საჭირო დოკუმენტით, თავისთვის კი უზრუნველეყო შემოსავლის გარკვეული ნაწილი. ჩვენ ვიცნობთ სტეპლტონს და შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამა თუ იმ გამოსავალს ის გამონახავდა.

ახლა კი, მეგობარო, მივაპყროთ ყურადღება უფრო სასიამოვნო საგნებს. რამდენიმე კვირის ასეთი მძიმე საქმიანობა უფლებას გვაძლევს საღამო მხიარულად გავატაროთ. მე ლოჟის ბილეთები ავიღე ოპერაში. მოგისმენიათ დე-რეცკესათვის «ჰუგენოტებში»? ჰოდა, გეთაყვა, კეთილი ინებეთ და ნახევარ საათში მოემზადეთ, რომ შევძლოთ გზად მარცინისთან შევუხვიოთ და იქ აუჩქარებლად ვისადილოთ.

ალისფერი კვალი

თავი I
შერლოკ ჰოლმსი

1878 წელს ლონდონის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის ხარისხი მოვიპოვე და სამხედრო ექიმთა მოსამზადებელ კურსებზე შევედი. კურსების დამთავრების შემდეგ ნორთუმბერლენდის მსროლელთა მეხუთე პოლკში უმცროს ექიმად გამამწესეს. იმხანად პოლკი ინდოეთში იდგა, და ვიდრე დანიშნულების ადგილზე მივიდოდი, ავღანეთის მეორე ომი ატყდა. კანდაჰარამდე მშვიდობით ჩავედი, იქ ჩემი პოლკი მოვნახე და მაშინვე ახალი მოვალეობის შესრულებას შევუდექი.

ამ ომმა მრავალს მოუტანა პატივი და მრავალი წასწია წინ სამსახურში. მე კი მხოლოდ მარცხი და უბედურება დამატყდა თავს. მაივანდთან გამართულ საბედისწერო ბრძოლისას მხარში დავიჭერი. ტყვიამ ძვალი დამიმსხვრია და არტერია დამიზიანა. უთუოდ სასტიკი ფანატიკოსების ხელში ჩავვარდებოდი, ჩემი შიკრიკის ერთგულება და სიმამაცე რომ არა: ცხენის ზურგზე გადამაწვინა და ჩვენს პოზიციაზე მიმიყვანა, საიდანაც მერე პეშევარში გამხიზნეს. ძლივს მომირჩა ჭრილობა, რომ ახლა მუცლის ტიფი შემეყარა და რამდენიმე თვის შემდეგ საბოლოოდ გამოსაჯანსაღებლად ინგლისში გამაგზავნეს.

ინგლისში არც ნათესავები მყავდა, არც ვინმე მახლობელი, მაგრამ ქარივით თავისუფალი ვიყავი, ან უფრო სწორად რომ გითხრათ, თავისუფალი ვიყავი იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას დღეში თერთმეტი შილინგისა და ექვსი პენსის შემოსავალი მაძლევდა.

რა უნდა მექნა? ლონდონში დავსახლდი და ერთ პატარა ოტელში დავბინავდი. ძალიან მოუხერხებლად და უაზროდ ვცხოვრობდი. ფულს იმაზე უფრო თავისუფლად ვხარჯავდი, ვიდრე ჩემი შეძლების პატრონს შეეფერებოდა. მალე დავრწმუნდი, ან სადმე ქალაქგარეთ უნდა გადავსახლებულიყავი, ან მკვეთრად შემეცვალა ცხოვრების ნირი. მე ეს უკანასკნელი ვამჯობინე. გადავწყვიტე, მიმეტოვებინა ოტელი და სადმე უფრო იაფფასიანი ბინა გამომენახა.

იმ დღეს, როდესაც ასეთ დასკვნამდე მივედი, ბარში ვიდექი. ვიღაცამ მხარზე ხელი დამკრა. მოვბრუნდი და ჩემი ძველი მეგობარი სტემფორდი დავინახე. ორივეს გაგვეხარდა შეხვედრა და მაშინვე საუზმეზე მივიპატიჟე.

- რა მოგსვლიათ, უოტსონ? - მკითხა დაუფარავი გაკვირვებით. - ლერწამზე წვრილი ხართ და წენგოიან კაკალზე უფრო მუქი.

მოკლედ ვუამბე, თავს რა ხიფათიც გადამხდა.

- საწყალი კაცი! - თქვა. - ახლა რას აპირებთ?

- ბინას დავეძებ და შეუძლებელს ვცდილობ, ცოტა იაფად მინდა წესიერი ოთახი დავიქირავო.

- უცნაურია, - შენიშნა ჩემმა თანამგზავრმა. - ასეთი სურვილი დღეს უკვე მეორედ მესმის.

- პირველად ვისგან მოისმინეთ? - ვკითხე მე.

- ერთი ყმაწვილისაგან, რომელიც ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობს. დღეს დილით შემომჩივლა, ვერანაირად ვერ მიპოვნია ამხანაგი, რომელთან ერთად ვიქირავებდი რიგიან ოთახს, მარტოხელას კი ქირის გადახდა გამიჭირდებაო.

- ეშმაკმა დალახვროს! სწორედ მე ვარ ასეთი კაცი.

სტემფორდმა რაღაც უცნაურად გადმომხედა.

- თქვენ არ იცნობთ შერლოკ ჰოლმსს, - მითხრა მან, - შეიძლება არ მოგეწონოთ და ვერც შეეგუოთ მასთან მუდმივად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას.

- რაო, ცუდი ზნის კაცია?

- ო, სულაც არ ვამბობ, ცუდი ზნისაა-მეთქი. ცოტა უცნაური იდეები აქვს. მეცნიერების ზოგიერთი დარგის ენთუზიასტია. მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ სრულიად წესიერი ადამიანი იყოს.

- როგორც ვატყობ, სტუდენტი-მედიკოსი იქნება, არა? - ვკითხე მე.

- არა, წარმოდგენაც არა მაქვს, რა პროფესიის კაცი დადგება. ჩინებულად ერკვევა ანატომიაში და შესანიშნავი ქიმიკოსია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მედიცინა არასოდეს უსწავლია. მისი კვლევა უაღრესად ექსცენტრიკული ხასიათისაა, მაგრამ აქვს არაჩვეულებრივი ცოდნა, რითაც თავის პროფესორებს პირდაპირ აოცებს.

- არ გიკითხავთ, რა მიზანს ისახავს?

- არა, გულს ასე იოლად არავის გადაუშლის, თუმცა ბევრი ლაპარაკი უყვარს, როცა ხასიათზეა ხოლმე.

- სიამოვნებით გავეცნობოდი, - ვუთხარი მეგობარს. - თუ ვინმესთან ერთად ცხოვრება მომიხდება, ისეთი კაცი მირჩევნია, რომელსაც სიმშვიდე და მუშაობა უყვარს. როგორ შევხვდე თქვენს მეგობარს?

- ალბათ ლაბორატორიაში იქნება. თუ გინდათ, საუზმის შემდეგ შევუაროთ.

ჰოსპიტალისაკენ წავედით და გზადაგზა სტემფორდმა კიდევ მიამბო ზოგიერთი წვრილმანი იმ ჯენტლმენზე, ვისთან დასახლებასაც ვვარაუდობდი.

- თუ ვერ შეეწყობით, მე ნუ დამემდურებით. ჩემი აზრით, ჰოლმსი მეტისმეტად გატაცებულია თავისი კვლევა-ძიებით. ამ კაცს შეუძლია თავის მეგობარს მცირე დოზით ალკოლოიდი მიაღებინოს, ცუდი განზრახვით კი არა, უბრალოდ, კვლევისათვის, რომ ამ შხამის ზემოქმედების ძალა გაიგოს. დარწმუნებული ვარ, თვითონაც უყოყმანოდ მიიღებს შხამის ამდენივე დოზას. ეტყობა, ზუსტი მეცნიერებით მეტისმეტად გატაცებულია.

- ეს ძალიან კარგია.

- დიახ, მაგრამ უკიდურესობამდე არაფრის მიყვანა არ ვარგა. ის კი პროზექტურაში ზოგჯერ გვამებს ჯოხით სცემს კიდეც.

- გვამებს სცემსო?

- დიახ, რომ დაადგინოს, შეიძლება თუ არ სიკვდილის შემდეგ სისხლჩაქცევის გამოწვევა. ეს ჩემი საკუთარი თვალებით ვნახე.

- თქვენ კი ამბობთ, მედიკოსი არ არისო.

- არა, მედიკოსი არაა. ეშმაკმა უწყის, რა მიზანს ისახავს. მაგრამ აგერ მოვედით კიდეც. თვითონვე შეიმუშავეთ იმ კაცზე საკუთარი აზრი.

ვიწრო ჩიხში შევუხვიეთ, პატარა კარი შევაღეთ და ჰო-სპიტლის შენობაში აღმოვჩნდით. დაბალი, თაღიანი ტალანი გავიარეთ და ქიმიურ ლაბორატორიაში შევედით.

ფართო, მაღალჭერიან ოთახში მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა. იგი მაგიდაზე დახრილიყო და გატაცებით მუშაობდა.

- ვიპოვე! ვიპოვე! - ძახილით ამცნო ჩემს თანამგზავრს და სინჯარით ხელში შემოგვეგება. - ვიპოვე რეაქტივი, რომელიც მხოლოდ ჰემოგლობინის შენაერთში ილექება.

ოქროს საბადო რომ აღმოეჩინა, ალბათ მაშინაც არ გაუბრწყინდებოდა ასე სახე.

- დოქტორი უოტსონი, მისტერ შერლოკ ჰოლმსი, - გაგვაცნო ერთმანეთი სტემფორდმა.

- როგორ ბრძანდებით? - მკითხა ჰოლმსმა და ხელი ისე ძლიერად ჩამომართვა, რომ სახტად დავრჩი. - როგორც ვხედავ, ავღანეთში ყოფილხართ.

- ეს საიდან გაიგეთ? - ვკითხე გაოცებულმა.

- უბრალო დაკვირვების ამბავია, - მიპასუხა და თავისთვის ჩაიცინა. - ახლა ჰემოგლობინზეა ლაპარაკი. ალბათ აფასებთ ჩემს აღმოჩენას?

- მეცნიერული თვალსაზრისით უდავოდ საინტერესოა, - ვუპასუხე მე. - მაგრამ პრაქტიკულად...

- მომიტევეთ! მაგრამ სასამართლო მედიცინაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ეს ყველაზე უფრო პრაქტიკული აღმოჩენაა, განა არ გესმით, რომ ეს აღმოჩენა სისხლის ლაქების ამოცნობის უტყუარ ხერხს გვაძლევს? - ამ სიტყვებზე პალტოს სახელოში ხელი ჩამავლო და მაგიდისაკენ ძალით წამათრია.

- ავიღოთ ახალი სისხლი, - მითხრა მან, თითში გრძელი ნემსი იჩხვლიტა და პიპეტით წვეთი სისხლი ამოიღო. - ნახეთ, ამ წვეთ სისხლს მე გავხსნი ლიტრ წყალში. როგორც ხედავთ, ნარევი სუფთა წყალსა ჰგავს. სისხლის პროცენტი არ აღემატება ერთ მემილიონედს და მაინც ეჭვი არ მეპარება, რომ დამახასიათებელი რეაქციის მიღებას შევძლებთ.

ჭურჭელში რამდენიმე თეთრი კრისტალი ჩააგდო, შემდეგ კი გამჭვირვალე სითხის რამდენიმე წვეთი ჩაამატა. ჭურჭელში მდგარი წყალი იმწამსვე მუქ-ალისფრად შეიღება, მინის ქილის ძირზე კი ყავისფერი ნაწილაკები დაილექა.

- ჰა! ჰა! - შეჰყვირა მან და სათამაშოთი გახარებული ყმაწვილივით შემოჰკრა ტაში. - ამაზე რას იტყვით?

- ეს, როგორც ეტყობა, ძალიან საინტერესო ცდა უნდა იყოს, - შევნიშნე მე.

- საუცხოო! ჩინებული! განსაზღვრის ძველი მეთოდები მეტისმეტად რთული და არასაიმედო იყო. ასე, მაგალითად, სისხლის ბურთულების მიკროსკოპული ანალიზი არაფრის მაქნისი არაა, თუ სისხლი სრულიად ახალი არ იქნა. ჩემი მეთოდი კი საიმედოა, იმის მიუხედავად, ახალია სისხლი თუ არა. ეს მეთოდი რომ ადრე აღმოეჩინათ, ასობით დამნაშავე, დღეს რომ ქვეყნად თავისუფლად დატანტალებს, დიდი ხნის წინ წარსდგებოდა მართლმსაჯულების წინაშე. სისხლის სამართლის საქმეები მუდამ ამ წერტილის გარშემო ტრიალებდა. როცა ადამიანს ბრალდებოდა რამდენიმე თვის წინ ჩადენილი დანაშაული, იკვლევდნენ მის თეთრეულს, სამოსელს, აღმოაჩენდნენ მუქ ლაქებს და ექსპერტების წინაშე ისმებოდა კითხვა: რა იყო ეს? სისხლის ლაქები, თუ ჭუჭყისა? იქნებ ჟანგისა ან ხილის? ეს კითხვა აბნევდა მათ, რადგან არ არსებობდა გამოკვლევის საიმედო მეთოდი. ამიერიდან კი იარსებებს შერლოკ ჰოლმსის მეთოდი, და ყველა სიძნელე გადალახულია.

- მოსალოცი საქმე მოგიკვარახჭინებიათ, - ვუთხარი მე, ასეთი ენთუზიაზმით აღტაცებულმა.

- მაგონდება ფონ ბიშოფის საქმე, შარშან რომ მოხდა ფრანკფურტში. ბიშოფს, რა თქმა უნდა, ჩამოახრჩობდნენ, ეს მეთოდი რომ აღმოჩენილი ყოფილიყო. ახლა მეზონის საქმე ბრადფორდში, სახელგანთქმული მიულერის, ლეფევრისა მონპელიეში და სამსონისა ახალ ორლეანში?! შემიძლია დავასახელო ოცი შემთხვევა, სადაც გამოკვლევის ამ მეთოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

- თქვენ სისხლის სამართლის საქმეების ცოცხალი კალენდარი ხართ, - შენიშნა სტემფორდმა. - შეგეძლოთ გაზეთიც გამოგეცათ ასეთი სათაურით: «წარსულ წლებში მომხდარი სისხლის სამართლის ახალი ამბები».

- ეს ძალიან საინტერესო იქნებოდა, - თქვა ჰოლმსმა და ნაჩხვლეტ ადგილზე სალბუნის პატარა ნაჭერი დაიდო. - დიდი სიფრთხილე მმართებს, რადგან ათასნაირ შხამთან მაქვს საქმე.

შერლოკ ჰოლმსმა ამ სიტყვებზე ხელი უნებლიეთ წინ წამოსწია და შევნიშნე, რომ იგი ერთიანად აჭრელებული ჰქონდა სალბუნის ასეთივე ნაჭრებითა და ძლიერმოქმედი მჟავეების ლაქებით.

- ჩვენ საქმეზე მოვედით, - შენიშნა სტემფორდმა, სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და ფეხით მეორე სკამი მოაჩოჩა. - ჩემი მეგობარი ბინას დაეძებს, და რაკი თქვენც შემომჩივლეთ, ამხანაგი ვერ მიშოვნიაო, გადავწყვიტე უოტსონი თქვენთვის შემეხვედრებინა.

შერლოკ ჰოლმსს, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა ჩემთან ერთად დასახლების იდეა.

- ერთი პატარა ბინა მომივიდა თვალში ბეიკერსტრიტზე. დაწუნებით ვერაფერს დაუწუნებთ. იმედი მაქვს, მაგარი თამბაქოს სუნის საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ.

- მე თვითონ ყოველთვის მაგარ თამბაქოს ვეწევი.

- ჰოდა, ჩინებულია. საქმე ქიმიურ ნივთიერებებთან მაქვს და ხშირად ვაწარმოებ ცდებს. ეს ხომ არ შეგიშლით ხელს?

- სრულიადაც არა.

- სხვა რა ნაკლი მაქვს? ხანდახან ვმუნჯდები და მთელი დღეების განმავლობაში კრინტს არ ვძრავ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში არ იფიქროთ, რომ ვიბუტები. ყურადღებას ნუ მომაქცევთ, მალე შუბლი ისევ გამეხსნება. თქვენ რა ცუდი ზნე გჭირთ? ვიდრე ერთად დავსახლდებოდეთ, ჯობია ვიცოდეთ, რა გვჭირს დასაძრახი.

ამ დაკითხვაზე გამეცინა.

- მე ლეკვი მყავს და ხმაურს ვერ ვეწყობი, ნერვები მაქვს მოშლილი. სრულიად უჩვეულო დროს ვდგები ხოლმე და უაღრესად ზარმაცი ვარ.

- ვიოლინოს დაკვრას თუ მიაკუთვნებთ ხმაურთა კატეგორიას? - მკითხა მოულოდნელად ჰოლმსმა.

- ეს დაკვრაზეა დამოკიდებული, - ვუპასუხე მე. - ვიოლინოს კარგი დაკვრა - ღმერთების ზიარია, ცუდი დაკვრა...

- ყველაფერი რიგზეა, - მხიარულად გაიცინა ჰოლმსმა. - შეგვიძლია საქმე მოგვარებულად ჩავთვალოთ, თუ ბინაც მოგეწონებათ.

- მაშ, წამოვიდე და გავსინჯო?

- შემოიარეთ ხვალ, ასე, თორმეტი საათისათვის, ერთად წავალთ.

- ძალიან კარგი, ზუსტად თორმეტზე, - ვუპასუხე და ხელი ჩამოვართვი.

ჰოლმსი დავტოვეთ და სტემფორდთან ერთად ჩემს ოტელს მივაშურეთ.

- სხვათა შორის, - ვკითხე ამხანაგს. - ძალიან მაინტერესებს, საიდან გაიგო, რომ ავღანეთიდან ჩამოვედი?

ჩემმა თანამგზავრმა უცნაურად გაიღიმა.

- სწორედ ეს გახლავთ ამ კაცის თავისებურება. ბევრმა უკვე სცადა იმის გამოცნობა, თუ რანაირად გებულობს ასეთ რამეებს.

- ეს პირდაპირ საიდუმლოებით მოცული ამბავია. ძლიერ მადლობელი ვარ, რომ ერთმანეთს შეგვახვედრეთ.

- დააკვირდით და შეისწავლეთ ეს საინტერესო კაცი, - მითხრა სტემფორდმა გამომშვიდობებისას. - ეს იოლი ამოცანა როდია... სანაძლეოს დავდებ, მას ახლა უკვე მეტი ეცოდინება თქვენზე, ვიდრე თქვენ მასზე შემდეგ შეიტყობთ. ნახვამდის!

- ნახვამდის! - ვუპასუხე მეც და ჩემი ნაცნობით ძალზე დაინტერესებულმა ოტელს მივაშურე.

თავი ||
დასკვნის გამოტანის ხელოვნება

მეორე დღეს ერთმანეთს შევხვდით და დავათვალიერეთ ბეიკერსტრიტზე მდებარე ბინა №221-ბ. ორი კარგი საწოლი ოთახი იყო და კოხტად მოწყობილი ფართო სასტუმრო, რომელსაც ორი დიდი ფანჯარა ჰქონდა. იმავე საღამოს გადავედი ოტელიდან, მეორე დღეს კი შერლოკ ჰოლმსმა გადმოიტანა თავისი ყუთები და პორტპლედები.

ჰოლმსთან შეწყობა ადვილი საქმე აღმოჩნდა. ხმაური არ უყვარდა და წესიერ ცხოვრებას ეწეოდა. ცხრაზე ადრე იშვიათად წვებოდა და საუზმობას ჩემს ადგომამდე ასწრებდა. ზოგჯერ მთელ დღეს ქიმიურ ლაბორატორიაში ატარებდა, ხან პროზექტურაში დადიოდა, ხან კი საათობით დაეხეტებოდა ქალაქში და თანაც სასეირნოდ ლონდონის ყველაზე საეჭვო უბნებს ირჩევდა. როცა თავისი გუნების საქმე შეხვდებოდა, წარმოუდგენელი გატაცებით შეუდგებოდა მუშაობას, მაგრამ დროგამოშვებით გუნება ეცვლებოდა და მაშინ მთელი დღეები იწვა ხოლმე სასტუმროში დივანზე, დანა პირს არ უხსნიდა და სიტყვას მაჯაგანით ვერ ამოართმევდი.

ჩემი დაინტერესება ჰოლმსით და ცნობისმოყვარეობა იმ მიზნებით, რომელთაც ის ცხოვრებაში ისახავდა, დღითი დღე იზრდებოდა. იგი თავისი გარეგნობითაც იქცევდა ყურადღებას. ექვსი ფუტი სიმაღლე ჰქონდა და ისეთი აღნაგობისა იყო, რომ უფრო მაღალი მოგეჩვენებოდათ. ცოცხალი, გამჭრიახი თვალები და ვიწრო ქორისებური ცხვირი მის სახეს სიფხიზლისა და შეუპოვრობის იერს ამლევდა. თვალში გეცემოდათ მისი წინ წამოწვდენილი, კუთხოვანი, ძლიერი ნებისყოფის ადამიანებისათვის დამახასიათებელი ნიკაპი. ხელები ყოველთვის დალაქავებული ჰქონდა მელნითა და ყოველგვარი ქიმიური ნივთიერებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, არაჩვეულებრივად ფაქიზი შეხების გრძნობა გააჩნდა, რაც არა ერთხელ შემინიშნავს, როცა მყიფე ხელსაწყოებზე მანიპულაციებს აწარმოებდა.

მედიცინას არ სწავლობდა. მგონი, არც ერთი ისეთი სასწავლებელი არ ჰქონდა დამთავრებული, სწავლულთა სამყაროსაკენ გზას რომ გაუხსნიდა. ამის მიუხედავად, განსაკუთრებული გულმოდგინებით აწარმოებდა თავის კვლევა-ძიებას, და, მართალია, გარკვეულ ჩარჩოებში, მაგრამ მისი ცოდნა განსაცვიფრებლად ფართო და

დეტალური იყო. რა თქმა უნდა, ასე შეუპოვრად ზუსტი ცნობების კვლევაზე მუშაობას არავინ გამოედევნება, თუ გარკვეული მიზანი არა აქვს.

ბეიკერსტრიტზე ჩვენი ცხოვრების პირველ კვირას არავის შემოუვლია, და ის იყო გავიფიქრე, ჰოლმსიც ალბათ ჩემსავით მარტოხელა, უთვისტომო კაცია-მეთქი, რომ მალე დავრწმუნდი, მას მრავალი ნაცნობი ჰყავდა, და თანაც სულ სხვადასხვა წრეებში. ერთი პატარა ფერმკრთალი კაცი დაიარებოდა, ვირთხასავით სახე ჰქონდა და შავი თვალები. მისტერ ლესტრეიდად გამაცნო. კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც ნახულობდა ჰოლმსს.

ერთხელ დილით კარგად ჩაცმული ქალიშვილი მოვიდა, ნახევარი საათი დარჩა, თუ მეტი არა. იმავე დღეს ჭაღარა კაცი გვესტუმრა, საცოდავი გარეგნობა ჰქონდა და ძლიერ აღელვებული ჩანდა. მაშინვე ხნიერი დედაკაცი მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემს თანამობინადრესთან საბაასოდ ვიღაც მოხუცი ჯენტლმენი მოვიდა, მეორე დღეს კი - რკინიგზის დარაჯი. როცა მნახველები მოდიოდნენ, შერლოკ ჰოლმსი ჩვეულებისამებრ მთხოვდა, სასტუმრო დამითმეო, და მეც ჩემს ოთახში გავდიოდი. ასეთი უხერხულობისათვის ყოველთვის ბოდიშს მიხდიდა.

ამ ოთახს სამუშაო კაბინეტად ვიყენებ, სხვა გზა არა მაქვს, ეს ადამიანები კი ჩემი კლიენტები არიანო, მეტყოდა ხოლმე.

შემეძლო პირდაპირ მეკითხა ჰოლმსისათვის, რა მუშაობას ეწევი-მეთქი, მაგრამ ვერ გამებედა, ვერ შევკადრე, გულახდილობა გამოეჩინა ჩემ წინაშე. მაშინ ჯერ კიდევ მეჩვენებოდა, რომ მას სერიოზული საფუძველი ჰქონდა დუმილისათვის, მაგრამ შემდეგ თვითონვე ჩამომიგდო ამაზე სიტყვა.

ერთხელ დილით, როგორც მახსოვს, ეს იყო 4 მარტს, ჩვეულებრივზე ადრე ავდექი და შერლოკ ჰოლმსს საუზმეზე შევუსწარი. დავრეკე, ყავა მოვითხოვე და მაგიდაზე დაგდებული გაზეთი ავიღე. ერთ-ერთი სტატია ფანქრით იყო გახაზული და, რაღა თქმა უნდა, თვალი გადავავლე. ცოტა არ იყოს, უცნაური სათაური ჰქონდა: «ცხოვრების წიგნი». ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა ბევრი რამ შეიძლება გაიგოს კაცმა, თუ ყურადღებით იქნება, ზუსტად და სისტემატურად ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც გზაზე შეხვდება. გამაოცა გამჭრიახობისა და აბსურდულობის საკვირველმა ნარევმა. მსჯელობა თანმიმდევრული და დამაჯერებელი იყო, მაგრამ დასკვნები მეტისმეტად ფართო და გაზვიადებული მეჩვენა. ავტორი ირწმუნებოდა, შეიძლება ადამიანის იდუმალესი აზრების გამოცნობა მისი სახის წამიერი გამომეტყველებით, კუნთის მოძრაობით, უცაბედი მზერითო. შეუძლებელია დაკვირვებასა და ანალიზის საქმეში გამოცდილი ადამიანის მოტყუება. ჩემი დასკვნები და განაჩენნი ისევე შეუმცდარი იქნება, როგორც ევკლიდეს გამოანგარიშებანიო. უცოდინართათვის ჩემი დასკვნები და დაკვირვებათა შედეგები შესაძლოა, მიუწვდომელი იყოს და ჯადოქრობაც კი დამწამონ, ვიდრე არ შეიტყობენ, თუ რა გზით მივედი ასეთ დასკვნამდეო.

«წვეთ წყალზე დაკვირვებით, - ნათქვამი იყო სტატიაში, - ლოგიკურად მოაზროვნე გონება იოლად დაასკვნის ატლანტის ოკეანისა და ნიაგარის არსებობას, თუნდაც წინასწარ არაფერი იცოდეს ერთის ან მეორის არსებობაზე. მთელი სიცოცხლე ერთი დიდი ჯაჭვია, რომლის ბუნებას იოლად შევიცნობთ მისი ერთი რგოლის მიხედვით. მსგავსად ყველა სხვა ხელოვნებისა, დასკვნებისა და ანალიზის მეცნიერება შეგვიძლია ავითვისოთ მხოლოდ ხანგრძლივი და შეუპოვარი მეცადინეობის შედეგად, ხოლო ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა, რომ ადამიანმა შესაძლებელი სრულყოფილების თუნდაც საზღვარს მიაღწიოს. ამიტომ მკვლევარმა უფრო ელემენტარული პრობლემიდან უნდა დაიწყოს. დე, ისწავლოს პირველი

შეხედვითვე ადამიანის წარსულის, მისი ხელობის და პროფესიის გამოცნობა. რა ბავშვურიც არ უნდა გვეჩვენოს ასეთი ვარჯიში, იგი აღრმავებს დამკვირვებლობას და გვასწავლის, როგორ უნდა შევხვდეთ, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ხელის თითების ფრჩხილები, კოსტიუმის სახელოები, ფეხსაცმელი, შარვლის ტოტები, კოჭრები შუა და საჩვენებელ თითებზე, სახის გამომეტყველება, პერანგის სამაჯეები თუ სახელოები - ყველა ეს წვრილმანი საშუალებას გვაძლევს გამოვიცნოთ ადამიანის პროფესია. თითქმის დაუჯერებელია, რომ რომელსამე შემთხვევაში ყველა აქ ჩამოთვლილი ნიშანი, ერთად აღებული, გამოცდილი მკვლევარისათვის საკმარისი არ იყოს».

- რა წარმოუდგენელი აბდაუბდაა! - შევძახე და გაზეთი განზე ვისროლე. - ჩემს სიცოცხლეში არ წამიკითხავს ასეთი სისულელე!

- რაზე ლაპარაკობთ? - მკითხა შერლოკ ჰოლმსმა.

- აი, ამ სტატიაზე, - ვუპასუხე და ჩაის კოვზით გაზეთზე მივუთითე. - თქვენც წაგიკითხავთ, ფანქრით დაგინიშნავთ. არ უარვყოფ, საუცხოოდაა დაწერილი. მაგრამ თვითონ სტატია აღმაშფოთებელია და მაღიზიანებს, ეტყობა, რომელიღაც უსაქმურის თეორიაა, თავისი კაბინეტის მყუდროებაში რომ პარადოქსებს თხზავს. ყველაფერი ეს მეტისმეტად შორსაა ცხოვრებისაგან. ერთი მენახა ავტორი მიწისქვეშა გზის მესამე კლასის ვაგონში, მგზავრებს შორის ჩაკვეხებული და მეთხოვა მისთვის თავისი თანამგზავრების პროფესიის გამოცნობა. სანაძლეოს დავდებ, რომ ვერაფერს გახდებოდა.

- წააგებდით მაგ სანაძლეოს, - მშვიდად მიპასუხა ჰოლმსმა. - ხოლო რაც შეეხება ამ სტატიას, ჩემი დაწერილია.

- თქვენი?

- დიახ. მე მაქვს დაკვირვებისა და დასკვნების გამოტანის მიდრეკილება. აქ გადმოცემული ჩემი თეორია, თქვენ რომ ქიმერად გეჩვენებათ, სინამდვილეში მეტისმეტად ცხოვრებისეულია, იმდენად ცხოვრებისეული, რომ მისი წყალობით მაქვს მოპოვებული პური ჩემი არსობისა.

- ეს რანაირად?

- რას იზამთ, მე ჩემი ხელობა მაქვს. ვფიქრობ, მთელ ქვეყნიერებაზე ერთადერთი მაძებარ-კონსულტანტი ვარ. ლონდონში მრავალი სახელმწიფო მაძებარია და მრავალიც კერძო. როცა ეს ბატონები საქმეს თავს ვერ მოაბამენ, ჩემთან ცხადდებიან და მეც სწორ გზაზე ვაყენებ ხოლმე. ყველა ფაქტს მომიყვებიან და ჩვეულებრივ, მეც დანაშაულობათა ისტორიის ცოდნის საფუძველზე ვახერხებ მათ გამოყვანას ძნელი მდგომარეობიდან. არსებობს დიდი მსგავსება დანაშაულობათა სახეობებს შორის, და თუ ათასობით დანაშაულის წვრილმანები იცით, რაღა თქმა უნდა, ათას მეერთეში გარკვევასაც მოახერხებთ. ლესტრეიდი - ცნობილი მაძებარია. ამას წინათ ერთი თაღლითობის საქმეში ჩაფლავდა და მე მთხოვა დახმარება.

- თქვენი სხვა მნახველები?

- მათ ჩვეულებრივ კერძო აგენტები მიგზავნიან. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც უბედურება შეემთხვათ და შველას ითხოვენ. მე ვუსმენ მათს მონათხრობს, თვითონაც მისმენენ და გაწეული სამსახურისათვის ჰონორარს ვღებულობ.

- ნუთუ იმის თქმა გინდათ, რომ ოთახიდან გაუსვლელად შეგიძლიათ გახსნათ კვანძი, რასაც ვერ ხსნიან ის ადამიანები, რომელთა თვალწინაც ხდებოდა ყველაფერი?

- სრულიად მართალი ხართ. ამ საქმეში კარგად გაწაფული გახლავართ და ცოტაოდენი ინტუიციაც მაქვს. ზოგჯერ უფრო რთული საქმეებიც მხვდება. მაშინ ცოტა ჯახირიც მიხდება და პირადად ვეცნობი საქმის ვითარებას. იცით, საქმის გასაცნობად და ამოცანის გადასაწყვეტად სპეციალური ცოდნით ვსარგებლობ და ეს ძალიან მშველის მუშაობაში, მიმარტივებს საქმეს. ამ სტატიაში გადმოცემული დედუქციის მეთოდები ფასდაუდებელ დახმარებას მიწევენ პრაქტიკულ მუშაობაში. დაკვირვება იქცა ჩემს მეორე ბუნებად. აი, თქვენ განცვიფრებული დარჩით, პირველსავე შეხვედრისას რომ გითხარით, ავღანეთიდან ჩამოსულხართ-მეთქი.

- ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ვინმესგან მოისმინეთ.

- ძალიან ცდებით, მაგას რომ ამბობთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ავღანეთიდან ჩამოხვედით. ჩემი გონება ხანგრძლივი ვარჯიშის წყალობით ისე სწრაფად მუშაობს, რომ შუალედური რგოლების შეუცნობლად ერთბაშად დავასკვენი: «აი, მედიცინის მსახურის ტიპი, ოღონდ მხედრული იერით. აშკარაა: სამხედრო ექიმია. ახლახან ჩამოსულა ტროპიკებიდან, რადგან მეტისმეტად შავგვრემანია, ეს კი მისი კანის ბუნებრივი ფერი არ არის, რადგან მაჯებზე თეთრია. დიდი გაჭირვება და ავადმყოფობა გადაუტანია, რაზედაც მისი გატანჯული სახე მეტყველებს. მარცხენა ხელი დაზიანებული აქვს, რადგან არაბუნებრივად უჭირავს. სად გამოივლიდა ინგლისელი სამხედრო ექიმი ამდენ ჭირ-ვარამს და სად დაიჭრებოდა? რა თქმა უნდა, ავღანეთში». მთელმა ამ აზრთა მსვლელობამ სეკუნდი დრო მოითხოვა, და მეც გითხარით, ავღანეთიდან ჩამოსულხართ-მეთქი. თქვენ გაგიკვირდათ.

- ყოველივე ეს საკმაოდ უბრალო ამბავია, - ვუთხარი ღიმილით. - თქვენ მაძებარ დიუპენს მაგონებთ, ედგარ ალან პოს გმირს. არაფრით არ მეგონა, რომ ასეთი ადამიანები სინამდვილეშიც არსებობენ.

შერლოკ ჰოლმსმა ჩიბუხს მოუკიდა.

- თქვენ, რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რაკი დიუპენს შემადარეთ, ამით მაამეთ, - შენიშნა დინჯად. - არა, სულაც არა ვარ დიდი წარმოდგენისა თქვენს დიუპენზე. თუმცა, უსათუოდ ჰქონდა ანალიზის ერთგვარი ნიჭი, მაგრამ ისეთი ფენომენიც არ ყოფილა, როგორადაც პო ხატავს.

- გაბორიოს თხზულებანი თუ წაგიკითხავთ? - ვკითხე მე. - ლეკოკი შეეფერება მაძებრის იდეალს?

შერლოკ ჰოლმსმა აგდებულად ჩაიცინა.

- ლეკოკი უბედური დოყლაპია იყო, - თქვა გაბრაზებით. - მხოლოდ ერთი უპირატესობა ჰქონდა - ენერგია. ეს წიგნი პირდაპირ გულს მირევს. მისი ამოცანა ის იყო, რომ უცნობი პატიმარი უნდა გამოეცნო. ამას ერთ დღე-ღამეში გავაკეთებდი. ლეკოკს კი ექვსი თვე დასჭირდა. ეს წიგნი შეიძლება მა-ძებრებს გამოადგეთ სახელმძღვანელოდ, საიდანაც გაიგებენ, თუ რას უნდა მოერიდონ.

«ეს ყმაწვილი კაცი მეტად ჭკვიანია, - ვთქვი ჩემთვის. - მაგრამ მეტისმეტად დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე».

- ჩვენს დროში აღარ ხდება დანაშაული და აღარ არიან დამნაშავენი, - განაგრძობდა გაბრაზებული ჰოლმსი. - აღარ ხდება-მეთქი ისეთი დანაშაული, რომლის ძიებაც იქნება საჭირო. თუ მაინცდამაინც მოხდა, შეიძლება ისე იოლი გამოსაცნობი წვრილმანი საძაგლობა და სიფლიდე იყოს, რომ სკოტლენდ-იარდის აგენტებიც კი გაართმევენ თავს.

მაღიზიანებდა მისი ზვიადი კილო და უმჯობესად ჩავთვალე საუბრის თემა შემეცვალა.

- საინტერესოა, რა უნდა უნდოდეს იმ უცნობს? - ვკითხე და ვუჩვენე სამოქალაქო სამოსელში გამოწყობილი წარმოსადეგი კაცი, რომელიც ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მიუყვებოდა და სახლების ნომრებს ათვალიერებდა. მას ხელში დიდი ლურჯი კონვერტი ეჭირა.

- ფლოტის გადამდგარ სერჟანტზე ამბობთ? - მკითხა ჰოლმსმა.

«მკვეხარა! - გავიფიქრე ჩემთვის. - იცის, რომ მის ვარაუდს ვერ შევამოწმებ».

ამის გაფიქრება ვერც კი მოვასწარი, რომ კაცმა, რომელზედაც ვლაპარაკობდით, ჩვენი სახლის ნომერი წაიკითხა და მყისვე ქუჩა გადმოჭრა. მაშინვე ზარის ხმამაღალი წკრიალი მოგვესმა. ამას მოჰყვა ხმადაბალი ლაპარაკი შემოსასვლელ კართან და მძიმე ნაბიჯის ხმა კიბეზე.

- პაკეტია მისტერ შერლოკ ჰოლმსის სახელზე, - თქვა შიკრიკმა და ოთახში შემოვიდა. შემთხვევა მომეცა ჰოლმსისათვის ნიშნი მომეგო.

- ნება მიბოძეთ გკითხოთ, - ვუთხარი შემოსულს თავაზიანად, - რა საქმიანობას ეწევით?

- შიკრიკი გახლავართ, სერ, - მიპასუხა ხრინწიანი ხმით. - ჩემი ფორმა დასაკერებლადაა ჩაბარებული.

- ადრე რა საქმიანობას ეწეოდით? - ვკითხე სტუმარს და დამცინავი თვალებით ჩემს თანამობინადრეს გადავხედე.

- სერჟანტი გახლდით, სერ. სამეფო ფლოტის ფეხოსანი, სერ. პასუხი არ იქნება?

- არის, სერ!

ქუსლი ქუსლზე მიარტყა, ხელი ქუდის წინაფრასთან მიიდო და გავიდა.

თ ა ვ ი |||
ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ი თ მ ო ც უ ლ ი ა მ ბ ა ვ ი
ლ ა უ რ ი ს ტ ო ნ გ ა რ დ ე ნ ზ ე

გამოგიტყდებით, რომ ჰოლმსის თეორიის პრაქტიკულმა ვარგისიანობამ და საბუთით დადასტურებამ გამაოცა. მისკენ გავიხედე. წერილის კითხვა ის იყო დაემთავრებინა და სივრცეში იყურებოდა. ეტყობოდა, მისი გონება სადღაც შორს ქროდა.

- მაინც რანაირად მიხვედით ასეთ დასკვნამდე? - ვუთხარი მე.

- რა დასკვნამდე? - მკითხა გაჯავრებულმა.

- რომ ის კაცი ფლოტის გადამდგარი სერჟანტია?

- წვრილმანებისათვის არა მცალია, - მიპასუხა მკვახედ. შემდეგ ღიმილით დაუმატა: - მაპატიეთ ჩემი უხეში საქციელი. თქვენ ფიქრის ძაფი გამიწყვიტეთ, მაგრამ არა უშავს. ამრიგად, თქვენ მართლა ვერ მიხვდით, რომ ის კაცი ფლოტის სერჟანტია?

- ვერა.

- გამოცნობა ისე არ მიჭირს ხოლმე, როგორც იმის ახსნა, თუ როგორ გამოვიცანი. ქუჩის მეორე მხარეზეც კი შევნიშნე მის ხელზე დიდი ლურჯი ჯვარის სვირინგი. ეს ზღვის ღუზა უნდა ყოფილიყო. მხედრული მიხრა-მოხრა ჰქონდა და ქილვაშებიც ისეთი, როგორიც ფლოტის წესდებითაა გათვალისწინებული. ესეც თქვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. იგრძნობოდა საკუთარი ღირსების შეგნება და

ბრძანებლობის ჩვევა. საშუალო ასაკის დარბაისელი, პატივსაცემი ადამიანია - ყოველივე ამან მაფიქრებინა, რომ ის კაცი სერჟანტია.

- საკვირველია! - შევძახე მე.

- სრულიად უბრალო ამბავია, - მიპასუხა ჰოლმსმა. - ეს არის ვთქვი, დამნაშავენი აღარ არიან-მეთქი. როგორც ჩანს, შევცდი. შეხედეთ! - და შიკრიკის მოტანილი წერილი გადმომიგდო. - ხმამაღლა ხომ ვერ წამიკითხავთ?

აი, წერილი, რომელიც ჰოლმსს წავუკითხე:

«ძვირფასო მისტერ შერლოკ ჰოლმს! ამ ღამეს ლაურისტონგარდენზე, ბრიქსტონ-როუდის №3 სახლში საშინელი ამბავი მოხდა. ჩვენმა პოლიციელმა შემოვლის დროს, ასე ღამის ორ საათზე, ერთ მიტოვებულ სახლში შუქი შენიშნა და რაკი სახლი უკაცური იყო, დაეჭვდა, რაღაც ურიგო საქმე უნდა ხდებოდესო. კარი ღია დახვდა და პირველსავე, სრულიად ცარიელ ოთახში კარგად ჩაცმული მამაკაცის გვამს წააწყდა, რომლის ჯიბეშიც აღმოჩნდა სადარბაზო ბარათები: «ენოქ ჯ. დრებერი, კლივლენდი, ოჰაიო, აშშ». ძარცვის კვალი არ ჩანს. სიკვდილის მიზეზიც აუხსნელია. ოთახში არის სისხლის კვალი, მაგრამ გვამზე ჭრილობა არა ჩანს. გაუგებარია, რანაირად მოხვდა ადამიანი ცარიელ სახლში. ძალიან უცნაური საქმეა. თუ დღის თორმეტამდე რომელსამე დროს მობრძანდებით, მითითებულ მისამართზე მნახავთ.

თქვენი ერთგული ტობიას გრეგსონი».

- გრეგსონი სკოტლენდიარდელი აგენტებიდან ყველაზე მარჯვე და მოსაზრებული კაცია. - შენიშნა ჰოლმსმა. - ის და ლესტრეიდი სხვებს სჯობიან. ორივე მკვირცხლია და ენერგიული, მაგრამ ბანალური, საშინლად ბანალური. ამას გარდა, კრიჭაში უდგანან ერთმანეთს და ისე ქიშპობენ, როგორც ორი მშვენიერი ბანოვანი. ძალიან თავშესაქცევი იქნება, თუ ორივე ერთ კვალზე მიუშვეს.

მე გაოცებული ვიყავი მისი სიმშვიდით, ის კი ლაქლაქს განაგრძობდა.

- წუთის დაკარგვაც არ შეიძლება, - შევძახე ბოლოს. - გნებავთ, ჩავალ და კებს დავუძახებ.

- ჯერ არ ვიცი, წავალ, თუ არა. წარმოიდგინეთ, რომ ეს საქმე გავხსენი. სულ ერთია, გრეგსონი, ლესტრეიდი და კომპანია მთელ პატივს თვითონ მიიწერენ, თუმცა, წავიდეთ და ვნახოთ. მე ძიებას ჩემებურად ჩავატარებ, ყოველ შემთხვევაში, მათი სეირით მაინც შევიქცევ თავს. გავემგზავროთ!

ერთი წუთის შემდეგ ეტლში ვისხედით და ბრიქსტონროუდისაკენ გიჟური სიჩქარით მივეშურებოდით. ჩემი თანამგზავრი კარგ გუნებაზე იყო და რაზე არ ყბედობდა. კრემონელ მევიოლინოეებზე, სტრადივარიუსისა და ამატის ვიოლინოების განსხვავებაზე.

- როგორც ვატყობ, არც თუ ისე ბევრს ფიქრობთ საქმეზე, რომლის ხელის მოკიდებაც იკისრეთ. - შევაწყვეტინე ბოლოს ჰოლმსს მუსიკალური ლაქლაქი.

- ჯერ არავითარი ფაქტი არ ვიცით, - მიპასუხა მან. - უხეში შეცდომაა თეორიული სჯა-ბაასი, როდესაც არაა მონაცემები. ასეთ დროს სწორად აზროვნება ჭირს და დანაშაულის გახსნაც ბრკოლდება. - შეჩერდი, მეეტლევ, შეჩერდი!

ასი იარდით ვიყავით დაშორებული სახლიდან, მაგრამ ჰოლმსი ეტლიდან გადმოვიდა და გზა ფეხით განვაგრძეთ.

ლაურისტონგარდენზე მდებარე №3 სახლი პირქუში და ავბედითი იერით გამოირჩეოდა. ეს იყო ერთ-ერთი იმ ოთხ სახლთაგანი, გზის შორიახლო რომ იდგა. ამ ოთხი სახლიდან ორში ჩასახლებული იყვნენ, ორიც უკაცური გახლდათ. ყოველ სახლს ქუჩის მხრიდან პატარა ბაღი ეკრა, ბაღებში გალეული ბუჩქები მიმოფანტულიყო და მათზე ვიწრო გზა გადიოდა. ყვითელი ნიადაგი, ეტყობოდა,

თიხისა და ხრეშის ნარევისაგან შედგებოდა. ღამით წვიმდა და მიწა ძალიან სველი იყო. ბაღს გარშემო ევლებოდა სამი ფუტის სიმაღლის აგურის ზღუდე, რომელსაც ზემოთ ხის ღობე გასდევდა. ღობეზე წარმოსადეგი კონსტებლი იდგა, ცნობისმოყვარეთა ჯგუფით გარშემორტყმული, კისერწაგრძელებულნი და თვალებდაჭყეტილნი რომ ლამობდნენ იმის დანახვას, რაც სახლში ხდებოდა.

საქმე ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ ჰოლმსი მაშინვე შევარდებოდა სახლში და მონდომებით შეუდგებოდა საიდუმლოებით მოცული შემთხვევის გამოკვლევას. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! უდარდელი კაცის იერით მოჰყვა ქვაფენილზე ბოლთის ცემას, უაზროდ იხედებოდა ცისკენ, ხან მიწას დაჰყურებდა და ხან ქუჩის მიღმა სახლებს ათვალიერებდა. დათვალიერებას რომ მორჩა, ნელა გაჰყვა გზას, უფრო გზის გასწვრივ წავიდა ბალახზე და თან მიწას თვალს არ აცილებდა. ორჯერ შეჩერდა და შევამჩნიე, კმაყოფილების წამოძახილთან ერთად გაეღიმა. სველ თიხნარში აშკარად ჩანდა ნაფეხურები, მაგრამ პოლიციელებს უკვე დაეტკეპნათ გზა და არავითარი იმედი არ მქონდა, რომ ჰოლმსი რაიმეს აღმოაჩენდა.

სახლის კარებში ერთი მაღალი, ფერმკრთალი, მოყვითალო სახის კაცი შემოგვხვდა, ხელში უბის წიგნაკი ეჭირა. ჰოლმსს მივარდა და მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

- დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრივ, რომ მობრძანდით, - უთხრა მან. - ყველაფერი ხელუხლებლად დავტოვე.

- ამას გარდა! - უპასუხა ჩემმა მეგობარმა და გათელილ გზაზე მიუთითა. - კამეჩების ჯოგიც ვერ არევ-დარევდა აქაურობას ასე. მაგრამ, ცხადია, თქვენ უკვე გააკეთეთ თქვენი დასკვნები, გრეგსონ, ვიდრე ამას ჩაიდენდით?

- შიგნითაც თავზე საყრელად მქონდა საქმე, - ბანზე აუგდო სიტყვა მაძებარმა. - ჩემი კოლეგა ლესტრეიდი აქ იმყოფება და იმედი მქონდა, რომ ამ საქმეს ის მოაგვარებდა.

ჰოლმსმა შემომხედა და წარბები გესლიანი ღიმილით აზიდა.

- ორი ისეთი გამოცდილი კაცის ნამუშევრის შემდეგ, როგორიც თქვენ და ლესტრეიდი ბრძანდებით, - თქვა ჰოლმსმა, - ძალიან ცოტა რამ დარჩებოდა გასაკეთებელი.

გრეგსონმა თვითკმაყოფილებით მოიფშვნიტა ხელები.

- ვფიქრობ, უკვე გავაკეთეთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, - თქვა მან დასასრულს.

- აქ კებით ხომ არ მოსულხართ?

- არა, სერ.

- არც ლესტრეიდი?

- არა.

- მაშ, შევიდეთ ოთახში.

ჰოლმსი გრეგსონის თანხლებით სახლში შევიდა. გრეგსონის სახეზე უკიდურესი გაოცება აღბეჭდილიყო.

პატარა მტვრიანი ფიცრული დერეფანი სამზარეულოში გადიოდა. დერეფანს ორი კარი ჰქონდა. ერთ-ერთი კარი, აშკარა იყო, ამ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში არავის გაეღო. მეორე კარი გადიოდა სამზარეულოში, სადაც უცნაური ამბავი მოხდა. ჰოლმსი ოთახში შევიდა და მეც უკან მივყევი.

დიდი, კვადრატული ფორმის ოთახი კიდევ უფრო მოზრდილი ჩანდა იმის გამო, რომ შიგ ავეჯი არ იდგა. კედლებზე მდარე და ჭყეტელა შპალერი იყო გაკრული, ალაგ-ალაგ სინესტეს გამოეჟონა და ლაქებით აეჭრელებინა თეთრი ქაღალდი. ზოგან

კიდევ შპალერის მთელი ზოლები აგლეჯილი ეკიდა, ქვეშ მოყვითალო ბათქაში ჩანდა. კარის პირდაპირ ჩინებული ბუხარი იყო, რომელსაც წინა ნაწილს თეთრი ხელოვნური მარმარილოს ფილა უმშვენებდა. ფილის კიდეზე ცვილის წითელი სანთლის ნამწვი იყო მიკრული. მქრქალი შუქი აღწევდა ერთადერთ ჭუჭყიან ფანჯარაში და ყველა საგანს რუხ ფერად ბურავდა. ირგვლივ ყველაფერი მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული.

მაგრამ ეს მე გვიან შევნიშნე. პირველსავე წუთს ჩემი ყურადღება მიიპყრო კუშტმა, უძრავმა გვამმა, იატაკზე რომ ეგდო. ეს იყო ასე ორმოცდასამი-ორმოცდაოთხი წლის მამაკაცი, საშუალო ტანისა, ფართო მხარბეჭიანი, შავი ხუჭუჭა თმა ჰქონდა და აჯაგრული პატარა წვერი. სქელი მაუდის სერთუკი და ჟილეტი ეცვა, ღია ფერის შარვალი, თოვლივით ქათქათა სამაჯეები და სუფთა საყელო მოუჩანდა: კარგად გაწმენდილი, ახალი ცილინდრი მის გვერდით იდო იატაკზე. ხელები გაშლილი დარჩენოდა, თითები ერთმანეთზე მიდებული, ფეხი ფეხზე გადადებული. გეგონებოდათ, სიკვდილის წინ მის გაქვავებულ სახეზე აღბეჭდილიყო შიშის ზარი, და როგორც მეჩვენა, ისეთი სიძულვილი, როგორიც მანამდე არასოდეს არ შემენიშნა ადამიანის სახეზე. ავბედითად მოკრუნჩხული პოზა, დაბალი შუბლი, ჩაჭყლეტილი ცხვირი და წინ წამოშვერილი ყბა მიცვალებულს მაიმუნს ამსგავსებდა. ჯერ არასოდეს არ მომჩვენებია სიკვდილი ეგზომ ზარდამცემი სახით, როგორც აქ, ამ ბნელ, ჭუჭყიან ოთახში ვნახე, საიდანაც ფანჯრები გადიოდა ლონდონის გარეუბნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე.

ლესტრეიდი, გამხდარი და ქრცვინის მსგავსი მაძებარი, კარებში იდგა და ისე მოგვესალმა.

შერლოკ ჰოლმსი გვამს მიუახლოვდა, დაიჩოქა და დათვალიერებას შეუდგა.

- დარწმუნებული ხართ, რომ ჭრილობა არა აქვს? - იკითხა მან და მაძებრებს სისხლის ლაქებზე მიუთითა.

- უეჭველად! - ერთხმად მიუგო ორთავემ.

- მაშინ ეს სისხლი მეორე პირისაა, ალბათ მკვლელისა, თუ ეს მკვლელობა იყო.

ჰოლმსის წვრილი თითები ხან აქ გაიელვებდა ხან იქ, ჩქმეტდა, აჭერდა, ხსნიდა, იკვლევდა, ამავე დროს კი მისი თვალები ინარჩუნებდა იმ განურჩეველ გამომეტყველებას, რაც ადრე შევნიშნე. ბოლოს ჰოლმსმა მიცვალებულის ტუჩები დაყნოსა და მისი ფეხსაცმელის ძირები გასინჯა.

- სრულიად არ დაგიძრავთ ადგილიდან? - ჰკითხა მოულოდნელად მან მაძებრებს.

- გასინჯვისას დავძარით.

- ახლა შეგიძლიათ საცხედრეში გადაასვენოთ. მეტს ვეღარაფერს გავიგებთ.

გრეგსონს საკაცე გაემზადებინა, მის ბრძანებაზე ოთხი მეჯინიბე შემოვიდა, გვამი ასწიეს და გაიტანეს. გვამს რომ სწევდნენ, ბეჭედი დავარდა და იატაკზე გაგორდა. ლესტრეიდმა ბეჭედს ხელი სტაცა და დააშტერდა.

- აქ ქალი ყოფილა! - შესძახა მაძებარმა. - ეს ქალის ნიშნობის ბეჭედია!

მან ბეჭედი ხელისგულზე დაიდო. ყველანი გარს შემოვეხვიეთ ლესტრეიდს. საეჭვო არ იყო, რომ ეს პრიალა ოქროს ბეჭედი ქალს ეკუთვნოდა.

- ეს ბეჭედი საქმეს ართულებს, - თქვა გრეგსონმა, - ამბავი კი უამისოდაც საკმაოდ დახლართულია!

- თქვენ არ ფიქრობთ, რომ ეს, პირიქით, ამარტივებს საქმეს? -შენიშნა ჰოლმსმა. - რა ნახეთ ჯიბეებში?

- ყველაფერი აქაა თავმოყრილი, - თქვა გრეგსონმა, და ჰოლმსი წინკარში შეიყვანა. - ოქროს საათი №97163, ლონდონური, ბეროს ფირმისა; ოქროს ძეწკვი, ძალიან მძიმე და მსხვილი; მასონთა ნიშნიანი ოქროს ბეჭედი; ბულდოგისთავიანი ოქროს ქინძისთავი, რომელსაც თვალები ლალისა აქვს; ტყავის საფულე სადარბაზო ბარათებით «ენოქ დ. დრებერი, კლივლენდი», რაც შეესაბამება თეთრეულის ნიშანს ე.დ.დ. დიდი ქისა არ ჩანს, მაგრამ ჯიბეში ფული აქვს - შვიდი გირვანქა და ცამეტი შილინგი; ბოკაჩიოს «დეკამერონი» პატარა ჯიბის ფორმატით გამოცემული, რომლის სატიტულო ფურცელზე ჯოზეფ სტანგერსონის სახელი აწერია; ორი წერილი, ერთი ე.დ.დრებერის, მეორე კი - ჯოზეფ სტანგერსონის სახელზე.

- რა მისამართით?

- ამერიქან-ექსჩეინჯ სტრენდი, მოკითხვამდე. ორივე წერილი ჰიიონის სახომალდო საზოგადოებიდანაა და ლივერპულიდან მიმავალი ხომალდების რეისთან აქვთ კავშირი. აშკარაა, ეს ბედასლი კაცი ნიუ-იორკში დაბრუნებას აპირებდა.

- სტანგერსონზე ცნობები მიიღეთ?

- ეს მაშინვე გავაკეთე, სერ, - უთხრა გრეგსონმა. - განცხადებები დავაგზავნე ყველა გაზეთში და ერთი ჩემი აგენტთაგანი გავუშვი ამერიქან-ექსჩეინჯში, მაგრამ ჯერ არ დაბრუნებულა.

- კლივლენდში გაგზავნეთ დეპეშა?

- დიახ, დღეს დილით.

- როგორ გააფორმეთ თქვენი მოთხოვნა?

- დაწვრილებით შევატყობინეთ საქმის გარემოება და შევუთვალეთ, რომ მადლობელი ვიქნებით ყოველგვარი ცნობისათვის, რამაც შეიძლება დახმარება გაგვიწიოს.

- ხომ არ გითხოვიათ ზოგიერთი წვრილმანი რაიმე ისეთ ამბებზე, რაც ამ საქმეში გადამწყვეტი გეჩვენათ?

- ვთხოვე სტანგერსონზე.

- სხვა არაფერზე? განა აქ არაფერია ისეთი, რაც შეიძლება მთელი საქმის ბერკეტი აღმოჩნდეს? კიდევ ხომ არ აპირებთ დეპეშის გაგზავნას?

- უკვე მოვითხოვე ყველაფერი, რისი მოთხოვნაც საჭიროდ მიმაჩნდა, - თქვა გრეგსონმა ნაწყენი კილოთი.

შერლოკ ჰოლმსმა გაიცინა და რაღაცის თქმა დააპირა, რომ ამ დროს ოთახში დარჩენილი ლესტრეიდი წინკარში გამოჩნდა. კმაყოფილი ჩანდა და ხელებს იფშვნეტდა.

- მისტერ გრეგსონ, - მიმართა კოლეგას. - ეს არის აღმოვაჩინე უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რაც შეუმჩნეველი დარჩებოდა, რომ კედლების გულმოდგინე კვლევა არ ჩამეტარებინა.

პატარა კაცუნას თვალები ისე უციმციმებდა, რომ ეგზალტაციას ძლივს იკავებდა.

- შემოდით აქ! - თქვა და უკან შევარდა. - დადექით აქ!

ასანთი ჩექმაზე გაჰკრა, აანთო და კედელთან მიიტანა.

- ერთი შეხედეთ! ადრე ვამბობდი, ალაგ-ალაგ შპალერი კედელს მოსცილებია- მეთქი. ოთახის ამ კუთხეში შპალერის დიდი მოზრდილი ნაწილი მოგლეჯილი იყო და ყვითელი ბათქაშის კვადრატი ჩანდა. ცარიელ ადგილზე წითელი, სისხლისფერი ასოებით ეწერა ერთი სიტყვა: «კფსრუ».

- რას იტყვით ამაზე? - შესძახა მაძებარმა. - ეს ოთახის ყველაზე ბნელი კუთხეა და ფიქრად არავის მოსვლია აქ შემოხედვა. მკვლელმა ეს სიტყვა თავისი სისხლით დაწერა. შეხედეთ, წარწერის ქვეშ გუბეა. ეს, ყოველ შემთხვევაში, აქარწყლებს თვითმკვლელობის ვარაუდს. რატომ შეარჩია წარწერისათვის სწორედ ეს კუთხე? მოგახსენებთ, ხედავთ სანთელს ბუხარზე? იმ დროს ეს სანთელი ანთებული იყო და სწორედ ეს კუთხე იყო ყველაზე უკეთ განათებული.

- რა მნიშვნელობა აქვს თქვენს აღმოჩენას საქმისათვის? - ჰკითხა გაბრაზებულმა გრეგსონმა.

- რა მნიშვნელობა აქვს? ეს გვიჩვენებს, რომ დამწერს უნდოდა გამოეყვანა ქალის სახელი კფსრუდ, მაგრამ მკვლელს წერაში ხელი შეუშალეს. დაიმახსოვრეთ, როცა ამ საქმეს შუქი მოეფინება, აღმოჩნდება, რომ მასში გარეულია ვიღაც ქალი, სახელად რაშელი. ტყუილად იცინით, მისტერ შერლოკ ჰოლმს. თქვენ ძალიან გამჭრიახი გონების პატრონი ხართ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მოხუცი ადამიანები იშვიათად ცდებიან.

- გთხოვთ მაპატიოთ, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა, რომელმაც თავისი თავშეუკავებელი სიცილით ეს პატარა კაცუნა წონასწორობიდან გამოიყვანა. - თქვენ, რა თქმა უნდა, აქ მყოფთა შორის პირველმა აღმოაჩინეთ და სწორად შენიშნეთ, რომ წარწერა ამ საიდუმლოებით მოცული ამბის მეორე მონაწილემ გააკეთა. ჯერ კიდევ არ მქონია დრო ოთახის შესასწავლად, მაგრამ თქვენი ნებართვით ამ საქმეს ახლა შევუდგები.

ჰოლმსმა ჯიბიდან ამოიღო რულეტი და გამადიდებელი შუშა. ამ ორი ხელსაწყოთი შეიარაღებული, უხმაუროდ დადიოდა ოთახში. დროდადრო შეჩერდებოდა და დაიჩოქებდა ხოლმე. ერთხელ პირქვეც კი დაწვა იატაკზე. თავისი საქმიანობით გართულმა, მგონი, კიდევაც დაივიწყა ჩვენი არსებობა, - და განუწყვეტლივ რაღაცას ბუტბუტებდა. ოციოდე წუთი გაგრძელდა მისი კვლევა-ძიება, თან ზუსტად ზომავდა მანძილებს ნაკვალევებს შორის, რომელთაც მე სულ ვერ ვამჩნევდი. თავისი რულეტით კედელზე ჩემთვის სრულიად გაუგებარ გაზომვებს ახდენდა. ერთგან მტვერი აიღო და კონვერტში ჩადო. ბოლოს ლინზის შემწეობით შეამოწმა წარწერა კედელზე, შემდეგ ლინზა და რულეტი ჯიბეში შეინახა.

- ამბობენ, რომ გენიალობა შრომისა და გარჯის დაუშრეტელი უნარია, - შენიშნა მან ღიმილით.- ეს ძალიან ცუდი განსაზღვრაა, მაგრამ სრულიად გამოსადეგი კია მაძებრისათვის.

გრეგსონი და ლესტრეიდი დიდი ყურადღებითა და ერთგვარი სიძულვილით ადევნებდნენ თვალყურს მოყვარული მაძებრის მანევრებს. აშკარად არ ესმოდათ ის, რაც ახლა ჩემთვის ნათელი ხდებოდა: ვერ ამჩნევდნენ, რომ შერლოკ ჰოლმსის მთელი მოქმედება მიმართული იყო ერთი გარკვეული პრაქტიკული მიზნისაკენ.

- რა აზრისა ხართ მკვლელობის ამბავზე? - იკითხა ორთავემ ერთდროულად.

- ჩემი მხრივ თავის ამაო დაიმედება იქნება იმის ვარაუდი, რომ შემიძლია რაიმე დახმარება გაგიწიოთ, - შენიშნა ჩემმა მეგობარმა. - თუ მაცნობებთ ხოლმე, როგორ მიმდინარეობს თქვენი კვლევა-ძიება, სიამოვნებით დაგეხმარებით, რითაც შევძლებ. ჯერ კი მინდა მოველაპარაკო იმ კონსტებლს, რომელმაც გვამი აღმოაჩინა. ხომ ვერ მეტყვით იმის სახელსა და მისამართს?

ლესტრეიდმა თავის უბის წიგნაკში ჩაიხედა.

- ჯონ რენსი, - თქვა მან. - ახლა თავისუფალია, სცალია. შეგიძლიათ ნახოთ ოდლეი-კორტში, კენსინგტონ პარკ-გეიტის №46 სახლში.

ჰოლმსმა მისამართი ჩაიწერა.

- წავიდეთ, უოტსონ, - მომიბრუნდა. - მოვნახოთ. რაღაც მინდა გითხრათ, გამოგადგებათ, - მიმართა მაძებრებს. - ჩადენილია მკვლელობა, მკვლელი მამაკაცია, ექვს ფუტზე მაღალი, ახალგაზრდა, თავისი სიმაღლისათვის მეტისმეტად პატარა ფეხები აქვს. უხეში ფეხსაცმელი აცვია, ფართო ლანჩებიანი და ტრიქინოპოლურ სიგარებს ეწევა. აქ თავისი მსხვერპლის თანხლებით ჩამოვიდა ოთხბორბლიანი კებით, რომელშიაც შებმული იყო ცხენი, დაჭედილი სამი ძველი და ერთი ახალი ნალით. ახალი ნალი წინა ფეხზე აქვს... მგონი, მკვლელი ლოყებღაჟღაჟაა, მარჯვენა ხელის ფრჩხილები კი მეტისმეტად გრძელი უნდა ჰქონდეს.

ლესტრეიდმა და გრეგსონმა ერთიმეორეს გადახედეს და უნდობლად გაიღიმეს.

- თუ ეს კაცი მოკლეს, რანაირად? - ჰკითხა ლესტრეიდმა.

- შხამით, - მოკლედ მიუგო შერლოკ ჰოლმსმა და გასასვლელისაკენ გაემართა. - ერთიც, ლესტრეიდ, - დაუმატა მან, კართან რომ მივიდა. - «კფსრუ» გერმანული სიტყვაა და ნიშნავს «შურისძიებას». ამიტომ მეტისმეტად ბევრ დროს ნუ დავკარგავთ ვინმე რაშელის მოსაძებნად.

ისარივით გესლიანი სიტყვა რომ წარმოთქვა, ჰოლმსი გარეთ გავიდა და გაკვირვებისაგან პირდაღებული მაძებრები უკაცურ სახლში დატოვა.

თავი |V
რა გვიამბო ჯონ რენსმა

დღის პირველ საათზე გამოვედით ლაურისტონგარდენის 13 სახლიდან. შერლოკ ჰოლმსი ტელეგრაფის უახლოეს განყოფილებაში შევიდა და გრძელი დეპეშა გაგზავნა. შემდეგ კები დაიბარა და უბრძანა იმ მისამართით წასვლა, ლესტრეიდმა რომ მოგვცა.

- ვერაფერი შეედრება პირად შთაბეჭდილებას, - თქვა მან. - მე უკვე მაქვს სრული წარმოდგენა ამ საქმეზე, მაგრამ რას დავკარგავთ, თუ ყველაფერს გავიგებთ, რისი გაგებაც კი შეიძლება?

- თქვენ მაოცებთ, ჰოლმს, - შევნიშნე მე. - რა თქმა უნდა, თქვენი ვარაუდისა თქვენ თვითონ არა გჯერათ, მაგრამ ისეთ სახეს იღებთ, ვითომ ამ წვრილმანებიდან გამოტანილი ყველა დასკვნა სრულ ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ.

- აქ არ შეიძლება დაკვირვებული და ფხიზელი კაცის გონებამ მცდარი დასკვნა გამოიტანოს, - მიპასუხა ჰოლმსმა, - პირველი, რაც მე შევნიშნე ჩამოსვლისას, ეს იყო კების ბორბლების ორი კვალი. გუშინდელ ღამემდე მთელი კვირა არ ყოფილა წვიმა. მაშასადამე, ეს ღრმა კვალი კებს ღამით დაუტოვებია. ვნახე აგრეთვე ნალების კვალი, ამასთან ერთი უფრო გარკვეულად ჩანდა, საიდანაც აშკარაა, რომ ეს ერთი ნალი დანარჩენებზე ახალი ყოფილა. რამდენადაც კები აქ იყო წვიმის დაწყებამდე და დილას აღარ გახლდათ, რისი თავდებიცაა გრეგსონი, აქედან დავასკვენი, რომ კები აქ ყოფილა ღამით, და მაშასადამე, მიტოვებულ სახლში მოუყვანია ეს ორი სუბიექტი.

- ამის დადგენა საკმაოდ იოლია, - ვუთხარი მე. - მაგრამ მეორე კაცის სიმაღლე როგორღა დაადგინეთ?

- უბრალოდ, ათი შემთხვევიდან ცხრაში სიმაღლის განსაზღვრა ხერხდება ნაბიჯის მიხედვით. მე გავზომე იმ ყმაწვილის ნაბიჯი თიხნარ გზაზე და იატაკის მტვერშიც... ამას გარდა, შევამოწმე ჩემი ანგარიში. როცა ადამიანი კედელზე წერს, ინსტინქტურად წერს თავისი თვალების სიმაღლეზე. წარწერა იატაკიდან დაახლოებით ექვსი ფუტის სიმაღლეზე იყო გაკეთებული.

- ასაკი?

- თუ მამაკაცი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ოთხნახევარფუტიან ნაბიჯს დგამს, არც ძუძუმწოვარი იქნება და არც ბერიკაცი. ამ ზომისა იყო გუბე ბაღში, მომავალ გზაზე, რომელზეც მკვლელს გადაუბიჯებია. ძვირფასი ტყავის ჩექმებს ტბორისათვის შემოუვლიათ, ფართოლანჩებიან, უხეშ ფეხსაცმელებს კი ზედ გადაუბიჯებიათ. კიდევ გაოცებთ რამე?

- ფრჩხილები და ტრიქინოპოლური სიგარები?

- კედელზე წარწერა გაკეთებულია მამაკაცის სისხლში ამოვლებული საჩვენებელი თითით, ჩემი ლუპით გავარკვიე, რომ ბათქაში გაჩხაპნილია, რაც არ მოხდებოდა, დამწერს ფრჩხილები წაკვეთილი რომ ჰქონოდა. იატაკიდან ცოტაოდენი ფერფლი ავხვეტე, მუქი და ფანტელის მსგავსი. ასეთი ფერფლი მხოლოდ ტრიქინოპოლურ სიგარებს აქვთ. სპეციალურად მაქვს შესწავლილი ეს სიგარა და შრომაც კი დამიწერია ამაზე. ვამაყობ იმით, რომ ფერფლის მიხედვით შემიძლია გავარკვიო ყოველგვარი თამბაქოს ან სიგარის ხარისხი.

- ღაჟღაჟა სახე?

- აა! ეს კი უფრო თამამი მტკიცება იყო, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ არ შევმცდარვარ.

- თავში ისე მერევა ყველაფერი, რომ ერთი გარკვეული აზრი ვერ გამომიტანია, - შევნიშნე მე. რაც მეტს ვფიქრობ, ჩემი აზრით, მით უფრო მეტი იდუმალებითაა მოცული ეს საქმე. როგორ მოხვდა ეს ორი კაცი - თუ მართლა ორნი იყვნენ - უკაცურ სახლში? რა მოუვიდა კებმენს, რომელმაც ისინი აქამდე მოიყვანა? როგორ აიძულა ერთმა ადამიანმა მეორე, რომ შხამი დაელია? საიდანაა სისხლი? რა მიზანი ამოქმედებდა მკვლელს, თუ გაძარცვის განზრახვა არ ჰქონია? საიდანაა ქალის ბეჭედი? და, უპირველეს ყოვლისა, რისთვის დასჭირდა მკვლელს წასვლის წინ გერმანული სიტყვის «კფსრუ»-ს დაწერა?

ჩემმა თანამგზავრმა თავმომწონედ გაიღიმა.

- თქვენ ძალიან მარჯვედ და ზუსტად ჩამოთვალეთ შექმნილი მდგომარეობის სიძნელენი, - მითხრა მან. - ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია, თუმცა მთავარი ფაქტების სისწორეში ეჭვი არ მეპარება. რაც შეეხება საბრალო ლესტრეიდის აღმოჩენას, ეს მხოლოდ იმისი ცდაა, რომ პოლიცია მცდარ გზაზე დაეყენებინათ. ისე ასო ა, როგორც შენიშნეთ, გოთურსა ჰგავს. ამასთან ნამდვილი გერმანელი ყოველთვის ლათინური შრიფტით წერს. მე სხვა რამეს გეტყვით: ძვირფასი ტყავისა და ფართოლანჩიანი იაფფასიანი ფეხსაცმლის პატრონები კებით ერთად ჩამოსულან, გზაზედაც ერთად უვლიათ, მხარდამხარ, შეიძლება ხელიხელჩაკიდებულთაც. სახლში რომ შესულან, წინ და უკან ერთად უვლიათ, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძვირფასი ტყავისჩექმებიანი კაცი ერთ ადგილზე მდგარა, ფართოლანჩიანი ფეხსაცმლის პატრონი კი, ეტყობა, ბოლთას სცემდა. ეს ყველაფერი მტვერზე ამოვიკითხე, და ისიც წავიკითხე, რომ მოსიარულე კაცი სულ უფრო ღელავდა, წიწმატდებოდა. ამაზე მეტყველებს მისი ნაბიჯის სიგრძე, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ეტყობა, იგი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და გაშმაგებამდე მისულა, მაშინ გათამაშდა ტრაგედიაც. უკვე ყველაფერი გითხარით, რაც ვიცი. ჩვენ კარგი ბაზა გვაქვს შემდგომი მუშაობისათვის.

ასე ვსაუბრობდით, ვიდრე კები ტალახიან ქუჩებსა და პირქუშ მოსახვევებში მიიკვლევდა გზას. ყველაზე უფრო ტალახიან და პირქუშ ადგილას კებმენმა უეცრად შეაჩერა ეტლი.

- აი, ოდლეიკორტი, - წარმოთქვა და გვიჩვენა ვიწრო გასასვლელი აგურის შენობებს შორის. - აქ დაგელოდებით.

ამ ვიწრო გასასვლელს გავყევით და უბადრუკი ნამცეცა სახლებით გარშემორტყმულ პატარა მოედანზე გავედით. ჩავუარეთ პირდაუბანელი ბავშვების გუნდს, გავცდით სარეცხის თოკებზე გაფენილ ღარიბულ თეთრეულს და მივაღწიეთ №46 სახლამდე, რომლის სპილენძის ფირფიტაზე ეწერა რენსის სახელი. კონსტებლი ლოგინში იწვა და ჩვენ პატარა სასტუმრო ოთახში დაცდა გვიბრძანეს.

მასპინძელი მაშინვე გამოვიდა. ეტყობოდა, უკმაყოფილო იყო იმით, რომ სიმშვიდე დავურღვიეთ.

- განყოფილებაში უკვე ყოველივე მოვახსენე, - გვითხრა მან.

ჰოლმსმა ჯიბიდან ოქროს მონეტა ამოიღო და შეათამაშა.

- ჩვენ გვინდოდა ყოველივე ეს თქვენგან მოგვესმინა, - უთხრა მან.

- სიამოვნებით მოგიყვებით, რაც ვიცი, - მიუგო კონსტებლმა და მზერა ოქროს დისკოს მიაპყრო.

რენსი დივანზე მოკალათდა და წარბები შეიკრა, თითქოს შეეცადა თავისი მოთხრობიდან არაფერი გამოეტოვებინა.

- ჩემი მორიგეობა გრძელდება საღამოს ათი საათიდან დილის ექვსამდე, - დაიწყო მან. - საღამოს შემოვლისას ყველაფერი თავის რიგზე იყო. ღამის პირველ საათზე გაწვიმდა. ჰარი მარშერს შევხვდი, ერთად ვიდექით ჰენრიეტასტრიტზე და ვსაუბრობდით. მოგვიანებით, ორ საათზე, თუ ცოტა უფრო გვიან, გადავწყვიტე, გამევლო და გამეგო, ყველაფერი წესრიგში თუ იყო ბრიქსტონროუდზე. გზად კაციშვილი არ შემხვედრია, თუმცა ერთმა თუ ორმა კებმა ჩამიარა. უცებ, სწორედ იმ სახლში შუქი დავინახე. ვიცოდი, რომ ამ ორ სახლში ლაურისტონგარდენზე არავინ ცხოვრობდა. ამიტომ ძალიან შემაშინა ცეცხლმა, ფანჯრიდან რომ დავინახე, და გავიფიქრე, უბედურება ხომ არაფერი მომხდარა-მეთქი. როცა კართან მივედი...

- თქვენ შეჩერდით და უკანვე წახვედით ჭიშკრისაკენ, - შეაწყვეტინა ჩემმა მეგობარმა. - რატომ მოიქეცით ასე?

- ვერაფერს ვიტყვი, ეს ასე იყო, სერ, - მიუგო კონსტებლმა. - თუმცა ვერაფრით გამიგია, საიდან იცით ეს! კართან რომ მივედი, ისეთი სიჩუმე იდგა და ისეთი თავზარი დამეცა, რომ გავიფიქრე, ხომ არავის დავუძახო-მეთქი. ჰოდა, უკან წავედი ჭიშკრისაკენ, იქნებ სადმე მარშერი ვნახო-მეთქი, მაგრამ ვერც ის ვნახე და ვერც სხვა ვინმე.

- ქუჩაში არავინ იყო?

- კაცის ჭაჭანება არ ჩანდა, ძაღლიც კი არსად იყო. შემდეგ გული გავიმაგრე, სახლისაკენ გამოვბრუნდი და კარი შევაღე. შიგ სიწყნარე სუფევდა და მეც შევედი ოთახში, სადაც შუქი ენთო. ბუხარზე სანთელი ციმციმებდა - წითელი ცვილის სანთელი - და მის შუქზე მე დავინახე...

- დიახ, ყველაფერი ვიცი, რაც დაინახეთ. თქვენ რამდენჯერმე შემოუარეთ ოთახს, დაიჩოქეთ გვამის წინ, მერე გამოხვედით, სამზარეულოს კარის შეღება სცადეთ, შემდეგ...

- სად იმალებოდით? - შეჰყვირა რენსმა. - თქვენ ბევრად მეტი იცით, ვიდრე უნდა იცოდეთ.

ჰოლმსმა გაიცინა და მაგიდაზე თავისი სადარბაზო ბარათი დააგდო.

- ნუ დააპირებთ ჩემს დაპატიმრებას მკვლელობაში ეჭვმიტანის გამო, - უთხრა მან კონსტებლს. - მე ძაღლების ხროვიდან გახლავართ და არა მგელი. განაგრძეთ! შემდეგ რა გააკეთეთ?

რენსი ისევ დაჯდა დივანზე.

- ჭიშკართან დავბრუნდი და დავუსტვინე. სასტვენის ხმაზე მოვიდა მარშერი და ორიც სხვა.

- ქუჩაში ამ დროს არავინ იყო?

- ჰო, შეიძლება ითქვას, რომ არავინ, თუ რაიმეში გამოსადეგ ადამიანებს მივიღებთ მხედველობაში.

- ამით რა გინდათ თქვათ?

- ბევრი მთვრალი მინახავს ჩემს ცხოვრებაში, - თქვა რენსმა, - მაგრამ არასოდეს არ მინახავს, რომ ადამიანი ასე გალეშილი ყოფილიყო. ჭიშკრიდან რომ გამოვბრუნდი, ის კაცი ზღუდეზე იყო მიყრდნობილი და ხმაჩახლეჩილი გაჰყვიროდა რაღაც სიმღერას. ფეხზე ვერ იდგა და ჩვენ მით უმეტეს რა დახმარებას გაგვიწევდა!

- როგორ გამოიყურებოდა? - ჰკითხა შერლოკ ჰოლმსმა.

- ერთი გამტყვრალ-გალეშილი ახმახი კაცი იყო. ასე მოუცლელი რომ არ ვყოფილიყავით, განყოფილებაში მოხვდებოდა.

- რანაირი სახე ჰქონდა, რა ეცვა, ნუთუ ეს არ შეგინიშნავთ? - მოუთმენლად შეაწყვეტინა ჰოლმსმა.

- როგორ არა, შევნიშნე. მე და მარშერმა ხომ ხელით შევაკავეთ. მაღალი იყო, სახე უღაჟღაჟებდა, მოსასხამში გახლდათ გახვეული...

- საკმარისია! - შესძახა ჰოლმსმა. - საით წავიდა?

- უიმისოდაც გვყოფნიდა საქმე, - გაბრაზებით მიუგო კონსტებლმა, - თავდები ვარ, შინ მშვიდობით მივიდოდა.

- რა ეცვა?

- ყავისფერი მოსასხამი.

- ხელში წკნელი ეჭირა?

- წკნელი? არა.

- ჩანს, დაავიწყდა აღება, დარჩა წკნელი, - ჩაიბუტბუტა ჰოლმსმა. - ამის შემდეგ არ დაგინახავთ კები? ბორბლების ხმა არ გაგიგონიათ?

- არა.

- ინებეთ ეს ნახევარი სოვერენი, - უთხრა ჩემმა თანამგზავრმა და წამოდგა. - მე მგონია, რენს, რომ სამსახურში ვერასოდეს წინ ვერ წაიწევთ. თავი ადამიანს საქმისათვის უნდა ებას, მარტო სამკაულად კი არა. თქვენ შეგეძლოთ გუშინ ღამით სერჟანტის ნიშანი დაგეკერებინათ. კაცი, თქვენ რომ ხელთ გეკავათ, სწორედ ის გახლავთ, რომელსაც ვეძებთ. ამაზე დავა აღარ ღირს. წავიდეთ, ექიმო.

წავედით ისე, რომ ჩვენი მასპინძელი მაინც საკმაოდ გუნებაწამხდარი დავტოვეთ.

- რა გამოთაყვანებული ლენჩია! - მწარედ ჩაილაპარაკა ჰოლმსმა, შინ რომ მივეშურებოდით, - ასეთი შეუდარებელი შემთხვევა მიეცა, თვითონ კი, დოყლაპიობა გამოიჩინა და ვერ გამოიყენა.

- არაფერი მესმის. მართალია, იმ კაცის აღწერა შეესაბამება თქვენს წარმოდგენას დრამის მეორე მონაწილეზე. მაგრამ რისთვის დასჭირდა იმავე სახლში დაბრუნება? განა დამნაშავეები ასე იქცევიან?

- ბეჭედი! ბეჭედი! გაიგეთ! ბეჭდისათვის დაბრუნდა. თუ მკვლელის შეპყრობის სხვა ღონისძიება ვერ გამოინახა, ეს ბეჭედი შეგვიძლია გამოვიყენოთ სატყუარად. მე დავიჭერ იმ ვაჟბატონს, ექიმო! შემიძლია ნაძლევი დავდო, რომ შევიპყრობ. თქვენი მადლობელი უნდა ვიყო. თქვენ რომ არა, არ წავიდოდი და ხელიდან გავუშვებდი ამ ფრიად საინტერესო დევნას, როგორიც კი ჩემს პრაქტიკაში შემხვედრია, ალისფერი

კვალის მიყოლასა და დევნას. მკვლელის კვალი ალისფერი ძაფივიც გასდევს ცხოვრების დახლართულ ქსელს, და ჩვენი ვალია მივყვეთ ამ ძაფს, აღმოვაჩინოთ იგი და გამოვამჟღავნოთ ძაფის უწვრილესი ნაწილაკები. ახლა კი ვისაუზმოთ და მერე ნორმან ნერუდის მოსასმენად კონცერტზე წავალ.

თავი V
ჩვენს განცხადებას სტუმარი გამოეხმაურა

ჰოლმსი ძალიან გვიან დაბრუნდა. ამდენ დროს კონცერტი ვერ წაართმევდა. როცა დაბრუნდა, სადილი უკვე მაგიდაზე დაუხვდა.

- რა მოგსვლიათ? - მომიბრუნდა მე. - ცუდი გამომეტყველება გაქვთ. ბრიქსტოუნროუდის ამბავმა ხომ არ შეგაწუხათ?

- გამოგიტყდებით, და სწორედ ასეა.

- მესმის. ეს საქმე საიდუმლოებითაა მოცული, საიდუმლოება კი გვაღელვებს. ნახეთ საღამოს გაზეთები?

- არა.

- საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი მომხდარი ამბავი. მაგრამ ქალის ნიშნობის ბეჭედზე არაფერია ნათქვამი. ძალიან კარგი, რომ ნახსენებიც არაა.

- რითაა კარგი?

- ნახეთ განცხადება? - მკითხა ჰოლმსმა. - მე გავაგზავნინე განცხადების ეს ტექსტი ყველა რედაქციაში მაშინვე, როგორც კი ლაურისტონგარდენის სახლიდან დავბრუნდით.

გაზეთი გადმომცა და წავიკითხე პირველი განცხადება იმ სვეტში, რომლის სათაური იყო: «ნაპოვნია».

«ბრიქსტონროუდის რაიონში, უაიტგარტის ტრაქტირსა და ჰოლანდგროვს შორის გამავალ გზაზე ნაპოვნია საქორწინო ოქროს ბეჭედი. მიმართეთ დოქტორ უოტსონს 221-ბ, ბეიკერსტრიტი, საღამოს რვიდან ცხრა საათამდე».

- მაპატიეთ, რომ თქვენი სახელით ვისარგებლე, - მითხრა ჰოლმსმა. - ჩემი სახელი რომ მომეთავსებინა, რომელიმე სკოტლენდიარდელი შტერი შეეცდებოდა ამ საქმეში ჩარევას.

- საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ დავუშვათ, რომ ვინმე მოვიდა. მე ხომ ბეჭედი არა მაქვს!

- ო, ბეჭედი გაქვთ, - მითხრა ჰოლმსმა და ბეჭედი გადმომცა. - საუცხოოდ გამოდგება. თითქმის ზუსტი ასლია.

- თქვენი აზრით, ვინ გამოეხმაურება ამ განცხადებას?

- ყავისფერმოსასხამიანი კაცი, ჩვენი ლოყებღაჟღაჟა მეგობარი, ბლაგვცხვირიანი ჩექმების პატრონი. თუ თვითონ არ მოვა, თავის თანამზრახველს გამოგზავნის.

- მერე ასეთ საქციელს სახიფათოდ არ მიიჩნევს?

- სრულიადაც არა. თუ საქმის შინაარსი სწორად გავიგე, და საფუძველი მაქვს, ასე ვიფიქრო, მაშინ ის კაცი ყველაფერს სასწორზე დადებს, ოღონდ ბეჭედი დაიბრუნოს. ჩემი ვარაუდით ბეჭედი მაშინ დაუვარდა, როდესაც დრებერის გვამზე დაიხარა. ხოლო მისი დაკარგვა მაშინღა შეამჩნია, როცა სახლიდან გამოვიდა. იმწამსვე უკან გაეშურა, მაგრამ შეეფეთა პოლიციელებს, რომლებიც ანთებული სანთლით საკუთარ კვალზე თვითონვე დააყენა. ეჭვი რომ თავიდან აეცილებინა, სიმთვრალე მოიგონა. თქვენი თავი წარმოიდგინეთ მის მდგომარეობაში. მოგვიანებით ყველაფერი რომ განსაჯა, რაც მოხდა, შესაძლებელია, იმ აზრამდე

მივიდა, რომ ბეჭედი სადმე გზაში დაკარგა, მას შემდეგ, რაც სახლიდან გამოვიდა. რას იზამს ასეთ შემთხვევაში? მოუთმენლად დაელოდება საღამოს გაზეთებს იმ იმედით, რომ დაკარგულ ბეჭედს იპოვის. ამ განცხადებას წაიკითხავს და აღტაცებული დარჩება. რატომ უნდა შეეშინდეს ხაფანგის? არავითარი საფუძველი არა აქვს იფიქროს, რომ ნაპოვნი ბეჭედი შეიძლება ვინმემ მკვლელობას დაუკავშიროს. ერთი საათის შემდეგ თქვენ მას ნახავთ.

- მაშინ? - ვკითხე მე.

- ო, მე მომანდეთ მასთან ანგარიშსწორება. იარაღი გაქვთ?

- ჩემი რევოლვერი მაქვს და რამდენიმე ვაზნა.

- კარგს იზამდით, თუ გაწმენდდით და სასროლად მოამზადებდით. იგი თავზე ხელაღებული კაცია, და თუმცა თავს მოულოდნელად დავესხმი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ჩემს ოთახში გავედი და ჰოლმსის რჩევას მივყევი. უკან რომ დავბრუნდი, მაგიდა აულაგებელი დამხვდა. ჰოლმსი თავის საყვარელ ვიოლინოს უკრავდა.

- კვანძი შეიკრა, - თქვა მან. - ეს-ესაა ამერიკაში გაგზავნილ დეპეშაზე პასუხი მივიღე, ჩემი თვალსაზრისი მართლდება.

- სახელდობრ?

- რევოლვერი ჯიბეში ჩაიდეთ, როცა ის ვაჟბატონი გამოცხადდება, სრულიად ძალდაუტანებელი კილოთი ელაპარაკეთ. დანარჩენი ჩემზე იყოს. მეტისმეტად ჩაცივებული მზერით არ შეაშინოთ.

- უკვე რვა საათია, - ვთქვი და საათი ვუჩვენე.

- დიახ. ალბათ რამდენსამე წუთში აქ გაჩნდება. ოდნავ გამოაღეთ კარი. კმარა. გასაღები შიგნიდან ჩატოვეთ. გმადლობთ! მგონი, მოდის.

ამ დროს გაისმა ზარის წკრიალი. შერლოკ ჰოლმსი ადგა და თავისი სავარძელი კართან მისწია. გავიგონეთ ვესტიბიულისაკენ მიმავალი მოსამსახურე ქალის ნაბიჯის ხმა, მერე გარე კარის ურდულმა ხმამაღლა გაიჩხაკუნა.

- აქ ცხოვრობს დოქტორი უოტსონი? - იკითხა მკაფიო, მაგრამ საკმაოდ უხეშმა ხმამ. მოსამსახურის ხმა არ გაგვიგონია, მაგრამ გავიგონეთ, როგორ გაიჭრიალა კარმა შემოსასვლელში. ვიღაც კიბეზე ამოდიოდა. უთანაბრო, გაუბედავი ნაბიჯის ხმა იყო, უცნობი ფეხებს მოაფლატუნებდა. ჩემს მეგობარს სახეზე გაოცების ჩრდილმა გადაუქროლა. ნაბიჯების ხმა დერეფანში ახლოვდებოდა, ბოლოს კარზე სუსტად დააკაკუნეს.

- შემობრძანდით! - დავიძახე მე.

მრისხანე მამაკაცს ველოდით, მაგრამ მის ნაცვლად კარებში კოჭლი, დაღმეჭილი მოხუცებული დედაკაცი გამოჩნდა. ეტყობოდა, კაშკაშა შუქმა თვალი მოსჭრა, და რამდენჯერმე თავის დაკვრის შემდეგ შეჩერდა, უსიცოცხლო თვალები დაახამხამა და თან აცახცახებული თითებით ჯიბის ქექვა დაიწყო. ჩემს მეგობარს გადავხედე და მის სახეზე ისეთი სასოწარკვეთილება ამოვიკითხე, რომ თავის შეკავება გამიჭირდა. კუდიანმა ბებრუცუნამ, როგორც იქნა, ამოიღო საღამოს გაზეთი და ჩვენი განცხადება გვიჩვენა.

- იმისათვის მოვედი, კეთილო ბატონებო, - და ისევ დაგვიკრა თავი, - ოქროს საქორწინო ბეჭედი გიპოვნიათ ბრიქსტონროუდზე. იგი ჩემს ასულს სალის ეკუთვნის, რომელიც სულ ამ ერთი წლის წინ გათხოვდა, მისი ქმარი კი გემზე მიმტანად მსახურობს. იმის გაფიქრებაც კი მაშინებს, რას იტყვის, შინ რომ მოვიდეს და სალი უბეჭდოდ დაინახოს. ისედაც ავი ზნისაა და რომ დათვრება, მაშინ ხომ პირდაპირ უბედურებას გადავეყრებით. გუშინ ცირკში წავიდა სალი და...

- ეს არის მისი ბეჭედი? - ვკითხე მე.

- მადლი შენდა, უფალო! - შეჰყვირა დედაბერმა. - სალი ბედნიერი იქნება. სწორედ იმისი ბეჭედი გახლავთ.

- თქვენი მისამართი? - ჩავეკითხე ისევ მე.

- სახლი №13 დუნკანსტრიტზე, ჰუნდსდიშში. აქედან ძალიან შორს გახლავთ.

- ბრიქსტონროუდი არ არის ჰუნდსდიშიდან ცირკში მიმავალ რომელიმე გზაზე, - მკვახედ უთხრა ჰოლმსმა.

დედაბერი მობრუნდა და თავისი პატარა ანთებული თვალებით გამჭოლი მზერა მიაპყრო ჩემს მეგობარს.

- ბატონმა მისამართი მკითხა, - აუხსნა ჰოლმსს. - სალის ბინა აქვს დაქირავებული მეიფილდ-პლეისზე, პეკჰემზე, №33 სახლში.

- თქვენი გვარი?

- სოიერი, მისი გვარი კი დენისია, რადგანაც ტომ დენისზეა გათხოვილი. მკვირცხლი, სანდომიანი ყმაწვილია, ვიდრე ზღვაზეა, და მასზე უკეთესი მიმტანი მთელ სახომალდო კომპანიას არა ჰყავს. მაგრამ როცა ნაპირზეა, სულ ქალებსა და დალევაზე ფიქრობს.

- აი, თქვენი ბეჭედი, მისის სოიერ, - შევაწყვეტინე ჰოლმსის ნიშნის თანახმად. - უეჭველია, თქვენს ასულს ეკუთვნის, და ძალიან მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა თავის კანონიერ მფლობელს დავუბრუნო დაკარგული ნივთი.

დედაბერმა ლოცვა-კურთხევის ბუტბუტით ჩაიდო ბეჭედი ჯიბეში და კუსკუსით ჩაიარა კიბე. როგორც კი დედაბერი წავიდა, შერლოკ ჰოლმსი წამოვარდა და თავის ოთახში გაიქცა. რამდენსამე სეკუნდში გრძელ პალტო მოსხმული დაბრუნდა.

- გავყვები, დავზვერავ, - თქვა აჩქარებით, - უთუოდ იმ კაცის თანამზრახველია და მასთან მიმიყვანს. მელოდეთ!

შემოსასვლელი კარი დედაბრის ზურგს უკან ჯერ კიდევ არ იყო დახურული, რომ ჰოლმსი უკვე დაბლა გაჩნდა. ფანჯრიდან დავინახე ჩვენი სტუმარი: ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მიდიოდა კოჭლობით, ჰოლმსი კი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

კიდეც რომ არ ეთხოვა, დაბრუნებამდე დამელოდეო, ვგრძნობდი, ვერ დავიძინებდი, ვიდრე მისი გასეირნების შედეგებს არ შევიტყობდი.

ჰოლმსი სახლიდან დაახლოებით ცხრა საათზე გავიდა. წარმოდგენა არა მქონდა, როდის დაბრუნდებოდა. მოთმინებით ვიჯექი და ჩიბუხს ვაბოლებდი. ათმა დაჰკრა, მსახური გოგოების ფეხის ხმა შემომესმა, დასაძინებლად მიდიოდნენ. თერთმეტზე კარს იქით უფრო დინჯი ნაბიჯის ხმაც გაისმა. ეს უკვე ჩვენი დიასახლისი მიდიოდა დასაძინებლად. თითქმის თორმეტი სრულდებოდა, როცა ამერიკული კლიტის მკვეთრი ჩხაკუნი გავიგონე. როგორც კი ჰოლმსი შემოვიდა, სახეზე შევატყვე, რომ მარცხი განეცადა. მის სახეზე სიცილი და წყენა ებრძოდა ერთმანეთს, ბოლოს სიცილმა გაიმარჯვა. ჰოლმსმა მხიარულად გადაიხარხარა.

- აი, ეს ამბავი კი არ მინდა გაიგონ სკოტლენდიარდში! - შესძახა და სავარძელში ჩაეშვა.

- რა მოხდა? - ვკითხე მოუთმენლად.

- ო, არ მოვერიდებოდი ჩემი მარცხის აღიარებას. იმ წყეულმა დედაბერმა ერთი უბანი რომ გაიარა, კოჭლობას უმატა. ბოლოს გაჩერდა და იქვე გაჩერებულ კებს დაუძახა. ახლოს ვიდექი და გავიგონე, შემეძლო გულდამშვიდებით ვყოფილიყავი, ისე ხმამაღლა დაუყვირა, რომ ქუჩის მეორე მხარეს გაიგონებდა კაცი: «წადით დუნკანსტრიტზე №13-ში, ჰუნდსდიშში». - მომეჩვენა, რომ ეს თვალის ახვევა არ

იყო, და როგორც კი კებში ჩაჯდა, მეც უკან ავეკიდე. ამ ხელოვნებას ყოველი მაძებარი ზედმიწევნით უნდა ფლობდეს. შეუჩერებლივ მივქროდი, ვიდრე ნაჩვენებ მისამართს არ მივაღწიეთ. ვიდრე სახლთან მივიდოდით, გადმოვხტი და დაუდევრად, ტაატით გავყევი ქუჩას. დავინახე, როგორ გაჩერდა კები №13 სახლთან. კებმენი გადმოხტა, კარი გააღო და დაელოდა. მაგრამ არავინ გადმოსულა. როცა ახლოს მივედი, იგი გაშმაგებით დაეძებდა ვიღაცას ცარიელ კებში და თან პირიდან ლანძღვა-გინებას აფრქვევდა. დედაბრის კვალი კი არ ჩანდა და ვშიშობ, კებმენი მალე ვერ მიიღებს დამსახურებულ გასამრჯელოს. კითხვა-კითხვით გავიგე, რომ სახლი №13 ეკუთვნის პატივცემულ ნაყაშს კესვიკს და მათ სოიერისა და დენისის გვარი არასოდეს სმენიათ.

- თქვენ იმას ფიქრობთ, რომ ეს აკანკალებული სუსტი დედაბერი კებიდან ისე გადმოხტა, რომ ვერც თქვენ და ვერც კებმენმა ვერ შენიშნეთ?

- ეშმაკმა დალახვროს! - მკვახედ თქვა ჰოლმსმა. - რომელი დედაბერი! ეს მე და თქვენ აღმოვჩნდით დედაბრები და დავრჩით პირში ჩალაგამოვლებულები. ეს გახლდათ ახალგაზრდა კაცი, მეტად მარჯვე და თანაც შეუდარებელი მსახიობი. რა თქმა უნდა, მან შენიშნა, რომ უთვალთვალებენ, და ხელიდან დაგვისხლტა. მაშასადამე, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, არც ისე მარტოხელაა, როგორც მეგონა, ჰყავს მეგობრები, რომლებიც მზად არიან მისი გულისათვის წყალში გადაეშვან. აბა, ექიმო, თქვენ გაწამებული სახე გაქვთ, მიჰყევით ჩემს რჩევას, დაწექით და დაიძინეთ.

ძალზე მოტეხილად ვგრძნობდი თავს და დავწექი. ჰოლმსი კი დარჩა ბუხარში ჩაფერფლილ ნაკვერჩხლებთან. დიდხანს მესმოდა ღამის დუმილში მისი ვიოლინოს წყნარი, მელანქოლიური ჩივილი, ვგრძნობდი, რომ მისი გონება კვლავ უტრიალებდა უცნაურ თავსატეხს, რომელიც გადაწყვეტილი ჰქონდა ამოეხსნა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა.

თავი V|
ტობიას გრეგსონი თავის ხელოვნებას გვიჩვენებს

მეორე დღეს გაზეთები გაჭედილი იყო ცნობებით «ბრიქსტონის საიდუმლოებაზე». ყველა გაზეთი ვრცლად აღწერდა მომხდარ ამბავს. ზოგიერთი ფაქტი ჩემთვის ახალი აღმოჩნდა. «დეილი ტელეგრაფი» წერდა, დანაშაულებათა ისტორიამ ბევრი არ იცის ეგზომ დიდი იდუმალებით მოცული საქმე. მსხვერპლის გერმანული სახელი, ანგარების მოტივის არარსებობა და ავბედითი წარწერა კედელზე - ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ მკვლელობა ჩაუდენიათ ემიგრანტებსა და რევოლუციონერებს. სოციალისტებს განშტოებული ორგანიზაციები აქვთ ამერიკაში. განსვენებულმა, ეტყობა, დაარღვია მათი დაუწერელი კანონი, მის კვალს მიაგნეს და მოკლესო.

დასასრულ სტატია მოუწოდებდა ხელისუფლებას, გაეძლიერებინათ ზედამხედველობა ინგლისში მცხოვრებ უცხოელებზე.

«სტანდარტი» მიუთითებდა იმაზე, რომ ასეთი მკვლელობა ჩვეულებრივ თან სდევს ქვეყნის ლიბერალურ მმართველობას. მოკლული ამერიკელი იყო და სულ რამდენიმე კვირით ყოფილა ჩამოსული ინგლისში, ცხოვრობდა ლონდონში, მადამ შარპანტიეს პანსიონში, ტორკვეი-ტერასზე, კემბერუელში, მას თან ახლდა პირადი მდივანი, მისტერ ჯოზეფ სტანგერსონი. სამშაბათს, ამ თვის სამ რიცხვში ორთავე დაემშვიდობა პანსიონის დიასახლისს და ეუსტონის სადგურისაკენ გაემართნენ, რათა ექსპრესს ლივერპულში გაჰყოლოდნენ. ბაქანზე ორივე უნახავთ. სხვა რამ ამ ორ

პიროვნებაზე არაფერი იცოდნენ, ვიდრე მისტერ დრებერის ცხედარი ეუსტონის სადგურიდან რამდენსამე მილზე ბრიქსტონროუდის რაიონში, ერთ უკაცურ სახლში არ იპოვნეს. სტანგერსონის ადგილსამყოფელზე არაფერს წერდნენ. შემდეგ გამოთქმული იყო რწმენა, რომ მისტერ ლესტრეიდი და მისტერ გრეგსონი, რომელთაც სკოტლენდ-იარდში ამ საქმის გამოძიება აქვთ დავალებული, მალე მოჰფენენ შუქს ამ იდუმალებით მოცულ ტრაგედიასო.

გაზეთი «დეილი ნიუსი» აღნიშნავდა, რომ დანაშაული უდავოდ პოლიტიკური ხასიათისააო. «კონტინენტური სახელმწიფოების დესპოტიზმი ინგლისში იზიდავს ადამიანებს, რომელთაც თავიანთ ქვეყნებში სდევნიან. ამ ადამიანთა შორის არსებობს პატიოსნების უსასტიკესი კოდექსი, და მისი ყოველგვარი დარღვევა სიკვდილით ისჯება. ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ გავიგოთ სტანგერსონის ადგილსამყოფელი. დადგენილია იმ პანსიონის მისამართი, სადაც მოკლული ცხოვრობდა. ეს აღმოჩენა მთლიანად უნდა მიეწეროს სკოტლენდიარდელ მისტერ გრეგსონის გამჭრიახობასა და ენერგიას».

შერლოკ ჰოლმსმა საუზმეზე ჩემთან ერთად წაიკითხა ეს ცნობა.

- აკი გეუბნებოდით, უოტსონ, რომ ლესტრეიდი და გრეგსონი ყოველთვის მოგებულნი დარჩებიან-მეთქი.

- ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორი მიმართულება მიეცემა საქმეს.

- რას ბრძანებთ! ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ მკვლელს შეიპყრობენ, ეს მათი წყალობით მოხდება; თუ ბოროტმოქმედი თავს დაიძვრენს, ეს მოხდება მათი ცდის მიუხედავად, სკოტლენდიარდელმა მაძებრებმა, რაც არ უნდა გააკეთონ, ყოველთვის მართალი აღმოჩნდებიან.

- რა ამბავია მანდ? - შევყვირე გაოცებულმა, როცა ვესტიბიულიდან ფეხების ბაკუნი მომესმა და ჩვენი ბინის დიასახლისის აღშფოთებულ წამოძახილებსაც მოვკარი ყური.

- ეს სამძებრო პოლიციის ბეიკერსტრიტის განყოფილებაა, - სერიოზულად მიპასუხა ჰოლმსმა.

იმ წუთას ოთახში ექვსიოდე ჭუჭყიანი, დაძონძილი ყმაწვილი შემოიჭრა.

- სმეე-ნა! - მკაცრად უყვირა ჰოლმსმა, და ექვსი მოზარდი ერთ მწკრივად დაეწყო. - ამიერიდან მოხსენებით გამოაგზავნეთ ხოლმე ვიგინსი, დანარჩენებმა კი ქუჩაში დაიცადეთ. იპოვეთ?

- არა, სერ! - მიუგო ერთმა ყმაწვილმა.

- ასეც ვიცოდი. განაგრძეთ ძებნა, ვიდრე იპოვით. აი, გასამრჯელო, - ყველას თითო შილინგი მისცა. - ახლა წადით და ეცადეთ უკეთესი ამბავი მოიტანოთ.

ჰოლმსმა ხელით ანიშნა და ყმაწვილები ვირთხებივით ჩაცვივდნენ კიბეზე.

ერთი წუთის შემდეგ მათი წკრიალა ხმა მთელ ქუჩას მოეფინა.

- ამ პატარა მათხოვრებით მეტს მიაღწევ, ვიდრე სკოტლენდიარდელთა მთელი რაზმებით, - შენიშნა ჰოლმსმა. - პროფესიული ადამიანის ერთი შეხედვაც კი ყველას პირზე კლიტეს ადებს. ეს ბარტყები კი ყველგან დაძვრებიან, ყველაფერს უსმენენ. ყველგან გაძვრებიან, მხოლოდ ორგანიზაცია აკლიათ.

- ბრიქსტონროუდის მკვლელობის საქმეზე გაგზავნეთ?

- დიახ. მე მინდა შევამოწმო ერთი ვარაუდი, ეს მხოლოდ დროის საკითხია. ალო! ახლა ახალ ამბებს გავიგებთ! გრეგსონი ჩვენკენ მოდის და სახე უცინის. ვიცი, ჩვენსას მოდის. ჰო, რა თქმა უნდა, აი, გაჩერდა კიდეც!

ზარის წკრიალი გაისმა, და რამდენიმე წუთის შემდეგ მოყვითალო სახის მაძებარი ჩვენს სასტუმრო ოთახში შემოფრინდა.

- ძვირფასო კოლეგა, - შესძახა და გაშმაგებით ჩაბღუჯა ჰოლმსის ხელი. - მომილოცეთ. ეს საქმე გავხსენი.

მომეჩვენა, რომ ჩემი მეგობრის სახეზე შეშფოთების ჩრდილმა გადაირბინა.

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ სწორ გზას მიაგენით? - ჰკითხა ჰოლმსმა მოსულს.

- სწორ კვალს! მკვლელი უკვე ოთხ კედელს შუა ზის.

- მისი სახელი?

- არტურ შარპანტიე, სამეფო ფლოტის უმცროსი ლეიტენანტი, - შესძახა გრეგსონმა, თან თვითკმაყოფილებით წამოსწია მკერდი და ხელები მოიფშვნიტა.

შერლოკ ჰოლმსმა თავისუფლად ამოისუნთქა და გაიღიმა.

- დაბრძანდით და სიგარა აიღეთ, - უთხრა პოლიციელს. - ძალიან გვაინტერესებს იმის მოსმენა, თუ რანაირად მოახერხეთ ეს. გნებავთ წყლიანი ვისკი?

- უარს არ ვიტყვი! - მიუგო მაძებარმა. - ამ უკანასკნელ ხანს უზარმაზარმა დაძაბულობამ სრულიად გამიწყვიტა ქანცი. არა იმდენად ფიზიკურმა, რამდენადაც გონებრივმა დაძაბულობამ. თქვენ ამას გამიგებთ, მისტერ ჰოლმს, რადგან ჩვენ ორივე გონებრივად მომუშავე ადამიანები ვართ.

- თქვენ მეტისმეტად დიდ პატივს მდებთ, - სერიოზულად უპასუხა ჰოლმსმა. - მაგრამ მიამბეთ, რანაირად მიაღწიეთ ასეთ ბრწყინვალე შედეგებს?

მაძებარი სავარძელში ჩაჯდა, სიგარა მოქაჩა და უსაზღვროდ გამხიარულებულმა უეცრად ხელი მუხლზე დაიკრა.

- სასეირო ისაა, რომ ლესტრეიდი, ასე დიდი წარმოდგენა რომ აქვს თავის თავზე, სრულიად მცდარი გზით წავიდა. სტანგერსონს დაეძებს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ მკვლელობასთან.

- თქვენ როგორღა მიაგენით ძაფს?

- ყველაფერს მოგახსენებთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენ შორის უნდა დარჩეს. ჩემი პირველი ამოცანა ის იყო, რომ ამერიკელზე ცნობები შემეკრიბა. გახსოვთ ცილინდრი, გვამის გვერდით რომ იდო?

- დიახ. ფირმა ჯონ ანდერვუდი და შვილი, 220 კემბრუელროუდი.

გრეგსონი მთლად გაშტერდა.

- აი, ამას კი აღარ ველოდი, რომ ფირმის მისამართსაც შენიშნავდით, - ჩაილაპარაკა გაკვირვებულმა. - იქ იყავით?

- არა, - უპასუხა ჰოლმსმა.

- ა-ჰა! - გაუხარდა გრეგსონს. - არასდროს არ უნდა უკუაგდოთ ზედმეტი შანსი, რა უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი. ამრიგად, ანდერვუდთან წავედი და ვკითხე, ხომ არ გაგიყიდიათ ამა და ამ ზომისა და ფასონის ცილინდრი-მეთქი. თავის წიგნებში ჩაიხედა და მითხრა, რომ ნამდვილად გაუგზავნა ასეთი ცილინდრი მისტერ დრებერს, რომელიც შარპანტიეს პანსიონში ცხოვრობს, ტორკვეიტერასზეო. ასე დავადგინე მისამართი.

- მარჯვედ მოქცეულხართ! ძალიან მარჯვედ! - ჩაიბუტბუტა ჰოლმსმა.

- შემდეგ მადამ შარპანტიეს ვესტუმრე, - განაგრძო მაძებარმა. - ფერწასული და ძალიან გუნებაწამხდარი იყო. ოთახში ვნახე მკვლელის დაც, მეტისმეტად სანდომიანი ქალიშვილი. ნამტირალევი თვალები ჰქონდა, და როცა მელაპარაკებოდა, ტუჩები უთრთოდა. ნადირის სუნი ვიგრძენი. თქვენთვისაც ხომ ცნობილია ეს გრძნობა, როცა სწორ კვალზე დგებით? გაიგეთ თქვენი მდგმურის, მისტერ ენოქ დრებერ კლივლენდელის უცნაური სიკვდილის ამბავი-მეთქი? - ვკითხე. დედამ

მხოლოდ თავი დამიქნია, სიტყვა ვერ მითხრა. ქალიშვილი ატირდა. უკვე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მათ რაღაც იცოდნენ ამ საქმის შესახებ.

«რომელ საათზე გავიდა მისტერ დრებერი სახლიდან?» - ვკითხე მე.

«რვა საათზე, - ჩაილაპარაკა დედამ და სული მოითქვა, რომ მღელვარება დაეფარა. - მისმა მდივანმა, მისტერ სტანგერსონმა თქვა, რომ იყო ორი მატარებელი - ერთი, რომელიც ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე გადიოდა და მეორე თერთმეტ საათზე. მას პირველი მატარებლით უნდოდა წასვლა».

«იმის შემდეგ აღარ გინახავთ დრებერი?»

ამ კითხვამ ქალი ძლიერ გამოცვალა, სახეზე სიკვდილის ფერი დაედო. რამდენიმე წამი გავიდა, ვიდრე ხმას ამოიღებდა და იტყოდა ერთ სიტყვას «არაო». ეს სიტყვაც ხრინწიანი და არაბუნებრივი ხმით წარმოთქვა. დუმილი ჩამოვარდა, მერე ქალიშვილმა წკრიალა ხმით თქვა:

«ტყუილი კარგს არასოდეს არ მოიტანს. ვიყოთ გულახდილი ამ ჯენტლმენთან. ჩვენ კიდევ ვნახეთ მისტერ დრებერი».

«ღმერთმა მოგიტევოს! - შესძახა მადამ შარპანტიემ, ტაში შემოჰკრა და სკამის საზურგეს გადაეყრდნო. - შენ შენი ძმა მოკალი!»

«არტური თვითონვე ამჯობინებდა, რომ სიმართლე გვეთქვა», - მტკიცედ მიუგო ქალიშვილმა.

«გიჯობთ სრული სიმართლე მითხრათ, - შევნიშნე მე. - ნახევრად აღიარება ყველაზე უფრო ცუდია. გარდა ამისა, თქვენ ხომ არ იცით, რომ ამ საქმის საიდუმლო უკვე გაგებული გვაქვს».

«ცოდვა შენს სულს ეწიოს, ალისა! - შეჰყვირა დედამ და მერე მე მომიბრუნდა: - ყველაფერს გეტყვით, სერ. არ იფიქროთ, რომ შვილზე ვწუხვარ იმის გამო, რომ ამ საშინელ საქმეში უდევს წილი. იგი სრულიად უდანაშაულოა. მეშინია მხოლოდ იმისა, რომ თქვენს გაზეთებში და სხვების თვალშიც სახელი გაუტყდება».

«გიჯობთ დაწვრილებით გამაცნოთ საქმის ვითარება», - გავაფრთხილე ქალი.

«ალისა, იქნებ მარტო დაგვტოვო? - მიუბრუნდა ასულს. ქალიშვილი ოთახიდან გავიდა. - სერ, - განაგრძო დიასახლისმა. - არ მინდოდა ამისი თქმა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩემმა საბრალო ქალიშვილმა გაიხსენა დრებერის დაბრუნება, - სხვა არჩევანი აღარა მაქვს. მისტერ დრებერმა ჩვენთან სამი კვირა დაჰყო. ევროპაში მოგზაურობდა თავისი მდივნის, მისტერ სტანგერსონის თანხლებით, რომელიც წყნარი, თავშეკავებული კაცი იყო. მაგრამ თვითონ დრებერი, სამწუხაროდ, სხვანაირი გახლდათ: უკულტურო და მეტისმეტად უხეში ადამიანებთან ურთიერთობაში. ჩვენთან ყოფნის პირველსავე დღეს დათვრა და იმ დღიდან იშვიათად მინახავს ფხიზელი. მოსამსახურე გოგოებთან ხომ სულ თავაშვებული იყო. მაგრამ ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ ასევე იქცეოდა ჩემს ქალიშვილთან - ალისასთან. ერთხელ ხელი სტაცა და აკოცა. მისი მდივანი ძალიან აღშფოთდა და უსაყვედურა».

«მაგრამ რისთვის ითმენდით ამას? - ვკითხე ქალს. - მდგმური ხომ, როცა მოგესურვებათ, მაშინვე შეგიძლიათ გააგდოთ. ასე არ არის?»

მადამ შარპანტიე გაწითლდა.

«აჰ, პირველსავე დღეს რომ მეთქვა უარი! მაგრამ ცთუნება მეტისმეტად ძლიერი იყო. ორივე თითო გირვანქას იხდიდა დღეში, თოთხმეტ გირვანქას კვირაში და ამ დროს ხომ სახლის მუშტარი იშვიათი ამბავია. მე კი ქვრივი გახლავართ. შვილის შენახვა ფლოტში ძვირი მიჯდება. მენანებოდა ფული და ვითმენდი. მაგრამ მისტერ დრებერის უკანასკნელმა საქციელმა მოთმინებიდან გამომიყვანა და მაშინვე

წინადადება მივეცი, გამშორდით-მეთქი. ზურგს უკან კარი რომ მივუხურე, გულზე მომეშვა. ვაგლახ! ერთი საათის შემდეგ გაისმა ზარის ხმა და შევიტყვე, რომ მისტერ დრებერი დაბრუნებულიყო. თანაც ძალზე აღელვებული და გალეშილი. შემოიჭრა ოთახში, სადაც მე და ალისა ვიჯექით და უაზროდ წაიბურტყუნა მატარებელზე დავაგვიანეო. მერე ალისას მიუბრუნდა, არც კი მომერიდა და უთხრა, ერთად გავიქცეთო. «თქვენ უკვე სრულწლოვანი ხართ, - ეუბნებოდა იგი, - შეგიძლიათ მოიქცეთ ისე, როგორც მოგესურვებათ. ფული ბევრი მაქვს. გავიქცეთ და ისე გაცხოვრებთ, როგორც პრინცესას». საბრალო ალისას ისე შეეშინდა, რომ გაქცევა დააპირა. მაგრამ დრებერმა ხელი ჩაავლო და კარისაკენ წაათრია. მე ვიკივლე. ამ დროს ოთახში ჩემი შვილი არტური შემოვიდა. რა მოხდა ამის შემდეგ, არ ვიცი. მესმოდა ლანძღვა-გინება და დარტყმის ხმა, მაგრამ ძლიერ შეშინებული ვიყავი და თავი არ ამიწევია. ცოტა გონს რომ მოვედი, თვალები გავახილე და დავინახე, არტური კარებში იდგა და ხელში ჯოხი ეჭირა. «არა მგონია ის არამზადა კიდევ დაბრუნდეს», - თქვა არტურმა. - «ახლა წავალ და ვნახავ რას აკეთებს». ამ სიტყვებზე ქუდი აიღო და ქუჩაში გავიდა. მეორე დღეს დილით კი მისტერ დრებერის სიკვდილის ამბავი გავიგეთ».

მე სტენოგრაფიულად ჩავწერე მისის შარპანტიეს ჩვენება, - დაასრულა თავისი მოთხრობა გრეგსონმა.

- ფრიად საინტერესო ისტორიაა, - თქვა ჰოლმსმა და წამოდგა. - ამის შემდეგ რა მოიმოქმედეთ?

- როდესაც მისის შარპანტიემ თავისი ჩვენება დაასრულა, - განაგრძო მაძებარმა, - ისეთი მზერით ჩავაშტერდი, მუდამ რომ მოქმედებს ქალებზე, და ვკითხე, რომელ საათზე დაბრუნდა თქვენი შვილი-მეთქი.

«არ ვიცი», - მიპასუხა.

«არ იცით?»

«არ ვიცი. თავისი გასაღები აქვს».

«თქვენ უკვე იწექით?»

«დიახ».

«რომელ საათზე დაწექით?»

«დაახლოებით თერთმეტზე».

«მაშ, თქვენი შვილი შინ მთელი ორი საათი არ ყოფილა?»

«დიახ».

«იქნებ მთელი ოთხი ან ხუთი საათიც?»

«შეიძლება».

«რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში?»

«არ ვიცი», - მიპასუხა დიასახლისმა და მკვდრისფერი დაედო.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ აღარაფერი მრჩებოდა გასაკეთებელი, გავიგე, სად იმყოფებოდა ლეიტენანტი შარპანტიე, ორი პოლიციელი წავიყვანე და დავიჭირე. როცა მხარზე ხელი დავადე და წინადადება მივეცი, უხმაუროდ გამოგვყოლოდა, დამშვიდებული სახით მიპასუხა: «ალბათ იმ არამზადა დრებერის მკვლელობის თანამონაწილედ მთვლით და ამისათვის მაპატიმრებთ?» ამაზე არაფერი გვითქვამს, რადგან მისი სიტყვები, რა თქმა უნდა, ეჭვს იწვევს.

- უეჭველად, - დაუმოწმა ჰოლმსმა.

- ჯერ კიდევ ხელში ეჭირა ის მაგარი კომბალი, რომლითაც დედამისის ჩვენების თანახმად, დრებერს დაედევნა.

- ახლა როგორღა გესახებათ საქმე?

- ჩემი წარმოდგენით, არტური ბრიქსტონროუდამდე მი-ჰყვა დრებერს. იქ ხელახლა იჩხუბეს, დრებერს ჯოხი მოხვდა, ვთქვათ, მუცლის არეში. დარტყმას კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი კი უკვე დადგენილია. წვიმიანი ღამე იყო, გარშემო კაცის ჭაჭანება არ ჩანდა და შარპანტიემ გვამი უკაცრიელ სახლში შეათრია. რაც შეეხება სანთელს, სისხლსა და წარწერას კედელზე, ეს მხოლოდ ხერხებია, რომ პოლიციისათვის გზა-კვალი აებნია.

- ჩინებული ნამუშევარია! - თქვა ჰოლმსმა წაქეზების კილოთი. - მართლაც, გრეგსონ, წარმატებები ნამდვილად გაქვთ. თქვენ კარგი მომავალი გელით!

- მიხარია, რომ მარჯვედ მოვერიე საქმეს, - ამაყად მიუგო მაძებარმა. - ახალგაზრდა კაცმა სიამოვნებით მოგვცა ჩვენება, რომლის თანახმადაც ერთ ხანს დრებერს მიჰყვებოდა კვალდაკვალ, მაგრამ დრებერს შეუნიშნავს და კები დაუქირავებია, რათა დევნისაგან თავი დაეძვრინა. გზად შარპანტიე ამხანაგს შეხვედრია და ლეიტენანტს მასთან დიდხანს უსეირნია. იმ კაცის მისამართი რომ ვკითხე, დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მომცა. ყველაფერი ჩინებულად ეწყობა. მართობს ის აზრი, რომ ლესტრეიდი თავიდანვე არასწორ კვალს გაჰ-ყვა. ვშიშობ, რომ ვერაფერს მიაღწევს. მაგრამ აგერ თვითონაც!

და მართლაც, ეს იყო ლესტრეიდი, რომელიც ჩვენი საუბრის დროს კიბეზე ამოდიოდა. მაგრამ ამჯერად აღარ ჩანდა უწინდებურად მსუბუქად მავალი და თავდაჯერებული. სახე დაღმეჭილი და შეშფოთებული ჰქონდა, სამოსიც აწეწილი და ცოტა უსუფთაო. ეტყობოდა, შერლოკ ჰოლმსთან რჩევისათვის მოვიდა და გრეგსონთან შეხვედრამ, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა. იგი შუა ოთახში შეჩერდა, ნერვიულად ჭმუჭნიდა ქუდს და არ იცოდა, რა ექნა.

- ეს ყველაზე უჩვეულო, ყველაზე მიუწვდომელი საქმეა! - ამოღერღა მან ბოლოს.

- ა-ა! თქვენ უკვე ასე ფიქრობთ, მისტერ ლესტრეიდ! - საზეიმო კილოთი შესძახა გრეგსონმა. - ასედაც ვიცოდი, რომ ამ დასკვნამდე მიხვიდოდით, დრებერის მდივანი, მისტერ სტანგერსონი ხომ არ მოგინახავთ?

- დრებერის მდივანი, მისტერ ჯოზეფ სტანგერსონი, - მიუგო ლესტრეიდმა, - დღეს დილის ექვს საათზე ჰელიდეის ოტელში მოკლეს.

თავი V||
სინათლის სხივი წყვდიადში

ლესტრეიდის მოტანილი ცნობა იმდენად მოულოდნელი და ავბედითი იყო, რომ სამივეს ენა მუცელში ჩაგვივარდა. გრეგსონი სკამიდან წამოიჭრა, ვისკი და წყალი დაღვარა. მე უსიტყვოდ ვაკვირდებოდი ჰოლმსს, რომელსაც წარბები შეეყარა და ტუჩებმოკუმული იჯდა.

- სტანგერსონიც! - დუდუნებდა თავისთვის ჰოლმსი. - წრე სულ უფრო ვიწროვდება.

- წრე ისედაც ვიწრო იყო. როგორც ჩანს, აქ სამხედრო საბჭო გაგიმართავთ, - თქვა ლესტრეიდმა.

- თქვენ... თქვენ სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ სტანგერსონი მოკლულია? - ენის ბორძიკით იკითხა გრეგსონმა.

- ეს-ეს არის მის ოთახში ვიყავი, - მიუგო ლესტრეიდმა. - მე პირველმა აღმოვაჩინე მკვლელობა.

- ჩვენ მოვისმინეთ გრეგსონის თვალსაზრისი, - შენიშნა ჰოლმსმა, - იქნებ თქვენც გვაცნობოთ, რა ნახეთ და რა გააკეთეთ?

- გამოგიტყდებით, - დაიწყო ლესტრეიდმა და დაჯდა, - მე ბოლომდე იმ აზრის ვიყავი, რომ მკვლელობაში სტანგერსონის ხელი ერია. უკანასკნელმა ამბებმა დამარწმუნა, რომ შემცდარი ვყოფილვარ. ჩემს იდეას მივყევი და გადავწყვიტე გამეგო, რა მოუვიდა დრებერის მდივანს. სამ ივნისს, ასე, საღამოს ცხრა საათზე ორთავე ერთად ნახეს ეუსტონის სადგურზე. ორ საათზე კი, ლაურისტონგარდენში, დრებერი მკვდარი იპოვნეს. უნდა გამეგო და დამედგინა, რას აკეთებდა მდივანი ცხრის ნახევარზე მკვლელობამდე და რა მოუვიდა შემდეგ. გავაგზავნე დეპეშა ლივერპულში, ვაცნობე სტანგერსონის გარეგნული ნიშნები და ვთხოვე გაეძლიერებინათ ზედამხედველობა ამერიკის გემებზე. შემდეგ შემოვიარე ყველა ოტელი და ავეჯით გაწყობილი ოთახი ეუსტონის რაიონში, იმ ვარაუდით, რომ თუ დრებერი და მისი თანამგზავრი ერთიმეორეს ასცდნენ, მდივანი სადმე მახლობლად გაათევდა ღამეს და დილით სადგურზე დაბრუნდებოდა.

- ალბათ წინასწარ დათქვეს შეხვედრის ადგილი, - შენიშნა ჰოლმსმა.

ასედაც აღმოჩნდა. მთელი გუშინდელი საღამო ძებნაში დავკარგე და სრულიად უშედეგოდ. დღეს დილით ადრე შევუდექი საქმეს და რვა საათზე ჰელიდეის ოტელში მივედი ლიტლ ჯორჯსტრიტზე. ჩემს კითხვაზე, ცხოვრობს თუ რა აქ მისტერ სტანგერსონი-მეთქი, მაშინვე მივიღე დადებითი პასუხი.

«ალბათ, თქვენა ხართ ის ჯენტლმენი, რომელსაც ის კაცი ელოდება, - მითხრა პორტიემ. - უკვე ორი დღეა, ვიღაცას ელის».

«ახლა სად არის?» - ვკითხე მე.

«ზემოთ, სძინავს. ცხრა საათზე გამაღვიძეთო, გვთხოვა».

პორტიემ მეორე სართულზე ამიყვანა, პატარა დერეფანზე გადამატარა და კარი მიჩვენა. ის უკვე დაბლა ჩასული იყო, როცა ანაზდად ისეთი რაღაც შევნიშნე, რამაც, მიუხედავად ძიებაში ჩემი ოცწლიანი მუშაობისა, კინაღამ გული ამირია. კარის ქვემოდან სისხლის პატარა ნაკადი გამოდიოდა, დერეფნის მეორე მხარეს გადიოდა და კედლის პლინტუსთან პატარა გუბეს ქმნიდა. მე შევყვირე და ჩემს ყვირილზე პორტიემ მოირბინა. კინაღამ გული შეუღონდა. კარი შიგნიდან იყო დაკეტილი. მივაწექით და ჩამოვაგდეთ. ფანჯარა ღია იყო და ფანჯრის ქვეშ მოკრუნჩხული ადამიანის გვამი ეგდო. სიკვდილი რამდენიმე საათის წინ დაუფლებოდა და გვამი უკვე გაცივებულიყო. როცა სხეული გადმოვაბრუნეთ, პორტიემ შეიცნო ჯენტლმენი, რომელიც მათთან ჯოზეფ სტანგერსონის სახელით დასახლდა. სიკვდილი გამოეწვია მარცხენა გვერდში მიყენებულ ღრმა ჭრილობას. ახლა კი საქმის ყველაზე უფრო უცნაური მხარე: აბა, გამოიცანით, რა წარწერა აღმოვაჩინე მოკლულის გვამს ზემოთ?

რაღაც საშინელმა წინათგრძნობამ მომიცვა უმალ, ვიდრე შერლოკ ჰოლმსი მიუგებდა: სიტყვა კფსრუ, სისხლით დაწერილიო.

- დიახ, ეს სიტყვა, - დაუმოწმა ლესტრეიდმა ყრუ ხმით.

ერთ ხანს დუმილი ჩამოვარდა.

- მკვლელი დაინახეს, - ისევ დაიწყო ლესტრეიდმა. - თურმე საჯინიბოდან გამოსულ მერძევეს სწორედ მაშინ გაუვლია ოტელის უკან მოსახვევში და შეუნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ყოველთვის მიწაზე დადებული კიბე მეორე სართულზე ერთ-ერთი ფანჯრისათვის მიეყუდებინათ. ფანჯარა მთლიანად ღია ყოფილა. ცოტა რომ გაუვლია, მოუხედავს და დაუნახავს კიბეზე ჩამომავალი კაცი, რომელსაც თავი მშვიდად, დაუფარავად სჭერია და მერძევეს უფიქრია, ალბათ ოტელში მომუშავე

დურგალი ან ზეინკალი იქნებაო. ყმაწვილს ეს დიდი ყურადღების ღირსად არ ჩაუთვლია, მხოლოდ ეს გაიფიქრა თურმე, რა ადრე გამოსულა ოსტატი სამუშაოზეო! მაგრამ ერთი კი შეუნიშნავს, რომ კიბეზე მდგარი კაცი ტანმაღალი ყოფილა, ლოყებღაჟღაჟა და ყავისფერი პალტო სცმია. მკვლელი, ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, ეტყობა, ცოტა ხნით კიდევ დარჩენილა ოთახში, რადგან ტაშტში, რომელშიაც ხელები დაუბანია, სისხლიანი წყალი ვნახეთ. სისხლი ეცხო აგრეთვე ზეწარს, რომელზედაც დანა გაუწმენდია.

მკვლელის აღწერას რომ ვისმენდი, ჰოლმსის აღწერასთან ასე შეთანხმებულს, ჩემს მეგობარს გადავხედე. საზეიმო კმაყოფილების ან სიამაყის ნასახიც არ იყო მის სახეზე.

- ოთახში ვერაფერი ნახეთ ისეთი, რომ გზის მაჩვენებელ ძაფად გამოდგეს?

- ვერაფერი. სტანგერსონს ჯიბეში დრებერის საფულე ედო, მაგრამ ალბათ მუდამ ასე იყო, რამდენადაც ყოველთვის სტანგერსონი ასწორებდა ანგარიშს. საფულეში თვრამეტ-ნახევარი გირვანქა აღმოჩნდა. რა მოტივებიც არ უნდა ჰქონოდა ამ უცნაურ მკვლელობას, ყოველ შემთხვევაში ძარცვის მოტივი გამორიცხულია. მოკლულის ჯიბეში ვერავითარი ქაღალდი და ჩანაწერი ვერ ვიპოვეთ, გარდა ერთი დეპეშისა. იგი გამოგზავნილია კლივლენდიდან. ასე ერთი თვის წინ მიღებული ეს დეპეშა იუწყებოდა: «ჯ.ჰ. ევროპაშია». დეპეშას ადრესატი არ აწერია.

- ამის გარდა იყო კიდევ რაიმე? - იკითხა ჰოლმსმა.

- არაფერი არსებითი. წიგნი, რომელიც ძილის წინ უკითხავს, ლოგინში ეგდო, ჩიბუხი კი სკამზე იდო. პატარა მაგიდაზე ჭიქა წყალი იდგა, რაფაზე კი - პატარა კოლოფი, რომელშიაც მალამოს ნაცვლად ორი აბი იდო.

შერლოკ ჰოლმსი ადგილიდან წამოვარდა და თან სიხარულის წამოძახილი აღმოხდა.

- უკანასკნელი რგოლი! - შეჰყვირა აღტაცებით. - ჩემი სამუშაო შესრულებულია.

გაკვირვებული მაძებრები შესცქეროდნენ ჰოლმსს და ვერაფერი გაეგოთ.

- ახლა ყველა ძაფი ხელში მიჭირავს და დახლართული გორგალი გახსნილია, - თქვა დაიმედებულმა ჰოლმსმა. - რა თქმა უნდა, ზოგიერთი წვრილმანი კიდევ არის ჩასამატებელი, მაგრამ ჩემთვის ყველა ძირითადი ფაქტი, იმ მომენტიდან, როცა დრებერი სტანგერსონს დაშორდა სადგურზე, გვამის აღმოჩენის მომენტამდე, ისევე ნათელია, თითქოს ყველაფერი ჩემი საკუთარი თვალებით მენახოს. ამას ახლავე დავამტკიცებ. აბების წამოღება მოახერხეთ?

- აქ მაქვს, - მიუგო ლესტრეიდმა და პატარა თეთრი კოლოფი ამოიღო. - საფულეც წამოვიღე და დეპეშაც. აბები სრულიად შემთხვევით გამომყვა, რადგან არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ.

- მიბოძეთ აქ! - უთხრა ჰოლმსმა. - აბა, ექიმო, მითხარით, ეს ჩვეულებრივი აბებია?

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჩვეულებრივი აბები. რუხი-მარგალიტისებრი უფერული, პატარა, მრგვალი, თითქმის გამჭვირვალე აბები გახლდათ.

- ისე მსუბუქი და გამჭვირვალეა, რომ, ჩემი აზრით, კარგად უნდა გაიხსნას წყალში, - შევნიშნე მე.

- სავსებით სწორია, - მიპასუხა ჰოლმსმა.

- ახლა კი, გეთაყვა, ჩადით დაბლა და ამომიყვანეთ საცოდავი ტერიერი. ჩვენი ბინის დიასახლისმა ჯერ კიდევ გუშინ მთხოვა, დააძინე, რომ სატანჯველს თავი დააღწიოსო.

ჩავედი და ტერიერი ამოვიყვანე. გაძნელებული სუნთქვა და ჩამქრალი თვალები მოწმობდა, რომ მისი აღსასრულის დღე მოახლოებული იყო. ტერიერი ხალიჩაზე დავსვი და თავქვეშ ბალიში ამოვუდე.

- ახლა ერთ-ერთ აბს ორ ნაწილად გავყოფ, - თქვა ჰოლმსმა, ჯაყვა ამოიღო და აბი გაჭრა.

- ერთ ნახევარს უკანვე ჩავდებთ კოლოფში შემდგომი ექსპერიმენტებისათვის, მეორეს კი - თასში, რომელშიაც ერთი ჩაის კოვზი წყალი ასხია. ხომ ხედავთ: ჩვენი მეგობარი ექიმი მართალია, აბი ადვილად გაიხსნა.

- ეს ალბათ ძალიან საინტერესოა, - თქვა ლესტრეიდმა ნაწყენი კაცის კილოთი, რომელიც ფიქრობდა, დამცინიანო. - მე მაინც არ მესმის, რა საერთო უნდა ჰქონდეს ამას მისტერ ჯოზეფ სტანგერსონის სიკვდილთან?

- მოთმინება, ჩემო მეგობარო, მოთმინება! თქვენ დარწმუნდებით, რომ სრულიად უშუალო დამოკიდებულება აქვს. ახლა დავუმატებ ცოტაოდენ რძეს, რომ მიქსტურა უფრო გემრიელი გამოვიდეს, მივცემ ტერიერს, და დავინახავთ, რომ დიდი სიამოვნებით ალოკავს.

ჰოლმსმა ჭიქიდან სითხე ლამბაქზე გადმოღვარა და ტერიერს წინ დაუდგა. ძაღლმა ისე ამოსვლიპა, წვეთი არ დაუტოვებია. შერლოკ ჰოლმსის სერიოზულმა გამომეტყველებამ ჩვენზე ისე იმოქმედა, რომ ყველანი ხმაამოუღებლივ ვისხედით, შევცქეროდით ცხოველს და რაღაც განსაცვიფრებელ ეფექტს ველოდით. მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. ტერიერი ისევ ისე იწვა ბალიშზე, ღრმად სუნთქავდა, - მიქსტურას მისთვის არც ზიანი მოუტანია, არც სარგებლობა.

ჰოლმსმა საათი ამოიღო. წუთი წუთს მისდევდა, აბი არ მოქმედებდა. ჰოლმსს სახეზე ღრმა წყენისა და იმედგაცრუების გამომეტყველება გამოესახა. ტუჩებს იკვნეტდა, თითებს ათამაშებდა და უკიდურესი მოუთმენლობის ყველა ნიშანს ამჟღავნებდა. ისე აღელვებული იყო, რომ გულწრფელად შემეცოდა. ამავე დროს ორთავე მაძებარი დაცინვით იღიმებოდა და სულაც არ სწყინდათ ჰოლმსის მარცხი.

- ეს არ შეიძლება დამთხვევა იყოს, - შესძახა ბოლოს ჰოლმსმა, ზეზე წამოვარდა და გააფთრებით მოჰყვა ოთახში წინ და უკან სიარულს. - არ შეიძლება დავიჯეროთ, რომ ეს უბრალო დამთხვევა იყო. იგივე აბები, რომელთა მოქმედებაზეც ეჭვი მქონდა დრებერის სიკვდილის შემთხვევაში, ნაპოვნია სტანგერსონის სიკვდილის შემდეგ. და მათ ზიანი არ მოაქვთ! ეს რას უნდა ნიშნავდეს! არ შეიძლება, რომ ჩემი მსჯელობის მთელი ჯაჭვი მცდარი აღმოჩნდეს! ეს შეუძლებელია! და მაინც ამ უბადრუკ ძაღლს არაფერი მოუვიდა! ა-ა! მესმის! მესმის!

საზეიმო შეძახილით მივარდა კოლოფს, მეორე აბიც ორად გაჰყო, წყალში გახსნა, დაუმატა რძე და ძაღლს დაუდგა. როგორც კი უბედურმა ცხოველმა მიქსტურა მოლოკა, კიდურებში კრუნჩხვამ დაუარა, - ძაღლი უსიცოცხლოდ დაეგდო, თითქოს მეხი დაეცაო.

შერლოკ ჰოლმსმა ღრმად ამოისუნთქა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

- საკუთარი თავის მეტი რწმენა მმართებდა! - თქა მან. - დროა ვიცოდეთ, რომ თუ ფაქტი ეწინააღმდეგება დასკვნების მთელ ჯაჭვს, ყოველთვის აღმოჩნდება, რომ შეიძლება მას სხვანაირი ახსნა მივცეთ. ამ კოლოფში შენახული ორი აბიდან ერთი შეიცავს სასიკვდილო შხამს, მეორე კი სრულიად უვნებელია. ეს ადრეც უნდა მცოდნოდა, ვიდრე კოლოფს ვნახავდი.

მისტერ გრეგსონმა მოთმინება დაკარგა.

- იცით, მისტერ შერლოკ ჰოლმს, - თქვა მან ბოლოს. - ჩვენ ყველანი ვაღიარებთ, რომ თქვენ ნიჭიერი ადამიანი ხართ, რომ გაქვთ საკუთარი მეთოდები, მაგრამ

ამჯერად მარტო თეორიით ვერაფერს გავხდებით, საჭიროა მკვლელის შეპყრობა. მე თავისებურად ვაწარმოებდი ძიებას და შევცდი. ლეიტენანტ შარპანტიეს არ შეეძლო მონაწილეობის მიღება სტანგერსონის საქმეში. ლესტრეიდმა სტანგერსონის კვალს მიაგნო და ეტყობა, ისიც შეცდა. თქვენი ლაპარაკიდან ჩანს, რომ რაღაც მეტი იცით ჩვენზე, მაგრამ დადგა დრო, როცა უფლება გვაქვს პირდაპირ გკითხოთ, - რა იცით ამ საქმისა? შეგიძლიათ მკვლელის დასახელება?

- უნდა გამოგიტყდეთ, რომ გრეგსონი მართალია, სერ, - შენიშნა ლესტრეიდმა. - დღეს ჩემი თანდასწრებით არა ერთხელ თქვით, რომ გაქვთ ყველა საჭირო მონაცემი. ალბათ აღარ ისურვებთ დაფარვას და გაგვანდობთ.

დაპატიმრების ყოველგვარი გადადება, - შევნიშნე მე, - მკვლელს აძლევს საშუალებას მოახდინოს ახალი დანაშაული.

ჰოლმსი ყოყმანობდა. ბოლთას სცემდა ოთახში, თავი დაბლა დაეხარა და წარბები შეეკრა.

- მკვლელობა აღარ მოხდება! - თქვა ბოლოს. - ეს ვარაუდი გამორიცხულია. თქვენ მკითხეთ, ვიცი თუ არა, ვინაა მკვლელი. დიახ, ვიცი. მაგრამ მისი სახელის ცოდნა წვრილმანია მის შეპყრობასთან შედარებით, მე კი იმედი მაქვს, რომ ეს მალე მოხდება. ოღონდ აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე, რადგან საქმე გვაქვს მოხერხებულსა და თავზე ხელაღებულ ადამიანთან, რომელსაც, როგორც დავრწმუნდი, ეხმარება მეორე, მისებრ ჭკვიანი კაცი. ვიდრე ის კაცი არ დაეჭვებულა, რომ მის კვალს მივაგენით, შეიძლება ვიქონიოთ მისი შეპყრობის იმედი, მაგრამ თუ ოდნავადაც კი ეჭვი აიღო, სახელს გამოიცვლის, ლონდონის ოთხმილიონიან მოსახლეობას შეერევა და თვალთაგან დაგვეკარგება. სულაც არა მსურს გაწყენინოთ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ასეთი ადამიანები სკოტლენდიარდელი აგენტებისათვის მოუხელთებელნი არიან. ამიტომაც არ მითხოვია თქვენთვის დახმარება. მაგრამ შემიძლია დაგპირდეთ, რომ ასეთი თხოვნით მოგმართავთ, როგორც კი დავრწმუნდები, რომ ეს საფრთხეს არ შეუქმნის მკვლელის შეპყრობის ჩემეულ გეგმას.

გრეგსონი და ლესტრეიდი არ მოუხიბლავს ასეთ დაპირებას, არც სამძებრო პოლიციის ასეთ საჩოთირო შეფასებას გამოუწვევია მათი აღტაცება. გრეგსონი თავისი ყვითელი თმის ძირებამდე გაწითლდა, ხოლო ლესტრეიდის ღილისებური პაწაწინა თვალები ცნობისმოყვარეობამ და წყენამ ააციმციმა. მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოასწრო ხმის ამოღება და ვერც მეორემ, რომ კარზე კაკუნი გაისმა და გამოცხადდა ქუჩის ბიჭების დელეგატი, თხუპნია ვიგინსი.

- ნება მიბოძეთ, სერ, - თქვა და ხელი ქუდთან მიიდო. - დაბლა კები გელოდებათ.

- კარგი, ყმაწვილო, - წყნარად მიუგო ჰოლმსმა.

- რატომ არ შემოიღებთ ხმარებაში სკოტლენდ-იარდში ამ ხელსაწყოს? - განაგრძო ჰოლმსმა და ყუთიდან ფოლადის ორი ხელბორკილი ამოიღო. ნახეთ, რა კარგად მუშაობს ეს ზამბარა. ერთ წამში იკეტება.

- ჩვენებური ნიმუში საკმაოდ კარგია. - შენიშნა ლესტრეიდმა. - ოღონდ მივაგნოთ დასაჭერს და ისედაც გავუსწორდებით.

- ჩინებულია, ჩინებული, - ღიმილით თქვა ჰოლმსმა. - კებმენი დამეხმარება ჩემოდნების ჩატანაში. სთხოვეთ, ვიგინს, ამოვიდეს.

გამაკვირვა ამ კაცმა. ისე ლაპარაკობდა, თითქოს სამგზავროდ ემზადებაო. ჩემთან რომ მუსაიფობდა, გამგზავრებაზე კრინტიც არ დაუძრავს. ოთახში პატარა

ჩემოდანი ედგა. ამოიღო და ღვედის მოჭერას შეუდგა. იგი გულმოდგინედ ფუსფუსებდა ჩემოდანთან, როდესაც კებმენი შემოვიდა.

- ერთი მომეშველეთ, მოუჭირეთ ეს, კებმენ! - უთხრა კებმენს ჰოლმსმა ისე, რომ მუხლმოყრილს თავიც არ აუწევია.

კებმენი ცოტა პირქუში, უნდო სახით მივიდა და ხელი გაუწოდა, რომ მიშველებოდა. იმავე წამს ცივად გაიჟღარუნა ლითონმა და შერლოკ ჰოლმსი ისევ ზეზე წამოიჭრა.

- ჯენტლმენებო, - შეჰყვირა და მოელვარე თვალები მოგვაპყრო, - ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მისტერ ჯეფერსონ ჰოუპი, ენოქ დრებერისა და ჯოზეფ სტანგერსონის მკვლელი.

ყველაფერი ერთ წამში მოხდა. სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში ის საზეიმო გამომეტყველება, ჰოლმსის სახეზე რომ აღბეჭდილიყო, მისი ფოლადივით წკრიალა ხმა, და ასე მოულოდნელად მორგებული ხელბორკილების მაცქერალი კებმენის დაღრეჯილი სახე. ერთი თუ ორი სეკუნდი ასე გაქვავებულებივით ვიდექით. შემდეგ კებმენი არაადამიანური ღრიალით დაუსხლტა ხელიდან ჰოლმსს და ფანჯრისაკენ გაშმაგებით გაექანა. ჩარჩო ჩაამტვრია, მინები დაამსხვრია, მაგრამ ვიდრე გადახტებოდა, გრეგსონი, ლესტრეიდი და ჰოლმსი მწევარი ძაღლებივით დაესხნენ თავს, უკანვე ჩამოათრიეს და ოთახში დაიწყო საშინელი ბრძოლა. ისეთი ღონიერი და მძვინვარე იყო, რომ პანტაპუნტით გვისროდა ოთხთავეს აქეთ-იქით. სახე და ხელები მინის ნამსხვრევებისაგან საშინლად დასერილ-დასისხლიანებული ჰქონდა და ჭრილობები ასუსტებდა მისი წინააღმდეგობის უნარს. მხოლოდ მაშინ, როცა ლესტრეიდმა მოახერხა და ხელები ყელში წაუჭირა, ჰოუპმა იკადრა და დაიჯერა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო საქმე იყო. მაგრამ ბრძოლა დამთავრებულად მხოლოდ მაშინ ჩავთვალეთ, როცა ხელ-ფეხი შევუკარით და იატაკიდან მძიმე ხვნეშით წამოვდექით.

- მისი კები ჩვენს ხელთაა, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა. - გამოვიყენოთ და პატიმარი სკოტლენდ-იარდში ჩავიყვანოთ. ახლა კი, ჯენტლმენებო, გორგალი გახსნილია. შეგიძლიათ მკითხოთ, რაც გნებავთ, არხეინად იყავით, უარს აღარ გეტყვით, პასუხს გაგცემთ.

თავი V|||
ჯეფერსონ ჰოუპის მოთხრობა

პატიმრის გააფთრებული წინააღმდეგობა, ეტყობა, ჩვენდამი განსაკუთრებული სიძულვილით არ იყო გამოწვეული. როცა დარწმუნდა, უძლური ვარო, ჰოუპმა თავაზიანად გაიღიმა და იმედი გამოთქვა, ჩემი მიზეზით ალბათ არავინ დაზიანებულაო.

- ალბათ პოლიციის განყოფილებაში წამიყვანთ, - უთხრა ჰოლმსს. - ჩემი კები დაბლა დგას, ხოლო თუ ფეხებს გამიხსნით, თვითოვე ჩავალ ძირს. ჩემი აწევა, ცოტა არ იყოს, გაგიჭირდებათ.

გრეგსონმა და ლესტრეიდმა ერთიმეორეს გადახედეს. ჰოუპის ეს წინადადება მათ მეტისმეტად სარისკოდ ეჩვენათ. მაგრამ ჰოლმსმა მაშინვე მოხსნა პირსახოცი, რითაც ჰოუპს ფეხები ჰქონდა შეკრული. პატიმარი ადგა და ფეხების გავარჯიშებას მოჰყვა. იშვიათად მინახავს ასეთი მაგარი აღნაგობის კაცი. მის მუქ, მზით გარუჯულ სახეზე სიმტკიცე და ენერგია იხატებოდა.

- თუ პოლიციის უფროსის ადგილი თავისუფალია, თქვენ უნდა მოგცენ, - თქვა და დაუფარავი აღტაცებით შეხედა ჩემს მეგობარს. - მარჯვედ კი დამიჭირეთ.

- უნდა წამომყვეთ, - მიმართა ჰოლმსმა მაძებრებს. - თქვენც, ექიმო, ეს საქმე ძალიან გაინტერესებდათ.

მისმა წინადადებამ გამახარა და ოთხივენი გზას გავუდექით. ლესტრეიდი კოფოზე დაჯდა. პატიმარი გაქცევის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა, დამშვიდებული შევიდა თავის კებში, ჩვენც მივყევით და მალე დანიშნულ ადგილზე აღმოვჩნდით. პატარა ოთახში შეგვიპატიჟეს, სადაც ინსპექტორმა ჩაიწერა მკვლელისა და მისი მოკლული ადამიანების სახელი. ფერმკრთალი, გულგრილი კაცი ჩანდა და თავის მოვალეობას მექანიკურად ასრულებდა. - ერთ კვირაში პატიმარი სასამართლოს წინაშე წარსდგება, - თქვა მან. - ჯერ კი, მისტერ ჯეფერსონ ჰოუპ, ხომ არ ისურვებთ რაიმეს თქმას?

- ბევრი რამ მინდა ვთქვა, - ნელა დაიწყო პატიმარმა. - მინდა ყველაფერი გიამბოთ, რაც კი ამ საქმესთან არის დაკავშირებული.

- ხომ არ გადავდოთ ეს სასამართლომდე? - ჰკითხა ინსპექტორმა.

- შეიძლება ჩემი გასამართლება არ მოგიხდეთ. ნუ მიყურებთ ასე შეშინებულნი. თვითმკვლელობას არ ვაპირებ. თქვენ ექიმი ხართ?

ამ კითხვას რომ მაძლევდა, თავისი მკაცრი შავი თვალებით შემომხედა.

- დიახ, ექიმი ვარ.

- მაშინ მომადეთ აქ ხელი, - მითხრა ღიმილით და მკერდი მიჩვენა.

ხელი რომ მკერდზე მივადე, ისეთი არაჩვეულებრივი ხმაური და მომძლავრებული პულსაცია ვიგრძენი, მომეჩვენა, თითქოს მკერდი ისე უცახცახებდა და ერყეოდა, როგორც მყიფე შენობას, რომლის შიგნითაც ძლიერი ძრავა მუშაობს.

- თქვენ აორტის გაგანიერება გაქვთ! - შევძახე მე.

- დიახ, ექიმები ასე ამბობენ. წინა კვირას ერთ ექიმთან ვიყავი და მითხრა, რამდენიმე დღის სიცოცხლე დაგრჩენიაო. ჩემი მდგომარეობა წლების განმავლობაში უარესდებოდა. ეს დავიმსახურე უჭმელობითა და გადაღლილობით, მლაშე ტბის მთებში რომ ვცხოვრობდი. ახლა ჩემი საქმე გავაკეთე და სულ ერთია, როდის მოვკვდები, მაგრამ გულით მინდა ჩემი წარსული მოგითხროთ. არ მინდა ისე მომიგონონ, როგორც ჩვეულებრივი მკვლელი.

ინსპექტორი და ორივე მაძებარი თათბირობდნენ, ნება მივცეთ თუ არა, რომ თავისი ცხოვრების ამბავი გვიამბოსო.

- როგორ ფიქრობთ, ექიმო, პატიმარს მართლაც უშუალო საფრთხე ემუქრება? - მომმართეს მე.

- უეჭველად.

- ამ შემთხვევაში, ჩვენი ვალია, მართლმსაჯულების ინტერესებისათვის მოვისმინოთ მისი ჩვენება, - თქვა ინსპექტორმა. - შეგიძლიათ, სერ, მოგვცეთ ჩვენება.

- თქვენი ნებართვით, დავჯდები, - თქვა პატიმარმა და სკამზე დაეშვა. - ავადმყოფობის მიზეზით მალე ვიღლები, ხოლო ჩვენმა ჭიდაობამ ამ ნახევარი საათის წინ მდგომარეობა კიდევ უფრო გამიუარესა. სამარის პირას ვდგავარ და რისთვის უნდა ვიცრუო? ყოველი ჩემი სიტყვა - წმინდა სიმართლეა, ხოლო როგორ გამოიყენებთ ჩემს ჩვენებას, ჩემთვის სულ ერთია.

ამ სიტყვებზე ჯეფერსონ ჰოუპი სკამის საზურგეს გადაეყრდნო და ჩვენების მიცემა დაიწყო. ისეთი წყნარი, ზომიერი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს სრულიად ჩვეულებრივ ამბავს ყვებოდა.

- თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, რისთვის მძულდა ასე ძლიერ ის ადამიანები. ისიც საკმარისია, რომ ისინი იყვნენ ორი ადამიანის სიკვდილის მიზეზი, - მამისა და ასულის, - რისთვისაც საკუთარი სიცოცხლით აგეს პასუხი.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულიდან ისე დიდი დრო გავიდა, რომ სასამართლოს გზით ვერაფერს გავხდებოდი. გადავწყვიტე, თვითონ გავმხდარიყავი მათი მოსამართლე, მსაჯული და განაჩენის აღმსრულებელი. ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით, თქვენც ასე მოიქცეოდით.

ქალიშვილი, რომელიც ახლა მოვიხსენიე, ამ ოცი წლის წინათ ჩემი დანიშნული იყო. იგი ძალით მიათხოვეს დრებერს და ქალი სასოწარკვეთილებას გადაჰყვა. მე მიცვალებულს თითიდან წავაძვრე საქორწინო ბეჭედი და ფიცი მივეცი, რომ სიკვდილის წუთებში დრებერი ჩასაქრობად გამზადებული მზერით ამ ბეჭედს შეხედავდა და მისი უკანასკნელი ფიქრი იქნებოდა ის დანაშაული, რომლისთვისაც ისჯებოდა. ამ ბეჭედს მე თან დავატარებდი და ქვეყნიდან ქვეყანაში დავყვებოდი დრებერსა და მის თანამზრახველს, ვიდრე ხელში არ ჩავიგდე. იმედი ჰქონდათ, რომ დამქანცავდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. თუ ხვალ სიკვდილი მიწერია, მოვკვდები იმ შეგნებით, რომ ამქვეყნად ჩემი საქმე გაკეთებულია, და გაკეთებულია კარგად. სიკვდილი კი ისედაც მომელოდა. ორივე ჩემი ხელით დაიღუპა. არაფრის იმედი არა მაქვს და არაფერს არ ვითხოვ.

ისინი მდიდრები იყვნენ, მე - ღარიბი, ადვილი არ იყო ჩემთვის მათი დევნა. ლონდონში რომ ჩამოვედი, ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მებადა. რაიმე საქმისათვის უნდა მომეკიდა ხელი, რათა თავი მერჩინა. ცხენების მართვა და ცხენზე ჯდომა ისევე იოლი საქმეა ჩემთვის, როგორც ქვეითად სიარული. ამიტომ სამგზავრო კებთა კანტორას მივმართე და ადგილიც მივიღე. პატრონისათვის ყოველკვირეულად გარკვეული თანხა უნდა მიმეცა. დანარჩენი შემოსავალი კი ჩემი იყო. ჩვეულებრივ ცოტა მრჩებოდა, მაგრამ როგორღაც იოლად გავდიოდი და ვცხოვრობდი რის ვაინაჩრობით. ყველაზე ძნელი იყო ქუჩების შესწავლა. მაგრამ ქალაქის გეგმამ მიშველა, და როცა ამ გეგმაზე მთავარი ოტელები და სადგურები აღვნიშნე, საქმე წაღმა წამივიდა.

ცოტა დრო როდი გავიდა, ვიდრე გავიგებდი, თუ სად ცხოვრობდნენ ჩემი ჯენტლმენები. ისინი კემბერუელის პანსიონში ჩამომხდარიყვნენ, მდინარის გაღმა, როცა ვიპოვნე, ვიგრძენი, რომ ჩემს განკარგულებაში იყვნენ. წვერი მოვუშვი. და აღარ მეშინოდა, რომ მიცნობდნენ. ვზვერავდი და ხელსაყრელ შემთხვევას ვუცდიდი.

საითაც არ უნდა წასულიყვნენ, კვალდაკვალ მივყვებოდი, - ხან ჩემი კებით, ხან ფეხით. პირველი ხერხი ჯობდა, რადგან ხელიდან ვერ დამისხლტებოდნენ. მხოლოდ ადრე დილით და გვიან ღამით ვახერხებდი რაიმეს შოვნას. ამიტომ სახლის პატრონის ვალში ჩავვარდი. მაგრამ ეს არ მაღელვებდა, - ოღონდ საძულველი ადამიანების ჯავრი ამომეყარა.

ძალიან მოხერხებული ვაჟბატონები კი იყვნენ. მგონი, გრძნობდნენ, რომ მათს ყოველ ნაბიჯს ვიღაც ზვერავდა, რადგან ყველგან ერთად დადიოდნენ და გვიან საღამოობით გარეთ არ გამოდიოდნენ. დრებერი ყოველთვის ნასვამი იყო, მაგრამ სტანგერსონი არასოდეს მინახავს შეზარხოშებული. ორი კვირა დილიდან საღამომდე, შეუმჩნევლად დავყვებოდი. მაგრამ შემთხვევა არ მომეცა, რომ განზრახული სისრულეში მომეყვანა. გულს მაინც არ ვიტეხდი, რადგან ვგრძნობდი, რომ შურისძიების ჟამი ახლოვდებოდა, მეშინოდა, რომ ამ შემოჩენილს, მკერდში რომ მიზის, უდროო დროს არ მოეღო ჩემთვის ბოლო და ამით ჩემი საქმის აღსრულებაში ხელი არ შეეშალა.

როგორღაც საღამოს ტორკვეისტერასზე ბოლთას ვცემდი. ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ, და დავლანდე, რომ მათ კართან კები გაჩერდა. მაშინვე გამოიტანეს რაღაც ბარგი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დრებერი და სტანგერსონი გამოვიდნენ. კები დაიძრა. ცხენი ავაჩქარე და ერთი ნაბიჯითაც არ ჩამოვრჩენილვარ. ელეთმელეთი მომდიოდა. მეშინოდა, ვაითუ ლონდონი მიატოვონ-მეთქი. ეუსტონის სადგურზე კებიდან გადმოვიდნენ. მე ეტლთან ყმაწვილი დავტოვე და უკან მივყევი იმ ჯენტლმენებს, რომლებიც ბაქანზე გავიდნენ. გავიგონე, როგორ იკითხეს ლივერპულის მატარებლის ამბავი. დარაჯმა უთხრა, მატარებელი ესაა გავიდა, შემდეგი კი რამდენიმე საათში იქნებაო. სტანგერსონი ამან, ეტყობა, ძალიან შეაწუხა, მაგრამ დრებერი, პირიქით, გახარებული ჩანდა. ხალხში ისე ახლოს მივედი მათთან, რომ თითოეული მათგანის ყოველი სიტყვა მესმოდა. დრებერმა უთხრა, ერთი პატარა პირადი საქმე მაქვს მოსაგვარებელი და დამელოდეო. სტანგერსონმა საყვედურებით აავსო და მოაგონა, ჩვენ ხომ დავთქვით, რომ ერთმანეთს არასოდეს დავშორებოდითო. დრებერმა მიუგო, ძალიან საჩოთირო საქმეა და უსათუოდ მარტო უნდა წავიდეო. ვერ გავიგონე, რა უთხრა ამაზე სტანგერსონმა, მაგრამ დრებერმა ლანძღვა-გინება დაუწყო და თავის მდივანს უბრძანა, მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული მსახური ხარ ჩემი და ბრძანების არავითარი უფლება არა გაქვსო. სტანგერსონი დარწმუნდა, რომ დავა უსარგებლო იყო და უბრალოდ შეუთანხმდა, თუ დრებერი უკანასკნელ მატარებელზეც დააგვიანებდა, მაშინ ოტელ ჰელიდეიში უნდა მოსულიყო სტანგერსონთან. ამაზე დრებერმა უპასუხა, თერთმეტზე ადრე დავბრუნდებიო, და წავიდა.

დაბოლოს, დადგა წუთი, რასაც ასე დიდხანს ველოდი. ვიდრე ერთად იმყოფებოდნენ, შეეძლოთ ერთმანეთი დაეცვათ. მაგრამ ცალცალკე უძლური იყვნენ ჩემს წინააღმდეგ. ჩემი გეგმა ასრულდა. შურისძიება მხოლოდ გვანიჭებს კმაყოფილებას, როდესაც მჩაგვრელს რჩება დრო შეიგნოს, ვინ მიაყენა დარტყმა და რისთვის უწია აღსასრულმა. წინასწარვე მოვიფიქრე, როგორ ამეხსნა მტრისათვის, რომ იგი ძველი ცოდვისათვის ისჯებოდა. მოხდა ისე, რომ რამდენიმე დღის წინ რომელიღაც ბატონი ბრიქსტონროუდის რაიონში სახლებს ათვალიერებდა და ჩემს ეტლში გასაღები დაკარგა. იმავე საღამოს გამოვაცხადე და პატრონს გასაღები დავუბრუნე. მაგრამ დაბრუნებამდე მოვასწარი და მეორე სწორედ იმდაგვარი გასაღები გავაკეთებინე. ამის წყალობით ახალ უზარმაზარ ქალაქში მეგულებოდა ერთი კუთხე, სადაც შემეძლო დაუბრკოლებლად ამესრულებინა მოფიქრებული საქმე. ჩემს წინაშე რთული ამოცანა იდგა - ამ სახლში უნდა შემეტყუებინა დრებერი.

სადგურიდან დრებერი ფეხით წავიდა და დასალევად ორ ადგილას შეუხვია. ერთგან მთელი ნახევარი საათი დარჩა და უკან ძლიერ შეზარხოშებული გამობრუნდა, ფეხზე ძლივს იდგა. ჩემს გვერდით მდგარი ეტლი დაიქირავა. მე კუდში მივყვებოდი: ჩემი ცხენის ქიქვირი მისი ეტლის ზურგს ეხებოდა. თემზა გავიარეთ, რამდენიმე ქუჩაც მოვიტოვეთ უკან და ჩემდა გასაოცრად აღმოვჩნდით პანსიონთან, სადაც ის ცხოვრობდა. გზა განვაგრძე და სახლიდან ასიოდე იარდზე გავჩერდი. გადმოვიდა თუ არა ეტლიდან, მეეტლეს ანგარიში გაუსწორა და გაუშვა.

მეოთხედი საათი ვუცადე, თუ მეტი არა. უეცრად სახლში ისეთი ხმაური ატყდა, თითქოს ჩხუბი გაიმართაო. ერთი წუთის შემდეგ კარი გაიღო და ზღურბლზე ორი მამაკაცი გამოჩნდა: ერთი დრებერი იყო, მეორე - ახალგაზრდა კაცი, რომელიც უწინ არასოდეს მენახა. იმ ყმაწვილს საყელოში ჩაევლო ხელი დრებერისათვის და ისე ეჭირა. კიბის ბოლო საფეხურს რომ მიაღწიეს, ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ დრებერი შუა ქუჩაში გაიშხლართა. «ძაღლო!» - უყვიროდა ახალგაზრდა კაცი და ჯოხს

უქნევდა. - «მე შენ გასწავლი, როგორ უნდა წესიერი ქალიშვილების ატორღიალება». ყმაწვილი ისე აღელვებული იყო, რომ დრებერს ალბათ კომბლით სცემდა, რომ ის არამზადა თავქუდმოგლეჯილი არ გაქცეულიყო. კუთხემდე მიირბინა, მერე ჩემი კები შენიშნა, მიმიხმო, შიგ ჩახტა და ჰელიდეის ოტელში წამიყვანეო, მიყვირა.

როცა კების კარი ჯახუნით დაიხურა, გული ისე გაშმაგებით ამიძგერდა სიხარულისაგან, რომ შემეშინდა, ამ გადამწყვეტ ჟამს აორტამ ცუდი ოინი არ მომიწყოს-მეთქი. მაგრამ დრებერი დამეხმარა ჩემი ამოცანის შესრულებაში. ისევ მოისურვა დალევა, ლუდხანასთან მისვლა და მოცდა მიბრძანა. იქ დარჩა ლუდხანის დაკეტვამდე და ისე გაილეშა, რომ სავსებით ჩემს ხელთ იყო.

არ იფიქროთ, რომ გულგრილად ვაპირებდი მისთვის ბოლოს მოღებას. თუმცა ეს სამართლიანი საქმე იქნებოდა, მაგრამ ვერ გავბედე. კარგა ხანია მოფიქრებული მქონდა მისთვის ბოლოს მოღების ჩემეული გეგმა. ამერიკაში ხეტიალის წლებში ერთ ხანს იორლ კოლეჯში ლაბორატორიის დამლაგებლად ვმუშაობდი. ერთხელ პროფესორი სტუდენტებს შხამებზე უკითხავდა ლექციას და უჩვენა სამხრეთამერიკული შხამისაგან მის მიერ მიღებული ალკალოიდი, რასაც ისრების მოსაწამლად ხმარობენ. ეს იყო ძლიერმოქმედი შხამი, რომლის უმცირესი დოზაც კი საკმარისია, რომ ელვისებური სიკვდილი გამოიწვიოს. დავინიშნე ბოთლი, რომელშიაც ეს შხამი ინახებოდა და როცა ყველა წავიდა, ცოტაოდენი ფხვნილი გადმოვიღე. ამ ალკალოიდისაგან დავამზადე პატარა აბები, რომლებიც წყალში იოლად იხსნებოდნენ. ყოველი ასეთი აბი ჩავდე კოლოფში მეორე ასეთივე სახის აბთან ერთად, რაც შხამს არ შეიცავდა. მაშინვე გადავწყვიტე, როცა შესაფერისი დრო დადგებოდა, ორივე ჯენტლმენისათვის შემეთავაზებინა არჩევანი, რომ ორიდან ერთი აბი აეღოთ. დარჩენილ აბს თვითონ გადავყლაპავდი. ჩემი აბები მომაკვდინებელი იყო. ოღონდ ბევრად უფრო უხმაურო, ვიდრე, მაგალითად, დამბაჩის ტყვია. მას შემდეგ ჩემი კოლოფები მუდამ თან დამქონდა. ახლა კი დადგა მათი გამოყენების დრო.

დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა. პირქუში, ავდრიანი ღამე იდგა, ქარი ქროდა და კოკისპირულად წვიმდა. მე თავს ბედნიერად ვგრძნობდი და მზად ვიყავი მეყვირა. სიგარას მოვუკიდე და მოვქაჩე, ვცდილობდი მშვიდად ვყოფილიყავი, მაგრამ ხელები მიკანკალებდა, საფეთქლებში კი სისხლი მაწვებოდა. მეჩვენებოდა, რომ სიბნელიდან ლუსი მიღიმოდა, ჩემი საცოლე.

ლაურისტონგარდენზე წავედი, უკაცრიელ სახლში. კაციშვილი არ ჩანდა, ხმა არსაიდან ისმოდა, მხოლოდ წვიმა შხაპუნობდა. კების სარკმელში შევიხედე, დრებერი გალეშილი ეგდო, მოკრუნჩხულიყო და ეძინა, მკლავში ხელი ვტაცე და ვუთხარი: «გამოსვლის დროა!»

«კარგიო», - თქვა.

დრებერს ალბათ ეგონა, ოტელთან მივედითო, რადგან ბაღის გზას უსიტყვოდ დაადგა. მივყევი და თან ხელით ვაკავებდი, იგი ჯერ კიდევ არ იყო გამოფხიზლებული. სახლთან რომ მივედით, კარი გავაღე და ოთახში შევიყვანე.

«რა ჯოჯოხეთურად ბნელა», - თქვა ბანცალით.

«ახლავე იქნება სინათლე, - ვუპასუხე და ანთებული ასანთი სანთელთან მივიტანე. - ახლა კი, ენოქ დრებერ, - განვაგრძე მშვიდად და სანთელი ჩემსავე სახესთან მივიტანე. - აბა თუ მიცნობ, ვინა ვარ».

ამღვრეული, მთვრალი კაცის თვალებით მომაშტერდა. შემდეგ სახე ელდამ დაუმახინჯა. მიცნო. მკვდრისფერი დაედო, უკან დაიხია. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, შიშისაგან კბილს კბილზე აცემინებდა. ზურგით კარს მიეყრდნო. მე კი

დიდხანს, დიდხანს ვიცინოდი. ყოველთვის ვიცოდი, რომ შურისძიება ტკბილი იქნებოდა, მაგრამ ასეთ სულიერ სიმშვიდეს კი არ ველოდი.

«ძაღლო! - შევძახე. - მე კვალდაკვალ გდევდი მლაშე ტბის ქალაქიდან სანკტ-პეტერბურგამდე, და ყოველთვის ხელიდან მისხლტებოდი. ახლა შენი მოგზაურობა დასრულდა, რადგან ერთი ჩვენგანი ხვალ დღის სინათლეს ვეღარ იხილავს».

უკან-უკან დაიწია, და მის თვალებში ამოვიკითხე, რომ გიჟად მივაჩნდი. დიახ, იმ წუთებში ვიყავი კიდეც შეშლილი. სისხლი ჩაქუჩივით მცემდა საფეთქლებში. ალბათ შეტევა მიმსხვერპლებდა, რომ ცხვირიდან სისხლს არ ეფეთქა, - ამან მიშველა.

«რას ფიქრობ ახლა ლუსიზე? - შევძახე ყვირილით, კარი ჩავკეტე და თვალწინ გასაღები დავუტრიალე. - შურისძიებამ დაიგვიანა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ წამოგეწია».

დავინახე, როგორ აუთრთოლდა შიშისაგან ბაგე. სიცოცხლეს არ ითხოვდა, რადგან იცოდა, ამით თავს ვერ უშველიდა.

«მომკლავ?» - მკითხა ენის ბორძიკით.

«აქ მკვლელობაზე როდია ლაპარაკი, - ვუპასუხე მე. - როდის ლაპარაკობენ მკვლელობაზე, როცა საქმე ცოფიან ძაღლს ეხება? - განა შენ შეიცოდე საბრალო ლუსი, როცა მოკლული მამის გვამს მოაგლიჯე და შენს წყეულ ჰარამხანაში წაათრიე?»

«მე არ მომიკლავს მამამისი! - შეჰყვირა დრებერმა. -სტანგერსონმა მოკლა».

«მაგრამ შენ დაამსხვრიე ქალის უმანკო გული, - შევძახე მე და კოლოფი გავუწოდე. - უზენაესმა გაგვასამართლოს. აირჩიე ერთ-ერთი აბი და გადაყლაპე. ერთში სიკვდილია, მეორეში სიცოცხლე. დარჩენილს მე ავიღებ. ვნახოთ, არსებობს თუ არა ქვეყნად სამართალი, ჩვენ ბრმა განგების ხელში ვიმყოფებით!»

ველური ყვირილით დაიხია უკან, შებრალებას ითხოვდა. მე კი დანა ვიშიშვლე, ყელთან მივუტანე და ასე მეჭირა, ვიდრე ჩემი ბრძანება არ შეასრულა. შემდეგ მეც გადავყლაპე ჩემი აბი. მთელი ერთი წუთი, თუ მეტი არა, ასე უსიტყვოდ შევცქეროდით ერთი-მეორეს და ვცდილობდით გაგვეგო, რომელს მოგველოდა სიკვდილი. არასოდეს არ დამავიწყდება მისი სახის გამომეტყველება, როცა ტკივილის პირველმა შემოტევებმა აგრძნობინა, რომ მის სხეულში შხამია. მე ვიცინოდი და განწირულის თვალწინ ლუსის საქორწინო ბეჭედს ვათამაშებდი. ეს მხოლოდ ერთი წამით გაგრძელდა, რადგანაც ალკალოიდი სწრაფად მოქმედებს. ტკივილის კრუნჩხვამ სახის ნაკვთები დაუმახინჯა, ხელი წინ გამოიშვირა, წაბარბაცდა და ხრინწიანი შეძახილით იატაკზე გაიშხლართა. ჩექმის წვერით გადავაბრუნე და გულზე ხელი დავადე, გული აღარ უცემდა. კაცი გათავებული იყო!

ცხვირიდან სისხლი მდიოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, თვითონაც არ ვიცი, საიდან მომივიდა აზრი, რომ კედელზე ჩემივე სისხლით წამეწერა «შურისძიება». იქნებ პოლიციისათვის კვალის აბნევა მინდოდა. მახსოვს, ნიუ-იორკში ერთი გერმანელი იპოვნეს მკვდარი, და მის თავს ზემოთ ეწერა სიტყვა კფსრუ. გაზეთები აცხადებდნენ, რაღაც საიდუმლო ორგანიზაციის საქმეაო. თითი საკუთარ სისხლში ჩავაწე და კედელზე იგივე სიტყვა წავაწერე. შემდეგ ჩემს კებთან დავბრუნდი და დავრწმუნდი, რომ მახლობლად არავინ იყო. საკმაო მანძილი გავიარე, რომ უეცრად ჯიბეზე ხელი ვიტაცე და აღმოვაჩინე, რომ ლუსის ბეჭედი თან არა მქონდა. თითქოს მეხი დამეცა, რადგან ეს იყო მისი ერთადერთი სახსოვარი. გავიფიქრე, ბეჭედი ალბათ მაშინ დავკარგე, როცა დრებერის გვამთან დავიხარე-მეთქი, მზად ვიყავი გამებედა რაც გნებავთ, ოღონდ კი ბეჭედი დამებრუნებინა. სახლში რომ დავბრუნდი, პირდაპირ პოლიციელის ხელში აღმოვჩნდი. იგი ბაღიდან გამოვიდა, და ეჭვი რომ არ აღმეძრა, თავი გალეშილად მოვაჩვენე.

ასეთი იყო ენოქ დრებერის აღსასრული. ახლა ისღა დამრჩენოდა, სტანგერსონთან გამესწორებინა ანგარიში და ლუსის მამასთან გამეგზავნა. ვიცოდი, რომ ოტელ ჰელიდეიში ცხოვრობდა, მაგრამ სახლიდან არ გამოდიოდა. ვფიქრობ, როდესაც დრებერი თავის დროზე არ დაბრუნდა, სტანგერსონს ტანმა უაზრა. მეტისმეტად ეშმაკი იყო ეს სტანგერსონი და ყოველთვის დაცქვეტილი ჰქონდა ყურები. იმედოვნებდა, რომ თავის ოთახში ჯდომით ხიფათს აიცდენდა, მაგრამ შეცდა. მისი საწოლის ფანჯარა მალე ვიპოვე. მეორე დღეს, დილაადრიან, კიბით ვისარგებლე, მოსახვევთან რომ ეგდო, ოტელის უკან, კუთხეში, და გამთენიისას მის ოთახში გადავედი. გავაღვიძე და ვუთხარი, შენი აღსასრულის საათმა დაჰკრა-მეთქი. პასუხი უნდა აგო იმ სიცოცხლისათვის, მრავალი წლის წინათ სხვას რომ წაართვი-მეთქი. დრებერის სიკვდილი ავუწერე და ასარჩევად შევთავაზე ერთ-ერთი აბი. იმის ნაცვლად, რომ გადარჩენის ერთადერთი შანსი გამოეყენებინა, ლოგინიდან წამოვარდა და ყელში მწვდა. თავს ვიცავდი და დანა გულში გავუყარე.

მეტი თითქმის არაფერი მაქვს სათქმელი, და ეს კარგია, რადგან ძალ-ღონე მელევა. ერთი თუ ორი დღე კიდევ ვიჯექი კოფოზე, ვფიქრობდი, ამით გავიტან-მეთქი თავს. ფულის მოგროვებას და ამერიკაში დაბრუნებას ვაპირებდი. ეზოში ვიდექი, როცა ჩამოძონძილმა ყმაწვილმა მკითხა, აქ ხომ არ ცხოვრობს კებმენი, ჯეფერსონ ჰოუპიო. მერე დასძინა, მისი კები უნდა ერთ ჯენტლმენს, რომელიც ბეიკერსტრიტზე ცხოვრობს №221-ბ სახლშიო. ეჭვი არაფერზე ამიღია, წამოვედი, და ერთი წუთის შემდეგ ამ ახალგაზრდა კაცმა ხელებზე ბორკილები დამადო. აი, მთელი ჩემი ისტორია, ჯენტლმენებო. შეგიძლიათ მკვლელად ჩამთვალოთ, მე კი ვფიქრობ, რომ მართლმსაჯულების ისეთივე მსახური ვარ, როგორიც თქვენ.

ისე გაგვიტაცა პატიმრის მოთხრობამ, რომ უსიტყვოდ ვისხედით, ჩვენს ფიქრებში ჩაფლულნი. მხოლოდ ლესტრეიდის ფანქრის ფხაჭუნი არღვევდა დუმილს. მაძებარი სტენოგრამას ამთავრებდა.

- რჩება მხოლოდ ერთი გარემოება, რომლის ახსნასაც უფრო დაწვრილებით ვისურვებდი, - თქვა ბოლოს ჰოლმსმა. - ვინ იყო თქვენი თანამზრახველი, ბეჭდის წასაღებად რომ მოვიდა?

პატიმარმა ჩემს მეგობარს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

- შემიძლია გულახდილად გაგანდოთ ჩემი საიდუმლოება, - თქვა მან, - მაგრამ მეგობრის გაცემას არ ვაპირებ. მე წავიკითხე განცხადება და ვიფიქრე, შეიძლება ეს მახეა-მეთქი. ჩემმა მეგობარმა იკისრა მოსვლა და ამბის გაგება. ვგონებ დამეთანხმებით, რომ ეს საქმე მარჯვედ გააკეთა.

- უეჭველად, - გულწრფელად მიუგო ჰოლმსმა.

- აბა, ჯენტლმენებო - მედიდურად შენიშნა ინსპექტორმა. - პატივი უნდა ვცეთ კანონს. ოთხშაბათს პატიმარი სასამართლოს წინაშე წარდგება, და მაშინ საჭირო გახდება თქვენი დახმარება. მანამდე კი მასზე სავსებით ვაგებ პასუხს.

დარეკა და ორმა ზედამხედველმა ჯეფერსონ ჰოუპი გაიყვანა. მე და ჩემმა მეგობარმა სკოტლენდ-იარდი დავტოვეთ და კებით დავბრუნდით ბეიკერსტრიტზე.

თავი |X
დასასრული

ოთხშაბათისათვის ყველამ მივიღეთ სასამართლოში გამოცხადების უწყება, მაგრამ ჩვენებების მიცემა არ მოგვიხდა. უზენაესმა მოსამართლემ საქმის გაძღოლა თვითონ ითავა და ჯეფერსონ ჰოუპი სხვანაირი სასამართლოს წინაშე წარდგა.

დაპატიმრების მეორე ღამეს ჯეფერსონ ჰოუპს შეტევა ჰქონდა და დილით მისი უსულო გვამი სენაკის იატაკზე იპოვეს. მისი მშვიდი ღიმილი მოწმობდა, რომ სიკვდილის წუთებში ფიქრობდა სიცოცხლეზე, რაც ადამიანთა სასარგებლოდ გაატარა, და ვალზე, რომელიც პირნათლად მოიხადა.

- გრეგსონსა და ლესტრეიდს ჰოუპის სიკვდილი სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს, - შენიშნა ჰოლმსმა. - მათ ხომ რეკლამის შექმნის შემთხვევა დაკარგეს.

- ვერაფერს ვხედავ ისეთს, რომ ჰოუპის დაპატიმრების საქმეში მათი გმირობა გამოსჭვივოდეს, - ვუპასუხე მე.

- რას გააკეთებთ ამ ქვეყანაზე, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მწარედ ჩაილაპარაკა ჰოლმსმა. - მთავარია აიძულოთ ადამიანები იფიქრონ, რომ თქვენ რაღაც გააკეთეთ. მაგრამ ეს არაფერია, - განაგრძო მაშინვე. - მე არაფრის გულისათვის არ ვიტყოდი უარს ამ საქმის გამოძიებაზე. ჩემს ხსოვნაში ეს ყველაზე უფრო საინტერესო შემთხვევაა. მთელი მისი უბრალოების მიუხედავად მასში იყო რამდენიმე ჭკუის სასწავლი მომენტი.

- მაპატიეთ! - შევძახე მე.

- სწორედ გითხრათ, სხვა გამოთქმა ვერ მიპოვნია. მისი უბრალოების საბუთად ის გამოდგება, რომ რამდენიმე, ფრიად უბრალო დასკვნის დახმარებით რაღაც სამ დღეში მოვახერხეთ დამნაშავის შეპყრობა. უკვე აგიხსენით, რომ დანაშაულის არაჩვეულებრივი ხასიათი აადვილებს ძიებას. ასეთი ხასიათის ამოცანის გადასაწყვეტად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ანალიტიკური განსჯის უნარი.

- გამოგიტყდებით და თქვენი მსჯელობის აზრი ვერ გავიგე.

- შევეცდები აგიხსნათ. როცა ამბავს თანმიმდევრულად აუწერთ ვინმეს. მსმენელები თვითონ ხვდებიან, როგორი იქნება შედეგი. ასე ხდება უფრო ხშირად. ისინი ამ ფაქტებს გონებაში ერთმანეთს უკავშირებენ და აკეთებენ დასკვნას, თუ რა მოხდება შემდეგ. მაგრამ ძალიან იშვიათად გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც აქვთ უნარი დაასახელონ ან აგვიწერონ შედეგის საფუძველზე ცალკეული ფაქტები, რომელთაც ეს შედეგი გამოიწვიეს.

ამ საქმეშიც ცნობილი იყო მხოლოდ შედეგი, ყველაფერი დანარჩენი კი ჩვენ უნდა დაგვედგინა. შევეცდები დაგანახოთ ჩემი მსჯელობის ცალკეული რგოლები. დავიწყებ თავიდან. სახლთან, როგორც იცით, ფეხით მივედი და თავისუფალი ვიყავი ყოველგვარი წინასწარ რწმენისაგან. ბუნებრივია, გზის კვლევა დავიწყე და აშკარად ვნახე კების კვალი, რომელსაც ჩემი ვარაუდით იმ ღამეს უნდა ჩაევლო. ნაკვალევის სიგანეზე შევატყვე, რომ ეს იყო სწორედ კები და არა კერძო ეტლი, რადგან ჩვეულებრივი დაქირავებული ეტლის კვალი საკუთარ ეტლთან შედარებით ვიწროა.

შემდეგ ნელა გავყევი ბაღის გზას. თიხნარი მიწა იყო და ნაკვალევი ძალიან მკაფიოდ შეენახა. ჩემი გავარჯიშებული თვალისათვის ყოველგვარ კვალს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ძიების მეცნიერებაში არ არის მეორე უფრო მნიშვნელოვანი და უფრო შეუსწავლელი უბანი, ვიდრე ნაკვალევის გარჩევის ხელოვნება. საბედნიეროდ, ამას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი და დიდი გამოცდილებაც დამიგროვდა. მე შევნიშნე კონსტებლის მძიმე ნაბიჯები, აგრეთვე იმ ორი კაცის კვალი, პოლიციელებზე ადრე რომ გაეთელათ ბაღის ბილიკი. ადვილი იყო იმის დადგენა, რომ ეს ორი კაცი სხვებზე ადრე ყოფილა აქ, რადგან ალაგ-ალაგ მათი ნაკვალევი სრულიად გადაშლილი აღმოჩნდა სხვების ნაფეხურებით. ამრიგად, ჩემს ხელთ აღმოჩნდა მეორე რგოლი, იმის მაჩვენებელი, რომ ღამით ორი ადამიანი ყოფილა, ერთი ტანმაღალი (როგორც გამოვთვალე მისი ნაბიჯის სიგრძის მიხედვით),

მეორეს კი მოდაზე ეცვა, რაც მისი ფეხსაცმელის პატარა და მოხდენილი ნაკვალევიდან ჩანდა.

სახლში რომ შევედი, ჩემი ვარაუდი გამართლდა. კოხტად გამოწყობილი და ლამაზფეხსაცმელიანი კაცი მკვდარი იწვა. მაშასადამე, მკვლელობა ტანმაღალმა ჩაიდინა, თუ მოხდა მკვლელობა. მიცვალებულს ტანზე არ აჩნდა ჭრილობა, მაგრამ სახის შეძრწუნებული გამომეტყველება მოწმობდა, რომ თავისი ბედი უფრო ადრე შეიტყო, ვიდრე იგი ეწეოდა. მიცვალებულის ბაგეზე რომ დავიხარე და ჰაერი ჩავისუნთქე, ოდნავ მომჟავო სუნი მეცა და დავამტკიცე, რომ სიკვდილის წინ იძულებული გაუხდიათ საწამლავი დაელია. იგივე დასკვნა გამოვიტანე მისი სახის გამომეტყველებიდან, რომელზედაც სიძულვილი და შიში აღბეჭდოდა. ამ დასკვნამდე გამორიცხვის მეთოდით მივედი, რადგანაც ვერავითარი სხვა ჰიპოთეზა ვერ ხსნიდა ფაქტებს. არ იფიქროთ, რომ ეს რაღაც გაუგონარი რამეა. დანაშაულობათა მატიანეში ასეთი შემთხვევები მრავლადაა.

ახლა კი მთავარი საკითხი: მკვლელობის მოტივი უნდა განმესაზღვრა. ძარცვა გამორიცხული იყო, რადგანაც წაღებული არაფერი აღმოჩნდა. ხომ არ გვქონდა საქმე პოლიტიკურ მოტივებთან ან ამ საქმეში ქალი ხომ არ იყო გარეული? თავიდანვე ამ უკანასკნელი მოტივისაკენ ვიხრებოდი. პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შემდეგ მკვლელები, ჩვეულებრივ, სწრაფად გაქცევას ცდილობენ. ეს მკვლელობა, პირიქით, გულდინჯად იყო ჩადენილი, და მკვლელმა მოურიდებლად წარწერაც კი დატოვა ოთახში. ეს კი იმას მოწმობდა, რომ მკვლელი ამ ოთახში დიდხანს ყოფილა. ასეთ მეთოდურ შურისძიებას იწვევს პირადი მტრობა და არა პოლიტიკური, კედელზე აღმოჩენილმა წარწერამ ამაში კიდევ უფრო დამარწმუნა. ეს აშკარა ნიღაბი იყო. როცა ბეჭედი ვიპოვნეთ, საკითხი სრულიად ნათელი გახდა. მკვლელმა უსათუოდ გამოიყენა ეს ბეჭედი იმისათვის, რომ თავისი მსხვერპლისათვის მოეგონებინა რომელიმე განსვენებული ან სხვაგან მყოფი ქალი. ამან მაიძულა მეკითხა გრეგსონისათვის, ხომ არ მოითხოვა თავის დეპეშაში ცნობები დრებერის პირად ცხოვრებაზე წარსულში. როგორც გახსოვთ, ამაზე გრეგსონმა უარყოფითად მიპასუხა.

მაშინ ოთახის დაწვრილებით შესწავლას შევუდექი. ამან დაადასტურა ჩემი ვარაუდი მკვლელის ტანადობაზე და მომცა დამატებითი ცნობები მისი სიგარების ხარისხისა და ფრჩხილების სიგრძეზე. რაკი ბრძოლის ნიშანწყალი არ ჩანდა, მაშასადამე, სისხლის ლაქები იატაკზე რომ იყო, მოწმობდა, რომ მკვლელს მღელვარებისაგან ცხვირიდან სისხლი წასკდომოდა. შევნიშნე, რომ სისხლის წვეთები მისი ნაბიჯების კვალს ეფარებოდა. სისხლისდენის ეს შემთხვევები მღელვარების შედეგია და ჩვეულებრივ სისხლჭარბ ადამიანებს აქვთ ხოლმე. ამიტომაც გამოვთქვი მოსაზრება, რომ მკვლელი ალბათ მაგარი აღნაგობის, ლოყებღაჟღაჟა კაცია-მეთქი. ამბავთა მსვლელობამ დაადასტურა ჩემი სიმართლე.

სახლი რომ მივატოვე, გავაკეთე ისე, რაც არ გაუკეთებია გრეგსონს, - დეპეშა გავაგზავნე კლივლენდის პოლიციის უფროსთან და შემოვიფარგლე კითხვით ენოქ დრებერის ქორწინების თაობაზე. შემატყობინეს, რომ დრებერს ერთხელ უკვე მიუმართავს კანონისათვის და თავისი ძველი მეტოქის ჯეფერსონ ჰოუპისაგან დაცვა უთხოვია. მომწერეს ისიც, რომ ამჟამად ჰოუპი ევროპაში იმყოფებაო. მაშინ გავიგე, რომ ამ საიდუმლოებით მოცული საქმის გასაღები ხელთ მქონდა. რჩებოდა მხოლოდ მკვლელის მიკვლევა.

ჩემს გულში უკვე გადავწყვიტე, რომ დრებერის თანხლებით სახლში შესული კაცი სხვა არავინ იქნებოდა, თუ არა ის, ვინც კებით იქ მიიყვანა. კვალი მიჩვენებდა,

რომ კებში გაბმული ცხენი თავისუფლად დასეირნობდა. ამას პირუტყვი ვერ მოახერხებდა, თუ კოფოზე პატრონი ან ვინმე იჯდებოდა. მაშ, სად იქნებოდა მეეტლე, თუ არა სახლში? ამას გარდა, პირდაპირ სისულელე იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ვინმე ასეთ დანაშაულს ჩაიდენს მესამე პირის თანდასწრებით, რომელიც უსათუოდ გასცემდა. დაბოლოს, დავუშვათ, რომ ერთმა კაცმა განიზრახა მეორის გატყუება სადმე ქალაქგარეთ. საამისოდ ყველაზე უფრო მოხერხებული იქნება, თუ კებმენად დადგება. ყველა ამ მოსაზრებამ იმ მტკიცე დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ჯეფერსონ ჰოუპი სადმე ლონდონელ კებმენებს შორის უნდა მომეძებნა.

არავითარი საფუძველი არ მქონდა მეფიქრა, რომ ის კაცი დაუყოვნებლივ მიატოვებდა თავის საქმეს. მისი აზრით, პროფესიის ასეთი ანაზდეული გამოცვლა, პირიქით, მის წინააღმდეგ ეჭვს აღძრავდა. ალბათ რამდენიმე ხნით მაინც ამჯობინებს მუშაობის გაგრძელებას-მეთქი, ვიფიქრე. არც იმისი მიზეზი არსებობდა, რომ მკვლელი სახელსა და გვარს გამოიცვლიდა. რისთვის უნდა გამოეცვალა სახელი იმ ქვეყანაში, სადაც მისი ნამდვილი სახელი არავინ იცოდა? ამიტომ დავიბარე უსახლკარო ბიჭების ჩემი დივიზია და დავავალე მთელ ლონდონში ეძებნათ კებმენი ჯეფერსონ ჰოუპი. თქვენ გახსოვთ, რა კარგად გაართვეს თავი ამ დავალებას, და რა სწრაფად გამოვიყენე მათი აღმოჩენა? სტანგერსონის მკვლელობა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო. მისი წყალობით მივიღე აბი, რომლის არსებობაც უკვე ვარაუდით ვიცოდი. თქვენ ხედავთ, რომ ყველაფერი ეს განუწყვეტელი ლოგიკური დასკვნების ჯაჭვს შეადგენს.

- განსაცვიფრებელია! - შევძახე მე. - თქვენი დამსახურება ოფიციალურად უნდა იქნას აღიარებული. უნდა გამოაქვეყნოთ ანგარიში ამ საქმეზე. თუ გნებავთ, ამას თქვენ მაგიერ მე გავაკეთებ?

- თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ, რაც გნებავთ, ექიმო, - მიპასუხა ჰოლმსმა, - აი, შეხედეთ! - განაგრძო და გაზეთი გადმომცა.

სტატია, რომელიც მაჩვენა, ჯეფერსონ ჰოუპის საქმეს ეხებოდა.

«მისტერ ენოქ დრებერისა და მისტერ ჯოზეფ სტანგერსონის მკვლელობაში ეჭვმიტანილ ჰოუპის უეცარმა სიკვდილმა საზოგადოებას მოაკლო სიამოვნება თვალყური ედევნებინათ სენსაციური სასამართლო პროცესისათვის. ამ დანაშაულის დაწვრილებითი ისტორია ალბათ არასოდეს არ იქნება გამოქვეყნებული, თუმცა საიმედო წყაროებიდან ვიცით, რომ მკვლელობა გამოწვეული იყო მრავალწლიანი და რომანტიკული მტრობით, რაშიაც ჩარეული იყო სიყვარული და მორმონიზმი. ჩანს, ახალგაზრდობაში ორივე მსხვერპლი ეკუთვნოდა «უკანასკნელ დღეთა წმინდანების» სექტას და ჰოუპსაც, ციხეში გარდაცვლილ მკვლელს, მლაშე ტბის რაიონში უცხოვრია. ეს საქმე, ყოველ შემთხვევაში, ბრწყინვალედ გვიჩვენებს ჩვენი სამძებრო პოლიციის ენერგიასა და უნარიანობას. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ დამნაშავის აღმოჩენისა და შეპყრობის პატივი მთლიანად ეკუთვნით სკოტლენდ-იარდის ცნობილ აგენტებს - მისტერ ლესტრეიდსა და მისტერ გრეგსონს. დამნაშავე შეიპყრეს ვინმე შერლოკ ჰოლმსის ბინაში. ჰოლმსმა მოყვარული მაძებრის სახით ერთგვარი უნარი გამოამჟღავნა ძიების საქმეში. შეუძლია იმედი იქონიოს, რომ საქმის ასეთი ოსტატების გვერდით დროთა მანძილზე ერთგვარ წარმატებასაც მიაღწევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაწეული სამსახურისათვის ორივე აგენტი ჯილდოს მიიღებს».

- განა კუდიანივით ეს თავიდანვე არ ვიწინასწარმეტყველე? - შესძახა შერლოკ ჰოლმსმა. - აი, «ალისფერი კვალის» მთელი ჩემი ძიების შედეგები, - სხვისთვის ჯილდოების მოპოვება.

- ფიქრი ნუ გექნებათ, - ვუპასუხე მე. - ჩემს დღიურში ჩაწერილია ამ საქმესთან დაკავშირებული მთელი სიმართლე და თავის დროზე ხალხი ყველაფერს გაიგებს.

მოცეკვავე კაცუნები

შერლოკ ჰოლმსი რამდენიმე საათს ისე იყო გაყურსული, სიტყვა არ დასცდენია. იგი თავდახრილი დასცქეროდა მინის სინჯარას, რომელშიაც საოცრად მყრალი რაღაც იხარშებოდა. თავიც იმგვარად გადაეხარა გვერდზე, რომ შავქოჩრიან, შიმშილისაგან გალეულ, რუხფრთიან ფრინველს მიაგავდა.

- უოტსონ, - მითხრა ანაზდად, - თქვენ აღარ აპირებთ სამხრეთაფრიკულ ფასიან ქაღალდებში თქვენი დანაზოგის დაბანდებას?

გაკვირვებისაგან შევკრთი. მართალია, უკვე ვიცოდი, რომ მას მიხვედრილობის არაჩვეულებრივი ნიჭი და უნარი ჰქონდა, მაგრამ ეს მოულოდნელი შეჭრა ჩემს ფიქრთა სამყაროში სრულიად ამოუხსნელი მეჩვენა.

- ეს საიდანღა გაიგეთ? - ვკითხე მე.

მბრუნავ სკამზე მჯდომი ჰოლმსი ჩემკენ შემოტრიალდა; ხელში სინჯარა ეჭირა, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა. მის ღრმად ჩამჯდარ თვალებში დამცინავი ნაპერწკალი გამოკრთა.

- აღიარეთ, უოტსონ, რომ თავგზა აგებნათ.

- მართალი ხართ! მართლაც დავიბენი.

- რომ გაიძულოთ ამის ქაღალდზე დაწერა და ხელიც მოგაწერინოთ, კარგი იქნება.

- რისთვის?

- იმისათვის, რომ ხუთი წუთის შემდეგ იტყვით, ყოველივე ეს ძალზე უბრალო საქმე ყოფილა და რამ დამაბნიაო.

- დარწმუნებული ვარ, ამას არასოდეს არ ვიტყვი.

- ძვირფასო უოტსონ... - ჰოლმსმა სინჯარა სადგარზე დაამაგრა და ლექციის კითხვა ისე დამიწყო, თითქოს პროფესორია და აუდიტორიას მიმართავსო, - დაკვნების გაკეთება არც ისე ძნელია, თუ ყოველი მომდევნო დასკვნა სრულიად უბრალოდ გამომდინარეობს წინა დასკვნიდან. თუ ამის შემდეგ ყველა შუათანა რგოლს გამოვტოვებთ და მსმენელამდე მხოლოდ ამბის დასაწყისსა და ბოლო დასკვნას მივიტანთ, შეიძლება მასზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოვახდინოთ. მას შემდეგ, რაც თქვენი მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შორის არსებულ ჩაღრმავებას დავუკვირდი, აღარ გამჭირვებია იმ დასკვნის გამოტანა, რომ თქვენი მცირე კაპიტალით ოქროს საბადოების აქციების შეძენა გაიფიქრეთ.

- მაგრამ მე ამ ორ გარემოებას შორის ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ.

- სავსებით შესაძლებელია. მე კი რამდენსამე წუთში დაგარწმუნებთ, რომ ასეთი კავშირი არსებობს. აი, ამ უბრალო ჯაჭვის რგოლები: ჯერ ერთი, როცა გუშინ საღამოს კლუბიდან დაბრუნდით, თქვენი მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ჩაღრმავებული ადგილი ცარცით იყო დასვრილი; მეორე, როცა თქვენ ბილიარდს თამაშობთ, ამ ადგილზე ცარცს ისვამთ, რათა ბილიარდის ჯოხმა ხელზე არ ისრიალოს; მესამე, ბილიარდს ეთამაშებით მხოლოდ სერსტონს; მეოთხე, ერთი თვის წინ მითხარით, რომ სერსტონმა შემოგთავაზათ, მასთან ერთადშეიძინოთ სამხრეთაფრიკული ფასიანი ქაღალდები, რომელთაც ერთი თვის შემდეგ გაყიდიან;

მეხუთე, თქვენი ჩეკის წიგნაკი ჩაკეტილია ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში, და თქვენ არ გითხოვიათ ჩემთვის ამ უჯრის გასაღები; მეექვსე, აქედან გამომდინარე, თქვენ აღარ აპირებთ ფულის დაბანდებას სამხრეთაფრიკულ ქაღალდებში.

- რა უბრალო რამეა! - შევძახე მე.

- ცხადია, - მიპასუხა მან და წყენა ოდნავ დაეტყო, - ყოველი ამოხსნილი ამოცანა იოლი გვეჩვენება. მაგრამ აი კიდევ ერთი თავსატეხი, იგი ჯერ არაა გადაწყვეტილი. ვნახოთ, ჩემო მეგობარო, როგორ გაართმევთ მას თავს.

ქაღალდის ფურცელი მაგიდაზე დააგდო და თვითონ ისევ სინჯარასა და ქიმიურ ანალიზს დაუბრუნდა.

გაოცებულმა შევხედე ქაღალდზე გამოხატულ რაღაც უაზრო იეროგლიფებს.

- მომიტევეთ ჰოლმს, ეს ხომ ბავშვის ნახატია! - შევძახე მე.

- თქვენ ასე ფიქრობთ?

- მაშ, თქვენი აზრით, რა უნდა იყოს?

- ნორფოლკელ მისტერ ჰილტონ კუბიტსაც სწორედ ეგ აინტერესებს. ეს პატარა რებუსი მან ფოსტით გამოგვიგზავნა. ალბათ სადაცაა თვითონაც აქ გაჩნდება. გესმით ზარის ხმა, უოტსონ? ნამდვილად ისაა.

კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა და წუთის შემდეგ ჩვენთან მაღალი, ლოყებღაჟღაჟა, სუფთად გაპარსული ჯენტლმენი შემოვიდა. მისი ნათელი გამოხედვა და სახის იერი იმას მეტყველებდა, რომ ეს ადამიანი ნისლიანი ლონდონის მკვიდრი არ იყო. ისე მომეჩვენა, თითქოს ჩვენს სტუმარს თან მოჰყვა აღმოსავლეთის სანაპიროს მაგარი, გრილი ქარის ქროლვა. ხელი ჩამოგვართვა და ის იყო ჩამოჯდომას აპირებდა, რომ უეცრად სწორედ იმ უცნაური ნიშნებით აჭრელებულ ფურცელს მოჰკრა თვალი, ცოტა ხნის წინათ ხელში რომ მეჭირა და მაგიდაზე დავაგდე.

- რას ფიქრობთ ამ იეროგლიფებზე, მისტერ ჰოლმს? - წამოიძახა სტუმარმა, - მე მითხრეს, რომ თქვენ გიტაცებთ საიდუმლოებით მოცული ამბები, უცნაური შემთხვევების ამოცნობა და კვანძების გახსნა. ჩემი აზრით, ამაზე უფრო უცნაურ შემთხვევას ვერსად წააწყდებით. ეს ფურცელი წინდაწინ იმიტომ გამოგიგზავნეთ, რომ ჩემს მოსვლამდე მასზე გამოხატული ნიშნები შეგესწავლათ.

- მართლაც ძალიან საგულისხმო ნახატებია, - თქვა ჰოლმსმა. - ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანს ბავშვის ცელქობად მოეჩვენოს. არ ვიცი, რა აზრი უნდა ჰქონდეს ასეთ პაწაწინა მოცეკვავე კაცუნების ხატვას, ან თქვენ რატომ აძლევთ რაიმე მნიშვნელობას ასეთ უცნაურ წვრილმანს?

- ჩემი ცოლი რომ არა, ასეთ უცნაურ ნახატს მართლაც არავითარი ყურადღების ღირსად არ მივიჩნევდი, მაგრამ მას შიშისაგან ლამის გული გაუსკდეს. არაფერს მეუბნება, მაგრამ ვხედავ, მის თვალებში ელდამ დაისადგურა. აი, რატომ მივიტანე ეს საქმე ასე ახლოს გულთან.

ჰოლმსმა ქაღალდი სარკმელთან მიიტანა. ეს იყო უბის წიგნიდან ამოხეული ფურცელი. ზედ ფანქრით იყო გამოყვანილი აი ასეთი პატარა ფიგურები:

ჰოლმსმა ფურცელი ყურადღებით დაათვალიერა და საფულეში ფრთხილად შეინახა.

- ეს საქმე ბევრს საინტერესოსა და უჩვეულოს გვპირდება, - თქვა მან. - ზოგი რამ უკვე მიამბეთ თქვენი წერილით, მისტერ ჰილტონ კუბიტ, მაგრამ ძალიან

მადლობელი დაგრჩებით, თუ თავაზიანად დათანხმდებით მის გამეორებაზე, რათა ჩემმა მეგობარმა, ექიმმა უოტსონმაც, საკუთარი ყურით მოგისმინოთ.

– ვერაფერი შვილი მთხრობელი გახლავართ, – თქვა ჩვენმა სტუმარმა და თან თავისი დიდი, ღონიერი ხელები ნერვიულად შეკუმშა და გაშალა. – თუ ჩემს მონათხრობში რაიმე ბუნდოვნად მოგეჩვენებათ, კეთილი ინებეთ და კითხვები მომეცით. დავიწყებ იქიდან, რომ შარშან ცოლი შევირთე. წინასწარ უნდა გითხრათ, რომ თუმცა მდიდარი არა ვარ, მაგრამ ჩვენი გვარი რიდლინგ-ტორპში უკვე ხუთი საუკუნეა ცხოვრობს და მთელ ნორფოლკის საგრაფოში ყველაზე წარჩინებულად ითვლება. შარშან დღესასწაულებზე ლონდონში ჩამოვედი და რასელსკვერზე მდიდრულად მორთულ ოთახებში გავჩერდი, რადგანაც იქ ჩვენი მრევლის მოძღვარი პარკერი დაბინავდა. იქვე ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ლედი, გვარად პატრიკი, ილსი პატრიკი ცხოვრობდა. მე და ეს ქალიშვილი მალე დავმეგობრდით. ერთი თვეც არ გასულა, რომ ის მგზნებარედ შემიყვარდა. დავქორწინდით და საცხოვრებლად ჩემს მამულში, ნორფოლკში გადავედით.

ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ, მისტერ ჰოლმს, რომ წარჩინებული გვარის კაცი თხოულობს ქალს, რომლის წარსულსა და ოჯახზე არაფერი იცის, მაგრამ ილსი პატრიკი რომ გენახათ და გაგეცნოთ, ჩემი საქციელის გაგება არ გაგიჭირდებოდათ. ილსი ჩემთან ძალიან გულახდილი გახლდათ. მან სრული უფლება მომცა უარი მეთქვა ქორწინებაზე, თუ ამას ვისურვებდი. «წარსულში ბევრი არასასიამოვნო ნაცნობი მყავდა, – მითხრა ილსიმ, – მინდა ყოველივე დავივიწყო. არ მინდა დავუბრუნდე ჩემს განვლილ ცხოვრებას, რადგან წარსულის უბრალო გახსენებაც კი ტკივილს მგვრის. თუ მე შემირთავ, ჰილტონ, შენ დაქორწინდები იმ ქალზე, რომელსაც თვითონ ურიგო არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ჩემს სიტყვას უნდა ერწმუნო და ნება მომცე გავჩუმდე ყველაფერზე, რაც იყო მანამდე, ვიდრე შენი გავხდებოდი. თუ ეს პირობა ძალიან მძიმედ გეჩვენება, დაბრუნდი ნორფოლკში და ნება მომეცი, ისევ მარტოხელად ვიცხოვრო».

ეს ქორწინებამდე ერთი დღით ადრე მითხრა. მე ვუპასუხე, რომ მზად ვიყავი დავმორჩილებოდი მის ნებას და ჩემი სიტყვა არც გამიტეხია. უკვე ერთი წლის ცოლ-ქმარი ვართ და ეს წელიწადი ძალიან ბედნიერად გავატარეთ. მაგრამ ამ ერთი თვის წინ, ივნისის მიწურულს, შევამჩნიე მოახლოებული უბედურების პირველი ნიშნები. ჩემმა ცოლმა ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი მიიღო. ეს იმით დავადგინე, რომ კონვერტზე ამერიკული მარკა ეკრა. ილსიმ წერილი წაიკითხა თუ არა, ცეცხლში შეაგდო და სახეზე სიკვდილის ფერმა გადა-ჰკრა. მას მერე იმ წერილზე ერთხელაც არ დაუძრავს სიტყვა და არც მე მიკითხავს რაიმე, რადგან სიტყვა სიტყვაა. მაგრამ წერილის მიღების შემდეგ ვერ იქნა და ვეღარ დამშვიდდა. ერთთავად შეშინებულია და ყველაფრიდან ჩანს, რომ რაღაც უბედურებას მოელის.

ახლა გადავალ ჩემი ამბის ყველაზე უცნაურ ნაწილზე. ამ ერთი კვირის წინ, მგონი სამშაბათს, ერთ-ერთი ფანჯრის რაფაზე ვნახე ცარცით დახატული მოცეკვავე კაცუნები, სწორედ ისეთები, ამ ქაღალდზე რომ არიან გამოსახულნი. ვიფიქრე, კაცუნები საჯინიბოში მომუშავე ყმაწვილმა დახატა-მეთქი, მაგრამ მან მითხრა და შემომფიცა კიდეც, მაგ ამბისა არაფერი ვიციო. ნახატი ღამით გაჩნდა. რაფა გავრეცხე და ილსთან საუბარში ვითომ შემთხვევით სიტყვა ამ კაცუნებზე ჩამოვაგდე. ჩემდა გასაოცრად, ცოლმა ეს ამბავი გულთან ძალიან ახლოს მიიტანა და მთხოვა, თუ იმნაირ კაცუნებს კიდევ ნახავ, მაჩვენეო. მთელი კვირა ისე გავიდა, მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. გუშინ დილით კი ბაღში მზის საათზე აი, ეს ფურცელი დავინახე. ილსის ვუჩვენე და მაშინვე გული შეუწუხდა. მას შემდეგ სიზმარეულივით დაბორიალობს

და თვალებში გამუდმებით შიში აქვს ჩამდგარი. აი, რატომ მოგწერეთ, მისტერ ჰოლმს, და რისთვის გამოგიგზავნეთ ეს ფურცელი. პოლიციაში წასვლა არ შემეძლო, რადგან იქ უსათუოდ სასაცილოდ ამიგდებდნენ. თქვენ კი მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, მდიდარი კაცი არა ვარ, მაგრამ თუ ჩემს ცოლს საფრთხე ემუქრება, მზად ვარ უკანასკნელი გროში დავხარჯო, ოღონდ იმას არა ევნოს რა.

კარგი შესახედავი ვაჟკაცი კი იყო ეს ცისფერთვალება ბუმბერაზი! ცოლის სიყვარული და ერთგულება მისი სახის ყოველ ნაკვთზე იყო აღბეჭდილი. ჰოლმსმა ამ კაცის მონათხრობი გულისყურით მოისმინა, მერე ჩაფიქრდა და დიდხანს დუმდა.

- ხომ არ გგონიათ, მისტერ კუბიტ, - თქვა ბოლოს მან, - რომ ყველაზე სწორი იქნებოდა პირდაპირ მიგემართათ თქვენი ცოლისათვის და გეთხოვათ, საიდუმლო თქვენთვის გაემჟღავნებინა?

ჰილტონ კუბიტმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

- დაპირება დაპირებაა, მისტერ ჰოლმს. თუ ილსი მოისურვებს, თვითონვე ყველაფერს მიამბობს. ხოლო თუ არ ინდომებს, ძალით ვერ მოვთხოვ, გული გადამიშალოს.

- ასეთ შემთხვევაში მთელი სულით და გულით დაგეხმარებით. მითხარით, თქვენს მეზობლად ახალი ბინადარი ხომ არავინ გამოჩენილა?

- არა.

- რამდენადაც ვიცი, თქვენ ძალიან მიყრუებულ კუთხეში ცხოვრობთ. ახალი კაცის ჩამოსვლა, იმედი მაქვს, შეუმჩნეველი არ დარჩება.

- ახლომახლო ვინმე უცხო რომ გამოჩენილიყო, რა თქმა უნდა, გავიგებდი. მაგრამ ჩვენს მახლობლად არის რამდენიმე ზღვისპირა სოფელი კარგი პლაჟებით. ფერმერები ჩამოსულ მოაგარაკეებს აქირავებენ ხოლმე ოთახებს.

- ამ უცნაურ ნახატებში უსათუოდ რაღაც დაფარული აზრი უნდა იყოს. იმ წარწერას, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, სიმცირის გამო, ვერაფერი გავუგე, ხოლო ფაქტები, თქვენ რომ მაუწყეთ, ისე გაურკვეველია, რომ მათგან რაიმე დასკვნის გამოტანა ძალზე საძნელო საქმეა. ჩემი აზრით, ისევ ნორფოლკს უნდა მიაშუროთ და ყველაფერს, რაც გარშემო ხდება, თვალყური ადევნოთ. როგორც კი ახალ მოცეკვავე კაცუნებს შეამჩნევთ, უაღრესი გულმოდგინებით გადახატეთ. რა სამწუხაროა, რომ არ გადახატეთ ის ფიგურები, ცარცით რომ დაუხატავთ ფანჯრის რაფაზე! შეკრიბეთ ცნობები ყველა ახლად ჩამოსულზე, რომელთაც არ იცნობთ. როგორც კი რაიმე ახალს შენიშნავთ, მაშინვე ჩემთან გამოეშურეთ. აი, საუკეთესო რჩევა, მისტერ ჰილტონ კუბიტ, რომლის მოცემაც ახლა შემიძლია. თუ საჭირო გახდება, ყოველთვის მზად ვარ, ჩამოვიდე ნორფოლკში და ვინახულო თქვენი სახლი.

მისტერ ჰილტონ კუბიტთან შეხვედრის შემდეგ შერლოკ ჰოლმსი ხშირად იყო ღრმად ჩაფიქრებული. არა ერთხელ მინახავს, საფულედან როგორ ფრთხილად ამოიღებდა ხოლმე ფურცელს და ზედ გამოხატულ თავშესაქცევ ფიგურებს დიდხანს დასცქეროდა. მაგრამ ჩემთან ამ საგანზე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ჩამოაგდო სიტყვა. ერთხელ სადღაც წასვლა დავაპირე, უცბად შემაჩერა:

- უმჯობესი იქნება, შინ დარჩეთ, უოტსონ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ დღეს დილით ჰილტონ კუბიტისაგან დეპეშა მივიღე. გახსოვთ ჰილტონ კუბიტი და მისი მოცეკვავე კაცუნები? პირველ საათსა და ოც წუთზე ლონდონში იქნება. ყოველ წამს შეიძლება კარზე მოგვიკაკუნოს. მისი დეპეშიდან შევიტყვე, რომ ჩვენთვის უაღრესად საგულისხმო ახალი ამბები აქვს.

ცდა დიდხანს არ მოგვიხდა, რადგან ნორფოლკელი სკვაირი, ეტყობა, სადგურიდან პირდაპირ ჩვენკენ გამოეშურა. ნაოჭებისაგან დაღარული შუბლი და ფიქრიანი, უგუნებო სახე ჰქონდა. დაქანცული თვალებით ხან მე შემომცქეროდა, ხან ჰოლმსს აკვირდებოდა.

- ეს ამბავი ნერვებს მიშლის, მისტერ ჰოლმს, - თქვა კუბიტმა და სავარძელში მოცელილივით ჩაეშვა. - საზიზღარი მდგომარეობაა, როცა ყოველი მხრიდან გარემოცული ხარ უცხო, უცნობი, უხილავი ადამიანებით, რომლებიც ცდილობენ რაღაც უფსკრულში ჩაგითრიონ, მაგრამ კიდევ უფრო აუტანელი ამბავია - უყურებდე, როგორ თანდათანობით კლავენ შენს ცოლს! ქალი თვალსა და ხელს შუა დნება.

- სრულიად არაფერი უთქვამს?

- არა, მისტერ ჰოლმს, არაფერი უთქვამს. არის წუთები, როცა იმ საცოდავს ძალიან უნდა ყველაფერი მიამბოს, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნის. ვცდილობდი დავხმარებოდი, მაგრამ ყველაფერი ისე უხეშად გამომივიდა, რომ მხოლოდ დავაფრთხე. ილსი ხშირად ჩამომიგდებს ხოლმე სიტყვას იმაზე, რა ძველებურიყოველთვის ვგრძნობ, რაღაც უნდა დასძინოს, მაგრამ სათქმელს შუაზე წყვეტს და დუმდება.

- თქვენ თვითონ ვერაფერი აღმოაჩინეთ?

- ბევრი რამ აღმოვაჩინე, მისტერ ჰოლმს. გამოსაკვლევად მოგიტანეთ ახალი მოცეკვავე კაცუნების მთელი დასტა. და, რაც მთავარია, ვნახე ის...

- ის, ვინც ამ კაცუნებს ხატავს?

- დიახ, ვნახე მუშაობაში გართული. მაგრამ ნება მომეცით, ყველაფერი დაწვრილებით და თანმიმდევრობით გიამბოთ... თქვენგან რომ დავბრუნდი, მეორე დილითვე ვიპოვე ფარდულის შავი ხის კარზე დახატული ახალი მოცეკვავე კაცუნები. ეს ფარდული ძალიან კარგად ჩანს ჩვენი სახლის ფანჯრიდან. ყველანი გადავიხატე, ნახეთ...

ქაღალდის ფურცელი ამოიღო, გაშალა და მაგიდაზე დადო. აი, რა იეროგლიფები იყო ზედ გამოხატული:

ჩინებულია! - თქვა ჰოლმსმა. - ჩინებულია! განაგრძეთ, გეთაყვა.

-გადავიხატე კაცუნები და მერე კარზე დახატულები წავშალე, მაგრამ ორი დღის შემდეგ იმავე კარზე გაჩნდა ახალი წარწერები. აი, ისიც:

-

ჰოლმსმა ხელი მოიფშვნიტა და სიხარულით გაიცინა.

- ჩვენი მასალა სწრაფად იზრდება, - თქვა მან.

- სამი დღის შემდეგ მზის საათზე აღმოვაჩინე ქაღალდზე დაწერილი მთელი ეპისტოლე, რომელსაც ზედ ქვა ედო. აი, ეს ქვაც. როგორც ხედავთ, ამაზე დახატულია იგივე ფიგურები, რაც წინა წერილში იყო. მაშინ გადავწყვიტე, ამ უცნობ მხატვარს დავდარაჯებოდი. რევოლვერი ავიღე და ჩემს კაბინეტში დავჯექი. ფანჯრიდან კარგად ჩანდა კორდიც და ბაღიც. ღამის ორ საათზე, როცა ფანჯარასთან ვიჯექი და მთვარის შუქით განათებულ ბაღს გავცქეროდი, ჩემს ზურგს უკან ნაბიჯის ხმა გაისმა, შემოვბრუნდი და ხალათმოსხმული ჩემი მეუღლე დავინახე. მან ვედრება დამიწყო, დაწექიო. გულახდილად ვუთხარი, მინდა შევიტყო, ამ სულელურ ოინებს ვინ სჩადის-მეთქი. ყველაფერი ეს უაზრო ხუმრობაა, რაც შენი ყურადღების ღირსი არ არის და თუ ეს ასე გაღიზიანებს, წავიდეთ სამოგზაუროდ და არავინ აღარ შეგვაწუხებსო, - მითხრა.

«როგორ! ნება მივცე ვიღაც მასხარას საკუთარი ბინიდან გაგვაგდოს? ასე ხომ მთელი საგრაფო ყბად აგვიღებს». - ვთქვი მე.

«წადი, დაიძინე და ამაზე დილით ვილაპარაკოთ», - მიპასუხა მან.

უეცრად სახე ისე გაუფითრდა, რომ ეს მთვარის შუქზედაც კი შევამჩნიე. ფერმიხდილმა ილსიმ თითები ისე მომიჭირა, ლამის მხარში ჩამასო. ფარდულის ჩრდილში რაღაც მოძრავი სხეული შევამჩნიე. მერე დავინახე, როგორ გამოძვრა კუთხიდან შავი, მოხრილი ფიგურა და კარის წინ ჩაჯდა. რევოლვერზე ხელი ვიტაცე და წინ გავიჭერი, მაგრამ ცოლმა აცახცახებული ხელები ჩამჭიდა და ადგილზევე შემაჩერა. თავის განთავისუფლება ვცადე, მაგრამ ილსი კიდევ უფრო მეტი სასოწარკვეთილებით ჩამაფრინდა მკლავში. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე თავის დაღწევა, მაგრამ ვიდრე კარი გავაღე და ფარდულამდე მივირბინე, ის კაცი უკვე გაქრა, თუმცა კვალი მაინც დატოვა: კარზე რამდენიმე მოცეკვავე კაცუნა მიეხატა. მთელი ბაღი შემოვირბინე, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვეღარსად ვიპოვნე, თუმცა, ღრმად მწამდა, რომ იქვე ახლოს იმყოფებოდა. დილით, ფარდულის კარის დათვალიერების დროს, აღმოვაჩინე, რომ იმ წარწერაზე კიდევ რამდენიმე ახალი კაცუნა მიემატებინა.

- გადაიხატეთ?

- დიახ. ძალიან ცოტა რამ კი იყო გადასახატი. აი, ნახეთ.

ისევ ქაღალდის ფურცელი გვაჩვენა. ახლა ცეკვას ასეთი სახე მიეღო:

მითხარით, - ჰკითხა ჰოლმსმა, რომლის თვალთა გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ ძალიან ღელავდა, - ეს კაცუნები დამატებული იყო წინა წარწერაზე, თუ შემდეგ დახატეს?

- ისინი დახატულები იყვნენ კარის ქვედა ნაწილზე.

- ჩინებულია! ეს ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ეს იმედს მინერგავს. გთხოვთ, მისტერ ჰილტონ კუბიტ, განაგრძოთ თქვენი საინტერესო თხრობა.

- დასამატებელი არაფერი მაქვს, მისტერ ჰოლმს, გარდა იმისა, რომ ძალიან გავბრაზდი ცოლზე იმის გამო, რომ იმ არამზადას შეპყრობაში ხელი შემიშალა. მარწმუნებდა, შენზე ვწუხდიო. ჯერ ვშიშობდი, ჩემზე კი არა, იმ უცნობზე წუხს- მეთქი, რადგან ეჭვი აღარ მეპარება იმაში, რომ ჩემმა ცოლმა იცის, ვინც არის უცნობი მხატვარი და რას ნიშნავს მისი უცნაური იეროგლიფები. მაგრამ ჩემი მეუღლის ყოვლისშემძლე ხმა და გამოხედვა, მისტერ ჰოლმს, მყისვე მიფანტავს ხოლმე ყოველგვარ ეჭვს და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მართლა ჩემზე სწუხდა... აი ყველაფერი, რაც მოხდა. ახლა კი ველი თქვენს რჩევას, თუ როგორ მოვიქცე მომავალში. გული არ მაძლევს ნებას, თორემ ბუჩქებში დავმალავდი ხუთ-ექვს ჩვენს მარჯვე თანასოფლელს და იმ უცნობს ისე გახდიდნენ, სამუდამოდ მოგვეშვებოდა.

- ჩემი აზრით, ამნაირ რთულ საქმეს ასეთი უბრალო წამლით ვერ განკურნავთ, - თქვა ჰოლმსმა. - რამდენი ხნით შეგიძლიათ დარჩეთ ლონდონში?

- დღესვე უნდა გავბრუნდე. ღამე არ შემიძლია ცოლის მიტოვება. ძალიან ღელავდა და მთხოვდა, მალე დავბრუნებულიყავი.

- ჰო, თქვენ მართალი ხართ. მაგრამ დარჩენა რომ შეგძლებოდათ, ერთი ან ორი დღის შემდეგ თქვენთან ერთად მეც გამოვემგზავრებოდი. ყოველ შემთხვევაში, ეს ქაღალდები დამიტოვეთ. მალე ჩამოვალ და იმედი მაქვს, ამ საქმეს ცოტაოდენ შუქს მოვფენ.

შერლოკ ჰოლმსს ჩვეული პროფესიული სიმშვიდით ეჭირა თავი, მაგრამ მე, ვინც ასე კარგად ვიცნობდი ამ ადამიანს, ვატყობდი, რომ ძლიერ აღელვებული იყო. როგორც კი ჰილტონ კუბიტის ფართო ზურგი კარს მიეფარა, ჩემი მეგობარი მაგიდას მივარდა, ქაღალდები გადაშალა, მოცეკვავე კაცუნებს დააკვირდა და გამოთვლა დაიწყო. მთელი ორი საათი ციფრებითა და ასოებით აჭრელებდა ყველაფერს. ამ სამუშაომ ისე გაიტაცა, რომ ჩემი არსებობა სულაც გადაავიწყდა. როცა კვლევა-ძიების საქმე კარგად მიუდიოდა, სტვენასა და სიმღერას იწყებდა, ხოლო როცა ჩიხში ექცეოდა, დიდხანს იჯდა შუბლშეკრული, თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა და მზერას ერთ საგანზე ვერ აჩერებდა. ბოლოს კმაყოფილებით შეჰყვირა, სკამიდან წამოიჭრა, ოთახში სირბილს მოჰყვა და თან ხელებს იფშვნეტდა. შემდეგ გრძელი დეპეშა შეადგინა და სადღაც გააგზავნა.

- თუ ისე მიპასუხებენ, როგორც ვვარაუდობთ, უოტსონ, თქვენი წიგნი ახალი სათავგადასავლო ამბის აღწერით გამდიდრდება, - მითხრა ჰოლმსმა. - ხვალ ალბათ ჩვენ ერთად წავალთ ნორფოლკში და საბოლოოდ ამოვხსნით იმ საიდუმლოებას, რამაც მისტერ ჰილტონს ამდენი უსიამოვნება მიაყენა.

უნდა ვაღიარო, რომ ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა, მაგრამ ვიცოდი, ჰოლმსს ახსნა-განმარტების მიცემა მხოლოდ მაშინ უყვარდა, როცა ამას თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ და მოუთმენლად ველოდი, როდის გამიზიარებდა თავის აზრს.

დეპეშაზე პასუხმა დაიგვიანა. მთელი ორი დღე ჰოლმსი მოუთმენლად აპყრობდა ყურს ზარის ხმას. მეორე დღეს საღამოს მოვიდა ჰილტონ კუბიტის წერილი. გვატყობინებდა, სრული სიწყნარეა, მხოლოდ მზის საათის სადგამზე დღეს დილით უაღრესად გრძელი წარწერა გამოჩნდაო. წერილს ამ წარწერის ასეთი ასლი ერთვოდა:

ჰოლმსი ამ უჩვეულო ნახატს დააკვირდა, უეცრად ზეზე წამოვარდა, გაოცებულმა გაჯავრებით შეჰყვირა და სახე მოექუფრა.

- მეტისმეტად მივუშვით ეს საქმე, - თქვა მან, - რომელი მატარებელი გადის ნორტ-უელშემისაკენ საღამოობით?

განრიგი გადავათვალიერე. უკანასკნელი მატარებელი ახალი გასული იყო.

- ადრე მოგვიხდება საუზმობა, დილის პირველსავე მატარებელს უნდა გავყვეთ, - თქვა ჰოლმსმა. - ჩვენი იქ ყოფნა აუცილებელია. აჰა! აი დეპეშაც, მე რომ ველოდი. ერთი წუთით მომითმინეთ, მისის ჰადსონ, იქნებ საჭირო გახდეს პასუხის გაგზავნა. არა, ყველაფერი ისეა, როგორც ველოდი. ეს დეპეშა საბოლოოდ ადასტურებს, რომ უფლება აღარა გვაქვს, არ ვაცნობოთ მისტერ ჰილტონ კუბიტს საქმის ვითარება, რადგანაც ჩვენი გულუბრყვილო ნორფოლკელი სკვაირი მეტისმეტად სახიფათო ქსელშია მომწყვდეული.

თავდაპირველად მთელი ეს ამბავი სულელური და თავშესაქცევი მეგონა, მაგრამ ახლა, როცა ჩემი ნაამბობი დასასრულს უახლოვდება, ხელახლა განვიცდი მთელ იმ საშინელებას, რისი გადატანაც მაშინ მომიხდა. როგორ მინდოდა, შესაძლებლობა მქონოდა და მკითხველებისათვის შემეტყობინებინა, ყოველივე საყოველთაო კეთილდღეობით დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ჩემი წიგნი უტყუარი მატიანეა ფაქტებისა, და იძულებული ვარ მივყვე დასასრულამდე მთელ უცნაურ ჯაჭვს მოვლენებისა, რომელთა წყალობითაც რამდენიმე დღის შემდეგ რიდლინგ-ტორპ-მენორის მამულზე მთელი ინგლისი ალაპარაკდა.

ძლივს მოვასწარით ნორტ-უელშემში გასვლა და იმის თქმა, თუ საით მივემგზავრებოდით, რომ ჩვენთან სადგურის უფროსმა მოირბინა:

- თქვენ ალბათ ლონდონელი მაძებრები ხართ? - იკითხა მან.

ჰოლმსმა შეშფოთებით გადახედა.

- რატომ გგონიათ?

- იმიტომ, რომ ნორვიჩის ინსპექტორი ეს-ეს არის წავიდა, ან, იქნება, ექიმები ხართ? ქალი ჯერ კიდევ ცოცხალია. იქნებ მოასწროთ მისი გადარჩენა... სახრჩობელისათვის.

ჰოლმსი პირქუში და შეჭირვებული მეჩვენა.

- ჩვენ რიდლინგ-ტორპ-მენორში მივდივართ, - თქვა მან, - მაგრამ იმის თაობაზე, რაც აქ მოხდა, არაფერი ვიცით.

- საშინელი საქმეა! - შესძახა სადგურის უფროსმა, - მისტერ ჰილტონ კუბიტიცა და მისი ცოლიც ტყვიის წერა შეიქნენ. ქალმა ჯერ ქმარს ესროლა, მერე თვითონ დაიხალა ტყვიაო, ასე ამბობენ მოსამსახურე გოგოები. კაცი მკვდარია, ქალი კი სულთმობრძავი. ღმერთო, ნორფოლკის უძველესი გვარი აღიგავა პირისაგან მიწისა. მისტერ ჰილტონ კუბიტს ჩვენს მხარეში ყველა ძალიან დიდ პატივს სცემდა.

შვიდიოდე მილი ისე გავიარეთ, ჰოლმსს კრინტიც არ დაუძრავს. ასე ცუდ გუნებაზე მყოფი იშვიათად მინახავს. ლონდონიდან რომ მივდიოდით, ჰოლმსი მთელ გზაზე რაღაც მოუსვერად იყო და შევნიშნე, დილის გაზეთებს როგორღაც მოუთმენლად ათვალიერებდა. მაგრამ ახლა, როცა უეცრად მისი მოლოდინი გამართლდა, თითქოს დარდმა გააქვავაო. იჯდა, თავი უკან გადაეგდო და ნაღვლიან ფიქრებში ჩანთქმულიყო.

ამასობაში კი ეტლი ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მხარეში მიგვაქროლებდა. ამ მხარის მთელი თანამედროვე მოსახლეობა შორი-შორს მიმოფანტულ პატარა სახლებში ბინადრობს, მაგრამ ამ მწვანე მინდვრის გაყოლებით ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ აღმოსავლეთ ინგლისის ძველი დიდებისა და კეთილდღეობის უტყვი მოწმე, ეკლესიების უზარმაზარი ოთხკუთხოვანი კოშკები.

დაბოლოს, მწვანე ხრამის მიღმა გამოჩნდა გერმანიის ზღვის ლილისფერი ზოლი. მეეტლემ წნელი გაიშვირა და გვიჩვენა ორი წვეტიანი სახურავი, ხეების ტალავერიდან რომ იყო ამოშვერილი, და გვითხრა:

- აი, რიდლინგ-ტორპ-მენორი.

სახლთან რომ მივედით, მის გვერდით შევამჩნიე შავი ფარდული. ფარდული ჩოგბურთის მოედნის იქით იდგა. ამაღლებულ ადგილზე მზის საათიც დავინახე. ულვაშშეღებილი, მკვირცხლი კაცი მარდად გადმოხტა მაღალი, ორთვალა ეტლიდან. ეს იყო ნორფოლკის პოლიციის სამმართველოს ინსპექტორი მარტინი. როცა ჩემი მეგობრის გვარი შეიტყო, ძალიან გაოცდა:

- მომიტევეთ, მისტერ ჰოლმს, დანაშაული ხომ დილის სამ საათზე მოხდა! რანაირად მოახერხეთ ამის გაგება ლონდონში და ჩემთან ერთად ჩამოსვლა?

- წინასწარ ვივარაუდე ის, რაც მოხდა. მოვდიოდი, რომ საფრთხე თავიდან ამეცილებინა.

- მაშასადამე თქვენ გაქვთ ცნობები, რომელთა შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, რადგანაც მეზობლებისა და მსახურთა აზრით, ცოლ-ქმარს ძალიან მეგობრულად, უფრო მეტიც, სრული სიამტკბილობით უცხოვრიათ.

- მე მაქვს მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც მოცეკვავე კაცუნებისაგან მივიღე, - თქვა ჰოლმსმა. - ამაზე მერე გიამბობთ. დავაგვიანე: ტრაგედია მოხდა და მისი თავიდან აცილება ვერ მოვახერხე... რა გაეწყობა, ასეთ შემთხვევაში, ჩემი ცნობები მართლმსაჯულებას დაეხმარება. ხომ არა გნებავთ, ძიება ჩემთან ერთად აწარმოოთ? ან იქნებ ამჯობინებთ, რომ მე დამოუკიდებლად ვიმოქმედო?

- ჩემთვის დიდი პატივი იქნება თქვენთან ერთად მუშაობა, მისტერ ჰოლმს, - გულწრფელად უთხრა ინსპექტორმა.

- რაკი ასეა, დაუყოვნებლივ მოვუსმინოთ მოწმეებს და დავათვალიეროთ დანაშაულის ადგილი.

ინსპექტორი მარტინი იმდენად ჭკვიანი აღმოჩნდა, რომ ჩემს მეგობარს ნება დართო სურვილისამებრ ემოქმედა. თვითონ კი იმით დაკმაყოფილდა, რომ ჰოლმსის კვლევა-ძიებას თვალყურს ადევნებდა. ადგილობრივი ექიმი, თეთრწვერა მოხუცი, მის ჰილტონ კუბიტის ოთახიდან გამოვიდა და გვაუწყა, ქალის მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ უიმედო არააო. გონს კი ალბათ მალე ვერ მოვა, რადგან ტყვია ტვინს შეხებიაო. კითხვაზე, თვითონ დაიხალა ტყვია, თუ სხვა ვინმემ ესროლა, რაიმე გარკვეული პასუხის მოცემა ვერ გადაწყვიტა. ის კი ამოღერღა, ტყვია ძალიან ახლო მანძილიდანაა ნასროლიო, ოთახში ერთი რევოლვერი იპოვეს. ორივე ლულა ცარიელი აღმოჩნდა. მისტერ ჰილტონ კუბიტს პირდაპირ გულში მოხვედრია ტყვია. სრულიად თავისუფლად შეიძლება იმის დაშვება, რომ მან ჯერ ცოლს ესროლა, მერე კი თვითონ იკრა ტყვია. ასევე სავარაუდოა, რომ დამნაშავე ცოლია, რადგანაც რევოლვერი იატაკზე ორივესაგან თანაბარ მანძილზე აგდიაო, - თქვა ეს და დადუმდა.

- მკვდარს ხომ არ შეხებიხართ? - იკითხა ჰოლმსმა.

- არა. ჩვენ მხოლოდ ლედი გადავიყვანეთ საწოლში. დაჭრილს იატაკზე ხომ ვერ დავტოვებდით?

- დიდი ხანია, რაც აქა ხართ, ექიმო?

- დილის ოთხი საათიდან.

- თქვენ გარდა აქ კიდევ იყო ვინმე?

- დიახ, კონსტებლი.

- აქ რაიმეს გადაუნაცვლეს ადგილი?

- არაფერს.

- გონივრულად მოქცეულხართ. ვინ გამოგიძახათ?

- მოახლე სონდერსმა.

- მან პირველმა ატეხა განგაში?

- მან და მზარეულმა მისის კინგმა.

- ახლა სად არიან?

- ალბათ სამზარეულოში.

პირველ რიგში მათი ჩვენების ჩამორთმევა გადაწყდა.

მუხით მოპირკეთებული, მაღალფანჯრებიანი ძველებური დარბაზი საგამომძიებლო ოთახად იქცა. ჰოლმსი დიდ, ძველებურ სავარძელში ჩაჯდა. გამოხედვა შეუპოვარი ჰქონდა, სახეზე კი სიმკაცრე აღბეჭდოდა. მის თვალებში შეიძლებოდა ამოგეკითხათ მტკიცე გადაწყვეტილება: თუ საჭირო იქნება, თუნდაც მთელ სიცოცხლეს მივუძღვნი და შურს მაინც ვიძიებ იმ ადამიანისათვის, რომლის გადარჩენა ვერ მოვახერხეო. ჩვენს კრებას ესწრებოდნენ: ინსპექტორი მარტინი, მოხუცი, თეთრწვერა ექიმი და სოფლელი ჩლუნგი პოლისმენი.

ქალებმა ერთნაირი ჩვენება მოგვცეს: ორივე სროლის ხმამ გააღვიძა. წუთის შემდეგ მოისმა მეორე გასროლა. მეზობლად მდებარე ოთახებში ეძინათ და მისის კინგი მაშინვე სონდერსისაკენ გაიქცა. კიბეზე ერთად დაეშვნენ. კაბინეტის კარი ღია დახვდათ, მაგიდაზე სანთელი ენთო. მათი ბატონი შუაგულ ოთახში პირქვე ეგდო. იგი უკვე მკვდარი იყო. ფანჯარასთან თავით კედელს მიყრდნობილი მათი ქალბატონი იკრუნჩხებოდა. ჭრილობა საზარელი ჰქონდა - სისხლს სახის ნახევარი

დაეფარა. სუნთქავდა, მაგრამ არაფრის თქმა არ შეეძლო. დერეფანსა და ოთახში ბოლი და დენთის სუნი იდგა. ფანჯარა ურდულით შიგნიდან იყო დაკეტილი, ამას ორივე ქალი დაბეჯითებით ამტკიცებდა, მაშინვე უხმეს ექიმსა და პოლიციელს. შემდეგ მეჯინიბისა და საჯინიბოში მომუშავე ყმაწვილის დახმარებით დაჭრილი ქალბატონი ასწიეს და თავის ოთახში გადაიყვანეს. ქალი კაბის ამარა იყო, ქმარს კი ღამის პერანგზე ხალათი გადაეცვა. ცოლ-ქმარს შორის არასოდეს არ ყოფილა უსიამოვნება. ყველანი შეხმატკბილებულ მეუღლეებად თვლიდნენ.

აი, მსახურთა მთავარი ჩვენება. ინსპექტორ მარტინის კითხვებზე ქალებმა უპასუხეს, ყველაფერი შიგნიდან იყო დაკეტილი და სახლიდან გაპარვას ვერავინ მოახერხებდაო. ჰოლმსის კითხვებზე განაცხადეს, როგორც კი ზედა სართულზე ჩვენი ოთახებიდან გამოვედით, დენთის სუნი მაშინვე ვიგრძენითო.

- გირჩევთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ამ ფაქტს, - უთხრა ჰოლმსმა ინსპექტორ მარტინს, - ახლა კი, ჩემი აზრით, საჭიროა შევუდგეთ იმ ოთახების შემოწმებას, სადაც დანაშაული მოხდა.

უბედურების ადგილი სრულიად პატარა ოთახი აღმოჩნდა. მისი სამი კედელი წიგნის თაროებს ეჭირა. ფანჯარასთან, ბაღს რომ გადაჰყურებდა, საწერი მაგიდა იდგა. ჩვენი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, უბედური სკვაირის გვამმა მიიპყრო. მისი სამოსის უწესრიგობა მოწმობდა, რომ მოულოდნელად მოუხდა ლოგინიდან წამოვარდნა. ტყვიას მისთვის გული გაეგმირა და სხეულში ჩარჩენილიყო. კაცი მოკვდა წამიერად და უმტკივნეულოდ. არც ხალათზე, არც ხელებზე თოფის წამლის არავითარი კვალი არ აღმოაჩნდა. სოფლის ექიმი ამტკიცებდა, მისის კუბიტს დენთის ლაქები სახეზე ჰქონდა, მაგრამ ხელებზე არ შემინიშნავსო.

- ხელებზე ლაქების უქონლობა არაფერს არ ამტკიცებს; ხოლო ლაქები სახეზე - ეს უტყუარი საბუთია, - თქვა ჰოლმსმა, - თუ ცუდად მორგებული ვაზნიდან დენთი შემთხვევით არ გამოიყარა, რამდენიც არ უნდა ისროლოთ, ხელს არ გაისვრით... ახლა შეიძლება გაიტანოთ მისტერ კუბიტის გვამი. ექიმო, ხომ არ გიპოვნიათ ტყვია, რომლითაც იგი მოკლეს?

- ამისათვის რთული ოპერაციის გაკეთება დამჭირდებოდა. მაგრამ რევოლვერში კიდევ დარჩა ოთხი ვაზნა. სულ ორჯერ ისროლეს, ჭრილობაც ორია, მაშასადამე, ორივე ტყვიის ბედის გარკვევა იოლია.

- ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება, - თქვა ჰოლმსმა. - რას იტყვით იმ ტყვიაზე, რომელმაც ფანჯრის ჩარჩო გახვრიტა?

აქ უეცრად შებრუნდა და თავისი მოგრძო, წვრილი თითით გვიჩვენა ნახვრეტი ფანჯრის ჩარჩოს ქვედა ძელზე.

- ეშმაკმა დალახვროს! - შეჰყვირა ინსპექტორმა. - როგორ მიაგენით ამას?

- მივაგენი, რადგანაც ვეძებდი.

- გასაოცარია! - თქვა სოფლის ექიმმა. - თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, სერ. გამოდის, რომ სამჯერ უსვრიათ და, მაშასადამე, აქ ვიღაც მესამეც ყოფილა. მაგრამ ვინ არის ეს მესამე და სად გაქრა?

- ამ კითხვაზე ახლავე უნდა გავცეთ პასუხი, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა, - თუ გაგონდებათ, მისტერ მარტინ, როცა მოსამსახურეებმა განაცხადეს, ოთახიდან გამოსვლისთანავე დენთის სუნი ვიგრძენითო, მე გითხარით, ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ-მეთქი.

- მახსოვს, სერ. მაგრამ უნდა ვაღიარო, ვერ მივხვდი, რას გულისხმობდით.

- ეს იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ კარიც და ფანჯარაც მთლიანად ღია ყოფილა. სხვა შემთხვევაში დენთის სუნი მთელ სახლში ასე სწრაფად ვერ

გავრცელდებოდა. მხოლოდ გამჭოლ ქარს შეეძლო სუნის ასე შორს გატანა. ამ ოთახში ძალიან ცოტა ხნით, მაგრამ მაინც, კარიცა და ფანჯარაც გაღებული ყოფილა.

- რატომ ცოტა ხნით?

- იმიტომ რომ ამ სანთლიდან სტეარინი არ ჩამოღვენთილა.

- სწორია, სწორია! - შესძახა ინსპექტორმა.

- როცა დავრწმუნდი, რომ ფანჯარა ტრაგედიის დროს ღია ყოფილა, იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქმეში გარეულია მესამე პირი, რომელიც გარეთ მდგარა და იქიდან ფანჯარაში უსვრია. ამ მესამე კაცისათვის ნასროლი ტყვია კი შეიძლება ფანჯრის რაფას მოხვედროდა. კარგად დავათვალიერე და მართლაც აღმოვაჩინე ნატყვიარი.

- მაგრამ სარკმელი ვინღა დახურა?

- უსათუოდ ქალმა ინსტინქტურად მიჰკრა ხელი და მიხურა... მაგრამ ეს რა არის? აჰ!

კაბინეტის მაგიდაზე იდო ნიანგის ტყავის, მშვენიერი, ვერცხლით მოჭედილი, ქალის პატარა ჩანთა. ჰოლმსმა ჩანთა აიღო და გადმოაპირქვავა. მაგიდაზე ზონრით შეკრული ოცი ორმოცდაათგირვანქიანი საკრედიტო ბილეთი გადმოვარდა. ჩანთაში სხვა არაფერი აღმოჩნდა.

- აიღეთ, ეს საჭირო იქნება სასამართლოზე, - თქვა ჰოლმსმა და ინსპექტორს ჩანთა ფულთან ერთად გადასცა. - ახლა აუცილებელია იმის გარკვევა, თუ ვის ესროლეს მესამე ტყვია. ფანჯრის ჩარჩოს ნახვრეტის მიხედვით, ნასროლი ოთახიდანაა. მინდა ისევ მზარეულ ქალს მისის კენგს გამოველაპარაკო... თქვენ თქვით, მისის კენგ, გამაყრუებელმა სროლის ხმამ გამომაღვიძაო. ამით ის გინდოდათ გეთქვათ, რომ პირველი გასროლა მეორეზე უფრო მჭექარე იყო?

- მე მეძინა, სერ, და ამიტომ მიჭირს ამისი განსჯა. მეჩვენა, რომ ძალიან მაგრად იჭექა, სერ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ორივე გასროლის ხმა თითქმის ერთდროულად შემოგესმათ?

- ვერაფერს მოგახსენებთ, სერ.

- დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იყო. მე მგონია, მისტერ მარტინ, ამ ოთახში მეტს ვეღარაფერს გავიგებთ. თუ თანახმა ხართ, გამომყევით, ბაღში შევიხედოთ და ვნახოთ, ხომ არაფერია იქ საინტერესო.

სწორედ კაბინეტის ფანჯრის ქვეშ აღმოჩნდა ყვავილნარი. როცა იქ მივედით, ხმამაღლა შევყვირეთ. ყვავილები გათელილი იყო. რბილ მიწაზე აშკარად ჩანდა ნაკვალევი. ეს იყო მამაკაცის ძალზე წვრილცხვირიანი და გრძელი ფეხსაცმლის კვალი. ჰოლმსი ისე იქექებოდა ბალახსა და ფოთლებში, როგორც მაძებარი ძაღლი, რომელსაც დაჭრილი ფრინველის პოვნა უნდა. უეცრად შეჰყვირა და მიწიდან პატარა სპილენძის ცილინდრი აიღო.

- ასედაც ვფიქრობდი! - თქვა მან. - აი, მესამე მასრა: მე მგონია, ინსპექტორო მარტინ, რომ ძიება დასრულებულია.

პროვინციელი ინსპექტორის სახეზე გაოცება აღიბეჭდა. ის აშკარად აღტაცებული იყო ჰოლმსის ოსტატობითა და სწრაფი მოსაზრებულობით. თავდაპირველად მან თითქოს სცადა თავისი საკუთარი მოსაზრების დაცვა, მაგრამ ჰოლმსმა მალე მოინადირა და სავსებით დაიმორჩილა იგი.

- ვისზე გაქვთ ეჭვი? - ჰკითხა პოლიციელმა.

- შემდეგ გეტყვით. ამ საქმეში არის რამდენიმე ისეთი მომენტი, რომელთა თქვენთვის გადმოშლა და ახსნა ჯერ კიდევ არ შემიძლია. ჩემი დაკვირვებითა და

აღმოჩენებით ისე შორს წავედი, რომ უფრო გონივრული იქნება, თუ დროებით გავჩუმდები და მერე კი ყველაფერს ერთბაშად მოგახსენებთ.

- როგორც გენებოთ, მისტერ ჰოლმს, ოღონდ მკვლელი არ გაგვექცეს.

- არ იფიქროთ, რაიმე დავფარო, მხოლოდ ესაა, რომ ამ გახურებული მუშაობისას უბრალოდ შეუძლებელია დროის დაკარგვა და გრძელი და დაწვრილებითი ახსნა-განმარტებების გადმოშლა. ამ დანაშაულის ყველა ძაფი ჩემს ხელთაა. თუნდაც ლედი გონს აღარასოდეს მოვიდეს, ჩვენ მოვახერხებთ წუხანდელი ღამის ყველა მოვლენის აღდგენასა და დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წაყენებას. უწინარეს ყოვლისა, მინდა დავადგინო, სადმე ახლომახლო ხომ არაა სასტუმრო «ელრიჯი».

მოსამსახურეთა ჯგვარედინი დაკითხვა მოვაწყვეთ, მაგრამ, ასეთი სახელწოდების სასტუმრო არც კი გაგვიგონიაო, გვითხრეს. საჯინიბოში მომუშავე ბიჭუნამ კი უეცრად გაიხსენა, რომ სოფლიდან რამდენიმე მილის დაშორებით, ისტ-რესტონის მახლობლად ცხოვრობდა ფერმერი, გვარად ელრიჯი.

- იმ კაცის ფერმა სხვებისაგან განცალკევებულია?

- დიახ, მოშორებით გახლავთ, სერ.

- და იქნებ, იქ ჯერ კიდევ არ იციან ის ამბავი, რაც აქ წუხელ ღამით მოხდა?

- ალბათ არ იციან, სერ.

ჰოლმსი ჩაფიქრდა და უეცრად სახეზე ცბიერი ღიმილი გამოეხატა.

- შეკაზმე ცხენი, ჩემო ბიჭუნა! - თქვა მან სწრაფად. - ძალიან მინდა, რომ ელრიჯის ფერმაში წერილი წაიღო.

ამ სიტყვებზე ჰოლმსმა ჯიბიდან ამოიღო რამდენიმე ქაღალდი, რომელზედაც მოცეკვავე კაცუნები იყო გამოხატული. კაბინეტში შევიდა, მაგიდას მიუჯდა, წინ კაცუნებიანი ქაღალდები დაილაგა და საქმეში ჩაეფლო. ბოლოს ბარათი ბავშვს ჩააბარა, უბრძანა სწორედ იმ პირისათვის გადაეცა იგი, ვისთვისაც განკუთვნილი იყო და ამასთან არავითარ შემთხვევაში არ გაეცა პასუხი კითხვებზე. ბარათზე წარწერილ მისამართს მაინც მოვკარი თვალი. წარწერა უსწორმასწორო, მოქცეული ხელით იყო შესრულებული, რაც ჰოლმსის ჩვეულებრივ ლამაზ ნაწერს სრულიად არა ჰგავდა.

აი, ეს წარწერაც: ელრიჯის ფერმა, ისტ-რესტონი, ნორფოლკი, მისტერ აბ ლენის.

- მე მგონია, ინსპექტორო, - შენიშნა ჰოლმსმა, - რომ თქვენ გმართებთ დეპეშით ბადრაგის გამოძახება, რადგან თუ ჩემი ვარაუდი გამართლდა, საგრაფოს ციხეში ძალიან საშიში დამნაშავის წაყვანა მოგიხდებათ. ყმაწვილს, რომელსაც წერილს ვატან, შეუძლია დეპეშაც წაიღოს. უოტსონ, ჩვენ ნასადილევს მატარებლით ქალაქში გავბრუნდებით, რადგან ამ საღამოს აუცილებლად უნდა დავასრულო ერთი ქიმიური ანალიზი. ის საქმე კი, რამაც ჩვენ აქ მოგვიყვანა, დასასრულს სწრაფად უახლოვდება.

როცა ბავშვმა ბარათი გააქროლა, შერლოკ ჰოლმსმა მსახურებს უხმო და უბრძანა, ვინც მისის კუბიტის ნახვა მოისურვებს, დაუყოვნებლივ გაატარეთ სასტუმრო ოთახში, ისე რომ, არ შეატყობინოთ, რაც აქ მოხდაო. ჰოლმსმა დაჟინებით მოითხოვა ამ ბრძანების განუხრელად შესრულება. შემდეგ სასტუმრო ოთახში შევიდა და დასძინა, ახლა ყველაფერი უჩვენოდ მოხდება და ისღა დაგვრჩენია, დავჯდეთ და ვუცადოთ, ჩვენს კაკანათში რა ფრინველი მოხვდებაო. ჰოლმსთან მხოლოდ მე და ინსპექტორი დავრჩით.

- მე დაგეხმარებით იმაში, რომ ეს ერთი საათი უფრო საინტერესო და სასარგებლოდ გაატაროთ, - თქვა ჰოლმსმა, სკამი მაგიდასთან მისწია და ზედ უამრავი მოცეკვავე კაცუნებიანი ქაღალდი გაშალა. - თქვენ წინაშე, მისტერ უოტსონ, აუცილებლად უნდა გამოვისყიდო ჩემი დანაშაული: ძალიან დიდხანს

ვაღიზიანებდი თქვენს ცნობისმოყვარეობას. თქვენთვის კი, ინსპექტორო, მთელი ეს ამბავი იქნება ბრწყინვალე პროფესიული გაკვეთილი. უწინარეს ყოვლისა, უნდა გიამბოთ ჩემი შეხვედრების ამბავი მისტერ ჰილტონ კუბიტთან, ბეიკერსტრიტზე.

აქ მოკლედ უამბო ინსპექტორს ის, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილია.

– აი, ჩემს წინაშეა ეს გასართობი ნახატები, რომელთაც შეეძლოთ ღიმილის გამოწვევა, რომ ასეთი საშინელი ტრაგედიის მაუწყებელნი არ იყვნენ. ზედმიწევნით ვიცნობ საიდუმლო დამწერლობის ყველა სახეობას და თვითონ ვითვლები ავტორად წიგნისა, სადაც ას სამოცი შიფრის ანალიზია მოცემული, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს შიფრი ჩემთვის სრულიად ახალია. ამ სისტემის გამომგონებლის მიზანი ალბათ ის იყო, რომ ამ შიფრის ნამდვილი მნიშვნელობა დაეფარა და ნიშნები დამწერლობად კი არა, ბავშვის ნახატებად გაესაღებინა. მაგრამ ყველა, ვინც მიხვდება, რომ ეს ნიშნები ასოებს შეესაბამება, განსაკუთრებული სიძნელის გარეშეც ამოიცნობს მათ, თუ შიფრის ამოცნობის ჩვეულებრივ წესებს გამოიყენებს. პირველი ჩანაწერი ძალზე მოკლე იყო და მხოლოდ ერთი ისეთი ვარაუდის დაშვების საშუალება მომცა, რაც, ჩემი აზრით, სიმართლესთან ახლოს იყო, და რაც მერე სავსებით სწორი აღმოჩნდა. მე ვლაპარაკობ დროშებზე. ეს დროშები გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ აღნიშნონ სიტყვების დასასრული. ამის გარდა, პირველი წერილიდან სხვა ვეღარაფერი გავარკვიე, მესაჭიროებოდა ახალი მასალა. მეორედ რომ მინახულა, მისტერ ჰილტონ კუბიტმა გადმომცა ახალი ბარათები, რომელთაგან უკანასკნელი უდავოდ შეიცავდა მხოლოდ ერთ სიტყვას, რადგან მასში დროშები აღარ იყო. ორი სხვა ბარათი უეჭველად იწყებოდა ერთი და იმავე სიტყვით, რომელიც ოთხი ასოსაგან შედგებოდა. აი ეს სიტყვა.

როგორც ხედავთ, ეს სიტყვა თავდება იმავე ასოთი, რომლითაც იწყება. აქ ბედნიერმა აზრმა გამიელვა. წერილები ჩვეულებრივ იწყება იმ ადამიანის სახელით, რომლის მისამართითაც წერენ. კაცი, რომელიც ამ წერილს უგზავნიდა მისის კუბიტს, უსათუოდ ახლოს იცნობდა მას. სრულიად ბუნებრივია, რომ უბრალოდ სახელს ეძახდეს. მისი სახელი კი სწორედ ოთხი ასოსაგან შედგება და თავდება იმავე ასოთი, რომლითაც იწყება: ქალის სახელია ილსი. ამრიგად, მე აღმოვჩნდი სამი ასოს მფლობელი: ი, ლ და ს.

ამგვარად, ორ წერილში სახელით მიმართავს მისის კუბიტს და, ეტყობა, რაღაცას ითხოვს მისგან. რა უნდა მოსთხოვოს? ხომ არ უნდა, რომ ქალი მივიდეს სადმე ისეთ ადგილას, სადაც შეძლებს მასთან ლაპარაკს? ყურადღება მივაქციე მესამე წერილის მეორე სიტყვას. აი ისიც:

აქ რვა ასოა: მეოთხე და უკანასკნელი ასოებია «ი». მე ვივარაუდე, რომ აქ წერია, «მოდი, გელი» და უეცრად კიდევ რამდენიმე ასოს მფლობელი გავხდი. მაშინ მივუბრუნდი იმავე ბარათს, რომელშიაც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა. როგორც თქვენთვის ცნობილია, ეს სიტყვა გამოჩნდა ფარდულის კარის ქვედა პანელზე, დანარჩენი წარწერისაგან მოშორებით. ვივარაუდე, რომ ეს იყო პასუხი და ის დაწერა მისის კუბიტმა:

ცნობილი ასოები ჩავსვი უცნობ ადგილზე და მივიღე:

«არაოდეს»

რა უნდა ეპასუხა მისის კუბიტს მის თხოვნაზე, მოდი, გელიო? ქალმა უპასუხა: «არაოდეს».

ახლა უკვე ვიცოდი იმდენი ასო, რომ შემეძლო დამეხედა პირველი ბარათისათვის.

თუ ამ წარწერაში ჩავსვამთ ჩვენთვის უკვე ცნობილ ასოებს, მივიღებთ: «მე აქ ვარ. აბ ლენი».

დავუშვათ, რომ მეორე სიტყვაა «აქ». მაშინ ბოლო სიტყვაა «ლენი». ეს გვარი ძალიან გავრცელებულია ამერიკაში. ორი ასოსაგან შემდგარი სიტყვა, რაც გვარის წინ ეწერა, ალბათ სახელი იქნებოდა. რომელი სახელი შედგება ორი ასოსაგან? ამერიკაში ძალიან გავრცელებულია სახელი «აბ». ახლა გამოსაცნობი რჩება მხოლოდ ფრაზის პირველი სიტყვა. იგი მხოლოდ ორი ასოსაგან შედგება. ესაა ნაცვალსახელი «მე». ამრიგად, პირველ წერილში წერია: «მე აქ ვარ. აბ ლენი». აი, ახლა კი საკმაოდ ბევრ ასოს ვიცნობ, სრულიად იოლად შემიძლია წავიკითხო მეორე წერილიც: «ვცხოვრობ ელრიჯისას». აზრად მომივიდა, რომ «ელრიჯი» - სახელწოდებაა სახლის ან სასტუმროსი, სადაც ცხოვრობს ყოველივე ამის დამწერი.

მე და ინსპექტორმა მარტინმა ღრმა გულისყურით მოვისმინეთ დაწვრილებითი და ნათელი ანგარიში იმაზე, თუ როგორ ხსნიდა ჩვენი მეგობარი თანდათანობით მოცეკვავე კაცუნების გამოცანას.

- შემდეგ როგორ მოიქეცით, სერ? - ჰკითხა ინსპექტორმა.

- რაკი სახელი «აბ» იხმარება მხოლოდ ამერიკაში და მთელი საქმეც იქიდან დაიწყო, რომ წერილი ამერიკიდან მოვიდა, სრული საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ აბ ლენი ამერიკელია. ამას გარდა, ეჭვი მქონდა, რომ ყოველივე ამის უკან რაღაც დანაშაული იფარება. ჩემი ეჭვი გამოწვეული იყო იმით, რომ მისის კუბიტი ასე ჯიუტად უმალავდა ქმარს თავის წარსულს. მე დეპეშა გავუგზავნე ნიუ-იორკის საპოლიციო სამმართველოში მისტერ უილსონ ჰარგრივს, რომელიც ხშირად სარგებლობდა იმით, რომ მე კარგად ვიცნობ ლონდონის დამნაშავეთა სამყაროს. ვკითხე, ვინ არის აბ ლენი-მეთქი. ასეთი პასუხი მომცა: «ყველაზე უფრო საშიში ბანდიტი ჩიკაგოში». იმ საღამოს, როცა ეს წერილი მივიღე, ჰილტონ კუბიტმა ლენის უკანასკნელი წერილი მომაწოდა. ჩემთვის უკვე ცნობილი ასოები მივუყენე და გამოვიდა ფრაზა, რამაც ორი, ჯერ კიდევ უცნობი ასოს გამოცნობის შემდეგ ასეთი სახე მიიღო:

«იცოდე, მოკვდები»

ამრიგად, არამზადა თხოვნიდან მუქარაზე გადავიდა, ჩემთვის კი ცნობილია, რომ ჩიკაგოს ბანდიტების სიტყვა და საქმე ერთია. მაშინვე გამოვეშურე ნორფოლკისაკენ ჩემი მეგობრისა და თანაშემწის, დოქტორ უოტსონის თანხლებით, მაგრამ საუბედუროდ, მხოლოდ მაშინ ჩამოვედით, როცა ეს საზარელი ამბავი უკვე მომხდარი იყო.

- დიდი პატივია თქვენთან ერთად დანაშაულის გამოაშკარავება, - თავაზიანად თქვა ინსპექტორმა, - მაგრამ იმედი მაქვს, ნებას მომცემთ, მეც გითხრათ რამდენიმე გულახდილი სიტყვა. თქვენ პასუხს აგებთ მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე, მე კი პასუხს ვაგებ ჩემი უფროსების წინაშე. თუ ეს აბ ლენი, ელრიჯში მცხოვრები, მართლა მკვლელია, და თუ ის გაიქცევა, ვიდრე მე აქ ვიმყოფები, მაშინ დიდი უსიამოვნება მომელის.

- ნუ გეშინიათ, ის არ შეეცდება გაქცევას.

- ეს საიდან იცით?

- გაქცევა დანაშაულის აღიარებას ნიშნავს.

- თუ ასეა, წავიდეთ და დავაპატიმროთ.

- აქ ველოდები, სადაც არის, მოვა.

- რატომ ფიქრობთ, რომ მოვა?

- იმიტომ, რომ მივწერე და ვთხოვე, აქ მოსულიყო.

- ეს ძალიან მოუფიქრებელი ნაბიჯია, მისტერ ჰოლმს! ნუთუ ის ბანდიტი აქ იმისათვის მოვა, რომ თქვენ სთხოვეთ? განა უფრო იოლი არ არის ვივარაუდოთ, რომ თქვენი წერილი ეჭვებს აღუძრავს და დამალვას შეეცდება?

- ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ არის შედგენილი წერილი, - თქვა ჰოლმსმა. - თუ არ ვცდები, ის ჯენტლმენი უკვე მობრძანდება.

სახლისაკენ მომავალ გზაზე მართლაც ვიღაც უცნობი ადამიანი მოაბიჯებდა. ეს იყო მაღალი, ლამაზი, შავგვრემანი მამაკაცი. რუხი კოსტიუმი ეცვა და ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა. შავი, უხეში წვერი და დიდი, არწივისებური ცხვირი ჰქონდა. გზად მომავალი ხელჯოხს აქნევდა და ისეთი სახით მოაბიჯებდა, თითქოს გარშემო ყველაფერი მისი საკუთრება ყოფილიყო. ბოლოს გაისმა ზარის ხმამაღალი წკრიალი.

- მე ვფიქრობ, ჯენტლმენებო, - მშვიდად თქვა ჰოლმსმა, - რომ თქვენ კარს უკან დამალვა გმართებთ. როცა საქმე ასეთ ადამიანთან გვაქვს, სიფრთხილის ყველა ღონისძიება უნდა გამოვიყენოთ: ინსპექტორო, ხელბორკილი მოამზადეთ, მასთან საუბარი კი მე მომანდეთ.

დუმილში მთელი წუთი გავიდა, ერთი იმნაირ წუთთაგანი, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებ.

მერე კარი გაიღო და ჩვენი სტუმარი ოთახში შემოვიდა. ჰოლმსმა თვალის დახამხამებაში რევოლვერის ლულა შუბლში დაუმიზნა, მარტინმა კი მაჯებზე ხელბორკილი დაადო.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ჩვენი ტყვე შებოჭილი აღმოჩნდა უმალ, ვიდრე თავდამსხმელებს შენიშნავდა. იგი შავი, მოციმციმე თვალებით ხან ერთს მისჩერებოდა, ხან მეორეს, მერე კი ხმამაღლა გაიცინა:

- ჰო, ჯენტლმენებო, ამჯერად თქვენ დამიჭირეთ! ახლა ვეღარსად წაგივალთ, მაგრამ მე აქ წერილით მისის ჰილტონ კუბიტმა მომიწვია... ნუ მეტყვით, რომ ის ქალიც შეთქმულთაგანია. ნუთუ ამ ხაფანგში მან შემომიტყუა?

- მისის ჰილტონ კუბიტი მძიმედ არის დაჭრილი და სულთმობრძავი წევს.

დაპატიმრებულმა ხმამაღლა შეჰყვირა, მისმა ხმამ მთელი სახლი შესძრა.

- თქვენ ხომ არ შეიშალეთ! - დაიღრიალა გაცოფებულმა. - ეს კაცია დაჭრილი და არა ქალი! განა ვინმეს გამბედაობა ეყოფოდა, რომ დაეჭრა პატარა ილსი? მე ვემუქრებოდი, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, თმის ერთ ღერსაც კი არ შევურხევდი. უკან წაიღეთ თქვენი სიტყვები, ჰეი, თქვენ! მითხარით, რომ ილსი არ არის დაჭრილი!

- ის მძიმედ დაჭრილი იპოვეს ტყვიით განგმირული ქმრის გვერდით.

კაცს გულის სიღრმიდან კვნესა აღმოხდა. დივანზე დაეშვა და სახე ხელებით დაიფარა. მთელი ხუთი წუთი დუმდა. შემდეგ ხელები ჩამოიღო და სასოწარკვეთილმა ცივი სიმშვიდით თქვა:

- არაფერი მაქვს თქვენგან დასაფარავი, ჯენტლმენებო. მე ვესროლე, მაგრამ მანაც მესროლა, - მაშასადამე, ეს არ შეიძლება მკვლელობად ჩაითვალოს, ხოლო თუ ფიქრობთ, რომ მე შემეძლო დამეჭრა ის ქალი, მაშასადამე, არც მას იცნობთ და არც მე. არასოდეს არც ერთ მამაკაცს არ ჰყვარებია ქალი ისე ძლიერ, როგორც მე, და ყველა უფლებაც მქონდა ამ ქალზე. იგი უკვე დიდი ხნის წინათ იყო ჩემთვის განკუთვნილი. რა საფუძველზე ჩადგა ეს ინგლისელი ჩვენს შორის? პირველად მე მივიღე მისი

ხელის თხოვნის უფლება, და მე მოვითხოვდი მხოლოდ იმას, რაც კანონით მეკუთვნოდა.

- ის ჩამოგშორდათ, როცა გაიგო, ვინც იყავით, - მკაცრად თქვა ჰოლმსმა. - ქალი გამოიქცა ამერიკიდან, რომ თქვენგან თავი დაეღწია, ის გათხოვდა ინგლისში პატივცემულ ადამიანზე. თქვენ ემუქრებოდით, ავიწროებდით და ცდილობდით იძულებული გაგეხადათ მიეტოვებინა ქმარი, რომელიც უყვარდა, რომელსაც პატივსა სცემდა, და გაქცეულიყო თქვენთან ერთად... თქვენ კი მას სძულდით, არ უყვარდით და პატივს არ გცემდათ. საქმე იმით დაამთავრეთ, რომ მოკალით ეს კეთილშობილი კაცი და თვითმკვლელობამდე მიიყვანეთ მისი ცოლი. აი, თქვენი დამსახურებანი, მისტერ აბ ლენ, რისთვისაც პასუხისმგებლობა გეკისრებათ.

- თუ ილსი მოკვდება, ჩემთვის სულ ერთია, რა მომივა, - თქვა ამერიკელმა.

მუშტი გაშალა და ჩაიხედა ბარათში, ხელისგულზე რომ ედო.

- მომისმინეთ, მისტერ, - შესძახა აბ ლენმა და მის თვალებში ნაპერწკალმა გაიციალა, - ხომ არ ფიქრობთ, შემაშინოთ? თუ ლედი ასე მძიმედაა დაჭრილი, მაშ, ეს წერილი ვინ დაწერა?

ამ სიტყვებზე ბარათი მაგიდაზე ისროლა.

- მე დავწერე, რათა აქ მომეყვანეთ.

- თქვენ დაწერეთ? დედამიწის ზურგზე ჩვენი ბანდის წევრების გარდა, არ მოიპოვება ადამიანი, რომ მოცეკვავე კაცუნების საიდუმლოება იცოდეს. როგორ შეგეძლოთ ამის დაწერა?

- ის, რაც გამოიგონა ერთმა ადამიანმა, შეიძლება გაიგოს მეორემ, - მიუგო ჰოლმსმა.- აი, ახლოვდება კები, რომლითაც ნორვიჩში გაგაგზავნიან, მისტერ ლენი... მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ პატარა შესაძლებლობა, რამდენადმე გამოასწოროთ თქვენს მიერ ჩადენილი ბოროტება. ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ მისის ჰილტონ კუბიტი ეჭვმიტანილია ქმრის მკვლელობაში და მხოლოდ ჩემმა აქ ყოფნამ, ჩემს მიერ შეკრებილმა ცნობებმა იხსნეს ამ ბრალდებისაგან? თქვენ მოვალე ხართ მთელ ქვეყანას განუცხადოთ, რომ ის ამ მკვლელობაში არც ნებით და არც უნებლიეთ დამნაშავე არ არის.

- ასედაც ვიზამ, - თქვა ამერიკელმა. - ვხედავ, ჩემთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება სრული სიმართლის აღიარება. უნდა იცოდეთ, ჯენტლმენებო, რომ ლედი მე გავიცანი მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ჩვენი ჩიკაგოს ბანდა შვიდი კაცისაგან შედგებოდა. ილსის მამა ჩვენი მეთაური იყო. ჭკვიანი მოხუცი გახლდათ. სწორედ მან გამოიგონა ის ასოები, რომელთაც ყველა ბავშვის ნახატებად თვლიდა, ვიდრე თქვენ არ გაგიღიმათ ბედმა და იმ შიფრს გასაღები არ მოარგეთ. ილსი იცნობდა ჩვენს ზოგიერთ საქმიანობას, მაგრამ ჭირივით სძულდა ჩვენი პროფესია. და რაკი მას ჰქონდა პატიოსანი გზით მოპოვებული ფული, ხელიდან გაგვისხლტა და ლონდონს ჩამოვიდა. ჩემი დანიშნული იყო და ცოლადაც გამომყვებოდა, თუ პროფესიას გამოვიცვლიდი. ჩემი ხელობის ხალხთან კი ილსის არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა. მის კვალს მივაგენი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ინგლისელს გაჰყვა. წერილი მოვწერე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. მაშინ აქ ჩამოვედი და რადგან ვშიშობდი, შესაძლოა, მან ჩემი წერილები არც კი წაიკითხოს-მეთქი, დავიწყე წერა ფანჯრის რაფაზე და ფარდულის კარზე.

უკვე მთელი თვეა, რაც აქ ვცხოვრობ. ფერმაში დავსახლდი. ჩემი ოთახი იმით იყო კარგი, რომ ქვედა სართულზე გახლდათ, ღამღამობით ისე შემეძლო გამოსვლა, რომ სახლის პატრონთა ყურადღებას არ მივიქცევდი. რა არ ვიღონე, რომ ილსი ჩემს მხარეს გადმომებირებინა. ვიცოდი, კითხულობდა ჩემს აჩხაბაჩხა ნაწერს, რადგანაც

ერთხელ ჩემს ნაწერს ქვეშ პასუხი მიაწერა. ბოლოს მოთმინება დავკარგე და მუქარაზე გადავედი. მაშინ მომწერა წერილი, რომელშიაც მევედრებოდა, ამერიკაში დავბრუნებულიყავი, მარწმუნებდა, თავს მოვიკლავ, ჩემი ქმარი რაიმე სკანდალურ საქმეში რომ გაერიოსო. აღმითქვა, ღამის სამ საათზე, როცა ქმარი დაიძინებს, ფანჯრიდან დაგელაპარაკები იმ პირობით, რომ ამის შემდეგ გაემგზავრები და მომასვენებო.

მოლაპარაკების დროს ფული შემომთავაზა, რომ ჩემგან თავი დაეხსნა. ამან გამაშმაგა, ხელი ვტაცე და მინდოდა ფანჯრიდან გადამეყვანა. სწორედ იმ წამს მოირბინა მისმა ქმარმა, ხელში რევოლვერი ეჭირა. ილსი უგრძნობლად დაეშვა იატაკზე, მე და ის კაცი კი ერთიმეორეს პირისპირ შევრჩით. მეც შეიარაღებული ვიყავი და რევოლვერი შევმართე, რათა შემეშინებინა და წასვლის შესაძლებლობა მომცემოდა. მესროლა და ამაცდინა. მეც თითქმის მასთან ერთად გავისროლე და ჩემი მოწინააღმდეგე იატაკზე დაეცა. იქაურობას გავშორდი, ბაღი გადავირბინე და გავიგონე, როგორ დახურეს ფანჯარა. ყველაფერი ეს სიმართლეა, ჯენტლმენებო, და მეტი ამ საქმისა არაფერი ვიცოდი, ვიდრე ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი არ გამოცხადდა და ბარათი არ გადმომცა. წერილი წავიკითხე, აქეთ გამოვიქეცი და თქვენს ხელშიც ჩავვარდი...

ამასობაში სახლთან კებიც მოვიდა. შიგ ორი პოლისმენი იჯდა.

ინსპექტორი მარტინი წამოდგა და დაპატიმრებულს მხარზე ხელი შეახო.

- დროა წავიდეთ!

- არ შეიძლება წასვლის წინ ილსი ვნახო?

- არა, ჯერ კიდევ გრძნობაზე არ მოსულა... მისტერ შერლოკ ჰოლმს, მე ისღა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ როცა ისევ გამაგზავნიან რაიმე დიდი საქმის გამოსარკვევად, ბედნიერება მექნება კვლავ თქვენთან ერთად ვიმუშაო.

ფანჯარასთან ვიდექით და მიმავალ კებს გავცქეროდით. როცა მოვბრუნდი, შევნიშნე ბარათი, რაც დამნაშავეს მაგიდაზე დაეტოვებინა. ეს სწორედ ის ბარათი გახლდათ, ჰოლმსმა მას რომ გაუგზავნა.

- სცადეთ ამისი წაკითხვა, უოტსონ, - მითხრა ღიმილით ჰოლმსმა.

ფურცელზე დახატული იყო აი, ასეთი მოცეკვავე კაცუნები:

- თუ ჩემს ახსნა-განმარტებას გაიხსენებთ, აქ წერია: «მოგელი, არ მალოდინო». ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასეთი მოპატიჟება ამერიკელს ჩვენთან მოიყვანდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მისის კუბიტის გარდა ასე წერა არავის შეეძლო. ერთი სიტყვით, ჩემო ძვირფასო, უოტსონ, ეს კაცუნები, რომლებიც ასე დიდხანს ემსახურებოდნენ ბოროტებას, ახლა ვაიძულეთ, სიკეთეს ემსახურონ... მგონია, შეგისრულეთ დანაპირები და თქვენი უბის წიგნი ახალი ჩანაწერებით გავამდიდრე. ჩვენი მატარებელი სამ საათსა და ორმოც წუთზე გადის და ბეიკერსტრიტზე სწორედ სადილობისას ვიქნებით.

კიდევ რამდენიმე სიტყვაც და დავასრულებთ. ამერიკელ აბ ლენის ნორვიჩის სასამართლოს ზამთრის სესიამ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა დანაშაულის შემამსუბუქებელი მოტივები, და რაც მთავარია, ის გარემოება, რომ ჰილტონ კუბიტმა პირველმა ესროლა, სიკვდილი საკატორღო სამუშაოებით შეუცვალა. მისის ჰილტონის შესახებ ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი სრულიად განიკურნა, ჯერ კიდევ ქვრივია და თავის სიცოცხლეს ღარიბებზე ზრუნვას ახმარს.

უცოლო დიდგვაროვანი

ლორდ სენტ-საიმონის ქორწინება ძალიან უცნაურად დასრულდა, მაგრამ იმ წარჩინებულ წრეში, რომელშიც თვითონ უბედური საქმრო ტრიალებდა, ამ ამბავზე მითქმა-მოთქმა დიდი ხანია შეწყდა. უფრო შფოთიანმა და აურზაურის გამომწვევმა პიკანტურმა დეტალებმა და ამბებმა დავიწყების ფერფლით დაფარა ლორდ სენტ-საიმონის ქორწინების გარშემო ატეხილი ჭორები და ლაქლაქი, მით უმეტეს, რომ მას მერე ბარე ოთხმა წელიწადმა განვლო. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩემი ღრმა რწმენით, ფართო საზოგადოებრიობისათვის ამ ამბის გარშემო არსებული ყველა ფაქტი ცნობილი არ არის. ვინაიდან ეს საქმე ჩემმა მეგობარმა გამოიძია და ყოველივეს მან მოჰფინა ნათელი, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ჰოლმსის თავგადასავალს, მისი სრულყოფის მიზნით, კიდევ ერთი მოთხრობა დავუმატო.

თვითონ ჩემს ქორწინებამდე რამდენიმე კვირით ადრე, - მაშინ ჯერ კიდევ ჰოლმსთან ერთად, ერთ ჭერქვეშ, ბეიკერსტრიტზე ვცხოვრობდი, - ჩემი მეგობარი ნასადილევს სასეირნოდ გავიდა. შინმობრუნებულს, მის სახელზე, მაგიდაზე დადებული წერილი დაუხვდა. მე მთელი ის დღე შინ გავატარე, ვინაიდან ამინდი უცებ შეიცვალა, ცა მოიქუფრა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ავღანეთიდან საკუთარი ფეხით წამოღებულ ძვირფას რელიქვიას - ტყვიასა და ნაჭრილობევს მეტიც არ უნდოდა, თავი შემახსენა და მთელი დღე ყრუ ტკივილები მტანჯავდა. სავარძელში მოვკალათდი, ფეხი ფეხზე გადავიდე და ყოველდღიური საჭირბოროტო ამბებით გადაჭრელებული გაზეთების კითხვას შევუდექი. კითხვა რომ მომწყინდა, თვალი მაგიდაზე დადებული წერილისაკენ გამექცა. კონვერტზე გამოსახული უზარმაზარი ღერბი და მონოგრამა მზერას თავისთავად იტაცებდა და თავი საგონებელს მივეცი. ნეტავ რომელ ბობოლასთან აქვს მიმოწერა-მეთქი, სულ იმას ვფიქრობდი.

- ვიღაც მაღალი წრის კაცის ნამოღვაწარი ეპისტოლე გელით. აი, იქ მაგიდაზე დევს, - შევეხმიანე ჰოლმსს, როგორც კი ოთახში შემოვიდა. - თუ მეხსიერება არა მღალატობს, გარდა ამ უსტარისა, დილით თევზით მოვაჭრისა და ნავსადგურის საბაჭო მოხელის წერილებიც მოგივიდათ.

- მთელი სიხალისე სწორედ კორესპონდენციების მრავალფეროვნებაშია, - მითხრა გაღიმებულმა ჰოლმსმა, - და ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანების წერილები უფრო საინტერესოა ხოლმე. ამ წერილში კი, მიპატიჟების ბარათი უნდა იყოს და, ალბათ ისეთ ადგილას მიმიწვევენ, სადაც ან მოწყენილობა მომკლავს, ანდა სადაც აუცილებლად უნდა ვიცრუო.

მან დალუქული კონვერტი გახსნა და წერილი თვალის დახამხამებაში გადაიკითხა.

- რაღაც საინტერესო ამბავი უნდა იყოს, - თქვა ჰოლმსმა.

- მაშ, მიწვევის ბარათი არა ყოფილა?

- არა.

- და ვიღაც დიდგვაროვნის პირადი წერილია, არა?

- დიახ.

- გილოცავთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

- მერწმუნეთ, უოტსონ, გულწრფელად გთხოვთ ჩემს ნათქვამს მოჩვენებით სიტყვებად ნუ მიიღებთ. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ მე კლიენტის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე უფრო მაღლა იმ შემთხვევისა თუ ამბის ისტორიას

ვაყენებ, რომელიც მას თავს გადახდა. ეს შემთხვევა კი, მართლაც, ცხოველი ინტერესის აღმძვრელი უნდა იყოს. მე მგონია, ამ ბოლო დროს, თქვენ დიდი გულისყურით კითხულობდით გაზეთებს.

- მეც ასე მგონია, - ვთქვი ნაღვლიანად და კუთხეში დაყრილ გაზეთების დასტაზე ვანიშნე, - ან კი მეტი რა საქმე მქონდა.

- ბედად, იქნებ, სწორედ თქვენ გქონდეთ წაკითხული ამ ამბის გარშემო გამოქვეყნებული მასალები, თორემ მე ხომ კრიმინალური საქმეებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა თაობაზე გაზეთების პირველ გვერდებზე მოთავსებული განცხადებების გარდა აღარაფერს ვკითხულობ. ჭკუის სასწავლი ამბები ხომ სწორედ იქ იბეჭდება. თუ ყველა გაზეთს გულისყურით კითხულობდით, ალბათ ლორდ სენტ-საიმონისა და მისი ქორწინების ამბავიც მოგხვდებოდათ თვალში.

- დიახ, თვალშიც მომხვდა და დიდი ინტერესითაც გადავიკითხე.

- ეს ძალიან კარგია. წერილი სწორედ ლორდ სენტ-საიმონისაგანაა. მე წაგიკითხავთ წერილს, თქვენ ერთხელ კიდევ გადაათვალიერეთ გაზეთები და მერე მიამბეთ, რაც ამ საქმეს შეეხება. აი, რას მწერს:

- «ჩემო ძვირფასო მისტერ შერლოკ ჰოლმს, ლორდმა ბეიკუოტერმა მითხრა, რომ სავსებით შემიძლია ვენდო თქვენს გამჭრიახობას. მანვე გადმომცა, რომ როგორც ჯენტლმენს შეჰფერის, თქვენ სხვის საიდუმლოს არავის გაუმხელთ. ამიტომ უსიტყვოდ გადავწყვიტე, რჩევისათვის მოგმართოთ და გაგიმხილოთ ის სამწუხარო ამბავი, რაც ჩემს ქორწინებას მოჰყვა. მართალია, ამ საქმეს მისტერ ლესტრეიდი იკვლევს, მაგრამ იგი არათუ წინააღმდეგია თქვენც ჩაერიოთ ჩემს საქმეში, არამედ მიაჩნია კიდეც, რომ ეს საქმისათვის სასარგებლო იქნება. მე თქვენთან, ნაშუადღევის ოთხ საათზე გავჩნდები, და გთხოვთ, ამ დროისათვის სხვა საქმეებიდან მოიცალოთ, ვინაიდან ჩემი ამბავი ძალიან სერიოზული და ყურადსაღებია.

თქვენი ერთგული რობერტ სენ-საიმონი».

- წერილი გამოგზავნილია გროსვენორის სასახლიდან, დაწერილია ბატის ფრთით და სახელოვან ლორდს მარჯვენა ნეკი მელნით დაუსვრია, - ჩამიკენჭა თავისებურად ჰოლმსმა და წერილი დაკეცა.

- ოთხ საათზე მანდ გავჩნდებიო, ახლა სამია, ასე რომ მის მოსვლამდე ერთი საათიღა დარჩა.

- ეს დრო სრულიად საკმარისია, რომ თქვენი დახმარებით ამ საქმეში გავერკვიო. გადახედეთ გაზეთებს და თარიღების მიხედვით გაამზადეთ გადასათვალიერებლად, მე კი მანამდე ლორდ რობერტ სენტ-საიმონის ვინაობას გავეცნობი. ჰოლმსმა ბუხრის გვერდზე მოთავსებულ თაროდან წითელყდიანი წიგნი ჩამოიღო, სავარძელში ჩაჯდა, წიგნი მუხლებზე დაიდო და ფურცვლას შეუდგა. რასაც ეძებდა, მალე მიაგნო და ხმამაღლა წაიკითხა: - რობერტ უილსინგემ დე ვერ სენტ-საიმონი, ჰერცოგ ბალმორალის მეორე ვაჟი - ჰმ! საგვარეულო ღერბი: ლურჯ ფონზე გეზად სიასამურის ზოლი და ზედ გამოსახული სამი ეკალთავა ღიღილო. დაბადებულია 1846 წელს. ამჟამად ორმოცდაერთი წლის გამოდის. სწორედ რომ დროზე გადაუწყვეტია ცოლის შერთვა. მთავრობის ყოფილ შემადგენლობაში კოლონიების საქმეთა მინისტრის მოადგილე. ჰერცოგი, მამამისი ერთ ხანს საგარეო საქმეთა მინისტრი ყოფილა. აღმავალი შტოთი პლანტაგენეტების ჩამომავალია, დაღმავალით - კი ტიუდორებისა. ჰა! აქ ისეთი საინტერესო ვერაფერი ამოვიკითხე. მე მგონია, თქვენ მაინც წააწყდებოდით გაზეთებში ყურადსაღებ ცნობებს.

- სრულიად არ გამჭირვებია იმის პოვნა, რასაც ვეძებდი, - ვუთხარი მე, - ფაქტები ჯერ კიდევ ცხელია და ამბავი იმდენად სენსაციური, რომ ყველას

ყურადღება ერთბაშად მიიპყრო. თუ ამ ამბის თაობაზე თქვენთან კრინტი არ დამიძრავს, მიზეზი ადვილი მისახვედრია; ჩვულებრივ, თქვენ როცა ერთ რომელიმე საქმეს იძიებთ, სხვა საქმეში გარევა კი არა, მისი შინაარსის მოსმენაც არ გინდათ ხოლმე.

- ოჰ, თქვენ გროსვენორსკვერიდან ფურგონით რომ ავეჯი გაიტაცეს, იმ საქმეზე ამბობთ, არა? ის საქმე ამჟამად დამთავრებულია, თუმცა იქ დასამთავრებელიც არა იყო რა, თავიდანვე ყველაფერი დღესავით ნათელი გახლდათ. ახლა კი სმენად გადაქცეული ველი, ამ საქმის ირგვლივ თქვენს მიერ გაზეთებში ამოკითხული ამბების დაწვრილებით მოყოლას.

აი, პირველი ცნობა ამ საქმეზე, რომელიც «მორნინგ პოსტში» პირადი ცხოვრების საქმეთა სვეტებში ამოვიკითხე. გაზეთის ეს ნომერი ამ რამდენიმე კვირის წინ გამოვიდა: «მოხდა ნიშნობის თაობაზე გარიგება და თუ მითქმა-მოთქმას დავუჯერებთ, ამას მალე მოჰყვება ქორწინებაც. ბალმორალის ჰერცოგის მეორე ვაჟი -ლორდ რობერტ სენტ-საიმონი ჯვარს დაიწერს სანფრანცისკოელი ესკვაირის, ალოიზიუს დორანის მხოლოდშობილ ქალიშვილზე, მის ჰეტი დორანზე».

- მოკლედ და მკაფიოდ, - შენიშნა ჰოლმსმა, - და გრძელი გამხდარი ფეხები ცეცხლს მიუფიცხა.

- წინა კვირას, ერთ-ერთ, მაღალი წრეებისათვის განკუთვნილ გაზეთში, ამ საქმეზე უფრო დაწვრილებით იყო ლაპარაკი. აი, ისიც: უკვე მოთხოვნილებად იქცა ქორწინების ბაზრის დასაცავი კანონის გამოცემა, ვინაიდან ამ საქმეში არსებული თავისუფალი ვაჭრობა-გარიგების პრინციპები ჩვენს სამამულო პროდუქციას ძალიან მძიმე დაღს ასვამს. დიდი ბრიტანეთის დიდგვაროვან ოჯახისშვილებს თანდათანობით ხელთ იგდებენ ოკეანისგაღმელი მშვენიერი ასულნი და მათზე ბატონობენ. წარსულ კვირას მათ ნაალაფევს დაემატა კიდევ ერთი უძვირფასესი შენაძენი. ლორდმა სენტ-საიმონმა, რომელიც აგერ ოცი წელია ამურის მიერ ნატყორცნ ისრებს გულცივად იგერიებდა, საქვეყნოდ განაცხადა, რომ ცოლად ირთავს კალიფორნიელი მილიონერის მხოლოდშობილ ასულს - მის ჰეტი დორანს. მის დორანმა, მომხიბლავმა ტანკენარმა და მშვენიერმა ასულმა, უისბერის სასახლეში გამართულ მეჯლისზე ყველას ყურადღება მიიპყრო, იგი გახლავთ მხოლოდშობილი ქალიშვილი ამერიკელი ესკვაირისა, და მისი მზითევის ოდენობა ექვსნიშნა ციფრით გამოიხატება. ყველასათვის ცნობილია, რომ ჰერცოგმა ბალმორალმა თავისი სურათების გალერეა ამ რამდენიმე წლის წინათ გაყიდა და ლორდ სენტ-საიმონს, ბირჩმურის სასახლის გარდა სხვა უძრავ-მოძრავი ქონება არ გააჩნია. სავსებით ნათელია, რომ ეს ქორწინება მომგებიანია არა მარტო რესპუბლიკელი ქალიშვილისათვის, რომელიც ინგლისელი ლედი გახდება, არამედ მეორე მხრისთვისაც ძალზე სასარგებლო და სარფიანი საქმე იქნება.

- კიდევ სწერენ რამეს? - მთქნარებით იკითხა ჰოლმსმა.

- ოჰ, როგორ არა. «მორნინგ პოსტში» კიდევ არის ამ საქმეზე გამოქვეყნებული საკმაოდ მოზრდილი შენიშვნა, იუწყებიან, რომ ქორწინება ნაცვლად დიდი ზარზეიმისა მშვიდად ჩაივლის, ჯვარისწერა ჰანოვერსკვერზე, წმინდა გიორგის ტაძარში მოხდება, მიპატიჟებული იქნებიან ყველაზე უახლოესი მეგობრები და მათი რიცხვი ექვსს არ აღემატება. მექორწინენი დაბრუნდებიან მისტერ ალოიზიუს დორანის მიერ დაქირავებულ სავარძლებით გაწყობილ სახლში, ლანკასტერ-გეიტზე. ორი დღის უკან, წარსულ ოთხშაბათს, გაზეთში ამოვიკითხე კიდევ ერთი პატარა ცნობა, საიდანაც შევიტყვე, რომ ქორწინება შედგა და ჯვარდაწერილნი თაფლობის

თვეს, პიტერსეფილდის ახლოს, ლორდ ბეიკუოტერის მამულში გაატარებენო. აი, ყველა ცნობა, რაც პატარძლის გაუჩინარებამდე დაიბეჭდა გაზეთში.

- პატარძლის გაუჩინარებამდეო? ასე თქვით, არა? - იკითხა ჰოლმსმა და ფეხზე წამოიჭრა.

- დიახ, პატარძლის გაუჩინარებამდე, - გავუმეორე მე.

- მერედა, როდის გაუჩინარდა?

- საქორწინო ვახშმობის დროს.

- ამ საქმეს ჭეშმარიტად იმაზე საინტერესო პირი უჩანს, ვიდრე ვფიქრობდი. ძალიან დრამატული ამბავი კია.

- დიახ, ამ სამწუხარო ამბავმა ჩემზეც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

- ქალები ხშირად ქორწინების დღემდე მიიმალებიან ხოლმე, ხანდახან თვით თაფლობის თვეშიც გაუჩინარდებიან, მაგრამ საქორწინო ვახშმობის დროს რომ ვინმე გადაკარგულიყოს, ამნაირ შემთხვევა არა და არ მაგონდება. ძალიან გთხოვთ, ყველა წვრილმანი გაიხსენოთ.

- წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ეს წვრილმანი ამბები სრული არ იქნება.

- იქნებ თვითონვე შევავსოთ.

- გუშინდელ გაზეთში ამ საქმის თაობაზე კიდევ გამოქვეყნდა ერთი ცნობა, რომელსაც წაგიკითხავთ და ყველაფერი ამით დამთავრდება. ცნობის სათაური გახლავთ: «მაღალ საზოგადოებაში ქორწინების დროს მომხდარი უცნაური შემთხვევა»... - «ლორდ რობერტ სენტ-საიმონის ოჯახი შესძრა იმ საშინელმა და უცნაურმა ამბავმა, რაც თან მოჰ-ყვა მის ქორწინებას. ჯვრისწერის ცერემონიალი, როგორც გაზეთები იტყობინება, გუშინ დილით შედგა, მაგრამ მხოლოდ დღეს შეიძლება დავადასტუროთ იმ უცნაური მითქმა-მოთქმის საფუძვლიანობა, საზოგადოებაში რომ დაირხა. ლორდის მეგობრების გულწრფელმა ცდამ, როგორმე მიეჩქმალათ საქმის გარშემო ატეხილი აურზაური, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ხალხის ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გააღიზიანა. ამჟამად არავითარი აზრი აღარ აქვს იმის დამალვას, რაზეც უკვე მთელი საზოგადოება ლაპარაკობს. ჯვრისწერის ცერემონია, ჰანოვერსკვერზე, წმიდა გიორგის ტაძარში შედგა. ყველაფერი ძალიან უხმაუროდ და მშვიდად ჩატარდა. ჯვრისწერას ესწრებოდნენ საპატარძლოს მამა, მისტერ ალოიზიუს დორანი, ქალბატონი ბალმორალი, ლორდი ბეიკუორტი, ლორდი იუსტასი, ლედი კლარა სენტ-საიმონი (ნეფის უმცროსი და-ძმა) და ლედი ალისა უიტინგტონი. ჯვრისწერის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ მექორწინენი უკლებლივ გაემართნენ მისტერ ალოიზიუს დორანის მიერ დაქირავებული სახლისაკენ, სადაც მათ საქორწინო ლხინი ელოდათ. როგორც ამბობენ, იქ ყველასათვის მოულოდნელად, მექორწინეთათვის გზა გადაუჭრია ვიღაც უცნობ ქალს, რომელსაც განუცხადებია, ლორდ რობერტ სენ-საიმონის თავს არავის დავანებებო. სახლის მოურავსა და ლაქიას დიდი გარჯა და დავიდარაბა დასჭირვებიათ, რომ უცნობი ქალი თავიდან მოეცილებინათ. საბედნიეროდ, მის დორანს არაფერი გაუგონია, ვინაიდან იგი უცნობი ქალის გამოჩენამდე შესულა სახლში. პატარძალიც სხვებთან ერთად მისჯდომია მაგიდას, მაგრამ მალე დაღლილობა მოუმიზეზებია და თავისი ოთახისათვის მიუშურებია. იგი კარგა ხანს არ გამოჩენილა, რასაც ყველა იქ დამსწრე შეუშფოთებია. მისტერ ალოიზიუს დორანი ქალიშვილის გამოსაყვანად მისი ოთახისაკენ დაძრულა, მაგრამ საპატარძლოს მსახურ გოგოს მისტერ დორანისათვის უთქვამს, ჰეტი ოთახში ერთი წუთით შემოვიდა, პალტოს და ქუდს დასტაცა ხელი და გასასვლელისაკენ გაიქცაო. ერთ-ერთ ლაქიას განუცხადებია, სახლიდან საგარეო ტანსაცმლით მორთული ქალის გამოსვლა

მეც შევნიშნე, მაგრამ, აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ პატარძალი საქორწინო მაგიდიდან ადგებოდა და გარეთ გამოვიდოდაო. მისტერ ალოიზიუს დორანი და სიძე, როგორც კი დარწმუნებულან, პატარძალი სადღაც გაუჩინარდაო, იმწამსვე პოლიციაში გაქცეულან. სამძებრო ორგანო ალბათ ძალიან მალე გაარკვევს მის მორანის გაუჩინარების მიზეზს და ყველაფერს ფარდა აეხდება. ჯერჯერობით ლტოლვილის ადგილსამყოფელი უცნობია. ხმები დადის, ამ საქმეს ღალატისა და შანტაჟის სუნი ასდისო. პოლიციამ დააპატიმრა ქალი, რომელიც სახლში შეჭრას ცდილობდა. ფიქრობენ, ეჭვიანობისა, თუ სხვა რაღაც მოტივით ის ქალი შეიძლება პატარძლის გაუჩინარების მიზეზი იყოსო».

- სულ ესაა, რაც ვიცით ამ ამბის გარშემო?

- არა, ერთ-ერთ დილის გაზეთში ძალიან პატარა, მაგრამ საგულისხმო ცნობაა მოთავსებული.

- რაო, რას წერენ?

- აურზაურის ამტეხი ნამდვილად ფლორა მილერია და იგი დაპატიმრებულიაო. ირკვევა, რომ იგი «ალეგროში» ყოფილა მოცეკვავედ და ლორდ სენტ-საიმონთან რამდენიმე წლის ნაცნობობა ჰქონია. გაზეთში ამის მეტი არაფერი გამოქვეყნებულა, ასე რომ, რაც წავიკითხე, ყველა ცნობა თქვენს ხელთაა.

- ძალიან საინტერესო საქმე უნდა იყოს და კიდევ კარგი, რომ უჩემოდ არ «მოახრჩვეს». მაგრამ ზარის ხმაა, უოტსონ, უკვე ხუთის ხუთი წუთია და ალბათ ჩვენი დიდგვაროვანი კლიენტი მოვიდა. ოთახიდან გასვლაზე არც იფიქროთ, უოტსონ. მირჩევნია ყველაფერი მოწმის თანდასწრებით მოხდეს, მით უმეტეს, რომ იქნებ რამე გადამავიწყდეს.

- ლორდი რობერტ სენტ-საიმონი, - გვაუწყა ჩვენმა მოსამსახურე ბიჭმა და კარი ფართოდ გამოაღო. ოთახში შემოვიდა სასიამოვნო შესახედაობის, დახვეწილნაკვთებიანი, დიდცხვირა, ტუჩებაბზუებული, მტკიცედ გამომზირალი საშუალო ხნის მამაკაცი. მისი მედიდური და ამაყი გამომეტყველება მოწმობდა, რომ იგი ბრძანებლობას და უსიტყვო მორჩილებას იყო ჩვეული. თუმცა, მკვირცხლი და მოძრავი კაცი ჩანდა, მაგრამ თავის ასაკთან შედარებით უფრო ხნიერად გამოიყურებოდა, ვინაიდან ბეჭებში ოდნავ მოხრილი იყო, თანაც სიარულისას მუხლები შეუმჩნევლად ეღუნებოდა. საფეთქლებთან თმა შევერცხლოდა, და როცა დახვეულფარფლებიანი ქუდი მოიხადა, შევნიშნე, რომ კეფასთან თმა ღარიბი კაცის ყანასავით შემეჩხერებოდა. ყელსა და კისერზე მაღალი საყელო მოუჩანდა, შავი სერთუკი, თეთრი ჟილეტი, ყვითელი ხელთათმანი, სანდალოზის ფეხსაცმელი და ღია ფერის გეტრები ეცვა. ოთახში დინჯად შემოვიდა, მიმოიხედა და მარჯვენა ხელში ოქროსბუდიანი ლორნეტი აათამაშა.

- გამარჯობათ, ლორდ სენტ-საიმონ, - წარმოთქვა ჰოლმსმა და სტუმრის შესაგებებლად წამოდგა. - აი, ამ მოწნულ სავარძელში ჩაბრძანდით: ეს ჩემი მეგობარი და კოლეგა უოტსონი გახლავთ. ცეცხლთან ახლოს დაბრძანდით და მოვილაპარაკოთ თქვენს საქმეზე.

- როგორი სამწუხარო და საშინელი ამბავი შემემთხვა, მისტერ ჰოლმს, მოულოდნელობისაგან გაოგნებული ვარ. ვიცი, რომ ამგვარი საქმეები თქვენთვის უცხო ხილი არ არის, მაგრამ არა მგონია ოდესმე საქმე ჩემი წრის კაცთან გქონოდეთ. იმ კლასის ღვიძლ შვილთან, რომელსაც მე ვეკუთვნი.

- დიახ, მართალს ბრძანებთ. მე ახლა დაბლა ვეშვები.

- მაპატიეთ, ეგ როგორ გავიგოთ?

- ჩემი უკანასკნელი კლიენტი მეფე გახლდათ.

- მართლა?! არ ვიცოდი, ნამდვილად არ ვიცოდი. რომელი ქვეყნის მეფე?

- სკანდინავიისა.

- რაო, მანაც ცოლი დაკარგა?

- რა თქმა უნდა, თქვენ გესმით, - შთაგონებული ხმით წამოიწყო ჰოლმსმა, - რომ მე მევალება ჩემი კლიენტის საიდუმლოების დაცვა და ისევე უნდა გავუფრთხილდე სხვა კლიენტების საიდუმლოს, როგორც პირადად თქვენსას.

- მართალი ბრძანდებით, მისტერ ჰოლმს! ბატონი ბრძანდებით, იმედია მაპატიებთ. რაც შეეხება ჩემს პირად უბედურებას. მზადა ვარ გაგანდოთ ყოველივე წვრილმანი ცნობა, რომელიც კი საქმის ნათელსაყოფად გამოგადგებათ.

გმადლობთ, უნდა მოგახსენოთ, რომ გამოქვეყნებული მასალები გულდასმით შევისწავლე. საქმის გარშემო მეტი არაფერი ვიცი. მე მგონია, გაზეთებში სიმართლეა მოთხრობილი. მაგალითად, აი, თქვენი მეუღლის გაუჩინარების ამბავი ხომ მართალია?

ლორდ სენტ-საიმონმა გაზეთში მოთავსებული ცნობა გადაათვალიერა და ნელა წარმოთქვა: დიახ, ეს ასე თუ ისე, სიმართლეს შეეფერებაო.

- თქვენს საქმეს, ჯერ კიდევ, ბევრი კვლევა-ძიება და დამატებითი საბუთების მოპოვება სჭირდება, ვიდრე გარკვეულ აზრს გამოვიტანდეთ. მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ დასმულ კითხვებზე მიპასუხებთ.

- თანახმა ვარ.

- როდის შეხვდით პირველად ჰეტი დორანს?

- ერთი წლის წინ, სან-ფრანცისკოში.

- თქვენ რა, ამერიკაში მოგზაურობდით?

- დიახ.

- იქ ხომ არ დაინიშნეთ ჰეტი დორანზე?

- არა.

- მაგრამ ხვდებოდით და ეარშიყებოდით, ხომ?

- დიახ, მე მასთან ყოფნა მსიამოვნებდა და ის გრძნობდა ამას.

- მამამისი ძალიან მდიდარია?

- დიახ, წყნარი ოკეანის სანაპიროზე ის ყველაზე მდიდარ კაცად ითვლება.

- ხომ არ იცით, როგორ გამდიდრდა?

- სამთამადნო საქმემ აქცია იგი უმდიდრეს კაცად. რამდენიმე წლის წინ თურმე გროში არ ებადა. მერე ოქროს საბადოს წააწყდა, ფული დააბანდა და ამა სოფლის ძლიერთ ქეჩოზე მოექცა.

- თქვენი შთაბეჭდილების მიხედვით როგორი ხასიათი აქვს ახალგაზრდა ლედის - თქვენს მეუღლეს?

ლორდ სენტ-საიმონმა უფრო სწრაფად შეატრიალა ლორნეტი ხელში და ცეცხლს დააშტერდა. - ჩემი მეუღლე უკვე ოცი წლისა გახლდათ, მისტერ ჰოლმს, როცა მამა გაუმდიდრდა. იგი თავისუფლად დანავარდობდა ტყეებსა და მთებში და მისი აღზრდა დაქირავებული მასწავლებლების ნაცვლად ბუნებას ჰქონდა მინდობილი. დიახ, მის ჰეტი დორანი ერთი ახტაჯანა, ქალაბიჭა, თავნება, ძლიერი ხასიათის, ქარივით თავისუფალი ქალია. მისი, მე ვიტყოდი, ველური ბუნება არავითარი ტრადიციით არაა შეზღუდული. იგი მძაფრია, როგორც ამოსაფრქვევად გამზადებული ვულკანი. სწრაფად იცის გადაწყვეტილების მიღება და არც მის სისრულეში მოყვანის გადადება და გაჭიანურება უყვარს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ მის კეთილშობილურ ბუნებასა და ხასიათში. ამიტომაც გადავწყვიტე მივცე მას ის სახელი, - აქ ლორდ სენტ-საიმონმა ოდნავ ჩაახველა, - რომლის ტარების პატივიც

მაქვს. მე მჯერა, რომ მის დორანს შეუძლია გმირული თავგანწირვა, და ვერავითარი უწმინდური საქციელი მის გულს ვერ გაეკარება.

- მისი ფოტოსურათი ხომ არა გაქვთ?

- დიახ, მოვიტანე. - ლორდმა მედალიონი გახსნა და იქიდან ძალიან ლამაზი ქალის სახემ შემოგვანათა. მაგრამ ეს არ იყო ფოტოგრაფიული სურათი. ეს იყო სპილოს ძვალზე ამოკვეთილი მის ჰეტი დორანის სახე. ეტყობოდა, მხატვარს მთელი მონდომებითა და შთაგონებით ემუშავა მშვენიერი მბზინავი შავი თმის, დიდრონი შავი თვალებისა და შესანიშნავი მოყვანილობის ბაგეების მინიატურის შესაქმნელად. ჰოლმსი კარგა ხანს, დიდი ყურადღებით უმზერდა მის ჰეტი დორანის მინიატურას, მერე მედალიონი დახურა და პატრონს დაუბრუნა.

- ...შემდეგ ახალგაზრდა ლედი ლონდონში ჩამოვიდა და თქვენი ნაცნობობა აქ განაახლეთ, არა?

- დიახ, მამამ ჰეტი ლონდონში ჩამოიყვანა, რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, დავინიშნეთ და მერე ვიქორწინეთ კიდეც.

- ალბათ კარგა მოზრდილი მზითევიც მოჰყვა.

- დიახ, მაგრამ ეს ჩვენს ოჯახში ჩვეულებრივი ამბავია.

- ვინაიდან ქორწინება უკვე «მომხდარი ფაქტია», მზითევი, რაღა თქმა უნდა, თქვენ დაგრჩებათ.

- ამის თაობაზე ვერას გეტყვით.

- ბუნებრივია| ასე იქნება. ქორწინების წინა დღით თუ ნახეთ საცოლე?

- დიახ?

- როგორ ხასიათზე იყო?

- ამაზე უკეთეს ხასიათზე წინათ თითქმის არც მინახავს. სულ იმაზე მეტიტინებოდა, როგორ უნდა მოგვეწყო ჩვენი მომავალი ცხოვრება.

- ეს მართლა საინტერესო ამბავია. მეორე დილას?

- ძალიან მხიარულად გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, ქორწინების რიტუალის დამთავრებამდე სულ ასე იყო.

- მერე, ქორწინების რიტუალის დასასრულს შეამჩნიეთ რამე?

- მართალი უნდა ვთქვა, პირველად მაშინ შევნიშნე, რომ ჰეტის რაღაც ფხუკიანი, გულფიცხი ხასიათი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ეს ისეთი უმნიშვნელო რამ იყო, რომ მასზე ლაპარაკიც არა ღირს და ამას, ჩემი აზრით, საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

- ყოველ შემთხვევაში მაინც მიამბეთ.

- დიდი სიამოვნებით, მაგრამ ეს ისეთი ბავშვური ამბავია... ეკლესიის სალაროს რომ ჩავუარეთ, ჰეტის ხელიდან თაიგული დაუვარდა. სწორედ ამ დროს მლოცველთა მერხების პირველ რიგს გავუსწორდით და თაიგული სკამქვეშ შეცურდა. ერთ წამს ყველანი შევცბით და შევყოვნდით, მაგრამ ვიღაც ჯენტლმენმა, რომელიც იქვე იჯდა, უვნებლად გადარჩენილი თაიგული ჰეტის დაუბრუნა. როცა ჰეტის თაიგულის დავარდნის თაობაზე სიტყვა ჩამოვუგდე, მკვახედ მიპასუხა და მერე მთელი გზა ეტლში ძალიან აღელვებული, გულმოსული და გაფიცხებული ჩანდა.

- მაშ, სამლოცველოს სკამზე ვიღაც ჯენტლმენი იჯდა... ერთი სიტყვით, ეკლესიაში თქვენ გარდა სხვა ხალხიც იყო?

- რაღა თქმა უნდა, მლოცველთ ხომ ღია ეკლესიაში შესვლას ვერ აუკრძალავ.

- ის ჯენტლმენი თქვენი ცოლის ნაცნობი ხომ არ იყო?

- ოჰ, არა, არა, - იტკიცა ლორდმა, - მე ის ჯენტლმენად ზრდილობის გულისთვის მოვნათლე, თორემ ვიღაცა უბრალო კაცი ჩანდა. ისე ჩავუარე გვერდით, რომ შეხედვის ღირსადაც არ ჩამიგდია. მაგრამ, მე მგონი, ჩვენ საუბრის ძირითადი თემიდან გადავუხვეიეთ.

- ასე რომ, ლედი სენტ-საიმონი ქორწინების რიტუალის დამთავრების შემდეგ შინ აღელვებული დაბრუნდა, არა? ხომ ვერ მეტყვით, რას აკეთებდა, როცა მამის მიერ ნაქირავებ სახლში შემოდგა ფეხი?

- იგი თავის შინამოსამსახურე გოგოს ელაპარაკებოდა.

- ვინ არის მისი მოსამსახურე?

- სახელად ალისა ჰქვია, ამერიკელია, იმათ ჩამოჰყვა კალიფორნიიდან.

- ხომ არ შეგიმჩნევიათ, ენდობოდა თუ არა თქვენი მეუღლე მოსამსახურეს?

- მე მგონია, ენდობოდა კი არა, ერთმანეთს სულში უსხდნენ. ჩემი მეუღლე მოსამსახურე გოგოს ძალიან ბევრი რამის უფლებას აძლევდა. თუმცა ამერიკელები ამ ამბავს ცოტა სხვაგვარად უყურებენ.

- დიდხანს ლაპარაკობდნენ?

- მგონი, ცოტა ხანს მასლაათობდნენ. მე სხვა საქმეც ბევრი მქონდა და ყურადღება არ მიმიქცევია.

- რაზე საუბრობდნენ, ყური ხომ არ მოგიკრავთ?

- მახსენდება, ლედი სენტ-საიმონმა, რაღაც ამერიკული გამოთქმა იხმარა, მგონი, «სხვისი კუთვნილის ხელში ჩაგდებაო», თუ რაღაც ამდაგვარი. იგი მეტყველებაში ხშირად ხმარობს ხოლმე კუთხურ გამოთქმებს. ნამდვილად არ ვიცი, რას გულისხმობდა, ან რისი თქმა სურდა.

- ხშირად ამერიკული ჟარგონი აზრს ძალიან მკაფიოდ გამოხატავს. რას აკეთებდა თქვენი მეუღლე მას მერე, რაც მსახურ გოგოსთან ლაპარაკი მოამთავრა?

- სასადილო ოთახში გავიდა.

- ხელკავით შეიყვანეთ სასადილო ოთახში?

- არა, ცალ-ცალკე შევედით. ასეთ რამეებს ჩემი მეუღლე დიდ ყურადღებას არ აქცევდა. იგი ძალიან თავისუფლად და დამოუკიდებლად იქცევა. როცა დავსხედით, ერთი ათი წუთის შემდეგ, სწრაფად წამოდგა, მოიბოდიშა, ოთახიდან გავიდა და მას მერე აღარც მინახავს. როგორც გადმომცეს, მოსამსახურე გოგომ ძიებას უჩვენა, ქალბატონი თავის ოთახში შევიდა, საქორწინო კაბაზე გრძელი პალტო შემოიცვა, ქუდი დაიხურა და სადღაც წავიდაო.

- სწორედ აგრე ამბობენ. მერე ჰაიდ-პარკში ფლორა მილერთან ერთად უნახავთ. ეს ხომ ის ფლორა მილერია, რომელმაც მისტერ დორანის სახლთან აყალმაყალი ატეხა და ამჟამად დაპატიმრებულია. ახლა კი მიამბეთ, გეთაყვა, იმ ახალგაზრდა ქალთან თქვენი ურთიერთობის ამბავი.

ლორდ სენტ-საიმონმა მხრები აიწურა და წარბები მაღლა აზიდა.

- ჩვენ რამდენიმე წელია ვმეგობრობთ. დიახ, მე ვიტყოდი, ძალიან ახლო მეგობრობა გვაქვს. იგი «ალეგროში» ცეკვავს. ის ქალი მე უგულისყუროდ არ მიმიტოვებია, ასე რომ, მასთან ვალში არ დავრჩენილვარ, მაგრამ, ხომ იცით ქალების ხასიათი, მისტერ ჰოლმს. ფლორა ძალიან ლამაზი არსება გახლავთ, ძალიან მხურვალედ ვუყვარვარ და ცოტა თავშეუკავებელიცაა. როცა შეიტყო, ჯვრისწერისათვის ვემზადებოდი, საშინელი მუქარის წერილები მომწერა. სიმართლე რომ გითხრათ, ასე მორიდებული ქორწილიც იმიტომ გადავიხადე, რომ ეკლესიაში, ფლორას მხრივ, საქვეყნო აყალმაყალს მოვერიდე. როგორც კი ეკლესიიდან დაბრუნებულნი, მისტერ დორანის სახლს მივადექით, ფლორა, თითქოს მიწიდან

ამოძვრაო, იქ გაჩნდა და სახლში შეჭრა მოიწადინა. თან გაბმული ხმით კიოდა, ჩემს მეუღლეს ლანძღავდა და ემუქრებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი წინასწარ მქონდა გათვალისწინებული. მსახურები ადრევე გავაფრთხილე და ფლორას თავიდან მოშორება არ გაგვჭირვებია. რაკი დარწმუნდა, დაკარგულს ყვირილით ვეღარ დაიბრუნებდა, იმწამსვე დაწყნარდა.

- თქვენმა მეუღლემ გაიგონა თუ არა იმ ქალის წივილ-კივილი?

- მადლობა ღმერთს, არა გაუგონია რა.

- და მერე სწორედ იმ ქალთან ერთად მოსეირნე ნახეს, არა?

- დიახ. სწორედ ამიტომ მიიჩნია ეს გარემოება მისტერ ლესტრეიდმა ძალიან შემაშფოთებელ ფაქტად. ის ფიქრობს, რომ ფლორამ ჩემი მეუღლე სახლიდან გამოიტყუა და რაღაც საშიშ ამბავს გადაჰკიდა.

- საფუძველს მოკლებული ეჭვი არ გახლავთ.

- თქვენც ასე ფიქრობთ?

- ჩემის აზრით, ეგ საფუძველს მოკლებული ეჭვი არაა, მაგრამ მე ამ ეჭვს არ ვიზიარებ. თქვენ თვითონ რას ფიქრობთ?

- მე მგონია, ფლორა ბუზსაც არავის აუფრენს.

- ეჭვიანობა ადამიანს ძალზე უცვლის ხასიათს. მე მაინც მაინტერესებს, თქვენ თვითონ როგორ ხსნით ცოლის გაუჩინარების ამბავს?

- მე თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ თქვენგან მოვისმინო საქმის ასავალ-დასავალი და არა ჩემი ვარაუდები მოგახსენოთ. მე რაც ვიცოდი, ყველა ფაქტი გაცნობეთ. თუ მართლაც ძალიან გაინტერესებთ ჩემი აზრი, გეტყვით. ვფიქრობ, რომ უბრალო გვარისშვილობიდან უცებ აგრერიგად აღზევებამ ძალიან ააღელვა ჩემი მეუღლე და მასში მცირე ნერვული მოშლილობა გამოიწვია.

- მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენი აზრით, იგი უცებ შეიშალა?

- როცა იმაზე ვფიქრობ, თუ რას შეაქცია ზურგი... ჩემზე არ მინდა ვთქვა, მაგრამ ყოველივე იმას, რაზეც ათასობით ქალიშვილი მხოლოდ ოცნებობს... მისი მოქმედების სხვა ახსნა ვერ მიპოვია...

- ესეც ძალიან საგულისხმო ჰიპოთეზაა, - ღიმილით თქვა ჰოლმსმა.

- ახლა კი, ლორდ სენტ-საიმონ, ყველა ცნობა ხელთა მაქვს. მხოლოდ ერთ რამეს კიდევ შეგეკითხებით: შეგეძლოთ თუ არა მაგიდასთან მჯდომს დაგენახათ, რა ხდებოდა ქუჩაში?

- ჩვენ მხოლოდ გზის მეორე მხარეს და პარკს გავყურებდით.

- ძალიან კარგი. მე თქვენ აღარ დაგაკავებთ, და საქმის თაობაზე წერილს მოგწერთ.

- ღმერთმა ინებოს, რომ საქმე ბოლომდე მიგეყვანოთ და ყოველივესთვის ნათელი მოგეფინოთ, - თქვა ლორდმა და ფეხზე წამოდგა.

- მე უკვე ყოველივეს მოვფინე ნათელი.

- რაო? რა თქვით?

- მე თქვენი საქმე თითქმის გადავწყვიტე-მეთქი.

- მაშინ, მითხარით, სადაა ჩემი ცოლი?

- ამასაც მალე შეგატყობინებთ.

ლორდ სენტ-საიმონმა თავი გააქნია.

- ვშიშობ, რომ ჩვენზე ჭკვიან ხალხს კარგა ხანს მოუხდება გონების ჭყლეტა, ვიდრე ამ საიდუმლოებით მოცულ ამბავში გაერკვევიან, - თქვა ეს, ძველებური მანერით დაგვიკრა თავი და კარი გაიხურა.

- ლორდ სენტ-საიმონმა დიდი პატივი დამდო, როცა ჩემი და თავისი თავი ერთნაირად შეაფასა, - სიცილით მითხრა ჰოლმსმა. - მე მგონია, ასეთი ნაყოფიერი ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ სოდიანი ვისკი და სიგარა ძალიან მარგებს. ამ საქმეზე დასკვნა ადრევე მქონდა გამოტანილი, ვიდრე ეს პატივცემული გვამი ჩვენს ზღურბლს გადმოაბიჯებდა.

- თქვენ აჭარბებთ, ძვირფასო ჰოლმს!

- ასეთი შემთხვევები აღნიშნული მაქვს ჩემს ჩანაწერებში. თუმცა თქვენთვის ადრეც მითქვამს, ქალის გაუჩინარება, ამ შემთხვევაში, უცებ არ მომხდარა-მეთქი. დაკითხვამ ეჭვი რწმენად მიქცია. არაპირდაპირი სამხილი, ხშირად ძალიან დამაჯერებელი და სარწმუნოა.

- მეც ხომ მოვისმინე, რაც ლორდმა სეტ-საიმონმა გითხრათ?

- მაგრამ თქვენ ამ შემთხვევის ანალოგიური ამბები არ იცით და მე კი ყოველივეს მათზე დაყრდნობით ვსჯი. რამდენიმე წლის წინათ სწორედ ასეთი ამბავი მოხდა აბერდინში. საფრანგეთ-პრუსიის ომის დამთავრების მეორე წელს მიუნ-ჰენშიც ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ესეც სწორედ იმგვარი შემთხვევაა. დახეთ საოცრებას, თვითონ ლესტრეიდი გვესტუმრა. საღამო მშვიდობისა, ლესტრეიდ! განჯინაში ღვინო გვაქვს და სიგარა კი აი, ამ ყუთში გახლავთ.

პოლიციის ოფიციალურ გამომძიებელს მუხუდოსფერი ფრენჩი და იმავე ფერის ყელსახვევი ეკეთა, რაც მას მეზღვაურს ამგვარებდა. ხელში ტილოს შავი ჩანთა ეჭირა. იგი უხმოდ მოგვესალმა, სავარძელში ჩაჯდა და შეთავაზებული სიგარა გააბოლა.

- რა მოხდა? - ჰკითხა ჰოლმსმა და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა. - რაღაც მოჟამული სახე გაქვთ.

- ამდენი უსიამოვნება რომ შეგხვდება, სახეც მოგეღუშება და უჟმურიც შეგეყრება. სენტ-საიმონის ქორწინების ამბავი რაღაც ჯოჯოხეთური, საწამებელი საქმეა, რომელსაც თავი და ბოლო ვერ გავუგე.

- ნუთუ? თქვენ მე მაკვირვებთ.

- ამნაირი არეულ-დარეული და უცნაური ამბავი ალბათ ძეხორციელს არ შეხვედრია. ყველა ძაფი ხელიდან გამისხლტა და საქმის სარგო გასაღები ვეღარ მიპოვია. მთელი დღეა დავწანწალობ და სულ ამაოდ.

- მართლაც ძალა დაგდგომიათ, რომ ასე დასველებულხართ, - უთხრა ჰოლმსმა, როცა ლესტრეიდის ფრენჩის სახელოებს შეავლო ხელი.

- დიახ, სერპენტაინის ფსკერი თითქმის ფეხდაფეხ მოვიარე.

- ღვთის გულისათვის, პირდაპირ მითხარით, იქ რას დაეძებდით?

- ლედი სენტ-საიმონის გვამს.

შერლოკ ჰოლმსი სავარძელში გადაწვა და გულიანად გადაიხარხარა.

- ტრაფალგარსკვერზე რომ აუზია, გვამი იქაც ხომ არ გიძებნიათ?

- მაგით რისი თქმა გსურთ? - მწყრალად იკითხა ლესტრეიდმა.

- თუ ლედი სენტ-საიმონის გვამს სერპენტაინის ტბაში დაეძებდით, მაშინ არც ტრაფალგარსკვერის აუზი უნდა დაგევიწყებინათ.

ლესტრეიდმა კოლეგა ავისმეტყველი მზერით შეათვალიერა და გულმოსულმა ჩაიქირქილა: - თქვენ ალბათ უკვე შეისწავლეთ ეს საქმე.

- არა, ფაქტები მხოლოდ ახლა გამაცნეს, მაგრამ ჩემი ვარაუდი სულ სხვაგვარია.

- მართლა! ნუთუ თქვენი აზრით, სერპენტაინის ტბა არაფერ შუაშია?

- ვფიქრობ, რომ არა.

- მაშინ კეთილი ინებეთ და ამიხსენით, ეს საგნები როგორ გაჩნდა ტბის ფსკერზე? - თქვა ლესტრეიდმა და ჩანთიდან მუარის აბრეშუმის საქორწინო კაბა,

ქალის თეთრი ფეხსაცმელი და საქორწინო პირბადე პირდაპირ იატაკზე დაყარა. ყველაფერი სველი და დასვრილი იყო. - აი, კიდევ, ინებეთ, - მქირდავი ხმით წარმოთქვა მან და ძვირფასი საქორწინო ბეჭედი სველ კაბას ზედ დაადო. - დიახ, ეს საქმე ასე იოლად გასატეხი კაკალი არ გახლავთ, მისტერ ჰოლმს.

- ჭეშმარიტად, - მიუგო ჰოლმსმა და თამბაქოს ბოლი პირიდან ბოლქვებად გამოუშვა, - ყველაფერი ეს სერპენტაინის ტბის ფსკერზე იპოვნეთ?

- არა, დარაჯს შეენიშნა ტყის ნაპირას მოტივტივე და წყლიდან ამოეღო. ლედის ახლობლებმა ტანსაცმელიცა და სხვა საგნებიც ამოიცნეს. ჩემის აზრით, თუ ტანსაცმელი ტბის ნაპირზე აღმოჩნდა, ლედის გვამიც სადმე მახლობლად იქნება.

- თუ თქვენს ბრწყინვალე თეორიას გავყვებით, ყველა ადამიანის გვამი საკუთარი ტანსაცმლის კარადასთან უნდა ვეძიოთ. მაგრამ მე მაინც ის მაინტერესებს, რას გამოელით ლედი სენტ-საიმონის ტანსაცმლიდან?

- იმას, რომ ლედი სენტ-საიმონის გაუჩინარებაში ბრალი დავდოთ ფლორა მილერს.

- მეეჭვება, რომ ეგ დაადასტუროთ.

- გეეჭვებათ? - გამწარებით შეჰყვირა ლესტრეიდმა. - მე კი ვფიქრობ, რომ თქვენმა დედუქციურმა მეთოდმა და თეორიებმა საბოლოოდ მოგწყვიტეს პრაქტიკულ ცხოვრებას. ამ რამდენიმე წუთში ორი შეცდომა დაუშვით. სწორედ ეს კაბა ამხელს ფლორა მილერს.

- ძალიან მაინტერესებს, მაინც როგორ ამხელს?

- კაბას აქვს ჯიბე, რომელშიაც აღმოჩნდა უბის წიგნაკი. მასში კი აი, ეს წერილი იდო. - თქვა თუ არა ეს ლესტრეიდმა, წერილი მაგიდაზე, ჰოლმსის მხარეს დააგდო. მერე ისევ ხელი დასტაცა და კითხვას შეუდგა: «თქვენ მაშინ მნახეთ, როცა ყველაფერი მზად იქნება. იმწამსვე გამოდით. ფ.ჰ.მ.» მე ხომ თავიდანვე იმ აზრს ვადექი, რომ ფლორა მილერმა ლედი სენტ-საიმონი სახლიდან გამოიტყუა-მეთქი. ჯერ, რა თქმა უნდა, გამოიტყუებდა და მერე თავის თანამზრახველებთან ერთად სადღაც გააქრობდა. აი, წერილი, რომელსაც ფლორა მილერის ინიციალები აქვს მიწერილი. ალბათ საწყალ ქალს შესასვლელში თუ ჩასჩარა უჩუმრად ხელში, რითაც თავისივე თავი გააბა მახეში.

- ძალიან კარგად მსჯელობთ, ლესტრეიდ, - სიცილით უთხრა ჰოლმსმა. - მართლაც, რომ ყველაფერს შესანიშნავად უკავშირებთ ერთმანეთს. აბა, ერთი, წერილი მიჩვენეთ.

მან წერილი დაუდევრად ჩამოართვა ლესტრეიდს, მაგრამ უცებ ყურადღება გააფაციცა და კმაყოფილების შეძახილი აღმოხდა.

- ეს ჭეშმარიტად საყურადღებო ამბავია, - წარმოთქვა ჩემმა მეგობარმა.

- აჰა! ახლაღა ჩაწვდით?

- დიახ, სწორედ მაგრე გახლავთ და გულთბილად გილოცავთ, ლესტრეიდ!

გახარებული ლესტრეიდი წამოიწია და წერილს დააცქერდა. - მაგრამ თქვენ ხომ წერილის მეორე მხარეს დაჰ-ყურებთ, ჰოლმს?

- დიახ, მეორე მხარეს ვაკვირდები და აქ ამოვიკითხე სწორედ ის, რისი მიგნებაც გულით მეწადა.

- თქვენ ალბათ ჭკუიდან შეიშალეთ, ჰოლმს! წერილი ფანქრითაა ნაწერი და ისიც მეორე მხარეს, რომელსაც თქვენ ზედაც არ უყურებთ.

- დიახ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ მეორე მხარეს ამ ქაღალდს ოტელის ანგარიში აწერია, რომელიც ჩემთვის მეტად საყურადღებოა.

- საყურადღებო და საინტერესო მასში არაფერი გახლავთ, ვინაიდან იგი თქვენზე ადრე ვნახე, - თქვა ლესტრეიდმა. - ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ანგარიში კი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: «4 ოქტომბერი, ოთახი - 8 შილინგი, საუზმე - 2 შილინგი და 6 პენსი, კოკტეილი - ერთი შილინგი, სადილი - 2 შილინგი და 6 პენსი, ერთი ჭიქა ღვინო - 8 პენსი». მორჩა და გათავდა, მერედა რაა აქ საინტერესო?

- თქვენ თქვით, რომ ოტელის ანგარიშს არავითარ ყურადღებას არ აქცევთ, მაგრამ იგი ძალიან დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია. რაც შეეხება წერილს და ინიციალებს, მათაც აქვთ გარკვეული მნიშვნელობა. ასე რომ, კვლავ გილოცავთ წარმატებას, ლესტრეიდ.

- ისედაც ბევრი დრო დავკარგე, - თქვა ლესტრეიდმა და ადგილიდან წამოიწია.

- საქმე მუშაობაა, თორემ ბუხრის პირას ლამაზ-ლამაზი თეორიების შექმნას რა დიდი ამბავი უნდა. გემშვიდობებით, ჰოლმს, და იმასაც ვნახავ, საქმეს ბოლოს ვინ მოადევნებს. - ლესტრეიდმა წამოკრიფა ჩანთიდან ამოყრილი «ნივთმტკიცებანი», უკანვე ჩანთაში ჩააწყო და გასასვლელისაკენ გაემართა.

- მხოლოდ ერთი რამ უნდა გითხრათ, ლესტრეიდ, - დაადევნა სიტყვა ჰოლმსმა, - ლედი სენტ-საიმონი მითია. ასეთი ვინმე არც არსებობს და ბუნებაში არც ყოფილა.

ლესტრეიდმა ნაღვლიანად შეათვალიერა ჩემი მეგობარი. მერე ჩემკენ მობრუნდა, შუბლზე თითები სამჯერ მიიკაკუნა, თავი მრავალმნიშვნელოვნად გადააქნ-გადმოაქნია და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ჰოლმსი იმწამსვე წამოდგა და პალტოში გაეხვია. - იმ ყმაწვილის სიტყვებში: შინ ჯდომას მუშაობა სჯობიაო, არის რაღაც სიმართლე. ახლა მე ცოტა ხნით მარტო დაგტოვებთ, უოტსონ.

ჰოლმსი სახლიდან დაახლოებით ექვსის ნახევარზე გავიდა. მაგრამ, ეტყობოდა, იმ დღეს მარტო დარჩენა არ მეწერა. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ საშაქარლამოდან გამოგზავნილი კაცი და ბიჭი მეახლნენ და თან დიდი შეფუთული ყუთი მოიტანეს. ბიჭის დახმარებით კაცმა შეფუთული ყუთი გახსნა და ჩემდა გასაოცრად, ჩვენს ღარიბულ სუფრაზე ნუგბარი ცივი საუზმე გაჩნდა. აქ გახლდათ ორი ტყის ქათამი, ხოხობი, ბატის ჯიგრის პაშტეტი და სიძველისაგან ობმოკიდებული ღვინის ბოთლების ჯგრო. ეს მაცთუნებელი საჭმელ-სასმელი სუფრაზე დააწყვეს თუ არა, კაციცა და ბიჭიც, ათას ერთი ღამიდან მოვლენილ სულთა მსგავსად გაუჩინარდნენ. მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა მოასწრეს, ყველაფრის ფული გადახდილია და შემკვეთმა ამ მისამართზე გამოგვაგზავნაო.

ცხრა საათიც არ იქნებოდა, როცა ჰოლმსი გამარჯვებული კაცის იერით შინ დაბრუნდა. სახე არ უცინოდა, მაგრამ მისი თვალებიდან იმწამსვე ამოვიკითხე, რომ ვარაუდი არ გამტყუნებოდა.

- ვახშამი უკვე გააწყვეს? - იკითხა ჰოლმსმა და მოუთმენლად შეიმშრალა ხელები.

- ალბათ სტუმრებს ელოდებით, რაკი ხუთი ადამიანისათვის გააშლევინეთ სუფრა.

- შეიძლება მართლაც გვესტუმროს ვინმე, - მიპასუხა ჰოლმსმა. - ძალიან მიკვირს, რომ ლორდ სენტ-საიმონი ამდენ ხანს არა ჩანს. ჰა! კიბეზე ალბათ მისი ფეხის ხმა ისმის.

კიბეზე ამომავალი ადამიანი გამოჩნდა თუ არა, ჩვენი დილანდელი სტუმარი ვიცანი. იგი უფრო ენერგიულად ატრიალებდა ლორნეტს და არისტოკრატულ, მშვიდ სახეზე აშკარად ეტყობოდა მღელვარება.

- ალბათ ჩემმა გამოგზავნილმა შიკრიკმა შინ მოგისწროთ, არა? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- დიახ, მაგრამ წერილის შინაარსმა უსაზღვროდ განმაცვიფრა. გაქვთ კი იმის დამამტკიცებელი საბუთი, რა ამბავიც შემატყობინეთ?

- დიახ, მაქვს.

ლორდი სენტ-საიმონი სავარძელში ჩაეშვა და ხელი შუბლზე გადაისვა.

- რას იტყვის ჰერცოგი, როცა შეიტყობს, რომ მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი ასე დაამცირეს?

- ეს ხომ შემთხვევაა და მეტი არაფერი. მე ამ საქმეში დამამცირებელს ვერაფერს ვხედავ.

- თქვენ ასეთ საქმეს სულ სხვა პოზიციიდან სჭვრეტთ?

- დიახ, ეს ისეთი შემთხვევა გახლავთ, რომ ბრალი ვერავისათვის დამიდია. ჩემი აზრით, ის ქალი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. მართალია, მისი მოქმედება ცოტა ტლანქი აღმოჩნდა, მაგრამ მას ხომ დედა არა ჰყავდა, რომ კრიტიკულ მომენტში რჩევისათვის მიემართა.

- ეს ხომ საზოგადოების თვალში ჩემი გამასხარავება და აბუჩად აგდებაა, სერ, - თქვა ლორდ სენტ-საიმონმა, თან თითები ააკაკუნა მაგიდაზე.

- მაგრამ თქვენ უნდა გაითვალისწინოთ იმ საცოდავი გოგონას გამოუვალი მდგომარეობა.

- მე მხედველობაში მისაღები და გასათვალისწინებელი არა მაქვს რა. მე შეურაცხმყვეს და ძალიან აღშფოთებული გახლავართ.

- მგონი, ზარის ხმა მომეყურა, - თქვა ჰოლმსმა. - დიახ, ფეხის ხმაც მომესმა. თუ მე ვერ დაგიყოლიეთ და ვერ დაგაჯერეთ, რომ ყოველივეს, რაც მოხდა, გულის მოსვლა და აყალმაყალი ვეღარ უშველის, ამას გაგაგებინებთ ჩემს მიერ მოწვეული ადვოკატი, რომელიც ჩემზე მამაციცაა და მოხერხებულიც. - ჰოლმსმა კარი გამოაღო და ოთახში ლედისა და ჯენტლმენს შემოუძღვა. - ლორდ სენტ-საიმონ, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ მისტერ და მისის ფრენსის ჰეი მაულტონები. ლედის, ჩემის აზრით, უნდა იცნობდეთ.

ახალმოსულთა დანახვაზე ლორდი ადგილიდან წამოიჭრა და წელში ამაყად გამართული დადგა. თვალები დაბლა დახარა. ფრენჩი გულის ჯიბესთან გაიხსნა, მარჯვენა ხელი შიგ ჩაიყო და შეურაცხყოფილი, მაგრამ ისეთი ადამიანის პოზა მიიღო, რომელსაც გაჭირვების ჟამს ღირსეული თავდაჭერა შეუძლია. ლედი სასწრაფოდ მიეახლა და ხელი გაუწოდა. მაგრამ ლორდი სენტ-საიმონი შეუვალად იდგა და ქალისათვის არ შეუხედავს, თორემ ქალის სახეზე ისეთი ხვეწნა და მუდარა იხატებოდა, რომ არათუ ლორდი, მის მავედრებელ სახის ცქერას ძე-ხორციელი ვერ გაუძლებდა.

- თქვენ გაჯავრებული ხართ, რობერტ? - უთხრა ქალმა, - საამისო მიზეზიცა გაქვთ.

- უმორჩილესად გთხოვთ, თავის მართლებას ნუ მოჰ-ყვებით, - გამწარებით ჩაილაპარაკა ლორდმა.

- მართალია, სატანჯველში ჩაგაგდეთ და ვალდებულიც ვიყავი, ვიდრე მიგატოვებდით, წინასწარ გამემხილა ყოველივე თქვენთვის, მაგრამ მას მერე, რაც ფრენკი დავინახე, თავგზა ამებნა და რას ვამბობდი, ან რას ჩავდიოდი, აღარ მესმოდა. ისიც კი მიკვირს, თავი როგორ შევიკავე და საკურთხევლის წინ გულშემოყრილი არ გავიშხლართე.

- ვიდრე მისტერ სენტ-საიმონს ყოველივეს აუხსნიდეთ, იქნებ გერჩიოთ, რომ მე და ჩემმა მეგობარმა დროებით დაგტოვოთ? - ჰკითხა მისის მაულტონს ჰოლმსმა.

- თუ ჩემს აზრს მოისმენთ, - წამოიწყო უცნობმა ჯენტლმენმა, - მე მგონია, დროა ჩვენს საიდუმლოებას ფარდა ავხადოთ. ჩემის ღრმა რწმენით, საჭიროა ევროპაშიც და ამერიკაშიც ჩვენი ამბის თაობაზე სრული სიმართლე იცოდნენ.

უცნობი, მომცრო ტანის, კარგად ჩასკვნილი, მზისგან გარუჯული, გამოკვეთილნაკვთებიანი და ცოცხალი ახალგაზრდა ჩანდა.

- მე მოგიყვებით, როგორ მოხდა ყოველივე, - თქვა ლედიმ და ჩვენც სმენად ვიქეცით. - ფრენკი 1881 წელს, როკიის მახლობლად, მაკქვაიერის ბანაკში გავიცანი, იქ, სადაც მამას მაღარო ჰქონდა. მე და ფრენკმა ერთმანეთს სიტყვა მივეცით. ამ ამბის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ მამა ძალიან შეძლებული კაცი შეიქნა, ფრენკის ნაკვეთი კი თანდათან იფიტებოდა და ბოლოს აღარავითარ შემოსავალს აღარ იძლეოდა. რამდენადაც მამა მდიდრდებოდა, ფრენკის საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა და უფრო და უფრო ღარიბდებოდა. გამდიდრებულ მამაჩემს ჩვენს ნიშნობაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. ერთ დღეს პატარა ბავშვივით ხელი ჩამავლო და სან-ფრანცისკოში ჩამიყვანა. ფრენკს ჩემთვის თავი არც სან-ფრანცისკოში მიუნებებია. მალულად იქაც ვხვდებოდით ერთმანეთს. მამას რომ ჩვენი შეხვედრების თაობაზე გაეგო რამე, ალბათ გაგიჟდებოდა, მაგრამ ჩვენ იდუმლად ვმოქმედებდით. ერთ დღეს ფრენკმა მითხრა, ფულის საშოვნელად უნდა გადავიხვეწო და მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როცა იმოდენა კაპიტალი დამიგროვდება, რამდენიც მამაშენს აქვსო. მე აღვუთქვი, რომ, ვიდრე მისი მოლოდინი მექნებოდა, არავის გავყვებოდი. «მაშინ ახლავე დავქორწინდეთ და მე უფრო იმედიანად ვიქნები, რაც შეეხება ქმრის უფლებებს, ვიდრე არ დავბრუნდები, არ წამოგიყენებო», - მითხრა ფრენკმა. ასეც მოვიქეცით. ჯვარი დავიწერეთ, ფრენკი ბედის საძიებლად გაემგზავრა, ხოლო მე მამასთან დავბრუნდი.

ფრენკის ამბავი პირველად მონტანადან მომივიდა. მერე მითხრეს, არიზონაში გადაბარგდაო და უკანასკნელად კი ნიუ-მექსიკოში იყოო. სწორედ, მაშინ მოხდა ინდიელი აპაჩების თავდასხმა იმ მაღაროზე, სადაც ფრენკი მეგულებოდა. ინდიელთა თავდასხმის ისტორია დაწვრილებით იყო აღწერილი გაზეთებში, საიდანაც შევიტყვე, რომ ფრენკი მოეკლათ. ელდისაგან ცუდად შევიქენი და რამდენიმე თვე ლოგინიდან არ წამოვმდგარვარ.

მამამ რომ ნახა, აღარაფერი მშველოდა, საექიმოდ სან-ფრანცისკოში ჩამიყვანა. წელიწადი ისე გავიდა, რომ ფრენკზე აღარაფერი მსმენია და იგი ნამდვილად მკვდარი მეგონა. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა სან-ფრანცისკოში ლორდი სენტ-საიმონი. მერე ლონდონს ვეწვიეთ. დაიწყო ქორწინების თაობაზე ლაპარაკი. ყველაფერი გადაწყდა. მამა ჩემი გამოჯანმრთელებით ძალიან ნასიამოვნები იყო, მაგრამ მე აშკარად ვამჩნევდი, რომ დედამიწის ზურგზე არც ერთ მამაკაცს არ შეეძლო ფრენკის დაღუპვის შედეგად ჩემს გულში დასადგურებული სიცარიელის ამოვსება.

თუ ცოლად ლორდ სენტ-საიმონს გავყვებოდი, რა თქმა უნდა, ჩემი მოვალეობის ერთგული უნდა ვყოფილიყავი. ჩვენ გრძნობებზე ბატონობა არ ძალგვიძს, თორემ ჩვენს მოქმედებაზე ხომ პასუხისმგებელნი ვართ. ლორდ სენტ-საიმონს საკურთხევლისაკენ იმ რწმენით მივყვებოდი, რომ მისი ერთგული ცოლი ვიქნებოდი. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდი, როცა საკურთხეველთან მყოფმა პირველ რიგში მჯდარ ფრენკს მოვკარი თვალი. პირველად ასე ვიფიქრე, ცოცხალი არსება კი არა, მოჩვენებაა-მეთქი. მაგრამ მეორედ რომ შევხედე, მის კეთილ თვალებში უსიტყვოდ ამოვიკითხე: გსიამოვნებს თუ არა ჩემი ხილვაო. ახლაც კი მიკვირს,

მუხლები როგორ არ მომეკვეთა. ჩემს ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა, და ღვთის მსახურის სიტყვები ყურში ფუტკრების ზუზუნივით ჩამესმოდა. არ ვიცოდი, რა მეღონა, შემეჩერებინა ჯვრისწერა და აურზაური ამეტეხა ეკლესიაში, თუ ჯვრისწერის დამთავრებამდე მომეთმინა? ერთხელ კიდევ გავაპარე თვალი ფრენკის მხარეს. მან თითქოს ჩემს სახეზე ამოიკითხა, რასაც ვაპირებდი და ტუჩებზე თითების დადებით მანიშნა, წყნარად იყავიო. მერე ისიც შევნიშნე, ფრენკი გამალებით წერდა რაღაცას და იმწამსვე მივხვდი, რომ წერილს ჩემთვის ამზადებდა. გვერდით ჩავლისას თაიგული ფრენკის ფეხებთან დავაგდე და ყვავილებს რომ მიბრუნებდა, წერილიც ხელში ჩამიცურა. იქ მხოლოდ ერთადერთი ფრაზა ეწერა. ფრენკი მთხოვდა, როგორც კი ნიშანს მოგცემ, ჩემთან მოდიო. რაღა თქმა უნდა, ერთ წუთსაც არ შევყოყმანებულვარ. გადავწყვიტე, ყველაფერში ფრენკს დავმორჩილებოდი.

შინ დავბრუნდი თუ არა, ჩემს მსახურ გოგოს ვუამბე, რაც თავს გადამხდა ეკლესიაში. იგი ფრენკს ჯერ კიდევ კალიფორნიაში იცნობდა და ძალიანაც უყვარდა. მსახურს ვუბრძანე, მომხდარ ამბავზე კრინტი არ დაეძრა, აუცილებელი საგნები ჩანთაში ჩაელაგებინა და პალტოც მოემზადებინა. ვიცოდი, რომ ლორდ სენტ-საიმონისათვის ყველაფერი გულახდილად უნდა მეთქვა, მაგრამ მისი დედისა და ამდენი სტუმრის წინაშე ყოველივე ეს შეუძლებლად და უხერხულად მივიჩნიე. გადავწყვიტე, ჯერ იქაურობას გავცლოდი და მერე ყველაფერი ამეხსნა. მაგიდასთან ათი წუთიც არ ვმჯდარვარ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ფრენკი შევნიშნე. მან ხელი დამიქნია და პარკში შევიდა. მაგიდიდან იმწამსვე ავდექი, ჩემთვის მომზადებულ ჩანთას ხელი დავავლე, პალტო ჩავიცვი და ფრენკს დავედევნე. ქუჩაში ვიღაც ქალი მომეახლა და ლორდ სენტ-საიმონზე დამიწყო ლაპარაკი. ქალს არ ვუსმენდი, მაგრამ უნებურად მაინც შევიტყვე, რომ ჩვენს დაქორწინებამდე, რაღაც საიდუმლო თავგადასავალი ლორდსაც გადახდენოდა. როგორც იქნა, აბეზარ ქალს თავი დავაღწიე და ფრენკს წამოვეწიე - ეტლში ჩავსხედით და ფრენკის მიერ ნაქირავებ სასტუმროსკენ გავწიეთ. ამდენი წლის ლოდინის შემდეგ ეს იყო ჩემი ნამდვილი ქორწილი. ფრენკი აპაჩებს ტყვედ ჩაეგდოთ. იქიდან როგორღაც თავი დაეხსნა, სან-ფრანცისკოში ჩამოსულიყო, იქ შეეტყო ჩემი ამბავი და ლონდონისკენ გამოუწევია. და აქ, ეკლესიაში, ჩემი მეორედ ქორწინებისას, სწორედ სულზე მომისწრო.

- ყველაფერი გაზეთში ამოვიკითხე, - აგვიხსნა ამერიკელმა, - იქ დასახელებული იყო ეკლესია, საპატარძლოს ვინაობა, მაგრამ სად ცხოვრობდა იგი, ეს კი აღარ ეწერა.

- ბევრი ვითათბირეთ, როგორ მოვქცეულიყავით. ფრენკმა მთხოვა, ყველაფერი გულახდილად გამემჟღავნებინა, მაგრამ თავს გადახდენილი ამბებით ისე ვიყავი შეწუხებული, რომ არავის ნახვა აღარ მსურდა. მხოლოდ მამისათვის მინდოდა მიმეწერა წერილი და შემეტყობინებინა, რომ ცოცხალი ვიყავი. იმის გაფიქრებაც კი, რომ ლორდები და ამდენი ლედი მაგიდის გარშემო ისხდნენ და ჩემს დაბრუნებას ელოდნენ, შიშის ჟრუანტელს მგვრიდა. საქორწინო ტანსაცმლით რომ არავის ვეცნე, ფრენკმა ჩემი ტანსაცმელი და ნივთები ერთ ბოღჩაში გამოკრა და ტბაში ჩაყარა. ხვალისათვის პარიზს უნდა გავმგზავრებულიყავით, მაგრამ ამ კეთილმა კაცმა, მისტერ ჰოლმსმა, არ ვიცი, რა მანქანებით მოგვაგნო, გადაგვადებინა მგზავრობა. მან თვალნათლივ დაგვიმტკიცა, რომ მე მართალი არ ვიყავი, ფრენკისათვის უნდა დამეჯერებინა და ლორდის წინაშე ჩემი საქციელი უნდა მომენანიებინა. მანვე ძალიან უბრალოდ დაგვარწმუნა, რომ დამალვით და ახლობელთადმი თავის არიდებით ჩვენსავე თავს ვავნებდით. მერე გვითხრა, ვეცდები, ლორდ სენტ-საიმონს მარტოს შეგახვედროთ, და ჩვენც აქეთ გამოვეშურეთ. ახლა, რობერტ, თქვენ ყოველივე იცით,

ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი დიდი ტკივილი მოგაყენეთ და იმედი მაქვს, ჩემზე ძალიან ცუდ რამეს აღარ იფიქრებთ.

ლორდ სენტ-საიმონი წარბებშეყრილი და ტუჩებმოკუმული ისმენდა ყოფილი ცოლის აღსარებას.

- მაპატიეთ, - წარმოთქვა მან, - მაგრამ წესად არა მაქვს, ჩემს ინტიმურ ამბებზე სხვათა თანდასწრებით ვილაპარაკო.

- მაშ, თქვენ არ შემინდობთ? ხელს არ ჩამომართმევთ წასვლის წინ?

- თუ თქვენ ეს ამბავი სიამოვნებას მოგგვრით, ინებეთ! - თქვა ეს და ლორდმა სენტ-საიმონმა თავისი ხელი ცივად ჩამოართვა მისის მაულტონს.

- იმედი მქონდა, ჩვენთან ერთად ივახშმებდით, - მიმართა ლორდ სენტ-საიმონს ჰოლმსმა.

- მე მგონია, თქვენ ძალიან ბევრ რამეს მოითხოვთ ჩემგან, - თავისი ღირსების შეგნებით უპასუხა ლორდმა, - მე იძულებული ვარ, შექმნილ ვითარებას შევურიგდე, მაგრამ ეს ამბავი რომ მიხაროდეს, ამას ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ მომთხოვს. თქვენი ნებართვით წავალ და კარგ დროსტარებას გისურვებთ, - მან ღირსეულად დაგვიკრა თავი და ოთახიდან გავიდა.

- იმედი მაქვს პატივს დაგვდებთ და ჩვენთან ერთად ივახშმებთ, მისტერ მაულტონ, - მიმართა ჰოლმსმა. - ამერიკელებთან შეხვედრა ძალიან მახელებს ხოლმე.

7 7

- ძალიან საინტერესო შემთხვევა იყო, - თქვა ჰოლმსმა, როცა სტუმრები წავიდნენ. - იგი თვალნათლივ ადასტურებს, როგორ უბრალოდ შეიძლება აიხსნას ის ამბები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ამოუცნობი და იდუმალებით მოცული გვეჩვენება. აბა, რა უნდა იყოს იმაზე ბუნებრივად და ლაღად მდინარე, ვიდრე ის ამბები, რაც მისის მაულტონმა გვიამბო. ხოლო იმ დღესავით ნათელი ამბებიდან როგორი არეულ-დარეული დასკვნები გააკეთა ლესტრეიდმა.

- თქვენ რა, თავიდანვე ძიების სწორ გზას ადექით? - ვკითხე მე.

- ჩემთვის თავიდანვე ორივე რამ იყო სრულიად ნათელი. პირველი, რომ საპატარძლო თავისი სურვილით მივიდა საკურთხეველთან. მეორე - რომ ქორწინების ცერემონიალის დამთავრებისა და შინ დაბრუნების შემდეგ ის სინანულმა შეიპყრო. იმ დილით რაღაც ისეთი ამბავი მოხდა, რომ ლედის მიღებული გადაწყვეტილებანი შეაცვლევინა. მაინც რა უნდა მომხდარიყო? იგი ვერავის დაელაპარაკებოდა, ვინაიდან საქმრო განუშორებლივ თან ახლდა. მაშასადამე, ვიღაც უნდა დაენახა. თუ ამ ვერსიას გავყვებოდი, ის, ვინც დაინახა, აუცილებლად ამერიკელი უნდა ყოფილიყო, რადგან ლონდონში ჰეტი დორანი ცოტა ხანს იყო, და შეუძლებელია ვინმეს მასზე იმდენი გავლენა მოეპოვებინა, რომ ქალს მის დანახვაზე თავისი გეგმები ერთიანად შეეცვალა. ესე იგი, გამორიცხვის მეთოდის წყალობით, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ის, ვინც ჰეტი მორანმა დაინახა, ამერიკელი უნდა ყოფილიყო. ახლა გასარკვევი რჩებოდა ვინ იყო ის ამერიკელი? და საიდან ჰქონდა ქალზე ამდენი გავლენა? ის უნდა ყოფილიყო ქმარი ან შეყვარებული. რამდენადაც ვიცოდი, ახალგაზრდა ქალმა ბავშვობა და სიყმაწვილის წლები თავისებურ, უცნაურ პირობებში გაატარა. ყველაფერი ეს მანამდე ვუწყოდი, ვიდრე სენტ-საიმონი მიამბობდა რამეს. მაგრამ, როცა სენტ-საიმონმა საკურთხევლიდან დანახულ, პირველ რიგებში მჯდარ მამაკაცზე, ჰეტის მიერ ძირდაგდებულ თაიგულზე და მის უყურადღებობასა და მოსამსახურის მიერ წარმოთქმულ - «სხვისი კუთვნილის» მითვისებაზე გვიამბო, მთელი სიტუაცია ჩემთვის დღესავით ნათელი შეიქნა,

ვიცოდი, რომ ლორდის საცოლე გაიქცა, ან საყვარელთან ერთად, ანდა ეს უფრო შესაძლებელი იყო, ქმართან.

- მერედა, როგორ იპოვეთ მათი ადგილსამყოფელი?

- ეს, რა თქმა უნდა, ძალიან საძნელო საქმე გახლდათ, მაგრამ მათი პოვნა ჩემმა მეგობარმა ლესტრეიდმა გამიადვილა. ლესტრეიდს ხელთ ჰქონდა სწორედ ის ქაღალდი, რომლის ფასიც თვითონ არ უწყოდა. რაღა თქმა უნდა, ინიციალები ძალიან ყურადსაღები ამბავი იყო, მაგრამ ის, რომ ვიღაც სწორედ ამგვარი ინიციალების პატრონი ლონდონში ჩამოვიდა და ერთ-ერთ რჩეულ ოტელში დაიდო ბინა, უფრო საინტერესო ცნობა გახლდათ.

- როგორ მიხვდით, რომ იგი ერთ-ერთ რჩეულ ოტელში ჩასახლდა?

- ფასების მიხედვით. საწოლში რვა შილინგსა და ერთ ჭიქა ღვინოში რვა პენსს მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილ სასტუმროებში იღებენ. ასეთი ოტელები კი ლონდონში ბევრი არაა. ნორთუმბერლუნდავენიუზე, მეორე ოტელს მივადექი თუ არა, მაშინვე მითხრეს, ფრენსის ჰ. მაულტონი ამერიკიდანაააო. როგორც კი მისი გვარის გასწვრივ დანახარჯსა და ოტელის მეპატრონის მიერ გამოყვანილ ანგარიშს დავხედე, მაშინვე შევნიშნე, რომ ლესტრეიდის მიერ ნაპოვნ ქაღალდზე იგივე ციფრები იყო და ის ქაღალდი ოტელში არსებული ანგარიშის პირს წარმოადგენდა. ჩემს სახელზე მოსული წერილები გორდონსკვერზე 226-ე ნომერში გამომიგზავნეთო, დაებარებინა. მეც ამ მისამართზე გავეშურე. გარჯამ ცუდ-უბრალოდ არ ჩამიარა და შეყვარებულებს შინ მივუსწარი. გავკადნიერდი და ისინი მამაშვილურად დავარიგე. როგორც იქნა, დავარწმუნე, რომ მათთვის უმჯობესი იყო საზოგადოებისათვის, უფრო კი ლორდ სენტ-საიმონისათვის აეხსნათ საქმის ვითარება. მერე ჩემთან მოვიპატიჟე და ლორდთან მარტო შეხვედრა აღვუთქვი. აქვე მოვიწვიე ლორდი სენტ-საიმონი, რომელიც დათქმულ დროზე გამოცხადდა.

- მაგრამ შეხვედრის შედეგი ვერაფერი ბრწყინვალე გამოდგა, - ვუთხარი მე, - ლორდმა ჰეტი დორანი არ შეიწყალა.

- აჰ, უოტსონ, - სიცილით დაიწყო ჰოლმსმა, - არც თქვენ შეიწყალებდით ვინმეს, რომ ქალის უკან დევნასა და ხვანცალს ამაოდ ჩაევლო და ქორწინების ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ხელში არც ცოლი შეგრჩენოდათ და არც მზითევი. ჩემი აზრით, ლორდ სენტ-საიმონზე მსჯელობისას ძალიან ლმობიერნი უნდა ვიყოთ და ბედს მადლობა შევწიროთ, რომ მის დღეში არ აღმოვჩნდეთ. სავარძელი ჩემკენ მოსწიეთ, უოტსონ, და ვიოლინო მომაწოდეთ. ჩვენი თავსატეხი ახლა ისაა, როგორ გავატაროთ შემოდგომის ეს გრძელი საღამოები და რით გავერთოთ.

ყვითელი სახე

ერთხელ, ადრე გაზაფხულზე, შერლოკ ჰოლმსმა ჩემი თხოვნა შეისმინა და სასეირნოდ პარკში გამომყვა. თელა იფოთლებოდა. შტოების ოდნავ შესამჩნევი სიმწვანე მზერას იტაცებდა. წაბლის ახლად აფეთქებული წებოვანი კვირტები ხუთწახნაგოვან ფოთლებად იშლებოდნენ. მთელი ორი საათი დავეხეტებოდით პარკში და სიტყვაც არ დაგვცდენია, როგორც შეეფერება იმ ორ ადამიანს, რომლებიც ერთიმეორეს ძალიან კარგად იცნობენ. როცა ბეიკერსტრიტზე დავბრუნდით, უკვე ხუთი საათი სრულდებოდა.

- მაპატიეთ, სერ, - უთხრა ჩემს მეგობარს ყმაწვილმა მოსამსახურემ, კარს რომ გვიღებდა. - ერთი ჯენტლმენი მოვიდა... თქვენ გიკითხათ, სერ.

ჰოლმსმა საყვედურის თვალით გადმომხედა.

- აი, ასეთია დღისით გასეირნება! - მითხრა და ყმაწვილს მიუბრუნდა, - ჯენტლმენი წავიდა?

- დიახ, სერ.

- არ უთხარით, მობრძანდით და დაელოდეთ-თქო?

- დიახ, სერ, შემოვიდა კიდეც.

- დიდხანს მელოდა?

- ნახევარი საათი, სერ. ერთობ მოუსვენარი ჯენტლმენი გახლავთ, სერ. ვიდრე აქ იყო, სულ ბოლთას სცემდა და ფეხებსაც კი აბაკუნებდა. შემოსასვლელში გახლდით, სერ, ამიტომ არ გამიგონია, თქვა რაიმე, თუ არა უთქვამს რა. ბოლოს დერეფანში გამოიჭრა და აყვირდა, მოვა თუ არა როდისმე ის კაციო? სწორედ ასე თქვა, სერ, სიტყვასიტყვით. ცოტა კიდევ მოუცადეთ-მეთქი, ვუთხარი. კარგი, დავუცდი, - თქვა, - ოღონდ აქ კი არა, სუფთა ჰაერზე, რადგანაც აქ სული მეხუთებაო! მალე დავბრუნდებიო. ვეხვეწე, დარჩით-მეთქი და არ გამიგონა.

- კარგი, კარგი. ყველაფერი გაგიკეთებიათ, რაც შეგეძლოთ, - თქვა ჰოლმსმა და ორივენი ჩვენს ოთახში შევედით. - თუმცა ძალიან საწყენი კია, უოტსონ, - განაგრძო ჩემმა მეგობარმა. - ძალიან მომწყინდა უქმად ყოფნა. იმ კაცის მოუთმენლობიდან კი ჩანს, რომ რაღაც საგულისხმო საქმე უნდა ჰქონდეს. ოჰო! მაგიდაზე რომ ჩიბუხია, თქვენი არ უნდა იყოს. ეტყობა, იმ კაცს დარჩა. მშვენიერი ძველებური ბრაიერია, კარგი გრძელი ტარიც აქვს, ერთი იმნაირთაგანი, თამბაქოთი მოვაჭრეები რომ ქარვისას ეძახიან. საინტერესოა, რამდენი ნამდვილი ქარვისტარიანი ჩიბუხი მოიძებნება მთელ ლონდონში. ამბობენ, ნამდვილ ქარვაში ყოველთვის არის მწერის ანაბეჭდიო. ამიტომაც გამოჩნდნენ მეწარმეები, რომლებიც საგანგებოდ სვამენ ყალბ მწერს ყალბ ქარვაში... დიახ, მაგრამ ის კაცი, ეტყობა, ძალიან შეწუხებული იყო, რომ აქ დარჩა ჩიბუხი, რაც ასე ძვირად უღირს.

- საიდან იცით, რომ ძვირად უღირს? - დავინტერესდი მე.

- ახალი, მგონი, შვიდ-ნახევარი შილინგი უნდა ღირდეს. როგორც ხედავთ, ჩიბუხი ორჯერ შეუკეთებინებიათ. ჯერ შეუკეთებიათ ჩიბუხის ხის ნაწილი, მერე კი ქარვისა. ადვილი შესამჩნევია, რომ ჩიბუხი ორივეჯერ გაუმაგრებიათ ვერცხლის რგოლებით, რაც თვითონ ჩიბუხზე ძვირი ღირს. ეტყობა, ძალიან ძვირად კი უნდა უღირდეს პატრონს ეს ჩიბუხი, რომ კვლავ და კვლავ შეუკეთებინებია ნაცვლად იმისა, რომ იმავე ფასად ახალი შეეძინა.

- კიდევ არის რაიმე? - ვკითხე მე, რაკი ჰოლმსი ჯერ კიდევ ხელში ატრიალებდა ჩიბუხს და მისთვის ჩვეული ყურადღებით აკვირდებოდა.

ჩიბუხი მაღლა ასწია და გრძელი თლილი საჩვენებელი თითი ზედ ანატომიის იმ პროფესორივით მიაკაკუნა, რომელიც ძვალზე ლექციას კითხულობს.

- ზოგჯერ საინტერესო ჩიბუხი გვხვდება ხოლმე, - თქვა მან. - საათებისა და ფეხსაცმლის ზონრების გარდა ასე აშკარად გამოხატული ინდივიდუალობით არც ერთი ნივთი არ ხასიათდება. მაგრამ ამ ჩიბუხზე გამოხატული ნიშნები არაა ძალიან დამახასიათებელი და არც ძალიან საგულისხმო. მისი მფლობელი, ეტყობა, კუნთმაგარია და ცაცია, ჩინებული კბილები აქვს, უდარდელია და საკმაოდ შეძლებულიცაა.

ამ ცნობებს ჩემი მეგობარი ფრიად დაუდევრად მაწვდიდა, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ ალმაცერად მიყურებდა: ჩემი აზრით, სურდა დარწმუნებულიყო, ვადევნებდი თუ არ თვალყურს მის მსჯელობას.

- თქვენ ფიქრობთ, რომ შეძლებული კაცია და ამას მხოლოდ იმის საფუძველზე ასკვნით, რომ შვიდშილინგიანი ჩიბუხი აქვს? - ვკითხე მეგობარს.

- ეს გროსვენორის ნარევი თამბაქოა, უნცია რომ რვა პენსი ღირს, - მიპასუხა ჰოლმსმა და ჩიბუხი მსუბუქად გადმოფერთხა ხელისგულზე. - ამ ჩიბუხის პატრონს შეეძლო ორჯერ უფრო იაფად შესანიშნავი თამბაქო მოეწია, მაგრამ, ეტყობა, მისთვის მომჭირნეობას არავითარი აზრი არ უნდა ჰქონდეს.

- სხვა დასკვნები?

- ჩიბუხს ლამპის ან გაზის სანათის ალზე უკიდებს. შეგიძლიათ ნახოთ, რა ძლიერ ჩამწვარა ცალი მხრიდან. ასანთით ასე ვერ დაწვავ. რისთვის დაიჭერს ასანთის ღერს ადამიანი ჩიბუხის ერთ მხარეს? სულ სხვა საქმეა, თუ ლამპაზე მოუკიდებ. ასეთ შემთხვევაში უდავოდ დაიწვება ჩიბუხის ერთი რომელიმე კიდე. აქ ჩამწვარია მხოლოდ მარჯვენა მხარე. აქედან გამომყავს დასკვნა, რომ მისი პატრონი - ცაცია ყოფილა. ერთი სცადეთ ჩიბუხის მოკიდება ლამპის ცეცხლზე. თქვენ ხომ ცაცია არა ხართ და ამიტომ, ბუნებრივია, ცეცხლთან მიიტანთ ჩიბუხის მარცხენა მხარეს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ სხვანაირად მოიქცევი, მაგრამ ეს იქნება წმინდა შემთხვევითობა. ამ ჩიბუხს კი უკიდებდნენ ყოველთვის მარჯვენა მხრიდან. მერე, ნახეთ, ტარი მთლიანად დაუკვნეტია. ეს შეუძლია მხოლოდ ისეთ ღონიერ და ენერგიულ ადამიანს, რომელსაც შესანიშნავი კბილები აქვს... მაგრამ, თუ არ ვცდები, კიბიდან სწორედ ამ ჩიბუხის პატრონის ნაბიჯების ხმა შემომესმა. ახლა შესასწავლად უფრო დიდს, საინტერესოსა და თავსატეხს მივიღებთ, ვიდრე მისი ჩიბუხია.

წუთიც და ჩვენი ოთახის კარი ტანმაღალმა ახალგაზრდა კაცმა შემოაღო. სადად შეკერილი მუქი მოშავო კოსტიუმი ეცვა. ხელში ეჭირა მიხაკისფერი თექის ქუდი. ოცდაათზე მეტს არ მისცემდით, თუმცა სინამდვილეში ცოტა უფრო ხნიერი უნდა ყოფილიყო.

- გთხოვთ მაპატიოთ, - გვითხრა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა. - ალბათ უნდა დამერეკა. საქმე ის არის, რომ ცოტა გუნებაწამხდარი ვარ - ესაა და ეს! - თან ხელი მოისვა შუბლზე, როგორც ადამიანმა, რომელსაც ოდნავ თავბრუ ესხმის, და სკამზე ისე დაჯდა, რომ დავარდაო, იტყოდით.

- გატყობთ, რომ მთელი ორი ღამე არ გიძინიათ, - თქვა თანაგრძნობით ჰოლმსმა. - ეს უფრო ქანცავს ნერვებს, ვიდრე მუშაობა და გართობა-თამაში. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

- თქვენი რჩევა მჭირდება, სერ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ასე მგონია ჩემი ცხოვრების ხე გადამიხმა.

- თქვენ გინდათ დაგეხმაროთ, როგორც კონსულტანტი-დეტექტივი?

- ეს თავისთავად. მაგრამ, ამას გარდა, მინდა ვიცოდე თქვენი აზრი... თქვენ დიდი გონების კაცი ხართ, გამოცდილი, ცხოვრების მცოდნე. ჰოდა, მინდა მასწავლოთ, როგორ მოვიქცე. ო, როგორ მინდა მასწავლოთ, რანაირად მოვიქცე!

მოკლე, მკვეთრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით ლაპარაკობდა, და მომეჩვენა, რომ ლაპარაკი უჭირდა და იტანჯებოდა. მხოლოდ ნებისყოფის დიდი დაძაბვით ახერხებდა დაეთრგუნა თქმის სურვილიცა და უთქმელობაც.

- ეს ძალიან საძნელო და საჭოჭმანო საკითხია, - თქვა უცნობმა. - არავის არ უყვარს თავის ოჯახურ საქმეებზე გარეშე პირებთან ლაპარაკი. პირდაპირ საშინელებაა - განსაჯო ცოლის საქციელი ორ უცხო ადამიანთან, რომლებიც უწინ არასოდეს გინახავს. დიახ, ეს საშინელებაა! მაგრამ მე უკვე უკიდურესობამდე მივედი. კარგი რჩევა მესაჭიროება...

- ძვირფასო მისტერ გრანტ მონრო... - დაიწყო ჰოლმსმა.

ჩვენი სტუმარი სკამიდან წამოვარდა.

- როგორ! - შესძახა. - თქვენ იცით ჩემი სახელი?

- თუ ინკოგნიტოდ დარჩენა გსურდათ, - თქვა ღიმილით ჰოლმსმა, - თქვენი სახელი ქუდის სარჩულზე არ უნდა დაგეწერათ, ან ქუდი ისე მაინც უნდა შეგებრუნებინათ, რომ თქვენს თანამოსაუბრეს წარწერა არ დაენახა. მე მინდოდა მეთქვა, რომ ამ ოთახში მე და ჩემს მეგობარს მრავალი საკვირველი საიდუმლოება მოგვისმენია და ბედნიერება გვქონდა მრავალი აღელვებული სული დაგვემშვიდებინა. დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც იმასვე მივაღწევთ. რაკი შეიძლება აჩქარება აუცილებელი შეიქმნეს, ამიტომ გთხოვთ დაუყოვნებლივ გამანდოთ ყველა ფაქტი.

ჩვენმა სტუმარმა კვლავ მოიწმინდა შუბლიდან სიმწრის ოფლი. აშკარად შენიშნავდით, როგორ უჭირდა სიტყვის დაწყება: ყოველი ჟესტი, სახის ყოველი მოძრაობა ამჟღავნებდა მასში გულჩათხრობილ, თავშეკავებულ, ამაყ ადამიანს, რომელიც სააშკარაოზე გამოტანის ნაცვლად ამჯობინებდა დაეფარა თავისი ჭრილობები. მაგრამ უეცრად გაშმაგებით მოიქნია მუშტი, თითქოს თავშეკავების უკანასკნელი ნასახი განზე ისროლაო და დაიწყო.

- აი, საით მივყავართ ფაქტებს, მისტერ ჰოლმს, - თქვა და განაგრძო. - უკვე სამი წელია, რაც დავქორწინდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე და ჩემს ცოლს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ბედნიერებიც ვიყავით. ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით - არც აზრებსა და არც ქცევებს, მაგრამ აი - წინა ორშაბათიდან ჩვენ შორის უეცრად რაღაც ჩამოწვა, ბზარი გაჩნდა და ზღუდე აღიმართა. ჩემი ცოლის ცხოვრებაში მოხდა რაღაც ჩემთვის გაუგებარი. ახლა ჩემს ცოლზე ისევე ცოტა რამე ვიცი, როგორც რომელიმე ქუჩაში გამვლელ ქალზე, რომელიც შემთხვევით გადამეყარა და ჩამიარა. ერთიმეორისათვის სრულიად უცხონი გავხდით, და მინდა ვიცოდე - რატომ... ვიდრე ჩემს მოთხრობას გავაგრძელებ, მისტერ ჰოლმს, მინდა თქვენი ყურადღება ერთ გარემოებაზე შევაჩერო. ეფის ვუყვარვარ, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. ვუყვარვარ მთელი გულით და არასოდეს არ ვყვარებივარ ისე ძლიერ, როგორც ახლა. ეს ვიცი. ამას ვგრძნობ. ეს საკამათოდ არ მიმაჩნია. ხომ აქვს ხოლმე მამაკაცს რწმენა, რომ ქალს იგი უყვარს! მაგრამ ჩვენს შორის იდუმალებით მოცული ამბავი ჩამოწვა, და თუ ის არ გაიხსნა, ჩვენი უწინდელი ურთიერთობა აღარასოდეს აღდგება.

- გეთაყვათ, ფაქტებზე მიამბეთ, მისტერ მონრო, - ერთგვარი მოუთმენლობით წარმოთქვა ჰოლმსმა.

- გიამბობთ იმას, რაც ვიცი ეფიზე... როცა პირველად შევხვდი, ქვრივი იყო, თუმცა ძალიან ახალგაზრდა გახლდათ. სულ ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა. მისის ჰიბრონი - ყველა ასე იცნობდა - სრულიად პატარა გამგზავრებულა ამერიკაში და ქალაქ ატლანტაში უცხოვრია. იქ მისთხოვებია იმ ჰიბრონს, ვექილს, რომელსაც კარგი კლიენტურა ჰყოლია. ბავშვიც შესძენიათ. მაგრამ უეცრად უფეთქია ყვითელ ციებას და ეფის ქმარ-შვილი შეუწირავს. ჰიბრონის გარდაცვალების დამადასტურებელი მოწმობა ჩემი საკუთარი თვალით ვნახე. გამოვლილმა უბედურებამ, როგორც ჩანს, ეფის ამერიკაზე გული აუყარა. იგი შინ დაბრუნებულა დ ამიდლექსში გაუთხოვარ მამიდასთან დასახლებულა. უნდა მოგახსენოთ, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ ასე ოთხ-ნახევარი ათასი გირვანქა სტერლინგი დარჩენია და ამ თანხაში, თურმე შვიდ პროცენტ მოგებას იღებდა. ეფი სულ ნახევარი წელიც არ იყო ნაცხოვრები პინერში, როცა მე შევხვდი. ერთმანეთი შეგვიყვარდა და რამდენიმე კვირის შემდეგ დავქორწინდით კიდეც.

სვიით ვვაჭრობ. ჩემი შემოსავალი შვიდას-რვაას გირვანქას აღწევს წელიწადში, ასე რომ, ჩვენ არც ისე ცუდად უზრუნველყოფილნი აღმოვჩნდით. წელიწადში ოთხმოც გირვანქად ჩინებული აგარაკი ვიქირავეთ ნორბერიში. თუმცა ეს დაბა ზედ ქალაქთანაა, მაგრამ სოფლისაგან არაფრით განირჩევა. ჩვენი სახლიდან ორიოდ ნაბიჯზე, ზემოთ ორი სახლი და სასტუმროა. მეორე მხარეს - მინდვრები, მახლობლად კიდევ ერთი კოტეჯია, რომელიც წინა მხრივ პირდაპირ ჩვენ გადმოგვცქერის. ამ სახლების გარდა ახლომახლო სადგურამდე შუა გზის აქეთ არავითარი ნაგებობა არ არის.

შემოდგომაზე და ზამთრობით ხშირად ქალაქში მიხდება ყოფნა, ზაფხულობით კი ნაკლები საქმე მაქვს. ისე ბედნიერები ვიყავით, როგორც კი შეიძლება ადამიანმა ინატროს. იმ წუთამდე, ვიდრე ეს წყეული ამბავი მოხდებოდა, ჩვენს ცხოვრებას არაფერი ნისლავდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ, როცა ჯვარი დავიწერეთ, ცოლმა მთელი თავისი ქონება - ნაწილობრივ ჩემი სურვილის წინააღმდეგ, მე ჩამაბარა. ჩემი სურვილის წინააღმდეგ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თუ ჩემი საქმე ცუდად წავიდოდა, ცოლის ფულით სარგებლობა ჩემთვის მაინც უხერხული გახლდათ. მაგრამ ეფიმ არ დაიშალა და თავისი გაიტანა. უეცრად, ასე ექვსი კვირის წინ შემდეგი სიტყვებით მომმართა:

- «ჯეკ, როცა ჩემი ფული აიღეთ, ხომ მითხარით, რომ ყოველთვის შემიძლია უკან დავიბრუნო, რამდენიც დამჭირდება?»

«რა თქმა უნდა, - ვუპასუხე მე. - ეს ფული თქვენია».

«ჰოდა, აი ახლა ასი გირვანქა მჭირდება», - მიპასუხა მან.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მაგრამ გავიფიქრე, რომ საქმე უბრალოდ ახალ კაბას ან რამე ამდაგვარს ეხებოდა.

«რისთვის?» - ვკითხე მე.

«ო, - მიპასუხა დაბნეულმა, - თქვენ თქვით, რომ იქნებოდით მხოლოდ ჩემი ბანკირი, ბანკირები კი არასოდეს არავითარ კითხვებს არ იძლევიან, თქვენ ეს კარგად იცით».

«თუ ფული ნამდვილად გესაჭიროებათ, მიიღებთ».

«ჰო, რა თქმა უნდა, მესაჭიროება».

«მაინც არ იტყვით, რისთვის?»

«როდისმე, შემდეგ, ჯეკ, ახლა კი არა».

ასეთი პასუხით მომიხდა დაკმაყოფილება, თუმცა მანამდე არასოდეს არაფერს მიმალავდა. ჩეკი მივეცი და მეტად არც მიფიქრია ჩვენს საუბარზე. იქნებ ამ შემთხვევას არც აქვს რაიმე კავშირი იმასთან, რაც შემდეგ მოხდა, მაგრამ ასე მგონია, თითქოს ამისი გახსენებაც იყოს საჭირო.

ჰო, როგორც გითხარით, ჩვენი სახლის მახლობლად ერთი კოტეჯია წამოჭიმული, ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ მინდორი გვაშორებს, მაგრამ კოტეჯამდე რომ მიხვიდეთ, ჯერ გზას უნდა გაჰყვეთ, მერე კი ბილიკიდან გადაუხვიოთ და პირდაპირ კოტეჯს მიადგებით. სწორედ კოტეჯის უკან არის პატარა ნაძვნარი და მე ძალიან მიყვარდა იქ სეირნობა, სამწუხაროდ, მთელი უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში კოტეჯში არავინ ცხოვრობდა. და პირდაპირ დასანანებლად მრჩებოდა, რომ სირვაშლას მხვიარა ღეროებით დაფარული, ძველებური ყაიდის კარიბჭიანი ისეთი საყვარელი ორსართულიანი კოხტა სახლი, ამდენ ხანს უკაცრიელი გახლდათ. ხშირად ვმდგარვარ მის წინ და მიფიქრია, რა კარგი პატარა მყუდრო კარ-მიდამო გამოვიდოდა აქედან-მეთქი.

და აი, წინა ორშაბათს, შებინდებისას, სეირნობის დროს ვხედავ: გზაზე გამოდის ცარიელი ფურგონი, ხოლო მოაჯირის წინ მოლზე ნოხებისა და სხვა ნივთების ზვინი დგას. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ კოტეჯი გაქირავდა. ჯერ გვერდით ჩავუარე, მერე კი შევჩერდი, და როგორც უსაქმურ ადამიანს სჩვევია, ცქერა დავუწყე, თან იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ ჩვენს მეზობლად რა ხალხი იცხოვრებს-მეთქი. მოულოდნელად შევნიშნე, რომ ერთ-ერთი ზედა ფანჯრიდან ვიღაც მითვალთვალებდა.

არ ვიცი, რა იყო განსაკუთრებული იმ სახეზე, მისტერ ჰოლმს, მაგრამ თმა ყალყზე დამიდგა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. შორიდან ვერ გავარჩიე რიგიანად, მაგრამ რაღაც არაბუნებრივ, არაადამიანურად კი მომეჩვენა. ამ შთაბეჭდილებით ფანჯარასთან ახლოს მივედი. თან იმას ვცდილობდი, გამერკვია, ვინ მითვალთვალებდა. მაგრამ იმავე წამს სახე გაუჩინარდა, თითქოს ადამიანი ოთახის სიღრმისაკენ უეცრად წაათრიესო. მთელი ხუთი წუთი ვიდექი ასე გაოგნებული და ვცდილობდი თავი მომეყარა ჩემი შეგრძნებებისათვის. ვერ გეტყვით, კაცის სახე იყო თუ ქალისა. მეტად შორს ვიდექი და ვერ გავარჩიე. ყველაზე მეტად გამაოცა მისმა მკვდრისებრმა, ტყვიისებრ ყვითელმა ფერმა. გაშეშებული და გაქვავებული, ის სახე ადამიანს აძრწუნებდა და თავისი არაბუნებრივი შესახედაობით ზიზღს იწვევდა. ისე შეშფოთებული ვიყავი, რომ გადავწყვიტე უფრო დაწვრილებით გამეგო ჩვენი ახალი მეზობლების ამბავი. აივანზე ავედი და დავაკაკუნე, კარი მაშინვე გამიღო მაღალმა პირხმელმა ქალმა. არასასიამოვნო, პირდაპირ საძაგელი ფიზიონომია ჰქონდა.

«რა გნებავთ?» - მკითხა მკვეთრი შოტლანდიური აქცენტით.

«თქვენი მეზობელი ვარ, აი იქ ვცხოვრობ, - ვუთხარი მე, თან თავი გავიქნიე ჩემი სახლის მხარეს, - როგორც ჩანს, ახალხან ჩამოსულხართ?»

«თუ დაგვჭირდებით, დაგიძახებთ!» - მითხრა ქალმა და ცხვირწინ კარი მომიჯახუნა.

უხეში დახვედრით გაჯავრებული შინ დავბრუნდი. მართალია, მთელი საღამო ვცდილობდი სხვა რამეზე მეფიქრა, მაგრამ ჩემი გონება უნებურად უბრუნდებოდა იმ სახეს, ფანჯარაში რომ გაიელვა, და თავხედ ქალს, კარი რომ ცხვირწინ მომიჯახუნა. გადავწყვიტე ცოლისათვის არაფერი მეთქვა: ნერვიული ქალია, ადვილად უფუჭდება ხასიათი, და რა საჭიროა-მეთქი ჩემი არასასიამოვნო შთაბეჭდილებებით მისი შეშფოთება. მხოლოდ როცა დასაძინებლად ვწვებოდით, გაკვრით ვუთხარი, კოტეჯი გაუქირავებიათ-მეთქი. არაფერი არ მიპასუხა.

ჩვეულებრივ ძალიან მაგრად მძინავს. ჩვენს ოჯახში ყველამ იცის, რომ ღამით ჩემი გაღვიძება შეუძლებელია, და ჩემიანებში ეს გაუთავებელი ხუმრობის საგანია. მაგრამ იმ ღამეს ალბათ მომხდარი ამბით ცოტა აღელვებულს, ეტყობა, ჩვეულებრივზე ბევრად უფრო ფხიზლად მეძინა. ბურანში მყოფი ვგრძნობდი, რომ ჩემს გარშემო რაღაც ხდებოდა. თანდათან ჩემს ცნობიერებაში შეაღწია განცდამ, რომ ჩემი ცოლი ადგა, მოსასხამი მოისხა და ქუდი დაიხურა. მზად ვიყავი მძინარეს გამომეხატა რაღაც პროტესტი ან გაკვირვება, მაგრამ თვალები რომ სანახევროდ გავახილე, და სანთლით განათებული მისი სახე ვიხილე, ისე განცვიფრებული დავრჩი, რომ პირდაპირ დავმუნჯდი. ასეთი გამომეტყველება არათუ არასოდეს არ მენახა მის სახეზე, არამედ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამე შესაძლებელი იქნებოდა. სიკვდილის ფერი ედო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა, და მოსასხამის ღილებს რომ იბნევდა, ჩუმად ჩემი საწოლისაკენ იყურებოდა, რათა გაეგო, ხომ არ გამეღვიძა. მერე ალბათ ის გაიფიქრა, ისევ სძინავსო და ოთახიდან უხმაუროდ გავიდა. ერთი წამის შემდეგ შემოსასვლელი კარის წყნარი ჭრიალი გავიგონე, წამოვჯექი და საწოლის საზურგეზე დავაკაკუნე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ

ნამდვილად გამეღვიძა, შემდეგ კი ბალიშის ქვეშიდან საათი ამოვიღე. ღამის სამი საათი იყო. რა უნდა სდომებოდა ჩემს ცოლს სოფლის გზაზე ამ ყრუ ღამეში?

ვიჯექი მთელი ოცი წუთი და ვიტეხდი თავს, რომ რაიმე ახსნა მეპოვა. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ამოუხსნელი და საიდუმლოებით მოცული მეჩვენებოდა ეს ამბავი. ჯერ კიდევ სრულიად დაბნეული ვიყავი, როცა შემოსასვლელი კარი ისევ უხმაუროდ გაიღო და კიბეზე ჩემი ცოლის ნაბიჯის ხმა გაისმა.

«სად იყავით, ეფი?» - ვკითხე მე, როცა შემოვიდა.

შეკრთა და ყრუდ წამოიკივლა. ამ წამოკივლებამ და ამ კანკალმა უფრო მეტად შემაშფოთეს: რაღაც ენით გამოუთქმელი დანაშაული ვიგრძენი. ჩემი ცოლი ყოველთვის პატიოსანი და გულახდილი იყო - სისხლი გამეყინა, როცა ვნახე როგორ ქურდულად მოიპარებოდა თავის საკუთარ ოთახში. დამზაფრა და შემზარა იმან, რომ ჩემს დაძახებაზე შეჰკივლა და აცახცახდა.

«თქვენ არ გძინავთ, ჯეკ! - შესძახა მან ნერვიული სიცილით. - მე ვფიქრობდი, რომ არაფერს არ შეუძლია თქვენი გამოღვიძება».

«სად იყავით?» - ვკითხე მე მკაცრად.

«მესმის, გაოცებული რომ ხართ, - თქვა მან. როცა მოსასხამის ღილებს იხსნიდა, შევნიშნე, რომ თითები უთრთოდა. - უწინ არასოდეს არ მიფიქრია, ასეთი რამე თუ შემემთხვეოდა. საქმე ისაა, რომ უეცრად სული შემეხუთა. აუცილებელი იყო სუფთა ჰაერი - გული შემიწუხდებოდა, რომ არ გავსულიყავი. კართან დავდექი რამდენიმე წუთით და ახლა ისევ კარგად ვარ».

ეს თქვა და ერთხელაც არ მოუხედავს ჩემს მხარეს, ხმაც სხვანაირად უჟღერდა, უწინდელს აღარ ჰგავდა. აშკარა იყო, ტყუოდა. არაფერი არ ვუპასუხე და პირით კედლისაკენ შევბრუნდი, გული მეკუმშებოდა და შხამიანმა ეჭვებმა ერთიანად დამრიეს ხელი. რას მიმალავდა ცოლი? სად იყო? ვგრძნობდი, ვერ დავმშვიდდებოდი, ვიდრე ყველაფერს არ გავიგებდი, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ერთხელ უკვე მომატყუა, აღარ მინდოდა შეკითხვების მიცემა. მთელი ღამე წრიალსა და მოუსვენრობაში გავატარე, ერთიმეორის მიყოლებით ვიგონებდი ათასგვარ ახსნას, და ყველა მათგანი ერთიმეორეზე დაუჯერებელი მეჩვენებოდა.

მეორე დღეს ქალაქში უნდა წავსულიყავი, მაგრამ ისე აღელვებული ვიყავი, რომ სრულიად უბრალო საქმის გაკეთების თავიც აღარ მქონდა. ცოლიც გუნებაწამხდარი ჩანდა. გაკვირვებული შემომაცქერდებოდა ხოლმე და ჩემთვის აშკარა იყო, ჩემი მეუღლე გრძნობდა, მისი მონაგონი ამბავი რომ არ დავიჯერე, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, როგორ დაეჭირა ჩემთან თავი. საუზმეზე კრინტიც არ დაგვიძრავს, მერე კი მაშინვე სასეირნოდ წავედი, რათა დილის სუფთა ჰაერზე მომეფიქრებინა, განმესაჯა და ამეწონ-დამეწონა ყოველივე.

ბროლის სასახლემდე მივყიალდი, ერთი საათი ვიბორიალე და ნორბერიში დღის პირველ საათზე დავბრუნდი. კოტეჯს გვერდით რომ ჩავუარე, შევჩერდი, შევჩერდი და ფანჯრებს ავხედე, იქნებ ის უცნაური სახე კვლავ ვიხილო-მეთქი, რომელმაც წინა ღამეს იქ გაიელვა და აგრერიგად აღმაშფოთა. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, მისტერ ჰოლმს, როცა მოულოდნელად კარი გაიღო და იქიდან ჩემი ცოლი გამოვიდა! ელდანაკრავივით გავოგნდი, როცა ეს დავინახე, მაგრამ მე რა საკითხავი ვიყავი, თქვენ ეფის გაკვირვება უნდა გენახათ, როდესაც ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ერთი წამით მომეჩვენა, რომ ჩემს ცოლს უნდოდა ისევ სახლში შეესწრო, მაგრამ რაკი ნახა, გაქცევა ახლა უსარგებლოაო, ფერმიხდილი ჩემკენ წამოვიდა. მის შეშინებულ თვალთა გამომეტყველებას სულ არ ეხამებოდა ბაგეზე დამკვდარი ღიმილი.

«აჰ, ჯეკ, - მითხრა, - ეს-ესაა შემოვიარე, მინდოდა გამეგო, ხომ არაფრით შემიძლია დავეხმარო ჩვენს ახლო მეზობლებს. რატომ მიყურებთ ასე, ჯეკ? ხომ არ მიჯავრდებით?»

«მაშ ასე, - ვუპასუხე მე. - ღამითაც აქ იყავით არა?»

«რაო, ეგ რა თქვით?» - მომაძახა ცოლმა.

«დიახ, ღამით აქ მოხვედით, დარწმუნებული ვარ და საინტერესოა, ვინ არის ეს ხალხი, ასეთ დროს რომ ნახულობთ?»

«აქ არასოდეს არ ვყოფილვარ».

«როგორ ბედავთ მოტყუებას? თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, როგორცაა საქმე? - ვყვიროდი მე. - ხმაც კი არ გეცვლებათ, როცა ლაპარაკობთ. განა ოდესმე რაიმე დამიმალავს თქვენთვის? ახლავე შევვარდები კოტეჯში და თვითონვე გავარკვევ».

«არა, არა, ჯეკ! ღვთის გულისათვის!»

სული ეხუთებოდა და მღელვარების დასაფარავად ღონე აღარ შესწევდა. კოტეჯის კარს რომ მივვარდი, სახელოში მტაცა ხელი და ჩემთვის რაღაც მოულოდნელი ძალით განზე გამათრია.

«გევედრებით, არ შეხვიდეთ, ჯეკ! - შემომძახა ცოლმა. - გეფიცებით ადრე თუ გვიან ყოველივეს გიამბობთ, ოღონდ მერე, შემდეგ... თუ ამ კოტეჯში შეხვალთ, დიდი უბედურება დატრიალდება!»

როცა მისგან თავის გამოხსნას შევეცადე, მუდარით ჩამჭიდა ორივე ხელი.

«დამიჯერეთ ჯეკ! - ყვიროდა სასოწარკვეთილი. - ოღონდ კი ახლა დამიჯერეთ! არასოდეს არ ინანებთ! თუ რაიმე დაგიფარეთ, მხოლოდ თქვენივე გულისათვის. თქვენი სიცოცხლე ამაზეა დამოკიდებული. დავბრუნდეთ ერთად შინ და ყველაფერი კარგად მოგვარდება. ხოლო თუ ჩემი ნების წინააღმდეგ კოტეჯში შეხვალთ, ჩვენ შორის ყველაფერი გათავდება!»

მის ხმაში ისეთი გულწრფელი სასოწარკვეთილება იყო, რომ გაურკვეველ მდგომარეობაში კარის წინ შევდექი.

«მხოლოდ ერთი პირობით დაგიჯერეთ, - ვუთხარი ბოლოს. - მინდა ყოველივე ამას დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო, შეგიძლიათ თქვენთვის დაიტოვოთ თქვენი საიდუმლოება, მაგრამ დამპირდით, რომ ღამღამობით აქ აღარ ივლით და ჩემგან დაფარულად აღარაფერს მოიმოქმედებთ. მზად ვარ ყველაფერი დავივიწყო, რაც იყო, მაგრამ დამპირდით, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება».

- ეჭვი არ მეპარება, რომ დამიჯერებთ! - შესძახა ეფიმ და ღრმად ამოიოხრა ნიშნად იმისა, რომ გულზე მოეშვა. - ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც გნებავთ. წავიდეთ ბარემ, შინ წავიდეთ!»

კოტეჯიდან ისე წამიყვანა, რომ ჩემთვის ხელი არ გაუშვია. უნებურად უკან მოვიხედე და ზედა სართულის ფანჯარაში იმავე მკვდრისფერ გაფითრებულ ადამიანის ყვითელ სახეს მოვკარი თვალი. იგი ჩვენ გვითვალთვალებდა. რა საერთო უნდა ყოფილიყო ამ არსებასა და ჩემს ცოლს შორის? ან რა საერთო ჰქონდა იმ უხეშ ქალთან, რომელიც წინა დღეს ვნახე? ეს იყო თავსატეხი გამოცანა, და ვიცოდი, რომ ვიდრე ამას არ ამოვხსნიდი, სიმშვიდეს ვეღარ ვპოვებდი.

ამის შემდეგ ორი დღე შინ გავატარე. ჩემ ცოლი თითქოს პატიოსნად იცავდა ჩვენს პირობას. რამდენადაც ვიცი, სახლიდან არც გასულა. მაგრამ მესამე დღეს სრულიად აშკარა გახდა, რომ არავითარ ფიცს არ შეუძლია მისი გამოხსნა იმ საიდუმლო ზეგავლენისაგან, რაც ავიწყებდა ქმარსა და მოვალეობას.

მესამე დღეს ქალაქში წავედი, მაგრამ დავბრუნდი არა საღამოს იმ მატარებლით, რომლითაც ჩვეულებრივ ვმოგზაურობდი ხოლმე, არამედ უფრო ადრე. შინ რომ შევედი, წინ მოსამსახურე გოგო შემომეგება. სახე შიშისაგან გაფითრებული ჰქონდა.

«სად არის დიასახლისი?» - ვკითხე მე.

«მგონი, სასეირნოდ წავიდა».

მაშინვე ეჭვი აღმეძრა. მაღლა ავვარდი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად შინ არ იყო. შემთხვევით ფანჯარაში გავიხედე და მოსამსახურე გოგო დავლანდე, რომელიც წუთის წინ მელაპარაკებოდა. იგი მინდორში გარბოდა კოტეჯისაკენ. ცხადია, მაშინვე მივხვდი, რასაც ნიშნავდა ეს ამბავი. ჩემი მეუღლე ისევ იქ წაბრძანდა და მოსამსახურეს უბრძანა, დამიძახე, როცა ქმარი მოვიდესო.

ჯავრისაგან აცახცახებული დაბლა დავეშვი და სწრაფი ნაბიჯით დავადექი გზას, რათა ერთხელ და სამუდამოდ მომეღო ბოლო ამ საქმისათვის. მალე დავინახე, როგორ გარბოდნენ სახლისაკენ მოსამსახურე გოგო და ჩემი მეუღლე ბილიკის გაყოლებით, მაგრამ მათთან სალაპარაკოდ არ შევმდგარვარ. კოტეჯში იფარებოდა ის საიდუმლოება, რამაც ჩემი ცხოვრება დანისლა. დავიფიცე: მოხდეს მოსახდენი, მაგრამ ამ საიდუმლოებას კი ფარდას ავხდი-მეთქი. არც კი დავაკაკუნე, ისე გადავატრიალე სახელური და დერეფანში შევვარდი.

პირველ სართულზე სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა. სამზარეულოში ჩაიდანი იდგა ცეცხლზე, წყალი დუღდა და იქვე დიდი შავი კატა მოკეცილი იწვა კალათში. არავითარი კვალი არ ჩანდა იმ ქალისა, რომელიც წინა დღეს ვნახე. მეორე ოთახშიც არავინ აღმოჩნდა. მაშინ მაღლა ავვარდი, კიბეს ავყევი, მაგრამ ვერც ზედა ორ ოთახში ვიპოვნე ვინმე. მთელ სახლში კაცის ჭაჭანება არ იყო. ოთახის მოწყობილობა და სურათები სრულიად ჩვეულებრივი და ვულგარული აღმოჩნდა, გარდა იმ ოთახისა, რომლის ფანჯარაში ის უცნაური სახე დავინახე. ეს ოთახი მოხერხებულად და ფაქიზად მოერთოთ; მთელი ჩემი ეჭვი იქცა გიჟურ, მწველ სიშმაგედ, როცა ბუხარზე დავინახე ჩემი ცოლის ფოტოსურათი, რომელზედაც იგი მთელი ტანით იყო გამოსახული. ეს სურათი ეფიმ სამი თვის წინ ჩემი თხოვნით გადაიღო.

რაკი დავრწმუნდი, რომ სახლი სავსებით ცარიელი იყო, ჩემი უბედურების სათავე ისეთი გულისტკივილით დავტოვე, როგორიც არასოდეს განმიცდია. შინ დაბრუნებულს ცოლი ზღურბლზე შემომეგება. აღელვებულმა და განაწყენებულმა ხმა არ გავეცი, გვერდით ჩავუარე და ჩემს კაბინეტში შევედი, მაგრამ ეფი ჩემთან ისე სწრაფად შემოვიდა, რომ კარის მიკეტვაც ვერ მოვასწარი.

«ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი დაპირება დავარღვიე, ჯეკ, - მითხრა მან. - მაგრამ საქმის ვითარება რომ იცოდეთ, დარწმუნებული ვარ ყოველივეს მაპატიებდით».

«მერედა, მიამბეთ ყველაფერი».

«არ შემიძლია, ჯეკ, შეუძლებელს მთხოვთ!»

«ვიდრე არ მეტყვით, ვინ ცხოვრობდა იმ კოტეჯში და ვის აჩუქეთ თქვენი ფოტოსურათი, მანამდე ვერაფერს დაგიჯერებთ», - განვუცხადე მე, გავუსხლტი ხელიდან და სახლიდან გამოვედი...

ეს გუშინ მოხდა, მისტერ ჰოლმს, მეტად ჩემი ცოლი აღარ მინახავს, და ამ უცნაური საქმისა აღარაფერი ვიცი. მანამდე ჩვენს შორის არავითარი გაუგებრობა არ ყოფილა, მისმა სიცრუემ კი ისე შემაძრწუნა, რომ აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ამ დილით აზრად მომივიდა, რომ სწორედ თქვენ ხართ ის ერთადერთი ადამიანი, რომელიც რაიმე რჩევას მომცემს და ხსნის გზას მიჩვენებს. აი, მეც თქვენთან მოვვარდი და ულაპარაკოდ თქვენს ხელთა ვარ. თუ რაიმე წვრილმანი ბუნდოვანია თქვენთვის, გთხოვთ, მკითხოთ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მირჩიეთ, რა ვქნა! ამ

მოძალებულმა უბედურებამ ერთიანად დამთრგუნა, გამსრისა და ახლა აღარ ვიცი, რა წყალს მივცე თავი.

მე და ჰოლმსი შეუნელებელი ინტერესით ვუსმენდით მის მონათხრობს. სტუმარი მოუსვენრად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, რომელიც იმ ადამიანს შეჰფერის, ვინც უკიდურეს მღელვარებას მოუცავს. ჩემი მეგობარი ჩაფიქრდა და ერთ ხანს ნიკაპით ხელზე დაყრდნობილი უსიტყვოდ იჯდა.

- მითხარით, გეთაყვა, - თქვა ბოლოს. - შეგიძლიათ დანამდვილებით თქვათ, რომ ფანჯარაში მამაკაცის სახე დაინახეთ?

- ყოველთვის ისეთი სიშორიდან ვხედავდი, რომ ვერაფერს მოგახსენებთ...

- და მაინც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა?

- მეჩვენებოდა, რომ ძალიან არაბუნებრივი ფერი ჰქონდა. ნაკვთები მიცვალებულივით გაქვავებული და მიახლოებისთანავე ქრებოდა ხოლმე.

- დიდი ხანია, რაც ცოლმა ასი გირვანქა გთხოვათ?

- თითქმის ორი თვეა.

- ოდესმე მისი პირველი ქმრის ფოტოსურათი ხომ არ გინახავთ?

- არა. მისი სიკვდილის შემდეგ ძალიან მალე ატლანტაში დიდი ხანძარი მოხდა და ყველა ოჯახური ქაღალდი დაიწვა.

- მაგრამ ქმრის სიკვდილის მოწმობა ხომ თქვენს მეუღლეს ხელზე აქვს. თქვენ ხომ თქვით, რომ ნახეთ ეს მოწმობა?

- დიახ, ქალმა ხანძრის შემდეგ დუბლიკატი მიიღო.

- ხომ არავინ გინახავთ ისეთი, ვინც თქვენს მეუღლეს იცნობდა ამერიკაში?

- არა.

- არასოდეს უთქვამს, ამერიკაში წასვლა მსურსო?

- არა.

- წერილებს თუ იღებდა იქიდან?

- რადენადაც ვიცი, არა.

- მადლობელი ვარ. ეს საქმე კარგა გვარიან ჩაფიქრებას მოითხოვს. თუ კოტეჯი სამუდამოდაა მიტოვებული, ეს მდგომარეობას ართულებს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მისი მცხოვრებლები თქვენი იქ ჩასვლის თაობაზე წინასწარ გააფრთხილეს და ვიდრე თქვენ იქ ჩახვიდოდით, ისინი ცოტა ხნით ადრე იქაურობას გაეცალნენ. თუ ასეა, შეიძლება დაბრუნდნენ და მაშინ ყველაფერს ადვილად გავარკვევთ. გირჩევთ, უკან ნორბერიში დაბრუნდეთ და ისევ კოტეჯის ფანჯრებს ადევნოთ თვალყური. თუ საფუძველი გექნებათ ივარაუდოთ, რომ იქ ვინმე ცხოვრობს, სახლში ნუღარ შეიჭრებით, დეპეშა გამოგვიგზავნეთ და მე ჩემს მეგობართან ერთად ერთ საათში იქ გავჩნდები. ვფიქრობ, ძალიან სწრაფად გავარკვევთ ერთი შეხედვით ამ ძალიან დახლართულ საქმის არსს.

- და თუ კოტეჯი ცარიელია?

- მაშინ ხვალ მოვალ და თქვენთან ერთად მოვითათბირებთ ყველაფერზე. ნახვამდის, და უწინარეს ყოვლისა, სულით ნუ დაეცემით, ვიდრე საამისოდ რაიმე რეალური მიზეზი არ გაქვთ...

- რამე ურიგო ამბავი არ იყოს, უოტსონ, - მითხრა ჩემმა მეგობარმა, რომელმაც ის იყო კარამდე მიაცილა მისტერ გრანტ მონრო. - თქვენ რას ფიქრობთ ამ საქმეზე?

- მე მგონია, ეს საკმაოდ ბინძური საქმეა, - ვუპასუხე ჰოლმსს.

- დიახ. ეს შანტაჟია, ან არადა დიდად ვცდები.

- მერე ვინ ეწევა შანტაჟს?

- ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ ესაა კაცი, რომელიც ერთადერთ ფუფუნებით მორთულ ოთახში ცხოვრობს და ბუხარზე მონროს ცოლის სურათი აქვს. პატიოსნებას გეფიცებით, უოტსონ, რატომღაც ძალიან მაფიქრებს ფანჯარასთან მდგარი ყვითელი სახე. და არაფრით არ ვისურვებდი ამ საქმის განზე გადადებას.

- გაქვთ რაიმე ჰიპოთეზა?

- ჯერჯერობით მხოლოდ სავარაუდო. მაგრამ სახტად დავრჩები, თუ არ დადასტურდება. კოტეჯში იმ ქალის პირველი ქმარია.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- აბა, რატომ ეშინოდა აგრერიგად ქალს, რომ მისი მეორე ქმარი კოტეჯში არ შესულიყო? მე მგონია, საქმე ასე იყო: ეს ქალი ამერიკაში გათხოვდა. მერე ქმარი შეიძულა - ვთქვათ, კაცი რაიმე უკურნებელი სენით დაავადდა ან იდიოტად იქცა. ბოლოს და ბოლოს ქალი გაექცა, ინგლისში დაბრუნდა, აქ სახელი გამოიცვალა და როგორც თვითონ ფიქრობდა, ხელახლა ცხოვრება დაიწყო. სამი წლის წინ მეორედ გათხოვდა და თავისი საქმე საბოლოოდ მოკვარახჭინებულად ჩათვალა. ახალ ქმარს ვიღაცის გარდაცვალების მოწმობა უჩვენა, გვარიც იმისი უთხრა და დაარწმუნა, ჩემი პირველი ქმარი გარდაცვლილიაო. მაგრამ, აი მოულოდნელად მის ადგილსამყოფელს მიაგნო ამ პირველმა ქმარმა, ან, ვთქვათ რომელიმე უსირცხვილო ქალმა, რომელიც ავადმყოფს აეკიდა. ქალს მოსწერეს მუქარის წერილი: ჩამოვალთ და ქვეყნის ყბაში ჩაგაგდებთო. ქალიც ას გირვანქას ითხოვს ქმრისაგან იმისათვის, რომ არ ამხილონ. ამის მიუხედავად, ისინი ჩამოდიან, და როცა ქმარი შემთხვევით ეუბნება, კოტეჯში ხალხი დასახლდაო, მიხვდა, რომ ეს მისი მდევრები იყვნენ. ქალი დაელოდა, ვიდრე ქმარი დაიძინებდა, მერე კოტეჯში გაიქცა და ცდილობდა შანტაჟისტები დაერწმუნებინა, მიღებული ასი გირვანქის მეტს ველარ გამომრჩებით და ჩამომეხსენითო. რადგან პირველი მოლაპარაკებით ვერაფერს მიაღწია, დილით კვლავ კოტეჯისაკენ გაეშურა და იქიდან უკან დაბრუნებისას თავის ქმარს გადაეყარა. მერე მტკიცე პირობა მისცა ქმარს, იქ ფეხსაც აღარ მივადგამო, მაგრამ ორი დღის შემდეგ დარწმუნებულმა, რომ საშინელ მეზობლებს თავს დააღწევდა, ხელახლა სცადა მათთან მოლაპარაკება. ფოტოსურათიც თვითონვე გადასცა, რაც, რა თქმა უნდა, იმათ მოსთხოვეს. შუა ლაპარაკში რომ იყო, მოსამსახურე გოგომ შეატყობინა, მონრო დაბრუნდაო. ქალი შეშინდა, ქმარი პირდაპირ კოტეჯში გამოეშურებაო, რის გამო უკანა გასასვლელით, ალბათ მეზობელ ნაძვნარში საჩქაროდ გახიზნა ბინადარნი. ამრიგად, ჩვენმა კლიენტმა სახლი უკაცრიელი ნახა. მაგრამ ძალიან გაკვირვებული დავრჩები, თუ ამ საღამოს სახლის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდება, რომ კოტეჯი ისევ ცარიელია... რას ფიქრობთ ჩემს ჰიპოთეზაზე?

- ჩემი აზრით, ეს მხოლოდ კარგი ვარაუდია.

- დიახ, მაგრამ ის ყველაფერს შუქს ჰფენს. თუ ახალი ფაქტები გამოჩნდება, რომელთა ახნა ახლა ჭირს, ჩვენ დრო საკმაო გვექნება, რომ ჩემი ჰიპოთეზა გადავსინჯოთ. სულ ერთია, ვიდრე ჩვენი მეგობრისაგან რაიმე ცნობას არ მივიღებთ, არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

ცდა დიდხანს არ დაგვჭირვებია. საუზმეს რომ მოვრჩით, დეპეშაც მოვიდა:

«კოტეჯი დაკავებულია. ისევ ვნახე ფანჯარაში ის ყვითელი სახე. შვიდ საათზე სადგურზე დაგხვდებით. თქვენს ჩამოსვლამდე არაფერს ვიღონებ».

მონრო ბაქანზე გველოდა. სადგურის ფარნების შუქზე ადვილად შევნიშნე, რომ მღელვარებისაგან ფერი მიხდოდა და ერთიანად ცახცახებდა.

- ჯერ კიდევ იქ არიან, მისტერ ჰოლმს, - თქვა და ჩემს მეგობარს ხელი მოჰკიდა. - გვერდით რომ ჩავუარე, კოტეჯში შუქი შევნიშნე. ამ საქმეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ბოლო მოვუღოთ.

- რა გეგმა გაქვთ? - ჰკითხა ჰოლმსმა, ვიდრე ბნელ ხეივანს ქვემოთ მივყვებოდით.

- მე მინდა თუნდაც ძალით შევიჭრა კოტეჯში და ჩემი თვალებით დავინახო, ვინ არის იმ სახლში. გთხოვთ ორივეს, ჩემი მოწმეები იყოთ.

- თქვენი მხრიდან ეს აღთქმის დარღვევა იქნება, - უთხრა ჰოლმსმა.

- მე მტკიცედ გადავწყვიტე რადაც არ უნდა დამიჯდეს, კოტეჯში შევიჭრა.

- კეთილი. ვფიქრობ, მართალი ხართ. ყოველნაირი სიმართლე ჯობს ეჭვსა და გაურკვევლობას. ყველაზე კარგი იქნება პირდაპირ გავეშუროთ. რა თქმა უნდა, კანონს ვარღვევთ, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირს კიდეც.

ძალიან ბნელი ღამე იყო. ფართო გზიდან იმ ბილიკისკენ შევუხვიეთ, ორსავე მხარეს რომ ნაკვალევი ჩაჰყვებოდა. ჟინჟღლა დაიწყო. მისტერ გრანტ მონრო მოუთმენლად მიისწრაფოდა წინ, ჩვენც თვალებდაცეცებულნი ბორძიკით მივყვებოდით უკან.

- აი, იქ ჩემი სახლიდან გამომავალი შუქი მოჩანს, - წაილუღლუღა მან და ხეებს შორის მოციმციმე სინათლეზე მიგვითითა. - ეს კი კოტეჯია და ახლა მე იქ შევალ.

ბილიკზე შევუხვიეთ და ზედ კოტეჯთან მივედით. კარი ნახევრად ღია იყო. შავ მიწაზე ჩანდა შუქის ყვითელი ზოლი. ზედა სართულზე ერთი ფანჯარა კარგად იყო განათებული. ფარდაზე რაღაც ლაქასავით მოჩანდა.

- ის პირუტყვი იქაა! - შესძახა გრანტ მონრომ. - ხომ ხედავთ, რომ იქ ვიღაც არის! ახლა მომყევით და მალე ყველაფერს გავიგებთ.

კარს მივუახლოვდით. უეცრად სიბნელიდან ქალი გამოვიდა. მისი სახე ვერ შევნიშნე, მაგრამ დავინახე, რომ მაველრებელივით ხელები წინ გაიშვირა.

- ღვთის გულისათვის, ჯეკ! - შესძახა ქალმა. - რად გინდათ ყველაფერი გაიგოთ. ასეც ვიცოდი, რომ მოხვიდოდით. დამშვიდდით, ძვირფასო! ისევ დამიჯერეთ და არასოდეს არ ინანებთ.

- მეტად დიდხანს გენდობოდით, ეფი, - მიუგო ქმარმა მკაცრი კილოთი. - გამიშვით, გამატარეთ. ესენი ჩემი მეგობრები არიან. ჩემს დასახმარებლად მოვიდნენ, რათა ამ საქმეს სამუდამოდ მოუღონ ბოლო.

რაც დაიჟინა, გაიტანა კიდეც. ქალს ხელი ჰკრა, გზიდან ჩამოიცილა და ჩვენც მივყევით. როცა კარი გააღო, ვიღაც დედაბერი ჩვენს შესახვედრად გამოეშურა. ცდილობდა გზა გადაეჭრა, მაგრამ გრანტ მონრომ ისიც ჩამოიცილა და ერთი წუთის შემდეგ კიბეს ავუყევით.

ეს იყო მყუდრო, კარგად მორთული ოთახი. ორი სანთელი მაგიდაზე ციმციმებდა. ორიც ბუხარზე. კუთხეში პატარა მაგიდასთან ჩვენკენ ზურგშექცევით ვიღაც პატარა გოგონა იჯდა. წითელი კაბა და გრძელი თეთრი ხელთათმანები ეცვა. ჩვენკენ რომ შემობრუნდა, გაოცებისა და შიშისაგან შევყვირე. მკვდრის ფერი ედო. მკრთალსა და უცნაურ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ შეინიშნებოდა.

თვალის დახამხამებაში საიდუმლოებას ფარდა აეხადა. ჰოლმსმა გაიცინა და ბავშვს ყურზე ხელი ჩამოუსვა. ნიღაბი დავარდა, და ხელში შემოგვრჩა პატარა ნახშირივით შავი ზანგი გოგონა. გაგვიღიმა და მისმა თეთრმა კბილებმა გაიელვეს. ჩვენი გაკვირვებული სახეების ხილვამ გააცინა. მისი სიხარულის თანაგრძნობის ნიშნად მეც გადავიხარხარე. მაგრამ გრანტ მონრო გაშეშდა. ბავშვისათვის თვალი არ მოუცილებია, ხელი კი მკერდზე მიდებული ჰქონდა.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მან. - რას ნიშნავს ეს?

- მოგახსენებთ, რასაც ნიშნავს, - წარმოთქვა ამ დროს ოთახში შემოსულმა, ამაყი და მტკიცე გამომეტყველების ქალმა. - თქვენ მაიძულეთ ჩემი სურვილის წინააღმდეგ თქვენთვის ყველაფერი გამემხილა. ახლა ორივეს მოგვიხდება სინამდვილესთან შერიგება. ჩემი ქმარი ატლანტაში მოკვდა, ბავშვი კი გადარჩა.

- თქვენი ბავშვი?

ქალმა მკერდიდან მოიხსნა დიდი ვერცხლის მედალიონი:

- არასოდეს არ გინახავთ ეს მედალიონი გახსნილი?

- მე ვფიქრობდი, რომ ის არ იხსნება.

მონროს ცოლმა ზამბარას თითი დააჭირა თუ არა, მედალიონი გაიღო. შიგ განსაცვიფრებლად ლამაზი და ჭკვიანი აფრიკული იერის მქონე ადამიანის სურათი აღმოჩნდა.

- აი, ის ჯონ ჰიბრონი ატლანტელი, - თქვა მანდილოსანმა. - მასზე უფრო სათნო ადამიანი არასოდეს შობილა დედამიწაზე. მე ნათესავები დავკარგე, რომ ამ კაცს გავყოლოდი, და ვიდრე ცოცხალი იყო, ჩემი საქციელი არც მინანია. როგორც ხედავთ, ჩვენი ბავშვი უფრო მისი ტომის ადამიანებს ჰგავს. მსგავს ქორწინებებში ასეთი შემთხვევები ხშირია და პატარა ლუსი თავის მამაზე ბევრად უფრო შავი გაჩნდა. მაგრამ თეთრია თუ შავი, იგი ჩემი ღვიძლი შვილია, ჩემი სისხლი და ხორცი და ჩემთან უნდა იყოს.

დედის სიტყვების გაგონებაზე გოგონამ მასთან მიირბინა და მაგრად ჩაეხუტა.

- ამერიკაში დავტოვეთ, - განაგრძო ქალმა, - მხოლოდ იმის გამო, რომ სუსტი იყო და ჰავის გამოცვლას შეეძლო მისი ჯანმრთელობისათვის ზიანი მიეყენებინა. ბავშვის აღზრდა მივანდე ჩვენს ერთგულ შოტლანდიელ ქალს, რომელიც ოდესღაც გვემსახურებოდა. არასოდეს, არც ერთი წუთით არ მიფიქრია ლუსის დედობაზე უარი მეთქვა. მაგრამ როცა თქვენ შეგხვდით, ჯეკ, და შეგიყვარეთ, შემეშინდა ამისი თქმა, შვილი მყავს-მეთქი.

მომიტევე, ღმერთო! მაგრამ მე მეშინოდა თქვენი დაკარგვისა და სითამამე არ მეყო, ყოველივე გამემხილა. არჩევანის წინაშე დავდექი თქვენსა და ასულს შორის.

ჩემი სულმოკლეობის წყალობით შვილს დავემშვიდობე. სამი წელი გიმალავდით მის არსებობას. ძიძა ყველაფერს მატყობინებდა და ვიცოდი, რომ ბავშვი სრულიად ჯანმრთელია. ბოლოს, შვილის ნახვის დაუძლეველი სურვილი ვიგრძენი. ვიცოდი, რა საშიშიც იყო ეს, მაგრამ მაინც გადავწყვიტე რამდენიმე კვირით ბავშვის ჩამოყვანა. მე გავუგზავნე ძიძას ასი გირვანქა და ამ კოტეჯზე მივუთითე, რათა აქ უბრალო მეზობელივით დასახლებულიყო და ჩვენი ურთიერთობა არაფრით გაეცა. იმდენად ვფრთხილობდი, რომ ვუბრძანე, დღისით შინ ჩაეკეტა ბავშვი, თანაც ისე დაეფარა სახე და ხელები, რომ მეზობლებსაც არ დაეწყოთ მითქმა-მოთქმა, აქ ზანგი გოგონა ცხოვრობსო. უმჯობესი იქნებოდა ნაკლები სიფრთხილე გამომეჩინა! ასე უფრო გონივრული იქნებოდა, მაგრამ მე თითქმის შეშლილივით ვიყავი და სულ იმას ვცდილობდი, ამ ამბავს თქვენს ყურამდე არ მოეღწია.

პირველად თქვენგან გავიგე, რომ კოტეჯი გაქირავებულია. სხვა რა ღონე იყო, დილამდე უნდა მეცადა, თუმცა მღელვარებისაგან დაძინება არ შემეძლო. ბოლოს გადავწყვიტე ბავშვის სანახავად ღამე გავპარულიყავი ღრმად დარწმუნებული, რომ კვლავინდებურად მაგრად გეძინებოდათ. მაგრამ თქვენ შენიშნეთ ჩემი გაპარვა, და ეს იყო მთელი ჩემი უბედურების დასაწყისი. მეორე დღეს უკვე თქვენს ხელთ იყო ჩემი საიდუმლოების გამომჟღავნება, მაგრამ კეთილშობილურად თქვით უარი და ძალა არ დამატანეთ გამემხილა რაიმე. სამი დღის შემდეგ კი ძიძამ და გოგონამ ძლივს

მოასწრეს უკანა კარიდან გასვლა, როცა სახლში თქვენ შეიჭერით... აი, ახლა უკვე იცით ყველაფერი, და გეკითხებით, რა მოგველის ჩვენ - მე და ჩემს ბავშვს?

მონროს მეუღლემ ხელი ხელს მოუჭირა და პასუხის მოლოდინში გაჩუმდა.

გავიდა ათი გრძელი წუთი, ვიდრე გრანტ მონრო ხმას ამოიღებდა. მისი პასუხი ისეთი იყო, რომ ახლაც სიხარულით ვიგონებ.

გოგონა აიყვანა, შემდეგ ცოლს გაუწოდა ხელი და მასთან ერთად კარისაკენ გაემართა.

- უკეთესი იქნება ყველაფერზე შინ მოვილაპარაკოთ, - ესა თქვა მხოლოდ. - მე არა ვარ ძალიან კარგი ადამიანი, ეფი, მაგრამ ვფიქრობ, რომ იმაზე ბევრად უკეთესი კი ვარ, როგორც თქვენ წარმოდგენაში ვყოფილვარ.

მე და ჰოლმსი გავედით. ჩემმა მეგობარმა ხელში ხელი ჩამავლო, უკან გამწია და ხმადაბლა მითხრა:

- მგონი, ლონდონში უფრო საჭირო ვიქნებით, ვიდრე ნორბერიში.

მეტად ამ საქმეზე სიტყვა აღარ დაუძრავს, მხოლოდ გვიან საღამოს, დაძინების წინ თქვა:

- უოტსონ, თუ ოდესმე მოგეჩვენოთ, რომ მეტისმეტად დაჯერებული ვარ ჩემს თავში, ან იმაზე ნაკლებს ვმუშაობ საქმეზე, ვიდრე საჭიროა, - გეთაყვა, ყურში ჩამჩურჩულეთ: «ნორბერი», და ძალიან დაგიმადლებთ.

ცისფერი კარბუნკული

ქრისტეშობის მეორე დღეს, დღესასწაულის მისალოცად ჩემი მეგობარი - შერლოკ ჰოლმსი მოვინახულე. მას მეწამული ფერის ხალათი ეცვა და დივანზე წამოწოლილიყო. ხელმარჯვნივ მისაწვდომზე ჩიბუხები ეწყო, ხელმარცხნივ კი დაჭმუჭნილი, დილის გაზეთების ზვინი იდგა. ეტყობოდა, გაზეთები ის-ის იყო, გადაეკითხა. ტახტთან შევნიშნე ზურგიანი ხის სკამი, რომელზეც ძალზე გაცრეცილი და ხმარებისაგან ალაგ-ალაგ დაჭმული ქუდი ეკიდა. სკამზე დაგდებული ქუდი, ოპტიკური მინა და ქირურგიული სატაცი იმწამსვე მიგახვედრებდათ, რომ შერლოკ ჰოლმსს ქუდი დაკვირვებით დაეთვალიერებინა, კარგად გაესინჯა და გულდასმით შეემოწმებინა.

- ალბათ დაკავებული ხართ და ხელი შეგიშალეთ, არა? -ვუთხარი მე.

- სრულიადაც არა. პირიქით, მოხარული ვარ, რომ ამ წამს ჩემს გვერდით იქნებით და შესაძლებლობა მექნება, ჩემი დასკვნები გაგიზიაროთ. ამბავი როგორღაც გაცვეთილი ჩანს (და ცერით ქუდზე მანიშნა), მაგრამ ამ საქმესთან, მე მგონი, ძალიან საინტერესო და ჭკუისსასწავლი თავგადასავალი უნდა იყოს დაკავშირებული.

მე სავარძელში ჩავჯექი და ხელები ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მივუფიცხე. გარეთ ისე საშინლად ყინავდა, რომ სარკმლის მინები ჭირხლს ერთიანად მოეხატა და კარგა გვარიანადაც გაესქელებინა.

- ჩემი აზრით, - წამოვიწყე მე, - ამ ერთის შეხედვით უბრალო ქუდთან, რაღაც უბედური ამბავი უნდა იყოს დაკავშირებული. ალბათ ეს ქუდი იქნება თქვენთვის იდუმალებით მოცული საქმის გასაღები და დამნაშავეც დაისჯება.

- არა, არა. არავითარი დანაშაული, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა სიცილით. - ეს მხოლოდ ერთი პატარა, უცნაური შემთხვევაა, რომელიც ყოველთვის მოხდება იქ, სადაც ოთხი მილიონი ადამიანი ძალიან პატარა სივრცეზე სახლობს და ერთმანეთში ირევა. ამ აუარება ხალხის ყოველ მოქმედებასა და უკუმოქმედებას თან ჯაჭვივით

გადაბმულ ათასგვარ შემთხვევათა კომბინაცია ახლავს. ხშირად ბევრი პატარა ამბავი, ერთის შეხედვით, ძალიან უცნაური და საკვირველია, მაგრამ დანაშაულის ნიშნებს სრულიად არ შეიცავს. მე მქონდა ბევრი ასეთი შემთხვევა.

- სწორედ აგრეა, - ჩავურთე მე, - ექვსი შემთხვევიდან, რომელიც ჩემი შენიშვნების წიგნში შევიტანე, სამი არავითარ დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.

- მართალია. თქვენ აირენ ადლერის, მის მერი საუთერლენდის და ტუჩგახეთქილი კაცის თავგადასავლის საქმეებზე გადამიკარით ხომ სიტყვა? ძალიან კარგი. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს პატარა ამბავიც, ამნაირ უცოდველ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება. თქვენ ხომ იცნობთ პეტერსონს, შიკრიკი რომაა?

- დიახ.

- ეს ნადავლი იმას ეკუთვნის.

- პეტერსონის ქუდია?

- არა, არა, პეტერსონმა იპოვა. პატრონი ვინაა, უცნობია. მე გთხოვთ, ქუდი ისე დაათვალიეროთ, როგორც ძნელად ამოსახსნელ ამოცანას შეჰფერის და არა, როგორც რაიმე ძველმანი საგანი. პირველ ყოვლისა იმას გიამბობთ, ეგ ქუდი აქ როგორ მოხვდა. პირველად იგი ვნახე ქრისტეშობის დილას, ერთ მსუქან ბატთან ერთად, რომელსაც ახლა ალბათ პეტერსონი ცეცხლზე ატრიალებს. აი, ამ ამბის ისტორია: შობა დილით, დაახლოებით ოთხ საათზე, პეტერსონი, რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ, ძალიან პატიოსანი კაცია, ოდნავ შექეიფიანებული ტოტენჰემ კორტის გზით შინ ბრუნდებოდა. გაზის ფარნის შუქზე მან შენიშნა, რომ ვიღაც აყლაყუდას, თეთრი ბატი მხარზე გადაეკიდებინა და მის წინ ოდნავი ბარბაცით მიდიოდა. გუჯის ქუჩის კუთხეს რომ მიაღწია, ვიღაც ავარებმა უცნობს გაპამპულება მოუნდომეს. ერთმა მათგანმა ქუდი მოხადა და გადაუგდო. უცნობმა თავდასაცავად ჯოხი დაატრიალა, მაგრამ უცაბედად მაღაზიის ვიტრინას მოახვედრა და შუშა ერთიანად ჩალეწა. პეტერსონი უეცრად გამოვარდა წინ, რომ უცნობს გამოსარჩლებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი შუშის ჩამსხვრევამ და ფორმაში გამოწყობილი კაცის დანახვამ ისე შეაშინა, რომ ბატი ხელიდან გააგდო, უკან მოუხედავად მოჰკურცხლა და ტოტენჰემ კორტ-როულის უკან მდებარე ქუჩის ლაბირინთებში გაუჩინარდა. პეტერსონის გამოჩენაზე ავარებიც აქეთ-იქით მიიმალნენ. ბრძოლის ველის ბატონ-პატრონი პეტერსონი შეიქმნა და გამარჯვების ნაყოფი: - გაცვეთილი ქუდი და შესანიშნავი მსუქანი ბატიც, მანვე მოიმკო.

- რომელიც მან პატრონს უკანვე დაუბრუნა, არა?

- სწორედ მანდაა ძაღლის თავი დამარხული. მართალია, ბატის მარცხენა ფეხზე ჩამოკიდებულ ქაღალდს, მისის ჰენრი ბეიკერი აწერია, ისიც სწორია, რომ ინიციალები ჰ.ბ. ქუდის ცაზე შიგნიდანაა აღნიშნული, მაგრამ ვინაიდან ქალაქში ათასობით ბეიკერი ცხოვრობს და ასობით მათგანს სახელად მონრო ჰქვია, ძნელია მათში ბატის ნამდვილი პატრონი აღმოაჩინო და დაკარგული ქონება დაუბრუნო.

- მაშ, როგორ მოიქცა პეტერსონი?

- რაკი იცოდა, რომ გამოსაკვლევი საქმის ყველა წვრილმანი მაინტერესებს ხოლმე, პეტერსონმა ბატიცა და ქუდიც ქრისტეშობის დღეს, სისხამ დილით, ჩემთან მოარბენინა. ბატი დღევანდლამდე ჩემთან იყო. დღეს დილით კი, ყინვების მიუხედავად, გადავწყვიტე, რომ მისი ხორცით ყელის ჩაკოკლოზინება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა და პეტერსონს დავუბრუნე. იმ ბატს ალბათ ეწერა, რომ პატრონის ნაცვლად ბოლოს პეტერსონი მოუღებდა. მე კი იმ უცნობი ჯენტლმენის ქუდი შემომრჩა, ვინც ქრისტეშობის დღის სადილი დაკარგა.

- დამკარგავს გაზეთში განცხადება ხომ არ მოუთავსებია?

- არა.

- აბა, რა გზითა და გასაღებით უნდა მიაკვლიოთ ბატის ყოფილ პატრონს?

- მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ გონება ავამუშაოთ, ვიფიქროთ და ჩვენი მიხვედრილობის წყალობით ვაკეთოთ დასკვნები.

- და ყველა მიხვედრისა და დასკვნის ამოსავალი წერტილი ეს ქუდი იქნება?

- რა თქმა უნდა.

- თქვენ ხუმრობთ, ჰოლმს. აბა ამ ჭუჭყიანი, გაცრეცილი და ძველი ქუდიდან რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

- აი, აქ არის ლინზა, კარგად დაათვალიერეთ ქუდი და ჩემი მეთოდის გამოყენებით თამამად გამოთქვით თქვენი აზრი, იმ ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ვისაც ეს ქუდი ეკუთვნის.

დაგლეჯილ-დაფლეთილ ქუდს ხელი დავავლე და სასოწარკვეთილმა დიდხანს ვუკირკიტე. იგი სავსებით ჩვეულებრივი, მრგვალი, ხეშეში და ხმარებისაგან ლაზათდაკარგული რამ გახლდათ. ქუდის ოდესღაც წითელი აბრეშუმის სარჩული გაცრეცილი და ფერგადასული გამოიყურებოდა. რომელი სახელოსნოს ნაწარმი იყო, იარლიყზე აღარ ეტყობოდა, თუმცა, როგორც ჰოლმსმა შენიშნა, ჰ. ბ. ინიციალები ერთ კუნჭულში ვიღაცას აჩხაბაჩხად მიეჩხაპნა. ქუდის კიდეში საწმენდი რეზინის ნასვრეტი აღმოვაჩინე, მაგრამ რეზინი შიგ აღარ იდო. ერთი სიტყვით, ქუდი ლაზათდაკარგული, ჭუჭყიანი და დალაქავებული იყო. დაკვირვებისას შეიმჩნეოდა, რომ ამ ლაქების დასაფარავად პატრონს მელანი ეხმარა.

ვერაფერი შევნიშნე-მეთქი, წარმოვთქვი უხერხულად და ქუდი ჰოლმსს დავუბრუნე.

- პირიქით, უოტსონ თქვენ ყველაფერს ამჩნევთ, მაგრამ აზრის ხმამაღლა გამოთქმისა გეშინიათ. თქვენი დასკვნების გამოტანისას სიმხდალეს იჩენთ და მეტი არაფერი.

- მაშინ თქვენ თქვით, რა დასკვნების გაკეთება შეგიძლიათ.

ჰოლმსმა ქუდს წამოავლო ხელი და დამახასიათებელი გულისყურითა და დაკვირვებით დააცქერდა. - ბევრი რამ, - წამოიწყო ჩემმა მეგობარმა, - აქ სავარაუდებელი უფროა, ვიდრე გარკვეული. ერთი სიტყვით, ძალიან ცოტა რამაა ცხადი და უფრო მეტი რამ საეგებიო და საგულისხმო. ის ამბავი, რომ ქუდის პატრონი მაღალნიჭიერი კაცია, აშკარაა. ისიც ცხადია, რომ სამი წლის წინათ ხელგაშლილად უცხოვრია, მაგრამ, ამჟამად შავი დღე დასდგომია და გასაჭირში ჩავარდნილა. - ეტყობა, საგნებს, მოვლენებს და მომავალს წინასწარ ჭვრეტდა და წინდახედულებაც არ აკლდა, მაგრამ ეს უწინ ყოფილა. აშკარაა, მერე რაღაც ავი ზნე შეეყარა, რამაც მისი ბედი ჩარხუკუღმა დაატრიალა - ალბათ გალოთდა და ამიტომ ნივთიერადაც დაქვეითდა. ისიც ნათელია, რომ მასზე ცოლსაც აუყრია გული.

- ძვირფასო ჰოლმს!.. - ჩავურთე მე, მაგრამ ჩემმა მეგობარმა სულმოთქმელად განაგრძო. - საკუთარი ღირსების გრძნობა, ასე თუ ისე, მაინც შეუნარჩუნებია. თანაც ეტყობა, ისეთ საქმიანობას ეწევა, რომ დიდხანს ჯდომა უხდება. სახლიდან იშვიათად გამოდის, საშუალო ხნისაა, სხეულის წვრთნას არ დაგიდევთ, ჭაღარით მოსილია და ამ ცოტა ხნის წინათ თმა შეუკრეჭინებია. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სახლში გაზის განათება არა აქვს.

- თქვენ ნამდვილად ხუმრობთ, ჰოლმს.

- არავითარ შემთხვევაში. ნუთუ, როცა ჩემი დაკვირვების შედეგად მიღწეული შედეგები ასე დაწვრილებით გაგაცანით, ახლაც ვერ ხვდებით, როგორ მივაღწიე მათ ამოხსნას?

- შტერი და მიუხვედრელი რომ ვარ, კარგად ვიცი. მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, რომ თქვენს აზრთა დინებას ვერ მივყვები ხოლმე. აბა, საიდან აიღეთ, რომ ის კაცი მაღალი ნიჭიერებით გამოირჩევა? - პასუხის მაგიერ ჰოლმსმა ქუდი საკუთარ თავზე დაიხურა, რომელმაც შუბლი დაუფარა და ცხვირის კეხამდე უწია. - აქ კუბიკური ტევადობის საკითხია, - თქვა მან, - ასეთი დიდი მოცულობის თავი ცარიელი ხომ არ იქნება!

- ის საიდანღა მოიტანეთ, ახლა შავ დღეში ჩავარდნილაო?

- ეს ქუდი სამი წლისა გახლავთ. ბრტყელი და ბოლოში აპრეხილკიდეებიანი, ასეთი ქუდი მაშინ იყო მოდაში, თანაც უმაღლესი ხარისხისაა. აბა, ლენტსა და აბრეშუმის სარჩულს დააკვირდით. თუკი ადამიანმა ამ სამი წლის წინათ ასეთი ძვირფასი ქუდი შეიძინა და მას მერე ვეღარ გამოიცვალა, ცხადია, საქმეები კარგად არ უნდა მიუდიოდეს.

- ის, რაც განმარტეთ, ნათელია, მაგრამ წინასწარ ჭვრეტასა და წინდახედულებას როგორ ახსნით, ან რაღაც ავი ზნე შეჰყრიაო, რომ სთქვით, საიდან მოიტანეთ?

ჰოლმსმა გაიცინა. - წინასწარჭვრეტასა და წინასწარდახედულებას როგორ ახსნითო, მეკითხებით, არა? ახლავე გიჩვენებთ, - თქვა და ყბის ქვეშ ამოსადებ პატარა რეზინისათვის განკუთვნილ ნაჩვრეტს თითი დაადო. ხომ მოგეხსენებათ, რომ რეზინი ქუდთან ერთად არ იყიდება. თუ ქუდის პატრონმა რეზინი ქუდის დასამაგრებლად შეიძინა, რომ ქარიან ამინდში უშიშრად ევლო - აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ იგი წინდახედული და შორსმჭვრეტელი ადამიანი ყოფილა. მაგრამ, როგორც ხედავთ, რეზინს ელასტიურობა დაუკარგავს და პატრონს მის შეცვლაზე აღარ უზრუნია. აქედან ცხადია, რომ ქუდის პატრონი ამჟამად თავის თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევს და დაუდევარი ადამიანი გამხდარა. მეორეს მხრივ მას გულმოდგინედ უცდია ქუდზე არსებული ლაქები მელნით დაეფარა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქუდის პატრონს საკუთარი ღირსების გრძნობა ჯერ კიდევ შერჩენია.

- თქვენი მოსაზრებანი დამაჯერებლად ჟღერს, - ვუთხარი მე.

- მაშ, მომდევნო ამბები, რომ ქუდის პატრონი საშუალო ხნისაა, ჭაღარა შეღებილი თმა აქვს, რომელიც ამას წინათ შეიკრიჭა, ქუდის სარჩულის გულმოდგინე დათვალიერებით დავადგინე. გამადიდებელ შუშაში მშვენივრად მოჩანს შეკრეჭილი პატარ-პატარა თმა, რომლებსაც საღებავის სურნელი და წებოვნება კიდევ შერჩენიათ. ქუდი ქუჩის რუხი ქვიშანარევი მტვერით კი არაა დაფარული, არამედ სახლის მტვრის რაღაც ღინღლოვანი, ბუსუსიანი, ყავისფერი ნავლი და ბუქი აყრია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქუდი უმეტეს წილად სახლში ეკიდა, ხოლო ქუდის შიგნითა მხარის დანოტიება იმით უნდა აიხსნას, რომ მისი პატრონი მოძრაობას გადაეჩვია და სიარულისას მალე ოფლიანდება ხოლმე.

- მაგრამ, ცოლზე რომ თქვით, ეტყობა, ქმრისადმი ძველებურ მზრუნველობას ვეღარ იჩენს და გაგულგრილებულაო?

- ქუდი უკვე რამდენიმე კვირაა, აღარავის გაუწმენდია, უოტსონ! ჩემო ძვირფასო მეგობარო, თუ შევნიშნე, რომ თქვენს ქუდს ერთი კვირის მტვერი ზედ ადევს, აუცილებლად ვიფიქრებ, რომ ცოლმა თქვენზე გული აიყარა.

- იქნებ ამ ქუდის პატრონი უცოლოა?

- არა, ჩემო ტკბილო მეგობარო, ბატი შინ სწორედ ცოლის გასახარებლად მიჰყავდა. გახსოვთ ის ბარათი, ბატს ფეხზე რომ ება?

- თქვენ პასუხი ყველაფრისათვის მომზადებული გაქვთ, მაგრამ ის საიდანღა დაასკვენით, ქუდის პატრონს შინ გაზის განათება არა აქვსო?

- სანთლის ცხიმის ერთი ლაქა შეიძლება შემთხვევით იყოს, მაგრამ თუ ქუდზე ერთი ხუთი მაინც აღმოაჩინე, აქედან იმ დასკვნას გავაკეთებ, რომ მისი პატრონი ქონის სანთლით სარგებლობს. ალბათ ღამღამობით, მაღლა სართულზე ასვლისას, ცალ ხელში ქუდი უჭირავს ხოლმე, ხოლო მეორეში სანთელი. როგორც არ უნდა იყოს, ქუდს გაზისაგან ცხიმოვანი ლაქები არ გაუჩნდებოდა. კმაყოფილი ხართ თუ არა ჩემი პასუხით?

- პასუხები ძალიან მარჯვე და საზრიანია, - ვუთხარი მე სიცილით, - მაგრამ რაც თქვენ სთქვით, იმაში დანაშაულის კვალი არ მოჩანს, ბატის დაკარგვით ზარალი პატრონს გარდა არავის უნახავს და თქვენც ცუდ-უბრალოდ გაისარჯეთ.

შერლოკ ჰოლმსმა პირი გააღო, რომ ჩემთვის პასუხი გაეცა, მაგრამ სწორედ იმ წამს ოთახში აღელვებული და ლოყებღაჟღაჟებული შიკრიკი პეტერსონი შემოვარდა.

- ბატი, მისტერ ჰოლმს! ბატი, სერ! - ძლივს ამოთქვა მან.

- რა იყო, პეტერსონ? რა ნახეთ ასეთი გასაოცარი? ნუთუ ბატი გაცოცხლდა და სამზარეულოს ფანჯრიდან გაგიფრინდათ?

ტახტზე მჯდომი ჰოლმსი შემოტრიალდა, რომ აღელვებული შიკრიკი უფრო კარგად შეეთვალიერებინა.

- აბა შეხედეთ, სერ! შეხედეთ ერთი, ჩემმა ცოლმა ბატის ჩინჩახვში რა აღმოაჩინა! - მან წინ წამოსწია ხელი, რომლის შუაგულზე ჩვენ ლურჯად მოელვარე, ლობიოს მარცვლისოდენა ქვა შევნიშნეთ. ქვა პეტერსონის ჩაშავებულ ხელში ელექტრონის სხივივით ციმციმებდა და ბზინავდა.

შერლოკ ჰოლმსმა გაოცებისაგან დაუსტვინა. - ეშმაკმა დალახვროს ყოველი ცუდი საქმე, პეტერსონ! - წამოიწყო მან, - თქვენ ჭეშმარიტი განძი გიპოვიათ, იცით, რაც იპოვეთ, არა?

- ალმასი, სერ! ძვირფასი ქვა! შუშას ყველივით ჭრის.

- ეს მართო ძვირფასი ქვა კი არაა, სწორედ ის ძვირფასი ქვაა.

- ნუთუ გრაფის მეუღლე მორკარის ცისფერი კარბუნკულია, - წამოვიძახე მე.

- სწორედ ისაა. ამ ძვირფას ქვაზე უკვე ყოველივე ვიცი, ვინაიდან «ტაიმსის» განცხადებებს ყოველდღიურად ვკითხულობ. ეს ალმასის ძვირფასი ქვა აბსოლუტურად უნიკალურია და ის ათასი გირვანქა, რასაც მის მპოვნელს განცხადებებში ჰპირდებიან, მისი ნამდვილი ფასის მეოცედ ნაწილსაც არ შეადგენს.

- ათასი გირვანქა! გმადლობთ, მაღალო ღმერთო! - ესა თქვა შიკრიკმა, სავარძელში ჩაეშვა და ხან ერთს და ხან მეორეს გვაშტერდებოდა.

- მართალია, საჩუქრად ათასი გირვანქაა გამოცხადებული, მაგრამ მე ვიცი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, გრაფის მეუღლე ამ ცისფერი კარბუნკულისათვის თავისი ქონების ნახევარსაც არ დაიშურებს, - მშვიდად თქვა ჰოლმსმა.

- როგორც მახსოვს, კარბუნკული სასტუმრო «კოსმოპოლიტენში» დაიკარგა, - ჩავურთე მე.

- სწორედ აგრეა, - წამოიწყო ჰოლმსმა, - ეს მოხდა ოცდაორ დეკემბერს. ამ ხუთი დღის წინათ გრაფის მეუღლის ძვირფასეულობის ყუთის გახსნა და ცისფერი კარბუნკულის მოპარვა წყალსადენის მრჩილავ ოსტატს, ჯონ ჰორნერს დაბრალდა. ჰორნერის წინააღმდეგ ისეთმა ძლიერმა მამხილებელმა საბუთებმა მოიყარა თავი, რომ იგი სამართალში მისცეს. როგორც მახსოვს, ამ საქმის თაობაზე გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ხელთ უნდა მქონდეს. - ჰოლმსი თარიღის მიხედვით შეუდგა საჭირო გაზეთის ძებნას, და მანამდე ქექავდა «ტაიმსის» გროვას, ვიდრე ის ნომერი არ იპოვნა, რომელსაც ეძებდა. მერე გაზეთი შუაზე გაკეცა და ხმამაღლა კითხვას მოჰყვა: - «ძვირფასი ქვის მოპარვა სასტუმრო «კოსმოპოლიტენში» - ჯონ ჰორნერს, ოცდაექვსი

წლისას, ხელობით წყალსადენის მრჩილავ ოსტატს, ბრალი ედება მასში, რომ ა.წ. 22 რიცხვში გრაფი მორკარის მეუღლის ძვირფასეულობის ყუთიდან მოიპარა ცისფერ კარბუნკულად წოდებული ალმასის ქვა. ჰოტელის უფროსმა მსახურმა, ჯეიმს რაიდერმა ძიებას უჩვენა, რომ მან ჰორნერი ნახა გრაფი მორკარის მეუღლის საწოლ ოთახში გაძარცვის დღეს, სადაც ის ბუხრის მოაჯირს რჩილავდა. რაიდერმა განაცხადა, რომ იგი ჰორნერთან ერთად ცოტა ხანს იყო ოთახში, მაგრამ შემდეგ გამოუძახეს. დაბრუნებისას შენიშნა, რომ ჰორნერი არსად ჩანდა, მაგიდის უჯრა ძალით გაეღოთ, და ტარსიკონის ყუთი, რომელშიაც, როგორც შემდეგში გამოირკვა, გრაფის მეუღლე ძვირფასეულობას ინახავდა, ცარიელი ეგდო ტუალეტის მაგიდაზე. რაიდერმა იმწამსვე ატეხა განგაში და ჰორნერი იმ საღამოსვე დააპატიმრეს. მაგრამ ალმასის ქვა ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვეღარსად იპოვეს. გრაფის მეუღლის მოახლე გოგომ - კატერინა კიუზაკმა ძიებას უჩვენა, რომ როგორც კი რაიდერის ყვირილს მოჰკრა ყური, ოთახში შევარდა და შენიშნა, რომ ძვირფასი ქვა გამქრალიყო, «-[1]» ქვედანაყოფის პოლიციის ინსპექტორმა ბრედსტრიტმა ჰორნერის დაპატიმრების ბრძანება გასცა. ეს უკანასკნელი ხელისუფლების წარმომადგენლებს უძალიანდებოდა და თავის უდანაშაულობის დამტკიცებას უშვერი სიტყვების მოშველიებით ცდილობდა. ვინაიდან ჰორნერი ქურდობისათვის წინათაც ყოფილა პასუხისგებაში, მოსამართლემ უარი თქვა მისი ბრალდების საქმის განხილვაზე და საქმე გასარჩევად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცა. სასამართლო საქმის წარმოების დროს ჰორნერი ამჟღავნებდა ძლიერ სულიერ აღელვებას, რაც იმით დამთავრდა, რომ საბოლოოდ გული შეუწუხდა და გარეთ სულთმობრძავი გაიტანეს».

- ჰმ! აი, ყველაფერი, რაც პოლიციის განცხადებაში წერია, - ჩაფიქრებით თქვა ჰოლმსმა და გაზეთი განზე გადადო.

- საკითხავი ახლა ის არის, ეს ძვირფასი ქვა გრაფის მეუღლის ტარსიკონის ყუთიდან როგორ მოხვდა ბატის ჩინჩახვში. ხედავთ, უოტსონ, ჩვენი მოსაზრებანი არც ისე უცოდველი ყოფილა და არცთუ ცუდუბრალოდ გავრჯილვართ. აი, აქ არის ეს ძვირფასი კარბუნკული, რომელიც ჩვენთან ბატის ჩინჩახვიდან მოხვდა, ბატი კი ჰენრი ბეიკერს ეკუთვნის. ეს ის ბეიკერია, ვისი ძველი ქუდისა და ხასიათის ზოგიერთი თავისებურების აღწერითაც თავი შეგაწყინეთ. ახლა კი ჩვენ სერიოზულად უნდა განვსაჯოთ, როგორ მოვძებნოთ ეს ჯენტლმენი და გავარკვიოთ, რა მონაწილეობა მიიღო მან ამ საიდუმლოებით მოცულ ამბავში. მისი მოძებნა რომ შევძლოთ, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე უბრალო მეთოდს უნდა მივმართოთ - ჩემის აზრით, ყველა საღამოს გაზეთში უნდა გამოვაქვეყნოთ განცხადებები. თუ ამ ხერხით საწადელს ვერ ვეწიეთ, მაშინ სულ სხვა გზას დავადგები.

- რა უნდა გამოვაცხადოთ გაზეთში?

- მომეცით ფანქარი, ქაღალდი და ახლავე დავწერ: «გუჯსტრიტის კუთხეში ნაპოვნია ბატი და ძველი შავი ქუდი. მისტერ ჰენრი ბეიკერს, თუ მოგვმართავს, შეუძლია დღესვე დაიბრუნოს დანაკარგი ბეიკერსტრიტზე ექვსის ნახევრიდან». ყველაფერი ძალიან მოკლედ და გასაგებადაა ნათქვამი.

- მართლაც, მაგრამ წაიკითხავს კი განცხადებას?

- აუცილებლად წაიკითხავს. მას ახლა სწორედ განცხადებებზე უჭირავს თვალი, ვინაიდან ასეთი გაღარიბებული ადამიანისათვის ბატის დაკარგვა არცთუ ისეთი იოლი საქმეა. ის უბედური მინის ჩამსხვრევამ და მისკენ სირბილით მავალი პეტერსონის დანახვამ ალბათ ისე დააბნია, რომ გაქცევის გარდა ყველაფერი გადაავიწყდა. მაგრამ მალე მწარედ ინანებდა შიშის ზარისაგან ნაკარნახევ საქციელს, რამაც ბატი დააკარგვინა. თუ თვითონ რა, ვინმე მისი ნაცნობი მაინც წაიკითხავს

გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას, ვინაიდან ჩვენ მის სახელსა და გვარს ვუთითებთ. აბა, პეტერსონ! ახლავე გაეშურეთ განცხადებების გამომაქვეყნებელ ბიუროში და ეცადეთ, რომ დღეს საღამოს გაზეთებში ჩვენს მიერ შედგენილი ტექსტი აუცილებლად მოათავსონ.

- რომელ საღამოს გაზეთებში, სერ?

- ოჰ, ვითომ არ იცით, «გლობუსში», «სტარში», «პედ მელში», «სენტ ჯეიმს გაზეთში», «ივნინგ ნიუსში», «სტანდარტში», «ექოში» და ერთი სიტყვით, ყველა გაზეთში, რომელიც მოგაგონდებათ.

- ძალიან კარგი, სერ. და ამ ძვირფას კარბუნკულს რა ვუყოთ?

- აჰ, დიახ, ამ ძვირფას კარბუნკულს თვითონ შევინახავ. გმადლობთ. აი, კიდევ რა უნდა გითხრათ, პეტერსონ. უკან რომ დაბრუნდებით, ბატი იყიდეთ და ჩვენთან მოიტანეთ. ეს იმ ბატის სანაცვლო იქნება, ახლა რომ თქვენიანები შეექცევიან.

შიკრიკი რომ გავიდა, ჰოლმსმა ალმასი აიღო, სინათლესთან მიიტანა და სინჯვა დაუწყო. - ძალიან ლამაზი რამაა, - წამოიწყო საუბარი ჩემმა მეგობარმა, - აბა, შეხედეთ როგორ ბრწყინავს და ელვარებს. როგორც ყველა ძვირფასი ნივთი, რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი ქვა დანაშაულობას გაამრავლებს. ეს ეშმას დაგებულ მახეს მიაგავს. ყველა დიდი და ძვირფასი ქვის უმცირეს ნაწილაკთან რაიმე სისხლიანი ამბავია დაკავშირებული. ამ ქვას ოცი წლის ისტორიაც არა აქვს. იგი სამხრეთ ჩინეთის მდინარე ამოის ნაპირის მკვიდრია და იმითაა შესანიშნავი, რომ კარბუნკულის ყველა თვისების გარდა ლურჯი ფერისაა და თავის წითელ თანამოძმეთაგან სწორედ ამით გამოირჩევა. მართალია, წელთა სიმრავლით დამძიმებული არაა, მაგრამ ავი და ბოროტი საქმეებით უკვე საკმაოდ იჩინა თავი. ორი მკვლელობა, ქერძაფის შესხმა, თვითმკვლელობა, რამდენიმე ძარცვა, აი, რა ბნელი საქმეებია დაკავშირებული ამ ნახევრად გამჭვირვალე ქვასთან, რომლის წონა სულ რაღაც ორმოცი გრამია. ვინ იფიქრებს, რომ ასეთი ძვირფასი სამშვენისი ადამიანებს ციხისა და სახრჩობელისაკენ უბიძგებს? ახლა კი კარბუნკულს ჩემს სეიფში ჩავკეტავ და გრაფის მეუღლეს შევატყობინებ, რომ ძვირფასი ქვა ჩვენთან ინახება.

- თქვენი აზრით, ჰორნერი არაა დამნაშავე?

- ვერ გეტყვით.

- ჰენრი ბეიკერი ხომ არაა იმ ბნელ საქმეში ჩათრეული?

- მე მგონი, იგი ნამდვილად უცოდველი გვრიტივით გამოიყურება. ასე ვფიქრობ, მას წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ ბატი, რომელიც სახლში მიჰყავდა, მთლიანად ოქროდ რომ ქცეულიყო, სინამდვილეში იმაზე მეტად ფასობდა. ამას სწრაფად დავადგენ, თუ ჰენრი ბეიკერი გამოჩნდა.

- მანამდე არავითარი ზომების მიღება არ შეიძლება?

- არა.

- მაშინ ჩემს საქმეებს მივხედავ და საღამოს დათქმულ საათზე აქ გავჩნდები, რადგან ამბავი ძალიან დახლართულად და აწეწილ-დაწეწილად გამოიყურება.

- ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შემოივლით. მე ჩვეულებრივ შვიდ საათზე ვსადილობ. როგორც ვიცი, დღეს სადილად გარეული ქათამი უნდა გვქონდეს. თუ მომხდარ ამბებს მივიღებთ მხედველობაში, მისის ჰადსონს უნდა ვთხოვო, ჩინჩახვი კარგად გაუსინჯოს.

რაღაც გადაუდებელმა ამბავმა შემაგვიანა და უკვე შვიდის ნახევარს გადაცილებული იქნებოდა, ბეიკერსტრიტზე რომ გავჩნდი. სახლს რომ მივუახლოვდი, იქ შოტლანდიურქუდიანი ვიღაც ახმახი კაცი შევნიშნე, რომელსაც

ნიკაპამდე შებნეული სერთუკი ეცვა. ეტყობა, ზარი უკვე დარეკილი ჰქონდა, მაგრამ კარი ჯერ არ გაეღოთ. ჩემი კართან მისვლა და მისი გაღება ერთსა და იმავე დროს მოხდა და ჩვენ ორივენი ჰოლმსის ოთახში ერთდროულად აღმოვჩნდით.

- თქვენ მისტერ ჰენრი უნდა იყოთ, - წარმოთქვა ჰოლმსმა, სავარძლიდან წამოიწია და სტუმარს იმ ძალდაუტანებელი თავისუფალი უშუალობით შეეგება, რომელიც ჰოლმსისათვის აგრერიგად იყო დამახასიათებელი. - ცეცხლთან ახლოს რომ სავარძელია, იმაში ჩაბრძანდით, მისტერ ბეიკერ. ცივი საღამოა და მე მგონია, თქვენ სიცხეს უფრო უნდა ეგუებოდეთ, ვიდრე სიცივეს. ოჰ, უოტსონ, სწორედ რომ დროულად მოხვედით. ეს თქვენი ქუდია, არა, მისტერ ბეიკერ?

- დიახ, სერ, რა თქმა უნდა, ჩემი ქუდია.

მისტერ ბეიკერი ზორზოხი კაცი გახლდათ, მხრებჩამრგვალებული და დიდთავა. ფართო, ინტელიგენტური სახე ჰქონდა, რომელსაც ყავისფერი, გაჭაღარავებული წვერი უმშვენებდა. ღაწვის თავებსა და ცხვირზე მოდებული ფორეჯი, და ოდნავ აკანკალებული მარჯვენა აშკარად მიგახვედრებდათ, რომ ჰოლმსის ვარაუდი მართალი გახლდათ, და იგი მსმელი კაცი უნდა ყოფილიყო. შავი, მოძველებული, საყელოგამოცვლილი სერთუკი ნიკაპამდე შეებნია. სახელოებიდან გამხდარი, დამჭლევებული მაჯები გამოეჩარა და არა თუ გახამებული მანჟეტები, შიგნით პერანგიც არ უნდა სცმოდა. ლაპარაკობდა დაბალი, ყრუ ხმით, სიტყვებს დიდი სიფრთხილით არჩევდა და განათლებული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ყველაფერზე აშკრად ეტყობოდა, რომ ცხოვრებას ბეიკერისათვის თავისი ულმობელი კლანჭი გაეკრა და ცუდ დღეში ჩაეგდო.

- ჩვენ რამდენიმე დღე დავიტოვეთ თქვენი ქუდი და ბატი, - წამოიწყო ჰოლმსმა, - ვიმედოვნებდით რა, რომ თქვენ განცხადებას გამოაქვეყნებდით გაზეთში და თქვენს მისამართს იქიდან შევიტყობდით. ახლაც ვერ ამიხსნია, რატომ არ გამოაცხადეთ გაზეთში და დანაკარგის უკან დაბრუნებას არ ეცადეთ?

ჩვენმა სტუმარმა მორცხვად ჩაიცინა. და პასუხად ესღა ამოღერღა: - ფული ისე ჩეჩქივით როდიღა მაქვს, როგორც ეს ერთ დროს გამაჩნდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თავდამსხმელებმა ფრინველიცა და ქუდიც გაიტაცეს. აბა, ამის მერე რაღა აზრი ჰქონდა იმას, რომ ერთი-ორი შილინგიც დანაკარგისათვის ზედ მიმეყოლებინა?

- ძალზე ბუნებრივი ახსნაა, მაგრამ იმაზე რას იტყვით, ბატი რომ მაინც დაკარგეთ.

- როგორ თუ დავკარგე? - უეცრად ფეხზე წამოიჭრა გაფიცხებული ბეიკერი.

- ისე, უბრალოდ, მოვხარშეთ და შევექეცით.

- თქვენ შეექეცით?

- ასე რომ არ მოვქცეულიყავით, სულ ერთია მაინც გაფუჭდებოდა, - განაგრძო ჰოლმსმა, - მე მგონია, აი, ბუფეტზე რომ ბატია, იმავე წონისა უნდა იყოს, თანაც სულ ახალია და თქვენი ბატის ნამდვილი მაგიერი იქნება.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - შვებით წამოიძახა ბეიკერმა.

- იმ ბატის ჩინჩახვი, ფეხები და ფრთები ყოველ შემთხვევისათვის მაინც შევინახეთ, თუ თქვენ გინდათ...

ჰენრი ბეიკერმა გულიანად გადაიხარხარა.

- ალბათ ჩემი თავგადასავლის სამახსოვრო რელიქვიებად გამომადგება, არა? - თქვა მან, - აბა, სხვა რა თავში სახლელად უნდა დამჭირდეს ჩემი ყოფილი ბატის ნამუსრევი? არა, ბატონებო, თქვენის ნებართვით, ჩემს ყურადღებას იმ შესანიშნავ ბატს მივაქცევ, რომელიც ეს-ესაა მიჩვენეთ და ამჟამად ბუფეტის თავზეა.

შერლოკ ჰოლმსმა ეშმაკურად შემომხედა და მხრები აიჩეჩა.

- აი, აქაა თქვენი ქუდი, ესეც თქვენი ბატის სამაგიერო - თქვა მან და დაკლული ბატი და ქუდი ბეიკერს ხელებში მიაჩეჩა. - სხვათა შორის, ძალიან მაინტერესებს ასეთი ნასუქი ბატი სად იყიდეთ?

- დიდი სიამოვნებით მოგახსენებთ, სერ, - ესა თქვა ბეიკერმა და თან ბატი იღლიაში ამოიჩარა, - სხვებთან ერთად, მეც ხშირად ვარ ხოლმე სასტუმრო «ალფაში», მუზეუმის გვერდით რომაა. წელს, ჩვენმა კეთილმა სასტუმროს პატრონმა უინდიგეიტმა დააარსა ბატის კლუბი, რომელშიაც თითოეულ ჩვენგანს ყოველ კვირას შეაქვს მცირეოდენი თანხა. ამ თანხის საფასურად ქრისტეშობის წინადღეს ყოველი ჩვენგანი კარგად ნასუქ ბატს ღებულობს. მე მთელი გამოსაღები უკვე დაფარული მაქვს, დანარჩენი ამბავი კი უკვე წვრილად იცით. თქვენგან ძალიან დავალებული ვარ, სერ, აბა, ჩემი ხნის კაცს შოტლანდიური ქუდით სიარული როგორ ეკადრება, - თქვა ესა და კომიკური საზეიმო თავის დაკვრით დაგვემშვიდობა.

- ამ საქმეში ჰენრი ბეიკერი არაფერ შუაშია, - თქვა ჰოლმსმა, როცა ჩვენმა სტუმარმა კარი გაიხურა. - სავსებით ნათელია, რომ მომხდარი საიდუმლოებით მოცული ამბის თაობაზე მან არაფერი იცის. მშიერი ხომ არა ხართ, უოტსონ?

- არა, შიმშილით კუჭი არ მიხმება.

- მაშინ გთხოვთ, სადილის ნაცვლად ვახშამს შევექცეთ და ახლა კი, ცხელ კვალს გავყვეთ.

- აუცილებლად.

სუსხიანი საღამო იყო. ორივენი პალტოებსა და თბილ ყელსახვევებში გამოვეხვიეთ. მოწმენდილ ცაზე გაბლიკებული ვარსკვლავები ციმციმებდნენ და გამვლელთა პირიდან ამოსული თბილი ჰაერი ისე მოჩანდა, თითქოს სროლის შედეგად დამდგარი კვამლი ყოფილიყოს. ჩვენი ნაბიჯების ხმაური ქუჩაში გარკვევით ისმოდა, გავიარეთ უიმპოლსტრიტი, ჰარლეისტრიტი, გადავკვეთეთ უიგმორსტრიტი და ოქსფორდსტრიტზე გავედით. თხუთმეტი წუთი დაგვჭირდა, ვიდრე ლუმსბერს მივაღწევდით. აქ გახლდათ აშენებული ბეიკერის მიერ ნახსენები სასტუმრო «ალფა». ეს იყო მომცრო სახალხო სახლი, რომელიც ჰოლბორნისაკენ ჩამავალი ქუჩის კუთხეში წამოეჭიმათ. ჰოლმსმა აბრის კარი შეაღო და ლოყებღაჟღაჟა, თეთრწინსაფრიან სასტუმროს პატრონს ორი ჭიქა ლუდი დაუკვეთა.

- თუ ლუდიც ისეთივე გაქვთ, როგორიც თქვენი ბატებია, მაშინ შესანიშნავი უნდა იყოს.

- ჩემი ბატები? - გაიკვირვა ლუდის გამყიდველმა.

- დიახ, თქვენი ბატები. ნახევარი საათის წინ თქვენი «ბატის კლუბის» წევრ ჰენრი ბეიკერს ველაპარაკე.

- ჰო! ახლა მიგიხვდით, სერ, მაგრამ ბატები ჩემი როდია.

- აბა, ვისია?

- ოცდაოთხი ბატი კოვენტგარდენში ერთი ვაჭრისაგან შევიძინე.

- მართლა, რამდენიმე მათგანს მეც ვიცნობ, რომელმა მოგყიდათ?

- ბრეკინ რიჯმა.

- ბრეკინ რიჯს არ ვიცნობ. მასპინძელო! აბა, თქვენი გამარჯვებისა იყოს! დოვლათი, სიკეთე და ჯანმრთელობა არ მოგკლებოდეთ. ღამე მშვიდობისა! - სუფთა ჰაერზე რომ გამოვედით, ჰოლმსმა პალტო შეიკრა და მითხრა: - ახლა კი ბრეკინ რიჯისაკენ გავწიოთ, უოტსონ, და გახსოვდეთ, რომ ჯაჭვის იმ ერთ ბოლოზე, რომელსაც ჩვენ მივყვებით, ძალიან უწყინარი ფრინველია გამობმული, მეორე ბოლოზე კი ადამიანია და მას ულაპარაკოდ ელის შვიდი წელი კატორღა, თუ მისი უცოდველობა არ დაგვიმტკიცებია. შეიძლება პირიქითაც მოხდეს და ჩვენმა ძიებამ ის

დაადასტუროს, რომ დამნაშავე სწორედ ბეიკერია; ყოველ შემთხვევაში კვლევა-ძიების წარმმართველი ის ძაფი, რომელიც პოლიციას შემთხვევით გამორჩა, ჩვენს ხელთაა. რანაირ სამწუხარო შედეგამდეც არ უნდა მიგვიყვანოს, ჩვენ უნდა ამ ძაფს ბოლომდე მივდიოთ. ახლა კი სასწრაფოდ ვიბრუნოთ პირი სამხრეთისაკენ და ცხელ კვალს მივყვეთ.

ჩვენ გადავჭერით ჰოლბორნი, დავეშვით ენდელსტრიტისაკენ და რამდენიმე მიხვეულ-მოხვეული მიყრუებული ქუჩის გავლის მერე, თავი კოვენტგარდენის ბაზარში ამოვყავით. ბრეკინ რიჯის სახელი ყველაზე დიდი ფარდულის აბრაზე ამოვიკითხეთ. სავაჭროს პატრონი ცხენისთავა, ქილვაშებიანი კაცი იყო. იგი ბიჭს დარაბების დახურვას შველოდა.

- საღამო მშვიდობისა. ცივი ამინდია, არა, - გამოელაპარაკა ჰოლმსი.

ფარდულის პატრონმა დასტურის ნიშნად თავი დაუკანტურა და ჩემს მეგობარს გაოცებული დააცქერდა.

- როგორც ვხედავ, კარგად გივაჭრიათ, რომ ბატები სულ გაგიყიდიათ, - უთხრა ჰოლმსმა და მარმარილოს ცარიელ დახლზე ანიშნა.

- ხვალ დილით თუნდა ხუთას ბატს მოგყიდით.

- ხვალ უკვე გვიან იქნება.

- აი იქ, სინათლე რომ მოჩანს, კიდევ დარჩათ გაუყიდავი ბატები.

- მაგრამ მე თქვენთან გამომაგზავნეს.

- ვინ?

- ლუდხანა «ალფას» პატრონმა.

- ჰო, მე იმას ოცდაოთხი ბატი მივყიდე.

- შესანიშნავი ნაპატიები ფრინველები კი იყვნენ. საიდან მოიყვანეთ?

ჩემდა საოცრად, ამ კითხვამ ბატებით მოვაჭრე განარისხა.

ბრეკინ რიჯმა თავი ასწია და დოინჯშემოყრილმა მკაცრად იკითხა: - პირდაპირ თქვით, რისი თქმაც გინდათ და მიეთ-მოეთს თავი დაანებეთ!

- მგონი, ძალიან მიუკიბ-მოუკიბავად ვთქვი ჩემი სათქმელი. მე მინდა ვიცოდე, ვისგან იყიდეთ ის ბატები, რომლებიც მერე «ალფას» პატრონს მიჰყიდეთ.

- რაკი ასეა, არაფერსაც არ გეტყვით. მოვრჩით?!

- თუ არ იტყვით, თან ვერ გადაგყვებით; მაგრამ ვერ გამიგია, ასეთი უბრალო რამ გულთან ასე ახლოს რატომ მიგაქვთ და რამ წამოგაპილპილათ?

- გულთან ახლოს მიგაქვსო! ჩემს ადგილზე თქვენც ასე მიიტანდით უბრალო ამბებს გულთან, ვინმე რომ აგკვიატებოდათ და თავი მოებეზრებინა. როცა მე კარგ საქონელში ხეირიან თანხას ვიხდი, საქმეც მოჭახრაკებული მგონია; მაგრამ თუ დაგიწყებენ, «სად იყო ბატები?» «ვისგან იყიდე ბატები?» «ვის მიჰყიდე ბატები?» «რა ფასი აიღე ბატებში?» კაცი იფიქრებს, რაკი მათ გარშემო ამდენი აურზაური და ფუსფუსი ატყდა, თითქოს ამქვეყნად მარტო ის ბატები ყოფილან და მეტი არაფერიო.

- ვინც თქვენ კითხვებით თავს გაბეზრებენ, მე იმათთან არავითარი კავშირი არა მაქვს, - წყნარად წამოიწყო ჰოლმსმა, - თუ არ გვეტყვით, საიდან იყიდეთ ის ბატები, ჩვენი გზით წავალთ და ის იქნება. მაგრამ მე დაბეჯითებით ვიტყვი და სანაძლეოდ ხუთ გირვანქა სტერლინგსაც ჩამოვალ, რომ ის ბატები სოფელში გასუქებულები იყვნენ.

- თქვენ წააგეთ ხუთი გირვანქა სტერლინგი, ვინაიდან ბატები ქალაქში გაასუქეს, - მოულოდნელად წამოაყრანტალა ვაჭარმა.

- აშკარა სიცრუეა.

- ნადვილად ასეა.

- წარმოუდგენელი ამბავია.

- ხომ არ გგონიათ, რომ ფრინველებისა ჩემზე მეტი გაგეგებათ? ამ საქმეს მას მერე მივდევ, რაც დედამ აკვნის არტახები შემომხსნა და ჭიპიც ამ საქმეში მოვიჭერი. გითხარით, ის ბატები, რომლებიც ლუდხანა «ალფას» პატრონს მივყიდე, ქალაქში დასუქებულები იყვნენ-მეთქი და ნამდვილად ასეა.

- ამას არაფრით არ დავიჯერებ.

- მაშინ დავნაძლევდეთ.

- ეს იმას ნიშნავს, რომ ფული წაგართვათ, რადგან ჩემს სიმართლეში ეჭვი არ მეპარება. მაგრამ თქვენი ასეთი ჯიუტობისათვის ახი იქნებოდა ერთ სოვერენზე დაგნაძლევებოდით და თქვენთვის ჭკუა მესწავლებინა.

ვაჭარმა პირქუშად ჩაიცინა და ბიჭს გაძახა: - აღრიცხვის წიგნები მომიტანე, ბილ.

მომცრო ტანის ბიჭმა ორი წიგნი მოუტანა, ერთი იმათგანი საკმაოდ თხელი გახლდათ. მეორე კი სქელი და საპოხავი ქონით დასვრილი. ბიჭმა წიგნები ჭერზე ჩამოკიდებული ლამპის ქვეშ დააწყო.

- აბა, მისტერ თავდაჯერებულო, - დამცინავად დაიწყო ვაჭარმა, - ვფიქრობდი, ყველა ბატი უკვე გავყიდე-მეთქი, მაგრამ ვიდრე სავაჭროს დავხურავდე, ვხედავ, ერთი ბატი კიდევ მყოლია. ხედავთ ამ პატარა წიგნს?

- ძალიან კარგად.

- აქ იმ ადამიანთა გვარებია, ვისგანაც საქონელს ვყიდულობ. ხედავთ? აი, ამ გვერდზე სოფლელთა სახელებია, ხოლო იქვე მიწერილი ციფრები დიდი წიგნის იმ გვერდზე მიუთითებს, რომელზედაც მათთან ანგარიშწარმოებაა მოცემული. ახლა წითელი მელნით ნაწერს დააკვირდით. ნახეთ? აქ ჩემი ქალაქელი მომმარაგებლების გვარებია აღნიშნული. აბა, მესამე ნომერზე მიწერილი გვარი ხმამაღლა ამოიკითხეთ!

- «მისის ოუკშოტი 117, ბრიქსტონროუდი - 249», - წაიკითხა ჰოლმსმა. - მართალი ბრძანდებით. აბა, ახლა სქელი წიგნის ორას ორმოცდამეცხრე გვერდი გადაშალეთ!

ჰოლმსმა მინიშნებული გვერდი სწრაფად იპოვა და გადაშალა «აი, აქ არის, მისის ოუკშოტი, 117 ბრიქსტონროუდი, კვერცხისა და შინაურ ფრინველთა მომმარაგებელი».

- აბა, მისი გვარის გასწვრივ ბოლო მინაწერიც ამოიკითხეთ!

- «დეკემბრის 22. ოცდაოთხი ბატი 7 შილინგად და ექვს პენსად».

- ჭეშმარიტად აგრეა. განაგრძეთ, განაგრძეთ.

- «გაიყიდა «ალფას» მეპატრონე მისტერ უინდიგეიტზე თორმეტ-თორმეტ შილინგად თითოეული».

- აბა ახლა რაღას იტყვით?

შერლოკ ჰოლმსი გულმოსული და ნაწყენი გამოიყურებოდა. მან ჯიბიდან ამოიღო სოვერენი, მარმარილოს დახლზე დააგდო და გარეთ უსიტყვოდ გამოვიდა. რამდენიმე იარდი რომ გაიარა, ქუჩის ფარნის ქვეშ შეჩერდა და თავისებურად უხმაუროდ, მაგრამ გულიანად ჩაიცინა.

- როცა ქილვაშებიან და ჯიბიდან წითელ ხელსახოცამოჩრილ კაცს გადაეყრებით, იმედი უნდა იქონიოთ, რომ სანაძლეოს გულისათვის ყველაფერს დააყაჭვინებთ, - თქვა ჰო-ლმსმა. - თამამად შემიძლია გითხრათ, უოტსონ, რომ რაც ბრეკინ რიჯს სანაძლეოს დადების შემდეგ ინფორმაცია დავტყუე, ასი გირვანქაც რომ დამეხარჯა, ვერასგზით ვერ მოვიპოვებდი. ასე მგონია, უოტსონ, რომ ჩვენი ძიება დასასრულს უახლოვდება. ერთადერთი გადასაწყვეტი ამბავი ახლა ისაა, მისის

ოუკშოტს დღესვე დავადგეთ თავზე, თუ ჩვენი სტუმრობა ხვალისათვის გადავდოთ. ბრეკინ რიჯის სიტყვებიდან სავსებით ნათელია, რომ ჩვენს გარდა ამ საქმით სხვაცაა დაინტერესებული და მე მგონია...

ჰოლმსს სიტყვა მოულოდნელად ხმაურმა შეაწყვეტინა. იგი სწორედ იმ ფარდულიდან მოისმა, საიდანაც ის იყო გამოვედით. ზურგისაკენ შევბრუნდით თუ არა, ფარდულში ლამპის ყვითელ შუქზე შევნიშნე ჩია კაცი, რომელსაც სახე ვირთხას მიუგავდა. ბრეკინ რიჯი კი კარებში გახიდულიყო და შიშისაგან მოკუნტულ კაცუნას, გაავებული მუშტს უქნევდა.

- თავიდან მომწყდით თქვენცა და თქვენი ბატებიც, - ღრიალებდა იგი. - ყველანი ეშმაკს წაუღიხართ. თუ კიდევ მოსულხართ ჩემთან და ასეთი რეგვენული ლაპარაკი დაგიწყიათ, ძაღლს მოგიქსევთ. მოიყვანეთ მისი ოუკშოტი და პასუხს იმას გავცემ. თქვენ რა გესაქმებათ, ბატები ვის მივყიდე! თქვენგან ვიყიდე, თუ რა?

- მაგრამ ერთ-ერთი იმათგანი ხომ ნამდვილად ჩემი იყო, - დაიწუწუნა პატარა კაცმა.

- თქვენი პრეტენზია წადით და მისის ოუკშოტს განუცხადეთ.

- სწორედ მან გამომაგზავნა თქვენთან.

- თუნდაც პრუსიის მეფეს მოჰკითხეთ, ჩემთვის სულ ერთია. მე მაგ საქმეს მოვრჩი. გასწით აქედან და თვალით აღარ დამენახოთ. - გამწარებული ბრეკენ რიჯი წინ გავარდა და შიშისაგან მოკუნტული ჩია კაცი კი ბნელში გაუჩინარდა.

- მგონია, ამ ამბავმა ბრიქსტონროუდში წასვლისაგან დაგვიხსნას! - წაიჩურჩულა ჰოლმსმა. - მომყევით და ვნახოთ, უოტსონ, იქნებ იმ ყმაწვილმა ძიების საქმეში ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიოს. - ესა თქვა და ჰოლმსი გრძელი ნაბიჯით დაედევნა გაუჩინარებულ უცნობს. ჩემი მეგობარი განათებული დუქნების წინ შექუჩებულ ხალხში გზას იდაყვების დახმარებით მიიკვლევდა. იგი მალე დაეწია ლტოლვილს, მხარზე ხელი დაადო და შეაჩერა. შემკრთალი უცნობი შემობრუნდა და გაზის ფარნის შუქზე შევნიშნე, რომ ფერი სრულიად დაკარგოდა.

- ვინა ხართ და რა გინდათ ჩემგან? - მთრთოლვარე ხმით იკითხა უცნობმა.

- მაპატიეთ, - რბილად და ზრდილობიანად წამოიწყო ჰოლმსმა, - მაგრამ მე ყური მოვკარი თქვენ რომ რამდენიმე წუთის წინ იმ ვაჭარს რაღაცას ეკითხებოდით. დარწმუნებული ვარ, მე შევძლებ თქვენ დახმარებას.

- თქვენ? ვინა ხართ? ან საიდან იცით, რა მინდა და რა გამჭირვებია?

- ჩემი სახელი და გვარი შერლოკ ჰოლმსია და სწორედ ჩემი საქმეა იმისი ცოდნა, რაც სხვებმა არ იციან.

- მაგრამ რაც მე მინდა, იმის თაობაზე თქვენ არაფერი გეცოდინებათ.

- მაპატიეთ, მაგრამ ყოველივე ზედმიწევნით სწორად ვიცი. თქვენ გინდათ იმ ბატების კვალი აღმოაჩინოთ, რომლებიც ბრიქსტონროუდელმა ოუკშოტმა ვაჭარ ბრეკინ რიჯს მიჰყიდა. ამ უკანასკნელმა ბატები დიდი მოგებით ლუდხანა «ალფას» მეპატრონე მისტერ უინდერგეიტზე გაჰყიდა, მან კი თავის კლუბის წევრთა გულიც მოიგო და ფულიც. ჰენრი ბეიკერიც იმ კლუბის წევრია.

- ოჰ, სერ, თქვენ სწორედ ის ადამიანი ხართ, ვისთან შეხვედრაც გულით მეწადა, - წამოიყვირა ჩია კაცმა. მან ხელები ჰოლმსისაკენ გაიწოდა და შევნიშნე, თითები ერთიანად უცახცახებდა.

- მე სიტყვები ვერ მიპოვია, სერ, რომ აგიხსნათ, როგორ ვარ დაინტერესებული ამ საქმით.

შერლოკ ჰოლმსმა გზად მიმავალი ეტლი შეაჩერა და უცნობს ასე მიმართა: - უმჯობესია ოთახში ვიბაასოთ და არა აქ, ამ საბაზრო ადგილას, სადაც ქარიც

თავისუფლად დანავარდობს. მაგრამ ვიდრე გავემგზავრებოდეთ, გთხოვთ მითხრათ, ვის უნდა ვემსახურო.

უცნობი შეყოყმანდა. - ჩემი სახელი და გვარი ჯონ რობინზონია, - ამოღერღა მან და თან ჰოლმსს თვალი აარიდა.

- არა, არა. მე ნამდვილ სახელსა და გვარს გეკითხებით, - ტკბილად უთხრა ჰოლმსმა. - ფსევდონიმით მოქმედება ყოველთვის დასანანი ხდება ხოლმე.

უცნობის თეთრ ღაწვებს სიწითლე მოერია. - რაკი ასეა, ნამდვილ გვარსა და სახელს გეტყვით. მე ჯეიმს რაიდერი გახლავართ.

- ჭეშმარიტად ასეა. თქვენ სასტუმრო «კოსმოპოლიტენში» უფროს მსახურად მუშაობთ. გთხოვთ, ეტლში ჩაბრძანდეთ და მალე, რაც თქვენ გაინტერესებთ, ყველაფერს გიამბობთ.

ჩია კაცი ხან მე შემომყურებდა და ხან ჰოლმსს აკვირდებოდა. მის თვალებში ხან შიში ჩადგებოდა და ხან იმედის ნაპერწკალი კიაფობდა, ისევე, როგორც ბედნიერებისა და უბედურების ზღვარზე მდგომ ადამიანებს ემართებათ ხოლმე. დაბოლოს უცნობმა ყოყმანს სძლია, ჩაჯდა და ნახევარ საათში უკვე ბეიკერსტრიტზე სასტუმრო ოთახში ვისხედით. გზაში, ბეიკერსტრიტამდე აღარაფერი თქმულა. მხოლოდ ჩვენი ახალი კომპანიონის გახშირებული ღრმა სუნთქვა და ხელების ფშვნეტა აშკარად მეტყველებდა, რომ იგი ნერვიულობდა.

- უკვე მოვედით! - მხიარულად თქვა ჰოლმსმა. - ასეთ ამინდში აგიზგიზებული ბუხარი პირდაპირ მისწრებაა. თქვენ, გეტყობათ ძალინ გცივათ, მისტერ რაიდერ. აი, სელის იმ დაწნულ სავარძელში ჩაჯექით. ვიდრე თქვენს საქმეს შევუდგებოდეთ, ფოსტლებს ჩავიცვამ და ერთ წამში აქ გავჩნდები. ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ. თქვენ გაინტერესებთ ბატების შემდგომი ისტორია, არა?

- დიახ, სერ.

- თუმცა თქვენ ბატების ამბავი კი არა, ერთი ბატის ბედი გაინტერესებთ. თეთრი ბატისა, რომელსაც კუდთან შავი ზოლი დაჰყვებოდა...

რაიდერი მღელვარებისაგან აცახცახდა. - ოჰ, სერ, - წამოიყვირა მან, - თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, სადაა ამჟამად ის ბატი?

- აქაა, ჩვენთან, - მოკლედ მოუჭრა ჰოლმსმა.

- აქ არის?

- დიახ, აქ არის და დაამტკიცა კიდეც, რომ იგი არაჩვეულებრივი ბატი გახლავთ. არც მიკვირს, ასე ძალიან რომ გაინტერესებთ მისი ბედი. სიკვდილს მერე მან არაჩვეულებრივი კვერცხი დაგვიტოვა. დიახ, ულამაზესი, უბრწყინვალესი და უმშვენიერესი ლურჯი კვერცხი. აი, აქა მაქვს შენახული ჩემს მუზეუმში.

ჩვენი სტუმარი წამოდგა, მაგრამ რეტდასხმულივით ტორტმანებდა და მარჯვენა ხელით ბუხრის თავს ჩაეჭიდა. ჰოლმსმა სეიფი გახსნა და იქიდან ცისფერი, მოკიაფე კარბუნკული გამოიღო. ვარსკვლავივით მოციმციმე ძვირფასი ქვა ცეცხლის შუქზე ათასნაირ ფერად ელვარებდა. რაიდერს შიშისაგან სახე დაღრეჯოდა და აღარ იცოდა, მოეთხოვა ძვირფასი ნივთი, თუ სრულიად აეღო მასზე ხელი.

- თამაშს უკვე წირვა გამოუვიდა, რაიდერ, - მშვიდად დაიწყო ჰოლმსმა. - მყარად დადექით ფეხზე, თორემ ცეცხლში ჩავარდებით. უოტსონ, ხელი მიაშველეთ, გეთაყვა. ჯერ კიდევ ვერაა ისე გამოწრთობილი, რომ ასეთ ამბავს აუღელვებლად შეხვდეს. ცოტა ბრენდი მიეცით, გადაჰკრას და ეშველება. ეყოფა, მეტი არ უნდა! ახლა უფრო ადამიანურად გამოიყურება. სინამდვილეში ადამიანი კი არა, ერთი ნამცეცა, პაწაწკინტელა კაცუნა და არარაობაა!

ერთ წამს რაიდერი წატორტმანდა და კინაღამ ჩაიკეცა, მაგრამ ბრენდიმ სახეზე ფერიც მოჰგვარა და ალბათ ძალაც მისცა, რომ დაჯდა და შიშისაგან დაჭყეტილი თვალები თავის ბრალმდებელს მიაპყრო.

- დანაშაულის ყველა რგოლი და დამამტკიცებელი საბუთებიც ჩემს ხელთაა, ასე რომ, თქვენ ძალიან ცოტა ლაპარაკი მოგიწევთ. მაგრამ ყველაფერი მართალი უნდა გვიამბოთ და ჩვენთვის ყოველი წვრილმანი ნათელი უნდა გახდეს. ვინ გიამბოთ გრაფინია მორკარის ამ ცისფერ კარბუნკულზე, რაიდერ?

- კატერინა კიუზაკმა, - გაბზარული ხმით უპასუხა რაიდერმა.

- ვიცი, ლედის პირისფარეში რომაა. და უეცრად გამდიდრების ცთუნებამ შეგიპყროთ, როგორც თქვენამდეც, ეს ბევრ თქვენზე ღირსეულ კაცს დამართნია. მიზნის მისაღწევად კი არავითარ საშუალებას არ დაერიდეთ, არა? ასე მგონია, თქვენგან შესანიშნავი, მახვილგონიერი ბოროტმოქმედი დადგებოდა, რაიდერ! თქვენ იცოდით, რომ ის მრჩილავი ჰორნერი ერთხელ უკვე ნასამართლევი იყო ქურდობისათვის და ეჭვს უცილოდ მასზე მიიტანდნენ, მერე რა მოიმოქმედეთ? თქვენს თანამზრახველ კატერინა კიუზაკთან ერთად ლედის ოთახში გატეხეთ ბუხრის მოაჯირი და საქმე ისე მოაწყვეთ, რომ მოაჯირის შესაკეთებლად სწორედ ჰორნერი გამოგზავნეს. როცა ის უბედური ჰორნერი წავიდა, ტარსიკონის ყუთი გააღეთ და ძვირფასი ქვა მოიპარეთ, შემდეგ ატეხეთ განგაში და ის საცოდავი კაცი დააჭერინეთ. მერე...

რაიდერი უეცრად დაბლა დაემხო და ჰოლმსს მუხლებზე შემოეხვია: - ღვთის გულისათვის, შემიბრალეთ! - განწირული ხმით ქალივით დაიწივლა მან, - იფიქრეთ ჩემს მშობლებზეც! ეს ამბავი გულებს დაუხეთქავს იმ უბედურებს. წინათ არასოდეს მიქურდია! ასეთ რამეს არც არასოდეს ჩავიდენ. ვფიცავ, რომ არ ჩავიდენ! თუ გინდათ, ხატზე დავიფიცებ, ოღონდაც ამ საქმეს სასამართლომდე ნუ მიიტანთ!

- დაჯექით თქვენს ადგილას, - მტკიცედ უთხრა ჰოლმსმა, - ახლა ფეხქვეშ გაგება, ლაქუცი და პირფერობა ადვილია, მაგრამ ფიქრობდით საცოდავ ჰორნერზე, რომელსაც პასუხი უნდა ეგო იმ საშინელი დანაშაულისათვის, რაც მას გონებაშიც არ გაუვლია?

- ინგლისიდან გადავიკარგები, მისტერ ჰოლმს! დიახ, ავიბარგები სამშობლოდან, სერ, მაშინ ხომ ჰორნერს ბრალდება მოეხსნება...

- ჰმ! ამაზე კიდევ მოვილაპარაკებთ. ახლა კი ის ჭეშმარიტი ამბავი მოვისმინოთ, რაც დანაშაულის ჩადენის მერე მოხდა. როგორ მოხვდა ძვირფასი ქვა ბატის ჩინჩახვში და ვინ გამოიყვანა ბატი ბაზარზე გასაყიდად? მხოლოდ მართალი გვიამბეთ, თქვენი ხსნა მხოლოდ სიმართლეს შეუძლია.

რაიდერმა გამხმარი ტუჩები ენით დაისველა. - როგორც მოხდა, ყველაფერს ისე გიამბობთ, სერ. როცა ჰორნერი დააპატიმრეს, ვიფიქრე, უმჯობესია ძვირფასი ქვა გადავმალო, ვიდრე პოლიციას ჩემი გაჩხრეკა მოუფიქრებია-მეთქი. რაკი ქვის დასამალად ოტელში შესაფერისი ადგილი არ მეგულებოდა, მოვიმიზეზე სამსახურის საქმეები, ოტელიდან გამოვედი და ჩემს დას ვესტუმრე. იგი გათხოვილი გახლავთ ოუკშოტზე, სახლობს ბრიქსტონროუდზე და გასასყიდი ბატების გასუქებას მისდევს. ეს ხელობა გახლავთ მისი ცხოვრების წყარო. ყველა შემხვედრი ადამიანი პოლიციელი და გამომძიებელი მეგონა. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად ყინავდა, ვიდრე ბრიქსტონროუდს მივაღწევდი, სახეზე ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. დამ დანახვისთანავე მკითხა, რა დაგემართა, რომ ასე ფერდაკარგული ხარო. ჩემი დაბნევისა და ფერწასულობის მიზეზი ოტელში მომხდარი ქურდობა

არის-მეთქი, ვუთხარი. მერე უკანა ეზოში გავედი, ყალიონი გავაბოლე და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნაზე ვფიქრობდი.

მე მყავდა ერთი მეგობარი გვარად მოუდსლი, რომელიც ცუდ გზას დაადგა და კარგა ხანს პენტონვილის სტუმარიც იყო. ციხიდან გამოსული, გზაზე შემხვდა და მიამბო, თუ როგორ ჰყიდიან ნაპარავს ქურდები. ვიცოდი, არ გამცემდა, თუ ჩემს ამბავს ვეტყოდი, რადგან მისი რამდენიმე ბნელი საქმის ასავალ-დასავალი მეც კარგად ვუწყოდი. გულში გადავწყვიტე, წავსულიყავი კილბურნში, სადაც ის ცხოვრობდა და ჩემი საიდუმლო მისთვის მიმენდო. ის მასწავლიდა გზას, როგორ გამეყიდა ძვირფასი ქვა და მის ნაცვლად ჯიბეში ფულები ჩამეჩხრიალებინა. მაგრამ თავსატეხი ის იყო, როგორ ჩამეღწია კილბურნამდე. როცა ვიხსენებდი, რაც ოტელიდან ჩემი დის სახლამდე გადამხდა, შიშისაგან ტანში მცრიდა და მზარავდა. ყოველ წუთს შეეძლოთ დავეჭირე, გავეჩხრიკე და ჩემი ჟილეტის ჯიბიდან ძვირფასი ქვა წაერთმიათ. კედელს მიყრდნობილი ვიდექი და ჩემს გასაჭირზე ვფიქრობდი. დაბლა, ფეხებთან, უდარდელად დაბაჯბაჯებდნენ ბატები, უეცრად გონებაში გამიელვა აზრმა, რომლის სისრულეში მოყვანით, მეგონა, ყველაზე უფრო დახელოვნებულ მაძებარსაც გავაცურებდი.

ჩემმა დამ რამდენიმე კვირის წინ მითხრა, საშობაოდ ერთ გასუქებულ ბატს გაჩუქებო. ვიცოდი, სიტყვას არ გადავიდოდა. გადავწყვიტე, დანაპირებით მესარგებლა, რომელიმე ბატისათვის ძვირფასი ქვა გადამეყლაპებინა და კილბურნის გზას გავდგომოდი. ეზოში პატარა ფარდული იდგა. ერთი კარგად ჩასუქებული მშვენიერი თეთრი ბატი, რომელსაც კუდთან ზოლი დასდევდა, იმ ფარდულს უკან მივიმწყვდიე, დავიჭირე, პირი გავაღებინე და რაც შეიძლება უკან, სასაში, ჩავტენე ძვირფასი ქვა. ბატმა ქვა გადაყლაპა და ვიგრძენი, როგორ გადაუვიდა იგი სასიდან ჩინჩახვში. მაგრამ გადაყლაპა თუ არა ერთი ალიაქოთი ატეხა, ფრთებს ხელებზე მიტყლაშუნებდა და გამწარებული იბრძოდა. ამ ხმაურზე ჩემმა დამ გამოიხედა და ბატი რომ იმ ყოფაში დაინახა, მკითხა, რა ამბავიო. საპასუხოდ მისკენ შევბრუნდი თუ არა, ბატმა დრო იხელთა, ხელიდან გამისხლტა და სხვა ბატებში ამერია.

«რა უყავი ბატს, ჯეიმს», - იკითხა ჩემმა დამ.

«შენ ხომ დამპირდი, საშობაოდ ბატს გაჩუქებო, მე ყველაზე უფრო ჩასუქებული მინდოდა შემერჩია».

«ოჰ, შენთვის აღთქმული ბატი უკვე შერჩეულია, - მკვირცხლად მიპასუხა ჩემმა დამ, - ჩვენ მას «ჯეიმსის ბატს» ვეძახით. იგი ყველაზე დიდიცა და მთლიანად თეთრია. აი, იქ რომ მიბაჯბაჯებს. სულ ოცდაექვსი მყავს, ერთი შენია, ერთი ჩვენი და დანარჩენი ოცდაოთხი უნდა გავყიდო».

«მადლობელი ვარ, მეგი, - ვუთხარი მე, - მაგრამ თუ შენთვის სულ ერთია, რომელ ბატს მაჩუქებ, მაშინ ის მაჩუქე, რომელიც ხელში მეჭირა».

«შენთვის არჩეული ბატი მაგაზე სამი პაუნდით უფრო მძიმეა და იგი საგულდაგულოდ შენთვის გავასუქეთ».

«არა უშავს რა. მე სწორედ ის ბატი მინდა და ახლავე თან წავიყვან».

«შენი საქმე შენ უკეთ იცი, - მითხრა მეგიმ ცოტა ნაწყენი კილოთი, - აბა, რომელი გინდა, რომ წაიყვანო?»

«აი, შუაში რომ დგას და კუდთან შავი ზოლი დასდევს».

«დიდი სიამოვნებით, დაკალი და წაიღე», - მითხრა მეგიმ.

და მართლაც დავკალი და კილბურნისაკენ გავემგზავრე, ჩავაღწიე თუ არა კილბურნში, მეგობარი ვინახულე და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. მგონია, გითხარით, რომ ჩემი მეგობარი ისეთი კაცია, ამნაირი ამბავი არ გაუკვირდება-მეთქი.

ყველაფერი რომ ვუამბე, სიცილით კინაღამ დაიხრჩო. მერე დანა მოვიმარჯვეთ და ბატი გავჭერით. მეგონა, ეს ეს არის გული საგულედან ამომივარდება-მეთქი, როცა დავინახე, რომ ძვირფასი ქვა ბატის ჩინჩახვში არ აღმოაჩნდა და შემთხვევით სხვა ბატი დამეკლა და წამომეღო. ის ბატი იქვე მივატოვე და ჰაიჰარად დის სახლს მივაშურე. უკანა ეზოში შესულს იქ არცერთი ფრინველი აღარ დამხვედრია.

«სად არიან ბატები, მეგი?» - ვიყვირე მე.

«ვაჭართან გასაყიდად გარეკეს», - მომიგო მან.

«რომელ ვაჭართან?»

«ბრეკინ რიჯთან, კოვენტგარდენში».

«თუ იყო იქ იმნაირივე ბატი, როგორიც მე ავარჩიე - კუდთან რომ შავი ზოლი დასდევდა». - ყვირილით ვიკითხე მე.

«დიახ, იყო, კუდთან ორივეს ერთნაირი შავი ზოლები დასდევდათ და მე მათ მუდამ ერთმანეთში ვურევდი».

- რა თქმა უნდა, ყველაფერს მივხვდი და რაც ძალა და ღონე მქონდა, ბრეკინ რიჯისაკენ მოვკურცხლე. ვაჭარს ბატები ერთიანად გაეყიდა და არაფრით არ მითხრა, ვის მიჰ-ყიდა. თქვენ თვითონვე მოისმინეთ, როგორც გამომაპანჩურა. იგი მუდამ ასე მისტუმრებს ხოლმე. ჩემს დას ჰგონია, ჭკუაზე შევცდი. როგორ გავამტყუნო, როცა ხანდახან მეც მგონია, რომ ჭკუიდან შევიშალე. და ახლა მე თავლაფდასხმული ადამიანი, ქურდი გახლავართ, თუმცა ნაპარავი სიმდიდრით არ მისარგებლია და მას მერე, რაც ის ამაზრზენი საქციელი ჩავიდინე, შიშით აღარა ვარ. რისთვის დავიღუპე თავი, რად ჩავიდინე ეს ბოროტება, ღმერთო შემეწიე! - სთქვა ეს და ხელებში თავჩარგული საწყალობლად აქვითინდა.

ჩამოწვა ხანგრძლივი დუმილი, რომელსაც რაიდერის სლუკუნი და მაგიდაზე ჰოლმსის თითების კაკუნი არღვევდა. წუთიც და ჩემი მეგობარი წამოდგა, კარი ყურთამდე გამოაღო და რაიდერს საზარელი ხმით დასჭყივლა: - გაეთრიე აქედან!

- რაო, სერ! ოჰ, ღმერთმა გიშველოთ!

- არც ერთი სიტყვა, მომწყდი თავიდან!

მეტი სიტყვა აღარც იყო საჭირო. რაიდერმა კიბე ალბათ კისრისტეხით ჩაირბინა, მერე სადარბაზო კარის ჯახუნის ხმა გავიგონე და ბოლოს, ქუჩიდან, მისი აჩქარებით მიმავალი ფეხის ხმაც მომესმა.

- ბოლოს და ბოლოს, უოტსონ, - დინჯად დაიწყო ჰოლმსმა, - მე იმიტომ კი არ ვმუშაობ, რომ პოლიციის მიერ ძიებაში დაშვებული ხარვეზები ვასწორო. ჰორნერს რომ სასჯელი მოელოდეს, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ ეს უბედურ დღეზე გაჩენილი მის წინააღმდეგ კრინტსაც აღარ დასძრავს და საქმეს მოსპობენ. შეიძლება, ერთი შეხედვით ადამიანს ისე მოეჩვენოს, თითქოს მე ქურდს ვმფარველობდე, მაგრამ, ჩემის აზრით, მგონია, ადამიანის სული დაღუპვისაგან ვიხსენი. იგი ისეა შეშინებული, რომ ცხოვრებაში მცდარ ნაბიჯს აღარ გადადგამს. ხოლო ციხეში რომ გამეგზავნა, ისიც ციხის ფრინველად იქცეოდა, რომელსაც გალიის კარს ხან გაუღებდნენ და გარეთ ინავარდებდა, ხან კი მაგრად ჩაურაზავდნენ და იქ იჭიკჭიკებდა. გარდა ამისა ახლა ცოდვების ერთმანეთისათვის მიტევების სეზონი დგას და ამიტომაც ვაპატიე. შემთხვევამ გადასაწყვეტად ჩვენს წინაშე ძალზე უცნაური და ახირებული პრობლემა დააყენა! რაკი ეს რთული პრობლემა ამოვხსენით, ეს თავისთავად სამაგიეროს მიზღვაა. თუ კეთილს ინებებთ და ზარს დარეკავთ, ჩვენ შევუდგებით ახალ კვლევა-ძიებას, რომელშიაც ისევ ფრინველს ექნება მიჩენილი მთავარი ადგილი. მისის ჰადსონს სადილად ხომ გწოლის ხორცი დავუკვეთეთ!

შემთხვევა ინტერნატში

ჩვენს პატარა წყნარ ოთახს ბეიკერსტრიტზე ბევრი დრამატული სცენა ახსოვს, მაგრამ ტორნიკროფტ ჰაკსტეიბლის გამოჩენაზე უფრო მოულოდნელი და განსაცვიფრებელი ვერაფერი გამიხსენებია. ეს იყო ხელოვნების მაგისტრი, ფილოსოფიის დოქტორი და ა.შ. და ა.შ. სადარბაზო ბარათმა, რაც მეტისმეტად პატარა ჩანდა სამეცნიერო ხარისხების ისეთი მძიმე ტვირთისათვის, მხოლოდ რამდენიმე წამით შემოუსწრო მის პატრონს. ბარათს კვალდაკვალ შემოჰყვა ტანადი, წარმოსადეგი, დიდებული კაცი - თავდაჭერილობისა და სულიერი სიძლიერის განსახიერება. ჯერ შემოსულიც არ იყო, რომ ხელებით მაგიდას დაეყრდნო, იატაკზე ნელა დაეშვა, გრძნობა დაკარგა და ჩვენ წინ ბუხართან გაშლილ დათვის ტყავზე გაიშხლართა.

ადგილიდან წამოვვარდით და გაოცებულნი, ერთ წუთს უსიტყვოდ შევცქეროდით დაღუპული გემის ამ შთამაგონებელ ნამუსრევს, სადღაც შორს, ცხოვრების უკიდეგანო ზღვაში ავარდნილმა ქარიშხალმა ჩვენთან რომ შემოაგდო. ჰოლმსმა სწრაფად დაუდო თავქვეშ ბალიში, მე კი პირთან სასმისით კონიაკი მივუტანე. უცნობის სახე ღრმა ნაოჭებს დაეღარა. დასიებულ თვალებში მოლურჯო ჩრდილები ჩასდგომოდა. ოდნავ ღია პირის კიდეები ნაღვლიანად დაეშვა დაბლა. ღაბაბიან ნიკაპზე ჯაგარი წამოზრდოდა. ჩანდა, შორიდან იყო მოსული, რადგან გაჭუჭყიანებული საყელო და პერანგი მოუჩანდა, დაუვარცხნელი თმა კი ლამაზ შუბლზე ბღუჯა-ბღუჯა ეყარა. ჩვენ წინ იწვა ადამიანი, რომელსაც თავზე რაღაც დიდი უბედურება დასტეხოდა.

- რა სჭირს, უოტსონ? - მკითხა ჰოლმსმა.

- ალბათ შიმშილისა და დაღლილობისაგან ქანცი აქვს გაწყვეტილი, - ვუპასუხე და ხელი არ მომიცილებია სტუმრის მაჯისათვის, რომელიც ოდნავ უცემდა.

- უკან დასაბრუნებელი ბილეთი მეკლტონამდე. ეს ჩრდილოეთ ინგლისშია, - თქვა ჰოლმსმა და მოსულის საათის ჯიბიდან რკინიგზის ბილეთი ამოიღო, - ახლა თორმეტიც არაა. ჩანს, ადრე მოუხდა გამოსვლა!

ჩვენს სტუმარს შეშუპებული ქუთუთოები შეუთრთოლდა და ნაცრისფერი თვალები მოგვაშტერა. წუთიც და სირცხვილისაგან ერთიანად გაწითლებული ფეხზე დიდი გაჭირვებით წამოდგა.

- მომიტევეთ, მისტერ ჰოლმს. ეს გულწასვლა ნერვიული ძრწოლის შედეგია. არა, გმადლობთ... ჭიქა რძე, ორცხობილა და ყველაფერი გაივლის. მისტერ ჰოლმს, აქ იმისათვის ჩამოვედი, რომ თან წაგიყვანოთ. ჩემი ჩამოსვლის გარდა, ალბათ ვერავითარი დეპეშა ვერ დაგარწმუნებთ, რომ ის, რისი გულისთვისაც მე გეახელით, გადაუდებელი საქმეა.

- როცა საბოლოოდ მომჯობინდებით...

- თავს ჩინებულად ვგრძნობ. პირდაპირ არ ვიცი, ეს რა შემემთხვა. მისტერ ჰოლმს, დაბეჯითებით გთხოვთ, პირველივე მატარებლით წამობრძანდეთ მეკლტონში.

ჰოლმსმა თავი გადააქნია.

- ჩემი კოლეგა, ექიმი უოტსონი დაგიდასტურებთ, რომ ჩვენ ახლა თავის მოსაფხანადაც არ გვცალია. ფერერის დოკუმენტების დაკარგვის გამო დაწყებული ძიებისათვის ავანსი უკვე მივიღე; ამას გარდა, ამ დღეებში დანიშნულია აბერ-ჰავენში

მომხდარი მკვლელობის საქმის გარჩევა. ლონდონიდან გასვლა მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოებამ შეიძლება მაიძულოს.

- განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოებამ! - ჩვენმა სტუმარმა ხელები აღაპყრო, - ნუთუ ჰერცოგ ჰოლდერნესის ერთადერთი შვილის გატაცების ამბავი არ გსმენიათ?

- ჰერცოგ ჰოლდერნესის? ყოფილი მინისტრის?

- დიახ, დიახ! ყველაფერი ვიღონეთ, რომ ეს ამბავი არ გახმაურებულიყო და გაზეთებში არ გამოექვეყნებინათ, მაგრამ გუშინდელ «გლობუსში» უკვე გაიელვა რაღაც ხმებმა. მეგონა, ეს ხმები თქვენამდეც მოაღწევდა.

ჰოლმსმა თავისი გრძელი, გამხდარი ხელი ასწია და თაროდან გადმოიღო ენციკლოპედიური ცნობარი ასო «ჰაე»-ზე.

- «ჰოლდერნესი, მეექვსე ჰერცოგი, ლეკვერთხის ორდენის კავალერი, საიდუმლო მრჩეველი და საბჭოს წევრი... «ბარონი ბოვერლი, ჰერცოგი კარლსტონი... ღმერთო ჩემო რამდენი ტიტულია. «ჰელემშირის საგრაფოს სასამართლოს თავმჯდომარე (1900 წლიდან). დაქორწინებულია ედიტზე, სერ ჩარლზ ეპლდორის ქალიშვილზე (1888); ლორდ სოლტაირის ერთადერთი შვილი და მემკვიდრე. ორას ორმოცდაათი ათასი აკრი მიწის მფლობელი. ლანკაშირისა და უელსის მაღაროების მეპატრონე. მისამართი: კარლტონ-ჰაუს-ტერასი. ჰოლდერნეს-ჰოლი, ჰელემშირი; ციხე-დარბაზი კარლსტონი. ბანგორი, უელსი. საადმირალოს ლორდი (1872), სახელმწიფო მდივანი... «მოკლედ, ინგლისის ერთ-ერთი მესვეურთაგანი და ვგონებ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უფრო სახელგანთქმული კაცი ეგ ყოფილა».

- ყველაზე უფრო ცნობილი და, შესაძლოა, ყველაზე უფრო მდიდარიც. რამდენადაც ვიცი, მისტერ ჰოლმს, თქვენ ძიების საქმეს ანგარების მიზნით არ ემსახურებით, მაგრამ ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ მისი ბრწყინვალება ხუთი ათასი გირვანქის ჩეკს ჰპირდება მას, ვინც შვილის ადგილსამყოფელს უჩვენებს და დამატებით ათას გირვანქას, თუ გამტაცებელს ან გამტაცებლებს დაუსახელებენ.

- მართლაც, უხვი, თავადური გასამრჯელოა, - თქვა ჰოლმსმა, - უოტსონ, მგონი ჩრდილოეთ ინგლისში გავემგზავრებით დოქტორ ჰაკსტეიბლთან ერთად. თქვენ კი, დოქტორო, ჯერ რძე და ნამცხვარი მიირთვით, შემდეგ კი დალაგებით მოგვიყევით, რა მოხდა, როდის მოხდა, სად მოხდა, და ბოლოს, რა დამოკიდებულება გაქვთ თქვენ, მეკლტონთან არსებული ინტერნატის დირექტორს, ამ ამბავთან და რატომ მხოლოდ სამი დღის შემდეგ გვატყობინებთ ამ საიდუმლოებით მოცული საქმის ისტორიას. სამი დღის მერე-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ამას თქვენი მოუპარსავი წვერი მაფიქრებინებს.

ჩვენმა სტუმარმა ჭიქა რძე დალია თუ არა, ბავშვის გატაცების ამბავს აღელვებით მოყვა, მაგრამ არც ერთი წვრილმანი არ გამოუტოვებია. თვალები მაშინვე გამოუცოცხლდა, ლოყები აუღაჟღაჟდა.

- უნდა გაუწყოთ, ჯენტლმენებო, რომ მე გახლავართ მეკლტონის სკოლა-ინტერნატის დამაარსებელი და დირექტორი. ჰაკსტეიბლის «ჰორაციუსის კომენტარები» ალბათ მოგაგონებენ, ვისთან გაქვთ საქმე. ჩემი საბავშვო ინტერნატი უეჭველად საუკეთესო და ყველაზე უფრო პრივილეგიური სასწავლო დაწესებულებაა მთელ ინგლისში. ლორდი ლევერსტოუკი, გრაფი ბლეკუოტერი, სერ კეტკარტ სოუმსი - აი, ვინ მანდობს ყმაწვილებს. მაგრამ დიდების მწვერვალს ჩემმა სკოლამ მიაღწია სამი კვირის წინ, როცა ლორდმა ჰოლდერნესმა თავისი მდივნის, მისტერ ჯეიმს უაილდერის პირით შემომითვალა, რომ ათი წლის ლორდი სოლტაირი, მისი ერთადერთი შვილი და მემკვიდრე, ჩემს ინტერნატში ისწავლიდა.

განა შემეძლო მეფიქრა მაშინ: აი პრელუდია, რომელსაც ჩემს სიცოცხლეში თან ყველაზე დიდი უბედურება მო-ჰყვება-მეთქი?

ლორდი სოლტაირი პირველ მაისს, ზაფხულის სემესტრის დასაწყისში ჩამოვიდა. ეს მომაჯადოებელი ყმაწვილი ძალიან მოკლე ხანში შეეთვისა ჩვენს წესებს. უნდა შევნიშნო, და იმედი მაქვს, ვერავინ დამწამებს, თავმდაბალი არააო, თუმცა ამაზე დადუმება სისულელე იქნებოდა - ბავშვს ჩამწარებული ჰქონია შინ ყოფნა. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჰერცოგის ოჯახური ცხოვრება სიამტკბილობით აღსავსე არ გახლავთ. ცოლ-ქმარი თავიანთი სურვილის თანახმად დაშორდა ერთმანეთს და სოლტაირის მეუღლე სამხრეთ საფრანგეთში დასახლდა. ყოველივე ეს ამ ცოტა ხნის წინ მოხდა. ბავშვი, როგორც გავიგეთ, მთლიანად დედის მხარეზე ყოფილა. ჰოლდერნეს-ჰოლიდან მშობელი დედის წასვლის შემდეგ, პატარა ლორდმა თურმე ძლიერ მოიწყინა და მაშინ ჰერცოგს გადაუწყვეტია შვილი აღსაზრდელად ჩემს ინტერნატში მოეყვანა. ორ კვირაში ლორდი სოლტაირი სრულიად მოგვეჩვია და ყველაფრით ჩანდა, რომ თავს ჩინებულად გრძნობდა.

უკანასკნელად ყმაწვილი ცამეტ მაისს საღამოს, ესე იგი, ორშაბათს ნახეს. მისთვის მიჩენილი ოთახი მეორე სართულზე გახლდათ, ხოლო დიდ გვერდით ოთახში ორი სხვა ბავშვი იწვა. იმ ორ ბიჭს, იმ ღამეს არც არაფერი უნახავს და არც გაუგონია. მაშასადამე, ლორდი სოლტაირი გარეთ თავისი ოთახის კარიდან არ გასულა. ფანჯარა ღია დაგვხვდა. კედელს კი სწორედ სარკმელთან მეტად მსხვილტოტებიანი სურო ფარავს. ვერავითარი კვალი მიწაზე ვერ ვნახეთ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ბავშვი ფანჯრიდან გადაძვრა.

პატარა სოლტაირის გაქცევის ამბავი, სამშაბათს, დილის შვიდ საათზე შეიტყვეს. ლოგინი დაგებული იყო. წასვლის წინ სასკოლო ფორმის - შავი იტონური ქურთუკისა და რუხი შარვლის ჩაცმა მოესწრო. ღამით მასთან ოთახში არავინ შესულა, ხოლო იქიდან რომ ყვირილის ან ჭიდილის ხმა გამოსულიყო, კონტერი, მეზობელ ოთახში მყოფი უფროსი ბიჭი, აუცილებლად გაიგონებდა, რადგან ფხიზელი ძილი იცის.

როგორც კი ლორდ სოლტაირის დაკარგვა გამოაშკარავდა, მთელი ინტერნატი - ბავშვები, მასწავლებლები, მსახურები ფეხზე დავაყენე. მაშინვე დავრწმუნდით, რომ ლორდი სოლტაირი მარტო არ გაქცეულა. არც ჰაიდეგერი ჩანდა - გერმანულის მასწავლებელი. ჰაიდეგერის ოთახი მეორე სართულის მოპირდაპირე მხარეს იყო, მაგრამ მისი ოთახის ფანჯრებიც კორდისაკენ გადიოდა. არც მისი ლოგინი იყო ალაგებული, მგრამ წესიერად ჩაცმა მასწავლებელს, ეტყობა, ვერ მოუხერხდა, რადგანაც მისი პერანგი და წინდები იატაკზე ეყარა. ჩანდა, ფანჯრიდან გადამძვრალიყო და სუროს ჩაჰყოლოდა ძირს, რაზედაც დაბლა დარჩენილი კვალი მეტყველებდა. მისი ველოსიპედი, რომელსაც ჩვეულებრივ კორდის ბოლოს პატარა ფარდულში ინახავდა, ადგილზე არ აღმოჩნდა.

ჰაიდეგერი, ჩემთან, სკოლაში მასწავლებლად ორი წლის წინ დადგა. საუკეთესო რეკომენდაციებით აღჭურვილი მეახლა, მაგრამ მდუმარე, პირქუში კაცი იყო და განსაკუთრებული სიყვარული ვერც მოსწავლეთა და ვერც მასწავლებელთა შორის ვერ მოიპოვა.

დღეს ხუთშაბათია და ლტოლვილზე სამშაბათის შემდეგ ახალი არაფერი გაგვიგია. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი იყო ჰოლდერნეს-ჰოლთან დაკავშირება. ჰერცოგის მამული სულ რამდენიმე მილზეა სკოლიდან, და იმედი გვქონდა, რომ ლორდ სოლტაირს ალბათ სახლი მოენატრებოდა და იქ წავიდოდა, მაგრამ იგი ჰერცოგის სასახლეში არ აღმოჩნდა. მამა ძლიერ აღელვებულია, ხოლო,

რაც შემეხება მე, თვითონვე შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, სადამდე მიჰ-ყავს ადამიანი წუხილსა და თავისი აღსაზრდელისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. მისტერ ჰოლმს, გევედრებით, ნუ დაიშურებთ თქვენს ძალ-ღონეს! ეს ისეთი საქმეა, რომ ღირს სულითა და გულით მოეკიდოთ.

შერლოკ ჰოლმსმა ყურადღებით მოისმინა უბედური დირექტორის მოთხრობა. მოღუშული წარბები და შუბლის ღრმა ნაოჭი მოწმობდა, რომ ჰოლმსი არ საჭიროებდა დაყოლიებას და ყოველ ღონეს იხმარდა იმ საქმის საძიებლად, რომელიც თავისი სერიოზულობის გარდა, უჩვეულო და დახლართული საქმეებისადმი თანდაყოლილ სიყვარულს უღვიძებდა. ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და თავისთვის რაღაც ჩაიწერა.

- თქვენ დიდი შეცდომა ჩაიდინეთ, რომ მაშინვე არ მომმართეთ, - მკაცრად თქვა ჩემმა მეგობარმა. - ეს ძალიან გაართულებს ძიებას. დარწმუნებული ვარ, რომ კორდი და კედელზე დახვეული სურო ბევრ რამეს ეტყოდნენ გამოცდილ თვალს.

- მე არაფერს შუაში ვარ, მისტერ ჰოლმს. მისი ბრწყინვალება ყველანაირად ერიდებოდა გახმაურებას. ეშინოდა, რომ მისი ოჯახური არეულობა ჭორებისა და მითქმა-მოთქმის საგნად იქცეოდა. ეს ყოველთვის გულს უმღვრევდა.

- ადგილობრივ ხელისუფალთ ხომ არ უძებნიათ ლორდი სოლტაირი?

- დიახ, სერ, მაგრამ - ვაგლახ - არაფერი გამოვიდა. პირველად თითქოს მივაგენით გაქცეულთა კვალს, შეგვატყობინებს, იმ დილით ჩვენი სადგურიდან მატარებლით ახალგაზრდა კაცი ბიჭთან ერთად გაემგზავრაო. მაგრამ გუშინ საღამოს ისინი ლივერპულში დააკავეს და შეცდომა მსწრაფლ გამოაშკარავდა. აი, მაშინ კი სრულიად დავკარგე იმედი და უძილო ღამის შემდეგ პირველივე მატარებლით თქვენკენ გამოვეშურე.

- რაკი პოლიცია მცდარ გზას დაადგა, ადგილზე ძიება ალბათ ისე გულმოდგინედ აღარ წარიმართა?

- უბრალოდ, შეწყდა.

- მაშასადამე, სამი დღე დაიკარგა. ეს აღმაშფოთებელია!

- დიახ, ვნანობ. მართალი ბრძანდებით.

- მერე გამოცანის ამოხსნა როგორ იოლად შეიძლებოდა. სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს ამ საქმეს. მითხარით, ხომ არ დაგიდგენიათ რაიმე კავშირი დაკარგულ მასწავლებელსა და ყმაწვილს შორის?

- მათ შორის არავითარი კავშირი არ ყოფილა.

- ჰაიდეგერი მის კლასშიც ასწავლიდა გერმანულ ენას?

- არა, და რამდენადაც ვიცი, ერთხელაც არ დალაპარაკებია.

- უცნაურია, ძალზე უცნაური! ბავშვს ჰქონდა ველოსიპედი?

- არა.

- ყველა სხვა ველოსიპედი ადგილზეა?

- ადგილზეა.

- დარწმუნებული ხართ?

- დარწმუნებული გახლავართ.

- არა მგონია იმას ფიქრობდეთ, რომ მასწავლებელმა წყვდიად ღამეში ყმაწვილი ხელში აიყვანა, ველოსიპედზე დაისვა და ისე გაემგზავრა.

- რა თქმა უნდა, არა.

- მაშ, რანაირად ხსნით ყოველივე ამას?

- შესაძლოა, ველოსიპედი აიღეს თვალის ასახვევად, სადმე მიმალეს და თვითონ ფეხით წავიდნენ.

- შესაძლებელია, მაგრამ იმედია დამეთანხმებით, რომ ეს თვალის ასახვევად უცნაური ხერხი იქნებოდა. ფარდულში ხომ სხვა ველოსიპედებიც იყო?

- დიახ.

- განა უკეთესი არ იქნებოდა ორი ველოსიპედი გადაემალათ, თუ ისურვებდნენ ისეთი წარმოდგენის შექმნას, თითქოს ორთავე ველოსიპედით წავიდა და არა ფეხით?

- დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით.

- საქმეც ეს არის. არა, ეს ვერსია არაფრად არ ვარგა. მაგრამ თავისთავად ველოსიპედის დაკარგვა შეიძლება შემდგომი ძიების ამოსავალ წერტილად გამოგვადგეს. ბოლოს და ბოლოს, ეს ისეთი ნივთი არაა, რომ მისი დამალვა ან მოსპობა იოლად შეძლონ. კიდევ ერთი კითხვა: ვინმემ ხომ არ ინახულა ბავშვი გაქცევის წინ?

- არავინ.

- იქნებ წერილები მოვიდა მის სახელზე?

- დიახ, იყო ერთი წერილი.

- ვისგან?

- მამამისისგან.

- თქვენი მოწაფეების ფოსტას ხომ არ ხსნით?

- არა.

- მაშ, რატომ ფიქრობთ, რომ წერილი მამამ გამოუგზავნა?

- კონვერტი ღერბიანი გახლდათ, მისამართი კი - ჰერცოგის მოუხეშავი ხელით იყო დაწერილი. გარდა ამისა, ჰერცოგმა თვითონაც გაიხსენა, წერილი მივწერეო შვილს.

- მანამდე როდის მიიღო ბავშვმა წერილები?

- უკანასკნელ დღეებში მის სახელზე არაფერი მოსულა.

- საფრანგეთიდან თუ სწერდნენ?

- არა.

- თქვენ, ცხადია, ხვდებით, რასაც ვფიქრობ. ლორდი სოლტაირი ან ძალით წაიყვანეს, ან საკუთარი სურვილით გაიქცა. უკანასკნელი ჰიპოთეზა გვკარნახობს, რომ ყმაწვილი ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავდა, თუ გარედან არ მოახდენდნენ ზეგავლენას. რაკი მასთან არავინ მოსულა, მაშასადამე, ეს ზეგავლენა წერილების საშუალებით მომხდარა. აი, რატომ მიმაჩნია მნიშვნელოვნად იმის ცოდნა, თუ ვინ იყო მისი ფოსტალიონი.

- მეეჭვება, რომ ამ საქმეში რაიმე დახმარება შევძლო. რამდენადაც ცნობილია, ბავშვს მხოლოდ მამა სწერდა.

- და მამის წერილი მიიღო გაქცევის დღეს. როგორი დამოკიდებულება იყო მამა-შვილს შორის: კარგი, მეგობრული?

- მისი ბრწყინვალება მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებითაა გადატვირთული და თავისი მეგობრობის ღირსადაც არავინ მიაჩნია. მის გულს ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობა ასე იოლად ვერ შეატოკებს. მაგრამ თავისებურად ყმაწვილს ცუდად არ ექცეოდა.

- მაინც როგორ შეატყვეთ, ყმაწვილი მთლიანად დედის მხარეზე იყო?

- დიახ.

- თვითონ ამბობდა ასე?

- არა.

- მაშ ვინ? ჰერცოგი?

- არა, რას ბრძანებთ! რა თქმა უნდა, არა!

- მაშ, ეს საიდან იცით?

- ხშირად მიხდებოდა მისი ბრწყინვალების მდივანთან, მისტერ ჯეიმს უაილდერთან საუბარი. მან გამანდო საიდუმლოდ ლორდ სოლტაირის განწყობილება.

- გასაგებია. ჰო, მართლა, ჰერცოგის უკანასკნელი წერილი ბავშვის გაქცევის შემდეგ იპოვნეთ ოთახში?

- არა. ალბათ, თან წაიღო... მისტერ ჰოლმს, ხომ არ ვაგვიანებთ სადგურზე წასვლას?

- ახლავე ვუბრძანებ, კები მომგვაროს. თხუთმეტი წუთის შემდეგ თქვენს განკარგულებაში ვიქნებით. თუ შინ დეპეშის გაგზავნა გნებავთ, მისტერ ჰაკსტეიბლ, ეცადეთ იქ, თქვენსას, ისე იფიქრონ, რომ ძიება ჯერ კიდევ ლივერპულში მიმდინარეობს. თქვენი მაძებრების ხროვა ხომ იქით გაფრინდა? მე კი ამასობაში დამშვიდებული, დაუბრკოლებლად ვიმუშავებ ზედ თქვენი სკოლის კართან და იქნებ ალღომ არ უმტყუნოს ორ ისეთ ნაცად მეძებარს, როგორიც არიან მორჩილი მსახური და უოტსონი. იქნებ ყნოსვამ არ გვიღალატოს და ადგილზე კვალის მიგნება მოვახერხოთ.

საღამოს დერბის საგრაფოს ცივმა ჰაერმა გაგვაგრილა. ჩვენ წინ დოქტორ ჰაკსტეილის სახელგანთქმული ინტერნატი აღმართულიყო. როცა ჰაკსტეიბლის სკოლის კარიბჭეს მივაღწიეთ, უკვე ბნელოდა. წინკარში მაგიდაზე დაგვხვდა სადარბაზო ბარათი. ლაქიამ რაღაც ჩასჩურჩულა დირექტორს და ისიც აღელვებული მოგვიბრუნდა.

- ჰერცოგი აქ არის, - თქვა ჰაკსტეიბლმა, - ჰერცოგი და მისტერ უაილდერი კაბინეტში მიცდიან. წამობრძანდით, ჯენტლმენებო, თქვენს თავს წარვუდგენ.

მე, რა თქმა უნდა, ფოტოსურათებიდან ვიცნობდი ამ უაღრესად ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, მაგრამ იგი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც სურათებზე იყო. ბუხრის წინ ხალიჩაზე იდგა მოხდენილად ჩაცმული, დიდებული გარეგნობის კაცი. მოგრძო, გამხდარი სახე ჰქონდა და რაღაც უაზროდ წამოშვერილი გრძელი, მოკაუჭებული ცხვირი. სახეზე მკვდრისფერი ედო და ამ სიფერმკრთალეს კიდევ უფრო აძლიერებდა გრძელი, ჟღალი წვერი, რომლის მიღმაც თეთრ ჟილეტზე საათის ოქროს ძეწკვი ციმციმებდა. ყოფილი მინისტრი დაჟინებით შემოგვცქეროდა. გვერდით ჯერაც სრულიად ახალგაზრდა, ტანმომცრო, მოძრავი, ნერვიული შესახედაობისა და ჭკვიანი გამომეტყველების ცისფერთვალება კაცი ედგა. როგორც მივხვდი, ის მისი პირადი მდივანი, უაილდერი იყო. ლაპარაკი მან წამოიწყო, თანაც, უაღრესად გადამწყვეტი და მკვეთრი ხმით:

- დოქტორო ჰაკსტეიბლ, მე ვიყავი დღეს დილით თქვენთან, მაგრამ, სამწუხაროდ, დავაგვიანე და ვერ შევძელი ხელი შემეშალა თქვენთვის ლონდონს გამგზავრებაში. როგორც მითხრეს, მისტერ შერლოკ ჰოლმსის ჩამოსაყვანად და მისთვის ამ საქმის გამოკვლევის დასავალებლად გამგზავრებულხართ, დოქტორო ჰაკსტეიბლ. მისი ბრწყინვალება გაოცებულია, რომ წინასწარ მასთან მოუთათბირებლად გაბედეთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

- როცა გავიგე, რომ პოლიციის ძიებამ შედეგი არ გამოიღო...

- მისი ბრწყინვალება სულაც არ არის ამაში დარწმუნებული.

- მაგრამ, მისტერ უაილდერ!..

- როგორც თქვენთვის ცნობილია, დოქტორო ჰაკსტეიბლ, მის ბრწყინვალებას არ სურს, რომ ეს საქმე გახმაურდეს. იგი უმჯობესად მიიჩნევდა, უცხო ხალხისათვის არ გაგენდოთ ეს ამბავი.

- ამისი გამოსწორება ადვილია, - წაილუღღუღა შეშინებულმა დოქტორმა, - მისტერ შერლოკ ჰოლმსს შეუძლია დილის მატარებლით დაბრუნდეს ლონდონში.

- არ ვაპირებ, დოქტორო, არ ვაპირებ! - თავაზიანი ღიმილით თქვა ჰოლმსმა. - ჩრდილოეთის ჰაერი ისე სასიამოვნო და კეთილისმყოფელია ჯანმრთელობისათვის, რომ გადავწყვიტე აქ, დაბლობში გავატარო რამდენიმე დღე. გავერთობი ისე, როგორც მოვახერხებ. რაც შეეხება თავშესაფარს, თქვენს ჭერქვეშ ვიქნები, თუ სოფლის სასტუმროში, ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული.

უბედური დოქტორი სრულიად დაიბნა, მაგრამ სწორედ მაშინ წამოეშველა ქერათმიანი ჰერცოგის ბოხი ხმა, სადილზე მიმხმობი გონგის ხმასავით რომ გაისმა.

- დოქტორი უაილდერი მართალია, დოქტორო ჰაკსტეიბლ, ჩემთან მოთათბირება გმართებდათ, მაგრამ რაკი მისტერ შერლოკ ჰოლმსს ეს საქმე გაანდეთ, ჩვენის მხრივ უგუნურება იქნებოდა მის სამსახურზე უარის თქმა. სოფლის სასტუმროში რა გაქვთ წასასვლელი, მისტერ ჰოლმს? მოხარული ვიქნები, თუ ჰოლდერნეს-ჰოლში მესტუმრებით.

- უაღრესად გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ თქვენი საქმის ინტერესებისათვის, აქ, შემთხვევის ადგილზე თუ დავრჩები, აჯობებს.

- არ შემიძლია ძალა დაგატანოთ, მისტერ ჰოლმს, მაგრამ თუ რაიმე ცნობები დაგჭირდებათ ჩემგან ან მისტერ უაილდერისაგან, ორივენი მზად ვართ გემსახუროთ.

- ალბათ მომიხდება ჰოლდერნეს-ჰოლში ჩამოსვლა, - თქვა ჰოლმსმა, - ახლა კი, სერ, მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, როგორ ხსნით თქვენი შვილის ეგზომ იდუმალ გაუჩინარებას.

- მიმძიმს პასუხის გაცემა, სერ.

- მაპატიეთ, თუ თქვენთვის არასასიამოვნო თემას შევეხები, მაგრამ უამისოდ არ შეიძლება. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქმეში ჩარეულია ჰერცოგის მეუღლე?

მინისტრი პასუხს აგვიანებდა.

- არა, არ მგონია, - თქვა ბოლოს.

- მაშინ თავისთავად იჩენს თავს მეორე ახსნა: იქნებ ყმაწვილი გაიტაცეს იმ მიზნით, რომ გამოსასყიდი მიიღონ? ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა?

- არა, სერ.

- კიდევ ერთი კითხვა, თქვენო ბრწყინვალებავ: გავიგე, შვილისათვის წერილი მისი გაუჩინარების დღეს მიგიწერიათ.

- არა, წინა დღეს.

- სავსებით სწორია. მაგრამ წერილი იმავე დღეს მიიღო?

- დიახ.

- ხომ არაფერი იყო იმ წერილში ისეთი, რომ აეღელვებინა ბავშვი და ჩაენერგა მისთვის გაქცევის აზრი?

- რა თქმა უნდა, არა, სერ!

- წერილი თვითონ გაგზავნეთ?

ჰერცოგის ნაცვლად გაჯავრებულმა მდივანმა მიუგო:

- მის ბრწყინვალებას ჩვეულებად არა აქვს პირადად გზავნოს თავისი კორესპონდენციები. ეს წერილი სხვებთან ერთად დატოვა მაგიდაზე და მე ჩავდე საფოსტო ჩანთაში.

- დარწმუნებული ხართ, რომ სხვა წერილებთან ისიც იყო?

- დიახ, დავინახე.

- რამდენი წერილი დაწერეთ იმ დღეს, თქვენო ბრწყინვალებავ?

- ოცი თუ ოცდაათი. დიდი მიმოწერა მაქვს. მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ საქმის არსიდან გადავუხვიეთ.

- არა, რატომ! - თქვა ჰოლმსმა.

- თვითონვე ვურჩიე პოლიციას ძიება სამხრეთ საფრანგეთში წარემართა, - განაგრძო ჰერცოგმა, - ვიმეორებ: არა მგონია, ჰერცოგის ქალს უნარი შესწევდეს შვილი ასეთი საშინელი ნაბიჯის გადასადგმელად წააქეზოს, მაგრამ თვითონ ბავშვი ისეთი ჯიუტია, შეიძლება დედასთან გაქცეულიყო, მით უფრო, თუ ამას იმ გერმანელის მხრივ შეგულიანება და თანამოქმედება დაემატა. ახლა კი, დოქტორო ჰაკსტეიბლ, ნება მომეცით, გამოგემშვიდობოთ.

ვგრძნობდი, ჰოლმსს კიდევ რამდენიმე კითხვა ჰქონდა, მაგრამ ჰერცოგმა უცებ შეწყვიტა საუბარი. ჰერცოგს დახვეწილი არისტოკრატიზმი არ აძლევდა ნებას დაწვრილებით გაენდო ოჯახური საკითხები უცხო კაცისათვის და, ეტყობოდა, ეშინოდა, რომ ყოველი ახალი კითხვა უწყალო შუქს მოჰფენდა მისი ცხოვერბის ასე გულმოდგინედ ჩაბნელებულ კუნჭულებს.

ჰერცოგისა და მისტერ უაილდერის წასვლის შემდეგ ჰოლმსი მაშინვე მისთვის ჩვეული თავგამოდებით შეუდგა საქმეს.

ბავშვის ოთახის გულდასმით დათვალიერებამ ახალი არაფერი მოგვცა გარდა იმისა, რომ საბოლოოდ დავრწმუნდით: გაქცევა პატარა სოლტაირს მხოლოდ ფანჯრიდან შეეძლო. გერმანელი მასწავლებლის ოთახშიც შევიხედეთ. არავითარი სამხილი არ აღმოჩნდა. ფანჯრის ქვემოთ სუროს მისი სიმძიმისათვის ვერ გაეძლო და ფარნით განათებულ კორდზე ვნახეთ ქუსლების ორი ღრმა კვალი - აი, ერთადერთი რამ, რაც იმ ღამის ამოუხსნელ გაქცევას მოწმობდა.

შერლოკ ჰოლმსი წავიდა, მარტო დამტოვა და მხოლოდ ღამის თორმეტ საათზე დაბრუნდა. სადღაც აქაური მიდამოების რუკა ეშოვნა, ჩემს ლოგინზე გაშალა ოთახში და შუა ადგილას ლამპა დადგა. შემდეგ მოსწია და გულდასმით დაუწყო ცქერა თავის გამოგონებას. დროგამოშვებით კი მისთვის საინტერესო ადგილებს ჩიბუხის ქარვის ტარით მიჩვენებდა.

- ეს საქმე სულ უფრო და უფრო მიზიდავს, უოტსონ, - ამბობდა ჩემი მეგობარი, - საინტერესო საქმეა, ძალიან საინტერესო... მაგრამ ახლა, როცა მხოლოდ ვიწყებ ძებნას, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ზოგიერთ გეოგრაფიულ დეტალს, რომელთაც შეიძლება არცთუ მცირე მნიშვნელობა ექნეთ ძიების მსვლელობაში. შეხედეთ ამ რუკას. აი, ეს შტრიხიანი კვადრატი - სკოლაა. აქ ქინძისთავი დავარჭოთ. ესეც გზატკეცილი. იგი სკოლას ჩაუვლის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და განშტოება მთელი მილის მანძილზე ორთავე მხარეს არსად არა აქვს. გაქცეულები შარაგზას უნდა მიჰყოლოდნენ, სხვა გზა არც ჰქონდათ.

- მართალია.

- გარემოებათა ბედნიერი დამთხვევის წყალობით, შეგვიძლია შევამოწმოთ, რა ხდებოდა იმ ღამეს ამ გზატკეცილზე. აი, ამ ადგილას, სადაც ახლა ჩემი ჩიბუხია, თორმეტიდან დილამდე პოლისმენი მორიგეობდა. როგორც ხედავთ, ესაა პირველი ჯვარედინი გზატკეცილის აღმოსავლეთ მხარეზე. პოლისმენი წამითაც არ მოსცილებია თავის პოსტს და ამტკიცებს, აუცილებლად შევნიშნავდი მოზრდილ მამაკაცს, რომელსაც ყმაწვილი ახლდა, იქ რომ გაევლოთო. დღეს საღამოს ველაპარაკე და ვგონებ, შეიძლება მის სიტყვებს ვენდოთ. მაშასადამე, გზატკეცილის ეს ნაწილი გამორიცხულია. ახლა ვნახოთ, როგორ არის საქმე მის დასავლეთ ნაწილში. იქ არის სასტუმრო «წითელი ხარი», რომლის დიასახლისი ავადაა და წევს. მეკლტონში ექიმის დასაძახებლად კაცი უფრენიათ, მაგრამ ექიმი სხვაგან ყოფილა და ავადმყოფთან

მხოლოდ ადრე დილით მისულა. ექიმის მოლოდინში სასტუმროში მთელი ღამე არავის სძინებია. თურმე წამდაუწუმ იხედებოდნენ გზატკეცილისაკენ, ხომ არ მოდისო. იმ ხალხის თქმით, სასტუმროსთან არავის ჩაუვლია. თუ იმათ დავუჯერებთ, არც გზატკეცილის დასავლეთი ნაწილი ტოვებს რაიმე ეჭვს. მაშასადამე, ლტოლვილებს რაღაც სხვა გზა აურჩევიათ.

- მერე, ველოსიპედი? - ვკითხე ჰოლმსს.

- დიახ, ველოსიპედი. ახლა იმაზე გადავალთ. ამრიგად, განვაგრძოთ ჩვენი მსჯელობა. თუ გაქცეულები გზატკეცილზე არ გასულან, მაშასადამე, ან ჩრდილოეთისაკენ წავიდოდნენ, ან სამხრეთისაკენ, ეს უდავოა. მოდი, ავწონ-დავწონოთ ორივე ეს ვარაუდი. სკოლის სამხრეთით პატარა ნაკვეთებად დანაწევრებული დიდი მინდორია. ყოველი ნაკვეთი მეორისაგან ქვის ზღუდით არის გამოყოფილი. ველოსიპედით იქ გავლა შეუძლებელია. მაშასადამე ეს ივარაუდიც უნდა უარვყოთ. ახლა ჩრდილოეთს დავაკვირდეთ. იქ ჭალაა, სახელად «მრუდე სოლი». მის იქით კი, ათ მილზე, გადაჭიმულია ჭაობიანი ველი, რომლის ჩრდილოეთ მხარეს ბორცვები და გორაკები გვხვდება. მის მარცხნივ ჰოლდერნეს-ჰოლია, სადამდეც, თუ გზატკეცილით ვივლით, ათი მილი იქნება, ხოლო პირდაპირი გზით ექვსი მილიც არ უნდა იყოს. ეს ველი პირქუში და უკაცურია. ზედ მესაქონლეობის რამდენიმე პატარა ფერმა გაფანტულა, ცხვრები, ძროხები, ჭაობის ფრინველი - აი, ამ მიდამოების ბინადარნი. შემდგომ, როგორც თვითონვე ხედავთ, გადის ჩესტერფილდის გზატკეცილი. მის გასწვრივ დგანან კოტეჯი, ეკლესია და სასტუმრო. უკან - ბორცვებია, მაღალი და დახრამული. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ძიება ჩრდილოეთისაკენ უნდა ვაწარმოოთ.

- მაგრამ ველოსიპედი! - გავიმეორე ჩემი მოსაზრება.

- რა შუაშია აქ ველოსიპედი! - მოუთმენლად მიპასუხა ჰოლმსმა. - კარგი ველოსიპედისტები მარტო გზატკეცილებზე როდი დადიან. ველი ბილიკებითაა დასერილი, გარდა ამისა, იმ ღამეს მთვარე კარგად ანათებდა... მოითმინეთ! ეს რა არის?

კარზე კაკუნი გაისმა და ამ ხმას ოთახში მაშინვე მოჰ-ყვა დოქტორი ჰაკსტეიბლი. ხელში ეჭირა ცისფერი ქუდი, რომელსაც საჩიხზე თეთრი დანაკერები ჰქონდა.

- ნაპოვნია! - შესძახა მან. - მადლობა ღმერთს! როგორც იქნა, ჩვენი ყმაწვილის კვალს წავაწყდით! ეს ლორდის კეპია!

- სად იპოვნეთ?

- ბოშათა საზიდარში. მათი ბანაკი ველზე იდგა. სამშაბათს აიშალნენ და გზას გაუდგნენ. დღეს პოლიცია დაესხა თავს და მათი საზიდრების ჩხრეკის შემდეგ, აი, რა იპოვნეს.

- როგორ მოხვდა ქუდი ჩვენთანო, რა უთქვამთ?

- თავის დაძვრენა უცდიათ, მიუკიბ-მოუკიბავთ, კეპი სამშაბათ დილით ველზე ვიპოვეთო. არა, იმ არამზადებმა იციან, სადაა ბავშვი. საბედნიეროდ, ყველანი ჩასვეს. კანონის შიში ენას გაუხსნით ან, იქნება, კანონის შიშმა კი არა, ჰერცოგის ქისამ აალაპარაკოს ისინი.

- ჰო, რა გაეწყობა, კარგია, - თქვა ჰოლმსმა, როცა დოქტორი ოთახიდან გავიდა. - ყოველ შემთხვევაში, ეს ადასტურებს ჩემს ვარაუდს, რომ მხოლოდ ველზე ძიება მოგვცემს რაიმე შედეგს. პოლიციას არაფერი გაუკეთებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოშების დაპატიმრებას. შეხედეთ რუკას, უოტსონ. ველზე ნაკადული მიედინება. სკოლასა და ჰოლდერნეს-ჰოლს შორის ის ერთ-ორ ადგილას

დაჭაობებულია. ამინდი ახლა ისე გვალვიანია, რომ კვალის ძებნა სადმე სხვაგან უსარგებლო საქმეა, ჭაობებში კი შეიძლება აქა-იქ დარჩა ნაკვალევი, ხვალ ადრე შემოგივლით და შევეცადოთ შუქი მოვფინოთ ამ საიდუმლოებით მოცულ საქმეს.

მეორე დღეს, განთიადის ბინდბუნდში გამეღვიძა და ჩემს ლოგინთან ჰოლმსის მაღალი, გამხდარი ფიგურა შევნიშნე. ჰოლმსი უკვე ჩაცმული იყო და როგორც ჩანდა, იქაურობა დაეთვალიერებინა.

- კორდი და ველოსიპედის ფარდული გამოვიკვლიე, - მითხრა მეგობარმა. - შემდეგ მრუდე სოლში გავისეირნე. ადექით, უოტსონ, გვერდით ოთახში კაკაო გელოდებათ, თანაც გთხოვთ, იჩქაროთ, რადგან დღეს ბევრი დავიდარაბა გველის.

ჩემს მეგობარს სახე ისე წამოგზნებოდა და თვალებიც იმ ადამიანივით უელავდა, რომელსაც გული არ უთმენს, რომ თავის საყვარელ სამუშაოს შეუდგეს. ჩემს წინ უკვე სხვა ადამიანი იდგა - გამოცოცხლებული, ენერგიული, რომელიც სრულიად არ ჰგავდა თავის თავში ჩაკეტილსა და ფერმკრთალ ბეიკერსტრიტელ მეოცნებეს. შევცქეროდი მის ზამბარასავით დაჭიმულ ჯან-ღონით აღსავსე სხეულს და ვგრძნობდი, რომ ეს დღე დავიდარაბას გვიქადდა.

მაგრამ ჩვენი საქმიანობა მწარე იმედგაცრუებით დაიწყო. სრულიად დაიმედებულნი გავემართეთ მუქ ტორფიან დაბლობისაკენ, რასაც ცხვრების მიერ გაკვალული ბილიკები სერავდა. მალე გავედით ღია მწვანე ფერის დაჭაობებულ საძოვრებზე, რაც ჩვენსა და ჰოლდერნეს-ჰოლს შორის მდებარეობდა. თუ ბავშვს გეზი შინისაკენ ჰქონდა აღებული, მაშინ ამ ადგილს ვერ ასცდებოდა და ჭენჭყობში უთუოდ უნდა დარჩენილიყო მისი, ან გერმანელი მასწავლებლის ფეხის კვალი. მაგრამ მსგავსი ვერაფერი ვნახეთ. ჩემი მეგობარი ამ მწვანე ველის კიდეს მიჰყვებოდა წარბშეკრული და ყურადღებით აკვირდებოდა ყოველ ბნელ ლაქას ხავსიან ზედაპირზე. უთვალავი ცხვრის კვალი იყო, ხოლო რამდენიმე მილის იქით ძროხის კვალიც ვნახეთ. ეს იყო და ეს.

- აშკარად გვიმტყუნა ბედმა, - თქვა ჰოლმსმა და წინ გადაჭიმულ ველს გახედა, - აი, იქაც არის ჭაობები და მათ შორის ვიწრო გასასვლელია. შეხედეთ! შეხედეთ! ეს რა არის?

შავ, დაკლაკნილ ბილიკზე შევდექით. ბილიკის შუაგულში, სველ მიწაზე, აშკარად ჩანდა ველოსიპედის ბორბლების კვალი.

- ვაშა! - შევძახე მე. - აი, ველოსიპედის ბორბლების ნაკვალევიც.

მაგრამ ჰოლმსმა თავი გადააქნია და მისი სახის გამომეტყველება იმდენად სიხარულს არ გამოხატავდა, რამდენადაც გაოცებასა და გამახვილებულ ყურადღებას.

- ველოსიპედის ნაკვალევი კია, მაგრამ სხვა ველოსიპედისაა, - მიპასუხა მან. - ჩემთვის ცნობილია ველოსიპედის ორმოცი სხვადასხვანაირი საბურავის ანაბეჭდი. ეს, როგორც ხედავთ, «დანლოპის» ფირმისაა, ისიც საკერებლიანი. ჰაიდეგერს პალმერისა ჰქონდა, გასწვრივ ზოლებიანი. ასე მითხრა მათემატიკის მასწავლებელმა ეველინგმა. მაშასადამე, აქ გაუვლია არა ჰაიდეგერს, არამედ ვიღაც სხვას.

- მაშასადამე, ბავშვს?

- რომ შეგვეძლოს იმის დამტკიცება, რომ ბავშვს ველოსიპედი ჰქონდა! მაგრამ გვარწმუნებენ, ველოსიპედი არ ჰქონიაო. ეს კვალი, როგორც თვითონვე შეგიძლიათ დარწმუნდეთ, სკოლასთან იწყება.

- ან სკოლისკენ მიდის.

- არა, ჩემო ძვირფასო უოტსონ, უკანა ბორბლების კვალი მუდამ უფრო ღრმაა, რადგან მას მეტი სიმძიმე აწვება. აი, ხედავთ? რამდენიმე ადგილას დაემთხვა წინა ბორბლის უფრო მკრთალ კვალს და მოშალა. არა, ველოსიპედი უთუოდ სკოლის

მხრიდან მოდიოდა. შეიძლება არაფერი საერთო არ ჰქონდეს ჩვენს ძიებასთან, მაგრამ სულ ერთია, ვიდრე ძიებას განვაგრძოთ, ამ კვალს უნდა გავყვეთ.

ასეც მოვიქეცით და ორას-სამასი იარდის შემდეგ, იქ, სადაც ბილიკი დაჭაობებული ნაკვეთიდან გვერდზე უხვევდა, ველოსიპედის ბორბლების ნაკვალევი გაქრა. მაგრამ შემდეგ ბილიკს ნაკადული კვეთდა და კვალი ისევ გამოჩნდა, თუმცა ძროხებს მოესწროთ იმ ადგილზე გავლა და გაეთელათ. შემდეგ ბილიკი მრუდე სოლში შეიმალა, ჭალაში, რაც თითქმის ზედ სკოლას ეკვროდა. ველოსიპედზე მჯდომი, როგორც ეტყობა, ამ ჭალიდან გამოვიდა. ჰოლმსი კაჭარზე დაჯდა და ნიკაპით ხელს დაეყრდნო. ვიდრე ასე სრულიად გაუნძრევლად იჯდა, ორი სიგარის მოწევა მოვასწარი.

- შესაძლოა, - თქვა ბოლოს ჩემმა მეგობარმა. - წინდახედულმა ადამიანმა თავის ველოსიპედს საბურავები გამოუცვალოს, რომ მდევარი დააბნიოს. საქმის დაჭერა დამნაშავესთან, რომელსაც აქვს ასეთი წინასწარხედვის ნიჭი, ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა. დავტოვოთ ეს საკითხი გადაუჭრელად და დავუბრუნდეთ ჭაობს, რადგან იქ ჯერ კიდევ ყველაფერი გარკვეული არაა.

გულდასმით განვაგრძეთ დაბლობის დაჭაობებული უბნის გასინჯვა და მალე ჩვენი გარჯისთვის ღირსეულად დაჯილდოებულნი აღმოვჩნდით. ჰოლმსმა ნახა კიდევ ერთი სველი ბილიკი, მივიდა და სიხარულით შეჰყვირა. ბილიკს შუაზე ტელეგრაფის მავთულებივით წვრილი ზოლები მიჰყვებოდა. ეს იყო პალმერის ველოსიპედის საბურავების კვალი.

- აი, რა გზით გამგზავრებულა ჰერ ჰაიდეგერი! - აღელვებით ჩაილაპარაკა ჰოლმსმა, - ჩემი დასკვნა არც ისე ურიგო გამოდგა, უოტსონ!

- გილოცავთ წარმატებას.

- მაგრამ ჯერ სადა ვართ. გთხოვთ ბილიკზე არ დადგეთ და დინჯად გავყვეთ ამ ნაკვალევს. ალბათ მალე დაიკარგება.

ველის იმ ნაწილში ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა საფლობი ადგილები და, თუმცა ველოსიპედის კვალი წარამარა გვეკარგებოდა, მუდამ ხელახლა ვპოულობდით.

- ამჩნევთ თუ არა, - თქვა ჰოლმსმა, - რომ აქ ველოსიპედზე მჯდომს პედალზე ფეხი დაუჭერია? ეს სრულიად აშკარაა. შეხედეთ აქ, სადაც დარჩენილია წინა და უკანა ბორბლების კვალი. ორივე ერთნაირად მკაფიოდ ჩანს. ეს კი შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ველოსიპედზე მჯდომს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდა საჭეზე, როგორც შეჯიბრების დროს იქცევიან ხოლმე. ღმერთო ჩემო, დაცემულა!

ტალახიან ბილიკზე ფართო გრძელი ზოლი გადიოდა. შემდეგ ჩანდა ფეხსაცმელების ანაბეჭდი, რასაც ისევ ველოსიპედის ნაკვალევი ცვლიდა.

- ბორბლები გასრიალებულა? - ვკითხე მეგობარს.

ჰოლმსმა მიწიდან შავთავას მოწყვეტილი ბუჩქი აიღო. ჩემდა შემაძრწუნებლად, ყვითელი ყვავილები წითლად იყო დაწინწკლული. ბილიკზე და შავთავას შამბნარში გამხმარი სისხლის მუქი ლაქები შევამჩნიეთ.

- ცუდად არის საქმე! - თქვა ჰოლმსმა. - ძალიან ცუდად! აქ ფეხი არ დადგათ, უოტსონ, გაიწიეთ. ამრიგად, რისი წაკითხვა შეიძლება? დაჭრილი დაეცა... წამოდგა... ისევ დაჯდა ველოსიპედზე... გზა განაგრძო. ბილიკზე ჯოგმა გაიარა. ხარმა ხომ არ ურქინა! აი, სხვა კვალი აქ არის. წინ, უოტსონ! სისხლის ლაქები, ველოსიპედის ბორბლების ანაბეჭდი - აი, ამ კვალის მიხედვით ალბათ ვიპოვნით გაქცეულებს!

ჩვენი ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. ველოსიპედის კვალი ნესტისაგან მბზინავ ბილიკზე კლაკნილად წავიდა. წინ გავიხედე და ანაზდად ჩემ თვალწინ

რაღაც ლითონმა გაიელვა. თავშავას შამბიდან პალმერის საბურავებიანი ველოსიპედი გამოვათრიეთ. ერთი პედალი გაღუნული ჰქონდა, საჭე და წინა ბორბალი კი ერთიანად სისხლით მოსვრილი. ცოტა იქით ბალახიდან ფეხსაცმელი იყო ამოჩრილი. იქით გავვარდით და ვნახეთ მიწაზე გაშხლართული, მაღალი, წვეროსანი კაცი, რომლის სათვალეს მარჯვენა მინა გატეხილი ჰქონდა. მისი სიკვდილის მიზეზი გამხდარიყო გამანადგურებელი დარტყმა, რასაც თავის ქალა ორად გაეპო. ასეთი ჭრილობის შემდეგ რომ რამდენიმე მეტრის გავლა კიდევ შეძლო, ეს მის განსაცვიფრებელ სიცოცხლისუნარიანობასა და სულიერ ძალაზე მოწმობდა. ფეხსაცმელი შიშველ ფეხზე ჩაეცვა, ხოლო პიჯაკის ქვეშ ღამის პერანგი მოუჩანდა. საეჭვო აღარაფერი იყო - ჩვენ წინ ეგდო გერმანელი მასწავლებელი.

ჰოლმსმა ფრთხილად გადააბრუნა გვამი და გასინჯა. შემდეგ დაჯდა და ჩაფიქრდა. ჩემი მეგობრის შეშფოთებულ სახეს შევცქეროდი და ვხვდებოდი, რომ ამ საშინელმა ნაპოვნმა მაინცდამაინც წინ ვერაფრით წასწია ძიების საქმე.

- პირდაპირ არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, უოტსონ, - თქვა ბოლოს ჰოლმსმა. - მინდა წინ წავიდეთ. ძიება ისე გაგვიგრძელდა, წუთის დაკარგვაც აღარ შეიძლება. მეორე მხრივ, პოლიციას უნდა შევატყობინოთ. განა შეიძლება აქ ამ საცოდავი გვამის დატოვება?

- ბარათი გამატანეთ.

- ჰო, მაგრამ თქვენი დახმარების გარეშე მუშაობა გამიძნელდება! დაიცადეთ, აგერ იქ ვიღაც ტორფს ჭრის. დაუძახეთ იმ კაცს, პოლიცია მოიყვანოს.

მეგობრის თხოვნა სასწრაფოდ შევასრულე. შიშით გონდაკარგულ ფერმერს ჰოლმსმა წერილი გაატანა დოქტორ ჰასკტეიბლთან.

- ამრიგად, უოტსონ, - ისევ ჩაილაპარაკა ჩემმა მეგობარმა, - დღეს დილით ორ კვალს მივაგენით. პირველი პალმერის საბურავებიანი ველოსიპედისაა და თქვენ ნახეთ, სად მოგვიყვანა ამ კვალმა. მეორე ნაპოვნი - დანლოპის ნაკერიანი საბურავების კვალია. ვიდრე ამ მეორე კვალს გავყვებოდეთ, მოდი, გავარკვიოთ, რა არის ჩვენთვის ცნობილი და გავარჩიოთ არსებითი არაარსებითისგან... უწინარეს ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ყმაწვილი თავისი ნებით გაიქცა. ფანჯრიდან გადაძვრა და დაიმალა მარტო, ან თანამზრახველთან ერთად. ეს უეჭველია.

დასტურის ნიშნად თავი დავხარე.

- ასე. ახლა მივხედოთ უბედურ გერმანელს. ბავშვმა მოასწრო ჩაცმა, მაშასადამე, ის ემზადებოდა გასაქცევად. გერმანელი კი, ეტყობა, აჩქარებით იცვამდა და ამიტომ მოუხდა უწინდებოდ გაქცევა.

- უეჭველია.

- რამ აიძულა ფანჯრიდან გადასულიყო? იმან, რომ გაქცეული ყმაწვილი დაინახა. უნდოდა დასწეოდა და დაებრუნებინა. მაშინ იგი იღებს თავის ველოსიპედს, მისდევს ბავშვს და ჭაობებში იღუპება.

- დიახ, თითქოს ასეა.

- ახლა ვეხები ჩემი მსჯელობის ყველაზე უფრო სადავო ნაწილს. პატარა ბავშვს რომ დასწეოდა, მოზრდილი მამაკაცი უბრალოდ უნდა დასდევნებოდა. ყმაწვილის დაწევას ხომ დიდი არაფერი უნდა! მაგრამ გერმანელი, რომელიც, დოქტორ ჰაკსტეიბლის თქმით, საუკეთესო ველოსიპედისტი იყო, სხვანაირად მოიქცა - ესე იგი, ფარდულში გაიქცა თავისი ველოსიპედის ასაღებად. აქედან დასკვნა: ნახა, რომ ბავშვმა მოძრაობის უფრო სრულყოფილ საშუალებას მიმართა, ვიდრე საკუთარი ფეხებია.

- სხვა სიტყვით, ვიღაცის ველოსიპედი აიღო?

- აღვადგინოთ გაქცევის სურათი ბოლომდე. გერმანელი იღუპება სკოლიდან ხუთი მილის დაშორებით - და იღუპება, მიაქციეთ ამას ყურადღება, არა ტყვიით, - ტყვია ხომ ბავშვსაც შეეძლო დაეხალა, - ეტყობა, ვიღაც ღონიერ მამაკაცს უწყალოდ ჩაურტყამს მისთვის თავში. მაშასადამე, ყმაწვილს ჰყავდა თანამგზავრი და ორივენი ისე სწრაფად მიჰქროდნენ, რომ კარგი ველოსიპედისტი მხოლოდ მეხუთე მილზე დაეწია. იმ ადგილზე, სადაც ეს ტრაგედია დატრიალდა, ჩვენ აღმოვაჩინეთ ძროხის კვალი, მეტი არაფერი. უფრო ფართო წრე შემოვიარე, ორმოცდაათიოდე ნაბიჯის დიამეტრით და გარშემო ვერავითარი ბილიკი ვერ შევნიშნე. მეორე ველოსიპედისტს არაფერი საერთო არ ჰქონია მკვლელობასთან, ადამიანის კვალი კი იქ არ ყოფილა.

- ჰოლმს! - შევძახე მე, - ეს დაუჯერებელია!

- ყოჩაღ! - მიპასუხა ჰოლმსმა. - დასკვნა ამომწურავია. მოვლენათა მსვლელობის ჩემეულ გადმოცემაში არის რაღაც დაუჯერებელი - მაშასადამე, შეცდომა დავუშვი. მაგრამ თქვენც თან მახლდით და ყველაფერი თვითონვე ნახეთ. სად ვცდები?

- იქნებ დაცემის დროს გაიხეთქა თავი?

- ჭაობებში, უოტსონ?

- ვეღარაფერი მომისაზრებია, ჰოლმს.

- კმარა, კმარა, უფრო ძნელი ამოცანებიც გადაგვიწყვეტია. ფიქრის მასალა საკმაოდ გვაქვს. საჭიროა მხოლოდ ჭკუითა და გონებით მიდგომა და გამოყენება... მაშ, განვაგრძოთ გზა, უოტსონ. პალმერის საბურავებმა ყველაფერი გვითხრეს, რისი თქმაც შეეძლოთ. ახლა ვნახოთ, სად მიგვიყვანს დანლოპის დაკერებული საბურავები.

ამ კვალს მივყევით, მაგრამ მალე ჩვენ წინ გადაიშალა მანანებით დაფარული დაქანებული გორაკები. ნაკადული უკან დარჩა. შემდგომ წინსვლას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან დანლოპის საბურავების ნაკვალევს შეეძლო მივეყვანეთ მხოლოდ ჰოლდერნეს-ჰოლში, მარცხნივ რომ აღმართულიყო თავისი დიდებული კოშკებით, ან კიდევ პატარა, დაბალ რუხ სახლებთან, რომელთა მიღმაც რუკის მიხედვით ჩესტერფილდის გზატკეცილი გადიოდა.

როცა სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებდა დახავსებულსა და ფრიად შეუხედავ სასტუმროს, რომლის აბრაზეც გამოხატული იყო მამალი, ჰოლმსმა უეცრად ამოიოხრა. ფეხი ეღრძო და, როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში ადამიანი სრულიად უმწეო ხდება. რის ვაი-ვაგლახითა და კოჭლობით მილასლასდა სასტუმროს კარამდე. სადაც კბილებში ჩიბუხგაყრილი, ჯმუხი, შავგვრემანი შუახნის კაცი იჯდა.

- გამარჯობათ, მისტერ რუბენ ჰეიზ, - უთხრა ჰოლმსმა.

- ვინა ბრძანდებით და საიდან იცით ჩემი სახელი? -ჰკითხა ამ კაცმა და ჰოლმსი იჭვნეული, ავი მზერით შეათვალიერა.

- თქვენი სახელი აბრაზე წერია, თქვენ თავს ზემოთ. სახლის უფროსი კი ყოველთვის იცნობა. მითხარით, ხომ არ გექნებათ რაიმე ორთვალა ეტლი?

- არა.

- მარჯვენა ფეხს ვერ ვაბიჯებ.

- ნუ დააბიჯებთ, თუ არ შეგიძლიათ.

- მერე, როგორ წავიდე?

- როგორმე, ცალი ფეხით, ხტუნვა-ხტუნვით.

მისტერ რუბენ ჰეიზის პასუხები მეტისმეტი თავაზიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჰოლმსი მის უხეშობას საოცარი გულგრილობით ხვდებოდა.

- მომისმინეთ, უძვირფასესო, - უთხრა ჰოლმსმა, - ხომ ხედავთ, რა უბედურება შემემთხვა. ოღონდ ადგილზე ჩავიდეთ, რით და რანაირად, ჩემთვის სულ ერთია.

- ჩემთვის მით უფრო სულ ერთია, - მიუგო იმ პირქუშმა კაცმა.

- აქ ერთი მნიშვნელოვანი საქმისათვის ვარ მოსული. მომეცით თქვენი ველოსიპედი და მიიღეთ სამსახურისათვის ერთი სოვერენი.

მასპინძელმა ყურები დაცქვიტა.

- საით უნდა წახვიდეთ?

- ჰოლდერნეს-ჰოლში.

- თვითონ ჰერცოგის სტუმარი ხომ არ ხართ? - უთხრა სასტუმროს პატრონმა და ჩვენს დასვრილ ტანისამოსს დაცინვით შეავლო თვალი.

ჰოლმსმა უდარდელად გაიცინა:

- ჰერცოგი ხელებგაშლილი მიგვიღებს.

- რისთვის, რა დამსახურებისთვის?

- იმიტომ, რომ კარგი ამბები მიგვაქვს მის დაკარგულ შვილზე.

მისტერ ჰეიზი შეკრთა.

- ნუთუ მიაგენით?

- ლივერპულიდან გვაცნობეს, იქ არისო. სადაცაა იპოვნიან.

მისტერ ჰეიზს რაღაც ჩრდილმა გადაუქროლა უხეშ, ჯაგრით დაფარულ სახეზე და უეცრად გულკეთილი გახდა.

- ჰერცოგზე მწყრალად ვარ, - თქვა მან. - მეეტლედ ვიყავი და ძალიან მკაცრად მომექცა. მთიბავმა მთელი გუდა ტყუილები გადმოულაგა ჩემზე, გამაგდო და რეკომენდაციაც კი არ მომცა, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, თუ ახალგაზრდა ლორდი ლივერპულში მოიძებნა. რა გაეწყობა, დაგეხმარებით, რომ კარგი ამბავი ჩაიტანოთ ჰოლდერნეს-ჰოლში.

- მადლობელი ვარ, - უთხრა ჰოლმსმა. - მაგრამ ჯერ ვივახშმებთ, შემდეგ კი თქვენს ველოსიპედს მომცემთ.

ჰოლმსმა სოვერენი უჩვენა.

- გეუბნებით, არა მაქვს ველოსიპედი! ცხენებით წახვალთ.

- კეთილი, - უპასუხა ჰოლმსმა. - ჯერ გვაჭამეთ და მერე ამაზე მოვილაპარაკოთ.

როცა ფილაქნით მოგებულ სამზარეულოში მარტონი დავრჩით, ჰოლმსს ფეხი ერთბაშად მოურჩა. დღე იწურებოდა. მოშიებული ვიყავით და სუფრიდან ადგომას არ ვჩქარობდით. თავის ფიქრებში ჩანთქმული ჰოლმსი არა ერთხელ მივიდა ფანჯარასთან ისე, რომ დუმილი არ დაურღვევია. ნაგავით სავსე ეზოს ერთ კუთხეში იდგა სამჭედლო, სადაც ჭუჭყით მოსვრილი, ტყაპუჭიანი ყმაწვილი მუშაობდა, მეორეში - საჯინიბო. ეზოს ერთ-ერთი ასეთი შეთვალიერების შემდეგ ჰოლმსი ისევ მიუჯდა სუფრას. უეცრად ადგილიდან წამოვარდა და შესძახა:

- უოტსონ! ახლა ყველაფერი ნათელია. ნახეთ ძროხის ჩლიქების კვალი ამ დილით?

- ვნახე.

- სად?

- ყველგან. ჭაობზეც, ბილიკებზეც და იმ ადგილთანაც, სადაც საბრალო ჰაიდეგერი სიცოცხლეს გამოსალმებია.

- მართალია. ახლა კი, უოტსონ, მითხარით. ბევრი ძროხა მოგხვდათ თვალში?

- ძროხები არ მინახავს.

- უცნაურია, უოტსონ! ყველგან ძროხის კვალია, ძროხა კი არსად ჩანს. უცნაურია. ხომ მართალია?

- დიახ, მართლაც უცნაური ამბავია.

- ახლა, უოტსონ, დაძაბეთ ყურადღება და სცადეთ წარმოიდგინოთ, რანაირად გამოიყურებოდა კვალი ბილიკზე.

- ჰო, წარმოვიდგინე.

- გახსოვთ? ზოგჯერ ასეთები იყო... - ჰოლმსმა მაგიდაზე პურის ნამცეცები დაალაგა: - : : : : - ზოგჯერ კი ასეთებიც: - : . : . : . : . - ხოლო ალაგ-ალაგ ასეთები: - . : . : . : - გახსოვთ?

- არა.

- მე კი მახსოვს და მზად ვარ ფიცით დავამტკიცო. თუმცა ჩვენ კიდევ დავბრუნდებით იქ და ადგილზე შევამოწმებთ ყველაფერს. გონება დამიბნელდა თუ რა, რომ მაშინვე არ გამოვიტანე აქედან საჭირო დასკვნები!

- რა დასკვნები?

- აი, რა: საკვირველი ძროხებია, როგორც გნებავთ, ისე ატარებთ - თოხარიკით, ნავარდით, ჭენებით თუ ნაბიჯით! დაიმახსოვრეთ, უოტსონ, ჩემი სიტყვა, ასეთი ეშმაკური ხერხი სოფლელი მედუქნის ჭკუის ნაყოფი არ არის! ეზოში არავინ ჩანს, იმ ყმაწვილის გარდა, სამჭედლოში რომ ტრიალებს. მოდით, გავიდეთ, დავზვეროთ, როგორ მიდის იქ საქმეები.

ნახევრად დანგრეულ საჯინიბოში ორი ბალანაბურძგნული, მოუვლელი ცხენი იდგა. ჰოლმსმა ერთი მათგანის უკანა ფეხი სწია და გაიცინა:

- ძველი ნალებია, სულ ახლახან კი დაუჭედავთ. ნალები ძველი, ლურსმნები კი - სულ ახალი. ეს დიდი ეშმაკური გამოგონებაა. ახლა სამჭედლოში შევიხედოთ.

თავისი საქმით გართულმა ყმაწვილმა არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია. შევნიშნე, რა სწრაფად შეათვალიერა ჰოლმსმა მთელი სამჭედლო, რკინის ჯართით და ნაფოტით რომ იყო სავსე. უცებ უკნიდან ნაბიჯის ხმა მოგვესმა და მაშინვე დავინახეთ მასპინძელი. ბოროტად მოელვარე თვალების ზემოთ ხშირი წარბები ერთ რიგად შეეკრა, შავგვრემანი სახე ნერვიულად ეკრუნჩხებოდა. ხელში ეჭირა მოკლე, რკინით შეჭედილი კომბალი და ისეთი მუქარის გამომხატველი სახით გვიახლოვდებოდა, რომ ვიდრე ჯიბეში რევოლვერი არ მოვსინჯე, ვერ დავწყნარდი.

- პოლიციის მაძებრებო! - შესძახა მან. - აქ რას აკეთებთ?

- მისტერ რუბენ ჰეიზ, შეგვიწყნარეთ! - სრულიად დამშვიდებით მიუგო ჰოლმსმა. - კაცი იფიქრებს, თითქოს მართლა გეშინოდეთ, რომ აქ რაიმეს ვიპოვნით.

ნებისყოფის უზარმაზარი ძალდატანებით ჰეიზი გონს მოეგო, ტუჩებზე ყალბი ღიმილი შეუთამაშდა, რაც კიდევ უფრო საშინელი მეჩვენა მის სასტიკ სახეზე.

- ინებეთ, ეძიეთ, რასაც იპოვით, ყველაფერი თქვენი იყოს, მაგრამ არ მიყვარს, როცა უცხო ხალხი დაუკითხავად დაძრწის ჩემს ეზოში და იქექება. ამიტომაც, მისტერ, რაც უფრო მალე მორჩებით ამ საქმეს და აქედან წახვალთ, მით უკეთესი იქნება.

- ნუ გვიჯავრდებით, მისტერ ჰეიზ, - უთხრა ჰოლმსმა. - უბრალოდ, თქვენი ცხენების ნახვა გვინდოდა, მაგრამ, ვატყობ, ფეხითაც მივალ, ჰოლდერნეს-ჰოლი აქედან ხომ ახლოსაა?

- აქედან ჰოლდერნეს-ჰოლის კარიბჭემდე ორი მილია. აი, იმ გზით, მარცხივ გაუყვებით.

ეზოდან კუშტი მზერით გაგვაცილა.

არც ისე შორს მოგვიხდა წასვლა, რადგან ჰოლმსმა პირველსავე მოსახვევში შეჩერება ინება, დარწმუნებულმა, რომ აღარავინ გვითვალთვალებდა.

- იმ საყმაწვილო თამაშობაში ძალიან «ცხელი» დღე კი დაგვადგა, - მითხრა მეგობარმა. - და რაც უფრო ვშორდებით სასტუმროს, უფრო და უფრო ცივა. არა, აქედან წასვლა ადრეა!

- დარწმუნებული ვარ, ამ რუბენ ჰეიზმა ყველაფერი იცის. უფრო ბოროტი სახე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!

- ხომ მართალია? ნამდვილი ბოროტმოქმედია, არა? ახლა ცხენები, სამჭედლო? ჰო! მართლაც, საინტერესო ადგილია ეს «მებრძოლი მამალი!» მოდით, თვალყური ვადევნოთ, რა ხდება იქ, ოღონდ ძალიან ფრთხილად უნდა მოვიქცეთ.

ჩვენს უკან რუხი კაჭრებით მოფენილი დამრეცი გორაკი იყო აღმართული. როცა მის ფერდობზე ასვლას შევუდექით, ჰოლდერნეს-ჰოლის მხარეს გავიხედეთ და უეცრად გზაზე სწრაფად მსრბოლი ველოსიპედისტი დავინახე.

- დაიკუზეთ, უოტსონ! - შესძახა ჰოლმსმა და თავისი მძიმე ხელი მხარზე დამადო.

ძლივს მოვასწარით კაჭრების უკან მიმალვა, რომ ველოსიპედისტმა გვერდით ჩაგიქროლა. ველოსიპედის ბორბლებისაგან ავარდნილ მტვერში დავინახე, როგორ გაიელვა ჩემს წინ ფერმკრთალმა, აღელვებულმა სახემ, რომლის ყოველი ნაკვთიდან გამოსჭვიოდა ელდა: ეს იყო ჩვენი გუშინდელი ნაცნობი ჯეიმს უაილდერი, რომელსაც პირი დაეღო, ველურად გადმოკარკლულ თვალთა მზერა გაშეშებოდა და რაღაც კოპწია, სულელურ კარიკატურას მიაგავდა.

- ჰერცოგის მდივანი! - შესძახა ჰოლმსმა. - ჩქარა, უოტსონ! ვნახოთ, რა ესაქმებოდა იქ.

ფერდობზე ქვიდან ქვაზე ხტუნვით ავედით და იქიდან დავინახეთ სასტუმროს კარი. უაილდერის ველოსიპედი კედელზე მიყუდებული მოჩანდა. სახლში არავითარი მოძრაობა არ შეინიშნებოდა, ფანჯარაშიც არავინ იხედებოდა.

მზე ჰოლდერნეს-ჰოლის მაღალი კოშკის იქით ჩადიოდა და ველზე ნელ-ნელა წვებოდა ბინდი. მალე ჩამობნელებულ ეზოში სასტუმროს საჯინიბოდან გამოგორდა აქეთ-იქიდან ფარნებით განათებული ორთვალა, რომელსაც ერთი-ორი წუთის შემდგ დაოთხილი ცხენი ჩესტერფილდისაკენ მიაქროლებდა. ეტლმა ჩვენ გვერდით ჩაიგრიალა.

- ეს როგორ ავხსნათ, უოტსონ? - ჩურჩულით მკითხა ჰოლმსმა.

- გაქცევას ჰგავს.

- ორთვალაში რამდენადაც გავარჩიე, მხოლოდ ერთი მხედარი იჯდა. მაგრამ ეს არ იყო მისტერ ჯეიმს უაილდერი. კარის კარგად განათებულ კვადრატში მდივნის ფიგურა შავად, თუმცა გარკვევით მოჩანდა. მას კისერი წინ წაეგრძელებინა, ბნელში იხედებოდა და აშკარად ვიღაცას ელოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გზიდან ნაბიჯის ხმა მოგვესმა. კარებიდან გამომავალ შუქზე ვიღაცის ჩრდილმა გაიელვა. კარი დახურეს და სასტუმრო სიბნელეში ჩაინთქა. შემდეგ ზემო სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში ლამპა აანთეს.

- უცნაური მუშტრები მიდიან «მებრძოლ მამალში», - თქვა ჰოლმსმა.

- სამიკიტნოში შესასვლელი სხვა მხრიდანაა.

- მართალია. ეს ორნი უბრალო მუშტრები კი არა, ალბათ მასპინძლის სტუმრები არიან. მაგრამ რა დასჭირდა მისტერ ჯეიმს უაილდერს ამ ბუნაგში, ისიც ასე გვიან? ვის დაუნიშნა იქ პაემანი? უოტსონ, რისკი გავწიოთ და უფრო ახლოს მივიდეთ.

გზაზე გავედით და სასტუმროს კარებთან უჩუმრად მივედით. უაილდერის ველოსიპედი უწინდებურად კედელზე ეყუდა. ჰოლმსმა ანთებული ასანთი ველოსიპედის უკანა ბორბალთან მიიტანა და გავიგონე როგორ აღმოხდა გაოცების

წამოძახილი, როცა დანლოპის საბურავზე საკერებელი შენიშნა. ფანჯარა, რომლიდანაც ლამპის შუქი გამოდიოდა, პირდაპირ ჩვენ ზემოთ იყო.

- როგორმე სარკმელში უნდა შევიჭყიტოთ, უოტსონ. თუ კედელს მიეყრდნობით და ზურგზე შემიყენებთ, რამენაირად მოვახერხებ ოთახში მყოფთა შეთვალიერებას.

იმავე წამს ფეხებით დამადგა ზურგზე და მაშინვე ძირს გადმოხტა.

- წავიდეთ, ჩემო მეგობარო. - მითხრა, - დღეისათვის გვეყოფა. ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. დროს ნუღარ დავკარგავთ. სკოლა ხომ არც ისე ახლოსაა.

ვიდრე ორივენი, დაღლილ-დაქანცულნი, ნელა მივაბიჯებდით ველზე, ჰოლმსს თითქმის სიტყვაც არ დასცდენია და დეპეშების გასაგზავნად პირდაპირ სადგურზე წავიდა ისე, რომ სკოლისაკენ არ შეუხვევია. შემდეგ გავიგონე, როგორ ანუგეშებდა მასწავლებლის ტრაგიკული სიკვდილით შეძრწუნებულ დოქტორ ჰაკსტეიბლს და უკვე გვიან ღამესღა ვნახე ჩემს ოთახში - ისეთივე მხნე და ძალ-ღონით სავსე, როგორც დილას იყო.

- ყველაფერი ჩინებულად მიდის, ჩემო მეგობარო, - მითხრა, - გპირდებით, ხვალ საღამოს ამოვხსნით ამ საიდუმლოს.

მეორე დღეს დილის თერთმეტ საათზე მე და ჰოლმსი ჰოლდერნეს-ჰოლის სახელგანთქმული ურთხელის ხეივანს მივყვებოდით. ლაქია დიდებულ კარიბჭესთან შეგვხვდა და მისი ბრწყინვალების კაბინეტში შეგვიძღვა. იქ ჩვენს წინაშე წარმოდგა მისტერ ჯეიმს უაილდერი. თავი უბრალოდ თავაზიანად ეჭირა, მაგრამ მის დაღმეჭილ სახეზე და თვალებში, რომელთაც აქეთ-იქით აცეცებდა, ჯერ კიდევ გამოსჭვიოდა ელდა.

- ჰერცოგის ნახვა გინდოდათ? აფსუს! მისი ბრწყინვალება თავს შეუძლოდ გრძნობს. პირდაპირ გაათავა იმ ტრაგედიამ, რაც გუშინ დოქტორ ჰაკსტეიბლმა დეპეშით შეგვატყობინა.

- მე აუცილებლად უნდა ვნახო ჰერცოგი, მისტერ უაილდერ.

- მაგრამ ის თავისი ოთახიდან არ გამოდის.

- მაშინ იქ შევალ.

- წევს.

- მიუხედავად ამისა, შეხვედრის ნებას მოვითხოვ.

ჰოლმსის ყინულივით ცივმა კილომ და შეუვალობამ მდივანი დაარწმუნა, რომ ამ კაცთან კამათი უსარგებლო იყო.

- კარგი, მისტერ ჰოლმს, მოვახსენებ.

თითქმის საათი გავიდა, ვიდრე ჰერცოგი კაბინეტში ვიხილეთ. თვალები კიდევ უფრო ღრმად ჩავარდნოდა, მხრები უმწეოდ დაეშვა დაბლა - გუშინდელი დღის შემდეგ თითქოს დაბერებულიყო. ნატიფი თავაზიანობით დაგვიკრა თავი და სავარძელში ჩაჯდა.

- გისმენთ, მისტერ ჰოლმს.

მაგრამ ჩემი მეგობარი შეუპოვრად შესცქეროდა მდივანს, რომელიც თავისი მბრძანებლის გვერდით იდგა.

- თქვენო ბრწყინვალებავ, მისტერ უაილდერის აქ ყოფნა, ცოტა არ იყოს, მბოჭავს.

მდივანი გაფითრდა და ჰოლმსს ბოროტი მზერა სტყორცნა.

- თუ თქვენი ბრწყინვალება ინებებს...

- დიახ, დიახ, დაგვტოვეთ... ამრიგად, მისტერ ჰოლმს, რა გაქვთ ჩემთვის სათქმელი?

ჩემმა მეგობარმა დაიცადა, ვიდრე მდივანმა კარი გაიხურა.

- თქვენო ბრწყინვალებავ, - დაიწყო ჰოლმსმა, - მე და ჩემმა კოლეგამ, ექიმმა უოტსონმა დოქტორ ჰაკსტეიბლის სიტყვიდან ვიცით, რომ ფულად გასამრჯელოს დაჰპირდით მას, ვინც თქვენთვის საინტერესო საქმეს გამოიძიებს. მე ამის მოსმენას პირადად თქვენგანაც ვისურვებდი.

- სიამოვნებით, მისტერ ჰოლმს.

- თუ სწორად მითხრეს, ხუთი ათას გირვანქას დაჰპირდით მას, ვინც თქვენი შვილის ადგილსამყოფელს გიჩვენებდათ.

- სავსებით სწორია.

- და ათასსაც იმას, ვინც დაგისახელებთ იმ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც თქვენი ვაჟი ჰყავთ დამწყვდეული.

- სავსებით სწორია.

- აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა გამტაცებლები, არამედ ისინიც, რომელთაც გატაცება განიზრახეს.

- დიახ, დიახ! - მოუთმენლად შესძახა ჰერცოგმა. - თუ ამ გამოცანას ამოხსნით, მისტერ ჰოლმს, თქვენ ჩემს სიძუნწეზე ჩივილი არ მოგიხდებათ.

ჩემმა მეგობარმა ხარბად მოიფშვნიტა ხელი, რამაც გამაოცა, რადგან აქამდე, როგორც უაღრესად მცირე მოთხოვნილების ადამიანს, ისე ვიცნობდი.

- ეს ჩეკების წიგნია მაგიდაზე? - ჰკითხა ჰერცოგს. - თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვ გამომიწეროს ექვსი ათასი გირვანქის ჩეკი! გადასარიცხი ჩეკი ოქსფორდსტრიტის ბანკის იმ განყოფილებაში, სადაც პირადი ანგარიში მაქვს გახსნილი.

ჰერცოგი სავარძელში გასწორდა და ჩემი მეგობარი ყინულოვანი მზერით გაზომა.

- თქვენ ხუმრობთ, მისტერ ჰოლმს? განა ეს შესაფერისი თემაა ხუმრობისათვის?

- რასა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ! ასეთი სერიოზული ჩემს სიცოცხლეში სხვა დროს არც ვყოფილვარ.

- ეს რას ნიშნავს?

- ეს ნიშნავს, რომ გასამრჯელოს მივიღებ დამსახურებისამებრ. ჩემთვის ცნობილია, სად იმყოფება თქვენი შვილი და ვიცი ადამიანები - უკეთ, ადამიანი, რომელსაც ის შეპყრობილი ჰყავს.

ჰერცოგის წითელი წვერი თითქოს ცეცხლად აენთო მის მიცვალებულივით ფერწასულ სახეზე.

- სადაა ჩემი შვილი? - ძლივს ჩაილაპარაკა მან.

- სასტუმრო «მებრძოლ მამალში», ორ მილზე თქვენი პარკიდან. ყოველ შემთხვევაში, იქ იყო გუშინ.

ჰერცოგი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

- ვის სდებთ ბრალს?

შერლოკ ჰოლმსის პასუხმა გამაოცა, ელვის სისწრაფით წადგა წინ ნაბიჯი და ჰერცოგის მხარს შეეხო:

- მე ბრალს გდებთ თქვენ. ახლა კი, თქვენო ბრწყინვალებავ, კეთილი ინებეთ და მომეცით ექვსი ათასი გირვანქის ჩეკი.

ვერასოდეს დავივიწყებ, როგორ წამოვარდა სავარძლიდან ჰერცოგი და ხელები კრუნჩხვით გაასავსავა ჰაერში, თითქოს უფსკრულის პირას თავის შეკავებას ცდილობსო. შემდეგ არაადამიანური ნებისყოფის დაძაბვით მოიხმო თავისი

არისტოკრატული თავშეკავება, ისევ მიუჯდა მაგიდას და სახე ხელებში ჩარგო. გავიდა წუთი, მეორე...

- რა იცით სახელდობრ? - იკითხა უბედურმა ისე, რომ თავი არ აუწევია.

- მე გნახეთ მასთან გუშინ საღამოს.

- ვინ იცის ეს კიდევ, თქვენი მეგობრის გარდა?

- მე არავისთვის არაფერი მითქვამს.

ჰერცოგმა აცახცახებული ხელით აიღო კალამი და ჩეკების წიგნი გადაშალა.

- არ დავარღვევ ჩემს სიტყვას, მისტერ ჰოლმს. თქვენ მიიღებთ დაპირებულ ჩეკს, თუმცა ეს ფული იმ ცნობის გასამრჯელო იქნება, რამაც უბედურების მეტი არაფერი მომიტანა. მაგრამ განა შემეძლო მეფიქრა გასამრჯელოს გამოცხადების დროს, რომ მოვლენები ასე წარიმართებოდა! ისე ვფიქრობ, მისტერ ჰოლმს, რომ თქვენ და თქვენი მეგობარი კეთილგონიერი ადამიანები ხართ!

- არ მესმის, რისი თქმა გნებავთ ამით, თქვენო ბრწყინვალებავ.

- კეთილი, ვილაპარაკოთ გულახდილად, მისტერ ჰოლმს. თუ ამ ამბის წვრილმანები თქვენ ორის გარდა არავინ იცის, მაშინ საქმეს შემდგომი მსვლელობა არ უნდა მიეცეს. მე თქვენი თორმეტი ათასი გირვანქა მმართებს, ხომ მართალია?

მაგრამ ჰოლმსმა გაიღიმა და თავი გააქნია:

- სამწუხაროა, თქვენო ბრწყინვალებავ! მაგრამ ამ საქმის მოგვარება არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება პირველი შეხედვით გვეჩვენოს. ვინმემ პასუხი ხომ უნდა აგოს მასწავლებლის მკვლელობისთვის.

- მაგრამ ჯეიმსი აქ არაფერ შუაშია! არ შეიძლება დანაშაულის მისთვის გადაბრალება: მკვლელობა - იმ მხეცის საქმეა, იმ არამზადისა, რომლის დახმარებით სარგებლობაც ჯეიმსს თავისდა საუბედუროდ მოუხდა.

- მე კი იმ შეხედულებისა ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ თუ ადამიანი ერთხელ მაინც დაადგება დანაშაულის გზას, მან მორალური პასუხი უნდა აგოს თავისი ქცევის ყველა შედეგისათვის.

- მორალური - კი. მაგრამ ნუ აიძულებთ პასუხი აგოს კანონის წინაშე! არ შეიძლება ადამიანის დასჯა მკვლელობისათვის, რომლის ჩადენის დროს ის მკვლელობის ადგილზე არც კი ყოფილა, დანაშაულისთვის, რამაც თქვენზე არანაკლებ აღაშფოთა. როგორც კი შეიტყო, სინდისის ქენჯნას ვერ გაუძლო და ყველაფერში გამომიტყდა. მისტერ ჰოლმს, იხსენით იგი, იხსენით! გევედრებით, დაიხსენით!

რა ქვესკნელმა შთანთქა ჰერცოგის არისტოკრატული თავშეკავება. იგი აქეთ-იქით აწყდებოდა ოთახში და სახედაღრეჯილი, კრუნჩხვით აქნევდა ხელებს. ბოლოს ისევ სძლია თავს, მაგიდას მიუჯდა და თქვა:

- ვაფასებ, რომ პირველად ჩემთან მოხვედით. ყოველ შემთხვევაში, მოვითათბიროთ მაინც, რა ზომები მივიღოთ, რომ სირცხვილს თავი დავაღწიო.

- მოვითათბიროთ,- მიუგო ჰოლმსმა, - მაგრამ მაშინ, თქვენო ბრწყინვალებავ, ერთმანეთთან ბოლომდე გულახდილნი უნდა ვიყოთ. მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემს ხელთ არის, თუ ამ ამბის ყველა გარემოებას გამანდობთ. რამდენადაც საქმის არსს ჩავწვდი, თქვენი სიტყვები ეხებოდა მისტერ ჯეიმს უაილდერს - მაშასადამე, თქვენ ამტკიცებთ, რომ მკვლელი ის არ არის?

- დიახ, მკვლელმა მოასწრო მიმალვა.

ჰოლმსმა თავშეკავებით გაიღიმა.

- თქვენო ბრწყინვალებავ, ჩანს, როგორც ძიების საქმის მცოდნეს, არ მიცნობთ, თორემ არ იფიქრებდით, რომ ჩემგან დამალვა ასე ადვილია. გუშინ ჩემი მითითებით

ჩესტერფილდში, საღამოს თერთმეტ საათზე დააპატიმრეს მისტერ რუბენ ჰეიზი. იქაური პოლიციის უფროსმა ეს უკვე მაცნობა ამ დილით. მისი დეპეშა სკოლიდან წამოსვლის წინ მივიღე.

ჰერცოგი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და ჩემს მეგობარს გაოცებით მიაშტერდა.

- აქვს თუ არა საზღვარი თქვენს შესაძლებლობას, მისტერ ჰოლმს? - შესძახა მან ბოლოს. - მაშ, რუბენ ჰეიზი დაპატიმრებულია? ვფიქრობ, ეს მხოლოდ სასიხარულო ამბავია, მაგრამ მისი დაპატიმრება ჯეიმსის ბედზეც ხომ არ მოახდენს ზეგავლენას?

- თქვენი მდივნის ბედზე?

- არა, სერ, ჩემი შვილის ბედზე.

ამჯერად ჰოლმსი გაოცდა.

- უნდა მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ეს არ გამითვალისწინებია. იქნებ უფრო დაწვრილებით ამიხსნათ.

- არაფერს არ დავფარავ. თქვენ მართალი თქვით: თუმცა ეს ჩემთვის დამტანჯველი ამბავია, მაგრამ მხოლოდ სრულ გულახდილობას შეუძლია შეამსუბუქოს საშინელი მდგომარეობა, რომელშიც შურით გაგიჟებულმა ჯეიმსმა თავისი თავი ჩააგდო და მეც ზედ მიმაყოლა. ახალგაზრდობის წლებში, მისტერ ჰოლმს, მეც მიყვარდა ისე, როგორც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ უყვართ ხოლმე. როცა საყვარელ ქალზე ქორწინება განვიზრახე, მან უარყო ჩემი წინადადება, რადგან ეშინოდა, რომ ასეთი ქორწინება კარიერას გამიფუჭებდა. ის რომ ცოცხალი დარჩენილიყო, სხვას აღარავის შევირთავდი. მაგრამ გარდაიცვალა და ვაჟი დამიტოვა. შევხაროდი მას, როგორც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქალის ხსოვნის სიმბოლოს და შვებას მასზე ზრუნვაში ვხედავდი. საქვეყნოდ ვერ განვაცხადე, ჩემი სისხლი და ხორცია-მეთქი, მაგრამ ჩემმა შვილმა საუკეთესო განათლება მიიღო და როცა გაიზარდა, მუდმივად ჩემთან ცხოვრობდა. ჩემმა ვაჟმა შემთხვევით გაიგო ჩემი საიდუმლო და იმ დროიდან ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა თავისი, როგორც ძისა და მემკვიდრის, უფლებები. მას მუდამ მხილების შიშში ვყავდი. ჰოლდერნეს-ჰოლში მისი ყოფნა გახდა ცოლთან ჩემი განშორების ნაწილობრივი მიზეზი. და რაც ყველაზე უფრო მძიმე იყო, - პირველი დღიდანვე მძვინვარე სიძულვილით შეიჯავრა თავისი ნახევარი ძმა, ჩემი კანონიერი მემკვიდრე.

მკითხავთ, ყოველივე ამის შემდეგ, რატომ თავიდან არ მოვიშორე ჯეიმსი. ჩემი პასუხი ასეთი იქნება: იმიტომ, რომ მისი სახით ვხედავდი დედამისს და ვითმენდი მისი გულისათვის. მარტო სახის ნაკვთებით კი არა, მოძრაობითა და მანერებითაც ყოველ წამს დედამისის საყვარელ სახეს მაგონებდა. რაკი ვერ შეველიე, შევშინდი არტურს - ლორდ სოლტაირს არაფერი აუტეხოს-მეთქი და ბავშვი დოქტორ ჰაკსტეიბლთან ინტერნატში გავაგზავნე.

ჯეიმსი ჩემი მამულის საქმეებს განაგებდა და ასე გაიცნო ჰეიზი, რომელიც ჩემი ერთ-ერთი მოიჯარადრე იყო. რა ჰქონდა საერთო იმ პირშავ არამზადასთან, არ ვიცი, მაგრამ დამეგობრდნენ კი. თუმცა ჯეიმსს ყოველთვის ვამჩნევდი ცუდი საზოგადოებისაკენ მიდრეკილებას. ლორდ სოლტაირის გატაცება რომ მოინდომა, თანამზრახველად ჰეიზი გაიხადა.

გახსოვთ, ბავშვის გაუჩინარების წინ ჩემი მინაწერი წერილი არტურთან? ჯეიმსს კონვერტი გაუხსნია და შეცვლილ ბარათში არტურისთვის მიუწერია, რომ იგი მრუდე სოლის ჭალაში, სკოლის მახლობლად შეხვედროდა. ბავშვი დანიშნულ ადგილზე გამოცხადებულა, რადგან წერილი თითქოს ჰერცოგის მეუღლის თხოვნით ყოფილა გაგზავნილი. ჯეიმსი ჭალაში მივიდა ველოსიპედით - რაშიც შემდეგ

თვითონვე გამომიტყდა - დაარწმუნა არტური, რომ დედა იქვე ახლოს იმყოფებოდა და თუ იგი შუაღამისას ჭალაში მოვიდოდა, ცხენოსანი გამყოლი დახვდებოდა და მონატრებულ დედას შეახვედრებდა. უბედური ბავშვი მახეში გაება. დანიშნულ დროს დათქმულ ადგილზე მივიდა და იქ ჰეიზი დახვდა. ის არამზადა პონიზე მჯდარა და სადავე ხელთ სჭერია. არტური უნაგირზე შემოსჯდომია და გზასაც გასდგომიან. როგორც შემდეგ გამოირკვა, ჯეიმსმა ეს მხოლოდ გუშინ გაიგო - მათ მდევარი დასწევიათ. ჰეიზს მდევარისათვის რამდენჯერმე დაუკრავს თავში კომბალი და სასიკვდილო ჭრილობა მიუყენებია. ჰეიზს არტური სასტუმროში მიუყვანია, ზემო სართულზე ჩაუმწყვდევია და ტყვექმნილზე თვალყურის დევნება ცოლისათვის მიუნდვია. მის ჰეიზსაც კეთილ, მაგრამ სასტიკი ქმრის სავსებით მორჩილ ქალს, მისი ბრძანება პირნათლად შეუსრულებია.

აი, მისტერ ჰოლმს, როგორი იყო საქმის ვითარება ამ ორი დღის წინ, როცა მე და თქვენ ერთმანეთს შევხვდით. ამ ამბისა მაშინ თქვენზე მეტი არც მე ვიცოდი. თუ მკითხავთ, რამ აიძულა ჯეიმსი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა, გიპასუხებთ: მას რაღაც ბრმად და ფანატიკურად სძულდა ლორდი სოლტაირი. ჯეიმსი ფიქრობდა, რომ ყველა ჩემი მამული არტურის ხელში გადავიდოდა და არ შეეძლო დამშვიდებით ლაპარაკი მემკვიდრეობის ჩვენში არსებულ კანონებზე. ისიც სწორია, რომ მას არა მარტო სიძულვილი, არამედ ზუსტი ანგარიშიც ამოძრავებდა. იგი მოითხოვდა ანდერძით დამეტოვებინა მისთვის სამემკვიდრეო მამულები მაიორატის საწინააღმდეგოდ და სამაგიეროდ შვილის დაბრუნებას მპირდებოდა. იცოდა ისიც, რომ მის წინააღმდეგ პოლიციას არ მივმართავდი. ასეთი იყო ჯეიმსის განზრახვა, მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩა, რადგან მოვლენები ისეთი სისწრაფით განვითარდა, რომ მას თავისი გეგმის განსახორციელებლად დრო არ დარჩა.

თქვენ იპოვეთ მოკლული ჰაიდეგერის გვამი და ამით უკვე ბოლო მოუღეთ ამ ვერაგულ განზრახვას. ჯეიმსს თავზარი დასცა მასწავლებლის ამბავმა. ეს ჩვენ გუშინ გავიგეთ. კაბინეტში ვისხედით, როცა დოქტორ ჰაკსტეიბლის დეპეშა მოგვიტანეს. ამან ისე დააბნია ჯეიმსი, ისე შეაწუხა იგი, რომ ბუნდოვანი ვარაუდი, მუდამ თან რომ მდევდა, მაწუხებდა, მტკიცე რწმენად მექცა და ბრალდება პირდაპირ წავუყენე. ყველაფერი გულწრფელად აღიარა, მოინანია, მაგრამ იქვე დამიწყო ვედრება, რათა კიდევ სამი დღე მედროვებინა, რომ მის საზიზღარ თანამზრახველს თავის დაძვრენა მოესწრო. დავუთმე, როგორც ვუთმობდი ყოველთვის ყველაფერში და მაშინ ჯეიმსი სასტუმროში გაიქცა, რათა ჰეიზისათვის შეეტყობინებინა და გაქცევაში დახმარებოდა. ჩემი იქ წასვლა დღის სინათლეზე არ შეიძლებოდა, რადგან ეს ჭორების საბაბად გადაიქცეოდა. დაღამებას დავუცადე და ჩემს საყვარელ პატარა არტურთან გავეშურე. იგი უვნებელი დამიხვდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი შთბეჭდილება მოეხდინა ბავშვზე მკვლელობას, რაც მის თვალწინ მოხდა! მიცემული სიტყვა მახსოვდა, გული გავიმაგრე, არტური სამი დღით კიდევ დავტოვე სასტუმროში ჰეიზის მზრუნველობის ამარა. ყოველივე ამის შეტყობინება პოლიციისათვის ისე, რომ მკვლელი არ გაგვეცა, არ შეიძლებოდა, რადგან ჰეიზის შეპყრობა ჩემს უბედურ ჯეიმსს დაღუპავდა.

ერთმანეთის მიმართ გულახდილები ვიყოთ-მეთქი, მისტერ ჰოლმს, და ნება მომეცით, მეც იგივე მოგთხოვოთ. უკვე გიამბეთ ყველაფერი, არა დამიმალავს რა, არა შემირბილებია რა. თქვენც ბოლომდე გულახდილი იყავით ჩემთან.

- კარგი, თქვენო ბრწყინვალებავ, - მიუგო ჰოლმსმა. - უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ კანონის წინაშე თქვენი მდგომარეობა უაღრესად სერიოზულია. თქვენ დაფარეთ სისხლის სამართლის დანაშაული, დაეხმარეთ მკვლელს გაქცევაში,

რადგან მისი გაქცევისათვის საჭირო ფული ჯეიმსმა უთუოდ თქვენი ჯიბიდან ამოიღო.

ჰერცოგმა უსიტყვოდ დახარა თავი.

- დიახ, საქმე ფრიად სერიოზულია, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, უმცროსი შვილის წინაშე თქვენი საქციელი კიდევ მეტ კიცხვას იმსახურებს, თქვენო ბრწყინვალებავ. განა შეიძლება სამი დღით მისი მიტოვება იმ ბუნაგში?!

- ფიცით დამარწმუნეს...

- განა შეიძლება ამ ხალხის ფიცზე დანდობა?! დარწმუნებული ხართ, რომ სადმე უფრო შორს არ გადამალავენ? დამნაშავე უფროსი შვილის საამებლად საფრთხეში აგდებთ სრულიად უდანაშაულო ბავშვს! არა, თქვენი საქციელის გამართლება არ შეიძლება!

ამაყი ჰერცოგი არ იყო ჩვეული ასეთი საყვედურების მოსმენას და მერე სად? საკუთარ სასახლეში! სახეზე სისხლი მოაწვა, მაგრამ სინდისმა აიძულა გაჩუმებულიყო.

- დაგეხმარებით, ოღონდ ერთი პირობით: გამოუძახეთ მსახურს და ჩემი განკარგულება დაუყოვნებლივ აღასრულოს.

ჰერცოგმა უსიტყვოდ დააჭირა თითი ელექტროზარს. კაბინეტში ლაქია შემოვიდა.

- ალბათ გესიამოვნებათ, - უთხრა ჰოლმსმა, - რომ ლორდი სოლტაირი მოიძებნა. ჰერცოგი გიბრძანებთ დაუყოვნებლივ გაგზავნოთ მის მოსაყვანად ეტლი სასტუმრო «მებრძოლ მამალში»... ახლა კი, - დასძინა ჰოლმსმა, როცა სიხარულით სახეგაბრწყინებული ლაქია კაბინეტიდან სირბილით გავიდა, - როცა, უზრუნველყავით უახლოესი მომავალი, შეგვიძლია უფრო ღმობიერად მოვექცეთ ახლო წარსულს. რამდენადაც სამართლიანობა აღდგება, მე, როგორც არაოფიციალურ პირს, არ მიმაჩნია აუცილებლად შევატყობინო ხელისუფლებას ყველაფერი, რაც ვიცი. ჰეიზი - სხვა საქმეა. მას სახრჩობელა ელის და მე თითსაც არ გავანძრევ იმისთვის, რომ მისი სიცოცხლე ვიხსნა. გაამჟღავნებს თუ არა თქვენს საიდუმლოს - არ ვიცი, წინასწარმეტყველებას ვერ ვიკისრებ, მაგრამ თქვენ უეჭველად შეგიძლიათ შეაგონოთ, რომ ზედმეტი ლაპარაკი სარგებლობას არ მოუტანს, პოლიციაში ჰეიზს ბრალად წაუყენებენ გამოსასყიდის მიღების მიზნით ბავშვის გატაცებას. თუ იქ ამ საქმეს ღრმად არ გაქექენ, მე გავჩუმდები და მათ გეზს არ მივცემ. მაგრამ თქვენს ბრწყინვალებას კი უნდა ვუთხრა, რომ მისტერ ჯეიმს უაილდერის შემდგომი ყოფნა თქვენს სახლში სიკეთეს არ მოიტანს.

- ეს თვითონაც ვიცი, მისტერ ჰოლმს, და მისი ბედი საბოლოოდ გადავწყვიტე. სამუდამოდ დატოვებს ჰოლდერნეს-ჰოლს და ბედნიერების საძებნელად ავსტრალიაში გაემგზავრება.

- თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ ამბობდით, რომ მისტერ უაილდერი იყო განხეთქილების მიზეზი თქვენსა და მეუღლეს შორის. ხომ არ შეურიგდებით ახლა ჰერცოგის ქალს და ხელახლა ხომ არ მოაწესრიგებთ თქვენს ოჯახურ ცხოვრებას?

- ამაზე მეც ვიფიქრე, მისტერ ჰოლმს და დღეს დილით უკვე წერილი მივწერე ჩემს ცოლყოფილს.

- ამ შემთხვევაში, - თქვა ჰოლმსმა და ადგა, - მე და ჩემს მეგობარს შეგვიძლია ერთმანეთს მივულოცოთ, რომ ჩვენმა ხანმოკლე ყოფნამ თქვენს მხარეში სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. გამოსარკვევი დამრჩა მხოლოდ ერთი საკითხი. ჰეიზის ცხენები ისე იყო დაჭედილი, რომ ძროხის ჩლიქების კვალს ტოვებდნენ. ვინ ასწავლა ეს ჰეიზს, მისტერ უაილდერმა ხომ არა?

ერთი წუთით ჰერცოგი დუმდა, წარბშეკრული და ერთ წერტილში მიჩერებული. შემდეგ გვერდითა ოთახის კარი შეაღო. ჩვენ თვალწინ ნამდვილი მუზეუმი გადაიშალა. მან შორეული კუთხის ვიტრინასთან მიგვიყვანა და მინის ქვეშ ამოდებული წარწერა გვიჩვენა:

«ეს ნალები, - გვაუწყებდა წარწერა, - ნაპოვნია გათხრების დროს ჰოლდერნეს-ჰოლის სიმაგრის თხრილში. განკუთვნილი იყო ცხენებისათვის, მაგრამ ჭედდნენ ძროხის გაორებული ჩლიქის ფორმისას. ეტყობა, ჰოლდერნესჰოლელი ფეოდალები, რომლებიც შუა საუკუნეებში ძარცვას ეწეოდნენ, ამას კვალის ასაბნევად სჩადიოდნენ».

ჰოლმსმა ასწია მინის სახურავი, თითი ნერწყვით დაისველა და ერთ-ერთ ნალს გააყოლა. თითზე მუქი ლაქა დარჩა - ჭაობის შლამი ჯერ კიდევ წესიერად არ იყო შემშრალი.

- მადლობელი ვარ, - უთხრა ჩემმა მეგობარმა. - აი, მეორე საგანი, რამაც თქვენს მხარეში მეტისმეტად დამაინტერესა.

- პირველი?

ჰოლმსმა ფრთხილად დაკეცა ჩეკი და უბის წიგნაკში ჩადო.

- მდიდარი კაცი არა ვარ, - თქვა და უბის წიგნაკი პიჯაკის გულის ჯიბეში საიმედოდ შეინახა.

<u>მ ე ო რ ე ლ ა ქ ა</u>

აღარ მეგონა, თუ ჩემი მეგობრის - შერლოკ ჰოლმსის სახელოვან საგმირო საქმეებზე წერა მომიხდებოდა. მასალა კი არ შემომკლებია. პირიქით, აუარებელი ჩანაწერი ისეთ საქმეებზე, რომლებიც არასოდეს მიხსენებია, ჯერ კიდევ შემონახული მაქვს. არც იმისი თქმა შეიძლება, რომ მკითხველებს ამ შესანიშნავი ადამიანის თავისებური კვლევა-ძიების უჩვეულო ხერხებისადმი ინტერესი განელებოდეთ. ჩემი დუმილის მიზეზი ის გახლდათ, რომ თვითონ შერლოკ ჰოლმსს აღარ სურდა პრესაში გამომზეურებულიყო მოთხრობები მის თავგადასავალზე. ვიდრე ძიების საქმეებს ჩამოცილდებოდა, ამ დარგში მოპოვებულ წარმატებებზე დაწერილი მოთხრობების გამოქვეყნება მისთვის გარკვეულ პრაქტიკულ ინტერესს შეიცავდა, მაგრამ როცა ლონდონი მიატოვა და სასექსის გორაკებზე ფუტკრის მოშენებას მიჰყო ხელი, სახელი და დიდება შესძაგდა და დაჟინებით მოითხოვდა, მომეშვით და მომასვენეთო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩემი დაპირება შევახსენე, თავის დროზე ამ მოთხრობას დავბეჭდავ-მეთქი, და დავარწმუნე, რომ დროული იქნებოდა მოთხრობების მთელი ციკლი ასეთი მნიშვნელოვანი ეპიზოდით დამესრულებინა, როგორც იქნა, მივიღე მისი თანხმობა დამესტამბა და სააშკარაოზე გამომეტანა დღემდე ასე გულმოდგინედ დაფარული ეს საქმე. თუ ჩემი მოთხრობის ზოგიერთი დეტალი ბურუსით მოცული მოგეჩვენებათ, ალბათ იოლად მიხვდებით, რომ ჩემს თავშეკავებას საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი გააჩნია.

ერთხელ, შემოდგომაზე, სამშაბათს დილით (წელი და ათეული წელიც კი არ შეიძლება აღნიშნულ იქნას), ჩვენს კარის ზღურბლს ბეიკერსტრიტზე მთელ ევროპაში ცნობილმა ორმა კაცმა გადმოაბიჯა. ერთი მათგანი, მკაცრი, ზვიადი, არწივისებური იერითა და უფლებისმოყვარე ადამიანის მზერით აღჭურვილი, გახლდათ ლორდ ბელინჯერი, რომელსაც ორჯერ ეჭირა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი. მეორე, კოხტა, შავგვრემანი ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ კიდევ საშუალო

ასაკისათვის არ მიეღწია, არა მარტო სახის სწორი ნაკვთებითა და სილამაზით იყო შემკული, არამედ ბუნებას მისთვის მახვილი ჭკუაც მიემადლებინა. ეს გახლდათ ტრელონი ჰოუპი, ინგლისის პერი და ევროპის საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო მოღვაწე, რომლისგანაც ჩვენი ქვეყანა ყველაზე მეტს მოელოდა.

მოსულები ქაღალდებით სავსე დივანზე ერთიმეორის გვერდით ჩამოსხდნენ. აღელვებულ და დაქანცულ სახეებზე იოლად შეატყობდით, რომ ჩვენთან უაღრესად მნიშვნელოვან და სასწრაფო საქმეს მოეყვანა. პრემიერის გამხდარი, ძარღვიანი ხელები მოუსვენრად ეჭიდებოდნენ ქოლგის ძვლის სახელურს. იგი ფრთხილად და პირქუშად შემოგვცქეროდა ხან მე, ხან - ჰოლმსს.

ევროპის საქმეთა მინისტრი ნერვიულად იწიწკნიდა ულვაშს და საათის ძეწკვს კრიალოსანივით ათამაშებდა.

- როგორც კი საიდუმლო დოკუმეტის დაკარგვა შევნიშნე, მისტერ ჰოლმს, - ეს კი ამ დილით რვა საათზე მოხდა, - დაუყოვნებლივ ვაცნობე ეს სამწუხარო ამბავი პრემიერ-მინისტრს, და მისი წინადადებით ორივემ თქვენკენ გამოვწიეთ.

- პოლიციას შეატყობინეთ?

- არა, სერ! - თქვა პრემიერ-მინისტრმა მისთვის ჩვეული სისხარტით და გადამწყვეტი კილოთი. - არ შეგვიტყობინებია და ჩვენი აზრით, ასეთი საქციელის ჩადენა გაუმართლებელიც იქნებოდა. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, საქმის გახმაურებას ვერიდებით.

- რატომ, სერ?

- ეს საიდუმლო დოკუმენტი, რის გაუჩინარების თაობაზეც თქვენთან მოვედით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი დაკარგვის გახმიანება შეიძლება გახდეს, და, წარმოიდგინეთ, მოცემულ მომენტში უეჭველად გახდება კიდეც საერთაშორისო კონფლიქტის მიზეზი. შემიძლია გაუზვიადებლად ვთქვა, რომ ქვეყნის მშვიდობის შენარჩუნების საკითხი იმ დოკუმენტზეა დამოკიდებული. თუ მისი დაკარგვისა და ძებნის ამბავი სრული იდუმალებით არ იქნა მოცული, უმჯობესია ძებნაზე სრულიად ავიღოთ ხელი, ვინაიდან ეს დოკუმენტი სწორედ იმ მიზნით მოიპარეს, რომ მისი შინაარსი საქვეყნოდ გაეხმიანებინათ.

- მესმის. ახლა კი, მისტერ ტრელონი ჰოუპ, ძალიან დაგიმადლებთ, თუ დაწვრილებით მომიყვებით, რა გარემოებებში გაქრა ის დოკუმენტი.

- მისტერ ჰოლმს, ყოველივეს ორიოდ სიტყვით გადმოგცემთ... ეს დოკუმენტი - ერთ-ერთი უცხოელი მონარქის წერილი - ექვსი დღის წინ მივიღეთ. წერილს იმდენად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მისი შენახვა სამინისტროს სეიფში ვერ გავბედე და ყოველ საღამოს შინ მიმქონდა, უაიტჰოლტერასზე, და ვინახავდი საწოლ ოთახში, ოფიციალური ქაღალდებისათვის განკუთვნილ ჩაკეტილ ზარდახშაში. იქვე იყო გუშინ საღამოსაც, ამაში დარწმუნებული ვარ. როცა სადილის წინ ტანსაცმელს ვიცვლიდი, ზარდახშასთან მივედი, გავაღე და დოკუმენტი ადგილზე იდო. დღეს დილით კი წერილი გაქრა. ზარდახშა მთელი ღამე სარკის გვერდით, ჩემი ტუალეტის მაგიდაზე იდგა. მეც და ჩემმა მეუღლემაც ფხიზელი ძილი ვიცით. ორივე მზად ვართ დავიფიცოთ, რომ ღამით ოთახში არავინ შემოსულა.

- რომელ საათზე ისადილეთ?

- რვის ნახევარზე.

- როდის დაწექით დასაძინებლად?

- ჩემი მეუღლე თეატრში გახლდათ და გვიანობამდე ველოდი. დასაძინებლად ასე თორმეტის ნახევარზე დავწექით.

- მაშასადამე, ოთხი საათის განმავლობაში ზარდახშას არავინ დარაჯობდა?

- საწოლ ოთახში შესვლის უფლება დილაობით მხოლოდ მოსამსახურე გოგოს აქვს, ხოლო კამერდინერი და მეუღლის პირისფარეში იქ მხოლოდ ჩვენი გამოსვლის შემდეგ შედიან. მაგრამ ის ორნი - ერთგული მსახურნი არიან და დიდი ხანია ჩვენს ოჯახში ცხოვრობენ. ამას გარდა, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ ზარდახშაში უბრალო სამსახურეობრივ ქაღალდებზე უფრო ძვირფასი რამ ინახებოდა.

- ვინ იცოდა ამ წერილის არსებობა?

- ჩემს სახლში არავინ.

- თქვენმა ცოლმა, რა თქმა უნდა, იცოდა?

- არა, სერ. ცოლისთვის ამ დილამდე არც გამიმხელია დოკუმენტის არსებობა.

პრემიერმა მოწონების ნიშნად თავი დააქნია.

- ყოველთვის ვიცოდი მოვალეობის რა დიდი გრძნობა გაგაჩნდათ, სერ, - თქვა მან. - ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასეთ მნიშვნელოვან და საიდუმლო საქმეში ეს გრძნობა მტკიცე ოჯახურ კავშირზე უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა.

ევროპის საქმეთა მინისტრმა თავი დაუკრა.

- სრულიად მართალი ბრძანდებით, სერ. ამ დილამდე წერილის თაობაზე ცოლთან არც ერთი სიტყვა არ დამცდენია.

- თვითონ ხომ ვერ გამოიცნობდა?

- ვერა, მისტერ ჰოლმს, ვერ გამოიცნობდა, ვერავინ ვერ გამოიცნობდა.

- უწინ თუ გეკარგებოდათ დოკუმენტები?

- არა, სერ.

- ვინ იცოდა ინგლისში ამ წერილის არსებობა?

- გუშინ წერილი კაბინეტის ყველა წევრს გააცნეს. მაგრამ საიდუმლოს შენახვის მოთხოვნა, რაც თან კაბინეტის ყოველ სხდომას ახლავს, ამჯერად პრემიერ-მინისტრის მხრიდან განმტკიცებულ იქნა საზეიმო გაფრთხილებით. ღმერთო ჩემო, ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ წერილს თვითონვე დავკარგავდი!

სასოწარკვეთილებამ ტრელონი ჰოუპს სახე მოუქცია. მან თავში იტაცა ხელი. ერი წამით თვალწინ ფიცხი, მგზნებარე და მძაფრი შთაბეჭდილების ადამიანის ჭეშმარიტი გრძნობები გადაგვეშალა. მაგრამ ტრელონი ჰოუპის სახეს მაშინვე ქედმაღლობის ნიღაბი გადაეფარა და უკვე მშვიდი ხმით განაგრძო:

- კაბინეტის წევრების გარდა წერილის არსებობის ამბავი დეპარტამენტის ორმა, იქნებ სამმა მოხელემ უწყოდეს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მთელ ინგლისში ძე-ხორციელმა წერილის არსებობაზე არაფერი იცის.

- საზღვარგარეთ?

- მე მჯერა, რომ საზღვარგარეთ, გარდა იმისა, ვინც ის წერილი დაწერა, იგი კაციშვილს არ უხილავს. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ თვით მისმა მინისტრებმა... ესე იგი, მე მინდა ვთქვა, რომ ამ წერილმა ჩვეულებრივ ოფიციალურ არხებს გვერდი აუარა.

ჰოლმსი ერთ ხანს გაჩუმდა, ჩაფიქრდა, მერე თქვა:

- ახლა კი, სერ, საქმისათვის ისა სჯობია, რომ უფრო ნათლად გამაგებინოთ, რა დოკუმენტი დაიკარგა და რატომ უნდა გამოიწვიოს მისმა დაკარგვამ ასეთი სერიოზული შედეგები.

ორი სახელმწიფო მოღვაწე შეცბა, მათ სწრაფად შეათვალიერეს ერთმანეთი და პრემიერ-მინისტრმა ხშირი წარბები შეიკრა:

- მისტერ ჰოლმს, წერილი დევს გრძელ, ვიწრო ლურჯ კონვერტში. წითელი ლუქის ბეჭედზე გამოსახულია თავდასასხმელად მზადმყოფი ლომი. მისამართი დაწერილია მსხვილი მტკიცე ხელით...

- ეს წვრილმანები, - შეაწყვეტინა ჰოლმსმა, - ცხადია, საინტერესოა და ძალზე არსებითი, მაგრამ მე უნდა ვიცოდე წერილის შინაარსი. რაზე იყო ლაპარაკი წერილში?

- ეს სრულიად საიდუმლო სახელმწიფო ამბავია და, მგონია, თქვენს კითხვას ვერ ვუპასუხებთ. თუ თქვენი არაჩვეულერბივი ნიჭის წყალობით მოახერხებთ ჩემ მიერ აღწერილი კონვერტისა და შიგ მოთავსებული წერილის პოვნას, თქვენ დაიმსახურებთ ჩვენი ქვეყნის მადლობას და მიიღებთ ყოველნაირ გასამრჯელოს, რაც ჩვენს ხელთაა.

შერლოკ ჰოლმსმა გაიღიმა, წამოდგა და რაც შეიძლება თავმდაბლად მიუგო:

- რა თქმა უნდა, თქვენ მთელ ინგლისში ყველაზე უფრო საქმიანი ადამიანები ბრძანდებით, მაგრამ ჩემს პატარა პროფესიასაც ბევრი დრო სჭირდება. ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ამ საქმეში დაგეხმაროთ და ჩვენი საუბრის შემდგომი გაგრძელება დროის უსაზმნო ხარჯვად მიმაჩნია.

პრემიერ-მინისტრი ფეხზე წამოიჭრა. მის ღრმად ჩამჯდარ თვალებში იელვა იმ არასასიკეთო ცეცხლმა, რაც ხშირად აიძულებდა კაბინეტის წევრებს შიშისაგან მოკუნტულიყვნენ.

- მე არა ვარ მიჩვეული, სერ... - დაიწყო მან. მაგრამ იმავე წამს გონს მოეგო და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

ერთი წუთი ან იქნებ მეტიც ყველანი ხმაამოუღებლივ ვისხედით. მერე ძველმა სახელმწიფო მოღვაწემ მხრები აიჩეჩა:

- იძულებული ვართ მივიღოთ თქვენი პირობები, მისტერ ჰოლმს. თქვენ უდავოდ მართალი ხართ, და ჩვენის მხრივ უაზრობაა, დახმარება გთხოვოთ მანამდე, ვიდრე საქმის შინაარსს რა გაგაცნობთ.

- მეც გეთანხმებით, სერ, - თქვა ახალგაზრდა დიპლომატმა.

- კეთილი, მე მოგიყვებით ყოველივეს, მაგრამ ვენდობი თქვენს თავდაჭერილობას და თქვენი მეგობრის, დოქტორ უოტსონის პატიოსნებას. ჯენტლმენებო, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია შეგახსენოთ თქვენი პატრიოტული ვალი, რადგან ვერ წარმომიდგენია ჩვენი ქვეყნისათვის მეტი უბედურება, ვიდრე ამ დოკუმენტის შინაარსის გახმიანება იქნებოდა.

- შეგიძლიათ სავსებით გვენდოთ, - ვუთხარით ჩვენ ერთხმად.

- დიახ, ეს არის ერთ-ერთი უცხოელი მონარქის წერილი. იგი ამ ახლო წარსულში ჩვენი ქვეყნის კოლონიების გაფართოებას აღუშფოთებია. წერილი დაწერილი გახლდათ ცხელ გულზე და პასუხისმგებლობაც მთლიანად მის დამწერს ეკისრება. ცნობების შეგროვებამ გვიჩვენა, რომ მონარქის მინისტრებმა ამ წერილის თაობაზე არაფერი იცოდნენ. წერილის ტონი საკმაოდ მკვახეა, და ზოგიერთი ფრაზა ისეთი გამომწვევი ხასიათისაა, რომ მისი გამოქვეყნება უსათუოდ ააღელვებდა ინგლისის საზოგადოებრივ აზრს. მეტიც მოხდება, სერ: უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ომში იქნება ჩათრეული.

ჰოლმსმა ქაღალდის ფურცელზე თავისი ვარაუდით დაწერა მონარქის გვარი და პრემიერ-მინისტრს უჩვენა.

- დიახ, დაკარგული წერილის ავტორი სწორედ ის გახლავთ. და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ წერილმა შეიძლება მილიონობით აუნაზღაურებელი ხარჯი და ასი ათასობით ადამიანის დაღუპვა გამოიწვიოს.

- წერილის ავტორს თუ შეატყობინეთ მომხდარი ამბავი?

- დიახ, სერ, დაშიფრული დეპეშა გაიგზავნა.

- იქნებ თვითონვე ვარაუდობდა წერილის გამოქვეყნებას?

- არა, სერ! ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ: უკვე მიხვდა, რომ გაუფრთხილებლად და წინდაუხედავად მოიქცა. წერილის გამოქვეყნება მისთვის და მისი ქვეყნისთვის უფრო დიდი უბედურება იქნებოდა, ვიდრე ჩვენთვის.

- რაკი ასეა, ვინაა დაინტერესებული ამ წერილის საქვეყნო სამსჯავროზე გატანით? ვის რისთვის დასჭირდა მისი მოპარვა?

- მისტერ ჰოლმს, თქვენ იძულებულს მხდით შევეხო ძალიან მაღალ საერთაშორისო პოლიტიკის სფეროს. თუ მხედველობაში მივიღებთ ევროპის ახლანდელ სიტუაციას, დანაშაულის მოტივის გაგება არ გაგიჭირდებათ. ევროპა შეიარაღებულ ბანაკს წარმოადგენს. არსებობს ორი კავშირი, რომელთაც თითქმის თანაბარი სამხედრო ძლიერება აქვთ. ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავთ. თუ რომელიმე სამხედრო კავშირს მივემხრობით, ეს უზრუნველყოფს ამ კავშირის უპირატესობას მეორე მხარესთან. გამიგეთ?

- ახლა ყველაფერი ნათელია. ამრიგად წერილის მოპარვითა და მისი შინაარსის გახმიანებით დაინტერესებული არიან ამ მონარქის მტრები, რომლებიც მოწადინებული არიან მის ქვეყანასა და ჩვენს შორის შუღლი დათესონ, არა?

- დიახ, სერ.

- ვისთვის შეიძლებოდა გადაეგზავნათ ეს დოკუმენტი, თუ მტრის ხელში მოხვდებოდა?

- ევროპის, რომელიც გნებავთ, მთავრობისათვის. შესაძლებელია, რომ ამ მომენტში წერილი მიჰქრის კიდეც დანიშნულებისამებრ ისეთი სისწრაფით, როგორიც კი შეიძლება გემმა განავითაროს.

მისტერ ტრელონი ჰოუპმა თავი ჩაჰკიდა და მძიმედ ამოიხვნეშა.

პრემიერმა ალერსიანად დაადო თავი მხარზე:

- უბედურება შეგვემთხვა, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ვინ გაბედავს, ევროპის საქმეთა მინისტრს ბრალი დასდოს - თქვენ უკვე მიიღეთ სიფრთხილის ყველა ღონისძიება... მისტერ შერლოკ ჰოლმს, თქვენთვის ახლა ყველაფერი დღესავით ნათელია. რას გვირჩევთ, როგორ მოვიქცეთ?

ჰოლმსმა ნაღვლიანად გადააქნია თავი:

- თქვენ ვარაუდობთ, სერ, რომ თუ ეს დოკუმენტი ვერ დაიბრუნეთ, ომი გარდუვალია?

- ვფიქრობ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია.

- მაშინ, სერ, ომისათვის ემზადეთ.

- ეს სასტიკი სიტყვებია, მისტერ ჰოლმს!

- მიიღეთ მხედველობაში ფაქტები, სერ. ნაკლებად სარწმუნო, და თითქმის დაუჯერებელიცაა, რომ წერილი ღამის თორმეტის ნახევარზე უფრო გვიან გაიტაცეს, რადგანაც ამ დროიდან იმ მომენტამდე, როცა მისი დაკარგვა შენიშნეს, მისტერ ჰოუპი და მისი მეუღლე საწოლ ოთახში იმყოფებოდნენ. მაშასადამე, წერილი გუშინ საღამოს, რვის ნახევრიდან თორმეტის ნახევრამდე გაქრა. საფიქრებელია, უფრო რვის ნახევარზე, რადგან ქურდმა იცოდა, სადაც იდო და, რაღა თქმა უნდა, მის დაუფლებას, რაც შეიძლება დროულად შეეცდებოდა. რაკი ასეთი მნიშვნელოვანი

დოკუმენტი გუშინ გაიტაცეს და ქურდი მას არ შეინახავდა, სავარაუდებელია, რომ იგი უმალვე დაინტერესებულ პირს გადასცა. რაღა შანსი გვაქვს დავიჭიროთ წერილი, ან თუნდაც მის კვალს დავადგეთ? ჩემი აზრით, დოკუმენტი ჩვენთვის უკვე მიუწვდომელია.

პრემიერ-მინისტრი დივანიდან წამოდგა.

- ნადვილად ლოგიკურად მსჯელობთ, მისტერ ჰოლმს. მე ვხედავ, რომ მართლაც გვიანაა და უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეიძლება.

- ვთქვათ, რომ დოკუმენტი პირისფარეშმა ან ლაქიამ გაიტაცეს, რამდენადაც გავიგე, საწოლი ოთახი მეორე სართულზეა და ქუჩიდან ცალკე შესავალი არ გააჩნია. წინა კარიდან კი საწოლ ოთახში შეუმჩნევლად ასვლა არ შეიძლებაო. მაშასადამე, წერილი რომელიმე შინაურთაგანს აუწაპნია. მაგრამ ვის გადასცემდა ქურდი ამ ძვირფას ნადავლს? ალბათ ერთ-ერთ უცხოელ ჯაშუშს და საიდუმლო აგენტს. მათი სახელები კი ჩემთვის ცნობილია. არის სამი ადამიანი, რომლებიც შეიძლება ითქვას, ასეთ კომპანიებს მეთაურობენ. მე ძიებას იქიდან დავიწყებ, რომ დავადგენ, რა საქმით არის დაკავებული თითოეული. თუ რომელიმე მათგანი სადმე გაემგზავრა და განსაკუთრებით კი, თუ გუშინ საღამოს გაემგზავრა, ჩვენ გვეცოდინება, სად გაქრა წერილი.

- რისთვის უნდა გამგზავრებულიყო? - იკითხა ევროპის საქმეთა მინისტრმა. - აგენტს, რომელმაც წერილი ხელთ იგდო, შეეძლო იგი თავის საელჩოსათვის აქვე, ლონდონში გადაეცა.

- არა მგონია. ჩვეულებრივ, აგენტები სრულიად დამოუკიდებლად მუშაობენ და ხშირად საკმაოდ დაძაბულ ურთიერთობაში არიან თავიანთ ქვეყნების საელჩოებთან.

პრემიერ-მინისტრმა შერლოკ ჰოლმსს თავის დაქნევით დაუმოწმა ნათქვამი:

- მართალს ბრძანებთ, მისტერ ჰოლმს. აგენტი ასეთ ძვირფას დოკუმენტს დანიშნულ ადგილას საკუთარი ხელით ჩაიტანს. თქვენი მოქმედების გეგმა მე აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია. მაგრამ, მისტერ ჰოუპ, ამ უბედურების გამო ჩვენს სხვა მოვალეობებს ვერ დავივიწყებთ. მისტერ ჰოლმს, თუ დღის განმავლობაში რაიმე ახალი მოვლენა მოხდება, შეგატყობინებთ. თქვენც, რა თქმა უნდა, თქვენი საკუთარი კვლევა-ძიების შედეგებზე ინფორმაციებს გვაახლებთ.

მინისტრებმა თავი დაგვიკრეს და ღირსებით აღსავსე სახით გავიდნენ სახლიდან.

როცა ჩვენი მაღალი მდგომარეობის სტუმრები წავიდნენ, ჰოლმსმა უსიტყვოდ მოსწია ჩიბუხი და ერთ ხანს ღრმა ფიქრებს მიეცა. მე დილის გაზეთი გავშალე და წინა საღამოს ლონდონში მომხდარი ერთი სენსაციური დანაშაულის ამბის კითხვას შევუდექი. უეცრად ჩემმა მეგობარმა ხმამაღლა შეჰყვირა, ფეხზე წამოვარდა და ჩიბუხი ბუხარზე დააგდო.

- დიახ, - თქვა მან, - უკეთესი გზა არ არსებობს. მდგომარეობა სასოწარმკვეთია, მაგრამ უიმედო არაა. პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს, ვინ აწაპნა წერილი. ხომ შეიძლება, რომ წერილი ჯერ კიდევ არ იყოს მისი ხელიდან გასული?! ბოლოს და ბოლოს ამ ადამიანებს აინტერესებთ მხოლოდ ფული, ხოლო ჩემს ხელთაა დიდი ბრიტანეთის მთელი ხაზინა. თუ წერილი იყიდება, მე მას ვიყიდი... თუნდაც მთავრობას საშემოსავლო გადასახადის გადიდება მოუხდეს. შეიძლება ის კაცი ჯერ კიდევ ინახავს წერილს. ვიდრე საზღვარგარეთ წერილის მაზანდას დაადგენს, ხომ უნდა გაიგოს, რამდენს შესთავაზებენ აქ, ინგლისშივე. ასეთი გაბედული თამაშის

უნარი კი მხოლოდ სამ კაცს შესწევს: ობერშტაინს, ლა როტიერს და ედვარდ ლუკასს. ყველა მათგანს ვინახულებ.

კვლავ დილის გაზეთში ჩავრგე ცხვირი:

- გოდოლფინსტრიტზე მცხოვრები ედვარდ ლუკასი?

- დიახ.

- ვერ ნახავთ.

- რატომ?

- გუშინ საღამოს თავის ბინაში მოკლეს.

თავისი მიხვედრილობითა და გერგილიანობით ჩემი მეგობარი ისე ხშირად მაოცებდა ხოლმე, რომ, როცა ვნახე, როგორ გააოცა ჩემმა ნათქვამმა, საზეიმო განწყობილება დამეუფლა. იგი განცვიფრებული მომაშტერდა და შემდეგ ხელიდან გამომტაცა გაზეთი, აი, ის ცნობა, რასაც იმ წუთში ვკითხულობდით, როცა ჰოლმსი თავისი სავარძლიდან წამოიჭრა:

მკვლელობა ვესტმინსტერში

გუშინ საღამოს №16 სახლში გოდოლფინსტრიტზე მოხდა საიდუმლოებით მოცული დანაშაული. გოდოლფინსტრიტი ერთი იმ ძველებურ წყნარ ქუჩათაგანია, რომლებიც მდინარესა და ვესტმინსტერის სააბატოს შორის მიემართება. ეს ქუჩა თითქმის პარლამენტის შენობის დიდი კოშკის ჩრდილში იმყოფება. მისი სახლების უმეტესობა ჯერ კიდევ XV||| საუკუნეშია აგებული. ერთ-ერთ ამ სახლში, პატარა, მაგრამ ცალკე საცხოვრებელში, რამდენიმე წელიწადს მუდმივად ცხოვრობდა მისტერ ედვარდ ლუკასი. იგი იყო მომხიბვლელი გარეგნობის ადამიანი, კარგად ცნობილი საზოგადოებაში და მუსიკის მოთაყვანე, ინგლისელებისათვის რჩეული ტენორი, მაგრამ არაპროფესიული მომღერალი. მისტერ ლუკასს ცოლი არა ჰყავდა. მის სახლში ცხოვრობდნენ ხნიერი მნე ქალი მისის პრინგლი და ლაქია მიტონი. მნე ქალი ჩვეულებრივ საღამოობით არ მუშაობდა. იგი ადრიანად ავიდოდა ხოლმე თავის ოთახში, სახლის ზედა სართულზე. იმ საღამოს ლაქიაც მეგობრის სანახავად ჰამერსმიტში გამგზავრებულა.

ათი საათიდან მისტერ ლუკასი ბინაში მარტო დარჩენილა. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ თორმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, გოდოლფინსტრიტზე მიმავალ კონსტებლ ბერეტს შეუნიშნავს, რომ [1]16 სახლის კარი ნახევრად ღია იყო. დაუკაკუნებია, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. პირველ ოთახში შუქი იყო ანთებული. კონსტებლი დერეფანში შესულა და ხელახლა დაუკაკუნებია, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. მაშინ კარი შეუღია და ბინაში შესულა. კონსტებლს ოთახი საშინლად არეული დახვედრია. მის სიტყვებს თუ გავიმეორებთ: მთელი ავეჯი მიწეულ-მოწეული იყო. შუაში ეგდო პირქვე დამხობილი სკამი. ამ სკამთან იატაკზე გაშხლართულიყო და ჯერ კიდევ სკამის ფეხს ებღაუჭებოდა სახლის უბედური პატრონი. დანა შიგ გულში ჰქონდა გაყრილი. ამასთან სიკვდილი, ეტყობა, უეცრად მოევლინა. დანა, რომლითაც მკვლელობა იყო ჩადენილი, აღმოჩნდა მრუდე ინდური ხანჯალი, აღებული აღმოსავლური იარაღის იმ კოლექციიდან, რაც ოთახის ერთ-ერთ კედელს ამშვენებდა. მკვლელობა, როგორც ჩანს, ძარცვის მიზნით არაა ჩადენილი, რადგან ძვირფასეულობა, რაც ოთახში იყო, ხელუხლებელი აღმოჩნდა.

მისტერ ედვარდ ლუკასი იმდენად ცნობილი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო, რომ მისი ძალადური და საიდუმლოებით მოცული სიკვდილის ამბავს მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები გულწრფელი მწუხარებით შეხვდნენ».

- აბა, უოტსონ, თქვენ რას ფიქრობთ ამ ამბავზე? - მკითხა ჰოლმსმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ.

- განსაცვიფრებელი დამთხვევაა!

- დამთხვევა? ერთი იმ სამთაგანი, რომელთაც დრამის შესაძლებელ მონაწილედ ვთვლიდით, გულგანგმირული სწორედ იმ საათს დაეცა, როცა დრამის პირველი მოქმედება იწყებოდა და განა ეს დამთხვევაა! არა, არა, ჩემო ძვირფასო უოტსონ, ეს ორი მოვლენა რაღაც უხილავ კავშირშია, და ჩვენი ამოცანაა ვიპოვოთ ეს კავშირი.

- მაგრამ ახლა ხომ პოლიციაც ჩაერევა საქმეში და ყოველივეს შეიტყობენ.

- პოლიციაში მხოლოდ ის ეცოდინებათ, რაც მათ თვალწინ გოდოლფინსტრიტზე მოხდება. იქ არ იციან და ვერც გაიგებენ, რა მოხდა უაიტჰოლტერასზე. მხოლოდ ჩვენთვის არის ცნობილი ორივე შემთხვევა, და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია მათი ერთმანეთთან შეპირისპირება. არის ერთი აშკარა გარემოება, რაც ყოველნაირ შემთხვევაში ეჭვებს ლუკასის წინააღმდეგ აღმიძრავდა. გოდოლფინსტრიტი ხომ რამდენსამე ნაბიჯზეა უაიტჰოლტერასიდან. სხვა საიდუმლო აგენტები, რომლებზედაც გელაპარაკეთ, უესტ-ენდის შორეულ კიდეში ცხოვრობენ. ამიტომაც, ბუნებრივია, ლუკასი სხვებზე იოლად მოახერხებდა ევროპის საქმეთა მინისტრის სახლთან კავშირის დაჭერასა და საჭირო ცნობების მიღებას. ეს უმნიშვნელო გარემოებაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მოვლენები დიდი სისწრაფით განვითარდებოდნენ, შეიძლება არსებითიც აღმოჩნდეს. აჰა! რაღაც ახალი ამბავია!

გამოჩნდა მისის ჰადსონი, რომელსაც ლანგრით მოჰქონდა ვიღაც ქალის სადარბაზო ბარათი. ჰოლმსმა შეხედა, წარბები ასწია და ბარათი მე გადმომცა.

- სთხოვეთ ლედი ჰილდა ტრელონი ჰოუპს, მობრძანდეს, - თქვა მან.

წამიც და ჩვენს უბრალო ბინას მეორედ დაედო პატივი, ამჯერად მთელ ლონდონში უმშვენიერესი მანდილოსნის მობრძანებით. ჰერცოგ ბელმინსტერის უმცროსი ასულის მშვენიერების ამბავი ადრეც მსმენოდა, მაგრამ არც ერთ აღწერასა თუ ფოტოსურათს არ შეეძლო გადმოეცა მისი ნატიფი სახის საკვირველი, სასიამოვნო მომხიბვლელობა და წარმტაცი იერი. მაინც შემოდგომის იმ დილას, პირველ ნახვაზე, მისი მშვენიერება როდი მოგვხვდა თვალში. მომაჯადოებელი სახე კი ჰქონდა, მაგრამ მღელვარებისაგან ფერი მიხდოდა; თვალები უბრწყინავდა, თუმცა მათი ელვარება ისეთი ჩანდა, ციებიანიაო, იტყოდით. მეტყველი პირი მოეკუმა და ცდილობდა როგორმე თავი დაეჭირა. მშვენიერებამ კი არა მის თვალებში ჩამდგარმა შიშმა გაგვაოცა, როცა ღია კარებში ჩვენი მომხიბლავი სტუმარი გამოჩნდა.

- ჩემი ქმარი ხომ არ ყოფილა თქვენთან, მისტერ ჰოლმს?

- დიახ, მილედი, გახლდათ.

- მისტერ ჰოლმს, გევედრებით, არ გამამხილოთ, რომ მე თქვენთან მოვედი.

ჰოლმსმა ცივად დაუკრა თავი და სკამი შესთავაზა.

- თქვენი ბრწყინვალება ფრიად საჩოთირო მდგომარეობაში მაყენებს. გთხოვთ დაბრძანდეთ და ამიხსნათ, რა გაწუხებთ. სავალალოდ უნდა გითხრათ, რომ წინასწარ ვერაფერს დაგპირდებით.

მანდილოსანმა მთელი ოთახი გაიარა და ფანჯრისაკენ ზურგშექცევით დაჯდა. ეს იყო ნამდვილი დედოფალი - მაღალი, მოხდენილი და ამავე დროს ძალზე ქალური.

- მისტერ ჰოლმს, - დაიწყო მან და ვიდრე ლაპარაკობდა, თეთრხელთათმნიან ხელებს ერთთავად კუმშავდა და შლიდა, - გულახდილად ვილაპარაკებ და იმედი მაქვს, თქვენც ასევე მოიქცევით. ჩემსა და ჩემს ქმარს შორის არ არის არავითარი საიდუმლო, ერთი ამბის გარდა: ესაა პოლიტიკა... აქ ის დუმილს ამჯობინებს და

არაფერს არ მიამბობს ხოლმე. მაგრამ მე შევიტყვე, რომ გუშინ ჩვენს სახლში რაღაც უაღრესად არასასიამოვნო ამბავი მოხდა. ჩემთვის ცნობილია, რომ გაქრა რაღაც მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მაგრამ რამდენადაც საქმე პოლიტიკას ეხება, საიდუმლოს განდობაზე ქმარი უარს ამბობს. ამასთან ძალზე საჭიროა... მერწმუნეთ, ძალზე საჭიროა, რომ იმ ამბის თაობაზე ყველაფერი ვიცოდე. მთავრობის წევრების გარდა თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელმაც სიმართლე იცის. გევედრებით, მისტერ ჰოლმს, ამიხსნათ, რა მოხდა და რა შეიძლება მოჰყვეს ამ ამბავს. ყველაფერი მიამბეთ, მისტერ ჰოლმს. თქვენი კლიენტის ინტერესები ნუ შეგზღუდავენ და დაგადუმებენ. გარწმუნებთ, მხოლოდ მისთვის სარგებლობის მოტანის სურვილი მამოძრავებს, და ეს რომ ჩემს მეუღლეს ესმოდეს, ალბათ ყოველივეს გამანდობდა. რა ქაღალდი იყო, რომ გაიტაცეს?

- მილედი, თქვენ ჩემგან შეუძლებელს ითხოვთ.

ქალმა ღრმად ამოიოხრა და სახე ხელებში ჩარგო.

- უნდა გამიგოთ, მილედი. თუ თქვენი ქმარი საჭიროდ თვლის, რომ თქვენთვის უმჯობესია ამ საქმისა არა შეიტყოთ რა, როგორ შემიძლია მე, ვისაც საიდუმლოს შენახვის ფიცი ჩამომართვეს, გაგიმხილოთ ის, რასაც თვითონ საკუთარი ქმარი გიმალავთ? თქვენ უფლებაც არა გაქვთ ასეთი რამ მთხოვოთ - ქმარს უნდა შეევედროთ და ის ყოველივეს გიამბობთ.

- ვკითხე და რაკი პასუხი ვერ მივიღე, თქვენთან მოვედი. მაგრამ თუ თქვენც არ გსურთ მითხრათ რაიმე გარკვეული, ერთ კითხვაზე მაინც მიპასუხეთ.

- რა კითხვაზე, მილედი?

- შეიძლება თუ არა ამ შემთხვევამ ზიანი მიაყენოს ჩემი ქმრის პოლიტიკურ კარიერას?

- იცით, მილედი, თუ საქმე არ მოწესრიგდება, რაღა თქმა უნდა, მას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

- ო!

ქალმა იმ ადამიანივით ამოიოხრა, რომელსაც ეჭვი გაუქარწყლა მწარე სიმართლემ.

- კიდევ ერთი კითხვა, მისტერ ჰოლმს. როგორც კი ეს უბედურება მოხდა, ჩემმა ქმარმა წამოისროლა ორიოდე სიტყვა, და გავიგე, რომ წერილის დაკარგვას მთელი ჩვენი ქვეყნისათვის შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

- რაკი თვითონ ასე უთქვამს, მე, რა თქმა უნდა, ამის უარყოფას აღარ შევუდგები.

- მაგრამ რა უბედურება შეიძლება ეს იყოს?

- აჰ, მილედი, თქვენ ისევ მაძლევთ იმ კითხვას, რაზედაც პასუხის გაცემა არ შემიძლია.

- რაკი ასეა, მისტერ ჰოლმს, მეტად დროს აღარ წაგართმევთ. ვერც იმის გამო გისაყვედურებთ, რომ გულახდილობაზე უარი მითხარით. იმედი მაქვს, ჩემზე ცუდს არას იფიქრებთ, რადგანაც გულწრფელად მინდა გავიზიარო ჩემი ქმრის საზრუნავი, თუმცა თვითონ ამისი წინააღმდეგია. ერთხელ კიდევ გთხოვთ: ნუ ეტყვით, რომ თქვენთან ვიყავი.

ზღურბლზე მდგარმა უკან მოიხედა, და მე ხელახლა დავინახე ლამაზი, აღელვებული სახე, შეშინებული თვალები და მჭიდროდ მოკუმული პირი. შემდეგ ქალი გაუჩინარდა.

- აბა, უოტსონ, მშვენიერი სქესი - ეს უკვე თქვენი საქმეა, - ღიმილით თქვა ჰოლმსმა, როცა სადარბაზო კარი ხმაურით დაიხურა და კაბის შარიშურის ხმა მიწყდა. - რა თამაშს ეწევა ეს ლამაზი ბანოვანი? რა უნდა სინამდვილეში?

- რას ბრძანებთ, აკი ყველაფერი ასე გარკვევით აგვიხსნა, ხოლო მისი მოუსვენრობა სრულიად ბუნებრივია.

- ჰმ! გაიხსენეთ მისი სახის გამომეტყველება, დაუყოვნებელი შიში, მოუსვენრობა და დაჟინება, რითაც კითხვებს იძლეოდა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ქალი ეკუთვნის იმ კასტას, რომელსაც თავისი გრძნობების დაფარვის უნარიც გააჩნია.

- დიახ, მართლაც ძალიან აღელვებული იყო.

- გაიხსენეთ ისიც, რა მხურვალე გულით ლამობდა ჩვენს დარწმუნებას, რომ მოქმედებს თავისი ქმრის ინტერესების გულისთვის და მხოლოდ ამიტომ სურს იცოდეს ყველაფერი. რისი თქმა უნდოდა ამით? და თქვენ ალბათ შენიშნეთ, უოტსონ, რომ სინათლისაკენ ზურგშექცეული დაჯდა. ქალს სულაც არ სურდა, რომ მისი სახე გვენახა.

- დიახ, სწორედ ასეთი ადგილი აირჩია.

- ქალისას რას გაიგებ, უოტსონ, თუ გახსოვთ, ერთ მარჰეიტელ ქალზეც მივიტანე ასეთი ეჭვი. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მისი მღელვარების მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ცხვირზე პუდრის წასმა დაკლებოდა. ვარაუდის აგება ასეთ არასაიმედო მასალაზე ძალზე ძნელია. ქალის სრულიად ჩვეულებრივი ქცევის მიღმა შეიძლება იმალებოდეს ძალიან ბევრი რამ, ხოლო მისი დაბნეულობის მიზეზი ხშირად ხდება სარჩო ან თმის სახვევი... ნახვამდის, უოტსონ.

- მიდიხართ?

- დიახ, დილას გოდოლფინსტრიტზე ჩვენს მეგობარ პოლიციელებთან გავატარებ. ჩვენი პრობლემის გადაჭრა ედვარდ ლუკასის მკვლელობაშია, თუმცა, ვაღიარებ, რა ფორმას მიიღებს ეს საქმე, ამისი წარმოდგენაც კი ძალზე ძნელია. თეორიის აგება კი, თუ ფაქტები არა გვაქვს, დიდი შეცდომაა: ფხიზლად იყავით, ჩემო ძვირფასო უოტსონ, და ჩემ მაგიერ თქვენ მიიღეთ მნახველები. მე კი, თუ მოვახერხე, საუზმისათვის დავბრუნდები.

მთელი ის დღე და ორი მომდევნო დღეც ჰოლმსი იყო შეუპოვრად მდუმარე, როგორც იტყოდნენ მისი მეგობრები, და პირქუში, როგორც იტყოდა ყველა სხვა. იგი განუწყვეტლივ წრიალებდა, მიდი-მოდიოდა, ბევრს ეწეოდა, ვიოლინოზე რაღაც მელოდიების ნაწყვეტებს უკრავდა. ხშირად გაირინდებოდა ხოლმე, იკვებებოდა მხოლოდ ბუტერბროდებით, ისიც, უდროო დროს, და უხალისოდ მპასუხობდა კითხვებზე, რომელთაც დროდადრო ვაძლევდი, ვიცოდი, რომ ძიებას შედეგი არ მოჰყოლია. ჰოლმსი ამ საქმეზე საერთოდ არაფერს ამბობდა და ძიების მსვლელობის ამბავს მხოლოდ გაზეთებიდან ვგებულობდი. განსვენებულის ლაქიის, ჯონ მიტონის დაპატიმრებისა და უეცარი განთავისუფლების ამბავიც გაზეთებში ამოვიკითხე.

ძიებამ დაადგინა «განზრახ მკვლელობის» ფაქტი, მაგრამ მკვლელი ვერ შეიპყრეს. ვერც დანაშაულის აღმძვრელი მოტივები დაადგინეს. ოთახში ბევრი ძვირფასი ნივთი იყო, მაგრამ მკვლელს არაფრისთვის ხელი არ ეხლო. განსვენებულის ქაღალდებიც ადგილზე აღმოჩნდა. ყოველივე გულმოდგინედ გასინჯეს და დაადგინეს, რომ ლუკასი მონდომებით სწავლობდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს, დაუღალავად აგროვებდა ყოველგვარ განაგონსა და ჭორს, იყო გამოჩენილი ლინგვისტი და ჰქონდა უზარმაზარი მიმოწერა. ახლო ურთიერთობაში ყოფილა რამდენიმე ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწესთან. მაგრამ იმ დოკუმენტებში, რომლებითაც სავსე ჰქონდა მაგიდის უჯრა,

ერთიც ვერაფერი ნახეს სენსაციური. ქალთა შორის ბევრი ნაცნობი ჰყოლია, მაგრამ ცოტა მეგობარი, და არც ერთი მათგანი არ ჰყვარებია. ეტყობა, მყუდრო ცხოვრებას ეწეოდა. მისი სიკვდილი აღმოჩნდა ის გადაუწყვეტი ამოცანა, რომლის ამოხსნა არა და არ ხერხდებოდა.

რაც შეეხება ლაქია ჯონ მიტონს, პოლიციამ იმიტომ დააპატიმრა, რომ სრული უმწეობა დაეფარა. მის წინააღმდეგ ვერავითარი ბრალდება ვერ წამოაყენეს. იმ საღამოს თავის მეგობრებთან ყოფილიყო სტუმრად ჰამერსმიტში. ალიბი აშკარა იყო. მართალია, სახლიდან ადრე გასულიყო და შეეძლო ვესტმინსტერში დროზე დაბრუნება, მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე დანაშაულს ფარდა აეხდებოდა, ძიებას აჩვენა გზის ნაწილი ფეხით გავიარეო, და ეს დასაჯერებელიც იყო, თუ კაცი გაიხსენებდა, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს თან მომხიბვლელი საღამო მოჰყვა. გვიან ღამით შინ დაბრუნებული მიტონი, როგორც ეტყობოდა, შეაძრწუნა მომხდარმა ტრაგედიამ. იგი ყოველთვის კარგ დამოკიდებულებაში ყოფილა თავის ბატონთან. განსვენებულის კუთვნილი ზოგიერთი ნივთი - მაგალითად, საპარსი თავის ბუდიანად, - ლაქიის ჩემოდანში აღმოჩნდა, მაგრამ მიტონმა განაცხადა, ყოფილმა ბატონმა მაჩუქაო, და მნე ქალმაც დაადასტურა მისი ნათქვამი.

მიტონს ლუკასთან უკვე სამი წელიწადი ემსახურა. საგულისხმოა, რომ ლუკასს მიტონი თან კონტინენტზე არასოდეს არ წაუყვანია. ზოგჯერ პარიზში ფეხმოუცვლელად უტარებია სამი თვე, მაგრამ მიტონს თურმე გოდოლფინსტრიტში ტოვებდა ხოლმე, სახლს მიხედეო. რაც შეეხება მნე ქალს, იმ საღამოს, როცა მკვლელობა მოხდა, არაფერი გაუგონია. თუ ბატონთან ვინმე მნახველი იყო, ალბათ კარი თვითონვე გაუღოო, განუცხადებია.

ამგვარად, გაზეთების მიხედვით საიდუმლოება ჯერ კიდევ ამოუხსნელი იყო. ჰოლმსი კი, თუნდაც გაზეთებზე მეტი სცოდნოდა, არაფერს არ მიზიარებდა, თუმცა გაკვრით მითხრა, ინსპექტორმა ლესტრეიდმა ძიების საიდუმლო გამანდოო. ვიცოდი, რომ ჰოლმსმა ყველა ახალი ამბავი ხუთი თითივით იცოდა. მეოთხე დღეს გაზეთში წავიკითხე პარიზიდან გამოგზავნილი დეპეშა.

«პარიზის პოლიციამ, - წერდა «დეილი ტელეგრაფი», - აღმოაჩინა ის, რაც შუქს ჰფენს მისტერ ედვარდ ლუკასის ტრაგიკული დაღუპვის ისტორიას. როგორც ცნობილია, ლუკასი წარსულ ორშაბათს გოდოლფინსტრიტზე, ვესტმინსტერში მოკლეს. ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ განსვენებული ჯენტლმენი საკუთარ ოთახში დანით გულგანგმირული იპოვეს და ეჭვი მიიტანეს მის ლაქიაზე, რომელმაც დაამტკიცა თავისი ალიბი. გუშინ პარიზში, აუსტერლიცის ქუჩაზე მცხოვრებ მადამ ჰანრი ფურნეს მსახურებმა პოლიციას განუცხადეს, რომ მათი ქალბატონი შეიშალა. სამედიცინო შემოწმებამ დაადასტურა, რომ ჰანრი ფურნე ნამდვილადაა სულიერად დაავადებული. კვლევა-ძიების შედეგად პოლიციამ დაადგინა, რომ მადამ ჰანრი წინა სამშაბათს დაბრუნდა ლონდონიდან, და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ მგზავრობას აქვს ერთგვარი კავშირი ვესტმინსტერში მომხდარ დანაშაულთან. ფოტოსურათების შედარებამ გვიჩვენა, რომ მადამ ჰანრი ფურნეს ქმარი და მისტერ ედვარდ ლუკასი - ერთი და იგივე პიროვნებაა, და განსვენებული რატომღაც ორ ქალაქში - ლონდონსა და პარიზში ცხოვრობდა. მადამ ფურნე, ჩამომავლობით კრეოლი, გამოირჩევა უკიდურესად ფიცხი ხასიათით, რაც ეჭვიანობის დროს სრულ პათოლოგიაში გადადის. სწორედ ერთ-ერთი ასეთი აშლილობის დროს ჩაიდინა, როგორც ვარაუდობენ, ეს საშინელი ბოროტმოქმედება, რამაც ააღელვა მთელი ლონდონი. აქამდე არაა გამორკვეული, რას აკეთებდა იგი ორშაბათ საღამოს, მაგრამ ცნობილია, რომ მისმა მსგავსმა ქალმა სამშაბათ დილით

თავისი გიჟური სახითა და უცნაური ჟესტებით ჩერინგ-კროსის სადგურზე მყოფი ადამიანების ყურადღება მიიქცია. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ დანაშაული ჩადენილია მძიმე სულიერი აშლილობის დროს, და ამ ამბავმა უბედურ ქალზე ისეთი ზეგავლენა მოახდინა, რომ ჭკუიდან საბოლოოდ შეაცდინა. ამჟამად მას არ შეუძლია მომხდარ ამბავზე ლაპარაკი და ექიმებს მისი გამობრუნების იმედი არა აქვთ. არის ცნობები, რომ ორშაბათ საღამოს რომელიღაც ქალი, შესაძლოა, მადამ ფურნე, რამდენიმე საათის განმავლობაში იდგა გოდოლფინსტრიტზე, იმ სახლის ახლოს, სადაც დანაშაული მოხდა...» რას ფიქრობთ ამაზე, ჰოლმს?

ამ ცნობას ხმამაღლა ვუკითხავდი, ვიდრე ჩემი მეგობარი საუზმეს მოათავებდა.

- ჩემო ძვირფასო უოტსონ, - მითხრა მან, სუფრიდან წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, - თქვენ ანგელოზის მოთმინება გაქვთ, რადგან აგერ სამი დღეა თქვენთვის არაფერი მითქვამს და საყვედურიც არ დაგცდენიათ. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მოსათხრობიც არაფერი მქონდა. არც ეს პარიზიდან მიღებული დეპეშა გვეხმარება იდუმალებით მოცული ამბების ამოხსნაში.

- მაგრამ ლუკასის მკვლელობის ამბავი ახლა ხომ საბოლოოდ გადაწყვეტილია, - ვუთხარი მე.

- იმ კაცის სიკვდილი - უბრალო ეპიზოდია ჩვენს ნამდვილ ამოცანასთან შედარებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წერილს მივაკვლიოთ და ევროპა კატასტროფისაგან ვიხსნათ. გასულ სამ დღეში მხოლოდ ის მოხდა, რომ არაფერი მომხდარა. თითქმის ყოველ საათს ვღებულობ ცნობებს მთავრობიდან და ვიცი, რომ ევროპაში ჯერ კიდევ არ შეინიშნება ომის მომასწავებელი ფუცხუნი და იარაღის ჟღარუნი. თუ წერილი დაკარგულია... თუმცა, არ დაიკარგებოდა... მაგრამ თუ არ დაკარგულა, მაშ, სად არის? ვისთან? რატომ მალავენ? აი, კითხვა, რაც ჩაქუჩივით მცემს თავში. და მერე, როცა წერილი დაიკარგა, რაღა იმ ღამეს მოკლეს ლუკასი; საერთოდ, ჰქონდა თუ არა ლუკასს ეს წერილი? თუ ჰქონდა, რატომ ვერ იპოვნეს ქაღალდებში? თან ხომ არ წაიღო ლუკასის გაგიჟებულმა ცოლმა? თუ წაიღო, მის სახლში ხომ არ ინახება პარიზში? ან რანაირად შემიძლია ამ წერილის ძებნა იქ ისე, რომ საფრანგეთის პოლიციას ეჭვები არ აღვუძრა? ეს ის შემთხვევაა, ძვირფასო უოტსონ, სადაც კანონიერება ისევე საშინელია ჩვენთვის, როგორც მისი დარღვევა. ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგაა ამხედრებული, მაგრამ სასწორზე მშვიდობისა და მთელი ქვეყნის ინტერესებია და უნდა ვიმოქმედოთ. თუ ამ საქმის წარმატებით დასრულება მოვახერხე, რა თქმა უნდა, ის ღირსეულად დააგვირგვინებს ჩემს კარიერას... აჰა, აგერ უკანასკნელი ცნობები წინა პოზიციებიდან! - ჰოლმსმა სწრაფად დახედა ბარათს, რაც იმ წამს გადასცეს. - ჩანს, ლესტრეიდმა რაღაც საინტერესო იპოვნა. დაიხურეთ ქუდი, უოტსონ, ახლავე ერთად გავემგზავრებით ვესტმინსტერში.

პირველად ვნახე ადგილი, სადაც ბოროტმოქმედება მოხდა: მაღალი, უშნო, ვიწროფასადიანი, ზვიადად გაჯგიმული, ოფიციალური, და უზარმაზარი სახლი იმ საუკუნის ღვიძლი შვილი გახლდათ, რომელშიაც აშენდა. ფანჯრიდან ლესტრეიდის ბულდოგისებური სახე შევნიშნე, და როცა ბუმბერაზმა კონსტებლმა კარი გაგვიღო, ლესტრეიდი მეგობრულად მოგვესალმა.

ამ ოთახში მოჰკლეს ლუკასი, მაგრამ დანაშაულის კვალი უკვალოდ გამქრალიყო. მხოლოდ ერთი უშნოდ გადღაბნილი ლაქა ჩანდა კვადრატულ ხალიჩაზე. პატარა ხალიჩა მხოლოდ ოთახის შუაგულს თუ ფარავდა. ხალიჩის გარშემო იატაკი ელვარებამდე გაპრიალებული ლამაზი, ძველებური კვადრატული პარკეტით იყო მოგებული. ბუხრის თავზე ეკიდა იარაღის შესანიშნავი კოლექცია. ამ კოლექციიდან ჩამოეღო მკვლელს პირბასრი ხანჯალი იმ ტრაგიკულ საღამოს.

ფანჯარასთან იდგა მდიდრული საწერი მაგიდა, და ყოველი საგანი ოთახში: სურათები, ხალიჩები, პორტიერები - ყველაფერი მოწმობდა პატრონის დახვეწილ, ნატიფ გემოვნებას.

- გაიგეთ პარიზიდან მოსული ახალი ამბები? - იკითხა ლესტრეიდმა.

ჰოლმსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ამჯერად ჩვენმა ფრანგმა მეგობრებმა მიზანში მოახვედრეს. მკვლელობა უეჭველად, სწორედ ისე მოხდა, როგორც ისინი ამტკიცებენ. ქალმა კარზე დააკაკუნა - ეს იყო მოულოდნელი ვიზიტი, რადგან ლუკასთან არავინ არ დადიოდა. კაცმა შემოუშვა, აბა ქალს ქუჩაში ხომ არ დატოვებდა! ცოლმა მოუთხრო, როგორ მიაგნო მის კვალს, და საყვედურებით აავსო. შემდეგ, რაკი ხანჯალიც იქვე აღმოჩნდა, მალე წირვაც გამოუყვანა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა, რადგანაც სკამები გროვად ეყარა, ხოლო ერთი მათგანისათვის განსვენებულს ხელიც კი ჩაუჭიდია, ალბათ იმით ლამობდა თავდაცვას. ყოველივე ეს ისე ნათლად მაქვს წარმოდგენილი, თითქოს თვითონ ვყოფილიყავი იმ ტრაგიკული ამბის მოწმე.

ჰოლმსმა წარბები ასწია:

- და მაინც მიხმეთ?

- ჰო, დიახ, ეს პატარა წვრილმანია, მაგრამ იმნაირთაგანი, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ ხოლმე: საეჭვო ამბავია, იცით, და როგორც ალბათ თქვენ უწოდებდით, ძალიან უცნაური. ერთი შეხედვით არაფერი საერთო არა აქვს ამ შემთხვევასთან.

- რა არის ასეთი?

- თქვენთვის ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც დანაშაული გამოაშკარავდა, ბეჯითად ვცდილობთ, რათა ყველა ნივთს თავისი ადგილი მივუჩინოთ. აქ არავინ არაფერს არ შეხებია. ბინაში დღე და ღამე მორიგეობდა პოლიციელი. დღეს დილით, მას შემდეგ, რაც მოკლული დაკრძალეს და ამ ოთახის გამოკვლევა დაამთავრეს, გადავწყვიტეთ არეულ-დარეული ბინა ცოტათი დაგველაგებინა და აი, ხალიჩა... ხედავთ, იატაკზე კი არაა დამაგრებული, არამედ უბრალოდ ძირსაა დაფენილი. შემთხვევით ავწიეთ და აღმოვაჩინეთ...

- მართლა? აღმოაჩინეთ?.. ჰოლმსის სახე გამოხატავდა უდიდეს ინტერესს.

- ოო, დარწმუნებული ვარ, რომ ასი წელიც არ გეყოფათ იმის გამოსაცნობად, რაც აღმოვაჩინეთ! ხედავთ ამ გადღაბნილ ლაქას ხალიჩაზე? ამ ხალიჩაში საკმაოდ ბევრ სისხლს უნდა გაეჟონა, ხომ მართალია?

- უდავოდ.

- და წარმოიდგინეთ, რომ ღია ფერის პარკეტზე ამ ადგილას ლაქა არ არის.

- არ არის ლაქა? არა, უნდა იყოს!

- დიახ, ჩვენც ასე ვფიქრობდით, მაგრამ იატაკი ერთ ადგილას დაულაქავებელია.

ხალიჩის კიდე ავწიე და დავრწმუნდით, რომ ლესტრეიდი მართალს ამბობდა.

- მაგრამ ხალიჩის ქვედა მხარეს გაჟონილ სისხლს ხომ იატაკზეც კვალი უნდა დაეტოვებინა!

სახელოვანი სპეციალისტის გაოცება რომ ნახა, ლესტრეიდმა აღტაცებისაგან ჩაიხითხითა:

- აბა, ახლა აგიხსნით, რაც არის. მეორე ლაქაც არსებობს, მაგრამ პირველს არ ემთხვევა, თვითონვე შეხედეთ.

ამ სიტყვებზე ხალიჩის მეორე ბოლო ასწია და მართლაც, პარკეტზე, კართან ახლოს, ვნახეთ დიდი მუქი წითელი ლაქა.

- რას იტყვით ამაზე, მისტერ ჰოლმს?

- აქ ყველაფერი ძალიან მარტივი ასახსნელია. ორი ლაქა ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ხალიჩა გადაბრუნებული იყო. რაკი ის კვადრატულია და არაა დამაგრებული იატაკზე, ამის გაკეთება სრულიად ადვილი რამ იყო.

- მისტერ ჰოლმს, პოლიციას არ ესაჭიროება თქვენი განმარტება იმის თაობაზე, რომ ხალიჩა გადაბრუნებული იყო. ეს სავსებით აშკარაა: თუ ხალიჩას ასე დავდებთ, ერთი ლაქა მეორის თავზე აღმოჩნდება. მე კი თქვენ გეკითხებით: ვინ აწია ხალიჩა და რისთვის?

ჰოლმსის უძრავ სახეზე შევნიშნე, რომ ძლივს იკავებდა დაუფლებულ მღელვარებას.

- ლესტრეიდ, - თქვა ბოლოს, - დერეფანში რომ პოლიციელია, იგი განუწყვეტლივ მორიგეობდა აქ, თუ არა?

- დიახ.

- ჰოდა, აი ჩემი რჩევა: ძალიან მკაცრად დაჰკითხეთ. ოღონდ ჩვენი თანდასწრებით არა. ჩვენ აქ დავიცდით. გაიყვანეთ მეორე ოთახში. ჰკითხეთ, როგორ გაბედა აქ ადამიანის შემოშვება და ამ ოთახში მისი მარტო დატოვება. ნუ ჰკითხავთ, დაუშვა თუ არა მან ასეთი რამ. ჩათვალეთ, რომ ამას მტკიცება არ ესაჭიროება. დაარწმუნეთ, რომ თქვენთვის ცნობილია ამ ოთახში ვიღაც რომ იყო. დაემუქრეთ. უთხარით, რომ მხოლოდ გულახდილ აღიარებას შეუძლია მისი დანაშაულის გამოსყიდვა. გააკეთეთ ყველაფერი ისე, როგორც მე გითხარით.

- ვფიცავ, მე გამოვწურავ მისგან ყველაფერს, თუ რაიმე იცის! - ფიცხლად შესძახა ლესტრეიდმა. წინკარში გაირბინა, და წუთის შემდეგ გვერდითი ოთახიდან მისი გაავებული ყვირილი მოგვესმა.

- ჩქარა, უოტსონ, ჩქარა! - შეჰყვირა მოუთმენლობისაგან აკანკალებულმა ჰოლმსმა.

ამ კაცის მთელი ზებუნებრივი ძალა, რაც აპათიის ნიღბის ქვეშ იმალებოდა, მოზღვავებული ენერგიის ცეცხლად აგიზგიზდა. მან ხალიჩა გადაკეცა, სწრაფად დაეშვა მუხლებზე და პარკეტის ყოველი კვადრატის ხელით მოსინჯვას შეუდგა. როგორც კი შეეხო კიდეს, ერთი მათგანი განზე გადავარდა. ეს იყო პატარა ყუთის სახურავი. მის ქვეშ ჩაღრმავებული მცირე ბნელი ადგილი გამოჩნდა. ჰოლმსმა მოუთმენლად ჩაყო შიგ ხელი, მაგრამ უკან რომ ამოიღო, ჯავრისა და მწარე იმედგაცრუებისაგან ამოიოხრა. ყუთი ცარიელი დაუხვდა.

- აბა, ცოცხლად, უოტსონ, ცოცხლად! უნდა მოვასწროთ და ხალიჩა ადგილზე დავაბრუნოთ!

საიდუმლო საცავის დაფარვა და ზედ ხალიჩის გადაფარება ძლივს მოვასწარით, რომ დერეფანში ლესტრეიდის ფეხის ხმა გაისმა. როცა იგი შემოვიდა, ჰოლმსი ბუხარზე დაუდევრად მიყრდნობილი დაუხვდა. ჩემს მეგობარს ისეთი ნაღვლიანი და ტანჯული სახე ჰქონდა, თითქოს დაუძლეველ მთქნარებას ძლივს იკავებდა.

- მაპატიეთ, რომ მოგაცდინეთ, მიტერ ჰოლმს. ვხედავ, საშინლად მოგბეზრდათ ეს საქმე. დაბოლოს, აღიარა! შემოდით, მაკფერსონ! დაე, ჯენტლმენებმაც გაიგონ თქვენი მიუტევებელი საქციელის ამბავი.

ოთახში გვერდულად შემოვიდა წითელი და შერცხვენილი ბუმბერაზი კონსტებლი.

- გარწმუნებთ, სერ, აზრადაც არ მქონია ურიგო საქციელი. გუშინ საღამოს აქ ერთი ახალგაზრდა ქალი გამომეცხადა. რაღაც უწყების სახლს დაეძებდა და ვერ კი ეპოვნა. ვილაპარაკეთ. მოგწყინდება კაცს მთელი დღე მარტო დგომა...

- მერე, რა მოხდა?

- სადაც მკვლელობა მოხდა, იმ ადგილის ნახვა აინტერესებდა. გაზეთებში წავიკითხეო, თქვა. ძალიან წესიერი ახალგაზრდა ქალი გახლდათ, სერ, და ისე დალაგებულად ლაპარაკობდა, რომ ვერც კი აგიწერთ. გავიფიქრე: ისეთი რა უნდა მოხდეს, თუ შევუშვებ და შეხედავს-მეთქი. მაგრამ ხალიჩაზე სისხლის ლაქა დაინახა თუ არა, იატაკზე მკვდარივით გაიშხლართა. უცებ სამზარეულოში შევვარდი, წყალი მოვარბენინე, მაგრამ გონს ვერა და ვერ მოვიყვანე. მაშინ კონიაკისთვის კუთხეში გადავირბინე, ტრაქტირი «სუროს ტოტი» რომაა, იქ, მაგრამ ვიდრე მოვბრუნდებოდი, ახალგაზრდა ქალი გონს მოსულა და ადგილზე აღარ დამიხვდა... ალბათ შერცხვა ჩემთან შეხვედრა.

- ხალიჩას არავინ შეხებია?

- იცით, სერ, როცა მე დავბრუნდი, მგონი, ცოტა ადგილშენაცვლებული დამიხვდა. ქალი ხომ ხალიჩაზე დაეცა, ხალიჩა კი იატაკზე დამაგრებული არ არის. მერე მე გავასწორე.

- ეს გაკვეთილი იყოს თქვენთვის, კონსტებლო მაკფერსონ, რათა მეტად აღარავინ მოატყუოთ, - მედიდურად ჩაილაპარაკა ლესტრეიდმა, - რა თქმა უნდა, თქვენ გეგონათ, რომ წესრიგის დარღვევა დაიფარებოდა. ჩემთვის კი საკმარისი გახდა ხალიჩის ერთი შეხედვა, რათა მაშინვე მივმხვდარიყავი, რომ ოთახში ვიღაც იყო. თქვენი ბედი, მეგობარო, რომ არაფერი დაკარგულა, თორემ ცუდი დღე დაგადგებოდათ. ვნანობ, მისტერ ჰოლმს, რომ აქ ასეთი წვრილმანისათვის მოგიწვიეთ, მაგრამ მეგონა, რომ ეს მეორე ლაქა, რაც არ ემთხვევა პირველს, დაგაინტერესებდათ.

- რა თქმა უნდა, ეს ძალიან საინტერესოა... კონსტებლო მაკფერსონ, ის ქალი მხოლოდ ერთხელ შემოვიდა აქ?

- დიახ, სერ, მხოლოდ ერთხელ.

- სახელად რა ჰქვია?

- არ ვიცი, სერ. მბეჭდავი მემანქანის ადგილს დაეძებდა, მაგრამ სახლის ნომერი აღარ ახსოვდა, ძალიან სასიამოვნო, წესიერი ახალგაზრდა ქალი გახლდათ, სერ.

- მაღალი? ლამაზი?

- დიახ, სერ, საკმაოდ მაღალი ახალგაზრდა ქალი. შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო ლამაზი, არამედ ძალიან ლამაზიც. «ოფიცერო, ნება მომეცით მხოლოდ შევხედოო!» - ასე მომმართა. ისეთი სასიამოვნო, პირდაპირ ალერსიანი მანერები ჰქონდა, რომ გავიფიქრე, დიდი უბედურება არ იქნება, თუ კარიდან შეხედვის ნებას მივცემ-მეთქი.

- რა ეცვა?

- ძალიან უბრალო სამოსელი, სერ! გრძელი წამოსასხამი იატაკს სწვდებოდა.

- ეს რომელ საათზე მოხდა?

- სწორედ შებინდებისას, ტრაქტირიდან რომ ვბრუნდებოდი, ფარნები მაშინ აანთეს.

- კარგი, - თქვა ჰოლმსმა, - წავიდეთ, უოტსონ, გადაუდებელი საქმე გველოდება.

როცა სახლიდან გამოვდიოდით, ლესტრეიდი ოთახში დარჩა, სინანულით აღსავსე კონსტებლი კი ჩვენთვის კარის გასაღებად გაიჭრა. ჰოლმსი ზღურბლზე შემობრუნდა და მაკფერსონს რაღაც გაუწოდა. კონსტებლი დააშტერდა.

- ღმერთო ჩემო, სერ! - შესძახა გაოცებულმა.

ჰოლმსმა ტუჩებზე თითი მიიდო, ნივთი უკანვე ჩაიდო შიდა ჯიბეში, და როცა ქუჩაში გავედით, გადაიხარხარა.

- ჩინებულია! - თქვა მან, - წავიდეთ, ძვირფასო უოტსონ. ფარდა აწეულია, და უკანასკნელი მოქმედება მალე დაიწყება. შეგიძლიათ დამშვიდდეთ: ომი არ იქნება, ღირსპატივცემულ ლორდ ტრელონი ჰოუპის ბრწყინვალე კარიერას ჩრდილი არ მიადგება, წინდაუხედავი მეფე აჩქარებისათვის არ დაისჯება და პრემიერ-მინისტრს გართულებული პოლიტიკური ვითარებიდან ევროპის დახსნა აღარ მოუხდება. ჩვენ დაგვჭირდება მხოლოდ ერთგვარი ტაქტი, საზრიანობა, და მაშინ მთელი ეს ისტორია, რაც ძალიან არასასიამოვნო შედეგებით იმუქრებოდა, შარშანდელი თოვლივით გაქრება.

ამ საკვირველი ადამიანის მიმართ აღტაცების გრძნობით განვიმსჭვალე.

- თქვენ ამოხსენით ამოცანა? - შევძახე მე მყისვე.

- ჯერ არა, უოტსონ. ჯერ კიდევ არის რამდენიმე გაუგებრობა, მაგრამ ჩვენთვის უკვე ცნობილია იმდენი, რომ პირდაპირ საწყენი იქნება, თუ ყველაფერს არ შევიტყობთ. ახლა კი პირდაპირ უაიტჰოლტერასზე წავალთ და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

როცა ევროპის საქმეთა მინისტრის სახლში მივედით, შერლოკ ჰოლმსმა მსახურებს განუცხადა, რომ ლედი ჰილდა ტრელონი ჰოუპის ნახვა სურდა. ორივენი მისაღებში შეგვიყვანეს.

- მისტერ ჰოლმს! - თქვა ლედიმ, და სახე აღშფოთებისაგან აეტკიცა. - ეს თქვენის მხრივ უბრალოდ უპატიოსნობა და არაკეთილშობილური საქციელია. ხომ გთხოვეთ, არ გამამხილოთ, თქვენთან რომ ვიყავი-მეთქი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმარი იფიქრებს, რომ მის საქმეებში ვერევი. თქვენ კი თქვენი სტუმრობით სახელს მიტეხთ. ეს ხომ ამტკიცებს, რომ ჩვენს შორის საქმიანი ურთიერთობა არსებობს.

- სამწუხაროდ, მილედი, სხვა არჩევანი არა მქონდა. მე დამავალეს იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტის პოვნა და იძულებული ვარ გთხოვოთ, წერილი მე გადმომცეთ.

ლედი ტრელონი ჰოუპი ფეხზე წამოვარდა. სახეზე მკვდრისფერი ედო. თითქოს თვალთ დაუბნელდაო, წაბარბაცდა. მეგონა, გულიც წაუვიდოდა, მაგრამ ნებისყოფის უზარმაზარი ძალდატანებით თავი შეიკავა და ბრაზისა და გაოცებისაგან სახე წამოენთო.

- თქვენ... თქვენ შეურაცხყოფას მაყენებთ, მისტერ ჰოლმს!

- მომისმინეთ, მილედი, ეს სრულიად უსარგებლო ლაპარაკია. გთხოვთ წერილი გადმომცეთ.

ქალმა ხელი ზარისაკენ გაიწოდა:

- მსახური გაგაცილებთ.

- ნუ დარეკავთ, ლედი ჰილდა, თორემ თუ მსახურს მოუხმობთ, ჩემი გულწრფელი ცდა თავიდან აგაცილოთ საქვეყნო სკანდალი, ამაოდ ჩაივლის. დამიბრუნეთ წერილი და ყველაფერი მოგვარდება. თუ დამიჯერებთ, დაგეხმარებით, ხოლო თუ არ ისურვებთ, რომ მენდოთ, იძულებული ვიქნები გაგცეთ.

ჰოლმსის წინ ამაყი და დიდებული ლედი ჰილდა ტრელონი ჰოუპი იდგა. მან თვალი გაუსწორა ჩემს მეგობარს, თითქოს სურდა გაეგო, გულში რა უდევსო, მაგრამ ზარისათვის ხელი არ მოუშორებია.

- თქვენ ცდილობთ დამაშინოთ, არა? ეგ ვერაფერი კეთილშობილებაა, მისტერ ჰოლმს! თქვენ ამბობთ, რაღაც ვიციო. რა იცით?

- გთხოვთ, დაბრძანდეთ, მილედი. არ ვილაპარაკებ, ვიდრე არ დაბრძანდებით. გმადლობთ.

- მისტერ ჰოლმს, მხოლოდ ხუთ წუთს გაძლევთ!

- ჩემთვის სულ ერთი წუთიც კმარა, ლედი ჰილდა. მე ვიცი, რომ თქვენ იყავით ედვარდ ლუკასთან, მიეცით მას ეს დოკუმენტი, ვიცი, როგორ მოხერხებულად შეაღწიეთ მის ოთახში მეორედ და აიღეთ წერილი ხალიჩის ქვეშ საცავიდან.

ლედი ჰილდას სახეზე მკვდრის ფერი დაედო, მაგრამ ჰოლმსისათვის თვალი არ მოუცილებია. სუნთქვა შეეკრა. სიტყვის წარმოთქმის ძალაც აღარ ჰქონდა.

- თქვენ შეიშალეთ, მისტერ ჰოლმს... თქვენ შეიშალეთ! - შესძახა მან ბოლოს.

ჰოლმსმა ჯიბიდან მუყაოს პატარა ნაჭერი ამოიღო. ეს იყო ქალის ფოტოსურათი.

- აი, ეს თან წამოვიღე, ვიცოდი, რომ დამჭირდებოდა, - უთხრა მან მინისტრის მეუღლეს. - პოლიციელმა გიცნოთ.

ქალმა გაჭირვებით ჩაისუნთქა ჰაერი და თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო.

- მომისმინეთ, ლედი ჰილდა... წერილი თქვენა გაქვთ, მაგრამ საქმის მოგვარება ჯერ კიდევ შეიძლება. არავითარი სურვილი არა მაქვს უსიამოვნება მოგაყენოთ. ჩემი ვალდებულება მოხდილი მექნება, როცა დაკარგულ წერილს თქვენს ქმარს დავუბრუნებ. დაჰყევით ჩემს რჩევას, მენდეთ და იყავით გულახდილი - ესაა თქვენი ხსნის ერთადერთი გზა.

ამ ქალის სიმამაცემ აღტაცებაში მომიყვანდა. მას არ უნდოდა თავი დამარცხებულად ეცნო.

- ისევ გიმეორებთ, მისტერ ჰოლმს: თქვენ რაღაც სულელური ფანტაზიის ტყვეობაში ხართ მოქცეული.

ჰოლმსი სკამიდან წამოდგა:

- მებრალებით, ლედი ჰილდა. მე რაც შემეძლო, თქვენთვის ყველაფერი მოვიმოქმედე, მაგრამ ვხედავ, უქმად გავრჯილვარ.

ამ სიტყვებზე ჰოლმსმა ზარის ღილაკს ხელი დააჭირა. მსახური იმწამსვე შემოვიდა.

- მისტერ ტრელონი ჰოუპი შინაა?

- შინ მხოლოდ თხუთმეტი წუთის შემდეგ იქნება.

ჰოლმსმა საათს დახედა.

- კიდევ თხუთმეტი წუთი, - თქვა მან. - ძალიან კარგი, დაველოდები.

მსახურმა ძლივს მოასწრო კარის გახურვა, რომ ლედი ჰილდამ ხელები გაშალა და ჰოლმსის ფერხთით დაეცა. მშვენიერ სახეზე ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

- ოჰ, შემიბრალეთ, მისტერ ჰოლმს! შემიბრალეთ! - ევედრებოდა სასოწარკვეთილი ქალი. - ღვთის გულისათის, ნუ ეტყვით! რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ჩემი ქმარი. მისთვის თუნდაც მცირეოდენი უსიამოვნების მიყენება ჩემთვის აუტანელი სატანჯველი იქნება. ეს ამბავი კი მის კეთილშობილ გულს ერთიანად დაამსხვრევს.

ჰოლმსმა ქალი ააყენა.

- მადლობელი ვარ, მილედი, რომ, თუნდაც უკანასკნელ წამს მოეგეთ გონს. წუთის დაკარგვა აღარ შეიძლება. სადაა წერილი?

ქალი საწერ მაგიდას მივარდა, და იქიდან გრძელი ცისფერი კონვერტი ამოიღო.

- ინებეთ, მისტერ ჰოლმს... ნეტავ, არასოდეს არ მეხილა იგი!

- როგორ დავუბრუნოთ? - ჩაფიქრებული ამბობდა ჰოლმსი. - საჭირო კია საჩქაროდ რაიმე მოხერხებული გამოსავალი ვიპოვოთ!.. სადაა დოკუმენტებისზარდახშა?

- საწოლ ოთახში გახლავთ.

- ძალიან კარგი. ზარდახშა ახლავე აქ მოიტანეთ.

ერთი წუთის შემდეგ ჰილდა ისევ ჩვენთან გაჩნდა და ხელთ ბრტყელი წითელი ზარდახშა ეჭირა.

- ალბათ მორგებული გასაღები გაქვთ, მილედი, აბა, გააღეთ!

ლედი ჰილდამ კორსაჟიდან პატარა გასაღები ამოაძვრინა და ზარდახშა გახსნა. იგი ქაღალდებით სავსე აღმოჩნდა. ჰოლმსმა ცისფერი კონვერტი იმ ქაღალდების შუაში მოაქცია. ზარდახშა კვლავ დაკეტეს და საწოლ ოთახში ისევ თავისი ადგილი მიუჩინეს.

- ახლა მზადა ვართ თქვენს ქმარს შევხვდეთ, - თქვა ჰოლმსმა. - მის მოსვლამდე კი მთელი ათი წუთი ჩვენს განკარგულებაშია, ჩემის მხრივ, ძალიან დიდ რისკს ვეწევი, რომ მდგომარეობიდან გამოგიყვანოთ, ლედი! ამის სანაზღაუროდ კი დარჩენილი დროის განმავლობაში პატიოსნად უნდა მომითხროთ მთელი ეს უცნაური ამბავი.

- ყველაფერს გიამბობთ, მისტერ ჰოლმს! - შესძახა ლედიმ. - ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გიცხადებთ, რომ ჩემი ქმრის წყენას თავის მოკვლა მირჩევნია. ალბათ მთელ ლონდონში არ მოიძებნება ქალი, რომელსაც ჩემსავით უყვარდეს თავისი ქმარი და მაინც, რომ გაეგო, რაც მოვიმოქმედე, ერთი სიტყვით, რისი გაკეთებაც მაიძულეს, არასოდეს არ მაპატიებდა. იგი ისე მაღლა აყენებს თავის საკუთარ პატიოსნებას, რომ არ შეუძლია ვინმეს უპატიოსნო საქციელი მიუტევოს. დამეხმარეთ, დამიხსენით, მისტერ ჰოლმს! ჩემს ბედნიერებას, მის ბედნიერებასა და ორივე ჩვენგანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

- ჩქარა, მილედი, დრო იწურება!

- ჯერ კიდევ გათხოვებამდე, მისტერ ჰოლმს, წინდაუხედავი, ქარაფშუტული, გრძნობამორეული შეყვარებული ქალიშვილის წერილი დავწერე. მართალია, წერილში ცუდი არაფერი იყო, მაგრამ ჩემი ქმარი მის დაწერას დანაშაულად ჩამითვლიდა. ის წერილი რომ წაეკითხა, აღარაფერს დამიჯერებდა. წერილის დაწერიდან მრავალმა წყალმა ჩაიარა და მეგონა, ყველაფერი დავიწყებას მიეცა. მაგრამ უეცრად აწ ტრაგიკულად დაღუპულმა ლუკასმა შემატყობინა, რომ ის წერილი ჩემს ხელთაა და თქვენს ქმარს უნდა ვუჩვენოო. ვევედრებოდი, შემიბრალეთ-მეთქი. წერილს დაგიბრუნებო, შემომითვალა, ოღონდ თავისი პირობებიც თან მოაყოლა. წერილის სანაცვლოდ მისთვის უნდა გადამეცა ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელსაც ჩემი ქმარი დეპეშებისათვის განკუთვნილ ზარდახშაში ინახავდა. ალბათ სამინისტროში მოკალათებულმა ვიღაც ჯაშუშმა შეატყობინა ასეთი დოკუმენტის არსებობა. ლუკასი მარწმუნებდა, რომ ეს არავითარ ვნებას არ მიაყენებდა ჩემს ქმარს. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ჩემს ადგილზე, მისტერ ჰოლმს! რა უნდა მექნა?

- ყველაფერი უნდა მოგეთხროთ ქმრისათვის.

- არ შემეძლო, მისტერ ჰოლმს, არ შემეძლო! ერთი მხრივ, მელოდა გარდაუვალი დაღუპვა, მეორე მხრივ კი, თუმცა ქმრის კუთვნილი დოკუმენტის აღება საშინელებად მიმაჩნდა, მაგრამ სავსებით წარმოდგენილი მაინც არა მქონდა, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე. და ქურდობა ჩავიდინე, მისტერ ჰოლმს. გასაღების ზომა ავიღე. ხოლო იმ კაცმა, ლუკასმა, მეორე გასაღები გააკეთებინა. ზარდახშა გავაღე, დოკუმენტი ავიღე და გოდოლფინსტრიტზე ლუკასს მივუტანე.

- და რა მოხდა იქ, მილედი?

- როგორც დათქმული გვქონდა, კარზე დავაკაკუნე. ლუკასმა გააღო. ოთახში შევყევი და კარი ნახევრად ღია დავტოვე, რადგან იმ კაცთან მარტო დარჩენის მეშინოდა. მახსოვს: როცა სახლში შევდიოდი, ქუჩაში ვიღაც ქალი იყო ატუზული. ჩვენი მოლაპარაკება სწრაფად დასრულდა. ჩემი წერილი საწერ მაგიდაზე ედო. დოკუმენტი გადავეცი თუ არა, წერილიც დამიბრუნა. იმავე წამს კარებში ხმაური ატყდა და დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ლუკასმა სწრაფად გადასწია ხალიჩა, დოკუმენტი საცავში ჩადო და ზედ ისევ ხალიჩა გადააფარა.

ის, რაც შემდეგ მოხდა, რაღაც კოშმარს ჰგავდა. მე დავინახე შავგვრემანი გიჟური სახე, გავიგონე ხმა ქალისა, რომელიც ფრანგულად გაჰყვიროდა: «ტყუილად არ ველოდი! დაბოლოს მოგახელთე იმ ქალთან!» რაღაც ველური სცენის მოწმე შევიქენი. დავინახე, როგორ სტაცა ხელი კაცმა სკამს, ხოლო ქალის ხელში ხანჯალმა იელვა. თვალი ავარიდე საშინელებას, გავიქეცი, გამოვვარდი სახლიდან და მხოლოდ მეორე დღეს დილით გავიგე საზარელი მკვლელობის ამბავი. იმ საღამოს ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩემი წერილი დავიბრუნე და ჯერ კიდევ არ მქონდა შეგნებული, რას მიმზადებდა მომავალი.

მაგრამ მეორე დილით გავიგე, რომ ვაის თავდაღწეული, ვუის გადავეყარე. ქმარმა დოკუმენტის დაკარგვა შენიშნა, და მისმა სასოწარკვეთილებამ მეც შემაძრწუნა. ძლივს შევიკავე თავი, ლამის ფერხთით ჩავუვარდი და ყველაფერი ვუამბე. მაგრამ მაშინ ხომ ისიც უნდა მეამბნა, რაც უწინ მოხდა! იმ დილით თქვენთან მოვედი და მხოლოდ მაშინ შევიგნე ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე. იმ წუთიდან სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამებრუნებინა უკანვე დოკუმენტი. იგი ხომ იქვე უნდა ყოფილიყო, სადაც ლუკასმა იმ საშინელი ქალის მოსვლამდე შეინახა. ის ქალი რომ არა, საიდუმლო საცავის ადგილსამყოფელს მე ვერ მივაკვლევდი. როგორმე უნდა შემეღწია ლუკასის ყოფილ ოთახში. მთელი ორი დღე ვუთვალთვადე იმ სახლს, მაგრამ კარი მუდამ მაგრად ჩარაზული იყო. უკანასკნელად გუშინ საღამოს ვცადე. თქვენ უკვე იცით, როგორ მოვახერხე წერილის აღება. შინ მოვიტანე და გადავწყვიტე მომესპო, რადგან არ ვიცოდი, როგორ დამებრუნებინა ქმრისათვის ისე, რომ ყველაფერი არ გამენდო... ღმერთო ჩემო, მისი ნაბიჯის ხმა მესმის, კიბეზე ამოდის!

ევროპის საქმეთა მინისტრი აღელვებული შემოვარდა ოთახში.

- რა არის ახალი, მისტერ ჰოლმს, რა არის ახალი? - შეჰყვირა მან.

- მაქვს რაღაც იმედი.

- მადლობა ღმერთს! - აღტაცებით წარმოთქვა მან. სახე გაუბრწყინდა. - პრემიერ-მინისტრი სადილად მეწვევა. შემიძლია გავახარო? ფოლადის ნერვები აქვს, მაგრამ ვიცი, რომ თითქმის არ სძინავს იმ დღიდან, რაც ეს ამბავი მოხდა... ჯეიკობს, სთხოვეთ პრემიერ-მინისტრს, აქ ამობრძანდეს. რაც შეგეხებათ თქვენ, - და მეუღლეს მიუბრუნდა, - არა მგონია, ძვირფასო, თქვენთვის საინტერესო აღმოჩნდეს ეს პოლიტიკური ბაასი. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი სასადილოში გეახლებით.

პრემიერ-მინისტრს თავდაჭერილობა არ აკლდა, მაგრამ თვალთა ელვარებასა და ხმელ-ხმელი ხელების მოუსვენარ მოძრაობაზე შევატყვე, რომ თავისი ახალგაზრდა კოლეგის მღელვარება მასაც გადასდებოდა.

- როგორც ვამჩნევ, მისტერ ჰოლმს, რაღაც ახალი ამბის თქმას უნდა აპირებდეთ?

- ჯერჯერობით არცთუ სახარბიელოდაა საქმე, - მიუგო ჩემმა მეგობარმა. - სადაც კი ხელი მიმიწვდებოდა, ცნობები შევკრიბე და დავრწმუნდი, რომ მღელვარებისათვის საფუძველი არ არსებობს.

- მაგრამ ეს არ კმარა, მისტერ ჰოლმს. ჩვენ ერთთავად ვულკანზე ცხოვრება არ შეგვიძლია. გვინდა გარკვეულად ვიცოდეთ ავიცა და კარგიც.

- იმედი მაქვს წერილს ვიპოვით. რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამ საქმეზე, მით უფრო ვრწმუნდები, რომ წერილი ამ სახლის ფარგლებს არ გასცილებია.

- მისტერ ჰოლმს!

- თუ მას გაიტაცებდნენ, ახლა უკვე გამოქვეყნებულიც იქნებოდა.

- მაგრამ რა აზრი ექნებოდა წერილის აღებას, თუ ისევ აქვე უნდა დაეტოვებინათ?

- მე არც იმის მჯერა, რომ წერილი დაიკარგა.

- მაშინ რანაირად გაქრა ზარდახშიდან?

- არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ზარდახშიდან გაქრა.

- მისტერ ჰოლმს, ახლა ხუმრობის დრო არ არის! გარწმუნებთ, წერილი ზარდახშაში არაა.

- ორშაბათის შემდეგ ჩაიხედეთ?

- არა, მაგრამ ეს წყლის ნაყვა იქნებოდა.

- შეიძლება, ვერ შენიშნეთ.

- ეს შეუძლებელია.

- ვინ იცის! ასეთი ამბები მომხდარა! იქ ხომ სხვა საბუთებიც იქნებოდა. შეიძლება მათ შორის გაიბნა.

- წერილი ზემოდან იდო.

- შეიძლება ზარდახშა ვინმემ შეარხია და კონვერტმა ადგილი იცვალა.

- არა, არა, ყველაფერი ამოვიღე.

- მაგრამ ამის შემოწმება ხომ ადვილია, ჰოუპ! - უთხრა პრემიერ-მინისტრმა. - უბრძანეთ, მოიტანონ აქ ზარდახშა.

ევროპის საქმეთა მინისტრმა ზარს თითი დააჭირა.

- ჯეიკობს, მომიტანეთ ჩემი ქაღალდების ყუთი... სრულიად ამაოდ ვკარგავთ დროს, მაგრამ თუ თქვენ ეს დაგაკმაყოფილებთ, რა გაეწყობა, შევამოწმოთ... გმადლობთ, ჯეიკობს, აქ დადგით... გასაღები ყოველთვის საათის ძეწკვზე მაქვს. აი ყველა ქაღალდი, ხომ ხედავთ: ლორდ მეროუს წერილი, სერ ჩარლზ ჰარდის მოხსენება, მემორანდუმი ბელგრადიდან, ცნობები რუსეთ-იაპონიის პურის გადასახადებზე, წერილი მადრიდიდან, ლორდ ფლაუერსის პატაკი... ღმერთო ჩემო! ეს რა არის? ლორდ ბელინჯერ! ლორდ ბელინჯერ!

პრემიერმა ცისფერი კონვერტი ხელიდან გამოსტაცა:

- დიახ, ის გახლავთ. წერილი გაუხსნელია... გილოცავთ, ჰოუპ!

- მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ! რა ტვირთი მომეხსნა მხრებიდან!.. მაგრამ ეს მიუწვდომელია... შეუძლებელია... მისტერ ჰოლმს, თქვენ ჯადოქარი ხართ, თქვენ მისანი ხართ! საიდან გაიგეთ, რომ წერილი აქ არის?

- დავადგინე, რომ სხვაგან არსად არ იყო...

- საკუთარ თვალებს არ ვუჯერებ! - თქვა და ოთახიდან სწრაფად გავარდა. - სად არის ჩემი ცოლი? უნდა ვახარო, რომ ყველაფერი მოგვარდა. ჰილდა! ჰილდა! - მინისტრის ხმა კიბიდან ისმოდა.

პრემიერმა თვალები მოჭუტა და ჰოლმსს ისე გადახედა.

- მომისმინეთ, სერ, - მშვიდად უთხრა მან ჩემს მეგობარს. - აქ სხვა რაღაც იმალება. როგორ აღმოჩნდა წერილი ხელახლა ზარდახშაში?

ჰოლმსმა ღიმილით მოარიდა თვალი მის გამჭრიახ მზერას და ისე უპასუხა:

- ჩვენცა გვაქვს ჩვენი დიპლომატიური საიდუმლოებანი, - თქვა ეს, ქუდს ხელი წამოავლო და კარს მიაშურა.

შავი პიტერი

ჩემი მეგობარი სულიერი და ფიზიკური ძალების ისეთი გაფურჩქვნის ხანაში, როგორც 1895 წელს, არასოდეს მინახავს. სულ უფრო მეტად იხვეჭდა სახელს, სულ უფრო ფართოვდებოდა მისი პრაქტიკა. სხვათა საიდუმლო ამბები რომ არ გავამჟღავნო, ჩემს თავს ნებას ვერ მივცემ, თუნდაც გაკვრით ვახსენო იმ გამოჩენილ ადამიანთა სახელები, რომელთაც ბევრჯერ გადმოლახეს ბეიკერსტრიტზე ჩვენი უბრალო ბინის ზღურბლი. უნდა ითქვას, რომ ჰოლმსს, როგორც ყველა დიდ შემოქმედს, მხოლოდ ძიების ხელოვნების სიყვარული ამოქმედებდა. არცა მსმენია (ჰოლდერნესის ჰერცოგის ერთადერთი შემთხვევის გარდა), რომ თავისი ფასდაუდებელი სამსახურისათვის დიდი გასამრჯელო მოეთხოვა. იმდენად უანგარო იყო და იმდენად დამოუკიდებელი, რომ ზოგჯერ მდიდარსა და წარჩინებულ ადამიანებს უარს ეუბნებოდა დახმარებაზე, თუ მათ საიდუმლოებათა ძიებაში საინტერესოსა და მიმზიდველს ვერაფერს ხედავდა. იმავე დროს მთელი კვირაობით გულმოდგინედ იკვლევდა რომელიმე ღარიბის საქმეს, თუ ეს საქმე იმდენად იდუმალებით მოცული და ამაღელვებელი იყო, რომ შეეძლო მისი წარმოსახვის აგზნება და საშუალებას აძლევდა გამოეყენებინა თავისი დახვეწილი ოსტატობა.

იმ ღირსსახსოვარ 1895 წელს ჰოლმსმა ბევრი საინტერესო და ნაირფეროვანი საქმე გამოიკვლია. ჯერ მარტო კარდინალ ტოსკას უეცარი სიკვდილის მიზეზების დადგენა რად ღირდა. ეს ვატიკანის დაჟინებითი სურვილით მოხდა. მერე ის იყო, დამნაშავე უილსონი დააპატიმრებინა. იადონების ეს სახელგანთქმული მწვრთნელი იმავე დროს ლონდონის ისტ-ენდის ნამდვილი ხორცმეტი გახლდათ. ამ საქვეყნოდ გახმაურებულ საქმეებს მოჰყვა უუდმენს ლიში მომხდარი ტრაგედია: ყოვლად საშინელსა და საიდუმლოებით მოცულ პირობებში დაიღუპა კაპიტანი კერი. ჩემი ჩანაწერები შერლოკ ჰოლმსზე სრული არ იქნებოდა და მკითხველი ბევრსაც დაკარგავდა, თუ არ ჩავურთავდი მოთხრობას ამ არაჩვეულებრივ ამბავზე.

ივლისის პირველი კვირის განმავლობაში ჩემი მეგობარი ისე ხშირად და ისე დიდი ხნით გადიოდა ხოლმე სახლიდან, რომ მივხვდი: რაღაც საქმეშია გართული-მეთქი. იმ დღეებში ჩვენთან ვიღაც სასტიკი შესახედაობისა და უგვანი სახის ადამიანები დაიარებოდნენ. ისინი კაპიტან ბეზილს კითხულობდნენ. ამან მაფიქრებინა, რომ თავის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ნიღაბთაგანსა და გამოგონილ გვარს ამოფარებული ჰოლმსი თავის საკუთარ მრისხანე სახელს მალავდა და რაღაც ახალ კვლევა-ძიებას ისე ეწეოდა. ლონდონის სხვადასხვა რაიონებში ჰოლმსს სულ მცირე ხუთი საიდუმლო ადგილი მაინც ჰქონდა ისეთი, სადაც სახის შეცვლა შეეძლო. თავის ახალ საქმეზე თვითონ არაფერს მეუბნებოდა და არც მე მომითხოვია მისგან

გულის გადაშლა. თუ რა საქმის ძიებით იყო გატაცებული, ჰოლმსმა საკმაოდ უჩვეულოდ მიმახვედრა.

ერთხელ, საუზმობამდე ბინიდან გავიდა. ის იყო სუფრას მივუჯექი, რომ მოულოდნელად კარი შემოაღო. თავზე ქუდი ეხურა და იღლიაში ქოლგასავით ამოჩრილი უზარმაზარი ჭვილთი მოუჩანდა.

- ეშმაკმა დალახვროს, - შევძახე მე, - ნუთუ ლონდონში ამ ბარჯიანად დასეირნობდით?

- არა, მხოლოდ ახლა შევიარე ყასაბთან.

- ყასაბთან?

- და შინ საუცხოო მადაზე ვბრუნდები. იცით, რა სასარგებლოა საუზმის წინ ფიზიკური ვარჯიში? მაგრამ სანამლეოს ვდებ, ვერაფრით ვერ გამოიცნობთ, სახელდობრ, რა ვარჯიში შევასრულე.

- არც ვაპირებ გამოვიცნო.

ჰოლმსმა ყავა დაისხა და თან დაცინვით გადმომხედა.

- ალარდაისის დუქნის უკანა ოთახში რომ შეგეხედათ, ნახავდით: ჭერზე დაკიდებულ მთელ ღორს და რომელიღაც სერთუკგახდილ ჯენტლმენს, რომელიც გაშმაგებით ცდილობდა აი, ეს იარაღი გაეყარა ღორისათვის. ეს ჯენტლმენი - მე გახლდით. და, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ერთი დაკვრით ვერასდიდებით ვერ გავუყრი. ხომ არ გინდათ თქვენც სცადოთ ბედი?

- არაფრის გულისთვის. მაგრამ თვითონ თქვენ რისთვის დაგჭირდათ ეს ამბავი?

- ვფიქრობ, ამას აქვს რაღაც კავშირი იმ იდუმალებით მოცულ ამბავთან, რაც უუდმენს ლიში დატრიალდა... აჰ, ჰოპკინს, გუშინ მივიღე თქვენი ტელეგრამა და გელოდით. შემობრძანდით, ახლავე ვისაუზმებთ.

ოთახში შემოვიდა სიცოცხლით სავსე, ოცდაათიოდე წლის გამხდარი კაცი. უბრალო შალის კოსტიუმი ეცვა, მაგრამ მისი მიხრა-მოხრა მოწმობდა, რომ სამხედრო სამოსის ტარებას უნდა ყოფილიყო დაჩვეული. მაშინვე ვიცანი სტენლი ჰოპკინსი, პოლიციის ახალგაზრდა ინსპექტორი, რომელიც ჰოლმსის აზრით, ძალიან კარგი მაძებარი უნდა დამდგარიყო. თავის მხრივ, ჰოპკინსიც, სახელოვანი ჰოლმსის მოწაფედ თვლიდა თავს და მასწავლებლის მეცნიერული მეთოდებით იყო აღტაცებული.

სახემოღუშული სტუმარი სავარძელში ღრმად დაღვრემილი ჩაჯდა.

- არა, გმადლობთ, სერ, უკვე ვისაუზმე. ღამე ქალაქში გავათიე, რადგან აქ საქმის მოსახსენებლად ჩამოვედი.

- მერედა რა მოახსენეთ?

- რომ საქმეში სრული მარცხი განვიცადე.

- ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეთ?

- ვერა.

- ნუთუ? ჩანს, ამ საქმისათვის ხელის მოკიდება მე მომიხდება.

- ღვთის გულისათვის, მისტერ ჰოლმს! ხომ იცით, პირველად დამავალეს საძიებლად ასეთი რთული საქმე, მე უსუსური აღმოვჩნდი და იქნებ ფონს გამიყვანოთ.

- კარგი, კარგი. სწორედ ახლა დიდი გულისყურით გავეცანი ძიების ყველა მონაცემს. სხვათა შორის, რას ფიქრობთ თამბაქოს იმ ქისაზე, დანაშაულის ადგილზე რომ იპოვეს? ქისაში ხომ არ უნდა იყოს ამ საქმის გასაღები?

ჰოპკინსის სახეზე გაოცება გამოკრთა.

- ქისა ხომ მოკლულის საკუთრება გახლდათ, სერ, ამას მისი ინიციალები ადასტურებს. იგი სელაპის ტყავისაგანაა დამზადებული და განსვენებული კი, როგორც ცნობილია, მრავალი წლის განმავლობაში ნადირობდა სელაპებზე.

- მაგრამ ჩიბუხი რატომ არ აღმოჩნდა ადგილზე?

- დიახ, სერ, ჩიბუხი ვერ ვიპოვეთ - ალბათ, ძალიან ცოტას ეწეოდა. თუმცა, ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ თამბაქო მეგობრებისათვის ჰქონდა.

- უეჭველად. ამაზე მხოლოდ იმ მიზნით ჩამოვაგდე სიტყვა, რომ გითხრათ: თვითონ რომ შევდგომოდი ამ საქმის ძიებას, ამოსავალ წერტილად სწორედ ამ ქისას გავიხდიდი. მაგრამ ჩემმა მეგობარმა უოტსონმა არ იცის ეს ისტორია, და არც მე ვიტყოდი უარს მის მეორედ მოსმენაზე. მოკლედ გვიამბეთ ის, რაც ყველაზე უფრო არსებითია.

სტენლი ჰოპკინსმა ჯიბიდან ქაღალდის ვიწრო ნაჭერი ამოაძვრინა.

- ჩემს განკარგულებაშია ზოგიერთი ცნობა განსვენებულ კაპიტან პიტერ კერის ცხოვრებაზე. დაბადებულა 1845 წელს და, მაშასადამე, ორმოცდაათი წლისა ყოფილა. ვეშაპებსა და სელაპებზე მონადირეთა შორის ცნობილი იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო გულადი და იღბლიანი. 1883 წელს ხელმძღვანელობდა დანდელ მონადირეთა ორთქლის გემს «ზღვის მარტორქას». იმავე წელს წარმატებით მოიარა რამდენიმე რეისი, მომდევნო წელს კი სამსახურიდან გადადგა. შემდეგ კიდევ რამდენსამე წელს მოგზაუროობდა. ბოლოს იყიდა პატარა მამული «უუდმენს ლი», ფორესტ როუს მახლობლად, სასექსში. იქ გაატარა ცხოვრების უკანასკნელი ექვსი წელი და იქვე მოკვდა ზუსტად ერთი კვირის წინ.

იყო დიდი ახირებული და უცნაური ადამიანი. ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს გულჩათხრობილი და პირქუში კაცი მკაცრი პურიტანი გახლდათ. მისი ოჯახი შედგებოდა ცოლისა და ოცი წლის ასულისაგან. სახლის მომვლელებად ორი ქალიშვილი ჰყავდა აყვანილი. მსახურები ხშირად იცვლებოდნენ, რადგან მასთან ცხოვრება ადვილი არ იყო და ზოგჯერ აუტანელიც ხდებოდა. კერი ხშირად სვამდა და როცა თვრებოდა, თურმე ხორცშესხმულ ქაჯად იქცეოდა. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა მუშტით ნაცემი ცოლისა და ქალიშვილისათვის ღამით მთელ პარკში უდევნია. ქალებს ხანდახან თურმე ისე აწიოკებდა, რომ მეზობელ სოფლებში მათ ყვირილზე მძინარე ადამიანებს ეღვიძებოდათ.

ერთხელ კაპიტანი კიდეც გაუსამართლებიათ მოხუცი მღვდლის ცემისათვის, რომელიც მისთვის ჭკუის დარიგებას ცდილობდა. უფრო მოკლედ რომ მოგახსენოთ, მისტერ ჰოლმს, ძნელია უფრო აბეზარი და საშიში ადამიანის მოძებნა, ვიდრე პიტერ კერი ყოფილა. დავადგინე, ხომალდის მეთაურობის დროსაც ასეთივე ხასიათი ჰქონია. მეზღვაურებს მისთვის შეურქმევიათ შავი პიტერი - არა მარტო შავგვრემანი სახისა და უზარმაზარი შავი წვერისათვის, არამედ შმაგი ზნისთვისაც, რითაც თურმე, თავზარს სცემდა გარშემო მყოფ ადამიანებს. რაღა თქმა უნდა, ყველა მეზობელს სძულებია და ყველა გაურბოდა. არც ერთი სიბრალულის სიტყვა არ გამიგონია, მისი საზარელი აღსასრულის გამო რომ ვინმეს წამოსცდენოდეს.

მისტერ ჰოლმს, უეჭველად წაიკითხავდით ძიების ოქმში ამ კაცის «კაიუტის» ამბავს, მაგრამ თქვენს მეგობარს იქნებ არაფერი სმენია ამაზე. სახლის მახლობლად კაპიტანს თავისთვის პატარა ხის ფანჩატური აუშენებია, რასაც თურმე «კაიუტას» ეძახდა. იქ ატარებდა ღამეებს. ეს გახლავთ პატარა ერთოთახიანი ქოხმახი, ზომით 160 ფუტი. გასაღებს მუდამ ჯიბეში ატარებდა, ლოგინსაც თვითონ ალაგებდა და «კაიუტის» ზღურბლზე გადაბიჯების ნება არავის ჰქონდა. იმ ქოხის ორ კედელში გამოჭრილია ორი პატარა სარკმელი. ორივე ნიადაგ ფარდაჩამოფარებული და

დაგმანული ყოფილა. ქოხის ერთი ფანჯარა სასოფლო გზაზე გადის. მომხდარა ხოლმე, როცა ქოხში მთელი ღამე ნთებულა შუქი, და გაკვირვებულ გამვლელთ უკითხავთ, ნეტავ რას აკეთებს ამ ფანჩატურში შავი პიტერიო? სწორედ ამ სარკმელმა მოგვცა შესაძლებლობა ძიების დროს, მისტერ ჰოლმს, დაგვედგინა ზოგიერთი წვრილმანი.

ალბათ გახსოვთ კალატოზი, სახელად სლეტერი. ჰოდა იგი, ღამის პირველ საათზე, მკვლელობამდე ორი დღით ადრე, ფორესტ როუდან რომ მოდიოდა, კაპიტნის მამულთან შეჩერებულა და ხეებს შორის მოციმციმე შუქის კვადრატს დაკვირვებია. ახლა იფიცება, ფარდაზე აშკარად ჩანდა მამაკაცის პროფილი, მაგრამ ეს არ იყოო პიტერ კერი, რომელიც კალატოზს ძალიან კარგად სცნობოდა. ისიც წვეროსანი კაცი ყოფილა, ოღონდ უფრო მოკლედ შეკრეჭილი წვერი ჰქონია, ვიდრე კაპიტანს. ასე ირწმუნება კალატოზი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამაზე ადრე კალატოზი ორი საათი ტრაქტირში მჯდარა და მანძილიც გზიდან ფანჯრამდე საკმაოდ დიდია. ამას გარდა, მისი ჩვენება ორშაბათს ეხება, მკვლელობა კი ოთხშაბათს მოხდა.

სამშაბათს პიტერ კერი ყველაზე უფრო საშინელ მდგომარეობაში უნახავთ. თურმე მაგრად გალეშილი დაძრწოდა და მხეცივით მძვინვარე და საშიში იყო. სახლის გარშემო უხეტიალია და როცა ქალებს მისი ხმა გაუგონიათ, თავი სახლისთვის შეუფარებიათ. გვიან საღამოს პიტერ კერი თავის ქოხში შესულა. მის ასულს, რომელსაც ღია ფანჯარასთან სძინებია, დაახლოებით ღამის ორ საათზე «კაიუტიდან» საშინელი ყვირილის ხმა გაუგონია. ქალიშვილს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგანაც სიმთვრალეში მამამისი ხშირად ყვიროდა და ილანძღებოდა. დილის შვიდ საათზე ადრიანად წამომდგარ მსახურ გოგოს შეუნიშნავს, რომ «კაიუტის» კარი ღია ყოფილა, მაგრამ პიტერ კერის შიშით შუადღემდე მის ქოხში შეხედვა ვერავის გაუბედავს. როცა შიში დაუძლევიათ და ღიად დარჩენილ კარში შეუჭვრეტიათ, თვალწინ საზარელი სანახაობა გადაშლიათ და შიშისაგან ფერწასულნი სოფელში გაქცეულან. ეს ამბავი შემატყობინეს თუ არა, ერთი საათის შემდეგ, ადგილზე გამოვცხადდი და ძიება დავიწყე.

მისტერ ჰოლმს, თქვენც იცით, ნერვები მაგრი მაქვს, მაგრამ იმ პატარა სახლში რომ შევიხედე, ცახცახი დამაწყებინა. აუარება ლეშის ბუზებისაგან ქოხი ფისჰარმონიასავით ერთიანად გუგუნებდა, ხოლო მისი იატაკი და კედლები საყასბოს მოგაგონებდათ. კაპიტანს თავის ქოხისათვის კაიუტა შეურქმევია და იქაურობა, მართლაც, კაიუტას ჰგავდა. შევედი და მართლაც, ისე მეგონა, გემზე ვიმყოფები- მეთქი. ქოხის ბოლოში საწოლი იდგა, გვერდით - გემის ზანდუკი დავლანდე, კედლებზე - საზღვაო რუკები და «ზღვის მარტორქის» ფოტოსურათი ეკიდა. თაროზე სახომალდო ჟურნალთა კონები ეყარა - ყველაფერი ზუსტად ისე, როგორც კაპიტნის კაიუტას შეშვენის. ქოხის შიგ შუაგულში კედელს მიჯაჭვული, თვითონ კაპიტანი ვიხილე. სახე ისე დაღმეჭოდა, როგორ ჯოჯოხეთური წამებით დაღდასმულ შემცოდეს. გრძელი, შავი, შეჭაღარავებული წვერი ალბათ სულთან ბრძოლის წამს, ყალყზე დადგომოდა. ფართო მკერდი ფოლადის ბარჯით ჰქონდა გაპობილი. ბარჯი სხეულში გამჭოლ გასულიყო, მძლავრად ჩასობოდა ხის კედელს და კაპიტანი ბარჯით ისეთნაირად იყო კედელზე მიჭედილი, როგორც ქინძისთავით მუყაოზე დამაგრებული ხოჭო. რა თქმა უნდა, იმ წუთიდან როცა შეჰყვირა, კაპიტანი უკვე მკვდარი იყო. თქვენს მეთოდებს კარგად ვიცნობ, სერ, და მაშინვე ვცადე მათი გამოყენება. ადგილიდან არაფერი დავაძვრევინე, ძალიან გულმოდგინედ გავსინჯე გარეთ მიწა, შიგნით იატაკი, მაგრამ კვალი ვერსად აღმოვაჩინე.

- გინდათ თქვათ, რომ კვალი ვერ შენიშნეთ?

- გარწმუნებთ, სერ, იქ არავითარი კვალი არ გახლდათ.

- ძვირფასო ჰოპკინს, მრავალი დანაშაული გამომიძიებია, მაგრამ ჯერჯერობით ფრთოსანი დამნაშავე არ შემხვედრია. თუ დამნაშავე ცოცხალი ადამიანია და დადის, კვალს აუცილებლად დატოვებს. ის კი, ვინც ძიების მეცნიერულ მეთოდებს ფლობს, უთუოდ აღმოაჩენს ყოვლად უმნიშვნელო ცვლილებას გარემომცველ საგანთა განლაგებაში. არ შეიძლება იმის დაჯერება, რომ იმ სისხლით მორწყულ ოთახში არ დარჩენილიყო კვალი, რაც დაგვეხმარებოდა დამნაშავის აღმოჩენაში... თუმცა, ძიების ოქმიდან ვხედავ, რომ ზოგიერთი ნივთისათვის ყურადღების მიქცევით თავი არ შეგიწუხებიათ.

ახალგაზრდა ინსპექტორმა ცხვირი ჩამოუშვა და ყურები ჩამოყარა. ეტყობოდა, ჰოლმსის შხამიანმა შენიშვნამ გული მძიმედ დაუკოდა.

- სისულელე ჩავიდინე, მისტერ ჰოლმს, რომ მაშინვე არ მიგიწვიეთ, - თქვა მან. - მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება. მართლაც, ქოხში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი რამდენიმე ნივთი გახლდათ. დავიწყოთ იმ ბარჯიდან, რითაც მოკლეს კაპიტანი. ვიღაცამ ხომ ჩამოიღო კედლიდან ის ბარჯი. ორი ბარჯი თავის ადგილზე ჰკიდია, მესამე კავი კი ცარიელია. ტარზე წარწერაა: «ხომალდი «ზღვის მარტორქა», «დანდი». ეს ალბათ მოწმობს იმას, რომ დანაშაული ჩადენილი იქნა გაშმაგების წუთებში და რომ მკვლელმა გამოიყენა ის იარაღი, რაც ხელში მოხვდა. ხოლო ის გარემოება, რომ კერი ჩაცმული იყო, თუმცა მკვლელობა ღამის ორ საათზეა ჩადენილი, გვაფიქრებინებს, რომ მკვლელთან პაემანი ჰქონია. ამას თვალნათლივ მეტყველებს ის, რომ მაგიდაზე აღმოჩნდა ერთი ბოთლი რომი და ორი ნახმარი ჭიქა.

- დიახ, - თქვა ჰოლმსმა, - თქვენი ორივე დასკვნა ანგარიშგასაწევია. მერე, ოთახში სხვა მაგარი სასმელებიც აღმოჩნდა?

- დიახ, ზანდუკზე ლანგარი იყო. ზედ იდგა გრაფინებით კონიაკი და ვისკი. მაგრამ ამას, ჩემი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა. გრაფინები სავსე გახლდათ, მაშასადამე, მათ არავინ შეხებია.

- სულ ერთია, იმასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომ ეს სასმელები იქ იყო, - თქვა ჰოლმსმა, - კიდევ რა ნივთებს აქვთ საერთო, თქვენი აზრით, საქმესთან?

- მაგიდაზე ის სათუთუნე ქისა იდო.

- მაინც რა ადგილას?

- ზედ მაგიდის შუაგულში. სელაპის ტლანქი და მაგარი ტყავისა იყო, ტყავისავე თასმით შეკრული. შიგნით ასოებია: «პ.კ.» ქისაში ცოტაოდენი მაგარი თამბაქო ეყარა, მეზღვაურები რომ ეწევიან, ისეთი.

- ჩინებულია. კიდევ?

სტენლი ჰოპკინსმა ჯიბიდან რუხ-ყვითელ ყდიანი წიგნაკი ამოიღო. ყდა ხაოიანი და გაცვეთილი ჰქონდა, სტრიქონები - გაყვითლებული და ფერგადასული. პირველ გვერდზე ჩანდა ინიციალები «ჯ.ჰ.ნ.» და თარიღი «1883».

ჰოლმსმა წიგნაკი მაგიდაზე დადო და მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით დააცქერდა. მე და ჰოპკინსი წიგნაკს შორიდან ვათვალიერებდით. მეორე გვერდზე შევნიშნეთ ასოები «კ.წ.ო.რ.», შემდეგ ორ-სამ გვერდზე - მხოლოდ ციფრები იყო. ზოგ გვერდზე ეწერა სიტყვები: «არგენტინა», «კოსტა-რიკა», «სან-პაოლო» და მერე ისევ ციფრებისა თუ რაღაც ნიშნების სვეტები.

- რას ფიქრობთ ამ ჩანაწერებზე? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- მგონი, საბირჟო აქციების ჩანაწერებია. ვფიქრობ, რომ «ჯ.ჰ.ნ.» - მაკლერის ინიციალებია, ხოლო «კ.წ.ო.რ.», ალბათ, მისი კლიენტია.

- ან «კანადის წყნარი ოკეანის რკინიგზა», - თქვა ჰოლმსმა.

სტენლი ჰოპკინსმა, თავისი მისამართით, რაღაც წყევლა ჩაიბურტყუნა და მუხლზე მუშტი დაიკრა.

- რა სულელი ვარ! - შესძახა მან. - რა თქმა უნდა, თქვენ სავსებით მართალი ხართ. ახლა გვრჩება «ჯ.ჰ.ნ.» ასოების ამოხსნა. უკვე გადავათვალიერე 1883 წლის ძველი საბირჟო რეესტრები, მაგრამ ვერც ერთი ბირჟის მაკლერი ვერ ვიპოვე, ასეთი ინიციალები რომ ჰქონდეს. მაინც ისე მგონია, სწორ გზას ვადგავარ-მეთქი. ხომ შესაძლებელია, მისტერ ჰოლმს, რომ ეს იყოს იმ კაცის ინიციალები, ღამით რომ მივიდა კაპიტანთან, ესე იგი, მკვლელის ინიციალები? ხოლო ეს წიგნაკი, რომელშიაც ჩამოთვლილია ამდენი ფასეული ქაღალდი, ალბათ დანაშაულის მოტივს აგვიხსნის.

ჰოლმსის სახეზე ამოვიკითხე, რომ მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს ახალი აღმოჩენა.

- უნდა ვაღიარო თქვენი დასკვნების სამართლიანობა, - თქვა ჩემმა მეგობარმა, - მართლაც, ეს წიგნაკი, რაზედაც არაფერია თქმული ძიების ოქმში, რამდენადმე ცვლის ჩემს ვარაუდებს. ამ დანაშაულის ჩადენის მოტივებსა და სავარაუდებელ დასაბუთებულ თეორიას რომ ვადგენდი, წიგნაკზე არ მიფიქრია. სცადეთ თუ არა აქ დასახელებული ფასიანი ქაღალდების მფლობელთა პოვნა?

- დიახ. მივმართე სხვადასხვა კანტორებს თხოვნით, მაგრამ ეს ხომ სამხრეთ ამერიკის საწარმოთა აქციებია. ალბათ პასუხს მოგვიანებით, რამდენიმე კვირის შემდეგ მივიღებთ.

ჰოლმსმა წიგნაკის ყდის სინჯვა გამადიდებელი მინით განაგრძო.

- აქ, უდავოდ, ლაქაა, - თქვა მან.

- დიახ, სერ, ეს სისხლის ლაქებია. ხომ მოგახსენეთ, წიგნაკი იატაკიდან ავიღე-მეთქი.

- სისხლიანი ლაქა ზემოდან იყო თუ ქვემოდან?

- იატაკის მხარეზე.

- მაშასადამე, წიგნაკი იატაკზე დავარდა უკვე მკვლელობის შემდეგ.

- მართალია, მისტერ ჰოლმს. ეს წიგნაკი მკვლელს ნაჩქარევი გაქცევის დროს თუ დაუვარდა. ზედ კართან ეგდო.

- ალბათ არც ერთი ეს ფასიანი ქაღალდი არ აღმოჩნდა განსვენებულის ქონებაში?

- არა, სერ.

- გაქვთ თუ არა საფუძველი ივარაუდოთ ძარცვა?

- არა, სერ. ვფიქრობ, არაფერი გაუტაციათ.

- ეშმაკმა დალახვროს, ძალიან საინტერესო შემთხვევაა! იქ დანაც იყო, არა?

- დანა ქარქაშში დარჩა, მისი ამოღება ვერ მოასწრეს. მოკლულის ფეხებთან ეგდო. მისის კერი ამბობს, რომ ეს მისი ქმრის დანაა.

ჰოლმსი ჩაფიქრდა.

- კარგი, - თქვა მან. - ალბათ შემთხვევის ადგილზე ჩასვლა და ყველაფრის საკუთარი თვალით ნახვა მომიწევს.

სტენლი ჰოპკინსმა სიხარულით შესძახა:

- გმადლობთ, სერ! ეს მე ძალიან მძიმე ტვირთს მომხსნის.

ჰოლმსმა თითი დაუქნია ინსპექტორს.

- ერთი კვირის წინ ყველაფერი უფრო იოლი იქნებოდა, - თქვა მან. - მაგრამ ახლაც შეიძლება სარგებლობა მოიტანოს ადგილზე ჩემმა ჩასვლამ, უოტსონ, თუ აუცილებელი საქმე არა გაქვთ, ძალიან მოხარული ვიქნებოდი თქვენი თანხლებით

გავმგზავრებულიყავი შემთხვევის ადგილზე. დაიბარეთ ეტლი, ჰოპკინს, თხუთმეტ წუთში ფორესტ როუსკენ გავემგზავრებით.

მატარებლიდან პატარა სადგურში ჩამოვედით. რამდენიმე მილი ეტლით გავიარეთ იმ კორომებში, რომლებიც გადარჩენილიყო უზარმაზარი უღრანი ტყეებიდან, ოდესღაც რომ საქსების შემოჭრისაგან იცავდნენ ქვეყანას. ეს მიუდგომელი მხარე მთელი სამოცი წელი ასრულებდა ბრიტანეთის ბასტიონის მოვალეობას. ადგილ-ადგილ ტყე გაკაფეს, რადგან აქ ქვეყნის პირველი თუჯსადნობი ქარხნები აშენდა, და, ლითონის გამოდნობამ ტყე დაისაჭიროვა. ახლა მრეწველობამ ჩრდილოეთის უფრო მდიდარ რაიონებში გადაინაცვლა, და წარსულს მხოლოდ ეს შეთხელებული ჭალები და მიწაზე გავლებული უზარმაზარი ღარები მოგაგონებდათ. განაკაფში, გორაკის მწვანე კალთაზე გაუთლელი ქვის გრძელი სახლი იდგა. სახლისაკენ მიიკლაკნებოდა საცალფეხო გზა, რომელიც მინდორში აქა-იქ მოჩანდა. გზასთან ახლოს სამი მხრიდან ბუჩქნარშემორტყმული ფლიგელი იდგა, რომელსაც კარ-ფანჯარა სწორედ იმ მხარეს ჰქონდა მოქცეული, საიდანაც ჩვენ ვუახლოვდებოდით. აი, აქ მოხდა მკვლელობა.

სტენლი ჰოპკინსმა ჯერ კაპიტნის სახლში მიგვიყვანა და მოკლულის ქვრივი, პირქუში, ჭაღარა ქალი წარმოგვიდგინა. გალეული, გასავათებული სახე, ღრმა ნაოჭები და ქუთუთოებშეწითლებული ჩავარდნილი თვალების შიშნეული გამოხედვა იმაზე მეტყველებდა, რომ ტანჯვა და მწარე წლები გამოევლო. კერის ქალიშვილმა, ფერმკრთალმა ქერა გოგონამ, თვალებს რომ გამომწვევად აციმციმებდა, განაცხადა, ძალიანაც მიხარია მამაჩემის სიკვდილი, იმის მარჯვენა დაილოცოს, ვინც სასიკვდილო ჭრილობა მიაყენაო. პიტერ კერის ოჯახში საშინელი, გულისდამაღონებელი განწყობილება შეუქმნია, და გულზე ოდნავ მოგვეშვა, როცა ხელახლა მზის სინათლეზე გამოვედით და განსვენებული კაპიტნის მიერ მინდორში გაკვალულ ბილიკს გავყევით.

ფანჩატური აღმოჩნდა სრულიად უბრალო ხის ნაგებობა მსუბუქი სახურავითა და ორი ფანჯრით. ერთი სარკმელი კართან იყო, მეორე კი მოპირდაპირე მხარეს. სტენლი ჰოპკინსმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ბოქლომის გასაღებად დაიხარა. უეცრად ტყვიანაკრავივით შეჩერდა და სახეზე დაძაბული ყურადღება და გაოცება გამოეხატა.

- ბოქლომი უწვალებიათ, - თქვა მან.

დაეჭვება ზედმეტი იყო. კარი დაფხაჭნილი აღმოჩნდა და თეთრი ნაფხაჭნი ისე აშკარად ჩანდა საღებავზე, თითქოს ახლა გაეკაწრათო. ჰოლმსმა ფანჯარა დაათვალიერა.

- ფანჯრის გაღებაც უცდია ვიღაცას, მაგრამ ვერ გაუღია. როგორც ჩანს, ბინის გატეხვაში გაწაფული არაა.

- ძალიან უცნაური ამბავი კია, - თქვა ინსპექტორმა, - შემიძლია დავიფიცო, რომ გუშინ საღამოს ეს ნაფხაჭნი არ იყო.

- იქნებ რომელიმე ცნობისმოყვარე, სოფლელი დოყლაპიას საქმეა? - წარმოვთქვი მე.

- არა, სრულიად სხვა ამბავი უნდა იყოს. ძნელად თუ ვინმე გაბედავს ამ კარ-მიდამოში ფეხის შემოდგმას, ხოლო «კაიუტის» გატეხვა რომ გაბედოს, ასეთი ყოჩაღი აქ არავინ მეგულება. თქვენ როგორ ფიქრობთ, მისტერ ჰოლმს?

- მე ვფიქრობ, რომ ბედი გვეწია.

- გგონიათ, ის კაცი კიდევ მოვა?

- ადვილი შესაძლებელია. პატარა ჯაყვით უცდია კარის გაღება. ვერ მოუხერხებია. ახლა ისღა დარჩენია, მეორედ სცადოს ბედი და უფრო შესაფერისი იარაღით აღჭურვილი დაუბრუნდეს ერთხელ დაწყებულ საქმეს.

- სწორია.

- სისულელე იქნება, თუ არ დავუდარაჯებთ. ჯერ კი ნება მომეცით, «კაიუტა» შიგნიდან დავათვალიერო.

ტრაგედიის კვალი უკვე განადგურებული იყო, მაგრამ ავეჯი ოთახში ისევე იდგა, როგორც მკვლელობის ღამეს. ორი საათი ათვალიერებდა ჰოლმსი ყოველ წვრილმან საგანს, მაგრამ უდიდესი ყურადღების მიუხედავად მისი სახის გამომეტყველებიდან ჩანდა. რომ ძიება უშედეგო იყო. მხოლოდ ერთხელ შეწყვიტა თავისი ბეჯითი კვლევა.

- ამ თაროდან აიღეთ რამე, ჰოპკინს?

- არა, ხელი არაფრისთვის მიხლია.

- აქ რაღაც აკლია. თაროს ამ კუთხეში მტვერი ნაკლებია. შეიძლება იქ იდო წიგნი, ან იქნებ კოლოფი... მგონი, აქ მეტი აღარაფერი მესაქმება. წავიდეთ, გავისეირნოთ ამ მომხიბვლელ ჭალებში, უოტსონ, დავატკბოთ თვალი ფრინველთა და ყვავილთა ცქერით. ჰოპკინს, ჩვენ აქ უფრო მოგვიანებით შევხვდებით. იქნებ უფრო ახლო გავეცნოთ იმ ჯენტლმენს, რომელიც აქ წუხელ მოსულა.

ღამის თორმეტ საათზე ჩავსაფრდით. ჰოპკინსს უნდოდა ქოხის კარი ღიად დაეტოვებინა, მაგრამ ჰოლმსმა განაცხადა, ეს უცნობს დააფრთხობსო. ბოქლომი იმდენად მარტივი იყო, რომ მისი გაღება მაგარი დანით შეიძლებოდა. ჰოლმსმა დაიჟინა, ჩასაფრება შიგნით ქოხში კი არა, გარეთ, ბუჩქებში უნდაო, და მეორე ფანჯრის ქვემოთ ჩავსაფრდით. ამ გზით შევძლებთ იმ კაცის დაზვერვას, თუ შუქს აანთებს და მისი მოსვლის მიზანსაც გავიგებთო.

დაიწყო ხანგრძლივი მტანჯველი მოლოდინი. ნერვიულმა ცახცახმა აგვიტანა. ასე ცახცახებს მონადირე, ტბაზე მომავალ, წყურვილით დატანჯულ ნადირს რომ ელოდება. რომელი მტაცებელი მოვა აქ სიბნელიდან? მოელვარე ეშვებიანი და კლანჭებიანი ვეფხვი, რომლის ძლევაც მხოლოდ მძიმე ბრძოლაში შეიძლება, თუ მხდალი ტურა, რომელიც მხოლოდ სუსტთა და უმწეოთათვისაა საშიში.

უსიტყვოდ გავისუსეთ ბუჩქებში. ჯერ დაგვიანებულ გამვლელთა ნაბიჯების ხმა გვესმოდა, ხანაც შეძახილები სოფლიდან, მაგრამ მალე ეს ხმები მიწყდა. ბოლოს სრული სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ შორეული ეკლესიის ზარის ხმა გვაუწყებდა, რომ დრო გადიოდა. წვიმა კი გულის გამაწვრილებლად ცრიდა იმ ბუჩქების ფოთლებზე, რომლებიც თავშესაფრის მაგიერობას გვიწევდნენ.

სამის ნახევარმა დაჰკრა. დადგა უბნელესი საათი, განთიადის წინ რომ იცის. უეცრად შევკრთით, როცა ჭიშკრის წყნარი ჭრიალი გავიგონეთ. გზაზე ვიღაც მოდიოდა. ისევ ჩამოვარდა ხანგრძლივი დუმილი. უკვე გავიფიქრე, რომ ეს იყო ცრუ განგაში, როცა უეცრად უკან, ქოხის იქით, გაისმა ფრთხილი ნაბიჯის ხმა, რასაც ერთი წამის შემდეგ ლითონის წკრიალი და ჟღარუნი მოჰყვა. ადამიანი ცდილობდა ბოქლომის გატეხვას! ამჯერად უფრო უნარიანად მოქმედებდა, თუ ხელსაწყო ჰქონდა უკეთესი - მალე მოძალადეს დანებდა კარი, ჭახანი გაისმა და ანჯამებმა დაიჭრიალეს. შემდეგ ასანთი აინთო, და მომდევნო წამს უკვე სინათლის ზომიერმა შუქმა გაანათა ქოხის შიდა მხარე. თხელ ფარდებში ჩანდა ყველაფერი, რაც ქოხში ხდებოდა.

ღამის სტუმარი გამხდარი, ავადმყოფური სახის ახალგაზრდა კაცი გახლდათ. მიცვალებულივით ფერწასულ სახეს შავი ულვაში უჩრდილავდა. ოც წელზე მეტის იქნებოდა. არასოდეს მენახა უფრო საცოდავ მდგომარეობაში მყოფი კაცი. შიშისაგან

კბილს კბილზე აცემინებდა და მთელი სხეული უცახცახებდა. ჯენტლმენურად კი ეცვა. ნორფოლკური ჟაკეტი, მოკლე სპორტული შარვალი, თავზეც მაუდის ქუდი ეხურა. ვხედავდით, რა შეშინებული აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით. შემდეგ სანთელი მაგიდაზე დადგა და ოთახის ერთ-ერთ კუთხეში გაუჩინარდა. მალევე გამოჩნდა. ხელში ეპყრა ერთ-ერთი სახომალდო ჟურნალი, რომლის მსგავსთა მთელი კონაც ელაგა თაროზე. ჟურნალი მაგიდაზე დადო და გვერდების ფურცვლას მოჰყვა. დიდხანს ფურცლავდა და მერე უეცრად შედგა, ალბათ ის ჩანაწერი იპოვა, რასაც ეძებდა. მაშინ გაჯავრებით დაჰკრა მუშტი ჟურნალს, მაგიდაზე დააგდო და სანთელი ჩააქრო.

გასასვლელისაკენ გაბრუნება ვერ მოასწრო, რომ ჰოპკინსმა საყელოში სტაცა ხელი. შემზარავმა ყვირილმა იქაურობა შესძრა. სახლის გამტეხი მიხვდა, რომ დაიჭირეს. სანთელი ისევ აანთეს. უბედური ტყვე ცახცახებდა და მაძებრის ხელში იკრუნჩხებოდა.

- აბა, უძვირფასესო, - უთხრა სტენლი ჰოპკინსმა. - ვინ ხართ და აქ რას ეძებდით?

ყმაწვილი გონს მოეგო და შეეცადა ჩვენთვის თავი მშვიდად მოეჩვენებინა.

- თქვენ ალბათ მაძებრები ხართ? - იკითხა მან, - და ფიქრობთ, რომ კაპიტან პიტერ კერის მკვლელობის მონაწილე გამოიჭირეთ. გარწმუნებთ, ამ საქმეში არ ვურევივარ.

- ეს გამოჩნდება, - თქვა ჰოპკინსმა. - უწინარეს ყოვლისა, თქვენი გვარი და სახელი გვაინტერესებს.

- ჯონ ჰოპლი ნელიგანი.

შევნიშნე, როგორ გადახედეს ერთმანეთს ჰოლმსმა და ჰოპკინსმა.

- აქ რას აკეთებთ?

- თუ იმედი მექნება, რომ ჩემს საიდუმლოს არ გასცემთ?

- აუცილებლად გავცემთ, რაღა თქმა უნდა!

- მაშ, რა მრჯის, რომ ვილაპარაკო?

- თუ არ ილაპარაკებთ, თქვენ თავს დააბრალეთ, რაც სასამართლოზე მოგივათ.

ყმაწვილი აცახცახდა.

- რა გაეწყობა, ვიტყვი, - ჩაილაპარაკა უილაჯოდ, - ან რატომ არ უნდა ვილაპარაკო? თუმცა იმ აზრს ვერ შევრიგებივარ, რომ ეს ძველი სამარცხვინო საქმე ისევ ამოტივტივდება! ოდესმე გსმენიათ დაუსონისა და ნელიგანის სახელები?

ჰოპკინსის სახის გამომეტყველებამ დამარწმუნა, რომ ასეთი სახელები არ გაეგონა, მაგრამ ჰოლმსი გაოცებისაგან შეკრთა და თქვა:

- დასავლეთის ბანკის ყოფილ პატრონებს გულისხმობთ, არა? ისინი ხომ მილიონით გაკოტრდნენ, კორნუელის საგრაფოს ნახევარი დააქციეს, და ნელიგანი უგზოუკვლოდ გაქრა.

- სავსებით სწორია. ნელიგანი - მამაჩემი გახლდათ.

თითქოს საქმეს რაღაც ნათელი მოეფინაო. მაგრამ გაქცეულ ბანკირსა და კაპიტან პიტერ კერის, რომელიც მისივე საკუთარი ბარჯით მიაჭედეს კედელს, ერთმანეთისაგან უფსკრული ჰყოფდათ. ჩვენ მაინც ყურადღებით განვაგრძობდით ახალგაზრდა კაცის მონათხრობის მოსმენას.

- გაკოტრებით მხოლოდ მამაჩემი გაკოტრდა. დაუსონმა კი საქმიდან თავი მშრალად დაიძვრინა. მე იმ ხანებში შემისრულდა ათი წელი, მაგრამ იმდენი კი მესმოდა, რომ მეგრძნო, რა სამარცხვინო და საშინელი იყო ის, რაც მოხდა. ხალხში ამბობდნენ, რომ მამაჩემმა ყველა ფასიანი ქაღალდი მოიპარა და გაიქცა. ეს არ იყო

მართალი. მამას მტკიცედ სწამდა, რომ თუ ფასიანი ქაღალდების რეალიზებას ადროვებდნენ, ყველაფერი კარგად ჩაივლიდა და შეძლებდა მეანაბარეთა გასტუმრებას. მან პატარა ორჩხომელით სულზე გაასწრო ნორვეგიაში მისი დაპატიმრების ბრძანებას. მახსოვს უკანასკნელი ღამე, როცა დედაჩემს ემშვიდობებოდა. იმ ფასიანი ქაღალდების სია დაგვიტოვა, რომლებიც ნორვეგიაში წაიღო. იფიცებოდა, ჩემს კეთილ სახელს აღვადგენ და არც ერთი მარწმუნებელი არ დაზარალდებაო. მას შემდეგ მამაჩემის ამბავი აღარ გვსმენია. ორჩხომელიც გაქრა და თვითონაც. მე და დედა დარწმუნებული ვიყავით, რომ მამა სადმე ზღვის ფსკერზე განისვენებდა. ჩვენი ოჯახის ერთმა საიმედო მეგობარმა, რომელიც საქმიან ხალხში ტრიალებს, ამას წინათ გაიგო, რომ ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მამამ თან წაიღო, ხელახლა გამოჩნდა ლონდონის ბაზარზე. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩვენი გაოცება! რამდენიმე თვე დავკარგე იმისათვის, რომ მათი კვალისთვის მიმეგნო, ბევრი მარცხი და დაბრკოლება გადავლახე, ვიდრე იმას დავადგენდი, რომ მათ ყიდდა კაპიტანი პიტერ კერი, ამ ქოხმახის პატრონი.

ბუნებრივია, მისი ვინაობის დადგენა გადავწყვიტე. როგორც მითხრეს, პიტერ კერი ვეშაპებზე სანადირო გემს მეთაურობდა, რომელიც პოლარული ზღვებიდან ბრუნდებოდა სწორედ იმ დროს, როცა მამაჩემი ნორვეგიისაკენ მიეშურებოდა. შევიტყვე ისიც, რომ იმავე წელს ავდრიანი შემოდგომა ყოფილა და ზღვაზე ავბედით ქარიშხალი მძვინვარებდა. მამის ორჩხომელი, ეტყობა, ქარმა ჩრდილოეთისაკენ გაიტაცა, სადაც ბედისწერამ კაპიტან პიტერ კერის შეახვედრა. ეს ალბათ ასე უნდა იყოს, მაგრამ, სად გაქრა მამაჩემი? ყოველ შემთხვევაში, პიტერ კერი რომ დამხმარებოდა იმის გაგებაში, თუ რა გზით მოხვდა ის ფასიანი ქაღალდები ბაზარზე, მე დავამტკიცებდი, რომ მამაჩემს ისინი არ გაუყიდია და არც გამორჩენა ჰქონია მიზნად, როცა ნორვეგიაში მიმავალმა ისინი თან წაიღო.

სასექსში ჩამოვედი, რომ კაპიტანი მენახა, მაგრამ სწორედ ამ დროს ჰპოვა მან საშინელი აღსასრული. ძიების ოქმში ამოვიკითხე მისი «კაიუტის» აღწერილობა. სხვათა შორის, ნახსენები იყო მისი ძველი სახომალდე ჟურნალები, რომლებიც აქ ინახება. აზრად მომივიდა, რომ შეიძლებოდა ჟურნალებიდან ამომეკითხა, რა ხდებოდა 1883 წლის აგვისტოში «ზღვის მარტორქის» ბანზე და მამაჩემის იდუმალებით მოცული ამბავი შემეტყო. წუხელ ვცადე ამ ჟურნალების ხელში ჩაგდება, მაგრამ კარი ვერ გავაღე. დღეს ჩემი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ დროისადმი მიძღვნილი გვერდები ამოგლეჯილია. მერე კი თქვენ გამოჩნდით და დამაპატიმრეთ.

- სულ ეს არის? - ჰკითხა ჰოპკინსმა.

- სულ ეს გახლავთ, - ამ სიტყვებზე ყმაწვილმა დაფანტულად მიმოიხედა.

- მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი?

ახალგაზრდა ყოყმანობდა.

- არაფერი.

- გუშინდელ ღამემდე აქ არ ყოფილხართ?

- არა.

- მაშ, ეს წიგნაკი ვისია? - შესძახა ჰოპკინსმა და ყმაწვილს უჩვენა ავბედითი უბის წიგნაკი, რომლის პირველ გვერდზე გამოსახული იყო ჩვენი ტყვის ინიციალები, ხოლო ყდაზე სისხლის ლაქები აჩნდა.

უბედურ ჭაბუკს სასო წარეკვეთა. სახეზე ხელები აიფარა და ისევ აკანკალდა.

- საიდან მოიტანეთ? - დაიკვნესა მან. - მე არც ვიცოდი... მეგონა, სასტუმროში დავკარგე.

- კმარა! - მკაცრად თქვა ჰოპკინსმა. - თუ კიდევ გაქვთ რაიმე სათქმელი, სასამართლოზე იტყვით, ახლა კი პოლიციაში წამოხვალთ. მისტერ ჰოლმს, დიდად მადლობელი ვარ თქვენი და თქვენი მეგობრისა, რომ აქ გამომყევით და დამეხმარეთ. თქვენი მოსვლა არც ყოფილა საჭირო. საქმეს უთქვენოდაც დავაბოლოვებდი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძლიერ მადლიერი გრჩებით. თქვენთვის ოთახები ბრემბლტაის სასტუმროშია დაკავებული, შეგვიძლია სოფელში ერთად წავიდეთ.

- აბა, უოტსონ, რა აზრის ხართ ყოველივე ამაზე? - მკითხა ჰოლმსმა, როცა მეორე დღეს დილით უკან ვბრუნდებოდით.

- ვხედავ, თქვენ არა ხართ კმაყოფილი.

- ო, არა, ჩემო ძვირფასო უოტსონ, მე სავსებით კმაყოფილი ვარ. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, სტენლი ჰოპკინსის მეთოდები არაფრად ვარგა. მისი იმედი დავკარგე. ამ კაცისაგან მეტს მოველოდი. ჩვენი პროფესიის საიდუმლოება ისაა, რომ შესაძლებელია, ამოცანას ყოველთვის მოეძებნოს მეორეგვარი გადაწყვეტა. ეს სისხლის სამართლის ძიების უპირველესი ანბანია და მაძებარმა ეს არ უნდა დაივიწყოს.

- ვერ გამიგია, ამოცანის რომელ მეორე გადაწყვეტაზეა ლაპარაკი?

- ის, რაც საფუძვლად უდევს ჩემს საკუთარ ძიებას. შეიძლება მან არაფერიც არ მოგვცეს. არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ამ გზას ბოლომდე უნდა მივყვე.

ბეიკერსტრიტზე ჰოლმსს რამდენიმე წერილი დახვდა. ერთ მათგანს გახარებულმა სტაცა ხელი, გახსნა და გამარჯვებული კაცის ტონით გაიცინა:

- ჩინებულია, უოტსონ! საქმის მეორენაირი გადაწყვეტა მწიფდება. დეპეშის ბლანკები თუ გაქვთ? დამიწერეთ ორი დეპეშა: «სემნერუ, სახომალდო აგენტს, რეტკლიფ-ჰაივეის. მჭირდება სამი კაცი, გაგზავნა ხვალ დილის ათზე. ბეზილი». ამ სახელით მიცნობენ იმ წრეებში. მეორე: «ინსპექტორ სტენლი ჰოპკინსს, ლორდსტრიტი, 46, ბრიქსტონი. ჩამოდით ხვალ ათის ნახევრისთვის საუზმეზე. მნიშვნელოვანი ამბავია. მიდეპეშეთ, თუ ვერ ჩამოხვალთ. შერლოკ ჰოლმსი»... ამრიგად, უოტსონ, ეს ეშმაკეული საქმე მთელი ათი დღე მაწამებდა, ახლა მინდა თავი დავაღწიო. ხვალ, იმედი მაქვს, დავაბოლოვებთ ყველაფერს და მოვისვენებთ.

ინსპექტორი სტენლი ჰოპკინსი ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა და ყველანი მისის ჰადსონის მომზადებულ საუცხოო საუზმეს მივუსხედით. ახალგაზრდა მაძებარი აღტაცებული იყო თავისი წარმატებით.

- მაშ, მართლა დარწმუნებული ხართ თქვენი კვლევა-ძიების სიმართლეში? - მიუბრუნდა ჰოლმსი.

- ოღონდაც! ყველაფერი სრულიად ნათელია.

- მე კი ვფიქრობ, რომ ეს საქმე დამთავრებული არაა.

- თქვენ მაოცებთ, მისტერ ჰოლმს! კიდევ რა უნდა ითხოვოთ?

- განა თქვენი ძიების მასალები მოიცავს საქმის ყველა მხარეს?

- უეჭველად. მე გავიგე, რომ ახალგაზრდა ნელიგანი ბრემბლტაიში ჩამოვიდა იმ დღეს, როცა დანაშაული მოხდა. თითქოს გოლფის სათამაშოდ ჩამობრძანდა. ოთახი პირველ სართულზე დაიჭირა და ოთხივე მხარეს შეეძლო წასულიყო, როცა ინებებდა. იმავე ღამეს გაიარა უუდმენს ლიში, შეხვდა ქოხში პიტერ კერის, წაეკიდა და ბარჯით კედელზე ხოჭოსავით მიალურსმა. თავისი ნამოქმედარით შეშინებული მკვლელობის ადგილიდან გაიქცა და სწორედ მაშინ დაუვარდა თავისი უბის წიგნაკი. იმ ფასიანი ქაღალდები ნომრები ნელიგანს უბის წიგნაკში ეწერა და პიტერ კერისთვის უნდოდა გამოეკითხა ყველაფერი. ალბათ შენიშნეთ, რომ ზოგი მათგანი წიგნაკში ჯვრებითაა აღნიშნული. ეს ის ქაღალდებია, რომლებიც ლონდონის

ბაზარზე გაიყიდა. მაგრამ მათი უმეტესობა, ეტყობა, ჯერ კიდევ პიტერ კერის ჰქონდა. ახალგაზრდა ნელიგანი, მისივე აღიარებით, ოცნებობდა ხელთ ეგდო ისინი, რათა მამის ვალები გადაეხადა. გაქცევის შემდეგ ერთ ხანს ვეღარ ბედავდა ქოხთან მიახლოებას, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა მისვლა და მისთვის საჭირო ცნობების მიღება. უბრალო და ნათელი ამბავია, არა?

ჰოლმსმა გაიღიმა და თავი გადააქნია:

- თქვენს ვერსიაში აქილევსის ქუსლს ვხედავ, ჰოპკინს. აბსოლუტურად დაუჯერებელია გალეული ადამიანისაგან ბარჯის ისე მარჯვედ სროლა, რომ სხეული გააპოს და მერე ხის კედელში ღრმად ჩაერჭოს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეა, არა? ძვირფასო სერ, თქვენ მოგიხდებათ ამ წვრილმანზე უფრო მეტი ყურადღების შეჩერება. ჩემს მეგობარ უოტსონს შეუძლია გიამბოთ, როგორ ვვარჯიშობდი ბარჯის სროლაში მთელი დილა. ეს არც ისე ადვილია. აქ საჭიროა ძლიერი და გავარჯიშებული ხელი. კაპიტანს კი ისეთი ძალით ჩაჰკ-რეს, რომ ბარჯმა ჯერ სხეული გახვრიტა და მერე ღრმად ჩაერჭო კედელში. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ის ჩია ნელიგანი ასეთი კუნთმაგარი ყმაწვილია? და რომ ნელიგანი სწორედ ისაა, ვინც გვიან ღამით შავ პიტერთან რომით ყელს იკოკლოზინებდა? და რომ სწორედ მისი პროფილი ნახეს ფარდის შიგნით, მკვლელობამდე ორი დღით ადრე? არა, არა, ჰოპკინს, იმ ჩია ნელიგანის ნაცვლად ჩვენ ვინმე უფრო საშიში ადამიანი უნდა ვეძიოთ.

ჰოლმსის მსჯელობის დროს ჰოპკინსს სახე ერთიანად შეეცვალა. მისი ვარაუდი და იმედები ინგრეოდა, მაგრამ უომრად არ ნებდებოდა.

- ვერ უარყოფთ, მისტერ ჰოლმს, რომ ნელიგანი იმ ღამეს იქ იყო. ამის აშკარა დამამტკიცებელი საბუთია უბის წიგნაკი. ჩემი აზრით, სასამართლოსთვის ეს მონაცემები საკმარისია, თუნდაც მათში იყოს, როგორც თქვენ ფიქრობთ, სუსტი ადგილი. მთავარი კი ისაა, მისტერ ჰოლმს, რომ ჩემი დამნაშავე შეპყრობილია. ხოლო თქვენს «უფრო საშიშ» ადამიანს ვერ ვხედავ.

- მე რატომღაც მგონია, რომ ის ახლა ჩვენს კიბეზე ამოდის, - მშვიდად მიუგო ჰოლმსმა. - მგონი, უოტსონ, აჯობებს, ეს რევოლვერი ხელში დაიჭიროთ. - ჰოლმსი ადგა და ნაწერით აჭრელებული ფურცელი იქვე პატარა მაგიდაზე დადო. - ახლა მზადა ვართ, - დასძინა მან.

გაისმა ტლანქი ხმები. მისის ჰადსონმა კარი გააღო და თქვა, სამი მამაკაცი კაპიტან ბეზილს კითხულობსო.

- სათითაოდ შემოუშვით, - უთხრა ჰოლმსმა.

პირველად შემოვიდა პატარა, მრგვალი, ლოყებღაჟღაჟა, ხშირი ჭაღარა ბაკებით დამშვენებული კაცუნა. ჰოლმსმა ჯიბიდან წერილი ამოიღო.

- თქვენი სახელი? - ჰკითხა.

- ჯეიმს ლანკასტერი.

- ძალიან ვწუხვარ, ლანკასტერ, მაგრამ ადგილი უკვე დაკავებულია. აიღეთ ეს ნახევარი სოვერენი შეწუხებისთვის. იმ ოთახში გახვალთ და რამდენსამე წუთს დაიცდით.

მეორე იყო მაღალი ჩამომხმარი ადამიანი, სადად გადავარცხნილი თმა ჰქონდა და ავადმყოფური სახის კანი, სახელად ერქვა ჰიუ პეტინო. მანაც მიიღო უარი, ნახევარი სოვერენი და დაცდის ბრძანება.

მესამე სტუმარს შესანიშნავი გარეგნობა ჰქონდა. მისი მრისხანე, ბულდოგის სახე აბურძგნულ თმასა და წვერს დაეფარა, ხოლო უხეშ, ხშირ წარბებს ქვემოთ

შეუპოვარი შავი თვალები უციმციმებდა. მოგვესალმა, მეზღვაურის პოზაში დადგა და თან ხელში თავის კეპს ჭმუჭნიდა.

- თქვენი სახელი? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- პატრიკ კერნსი.

- ბარჯის მტყორცნელი?

- დიახ, სერ, ოცდაექვსჯერ გავყოლივარ გემს, როგორც ბარჯის მტყორცნელი.

- დანდიდან, მგონი?

- დიახ, სერ.

- თანახმა ხართ საექსპედიციო გემის გაყოლაზე?

- დიახ, სერ. ჯამაგირი?

- რვა გირვანქა თვეში. შეგიძლიათ ახლავე გამგზავრება?

- როგორც კი აღჭურვილობას მივიღებ.

- ქაღალდები თან გაქვთ?

- დიახ, სერ.

ჯიბიდან გაცვეთილი და მარილით გაჟღენთილი დოკუმენტები ამოიღო. ჰოლმსმა დაათვალიერა და დაუბრუნა.

- სწორედ ასეთი ადამიანი მჭირდება, - თქვა ჰოლმსმა, - აი, კონტრაქტი მაგიდაზეა, ხელი მოაწერეთ და მოვრჩეთ.

მეზღვაური ბაჯბაჯით წავიდა და კალამი აიღო.

- აქ მოვაწერო? - იკითხა მოსულმა და ხელმოსაწერად მოემზადა.

ჰოლმსი დაიხარა და ხელები ბარჯის მტყორცნელის კისრის გაყოლებით გაიწოდა.

- ახლა ყველაფერი რიგზეა, - თქვა ჩემმა მეგობარმა.

ფოლადის ჟღარუნი და გაშმაგებული ხარის ღმუილივით ხმა ერთბაშად შემომესმა. იმავე წამს ერთიმეორეზე გადაჭდობილი ჰოლმსი და მეზღვაური იატაკზე გაგორდნენ. მეზღვაურს რაღაც ზღაპრული ღონე ჰქონდა: თუმცა ჰოლმსის მიერ ხელებზე მარჯვედ წამოცმული ბორკილები ბოჭავდნენ, მაგრამ ჩემს მეგობარს, ეტყობოდა, მაინც მოერეოდა. მე და ჰოპკინსი ჰოლმსის მისაშველებლად გავეშურეთ. და მხოლოდ მაშინ, როცა რევოლვერის ცივი ლულა მეზღვაურს საფეთქელზე მივაბჯინე, როგორც იქნა, გაიგო, რომ წინააღმდეგობა უსარგებლო იქნებოდა. ფეხები თოკით შევუკარით და ბრძოლისაგან სულშეგუბებულნი იატაკიდან წამოვდექით.

- ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ჰოპკინს, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა, - ერბო-კვერცხი ალბათ უკვე გაცივდა. მაგრამ ვფიქრობ, ძიების ასე წარმატებით დამთავრება მადას მოგიმატებთ?

გაოცებისაგან გაოგნებული სტენლი ჰოპკინსი დამუნჯდა.

- ნამდვილად არაფერი მეთქმის, მისტერ ჰოლმს! - ესღა წამოილუღლუღა მტანჯველი სირცხვილით გაწითლებულმა. - ფაქტია, თავიდანვე ძიების არასწორი ვერსია ავირჩიე. წუთითაც არ უნდა დამვიწყებოდა, რომ თქვენ - მასწავლებელი ხართ, მე კი - მხოლოდ მოწაფე. ახლა კი, როცა თქვენს სიმარჯვეს ვუყურებ, მაინც ვერ გამიგია, როგორ გააკეთეთ ყოველივე და რას ნიშნავს ეს?

- კარგი, კარგი, - გულკეთილი კილოთი თქვა ჰოლმსმა. - ჩვენ ყველანი ვსწავლობთ შეცდომებზე. აი, ახლა მტკიცედ დაიმახსოვრებთ, რომ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ საქმის მეორეგვარი ამოხსნა. თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ მკვლელი ახალგაზრდა ნელიგანია და მხედველობიდან გამოგრჩათ პატრიკ კერნსი. პიტერ კერის ნამდვილი მკვლელი კი ის არის.

მეზღვაურის ხრინწიანმა ხმამ ჰოლმსს ლაპარაკი გააწყვეტინა:

- მომისმინეთ, მისტერ! არა ვჩივი, რომ ასე უხეშად მომექეცით, მაგრამ საგნებს მაინც თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ. თქვენ ამბობთ: «პიტერ კერის მკვლელიო». მე კი ვაცხადებ, რომ იძულებული ვიყავი მომეკლა ის კაცი. აი, ეს კი სულ სხვა რამ არის. იქნებ არ დამიჯეროთ? იქნებ, ფიქრობთ, რომ ტყუილებს ვიგონებ?

- სულაც არა, - უთხრა ჰოლმსმა. - სიამოვნებით მოგისმენთ, ოღონდ სიმართლე ილაპარაკეთ.

- თავს არ შეგაწყენთ, და ღმერთს ვფიცავ, ყოველი ჩემი სიტყვა სიმართლე იქნება. მე ვიცნობდი შავ პიტერს, და როცა ხელი დანაზე წაივლო, ბარჯი დავიტაცე, რადგანაც ვიცოდი, რომ ცოცხლად დარჩენა მხოლოდ ერთ ჩვენგანს ეწერა. აი, ასე მოკვდა. იქნებ ამას მკვლელობა ერქვას. ჩემთვის სულ ერთია, როგორ მოვკვდები, მხოლოდ შავი პიტერის მიერ გულში გაყრილ დანას ჯალათის ხელით კისერზე შემოჭდობილი ყულფი მირჩევნია.

- როგორ მოხვდით მის სახლში? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- ყველაფერს დალაგებულად მოგითხრობთ, ოღონდ დამსვით და ლაპარაკი უფრო გამიადვილდება. ეს ამბავი 1883 წლის აგვისტოში დაიწყო. პიტერ კერი იყო «ზღვის მარტორქის» კაპიტანი, მე კი - მისი სათადარიგო ბარჯის მტყორცნელი. მცურავ ყინულთა შორის მივიკვლევდით გზას და შინ ვბრუნდებოდით. პირქარი გვწეწავდა და გრიგალი მთელი კვირა არ ჩამდგარა. უცბად პატარა გემს შევეჩეხეთ. დრეიფით მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ. მთელ ეკიპაჟს ერთი კაცი შეადგენდა და ისიც მეზღვაური არ გახლდათ. მის ყოფილ თანამგზავრებს გემის გადარჩენის იმედი გადაეწყვიტათ, კანჯოში ჩამსხდარიყვნენ და ნორვეგიის სანაპიროსკენ მოეკურცხლათ. როგორც ჩანს, ყველანი დაიღუპნენ. ის კაცი კი ჩვენ ავიყვანეთ გემზე. ის და კაპიტანი დიდხანს ბაასობდნენ კაიუტაში. მთელი მისი ბარგი, ერთი თუნუქის ყუთისაგან შედგებოდა. რამდენადაც ვიცი, იმ კაცის სახელი არვინ უწყოდა. მეორე ღამესვე ისე გაქრა, თითქოს არც არსებულიყო. ერთნი ლაყბობდნენ, თითქოს თავისით გადაეშვა ზღვაში, მეორენი, ბანიდან გადავარდაო, - იმ ღამეს კი მართლაც ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებდა. მხოლოდ მე, ერთმა ადამიანმა ვიცოდი, რაც მოუვიდა ბნელ ღამეში, ორი დღით ადრე, ვიდრე შოტლანდიის კუნძულების შუქურებს ჩავუვლიდით, საკუთარი თვალებით ვიხილე, როგორ ჩაავლო იმ საწყალს კაპიტანმა ხელი ფეხებში და ზღვაში გადაისროლა.

არავისთან არაფერი დამცდენია. ვიფიქრე - ვნახოთ, რა მოხდება-მეთქი. შოტლანდიაში ჩამოვედით. ის საქმე არც არავის ახსოვდა და არც ის საწყალი მოუკითხავს ვინმეს. შემთხვევით დაღუპული კაცი ვის რაში აინტერესებდა. მალე პიტერ კერი სამსახურიდან გადადგა, და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მოვახერხე იმის დადგენა, თუ სად დასახლდა. მოვისაზრე, რომ იმ თუნუქის ყუთის გულისათვის ცოდვაში გაეხვია. ვიფიქრე, ახლა კი გამისწორდება, როგორ საჭიროა, რათა ენას კბილი დავაჭირო-მეთქი.

ერთი მეზღვაურისაგან, რომელსაც ლონდონში ენახა, გავიგე, რომ კაპიტანი აქ ცხოვრობს, და ჩამოვედი, რათა მისგან ცოტა რამ გამომეწურა. პირველ ღამეს თავი კეთილგონივრულად ეჭირა. ისეთ თანხას დამპირდა, სამუდამოდ შემეძლო ზღვისთვის თავი დამეღწია. საბოლოოდ მოსალაპარაკებლად მესამე ღამე დავნიშნეთ. მივედი, ვხედავ, დაელია და საძაგელ ხასიათზე დამდგარა. დავჯექით, დავლიეთ და ძველი დრო გავიხსენეთ. რაც მეტს სვამდა, მით უფრო არ მომწონდა მისი სახის გამომეტყველება. კედელზე ბარჯი შევნიშნე. ვინიცობაა რამე იყოს, გამომადგება-მეთქი, ვიფიქრე. მართლაც, მალე დიდი დასაკეცი დანა იშიშვლა, ლანძღვა-გინება დამიწყო და დორბლმორეულმა ჩემზე გამოიწია. ვხედავდი, ჩემი მოკვლა ჰქონდა

განზრახული. მაგრამ დანის გახსნაც ვერ მოასწრო, რომ ბარჯით კედელს მივაჭედე. ღმერთო, როგორ დაიღრიალა! მისი სახე დღემდე თან მდევს და მშვიდად ვერ დამიძინია... სისხლი შადრევნად მოსჩქეფდა, მე კი ვიდექი და ველოდი. მაგრამ გარშემო სიწყნარე იყო და დავმშვიდდი. მიმოვიხედე, ვხედავ, თაროზე თუნუქის ყუთია. ეს ყუთი მეც ისევე მეკუთვნოდა, როგორც პიტერ კერის, ამიტომ ავიღე და ქოხიდან გავედი. მე ტუტუცს სათუთუნე მაგიდაზე დამრჩა.

ახლა კი ამბის ყველაზე უფრო დაუჯერებელ ნაწილს გიამბობთ. ის იყო გავედი სუფთა ჰაერზე, რომ ვიღაცის ნაბიჯის ხმა მომესმა. ბუჩქებში დავიმალე. ვხედავ, ქოხისაკენ კაცი მიიპარება. შევიდა, შეშლილივით შეჰყვირა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, გარბოდა, ვიდრე თვალთაგან დამეკარგა. მე კი ეშმაკობით ყველას ვაჯობე. ფეხით გავიარე ათი მილი, ტენბრიჯ უელსში მატარებელში ჩავჯექი და ლონდონში ჩამოვედი.

როცა ყუთი გავხსენი, აღმოჩნდა, რომ შიგ ერთი გახვრეტილი გროშიც აღარ იყო. შიგ მარტო ქაღალდები ეყარა, რომელთა გაყიდვა ვერ გავბედე. შავ პიტერზე ძალაუფლება დავკარგე და მშრალზე დავრჩი. ჯიბეგაფხეკილმა დავიწყე ლონდონში ბორიალი. მხოლოდ ჩემი პროფესიის იმედი უნდა მქონოდა. ვნახე განცხადება, რომელშიც ბარჯის მტყორცნელებს დიდ გასამრჯელოს აღუთქვამდნენ. მაშინვე საზღვაო აგენტებთან მივედი, მათ კიდევ აქ გამომაგზავნეს. აი ყველაფერი, რაც ვიცი. მართალია, შავი პიტერი მოვკალი, მაგრამ მართლმსაჯულება უნდა მიმადლოდეს - სახელმწიფოს რომ გასანთლული თოკის ხარჯი დავუზოგე.

- უაღრესად დამაჯერებელი ჩვენებაა, - თქვა ჰოლმსმა, წამოდგა და ჩიბუხი გააბოლა. - ვფიქრობ, ჰოპკინს, ახლავე გმართებს პატიმრის უფრო საიმედო ადგილას გადაყვანა. ეს ოთახი ვერ არის მოხერხებული საკანი, ხოლო მისტერ პატრიკ კერნსი მეტისმეტად დიდ ადგილს იკავებს ჩვენს ხალიჩაზე.

- არ ვიცი, როგორ დაგიმადლოთ, მისტერ ჰოლმს, - თქვა ჰოპკინსმა. - ახლაც არ ვიცი, როგორ მიაღწიეთ ასეთ წარმატებას.

- უბრალოდ, თავიდანვე სწორი გზა ავირჩიე. უბის წიგნაკის ამბავი რომ ადრე მცოდნოდა, შეიძლებოდა მეც ისეთივე შეცდომა დამეშვა, როგორც თქვენ. მაგრამ ყველაფერს, რაც ამ საქმეზე ვიკვლიეთ, ერთი მიმართულებით მივყავდი. უზარმაზარი ღონე, ბარჯის ტყორცნის უბადლო ხელოვნება, ბოთლი რომი, სელაპის ტყავის ქისა და მაგარი თამბაქო, რაც ამ ქისაში აღმოჩნდა, - ყოველივე ეს აშკარად მიუთითებდა მეზღვაურზე, და ისიც ვეშაპზე მონადირეზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ინიციალები «პ.კ.» - უბრალო დამთხვევაა. ქისა არ შეიძლებოდა პიტერ კერისა ყოფილიყო, რადგან თამბაქოს იშვიათად ეწეოდა და მის «კაიუტაში» ჩიბუხი ვერ იპოვეს. გახსოვთ, გეკითხებოდით, იყო თუ არა «კაიუტაში» ვისკი და კონიაკი-მეთქი. თქვენ მიპასუხეთ, იყოო. მაგრამ ვინ დაიწყებს, მეზღვაურის გარდა, რომის სმას, როცა აქვს კონიაკი ან ვისკი? დიახ, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მკვლელი მეზღვაური უნდა ყოფილიყო.

- როგორღა იპოვეთ ეს მეზღვაური?

- ეს სულ უბრალო ამბავია. მეზღვაური შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მათი რიცხვიდან, ვინც «ზღვის მარტორქით» კერისთან ერთად ცურავდნენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო, კაპიტანი სხვა გემით არ დაცურავდა. სამი დღე დავკარგე, რათა დეპეშებით დამედგინა «ზღვის მარტორქის» მეზღვაურთა 1883 წლის შემადგენლობა. როცა გავიგე, რომ ბარჯის მტყორცნელთა შორის იყო პატრიკ კერნსი, ჩემი კვლევა-ძიება თითქმის დასრულებული იყო. ვვარაუდობდი, რომ ეს კაცი ლონდონში იქნებოდა და უარს არ იტყოდა დიდი გასამრჯელოს საფასურად ისევ

ბარჯის მტყორცნელობაზე. ამიტომ რამდენიმე დღე ვიყავი ისტ-ენდში, მოვიგონე არქტიკული ექსპედიცია, მაცდუნებელი პირობები შევთავაზე ბარჯის მტყორცნელებს, რომლებიც კაპიტან ბეზილის მეთაურობით იმსახურებდნენ - და აი შედეგიც.

- შესანიშნავია! - შესძახა ჰოპკინსმა. - პირდაპირ შესანიშნავია!

- რაც შეიძლება მალე უნდა გაათავისუფლოთ ახალგაზრდა ნელიგანი, - თქვა ჰოლმსმა. - ვფიქრობ, მის წინაშე ბოდიშის მოხდა დაგჭირდებათ. თუნუქის ყუთი, ცხადია, უნდა დაუბრუნოთ, მაგრამ ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც პიტერ კერიმ გაყიდა, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ დაიკარგა... აი, კებიც, ჰოპკინს, შეგიძლიათ პატრიკ კერნსი წაიყვანოთ. თუ სასამართლოზე ჩემი ყოფნა გახდება საჭირო, ნორვეგიაში გვაცნობეთ. უფრო ზუსტ მისამართს შემდეგ შეგატყობინებთ.

მესგრეივთა საგვარეულო წესი

ჩემი მეგობრის, ჰოლმსის, ერთი უცნაური თვისება ხშირად მაოცებდა: გონებრივ მუშაობაში იგი უფაქიზესი და ყოვლად წესიერი ადამიანი გახლდათ. მისი სამოსი გამოირჩეოდა არა მარტო სისუფთავით, არამედ დახვეწილი გემოვნებითაც, მაგრამ ყველა დანარჩენ საქმეში ჰოლმსი ალბათ ყველაზე უფრო დაუდევარი არსება იყო ქვეყანაზე, და მის ჩვეულებებს შეეძლოთ ჭკუიდან შეეშალა ნებისმიერი ადამიანი, ვინც მასთან ერთად ჭერქვეშ იცხოვრებდა.

თუმცა ამ მხრივ უნაკლო არც მე ვყოფილვარ. ავღანეთში ჩემმა თავბრუდამხვევმა მუშაობამ თანდაყოლილი მიდრეკილება მომთაბარე ცხოვრებისადმი კიდევ უფრო გამიძლიერა და იმაზე უგულისყურო გამხადა, ვიდრე ეს ექიმს შეეფერება. მაგრამ ჩემს უწესრიგობას მაინც აქვს ერთგვარი საზღვრები, და როცა ისეთ ადამიანს ვუყურებ, რომელსაც სიგარები ნახშირის ჩასაყრელ ჭურჭელში უწყვია, თამბაქო - სპარსული ფეხსაცმლის ჭვინტში, ხოლო წერილები, რომელთაც პასუხი უნდა გასცეს, ჯაყვით დაუმაგრებია ბუხრის თავზე, მაშინ, მართალი გითხრათ, ისე მეჩვენება, თითქოს ყველა სიკეთის ნიმუში ვიყო. ამას გარდა, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ დამბაჩის სროლა უდავოდ ეკუთვნის გართობის ისეთ სახეობას, რითაც თავის შექცევა მხოლო ღია ცის ქვეშ შეიძლება, მაგრამ, როცა ჰოლმსს მოუვლიდა ხოლმე სროლის სურვილი, იგი სავარძელში ჯდებოდა და მოპირდაპირე კედელს პატრიოტული ვენზელით «დ.ვ.» («დედოფალი ვიქტორია») ამკობდა. ეს ორი ასო ტყვიების შემწეობით გამოჰ-ყავდა. რა თქმა უნდა, ვგრძნობდი, რომ ეს საქმიანობა ჩვენი ბინის არც ატმოსფეროს და არც გარეგნულ სახეს არ აუმჯობესებდა, მაგრამ დუმილს ვარჩევდი.

ჩვენი ოთახები სავსე იყო ხოლმე უცნაური ნივთებით. იმ ნივთებს ჩემი მეგობარი ან ქიმიური ცდებისას იყენებდა, ანდა რაიმე სისხლის სამართლის საქმის კვლევა-ძიებაში. ეს რელიქვიები სრულიად მოულოდნელ ადგილას აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მაგალითად, საზეთეში, ან უფრო ნაკლებად შესაფერის ადგილზეც კი. ყველაზე მეტად მაინც ჰოლმსის აუარებელი ქაღალდები მაწუხებდა. იგი სათუთად ინახავდა დოკუმენტებს, მეტადრე, თუ ისინი იმ საქმეებთან იყვნენ დაკავშირებული, რომელთა გადაწყვეტაში პირადად ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, მაგრამ თავისი ქაღალდების დალაგება და მოწესრიგება კი - ნურას უკაცრავად. ამისათვის წელიწადში სულ დიდი ორჯერ თუ მოიცლიდა. მგონი, სადღაც ჩემს უთავბოლო ჩანაწერებში უკვე ვთქვი, რომ მჩქეფარე ენერგიის

მოზღვავებას, რაც ჰოლმსს შესანიშნავი კვლევა-ძიების დროს ახასიათებდა და რითაც მისი სახელი საქვეყნოდ გახდა ცნობილი, მოსდევდა ხოლმე ყველაფერზე ხელჩაქნევისა და ძალთა სრული დაცემის პერიოდი. მაშინ მთელი დღეები იწვა ხოლმე დივანზე, გვერდით საყვარელი წიგნები ელაგა და მხოლოდ დროგამოშვებით წამოიწევდა, რათა ვიოლინოზე დაეკრა. ამრიგად, წლიდან წლამდე ქაღალდების ზვინი იზრდებოდა და ყველა კუთხეში დასტა-დასტად ეყარა ხელნაწერები. ამ ხელნაწერთა დაწვის თაობაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. იმ ქაღალდებზე, პატრონს გარდა, ხელი არავის მიუწვდებოდა.

ზამთრის ერთ საღამოს, როცა ბუხართან ვისხედით, ჰოლმსს სიტყვა გადავუკარი, მას მერე, რაც სამახსოვრო წიგნში ჩანაწერების შეტანას მორჩით, ცოდვად არ ჩაგეთვლებათ, თუ ორიოდე საათს დაკარგავთ და იმაზე იზრუნებთ, რომ ჩვენს ბინას ადამიანის საცხოვრებლის სახე მიეცეს-მეთქი. მან იგრძნო ჩემი თხოვნის სამართლიანობა და საძინებელ ოთახში საკმაოდ დანაღვლიანებული შევიდა. მალე უკანვე გამობრუნდა და თან თუნუქის დიდ ყუთს მოათრევდა. ყუთი შუა ოთახში დადგა, სკამი მიაჩოჩა, დაჯდა და სახურავი ახადა. ყუთი მესამედამდე იყო ამოვსებული წითელი ზონრით შეკრული ქაღალდის კონებით.

- აქ ბევრი რამ არის საინტერესო, უოტსონ, - მითხრა და ეშმაკურად გადმომხედა. - რომ იცოდეთ, რა საქმეები დევს ამ ყუთში, შეიძლება იქიდან მოითხოვოთ ზოგი რამის ამოღება და არა ქაღალდის ახალი კონების შიგ ჩაწყობა.

- მაშ, ეს თქვენ მიერ წარმოებული ძველი საქმეების ანგარიშებია? - ვკითხე მე. არა ერთხელ მინანია, რომ ჰოლმსის უწინდელ საქმეებზე ჩანაწერები არა მქონდა.

- დიახ, ჩემო კეთილო. აქ აღწერილი ამბები მოხდა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საკუთარი ბიოგრაფი გამომიჩნდებოდა და მიზნად დაისახავდა კიდით კიდე გაეთქვა ჩემი სახელი.

იგი მსუბუქი, ალერსიანი მოძრაობით იღებდა ყუთში ჩალაგებულ ქაღალდის დასტებს.

- ყველა საქმე, რა თქმა უნდა, წარმატებით არ თავდებოდა, უოტსონ. მაგრამ, მათ შორის ზოგიერთი უაღრესად საგულისხმო და თავსატეხია. აი, მაგალითად, ანგარიში ტარლტონის მკვლელობაზე. აგერ ვამბერის, მეღვინის საქმე, აი, კიდევ ერთი რუსი დედაბრის ამბავი. აი, უცნაური ისტორია ალუმინის ყავარჯნისა, დაწვრილებითი ანგარიში ფეხმოქცეულ რიკოლეტისა და მისი საშინელი მეუღლის საქმეზე. ეს კი... აი, ეს კი ნამდვილად წარმტაცია.

ჰოლმსმა ხელი თუნუქის ყუთის ფსკერამდე ჩაჰყო და იქიდან ხის პატარა ყუთი ამოიღო. ყუთს გამოსაწევი სახურავი ჰქონდა და ისეთ ყუთებს მოგაგონებდათ, რომლებითაც ზოგიერთ საბავშვო სათამაშოს ჰყიდიან ხოლმე. ჰოლმსმა იმ ყუთიდან ამოიღო: დაჭმუჭნილი ქაღალდის ფურცელი, ძველებური სპილენძის გასაღები, ხის პალო, რომელზედაც მიბმული იყო ბაწრის გორგალი, და სამი ძველი, დაჟანგული ლითონის რგოლი.

- აბა, რას იტყვით, ჩემო მეგობარო, როგორ მოგწონთ ეს განძეულობა? - მკითხა ღიმილით, როცა ჩემი შეცბუნებული სახე დაინახა.

- საინტერესო კოლექციაა.

- ძალიან საინტერესო. ხოლო მასთან დაკავშირებული ისტორია კიდევ უფრო საინტერესოდ მოგეჩვენებათ.

- მაშ, ამ რელიქვიებს თავიანთი ისტორია აქვთ?

- მეტიც, ისინი - თვითონ არიან ისტორიული.

შერლოკ ჰოლმსმა ის ძველისძველი ნივთები მაგიდის კიდეზე დაალაგა, თავის სავარძელში ჩაჯდა და კმაყოფილებისაგან მოციმციმე თვალებით დაუწყო თვალთვალი.

- ესაა ყველაფერი, - თქვა მან, - რაც სამახსოვროდ დავიტოვე «მესგრეივების სახლის საგვარეულო წესთან» დაკავშირებული საქმიდან. ჰოლმსს ადრეც არა ერთხელ უხსენებია ეს საქმე, მაგრამ ამ საქმის თაობაზე მისგან დაწვრილებითი ცნობების მიღება ვერა და ვერ მოვახერხე.

მაშინვე ვთხოვე, ამ საქმის ისტორია მიამბეთ-მეთქი.

- და დაულაგებელი დავტოვო მთელი ეს ხარახურა? - დაცინვით მიპასუხა ჰოლმსმა. - მერე თქვენ ხომ სანიმუშო წესრიგის მოყვარული ადამიანი ბრძანდებით? თუმცა, მართალი რომ ითქვას, მეც ძალიან დაინტერესებული ვარ, რომ თქვენს მატიანეს ეს ძალზე საინტერესო ამბავიც მიამატოთ, რადგან ამ საქმეში არის ისეთი დეტალები, რომლებიც ხდიან მას ერთადერთ შემთხვევად არა მარტო ინგლისის, არამედ სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის დანაშაულობათა ქრონიკაში. ჩემ მიერ გამოძიებულ საქმეთა კოლექცია სრული არ იქნება, თუ ეს უაღრესად ორიგინალური ისტორია არ დაემატება.

თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ «გლორია სკოტთან» მომხდარმა ამბავმა და ჩემმა საუბარმა იმ უბედურ მოხუცთან, რომლის ბედზეც გიამბეთ, პირველად ჩამაგონეს აზრი იმ პროფესიაზე, რომელიც შემდეგ ჩემი ცხოვრების გზად ავირჩიე. ახლა ჩემი სახელი ფართოდაა ცნობილი. მარტო უბრალო ხალხი კი არა, ოფიციალური წრეებიც კი სადავო საკითხების გადაჭრას მე მანდობენ ხოლმე. მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, უკვე მქონდა საკმაოდ მნიშვნელოვანი, თუმცა არცთუ ძალიან მდიდარი გამოცდილება. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, უოტსონ, როგორ მიჭირდა პირველად და რა დიდხანს ველოდი წარმატებას.

როცა ლონდონში პირველად ჩამოვედი, ბრიტანეთის მუზეუმის კუთხესთან, მონტეგიუსტრიტზე დავსახლდი. იცოცხლეთ, მაშინ ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და ვეწაფებოდი ცოდნის ყველა იმ დარგის შესწავლას, რომლებიც ჩემს პროფესიაში გამომადგებოდნენ. დროდადრო ძიების დარგში რჩევისათვისაც მომმართავდნენ ხოლმე. ეს ამბავი, მეტწილად, ჩემი ყოფილი ამხანაგი სტუდენტების რეკომენდაციით ხდებოდა, რადგან კოლეჯში სწავლის უკანასკნელ წლებში ჩემზე და ჩემს მეთოდებზე უკვე ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. მესამე ამბავი, რისთვისაც მე მომმართეს, იყო «მესგრეივების საქმე». ის ინტერესი, რაც გამოიწვია მოვლენების ამ უცნაურად გადახლართული ჯაჭვის გახსნამ და ის მნიშვნელოვანი წარმატება, რაც ჩემი ჩარევის უშუალო შედეგად მოხდა, აღმოჩნდა ჩემი ცხოვრების გზის განმსაზღვრელი პირველი ნაბიჯი და ჩემი ახლანდელი მდგომარეობის მყარი საფუძველი.

რეჯინალდ მესგრეივი და მე ერთ კოლეჯში ვსწავლობდით, და ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაში ვიყავით. იგი ჩვენს წრეში მაინცდამაინც არ უყვარდათ, ამბობდნენ, ქედმაღალიაო. მე ვგრძნობდი, რომ რეჯინალდ მესგრეივს ამით თავისი უკიდურესი მორცხვობა უნდოდა დაეფარა. გარეგნულად ის ტიპიურ არისტოკრატს მოგაგონებდათ: ნატიფსახიანს კარგა გრძელი ცხვირი ამშვენებდა, დიდთვალება გახლდათ და ხანდახან აგდებულად მოქცევა იცოდა, თუმცა დახვეწილი მანერები გააჩნდა. სინამდვილეშიც, მთელს სამეფოში ერთი უძველესი გვარის შთამომავალი იყო. ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ჩრდილოეთ მესგრეივების გვარს უმცროსი შტო გამოეყო და დასავლეთ სასექსში დამკვიდრდა. ამასთან ჰერლსტონის ციხე - მესგრეივების რეზიდენცია - ახლაც საგრაფოს ერთ უძველეს შენობად ითვლება.

ციხეს, რომელშიაც რეჯინალდ მესგრეივი დაიბადა, თავისი დაღი დაეჩნია მისი გარეგნობისათვის, და როცა მის ფერმკრთალ, მკვეთრ ნაკვთებიან სახესა და ამპარტავნულ მოყვანილობას შევცქეროდი, უნებურად ჟამთა დინებისაგან ჩამუქებული ციხის კოშკის თაღი, ცხაური ფანჯრები და ფეოდალური არქიტექტურის ყველა კეთილშობილური ნაშთი თვალწინ წარმომიდგებოდა ხოლმე. რეჯინალდ მესგრეივი ჩემი დაკვირვებისა და დასკვნების მეთოდებისადმი, ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იჩენდა.

ოთხი წელი ისე გავიდა, ერთმანეთი არ გვენახა და აი, ერთხელ დილით მონტეგიუსტრიტზე მესტუმრა. თითქმის არ შეცვლილიყო, საუცხოოდ ეცვა - მუდამ ასეთი სალუქი იყო - და შერჩენილი ჰქონდა მშვიდი მოხდენილობა, რითაც უწინაც გამოირჩეოდა.

ერთმანეთს მეგობრულად ჩამოვართვით ხელი და გულთბილად მოვიკითხე: - როგორ ცხოვრობთ, მესგრეივ? - ვკითხე მე.

- ალბათ გაიგებდით ჩემი საბრალო მამის გარდაცვალებას, - მომიგო მან. - ეს დაახლოებით ამ ორი წლის წინ მოხდა, რა თქმა უნდა, მაშინვე ჰერლსტონის მამულის მართვის მთელი სიმძიმე მე დამაწვა. ამას გარდა, ჩემი ოლქის დეპუტატიც ვარ, ასე რომ, ძალიან ცოტა დრო მრჩება. თქვენ კი, ჰოლმს, როგორც ამბობენ, გადაგიწყვეტიათ პრაქტიკულად გამოიყენოთ ის გამორჩეული ნიჭი, რითაც ასე გვაოცებდით ხოლმე?

- დიახ, ვუპასუხე მე. - ახლა ვცდილობ, გონების დახმარებით მოვიპოვო პური არსობისა.

- ძალიან მახარებს ამისი მოსმენა, რადგანაც ჩემთვის თქვენი რჩევა ახლა პირდაპირ მისწრება იქნება. ჰერლსტონში ძალიან უცნაური ამბები დატრიალდა, და პოლიციამ ვერაფერი გამოარკვია. რა უცნაური თავსატეხია.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა გრძნობით ვუსმენდი, უოტსონ. აკი ხელთ მეძლეოდა შემთხვევა, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ისეთი მწველი მოუთმენლობით ველოდი. სულის სიღრმეში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ შემეძლო წარმატების მიღწევა იქ, სადაც სხვებმა მარცხი განიცადეს, და ახლა საკუთარი თავის გამოცდის საშუალება მეძლეოდა.

- ყველაფერი დაწვრილებით მომიყევით! - შევძახე მე მოუთმენლად.

რეჯინალდ მესგრეივს პაპიროსი შევთავაზე. იგი ჩემს პირდაპირ დაჯდა და გააბოლა.

- უნდა გითხრათ, - დაიწყო მან, - რომ თუმცა უცოლო ვარ, ჰერლსტონში უამრავი მოსამსახურის შენახვა მიხდება. ციხე-დარბაზი მეტისმეტად დიდია, უთაურად არის აშენებული და ამიტომ გამუდმებული მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. ამას გარდა, მაქვს ნაკრძალი, და ხოხბებზე ნადირობის სეზონში ჩემს მამულში თავს იყრის დიდი საზოგადოება, რის გამოც მყავს რვა მოსამსახურე გოგო, მზარეული, უფროსი მსახური, ორი ლაქია, შიკრიკი ბიჭი, მებაღეები, მეჯინიბეები და კიდევ ვინ მოსთვლის, ათასი ჯანდაბა და დოზანა.

ამათგან ყველაზე მეტ ხანს ჩვენს ოჯახში უფროსი მსახური ბრანტონია. როცა იგი მამამ მსახურად აიყვანა, უადგილოდ იყო. მოკლე ხანში, სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი, თავისი ძლიერი ხასიათითა და ენერგიით ჩვენს სახლში შეუცვლელ ადამიანად იქცა.

ესაა წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი, დიდებული შუბლი აქვს და, თუმცა ჩვენს ოჯახში აგერ უკვე ოცი წელიწადია ცხოვრობს, წლოვანებით ორმოცზე მეტის არაა. შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, რომ ასეთი მიმზიდველი გარეგნობისა და

არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი ახალგაზრდა, რომელიც რამდენსამე ენაზე ლაპარაკობს და თითქმის ყველა მუსიკალურ საკრავზე უკრავს, ასე დიდხანს შეეგუა თავის უმნიშვნელო მდგომარეობას, მაგრამ, ეტყობა, თავს მუდამ კარგად გრძნობდა და ჩვენი სახლიდან წასვლა ჯერჯერობით არსად უცდია. ჰერლსტონელი მსახურთუფროსი ყოველთვის იქცევდა ყველა ჩვენი სტუმრის ყურადღებას.

მაგრამ ამ სრულყოფილებას აქვს ერთი ნაკლი: ქალების მოყვარულია და ჩვენს მივარდნილ მხარეში საკმაოდ ბევრი გამოუჩნდა.

ვიდრე ცოლი ჰყავდა, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ რაც დაქვრივდა, ძალიან ბევრ დავიდარაბას გადაგვკიდა. მართალია, რამდენიმე თვის უკან ცოტა დავმშვიდდით და გადავწყვიტეთ, რომ ყველაფერი ისევ მოგვარდა: ბრანტონმა ჯვარი დაიწერა რეჩელ ჰაუელზზე, ჩვენს უმცროს მოსამსახურე გოგოზე, - მაგრამ მალე მიატოვა და მას ჯენეტ ტრეჯელისი ამჯობინა. რეჩელი სანაქებო ქალიშვილი გახლავთ, მაგრამ, როგორც საერთოდ ყველა უელსელი მანდილოსანი, ძალიან ფიცხი და წონასწორობას მოკლებულია. ამას ისიც ზედ დაერთო, რომ ტვინის ანთება დაემართა და ლოგინად ჩავარდა. ამ ცოტა ხნის წინ, თითქოს მომჯობინდა და გუშინდლამდე ლანდადქცეული, ჩამომხმარი და გასაცოდავებული დაბორილებდა...

ასეთი იყო პირველი დრამა ჰერლსტონში, მაგრამ მეორემ მალე წაშალა იგი ჩვენი ხსოვნიდან, მით უფრო, რომ ამ დრამას წინ უძღოდა კიდევ ერთი დიდი მოვლენა: მსახურთუხუცესი ბრანტონი შერცხვენილი გავაგდე სახლიდან.

აი, როგორ მოხდა ეს. უკვე გითხარით, რომ ბრანტონი ძალიან ჭკვიანი იყო და როგორც ჩანს, სწორედ ჭკუა გახდა მისი დაღუპვის მიზეზი. ჭკუა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ალბათ სწორედ მან გაუღვიძა ბრანტონს მეტისმეტი ინტერესი იმ საგნებისადმი, რომელთაც არაფერი დამოკიდებულება მასთან არ ჰქონდათ. აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ეს ამბავი ასე შორს წაიყვანდა, მაგრამ უბრალო შემთხვევამ თვალი ამიხილა.

როგორც უკვე გითხარით, ჩვენი სახლი უთაურადაა აშენებული. მეტისმეტად ბევრი შესასვლელი და გასასვლელი აქვს. წინა კვირას - უფრო სწორად, ხუთშაბათს, ღამით - ვერაფრით ვერ დავიძინე, რადგან სისულელე ჩავიდინე და სადილის შემდეგ ერთი ფინჯანი მაგარი ყავა დავლიე. ღამის ორ საათამდე ვიწვალე და როცა დავრწმუნდი, რომ მაინც ვერ დავიძინებდი, სანთელი ავანთე, რათა დაწყებული რომანის კითხვა გამეგრძელებინა. სწორედ იმ დროს გამახსენდა, რომ წიგნი საბილიარდოში დამრჩა, ამიტომ ხალათი მოვისხი და მოსატანად წავედი.

საბილიარდოში რომ შევსულიყავი, საჭირო იყო კიბით დაბლა დაშვება და იმ დერეფნის გადაკვეთა, რომელიც ბიბლიოთეკისა და იარაღის საცავისაკენ გადიოდა. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ამ დერეფანში შესულმა, შევნიშნე სუსტი შუქი, რაც ბიბლიოთეკის ღია კარიდან გამოდიოდა! დაწოლის წინ ჩემი ხელით ჩავაქრე იქ ლამპა და კარიც დავხურე. ცხადია, ჩემი პირველი აზრი ის იყო, სახლში ქურდები შემოპარულან-მეთქი. ჰერლსტონში დერეფნის კედლებს ყველგან ძველებური იარაღი ამშვენებს. ეს ჩემი წინაპრების სამხედრო დავლა-ალაფია. ერთ-ერთი კედლიდან წათი ჩამოვიღე, სანთელი იატაკზე დავდგი, ფეხის წვერებზე უჩუმრად გავიარე დერეფანი და ღია კარიდან ბიბლიოთეკაში შევიხედე.

მსახურთუხუცესი ბრანტონი ტანსაცმლიანი იჯდა სავარძელში. მუხლებზე გეორგაფიული რუკის მსგავსი ქაღალდი გაეშალა და ღრმად ჩაფიქრებული დასცქეროდა. განცვიფრებისაგან გაქვავებული, უძრავად ვიდექი და სიბნელიდან ასე ვუთვალთვალებდი. ოთახი სანთლის შუქით სუსტად იყო განათებული. უეცრად ბრანტონი წამოდგა, მივიდა საწერ მაგიდასთან, კედელთან რომ იდგა, და ერთ-ერთი

უჯრა გამოსწია. იქიდან რაღაც ქაღალდი აიღო, ისევ ძველ ადგილზე დაჯდა, ქაღალდი სანთლის ახლო მაგიდაზე დადო, ხელი გადაუსვა და გულმოდგინედ სინჯვა დაუწყო.

ჩვენი საგვარეულო დოკუმენტების ასე საგულისხმოდ შესწავლამ ისე გამაშმაგა, რომ თავი ვერ შევიკავე და ნაბიჯი წინ წავდგი. ბრანტონის მზერა ქაღალდს მოწყდა. კარებში მდგარი რომ დამინახა, წამოვარდა, სახეზე მკვდრისფერი დაედო და აჩქარებით იტაკა ჯიბეში ის ქაღალდი, რაც რუკას ჰგავდა.

- ჩინებულია! - ვთქვი მე. - აი, როგორ ამართლებთ ჩვენს ნდობას! ხვალიდან დათხოვნილი ხართ.

თავი დამიკრა და გვერდით ისე ჩამიარა, რომ სიტყვა არ დაუძრავს. სანთლის ნამწვი მაგიდაზე დარჩა და მის შუქზე დავხედე იმ ქაღალდს, ბრანტონმა რომ მაგიდის უჯრიდან ამოიღო. ჩემდა განსაცვიფრებლად შევნიშნე, ეს იყო არა რომელიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, არამედ ასლი იმ კითხვა-პასუხისა, რომელსაც წარმოთქვამდნენ ერთ-ერთი ორიგინალური ძველებური წეს-ჩვეულების შესრულებისას, რასაც ეწოდება «მესრგეივების სახლის საგვარეულო წესი». აი უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ჩვენს გვარში ყოველი სრულწლოვანი მამაკაცი ასრულებს ცნობილ ცერემონიალს, რაც საინტერესოა მხოლოდ ამ ოჯახის წევრებისათვის და შეიძლება რომელიმე არქეოლოგიისათვისაც - როგორც მთელი ჩვენი ჰერალდიკა - მაგრამ არავითარი პრაქტიკული გამოყენება კი არა აქვს.

- ამ ქაღალდს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, - ვუთხარი მე მესგრეივს.

- თუ იგრძნობთ, რომ ეს ნამდვილად აუცილებელია... - ერთგვარი ყოყმანით მიპასუხა თანამოსაუბრემ. - ამრიგად, განვაგრძობ ფაქტების გადმოცემას. დავკეტე ბიურო გასაღებით, რაც ბრანტონს დარჩა და წასასვლელად მოვემზადე, როცა უეცრად გაოცებულმა შევნიშნე, რომ მსახურთუფროსი შემობრუნებულა და ჩემ წინ დამდგარა.

«მისტერ მესგრეივ, - შესძახა მღელვარებისაგან ჩახრინწიანებული ხმით, - მე ვერ ავიტან შერცხვენას! პატარა კაცი ვარ, მაგრამ თავმოყვარეობა გამაჩნია და შეურაცხყოფა ბოლოს მომიღებს, ხოლო ჩემი სიკვდილი ცოდვად დაგაწვებათ, სერ, თუ სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანთ! გევედრებით, თუ შეუძლებლად მიგაჩნიათ ჩემი დატოვება ამ სახლში, მას შემდეგ, რაც მოხდა, მომეცით ერთი თვის ვადა, რათა შევძლო იმის თქმა, რომ თითქოს ჩემი სურვილით მივდივარ. ხოლო გაგდება იმ მსახურთა დასანახავად, რომლებიც ასე კარგად მიცნობენ, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება!»

«თქვენ იმად არ ღირხართ, რომ კაცმა ამდენი რიდი და თავაზი გამოიჩინოს, ბრანტონ, - ვუპასუხე მე. - თქვენი საქციელი პირდაპირ აღმაშფოთებელია, მაგრამ რაკი ჩვენს სახლში ამდენი წელი გიმსახურიათ, საქვეყნო შერცხვენას მოვერიდები. თვე კი - მაინც მეტად დიდი ვადაა. შეგიძლიათ წახვიდეთ ერთ კვირაში და რა საბაბიც გინდათ, ის გამოიგონეთ».

«ერთ კვირაში, სერ? - შესძახა სასოწარკვეთილებით. - მომეცით თუნდაც ორი კვირა!»

«ერთ კვირაში, - გავუმეორე, - და ჩათვალეთ, რომ ძალიან ლმობიერად მოგექცნენ».

თავი დაბლა ჩაჰკიდა და სრულიად განადგურებული, ნელა გამშორდა. მე კი სანთელი ჩავაქრე და ჩემს საძინებელ ოთახს მივაშურე.

მომდევნო ორი დღის განმავლობაში ბრანტონი უაღრესად გულმოდგინედ ასრულებდა თავის მოვალეობას. არც შემიხსენებია მისთვის, რაც მოხდა.

ცნობისმოყვარეობით მოველოდი, რას მოიფიქრებდა, რომ თავისი სირცხვილი დაეფარა. მაგრამ მესამე დღეს, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ბრძანებების მისაღებად ჩემთან არ შემოსულა. საუზმის შემდეგ, სასადილოდან გამოსვლისას, შემთხვევით მსახურ გოგოს რეჩელ ჰაუელზს გადავეყარე. როგორც გითხარით, იმ გოგომ ცოტა ხნის წინათ მოიკეთა და ისეთი დაქანცული გამომეტყველება ჰქონდა, რომ კიდევაც დავტუქსე:

«არ უნდა ამდგარიყავით ლოგინიდან, - მომჯობინდით და მერე შეუდექით საქმეს», - ვუთხარი მე.

ისეთი უცნაური გამომეტყველებით შემომხედა, რომ გავიფიქრე, ავადმყოფობამ ალბათ ამ ქალის გონებაზეც იმოქმედა-მეთქი.

«უკვე მოვმაგრდი, მისტერ მესგრეივ», - მიპასუხა ნაავადმყოფარმა.

«ვნახოთ, რას იტყვის ექიმი, - შევესიტყვე მე. - ჯერჯერობით კი მიატოვეთ სამუშაო და ძირს ჩადით. ჰო, უთხარით ბრანტონს, ჩემთან მოვიდეს».

«მსახურთუფროსი გაქრა», - თქვა გოგომ.

«გაქრა?! როგორ თუ გაქრა?!»

«გაქრა. არავის უნახავს. ოთახში არაა. დიახ, დიახ, გაქრა!»

კედელს მიეყრდნო და ისტერიული ხარხარი მორთო. მისი ასეთი სულიერი აღელვებით შეშინებული, პატარა ზარს მივვარდი და მშველელს ვუხმე. ქალიშვილი თავის ოთახში წაიყვანეს. საცოდავი განუწყვეტლივ ხარხარებდა და ქვითინებდა. მე კი ბრანტონის ამბის გამოკითხვა დავუწყე. ეჭვი არ იყო - ის მართლაც გაქრა. ლოგინი ხელუხლებელი დაეტოვებინა, და წინა საღამოს მერე არავის ენახა. ძნელი წარმოსადგენი კი იყო, მაინც, რანაირად წავიდა სახლიდან, რადგან დილით კარ-ფანჯარა შიგნიდან აღმოჩნდა დაკეტილი. ბრანტონის ტანისამოსი, საათი, ფულიც კი - ყველაფერი მის ოთახში ხელუხლებელი აღმოჩნდა, ყველაფერი, გარდა შავი კოსტიუმისა, რომელსაც ჩვეულებრივ ატარებდა. არც ფოსტლები ჩანდა, მაგრამ ჩექმები კი ადგილზე იყო. სად უნდა წასულიყო ღამით მსახურთუფროსი ბრანტონი და რა უნდა დამართოდა?

რაღა თქმა უნდა, მთელი სახლი ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერსად ვიპოვეთ. ვიმეორებ, ჩვენი სახლი - ნამდვილი ლაბირინთია, მეტადრე მისი უძველესი ფრთა, აწ უკვე უკაცრიელი, მაგრამ მაინც ყოველი ოთახი გადავაქოთეთ, სხვენზეც კი ავაგზავნე ბიჭები. მთელი ჩვენი ძიება უშედეგო აღმოჩნდა, უბრალოდ არ მჯეროდა, რომ ბრატონს მთელი თავისი ავლადიდების მიტოვება და ისე წასვლა შეეძლო, მაგრამ კაცი არ ჩანდა და ამისათვის ანგარიში უნდა გაგვეწია. გამოვიძახე ადგილობრივი პოლიცია, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. წინა საღამოს გაწვიმდა და სახლის გარშემო კორდებისა და გზების დათვალიერებამ ძიებას არავითარი შედეგი არ მისცა... ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა ახალმა ამბავმა ჩვენი ყურადღება ამ გამოცანას სრულიად ჩამოაცილა.

ორი დღე-ღამის განმავლობაში რეჩელ ჰაუელზს ხან აბოდებდა, ხან ისტერიულად რაღაც გაუგებარს გაჰკიოდა. ისე ცუდად იყო, რომ ღამღამობით მომვლელი ქალი მივუჩინე. ბრანტონის გაუჩინარების მესამე ღამეს, რაკი ავადმყოფმა დამშვიდებით დაიძინა, მომვლელმა ქალმაც თავის სავარძელში ჩასთვლიმა. სისხამ დილით გაღვიძებულმა მომვლელმა ქალმა შენიშნა, რომ ლოგინი ცარიელია, ფანჯარა ღია და ავადმყოფი კი სადღაც გამქრალა. მაშინვე გამაღვიძეს, ორი ლაქია ვიახლე და დაკარგულის საძებნელად წავედი. ადვილად განვსაზღვრეთ მიმართულება, რომლითაც ქალი გაქცეულიყო: ფანჯრიდან დაწყებული ზედ გუბურამდე გადიოდა კვალი, ქრებოდა მხოლოდ ხრეშით დაფარულ გზაზე, რაც

ჩვენი სამფლობელოების საზღვრებს ჭრიდა. გუბურის სიღრმე ამ ადგილას რვა ფუტამდეა, და წარმოიდგინეთ, რა გრძნობა დაგვეუფლებოდა, როცა ვნახეთ, რომ საბრალო შეშლილი ქალიშვილის ფეხის ნაკვალევი ზედ გუბურასთან წყდებოდა. ცხადია, დაუყოვნებლივ ბარჯები მოვიმარჯვეთ და წყალში დამხრჩვალის ძებნას შევუდექით, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ. სამაგიეროდ წყლიდან ამოვიღეთ სრულიად სხვა საგანი. ეს იყო ჟანგმოდებული, ფერგადასული ლითონის ნამტვრევებითა და კაჟისა და მინის რაღაც უფერული ნამსხვრევებით გატენილი ტილოს ტომარა. ამ უცნაური ნადავლის გარდა სრულიად ვერაფერი ვიპოვეთ. ერთი სიტყვით, ვერც რეჩელ ჰაუელზისა გავიგეთ რამე და ვერც რიჩარდ ბრანტონის კვალს მივაკვლიეთ. ადგილობრივი პოლიცია სრულიად დაიბნა და ახლა მთელი ჩემი იმედი თქვენა ხართ...

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, უოტსონ, რა შეუნელებელი ინტერესით მოვისმინე მესგრეივის მონათხრობი იმ არაჩვეულებრივ მოვლენებზე, როგორ მინდოდა მათი ურთიერთდაკავშირება, რათა ერთიანი შთაბეჭდილება მიმეღო და მეპოვა გზის მაჩვენებელი ძაფი, რაც კვანძის გახსნამდე მიმიყვანდა!

მსახურთუხუცესი გაქრა. მოსამსახურე გოგო გაქრა. ოდესღაც მსახურ გოგოს უყვარდა მსახურთუფროსი, მაგრამ შემდეგ შესძაგდა, ქალი უელსის მკვიდრი იყო, ლაღი ბუნებისა და ვნებიანი. ბრანტონის დაკარგვის შემდეგ უაღრესად აღელვებული ჩანდა. გაიქცა და გუბურაში ჩააგდო ფრიად უცნაური ნივთებით სავსე ტომარა. ყველა ეს ფაქტი იმსახურებდა ყურადღებას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ხსნიდა საქმის არსს. სად უნდა მეძებნა ამ მოვლენების დახლართული ჯაჭვის დასაწყისი? ჩემს ხელთ ხომ მისი მხოლოდ უკანასკნელი რგოლი იყო...

- მესგრეივ, - მივმართე მე, - აუცილებლად უნდა ვნახო დოკუმენტი, რომლის შესწავლას თქვენი მსახურთუფროსი ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რომ მისი გულისათვის მშვენიერი ადგილის დაკარგვასაც კი არ მოერიდა.

- არსებითად, ეს ჩვენი «წესი» - წმინდა წყლის მიქარვაა, - მიპასუხა სტუმარმა, - და ერთადერთი რამ, რაც მას ამართლებს, ეს მისი სიძველეა. მე მაინც თან წამოვიღე კითხვა-პასუხის ასლი იმ შემთხვევისათვის, თუ მისი ნახვა მოგინდებოდათ.

ამ სიტყვებზე გამომიწოდა სწორედ ის ფურცელი, რასაც ახლა ჩემს ხელთ ხედავთ, უოტსონ. ეს წესი - ერთგვარი გამოცდაა, რაც უნდა ჩააბაროს მესგრეივების გვარის ყოველმა მამაკაცმა, რომელმაც სრულწლოვანებას მიაღწია. ახლა წაგიკითხავთ კითხვა-პასუხს იმ მიმდევრობით, როგორც აქ წერია:

«ვის ეკუთვნის ეს?»

«მას, ვინც წავიდა».

«ვისი კუთვნილება იქნება?»

«იმისი, ვინც მოვა».

«რომელ თვეში იყო ეს?»

«მეექვსეში».

«სად იყო მზე?»

«მუხის თავზე».

«სად იყო ჩრდილი?»

«თელის ქვეშ».

«რამდენი ნაბიჯი უნდა გადაიდგას?»

«ჩრდილოეთისაკენ - ათი და ათი, აღმოსავლეთისაკენ - ხუთი და ხუთი, სამხრეთისაკენ - ორი და ორი, დასავლეთისაკენ - ერთი და ერთი, და მერე ქვემოთ».

«რას მივცემთ ამისათვის?»

«ყველაფერს, რაც გაგვაჩნია».

«რისი გულისათვის მივცემთ ამას?»

«მოვალეობის გულისათვის».

- დედანში თარიღი არაა, - შენიშნა მესგრეივმა, - მაგრამ ხელნაწერის ორთოგრაფიის მიხედვით მეჩვიდმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. მე კი მგონია, რომ ის ბევრს ვერაფერს დაგვეხმარება ჩვენი საიდუმლოს გამოცნობაში.

- სამაგიეროდ ჩვენ წინაშე მეორე ამოცანა წამოიჭრა, - ვუპასუხე მე, - კიდევ უფრო თავსატეხი და საინტერესო, შეიძლება მისი ახსნით ბრანტონის უცნაური საქციელიც ავხსნათ. იმედი მაქვს არ გეწყინებათ, მესგრეივ, თუ გეტყვით, რომ თქვენი მსახურთუფროსი ძალიან ჭკვიანი ადამიანია, მეტი გამჭრიახობისა და ალღოს მფლობელი, ვიდრე მის ბატონთა ათი თაობა».

«სიმართლე გითხრათ, თქვენი ქარაგმული ლაპარაკისა არაფერი მესმის რა, - მიპასუხა მესგრეივმა, - მე მგონია, ამ ქაღალდს არა აქვს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა».

«მე კი უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი მგონია და როგორც ჩანს, ბრანტონიც იმავე აზრისა გახლდათ. ვფიქრობ, იმ ღამეს დანაშაულის ადგილზე წასწრებამდეც ნანახი ექნებოდა».

«სავსებით შესაძლებელია. ამ ქაღალდს არასოდეს არ ვმალავდით. მოსალოდნელია, რომ უბრალოდ სურდა მეხსიერებაში ბეჯითად აღედგინა მისი შინაარსი. რამდენადაც გავიგე, ხელში ეჭირა რაღაც რუკა ან გეგმა, რასაც ხელნაწერს ადარებდა, და როგორც კი დაგინახათ, ჯიბეში შეინახა, არა?»

«სავსებით სწორია. მაგრამ რისთვის დასჭირდა ჩვენი ძველებური საოჯახო წეს-ჩვეულებების გახსენება და რას ნიშნავს მთელი ეს ბოდვა?»

- იმედი მაქვს ამას იოლად ამოვხსნით, - ვუპასუხე მე. - თქვენი ნებართვით, პირველსავე მატარებელს გავყვებით სასექსში და საქმეს ადგილზე უფრო ღრმად გავეცნობით».

ჰერლსტონში იმავე დღეს ჩავედით. ალბათ გქონიათ შემთხვევა, უოტსონ, გენახათ ამ სახელგანთქმული ძველებური ციხე-დარბაზის გამოსახულება ან მისი აღწერა წაგიკითხავთ, ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ აქვს ასო «დ» მოყვანილობა, ამასთან მისი გრძელი ფრთა უფრო თანამედროვეა, მოკლე კი - უფრო ძველი, ასე ვთქვათ, ჩანასახი, რაზედაც შემდგომში მთელი შენობა დაუფუძნებიათ: ძველებური ნაწილის ცენტრში, დაბალი მძიმე კარის ზემოთ, ამოკვეთილია თარიღი «1607»; მაგრამ სიძველეთა მცოდნენი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ქვის ბალავარი და ხის ძელები ბევრად უფრო ძველია. შენობის ამ ნაწილის ზღაპრულად სქელმა კედლებმა და პაწაწინა ფანჯრებმა გასულ საუკუნეში აიძულეს მეპატრონეები ნაგებობისათვის მიეშენებინათ ახალი ფრთედი და ახლა ძველი შენობა მხოლოდ საკუჭნაოს ან სარდაფის მოვალეობას ასრულებს და მისი ნაწილი ფართობი გამოუყენებელიცაა. შენობას გარშემო აკრავს გამოუყენებელი ბრწყინვალე პარკი, თვალს იტაცებენ მშვენიერი ძველისძველი მოშრიალე ხეები, ხოლო ტბა ან გუბურა, ჩემმა კლიენტმა რომ მოიხსენია, სახლიდან ორას იარდზე ხეივნის ბოლოშია.

იმ დროისათვის, უოტსონ, უკვე მტკიცე რწმენა შემექმნა, რომ ჩემს წინაშე იყო მხოლოდ ერთი და არა სამი გამოცანა. თუ მოვახერხებდი მესგრეივების საგვარეულო წესის აზრში ჩაწვდომას, ეს იქნებოდა მსახურთუფროს ბრანტონისა და მსახურ გოგო ჰაუელზის გაქრობის საიდუმლოების ამოხსნაც. მთელი ჩემი გონებრივი ძალაც სწორედ ამ მხრივ წარვმართე. რატომ ცდილობდა ასე დაჟინებით ბრანტონი ამ ძველებური ფორმულის არსში ჩაწვდომას? ალბათ იმიტომ, რომ მასში ნახა რაღაც

ისეთი, რაც შეუმჩნეველი დარჩა ციხე-დარბაზის წარჩინებულ მფლობელთა ყველა თაობას, - რაღაც ისეთი, რისგანაც რაიმე პირად სარგებლობას გამოელოდა. რა იყო ეს და რა ზეგავლენა უნდა მოეხდინა მსახურთუფროსის შემდგომ ბედზე?

როცა ქაღალდი წავიკითხე, ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ იქ ქარაგმულად იყო მინიშნება გარკვეულ ადგილზე. სწორედ იმ ადგილას იქნებოდა ის, რაზედაც ლაპარაკი იყო დოკუმენტის პირველ ნაწილში. თუ იმ ადგილს აღმოვაჩენდით, საიდუმლოებით მოცულ ამბავსაც ფარდა აეხდებოდა. ეს იქნებოდა ამოხსნა იმ საიდუმლოებისა, რომლის ეგზომ თავისებურ საბურველში გახვევაც მესგრეივების წინაპრებმა მიიჩნიეს საჭიროდ. ძიების საწყისისათვის მოცემული იყო ორი ორიენტირი: მუხა და თელა. რაც შეეხება მუხას, აქ საეჭვო არაფერი იყო. პირდაპირ სახლის წინ, ბილიკის მარცხნივ, იდგ ბერმუხა-პატრიარქი, ერთი უწარჩინებულესი ხე, როგორიც კი ოდესმე მინახავს.

«ეს მუხა ალბათ უკვე არსებობდა, როცა თქვენი «საგვარეულო წესი» დაიწერა?» - ვუთხარი მესგრეივს.

«დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მუხა აქ ჯერ კიდევ ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობამდე იქნებოდა, - მიპასუხა მესგრეივმა. - იგი ოცდასამი ფუტია გარშემო».

ამრიგად, ჩემთვის საინტერესო ერთი მუხლი უკვე ამოხსნილი იყო.

«არის აქ ძველი თელები?» - ვკითხე მასპინძელს.

«აქვე იდგა ერთი ძალიან ძველი თელა, მაგრამ ამ ათი წლის წინ მეხი დაეცა და ძირში მოვჭერით».

«იცით ის ადგილი, სადაც ის თელა იდგა?»

«რა თქმა უნდა, ვიცი».

«ახლომახლო თელის სხვა ხეები თუ არის?»

«ძველი არა, ნორჩები კი - რამდენიც გნებავთ».

«მინდა ვნახო, სად იდგა ის ძველი თელის ხე».

მესგრეივმა შინ შეუსვლელად მიმიყვანა იმ ადგილას, სადაც ის ბებერი თელა მდგარა. ეს იყო სახლიდან მუხისაკენ მიმავალ სწორედ შუა გზაზე. ჯერჯერობით ჩემი ძიება წარმატებით მიდიოდა.

«იმ თელის სიმაღლის გარკვევა ახლა ალბათ უკვე შეუძლებელი იქნება?» - ვკითხე მესგრეივს.

«ახლავე შემიძლია გიპასუხოთ: სამოცდაოთხი ფუტი გახლდათ».

«ეს რანაირად გამოარკვიეთ?» - შევძახე გაოცებულმა.

«ჩემი მოხუცი შინაური მასწავლებელი ტრიგონომეტრიაში ამოცანებს მაძლევდა, ყველა მათგანი კი სიმაღლის გაზომვაზე იყო აგებული. ამიტომ ბავშვობაშივე გავზომე ყველა ხე და ჩვენი მამულის ყოველი შენობა».

ეს კი მოულოდნელი ბედი მეწია! ჩემთვის საჭირო ცნობებს უფრო სწრაფად ვკრებდი, ვიდრე ოცნება შემეძლო.

«მითხარით, გეთაყვა, თქვენს მსახურთუფროსს ხომ არ დაუსვამს თქვენთვის მსგავსი შეკითხვა?» - ჩავეძიე მე.

რეჯინალდ მესგრეივმა გაკვირვებით შემომხედა.

«ახლა, როცა შემეკითხეთ, - თქვა მან, - მაგონდება, რომ ამ რამდენიმე თვის უკან ბრანტონმა ნამდვილად მკითხა ამ ხის სიმაღლე. მგონი, ამის თაობაზე ისა და გრუმი გაცხარებით დავობდნენ».

ეს იყო ბრწყინვალე ცნობა, უოტსონ. მაშასადამე, სწორი გზით მივდიოდი. მზეს შევხედე. უკვე ჩადიოდა. თვალით განვსაზღვრე, რომ ერთ საათზე მოკლე

დროში სწორედ ბებერი მუხის ზედა ტოტების თავზე აღმოჩნდებოდა. ამრიგად, დოკუმენტში მოხსენებული ერთი პირობა შესრულებული იქნებოდა. რაც შეეხება თელის ჩრდილს, ალბათ ლაპარაკი იყო მის უშორეს წერტილზე - სხვა შემთხვევაში მიმართულების მაჩვენებლად აირჩევდნენ არა ჩრდილს, არამედ ღეროს. მაშასადამე, ახლა უნდა განმესაზღვრა, თუ სად ეცემოდა თელის ჩრდილის ბოლო იმ მომენტში, როცა მზე პირდაპირ მუხის თავზე დადგებოდა...

- ეს ალბათ არ იყო ადვილი საქმე, ჰოლმს? თელა ხომ აღარ არსებობდა!

- ცხადია. მაგრამ ვიცოდი, რომ თუ ამას ბრანტონი გააკეთებდა, მეც შევძლებდი. გარდა ამისა, ეს არც ისე ძნელი იყო. მესგრეივთან ერთად შევედი მის კაბინეტში და გამოვჭერი აი, ეს პალო, რომელსაც მივაბი გრძელი ბაწარი და ზედ ნასკვებით იარდები აღვნიშნე. შემდეგ ორი სადავე შევკარი და მივიღე ექვსი ფუტი. ამის შემდეგ მე და ჩემი კლიენტი უკან დავბრუნდით იმ ადგილზე, სადაც ოდესღაც თელა მდგარიყო. მზე ამ დროს სწორედ მუხის კენწეროს გაუსწორდა. ჩემი ჭოკი მიწაში ჩავარჭე, ჩრდილის მიმართულება აღვნიშნე და გავზომე. ცხრა ფუტი აღმოჩნდა.

ჩემი შემდგომი გამოთვლები სრულიად მარტივი იყო. თუ ექვსი ფუტის სიმაღლის ჭოკი ცხრა ფუტის სიგრძის ჩრდილს აყენებდა, მაშინ სამოცდაოთხი ფუტი სიმაღლის ხეს ოთხმოცდათექვსმეტი ფუტის სიმაღლის ჩრდილი უნდა ჰქონოდა. ეს მანძილი გავზომე. გაზომვამ თითქმის ზედ სახლის კედელთან მიმიყვანა, და ეს ადგილი პალოთი დავნიშნე. წარმოიდგინეთ ჩემი ზეიმი, უოტსონ, როცა პალოდან ორ დუიმზე მიწაში კონუსის ფორმის ორმო აღმოვაჩინე! მივხვდი, რომ ეს ბრანტონის მიერ დასმული ნიშანი იყო. და მე მის კვალს მივყვებოდი.

ამ ამოსავალი წერტილიდან დავიწყე ნაბიჯების გადაზომვა, ისე რომ წინასწარ ჯიბის კომპასის შემწეობით განვსაზღვრე, საით იყო ჩრდილოეთი და საით დასავლეთი. ათი ნაბიჯი და კიდევ ათი (ალბათ, იგულისხმებოდა, რომ საჭირო იყო ორივე ფეხის ათჯერ გადადგმა). მინიშნებულზე მიყოლა ჩრდილოეთის მიმართულებით სახლის კედლის პარალელურად მოგვიხდა. გადავზომე ეს მანძილიც და პალოთი აღვნიშნე. შემდეგ გულმოდგინედ გადავთვალე ხუთი და ხუთი ნაბიჯი აღმოსავლეთისაკენ, ორი და ორი - სამხრეთისაკენ. ასე მივედი ზედ ძველებური კარის ზღურბლთან. რჩებოდა ერთი და ერთი ნაბიჯის გადადგმა დასავლეთისაკენ, მაგრამ მაშინ ქვის ფილებით დაგებული დერეფანი უნდა გამევლო. ნუთუ ეს იყო დოკუმენტში ნაჩვენები ადგილი?

ჩემს სიცოცხლეში არ განმიცდია ასეთი მწარე იმედგაცრუება, უოტსონ. ერთ წუთს მომეჩვენა, რომ გამოთვლაში რაღაც არსებითი შეცდომა დავუშვი. ჩამავალი მზე ცხოველი სხივებით აშუქებდა დერეფნის იატაკს, და მე ვნახე, რომ ეს ძველებური გაცვეთილი, ნახევრად დამტვრეული ქვის ფილები მტკიცედ იყო შედუღაბებული და რა თქმა უნდა, მრავალი წლის განმავლობაში ადგილიდან არ დაძრულან. ცხადი იყო, ბრანტონი მათ არ შეხებია. იატაკზე დავაკაკუნე რამდენიმე ადგილას, მაგრამ ყველგან ერთნაირი ხმა ისმოდა. ბზარის ან ხვრელის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა.

საბედნიეროდ, მესგრეივმა, რომელიც უკვე ხვდებოდა ჩემი მოქმედების მნიშვნელობას და ჩემზე არა ნაკლებ იყო აღელვებული, დოკუმენტი ამოიღო, რათა ჩემი ვარაუდი შეემოწმებინა.

«და ქვევით! - შესძახა ანაზდად. - თქვენ დაგავიწყდათ ეს სიტყვები: «და ქვევით».

ვფიქრობდი, ამ ადგილას ის პატარა ორმო იგულისხმებოდა, მაგრამ ახლა ერთბაშად აშკარა გახდა, რომ ვცდებოდი.

«მაშ, ამ ადგილას სარდაფი გაქვთ?» - შევძახე მე.

«დიახ, ამ სახლივით ძველი სარდაფია. ჩქარა ძირს, ამ კარიდან!»

დაბლა ქვის ხვეული კიბით დავეშვით. ჩემმა თანამგზავრმა ასანთს გაჰკრა და კუთხეში კასრზე მდგარი დიდი ფარანი აანთო. იმავე წამს დავრწმუნდით, რომ სწორედ მინიშნებულ ადგილას მოვხვდით. და რომ ჩვენზე ადრე აქ ვიღაც ყოფილა.

ამ სარდაფში თურმე შეშას ინახავდნენ, მაგრამ ნაფოტები, რომლებიც ალბათ მთელ იატაკს ფარავდნენ, ახლა კედლებისკენ მიეყარათ, რათა შუა ადგილი გაეთავისუფლებინათ. სწორედ იმ ადგილას შევნიშნეთ ფართო და მძიმე ქვის ფილა, რომელსაც შუაში ჟანგმოდებული რკინის რგოლი ჰქონდა, რგოლზე კი ვიღაცას კუბოკრული მაგარი შარფი მიება.

«ეშმაკმა დალახვროს, ეს ხომ ბრანტონის შარფია! - შესძახა მესგრეივმა. - არა ერთხელ მინახავს ეს შარფი მის კისერზე. მაგრამ აქ რა უნდა გაეკეთებინა იმ არამზადას?»

შარფს დავებღაუჭე, მაგრამ ქვა ადგილიდან ძლივს დავძარი.

ჩემი თხოვნით ორი ადგილობრივი პოლისმენი გამოიძახეს და მათი დახმარებით ვცადე ფილის აწევა. მხოლოდ კონსტებლის დახმარებით შევძელი უზარმაზარი ფილის განზე გაჩოჩება. ფილის ქვეშ შავ ორმოს დაეღო პირი და ყველამ შიგ ჩავიხედეთ. მესგრეივმა ჩაიმუხლა და ორმოში ფარანი ჩაანათა.

ორმო ვიწრო კვადრატული ფორმისა იყო. სიღრმით შვიდიოდე და სიგანით კი ოთხ ფუტზე დიდი არ იქნებოდა. კედელთან დაბალი, სპილენძით შემოჭედილი ხის ზანდუკი შევნიშნეთ. სახურავი გადახდილი ჰქონდა. ბოქლომის ნასვრეტში ჩანდა აი, ეს ძველებური გასაღები. ზანდუკი გარედან მტვრის სქელ ფენას დაეფარა. სინესტესა და ჭიებს ხე ისე დაეჭამათ, რომ შიგნითაც კი ობი მოსდებოდა. რამდენიმე ლითონის რგოლი - ისეთივე, როგორსაც აქ ხედავთ - და ალბათ ძველებური მონეტები ძირზე ეყარა. მეტი ზანდუკში არაფერი არ იყო.

მაგრამ პირველ წუთს ძველ ზანდუკს არც ვუყურებდით. ჩვენი მზერა მიპყრობილი იყო იმისადმი, რაც მის გვერდით ჩანდა. ვიღაც შავ კოსტიუმში გამოწყობილ, ჩაცუცქულ მამაკაცს თავი ზანდუკის კიდეზე დაეხარა და მისთვის ორივე ხელი მაგრად ჩაევლო. სახე გალურჯებული და ისე დამახინჯებული ჰქონდა, რომ საცნაურობა დაკარგვოდა, მაგრამ როცა ავწიეთ, რეჯინალდ მესგრეივმა ტანის მოყვანილობით, სამოსითა და თმით მაშინვე ამოიცნო თავისი დაკარგული მსახურთუფროსი. ბრანტონი რამდენიმე დღის მკვდარი იყო, მაგრამ ტანზე არც ჭრილობები ჰქონდა და არც სისხლის ნაჟღენთები, რომელთაც მისი საშინელი აღსასრულის ახსნა შეეძლებოდათ. როცა გვამი სინათლეზე ამოვათრიეთ, ჩვენ აღმოვჩნდით არა ნაკლებ თავსატეხი გამოცანის წინაშე, ვიდრე იყო ის, რაც ესაა გადავწყვიტეთ.

უნდა ვაღირო, რომ ჩემი ძიების შედეგებმა იხტიბარი გამიტეხეს. ვვარაუდობდი, საკმარისია ძველ დოკუმენტში ნაჩვენები ადგილი ვიპოვო, ყველაფერი თავისთავად ნათელი გახდება-მეთქი, და აი, ვიდექი მინიშნებულ ადგილას, მაგრამ ამოხსნა იმ საიდუმლოებისა, რასაც ასე გულმოდგინედ ფარავდა მესგრეივების ოჯახი, ისევე შორს ჩანდა, როგორც თავდაპირველად. მართალია, შუქი მოვფინე ბრანტონის ბედს, მაგრამ ახლა უნდა დამედგინა, რანაირად ჰპოვა მსახურთუფროსმა ასეთი აღსასრული და რა როლი ითამაშა ამ ამბავში დაკარგულმა ქალმა. კასრზე ჩამოვჯექი და გონების თვალით მომხდარი ამბის ყველა წვრილმანი ავწონ-დავწონე...

თქვენ იცნობთ ჩემს მეთოდს ასეთ საქმეებში, უოტსონ: ჩემს თავს მოქმედი პირის ადგილზე ვაყენებ ხოლმე, და პირველ რიგში მისი გონებრივი დონის გათვალისწინებით ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორ მოვიქცეოდი ანალოგიურ შემთხვევაში. ბრანტონი, როგორც რამდენჯერმე უკვე გითხარით, იყო არაჩვეულებრივი გონების კაცი. სწორედ ამიტომ ჩემსა და მის გონებრივ დონეთა შორის განსხვავების გათვალისწინება არ დამჭირდა. ბრანტონმა იცოდა, რომ სადღაც დამალულია რაღაც ძვირფასი განძი. კიდევაც განსაზღვრა, სად. დარწმუნდა, რომ ქვა, რაც მიწისქვეშ ჩაღწევას აბრკოლებდა, ასაწევად, ერთი ადამიანისათვის მეტისმეტად მძიმე რამ იყო. როგორ უნდა მოქცეულიყო? გარეშე დამხმარეს ვერ მოიყვანდა. ამიტომ თანაშემწე თვით სახლში უნდა ეპოვა. მაგრამ ვისთვის უნდა მიემართა ბრანტონს? რეჩელ ჰაუელზი ოდესღაც მისი ერთგული ქალი იყო და ბრანტონმა აკი ცოლადაც შეირთო. მამაკაცს, რა ცუდადაც არ უნდა მოექცეს ქალს, არასოდეს არ სჯერა, რომ ქალის სიყვარული სამუდამოდ დაკარგა. ეტყობა, რაღაც ყურადღების ნიშნების საფუძველზე ბრანტონი შეეცადა რეჩელთან შერიგებას, შემდეგ კი თანამზრახველობაზე დაითანხმა. ღამით ერთად დაეშვნენ სარდაფში და საერთო ძალით მოახერხეს ქვის ადგილიდან დაძვრა. აქამდე მათი მოქმედება ჩემთვის ისე ნათელი იყო, თითქოს მათ მოქმედებას საკუთარი თვალით ვზვერავდი.

მაგრამ ორი ადამიანისათვისაც კი, მეტადრე თუ ერთი მათგანი სუსტი ქალი იყო, ქვის გადაწევა ადვილი საქმე არ იყო. ჩვენ თვითონ ორს - მე და ღონიერ სასექსელ პოლისმენს გაგვიჭირდა იმ ფილის გადაწევა. რა მოიმოქმედეს თანამზრახველებმა, რომ თავიანთი ამოცანა გაეადვილებინათ? ალბათ იგივე, რასაც მათ ადგილზე გავაკეთებდი. ყურადღებით დავათვალიერე იატაკზე დაყრილი შეშის ნაპობები და ვიპოვე ის, რის პოვნასაც ველოდი. სამიოდე ფუტის სიგრძის ერთ-ერთ ნაჩეხს თავი ოდნავ წატეხილი ჰქონდა, რამდენიმე სხვაც გაბრტყელებული აღმოჩნდა. ეტყობოდა, მნიშვნელოვანი სიმძიმე დასწოლოდათ. როგორც ჩანს, ფილის აწევის დროს ბრანტონი და მისი თანაშემწე ქალი შეშის ღეროებს ბერკეტებად ხმარობდნენ. მათ იმდენზე გადასწიეს ქვა, რომ შესაძლებელი გახდა დაბლა ჩაღწევა. ჯერჯერობით ყველა ჩემი ვარაუდი სრულიად საფუძვლიანი იყო.

როგორღა უნდა მემსჯელა შემდეგ, რათა სავსებით აღმედგინა ღამით მომხდარი დრამის სურათი? აშკარაა, ორმოში ჩასვლა შეეძლო მხოლოდ ერთ ადამიანს, და ეს ერთი იყო ბრანტონი. ქალიშვილი ალბათ მაღლა იცდიდა. ბრანტონმა ზანდუკი გააღო და ქალს ამოაწოდა ის, რაც შიგ ნახა (ეს აშკარა იყო, რადგან ყუთი ცარიელი აღმოჩნდა), შემდეგ კი... რა მოხდა შემდეგ?

ალბათ შურისძიების წყურვილი, რაც დიდი ხანი ღვიოდა ამ ფიცხი ქალის გულში, ცეცხლის ალად აენთო, როცა ნახა, რომ ის, ვინც აწყენინა, - ხოლო ეს წყენა კი ალბათ ბევრად უფრო მძიმეც იყო, ვიდრე მე შემეძლო წარმომედგინა - მის ხელთაა. ან იქნებ ქვას შემთხვევით გამოეცალა საყრდენი და უზარმაზარმა ფილამ ბრანტონი ქვის კუბოში ჩაკეტა? ასეა თუ ისე, რეჩელი დამნაშავეა მხოლოდ იმაში, რომ გაჩუმდა და მომხდარ ამბავზე არაფერი არა თქვა. ან იქნებ განზრახ გამოაცალა ქვას საყრდენი და ქვის ფილა თავის ადგილზე დაუშვა, რომ ბრანტონი ცოცხლად დაემარხა. თვალწინ მედგა შურის მაძიებელი რეჩელი, ალბათ გაალმასებული იკრავდა ნაპოვნ საუნჯეს მკერდში და ხვეულ კიბეზე არბოდა, რათა კვალდაკვალ დადევნებული ყრუ კვნესის, სასოწარკვეთილი ადამიანის გოდებისა და ქვის ფილაზე კაკუნის ხმისათვის თავი დაეღწია. იმ ქვის ფილის ქვეშ ხომ მისი მოღალატე მიჯნური იშთობოდა.

აი, რა ედო საფუძვლად მეორე დილით რეჩელის ფერწასულობას, მის მღელვარებას და ისტერიული სიცილის შემოტევებს. მაგრამ მაინც რა იყო ზანდუკში?

რა უყო ქალმა მონაპოვარს? უეჭველია, ეს იყო იგივე ნამუსრევი ძველი ლითონისა და ქვის ნამტვრევები, რაც პირველსავე შემთხვევაში გუბურაში ისროლა, რათა თავისი დანაშაულის კვალი დაეფარა...

ოციოდე წუთი ღრმა ფიქრებში წასული უძრავად ვიჯექი. ფერმიხდილი მესგრეივი იდგა, ფარანს არხევდა და ძირს, ორმოში იცქირებოდა.

«ეს კარლოს პირველის მონეტებია, - მითხრა და ზანდუკიდან ამოღებული რამდენიმე ძველი ფული გამომიწოდა, - ხედავთ, სწორად გაგვირკვევია ჩვენი «საგვარეულო წესის» შემოღების დრო».

«მგონი, კარლოს პირველის მემკვიდრეობიდან ზოგ რაიმეს კიდევ ვიპოვით, - შევძახე მე, როცა დოკუმენტის პირველი ორი კითხვა მომაგონდა. - მიჩვენეთ ტბიდან ამოღებულ ტომარაში ნაპოვნი ქონება».

მესგრეივის კაბინეტში ავედით, მასპინძელმა წინ დამილაგა ნამტვრევები. როგორც კი შევხედე, მივხვდი, რატომ არ მისცა მათ მესგრეივმა არავითარი მნიშვნელობა: ლითონი ჩაშავებული იყო, კენჭები კი მქრქალი და უფერული. მაგრამ ერთი მათგანი სახელოზე გადავისვი და ხელისგულზე ნაღვერდალივით აელვარდა. ლითონის ნაწილებს ორმაგი სალტის ფორმა ჰქონდათ, მაგრამ დაღუნულ-დაგრეხილები იყვნენ და თავდაპირველი ფორმა დაკარგოდათ.

«ალბათ გახსოვთ, - ვუთხარი მესგრეივს, - რომ მეფის პარტია უფროსობდა ინგლისში მისი გარდაცვალების შემდეგაც კი. ადვილი შესაძლებელია, რომ მისმა წევრებმა სადმე შეინახეს ყველაზე უფრო ძვირფასი ნივთები, რათა უფრო მშვიდობიან დროს დაბრუნებულიყვნენ და წაეღოთ».

«ჩემს წინაპარს, სერ რალფ მესგრეივს, თვალსაჩინო ადგილი სჭერია სასახლის კარზე და კარლოს მეორის მარჯვენა ხელი ყოფილა».

«აჰ, აი, რა ყოფილა! - შევძახე მაშინვე. - ესაა ჯაჭვის ის უკანასკნელი რგოლი, რაც გვაკლდა. გილოცავთ, მესგრეივ! თქვენ გახდით მფლობელი - მართალია, ფრიად ტრაგიკულ გარემოებაში, - ერთი რელიქვიისა, რაც უზარმაზარ ღირებულებას წარმოადგენს თავისთავად, და ამას გარდა გააჩნია კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა, როგორც ისტორიულ განძს და იშვიათობას».

«რა არის ასეთი?» - მკითხა საშინლად აღელვებულმა.

«არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისის მეფეთა ძველი გვირგვინი».

«გვირგვინი?»

«დიახ, გვირგვინი. გაიხსენეთ, რა არის ნათქვამი დოკუმენტში: «ვის ეკუთვნის ეს? - იმას, ვინც წავიდა». ეს დაწერილია კარლოს პირველის დასჯის შემდეგ. «ვისი კუთვნილება იქნება? - იმისი, ვინც მოვა». ლაპარაკია კარლოს მეორეზე, რომლის ტახტზე ასვლა იმ დროს უკვე იყო მოსალოდნელი. ამრიგად, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ამჟამად ეს დაჭყლეტილი და უფორმო დიადემა, ერთ დროს, სტიუარტების დინასტიის მეფეთა თავებს ამშვენებდა».

«მაგრამ რანაირად მოხვდა გუბურაში?»

«აი, ამ კითხვაზე კი ადამიანი უცებ ვერ უპასუხებ».

მე თანმიმდევრობით გადმოვუშალე მესგრეივს ჩემი ვარაუდები და საბუთები. მოსაღამოვდა. მთვარე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა ჩემი მოთხრობა დავასრულე.

«მაგრამ საინტერესოა, რატომ არ მიიღო თავისი გვირგვინი კარლოს მეორემ, როცა დაბრუნდა?» - იკითხა მესგრეივმა და ტილოს ტომარაში ჩააბრუნა ძვირფასი რელიქვია.

«ისეთი საკითხი წამოჭერით, მე და თქვენ ვერ გადავჭრით. ეტყობა, თქვენმა წინაპარმა მესგრეივმა, რომელიც საიდუმლოში განდობილი იყო, სიკვდილის წინ თავის პირდაპირ შთამომავალს დაუტოვა ის, რასაც თქვენ მესგრეივთა საგვარეულო წესს ეძახით, მაგრამ რატომღაც არ აუხსნა მემკვიდრეს მისი მნიშვნელობა. იმ დღიდან ჩვენს დრომდე დოკუმენტი მამიდან შვილზე გადადიოდა, ვიდრე ხელთ არ ჩაუვარდა იმ კაცს, რომელმაც შეძლო მისთვის საიდუმლოს გამოგლეჯა, მაგრამ სიცოცხლის ფასად კი დაუჯდა...»

ასეთია «მესგრეივთა სახლის საგვარეულო წესის» ისტორია, უოტსონ. გვირგვინი ახლაც ჰერლსტონშია, თუმცა ციხე-დარბაზის მფლობელთ ბევრი დავიდარაბა დასჭირდათ და საკმაოდ ბევრი ფულადი თანხაც დახარჯეს იმისათვის, რომ მემკვიდრეობით მათი კუთვნილი განძი, ჩვენს მესვეურთ, მათთანვე დაეტოვებინათ. თუ აზრად მოგივათ მისი ნახვა, რა თქმა უნდა, სიამოვნებით გიჩვენებენ, ოღონდ ჩემი სახელი უხსენეთ.

რაც შეეხება იმ ქალს, იგი უგზო-უკვლოდ გაქრა. როგორც ჩანს, სამშობლო მიატოვა და ოკეანის გადაღმა რომელიმე ქვეყანაში წაიღო მოგონება თავის დანაშაულზე.

უკაცრიელი სახლი

გრაფ რონალდ ადერის მკვლელობამ, რაც, 1894 წლის გაზაფხულზე, ძალიან უჩვეულო და იდუმალებით მოცულ გარემოებაში მოხდა, მთელი ლონდონი უაღრესად დააინტერესა, ხოლო მაღალი საზოგადოება შეაძრწუნა. ამ დანაშაულის ცალკეულ დეტალებს, რომელთა მიკვლევა პოლიციამ მოახერხა, თავის დროზე ფართო საზოგადოებრიობა გაეცნო, მაგრამ ძიების მასალები ისეთი მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ უმრავლესობა დაფარეს და არ გამოუქვეყნებიათ. და მხოლოდ ახლა, თითქმის ათი წლის შემდეგ, საშუალება მეძლევა შევავსო ფაქტების ეს განსაცვიფრებელი ჯაჭვი იმ რგოლებით, რომლებიც ამ საქმეს აკლია. დანაშაული ხომ თავისთავად იყო საინტერესო, მაგრამ მისი მიუწვდომელი შედეგები ჩემთვის ათასჯერ უფრო ყურადსაღები შეიქმნა. იმ შედეგებმა უფრო მეტად განმაცვიფრეს და შემაძრწუნეს, ვიდრე ყოველივე იმან, რაც ჩემს სიცოცხლეში გამომიცდია. ჩემი ცხოვრება კი ყოვლად უცნაური თავგადასავლებით გახლდათ აღსავსე. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, თავზარი დამეცემა ხოლმე, როცა ამ საქმეს ვიხსენებ, ისევ უნდობლობა, გაოცება და სიხარული მეუფლება, მაშინ რომ მოზღვავდნენ და სული ამიფორიაქეს. დაე, მკითხველებმა, რომელთაც შესანიშნავი ადამიანის საქმეებსა და ზრახვებზე, ჩემ მიერ შექმნილი მოთხრობებისადმი ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს, მაპატიონ, რომ ჩემი აღმოჩენა მაშინვე არ გავუზიარე. ჩემს უპირველეს მოვალეობად ჩავთვლიდი მთელი ამ ისტორიის გულწრფელად გადმოშლას, შებოჭილი რომ არ ვყოფილიყავი იმავე ადამიანის პირით წარმოთქმული კატეგორიული აკრძალვით, რაც სულ ახლახან, გასული თვის სამი რიცხვიდან მოიხსნა.

სრულიად ბუნებრივია, რომ შერლოკ ჰოლმსთან მეგობრობის დაწყების დღიდან აღმეძრა სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმისადმი ღრმა ინტერესი, ხოლო მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი სარბიელიდან გაქრა, გაზეთებში გამოქვეყნებულ გაუხსნელ დანაშაულობათა ანგარიშების სინჯვა განსაკუთრებული გულმოდგინებით დავიწყე. ხშირად, საკუთარი სიამოვნებისათვის ვცდილობდი მათ ახსნას, ამასთან, ვსარგებლობდით იმავე მეთოდებით, რომელთაც ჩემი მეგობარი

იყენებდა, თუმცა ისეთივე წარმატებებით ვერ დავიკვეხნი. უნდა ვაღიარო, რომ ვერც ერთმა ბნელით მოცულმა დანაშაულის ისტორიამ ვერ ამაღელვა ისე, როგორც რონალდ ადერის ტრაგიკულმა დაღუპვამ. გულდასმით გავეცანი ძიების მასალებს. დადგენილი მხოლოდ ის იყო, რომ «მკვლელობა ჩადენილია განზრახ, ერთი ან რამდენიმე უცნობი პირის მიერ», და უფრო ღრმად, ვიდრე ოდესმე, ვიგრძენი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ შერლოკ ჰოლმსის დაკარგვით ძალიან მძიმე დანაკლისი განიცადა. ამ უცნაურ საქმეში იყო ისეთი ამბები და გარემოებები, რომლებიც აუცილებლად მიიქცევდნენ ჰოლმსის განსაკუთრებულ ყურადღებას, და პოლიციის კვლევა-ძიება უთუოდ შეივსებოდა, ანდა ჰოლმსის რჩევა-დარიგების საფუძველზე სწორი გზით წარიმართებოდა. რჩეულთა შორის რჩეულ ევროპელ მაძებარს თავისი ფხიზელი ჭკუისა და დახვეწილი დამკვირვებლობის წყალობით ჭეშმარიტად შეეძლო ასეთი ამოცანის წარმატებით დაძლევა.

დავდიოდი ჩემს პაციენტებთან და აზრით ისევ და ისევ ადერის საქმეს ვუბრუნდებოდი, მაგრამ ვერც ერთი ისეთი ახსნა ვერ მოვნახე, რომ დამაკმაყოფილებლად მომჩვენებოდა. თუმცა რისკს ვეწევი, რომ ვიმეორებ იმას, რაც ყველასათვის ცნობილია, მაინც მინდა მოგაგონოთ ფაქტები იმ სახით, როგორც ძიების დამთავრების შემდეგ საზოგადოებას შეატყობინეს.

სერ რონალდ ადერი ავსტრალიის ერთ-ერთი ჩვენი კოლონიის გუბერნატორის, გრაფ მეინუსის მეორე შვილი იყო. ადერის დედა ავსტრალიიდან ინგლისში იმ განზრახვით ჩამოვიდა, რომ ლიბრგადაკრული თვალი ქირურგის დანით მოერჩინა. ქალბატონი ადერი ვაჟიშვილითა და ასულით პარკლეინზე [1]427 სახლში დაბინავდა. ყმაწვილი საუკეთესო საზოგადოებაში ტრიალებდა, არც მტრები ჰყავდა და არც რაიმე ცუდი მანკი ჰქონია. ერთ დროს იგი ედიტ ვუდლიზე იყო დანიშნული, მაგრამ ახალგაზრდები თავისი ნებით დასცილდნენ ერთურთს და გული არც ერთს არ დასწყვეტია. ისე რომ, ახალგაზრდა ადერის ცხოვრება შინაურობასა და იმ მაღალ წრეშიც, რომელშიაც ყოფნა უხდებოდა, მშვიდად და მყუდროდ მიედინებოდა. წყნარი ხასიათისას გემოვნება და ჩვევებიც ზომიერი ჰქონდა. აი, სწორედ ასეთი უდარდელი ახალგაზრდა არისტოკრატის გული განგმირა უცნაურმა და სრულიად მოულოდნელმა ტყვიამ. ეს მოხდა 1894 წლის 30 მარტს თორმეტის ათიდან ოც წუთამდე.

რონალდ ადერი ბანქოს მოთამაშე იყო, მუდამ თამაშობდა, მაგრამ კეთილგონიერების საზღვრებიდან არ გადადიოდა. იგი სამი კლუბის: ბოლდვინის, კევენდიშისა და ბაგატელის წევრად ითვლებოდა. დაადგინეს, რომ სიკვდილის დღეს, სადილის შემდეგ, რონალდს ერთი რობერი და რამდენიმე ხელი ვისტი უთამაშია, ეს მომხდარა ბაგატელის კლუბში. უთამაშია სადილობამდეც. პარტნიორებმა - მისტერ მერეიმ, სერ ჯონ ჰარდიმ და პოლკოვნიკმა მორანმა - უჩვენეს, რომ სწორედ ვისტს თამაშობდნენ, და თამაში თითქმის ყაიმით დამთავრდა. ადერმა ალბათ ხუთ გირვანქამდე წააგო, მაგრამ მეტი კი ნამდვილად არ წაუგიაო. საკმაოდ დიდი შეძლების პატრონს ასეთი წაგება ვერც გაანაწყენებდა. იგი თურმე, თითქმის ყოველდღე თამაშობდა და ჩვეულებრივ იგებდა. მოწმეთა ჩვენებებიდან გაირკვა ისიც, რომ სიკვდილამდე ერთ-ნახევარი თვის წინ ადერმა, რომელიც პოლკოვნიკ მორანთან ერთად თამაშობდა, ერთ საღამოს გოდფრი მილნერსა და ლორდ ბელმორანს ოთხას ოცი გირვანქა მოუგო. აი, ყველაფერი, რაც ცნობილი გახდა მისი სიცოცხლის უკანასკნელი რამდენიმე კვირის შესახებ.

იმ საბედისწერო საღამოს კლუბიდან ზუსტად საღამოს ათ საათზე დაბრუნებულა. და და დედა სტუმრად ყოფილან წასული და შინ არ დახვედრიან.

მოსამსახურე გოგომ ფიცით დაამტკიცა, ადერის ოთახში შესვლა გავიგეო. ეს ოთახი მეორე სართულზე იყო, ფანჯრები ქუჩისაკენ ჰქონდა და პატრონი თურმე სასტუმროდ იყენებდა. ახალგაზრდა გრაფის მოსვლის წინ მოსამსახურე გოგოს ბუხარში ცეცხლი დაუნთია და ფანჯარაც გაუღია, რადგან ბუხარი ახრჩოლებულა. მოსამსახურეს თორმეტის ოც წუთამდე ოთახიდან ჩქამიც არ გაუგონია. ამ დროს დაბრუნებულან შინ ლედი მეინუსი და მისი ქალიშვილი. ლედი მეინუსს ვაჟთან შესვლა მოუნდომებია, რათა მისთვის ღამე ნებისა ესურვებინა, მაგრამ ოთახის კარი შიგნიდან ყოფილა დაკეტილი და თუმცა ბევრი უყვირია და უკაკუნებია, ხმა არავის გაუცია. მაშინ განგაში აუტეხავს, კარი ძალით შეულეწიათ და თვალწინ საშინელი სურათი გადაშლიათ: ბედშავი ჭაბუკი მაგიდის ახლოს იატაკზე გაშხლართულიყო. თავი რევოლვერის ტყვიით ჰქონდა საშინლად დამახინჯებული, მაგრამ ოთახში არავითარი იარაღი არ აღმოჩნდა. მაგიდაზე იდო ორი ათგირვანქიანი საკრედიტო ბილეთი და ჩვიდმეტი გირვანქა და ათი შილინგი ოქროს და ვერცხლის ფული. მონეტები დაწყობილი იყო სხვადასხვა სიდიდის პატარა სვეტებად. იქვე მაგიდაზე იდო ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც ციფრები და ადერის კლუბის რამდენიმე ამხანაგის სახელი ეწერა. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ სიკვდილის წინ ახალგაზრდა კაცი ბანქოში მოგებისა და წაგების ანგარიშით იყო გართული.

ყველა გარემოების გულმოდგინე გამოკვლევის შემდეგ საქმე კიდევ უფრო იდუმალებით მოცული აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, გაუგებრობას იწვევდა შიგნიდან კარის ჩარაზვა. მართალია, მკვლელსაც შეეძლო კარი შიგნიდან ჩაეკეტა და მერე ფანჯარაში გადამხტარიყო, მაგრამ ფანჯარა მიწიდან ოცი ფუტის სიმაღლეზე იყო. ამასთანავე აყვავებული ზაფრანის კვალი მის პირდაპირ სრულიად დაუზიანებელი აღმოჩნდა. ერთი ყვითელი ყვავილიც კი არ იყო გათელილი. არავითარი კვალი არ ჩანდა არც კორდის ვიწრო ზოლზე, სახლს რომ გზიდან ყოფდა. ეტყობოდა, სახლი თვითონ რონალდ ადერს დაეკეტა. მაგრამ რანაირად ეწვია სიკვდილი? ისე ხომ ვერავინ გადაძვრებოდა ფანჯარაში, რომ კვალი არ დაეტოვებინა? ხოლო თუ ვივარაუდებთ, რომ მკვლელმა მსხვერპლს ფანჯრიდან ესროლა, გამოჩენილი ჩუბინი უნდა ყოფილიყო, რადგან რევოლვერის ტყვიით ასეთ მანძილზე ადამიანის მოკვლა მეტისმეტად ძნელია. ამას გარდა, პარკ-ლეინი - ხალხმრავალი ქუჩაა, და სახლიდან რაღაც ას იარდზე კი ეტლთა სადგომია. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სროლის ხმა არავის გაუგონია. ამასთან ერთად - უტყუარი ფაქტები - მოკლული და რევოლვერის ტყვია, რომელიც მეორე მხარეს გასულიყო, სახეზე გახლდათ. ჭრილობის ხასიათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჭაბუკი ტყვიას ანაზდეულად უნდა მოეკლა.

ასეთი იყო პარკ-ლეინზე მომხდარი იდუმალი მკვლელობის გარემოებანი - მკვლელობისა, რომლის იდუმალება კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმით, რომ მკვლელობისათვის არავითარი თვალსაჩინო მოტივი არ არსებობდა: აკი, როგორც მოგახსენეთ, ახალგაზრდა ადერს თითქოს არავითარი მტერი არ ჰყავდა, ხოლო ფული და ძვირფასეულობა ოთახში ხელუხლებელი აღმოჩნდა.

მთელი დღე გონების სასწორზე ვწონიდი ყველა ამ ფაქტს, ვცდილობდი მიმეყენებინა მათთვის რომელიმე თეორია, რაც ერთმანეთის საპირისპირო მოვლენებს შეათანხმებდა, მეპოვა «წინააღმდეგობის წერტილი», რასაც ჩემი საწყალი მეგობარი ყოველგვარი კვლევა-ძიების ამოსავალ პუნქტად მიიჩნევდა. უნდა ვაღიარო, რომ ეს ვერ მოვახერხე. საღამოს პარკში ვსეირნობდი და ასე ექვს საათზე მოულოდნელად პარკ-ლეინისა და ოქსფორდსტრიტის კუთხეში აღმოვჩნდი. იქ,

ტროტუარზე, თავი მოეყარათ უსაქმურებს, რომლებიც დაჟინებით აცქერდებოდნენ ერთ სარკმელს. მაშინ მომაგონდა, რომ მეც სწორედ ამ სახლის სანახავად მოვედი. მაღალი, გამხდარი, შავსათვალიანი კაცი, რომელიც, ჩემი აზრით, გადაცმული მაძებარი უნდა ყოფილიყო, მომხდარ ამბავთან დაკავშირებით რაღაც თეორიას აყენებდა, სხვები უსმენდნენ და გარშემო მჭიდროდ შემორტყმოდნენ. უფრო ახლოს მივედი, მაგრამ მისი მსჯელობა იმდენად სულელური მეჩვენა, რომ ზიზღი მომგვარა, უკან დავიხიე და განრიდება ვცადე. ამ დროს უცაბედად დავეჯახე ჩემს უკან მდგარ წელში მოხრილ ბერიკაცს, რომელსაც იღლიაში ამოჩრილი წიგნები ძირს დაუცვივდა. დასახმარებლად დახრილმა, შევნიშნე ერთი წიგნის სათაური: «ხეების კულტის წარმოშობა», და გავიფიქრე, ალბათ რომელიმე საწყალი ბიბლიოგრაფია, რომელიც გამორჩენის ან ხელოვნების სიყვარულით იშვიათ გამოცემებს აგროვებს-მეთქი. ის იყო ბოდიშის მოხდა დავაპირე, მაგრამ წიგნები, რომელთაც საუბედუროდ ასე უკადრისად მოვექეცი, ეტყობა, მათ მფლობელს ძალიან ძვირად უღირდა, ვინაიდან გაჯავრებულმა რაღაც ჩაიბურტყუნა, ზიზღით მიბრუნდა და მალე მოხრილბეჭებიანი და ჭაღარა ქილვაშებიანი ბერიკაცი ბრბოში გაუჩინარდა.

ჩემი დაკვირვება, პარკ-ლეინზე მდებარე №427 სახლზე, იმ ამოცანის გადაწყვეტაში, რამაც დამაინტერესა, ბევრს ვერაფერს დამეხმარა. სახლი ქუჩიდან მესერიანი დაბალი კედლით იყო გამოყოფილი. ღობის სიმაღლე ხუთ ფუტსაც ვერ აღწევდა. მაშასადამე, ბაღში, ვინც მოისურვებდა, ძალიან იოლად შევიდოდა. სამაგიეროდ ფანჯარა სრულიად მიუდგომელი აღმოჩნდა. მის სიახლოვეს არც წყალსადენის მილი იყო და არც მცირეოდენი შვერილი. ასე რომ, კედელზე აცოცებას თვით ყველაზე უფრო დახელოვნებული ტანმოვარჯიშეც ვერ შეძლებდა.

უწინდელზე უფრო შეფიქრიანებული შინ დავბრუნდი. კაბინეტში ხუთი წუთიც არ დამიხანებია, როცა მსახურმა გოგომ მომახსენა, ვიღაც უცნობი გელოდებათო. ჩემდა განსაცვიფრებლად, იგი აღმოჩნდა ის მოხუცი ბიბლიოფილი, რომელსაც პარკ-ლეინზე გადავეყარე. ჭაღარით მოსილი, გამოკვეთილი, დაღარული სახე ჰქონდა და იღლიის ქვეშ ათიოდე ძვირფასი წიგნი ამოეჩარა.

- რა თქმა უნდა, ჩემი მოსვლა გაგიკვირდებოდათ, სერ? - მითხრა მან თავისი უცნაური, ჩხავანა ხმით.

დავუმოწმე, გამოიცანით-მეთქი.

- ხედავთ, სერ, მეც თავაზიანი კაცი ვარ. კოჭლობით მოგყვებოდით უკან და უცბად შევნიშნე, რომ ამ სახლში შემოხვედით. გადავწყვიტე, ასეთ ზრდილ და წესიერ ადამიანთან უნდა შევიდე და ბოდიში მოვიხადო-მეთქი. მართალია, ცოტა უხეშად მოგექეცით, მაგრამ თქვენი წყენა ნამდვილად არ მქონია გულში და ძლიერ მადლობელიც ვარ, რომ დაბლა დაყრილი წიგნების აკრეფაში დამეხმარეთ.

- არ ღირს ლაპარაკი ასეთ წვრილმანებზე, - ვუპასუხე. - ნება მიბოძეთ გკითხოთ, რანაირად გაიგეთ ჩემი ვინაობა?

- გავბედავ და მოგახსენებთ, სერ, რომ თქვენი მეზობელი გახლავართ, ჩერჩსტრიტის კუთხეში წიგნის სავაჭრო პატარა დუქანი მაქვს და ბედნიერი ვიქნები, თუ ოდესმე მინახულებთ. იქნებ თქვენც აგროვებთ წიგნებს, სერ? აი «ბრიტანეთის ფრინველები», «კატული», «საღვთო ომი». შეიძინეთ, სერ. მუქთად მოგცემთ. ხუთი ტომი სწორედ შეავსებდა ცარიელ ადგილს თქვენი წიგნების კარადაში, თორემ რაღაც ულამაზო იერი აქვს, ასე არ არის, სერ?

შევტრიალდი, რომ თაროზე ამეხედა. როცა თავი ხელახლა მოვაბრუნე, ჩემი საწერი მაგიდის გვერდით მომღიმარი შერლოკ ჰოლმსი იდგა. გაოცებისაგან შევხტი და რამდენიმე ხანს მუნჯივით შევცქეროდი, შემდეგ კი ალბათ გრძნობა დავკარგე -

ჩემს სიცოცხლეში პირველად და, იმედი მაქვს, უკანასკნელად. მახსოვს, რომ თვალებში რაღაც მუქი ნისლი ჩამიდგა, ხოლო როცა ბურანიდან გამოვერკვიე, საყელო გახსნილი აღმომაჩნდა და ბაგეზე კონიაკის გემო ვიგრძენი. თავს ჰოლმსი მადგა, რომელსაც ხელში კონიაკის ბოთლი ეჭირა.

- ჩემო ძვირფასო უოტსონ, - თქვა კარგად ნაცნობმა ხმამ, - ათასი ბოდიში მომითხოვია. ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დაბრუნება თქვენზე ასე ძლიერ იმოქმედებდა.

ხელი ჩავავლე და გაოგნებულმა შევყვირე: - ჰოლმს! ეს თქვენა ხართ? ნუთუ მართლა ცოცხალი ხართ? განა შესაძლებელია, რომ იმ საშინელი უფსკრულიდან ცოცხალი ამოსულიყავით?

- ერთი წუთი მადროვეთ, - მიპასუხა მან. მინდა გკითხოთ, შეგწევთ თუ არა უნარი საღად იმსჯელოთ? რადგან ჩემმა გამოცხადებამ ძალიან ძლიერ აგაღელვათ.

- ახლა უკეთ ვარ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ჰოლმს, ჩემს თვალებს არ ვუჯერებ. ღმერთო დიდებულო! ღმერთო მოწყალეო! ნუთუ ეს თქვენა ხართ?

ისევ წავავლე ხელი და მისი წვრილი კუნთოვანი ხელი მოვსინჯე.

- არა, ეს ამბავი სულის გამოცხადებას არა ჰგავს, ეს უდავოა, - ვუთხარი მე. - ჩემო ძვირფასო მეგობარო, რამდენად ბედნიერი ვარ, რომ გიყურებთ! დაბრძანდით და მიამბეთ, რანაირად მოახერხეთ იმ უფსკრულიდან თავის დაღწევა.

ჰოლმსი ჩემ პირდაპირ დაჯდა და დაუდევარი ნაცნობი მანერით პაპიროსი გააბოლა, მას ბუკინისტის გაცვეთილი სერთუკი ეცვა, მაგრამ ამ მასკარადის მთელი დანარჩენი მოწყობილობა - ბღუჯა ჭაღარა თმა და ძველი წიგნების შეკვრა - მაგიდაზე ეყარა. ჩემი მეგობარი კიდევ უფრო გამხდარიყო და მზერაც უფრო გამჭოლი ჰქონდა. სახეზე საშინელი ფერი დასდებოდა, ეტყობოდა, ისეთი ცხოვრება, რასაც უკანასკნელ წლებში ეწეოდა, მისი ჯანმრთელობისათვის სიკეთის მომტანი არ უნდა ყოფილიყო.

- რა სასიამოვნოა წელში გასწორება, უოტსონ! - მითხრა ჰოლმსმა, - მაღალი კაცისათვის მთელი ფუტით დამოკლება და რამდენიმე საათს ასე დარჩენა, იოლი საქმე როდია. ახლა კი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ვილაპარაკოთ სერიოზულ ამბებზე... საქმე ის არის, რომ მინდა დახმარება გთხოვოთ, და თუ თანახმა იქნებით, მთელ ღამეს მძიმე და სახიფათო მუშაობა მოგველის. ხომ არ აჯობებს ჩემი თავგადასავლის თხრობა იმ დრომდე გადავდოთ, როცა ეს სამუშაო უკვე დამთავრებული გვექნება?

- მართალი გითხრათ, ცნობისმოყვარეობა ცეცხლის ალივით მწვავს, ჰოლმს, და ვამჯობინებდი თქვენი ამბავი ახლავე მომესმინა.

- თანახმა ხართ მეახლოთ ამ ღამეს?

- ჯოჯოხეთშიაც რომ ჩახვიდეთ, თან ჩამოგყვებით.

- სწორედ ისე, როგორც დალოცვილ ძველ დროს. მგონი, წასვლის წინ დანაყრებასაც მოვასწრებთ... ჰო, ახლა იმ უფსკრულის ამბავი გავიხსენოთ. სიმართლე გითხრათ, იქიდან ამოსვლა არცთუ ძალიან გამჭირვებია იმ უბრალო მიზეზით, რომ უფსკრულში არც ვყოფილვარ.

- არ ყოფილხართ?!

- არა, უოტსონ, არ ვყოფილვარ. მაგრამ ჩემი ბარათი თქვენდამი სრულიად გულწრფელადაა დაწერილი. როცა ვიწრო ბილიკზე ანაზდეულად განსვენებული პროფესორი მორიარტი გამოჩნდა და ხსნის ერთადერთი გზა ჩამიკეტა, სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემთვის ყველაფერი დასრულდა. მის რუხ თვალებში უწყალო გადაწყვეტილება ამოვიკითხე. ერთმანეთს რამდენიმე სიტყვა გავუზიარეთ და მან თავაზიანად დამრთო ნება დამეწერა მოკლე ბარათი, რაც თქვენ მიიღეთ

კიდეც შემდეგში. წერილი ჩემს პორტსიგარსა და ალპენშტოკთან ერთად დავტოვე, თვითონ კი ბილიკს გავყევი. მორიარტი ფეხდაფეხ მომყვებოდა. ბილიკის ბოლოს რომ მივაღწიე, შევჩერდი - იქით გზა აღარ იყო. ჩემს მოწინააღმდეგეს იარაღი არ უხმარია, ხელდახელ მეცა და თავისი გრძელი მკლავები შემომხვია. იცოდა, რომ მისი წირვა გამოსული იყო, და ჩემთვის სამაგიეროს გადახდა ეწადა. ერთმანეთს ხელს არ ვუშვებდით, ვიდექით და უფსკრულის პირას ვბღლაძუნობდით. მოგეხსენებათ, რომ მე ვიცი იაპონური ჭიდაობის «ბარიტსუს» ილეთები, რომელთაც არა ერთხელ ვუხსნივარ. როგორც იქნა, პროფესორს ხელიდან დავუსხლტი. მან გიჟურად შეჰყვირა, რამდენიმე წამი ზედ უფსკრულის პირას ბარბაცებდა, ჰაერს ეჭიდებოდა, ხელებს ასავსავებდა, რომ წონასწორობა დაეცვა, მაგრამ, ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაუარა; დარღვეული წონასწორობა ვეღარ აღადგინა და უფსკრულში გადაეშვა, ქვესკნელში გადავიხედე და კიდევ დიდხანს ვუცქეროდი, როგორ მიფრინავდა ძირს ჩემი მოწინააღმდეგე. შემდეგ კლდის შვერილს დაენარცხა და წყალში ჩაიძირა.

ღრმა მღელვარებით ვუსმენდი ჰოლმსს, რომელიც თავის ამბავს ისე მომითხრობდა, თითქოს სხვისას ყვებოდა და თან პაპიროსს მშვიდად აბოლებდა.

- მერე, კვალი? - შევძახე უეცრად. - თვითონვე, ჩემი საკუთარი თვალით ვნახე ორი წყვილი ფეხის კვალი, ძირს რომ მიყვებოდა ბილიკს და უკან აღარ ბრუნდებოდა.

- ეს ასე მოხდა. იმავე წამს, როცა პროფესორი უფსკრულის სიღრმეში ჩაიკარგა, ვიგრძენი, რომ ბედის რჩეული მე ვიყავი. მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, მორიარტი არ იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჩემი სიკვდილი სურდა. სულ ცოტა, სამი მისი თანამზრახველი მაინც რჩებოდა. მეთაურის დაღუპვას კი მათ გულებში მხოლოდ შურისძიების ცეცხლის გაღვივება შეეძლო. სამივე უაღრესად საშიში ადამიანი იყო და რომელიმე მათგანი უსათუოდ მოახერხებდა უახლოეს დროში ჩემთან ანგარიშის გასწორებას. გონების ძალით განვჭვრიტე: თუ მათ ეცოდინებოდათ, რომ ცოცხალი აღარა ვარ, უფრო იოლად გასცემდნენ თავიანთ თავს, და ადრე თუ გვიან მათ განადგურებას მოვახერხებდი. მერე კი შემეძლო თავისთავად გამომეცხადებინა, რომ ცოცხალი ვარ! ადამიანის ტვინი სწრაფად მუშაობს. ვიდრე პროფესორი მორიარტი რაიხენბახის ჩანჩქერის ძირამდე ჩააღწევდა, ეს გეგმა უკვე მოფიქრებული მქონდა.

ჩემს უკან კლდოვანი კედელი იყო აღმართული. ჩემი დაღუპვის ამბავი, რაც ესოდენ მხატვრულად დაგიწერიათ, ცხოველი ინტერესით წავიკითხე რამდენიმე თვის შემდეგ. თქვენ ამტკიცებთ, კედელი შვეული და სრიალა იყოო. ეს მთლად ასე არ გახლდათ. კლდეს ჰქონდა რამდენიმე შვერილი, რომლებზედაც შეიძლებოდა ფეხის მოკიდება. გარდა ამისა, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით გავიგე, რომ ცოტა ზემოთ ღრმულიც არსებობდა... სიმაღლის გამო კლდის თავამდე აცოცება შეუძლებელი იყო, ასევე შეუძლებლად მეჩვენა დასველებული ბილიკის უკვალოდ გავლა. მართალია, შემეძლო ჩექმების უკუღმა ჩაცმა, როგორც ეს კვალის ასაბნევად გამიკეთებია ხოლმე, მაგრამ ერთი მიმართულებით მიმავალი სამი წყვილი კვალი მნახველს განზრახ მოტყუებაში აუცილებლად ეჭვს აღუძრავდა.

ამრიგად გზა ხსნისა კლდეზე აცოცება იყო. ეს არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა, უოტსონ. ქვემოთ ჩანჩქერი ღმუოდა და კლდენი ბანს ეუბნებოდნენ. ფიცხი ჭკუის კაცი არა ვარ, არც ცეცხლოვანი ფანტაზია გამაჩნია, მაგრამ გეფიცებით, მომეჩვენა, თითქოს ჩემამდე აღწევდა პროფესორ მორიარტის ხმა, რომელიც უფსკრულიდან მიხმობდა. მცირეოდენი დაუდევრობა და შედეგიც საბედისწერო გახდებოდა. რამდენჯერმე, ხელებში ბალახის ღეროები შემრჩა, ან კლდის სველ შვერილებზე ფეხი დამისხლტა და, ვიფიქრე, ყველაფერი გათავებულია-მეთქი. მაგრამ მაინც მივცოცავდი, ბოლოს, როგორც იქნა, საკმაოდ ღრმა, რბილი მწვანე ხავსით დაფარულ

ნაპრალს მივაღწიე, იქ შემეძლო შეუმჩნევლად დავწოლილიყავი და დამესვენა. ამ დროს, კი თქვენ, ძვირფასო უოტსონ, და ყველანი, ვინც თქვენ მოიყვანეთ, ასე გულის ამაჩუყებლად, მაგრამ უშედეგოდ ცდილობდით აღგედგინათ ჩემი სიკვდილის სურათი.

ბოლოს მომხდარი ამბის მიხედვით გარდაუვალი, მაგრამ სრულიად მცდარი დასკვნები გააკეთეთ და სასტუმროში წახვედით. დავრჩი მარტო და წარმოვიდგინე, რომ ჩემი თავგადასავალი დასრულდა, თუმცა ერთმა სრულიად მოულოდნელმა ამბავმა მიჩვენა, რომ კიდევ ბევრი სიურპრიზი მელოდა. კლდის უზარმაზარი ნამსხვრევი გრუხუნით გადამევლო თავზე, ბილიკზე დაეცა და ჩანჩქერთან ერთად უფსკრულში გრიალით ჩაეშვა. პირველ წამს ეს უბრალო შემთხვევითობას მივაწერე, მაგრამ მაღლა რომ ავიხედე, ნახევრად მიბინდული ცის ფონზე მამაკაცის თავი შევნიშნე. იმავე წამს, ჩემი საწოლიდან ოდნავ დაცილებით, მეორე ლოდი პირდაპირ იმ ნაპრალის კიდეს მოხვდა, სადაც მე ვიწექი. ჩემთვის ნათელი შეიქმნა, რომ მორიარტი მარტო არ იყო. ეს თანამზრახველი გუშაგად იდგა, როცა მორიარტი თავს დამესხა. ჩემთვის შეუმჩნეველმა მტერმა თავისი მეგობრის სიკვდილი და ჩემი გადარჩენა შორიდან იხილა. მან ერთ ხანს დაიცადა, მერე კლდეს შემოუარა, მეორე მხრიდან მწვერვალზე ავიდა და იმის გაკეთებას ცდილობდა, რაც ვერ შესძლო მორიარტიმ.

დიდხანს ფიქრის დრო არ იყო, უოტსონ. გავიხედე და ისევ შევნიშნე, კლდის თავზე ჩემი მოთვალთვალე ის მკაცრი სახე. მივხვდი, რომ ეს იყო ახალი ქვის დაგორების მაუწყებელი ამბავი. მაშინვე ბილიკისაკენ დავეშვი და ეს ათასჯერ უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე აცოცება. მაგრამ ყოყმანის დრო აღარ მქონდა. როცა ჰაერში დაკიდებულ ნაპრალის კიდეს ვებღაუჭებოდი, ჩემს გვერდით მესამე ქვამ გაიზუზუნა. შუაგზაზე კლდეს მოვწყდი, დავსრიალდი, მაგრამ რაღაც სასწაულით მაინც ბილიკზე მოვხვდი. დათხაპნილი და დასისხლიანებული, რაც ძალა და ღონე მქონდა, მივრბოდი. ასე ვირბინე წყვდიადით მოცულ მთებში ათი მილი და ერთი კვირის შემდეგ აღმოვჩნდი ფლორენციაში, დარწმუნებული, რომ ქვეყნად არავინ უწყოდა, რა ბედი მეწია.

ჩემი საიდუმლო მხოლოდ ერთ ადამიანს - ჩემს ძმას მაიკრფოტს გავანდე. ათას ბოდიშს ვიხდი, ძვირფასო უოტსონ, მაგრამ ჩემთვის უაღრესად საჭირო იყო, რომ მიცვალებულად ჩავეთვალე ყველას, ხოლო თქვენ ვერასოდეს ვერ დაწერდით დამაჯერებელ ცნობას ჩემს ტრაგიკულ სიკვდილზე, რომ თვითონვე არ ყოფილიყავით დარწმუნებული, ნამდვილად მოკვდაო. ამ სამი წლის განმავლობაში რამდენჯერმე წამძლია სულმა მომეწერა თქვენთვის - და ყოველთვის თავს ვიკავებდი იმის შიშით, რომ თქვენი ვაჟკაცური ერთგულება ჩემდამი რაიმე დაუდევრობას ჩაგადენინებდათ, რაც თქვენგან უნებურად გაამჟღავნებდა, რომ ცოცხალი დავრჩი. აი, რატომ გაქციეთ ზურგი დღეს საღამოს, როცა დამეჯახეთ და ხელიდან წიგნები გამაგდებინეთ. იმ წუთს ძალიან დიდ რისკს ვეწეოდი და თქვენ რომ გაოცების ან სიხარულისაგან შეგეყვირათ, ზოგ ვინმეს შეიძლება მეტისმეტი ყურადღებით შევეთვალიერებინე, და ამ ამბავს, შეიძლება გამოეუსწორებელი შედეგიც მოჰყოლოდა. რაც შეეხება მაიკროფტს, მისთვის საიდუმლოება უნებურად უნდა გამენდო, ვინაიდან ფული აუცილებლად მესაჭიროებოდა. ლონდონში საქმე უხეიროდ წარიმართა, გაცილებით ცუდად, ვიდრე ველოდი. მორიარტის ბანდის გასამართლების შემდეგ საპყრობილეს გადაურჩა ორი ყველაზე უფრო საშიში ბოროტმოქმედი, ისინი მორიარტის ბანდის წევრები და ჩემი მოსისხლე მტრები იყვნენ. ამიტომ ორი წელი ტიბეტში ვიმოგზაურე, ცნობისმოყვარეობა

დავიკმაყოფილე, ლხასა დავათვალიერე და რამდენიმე დღე დალაილამასთან გავატარე. ალბათ გაგიგონიათ ტიბეტის ნორვეგიელ სიგერსონისეულ გამოკვლევებზე, მაგრამ, ცხადია, აზრადაც არ მოგსვლიათ, რომ მისი ავტორი თქვენი მეგობარი გახლდათ. შემდეგ გადავსერე სპარსეთი, მოვინახულე მექა და ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ვიზიტი მქონდა ხართუმის ხალიფთან... ამ ვიზიტის ანგარიში თავის დროზე საგარეო საქმეთა სამინისტროში წარვადგინე.

ევროპაში რომ დავბრუნდი, რამდენიმე თვე გავატარე სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში, სადაც ქვანახშირის ფისიდან მიღებული ნივთიერებების გამოკვლევაზე ვმუშაობდი. ლაბორატორიაში წარმოებული ცდები დაგვირგვინებული მქონდა, როცა შევიტყვე, რომ ლონდონში მხოლოდ ერთი მოსისხლე მტერიღა დამრჩა და შინ დაბრუნება განვიზრახე. ამას ზედ დაერთო პარკ-ლეინზე მომხდარი საიდუმლოებით მოცული მკვლელობის ამბავი, რამაც კიდევ უფრო ამაჩქარა. ეს საქმე იმიტომაც მაინტერესებს, რომ მისი გახსნა ჩემი პირადი გეგმების აღსრულებაშიც დამეხმარება. ერთი სიტყვით ლონდონში ჩამოვედი, საკუთარი ფეხით მივედი ბეიკერსტრიტზე, სადაც ჩემმა გამოცხადებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მისის ჰადსონს ბნედა მოჰგვარა. მაიკროფტის ზრუნვის შედეგად ჩემი ქაღალდები და ოთახები იმ სახით დამხვდა, როგორც დავტოვე. ამრიგად, დღეს, ორ საათზე, აღმოვჩნდი ჩემს ძველ ბინაში, ჩავჯექი სავარძელში, და ერთადერთი რამ, რაც შემეძლო მენატრა, იყო ის, რომ ჩემი ერთგული მეგობარი უოტსონიც ჩემს გვერდით მჯდარიყო.

ასეთი იყო განსაცვიფრებელი მოთხრობა, რაც 1894 წლის აპრილის ერთ საღამოს მოვისმინე. ამ მოთხრობას ვერ ვერწმუნებოდი, საკუთარი თვალით რომ არ მეხილა ჩემი მეგობრის გამხდარი სხეული და ჭკვიანი, ენერგიული სახე, რომლის ნახვას აღარასოდეს ველოდი. ჰოლმსს ჩემი ცოლის გარდაცვალების ამბის გაგება რაღაცნაირად მოესწრო. მისი სამძიმარი და თანაგრძნობა უფრო ხმის კილოში გამოიხატა, ვიდრე სიტყვებში.

- შრომა ტანჯვის შემამსუბუქებელი საშუალებაა, ძვირფასო უოტსონ, - მითხრა ჰოლმსმა. - მე და თქვენ კი ამაღამ ისეთი სამუშაო გველის, რომ, ვინც მას დასძლევს, თამამად შეუძლია თქვას, ფუჭად არ მიცხოვრიაო.

ამაოდ ვთხოვდი, ყველაფერი უფრო ნათლად მითხარით-მეთქი.

- დილამდე საკმაოდ გაიგონეთ და მოისმინეთ, - მიპასუხა. - ჯერჯერობით კი ისედაც ბევრი გვაქვს სალაპარაკო - ჩვენ ხომ სამი წელია არ გვინახავს ერთმანეთი! ვფიქრობ, ათის ნახევრამდე ეს თემა გვეყოფა, შემდეგ კი ძალიან საინტერესო თავგადასავლის შესახვედრად ერთი მიტოვებული სახლისაკენ გავეშურებით.

როცა დანიშნულ საათს კებში ჩავსხედით, ვიგრძენი, რომ ყველაფერი ძველებურად აეწყო. ჯიბეში რევოლვერი მოვსინჯე, და არაჩვეულებრივი ამბების მოლოდინში გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

ჰოლმსი თავშეკავებული, პირქუში და მდუმარე იყო. როცა ქუჩის ფარნების შუქმა ჩემი მეგობრის მრისხანე სახე გაანათა, დავინახე, რომ იგი წარბებშეკრული და ბაგემოკუმული იჯდა. ჯერაც არ ვიცოდი, ლონდონის დანაშაულობათა სამყაროს ჯუნგლებში რომელი მტაცებელი მხეცის კვალს მივყვებოდით, მაგრამ ამ ყველაზე უფრო დახელოვნებული მონადირის საქციელი უსიტყვოდ ჩამძახოდა, რომ იმღამინდელი თავგადასავალი უაღრესად საშიში უნდა ყოფილიყო, ხოლო მქირდავი ღიმილი, რაც ჩემს თანამგზავრის ასკეტურად მკაცრ სახეზე დროდადრო გაიელვებდა, კარგს არას უქადდა იმ ნადირს, რომლის კვალსაც დავადექით.

ჩემი ვარაუდით ბეიკერსტრიტისაკენ მივდიოდით, მაგრამ ჰოლმსმა მეეტლე კევენდიშის სკვერის კუთხეში შეაჩერა. იგი ეტლიდან გადმოვიდა, ყურადღებით მიმოიხედა გარშემო და ფრთხილი ნაბიჯით წინ გასწია. ვამჩნევდი, რომ ყოველ მოსახვევში უკან იხედებოდა, რათა დარწმუნებულიყო, გვითვალთვალებდნენ, თუ არა. რაღაც უცნაური გზით მივდიოდით. ჰოლმსი ყოველთვის მაოცებდა ლონდონის მიხვეულ-მოხვეული ჩიხების ცოდნით. იგი ამჯერადაც თავდაჯერებული მიაბიჯებდა საჯინიბოებსა და მეეტლეთა კარ-მიდამოებს შორის, ლაბირინთებში, რომელთა არსებობაც აქამდე არ ვიცოდი. ბოლოს და ბოლოს ერთ ვიწრო ქუჩაზე, ძველი კუშტი სახლების ორ რიგს შორის აღმოვჩნდით. ამ ვიწრო ქუჩამ ჯერ მანჩესტერსტრიტზე გაგვიყვანა, მერე კი უცებ ბლენდფორსტრიტზე მოვხვდით. აქედან ჰოლმსმა სწრაფად შეუხვია ერთ პატარა ჩიხში, ხის ჭიშკარი გაიარა, უკაცრიელ ეზოში შევიდა და გასაღებით გააღო ერთ-ერთი სახლის უკანა კარი. შევედით თუ არა, მაშინვე კარი შიგნიდან ჩარაზა.

ისეთი უკუნი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდით, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ სახლი უკაცრიელი იყო. შიშველ იატაკს ფეხის დადგმაზე ჭრაჭაჭრუჭი გაჰქონდა, კედელზე კი, რომელსაც შემთხვევით შევეხე, დაგლეჯილი შპალერის ნახევები ეკიდა.

ჰოლმსმა გაბლიკებული წვრილი თითები მაგრად ჩამჭიდა ხელში და თავის ნებაზე წამიყვანა. გავიარეთ გრძელი ტალანი და მანამდე ვიარეთ, ვიდრე კარის თავზე ნახევრად მრგვალი ფანჯრის ბუნდოვანი მოხაზულობა არ შევნიშნე. ამ ადგილას ჰოლმსმა უეცრად მარჯვნივ შეუხვია, რომლის კუთხეებში წყვდიადს დაესადგურებინა, შუაგულში კი ქუჩის სინათლეების მკრთალი შუქი აღწევდა, მაგრამ იმის გამო, რომ ფანჯრის ახლო ფარანი არ იყო და მინებსაც მტვრის სქელი ფენა ფარავდა, ერთიმეორის დანახვაც გვიჭირდა.

ჩემმა თანამგზავრმა მხარზე ხელი დამადო და ბაგით თითქმის ჩემს ყურს შეეხო.

- იცით, სადა ვართ? - მკითხა ჩურჩულით.

- მგონი, ბეიკერსტრიტზე, - ვუპასუხე და მქრქალ მინაში გავიხედე.

- სავსებით სწორია, სწორედ ჩვენი ძველი ბინის პირდაპირ, კემენდის სახლში ვიმყოფებით.

- მაგრამ რისთვის მოვედით აქ?

- იმიტომ, რომ აქედან ჩვენი სახლი მშვენივრად მოჩანს და მისი ცქერა თვალს ახარებს, ძვირფასო უოტსონ. გთხოვთ ფანჯარას მოუახლოვდეთ, ოღონდ ფრთხილად, არ უნდა დაგინახონ. აბა, შეიხედეთ ჩვენს ადრინდელ ბინაში, სადაც ძალიან ბევრი საინტერესო თავგადასავალი დატრიალებულა. ახლა კი, ჩემი თავი მინდა გამოვცადო, განვლილმა სამმა წელმა ხომ არ დამაკარგინა იმის უნარი, რომ გაგაკვირვოთ.

წინ ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ნაცნობ სარკმელში შევიხედე და გაოცების წამოძახილი აღმომხდა. ფარდა ჩამოშვებული გახლდათ, მაგრამ საუცხოოდ განათებული ოთახის სიღრმეში, ფანჯრის ნათელ ფონზე, აშკრად ჩანდა სავარძელში მჯდარი კაცის ჩრდილი. თავის დაჭერის მანერა, ფართო მხრების ფორმა, სახის გამოკვეთილი ნაკვთები - ყოველივე ეს იმ ჩრდილს ჰოლმსის ჭეშმარიტ ორეულად წარმოსახავდა. მისი ნახევრად შემობრუნებული თავი იმ შავ სილუეტებს მაგონებდა, ბებიები რომ უხატავენ ხოლმე ბავშვებს. განცვიფრებულმა, უნებურად გავიწოდე ხელი, რათა დავრწმუნებულიყავი, ჰოლმსი მართლა ჩემს გვერდით იდგა თუ იქ,

ოთახის სიღრმეში სავარძელში მოკალათებულიყო. თვითონ ჰოლმსს კი უხმო სიცილისაგან მხრები უთრთოდა.

- აბა, რას იტყვით, უოტსონ?

- პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავია! - ვთქვი მე ჩურჩულით.

- ჩანს, წლებს ვერ ჩაუკლავს და დაუშრეტია ჩემი გამომგონებლობის უნარი, - თქვა ჰოლმსმა და მის ხმაში დავიჭირე სიხარული და სიამაყე იმ ხელოვანისა, რომელიც თავისი ქმნილებით ტკბება. - ჰა, მართლა მგავს, ხომ?

- მზად ვიყავი დამეფიცა, რომ ეს თქვენა ხართ.

- ბატონ მენიეს ნახელავია. იგი რამდენიმე დღე თავაუღებლად მუშაობდა და ცვილისაგან ჩამოქნა ჩემი ორეული. ყველაფერი დანარჩენი კი ჩემი ხელით გავაკეთე, დღეს დილით ბეიკერსტრიტზე ვიყავი.

- მაგრამ რისთვის დაგჭირდათ ეს ყოველივე?

- საამისოდ, ძვირფასო უოტსონ, სერიოზული მიზეზები არსებობს. მე მინდა ზოგიერთი ადამიანი დავარწმუნო, რომ ჩემს ოთახში ვიმყოფები, იმ დროს, როცა სინამდვილეში სხვა ადგილას ვარ.

- ფიქრობთ, რომ ბინას უთვალთვალებენ?

- კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, რომ უთვალთვალებენ.

- მერე ვინ?

- ჩემი ძველი მტრები, უოტსონ. ის მომხიბლავი კომპანია, რომლის მეთაურიც რაიხენბახში ჩანჩქერის ფსკერზე განისვენებს. როგორც გახსოვთ, მხოლოდ მათ იცოდნენ, რომ მე ცოცხალი გადავრჩი. დარწმუნებულები იყვნენ, რომ ადრე თუ გვიან ჩემს ბინაში დავბრუნდებოდი. ყურყური, თვალთვალი და ზვერვა ამ ხნის მანძილზე არ შეუწყვეტიათ. და აი, დღეს დილით ნახეს, რომ მართლაც დავბრუნდი.

- მაგრამ როგორ გაიგეთ, რომ გითვალთვალებდნენ?

- ფანჯრიდან მათი უწყინარი მზვერავი პარკერი დავინახე. იგი პროფესიით მძარცველი და მკვლელია. ამავე დროს საუცხოო ორღანისტიცაა. პარკერი სრულებით არ მაინტერესებს. უფრო საყურადღებო მეორე - სწორედ ის საშინელი ადამიანია, ვინც მის ზურგს უკან იმალება. იგი მორიარტის უახლოესი მეგობარი გახლავთ. ეს ის კაცია, ვინც კლდის მწვერვალიდან ლოდები დამიშინა. იგი მთელ ლონდონში ყველაზე უფრო ცბიერი და საშიში ბოროტმოქმედია. სწორედ ეს ადამიანი ნადირობს ამაღამ ჩემზე, უოტსონ, და ის კი არ იცის, რომ ჩვენ თვითონ მასზე ვნადირობთ.

ჩემი მეგობრის გეგმებს ჩემს თვალში თანდათან მოეფინა შუქი. მოხერხებული თავშესაფრიდან საშუალება გვეძლეოდა გვეთვალთვალა მათთვის, ვინც ჰოლმსის პიროვნებით იყო დაინტერესებული და მის ყოველ ნაბიჯს ზვერავდა. ფანჯარაში მისატყუებლად ჩემი მეგობრის სილუეტი ჩანდა, ჩვენ კი მონადირეები ვიყავით.

უსიტყვოდ ვიდექით ერთიმეორის გვერდით ბნელში და გაფაციცებულნი ვაკვირდებოდით გამვლელებს, ჩვენს პირდაპირ ქუჩაში რომ წინ და უკან მიმოდიოდნენ. ჰოლმსი კრინტს არ ძრავდა, არც ირხეოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ საშინლად დაძაბული იყო, და თვალმოუშორებლად აკვირდებოდა ტროტუარზე მიმომავალ ადამიანთა ნაკადს. ცივი და ავდრიანი ღამე გახლდათ, სუსხიანი ქარი თავისუფლად დანავარდობდა. მიუხედავად ამისა, ქუჩებში ხალხმრავლობა იყო და, თითქმის ყველა საყელოში ან ყელსახვევში ცხვირჩარგული აჩქარებული ნაბიჯით მიმოდიოდა.

მომეჩვენა, რომ ერთმა და იმავე ადამიანმა სახლს რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა. განსაკუთრებით საეჭვო მეჩვენა ორი კაცი, დიდხანს რომ იყვნენ ატუზული ჩვენ მახლობლად ერთ შესასვლელში, თითქოს ქარს მოერიდნენ და აქ შეაფარეს თავიო.

ვცადე ჰოლმსის ყურადღება მათზე მიმექცია, მაგრამ ოდნავ გასაგონი წყენის ამოძახილით მიპასუხა და ქუჩაში ყურადღებით ცქერა განაგრძო. ჩემი მეგობარი დროდადრო ფეხს ინაცვლებდა, ჩანდა, ადგილს ვეღარ პოულობდა, წრიალებდა, და კედელზე თითებს ნერვიულად ათამაშებდა. ვხედავდი, რომ გუნება წაუხდა, რადგან მოვლენები არც ისე ვითარდებოდა, როგორც მოელოდა. ბოლოს, როცა შუაღამე გახდა და ქუჩა თითქმის დაცარიელდა, ჰოლმსი ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, ისე რომ უკვე მღელვარებას აღარ ფარავდა. რაღაცის თქმა მინდოდა, როცა ჩემი მზერა უეცრად განათებულ ფანჯარაზე შეჩერდა, და თითქმის ისევე გაოცებული დავრჩი, როგორც პირველად.

- თქვენი გამოსახულება შეირხა! - შევძახე მე.

და მართლაც, ჩემი მეგობრის გამოსახულება ახლა პრო-ფილში კი აღარ იდგა, არამედ ზურგით იყო მობრუნებული.

როგორც ჩანს, ჟამთა სვლას ვერ შეერბილებინა ჰოლმსის მკვეთრი ხასიათი, და იმ ადამიანებთან შეხვედრისას, ვისაც მისებრ დახვეწილი გონება ვერა ჰქონდა, იგი კვლავ მოუთმენლობას ამჟღავნებდა.

- რა თქმა უნდა, შეირხა, - თქვა მან. - ნუთუ ისე უტვინო ხეპრე გგონივართ, უოტსონ, რომ ოთახში ნამდვილ ფიტულს დავსვამდი და იმედი მექნებოდა, რომ მისი შემწეობით გავაცურებდი ყველაზე უფრო გაქნილ თაღლითებს, რომელნიც კი ევროპაში არსებობენ? ჩვენ ამ სოროში ვყურყუტებთ და მისის ჰადსონმა ამ ხნის განმავლობაში რვაჯერ შეუცვალა ჩემს სახებას ადგილი - ესე იგი, ყოველ თხუთმეტ წუთში უცვლის ადგილსამყოფელს. ოსტატურად კი უახლოვდება ხოლმე, რომ ქალის ჩრდილი არ ჩანს... აჰა! - წარმოთქვა მან, უეცრად სუნთქვა შეიკრა და გაირინდა. ბინდით მოცულ ოთახში შევნიშნე, რომ ჰოლმსი კისერწაგრძელებული იდგა და რაღაც დაძაბულ მოლოდინში იყო.

ქუჩა ახლა სრულიად უკაცრიელი იყო და ადამიანის ჭაჭანება არ ჩანდა. შესაძლოა ის ორი კაცი კიდევ იდგა შესასვლელში მიმალული, მაგრამ ვეღარ ვხედავდი. გარშემო დუმილი და წყვდიადი გამეფებულიყო. კუნაპეტ სიბნელეში თვალის მომჭრელად ჩანდა განათებული ფანჯარა და მის ცენტრში ჩემი მეგობრის სახება. სრულ დუმილში გავიგონე ჰოლმსის მსტვინავი სუნთქვა და ვიგრძენი, რა ძლიერ ღელავდა. უეცრად ოთახის სიღრმეში ბნელ კუნჭულში მიმაგდო და წუთით ხელი დამაფარა სახეზე, რითაც სრულ დუმილს ითხოვდა. იმ წუთს ვიგრძენი, როგორ უცახცახებდა თითები. ჯერ არასოდეს არ მენახა ასე აღელვებული, ამასთან ბნელი ქუჩა ისევ უდაბური და მდუმარე ჩანდა.

უეცრად გავიგონე ის, რასაც უკვე ჩემი მეგობრის მახვილ სმენამდე მიეღწია. რაღაც წყნარი, ყრუ, შეკავებული ხმა მომესმა, მაგრამ არა ბეიკერსტრიტის მხრიდან, არამედ იმავე სახლის სიღრმიდან, რომელშიაც ჩვენ ვიმალებოდით. გავიგონე, როგორ გაიღო და დაიხურა შემოსასვლელი კარი. წუთის შემდეგ დერეფანში ვიღაცის შემპარავი ნაბიჯის ხმაც გაისმა. ეტყობოდა, უცნობი ქურდული ნაბიჯით დაცაცუნებდა, მაგრამ უკაცრიელ სახლში ის ფრთხილი სიარულიც გრგვინავდა.

ჰოლმსი კედელს აეკრა, მეც იგივე გავაკეთე და თან რევოლვერის ტარს ხელი მოვუჭირე. სიბნელეში რომ კარგად დავაკვირდი, მამაკაცის ბუნდოვანი სილუეტი შევნიშნე. ადამიანის შავი გამოსახულება წუთით შეჩერდა, შემდეგ დაიხარა და შემპარავი ნაბიჯით წინ დაიძრა. მის ყოველ მოძრაობაში მუქარა იფარებოდა. ადამიანზე ავბედითი მონადირე სამ ნაბიჯზე იყო ჩვენგან, და მე მოსულზე თავდასხმისათვის გამზადებულმა, ყველა კუნთი ზამბარასავით დავჭიმე, როცა უეცრად ჩემს გონებაში იელვა, რომ უცნობმა ჩვენი იქ ყოფნისა არა იცოდა რა.

ისე ჩაგვიარა, კინაღამ შეგვეხო. ფანჯარასთან მიპარვით მივიდა და ჩარჩო თითქმის ნახევარ ფუტამდე, ძალიან ფრთხილად, სრულიად უხმაუროდ ასწია. როცა დაიხარა, ღია ფანჯრიდან შემოჭრილმა სხივმა სახე გაუნათა. სახეზე უკიდურესი მღელვარება აღბეჭდოდა. თვალები ციებიანივით უელავდა და ნაკვთები დაღრეჯოდა.

უცნობი მოწიფული კაცი იყო, წვრილი ქორისებური ცხვირი, მაღალი გამელოტებული შუბლი და შეჭაღარავებული ულვაში ჰქონდა. ცილინდრი კეფაზე გადასწეოდა, პალტო გადაღეღოდა და ფრაკის გახამებული გულისპირი მოუჩანდა. მისი შავგვრემანი, პირქუში სახე ღრმა ნაოჭებს დაეღარა. ხელში რაღაც დასაბჯენი ჯოხის მაგვარი ეჭირა, მაგრამ როცა იატაკზე დადო, ლითონის წკრიალა ხმა შემომესმა. შემდეგ, ჯიბიდან დიდი ზომის რაღაც საგანი ამოიღო და რამდენსამე წუთს ჯახირობდა, ვიდრე რაღაც რკინებს ერთმანეთს მოარგებდა. მერე ჩამუხლისთავებული წინ გადაიხარა, მთელი სხეულით დააწვა ალბათ იმ გრძელ რკინის ჯოხს და ჩვენ ლითონის მკვეთრი ხანგრძლივი, ღრჭიალა ხმა გავიგონეთ. როცა წელში გასწორდა, დავინახე, რომ ხელში რაღაც თოფის მაგვარი ეჭირა, ოღონდ უცნაური, უხეშკონდახიანი. საკეტი გახსნა, ალბათ ლულაში ტყვია თუ ჩადო და ისევ დააჩხაკუნა. შემდეგ ჩაცუცქდა, ლულის ბოლო ფანჯრის რაფაზე დადო, და მისი გრძელი ულვაში ლულაზე დაეკიდა, ხოლო სამიზნის წერტილზე მიშტერებულმა თვალებმა ბნელში უცნაურად გაიელვეს. ბოლოს თოფი მხარზე მიიდო და შვებით ამოიოხრა: მიზანი მის წინ იყო - განსაცვიფრებელი მიზანი, შავი სილუეტი, რაც თეთრ ფონზე ნათლად მოჩანდა. ერთი წამით გაშეშდა, სასხლეტზე თითი დააჭირა, და ხმამაღალი ზუზუნი გაისმა, რასაც მინის წკრიალის ხმა მოჰყვა.

იმავე წამს ჰოლმსი მსროლელს, როგორც ვეფხვი, ზურგზე დაახტა და იატაკზე თავდაყირა დასცა. მაგრამ მომდევნო წამს წაქცეული ფეხზე წამოვარდა და ჩემს მეგობარს არაჩვეულებრივი ძალით ჩაავლო ყელში ხელი. მაშინ ჩემი რევოლვერის ტარი ჩავკარი თავში და ბოროტმოქმედი ისევ დაეცა. წაქცეულს იმწამსვე ზედ დავაწექი. ჰოლმსმა არ დააყოვნა და ხმამაღლა დაუსტვინა, ქუჩიდან ჩვენკენ გამოქცეულ ადამიანთა ფეხის ხმა მოისმა და მალე სადარბაზო კარიდან ოთახში ორი პოლისმენი შემოვარდა. მათვე შემოჰყვათ სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი მაძებარი.

- ეს თქვენა ხართ, ლესტრეიდ? - იკითხა ჰოლმსმა.

- დიახ, მისტერ ჰოლმს. გადავწყვიტე ამ საქმეს ხელი თვითონ მოვკიდო. მოხარული ვარ, რომ ისევ გხედავთ ლონდონში, სერ.

- ვიფიქრე, ჩემი უბრალო არაოფიციალური დახმარება ხელს არ შეუშლის-მეთქი. სამი გაუხსნელი მკვლელობა ერთ წელიწადში - საკმაოდ ბევრია, ლესტრეიდ. მაგრამ მოლსეის ძიების საქმე თქვენ არცთუ ისე... ესე იგი, მინდოდა მეთქვა, რომ ეს საქმე ცუდად არ წაგიმართავთ...

ყველანი ფეხზე ვიდექით. ჩვენს ტყვეს ორი ჯანმაგარი კონსტებლი აქეთ-იქიდან ამოსდგომოდა და მაგრად ჩაებღუჯათ, რის გამოც მძიმედ ქშინავდა. ქუჩაში უსაქმურმა და დოყლაპია ცნობისმოყვარეებმა იწყეს თავშეყრა. ჰოლმსი ფანჯარასთან მივიდა და დახურა. ლესტრეიდმა სანთლები აანთო, ხოლო პოლიციელებმა თავიანთი ფარნები მოიშველიეს. ახლა კი შემეძლო ჩვენი ტყვის რიგიანად შეთვალიერება.

არაჩვეულებრივად ვაჟკაცური და თან ზიზღისმომგვრელი სახე ჰქონდა. ფილოსოფოსივით გადაშლილი შუბლი და ღორმუცელას ყბა იმისი მაუწყებელი იყო, რომ ამ კაცში, როგორც სიკეთის, ასევე ბოროტების უდიდესი ნიჭი იმალებოდა.

ბუნებას თვითონ დაეჯილდოვებინა ეს კაცი ისეთი გარეგნობით, რომ მსწრაფლ მიხვდებოდით, ვისთანაც გქონდათ საქმე. სასტიკი, ფოლადის ელფერიანი თვალები, მათი ცინიკური გამოხედვა და ზედ ჩამოწოლილი წარბები, მტაცებელი ქორისებური ცხვირი და ღრმა ნაოჭები, რომელთაც დაესერათ მთელი შუბლი, იმას მოწმობდნენ, რომ იგი საზოგადოებისათვის საშიშ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. არც ერთ ჩვენგანს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მისი მზერა მიჯაჭვული იყო ჰოლმსზე, რომელსაც გაოცებითა და მძულვარებით შესცქეროდა.

- ეშმაკი! - ამბობდა ჩურჩულით. - ცბიერი, ცბიერი ეშმაკი!

- ამრიგად პოლკოვნიკო, - უთხრა ჰოლმსმა და თან თავის დაჭმუჭნულ საყელოს ისწორებდა, - გულითადი მეგობრები, როგორც ძველებური ანდაზა ამბობს, ერთმანეთს ხელახლა ხვდებიან. მგონი, არა მქონია სიამოვნება მენახეთ მას შემდეგ, რაც თქვენი მოწყალე ყურადღების ღირსად გამხადეთ, - აი, გახსოვთ, მაშინ, რაიხენბახის ჩანჩქერის თავზე ნაპრალში რომ ვიწექი.

პოლკოვნიკს, თითქოს მოჯადოებულიაო, ჩემი მეგობრისათვის მზერა ვერ მოეცილებინა.

- ეშმაკი, ნამდვილი ეშმაკი! - იმეორებდა ისევ და ისევ.

- დროა წარმოგიდგინოთ, - წამოიწყო ჰოლმსმა. - ჯენტლმენებო, ეს გახლავთ პოლკოვნიკი სებასტიან მორანი, მისი უდიდებულესობა დედოფლის ინდოეთის არმიის ოფიცერი და მსხვილ მხეცებზე საუკეთესო მონადირე. ვფიქრობ, არ შევცდები, პოლკოვნიკო, თუ ვიტყვი, რომ თქვენს მიერ მოკლული ვეფხვების რაოდენობით ჯერ კიდევ პირველი ადგილი გიჭირავთ?

ტყვე გაჭირვებით იკავებდა ბრაზს და კვლავ ჯიუტად დუმდა. თვითონაც ვეფხვს ჰგავდა: პირგამეხებულს, თვალები ბოროტად უელავდა და ულვაში აბურძგნოდა.

- მიკვირს, რომ ჩემმა მარტივმა გამოგონებამ მოატყუა ასეთი გამოცდილი მონადირე, - განაგრძობდა ჰოლმსი. - თქვენთვის ეს ახალი რამ არ უნდა ყოფილიყო, პოლკოვნიკო! განა არ მიგიბამთ ხის ქვეშ თიკანი და კარაბინით ხელში ფოთლებში ჩასაფრებულს არ გიცდიათ, როდის მოვიდოდა ვეფხვი მისატყუებელთან? ეს უკაცრიელი სახლი - ჩემი ხეა, თქვენ კი - ჩემი ვეფხვი. ვფიქრობ, ზოგჯერ მარქაფად სხვა მსროლელებიც გახლდათ ხოლმე, იმ შემთხვევისათვის, თუ რამდენიმე ვეფხვი მოვიდოდა, - ან - რაც ნაკლებად დასაჯერებელია, თუ თვითონ ააცდენდით. ეს ბატონები - და ჩვენზე უჩვენა, - ჩემი სათადარიგო მსროლელები არიან. ჩემი შედარება ზუსტია, ხომ მართალია?

უეცრად პოლკოვნიკი მორანი გაშმაგებული ღმუილით გაიჭრა წინ, მაგრამ კონსტებლებმა უფრო მაგრად გაქაჩეს. მისი სახე ისეთ სიძულვილს გამოხატავდა, რომ შეხედვაც საშინელი რამ იყო.

- უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილად პატარა სიურპრიზი მომიწყვეთ, - განაგრძო ჰოლმსმა. - არაფრით არ ვიფიქრებდი, თუ თვითონვე მოინდომებდით ამ უკაცრიელი სახლისა და ფანჯრის გამოყენებას. მართლაც, ძალიან მოხერხებული კია ორივე. მეგონა, რომ თქვენ ქუჩიდან იმოქმედებდით, სადაც ჩემი მეგობარი ლესტრეიდი თავისი თანაშემწეების თანხლებით გელოდათ. ამ დეტალის გარდა ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გავიაზრე.

პოლკოვნიკი მორანი ლესტრეიდს მიუბრუნდა:

- არ ვიცი, გაქვთ თუ არა ჩემი დაპატიმრების რაიმე საფუძველი, მაგრამ მე აღარ შემიძლია ამ ვაჟბატონების ქირდვის ატანა. თუ კანონის ხელში ვარ, ყველაფერი კანონიერების ფარგლებში მოხდეს.

- ეს, მართლაც, სამართლიანი სიტყვაა, - შენიშნა ლესტრეიდმა. - ვიდრე აქედან წავიდოდეთ, დაგრჩათ კიდევ რაიმე სათქმელი, მისტერ შერლოკ ჰოლმს?

ჰოლმსმა იატაკიდან აიღო უზარმაზარი საჰაერო თოფი და მექანიზმის სინჯვას შეუდგა.

- დიდებული და ამასთანავე ერთადერთი თოფია! - თქვა მან. - ისვრის უხმაუროდ და გამანადგურებელი ძალა გააჩნია. მე ვიცნობი ბრმა მექანიკოსს, გერმანელ ფონ ჰერდერს, რომელმაც ეს თოფი განსვენებულ პროფესორ მორიარტის დაკვეთით დაამზადა. აი, უკვე მრავალი წელია, რაც ვიცი ამ თოფის არსებობა, მაგრამ არასოდეს არ მქონია შემთხვევა, რომ ხელში ამეღო. განსაკუთრებით გირჩევთ, ლესტრეიდ, ყურადღება მიაქციოთ თოფსა და მის ტყვიებს.

- ფიქრი ნუ გაქვთ, მისტერ ჰოლმს, უყურადღებოდ არ დავტოვებთ, - თქვა ლესტრეიდმა, როცა ყველა იქ მყოფი კარისაკენ დაიძრა. - სულ ეს არის?

- დიახ. თუმცა, მინდოდა მეკითხა, რა ბრალდებას წაუყენებთ დამნაშავეს?

- როგორ, თუ რა ბრალდებას, სერ? რაღა თქმა უნდა, შერლოკ ჰოლმსის მოკვლის ცდას.

- ო, არა, ლესტრეიდ, ამ საქმეში გარევა სრულებით არ მინდა. პოლკოვნიკ მორანის დაპატიმრების პატივი მხოლოდ თქვენ გეკუთვნით. გილოცავთ, ლესტრეიდ! თქვენთვის დამახასიათებელი შორსმჭვრეტელობისა და სიმამაცის შერწყმის წყალობით, ბოლოს მაინც შეძელით ამ კაცის შეპყრობა.

- მერე, ვინ არის ეს კაცი, მისტერ ჰოლმს?

- ის, ვისაც ამაოდ ეძებდა მთელი პოლიცია, პოლკოვნიკი სებასტიან მორანი, რომელმაც გასული თვის ოცდაათ რიცხვში პარკ-ლეინის 1427 სახლის მეორე სართულის ფანჯრიდან საჰაერო თოფის ტყვიით განგმირა სერ რონალდ ადერი. აი, რა უნდა დაედოს ბრალად, ლესტრეიდ... ახლა კი, უოტსონ, თუ ტყვიით გახვრეტილი ფანჯრიდან შემოჭრილი გამჭოლი ქარისა არ გეშინიათ, ერთი ნახევარი საათი ჩემს ოთახში დავსხდეთ და სიგარები მოვწიოთ - იმედი მაქვს ეს ცოტა გაგართობთ.

მაიკროფტ ჰოლმსის მეთვალყურეობისა და მისის ჰადსონის უშუალო ზრუნვის წყალობით ჩვენს უწინდელ ბინაში არაფერი არ შეცვლილიყო. მართალია, შესვლისას გამაკვირვა უჩვეულო სიკოხტავემ, მაგრამ ყველა ნაცნობი ნივთი თავის ადგილზე დაგვხვდა. «ქიმიის კუთხეში» მწვავე სიმჟავეებისაგან დალაქული ფიჭვის სკამი ისევ უწინდებურად იდგა. თაროზე ძველებურად ელაგა გაზეთებიდან ამოჭრილი ცნობების უზარმაზარი ალბომები და ცნობარები, რა სიამოვნებით ისროდა ცეცხლში ყოველ მათგანს მრავალი ჩვენი თანამემამულე! უთვალავი ჩიბუხით გაჭედილი პატარა თარო, დიაგრამები, ვიოლინო თავის ბუდიანად, სპარსული ფეხსაცმელიც კი, ჰოლმსი რომ სათუთუნედ იყენებდა - ყველაფერი ხელახლა ჩვენს თვალწინ იყო. ოთახში ორნი დაგვიხვდნენ: ჯერ ერთი, მისის ჰადსონი, რომელიც მხიარული ღიმილით შემოგვეგება, მეორე მანეკენი, რომელმაც იმღამინდელ ამბებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ჩემი მეგობრის ორეული, შეღებილი ცვილის ბიუსტი, დამზადებული იყო არაჩვეულებრივი ხელოვნებით და განსაცვიფრებლად მიაგავდა ორიგინალს. იგი დაბალ პატარა მაგიდაზე იდგა და ისე ოსტატურად იყო შენიღბული ჰოლმსის ხალათით, რომ თუ კაცი ქუჩიდან შემოიხედავდა, სრული ილუზია იქმნებოდა.

- მგონი, ყველა ჩემი მითითება ზუსტად შეასრულეთ, მისის ჰადსონ? - ჰკითხა დიასახლისს ჰოლმსმა.

- მუხლებზე ხოხვით ვუახლოვდებოდი, სერ, როგორც თქვენ მიბრძანეთ.

- ჩინებულია. ყველაფერი ისე გააკეთეთ, უკეთესად არ შეიძლებოდა. შენიშნეთ, სად მოხვდა ტყვია?

- დიახ, სერ. თქვენს ლამაზ ბიუსტს თავში გაუარა და კედელს შეეჭყლიტა. ნოხზე ეგდო. ინებეთ.

ჰოლმსმა ტყვია მე გამომიწოდა.

- რევოლვერის მსუბუქი ტყვია გახლავთ - ნახეთ, უოტსონ. ეს ხომ პირდაპირ გენიალურია! აბა, ვინ იფიქრებდა, რომ საჰაერო თოფით შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ტყვიის გასროლა? ჩინებულია, მისტერ ჰადსონ, გმადლობთ დახმარებისათვის... ახლა, უოტსონ, ძველებურად თქვენს ადგილზე მოკალათდით. რამდენიმე საკითხი მინდა თქვენთან ერთად გავარკვიო.

გაცვეთილი სერთუკი გადააგდო, თავის ორეულს რუხი ფერის ხალათი მოხსნა, თვითონ მოიხურა და ჩემს თვალწინ ისევ უწინდელი ჰოლმსი წარმოდგა.

- ძველ მონადირეს ისეთივე მაგარი ნერვები შერჩა და თვალიც ისევე საიმედოდ უჭრის, - თქვა მან სიცილით, როცა ცვილის ფიგურის გახვრეტილ შუბლს ათვალიერებდა, - შიგ შუაგულ კეფაში კი მოუხვედრებია ტყვია და ტვინიც გაუხვრეტია. მორანი სწორუპოვარი მსროლელი იყო ინდოეთის ჯუნგლებში, და ვფიქრობ, არც ლონდონში ეყოლება ბევრი მეტოქე. გაგიგონიათ უწინ ოდესმე მისი სახელი?

- არა, არასოდეს.

- თქვენ, როგორც მახსოვს, ისიც აღიარეთ, რომ არ გაგიგონიათ თვით პროფესორ ჯეიმს მორიარტის სახელი, ის კი ჩვენს საუკუნეში უდიდესი გონების ადამიანი გახლდათ. გთხოვთ, თაროდან ჩამოიღოთ ბიოგრაფიული საძიებელი...

ჰოლმსი მოხერხებულად მოეწყო სავარძელში, პაპიროსს ექაჩებოდა და თან ზანტად ფურცლავდა წიგნს.

- «მანზე» ბრწყინვალე კოლექცია მაქვს, - წამოიწყო ჰოლმსმა. - მარტო მორიარტი იკმარებდა, რომ ესახელებინა რომელიც გნებავთ ასო, აქ კი მას ემატება მორგანი - მომწამვლელი, მერიდიუ, რომელმაც საზარელი ხსოვნა დატოვა, მეტიუზი - სწორედ ის, რომელმაც ჩარინგ-კროსის სადგურზე მოსაცდელ დარბაზში მარცხენა ღოჯი გამიტეხა. დაბოლოს, ეს ჩვენი დღევანდელი მეგობარი.

წიგნი გამომიწოდა და შემდეგი სტრიქონები წავიკითხე:

«მორანი სებასტიან, გადამდგარი პოლკოვნიკი. მსახურობდა მესანგრეთა პირველ ბენგალორის პოლკში. დაიბადა ლონდონში 1840 წელს. შვილი ოგესტესე მორანისა, აბანოს ორდენის კავალერისა და ინგლისის ყოფილი ელჩისა სპარსეთში. დაამთავრა იტონის კოლეჯი და ოქსფორდის უნივერსიტეტი. მონაწილეობდა მეკავშირედ ჯოკავის, ავღანეთის, ჩარასიაბის, შერპურის და ქაბულის ექსპედიციებში. ავტორი წიგნებისა: «მსხვილ მხეცებზე ნადირობა დასავლეთ ჰიმალაებში» (1881) და «სამი თვე ჯუნგლებში» (1884). მისამართი: კონდუიტსტრიტი. კლუბები: ინგლის-ინდოეთისა, ტენკერვილისა და ბაგატელისა».

- უცნაურია, - ვთქვი მე და ჰოლმსს წიგნი დავუბრუნე. - კაცი იფიქრებდა, რომ ამ კაცის გზა პატიოსანი ჯარისკაცის გზა იქნებოდა.

- თქვენ მართალი ხართ, - მიპასუხა ჰოლმსმა. - გარკვეულ დრომდე ცუდი არაფერი ჩაუდენია. ეს იყო რკინის ნერვებიანი კაცი, ინდოეთში დღემდე დადის ლეგენდა იმაზე, თუ როგორ გახოხდა მდინარის მშრალ კალაპოტში, კლანჭებიდან გამოგლიჯა დაჭრილ ვეფხვს ადამიანი და უეჭველი სიკვდილისაგან დაიხსნა. არსებობს ისეთი ხეები, უოტსონ, რომლებიც გარკვეულ სიმაღლემდე ნორმალურად იზრდებიან და უეცრად ნორმიდან რაღაც მახინჯურად გადაიხრებიან. ხშირად ასე

ემართებათ ადამიანებსაც. ჩემი თეორიის თანახმად, ყოველი ინდივიდუმი თავის განვითარებაში იმეორებს თავისი წინაპრების განვითარების ისტორიას, და მე ვთვლი, რომ ყოველი მოულოდნელი გადახრა სიკეთის ან ბოროტებისაკენ დამოკიდებულია რომელიმე ძლიერ ზეგავლენაზე, რომლის საწყისი ადამიანის საგვარეულო ნუსხაში უნდა ვეძიოთ. მაშასადამე, მისი ბიოგრაფია მთელი ოჯახის ბიოგრაფიის რაღაც მინიატურული გამეორებაა.

- აი, ეს თეორია კი რამდენადმე ფანტასტიკურია.

- რა გაეწყობა, ნათქვამს არ ჩავეჭიდები. რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო, მთავარი ისაა, რომ პოლკოვნიკი მორანი ცუდ გზას დაადგა. ყოველგვარი გახმაურებული აურზაურის გარეშე ინდოეთში იმდენად აიმხედრა ზოგი ვინმე, რომ იქ მისი დარჩენა შეუძლებელი შეიქმნა. სამსახურიდან გადადგა, ლონდონში ჩამოვიდა და აქაც გაიტეხა სახელი. აი, მაშინ აღმოაჩინა ის პროფესორმა მორიარტიმ, და მორანი მისი მარჯვენა ხელი გახდა. მორიარტი მას უხვად ამარაგებდა ფულით, დახმარებას კი იშვიათად სთხოვდა. მას ისეთ განსაკუთრებით ძნელ საქმეებს ავალებდა, რომელთა შესრულება ჩვეულებრივ დამნაშავეს გაუჭირდებოდა. იქნებ გახსოვთ მისის სტიუარტ ლაუდერელის უცნაური სიკვდილი 1887 წელს? არა? ვფიქრობ, ამ საქმეს უმორანოდ არ ჩაუვლია, თუმცა მის წინააღმდეგ არავითარი გარკვეული სამხილი არ წამოუყენებიათ. პოლკოვნიკი ისე მოხერხებულად ფარავდა დანაშაულის კვალს, რომ იმის შემდეგაც კი, რაც მორიარტის მთელი ბრბო გაფანტეს, ჩვენ კიდევ ვერ მოვახერხეთ მისი სამსჯავრო სკამზე დასმა.

გახსოვთ, უოტსონ, ის საღამო, თქვენთან რომ მოვედი და დარაბები მივხურე. მაშინ საჰაერო თოფის ტყვიისა მეშინოდა. თქვენ ჩემი საქციელი უცნაურად მოგეჩვენათ, მაგრამ მე ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, რადგან ჩემთვის უკვე ცნობილი იყო ამ შესანიშნავი თოფის არსებობა და ამას გარდა ვიცოდი, რომ ეს თოფი ხელთა აქვს ერთ ყველაზე უფრო დახელოვნებულ ჩუბინს. როცა მე და თქვენ შვეიცარიაში გავემგზავრეთ, მორანი მორიარტისთან ერთად დაგვედევნა და სწორედ მას უნდა ვუმადლოდე იმ არასასიამოვნო წუთებს, რომლებიც რაიხენბახის ჩანჩქერის თავზე წოლისას კლდის ნაპრალში განვიცადე.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ხარბად ვკითხულობდი ინგლისურ გაზეთებს, როცა საფრანგეთში ვიყავი: იმედი მქონდა ოდესმე ვიპოვნიდი რაიმე შესაძლებლობას, რომ ეს ბოროტმოქმედი ოთხ კედელს შორის მომექცია. თავად განსაჯეთ: ვიდრე ის თავისუფლად დანავარდობდა, ლონდონში დაბრუნებაზე ფიქრიც კი არ შემეძლო. დღედაღამ სიკვდილის მუქარა ნისლავდა ჩემს ცხოვრებას, მორანს ადვილად შეეძლო ეპოვნა შემთხვევა და მოვეკალი. რა უნდა მექნა? მისი ტყვიით მოკვლა მე არ შემეძლო. ასე ხომ თვითონ აღმოვჩნდებოდი ბრალდებულის სკამზე! სასამართლოში საქმის აღძვრაც უსარგებლო ოცნება იყო. სასამართლოს უფლება არა აქვს მარტოოდენ დაუსაბუთებელი ეჭვის საფუძველზე აღძრას საქმე, ხოლო საბუთები მე არა მქონდა. ასე რომ, უძლური ვიყავი რაიმე მეღონა. ერთიღა მრჩებოდა - დაუღალავად მედევნებინა თვალი დანაშაულობათა ქრონიკისათვის, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან მის შეპყრობას ამ გზით მოვახერხებდი.

სწორედ ამ დროს ვერაგულად მოკლეს რონალდ ადერი და ჩემი დროც დადგა! იოტისოდენი ეჭვი არ შემპარვია იმაში, რომ ის კაცი სწორედ პოლკოვნიკმა მორანმა მოკლა! იგი ბანქო ეთამაშა ყმაწვილს კაცს, კლუბიდან ფეხდაფეხ მიჰყვა და საჰაერო თოფიდან ნასროლი ტყვიით სიცოცხლეს გამოასალმა. ახლა ტყვიაც კმაროდა სამხილად, რომ პოლკოვნიკი მორანი სახრჩობელაზე გაეგზავნათ. მაშინვე

ლონდონში გავჩნდი. პოლკოვნიკის მზვერავმა მნახა და, რა თქმა უნდა, თავის ბატონს ეს ამბავი მყისვე შეატყობინა. მორანს არ შეეძლო არ დაეკავშირებინა ჩემი უეცარი ჩამოსვლა თავის დანაშაულთან და შეშფოთდა. დარწმუნებული ვიყავი, ეცდებოდა გზიდან ჩამოვეცილებინე, რისთვისაც უეჭველად თავის მომაკვდინებელ იარაღს გამოიყენებდა. ამიტომ დავუმზადე ჩემი კაბინეტის ფანჯარაში მისატყუებელი სამიზნე და პოლიციაც გავაფრთხილე, რომ შეიძლებოდა მათი დახმარება დამჭირებოდა. თქვენ თვითონ გახსოვთ ალბათ, რომ ჩვენი სახლის მისასვლელში ორი პოლისმენი შენიშნეთ. ამის შემდეგ, სათვალთვალოდ ავირჩიე ის უკაცრიელი სახლი, რადგან თვალყურის სადევნებლად მოხერხებული მეჩვენა. მაგრამ, სწორი გითხრათ, ის კი არ დამსიზმრებია, რომ ჩემი მოწინააღმდეგეც თავდასხმისათვის იმავე ადგილს აირჩევდა. აი, ყველაფერი, ძვირფასო უოტსონ. ახლა, მგონი, თქვენთვის ყველაფერი ნათელია?

- არა, - ვუპასუხე მე. - ჯერ კიდევ არ გითქვამთ, რისთვის დასჭირდა პოლკოვნიკ მორანს სერ რონალდ ადერის მოკვლა.

- აი, აქ კი, ჩემო მეგობარო, ჩვენ ვარაუდებს უნდა მივმართოთ. ყველა ადამიანს შეუძლია მოცემული ფაქტების მიხედვით შექმნას საკუთარი ჰიპოთეზა, და შეიძლება მისი მოსაზრება გამართლდეს და არა ჩემი.

- მაშ, თქვენი ჰიპოთეზა უკვე შექმნილია?

- ჰო, ჩემი აზრით, მოცემული ფაქტების ახსნა არც ისე ძნელია. ძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობის წინ პოლკოვნიკმა მორანმა და ახალგაზრდა ადერმა, რომლებიც პარტნიორები იყვნენ, საგრძნობი თანხა მოიგეს. მაგრამ მორანი, უდავოა, პატიოსნად არ თამაშობდა. მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ იგი შულერი იყო. იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა, ადერმა უეჭველად შენიშნა მორანის ეშმაკობა. ადერი ალბათ პირისპირ ელაპარაკა პოლკოვნიკს და დაემუქრა, რომ, თუ იგი ნებაყოფლობით არ გავიდოდა კლუბის წევრობიდან და სიტყვას არ მისცემდა, რომ სამუდამოდ აიღებდა ხელს თამაშზე, ადერი მას ამხელდა. ისეთი ყმაწვილი, როგორიც რონალდ ადერი იყო, ერთბაშად საჯაროდ არ ახლიდა პირში თავისზე უფროს კაცს ასეთ სკანდალურ ბრალდებას, მით უმეტეს, რომ მორანს საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. საფიქრებელია, რომ იგი პოლკოვნიკს ცალკე, მოწმეების გარეშე მოელაპარაკა. მაგრამ მორანისათვის, რომელიც მხოლოდ იმ ფულით ცხოვრობდა, რის შოვნასაც შულერობით ახერხებდა, კლუბიდან გარიცხვა გაკოტრებას ნიშნავდა. ამიტომაც ადგა და მოკლა ადერი, და მოკლა იმ დროს, როცა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არ სურდა გამხდარიყო უპატიოსნო გზით ნაშოვნი ფულის თანამოზიარე, ანგარიშობდა, რა თანხა უნდა დაებრუნებინა თითოეული დაზარალებულისათვის. იგი ოთახში ალბათ იმ მიზნით ჩაიკეტა, რომ დედას და დას არ წაესწროთ და გამოკითხვით არ შეეწუხებინათ, რას ნიშნავდა, ან იმდენი ჩამოწერილი სახელი, ანდა მონეტების სვეტები, მაგიდაზე რომ იყო დახროვილი... აბა, რას იტყვით, ჰგავს თუ არა სიმართლეს ჩემი განმარტება?

- დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე სწორედ ასეა.

- ძიება გვიჩვენებს, მართალი ვარ, თუ არა. ასე თუ ისე, პოლკოვნიკი მორანი მეტად აღარ შეგვაწუხებს. ფონ ჰერდერის სახელგანთქმული საჰაერო თოფი სკოტლენდ-იარდის მუზეუმის კოლექციას დაამშვენებს, ხოლო მისტერ შერლოკ ჰოლმსს იმ პატარა საინტერესო გამოცანების ამოხსნაში, რომლებითაც ასე მდიდარია ლონდონის რთული ცხოვრება, ამიერიდან ხელს ვეღარავინ შეუშლის.

ჭრელი ლენტი

ცხოვრების უკანასკნელი რვა წელიწადი განუყრელად გავატარე ჩემს მეგობართან ერთად და საშუალება მქონდა მისი კვლევა-ძიების მეთოდს დავკვირვებოდი. ჰოლმსის უჩვეულო კვლევა-ძიებაზე ჩემეული ჩანაწერები სამოცდაათს აღემატება. მრავალი მათგანი ტრაგიკულია, რამდენიმე კომიკურიცაა, ბევრი უცნაური და შიშისმომგვრელი გახლავთ, მაგრამ ჩვეულებრივი და საშუალო ამბავი მათში არ ურევია. ჰოლმსი ხომ თავისი პროფესიის ტრფიალი იყო და მისი სიყვარულით სულდგმულებდა! ეს სიყვარული და არა სიმდიდრის მოხვეჭის საწადელი იყო იმის მიზეზი, რომ ჩემი მეგობარი მუდამ უცნაურ, უჩვეულო, დახლართულ, ფანტასტიკურ ამბებს იკვლევდა და ჩვეულებრივ შემთხვევებს სათოფეზეც არ ეკარებოდა. იმ სხვადასხვა შემთხვევებიდან ყველაზე უფრო განსაკუთრებული, ჩემი აზრით, ინგლისის სამხრეთის საგრაფო სერეიში კარგად ცნობილი ექიმის, როილოტის ამბავია აღსანიშნავი. ეს შემთხვევა ჩემი და ჰოლმსის დამეგობრების პირველ ხანებში მოხდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ორივენი უცოლონი ვიყავით. ბეიკერსტრიტზე ვცხოვრობდით, ცა ქუდად არ მიგვაჩნდა და დედამიწა - ქალამნად. ალბათ, ამ ამბის ჩანაწერს უფრო ადრე დავბეჭდავდი, მაგრამ ერთ ქალბატონს აღვუთქვი, ამ შემთხვევას ქვეყანას არ მოვდებ-მეთქი და სიტყვა ავასრულე. ახლა, იმ ქალბატონის უდროო სიკვდილმა, რაც წარსულ თვეში მოხდა, დადებული აღთქმისაგან გამათავისუფლა. შესაძლოა, ამ შემთხვევის დღის სინათლეზე დაგვიანებით გამოტანა საქმისათვის სასარგებლოც კი აღმოჩნდეს, ვინაიდან ექიმი გრიმესბი როილოტის აღსასრულზე, სერეიში, იმაზე უფრო საშინელი მითქმა-მოთქმაა, ვიდრე სინამდვილეში მოხდა.

1883 წლის აპრილის ერთ დილით ახლად გამოღვიძებულმა დავინახე, რომ საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი ჰოლმსი ჩემს საწოლთან მოსულა და თავზე დამდგომია. იგი, ჩვეულებრივ, გვიან დგებოდა ხოლმე და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ბუხრის თავზე საათის ისრებს მოვკარი თვალი და გავარკვიე, რომ მხოლოდ რვის თხუთმეტი წუთი იყო. ცოტათი აღვშფოთდი კიდეც და მინდოდა ჩემი გულისწყრომა გამომეხატა, ვინაიდან ჩვეულებად მქონდა ლოგინიდან მოგვიანებით ადგომა.

- ძალიან ვწუხვარ, რომ გაგაღვიძეთ, უოტსონ, - მოიბოდიშა ჰოლმსმა, - მაგრამ ალბათ ზეცაში გადაწყდა, რომ დღევანდელ დღეს ჩვენი ხვედრი ასეთი უნდა ყოფილიყო. ჯერ ჰაიჰარად მისის ჰადსონი გაუღვიძებიათ, მან მე გამაღვიძა და მეც, მეტი ჩარა არ იყო, თქვენ გამოგაღვიძეთ.

- რა მოხდა, ხანძარია?

- არა, კლიენტია. ვიღაც აფორიაქებული ახალგაზრდა ლედი გვესტუმრა და დაუყოვნებლივ ჩემს ნახვას ითხოვს. იგი სასტუმროშია და იქ გველოდება. როცა ახალგაზრდა ლედი ასე სისხამ დილით დედაქალაქის ქუჩებში სიარულს გაბედავს და არც იმას მოერიდება, რომ სრულიად უცნობი ხალხი გარიჟრაჟზე ლოგინიდან წამოყაროს, ალბათ რაიმე მნიშვნელოვან ამბავს გვაუწყებს. ჩემი აზრით, საქმე ძალიან საინტერესო უნდა იყოს, და მე არ მინდა, რომ მერე სანანებლად დაგრჩეთ. რატომ თავიდანვე არ მოვუსმინეო.

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, ახლავე მზად ვიქნები და ახალგაზრდა ლედის თქვენთან ერთად მოვუსმენ.

აბა მითხარით, რა უნდა ყოფილიყო იმაზე უფრო სასიამოვნო, ვიდრე ჩემი მეგობრის მიერ კვლევა-ძიების წარმართვა, რასაც თან სდევდა: დედუქციური

მეთოდის გამოყენება, მტკიცე ლოგიკური მსჯელობა, სწრაფი ორიენტაცია, მახვილგონიერი ალღოიანობა და საბოლოო ანგარიშით პრობლემის გადაჭრა და დანაშაულის კვანძის გახსნა. სასწრაფოდ ჩავიცვი და რამდენიმე წამში უკვე მზად ვიყავი, რათა ჩემს მეგობარს სასტუმრო ოთახში გავყოლოდი. სასტუმროში რომ შევედით, შავებით მოსილი, პირბადიანი ლედი ფეხზე წამოდგა.

- დილა მშვიდობისა, ქალბატონო, - მიესალმა ჰოლმსი. - მე გახლავართ შერლოკ ჰოლმსი. ეს კი ჩემი მეგობარი და თანაშემწე უოტსონია, რომელთანაც ისევე თავისუფლად შეგიძლიათ ილაპარაკოთ, როგორც პირადად ჩემთან. ჰა, ძალიან გამეხარდა, რომ მისის ჰადსონს მოუფიქრებია და ბუხარი დაუნთია. გთხოვთ, ახლოს დაჯდეთ ბუხართან, ვუბრძანებ, ცხელი ყავა მოგართვან. ვხედავ, ერთიანად გაკანკალებთ.

- სიცივისაგან არ მაკანკალებს, - დაბალი ხმით წამოიწყო ქალმა და ჰოლმსის თხოვნისამებრ ბუხართან გადმოჯდა.

- აბა რა მიზეზით ცახცახებთ ასე?

- შიშისაგან, მისტერ ჰოლმს, ელდისაგან, - თქვა ეს და პირბადე აიწია. ჩვენ დავინახეთ, რომ საწყალი ქალი მართლაც საცოდავ დღეში იყო. ფერმიხდილი სახე შიშისაგან დაღრეჯოდა, მონადირეთაგან დევნილი ნადირივით თვალები მოეწკურა და აქეთ-იქით აცეცებდა. სახე და ტანი ოცდაათი წლის ქალისა ჰქონდა, მაგრამ თმაში ნაადრევად შეპარვოდა ჭაღარა. შერლოკ ჰოლმსმა თავისი ყოვლისმჭვრეტელი მზერით სწრაფად შეათვალიერა მოსული.

- საშიში არაფერია, - წყნარად უთხრა ჰოლმსმა, წინ გადაიხარა და ლედის მხრებზე ხელი მოუთათუნა. - ეჭვი არ მეპარება, ჩვენ შევძლებთ საშიშროება თავიდან აგაცილოთ. თქვენ ამ დილით მატარებლით ჩამობრძანდით, არა?

- როგორ, თქვენ მე მიცნობთ?

- არა, მაგრამ თქვენს ხელთათმანში უკან დასაბრუნებელი ბილეთი შევნიშნე. ძალიან ადრე ამდგარხართ და მერე მატარებლის სადგურში მისვლამდე, ორბორბლიან ეტლს ძალიან ცუდი გზებით უტარებიხართ.

ქალი ამ სიტყვებზე ადგილიდან წამოიჭრა და ჩემს მეგობარს დაბნეული მიაჩერდა.

- აქ საკვირველი არაფერია, ძვირფასო ქალბატონო, - დაყვავებით თქვა ჰოლმსმა. - თქვენი ზედატანის მარცხენა სახელო ერთ შვიდ ადგილას მაინცაა ლაფის შხეფებით დასვრილი, თანაც ტალახის წინწკლები ჯერ კიდევ არაა შემშრალი. ასე მხოლოდ ორბორბლიან ეტლში ჯდომისას შეიძლება დაისვაროს ადამიანი და ისიც, თუ მეეტლის მარცხნივ ზის.

- არ ვიცი, რა გზით მიხვედით მაგ დასკვნამდე, მაგრამ ყველაფერი კი სწორედ ასე გახლავთ, - თქვა ქალმა. - ჯერ ექვსი საათიც არ იყო, სახლიდან რომ გამოვედი, ოც წუთში ლეათერჰედში ვიყავი, პირველივე მატარებელს ლონდონისაკენ გამოვყევი და ვატერლოოს სადგურში ჩამოვედი. მეტის ატანა აღარ შემიძლია, სერ, თუ ეს დაძაბულობა ასე გაგრძელდა, ნამდვილად შევიშლები. არავინ არა მყავს, რომ დამეხმაროს და ამ გასაჭირიდან გამომიყვანოს. მხოლოდ ერთი საწყალი ყმაწვილია და ჩემი შველა იმასაც არაფრით შეუძლია. თქვენზე მისის ფარინტოშისაგან მსმენია. იგი ხომ უკიდურესი გაჭირვებისაგან დაიხსენით. მისის ფარინტოშმა მომცა თქვენი მისამართი. ოჰ, სერ, იმედია, მეც დამიხსნით გასაჭირიდან, ანდა ყოველ შემთხვევაში ცოტა ნათელს მაინც მოჰფენთ იმ წყვდიადს, რომელშიაც მე მოვექეცი! თქვენთვის გასამრჯელოს გადახდა ამჟამად არ შემიძლია, მაგრამ ერთ-ორ თვეში გავთხოვდები,

ჩემი შემოსავლის გამგებლობის უფლებას მივიღებ, და ნახავთ, რომ მე უმადური ადამიანი არა ვარ.

ჰოლმსი მაღალ საწერ მაგიდას მიუახლოვდა. უჯრა გამოაღო და იქიდან ჩანაწერების წიგნი ამოიღო.

- ფარინტოში, ჰო, მაგონდება. ეს ჩვენს გაცნობამდე მოხდა, უოტსონ, და საქმე ტიარას ეხებოდა. მე მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, ქალბატონო, რომ თქვენს საქმეს ისეთივე თავდადებითა და გულისყურით მოვეკიდები, როგორც მაშინ იმ თქვენი მეგობრის საქმეს მოვეკიდე. რაც შეეხება გასამრჯელოს, ჩემი პროფესია ჩემთვის თვითონაა ჯილდოც და გასამრჯელოც. თქვენ შეგიძლიათ გადამიხადოთ ის თანხა, რაც ამ საქმეზე დამეხარჯება და ისიც მაშინ, როცა თქვენთვის მიზანშეწონილი იქნება. ახლა კეთილი ინებეთ და საქმის გარშემო ყოველივე დაწვრილებით მომიყევით.

- ვაი რომ, ჩემი მდგომარეობის საშინელება სწორედ ისაა, ბურანიდან ვერ გამოვრკვეულვარ და ჩემს შიშსა და ეჭვებს ძალიან მცირე საფუძველი აქვს. სხვებისთვის ჩემი ეჭვების მიზეზი იმდენად უმნიშვნელოა, რომ თვითონ ისიც კი, ვისაც უფლება მაქვს რჩევისა და დახმარებისათვის მივმართო, ყოველივეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფად ნათლავს და ნერვიული ქალის ნაბოდვარს უწოდებს. მართალია, ეს სიტყვები ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ მისი ტკბილი დამამშვიდებელი სიტყვები და ჩემი მზერისაგან თვალის არიდება ყოველივეს უსიტყვოდ მაგრძნობინებს. როგორც მითხრეს, მისტერ ჰოლმს, თქვენ ღრმად იხედებით ადამიანის სულში და სამზეოზე გამოგაქვთ ზოგიერთი მათგანის არსებაში ღრმად დაბუდებული ბოროტი ზრახვები. სწორედ ამიტომ მოგმართეთ და მწამს, რომ აუცილებლად მომცემთ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ დავაღწიო თავი გარსმოჯარულ უბედურებას.

- მე მთელი გულისყურით გისმენთ, ქალბატონო.

- მე ელენ სტონერი გახლავართ და მამინაცვალთან ერთად ვცხოვრობ. იგი საქსონელთა უძველესი გვარის უკანასკნელი ნაშიერი გახლავთ - სტოუკ მორანელი როილოტი. მათი მამულები წინათ სერეის საგრაფოს დასავლეთ კიდეზე ყოფილა.

ჰოლმსმა თავი დაუქნია, - ჩემთვის ეს ნაცნობი გვარიაო, - უთხრა. - ინგლისში ერთ დროს ეს ოჯახი უმდიდრესი იყო. მათი მამულები ჩრდილოეთით ბერკშირამდე აღწევდა და იქაც იჭრებოდა, ხოლო დასავლეთით ჰემპშირამდე იყო გადაჭიმული. ოთხმა უკანასკნელმა თაობამ თავიანთი ხელგაშლილობითა და უყაირათობით ეს დიდი ოჯახი გაღატაკებამდე მიიყვანა. აზარტულ თამაშობათა მოყვარულმა უკანასკნელმა მემკვიდრემ კი, რეგენტობის დროს, საბოლოოდ დააქცია მთელი ოჯახი. ახლა მათ ბარობაზე რამდენიმე აკრი მიწისა და ძველი, ორასწლოვანი სახლის გარდა აღარაფერია და ის ძველი სახლიც დაგირავებული გახლავთ.

ამ გვარ-გუჯაბის უკანასკნელ მემამულეს ღატაკი არისტოკრატის მძიმე ხვედრი ხვდა წილად და თავისი სიცოცხლის დღენი სიდუხჭირეში გალია. მაგრამ მისმა მხოლოდშობილმა შვილმა, ჩემმა მამინაცვალმა, ცხოვრებაში მეტი ფხა გამოიჩინა. ერთი ნათესავისაგან ფული ისესხა, სამედიცინო განათლება მიიღო და სამუშაოდ კალკუტაში გაემგზავრა. იქ თავისი ცოდნით, მოხერხებით, სიმარჯვით და ძლიერი ხასიათის წყალობით კარგი პრაქტიკა იშოვა. მაგრამ ერთ დღეს მას სახლი გაუქურდეს. დანაკარგით შეძრწუნებულმა და განრისხებულმა როილოტმა თავისი მოურავი ისე მაგრად სცემა, რომ იმ უბედურმა ფეხები გაჭიმა, რის გამოც ჩემი მამინაცვალი დააპატიმრეს და სიკვდილის დასჯას ძლივს გადაურჩა. როილოტი ყველაზე და ყველაფერზე აღრენილი, პირქუში და იმედგაცრუებული დაბრუნდა

სამშობლოში. ინდოეთში ყოფნის დროს როილოტმა დედაჩემზე, ბენგალიის არტილერიის გენერალ-მაიორის ახალგაზრდა ქვრივ მისის სტონერზე დაიწერა ჯვარი. მე და ჩემი ტყუპის ცალი და ჯულია, მაშინ ორ-ორი წლისანიც არ ვიყავით. დედას წლიურად კარგა გვარიანი შემოსავალი ჰქონდა. მთელი წლიური შემოსავალი მან დოქტორ როილოტის განკარგულებაში გადასცა, იმ დრომდე, ვიდრე ჩვენ მასთან ერთად ვიცხოვრებდით. ჩემი, ან ჩემი დის გათხოვების შემთხვევაში, იმ წლიური შემოსავლიდან, გარკვეული თანხა ჩემსა და ჩემს დაზეც უნდა განაწილდეს. ინგლისში დაბრუნების შემდეგ დედა მალე დავკარგეთ. იგი, რვა წლის წინათ, რკინიგზაზე გრივთან მომხდარი კატასტროფის მსხვერპლი შეიქმნა. მისი დაღუპვის შემდეგ, როილოტმა ლონდონში დასახლებისა და იქ სამედიცინო პრაქტიკის მოკიდების მცდელობას თავი მიანება, საცხოვრებლად საგვარეულო მამულში სტოკ მორანში გადავიდა და ჩვენც თან წაგვიყვანა. ის შემოსავალი, რაც დედამ დაგვიტოვა, სრულიად საკმარისი იყო ყველა ჩვენი სურვილის დასაკმაყოფილებლად და თითქოს ჩვენი ბედნიერებისათვის ხელი არაფერს არ უნდა შეეშალა.

მაგრამ იმ ხანებში ჩვენი მამინაცვალი საშინლად გამოიცვალა. ნაცვლად იმისა, რომ მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა მეზობლებთან, რომლებიც მის გამოჩენას თავის მამაპაპეულ მამულში პირველ ხანებში დიდი სიხარულით შეხვდნენ, იგი სახლში ჩაიკეტა და გარეთ იშვიათად გამოდიოდა. ხოლო თუ გამოვიდოდა, თითქოს იმიტომ, რომ გზად პირველივე შემხვედრისათვის თავს რისხვა დაეტეხა და ერთი ვაი-უშველებელი დაეწია. მანიად ქცეული ხასიათის თანდაყოლილი სიშმაგე და მოუთმენლობა მისი გვარის მამაკაცებს მემკვიდრეობით ჰქონდათ ჯილაგში გამჯდარი და ვფიქრობ, ყველაზე მეტად იგი ჩემს მამინაცვალს ტროპიკულ ქვეყანაში ყოფნამ გაუძლიერა.

ჩემს მამინაცვალს მეზობლებთან ბევრი შეხლა-შემოხლა მოუხდა. ორმა შემთხვევამ იგი საპოლიციო უბნამდეც მიიყვანა. ერთი სიტყვით, ექიმი როილოტი მთელი სოფლის საფრთხობელად გადაიქცა. მასთან პირისპირ შეყრას ყველა გაურბოდა, ვინაიდან იგი არაბუნებრივი ფიზიკური ძალის პატრონია და მრისხანების ჟამს თავშეუკავებელი გახლავთ.

წარსულ კვირას მან ხიდიდან წყალში ისროლა სოფლის მჭედელი და სახალხოდ თავის მოჭრას ის ვამჯობინე, რაც კი რამ მებადა, დამეხარჯა და საქმე მიმეჩქმალა. ერთადერთი, ვისთანაც საერთო ენა გამონახა და მეგობრობს, მოხეტიალე ცხოვრების მოყვარული ბოშები არიან. მათ ნებას აძლევს მის კუთვნილ ძაღლმაყვალათი გადავლილ მამულში დასცენ კარვები და თვითონაც მათთან ერთად კვირაობით იკარგება ხოლმე. ყველა სიკეთესთან ერთად ერთი ვნებაც სჭირს, ინდოეთიდან გამოგზავნილი ცხოველების ნამდვილი ტრფიალი გახლავთ. ამ წუთსაც მის კუთვნილ მიწაზე თავისუფლად დანავრდობენ გაწვრთნილი მონადირე ავაზა და მაიმუნი, რომლებიც პატრონივით, შიშის ზარს სცემენ გამვლელ-გამომვლელთ.

ჩემი მონათხრობიდან ალბათ თქვენთვის ცხადი ხდება, რომ მე და ჩემს დას ვერაფერი სიამოვნებით აღსავსე ცხოვრება გვქონდა. არც ერთი მსახური არ გაგვიჩერდა და სახლის მთელი სამუშაო, კარგა ხანს კისრად ჩვენ გვაწვა. საცოდავი ჩემი და ოცდაათი წლისაც არ იყო, რომ მოკვდა და თმაში, ჩემი არ იყოს, ნაადრევად შეეპარა ზამთარი.

- თქვენი და გარდაიცვალა?

- დიახ, ორი წელია, რაც აღესრულა და სწორედ მის სიკვდილზე მინდა გიამბოთ. რა თქმა უნდა, თქვენთვის გასაგებია, რომ იმ პირობებში, რომელშიაც

ვცხოვრობდით, შესაძლებლობა არა გვქონდა ჩვენს ტოლებში გაგვეხარა და ახალგაზრდა ვაჟებს შევხვედროდით.

გვყავდა ერთადერთი დეიდა მის ჰონორია უესტფაილი, რომელიც ჰერონუს მახლობლად ცხოვრობდა. ჩვენ იშვიათად და ისიც ძალიან მცირე ხნით გვეძლეოდა ნება დეიდასთან სტუმრად წავსულიყავით. ორი წლის წინათ, ჯულია დეიდასთან შობის დღესასწაულზე გაემგზავრა. იქ გაიცნო ფლოტის გადამდგარი მაიორი, რომელმაც ჩემი და დანიშნა. მამინაცვალმა ეს ამბავი, ჯულია რომ დაბრუნდა, მაშინ შეიტყო და საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. მაგრამ ქორწინების დანიშნულ დღეზე ორი კვირით ადრე, ღამით თავს დაგვატყდა უდიდესი უბედურება, რომელმაც ცხოვრებაში ერთადერთი ნუგეშიც წამართვა...

შერლოკ ჰოლმსი სავარძელში გადაწოლილი, თვალდახუჭული ისმენდა ახალგაზრდა ქალის ნაამბობს. უცებ წინ წამოიწია, თვალები სანახევროდ გაახილა და სტუმარს დაყვავებით მიმართა:

- გთხოვთ, ისე გაიხსენოთ ყველაფერი, რომ რაიმე წვრილმანიც კი არ გამოგრჩეთ.

- ჩემთვის იოლია ყოველგვარი წვრილმანის გახსენება, მისტერ ჰოლმს, ვინაიდან იმ საშინელი დროის ყველა განცდა ღრმად აღმებეჭდა მეხსიერებაში. როგორც გითხარით, სახლი ძალიან ძველია და საცხოვრებლად მხოლოდ ერთი ფრთა გვაქვს გამოყენებული. საწოლი ოთახები ამ ფრთის პირველ სართულზეა განლაგებული, სასტუმრო კი შენობის ცენტრში გახლავთ მოთავსებული. პირველი საძინებელი ოთახი ბოილოტისაა, მეორე ჩემი დის იყო, მესამე კი ჩემი. ოთახებს შორის არავითარი კავშირი არაა, გარდა იმისა, რომ გასასვლელი ყველა ოთახიდან ერთ დერეფანში გადის. გასაგებად გიყვებით?

- ნამდვილად კარგად ლაპარაკობთ.

- ოთახების ფანჯრები გუბურას გადასცქერის. იმ საბედისწერო ღამეს დოქტორი როილოტი ადრიანად გაემართა თავის ოთახისაკენ, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ დასაძინებლად არ დაწოლილა. ჩემს დას მისი ინდური მაგარი სიგარების ბოლი აწუხებდა ხოლმე. რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, დაძინების წინ ეწეოდა. ჯულიამ თავისი ოთახიდან ჩემსაში გადმოინაცვლა და თავისი მომავალი ქორწინების ამბებზე მეჭუკჭუკებოდა. თერთმეტ საათზე წამოდგა და კარისაკენ გაემართა. უცებ შემობრუნდა და მოულოდნელად მკითხა:

«ელენ, გეთაყვა, ღამღამობით სტვენა ხომ არ ჩაგესმის ხოლმე ძილში?»

«არა, არასოდეს მსმენია», - ვუპასუხე მე.

«იქნებ თვითონ უსტვენ ხოლმე სიზმარში?»

«არა, არასოდეს, მაგრამ რატომ მეკითხები?»

«იმიტომ, რომ ამ ბოლო დღეებში, გამთენიისას, დაახლოებით სამ-ოთხ საათზე აშკარად მესმის ხოლმე სტვენა და სისინი. მე ხომ კურდღელივით ფრთხილი ძილი ვიცი, და იმ ხმაზე მეღვიძება. მხოლოდ ის ვერ გამირკვევია, საიდან მესმის ის ხმები. მეზობელი ოთახიდან, გუბურიდან თუ... რამდენი ხანია მინდოდა შენთვის მეკითხა, შენც გესმოდა თუ არა ის ხმები».

«არა, მე არა მსმენია. იქნებ ბოშები სტვენენ ხოლმე?»

«შეიძლება, მაგრამ თუ სტვენა გუბურის მხრიდან მოისმის, მაშინ, ჩემი აზრით, შენც უნდა გაგეგონა».

«მაგრამ, მე რომ მაგრად მძინავს!»

«თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს», - თქვა ეს, კარი გაიხურა, თავის ოთახში შევიდა და გავიგონე, როგორ გაიჩხაკუნა საკეტმა მის კარებში.

- მართლა? - იკითხა ჰოლმსმა, - ჩვეულებრივ თქვენ შიგნიდან იკეტებოდით ხოლმე ოთახებში?

- დიახ.

- რატომ?

- აკი, გითხარით, რომ როილოტს მონადირე ავაზა და მაიმუნი ჰყავს, რომლებიც ყველგან თავისუფლად დანავარდობენ. ჩვენ მშვიდად ძილი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვეძლო, თუ კარს შიგნიდან ჩავკეტავდით.

- გასაგებია. გთხოვთ განაგრძოთ.

- იმ ღამეს ვერა და ვერ დავიძინე. გარდაუვალი უბედურების გაურკვეველმა, ბუნდოვანმა წინათგრძნობამ ერთიანად შემბოჭა და თავის ტყვეობაში მომაქცია. მე უკვე გითხარით, რომ ჩვენ ტყუპები ვიყავით და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როგორ სათუთად და ფაქიზად უყვართ დედმამიშვილებს ერთმანეთი და ისიც ტყუპებს. რაღაც უჟმური ღამე იდგა. ქარი მძვინვარებდა და წვიმის წვეთები ფანჯრებს ეხეთქებოდნენ. უცებ ეს გუგუნი ქალის ამაზრზენმა კივილმა გაჰკვეთა. ჩემი დის ხმა ვიცანი. ლოგინიდან წამოვხტი, თავშალში გავეხვიე და დერეფანში გამოვვარდი. ოთახიდან გამოვედი თუ არა, სწორედ ისეთი დაბალი სტვენის ხმა მომეყურა, როგორიც წინა საღამოს ჩემმა დამ ამიწერა, მერე თითქოს ლითონის ნაჭერის დავარდნის ხმაც გავიგონე. ჯულიას ოთახთან მივირბინე და ვნახე კარი ნახევრად ღია იყო. იქ შიშისაგან დაფეთებული შევყოყმანდი. არ ვიცოდი, რა უბედურება გვეწვია და რა უნდა მეღონა. დერეფანში დადგმული ლამპის სინათლეზე დავინახე, რომ კარის ზღურბლზე ჩემი და მთვარეულივით გამობარბაცდა, იგი სრულიად ფერმიხდილი იყო და თითქოს მშველელს უხმობსო, ხელები წინ გამოეწვდინა. მივვარდი და ხელები შემოვხვიე. სწორედ იმ დროს უმტყუნა მუხლებმა და იატაკზე დავარდა. ეტყობოდა, საშინელი ტკივილებისააგნ იკრუნჩებოდა და კიდურები ერთიანად უკანკალებდა და ეგრიხებოდა. პირველად ის ვიფიქრე, ვერ მიცნო-მეთქი, მაგრამ მისკენ დავიხარე თუ არა, უცებ ისეთი ხმით დაიკივლა, რომ იმ ხმას ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ.

«ოჰ, ღმერთო ჩემო! ჰელენ! ის ლენტი იყო! ჭრელი ლენტი!» კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, თითი დოქტორ როილოტის ოთახისკენ გაიშვირა, მაგრამ კრუნჩხვამ ახალი ძალით დარია ხელი და სათქმელი პირში შეატოვა. მე გარეთ გამოვვარდი და ჩემს მამინაცვალს ვუხმობდი, მაგრამ ის უკვე ხალათმოსხმული ჩემკენ მოიჩქაროდა. ოთახში შესულს ჩემი და უგრძნობლად დაუხვდა. მან გონდაკარგულს ბრენდი ჩაასხა პირში და სოფლის ექიმის მოსაყვანად კაცი აფრინა. მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. ჯულია ისე გარდაიცვალა, რომ გრძნობაზე აღარ მოსულა. ასეთი საშინელი აღსასრული ხვდა წილად ჩემს საყვარელ დას...»

- ერთი წუთით შეგაწყვეტინებთ, - ჩაურთო ჰოლმსმა, - დარწმუნებით შეგიძლიათ თქვათ, რომ სტვენა და ლითონის დაბლა დაცემის ხმაური გაიგონეთ? შეგიძლიათ ეს ფიცით დაადასტუროთ?

- სწორედ ამას მეკითხებოდა გამომძიებელიც. ჩემი მტკიცე რწმენით და შეგრძნებით კარგად მახსოვს, რომ ნამდვილად გავიგონე, მაგრამ ქარის სისინისა და ძველი სახლის ჭრაჭაჭრუჭის გახსენებისას ეჭვები მერევა და ვიბნევი.

- თქვენი და ჩაცმული იყო?

- არა, საღამური ტანსაცმელი ემოსა. მარჯვენა ხელში დამწვარი ასანთის ღერი ეჭირა, მარცხენაში კი ასანთის ყუთი.

- ეს იმას მიანიშნებს, რომ მან ასანთი გაჰკრა და ნახა ის, რამაც შეაშინა. ეს ძალიან საყურადღებო დეტალია. რა დასკვნა გამოიტანა აქედან გამომძიებელმა?

- ძიებას დიდი გულისყურით მოეკიდნენ, ვინაიდან როილოტის ანჩხლი ბუნების და ახირებული ხასიათის ამბავი ყველამ კარგად უწყოდა, მაგრამ ყოველივე უშედეგოდ დამთავრდა. მე ძიებას ვუჩვენე, რომ კარი შიგნიდან იკეტებოდა ხოლმე და ფანჯრებზე კი დარაბები რკინის ფართო საიმედო ურდულებით ირაზებოდა. კედლები და იატაკიც დიდი ყურადღებით დაათვალიერეს, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს მიაგნეს. მართალია, ბუხრის ყელი საკმაოდ განიერია, მაგრამ ისიც რკალებითა და ხუფებით ოთხგან გადაღობილი აღმოჩნდა. ამრიგად გარკვეული და დადგენილია, რომ თავის აღსასრულს ჩემი და სრულიად მარტო შეხვდა. ამას გარდა ძალადობის ნიშნებიც ვერ აღმოაჩინეს.

- მოწამვლაზე თუ მიიტანეს ეჭვი?

- ექიმებმა შეამოწმეს, მაგრამ არც ამას მოჰყოლია რაიმე შედეგი.

- აბა რამ მოკლა, თქვენი აზრით, ის უბედური ქალი?

- ჩემი ღრმა რწმენით, მას შიშმა და ნერვიულმა შოკმა მოუღო ბოლო, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რამ, ან ვინ შეაშინა.

- ბოშები თქვენს ახლო იყვნენ დაბანაკებულნი?

- დიახ, ბოშები თითქმის მუდმივად ცხოვრობენ ჩვენს ახლოს.

- თქვენი აზრით, რა უნდა ვიგულისხმოთ თქვენი დის სიტყვებში: ლენტი, ჰელენ! ჭრელი, წინწკლებიანი ლენტიო?!

- ხანდახან მგონია, რომ ის მომაკვდავის ბოდვა იყო, ხან კი იმას ვფიქრობ, ჭრელიო, რომ წამოიძახა, ბოშებს ხომ არ გულისხმობდა-მეთქი. ბოშებს ხომ წინწკლებიანი ცხვირსახოცებით აქვთ ხოლმე წაკრული თავები. ალბათ ეს უცნაური ეპითეტი სწორედ იმ წინწკლებიანი ცხვირსახოცების გამო იხმარა.

ჰოლმსმა თავი იმგვარად გააქნია, ეტყობოდა, პასუხით კმაყოფილი არ იყო.

- არა, აქ წყალი ღრმაა და ფონი იოლად საპოვნელი როდია, - ჩაილაპარაკა თავისთვის და მერე ხმამაღლა დაუმატა, - გთხოვთ განაგრძოთ.

- ორი წელია, რაც სრულ სიმარტოვეში ვიმყოფები. ერთი თვის წინათ, ერთმა ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა პატივი დამდო და ხელი მთხოვა. ჩემი საქმრო გვარად ერმიტეჯია და სახელად პერსი ჰქვია. იგი კრეინუოტერელი, რედინგის ახლოსაა, მისტერ ერმიტეჯის მეორე ვაჟი გახლავთ. მამინაცვალი თანახმადაა რომ მას გავყვე და ჩვენ გაზაფხულზე უნდა ვიქორწინოთ. ორი დღის წინათ სახლის დასავლეთ ნაწილში, რაღაც აღდგენითი სამუშაოები წამოიწყეს, ჩემი საწოლის კედელი დაანგრიეს და მე ახლა ჩემი განსვენებული დის ოთახში, სწორედ იმ საწოლზე მძინავს, რომელზეც იმ უბედურმა ჰპოვა სიკვდილი. წარმოიდგენთ ალბათ, როგორი ჟრუანტელის მომგვრელი იქნებოდა, როცა ძილგამფრთხალსა და აკანკალებულს მთელი ღამე არ მეძინა და სწორედ ის ავისმაუწყებელი სტვენა მომესმა, რომელიც წინ უსწრებდა ჩემი დის სიკვდილს. იმწამსვე ფეხზე წამოვხტი და ლამპა ავანთე, მაგრამ ოთახში ჩემს გარდა არავინ იყო. შიშისაგან აცახცახებულს კვლავ ლოგინში ჩაწოლა აღარ შემეძლო, ტანსაცმელი ჩავიცვი და ინათა თუ არა, თავი ჩვენი სახლის მოპირდაპირედ მდგარ სასტუმრო «გვირგვინში» ამოვყავი. ორთვალა დავიქირავე, ლეთერჰელდში ჩავაღწიე, იქ მატარებელში ჩავჯექი და რჩევა-დარიგებისათვის თქვენსკენ გამოვეშურე.

- ძალიან ჭკვიანურადაც მოიქეცით, - უთხრა ჩემმა მეგობარმა, - მაგრამ ყველაფერი მითხარით?

- დიახ.

- არა, თქვენ ხელს აფარებთ მამინაცვლის ავკაცობას.

- რატომ გგონიათ, ან რა იგულისხმება თქვენს სიტყვებში?

პასუხის ნაცვლად ჰოლმსმა ქალის მაჯას ხელი წაატანა, სახელოზე სამშვენისად მიკერებული ყაითანი გადაუწია და ხუთი უხეში თითისაგან ჩასისხლიანებულ, ძალადობის აშკარა ნიშანზე მიუთითა.

- თქვენ ძალიან უხეშად მოგქცევიან, - უთხრა ჰოლმსმა.

ქალი წამოწითლდა და გაშიშვლებულ ხელზე სახელო ჩამოიწია. - მამინაცვალი ძალიან მკაცრი და არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის პატრონია, - წარმოთქვა მან.

დუმილი ჩამოწვა. იდაყვდაყრდნობილი ჰოლმსი ბუხარში მოგიგიზე ცეცხლს მისჩერებოდა.

- ეს ძალიან ღრმადდაფარული ბნელი საქმეა, - წარმოთქვა მან ბოლოს. - ათასი წვრილმანი ამბავია, რაც წინასწარ უნდა ვიცოდე, ვიდრე ძიებას შევუდგებოდეთ. ამასთანავე დაყოვნებაც არ შეიძლება. თუ დღესვე სტოკ მორენში გავჩნდებით, შევძლებთ თუ ვერა ისე დავათვალიეროთ სახლი, რომ თქვენმა მამინაცვალმა ვერაფერი შეიტყოს?

- დილით მითხრა, დღეს აუცილებელ საქმეზე ქალაქში უნდა ჩავიდეო. ვფიქრობ, ის ქალაქში მთელ დღეს დაყოვნდება და თქვენ ხელს ვერავინ შეგიშლით. მართალია, სახლში მნე ქალი გვყავს, მაგრამ იგი მოხუცებულია და ცოტას მოისულელებს კიდეც. ასე რომ, მისი სახლიდან გასტუმრება არ გამიჭირდება.

- შესანიშნავი ამბავია. თქვენ ხომ წამოხვალთ, უოტსონ?

- აუცილებლად.

- ორივენი გეახლებით. თქვენ თვითონ რას აპირებთ?

- რაკი ქალაქში ვარ, ბარემ პატარ-პატარა საქმეებს მოვაგვარებ და თორმეტი საათისათვის შინ ვიქნები, რომ თქვენ ადგილზე დაგიხვდეთ.

- სწორედ მაგ დროისათვის ალბათ ჩვენც მოვასწრებთ რაღაც წვრილმანი ამბების მომთავრებას და სტოკ მორენში გავჩნდებით. ხომ არ ისაუზმებდით ჩვენთან ერთად?

- არა, მე უნდა წავიდე. რაც გული გადაგიშალეთ და ჩემი სატანჯველი გითხარით, თითქოს დავარხეინდი. მოუთმენლად დაგელოდებით ადგილზე.

მან შავი პირბადე ჩამოიწია და ოთახიდან გავიდა.

- თქვენ რას ფიქრობთ, უოტსონ, ყოველივე იმაზე, რაც იმ ქალმა გვიამბო? - მკითხა ჰოლმსმა და სავარძელში გადაწვა.

- ძალიან ბნელით მოცული, ბინძური საქმე უნდა იყოს.

- დიახ, ნამდვილად აგრეა.

- თუ ჩვენმა სტუმარმა ქალმა მართალი მიამბო, რომ იატაკი, ბუხარი, ფანჯრები და კარი უცხოსათვის შეუვალი იყო, ისე გამოდის, რომ მისი და იდუმალებით მოცულ სიკვდილს მარტოდმარტო შეხვედრია.

- მაშინ როგორ ავხსნათ ღამეული სტვენა და გარდაცვალებულის სიტყვები?

- ვერაფერს საგულისხმოს ვერ გეტყვით.

- მაგრამ თუ მომხდარ ამბებს თავს მოვუყრით, მაშინ, მე მგონია შეგვეძლება ეს იდუმალებით მოხდარი ბნელი საქმე გავხსნათ და ყველაფერს ნათელი მოვფინოთ, მაგალითად: ღამეული სტვენა, ბოშათა ურდო, რომლებიც ძალიან ახლო ურთიერთობაში არიან როილოტთან. იმავე როილოტის სისხლხორცეული დაინტერესება, რომ გერები არ გათხოვილიყვნენ და წლიური შემოსავალი არ შემცირებოდა, გარდაცვალებულის სიტყვები: ჭრელი, წინწკლებიანი ლენტიო, და თვითონ ჰელენ სტონერის მიერ გაგონილი ლითონის დავარდნის ხმაური, რაც

შეიძლება ფანჯრის ურდულების ძალდატანებით გაღებისას მოხდა, ყოველივე ამას თუ გავაერთიანებთ, ვფიქრობ, კვანძს გავხსნით.

- მაგრამ რა შუაში არიან ბოშები?

- ვერ გეტყვით.

- იმ ვარაუდში, რომელიც თქვენ გამოთქვით, ბევრი წინააღმდეგობაა.

- მე თვითონაც ასე ვფიქრობ და ამიტომ ყოველივე ადგილზე უნდა შემოწმდეს. მაგრამ დალახვროს ეშმაკმა, ეს რაღა ოხრობაა!

უეცრად კარი გაიღო და თავს ვიღაც ახმახი წამოგვადგა. მისი სამოსი ექიმისა და მემამულის ტანსაცმელის ნარევს წარმოადგენდა. თავზე შავი ცილინდრი ეხურა, ტანზე გრძელი სერთუკი შემოეცვა, ფეხებზე მაღალყელიანი გეტრები შემოეწმაწნა და ხელზე მონადირის შოლტი შემოეხვია. ისეთი ზორზოხი იყო, რომ ქუდი კარის ზედა ჩარჩოს ებჯინებოდა და იმ სიგანე, რომ კარები მთლიანად ჩაეხერგა. ნაიარევებით დაღარული, ფართო, მზემოკიდებული ტლანქი სახე, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი ავისმეტყველი თვალები და თხელი კეხიანი ცხვირი რომელიღაც ძველ მტაცებელ ფრინველს ამსგავსებდა.

მან მზერა ჰოლმსიდან ჩემზე გადმოიტანა და მერე პირიქით.

- რომელი თქვენთაგანია შერლოკ ჰოლმსი? - იკითხა ბოლოს მოჩვენებამ.

- ეს ჩემი სახელი და გვარია, - მშვიდად მიუგო ჩემმა მეგობარმა, - მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით?

- მე სტოუკ მორენელი ექიმი გრიმსბი როილოტი ვარ.

- დაბრძანდით, - შეეპატიჟა ჰოლმსი.

- დასაჯდომად არ მცალია, აქ იყო ჩემი გერი. მე მას კვალდაკვალ მოვყვები. რაო, რა გითხრათ?

- რა საშინელი სიცივეები იცის ამ დროს, - ჩაილაპარაკა ჰოლმსმა.

- რა გითხრათ-მეთქი, თქვენ გეკითხებით, - გამოსცრა გამწარებით როილოტმა.

- მაგრამ ეს სიცივე სოსანს ვერაფერს დააკლებსო, მითხრეს, - განაგრძობდა ჰოლმსი.

- ჰა, ჩამოგეხსნათ არა? - წამოიწყო სტუმარმა, თან წინ წამოდგა და ხელში შოლტი შეათამაშა. - გიცნობთ, რა არამზადაც ბრძანდებით! გამიგონია თქვენზე, ყველას საქმეში ეჩრებაო.

ჩემმა მეგობარმა ჩაიცინა.

- თქვენ დიდი გაიძვერა ვინმე ბრძანდებით!

ჰოლმსმა სიცილს უმატა.

- სკოტლენდიარდელო პოლიციელო!

ჰოლმსმა გულიანად გადაიხარხარა. - თქვენ ძალიან კარგი გასართობი საუბარი გყვარებიათ. აქედან როცა წახვალთ, კარი გაიხურეთ, თორემ ორჭოლი ქარი უბერავს.

- როცა სათქმელს მოვათავებ, მხოლოდ მაშინ წავალ. ჩემს საქმეებში არ ჩაერიოთ! მე ვიცი, რომ მის სტონერი აქ იყო, გითხარით, ფეხდაფეხ მოვყევი-მეთქი. მე ძალიან ავი და საშიში კაცი ვარ! აი, შეხედეთ!

იგი სწრაფად მივიდა ბუხართან, ცეცხლის საჩხრეკი რკინა აიღო და მზემოკიდებული ხელებით თვალის დახამხამებაში დაგრიხა.

- გაუფრთხილდით საკუთარ თავს და ეცადეთ, ხელში არ ჩამივარდეთ, - სთქვა ეს, დაგრეხილი რკინა ბუხარში შეაგდო და ოთახიდან გავიდა.

- ძალიან თავაზიანი ჩანდა, - სიცილით სთქვა ჰოლმსმა. - მართალია, მისებრ ზორზოხი ტანის პატრონი არა ვარ, მაგრამ ოთახიდან რომ მალე არ გასულიყო,

ვუჩვენებდი, მკლავებში მასზე ნაკლები ძალა რომ არც მე გამაჩნია. - ეს რომ თქვა, დაგრეხილი რკინის საჩხრეკს ხელი წამოავლო და უცებ გაასწორა.

- თავისი ქეჩერა ხასიათით პოლიციელს კი შემადარა! თუმცა ეს ინციდენტი ჩვენს ძიებას უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის. იმედი მაქვს, ჩვენს პატარა მეგობარს, რომელიც ისე წინდაუხედავად მოიქცა, რომ ამ მხეცს საშუალება მისცა კვალდაკვალ ასდევნებოდა, ვნება არ მოუვა. ახლა კი, უოტსონ, ჯერ ვისაუზმოთ, მერე მე რამდენიმე ცნობის დასაზუსტებლად და შესაკრებად ერთ-ორ კაცს მოვინახულებ და შინ მალევე მოვბრუნდები.

დაახლოებით პირველი საათი იქნებოდა, როცა შერლოკ ჰოლმსი შინ დაბრუნდა. ხელში აჭრელებული ლურჯი ქაღალდი ეჭირა.

- ჩვენი უცნაური სტუმრის განსვენებული მეუღლის ანდერძი ვნახე. საქმეში კარგად გარკვევის მიზნით, იძულებული ვიყავი, იმ ფასიანი ქაღალდების ახლანდელი ღირებულება შემეტყო, რომლებშიაც იმ საცოდავს თავისი კაპიტალი დაუბანდებია. ვიანგარიშე და შემოსავლის საერთო თანხას, ქალის გარდაცვალებამდე, ათას ას სტერლინგამდე მიუღწევია, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების დაკლებას წლიური შემოსავალი შვიდას ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგამდე შეუმცირებია. ანდერძის მიხედვით, გათხოვების დროს ქალიშვილებს თითოეულს ორას ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი უნდა დანიშვნოდათ. ნათელია, თუ ორივენი გათხოვდებოდნენ, მაშინ როილოტის წლიური შემოსავალი აღარაფერი დარჩებოდა. ერთ-ერთი მათგანის გათხოვებაც კი მის წლიურ შემოსავალს საგრძნობლად შეამცირებდა. ახლა თქვენთვის ნათელია, რომ მთელი ეს დილა ცუდ-უბრალოდ არ დამიკარგავს. მე დავადგინე, რომ მამინაცვალს გერების გათხოვების საწინააღმდეგოდ ძალიან სერიოზული მოტივები ამოძრავებდა. მდგომარეობა ძალზე დაძაბულია, უოტსონ, მით უმეტეს, რომ როილოტმა იცის, ვინც არის დაინტერესებული მისი პირადი საქმეებით. თუ მზად ხართ, კებს დავუძახოთ და ვატერლოოს სადგურისაკენ გავეშუროთ. ძალიან დაგიმადლებთ, თუ რევოლვერს თან წამოიღებთ. ისეთი ჯენტლმენის შესაკავებლად, რომელიც ცეცხლის საჩხრეკს იოლად ღუნავს, რევოლვერი ძალიან კარგი საშუალებაა. რევოლვერი და კბილის საწმენდი ჯაგრისი, აი, რაც ჩვენ ახლა გვჭირდება.

ვატერლოოს სადგურში ბილეთები პირველსავე მატარებელზე ვიშოვეთ და ლეთერჰედისაკენ გავემგზავრეთ. ჩავედით თუ არა, სადგურის სასტუმროში რესორებიანი ორთვალა დავიქირავეთ და სერეის მშვენიერი ბუნების წიაღში ოთხი, თუ ხუთი მილი გზა გავიარეთ. ენითუთქმელი მზიანი დარი მოგვესწრო. ცაზე, აქა-იქ ცრიატებდნენ ღრუბლის ქულები. ხეებსა და ცოცხალ ღობეებს მწვანე კვირტები დახეთქოდათ და ჰაერში სველი მიწისა და გამოღვიძებულ მცენარეთა ნაზავი ამო სურნელი იდგა. იმ ბნელით მოცულ ამაზრზენ საქმესა და გაზაფხულის მოსვლით ბუნების გამოღვიძებას შორის რაღაც უჩვეულო კონტრასტი იქმნებოდა. ჩემი მეგობარი ორთვალის წინა დასაჯდომზე მიყუჟულიყო, ხელები გადაეჯვარედინებინა, ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, ნიკაპი მკერდზე დაეყრდნო და თავი ღრმა ფიქრებისათვის მიეცა. უეცრად წამოიწია, ხელი მხარზე მომითათუნა და მდელოებზე მიმითითა.

- აბა, შეხედეთ! - მომმართა ჰოლმსმა.

ჩემს თვალწინ, ფერდობზე, ნარგავებით დამშვენებული ვეება პარკი გადაიშალა. უზარმაზარი გაბარჯღულტოტებიანი ხეები ძველისძველ შენობას თავის სიმწვანეში მალავდნენ და მხოლოდ სახურავიღა მოჩანდა.

- ალბათ სტოკ მორენია? - თქვა ჰოლმსმა.

- დიახ, სერ, ეს დოქტორ გრიმესბი როილოტის სასახლე გახლავთ, - გვითხრა მეეტლემ.

- იქ რაღაც მშენებლობა მიმდინარეობს და ჩვენ სწორედ იქ გვინდა მივიდეთ, - უთხრა მეეტლეს ჰოლმსმა.

- ჩვენ სოფლისაკენ გვიჭირავს გეზი, მაგრამ თუ თქვენ გინდათ სასახლეში უფრო სწრაფად მიხვიდეთ, მაშინ ეტლიდან უნდა ჩამოხდეთ, ღობეს გადაევლოთ და მინდორ-მინდორ გაკვალულ ბილიკებს მიჰყვეთ. სწორედ იმ ბილიკებს, აი, ის ლედი რომ მიჰყვება.

ჰოლმსმა თვალებზე ხელი მოიჩრდილა, მიმავალს დააკვირდა და მერე წარმოთქვა: - მგონია, ის ლედი მის სტონერი უნდა იყოს. დიახ, ჩვენ სწორედ აქ ჩამოვხდებით.

ჩვენ ორთვალიდან ჩამოვედით. მეეტლეს გასამრჯელო გადავუხადეთ და ორთვალა ისევ ლეთერჰედისაკენ წახრიგინდა.

- ძალიან კარგად მოვიქეცით, რომ მშენებლობა მოვიკითხეთ, - წამოიწყო ჰოლმსმა, - მაგ მეეტლეს არქიტექტორები ვეგონებით და ჭორებსა და მიეთ-მოეთს მოეშვება. შუადღე მშვიდობისა, მის სტონერ, ხომ ნახეთ, რა მტკიცე სიტყვის პატრონებიცა ვართ?

ჩვენი დილანდელი სტუმარი მხიარულად შემოგვეგება.

- ოჰ, როგორ მოუთმენლად გელოდით, - თქვა მან და ხელი გულთბილად ჩამოგვართვა. - ყველაფერი ძალიან კარგად მოეწყო, დოქტორი როილოტი ქალაქში წავიდა და ალბათ საღამომდე არც ჩამოვა.

- ჩვენ სიამოვნება გვქონდა თქვენი მამინაცვალი გაგვეცნო, - ჰოლმსმა რამდენიმე სიტყვით მოკლედ მოუთხრო მის სტონერს როილოტის სტუმრობის ამბავი. მის სტონერი ყურადღებით გვისმენდა და თან ფერიფური მისდიოდა.

- ღმერთო მოწყალეო, - წამოიყვირა მან, - ისე გამოდის, ჩემთვის კვალდაკვალ უდევნია.

- დიახ, სწორედ აგრეა.

- ისეთი ცბიერი კაცია, რომ მე ალბათ მის კლანჭებს თავს ვერასოდეს დავაღწევ. ნეტავ რას მეტყვის, როცა დაბრუნდება?

- საკუთარ თავს მიხედოს, თორემ, იქნებ მასზე ცბიერი და ვერაგი კაცი ადგეს ახლა მის ნაკვალევს. თქვენ უნდა საკეტით ჩარაზოთ საძინებელი ოთახის კარი და ღამე ისე გაატაროთ. თუ გახელდა და გაშმაგდა, მაშინ თქვენს დეიდასთან წაგიყვანთ. ახლა კი მის მოსვლამდე დარჩენილი დრო უნდა მაქსიმალურად გამოვიყენოთ და წაგვიძეხით, რომ ოთახები, რაც შეიძლება მალე დავათვალიეროთ.

შენობა რუხი ქვით იყო ნაგები, ხავსი მოსდებოდა და ორი ნახევრადწრიული მოყვანილობის ფრთედები კიბორჩხალას ფეხებივით ჰქონდა ცენტრალური ნაწილისაკენ მოკაუჭებული. ერთ-ერთი ფრთედის ფანჯრები ჩალეწილი იყო და მინის მაგივრად ფიცრით ამოექოლათ, სახურავი ალაგ-ალაგ ჩამოწოლილიყო და ჩამოქცევას აღარაფერი უკლდა. შენობის ცენტრალური ნაწილი შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა, მაგრამ მარჯვენა ფრთედი სულ ახლახან შეკეთებული ჩანდა. ფანჯრებზე ჩამოფარებული ფარდები და ბუხრიდან ამომავალი ბოლი კი იმის მაუწყებელი იყო, რომ ოჯახი სწორედ შენობის ამ ნაწილში ცხოვრობდა. მარჯვენა ფრთედის ბოლო კედელზე ხარაჩო აღემართათ და ეტყობოდა, ქვის სამუშაოები წამოეწყოთ, მაგრამ ჩვენი მისვლის დროს ხელოსნები არსად ჩანდნენ. ჰოლმსი

ჭუჭყიან გუბურაში ნელ-ნელა დააბოტებდა და ფანჯრებს დიდი გულისყურით აკვირდებოდა.

- ეს ფანჯარა, - ჰოლმსმა სულ ბოლო სარკმელზე მიუთითა, - როგორც თქვენი ნაამბობიდან მახსოვს, იმ ოთახისაა, რომელშიაც თქვენ ადრე ცხოვრობდით, შუა - თქვენი დის ოთახისაა და ჩემგან მარცხნივ რომაა და შენობის ცენტრალურ ნაწილს ეკვრის, დოქტორ როილოტისა, არა?

- ნამდვილად აგრეა, მაგრამ ამჟამად მე შუათანა ოთახში ვცხოვრობ.

- დიახ, მახსოვს თქვენი ნაამბობიდან, კედლის შეკეთება დაიწყეს და მამინაცვალმა დის ოთახში გადამიყვანაო. მაგრამ იმ ბოლო კედელს, ჩემი აზრით, არავითარი შეკეთება არ ესაჭიროება.

- მეც ასე მგონია, რომ ეს საბაბი უნდა იყოს, რის გამოც შუათანა ოთახში გადამიყვანა.

- საფიქრელია. ოთახების იქითა მხარეს, როგორც მახსოვს, გრძელი ტალანი ჩაუყვება და კარები იქითა მხარეს იღება. დერეფანს, ალბათ, ფანჯრებიც აქვს, არა?

- ფანჯრები აქვს, მაგრამ ძალიან მცირე ზომისა. იმდენად პატარა, რომ შიგ გაძრომა ყოვლად მოუხერხებელია.

- ორივენი კარს შიგნიდან კეტავდით, ესე იგი, ტალანის მხრიდან თქვენი ოთახები შეუვალი იყო. ახლა გთხოვთ, თქვენს ოთახში შეხვიდეთ და დარაბები დახუროთ.

მის სტონერმა დარაბები შიგნიდან ჩარაზა, როგორც ჰოლმსმა სთხოვა.

ჰოლმსი ბევრს ეწვალა, როგორმე გაეღო დარაბა, მაგრამ ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. არა თუ დანის პირის, დარაბებში ნემსის გასაძვრენი ღრიჭოც კი არსად იყო, რაზა რომ მაღლა აეწია და დარაბა გაეღო. მერე გამადიდებელი შუშით ანჯამები დაათვალიერა. ესეც ამაო შრომა გამოდგა, ვინაიდან ანჯამები მტკიცე რკინისაგან ნაჭედი აღმოჩნდა და ფანჯრებს კედელში მყარად ჩასმულ ჩარჩოებში მჭიდროდ კეტავდა.

- ჰმ, - თქვა ჰოლმსმა და ფიქრებში წასულმა ნიკაპი მოიფხანა, - ჩემი თავდაპირველი ვარაუდი არ მართლდება. ამ დარაბებში ძეხორციელი ვერ შეძვრება, როცა დაკეტილია. იქნებ საქმეს ოთახების შიგნიდან დათვალიერებამ მოჰფინოს შუქი.

გვერდითი კარიდან შევედით ახლად შეთეთრებულ ტალანში, სადაც სამივე ოთახის კარი გამოდიოდა. ჰოლმსმა როილოტის ოთახს გვერდი ისე აუარა, რომ არ გაუსინჯავს და პირდაპირ იმ ოთახში შევიდა, სადაც ამჟამად მის სტონერს ეძინა და სადაც მისმა დამ იდუმალებით მოცულ ვითარებაში მიაბარა ღმერთს უმანკო სული. ეს იყო დაბალჭერიანი, უბრალო პატარა ოთახი, რომელსაც განიერი ბუხარი ამშვენებდა. ასეთი ოთახები სოფლად ძველებურ სახლებში გვხვდება. ერთ კუთხეში იდგა მიხაკისფერი კომოდი, მეორეში ვიწრო, თეთრგადასაფარებლიანი საწოლი, ხოლო ფანჯრიდან მარცხნივ სატუალეტო მაგიდა. ოთახის მორთულობას იატაკზე დაფენილი პატარა ნოხი და ორი სკამი ემატებოდა. კედლებზე აკრული იყო მიხაკისფერი მუხის ფიცრები, რომლებიც ჟამთა სვლას დაეფაცხავებინა, და ისეთი სიძველის იერი ჰქონდათ, რომ ალბათ შენობის აგების დღიდან მოყოლებული მათ გამოცვლაზე აღარავის ეფიქრა. ჰოლმსმა სკამი აიღო, ოთახის კუთხეში ჩუმად მიჯდა და კედლებს, იატაკს, ჭერს, ოთახის კუთხეებს, ყველაფერს გამჭრიახი თვალებით, გაფაციცებული ათვალიერებდა.

- ეს ზარი ვისთან არის გაყვანილი და შეერთებული? - იკითხა მან დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ და ზარის კარგა მსხვილ თოკზე მიუთითა, რომლის ბოლო პირდაპირ საწოლზე ეშვებოდა და თითქმის ბალიშის პირს ეხებოდა.

- ეს მნე ქალის ოთახშია გაყვანილი.

- სხვა საგნებთან შედარებით ეგ რაღაც ახალი უნდა იყოს?

- დიახ, ეგ ორი-სამი წელია, რაც გაიყვანეს.

- ალბათ თქვენი დის დაჟინებით გააკეთეს, არა?

- არა, იგი ზარს არ რეკავდა, ვინაიდან ჩვენ თვითონ ვაკეთებდით ყველაფერს, რაც კი გვჭირდებოდა.

- ისე ამ ზარის არსებობა აუცილებლობით ნაკარნახევი არ უნდა იყოს. მაპატიეთ, ცოტა ხანს კიდევ დაგაბრკოლებთ, ვინაიდან იატაკის კარგად დათვალიერებაც მინდა. - მერე გამადიდებელი შუშით შეიარაღებული, ჰოლმსი მუხლებზე დაემხო, დიდხანს ფორთხავდა იატაკზე და ფიცრებს შორის დარჩენილ პატარ-პატარა ადგილებს დიდი დაკვირვებით ათვალიერებდა. ასევე გულმოდგინედ შეამოწმა კედელზე აკრული მუხის ფიცრები. მერე საწოლის წინ კარგა ხანს შეჩერდა და ლოგინსა და კედელს შეჰყურებდა. ბოლოს, ზარის დასარეკი თოკის ბოლოს წაავლო ხელი და მაგრად ჩამოჰკრა.

- ეს რა, მუნჯი ზარია, თუ რა? - იკითხა ჰოლმსმა.

- რა, არ რეკავს? - ვიკითხე მე.

- არა, მავთულთან შეერთებულიც კი არაა. ეს ძალიან საინტერესო ამბავია. აი, ხედავთ, მისი ბოლო სწორედ იქაა მიმაგრებული, სადაც სანიავოს პატარა ნასვრეტია.

- როგორი სისულელეა, წინათ არც კი შემინიშნავს, - წარმოთქვა მის სტონერმა.

- დიახ, ძალიან დიდი სისულელეა! - თავისთვის ბუტბუტებდა ჰოლმსი, თან თოკს ხელს არ უშვებდა და ხანდახან ძლიერად ჩამოჰკრავდა ხოლმე. - ამ ოთახში ძალიან თვალშისაცემი ამბებია. მაგალითად, ვერ ამიხსნია, სანიავო რატომ უნდა გადიოდეს მეორე ოთახში და არა გარეთ.

- ესეც არაა დიდი ხნის წინ გაკეთებული, - თქვა ლედიმ.

- ალბათ ზართან ერთად გააკეთეს, - ჩაურთო ჰოლმსმა.

- დიახ, მაშინ რაღაც-რაღაცეები გადააკეთ-გადმოაკეთეს.

- ძალიან საინტერესოდ კი გადაუკეთებ-გადმოუკეთებიათ ყველაფერი - ზარი გაუყვანიათ, რომელიც არ მუშაობს და სანიავო არ ანიავებს. ახლა, თქვენი ნებართვით, მის სტონერ, სხვა ოთახებსაც ვეწვიოთ.

დოქტორ გრიმესბი როილოტის საძინებელი ოთახი გერის ოთახზე დიდი გახლდათ, თორემ ისევე უბრალოდ გამოიყურებოდა, როგორც პირველი. სალაშქრო ნაწილი, ხის მომცრო წიგნების კარადა, რომელიც ტექნიკური წიგნებით იყო სავსე, საწოლის გვერდით დადგმული სავარძელი, კედელთან მიდგმული ჩვეულებრივი სკამი, მრგვალი მაგიდა და რკინის დიდი სეიფი, აი, ეს ნივთები მოგხვდებოდათ თვალში ოთახში შესვლისას. ჰოლმსმა ყველა ნივთი დიდი გულისყურით დაათვალიერა.

- ამაში რა არის, - იკითხა ჰოლმსმა და ხელი სეიფს დაადო.

- ჩემი მამინაცვლის საქმიანი ქაღალდებია.

- თქვენ დაგითვალიერებიათ ოდესმე ეს სეიფი?

- მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ. მახსოვს, ქაღალდებით იყო გამოტენილი.

- შიგ კატა ხომ არ ჰყავს დამწყვდეული?

- არა, მაგრამ ეს რა უცნაური აზრები გებადებათ?

- ჰო, მაგრამ აბა, ამას შეხედეთ! - თქვა ჰოლმსმა და კარადიდან ლამბაქზე დასხმული რძე გვიჩვენა.

- არა, კატა საერთოდ არა გვყავს, მაგრამ პავიანი და სანადიროდ გაწვრთნილი ავაზა კი ბინადრობენ ჩვენს სახლში.

- ჰო, რა თქმა უნდა! ავაზა მოზრდილი კატაა და მეტი არაფერი, მაგრამ ლამბაქზე დასხმული რძე როგორ ყოფნის, ეს უკვე აღარ ვიცი. აქაა სწორედ ის ძაღლის თავი დამარხული, რომლის პოვნასაც მე ვესწრაფვი, - ჰოლმსი ხის სკამის წინ ჩაცუცქდა და დიდი ყურადღებით გასინჯა საჯდომი.

- გმადლობთ, ყველაფერი გასაგებია, - თქვა მან, წამოდგა და გამადიდებელი შუშა ჯიბეში ჩაიდო. - აჰა! აქ კი რაღაც ძალიან საინტერესო საგანს გადავაწყდით.

მისი ყურადღება ბოლოგაკვანძულმა პატარა შოლტმა მიიპყრო, რომელიც იმ საწოლის კუთხეში ეკიდა.

- თქვენ რა აზრისა ხართ ამაზე, უოტსონ? - მკითხა ჰოლმსმა.

- ჩვეულებრივი შოლტია, მაგრამ ვერ გამიგია ბოლოს გაკვანძა რად უნდოდა?

- არა, მთლად ჩვეულებრივი შოლტი არ გახლავთ. ოჰ, ამ ბინძურ ქვეყანაში ყველაზე საძაგლობა ისაა, როცა ავ საქმეს ჭკვიანი კაცი სჩადის. მგონია, აქ ყველაფერი დავათვალიერეთ, მის სტონერ, და ახლა გუბურისკენ წავალთ.

ჰოლმსი ასე მოღუშული და შუბლშეკრული არასოდეს მინახავს. ჩვენ რამდენიმე ხანს უბრებივით დავდიოდით წინ და უკან, გუბურის ნაპირზე არც მე და არც მის სტონერს ჰოლმსის ფიქრთა დინებისათვის ხელი არ შეგვიშლია, ვიდრე თვითონვე არ დაარღვია სიჩუმე.

- ახლა მთავარია, მის სტონერ, ჩემი რჩევა-დარიგების ყველა წვრილმანი არ გამოგრჩეთ და ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოთ ყოველივე.

- სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც დამარიგებთ.

- ასეთ რთულ ვითარებაში ყოყმანი ყოვლად დაუშვებელია. თქვენი სიცოცხლე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეასრულებთ ჩემს ნათქვამს.

- მე თქვენს ხელთა ვარ, მისტერ ჰოლმს!

- პირველ ყოვლისა, მე და ჩემი მეგობარი თქვენს საწოლ ოთახში უნდა დავრჩეთ.

მეც და მის სტონერმაც ჰოლმსს შეშფოთებულებმა შევხედეთ.

- დიახ, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. მე ვიცი, რომ აქ სადღაც სოფლის სასტუმროა.

- დიახ, სასტუმრო «გვირგვინი» გახლავთ.

- ძალიან კარგი. თქვენი ფანჯრები ხომ მოჩანს სასტუმროდან?

- რაღა თქმა უნდა?

- როცა თქვენი მამინაცვალი დაბრუნდება, თქვენ თავის ტკივილს მოიმიზეზებთ და ოთახში ჩაიკეტებით. როგორც კი იგი დასაძინებლად დაწვება, დარაბას გამოაღებთ და ლამპას სარკმელში გამოდგამთ. ჩვენ სასტუმროდან ფანჯარაში გამოდგმულ ლამპის სინათლეს დავინახავთ და ამ დათქმულ ნიშანზე თქვენი ოთახისაკენ გამოვეშურებით. თქვენ კი, რაც რამე მოგესურვებათ, აიღებთ და თქვენს ყოფილ ოთახში გადაბარგდებით. რაც არ უნდა დანგრეული იყოს იქაურობა, ერთი ღამის გათევა მაინც შეიძლება.

- ჩემს ოთახში უფრო თავისუფლად დავიძინებ.

- დანარჩენი ჩვენ მოგვანდეთ.

- მაგრამ ღამით თქვენ რაღა უნდა აკეთოთ?

- ჩვენ თქვენს ოთახში დავრჩებით და იმ ხმაურის მიზეზს გამოვიკვლევთ, რამაც თქვენ აგრერიგად შეგაშფოთათ.

- მე ისე მგონია, მისტერ ჰოლმს, რომ თქვენ უკვე ყველაფერს მიხვდით და გადაწყვეტილებაც მიიღეთ, - თქვა მის სტონერმა და ჩემს მეგობარს ხელი ხელზე მოუთათუნა.

- შეიძლება ასეც იყოს.

- მაშინ, ღვთის გულისათვის, მითხარით ჩემი დის სიკვდილის მიზეზი.

- ვიდრე ვიტყოდე, მინდა ხელთ უფრო მტკიცე საბუთები გვეპყრას.

- იმის თქმა ხომ მაინც შეგიძლიათ, სწორია თუ არა ჩემი ვარაუდი, რომ ჩემი უბედური და უეცარი შიშის ელდისაგან გარდაიცვალა?

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, მისი სიკვდილის მიზეზი ხელშესახები იყო. ახლა კი, მის სტონერ, ჩვენ უნდა დაგვტოვოთ, თორემ თუ დაბრუნებულმა როილოტმა აქ გვნახა, ჩვენი ჩამოსვლა უბრალოდ წყლის ნაყვა იქნება და მეტი არაფერი. აბა, ყოჩაღად იყავით და გარწმუნებთ, რომ ხიფათიდან უცილოდ დაგიხსნით.

შერლოკ ჰოლმსსა და მე სასტუმრო «გვირგვინში» საწოლი ოთახის შოვნა არ გაგვჭირვებია. ჩვენი სამყოფელი მეორე სართულზე გახლდათ და იქიდან კარგად მოჩანდა ძველთაძველი სასახლის პარკში შესასვლელი ჭიშკარიცა და საცხოვრებელი ფრთედის ფანჯრებიც. სიბნელეში შევნიშნეთ, როგორ ჩაგვიარა დოქტორმა როილოტმა. მისი ზორზოხი ტანი გარკვევით მოჩანდა ეტლში მის გვერდით მჯდარ პატარა ბიჭის სხეულთან შედარებით, რომელიც ორთვალას მართავდა. ბიჭმა უცებ ვერ გააღო რკინის უზარმაზარი ჭიშკარი და ჩვენ გარკვევით გვესმოდა ამის თაობაზე გულმოსული როილოტის ცხენივით ფრუტუნი. ასევე გარკვევით დავინახეთ, როგორ უტრიალებდა იმ საცოდავ ბიჭს ცხვირწინ ვეება მჯიღს როილოტი.

ორთვალა ჭიშკარში შევიდა და რამდენიმე წუთის მერე, ხეების ჩრდილში, სასახლის სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში ანთებულმა სინათლის შუქმა იელვა.

- იცით, გული მეთანაღრება, რომ თან წაგიყვანოთ, უოტსონ. ეს საქმე ძალიან სახიფათოა, - მითხრა ჰოლმსმა, როცა ბნელში ვისხედით და ფანჯარაში დათქმულ ნიშანს ველოდით.

- შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ?

- თქვენი დახმარება ფასდაუდებელი იქნება.

- მაშინ უეჭველად მოვდივარ.

- ეს თქვენი მხრივ დიდი კეთილშობილებაა.

- თქვენ საშიშროება ახსენეთ. ალბათ დათვალიერებისას მეტი რამ შეამჩნიეთ, ვიდრე ეს მე შევძელი.

- არა, ნახვით მეც იგივე ვნახე, რაც თქვენ, მაგრამ ჩემი მეთოდის საფუძველზე დასკვნები სულ სხვაგვარი გავაკეთე.

- გარდა დამუნჯებული ზარის თოკისა, ოთახში უცნაური არაფერი შემიმჩნევია, მაგრამ რა მიზნით ჩამოკიდეს ის მუნჯი ზარი, ამისი ახსნა ნამდვილად ჩემს ძალას აღემატება.

- სანიავოს მიაქციეთ ყურადღება? - მკითხა ჰოლმსმა.

- დიახ, მაგრამ, ჩემი აზრით, ორ ოთახს შუა არსებული პატარა ხვრელი, რაიმე მნიშვნელოვან და საყურადღებოს არ უნდა წარმოადგენდეს. ის ნასვრეტი ისე ერთი ციცქნა იყო, რომ შიგ თაგვიც კი გაჭირვებით გაეტეოდა.

- ოთახებს შორის რომ ხვრელი იყო, ეს სტოკ მორენში ჩამოსვლამდეც ვიცოდი.

- თქვენ მე მაოცებთ, ჰოლმს!

- რა თქმა უნდა, ვიცოდი. გახსოვთ, მის სტონერმა რომ გვიამბო, ჩემს დას როილოტის სიგარების სუნი თავის ოთახში არ აყენებდაო. ეს ამბავი ულაპარაკოდ მიანიშნებდა იმას, რომ ოთახებს შორის იყო ხვრელი, მაგრამ ისეთი პატარა, რომ გამომძიებელმაც კი ვერ შეამჩნია. მე მაშინვე დავასკვენი, რომ ეს სანიავო იქნებოდა.

- მაგრამ სანიავოს რა ზიანის მოტანა შეუძლია?

- აბა დააკვირდით, უოტსონ, საოცარი თანმთხვევა არაა?! ჯერ აკეთებენ სანიავოს, მერე ჰკიდებენ თოკს ზედ საწოლის თავზე და ბალიშზე თავმიდებული მძინარე ლედი სიცოცხლეს ეთხოვება. განა ეს თქვენ არ გაოცებთ, უოტსონ?!

- და მაინც მე ამ მოვლენებს შუა ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ.

- არც საწოლისთვის შეგიმჩნევიათ რაიმე განსაკუთრებული?

- არა.

- საწოლი იატაკზეა დამაგრებული. ადრეც გინახავთ, ან გაგიგონიათ დამაგრებული საწოლი?

- არა, არასოდეს.

- ლედის არ შეეძლო გადაედგა თავისი საწოლი. იგი ერთთავად ისე უნდა მდგარიყო, როგორც ეს საწოლის იატაკზე დამმაგრებელს უნდოდა. სანიავო კი სწორედ მის ასწვრივ იყო მაღლა და იქიდან საწოლამდე უბრალო თოკი (და არა ზარის დასარეკი) იყო აშვებული.

- ჰოლმს, - წამოვიყვირე მე, - ახლა ბუნდოვნად ვგრძნობ ყოველივეს, რაც თქვენ აშკარად კარგა ხანია შეგიმჩნევიათ. ჩვენ სწორედ დროზე მოგვისწრია, რომ ავიცილოთ დახელოვნებული დამნაშავის მიერ მომზადებული, განსაკუთრებით საშიში დანაშაული.

- დიახ, განსაკუთრებით საშიში დანაშაული და ჭკვიანი კაცის მიერ მომზადებული. როცა დანაშაულს ექიმი სჩადის, რაღა თქმა უნდა, იგი ყველა დამნაშავეზე უფრო ოსტატურად ინიღბება და საშიშიცაა. ექიმს აქვს რკინისებური ნერვები და ცოდნა. პალმერი და პრიტჩარდი თავის პროფესიაში ყველას სჯაბნიდნენ. ამ კაცს ძალიან ღრმად აქვს ფესვები გადგმული, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ უნდა უფრო ღრმად ჩავყვინთოთ და წყალმცენარეს ფესვები ძირშივე გადავუჭრათ. ამაღამ ძალიან მძიმე და საშიში განსაცდელი მოგველის, ამიტომ ჩიბუხები გავაბოლოთ და დარჩენილი დრო უფრო მხიარული ამბების მოგონებებით მოვკლათ.

ცხრა საათი იქნებოდა, როცა სასახლიდან მომდინარე, ხეებს შორის მოცრიატე სინათლის უკანასკნელი სხივიც ჩაქრა და ირგვლივ უკუნმა დაისადგურა. ასე განვლო სრულმა ორმა საათმა და თერთმეტმა რომ დარეკა, უცებ სტოკ მორანის მხრიდან, ჩვენგან მარჯვნივ, დარაბაში დათქმულმა ლამპის შუქმა იელვა.

- ეს ის ნიშანია, რომელიც ჩვენ გვიხმობს, - თქვა ჰოლმსმა და ფეხზე წამოხტა. სინათლე მის სტონერის ოთახში აინთო. სასტუმროდან რომ გამოვდიოდით, ჰოლმსმა სასტუმროს პატრონი გააფრთხილა, ჩვენ ერთ ნაცნობთან მივდივართ, შეიძლება შეგვაგვიანდეს და ღამე იქ გავათიოთო. წუთიც და, ჩვენ სიბნელეში სასახლისაკენ მიმავალ გზას ვადექით. ცივი ქარი სახეში გვცემდა და შუქურის მოვალეობას დარაბიდან გამომავალი სინათლის სხივები ასრულებდნენ.

სასახლესთან მიღწევა ძნელი არ იყო, ვინაიდან პარკს შემოვლებული ყორე ალაგ-ალაგ გადაქცეულიყო. ხეებს შორის გზას ფრთხილად მივიკვლევდით. გუბურა გადავლახეთ და ის იყო ფანჯარაში უნდა გადავმძვრალიყავით, რომ მწკრივად დარგული დაფნის ბუჩქებიდან, საზიზღარი და მახინჯი ბავშვის მსგავსმა არსებამ ისკუპა, ერთხანს ბალახებზე იკლაკნებოდა და მერე სწრაფად მიიმალა წყვდიადში.

- ღმერთო ჩემო! - წავიჩურჩულე მე, - დაინახეთ, ჰოლმს?

პირველად ჰოლმსი ჩემზე ნაკლებად არ შეშინებულა. აღელვებულმა, ხელი წამავლო და მარწუხებივით მომიჭირა. მერე დაბალი ხმით გაიცინა და ყურში ჩამჩურჩულა: ეს ხომ როილოტის პავიანი იყოო.

მე ნამდვილად გადამავიწყდა მის სტონერის ნაამბობი, როილოტის სანადიროდ გაწვრთნილი ავაზა და პავიანი პარკში თავისუფლად დანავარდობენო. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, ავაზა ზურგზე დაგვხტომოდა. გამოგიტყდებით და ვაღიარებ, მას მერე, რაც ჩემს მეგობარს მივბაძე, ფეხსაცმელი გავიხადე და მის სტონერის საძინებელ ოთახში გადავძვერი, თავისუფლად ამოვისუნთქე. ჰოლმსმა უხმაუროდ მიხურა დარაბა, ლამპა მაგიდაზე გადმოდგა და ოთახს დაკვირვებული თვალი მოავლო. ყველაფერი ისევე დაგვხვდა, როგორც დღისით ვიხილეთ. ჰოლმსი შიშველი ფეხებით, თითის წვერებზე შემდგარი მომიახლოვდა, ტუჩები ყურთან მომიტანა, პირზე ხელები აიფარა და ძლივს გავარჩიე, ისე მითხრა: ჩვენს გეგმას მცირეოდენი ხმაურიც კი დაღუპავსო.

ნიშნად იმისა, რომ მისი ნათქვამი გავიგონე, თავი დავუქნიე.

- ჩვენ უნდა ბნელში ვისხდეთ, თორემ იგი სინათლის სხივს სანიავოში შენიშნავს.

მე კვლავ თავი დავუქნიე.

- არ დაიძინოთ, თორემ თქვენს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. რევოლვერი მზად იქონიეთ, ვინძლო დაგვჭირდეს. მე საწოლის ბოლოზე ჩამოვჯდები, თქვენ კი სკამზე მოიკალათეთ.

რევოლვერი ამოვიღე და მაგიდის კუთხეში დავდე.

ჰოლმსმა სასტუმროდან წამოიღო გრძელი ჯოხი და საწოლის ბოლოზე, თავისთან ახლო დადო. იქვე დააწყო ასანთი და სანთელი, მერე ლამპას ისე ჩაუწია, რომ ჩააქრო და ჩვენ სრულიად ბნელში დავრჩით.

ნეტავ, თუ ოდესმე დამავიწყდება ის თეთრად გათენებული ღამე? სამარისებურ სიჩუმეში ვისხედით. ჩემი მეგობრის სუნთქვაც კი არ მესმოდა. ვიცოდი, რომ იგი იქვე, საწოლის ბოლოში თვალებდაჭყეტილი და ჩემსავით დაძაბული იჯდა, მაგრამ ყური ჩამიჩუმისთვისაც კი არ მომიკრავს. დარაბებში სინათლის სხივი ვეღარ ატანდა და სრულ სიბნელეში ვისხედით. ხანდახან ჩემს ყურს ღამეული ფრინველის კივილი თუ სწვდებოდა. ერთხელ სწორედ ფანჯარასთან გაისმა კატის ჩხავილის მაგვარი ხმა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ავაზა, მართლაც თავისუფლად დანავარდობდა. ყოველ თხუთმეტ წუთში შორეთიდან ისმოდა საეკლესიო საათის რეკვის ყრუ გუგუნი. ოჰ, როგორ გრძლად მეჩვენებოდა დარეკვიდან დარეკვამდე არსებული დროის მცირე მონაკვეთი! და-ჰკრა თორმეტმა, პირველმა, ორმა, სამმა, ჩვენ კი ვისხედით და უსაზღვროდ ველოდით.

უეცრად სანიავოდან სინათლის სხივმა გაიჭიატა და იმწამსვე გაქრა. მაგრამ მას თან მოჰყვა დამწვარი ზეთისა და გაცხელებული ლითონის სუნი. ვიღაცამ მეზობელ ოთახში მაშუქა აანთო. მერე მცირე ხმაურიც მომესმა, მაგრამ მალე ყველაფერი ისევ მყუდროებამ მოიცვა, ოღონდაც დამწვარი ზეთის სუნი თანდათანობით გაძლიერდა. ნახევარი საათი კურდღელივით ყურდაცქვეტილი ვიჯექი. მერე კიდევ გაისმა ძალიან ნაზი ხმაური, რომელიც ცეცხლზე მდგარი ქვაბის ხუფიდან ამომავალ ორთქლის შიშინს წააგავდა. ამ ხმის გაგონებაზე ჰოლმსი ადგილიდან წამოვარდა, ასანთი გაჰკრა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სანიავოდან ჩამოშვებულ თოკს ჯოხით ცემა დაუწყო.

- ხედავთ, უოტსონ? ხედავთ? - მიყვიროდა იგი.

მაგრამ მე ვერაფერს ვხედავდი. იმ მომენტში, როცა ჰოლმსმა ასანთს გაჰკრა, ნათლად გავიგონე ხმადაბალი სტვენის ხმა, მაგრამ უეცრად ანთებულმა

სინათლემ თვალი მომჭრა და ვეღარც იმას მივხვდი, რატომ უშენდა ჯოხს ასე გაშმაგებით ჰოლმსი სანიავოდან დაშვებულ თოკს. მხოლოდ ის შევნიშნე, რომ ჩემს მეგობარს სახე მკვდარივით გაფითრებული ჰქონდა და ზედ ღრმა ზიზღი აღბეჭდოდა.

ჰოლმსმა ჯოხის ცემა შეწყვიტა და დაჟინებით მიაცქერდა სანიავოს. უცებ ჰაერი განწირული ადამიანის ისეთმა გამაყრუებელმა ღრიალმა გააპო, როგორიც ჩემს ცხოვრებაში არასოდეს მომისმენია. ღრიალი თანდათანობით ძლიერდებოდა და მასში არა მარტო შიში და დრტვინვა, არამედ მრისხანებაც გაისმოდა. მერე ყვებოდნენ, რომ ამ ღრიალმა არა მარტო სოფლელების, არამედ ძალიან შორს, განმარტოებით მდგარ მღვდლის სახლამდეც მიაღწია და ყველანი შიშისაგან დაფეთებულები ფეხზე წამოჰყარაო. ამ განწირულმა, სასოწარკვეთილმა ღრიალმა ჩვენი გულები შესძრა და მე და ჰოლმსი ერთმანეთს მანამდე მივჩერებოდით, ვიდრე ღრიალის ექოც კი არ მიწყდა.

- რა მოხდა? - ვიკითხე სულშეხუთულმა.

- ის მოხდა, რომ თამაში დამთავრდა, - მიპასუხა ჰოლმსმა. - თუმცა, მართალი რომ ითქვას, ასე ჯობდა. აიღეთ თქვენი რევოლვერი და როილოტის ოთახში შევიდეთ.

ჰოლმსმა ლამპა აანთო და მე შევნიშნე, რომ სახეზე კვლავ მკვდრისფერი ედო. გარეთ გავედით და როილოტის ოთახის მიმართულებით ტალანს გავუყევით. იგი ორჯერ მიაწყდა ექიმის საძინებელი ოთახის კარს, მაგრამ შიგნიდან არავინ გამოპასუხებია. მაშინ სახელური გადაატრიალა და ოთახში შევიდა. ხელში სასროლად მომზადებული რევოლვერი დავიჭირე და მეც უკან მივყევი.

ჩვენს თვალწინ არაჩვეულებრივი სანახაობა გადაიშალა. მაგიდაზე იდგა ფარანი, რომელიც სეიფის ნახევრად ღიად დატოვებულ კარს სინათლის სხივებს აფრქვევდა. მაგიდის გვერდით დადგმულ ხის სკამზე ექიმი გრიმესბი როილოტი მოკალათებულიყო. ტანზე ეცვა გრძელი რუხი ფერის ხალათი, რომლის ქვეშ, შიშველ ფეხებზე, თურქული, წითელი ფერის, უქუსლო ქოშები მოუჩანდა. მუხლებზე ედო სწორედ ის შოლტი, რომელმაც დღისით, ოთახის დათვალიერებისას, ჰოლმსის ყურადღება მიიქცია. ნიკაპი როგორღაც მაღლა აეწია და თვალები უაზროდ ჭერისთვის მიეშტერებინა. მის გამოხედვაში საშინელი, გახევებული სისასტიკე ისახებოდა. თავზე, რაღაც უჩვეულო, ყავისფრად დაწინწკლული ჭრელ-ყვითელა ლენტი ეხვია. ჩვენი შესვლა, თითქოს არც კი გაუგიაო, როილოტი არ განძრეულა და არც ხმა ამოუღია.

- ჭრელი ლენტი! წინწკლებიანი ლენტი, - ჩურჩულებდა ჰოლმსი.

ნაბიჯი წინ წავდგი თუ არა, როილოტის უცნაური თავსამკაული ამოძრავდა და მისი თმიდან, თითქოს ალმასი ამოცურდაო, თავი გველმა წამოყო.

- ჭაობის ჭრელი გველი! - დაიყვირა ჰოლმსმა, - ეს ხომ სიკვდილის მთესველი ინდური უწმინდურია. კბენიდან ათი წამის მერე აცხებინებს სულს. ტყუილად არაა ნათქვამი: «ვინც მახვილს აღიღებს, მახვილითვე განიგმირებაო». ჯერ უწმინდური თავისივე ბუნაგში შევაგდოთ, მერე მის სტონერი საიმედო ალაგას დავაბინავოთ და მომხდარი ამბავი პოლიციას შევატყობინოთ.

თქვა ეს, გარდაცვლილის მუხლებიდან შოლტი აიღო, გველს ელვის სისწრაფით ჩამოაცვა კისერზე მარყუჟი, გაჭიმული ხელით საზიზღარი ტვირთი სეიფთან მიიტანა, შიგ შეაგდო და კარი გადაუკეტა.

ასეთი გახლავთ ექიმ გრიმესბი როილოტის სიკვდილის ნამდვილი ამბავი.

არა მგონია, მკითხველისათვის აუცილებელი იყოს იმის მოყოლა, როგორ შევატყობინეთ სამწუხარო ამბავი შეშინებულ მის სტონერს, როგორ გადავიყვანეთ იგი დილის მატარებლით ჰეროუში და თავის კეთილ, ღვიძლ დეიდას ჩავაბარეთ.

თავს აღარც იმისი მოყოლით შეგაწუხებთ, თუ რა გვიან მიხვდნენ გონებაჩლუნგი პოლიციელები, რომ ექიმმა გრიმესბი როილოტმა თავისი სვე საშიშ ნებიერთან - ჭაობის ჭრელ გველთან უგუნურ თამაშში გამოსჭედა. მცირეოდენ წვრილმანებს კი, რაც ჩემი იქ ყოფნის დროს ვერ შევიტყვე, ჰოლმსი უკანა გზაზე მომიყვა.

- მის სტონერის ნაამბობიდან, უოტსონ, ძალიან მცდარი დასკვნები გავაკეთე. მცდარი დასკვნები კი ყოველთვის მაშინ კეთდება, როცა ხელთ არასწორი და არასაკმარისი მონაცემები გაქვს.

სტოკ მორენში ბოშათა ბანაკის ყოფნამ, მის სტონერის მომაკვდავი დის უკანასკნელმა სიტყვებმა, ჭრელი ლენტიო, და გარდაცვლილის მიერ სიკვდილის წინ, ასანთის ხმარებამ, მე, ჩემო ძვირფასო, საქმიდან ძალიან მცდარი დასკვნები გამომატანინა.

ჩემი არასწორი პოზიცია მაშინ გადავსინჯე, როცა ვნახე, რომ ოთახში მყოფ ადამიანს საშიშროება არც კარიდან და არც ფანჯრიდან არ ემუქრებოდა. როგორც ეს მაშინვე გითხარით, ჩემი ყურადღება იმწამსვე სანიავომ და იქიდან საწოლისაკენ დაშვებულმა თოკმა მიიპყრო. რა წუთშიაც ნათელი გახდა, რომ საწოლი იატაკზეა დამაგრებული და ზარი დამუნჯებულია, მაშინვე მივხვდი, რომ სანიავოდან საწოლისაკენ დაშვებულ თოკს მხოლოდ შემაერთებელი ხიდის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. გუმანმა მითხრა, საქმე გველთან უნდა მქონოდა. მით უმეტეს, როგორც ეს მის სტონერის ნაამბობიდან ვიცოდი, ექიმ როილოტს ინდოეთიდან ჩამოყვანილი ბევრი ტყიური სულიერი ჰყავდა. იდეა, რომ საწამლავად ისეთი საშუალება ეხმარა, რომელიც ქიმიური შემოწმების შედეგადაც კი არ დასტურდება, მხოლოდ აღმოსავლეთში ნაწანწალებ, ისეთ უწყალო და შეუბრალებელ ადამიანს შეიძლება მოსვლოდა თავში, როგორიც ექიმი როილოტი იყო. მისი აზრით, გერების თავიდან მოშორებით ასეთი გზის უპირატესობა იმაშიაც გახლდათ, რომ გველის ნაკბენი შეუმჩნეველი იქნებოდა და სიკვდილიც - როილოტისათვის სასურველი შედეგი - ერთბაშად დადგებოდა.

მაძებარს, რომელიც ძალადობით გამოწვეული სიკვდილის მიზეზებს იკვლევდა, მართლაც უზადო, და ყოვლისმხილველი თვალი უნდა ჰქონოდა, რომ გველის ნაკბილარები შეემჩნია. მერე, - გარდაცვლილს სტვენის ხმა ესმოდაო, ისიც მომაგონდა და გავიაზრე რომ, როილოტი გველს სტვენით უხმობდა უკან, რათა კვლავ სეიფში ჩაეკეტა და დანაშაულის კვალი დაეფარა. ეტყობა, გველი ასე გაწვრთნილი იმ რძით ჰყავდა, რომელიც ჩვენ ლამბაქზე დასხმული ვნახეთ. იგი უწმინდურს სანიავოსა და თოკის საშუალებით გერების საწოლისაკენ აგზავნიდა, იმ განზრახვით, რომ ერთხელაც იქნებოდა, გველი საწოლზე მყოფ მსხვერპლს უკბენდა და როილოტის მიზანიც ხომ ეს იყო!

ამ დასკვნამდე ჯერ კიდევ მანამდე მივედი, ვიდრე როილოტის ოთახს მოვინახულებდი. როცა მისი საჯდომი სკამი დავათვალიერე, დავრწმუნდი, რომ მას ჩვეულებად ჰქონდა, სკამზე შემდგარიყო და სანიავოს მისწვდომოდა. ხოლო, როცა სეიფი, ლამბაქზე დასხმული რძე და მარყუჟიანი შოლტი ვნახე, ყოველგვარი ეჭვი გაქრა და საშინელ სიმართლეში დავრწმუნდი. ლითონის ღრჭიალის ხმას კი, რომელიც ძილ-მღვიძარ მის სტონერს ჩაესმოდა, ალბათ სეიფის კარის მიხურვა თუ გამოსცემდა.

თქვენ უკვე იცით, რაც მოვიმოქმედე, ჩემი ეჭვების სიმართლეში რომ დავრწმუნდი. როცა გველის სისინის ხმა გავიგონე, ალბათ თქვენც ასევე მოიქცეოდით, სინათლე ავანთე და ჯოხით თავს დავესხი.

- და იძულებული გახადეთ, უკან, სანიავოსკენ დაბრუნებულიყო.

- დიახ, იძულებული გავხადე, რომ პატრონისათვის ეკბინა. ჯოხით ცემამ გააღვიძა მასში მიძინებული გველური ინსტინქტები და უკან დაბრუნებულმა, როილოტს უკბინა. ამგვარად, არაპირდაპირ მე ექიმი როილოტის მკვლელობაში ხელი მირევია, მაგრამ ეს ჩემს სინდისს მძიმე ტვირთად არ აწევს.

ალისფერი ბეჭედი

- მე მგონია, მისის უორენ, სულ ამაოდ ღელავთ, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა, - ჩემისთანა მოუცლელი კაცისთვის კი ამ საქმეში გარევას აზრი არა აქვს. ისედაც ბევრი თავსატეხი საქმე მაწევს. მერე თავის დიდ ალბომს მიუბრუნდა, რაღაც ჩააწება, გაზეთიდან ამონაჭრებით შეავსო და საძიებელში რაღაც ახალი მასალები ჩაწერა.

მაგრამ მისის უორენი, ბინის მეპატრონე, ჯიუტი და ცბიერი, როგორც ყველა ქალი, მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე.

- გასულ წელს თქვენ ერთი ჩემი მდგმურის მისტერ ფერდელ ჰობსის საქმე გახსენით.

- ჰო, დიახ, უმნიშვნელო საქმე გახლდათ, - უთხრა ჰოლმსმა.

- მაგრამ ის განუწყვეტლივ ამაზე ლაპარაკობდა - თქვენს გულკეთილობაზე, სერ, იმაზე, თუ როგორ საოცრად ამოხსენით საიდუმლო და ბნელს ნათელი მოჰფინეთ. ახლა მომაგონდა ის ამბავი, როცა თვითონვე დავეხეტები ბნელში და რაღაც იდუმალებით ვარ გარემოცული. მე მწამს, თუ მოისურვებთ, დროს გამონახავთ.

ჰოლმსს პირფერობა შიგ გულში შეუხიცინებდა ხოლმე, მლიქვნელური სიტყვის ამყოლი კაცი იყო, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, თავისი საქმის დიდად მოყვარული გახლდათ, გაჭირვებისას გულისხმიერი და ადამიანთა გულშემატკივარი. ამ ორმა ძალამ აიძულა ახლაც, ამოოხვრით დაედო წებოსთვის აღებული ფუნჯი და სავარძელი მაგიდიდან უკან მიეწია.

- აბა, მისის უორენ, მომიყევით რა მოხდა; თუ მოვწევ, ლაპარაკში ხელი ხომ არ შეგეშლებათ? უოტსონ, ასანთი! რამდენადაც მახსოვს, თქვენ ის გაწუხებთ, რომ თქვენი ახალი მდგმური თავისი ოთახებიდან გარეთ არ გამოდის და მისთვის ვერასოდეს თვალი ვერ მოგიკრავთ? მაპატიეთ, მისის უორენ, მაგრამ მეც რომ თქვენი მდგმური ვიყო, ზოგჯერ კვირაობით ვერ მნახავდით.

- მართალს ბრძანებთ, სერ, მაგრამ აქ სულ სხვა რამ უნდა იმალებოდეს. ძლიერ მეშინია, მისტერ ჰოლმს. შიშით მთელი ღამეები არა მძინავს. უსმინო, როგორ დადის დილიდან საღამომდე წინ და უკან, ერთხელაც ვერ მოჰკრა თვალი, ვერ დაინახო და ვერ შეხედო - ამისი ატანა მოუთმენელი გახლავთ და მე არ შემიძლია. ქმარიც ჩემსავით ნერვიულობს, მაგრამ ის მთელი დღე სამსახურშია, მე კი სად წავიდე? ანდა რატომ გვემალება? რა აქვს ჩადენილი? სახლში მხოლოდ მე და ისა ვართ და კიდევ ერთი მოსამსახურე გოგო მიგდია. ნერვები დამაწყდა, მეტს ვეღარ ავიტან.

ჰოლმსი ქალისაკენ გადაიხარა და გრძელი, წვრილი თითები მხრებზე დაადო. როცა სურდა, ყოვლის მომნუსხველი უნარი გააჩნდა, ისე აწყნარებდა ადამიანს, თითქოს ჯადოს უკეთებსო. წამიც და ქალის გამოხედვაში შიში აღარ იგრძნობოდა,

მის აფორიაქებულ სახეს ჩვეულებრივი იერი დაუბრუნდა. იგი მშვიდად ჩაჯდა იმ სავარძელში, რომელზეც ჰოლმსმა მიუთითა.

- თუ მე ხელს მოვკიდებ საიდუმლოს ამოხსნას, ყოველი წვრილმანი უნდა ვიცოდე, - უთხრა ჰოლმსმა. - აზრი მოიკრიბეთ. ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანი შეიძლება საქმეში ყველაზე გადამწყვეტი აღმოჩნდეს. თქვენ ამბობთ, რომ ის კაცი თქვენთან ათი დღის წინ მოვიდა და ორი კვირის ქირაცა და კვების საფასურიც წინასწარ გადაიხადა?

- მან მკითხა, როგორი პირობები იქნებაო, სერ. მე ვუპასუხე, კვირაში ორმოცდაათი შილინგი უნდა გადაიხადოთ-მეთქი. ზედა სართულზე ერთი სასტუმრო და პატარა საწოლი ოთახია - სრულიად ცალკე ბინაა, სერ.

- შემდეგ?

- მან მითხრა: ორჯერ მეტს გადავიხდი, თუ გინდა, კვირაში ხუთ გირვანქას მოგცემთ, თუ ჩემს პირობებზე დათანხმდებითო. მდიდარი ქალი არ გახლავართ, სერ, მისტერ უორენს მცირე ხელფასი აქვს, და ასეთი ფული ჩემთვის დიდი შეწევნაა. იქვე ამოიღო ათგირვანქიანი საკრედიტო ბილეთი. ამდენსავეს მიიღებთ ყოველ ორ კვირაში დიდი ხნის განმავლობაში, თუ პირობაზე თანახმა იქნებითო, - მითხრა, - მეტი მე თქვენთან არავითარი საქმე არა მაქვსო.

- მერე, რა პირობები დაგიყენათ?

- სახლის გასაღები მთხოვა, სერ. ამაში საოცარი არაფერია. მდგმურებს ხშირად აქვთ თავიანთი გასაღები. აგრეთვე მოითხოვა, ჩემთვის დამაყენეთ და არავითარ გარემოებაში არ შემაწუხოთო.

- მერე, ამაში რაღაა განსაკუთრებული და საოცარი?

- მართალი ბრძანდებით, სერ, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ზომა. აქ კი ყოველგვარ ზომაზე ლაპარაკი ზედმეტია. აგერ ათი დღეა ჩვენს სახლშია და არც მე, არც მისტერ უორენს, არც ჩვენს მოსამსახურე გოგოს მისთვის თვალიც არ მოგვიკრავს. ჩვენ გვესმის, როგორ დადის და დადის - ღამით, დილით, დღისით, მაგრამ სახლიდან მხოლოდ პირველ ღამეს გავიდა.

- ესე იგი სახლიდან პირველ ღამეს გავიდა?

- დიახ, სერ, და ძალიან გვიან დაბრუნდა - ჩვენ მაინც დავწექით. გაგვაფრთხილა, გვიან მოვალო, და გვთხოვა, კარს ურდულს ნუ გაუყრითო. გავიგონე, როგორ ამოდიოდა კიბეებზე, ეს იყო უკვე ნაშუაღამეს.

- სადილის საქმე როგორაა?

- საგანგებოდ მოითხოვა, კარის წინ სკამზე დამიდგითო კერძი მას შემდეგ, რაც ზარს დავრეკავო. რომ შეჭამს, კიდევ დაგვირეკავს და ჩვენ იმავე სკამიდან ვიღებთ ჭურჭელს, ლანგრითვე მიგვაქვს. თუ დამატებით სხვა რაიმე დასჭირდა, იქვე გვიტოვებს ქაღალდის ნაგლეჯზე, ნაბეჭდი ასოებით ნაწერს.

- ნაბეჭდი ასოებით?

- დიახ, სერ, ფანქრით. სულ ერთი სიტყვა და მეტი არაფერი. ერთი აგერ მოგართვით, ნახეთ: საპონი. ესეც მეორე: ასანთი. ეს წარწერაც: დეილი გაზეთი - პირველ დილას ეს ნაწერები დაგვიტოვა. ამ გაზეთს ყოველ დილით ვახვედრებ სკამზე, საუზმესთან ერთად.

- დახეთ! - თქვა ჰოლმსმა და ყურადღებით გადაათვალიერა ქაღალდის ნაგლეჯები, მისის უორენმა რომ მოუტანა. - ეს კი ნამდვილად უჩვეულო ამბავია, ადამიანებისაგან განზე დგომა გასაგებია, მაგრამ ნაბეჭდი ასოები რა საჭიროა? ნაბეჭდი ასოებით წერა - მომქანცველი ჯაფაა. რატომ არ წერს უბრალოდ? როგორ ახსნით ამას, უოტსონ?

- თავისი ხელნაწერის დაფარვას ცდილობს?

- მერე, რისთვის? რა ენაღვლება, თუ ბინის დიასახლისი უბრალო საქმიან ქაღალდს მის საკუთარი ხელით ნაწერს მიიღებს? ან, იქნებ, მართალი ხართ, მაგრამ რატომ წერს ასე ლაკონიურად?

- წარმოდგენა არა მაქვს.

- ეს ფიქრისა და დასკვნებისათვის დიდ შესაძლებლობებს გვიშლის. დაწერილია ცუდად გათლილი სრულიად ჩვეულებრივი იისფერი ფანქრით. ყურადღება მიაქციეთ, ბარათისათვის კიდე მოუხევიათ მას შემდეგ, რაც დაუწერია. აკლია «ს» სიტყვა «საპონს». ეს რაღაც დამაფიქრებელი ამბავია, უოტსონ, არა?

- რაღაცის ეშინია?

- უსათუოდ. ეტყობა, ქაღალდზე რაღაც კვალი დარჩა, თითის ანაბეჭდი ან სხვა რამ, რითაც შეეძლოთ ამოცნობა. თქვენ ამბობთ, მისის უორენ, რომ ის კაცი საშუალო სიმაღლისაა, შავგვრემანი და წვერმოშვებული, რამდენი წლისა იქნება?

- ახალგაზრდა, სერ, ოცდაათზე მეტის არ იქნება.

- კიდევ რას მიაქციეთ ყურადღება?

- ინგლისურად სწორად ლაპარაკობდა, სერ, მაგრამ წარმოთქმის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს უცხოელი უნდა იყოს.

- კარგად ჩაცმულია?

- ძალიან კარგად, სერ, ნამდვილი ჯენტლმენია. შავი კოსტუმი აცვია, ისეთი არაფერია, რომ თვალში გეცეთ.

- სახელი არ უთქვამს?

- არა, სერ.

- წერილებს არ იღებს და არავინ ნახულობს?

- არავინ.

- მაგრამ თქვენ ან მოსამსახურე გოგო დილაობით ხომ შედიხართ იმის ოთახში?

- არა, სერ, თავის თავს თვითონვე ემსახურება.

- ნუთუ? ჭეშმარიტად, გასაცარია. ახლა მითხარით, რა ხელბარგი ჰქონდა?

- ერთი დიდი ყავისფერი ჩემოდანი, მეტი არაფერი.

- ვერ ვიტყვი, რომ ამოსაცნობად და გასაშიფრად ბევრი რამ გაგვაჩნია, მაგრამ ბედი მაინც უნდა ვცადოთ. მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ოთახიდან არაფერი გაგიტანიათ, სრულიად არაფერი?

მისის უორენმა ჩანთიდან კონვერტი ამოიღო, იქიდან ორი ნახმარი ასანთი და სიგარეტის ნამწვები მაგიდაზე წამოყარა.

- დღეს სულ ეს იყო ლანგარზე. მოვიტანე, რადგან გამიგონია, რომ თქვენ წვრილმანებიდანაც შეგიძლიათ სერიოზული დასკვნების გამოტანა.

ჰოლმსმა მხრები აიჩეჩა.

- აქედან ვერანაირ სერიოზულ დასკვნას ვერ გავაკეთებ. ასანთით, ჩანს, სიგარეტს უკიდებდა, რადგან მხოლოდ თავია დამწვარი. როცა სიგარას ან ჩიბუხს ეწევიან, ასანთის ნახევარი მაინც დაიწვის. ჰე, ეს ნამწვი კი მართლაც საყურადღებოა. თქვენ ამბობთ, რომ ის ჯენტლმენი წვერ-ულვაშიანია?

- დიახ, სერ.

- ამ სიგარეტის ასე ბოლომდე მოწევა მხოლოდ წმინდად გაპარსულ კაცს შეეძლო. უოტსონ, თქვენს მოკლე ულვაშებსაც კი დაიტრუსავდით ასე.

- იქნებ მუნდშტუკი ჰქონდა? - ვივარაუდე მე.

- არავითარ შემთხვევაში: ბოლო დაჭმუჭნილია. იქნებ თქვენს სახლში ორი ადამიანი ცხოვრობს, მისის უორენ?

- არა, სერ. ისე ცოტას ჭამს ჩემი მდგმური, რომ პირდაპირ მიკვირს, როგორ ჰყოფნის ერთ კაცს ეს საჭმელი.

- რა გაეწყობა, უნდა დავიცადოთ, ვიდრე დამატებითი მასალები გაგვიჩნდება. ბოლოს და ბოლოს, სადავო და სადავიდარაბო არაფერი გაქვთ. ბინის ქირა მიგიღიათ, მდგმური წყნარი კაცია, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან უცნაური. ქირას კარგად იხდის, და თუ არ სურს გამოჩენა, ეს ბოლოს და ბოლოს, თქვენ არც გეხებათ. არავითარი მიზეზი არ გაგვაჩნია, სიმშვიდე დავურღვიოთ, ვიდრე არ არსებობს საბუთი, რომ კანონს ემალება. ეს საქმე კარგად მემახსოვრება. შემატყობინეთ, თუ მოხდება რაიმე ახალი, და იმედი გქონდეთ ჩემი დახმარებისა, თუკი დაგჭირდებათ.

- ამ საქმეში უთუოდ არის ზოგი რაღაც თავშესაქცევი თავისებურება, უოტსონ, - მითხრა ჰოლმსმა მას შემდეგ, რაც მისის უორენი წავიდა, - შეიძლება აღმოჩნდეს სრულიად უბრალო რამე - ვთქვათ, მდგმური ახირებული კაცია და მეტი არაფერი; შესაძლოა, ბევრად უფრო სერიოზულიც გამოდგეს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. უწინარეს ყოვლისა, აზრად მომდის, რომ მისის უორენის ოთახებში არ ცხოვრობს ის კაცი, ვინც ბინა იქირავა.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- ასეთი რამ სიგარეტის ნამწვმა მაფიქრებინა და მერე განა დადგენილი არაა, რომ მდგმური მხოლოდ ერთხელ გავიდა სახლიდან, ისიც იმავე ღამეს, როცა ბინა იქირავა? მერედა, ერთმა ღმერთმა იცის, თვითონვე დაბრუნდა იმ დროს, როცა სახლში მას ვერავინ ნახავდა, თუ სხვა ვინმე. ჩვენ არავითარი მტკიცება არ გაგვაჩნია, რომ შინ დაბრუნებული კაცი და, ვინც ბინა დაიქირავა, ერთი და იგივე პიროვნებაა, მერე, ოთახების დამქირავებელი სწორად ლაპარაკობდა ინგლისურად, ეს კი წერს ნაბეჭდი ასოებით და თანაც დაუწერია «ასანთები». ეტყობა, სიტყვა ლექსიკონში უნახავს, ლექსიკონში ხომ ყოველი სიტყვა მხოლობითშია. სიტყვის სიმოკლეც, ალბათ, იმისთვის სჭირდება, რომ ინგლისურის უცოდინრობა დაფაროს. დიახ, უოტსონ, ჩვენ საკმაოდ ბევრი საბუთი გვაქვს ეჭვისთვის, რომ მოხდა შენაცვლება და დამქირავებელი და ბინაში მაცხოვრებელი ერთი და იგივე პიროვნება არაა.

- მაგრამ რა მიზნით?

- ჩვენი ამოცანაც ისაა, რომ ამისი მიზეზი ამოვხსნათ. ერთი საიმედო გზა კი, კაცმა რომ თქვას, უკვე გვაქვს. - ჰოლმსმა თავისი დიდი ალბომი ამოიღო, რომელსაც ყოველდღე ავსებდა ლონდონის გაზეთებიდან ამოჭრილი ცნობებით, განცხადებებით, დაკარგულთა ძებნას, შეხვედრის ადგილებს და სხვა მისთანებს რომ ეხებოდა. - ღმერთო ჩემო! - შესძახა მან, ალბომს რომ ფურცლავდა. - რაოდენი ნაირფეროვნებაა კვნესისა, შეძახილებისა, წუწუნისა! რა უძირო კალათაა უჩვეულო შემთხვევებისა! მერე და სწორედ ამ კალათიდან ამოკრებს უძვირფასეს ცნობებს ადამიანი, რომელიც სწორედ უჩვეულოს ეძებს. მისის უორენის მდგმური განმარტოვდა. მას ვეღარ ნახულობენ და ვეღარც წერილებს სწერენ იმისი შიშით, რომ გაშიშვლდება საიდუმლოება, რომლის დაფარვაც სურთ. რა გზით უნდა შეატყობინონ ის ამბები, რომლებიც სახლის კედლების გარეთ ხდება? რა თქმა უნდა, გაზეთების მეშვეობით. ეტყობა, სხვა გზა არ არსებობს, და, ჩვენდა საბედნიეროდ, შეგვიძლია მარტო «დეილი გაზეთის» შესწავლით შემოვიფარგლოთ. აი, ამ გაზეთიდან უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ამოჭრილი განცხადებები. «შავ ბოაში მორთული მანდილოსანი ციგურებით სრბოლის კლუბ «პრინცესიდან» - ეს გამოვტოვოთ. «ნუთუ ჯიმი თავის დედას გულს გაუხეთქავს»! - არა მგონია, ამასაც

რაიმე საერთო ჰქონდეს ჩვენს საქმესთან». ქალი, რომელმაც ცნობა დაკარგა ბრიქსტონის ომნიბუსში...» არც ეს მაინტერესებს. «სული ჩემი წუხს შენთვის...» - გულის წამღები წუწუნია, უოტსონ, სრულიად ჩვეულებრივი! აი, ეს კი უფრო ხელს გვაძლევს და საჩვენო უნდა იყოს. მისმინეთ: მოთმინება. ვიპოვი რაიმე უფრო საიმედო საშუალებას, რომ ურთიერთობები ვიქონიო. ჯერ კი ეს სვეტი. ჯ.» დაბეჭდილია მისის უორენთან მდგმურის დასახლებიდან ორი დღის შემდეგ. სრულიად გამოსადეგია, ხომ მართალია? საიდუმლოებით მოცული უცნობი ალბათ კითხულობს ინგლისურად, თუმცა წერა არ შეუძლია. შევეცადოთ ისევ დავადგეთ მის კვალს. აგერ, ასედაც მოხდა. სამი დღის შემდეგ: «საქმე კარგად მიდის. მოთმინება და კეთილგონიერება. ღრუბლები გაიფანტებიან. ჯ.» მერე მთელი კვირა არაფერი. აგერ, რაღაც უფრო გარკვეული: «ღრუბელი იფანტება, ცა იწმინდება და გზა მოჩანს. თუ მოვახერხე გაცნობო, დაიმახსოვრე: პირობითი კოდი - ერთი ა, და ორი ბ და ასე შემდეგ. მალე გაიგებ. ჯ.» დაბეჭდილია გუშინდელ გაზეთში, დღევანდელში - არაფერი. ყველაფერი ეს ძლიერ ესადაგება მის უორენის მდგმურის ამბავს. დიდი ლოდინი არ დაგვჭირდება, უოტსონ, დარწმუნებული ვარ, რომ ვითარებას შუქი მოეფინება.

ჩემი მეგობარი მართალი გამოდგა. დილით ბუხართან წავადექი თავს, პატარა ნოხზე იდგა, ცეცხლისკენ ზურგი ჰქონდა მიქცეული და სახეზე სრული კმაყოფილების ღიმილი უთამაშებდა.

- აბა, ახლა რას იტყვით, უოტსონ! - შესძახა და მაგიდიდან გაზეთი აიღო. «მაღალი წითელი სახლი თეთრი ქვის ლავგარდანებით. მეოთხე სართული, მეორე ფანჯარა მარცხნიდან. როცა შებინდდება. ჯ.» ეს უკვე სრულიად გარკვეულია. საუზმის შემდეგ ჩვენ პატარა დაზვერვას ჩავატარებთ მისის უორენის სახლის შემოგარენში... აჰა, მისის უორენიც, ჩვენსკენ მორბის, მისის უორენ, რა იცით ახალი?

იგი ისე გამალებული შემოვარდა ჩვენს ოთახში, რომ აშკარად რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო.

- ჩემგან მოთმინება კმარა, მისტერ ჰოლმს! - შესძახა გამწარებულმა, - პოლიციას უნდა შევატყობინოთ! ჩაალაგოს ჩემოდანში თავისი ბარგი-ბარხანა და მომწყდეს თავიდან! პირდაპირ ავიდოდი და ამას ვეტყოდი, მაგრამ ჯერ თქვენთან რჩევის საკითხავად მოსვლა ვარჩიე. ჩემი მოთმინების ფიალა აივსო, რაკი საქმე იქამდე მივიდა, რომ მოხუცი ქმარი გამილახეს...

- მისტერ უორენს სცემეს?

- დიახაც, ყოველ შემთხვევაში უდიერად და უხეშად მოექცნენ.

- ვინ მოექცა უდიერად?

- სწორედ, ეს გვინდა გავიგოთ! ეს ამ დილით მოხდა. მისტერ უორენი მეტაბელედ მუშაობს მორტონსა და უეილაიტთან ტოტენჰემ-კორტ-როუდზე. სახლიდან მიახლოებით დილის შვიდ საათზე გადის ხოლმე. ამ დილით, ქუჩაში ათი ნაბიჯიც არ გაევლო, რომ წინ ორი უცნობი გადაუდგა, თავზე პალტო ჩამოაცვეს და იქვე მდგარ კებში ძალით ჩასვეს. მთელი საათი უტარებიათ აღმა-დაღმა, მერე კების კარი გაუღიათ და ძირს გადაუგდიათ, ასე წოლილა ქვაფენილზე, შიშისაგან გონებადაკარგული, და რა თქმა უნდა, იმის გაგების თავი არ ექნებოდა, თუ საით წავიდა კები. როცა წამომდგარა, უნახავს, რომ ჰემსტედ-ჰიტზე იმყოფებოდა. შინ ომნიბუსით დაბრუნდა, მე იგი ტახტზე მიწოლილი დავტოვე და აქეთ გამოვეშურე, რომ რაც მოხდა, თქვენთვის შემეტყობინებინა.

- მეტისმეტად საინტერესო ამბავია, - თქვა ჰოლმსმა. - ხომ არ შეუმჩნევია, როგორ გამოიყურებოდა ის ხალხი, ხომ არ გაუგონია, რაზე ლაპარაკობდნენ?

- არა, სრულიად გამოშტერებულა. მხოლოდ ის იცის, რომ რაღაც მაგიურმა ძალამ მაღლა ასწია და იმავე მაგიურმა ძალამ ძირს ისროლა. ორზე მეტი არ ყოფილან, თუმცა იქნებ სამნიც იყვნენ.

- თქვენ კი თქვენს ქმარზე თავდასხმას თქვენს მდგმურს უკავშირებთ?

- აბა ვის დავუკავშირო? ჩვენ აქ თხუთმეტი წელია ვცხოვრობთ და მსგავსი არაფერი მოგვსვლია. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ფული ხომ ყველაფერი არაა ცხოვრებაში! მე დღესვე გავაგდებ იმას სახლიდან.

- ცოტა კიდევ მოიცადეთ, მისის უორენ. არაფერი ნაჩქარევად არ გააკეთოთ. მე მგონია, რომ შემთხვევა ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ახლა აშკარაა, რომ დილით მას მტრები კარებთან ელოდნენ და თქვენი ქმარი თქვენი მდგმური ეგონათ. თავიანთ შეცდომას რომ მიმხვდარან, კებიდან ძირს გადმოუგდიათ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიმარჩიელოთ იმაზე, თუ რას იზამდნენ, შეცდომა რომ არ მოსვლოდათ.

- მერე, მე რა მოვიმოქმედო, მისტერ ჰოლმს?

- ძალიან მაინტერესებს თქვენი მდგმურის ნახვა, მისის უორენ.

- თუ კარს არ შევამტვრევთ, არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოხდეს? როცა საჭმელს სკამზე ვდგამ და კიბეებზე ჩავდივარ, ყოველთვის მესმის, კარს როგორ კეტავს.

- მან ხომ ლანგარი ოთახში უნდა შეიტანოს. განა არ შეიძლება კაცი სადმე დაიმალოს და თვალი ადევნოს?

დიასახლისი ჩაფიქრდა.

- სწორია, სერ. მოპირდაპირე მხარეს საკუჭნაოა. იქ შემიძლია სარკე დავდგა, და თუ კარის უკან დაიმალებით...

- დიდებულია! - შესძახა ჰოლმსმა. - როდისაა მეორე საუზმის დრო?

- ასე პირველ საათზე, სერ.

- მაშ, მე და ექიმი უოტსონი იმ დროისათვის მოვალთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მისის უორენ.

პირველის ნახევარზე უკვე მისის უორენის სახლთან ვიყავით. ეს იყო მაღალი, ვიწრო, ყვითელი აგურის სახლი და იგი პატარა ჩიხში, ბრიტანეთის მუზეუმის ჩრდილოეთით, გრეიტორმ-სტრიტზე იდგა. იქიდან უფრო სოლიდური შენობებით ჰაუ-სტრიტის სანახები იშლებოდა. ჰოლმსმა სიცილით მიჩვენა ერთი მათგანი - დიდი მრავალბინიანი სახლი, სხვა თვალსაჩინო სახლებზე ოდნავ წინ მდგარი.

აი, უოტსონ, ის სახლი! საიდანაც დათქმული სიგნალებით ნიშნება მოხდება. მე კარგად დავინახე თეთრი ქვის ლავგარდნებიანი მაღალი წითელი სახლი. აგერ ფანჯარა, საიდანაც პირობით ნიშნებს გადმოსცემენ. ადგილი ცნობილია, ცნობილია კოდიც. ჩვენი ამოცანა ძნელი არ იქნება. იმ ფანჯარაში განცხადებაა: «ქირავდება». მაშასადამე, ბინა ცარიელია და თანამზრახველს შეუძლია იმით ისარგებლოს... აბა, როგორაა საქმე, მისის უორენ?

- თქვენთვის ყველაფერი გავამზადე. დატოვეთ დაბლა ფეხსაცმელი, ამოდით და მე საკუჭნაოში შეგიშვებთ.

ქალმა ყველაფერი ძალიან მოხერხებულად მოაწყო. სარკე ისე იყო დადგმული, რომ ჩვენ, ბნელში მყოფნი, მოპირდაპირე კარს კარგად დავინახავდით. ის იყო დავსხედით და მისის უორენმა დაგვტოვა, რომ ზარის ხმაც გაისმა. მალე გამოჩნდა დიასახლისი, ლანგარი სკამზე დადგა და მძიმე ნაბიჯით იქაურობას გაშორდა. კარის უკან მიკუნჭულები მივაშტერდით მოპირდაპირე კარს, რომელიც სარკეში ჩანდა. დიასახლისის ფეხის ხმა მიწყდა თუ არა, გასაღების გაჩხაკუნების ხმა გაისმა, კარის სახელური ჩამოიწია და ორმა ნაზმა ხელმა სკამზე დატოვებული ლანგარი აიღო.

წუთის შემდეგ ლანგარი ისევ სკამზე დადგეს, და ჩემს თვალწინ ქალის მშვენიერმა შავგვრემანმა სახემ გაიელვა. იგი შეძრწუნებული შესცქეროდა საკუჭნაოს ოდნავ მოღებულ კარს. შემდეგ ოთახის კარი ხმაურით დაიხურა, გასაღებმა ისევ გაიჩხაკუნა და ყველაფერი მიწყნარდა. ჰოლმსმა ხელი სახელოში ჩამავლო და ჩვენ სწრაფად დავეშვით კიბეზე.

- საღამოს ისევ მოვალ, - უთხრა დიასახლისს, რომელიც მოუთმენლად უყურებდა. - მგონი, უოტსონ, ეს საქმე შინ უნდა განვსაჯოთ.

- ამრიგად, ჩემი ვარაუდი დადასტურდა, - თქვა ჰოლმსმა და სავარძელში მოხერხებულად გადაწვა. - მოხდა შენაცვლება. მხოლოდ ის ვერ განვჭვრიტე, უოტსონ, რომ ჩვენ ქალს შევხვდებოდით და თანაც შესანიშნავ ქალს.

- მან დაგვინახა.

მან რაღაც ისეთი შენიშნა, რამაც შეაძრწუნა. ეს უეჭველია. საერთოდ, საქმის ვითარება საკმაოდ ნათელია, ხომ მართალს ვამბობ? წყვილი ეძებს ლონდონში თავშესაფარს, ცდილობს დაემალოს რაღაც საშინელ საფრთხეს, რაც თავს დასტრიალებს. რამდენად საშიშია საფრთხე, ეს ჩანს სიფრთხილის იმ მკაცრი ღონისძიებებიდან, რაც მიუღიათ. მამაკაცმა უსათუოდ რაღაც უნდა მოიმოქმედოს და მანამდე სურს უზრუნველყოს ქალისთვის უშიშროება. იოლი ამოცანა როდია, მაგრამ კაცს ეს მეტად თავისებურად გადაუწყვეტია და იმდენად წარმატებითაც, რომ სახლში ქალის ყოფნა არ იცის თვითონ დიასახლისმა, რომელიც მას კვებავს. ახლა აშკარაა, რისთვის არის საჭირო ნაბეჭდი ასოები: რათა არ გახდეს ცნობილი, რომ წერს ქალი. მასთან შეხვედრა კაცს არ შეუძლია - ამით მტრებს თავის კვალზე დააყენებს. და რაკი ქალის ნახვა არ შეუძლია, თავის ამბავს გაზეთის მეშვეობით ატყობინებს. ჯერჯერობით ყველაფერი გასაგებია.

უოტსონ, თქვენ როგორც ყოველთვის, მეტისმეტად პრაქტიკული ხართ! რა იფარება ამის უკან? მისის უორენისაგან ნაამბობი თითქოს თავშესაქცევი პრობლემა სულ უფრო რთულდება და საბედისწერო ხასიათს იღებს. ჯერჯერობით გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ ერთი რამ: ეს არაა ბანალური სასიყვარულო თავგადასავალი. თქვენ ალბათ შენიშნეთ ქალის სახის გამომეტყველება, როცა საფრთხე იგრძნო? ჩვენ გავიგეთ აგრეთვე მისტერ უორენის კებით გატაცების ამბავი. ის უთუოდ მდგმური ეგონათ. თვალით ნანახი და გაგონილი ყველაფერი ეს, აგრეთვე აუცილებლობა, რომ საიდუმლო მკაცრად შეინახონ, მეტყველებს იმაზე, რომ საქმე ეხება სიკვდილ-სიცოცხლეს. თავდასხმა მისტერ უორენზე იმ ამბავს გვიჩვენებს და გვიმტკიცებს, რომ მტრებმა, ვინც არ უნდა იყონ ისინი, ჯერ არაფერი იციან იმაზე, რომ ბინის დამქირავებელი მამაკაცი შეცვლილია დედაკაცით. ეს ძალზე საინტერესო და ძალზე დახლართული ამბავი ჩანს, მისტერ უოტსონ.

- თქვენ რატომ უნდა მისდიოთ ამ საქმეს ბოლომდე? ის ხომ არავითარ სარგებლობას არ გიქადით, არც სახელს შეგბენთ?

- მართლაც, არაფერს შემძენს, მაგრამ ხომ არის ხელოვნება ხელოვნებისთვის, უოტსონ. თქვენც, როცა საექიმო პრაქტიკას ეწეოდით, განა მხოლოდ გასამრჯელოსთვის მკურნალობდით?

- არა, ჩემი ცოდნის შევსების მიზნითაც, ჰოლმს.

- სწავლა სიკვდილამდეო, ხომ გაგიგონიათ, უოტსონ. სწავლა - ესაა გაკვეთილების ჯაჭვი და ყველაზე დიდი გაკვეთილი ბოლოს მოდის. ჩვენი შემთხვევა ჭკუის სასწავლებელია. ის არც ფულს მოგვიტანს და არც სახელს, მაგრამ

საიდუმლო მაინც უნდა ამოვხსნათ. დაღამდება და ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ წინ ჩვენს კვლევა-ძიებაში.

როცა ისევ მივედით მისის უორენის სახლში, ლონდონში დაისის მწუხრი ჩამოწვა. ერთფეროვან რუხ საფარველში მხოლოდ ფანჯრების მკვეთრად შემოხაზული ყვითელი კვადრატები და გაზის ფარნების მქრქალი წრეები ცრიატებდა. ჩაბნელებული სასტუმროდან რომ დაჟინებით გავიცქირებოდით, ვხედავდით მხოლოდ ერთი მკრთალი შუქის ლაქას, მაღლა წყვდიადში რომ ციმციმებდა.

- იმ ოთახში ვიღაც დადის, - ჩურჩულით თქვა ჰოლმსმა და თავისი გრძელი, დაძაბული სახე მინასთან მიიტანა, - დიახ, მე ვხედავ მის ჩრდილს. აგერ, კიდევ გამოჩნდა. ხელში სანთელი უჭირავს და ახლა აქეთ იყურება. სურს დარწმუნდეს, რომ ქალი თვალს ადევნებს. იგი შუქნიშნებს იძლევა. თვალი ადევნეთ და დაიმახსოვრეთ უოტსონ, რათა ჩვენი მონაცემების შემოწმება შევძლოთ. ერთხელ აანთო - ცხადია, ესაა ა. ახლა რამდენი დათვალეთ? ოცი? მეც. უთუოდ ეს ტ იქნება. ატ - მეტად საგულისხმოა. ისევ ტ. ეს უთუოდ მეორე სიტყვის დასაწყისია. გამოდის ტენტა. მორჩა. ნუთუ სულ ეს იყო, უოტსონ? ატტენტა - უაზრობაა. არც მაშინ აქვს აზრი, თუ სამ სიტყვად დავშლით - ატ, ტენ, ტა. ისევ დაიწყო! ეს რაღაა? ატტე - ისევ ის? უცნაურია, უოტსონ, ძალიან უცნაური! და ისევ ყველაფერი ხელახლა! ატ-ის ხომ მესამედ ანიშნებს იმავეს! სამჯერ - ატტენტა. კიდევ რამდენი იქნება? არა, მგონი დაასრულა. ფანჯარას მოშორდა. როგორ ახსნით ამას, უოტსონ?

- დაშიფრული ცნობაა.

მოულოდნელად ჰოლმსმა «აჰა» - ისე შესძახა, თითქოს რაღაც მოისაზრაო.

- თანაც შიფრი არც ისეთი თავსატეხია, უოტსონ. ეს ხომ იტალიურია! «ა» ბოლოში ნიშნავს, რომ მიმართავენ კაცს: «ფრთხილად! ფრთხილად! ფრთხილად!» რას იტყვით, უოტსონ?

- ვფიქრობ, მიზანს ზუსტად შიგ გულში მოახვედრეთ.

- უდავოდ. გაფრთხილება უაღრესად მნიშვნელოვანია, ამიტომაც სამჯერ გაიმეორა. მაგრამ რას გაუფრთხილდეს? დაიცა, კიდევ მოვიდა ფანჯარასთან.

ჩვენ ისევ დავინახეთ მრუმე სილუეტი დახრილი კაცისა და ფანჯარაში ცეცხლის შუქმა გაიელვა, სიგნალები განმეორდა. ახლა სწრაფად გადასცემდნენ, ისე სწრაფად, რომ თვალის მიდევნება ჭირდა.

- პერიკოლო! პერიკოლო! - ეს რას ნიშნავს, უოტსონ? საფრთხე? ღმერთო მოწყალეო! ეს ხომ საფრთხის სიგნალია! ისევ დაიწყო! პერი... ეს რა...

შუქი უცებ ჩაქრა, მოციმციმე კვადრატი გაუჩინარდა, და მეოთხე სართული შავ ბაფთასავით შემოევლო მოელვარე ფანჯრების სარტყელს მაღალი სახლის თავზე. უკანასკნელი გამაფრთხილებელი სიგნალი უეცრად გაწყდა. რატომ? ვინ გაწყვიტა? ასეთი აზრი გაგვიჩნდა ორივეს. ჰოლმსი ფანჯარას ფიცხლავ ჩამოსცილდა.

- ეს ხუმრობა არ არის, უოტსონ! - შესძახა. - იქ რაღაც ჯოჯოხეთი ტრიალებს. რატომ შეწყდა სიგნალები ასე უეცრად? უნდა დავუკავშირდეთ სკოტლენდ-იარდს, ჩვენი აქედან წასვლა კი არ შეიძლება, დრო არ ითმენს.

- შეიძლება მე გავიქცე პოლიციაში?

- აუცილებელია უფრო ზუსტად გავიგოთ, რა ხდება იქ. იქნებ მიზეზი სულ უბრალო რამეა. იჩქარეთ, უოტსონ, და შევეცადოთ თვითონვე გავარკვიოთ ყველაფერი.

ჰაუ-სტრიტზე რომ ჰაიჰარად მივაბიჯებდით, იმ სახლს მივხედე, რომელიც ის-ის იყო უკან მოვიტოვეთ. ზედა სართულის ფანჯარაში ჩანდა - ქალის თავის ჩრდილი, იგი ალბათ დაძაბული და სუნთქვაშეკრული გასცქეროდა სიბნელეს, რათა სიგნალების განმეორება არ გამორჩენოდა.

ჰაუ-სტრიტის შენობის წინ რიკულებზე დახრილი, გრძელპალტოიანი და შარფშემოხვეული კაცი იდგა. როცა სადარბაზოში ფარნის შუქი ჩვენს სახეებს მოხვდა, ის შეკრთა.

- ჰოლმს! - შესძახა.

- დიახ, მე ვარ, გრეგსონ! - შეეხმიანა ჩემი მეგობარი და სკოტლენდ იარდელ მაძებარს მიესალმა. მოგზაურობა შეყვარებულთა შეყრით დასრულდა. აქ რამ მოგიყვანათ?

- ალბათ იმანვე, რამაც თქვენ, - მიუგო გრეგსონმა. - მაგრამ რანაირად გაიგეთ ეს საქმე, წარმოდგენა არა მაქვს.

- მე და თქვენ აქ მოგვიყვანა ორმა სხვადასხვა ძაფმა, რომელიც ერთი და იმავე დახლართული კვანძიდან მომდინარეობს. მე სიგნალებს ვაკვირდებოდი.

- სიგნალებს?

- დიახ, ამ ფანჯრიდან. იგი უეცრად გაწყდა. ჩვენ იმის დასადგენად მოვედით, ასე უეცრად რა მოხდა. მაგრამ რაკი საქმე საიმედო ხელშია, მე აღარა მაქვს საფუძველი ძიება განვაგრძო.

- მოიცადეთ! - შესძახა ფიცხლავ გრეგსონმა. - პატიოსნად გეტყვით, მისტერ ჰოლმს, თქვენს გვერდით მე ყოველთვის უფრო დაჯერებულად ვმოქმედებ. ეს მისასვლელი მთელს სახლში ერთადერთია. ვერსაით წაგვივა.

- ვინ? რომელია?

- როგორც იქნა, ამჯერად ბედი ჩვენ გვიღიმის, მისტერ ჰოლმს. უნდა დაგვეთანხმოთ. ამის თქმაზე გრეგსონმა ძლიერ დაჰკრა თავისი ტროსტი ტროტუარზე, რის შემდეგაც ქუჩის ბოლოში მდგარი მათრახმომარჯვებული კარეტის მეეტლე ჩვენსკენ გამოეშურა. - ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ მისტერ ჰოლმსი, - უთხრა გრესონმა. - ეს კი მისტერ ლივერტონია, ამერიკულ სააგენტო პინკერტონიდან.

- ლონგ-აილენდის გამოქვაბულის საიდუმლოს გმირი! - შესძახა ჰოლმსმა. - მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, სერ.

ამერიკელი ახალგაზრდა, მშვიდი, საქმიანი კაცი, მკვეთრნაკვთებიანი სუფთად გაპარსული მოგრძო სახისა, ასეთი ქების გამგონე, გაწითლდა.

- ის, რაც ახლა ჩვენ მოგველის, მთელი ჩემი ცხოვრების საქმეა, მისტერ ჰოლმს. თუ ჯორჯიანოს შეპყრობა მოვახერხე...

- რაო? ჯორჯიანო «ალისფერი ბეჭდის» ლიგიდან?

- ო, მას უკვე ევროპაშიც იცნობთ? ამერიკაში მის შესახებ ყველაფერი ვიცით. ჩვენ ვიცით, რომ მის სინდისს ორმოცდაათამდე მკვლელობა აწევს, მაგრამ ჯერ სარწმუნო სამხილი არა გვაქვს და ამიტომ შეპყრობა არ შეგვიძლია. ფეხდაფეხ მოვდევ ამერიკიდან, ნიუ-იორკიდან მოვყვები და ერთი კვირაა ლონდონში ვუთვალთვალებ, შემთხვევას ვეძებ, რომ საყელოში ხელი ჩავავლო. მე და მისტერ გრეგსონმა მის კვალს მივაგენით. ამ დიდ სახლშია, სხვა სადარბაზო კარი აქ არაა და ხელიდან ვეღარ დაგვისხლტება. მას შემდეგ, რაც ის ამ სახლშია, სამნი გამოვიდნენ, მაგრამ ვფიცავ, მათ რიცხვში ჯორჯიანო არ იყო.

- მისტერ ჰოლმსი რაღაც სიგნალებზე ლაპარაკობდა, - ჩაურთო გრეგსონმა. - დარწმუნებული ვარ, მას, როგორც ყოველთვის, აქვს ისეთი დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც ჩვენ არ გაგვაჩნია.

ჰოლმსმა მოკლედ მოუთხრო ყოველივე. ამერიკელმა ხელის მტევნები წყენით მომუჭა.

- გაუგია, რომ აქა ვართ!

- რატომ გგონიათ?

- განა ცხადი არ არის? სახლში დაიმალა და ნიშნებს აძლევს თანამზრახველს - ლონდონში მისი ბანდის რამდენიმე წევრია. მერე, როგორც თქვენ ინებეთ გეცნობებინათ, სიგნალები უეცრად შეწყდაო. რას უნდა ნიშნავდეს ეს, იმის გარდა, რომ დაგვინახა, ან როგორღაც მიხვდა, რომ ჩვენ აქა ვართ, საფრთხე ემუქრება და დაუყოვნებლივ თავს უნდა უშველოს? თქვენ რას გვირჩევდით, მისტერ ჰოლმს?

- მაღლა ავიდეთ. და იქვე გავარკვიოთ, ზემოთ რა ხდება.

- მაგრამ ჩვენ მისი დაპატიმრების ორდერი რომ არა გვაქვს?!

- ის კაცი ცარიელ ბინაში საეჭვო ვითარებაში იმყოფება, - თქვა გრეგსონმა. დაპატიმრების პირველ მიზეზად კმარა. როცა საპატიმროში ჩავსვამთ, ნიუ-იორკიდან ალბათ დაგვეხმარებიან, რომ იქვე გავაჩეროთ. დაპატიმრებისათვის პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ.

ჩვენი მაძებარი-პროფესიონალები იქნებ გონებას მკვირცხლად ვერ ამუშავებენ, მაგრამ სიმამაცეში ვერაფერს უსაყვედურებთ. გრეგსონი კიბეებზე ადიოდა, რათა შეეპყრო გამობრძმედილი ბოროტმოქმედი, ადიოდა ისევე დამშვიდებული, თითქოს სკოტლენდ-იარდის სადარბაზო კიბეზე მიაბიჯებდა. პინკერტონელმა აგენტმა გადასწრება სცადა, მაგრამ გრეგსონმა გადაჭრით გადაუღობა გზა და უკან მოიტოვა. ლონდონური ფათერაკები - ლონდონის პოლიციის პრივილეგია გახლავთ.

მეოთხე სართულზე მარცხენა მხარის ბინის კარი ოდნავ გამოღებული იყო. გრეგსონმა სულ გამოაღო. შიგნით სიწყნარე სუფევდა და ყიამეთი იდგა. ასანთი გავკარი და მაძებრის ფარანს ცეცხლი მოვუკიდე. როცა შუქი აინთო, გაოცებისაგან ყველამ ამოვიხვნეშეთ. იატაკის ფიჭვის ფიცრებზე სისხლის ახალი კვალი მოჩანდა. ჩექმების წითელი ანაბეჭდები ჩვენს მხარეს გამოდიოდა შიდა ოთახიდან, რომლის კარიც დახურული იყო. გრეგსონმა ის ფართოდ გააღო და ფარანი ასწია. შუქი მთელს ოთახს ანათებდა და ჩვენ გრეგსონის ზურგს ამოფარებულნი წინ დაძაბულები და დაცქვეტილნი ვიყურებოდით.

ცარიელი ოთახის შუაგულში გაშხლართულიყო ჰერკულესის აღნაგობის კაცი, შავგვრემანი, სუფთად გაპარსული სახის ნაკვთები საშინლად დამახინჯებოდა. ალისფერი სისხლის საშინელი ნაღვენთით მოსვრილი თავი ღია ფერის პარკეტზე სისხლის გუბეში ეგდო. მუხლებაწეულსა და ხელებგაშლილს მძლავრ ყავისფერ კისერში დიდი დანა ჰქონდა გაყრილი, რომელსაც მხოლოდ ტარი მოუჩანდა. თუმცა გიგანტური აგებულებისა იყო, დანის მძლავრ დატყმას, ეტყობა, ისე დაუგდია, როგორც გამოცდილი ყასბის ხელით დაკლული ხარი. მის მარჯვენა ხელთან ეგდო ორლესური მძიმე ხანჯალი, ძვლისტარიანი, გვერდით კიდევ - შავი ლაიკის ხელთათმანი.

- ღმერთო ჩემო! სწორედ ეს არის შავი ჯორჯიანო! - შე-ჰყვირა ამერიკელმა მაძებარმა - ამჯერად ვიღაცამ დაგვასწრო.

- აგერ სანთელი ფანჯარაზე, მისტერ ჰოლმს. - თქვა გრეგსონმა. - მაგრამ თქვენ რას აკეთებთ?

ჰოლმსი ფანჯარასთან მივიდა, აანთო სანთელი და საიდუმლო ნიშნების გადაცემას მოჰყვა. შემდეგ სიბნელეში გაიხედა, სანთელი ჩააქრო და იატაკზე დააგდო.

- ვნახოთ, მგონი ეს დაგვეხმარება.

შემდეგ ორივე პროფესიონალთან გამობრუნდა, გვამს რომ ათვალიერებდნენ, და ღრმად ჩაფიქრებული მათ გვერდით დადგა.

- თქვენ ამბობთ, რომ ვიდრე დაბლა იდექით, სახლიდან სამნი გამოვიდნენ, - თქვა ბოლოს. - ხომ არ დაკვირვებიხართ?

- დიახ, დავაკვირდი.

- ხომ არ იყო მათ შორის ოცდაათიოდე წლის შავგვრემანი, შავწვერულვაშებიანი, საშუალო ტანის კაცი?

- დიახ, ჩემს გვერდით მან უკანასკნელმა ჩაიარა.

- ვფიქრობ, ეს ისაა, ვინც თქვენ გინდათ. შემიძლია აგიწეროთ და თან გვაქვს მისი ფეხის ჩინებული ანაბეჭდი. ვფიქრობ, ეს თქვენთვის კმარა.

- ბევრი ვერაფერი მონაცემია, მისტერ ჰოლმს, რომ ამის მიხედვით ვიპოვოთ მილიონ ლონდონელს შორის ის ერთი კაცი.

- შესაძლებელია. ამიტომ ვიფიქრე, რომ კარგი იქნება, თუ ქალს მოვიშველიებთ.

ამ სიტყვებზე ყველანი კარისკენ მივბრუნდით. კარის სწორკუთხედში იდგა მაღალი ლამაზი ქალი. ის გახლდათ მისის უორენის საიდუმლოებით მოცული მდგმური, რომელიც ნელა მოგვიახლოვდა. მისი ფერმკრთალი სახე შიშით იყო მოცული. იგი დაძაბული, შიშნეული მზერით დასჩერებოდა ძირს დაგდებულ გვამს.

- თქვენ მოკალით ის! - ჩაიბუტბუტა ქალმა. - წბ ვშწ ქშწ, თქვენ მოკალით ის!

შემდეგ ერთი ღრმად ამოისუნთქა და სიხარულის ყიჟინით შეხტა. ოთახში დარბოდა, ტაშს უკრავდა, თაფლისფერი თვალები აღფრთოვანებისა და გაოცებისაგან უელავდა, მის ბაგეებს ათასი იტალიური წარმტაცი წამოძახილი აღმოხდა. ყველა შეძრწუნდებოდა და გაოცდებოდა ამ ქალის შემყურე. ის კი დაუოკებელ სიხარულს მოეცვა ამ სანახაობის გამო. უეცრად შეჩერდა და კითხვის ნიშნად შემოგვაცქერდა.

- მაგრამ თქვენ! თქვენ ხომ პოლიცია ხართ? თქვენ მოკალით ჯუზეპე ჯორჯიანო? მართლა?

- ჩვენ პოლიცია ვართ, ქალბატონო.

ქალი ოთახის ბნელ კუთხეებს დააკვირდა.

- სადღაა ჯენარო? ჯენარო ლუკა, ჩემი ქმარი? მე ემილია ლუკა ვარ, ორივე ნიუ-იორკიდან გახლავართ. სადაა ჯენარო? ეს-ეს არის მანიშნა ამ ფანჯრიდან, რომ მასთან მოვსულიყავი და მეც აქეთ გამოვეშურე.

- ეს მე გიხმეთ, - თქვა ჰოლმსმა.

- თქვენ! მერედა თქვენ რა იცოდით, როგორ უნდა გენიშნებიათ ჩემთვის აქ მოსვლა.

- თქვენი შიფრი არც ისე რთულია, ქალბატონო. თქვენი აქ ყოფნა კი აუცილებელი იყო. აქ გვესაჭიროებოდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ მოგცემდით ნიშანს მშუტშ (მოდი - იტ.), უთუოდ მოხვიდოდით.

მშვენიერმა იტალიელმა ქალმა ჰოლმსს მოკრძალებული შიშით შეხედა.

- არ მესმის, საიდან გაიგეთ ეს ყველაფერი, - თქვა. - ჯუზეპე ჯორჯიანო, როგორც მან... - უეცრად გაჩუმდა, მაგრამ მაშინვე სახე სიხარულმა და სიამაყემ გაუნათა. - ახლა გავიგე! ჩემმა ჯენარომ! ეს ყველაფერი მოიმოქმედა ჩემმა მშვენიერმა, ძვირფასმა ჯენარომ, რომელიც ყველა უბედურებისაგან მიფარავდა, მანვე მოკლა

ბოროტმოქმედი თავისი ძლიერი ხელით! ო, ჩემო ჯენარო, რა შესანიშნავი ხარ! არის კი ამ ქვეყნად ქალი, ვინც მისი სიყვარულის ღირსია?

- მაშ ასე, მისის ლუკა, - თქვა პროზაულმა გრეგსონმა და ხელი იდაყვზე მიადო ისევე გულგრილად, თითქოს ის ყოფილიყო ნოტინგ-ჰილელი ხულიგანი. - ჯერ ჩემთვის მთლად ნათელი ვერ არის, თქვენ ვინ ბრძანდებით, და რატომ ხართ აქ, მაგრამ, რაც უკვე მითხარით, იმის მიხედვით სრულიად ნათელია, რომ თქვენით სკოტლენდ-იარდში დაინტერესდებიან.

- ერთი წუთით, მისტერ გრეგსონს, - ჩაერია ჰოლმსი, - მე მგონია, ეს ლედი წინააღმდეგი არ იქნება, რომ ზოგი რამ ჩვენც გვითხრას. თქვენ იცით, ქალბატონო, რომ თქვენს ქმარს დააპატიმრებენ და გაასამართლებენ იმ კაცის მოკვლისთვის, რომელიც აქ ჩვენს წინ გდია? თქვენი სიტყვები შეიძლება თქვენი ქმრის წინააღმდეგ გამოიყენონ. მაგრამ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი ქმრის მოქმედება კანონსაწინააღმდეგო არ იყო და მისი მოქმედება მისთვის საშიში არ იქნება, თუნდაც მართლმსაჯულებისათვის ყოველივე ცნობილი შეიქმნას, მაშინ, გთხოვთ ყველაფერი წვრილად გვიამბოთ.

- ახლა, როცა ჯორჯიანო მკვდარია, ჩვენ აღარაფრისა გვეშინია, - მიუგო იტალიელმა ქალმა. - ის იყო ეშმაკეული და ურჩხული, რომლის მოკვლისათვის ქვეყნად არც ერთი მოსამართლე ჩემს ქმარს სასჯელს არ გამოუტანს.

- ასეთ შემთხვევაში, - თქვა ჰოლმსმა, - გირჩევთ დავკეტოთ კარი და დავტოვოთ ყველაფერი ისე, როგორც არის, გავყვეთ ამ ლედის მის ბინაში და გადაწყვეტილება გამოვიტანოთ მას შემდეგ, რაც ის ყველაფერს მოგვიყვება.

ნახევარი საათის შემდეგ ყველანი ვისხედით ლედი ლუკას პატარა სასტუმროში და ვისმენდით მის საოცარ მოთხრობას იმ ავბედით მოვლენებზე, რომელთა დასასრულის მოწმენიც ჩვენ შევიქენით. ინგლისურად სწრაფად და სხაპასხუპით ლაპარაკობდა, თუმცა ძლიერ არასწორად და მეტი სიცხადისათვის მისი მონათხრობი ცოტა შევასწორე.

- მე დავიბადე პოსილიპოში ნეაპოლის ახლოს, - დაიწყო ქალმა, - ვარ ასული აუგუსტო ბარელისა, რომელიც იქ უფროსი იურისტი იყო და თანაც ამ მხარის დეპუტატი. ჯენარო მამაჩემთან მსახურობდა და მე ის შემიყვარდა, რადგან არ შეიძლება კაცს ასეთი ადამიანი არ შეუყვარდეს. ღარიბი იყო, ხელმოკლედ ცხოვრობდა და გარდა სილამაზის, ძალისა და ენერგიისა არაფერი გააჩნდა. ამიტომ მამამ ქორწინების ნება არ მოგვცა. ჩვენ გავიქეცით, ბარიში დავქორწინდით, გავყიდეთ ჩემი სამკაულები და ამერიკაში წავედით. ეს მოხდა ოთხი წლის წინ და მას შემდეგ ჩვენ ნიუ-იორკში ვცხოვრობდით.

პირველად ბედმა გაგვიღიმა. ჯენაროს კეთილი სამსახური გაუწია ერთ იტალიელ ჯენტლმენს - იხსნა იგი თავზე ხელაღებული არამზადებისაგან იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ბოვერი, და ასე შეიძინა გავლენიანი მეგობარი. მისი სახელია ტიტო კასტალოტე, იგი გახლავთ მთავარი კომპანიონი ცნობილი ფირმისა «კასტალოტე და ზამბა», ამ ფირმას ნიუ-იორკში ხილი შემოაქვს და ხილის მთავარი მიმწოდებელია. სინიორ ზამბა ბევრს ავადმყოფობს და ყველა საქმე იმ ფირმისა, რომელშიაც სამასამდე კაცია გაერთიანებული, ჩვენი მეგობრის ხელშია თავმოყრილი. კასტალოტემ ჩემი ქმარი თავის ფირმაში მიიღო, განყოფილების გამგედ დანიშნა და მის მიმართ ყურადღებითა და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. სინიორ კასტალოტე უცოლო გახლავთ და ჯენაროს, როგორც გითხარით, ღვიძლი შვილივით უყურებდა. ჩემს ჯენაროსაც ის კაცი ისე უყვარდა, თითქოს ჩვენი მშობელი მამა ყოფილიყოს. ბრუკლინში ვიქირავეთ და მოვაწყვეთ ერთი პატარა სახლი და ჩვენი მომავალი

უზრუნველყოფილი გვეგონა, როცა უეცრად გამოჩნდა შავი ღრუბელი და მთელი ცა დაბურა.

ერთ საღამოს, როცა ჯენარო შინ ბრუნდებოდა, გზაზე ვიღაც თანამემამულეს გადაჰყრია და შინ მოიყვანა. მისი სახელი იყო ჯორჯიანო, ისიც პოსილიპოდან აღმოჩნდა. კაცი კი არა, ბუმბერაზი გახლდათ, კოლოსალური სიმაღლისა, რაშიც თვითონვე დარწმუნდით - ხომ ნახეთ მისი გვამი! არა მარტო უზარმაზარი ტანი, არამედ ყველაფერი ფანტასტიკური, უზომო და შემზარავი ჰქონდა. ჩვენს სახლში მისი ხმა ისე გაისმოდა, როგორც მეხის ქუხილი. სადაც ის ლაპარაკობდა, იქ ყველგან სივიწროვე იყო, ადგილი არ ჰყოფნიდა უზარმაზარი ხელების საქნევად. აზრები, განცდები, ვნებები, ყველაფერი დიდი და საშინელი ჰქონდა. ლაპარაკობდა, უკეთ ღრიალებდა ისეთი მღელვარებით, რომ დანარჩენებს ისღა დარჩენოდათ, დამჯდარიყვნენ და ესმინათ მისი სიტყვები, რომელთა ნაკადი მსმენელს აძრწუნებდა. თვალები ცეცხლივით უელავდა და უნებურად გიმორჩილებდათ. საშინელი და საოცარი კაცი იყო. მადლობა შემოქმედს, რომ ის მკვდარია!

სულ უფრო და ურფო მოუხშირა სიარულს. მაგრამ, არც მე და არც ჯენაროს მისი სტუმრობა არაფრად გვეპიტნავებოდა. ჩემი უბედური ქმარი ფერმიხდილი იყო ხოლმე და გულგრილად ისმენდა უსასრულო ქადაგებას პოლიტიკასა და სოციალურ პრობლემებზე, რაც ჩვენი სტუმრის საუბრის თემას შეადგენდა. ჯენარო დუმდა, მაგრამ მის სახეზე ამოვიკითხავდი ხოლმე განცდას, რაც მისთვის უწინ უჩვეულო იყო. ჯერ ვფიქრობდი, რომ ეს იყო სიძულვილი, მერე გავიგე, რომ ეს რაღაც უფრო მეტი გახლდათ. ეს იყო შიში, დაუძლეველი შიში, რასაც ძლივს იკავებდა. იმ ღამეს, როცა მის სახეზე კვლავ ძრწოლა და შიში ამოვიკითხე, მოვეხვიე და შევთხოვე, ჩემი სიყვარულის გულისათვის, ყველაფრისათვის, რაც ძვირფასი გააჩნდა, ეთქვა, რატომ გრძნობდა ამ ბუმბერაზის გვერდით თავის თავს დაძაგრულად და დათრგუნულად. ქმარმა მითხრა და მისი მოთხრობის მსმენელს გული გამეყინა. ჩემი საბრალო ჯენარო, იმ სიფიცხის, იმ ყმაწვილკაცური მარტოხელობის დროს, როცა ეჩვენებოდა, რომ მთელი ქვეყნიერება მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, როცა უსამართლობის გამო ცხოვრებაში ჭკუას კარგავდა, ნეაპოლიტანურ ლიგაში «ალიფერი ბეჭედი» - რაღაც ძველი კარბონარიების მსგავს წრეში წევრად შესულა. ამ ორგანიზაციის საიდუმლოებანი, მისი ფიცი, რასაც წევრები დებენ, საშინელია თურმე და, ვინც იქ შევა, გამოსვლა აღარავის ძალუძს. ჩვენ ხომ ამერიკაში გავიქეცით და საბრალო ჯენარო თურმე იმას ფიქრობდა, რომ ლიგას საბოლოოდ დააღწია თავი. წარმოიდგინეთ, რა თავზარი დაეცემოდა, როცა ერთხელ ქუჩაში შეხვდა იმ გიგანტს ჯორჯიანოს, კაცს, რომელმაც იგი ნეაპოლში «ალისფერი ბეჭდის» ორგანიზაციაში ჩაითრია წევრად და მთელ სამხრეთ იტალიაში დაიმსახურა მეტსახელად «სიკვდილი», რადგან მისი ხელები მოკლულთა სისხლით იყო შეღებილი. ჯორჯიანო იტალიის პოლიციას ხელიდან დაუძვრა, ამერიკაში ჩავიდა და იქაც მოასწრო იმ საშინელი ლიგის განყოფილების შექმნა. ყველაფერი ეს მიამბო ჯენარომ და მიჩვენა ქაღალდი, რომელზედაც დახატული იყო ალისფერი ბეჭედი. იქ ეწერა, რომ გარკვეულ დღესა და საათს შედგება კრება, რომელსაც ჯენარო უნდა დასწრებოდა.

ეს კარგს არაფერს გვიქადდა, მაგრამ უარესი წინ გველოდა. გარკვეული ხნის შემდეგ მე თანდათან ვამჩნევდი, რომ ჯორჯიანო, რამდენჯერაც ჩვენთან მოვიდოდა, - მოდიოდა კი თითქმის ყოველ საღამოს, - მხოლოდ მე მელაპარაკებოდა, ხოლო თუ რამეს ჩემს ქმარს ეტყოდა, იმავე დროს არ მაშორებდა თავის ცეცხლოვან თვალთა საშინელ, მძვინვარე მზერას. ერთხელ მისი საიდუმლო გამომჟღავნდა. თურმე მე გამიღვიძებია მასში ის, რასაც თვითონ სიყვარულს ეძახდა - ურჩხულის, ველურის

სიყვარული. ჯენარო ჯერ არ იყო მოსული, როცა ის მოვიდა. ახლოს მომიჯდა, ჩამავლო თავისი უზარმაზარი მხეცური ხელები, მომიმწყვდია დათვის თათებში, მლოშნიდა და მემუდარებოდა, რომ გავყოლოდი. სასოწარკვეთილი ვყვიროდი და ვებრძოდი. ამ დროს ჯენაროც მოვიდა და ეცა იმ ნადირს. ჯორჯიანომ ჩემს ქმარს ისე ლეწა, რომ იგი დაეცა და ცნობა დაკარგა; ჯორჯიანო კი გაიქცა სახლიდან, რომლის კარიც მისთვის სამუდამოდ ჩაირაზა. იმ საღამოდან ის ჩვენი დაუძინებელი მტერი შეიქნა.

რამდენიმე დღის შემდეგ შედგა კრება. კრებიდან დაბრუნებულ ჯენაროს სახეზე შევატყვე, რომ მოხდა რაღაც საშინელება. ასეთი უბედურების წარმოდგენაც კი შემზარავდა. «ალისფერი ბეჭდის» ორგანიზაცია თურმე სახსრებს ეძებდა და შანტაჟს უწევდა მდიდარ იტალიელებს. ორგანიზაცია ფულიან ხალხს ძალადობით ემუქრებოდა, თუ უარს ეტყოდნენ ფულის მიცემაზე. ამჯერად თავიანთ მსხვერპლად ჩვენი მეგობარი და კეთილისმყოფელი კასტელოტე ამოერჩიათ. კასტელოტე არ შეუშინდა მუქარას და მოთხოვნის ქაღალდი პოლიციას გადასცა. აი, მაშინ გადაწყვიტეს მასთან ანგარიშის ისე გასწორება, რომ დანარჩენებს წინააღმდეგობის გაწევის ხალისი დაეკარგათ. კრებაზე დაედგინათ, რომ აეფეთქებინათ დინამიტით მისი სახლი და მასთან დაეღუპათ სახლის პატრონი. უყარეს კენჭი, თუ ვის უნდა ეკისრა ეს ჯოჯოხეთური საქმე. ჯენარომ ხელი ტომარაში ჩაყო და ჯორჯიანოს სახეზე, რომელიც მისი მოსისხლე მტერი იყო, ვერაგული ღიმილი დაინახა, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოწყობილი იყო, რადგან სწორედ ქმრის ხელისგულზე აღმოჩნდა ალისფერბეჭდიანი საბედისწერო რგოლი. ეს იყო მკვლელობის ბრძანება. ჯენაროს სიცოცხლე უნდა მოესპო უახლოესი ადამიანისათვის. თუ არ შეასრულებდა, ლიგის წევრები დაგვსჯიდნენ მეცა და ქმარსაც. ჯოჯოხეთური ლიგა სჯიდა არა მარტო განდგომილებს, არამედ მათ ახლობლებსაც. აი, ამ უბედურებას გადაჰკიდა ჩემი საწყალი ჯენარო ჯორჯიანომ და კაცი ჭკუას კარგავდა.

მთელი ღამე ვიჯექით, ერთიმეორეს ვეხვეოდით და თავს დატეხილი უბედურების მოლოდინში ერთმანეთს ვამხნევებდით. აფეთქება მომდევნო ღამისათვის იყო დანიშნული. შუადღისას მე და ჩემი ქმარი უკვე ლონდონის გზას დავადექით. ცხადია, ჩვენს კეთილისმყოფელს ყველაფერი შევატყობინეთ და პოლიციას ვაცნობეთ, რომ უბედურება თავიდან აეცილებინათ.

დანარჩენი, ჯენტლმენებო, თვითონაც კარგად იცით. დაწმუნებული ვიყავით, რომ მტრებს თავს ვერ დავაღწევდით, როგორც ვერ გაექცევა კაცი საკუთარ ჩრდილს. ჯორჯიანოს პირადული მიზეზებიც ჰქონდა შურისძიებისათვის, ჩვენ კი ვიცოდით, რა ულმობელი, ვერაგი და შეუპოვარი კაცი იყო იგი. იტალიაში და ამერიკაში ბევრს ლაპარაკობდნენ მის საზარელ ყოვლისშემძლეობაზე. ახლა კი, რაღა თქმა უნდა, ჩვენს წინააღმდეგ ყოველ ღონეს მოიხმარდა. იმის წყალობით, რომ მტრებს დავასწარით, რამდენიმე მშვიდი დღე დაგვიდგა და ჩემმა საყვარელმა მეგობარმა საიდუმლო ბინა გამონახა ჩემთვის. ამ თავშესაფარში გავატარე ორიოდე დღე. ჯენაროს მოქმედების თავისუფლების მოპოვება სურდა, რათა ინგლისისა და ამერიკის პოლიციასთან კავშირი დაეჭირა. წარმოდგენა არა მაქვს, სად ცხოვრობს, როგორ და რით იკვებება. მის ამბავს მხოლოდ გაზეთიდან ვგებულობდი. ერთხელ ფანჯარაში გავიხედე და ვნახე, როგორ უთვალთვალებდნენ ამ სახლს. დაბლა ორი იტალიელი იყო და მივხვდი, რომ ჯორჯიანომ რაღაცნაირად მოაგნო ჩვენს ადგილსამყოფელს. ბოლოს ჯენარომ გაზეთის მეშვეობით მაცნობა, რომ სიგნალების საშუალებით დაამყარებდა კავშირს ჩემთან. სცადა კიდეც პირობითი ნიშნებით ჩემთან გამოლაპარაკება და გამაფრთხილა, ფხიზლად იყავიო. ახლა მესმის: ქმარმა იცოდა, რომ ჯორჯიანომ

ჩვენს კვალს მიაგნო, და მადლობა ღმერთს, მასთან შესახვედრად მომზადებულა. ახლა კი მითხარით, ჯენტლმენებო, ჩავიდინეთ თუ არა ისეთი რამ, რაც კანონით ისჯება, და არის თუ არა ქვეყნად ისეთი სასამართლო, რომელიც ჯენაროს დასჯის იმისათვის, რაც გააკეთა?

- რა ითქმის, მისტერ გრეგსონ, - თქვა ამერიკელმა და ინგლისელ აგენტს გადახედა. - არ ვიცი, როგორია თქვენი ბრიტანული მოსაზრება, ამერიკაში კი, კერძოდ, ნიუ-იორკში, უდიდესი უმრავლესობა ამ მანდილოსნის ქმარს მადლობას ეტყვის.

- ამ ქალს ჩემთან წასვლა მოუხდება, ჩვენს უფროსთან, - მიუგო გრეგსონმა, - თუ მისი ნაამბობი დადასტურდება, არა მგონია მასა და მის ქმარს რაიმე ემუქრებოდეს, მაგრამ ერთი რამ კი ჩემი ჭკუისათვის მიუწვდომელია: რანაირად აღმოჩნდით ამ საქმეში ჩახედული თქვენ, მისტერ ჰოლმს?

- სწავლა სიკვდიმდე, გრეგსონ, სწავლა და სწავლა, ჯერ კიდევ ცხოვრების ძველ უნივერსიტეტში დავიარები. სხვათა შორის, ახლა ჯერ რვა საათიც არაა, კოვენტ-გარდენში კი ვაგნერის ოპერა გადის. თუ ვიჩქარებთ, მეორე მოქმედებას მივუსწრებთ.

ბრიუს-პარტინგტონის ნახაზები

1895 წლის ნოემბრის მესამე კვირაში ლონდონს ისეთი ხშირი ყვითელი ნისლი ჩამოაწვა, რომ ორშაბათიდან ხუთშაბათამდე ბეიკერ-სტრიტზე, ჩვენი ბინის ფანჯრებიდან მოპირდაპირე მხარეს, შენობების სილუეტების გარჩევა შეუძლებელი იყო. პირველ დღეს ჰოლმსი თავის სქელ ცნობარს უჯდა, აწესრიგებდა, შესატყვისი ცნობებითა და საძიებლებით ავსებდა. მეორე და მესამე დღეს მთელი დრო მიუძღვნა შუა საუკუნეების მუსიკას - საგანს, რომელიც ბოლო დროს ამოიჩემა და ჩემი ჰობი ახლა ეს არისო გაიძახოდა. მაგრამ მეოთხე დღეს, როცა ნასაუზმევს წამოვდექით, სკამები მივდგი-მოვდგით და ვნახეთ, რომ ფანჯრის მიღმა ისევ ისე მიცურავს თვალშეუდგამი რუხი ბურუსი, ზეთოვანი წვეთების სახით რომ ჯდებოდა მინებზე, ჩემი მეგობრის მოუთმენელი და მოქმედი შინაგანი სამყარო გადაჭრით აღუდგა წინ დედაბუნების ჭირვეულობას. უმოქმედობის გამო განაწყენებული წინ და უკან მიმოდიოდა ოთახში, ძლივს იოკებდა ენერგიას, ფრჩხილებს იკვნეტდა და გვერდზე ჩავლისას თითებს უკაკუნებდა ავეჯს.

- არის გაზეთებში რაიმე საინტერესო? - მკითხა.

ვიცოდი, «საინტერესოდ» ჰოლმსს მიაჩნდა დანაშაულობათა სამყაროში მომხდარი ამბები. გაზეთებში იყო ცნობები რევოლუციაზე, ომის შესაძლებლობაზე; მთავრობის მოსალოდნელ შეცვლაზე, მაგრამ ყველაფერი ეს ჩემი მეგობრის გონების არეს გარეთ რჩებოდა. ისეთი ვერაფერი აღმოვაჩინე, რაც სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა და ჩემი მეგობრის დაინტერესება შეეძლო. გაზეთებში, გარდა ჩვეულებრივი პატარ-პატარა სამართალდარღვევებისა, არაფერი ეწერა. ჰოლმსმა ღრმად ამოიოხრა და ნერვიული ბოლთის ცემა განაგრძო.

- ლონდონელი დამნაშავე ზარმაცი და ჩლუნგია, - თქვა ბუზღუნით, როგორც მონადირემ, რომელსაც მსხვერპლი ხელიდან დაუსხლტა. - გაიხედეთ ფანჯარაში, უოტსონ. ხედავთ, როგორ წამოიმართებიან და ისევ ქრებიან ნისლებში ბუნდოვანი ფიგურები? ასეთ დღეს ქურდსა და მკვლელს შეუძლია თავისუფლად, შეუმჩნევლად იწანწალოს ქუჩებში, როგორც ვეფხვმა ჯუნგლებში, ნახტომისათვის რომ ემზადება. და მხოლოდ მაშინ... მხოლოდ მაშინ დაინახავს ხოლმე მისი მსხვერპლი.

- ბევრი წვრილმანი ქურდობა მომხდარა, - შევნიშნე მე.

ჰოლმსმა ზიზღით ამოიხვნეშა.

- ამ დიდებულსა და სიბნელით მოცულ სცენაზე უფრო ღირსეული ამბები უნდა თამაშდებოდეს, - თქვა მან. - ბედი ჰქონიათ ლონდონელებს, რომ ბოროტმოქმედი არა ვარ.

- ოღონდაც! - ვთქვი გულწრფელად.

- წარმოვიდგინოთ, რომ მე ვარ ერთი-ერთი იმ ორმოცდაათთაგანი, რომელთაც აქვთ საფუძველი, რომ სიკვდილით დამემუქრონ. როგორ ფიქრობთ, დიდხანს დავრჩებოდი ცოცხალი, საკუთარი თავის დევნას დავაღწევდი თავს? მოულოდნელი ზარი, მიწვევა, შეხვედრის თხოვნა და მორჩა. კარგია, რომ ნისლიანი დღეები არაა სამხრეთის ქვეყნებში, სადაც დაუფიქრებლად კლავენ ხოლმე ადამიანს... ოჰ, ღმერთო! როგორც იქნა, გამოჩნდა რაღაც ისეთი, რაც ჩვენი ცხოვრების აუტანელ ერთფეროვნებას დაარღვევს.

მოახლე გოგო შემოვიდა დეპეშით ხელში. ჰოლმსმა გახსნა ტელეგრაფის ბლანკი და გადაიხარხარა.

- არა, ერთი მოისმინეთ. ჩემთან ჩამოსვლა უნებებია მაიკროფტს, ჩემს ძმას!

- მერე, რა არის ამაში განსაკუთრებული?

- რა არისო განსაკუთრებული? ეს ხომ იგივეა, რომ ტრამვაიმ ლიანდაგიდან გადაუხვიოს და თემშარაზე გასრიალდეს. მაიკროფტი წრეში მოძრაობს: ბინა პელ-მელზე, კლუბი «დიოგენი», უაიტჰოლი - აი, მისი უცვლელი გზა-კვალი. აქ მხოლოდ ერთხელ იყო. რა სასწაულმა გადაახვევინა გზიდან?

- არაფერს არ განმარტავს?

ჰოლმსმა დეპეშა გამომიწოდა. მე წავიკითხე:

«აუცილებლად უნდა გნახო კადოგენ უეისტის საქმეზე. ჩამოვდივარ დაუყოვნებლივ. მაიკროფტი».

- კადოგენ უეისტი? ეს სახელი სადღაც გამიგონია.

მართალი გითხრათ, მე არ ვიცნობ და არც მის შესახებ გამიგონია რამე, მაგრამ მაიკროფტმა რომ უეცრად ასეთი ახირებული ნაბიჯი გადადგას ...წარმოუდგენელია! უფრო იოლია პლანეტა ორბიტიდან გამოვარდეს. სხვათა შორის, თქვენ იცით, ვინაა მაიკროფტი?

ბუნდოვნად მომაგონდა, რომ ჰოლმსმა თავის ძმაზე რაღაც მიამბო, როცა «თარჯიმანის შემთხვევას» ვარკვევდით.

- მგონი, ამბობდით, რომ ბრიტანეთის მთავრობაში რაღაც პატარა სახელმწიფოებრივი პოსტი უჭირავსო.

ჰოლმსმა გაიცინა.

- იმ დროს ჯერ ისე ახლოს არ გიცნობდით. საჭიროა კაცმა ენას კბილი დააჭიროს, როცა ლაპარაკია სახელმწიფოებრივ მასშტაბებზე. მართალია, ჩემი ძმა ბრიტანეთის სახელმწიფოს სამსახურშია. ასევე სწორია ისიც, რომ ზოგჯერ ის თვითონ წარმოადგენს ბრიტანეთის მთავრობას.

- მაგრამ, ჰოლმს, მაპატიეთ...

- ასეც ვიცოდი, რომ გაგიკვირდებოდათ. მაიკროფტი ღებულობს წელიწადში ოთხასორმოცდაათ გირვანქას. უჭირავს ხელქვეითის ადგილი, პატივმოყვარე არ არის, უარს ამბობს ტიტულებსა და წოდებებზე, ყველაზე უფრო შეუმჩნეველი კაცია ინგლისში.

- მაგრამ რანაირად?

- იცით, ნამდვილად უნიკუმია და ასეთი გამორჩეული მდგომარეობა მთავრობაში თავის თავს თვითონ შეუქმნა. არასოდეს ყოფილა და არც იქნება ის თანამდებობა, რასაც მაიკროფტი დაიჭერდა. უმაგალითოდ ზუსტად აზროვნებს და ფაქტების დამახსოვრების უჩვეულო უნარი გააჩნია; ის კოლოსალური ენერგია, რასაც მე დანაშაულობათა მხილებას ვახმარ, მან სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენა. მას ანდობენ მოხსენებაზე დასკვნების დაწერას. იგი გახლავთ ცენტრი, საანგარიშო პალატა, სადაც ჯამდება ყველა საერთო ბალანსი. დანარჩენები ამა თუ იმ სფეროში კარგად გათვითცნობიერებული სპეციალისტები გახლავან. მისი სპეციალობა კი ყველაფრის ცოდნაა. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ ყოველდღიურად სამინისტროებსა და მის თავკაცებს სჭირდებათ გარკვეული ცნობები, ვთქვათ, სამხედრო ფლოტსა და მის საქმიანობაზე, ინდოეთზე, კანადაზე, ბიმეტალიზმის პრობლემებზე და ათასი, ვინ იცის რა. ჩემი ძმა თანმიმდევრობით დაჰკითხავს ხოლმე შესაბამის დეპარტამენტებს და იღებს ყველა საჭირო ცნობას, მაგრამ მხოლოდ მაიკროფტს შეუძლია იმ ცნობების მოპოვება, მათი ანალიზი და ურთიერთკავშირის დადგენა. პირველად მის უნარსა და შესაძლებლობებს აფასებდნენ, როგორც გარკვეული სახის მოხერხებულ სამსახურს, მიზნის მისაღწევად უმოკლეს გზას. თანდათანობით მაიკროფტმა თავი დაიფასა და ცენტრალურ ფიგურად იქცა. მის ძლიერ გონებაში ყველაფერი თავის ადგილზეა დალაგებული და ნებისმიერ დროს შეიძლება გამოვლინდეს. არაერთხელ გადაუწყვეტია მის ერთ სიტყვას სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ესა თუ ის საკითხი - ეს კაცი მთლიანად ამ საქმით ცოცხლობს, მისი ყოველი აზრი იმითაა შთანთქმული. როცა ხანდახან რაიმე რჩევას ვეკითხები, თავს არ იშურებს ხოლმე, რომ ჩემს რომელიმე პრობლემას შუქი მოჰფინოს. ამას იგი თავისი გონების ვარჯიშად რაცხს. მაგრამ რამ აიძულა დღეს იუპიტერი, ოლიმპოდან რომ დაშვებულიყო? ვინაა კადოგენ უიესტი და რა საერთო აქვს მას მაიკროფტთან?

- მომაგონდა! - შევძახე მე და დივანზე დაყრილ გაზეთებში ქექვა დავიწყე. - ჰო, რა თქმა უნდა, აგერ ისიც! კადოგენ უიესტი ის ახალგაზრდა კაცია, რომელიც ორ რიცხვში დილით მეტროპოლიტენის ხაზზე მკვდარი იპოვეს.

ჰოლმსი სავარძელში გასწორდა და მთლიანად სმენად იქცა. ხელი, რომლითაც ჩიბუხი ეჭირა, პირამდე არ მიუტანია.

- მაშ, რაღაც სერიოზული ამბავი მომხდარა, უოტსონ. სიკვდილი კაცისა, რამაც ჩემი ძმა აიძულა თავისი ჩვეულებებისათვის ეღალატა, უბრალო რამ არ იქნება. მაგრამ რა საერთო უნდა ჰქონდეს მასთან მაიკროფტს, დალახვროს ღმერთმა? შემთხვევა, რამდენადაც მახსოვს, სრულიად ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული არ იყო. ახალგაზრდა კაცი, ეტყობა, ვაგონიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. არც ძარცვის ნიშნები, არც რაიმე ძალადობის კვალი - მგონი, ასე იყო, არა?

- მოკვლევამ ბევრი ახალი ფაქტი გამოავლინა, - მივუგე მე, - შემთხვევა, თუ მას უფრო დაკვირვებულად შევხედავთ, უაღრესად უცნაურია.

- იმ ზემოქმედების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მას ჩემს ძმაზე მოუხდენია, ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს. - ჰოლმსი გასწორდა

და სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა. - აბა, უოტსონ, გადმოალაგეთ ფაქტები რაც ხელთ გვაქვს!

- ახალგაზრდა კაცის სრული სახელია ართურ კადოგენ უიესტი. ოცდაშვიდი წლისაა, უცოლშვილო, უილვიჯის არსენალში უმცროს კლერკად ყოფილა.

- სახელმწიფო სამსახურში იყო? ახლა გასაგებია, რატომაა ჩემი ძმა დაინტერესებული.

- ორშაბათ საღამოს ის მოულოდნელად წასულა სამსახურიდან. უკანასკნელად საკუთარ დანიშნულს, მის ვაიოლეტ უესტბარის უნახავს; ისინი იმ საღამოს ერთად ყოფილან. რვის ნახევარზე ართურ კადოგენ უიესტს ქალიშვილი უეცრად მიუტოვებია ქუჩაში. ხშირი ნისლი მდგარა. დავა ან წალაპარაკება არ ჰქონიათ და ქალიშვილს ვერაფრით აუხსნია მისი მოქმედება. შემდეგი ცნობა ართურზე მოუტანია გზის მუშას მეისონს, რომელსაც მისი გვამი მეტროპოლიტენ ოლდგეიტის სადგურის მახლობლად უპოვნია.

- როდის?

- სამშაბათს, დილის ექვს საათზე. სხეული თითქმის ზედ გაჩერებასთან გდებულა, სწორედ იქ, სადაც ლიანდაგი გვირაბიდან გამოდის, მარცხენა მხარეს, თუ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გავიხედავთ, და ოდნავ განზე. თავის ქალა გახეთქილი აღმოაჩნდა, ალბათ ვაგონიდან გადავარდნის დროს გაუსკდა. კაცმა რომ თქვას, სხვას ვერაფერს ვივარაუდებთ, გვამი ხომ გვირაბში მხოლოდ ამნაირად შეიძლებოდა მოხვედრილიყო. რომელიმე მეზობელი ქუჩიდან იქ ვერ წაათრევდნენ: ვერანაირად ვერ მიიტანდნენ იქ ისე, რომ კონტროლიორებს არ შეენიშნათ. მაშასადამე, საქმის ეს მხარე ეჭვს არ იწვევს.

- ძალიან კარგი. დიახაც, შემთხვევა ერთობ უბრალოა. კაცი, მკვდარი ან ცოცხალი, გადავარდა ან გადააგდეს ვაგონიდან. ჯერ ყველაფერი ნათელია. განაგრძეთ.

- რკინიგზის იმ ხაზზე, რომელზედაც კადოგენ უიესტი იპოვნეს, ის მატარებლები მიმოდიან, რომელნიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართებიან. ამ ხაზზე მოძრაობენ მეტროს მატარებლებიც და ქალაქგარეთ მიმავალი მატარებლებიც, რომელნიც უილსდენიდან და სხვა პუნქტებიდან მოდიან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა კაცი ღამის მატარებლით მგზავრობდა, მაგრამ სახელდობრ რომელ სადგურში ჩაჯდა ვაგონში, ვერ გაარკვიეს.

- ბილეთის მიხედვით ვერ გაიგებდნენ?

- ბილეთი ვერ უნახეს.

- დახეთ, როგორ ყოფილა საქმე! უცნაურია! საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, მეტროს ბაქანზე უბილეთოდ გასვლა შეუძლებელია, ბილეთი ხომ უნდა ეჩვენებინა. უნდა ჩავთვალოთ, რომ ახალგაზრდა კაცს ბილეთი ჰქონდა, მაგრამ ვიღაცამ აიცალა, რათა მისი მეტროში ჩაჯდომის ადგილი არ გამჟღავნებულიყო. იქნებ ვაგონში დაუვარდა? ესეც ადვილი შესაძლებელია. მაგრამ თვითონ ფაქტი, ბილეთი რომ არ ამოაჩნდა, უაღრესად საგულისხმოა. ამ შემთხვევაში გაძარცვის მიზნით მკვლელობაც გამორიცხულია?

- მეც ასე მგონია. გაზეთებში აღწერილია ყველაფერი, რაც კადოგენ უიესტს ჯიბეში უპოვეს. საფულეში ორი გირვანქა და თხუთმეტი შილინგი აღმოაჩნდა. ჯიბეშივე უპოვნეს ერთ-ერთი დიდი ბანკის უილვიშის განყოფილების საჩეკო წიგნაკი. ალბათ სწორედ ამის მიხედვით დაადგინეს დაღუპულის ვინაობა. იპოვეს, აგრეთვე, უილვიჯის თეატრის ბენუარის ორი ბილეთი იმავე ორშაბათისათვის. ნაპოვნი ნივთების ჩამოთვლაში, რაღაც ტექნიკური ხასიათის საბუთების შეკვრაცაა

აღწერილი. ამის გაგონებაზე ჰოლმსმა კმაყოფილებით შესძახა: როგორც იქნა! ახლა ყოველივე გასაგებია. ბრიტანეთის მთავრობა - უილვიჯის არსენალი. ტექნიკური დოკუმენტები - ძმა მაიკროფტი. ახლა ყველაფერი ხელთა მაქვს. დანარჩენს კი, თუ არ ვცდები, აგერ, მაიკროფტი მოდის და ის აგვიხსნის. წუთიც და ჩვენს წინაშე იდგა ზორზოხი მაიკროფტ ჰოლმსი. იგი ტანმაღალი იყო, ზორბა, მკვრივი აგებულებისა, მეტად მძიმეც კი და, ერთი სიტყვით, უზარმაზარი პოტენციური ფიზიკური ძალის განსახიერება გახლდათ. ასეთი ტანადობის კაცს მოაზროვნის გადაშლილი შუბლი, ფოლადისფერი, გამჭრიახი, ღრმად ჩამჯდარი თვალები და მტკიცედ გამოკვეთილი პირი ამშვენებდა. მაიკროფტის მნახველს, ალბათ, მაშინვე დაავიწყდებოდა მისი გარეგნული მოუხეშაობა და მხოლოდ ყოველივეს დამჩრდილავ ძალუმ ინტელექტს იგრძნობდა, რაც ამ პიროვნებაში ასე თვალშისაცემად მჟღავნდებოდა; მას თან ახლდა სკოტლენდ-იარდელი ჩვენი ძველი ნაცნობი, გამხდარი, ასკეტური ფიგურის პატრონი ლესტრეიდი. მათი დაფიქრებული გამომეტყველება აშკარად ლაპარაკობდა, რომ მოსალოდნელი იყო ძალზე სერიოზული საუბარი. მაიკროფტ ჰოლმსმა პალტო გაიხადა და სავარძელში ჩაჯდა. მაძებარმა ხელი ჩამოგვართვა და სიტყვა კი არ დაუძრავს.

- ძალიან არასასიამოვნო ამბავია, შერლოკ, - თქვა მაიკროფტმა. - ჭირივით მძულს ჩვეულების ღალატი, მაგრამ ხელისუფალნი ხომ იცი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ასე რომ უარი არ გამივიდა. იმ კონფლიქტის დროს, რაც ახლა სიამში წამოიჭრა, სამინისტროში ჩემი ყოფნა თითქმის აუცილებელია. მაგრამ ვითარება დაძაბულია, პირდაპირ კრიტიკული. არასოდეს არ მინახავს პრემიერ-მინისტრი ასე აღელვებული. საადმირალოში ხომ ყველაფერი ისე გუგუნებს, როგორც გადაბრუნებულ სკაში. საქმეს გაეცანი?

- სწორედ ამ საქმით ვიყავით ახლა გართული. რა დოკუმენტები უპოვეს კადოგენ უიესტს?

- ო, სწორედ ეს არის ახლა მთავარი. საბედნიეროდ, არ გამომჟღავნებულა, თორემ პრესა ერთ ამბავს ასტეხდა. ქაღალდები, რომლებიც იმ უბედურ ახალგაზრდა კაცს ჯიბეში ედო, ბრიუს-პარტინგტონის წყალქვეშა ნავის ნახაზებია.

ეს ის საზეიმო იერით თქვა, რომ ჩვენ მაშინვე მივხვდით, რა დიდ მნიშვნელობასაც აძლევდა მაიკროფტი იმას, რაც მოხდა. მე და ჩემი მეგობარი სმენად ვიყავით ქცეულნი, რას იტყოდა კიდევ ეს კაცი.

- თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, ვინაა ლორდი ბრიუს-პარტინგტონი? მე მეგონა, ყველამ იცის-მეთქი მისი ამბავი.

- მხოლოდ სახელი გაგვიგონია.

- თქმაც კი ძნელია იმისა, თუ რა მნიშვნელობისაა სამხედრო საიდუმლოება, რომელიც გასცეს. ყველა სახელმწიფო საიდუმლოს შორის ეს ერთი განსაკუთრებით გულმოდგინედ იყო ცხრაკლიტულში ჩაკეტილი. შეგიძლიათ ჩემს სიტყვას ენდოთ: ბრიუს-პარტინგტონის ნავის მოქმედების არენაზე ზღვიდან თავდასხმა შეუძლებელია. ამ გამოგონების უფლებაზე გასულ წელს უზარმაზარი თანხაა გადახდილი. ყველაფერი კეთდებოდა, რომ ეს მონოპოლია ხელშეუხებელი დარჩენილიყო. ნახაზები უაღრესად რთულია, ოცდაათამდე ცალკეულ პატენტს შეიცავს და ყოველი მათგანი აუცილებელია მთლიანი კონსტრუქციისათვის. ისინი საიდუმლო განყოფილების საიმედო სეიფში - არსენალის მახლობლად ინახებოდა. კარებსა და ფანჯრებზე ისეთი საკეტები იყო, რომ მძარცველი ვერას გახდებოდა. დოკუმენტების გამოტანა ყოველგვარი საბაბით იკრძალებოდა. თვითონ ფლოტის მთავარ კონსტრუქტორს რომ მოესურვებინა დოკუმენტების შემოწმება, პირადად

უილვიჯში მოუხდებოდა ჩასვლა. და უეცრად ნახაზები ერთი წვრილი მოხელის გვამის ჯიბეში და ისიც შუა ქალაქში აღმოჩნდა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს თუ მეტი არა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საშინელია!

- მაგრამ ნახაზები ხომ იპოვეთ?

- არა, ძმაო, არა! გაჭირვება სწორედ ეგაა, რომ არა. სეიფიდან გატაცებულია ათივე ნახაზი, კადოგენ უიესტის ჯიბეში კი მხოლოდ შვიდი აღმოჩნდა. უმთავრესი სამი ნახაზი კი მოპარულია, გაქრა, დაიკარგა. შერლოკ, შენ ყველაფერს თავი უნდა მიანებო, დროებით მთელი შენი წვრილმანი პოლიციური თავსატეხი ამბები გადადო და გადაწყვიტო პრობლემა, რასაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. რა მიზნით წაიღო უიესტმა დოკუმენტები სეიფიდან? რა გარემოებაში მოკვდა? როგორ მოხვდა გვამი იქ, სადაც ნახეს? სადაა სამი ნახაზი, რომლებიც გვაკლია? როგორ გამოვასწოროთ ჩადენილი ბოროტება? აი, რა კითხვებს უნდა მოუძებნო პასუხები, თუ გინდა, რომ სამშობლოს თვალსაჩინო სამსახური გაუწიო.

- შენ თვითონ რატომ არ უნდა მოჰკიდო ხელი ძიებას, ანალიზის უნარი ჩემზე ნაკლები გაქვს თუ რა?

- შეიძლება, შერლოკ, მაგრამ ძიებისას მრავალი წვრილმანის გარკვევა იქნება საჭირო. მოუყარე თავი იმ წვრილმანებს ჩემს ხელში და მე სავარძლიდან არც კი წამოვიწევ ისე გამოგიცხობ ექსპერტის ზუსტ დასკვნას. მაგრამ აქეთ-იქით სირბილი, რკინიგზის მოსამსახურეების ჯვარედინი დაკითხვა, პირქვე წოლა და გამადიდებელი შუშით ნივთებისა და საგნების ჭვრეტა და შესწავლა ნამდვილად არაა ჩემი საქმე. შენ და მხოლოდ შენს ერთს შეგიძლია ამ დანაშაულის ასავალ-დასავალს ნათელი მოჰფინო. და თუ გინდა შენი საკუთარი სახელი იხილო დაჯილდოებულთა მომდევნო სიაში...

ჩემმა მეგობარმა გაიღიმა და თავი გადააქნია.

- მე ყოველთვის სიამოვნებისათვის ვერევი ასეთ საქმეებში, - თქვა მან. მაგრამ ეგ საქმე ნამდვილად საინტერესო ჩანს და მე მზადა ვარ ძიება დავიწყო. შენ კი, ჩემო ძმაო, ფაქტები უფრო დაწვრილებით უნდა ჩამომიყაჭო.

- მე მოკლედ ჩამოვწერე, ქაღალდის ნაგლეჯზე, ყველაფერი მთავარი. რამდენიმე მისამართიც დავუმატე - შეიძლება გამოგადგეს. დოკუმენტების მოვლა-შენახვაზე ოფიციალური პასუხისმგებელი ცნობილი სახელმწიფო ექსპერტი სერ ჯეიმს უოლტერია. საცნობარო ლექსიკონში მისი საჩუქრების, ტიტულებისა და წოდებების ჩამოთვლას ორი სტრიქონი უჭირავს. იგი სახელმწიფო სამსახურში გაჭაღარავდა, ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენია, ყველაზე უფრო წარჩინებულთა სახლებში მიღებული საპატიო სტუმარი, და, რაც მთავარია, მისი პატრიოტიზმი ეჭვს არ იწვევს. ის ერთ-ერთია იმ ორთაგან, ვისაც სეიფის გასაღები ჰქონდათ მინდობილი. შემიძლია კიდევ მოგაწოდო ერთი ცნობა, ორშაბათს, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში დოკუმენტები თავის ადგილზე იყო, სერ ჯეიმსმა გასაღები ჯიბეში ჩაიდო და დღის სამ საათზე ლონდონში წავიდა. მთელი საღამო ადმირალ სინკლერის სახლში ბარკლი-სკვერზე იმყოფებოდა.

- ეს შემოწმებულია?

- დიახ. მისმა ძმამ, პოლკოვნიკმა ვალენტაინ უოლტერმა აჩვენა, რომ სერ ჯეიმსი მართლა გაემგზავრა უილვიჯიდან, და ადმირალმა სინკლერმა დაადასტურა, რომ ორშაბათი საღამო მასთან გაატარა. ამრიგად, სერ ჯეიმს უოლტერს მომხდარ ამბავში უშუალო როლი არ უთამაშია.

- ვისთან ინახება მეორე გასაღები?

- სიდნეი ჯონსონის კონტორის უფროს კლერკთან. იგი ორმოცი წლისაა, ცოლიანი, ხუთი შვილი ჰყავს. ჩუმი, მკაცრი კაცია. სამსახურში მასზე ჩინებული აზრისანი არიან. კოლეგებს დიდად არაფრად ეპიტნავებათ, მაგრამ ბრწყინვალე თანამშრომელია. ჯონსონის პირად ჩვენებას მხოლოდ მისი ცოლი ადასტურებს, «ორშაბათს სამსახურს შემდეგ მთელი საღამო შინ ვიყავი, გასაღებიც თავის ადგილზე იყო და საათის ძეწკვზე მეკიდაო».

- გვითხარი კადოგენ უიესტის ამბავი.

- ჩვენთან ათი წელი იმუშავა, იმსახურა უმწიკვლოდ. ფიცხი, თავშეუკავებელი, მაგრამ პირდაპირი და პატიოსანი კაცის რეპუტაცია ჰქონდა. მის შესახებ ურიგოს ვერაფერს ვიტყვით. უმცროს კლერკად ითვლებოდა, სიდნეი ჯონსონის ხელქვეითად და მის მერე მეორე კაცად. სამსახურებრივი მოვალეობის გამო ყოველდღე ჰქონდა საქმე ამ დოკუმენტებთან, ნახაზებთან. მის გარდა არავის ჰქონდა უფლება ეს ნახაზები ხელში აეღო.

- ვინ დაკეტა უკანასკნელად სეიფი?

- უფროსმა კლერკმა სიდნეი ჯონსონმა.

- ჰო, ვინც აიღო დოკუმენტები, ცნობილია. ისინი იპოვეს უმცროსი კლერკის კადოგენ უიესტის ჯიბეში. ამის თაობაზე საფიქრალიც აღარაფერია, ყოველივე ნათელია.

- მხოლოდ ერთი შეხედვით, შერლოკ. სინამდვილეში ბევრი რამ რჩება გაურკვეველი. უწინარეს ყოვლისა, რისთვის გაიტაცა უიესტმა ნახაზები?

- ვფიქრობ, მათი ღირებულება დიდი უნდა იყოს?

- იმ ნახაზებით რამდენიმე ათასის «გაიმასქნება» შეეძლო.

- ნახაზების გაყიდვის გარდა კიდევ თუა რაიმე მოტივი?

- არა.

- ამ შემთხვევაში მივიღოთ ეს, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა. ამრიგად, ნახაზები გაიტაცა ახალგაზრდა კადოგენ უიესტმა. ამისი ჩადენა მას მხოლოდ ყალბი, მორგებული გასაღებით შეეძლო.

- ამ შემთხვევაში მას რამდენიმე ყალბი გასაღები უნდა ჰქონოდა. ჯერ შენობაში უნდა შესულიყო, მერე ოთახში და შემდეგ სეიფი გაეღო.

- მაშასადამე, მას ჰქონდა რამდენიმე ყალბი გასაღები. გატაცებული ნახაზები მან ლონდონში წაიღო, რათა სამხედრო საიდუმლო გაეყიდა და უთუოდ ვარაუდობდა დედნების დაბრუნებას უმალ, ვიდრე ქურდობას მიუხვდებოდნენ. ამ მიზნით, ლონდონს ჩასულმა მოღალატემ, იქ თავისი აღსასრული ნახა.

- მაგრამ როგორ და რანაირად მოხდა ეს ამბავი, აი, ესაა საკითხავი?

- ჩემი ვარაუდით უკან, უილვიჯში რომ ბრუნდებოდა, მოკლეს და ვაგონიდან გადააგდეს.

- მაშინ როგორ მოხდა, რომ მისი გვამი ოლდგეიტში აღმოჩნდა? ოლდგეიტი ხომ «ლონდონის ხიდის» იქითაა და თუ უიესტი უილვიჯში მიდიოდა, მაშინ იგი «ლონდონის ხიდის» გაჩერებაზე უნდა ჩამოსულიყო.

- შეიძლება ვივარაუდოთ რამდენიც გნებავთ იმდენი გარემოება, რომელთაც ის აიძულეს თავისი სადგურის «ლონდონის ხიდის» გაჩერებაზე არ ან ვერ ჩამოსულიყო. აი, მაგალითად, წაელაპარაკა ვიღაცას, რაც ცხარე შეტაკებითა და მოღალატის სიკვდილით დასრულდა. მეორე, კადოგენ უიესტს ვაგონიდან გასვლა ეწადა, ლიანდაგებზე დავარდა და დაიმტვრა, იმ მეორემ კი კარი მიუხურა. ისეთ ხშირ ნისლში ვერავინ ვერაფერს დაინახავდა.

- რაკი ჯერჯერობით უკეთესი ვერაფერი მოგვიფიქრებია, ასეთი ვარაუდებით დავკმაყოფილდეთ, მაგრამ მიაქციე ყურადღება, შერლოკ, რამდენი რამ რჩება გაურკვეველი. დავუშვათ, კადოგენმა განიზრახა გატაცებული, დოკუმენტების ლონდონში წაღება. მაშინ, ბუნებრივია ისიც, რომ იქ უცხოელ აგენტთან შეხვედრა ექნებოდა დანიშნული. საამისოდ კი აუცილებლად დასჭირდებოდა იმ საღამოსთვის სამსახურიდან გათავისუფლება. ამის ნაცვლად მან ორი ბილეთი აიღო თეატრში წასასვლელად და დანიშნულთან ერთად იქით გაეშურა. უეცრად ქალი ქუჩაში მიატოვა და თვითონ უგზოუკვლოდ გაქრა.

- თვალის ასახვევად, - ჩაურთო ლესტრეიდმა, რომელიც უკვე დიდი ხანია ადგილზე ცქმუტავდა და მოუსვენრობდა.

- რაღაც უცნაური, განსაკუთრებული ხერხია, მეტი რომ არაფერი ვთქვა. და ეს პირველი შესიტყვებაა. ამ ვარაუდს ნამდვილად აკლია დამაჯერებლობა. მეორე: დავუშვათ უიესტი ჩავიდა ლონდონში და აგენტს შეხვდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, საჭირო იყო დოკუმენტების თავის ადგილზე დაბრუნება. სეიფიდან მან ათი ნახაზი წაიღო, უნახეს მხოლოდ შვიდი. დანარჩენ სამს რა მოუვიდა? საეჭვოა უიესტს ნახაზები თავისი ნებით დაეთმო. ბოლოს, სადაა ფული, რაც სამხედრო საიდუმლოს გაცემისათვის მიიღო? ლოგიკური იქნებოდა იმისი მოლოდინი, რომ ჯიბეში ძალიან დიდი თანხა აღმოჩენოდა.

- ჩემი აზრით, აქ ყველაფერი ძალზე ნათელია, - თქვა ლესტრეიდმა. - ეჭვიც არ მეპარება, რომ ყოველივე ისე მოხდა, როგორც ახლა მე გეტყვით. უიესტმა ნახაზები მოიპარა, რომ გაეყიდა. შეხვდა კიდეც აგენტს ლონდონში. ფასში ვერ მორიგდნენ. უიესტი შინისაკენ მოეშურება, აგენტი უკან აედევნება. ვაგონში აგენტი მას სიცოცხლეს გამოასალმებს, ყველაზე უფრო საჭირო, ძვირფას ნახაზებს წაიღებს, გვამს კი ვაგონიდან გადმოაგდებს. თქვენი აზრით, ყოველივე, რაც მოგახსენეთ, ხომ ყველაფერ გაუგებრობას და კითხვას გვაცილებს თავიდან.

- კადოგენ უიესტს რატომ არ აღმოაჩნდა ბილეთი?

მაგაზეც მოგახსენებთ ჩემს საკუთარ აზრს: ბილეთით შეიძლებოდა იმის გამოცნობა, თუ რომელ სადგურთან იქნებოდა უფრო ახლოს აგენტის სამყოფელი. ამიტომ აგენტმა მოკლულს ჯიბიდან ბილეთი ამოაცალა.

- ყოჩაღ ლესტრეიდ, ძალიან კარგად ჩამოაყალიბეთ ყველაფერი, - თქვა ჰოლმსმა. - თქვენს თეორიასა და ვარაუდს თუ გავიზიარებთ, შეიძლება ძიება შევწყვიტოთ, რაკიღა ყველაფერი მომთავრებულია. გამცემი და მოღალატე უკვე მკვდარია. ბრიუს-პარტინგტონის წყალქვეშა ნავის ნახაზები ალბათ უკვე კონტინენტზეა. რაღა რჩება?

- მოქმედება, შერლოკ, მოქმედება! - შესძახა მაიკროფტმა და სავარძლიდან წამოვარდა. - ინსტინქტურად ვგრძნობ, რომ, რაც მოვისმინეთ, სწორი არაა და იქ რაღაც სხვა ამბავი იფარება. მოუხმე შენს გონიერებას. შერლოკ, ნახე და დაათვალიერე მომხდარი დანაშაულის ადგილი, ნახე საქმეში გარეული ადამიანები, ქვა-ქვაზე არ დატოვო და ყველაფერი თავდაყირა გადააბრუნე! არასოდეს არა გქონია ამდაგვარი შემთხვევა, რომ სამშობლოს ეგზომ დიდი სამსახური გაუწიო და გამოადგე.

- ეჰ, რა გაეწყობა, - თქვა ჰოლმსმა და მხრები აიჩეჩა. - წავიდეთ, უოტსონ. ნურც თქვენ დაიზარებთ, ლესტრეიდ, რომ ორიოდე საათი ჩვენთან ერთად იყოთ. ჩვენ სადგურ ოლდგეტიდან დავიწყებთ. ნახვამდის, მაიკროფტ. ვფიქრობ, საღამოსთვის ჩვენგან უკვე ახალ ცნობებს მიიღებ, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებ, ბევრს ნურაფერს ელი.

აღწერილი ამბიდან ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ჩვენ სამნი - ჰოლმსი, ლესტრეიდი და მე, - ვიდექით მეტროში სწორედ იმ ალაგას, სადაც გაჩერებასთან მიახლოებული მატარებელი გვირაბიდან გამოდის. ჩვენი მხლებელი, წითური და ძალზე დაუზარელი მოხუცი ჯენტლმენი რკინიგზის კომპანიის წარმომადგენელი იყო.

- ახალგაზრდა კაცის სხეული ეგერ აქ ეგდო, - გვიჩვენა ადგილი, რაც ლიანდაგიდან სამიოდე ფუტის მანძილზე იყო. - სხვა სიმაღლიდან გადმოვარდნა არც ცოცხალსა და არც მკვდარს არანაირად არ შეეძლო: ხომ ხედავთ, ყველგან ყრუ კედლებია აღმართული. მაშასადამე, იგი მხოლოდ მატარებლიდან უნდა იყოს გადმოვარდნილი და სწორედ იმ მატარებლიდან, რომელმაც აქ ორშაბათს შუაღამისას ჩაიარა.

- ვაგონში ბრძოლისა და ძალადობის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა?

- არავითარი. არც ბილეთი.

- არც ერთი ვაგონიდან არ შეუმჩნევიათ ღია კარი?

- არა.

- დღეს დილით რაღაც ახალი ცნობები მივიღეთ, - თქვა ლესტრეიდმა. - მეტროს მატარებლის მგზავრმა, რომელსაც ორშაბათს ღამით ოლდგეტის სადგურის მახლობლად ჩაუვლია დაახლოებით 11.40-ზე, განაცხადა: მომეჩვენა, რომ გზაში, ზედ გაჩერებასთან თითქოს რაღაც მძიმე საგანი გადმოვარდა, მაგრამ სქელ ნისლში ვერაფერი გავარჩიეო. მაშინ ეს არ განუცხადებია. მაგრამ რა ემართება მისტერ ჰოლმსს?

ჩემს მეგობარს თვალები მიეშტერებინა იმ ადგილისათვის, სადაც ლიანდაგები მრუდე ხაზით გამოდიან გვირაბიდან. ოლდგეტი - საკვანძო სადგურია და ამიტომ აქ მრავალი ისარია. სწორედ მათკენ მიემართა ჰოლმსს ფხიზელი, მაძიებელი მზერა და მის ჩაფიქრებულ, მოძრავ სახეზე შევამჩნიე ჩემთვის კარგად ცნობილი გამომეტყველება: მჭიდროდ მოკუმული ბაგეები, მოცახცახე ნესტოები და მაღლა აზიდული მძიმე, ხშირი წარბები.

- ისრები, - დუდუნებდა იგი, - ისრები...

- ისრები? რას გულისხმობთ?

- ამ გზაზე, მგონი, ბევრი ამდაგვარი ისარი არაა?

- სულ ცოტა.

- ისრები და მოსახვევი... არა, ვფიცავ... ეს რომ ნამდვილად ასე ყოფილიყო...

- რა მოხდა, მისტერ ჰოლმს? რაიმეს მიაგენით?

- ჯერ მხოლოდ ვარაუდები, მინიშნება, მეტი არაფერი. მაგრამ საქმე, უეჭველია, სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს. უნიკალური, ნამდვილად უნიკალური საქმეა... თუმცა, რატომაც არა? სისხლის კვალი არსად არ შემინიშნავს.

- თითქმის არც ყოფილა.

- მაგრამ თავში, მგონი, ძალიან დიდი ჭრილობა ჰქონდა?

- თავი გაპობილი ჰქონდა, მაგრამ გარეგნულად დაზიანება უმნიშვნელო იყო.

- მაინც უცნაურია - მთლად უსისხლოდ ხომ ვერ ჩაივლიდა! მითხარით, გეთაყვა, - მიმართა მან ლესტრეიდს, - ხომ არ შემიძლია დავათვალიერო მატარებელი, რომლითაც ის მგზავრი მიდიოდა, რაღაც მძიმე საგნის გადმოვარდნა რომ მოეჩვენა?

- მგონი ეს შეუძლებელი ამბავი უნდა იყოს, მისტერ ჰოლმს. იმ მატარებლის ვაგონები სხვა შემადგენლობაში მოხვდა.

- შემიძლია დაგარწმუნოთ, მისტერ ჰოლმს, რომ ყოველი ვაგონი დათვალიერებული და გამოკვლეული გახლავთ, - ჩაერია ლესტრეიდი. - პირადად მე ვხელმძღვანელობდი ამ საქმეს.

ჩემი მეგობრის ნაკლი გახლდათ აშკარა მოუთმენლობის გამოხატვა იმ ადამიანებთან, რომელთაც არ გააჩნდათ მისებრი ინტელექტი, მოქნილობა და გონების გამჭრიახობა.

- უნდა ვივარაუდოთ, - თქვა და მიბრუნდა, - მაგრამ მე, სხვათა შორის, ვაგონების დათვალიერებას არც ვაპირებდი. უოტსონ, ჩვენ აქ მეტი აღარაფერი გვესაქმება. რაც საჭირო იყო, ყველაფერი გაკეთდა. მეტად აღარ დაგაყოვნებთ, მისტერ ლესტრეიდ. ახლა ჩვენი გზა უილვიჯში მიდის.

სადგურ «ლონდონის ხიდზე» ჰოლმსმა დატოვა დეპეშა, რომელიც გაგზავნამდე წამაკითხა. ტექსტი ასეთი იყო:

«სიბნელეში შუქმა გაიკიაფა, მაგრამ შეიძლება ჩაქრეს. გთხოვთ ჩვენი დაბრუნების დროისათვის შიკრიკის ხელით გამოგვიგზავნოთ ბეიკერ-სტრიტზე სრული სია უცხოელი ჯაშუშებისა და აგენტებისა, რომელნიც ამჟამად ინგლისში იმყოფებიან, მათი სრული მისამართებით.

შერლოკი».

- ეს შეიძლება გამოგვადგეს, - მითხრა ჰოლმსმა, როცა მატარებელში ჩავჯექით და უილვიჯის გზას დავადექით. ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყოთ მაიკროფტისა. მან დაგვაყენა იმ საქმის კვალზე, რომელიც შეიძლება ძალზე საინტერესო გამოდგეს.

ჰოლმსს ცოცხალსა და ჭკვიანურ სახეზე, თითქოს ჯერ კიდევ ეფინა დაძაბული ყურადღებისა და დაჭიმული ენერგიის გამომეტყველება, და მე მივხვდი, რომ რაღაც ახალმა, ჩემთვის შეუმჩნეველმა, მჭევრმეტყველმა ფაქტმა მისი მახვილი გონება განსაკუთრებული ძალით აამუშავა. წარმოიდგინეთ მწევარი, როცა სამაღლეში წევს გაშხლართული, ყურები და კუდი ძირს დაუშვია, და შემდეგ, როცა დამაგრული და გეშაღებული ცხელ კვალზე გარბის, - სწორედ ასეთი ცვლილება განიცადა ჰოლმსმა. ახლა ჩემს თვალწინ იდგა სულ სხვა ადამიანი. როგორ არ ჰგავდა იგი იმ დუნე, მომჩვარულ კაცს, სულ რამდენიმე საათის წინ თაგვისფერი ხალათი რომ ეცვა და ოთახში ბოლთას სცემდა.

- ო, როგორ იდუმალებით აღსავსე საქმეა და მოქმედების რა ფართო ველი იშლება, - თქვა ჰოლმსმა. გამჭრიახობა ვერ გამოვიჩინე და მაშინვე ვერ შევნიშნე, თუ რა შესაძლებლობანი იშლება ჩვენს თვალწინ.

- მე კი ახლაც ვერაფერში ვერკვევი.

- ბოლო ჩემთვისაც ბნელითაა მოცული, მაგრამ ერთი ვარაუდი მაქვს, მას შეუძლია წინ წაგვწიოს. დარწმუნებული ვარ, რომ კადოგენ უიესტი სადღაც სხვა ადგილას მოკლეს და მისი სხეული ვაგონის შიგნით კი არა, სახურავზე ეგდო.

- სახურავზე?

- დაუჯერებელია, ხომ მართალია?! მაგრამ ყოველივე ავწონ-დავწონოთ და კარგად გავაანალიზოთ. განა შეიძლება უბრალო შემთხვევითობად ჩავთვალოთ ის, რომ გვამი გადმოვარდა იმ ადგილას, სადაც მატარებელი ისარს ჩაუვლის, ინჯღრევა, ირყევა და საგნებს მაღლა ისვრის? ხომ იქ უნდა გადმოვარდეს საგანი, რომელიც ვაგონის სახურავზეა? შიგნით ვაგონში მდებარე საგნებზე ისარი ვერავითარ ზემოქმედებას ვერ მოახდენს. ან სხეული მაღლიდან ჩამოვარდა, ან აქ რაღაც საოცარი დამთხვევაა. ახლა მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ სისხლის კვალი არსად არაა. ცხადია, არც გზაზე იქნება, თუ მკვლელობა სხვაგან მოხდა. ყოველი ეს წვრილმანი ფაქტი ცალ-ცალკე ადასტურებს ჩემს ვარაუდს, ერთად კი უკვე სამხილია.

- ახლა კიდევ ბილეთი! - შევძახე მე.

- სრული სიმართლეა. ჩვენ ეს ვერ აგვეხსნა. ჩემი ვარაუდი კი ამასაც ხსნის. ყველაფერი ერთიმეორეზე კარგად ლაგდება.

- დავუშვათ, ასეა, და ჩვენ მაინც შორსა ვართ უიესტის საიდუმლო მკვლელობის ამოუხსნელი გარემოებების გამომჟღავნებისაგან. მე ვიტყოდი, რომ საქმე კი არ გამარტივდა, კიდევ უფრო დაიხლართა.

- შეიძლება, - ჩაილაპარაკა ფიქრით მოცულმა ჰოლმსმა. - შეიძლება...

შემდეგ გაჩუმდა და საკუთარ ფიქრებში წასული დუმდა იმ მომენტამდე, ვიდრე მატარებელმა, როგორც იქნა, უილვიჯის სადგურს არ მიაღწია. კებში ჩავჯექით და ჰოლმსმა ჯიბიდან მაიკროფტის დატოვებული ფურცელი ამოიღო.

- რამდენიმე ვიზიტი მოგველის, - თქვა მან. - ჩვენს ყურადღებას პირველად მგონი სერ ჯეიმს უოლტერი ითხოვს.

ამ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის სახლი მდიდრული ვილა აღმოჩნდა. მისი მწვანე გაზონები თემზამდე აღწევდნენ. ნისლი უკვე იფანტებოდა, მის ქუსლებში სუსტი, თხევადი შუქი ცრიატებდა. ზარი დავრეკეთ და მსახური გამოვიდა.

- სერ ჯეიმსი? - ჩაგვეკითხა და მისმა სახემ მკაცრი, საზეიმო გამომეტყველება მიიღო. - სერ ჯეიმსი ამ დილით გარდაიცვალა, სერ.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ჰოლმსმა, ერთობ გაოცებულმა. - როგორ, რითი?

- იქნებ შინ შემობრძანდეთ, სერ და ნახოთ მისი ძმა, პოლკოვნიკი ვალენტაინი?

- დიახ, თქვენ მართალი ხართ, მეტი გზა არცა გვაქვს.

გაგვატარეს სუსტად განათებულ სასტუმროში და ერთი წუთის შემდეგ იქ ძალიან მაღალი, ლამაზი, ორმოცდაათიოდე წლის, ქერა, წვერმოშვებული კაცი შემოვიდა. ეს გახლდათ სერ ჯეიმსის უმცროსი ძმა. თვალებში გამოხატული დაბნეულობა, ცრემლით სველი ლოყები, აჩეჩილი თმა - ყველაფერი მოწმობდა, რომ ოჯახს მძიმე უბედურება დაატყდა. ამბავს რომ ჰყვებოდა, პოლკოვნიკს ცრემლები ახრჩობდა.

- ყველაფერი იმ საშინელ სკანდალს მოჰყვა, - თქვა, - ჩემი ძმა მაღალი პატიოსნების განსახიერება გახლდათ, ასეთი სირცხვილი ვერ გადაიტანა. ამან დაღუპა. ყოველთვის ამაყობდა მის დეპარტამენტში დამყარებული წესრიგით და უეცრად ისეთი დარტყმა...

- ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მისგან მივიღებდით ზოგიერთ ცნობას, რაც საქმის გახსნას ხელს შეუწყობდა.

- გარწმუნებთ, ის, რაც მოხდა, მისთვისაც ისევე ყოვლად გაუგებარი იყო, როგორც თქვენთვის, ჩემთვის და ყველასათვის. მან იჩქარა და უკვე მოახსენა პოლიციას ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილი იყო. რა თქმა უნდა, ეჭვი არც შეჰპარვია, რომ კადოგენ უიესტია დამნაშავე. მაგრამ სხვა ყველაფერი სრულ საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

- პირადად თქვენ არაფრის დამატება არ შეგიძლიათ?

- მე ვიცი მხოლოდ ის, რაც სხვებისაგან მსმენია და გაზეთებში წამიკითხავს. არ მინდა იფიქროთ, თავაზიანობა აკლიაო, მისტერ ჰოლმს, მაგრამ თქვენ უნდა გაგვიგოთ, ჩვენ ახლა დიდი და სამწუხარო ამბავი შეგვემთხვა და იძულებული ვარ, გთხოვოთ რომ ეს ლაპარაკი მალე დავასრულოთ.

- აი, მართლაც მოულოდნელი შემობრუნება საქმისა, - მითხრა მეგობარმა, როცა კებში ისევ ჩავსხედით, - საწყალი მოხუცი. როგორ მოულოდნელად მოკვდა. - ნეტავ, ბუნებრივი აღსასრულით წავიდა ამ ქვეყნიდან თუ თავი მოიკლა? თუ ეს

თვითმკვლელობაა, სამშობლოს ღალატის გამო სინდისის ქენჯნის შედეგად ხომ არ მოხდა? მაგრამ ეს კითხვა შემდეგისათვის გადავდოთ. ახლა კი კადოგენ უიესტს მივხედოთ.

შვილის დამკარგავი დედა ცხოვრობდა გარეუბანში, ერთ პატარა სახლში, სადაც სამაგალითო წესრიგი სუფევდა. მოხუცი ქალი სრულიად განადგურებული იყო დარდისაგან და ვერაფრით დაგვეხმარა. სამაგიეროდ, მის მეზობლად აღმოჩნდა ერთი ძალზე ფერმკრთალი ახალგაზრდა ქალიშვილი. იგი გაგვეცნო, როგორც მის ვაიოლეტ უესტბარი, განსვენებულის საცოლე და უკანასკნელი, ვინც იმ საბედისწერო საღამოს უიესტი ნახა.

- მომხდარი ამბავი ვერაფრით ამიხსნია, მისტერ ჰოლმს, - თქვა მან, - მას მერე, რაც უბედურების ამბავი გავიგეთ, თვალი არ მომიხუჭავს, სულ ვფიქრობ, ვფიქრობ და სიმართლეს ვეძებ. ართური კეთილშობილი კაცი იყო, გულღია, თავისი საქმის ერთგული, ჭეშმარიტი პატრიოტი. უმალ მარჯვენას მოიჭრიდა, ვიდრე მისდამი მინდობილ სახელმწიფო საიდუმლოს გაყიდდა. ყველასათვის, ვინც მას იცნობდა, ეს აზრი დაუშვებელი და უაზროა.

- მაგრამ ფაქტები, მის უესტბარი...

- დიახ, დიახ. მე არ შემიძლია მათი ახსნა, ამას ვაღიარებ.

- ფულის გასაჭირს ხომ არ განიცდიდა?

- არა. არცთუ დიდი მოთხოვნილების კაცი იყო, ჯამაგირი კი საკმარისი ჰქონდა. დანაზოგებიც რამდენიმე ასეულ გირვანქას აღწევდა და საახალწლოდ ჯვარი უნდა დაგვეწერა.

- ხომ არ შეგიმჩნევიათ, რომ ღელავდა და ნერვიულობდა? გთხოვთ, მის უესტბარი, ჩვენთან აბსოლუტურად გულახდილი იყოთ.

ჩემი მეგობრის მახვილმა თვალმა ქალიშვილს რაღაც ცვლილება შეატყო, - იგი თითქოს ყოყმანობდა, წამოწითლდა.

- კი, მეჩვენებოდა, რომ რაღაც აშფოთებდა.

- დიდი ხანია, რაც ეს დაეწყო?

- ერთი კვირის წინ. ზოგჯერ ღრმად ჩაფიქრდებოდა ხოლმე. მოიწყენდა. ერთხელ ვცადე გამოტეხვა, ჩავეძიე, ხომ არაფერი მომხდარა-მეთქი. გამომიტყდა, მოსვენება დამეკარგა და ეს სამსახურის საქმეს ეხებაო. «ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ შენც კი ვერაფერს გეტყვიო», თქვა. მეტს ვერაფერს გავხდი.

ჰოლმსის სახემ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

- განაგრძეთ, მის უესტბარი. თუნდაც ერთი შეხედვით თქვენი ჩვენება მის სასარგებლოდ არ მეტყველებდეს, მხოლოდ სიმართლე ილაპარაკეთ. წინასწარ ჩვენ არასოდეს არ ვიცით, სად მიგვიყვანს სიმართლე.

- მერწმუნეთ, მეტი არაფერი დამრჩენია სათქმელი. ერთი ორჯერ მომეჩვენა თითქოს სათქმელ-საფიქრალი ჩემთვის უნდა გაეზიარებინა. როგორღაც ერთ საღამოს ლაპარაკი იმაზე ჩამოაგდო, თუ რა დიდი მნიშვნელობისაა დოკუმენტები, რომელნიც სეიფში ინახება. შემდეგ, მახსოვს, დაუმატა, რომ უცხოელი ჯაშუშები, ცხადია, ამ სამხედრო საიდუმლოსათვის დიდძალ თანხას გაიღებდნენ.

ჰოლმსის გამომეტყველება კიდევ უფრო სერიოზული გახდა.

- მეტი არაფერი უთქვამს?

- მხოლოდ ის დასძინა, რომ ჩვენ რამდენადმე დაუდევრად ვექცევით სამხედრო საიდუმლოების შენახვის საქმეს, სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ მას და რომ მოღალატესა და გამცემს ამითშეუძლია ისარგებლოს.

- ასეთ თემებზე ლაპარაკი მხოლოდ ამ ბოლო დროს დაიწყო?

- დიახ, მხოლოდ უკანასკნელ დღეებში.

- მიამბეთ, რა მოხდა იმ საღამოს.

- ჩვენ თეატრში წასასვლელად მოვემზადეთ. ისეთი სქელი ნისლი ჩამოწვა, რომ კების დაქირავებას აზრი არა ჰქონდა. ფეხით გავუყევით. ჩვენი გზა არსენალის მახლობლად გადიოდა. უეცრად ართურმა მიმატოვა, განზე გადახტა და ნისლში მიიმალა.

- სიტყვა არ უთქვამს?

- მხოლოდ რაღაც შესძახა და მორჩა. ვიდექი, ველოდი, მაგრამ არ დაბრუნდა. მაშინ მე შინ წავედი. მეორე დღეს დილით დეპარტამენტიდან მოვიდნენ და მისი ამბავი იკითხეს. დაახლოებით თორმეტ საათზე საშინელი ცნობები შევიტყე. მისტერ ჰოლმს, გაფიცებთ: თუ ეს თქვენს ხელთ არის, გადაარჩინეთ მისი პატიოსანი სახელი. იცით, რა ძვირად უღირდა პატიოსნება?

ჰოლმსი შეწუხდა, თავი გადააქნია.

- აბა, უოტსონ, დროა დავიძრათ და სხვაგან წავიდეთ, - თქვა. - ახლა იქ მივალთ, საიდანაც დოკუმენტები გაიტაცეს.

- თავიდანვე ახალგაზრდა კაცის წინააღმდეგ ბევრმა სამხილმა მოიყარა თავი. დაკითხვების შემდეგ კი მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, - შენიშნა ჰოლმსმა, როცა კები დაიძრა. - მოახლოებული ქორწინება - საკმარისი მოტივია დანაშაულისათვის. კადოგენ უიესტი, ბუნებრივია, ფულს საჭიროებდა. ნახაზების მოტაცების აზრი ჰქონია თავში, რაკი საცოლეს ამაზე ლაპარაკი დაუწყო. თითქმის კინაღამ თანამზრახველადაც გაუხდია, განზრახვა ქალისათვის ლამის გაუმხელია. საძაგელი ამბავია.

- მაგრამ მომისმინეთ, ჰოლმს, ნუთუ კაცის რეპუტაციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? მერე და რა აუცილებელი იყო საპატარძლოს ქუჩაში მიტოვება და თავკისრის ტეხვით დოკუმენტების მოსაპარავად გაქცევა?

- თქვენ სწორად მსჯელობთ, უოტსონ. საპირისპირო აზრი, რაც თქვენ გამოთქვით, ძალზე არსებითია. მაგრამ ბრალდების უარყოფა ძალიან ძნელი იქნება.

მისტერ სიდნეი ჯონსონი შეგვხვდა ისეთი პატივით, რასაც გამოხატავდა ყველა, ვინც ჩემი მეგობრის სადარბაზო ბარათს ნახავდა. უფროსი კლერკი აღმოჩნდა გამხდარი, პირქუში მამაკაცი, შუახნის სათვალიანი ჯენტლმენი. მომხდარი ამბისაგან ცოტა მოკუნტულიყო და ხელები უკანკალებდა.

- არასასიამოვნო ამბავია, მისტერ ჰოლმს, ძალზე არასასიამოვნო. თქვენ გაიგეთ შეფის გარდაცვალება?

- ჩვენ ესაა მისი სახლიდან მოვდივართ.

- ჩვენთან დიდი არეულობაა. დეპარტამენტის მეთაური მოკვდა, კადოგენ უიესტი მოკვდა, საბუთები გატაცებულია. ხოლო ორშაბათ საღამოს, როცა სახლს ვკეტავდით, აკი ყველაფერი თავის რიგზე გახლდათ - დეპარტამენტი დეპარტამენტს ჰგავდა. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ფიქრიც კი საშინელია. ასეთი დანაშაული რომ სახელდობრ უიესტს ჩაედინა!

- მაშ, თქვენ დარწმუნებული ხართ მის უდანაშაულობაში?

- სხვა არავინაა, რომ ეჭვი მივიტანოთ. მე კი მას ისე ვენდობოდი, როგორც საკუთარ თავს.

- რომელ საათზე დაკეტეთ სახლი ორშაბათს?

- ხუთ საათზე.

- სად ინახებოდა დოკუმენტები?

- სეიფში. თვითონ მე ჩემი ხელით შევაწყე ისინი.

- შენობას დარაჯი არა ჰყავს?

- დარაჯი არის, მაგრამ მარტო ჩვენს განყოფილებას კი არ იცავს. ძველი ჯარისკაცია, აბსოლუტურად სანდო. არაფერი უნახავს. იმ საღამოს, მართალია, საშინელი ნისლი იყო, დაუჯერებლად ხშირი.

- დავუშვათ, კადოგენ უიესტმა განიზრახა შენობაში შესვლა არასამუშაო დროს. მას სამი გასაღები დასჭირდებოდა, რომ საბუთებამდე მიეღწია, ხომ ასეა?

- სწორედ ასე გახლავთ: შემოსასვლელის გასაღები, კონტორის გასაღები და სეიფის გასაღები.

- გასაღებები მხოლოდ თქვენ და სერ ჯეიმს უოლტერს გქონდათ?

- შენობაში შემოსასვლელის გასაღები მე არა მაქვს, მხოლოდ სეიფისა მაბარია.

- სერ ჯეიმსი ხასიათის სიმტკიცითა და დისციპლინის მოყვარულობით თუ გამოირჩეოდა?

- წესრიგის მოყვარული კაცი იყო. მხოლოდ ის ვიცი, რომ სამივე გასაღები ერთ რგოლში ჰქონდა. ხშირად მინახავს მის ხელში ის აცმა.

- ეს რგოლი თან მიჰქონდა ხოლმე, როცა ლონდონში მიდიოდა?

- მუდამ თან დამაქვსო, იტყოდა ხოლმე.

- არც თქვენ ტოვებთ სადმე თქვენს გასაღებს?

- არასოდეს.

- მაშასადამე, უიესტს, თუ დამნაშავე მართლა ისაა, მეორე მორგებული გასაღები გაუკეთებია. მაგრამ მას გასაღები არ აღმოაჩნდა. მე მაინც ის უნდა ვთქვა, რომ, თუ ამ სახლში მომუშავე რომელიმე კლერკი სამხედრო საიდუმლოს გაცემას მოინდომებდა, მისთვის უფრო მოხერხებული იქნებოდა ნახაზების ასლის გადაღება, ვიდრე ორიგინალების გატაცება, როგორც სინამდვილეში მოხდა.

- ასლების რიგიანად გადაღებას დიდი ტექნიკური ცოდნა უნდა.

- ასეთი ცოდნა, ეტყობა, სერ ჯეიმსსაც ჰქონდა და კადოგენსაც. ასეთი ცოდნა თქვენც ხომ გაგაჩნიათ?

- რასაკვირველია. მაგრამ მე გთხოვთ ამ ამბავში ცუდ-უბრალოდ მე ნუ მიმატმასნით, მისტერ ჰოლმს, ან რა საჭიროა ფუჭად მარჩიელობა, როცა ცნობილია, რომ ნახაზები კადოგენ უიესტს უპოვეს ჯიბეში!

- მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ძალიან უცნაური კია, რომ ასეთ რისკზე წავიდა, ორიგინალები წაიღო, როცა შეეძლო დამშვიდებით დამჯდარიყო, გადაეღო ასლები და ისე გაეყიდა.

- რა თქმა უნდა, უცნაურია, მაგრამ დედნებია წაღებული.

- რაც მეტს იკვლევ, ამ საქმეში მით უფრო მეტი თავსატეხი ჩნდება. სამი ნახაზი რომ აკლია, ჯერაც არაა ნაპოვნი. რამდენადაც ვიცი, სწორედ ის სამი ნახაზია მთავარი!

- დიახ.

- ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ვის ხელშიაც ის სამი ნახაზი მოხვდა, შეუძლია ააგოს ბრიუს-პარტინგტონის წყალქვეშა ნავი, ისე რომ დანარჩენი შვიდის გარეშე იოლად გავა?

- სწორედ ამაზე მოვახსენე საადმირალოს. მაგრამ დღეს ისევ გადავსინჯე ნახაზები და დავეჭვდი. ერთ-ერთ დაბრუნებულ დოკუმენტზე მოცემულია ნახაზი სარქველებისა და ავტომატური საკეტებისა. ვიდრე იქ, უცხოეთში, მათ თვითონ არ გამოიგონებენ, ბრიუს-პარტინგტონის ნავს ვერ ააგებენ. მართალია, ასეთი დაბრკოლების გადალახვა განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს.

- მაშ სამი დაკარგული ნახაზი მაინც მთავარია?

- უეჭველად.

- თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, შენობაში ცოტაოდენ კვლევა-ძიებას ჩავატარებ. მეტი კითხვა არ მექნება.

ჰოლმსმა სეიფის საკეტი დაათვალიერა, მთელი ოთახი დაიარა და ბოლოს ფანჯრებზე რკინის დარაბები შეამოწმა. მხოლოდ მაშინ, როცა შენობის წინ გაზონზე აღმოვჩნდით, ინტერესი ისევ გაუცხოველდა. ფანჯრის ქვეშ დაფნის ხე იზრდებოდა, - ზოგი მისი ტოტი დაღუნული ამოჩნდა, ზოგიც მოტეხილი. ჰოლმსმა ისინი გულმოდგინედ გამოიკვლია, ძლივს შესამჩნევი კვალიც კი გასინჯა მიწაზე. ბოლოს უფროს კლერკს სთხოვა დაეკეტა რკინის დარაბები და ჩემი ყურადღება მიაქცია იმას, რომ საგდულები შუაში მჭიდროდ არ უერთდებოდა ერთმანეთს და ქუჩიდან შეიძლებოდა იმის შემჩნევა, რაც შიგნით ხდებოდა.

- კვალი, ცხადია, თითქმის გამქრალია, სამი დღის დაყოვნებამ ცხელ კვალზე მიყოლა შეუძლებელი გახადა. აბა, უოტსონ, უილვიჯში ჯერჯერობით ყველაფერს მოვრჩით, თუმცა ბევრი ვერაფერი დავიჭირეთ. ვნახოთ, იქნებ ლონდონში გაგვიღიმოს ბედმა.

და მაინც, ვიდრე უილვიჯს დავტოვებდით, ჩვენს ბადეში რაღაც გაება. მოლარემ სადგურში უყოყმანოდ განაცხადა, რომ ორშაბათ საღამოს მან ნახა კადოგენ უიესტი, რომელსაც სახით კარგად იცნობდა. ახალგაზრდა კაცმა მესამე კლასის ბილეთი მომთხოვა მატარებელზე, რომელიც 8 საათსა და 15 წუთზე გადიოდაო. მოლარეს ისიც ახსოვდა, რომ უიესტმა ბილეთი სადგურ «ლონდონის ხიდამდე» აიღო. იგი სრულიად მარტო იყო, მე მისმა ნერვულმა, მოუსვენარმა განწყობილებამ შემაშფოთაო. უიესტი კი იმ ზომამდე იყო აღელვებული და შეშფოთებული, რომ ვერანაირად ვერ მოუყარა თავი ხურდას და მე მისი შველა მომიხდაო; განრიგის მიხედვით გავარკვიეთ, რომ ეს მატარებელი იყო ფაქტიურად პირველი, რომლითაც უიესტს შეეძლო ლონდონს გამგზავრება მას შემდეგ, რაც რვის ნახევარზე ქუჩაში დანიშნული მიატოვა.

- ვცადოთ მოვლენების აღდგენა, - ოცდაათიოდე წუთის დუმილის შემდეგ მითხრა ჰოლმსმა. - არა, ღმერთმანი, მე და თქვენ ჯერ ასეთი საძნელო საქმე არ შეგვხვედრია. ყოველ ნაბიჯზე ახალ წყალქვეშა მეჩეჩებს ვაწყდები და მაინც საგრძნობლად წავიწიეთ წინ.

უილვიჯში დაკითხვის შედეგი, ძირითადად, უიესტის წინააღმდეგ მეტყველებს, მაგრამ ის, რაც კონტორის ფანჯრის ქვეშ შევამჩნიე, ნებას გვაძლევს, ზოგი რამ ბრალდებულის სასარგებლოდაც ვივარაუდოთ. დავუშვათ, რომ მას უშუალოდ მიმართა უცხოელმა აგენტმა. იგი ისეთი ფიცით დაამუნათებდა უიესტს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდებოდა ხმა აღარ ამოეღო. ეტყობა, ამ აზრმა უიესტი დააინტერესა, მისი დანიშნულის ნაწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნები და მინიშნებანი საიმისო საბაბს გვაძლევენ, რომ ასე ვიფიქროთ. კეთილი. შემდეგ დავუშვათ, რომ თეატრში მიმავალმა უიესტმა ნისლში შენიშნა ის აგენტი, რომელიც არსენალის შენობისაკენ მიდიოდა. უიესტი იმპულსური ახალგაზრდა კაცი იყო, მოქმედებდა დაუფიქრებლად. როცა საქმე მის მოქალაქეობრივ მოვალეობას ეხებოდა, ყველაფერი სხვა მისთვის მნიშვნელობას კარგავდა. იგი აგენტს კვალდაკვალ მიჰყვა, ფანჯრის ქვეშ დადგა, ნახა, როგორ იპარავდა აგენტი, ქურდი, დოკუმენტებს და აედევნა. ამრიგად იხსნება კითხვა, რატომ აიღეს დედნები და არა გადაღებული ასლები. გარეშე კაცი ამას ვერ გააკეთებდა. ხედავთ, თითქოს ლოგიკურია.

- მერე?

- აქ მაშინვე ვაწყდებით დიდ სიძნელეს. შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, რომ უიესტის მდგომარეობაში მოხვედრილი კაცისათვის უმჯობესი იყო, განგაში აეტეხა და არამზადისათვის მაგრად ჩაევლო ხელი. ბუნებრივად იბადება კითხვა. რატომ არ მოიქცა ასე? იქნებ გამტაცებელი მასზე თანამდებობრივად მაღლა მდგომი პირია, მისი უფროსი? მაშინ უიესტის მოქმედების ახსნა იოლი საქმეა, ან ასე: ქურდმა მოახერხა ნისლში გაუჩინარება. უიესტი მაშინვე მიეშურება მისი სახლისაკენ ლონდონში, რომ დოკუმენტების გატაცებაში როგორმე ხელი შეუშალოს, რაღა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ აგენტის მისამართი ეცოდინებოდა. ერთი რამ ცხადია, მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულმა, რაც გადადებას არ ითმენდა, აიძულა, რომ საცოლე ქუჩაში მიეტოვებინა. მერე ქალიშვილს ველარც თავისი ამბავი შეატყობინა. შემდეგ ყოველგვარი კვალი იკარგება და ვიდრე უიესტის გვამი ვაგონის სახურავზე არ აღმოჩნდება, ჩვენ წინ სრული წყვდიადია. ახლა ძიება მეორე ბოლოდან დავიწყოთ. თუ მაიკროფტმა უკვე გამოგზავნა სახელები და მისამართები, იქნებ მათ შორის აღმოჩნდეს ის, ვინც ჩვენ გვინდა და მაშინვე ორ კვალს მივყვებით.

ბეიკერ-სტრიტზე ნამდვილად გველოდა სია, რომელიც საგანგებო შიკრიკს მოეტანა. ჰოლმსმა თვალი გადაავლო და მე მომიგდო. მე წავიკითხე:

«ცნობილია მრავალი წვრილმანი თაღლითი, მაგრამ - ცოტა ისეთი, ვისაც ასეთი დიდი საქმის «გაიმასქნება» შეეძლო. ყურადღების ღირსია სამი: ადოლფ მაიერი - გრეიტ-ჯორჯსტრიტი, 13, ვესტმინსტერი; ლუი ლა როტიერი - კემდენ-მენშენზი, ნოტინგ-ჰილი; ჰუგო ობერშტაინი, კოლფილდ-გარდენსი, 13, კენსინგტონი. ამ უკანასკნელის შესახებ ცნობილია, რომ ორშაბათს ის ლონდონში იყო, ახალი ცნობით - წავიდა. მოხარული ვარ, რომ გავიგონე: «ბნელში შუქი ბჟუტავსო». მინისტრთა კაბინეტი უდიდესი მღელვარებით ელის შენს დასკვნით მოხსენებას. მიღებულია მითითებანი უმაღლესი სფეროებიდან. თუ საჭირო გახდება, მთელი ინგლისის პოლიცია შენს განკარგულებაში იქნება

მაიკროფტი».

- მე აგრე მგონია, რომ «მთელი სამეფოს ცხენოსანთა ჯარი და დედოფლის ლაშქარი» ამ საქმეში ვერაფერს დამეხმარება, - ღიმილით თქვა ჰოლმსმა. ლონდონის დიდი გეგმა გაშალა და უდიდესი ინტერესით დაჰყურებდა - კარგია! კარგი! ჩაილაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ კმაყოფილმა. - ჩანს, ბედი გვქონია, იცით, უოტსონ, აზრად მომდის, რომ ამ საქმეს ჩვენ ბოლოს მივადევნებთ. - მოულოდნელად გამხიარულებულმა ჰოლმსმა მხარზე ხელი დამკრა. - ახლა მე დაზვერვაზე წავალ. ვფიცავ ზენას, არაფერ სერიოზულს არ მოვიმოქმედებ, ვიდრე ჩემს გვერდით არ იქნებით. თქვენ აქ დარჩით და ერთი ან ორი საათის შემდეგ შემოგივლით. თუ დროის სიმძიმე იგრძნოთ, აგერ ქაღალდების დასტა და კალამი: დაწერეთ მკითხველთა გულის მოსაფხანად და სალბუნად, თუ როგორ დავიხსენით გასაჭირიდან სახელმწიფო. რამდენადმე მისი აწეული გუნება-განწყობა მეც გადმომედო. კარგად ვიცოდი, რომ საკმარისი საფუძვლის გარეშე ჰოლმსი ჩვეული თავშეკავების საზღვარს არ გადავიდოდა და ცუდ-უბრალოდ აღტაცებას არ გამოხატავდა. ნოემბრის გრძელი საღამო მეგობრის ლოდინში გავლიე. ცხრიდან უკვე გადასული იყო, როცა შიკრიკმა მისი ასეთი ბარათი მომიტანა:

«ვსადილობ გოლდინის რესტორანში გლოსტერ-როუდზე, კენსინგტონში. გთხოვთ გაუყოვნებლივ მოხვიდეთ აქ. თან წამოიღეთ პატარა ძალაყინი, დახურული ფარანი, ხვეწი და რევოლვერი.

შ.ჰ.»

ვერაფერს იტყვი, ალბათ ღირსეულმა და პატივცემულმა მოქალაქემ ბნელსა და დანისლულ ქუჩებში ასეთი აღჭურვილობა უნდა ატაროს. რა გაეწყობოდა, ყველა დასახელებული საგანი პალტოს ჯიბეებში ჩავიტენე და ჰოლმსის ნაჩვენებ ადგილს მივაშურე. ჩემი მეგობარი ამ მყვირალა, მორთულ-მოკაზმულ იტალიურ რესტორანში, შესასვლელის მახლობლად, მრგვალ პატარა მაგიდასთან იჯდა.

- მოგშივდათ? არა? მაშინ ყავა მაინც დალიეთ. ერთი სიგარაც მოსინჯეთ აქაურობის მფლობელისა. არც ისე სამაგელია, როგორც წარმომედგინა. ყველაფერი მოიტანეთ?

- ყველაფერი. პალტოში მაქვს დამალული.

- ჩინებულია. ახლა მოდით, ორი სიტყვით გადმოგცემთ იმას, რაც ამ ხანში გავაკეთე და კიდევ რა გვაქვს გასაკეთებელი. ვფიქრობ, უოტსონ, თქვენთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ახალგაზრდა კაცის გვამი სახურავზე ვინმემ დააგდო. ამაში მაშინვე დავრწმუნდი, როგორც კი დავადგინე, რომ ის ვაგონიდან არ გადაუგდიათ.

- რომელიმე ხიდიდან ხომ არ ისროლეს სახურავზე?

- ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია. ვაგონების სახურავები მომრგვალებული და დამრეცია, არავითარი სახელური და მოჯირი მას არ გააჩნია, ზედ გვამი ვერ გაჩერდებოდა. მაშ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის სახურავზე დადეს.

- მერე, როგორ?

- ამ კითხვაზე პასუხი უნდა გავცეთ. არის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რაც სიმართლეს ჰგავს. თქვენთვის ცნობილია, რომ მეტროს მატარებლები უესტ-ენდის ზოგიერთ ადგილას გვირაბიდან გამოდიან. მე ბუნდოვნად მახსოვს, ამ გზით რომ მივემგზავრებოდი, სახლების სახურავები პირდაპირ ჩემს თავს ზემოთ მოჩანდა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ მატარებელი გაჩერდა ერთ-ერთი ასეთი სახლის ფანჯარასთან. განა ისე ძნელი იქნება გვამის დადება ფანჯრიდან ვაგონის სახურავზე?

- ჩემი აზრით, ეს სრულიად წარმოუდგენელია.

- ძველი აქსიომა უნდა გავიხსენოთ: როცა ყველა შესაძლებლობა გამორიცხულია, ერთი გარდა, მაშინ ეს ერთი, რაც არ უნდა დაუჯერებელი გვეჩვენოს, უდავო ფაქტია. ყველა სხვა შესაძლებლობა გამოვრიცხეთ და ეს ერთი დარჩა. როცა მე გავარკვიე, რომ ერთ-ერთი დიდი საერთაშორისო ჯაშუში, რომელიც ეს-ეს არის ლონდონიდან წავიდა, ცხოვრობდა ერთ-ერთ იმ სახლში, რომლის ფანჯარა პირდაპირ მეტროს ხაზზე გადის. ეს ამბავი იმდენად გამეხარდა, რომ უბრალო ზომიერებაც კი დავკარგე, ფამილარულად მოგექეცი და მხარზე ხელი დაგკარი.

- აი, თურმე რა ყოფილა!

- საერთაშორისო ჯაშუში, ჰუგო ობერშტაინი, რომელსაც ბინა კოლფილდ-გარდენსზე ჰქონდა ნაქირავები, ცამეტ ნომერში, ჩემი სათვალთვალო ობიექტი შეიქნა. მე გლოსტერ-როუდის სადგურიდან დავიწყე ზვერვა. იქ ერთი ძალიან თავაზიანი რკინიგზელი თან გამყვა. დათვალიერებისას დავრწმუნდი, რომ კოლფილდ-გარდენსზე კიბის ფანჯრების უკანა გასასვლელი პირდაპირ ხაზზე გადის. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც ადგილზე გავიგე: სწორედ იქაა გზაჯვარედინი, უფრო დიდი სარკინიგზო შტო გადის და მეტროს ვაგონები ხშირად რამდენიმე წუთით იმ ალაგას ჩერდებიან.

- ბრწყინვალეა, ჰოლმს! თქვენ შეაღწიეთ ცხრაკლიტულში!

- ჯერჯერობით შეღწევისა რა მოგახსენოთ, უოტსონ, შედეგი შორსაა, მაგრამ ჩვენ წინ მივიწევთ. მე დავათვალიერე უკანა კედელი მეცამეტე სახლისა კოლფილდ-გარდენსზე, შემდეგ მისი ფასადი, და დავრწმუნდი, რომ ჩიტი მართლა გაფრინდა.

სახლი ერთობ დიდია, ზედა სართულზე ცალკე ბინებია. ობერშტაინი სწორედ იქ ცხოვრობდა, თან ჰყოლია მხოლოდ ერთი ლაქია, ალბათ თანამზრახველი, რომელსაც სავსებით ენდობოდა. ამრიგად, ობერშტაინი კონტინენტზე გაემგზავრა, რათა ნადავლი გაასაღოს, მაგრამ ეს არაა გაქცევა - არავითარი საფრთხე არ მოელოდა, რომ დაპატიმრებისა შინებოდა. ხოლო თუ კერძო დეტექტივი შემოიჭრებოდა მის საკუთარ სახლში, ამ ჯენტლმენს ასეთი აზრი არც მოსვლია. მაგრამ მე და თქვენ სწორედ ასეთ რამეს მოვუწყობთ.

- განა არ შეიძლება ოფიციალური ჩხრეკის ორდერი ავიღოთ, რომ ყველაფერი კანონიერად მოხდეს?

- ჩვენი მონაცემების მიხედვით - გაგვიჭირდება.

- მაგრამ რას მოგვცემს ჩხრეკა?

- იქნებ ხელთ რაიმე კორესპონდენცია მოვიგდოთ.

- ჰოლმს, ეგ ამბავი მე არ მომწონს.

- ჩემო ძვირფასო, თქვენ მოგიხდებათ მხოლოდ ქუჩაში დგომა და თვალთვალი, რომ უცებ თავს არავინ წამოგვადგეს, ყოველგვარ უკანონობაზე პასუხს მე ვაგებ. ახლა ასეთი წვრილმანი ამბების გამო უკან დახევის დრო არაა. გაიხსენეთ, რას წერს მაიკროფტი, გაიხსენეთ შეშფოთებული საადმირალო და მინისტრთა კაბინეტი, და ბოლოს, აღგზნებული ხელისუფალი, რომელიც ჩვენგან ახალ ამბავს ელის. ჩვენ მოვალე ვართ ეს ჩავიდინოთ.

პასუხის ნაცვლად მაგიდიდან წამოვიჭერი. - თქვენ მართალი ხართ, ჰოლმს, ეს ჩვენი მოვალეობაა.

ისიც წამოხტა და ხელი გამომიწოდა.

- ვიცოდი უკანასკნელ წუთს არ გამაწბილებდით, - მითხრა და მის თვალებში სინაზის მსგავსი რაღაც ამოვიკითხე. მომდევნო წუთს იგი ისევ ის ჰოლმსი იყო - თავდაჯერებული, საქმიანი, მბრძანებელი. - იქამდე ნახევარი მილი იქნება, მაგრამ საჩქარო არა არის რა, ფეხით წავალთ, - განაგრძო მან. მთავარია იარაღები არ დაკარგოთ, ხოლო თუ როგორც საეჭვო პირს დაგაპატიმრებენ, ეს ამ აწეწილ-დაწეწილ საქმეს კიდევ უფრო გაართულებს.

კოლფილდ-გარდენსზე ჩამწკრივებული, სვეტებიანი და კარიბჭეებიანი თანაბარფასადებიანი სახლები, ესენი გახლავთ უესტ-ენდში ვიქტორიანული ეპოქის შუა ხანების ტიპიური ნაგებობანი. როგორც იქნა, სახლს მივადექით. მეზობელი ბინიდან მხიარული ახალგაზრდული ხმები და პიანინოს ჟღარუნი მოისმოდა. ჩანს, გახურებული ზეიმი იყო ყმაწვილებისა. ნისლი ჯერ არ გაფანტულიყო და თავისი შეუვალობით გვფარავდა. ჰოლმსმა ფარანი აანთო და მძიმე შესასვლელ კარს მიანათა.

- წინ მძიმე დაბრკოლება გველობება, - თქვა. - აქ, ეტყობა, მარტო კლიტე კი არა, ურდულებიცაა. ვცადოთ უკანა შესასვლელით სარდაფში ჩაღწევა. თუ ვინმე, ძლიერ გულმოდგინე წესრიგის დამცველი გამოჩნდება, ეგერ დაბლა ჩვენს განკარგულებაში, ჩინებული ბნელი კუთხეა და იქ შევიყუჟებით. მომეცით ხელი, უოტსონ, ზღუდეზე გადასვლა მოგვიხდება, შემდეგ მე მოგეშველებით.

ერთი წუთიც და უკვე დაბლა ვიყავით, სარდაფში შესასვლელთან. ძლივს მოვასწარით სიბნელეში შესვლა, რომ ჩვენს ზემოთ, ნისლში, პოლიციელის ნაბიჯის ხმა გაისმა. როცა ის ხმა შორს მიიკარგა, ჰოლმსი საქმეს შეუდგა. ვნახე, როგორ დაიხარა, დაიძაბა, კარი ხმაურით გაიღო. ჩვენ ბნელ დერეფანში შევედით და კარი მოვიხურეთ. ჰოლმსი წინ მიდიოდა, ხვეული კიბის შიშველ საფეხურებზე. მისი ფარნის ყვითელი შუქი ძირს, კიბის ქვევით გამოჭრილ ფანჯარას დაეცა.

- ეგერ ის ფანჯარაც. მგონი, ისაა.

ჰოლმსმა ჩარჩო გააღო და იმავე წამს გაისმა დაბალხმიანი, გულის გამაწვრილებელი ზუზუნი, რომელიც სულ იზრდებოდა და ბოლოს გუგუნად იქცა, - სახლის გვერდით სიბნელეში მატარებელმა ჩაიქროლა. ჰოლმსმა ფარნის შუქი დარაბას გააყოლა. იქაურობა ორთქმავლის მილიდან აბოლებული ჭვარტლის ხშირ ფენას დაეფარა. ალაგ-ალაგ ჭვარტლი გადაწმენდილივით იყო. ხედავთ, ეს იმიტომაა, რომ აქ იდო სხეული. შეხედეთ, უოტსონ, ეს რაღაა? ჰო, რა თქმა უნდა, ეს სისხლის კვალია. - ფანჯრის დარაბაზე მუქი, მრუმე ლაქები მიჩვენა. - ასეთები კიბის საფეხურებზეც შევნიშნე. სურათი ნათელია. დავიცადოთ, ვიდრე აქ მატარებელი გაჩერდება.

დიდი ლოდინი არ დაგვჭირდა. მომდევნო შემადგენლობა გვირაბიდან გრიალით გამოვიდა, თანდათან შეანელა სვლა და მუხრუჭების ღრაჭუნით პირდაპირ ფანჯრის ქვეშ გაჩერდა. ფანჯრიდან სახურავამდე რაღაც ოთხი ფუტი მანძილი იქნებოდა. ჰოლმსმა წყნარად მიხურა ფანჯარა.

- ჯერჯერობით ყველაფერი დასტურდება, - ჩაილაპარაკა, - აბა, რას იტყვით, უოტსონ?

- ეს უკვე უმაღლესი ხელოვნებაა! ამ სიმაღლისათვის თქვენ არ მიგიღწევიათ!

- ამაში ვერ დაგეთანხმებით. აქ საჭირო იყო მარტო იმის მოსაზრება, რომ გვამი მატარებლის სახურავზე იდო, ეს, შესაძლოა, მართლაც კარგი მიხვედრა იყოს, დანარჩენი კი ყველაფერი მისგან გამომდინარეობს. სერიოზული სახელმწიფო ინტერესები რომ სასწორზე არ იყოს დადებული, მთელი ეს ამბავი, რამდენადაც ახლა ჩვენ ის ამოვხსენით და გავშიფრეთ, არაფერი განსაკუთრებული და საინტერესო არ იქნებოდა. სიძნელეები, უოტსონ, წინ არის. მაგრამ ვინ იცის, იქნებ აქ რაღაც ახალი მასალები მოვიპოვოთ.

უკანა კიბით ავედით და მეორე სართულის ბინაში აღმოვჩნდით. ძუნწად გაწყობილი სასადილო ჩვენთვის საგულისხმოს არაფერს შეიცავდა. ვერც საწოლ ოთახში ვნახეთ რაიმე საინტერესო. მესამე ოთახი მეტის აღმთქმელი აღმოჩნდა და ჩემი მეგობარი სისტემატურ ჩხრეკას მოჰყვა. ოთახი, ეტყობა, კაბინეტის მოვალეობას ასრულებდა - ყველგან წიგნები და ქაღალდები ეყარა. სწრაფად და მარჯვედ ყრიდა ჰოლმსი თაროებიდან და საწერი მაგიდის უჯრიდან ქაღალდებსა და წიგნებს, მაგრამ მის მკაცრ სახეს წარმატების სიხარული არ აცისკროვნებდა. მთელი საათი გავიდა, შედეგი კი არ ჩანდა.

- ცბიერი ძაღლი, კვალი დაუფარავს, - თქვა ჰოლმსმა. - არავითარი სამხილი. მამხილებელი მიმოწერა ან განადგურებულია, ან თან წაუღია.

საწერ მაგიდაზე ლითონის პატარა ზარდახშა იდგა. ჩვენი უკანასკნელი იმედი ესააო - თქვა, აიღო, ხვეწით გახსნა. შიგ ციფრებითა და ანგარიშებით შევსებული დაგრაგნილი ფურცლები იპოვა, მაგრამ იქიდან რაიმეს გარკვევა შეუძლებელი იყო. მხოლოდ სიტყვები «წყლის წნევა» და «წნევა კვადრატულ დუიმზე» იძლეოდნენ საშუალებას ვარაუდისათვის, რომ ყოველივე ამას რაღაც დამოკიდებულება ჰქონდა წყალქვეშა ნავთან. ჰოლმსმა მოუთმენლად მოისროლა ფურცლები განზე. კიდევ ნახა რაღაც კონვერტი, რომელშიაც გაზეთიდან ამოჭრილი ცნობები იდო. ჰოლმსმა ისინი მაგიდაზე დააწყო და მის ანთებულ თვალებში ამოვიკითხე, რომ იმედის სხივი აუკიაფდა.

- რა არის ეს, უოტსონ, ჰა? საგაზეთო განცხადებები, და როგორც ქაღალდისა და შრიფტის მიხედვით ჩანს, «დეილი ტელეგრაფიდან» უნდა იყოს - მარჯვენა გვერდის ზედა კუთხიდან. თარიღები არაა ნაჩვენები, მაგრამ, ვფიქრობ, ეს პირველია:

«იმედი მქონდა, ადრე გავიგონებდი. პირობები მიღებულია. დაწერეთ უფრო დაწვრილებით ბარათზე ნაჩვენები მისამართით.

პიეროტ».

მეორე ასეთია:

«მისი აღწერა ძალიან რთულია. სრული ანგარიშია საჭირო. გადახდა საქონლის ჩაბარების შემდეგ.

პიეროტ».

მესამე:

«წინადადება მოიხსნება, თუ ხელშეკრულების პირობები არ შესრულდება. წერილში აღნიშნეთ შეხვედრის თარიღი. დავადასტურებთ განცხადებით.

პიეროტ».

და ბოლოს უკანასკნელი:

«ორშაბათს საღამოს ცხრა საათის შემდეგ. დააკაკუნეთ ორჯერ. ვიქნებით მარტო. ნუ ეჭვიანობთ. გასამრჯელოს მიიღებთ საქონლის ჩაბარებისას

პიეროტ».

ყველაფერი თავმოყრილია - გამოქვეყნებულია სრულიად ამომწურავი ანგარიში მოლაპარაკების მსვლელობაზე! ახლა ერთი ის გვაცოდინა, მავთულს მეორე ბოლოზე ვინ იყო?

ჰოლმსი, ღრმად ჩაფიქრებული იჯდა და მაგიდაზე თითით აკაკუნებდა. უეცრად წამოიჭრა.

- მგონი ეს არც ისე საძნელო საქმეა. აქ, უოტსონ, ჩვენ აღარაფერი გვესაქმება. წავიდეთ, «დეილი ტელეგრაფის» რედაქციას მივაკითხოთ და ამით დავასრულოთ ჩვენი ნაყოფიერი დღე.

მაიკროფტ ჰოლმსი და ლესტრეიდი, როგორც დათქმული იყო, მეორე დღეს, ნასაუზმევს გამოცხადდნენ და ჰოლმსმა მათ უამბო ის, რაც წინა საღამოს გადაგვხდა. პოლიციის მაძებარმა რომ ბინის გატეხისა და ქურდობის ამბავი გაიგო, თავი გადააქნ-გადმოაქნია.

- ჩვენთან სკოტლენდ-იარდში ასეთი რამეების გაკეთება არ ეგების, მისტერ ჰოლმს, - თქვა ბოლოს, - გასაკვირი როდია, რომ თქვენ ხშირად აღწევთ იმას, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თქვენ და თქვენი მეგობარი მეტისმეტს იზამთ და მაშინ უსიამოვნებას თავს ვერ დააღწევთ.

- დავიღუპებით «ინგლისისათვის, მშობლიური სახლისათვის და მშვენიერებისათვის».

- ჩინებულია, შერლოკ! დიდებულია! მაგრამ რას გვაძლევს ეს?

ჰოლმსმა «დეილი ტელეგრაფის» ახალი ნომერი აიღო მაგიდიდან.

- შენ ნახე «პიეროტის» დღევანდელი განცხადება?

- როგორ? კიდევ?

- დიახ. აი:

«დღეს საღამოს. იგივე ადგილი, იგივე საათი. ორჯერ დააკაკუნეთ. საქმე უაღრესად მნიშვნელოვანია. სასწორზეა თქვენი საკუთარი სიცოცხლე.

პიეროტ».

- ეშმაკმა დალახვროს! - შესძახა ლესტრეიდმა. - თუ პასუხს გასცემს, ჩვენ მას იმწამსვე გავქაჩავთ!

ამ მიზნით მოვათავსე გაზეთში ეს წერილი. თუ ორივე გაირჯებით და არ დაიზარებთ ჩვენთან ერთად რვა საათისათვის კოლფილდ-გარდენსზე წამოსვლას, ჩვენი ამოცანის პასუხს დავაჩქარებთ.

შერლოკ ჰოლმსის ერთ-ერთი შესანიშნავი თვისება იყო მისი უნარი, მოღლილი გონება უფრო იოლ საქმეზე გადაერთო. როგორც კი იგრძნობდა, რომ საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად გონებრივი ძალა, ძლიერი დაძაბულობის გამო, აღარ ჰყოფნიდა, დროებით სხვა სამუშაოს შეუდგებოდა ხოლმე. მთელი ის ღირსსახსოვარი დღე მან შესწირა ადრევე მოფიქრებულ მონოგრაფიას «ლასუსის პოლიფონიური მოტეტები». ასეთი ძალა და უნარი ერთი საქმიდან მეორეზე გადართვისა, როცა ის პირველი საქმე მომთავრებული არა გაქვს, მე არ გამაჩნდა და ის დღე ჩემთვის უსაშველოდ გაჭიანურდა. ჩვენი ძიების შედეგების უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, უმაღლეს სახელმწიფოებრივ სფეროებში გამეფებული დაძაბული ლოდინი, მომავალი სახიფათო ექსპერიმენტი - ყველაფერი მაღიზიანებდა და მანერვიულებდა. ამიტომ გულზე მომეშვა, როცა წავიხემსეთ და, როგორც იქნა, კოლფილდ-გარდენსისაკენ გავეშურეთ. ლესტრეიდსა და მაიკროფტს, როგორც შევთანხმდით, გლოსტერ როუდის სადგურთან შევხვდით. სარდაფის კარი იმ სახლისა, რომელშიაც ობერშტაინი ცხოვრობდა, წინა ღამის შემდეგ ღია იყო, მაგრამ რაკი მაიკროფტ ჰოლმსმა ზღუდეზე გადაძვრომაზე გადაჭრით განაცხადა უარი, წინ წასვლა და სადარბაზო კარის გაღება მე მომიხდა. ცხრა საათისათვის უკვე ოთხივენი ვისხედით კაბინეტში და მოთმინებით ველოდით ჩვენთვის საჭირო პირის გამოჩენას.

გავიდა ერთი საათი, მეორეც მიჰყვა, როცა ეკლესიის კოშკზე თერთმეტმა დაჰკრა, ჩამოკრული ზარის ხმა ჩვენი იმედების დამსხვრევისა და გლოვის ჰანგად გვეჩვენა. ლესტრეიდი და მაიკროფტი სკამებზე ცმუკავდნენ და წარამარა საათს დასცქეროდნენ. შერლოკ ჰოლმსი მშვიდად იჯდა, სანახევროდ თვალდახუჭული, მაგრამ შინაგანად დაძაბული. უცებ თავი ასწია და თქვა:

- მოდის!

ვიღაცამ ქურდული სიფრთხილით ჩაუარა კარს. ნაბიჯის ხმა ისევ მოახლოვდა. გაისმა ფეხების ფლატუნი და კარზე ორჯერ დარტყმის ხმა. ჰოლმსი ადგა და ჩვენ გვანიშნა, უძრავად ისხედითო. გაზის სანათი ჰოლში თითქმის ბჟუტავდა, ჰოლმსმა შემოსასვლელი კარი გააღო და როცა ბნელში მრუმე ფიგურამ ჩაიარა, კარი გასაღებით ჩაკეტა.

- გთხოვთ აქეთ მობრძანდეთ, - გავიგონეთ მისი ხმა და ერთი წამის შემდეგ ჩვენს წინ სრულიად მოულოდნელი სტუმარი იდგა. ჰოლმსი ფეხდაფეხ მოსდევდა და შემოსული კაცი შეცბა, შიშისა და გაოცების წამოძახილი აღმოჰხდა და უკან გავარდნა დააპირა, ჩემმა მეგობარმა ქეჩოში ხელი ჩაავლო და ოთახში შემოაგდო. ვიდრე ჩვენი ტყვე გონს მოვიდოდა, ჰოლმსმა ოთახის კარი ჩაუკეტა და გასასვლელს ზურგით მიეყრდნო. შეპყრობილმა შიშით მოავლო თვალი ოთახს, წაბარბაცდა და მოცელილივით დაეცა. დაცემისას ფართოფარფლებიანი ქუდი დაუვარდა, ტუჩ-პირზე აფარებული შარფიც ძირს დაუცურდა და ჩვენს წინ ჟღალწვერიანი და ნატიფი სახის ნაკვთებიანი პოლკოვნიკი ვალენტაინ უოლტერი წარმოსდგა. ჰოლმსმა გაოცებისაგან შეუსტვინა.

- უოტსონ, - თქვა მან, - ამჯერად შეგიძლიათ თქვენს მოთხრობაში ნამდვილ ვირად მომნათლოთ, რადგან დავიჭირე ის ფრინველი, რომლისთვის მახე სულაც არ დამიგია.

- ვინაა ეს? - მოუთმენლად შესძახა მაიკროფტმა.

- ეს გახლავთ უმცროსი ძმა განსვენებულ სერ ჯეიმს უოლტერისა, წყალქვეშა ფლოტის დეპარტამენტის მეთაურისა. დიახ, დიახ, მე უკვე ვხედავ, როგორ იყო

ქაღალდი დაწყობილი. პოლკოვნიკი გონს მოდის. ამ ჯენტლმენის დაკითხვა გთხოვთ მე მომანდოთ.

უძრავი სხეული დივანზე მოვათავსეთ, მაგრამ ჩვენმა ტყვემ წამოიწია, მიმოიხედა, შუბლზე ხელი გადაისვა და გონს მოსვლა სცადა, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებდა.

- რას ნიშნავს ყოველივე ეს? - ჩაილაპარაკა. - მე მოვედი მისტერ ობერშტაინთან.

- ყველაფერი გამოაშკარავებულია, პოლკოვნიკო უოლტერ, - მიუგო ჰოლმსმა. მხოლოდ ის ვერ გავიგე, როგორ შეეძლო ინგლისელ ჯენტლმენს ასე მოქცეულიყო, ჩვენ ვიცით თქვენი მიმოწერისა და შეთანხმების ამბავი ობერშტაინთან, ვიცით, აგრეთვე, კადოგენ უიესტის მკვლელობასთან დაკავშირებული გარემოებების არსი. მაგრამ ზოგიერთი წვრილმანი თქვენგან უნდა გავიგოთ. გთხოვთ, თქვენი გულწრფელი აღიარებით ოდნავ მაინც შეიმსუბუქოთ დანაშაული.

პოლკოვნიკმა ღრმად ამოიგმინა, თავი დახარა, ნიკაპი მკერდზე ჩამოუვარდა და სახე ხელებში ჩარგო. ველოდით, მაგრამ ის დუმდა.

- შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მთავარი ფაქტები ჩვენთვის ნათელია - უთხრა ჰოლმსმა. - ვიცით, ფული დაგჭირდათ. თქვენ დაამზადეთ ტვიფრები გასაღებებისა, რომლის ორიგინალებიც თქვენს ძმას ჰქონდა, გამართეთ მიმოწერა ობერშტაინთან, რომელიც თქვენს წერილებზე «დეილი ტელეგრაფის» განცხადებების განყოფილებაში მოთავსებული თქვენთვის მისახვედრი ცნობებით პასუხობდა. იმ ორშაბათს, ნისლიან საღამოს, თქვენ შეაღწიეთ იმ შენობაში, სადაც სეიფი იდგა, რომ კადოგენ უიესტმა თქვენს კვალს მიაგნო, - ალბათ უკვე ჰქონდა საფუძველი, რომ თქვენს მოქმედებაში ეჭვი შეეტანა. იგი მოწმე გახდა ნახაზების გატაცებისა, მაგრამ განგაში არ აუტეხია, ალბათ ეგონა, რომ თქვენ დოკუმენტებს სეიფიდან ძმის დავალებით იღებდით. კადოგენ უიესტმა დაივიწყა პირადი საქმე და როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, თქვენ დაგედევნათ. ამ სახლამდე გდიათ. აქ ის მოგიახლოვდათ და თქვენ, პოლკოვნიკო უოლტერ, ისედაც სახელმწიფო მოღალატემ, ჩაიდინეთ მეორე, უფრო საზარელი დანაშაული - მოკალით ახალგაზრდა კაცი.

- არა! არა! ღმერთმანი მე არ მომიკლავს! - შესძახა უბედურმა ტყვემ.

- მაშინ აგვიხსენით, რანაირად დაიღუპა, რა მოხდა მანამდე, ვიდრე მის გვამს ვაგონის სახურავზე მოათავსებდით?

- მოგიყვებით. ვფიცავ, ყველაფერს გეტყვით. ყველაფერი დანარჩენი ნამდვილად ისე იყო, როგორც თქვენ ბრძანეთ. ვაღიარებ, ვალში ჩავვარდი. უსაშველო ბადეში გავები, როცა ბირჟაზე ვთამაშობდი. ფული ჰაერივით მჭირდებოდა. ობერშტაინმა ხუთი ათასი შემომთავაზა. მინდოდა თავი დამეღწია ვალებისთვის და ფეხზე დავმდგარიყავი. მაგრამ მე არ მომიკლავს, ამაში ბრალი არ მიმიძღვის.

- მაშ რა მოხდა?

- უიესტმა ჩემზე რატომღაც ეჭვი აიღო და მზვერავდა. იმ საღამოსაც კვალზე მომყვებოდა, როგორც თქვენა თქვით. მე ის მხოლოდ სახლის შემოსასვლელთან დავინახე. ისეთი ნისლი იდგა, სამ ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევდა კაცი. ორჯერ დავაკაკუნე და ობერშტაინმა კარი გამიღო. ახალგაზრდა კაცი ოთახში შემოიჭრა, მოგვვარდა, მოითხოვა აგვეხსნა, თუ რისთვის დაგვჭირდა ნახაზები. ობერშტაინს ყოველთვის თან დააქვს ტყვიის მოკლე ჯოხი, რომელიც კადოგენ უიესტს თავში დაჰკრა. დარტყმა საბედისწერო აღმოჩნდა. კადოგენი ხუთ წუთში გათავდა. ეგდო ჰოლში იატაკზე, ჩვენ სრულიად დავიბენით, აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ბოლოს ობერშტაინს მოაგონდა მატარებლები, რომლებიც სახლის უკანა ფანჯრის ქვეშ

ჩერდებოდნენ. მაგრამ ობერშტაინმა ჯერ ნახაზები გასინჯა, სამი ყველაზე მნიშვნელოვანი შეარჩია და თქვა, რომ იმ ნახაზებს თავისთან იტოვებდა.

- არ შემიძლია ნახაზების დათმობა, - ვუპასუხე მე. - თუ დილით ისინი თავის ადგილზე ვერ ნახეს, უილვიჯში საშინელი განგაში ატყდება».

«არა, ისინი უნდა წავიღო, - გაიძახოდა ობერშტაინი. - ისინი ტექნიკურად იმდენად რთულია, რომ დილამდე ასლის გადაღებას ვერ მოვასწრებ». «ამ შემთხვევაში ნახაზებს დაუყოვნებლივ უკან დავაბრუნებ», - ვუთხარი მე. ცოტა იფიქრა და მიპასუხა: «სამ მთავარ ნახაზს მე დავიტოვებ, დანარჩენები ჯიბეში ჩავუტენოთ ამ ახალგაზრდა კაცის გვამს. როცა მიაგნებენ, გატაცებას, ცხადია, მას დააბრალებენ». სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი და დავეთანხმე. ნახევარი საათი ვიცადეთ, ვიდრე ფანჯრის ქვემოთ მატარებელი გაჩერდებოდა. ნისლი გვფარავდა და ჩვენ იოლად დავუშვით ვაგონის სახურავზე კადოგენის გვამი. ესაა სულ, რაც მოხდა და რაც ვიცი».

- თქვენი ძმა?

- სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ ერთხელ გასაღებები ჩემთან ნახა და დაეჭვდა. ამას მის გამოხედვაში ვიჭერდი. მას მერე უბედურს თავი მაღლა არ აუწევია. აღარ შეეძლო ხალხისათვის თვალის გასწორება და...

დუმილი გამეფდა. ის მაიკროფტ ჰოლმსმა დაარღვია:

- გსურთ რამდენადმე გამოისყიდოთ თქვენი დანაშაული? რომ შეიმსუბუქოთ სინდისი და იქნებ სასჯელიც?

- რით შემიძლია მისი შემსუბუქება?

- სად არის ახლა ობერშტაინი, საით წაიღო ნახაზები?

- არ ვიცი.

- მისამართი არ დაუტოვებია?

- მხოლოდ ის თქვა, რომ მისი მისამართით გაგზავნილი წერილები, ოტელ «ლუვრში», ბოლოს მასთან მოხვდებიან.

- მაშასადამე, თქვენ კიდევ გეძლევათ შესაძლებლობა გამოისყიდოთ დანაშაული, - უთხრა შერლოკ ჰოლმსმა.

- მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლით. იმ ვაჟბატონის მიმართ მხოლოდ სიძულვილი მაქვს გულში დაგუბებული. ისაა მიზეზი ჩემი დაცემისა და დაღუპვისა.

- აი, კალამი და ქაღალდი. დაჯექით მაგიდასთან და ჩემი კარნახით წერეთ! კონვერტზე წააწერეთ პარიზის მისამართი, რაც ჯაშუშმა მოგცათ. დაიწყეთ:

«ძვირფასო სერ!

გწერთ ჩვენი შეთანხმების გამო.

თქვენ უეჭველია, შეამჩნიეთ, რომ აკლია ერთი არსებითი დეტალი. მე ვიშოვე აუცილებელი ასლი, რომელიც ხარვეზს ავსებს. ამან მოითხოვა ბევრი ზედმეტი დავიდარაბა და ჯაფა. იმედი მაქვს მორიგი გასამრჯელოს მიღებისა, ხუთასი გირვანქის ოდენობით. ფოსტას ვერ ვენდობი. არც მივიღებ არაფერს, გარდა ოქროსი და ბანკნოტებისა, - შემეძლო მენახეთ საზღვარგარეთ, მაგრამ მეშინია ეჭვს აიღებენ, თუ სწორედ ახლა გავემგზავრები სამშობლოდან. ამიტომ იმედი მაქვს, რომ შევხვდებით ერთმანეთს ჩარინგკროსის მოსაწევ ოთახში შაბათს, დღის თორმეტ საათზე. ვიმეორებ, თანახმა ვიქნები მხოლოდ ინგლისურ ბანკნოტებზე ან «ოქროზე».

- ჩინებულია, - თქვა ჰოლმსმა. - ძალიან გამიკვირდება, თუ ასეთ წერილს არ გამოეხმაურა.

ჰოდა, ისიც გამოეხმაურა! მაგრამ სხვა ყველაფერი უკვე ისტორიის სფეროს განეკუთვნება, მის იმ საიდუმლო ანალებს, რომელნიც ხშირად ოფიციალურ ქრონიკებზე უფრო საინტერესონი არიან. ობერშტაინი, რომელსაც სწყუროდა, ასე ბრწყინვალედ დაწყებული და თავისი ყველაზე უფრო სარფიანი საქმე ბოლომდე მიეყვანა, მახეში გაება და თხუთმეტი წლით საიმედოდ მოაყუჩეს ინგლისის ციხის კედლებში. მის ჩემოდანში იპოვეს ბრიუს-პარტინგტონის ფასდაუდებელი ნახაზები, რომლებიც სურდა აუქციონზე გაეყიდა. მთელი ევროპის სამხედრო-საზღვაო ცენტრებში.

პოლკოვნიკი უოლტერი დაპატიმრების მეორე წლის ბოლოსვე მოკვდა; რაც შეეხება ჰოლმსს, მან წარმატებით განაგრძო მუშაობა მონოგრაფიაზე «ლასუსის პოლიფონიური მოტეტები». შემდეგ ის დაიბეჭდა მკითხველთა ვიწრო წრისათვის და სპეციალისტებმა შეაფასეს, როგორც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა მოცემულ საკითხზე. რამდენიმე კვირის შემდეგ შევიტყვე, რომ აღწერილი მოვლენების მერე, ჩემმა მეგობარმა უინძორის სასახლეში გაატარა ერთი დღე და იქიდან დიდებული ზურმუხტის ქინძისთავით საყელოდამშვენებული დაბრუნდა. როცა ვკითხე, სად იყიდე-მეთქი, მიპასუხა, რომ ესაა საჩუქარი ერთი დიდებული ლედისა, რომელსაც დიდად საყურადღებო სამსახური გაუწია. მეტი აღარაფერი უთქვამს, მაგრამ მივხვდი, რომ ლაპარაკი იყო უავგუსტოესზე და ჰოლმსს ეს ზურმუხტის ქინძისთავი მუდამ მოაგონებს ბრიუს-პარტინგტონის წალქვეშა ნავის გატაცებულ ნახაზებს, რომლებიც მან ბრიტანეთის სამეფოს დაუბრუნა.

შერლოკ ჰოლმსი სიკვდილის პირას

შერლოკ ჰოლმსის ბინის პატრონი მისის ჰადსონი ნამდვილად გაწამებული ქალი იყო. ჯერ იყო და მისი სახლის ზედა სართულზე ნებისმიერ დროს ათასი ჯურის ავან-ჩავანი მიდი-მოდიოდა, მერე იყო და თვითონ სახელგანთქმული მდგმური თავისი ექსცენტრულობითა და მოუწესრიგებელი ცხოვრებით დიასახლისის მოთმინებას მაჯლაჯუნასავით აწვა. უაღრესი უწესრიგობა, არევ-დარევა, დღე-ღამის ყოველ შეუფერებელ დროს მუსიკის დაკვრა, რევოლვერის სროლა ოთახში, გამოუცნობი და ზოგჯერ ფრიად მყრალი ქიმიური ცდები, ატმოსფერო დანაშაულობათა და საშიშროებისა, რითაც იქაურობა იყო გარემოცული, ჰოლმსს ალბათ მთელს ლონდონში ყველაზე უფრო აუტანელ მდგმურად აქცევდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ქირას მეფურად იხდიდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ იმ ფულით, რაც ჩემი მასთან ნაცნობობის წლებში მისის ჰადსონს გადაუხადა, იმ სახლის შესაძენად სრულიად საკმარისი იქნებოდა.

მისის ჰადსონი ჰოლმსის წინაშე მოწიწებით იხდიდა ქედს და ერთხელაც არ გაუბედავს დამდურება. მისის ჰადსონს მოსწონდა აგრეთვე უაღრესი სიფაქიზე და თავაზიანობა, რითაც ჰოლმსი მანდილოსნებს ექცეოდა. შერლოკ ჰოლმსს ხომ საერთოდ არ უყვარდა ქალები, არ ენდობოდა მათ, მაგრამ მათთან თავი რაინდულად ეჭირა. ვიცოდი მისის ჰადსონის გულწრფელი კეთილგანწყობის ამბავი ჰოლმსისადმი და მღელვარებით მოვუსმინე, როცა ერთხელ, ჩემი დაქორწინების მეორე წელს, მესტუმრა და მითხრა, ჰოლმსი ავად შეიქნაო.

- კვდება, ექიმო უოტსონ, - მეუბნებოდა, - უკვე სამი დღეა, სულ უარესად და უარესადაა. არ ვიცი, ხვალამდე თუ გაატანს. ექიმის გამოძახება ამიკრძალა. მაგრამ დღეს დილით რომ დავინახე, როგორ გაძვალტყავებია სახე და როგორ უბრწყინავს

თვალები, მეტი ვეღარ მოვითმინე. «თქვენი ნებართვით თუ უიმისოდ, მე ექიმთან მივდივარ», - ვუთხარი. «მაშინ უოტსონს დაუძახეთ», - დამეთანხმა. დრო არ დაკარგოთ, სერ, თორემ შეიძლება ცოცხალს ვერც კი მივუსწროთ!

ამ ცნობამ შემაძრწუნა, მით უმეტეს, რომ ჰოლმსს ავადმყოფობაზე არასოდეს დაუჩივლია. რაღა თქმა უნდა, მაშინვე წამოვავლე პალტოს ხელი და ქუდიც დავიხურე. მისის ჰადსონი გზადაგზა კითხვებით გავაბრუე.

- ძალიან ცოტა რამე შემიძლია გიამბოთ, სერ, - მიპასუხა, - რაღაც საქმეს იკვლევდა როზერჰაიტში, მდინარე რომ უხვევს იმ ადგილას, და ალბათ იქ დასნეულდა. ოთხშაბათს, შუადღისას, დაწვა და აღარ ამდგარა. მთელი ამ სამი დღის განმავლობაში არც არაფერი უჭამია და არც დაულევია.

- ღმერთო ჩემო! რატომ ექიმს არ უხმეთ?

- ნება არ მომცა, სერ. ხომ იცით, როგორი მბრძანებლური ლაპარაკი იცის. ვერ გავბედე ურჩობა. მაგრამ თქვენ თვითონ ნახავთ, მისი დღეები დათვლილია.

ჰოლმსის შეხედვა მართლაც შეგზარავდათ. ნოემბრის ნისლიანი დღის მკრთალ შუქზე მისი საწოლი ოთახიც საკმაოდ ქუფრი იყო, მაგრამ მე თუ რამემ შემაძრწუნა, ეს იყო ბალიშებზე მისვენებული მისი დამჭკნარი სახე. თვალები სწორედ ციებიანივით უბრწყინავდა, ლოყებზე ავადმყოფური სიწითლე გადაჰკრავდა, ტუჩები მუქად ჰქონდა დახორკლილი. ნატიფი ხელები საბანზე კრუნჩხვით მოძრაობდნენ, ხმა ჰქონდა ხრინწიანი და სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა. ოთახში რომ შევედი, უძრავად იწვა, მაგრამ მის თვალებში რაღაც ნაპერწკალმა იელვა - უეჭველია, მიცნო.

- აბა, უოტსონ, როგორც ხედავთ, ცუდი დრო დაგვიდგა, - თქვა სუსტი ხმით, მაგრამ უწინდებური ხუმრობის კილო მაინც შევნიშნე.

- ძვირფასო მეგობარო, - შევძახე და მივუახლოვდი.

- შეჩერდით! არ მომიახლოვდეთ! - შესძახა ისე მკვეთრად და მბრძანებლურად, როგორაც მხოლოდ ყველაზე უფრო დაძაბულ წუთებში სჩვეოდა.

- თუ კიდევ მომიახლოვდებით, მაშინვე გიბრძანებთ, წახვიდეთ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ასეთია ჩემი ნება. განა ეს საკმარისი არ არის?

დიახ, მისის ჰადსონი მართალს ამბობდა, მბრძანებლური ლაპარაკი სჩვეოდა ჩემს მეობარს, მაგრამ ახლა მართლაც საცოდავი სანახავი იყო.

- მე ხომ მხოლოდ დახმარება მინდა აღმოგიჩინოთ, - მივუგე.

- მართალია. თუ დახმარება გინდათ, ის გააკეთეთ, რასაც გიბრძანებთ.

- კეთილი, ჰოლმს.

ცოტა მოლბა.

- ხომ არ გეწყინათ? - მკითხა სულშეხუთულმა.

საბრალო! რა უნდა მწყენოდა, როცა ასეთ დღეში იყო!

- თქვენი გულისთვის გეუბნებით, - თქვა ხრინწიანი ხმით.

- ჩემი გულისთვის?!

- ჰო, ვიცი, რაც მჭირს. ამ სნეულების სამშობლო სუმატრაა. ჰოლანდიელები ავადმყოფობას ჩვენზე კარგად იცნობენ, მაგრამ ჯერ არც მათ იციან ბევრი არაფერი. აშკარაა მხოლოდ ის, რომ უეჭველად მომაკვდინებელი და საშინელი გადამდები სენია.

ციებით შეპყრობილის ენერგიით ლაპარაკობდა, გრძელ ხელებს მოუსვენრად ამოძრავებდა, თითქოს ჩემი მოშორება უნდოდა.

- შეხებით გადადის, უოტსონ, მხოლოდ შეხებით! რაც შეიძლება შორს დადექით და ყველაფერი კარგად იქნება.

- ღმერთო ჩემო, ჰოლმს! ნუთუ ფიქრობთ, რომ ამას ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა ექნება? თქვენს ადგილას უცხოც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი ვერ შემაჩერებდა ეს მიზეზი და განა ეგ შემიშლის ხელს, დახმარება აღმოგიჩინოთ, თქვენ, ჩემს ძველ მეგობარს?

ისევ გადავდგი მისკენ ნაბიჯი, მაგრამ ლამის გაცოფდა, ისე მომიშორა.

- მხოლოდ მაშინ დაგელაპარაკებით, თუ შორს დადგებით. წინააღმდეგ შემთხვევაში წასვლა მოგიხდებათ.

მე იმდენად პატივს ვცემდი მის არაჩვეულებრივ ნიჭს, რომ მის ნათქვამს მაშინაც კი ვასრულებდი, როცა ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. მაგრამ მე ხომ ექიმი ვიყავი. ჩემში გაიღვიძა პროფესიულმა ინსტინქტმა და თავმოყვარეობამ. ჩემს არსებაში ისინი ერთმანეთს გადაეწნა, აღდგა და მე ვიფიქრე: დაე, მიბრძანოს ჰოლმსმა ყველა სხვა შემთხვევაში, მაგრამ ახლა მე ექიმი ვარ, სნეულის საწოლთან ვდგევარ და დამოუკიდებლად უნდა ვიმოქმედო.

- ჰოლმს, თქვენ თვითონ არ იცით, რას აკეთებთ, - ვუთხარი, - ავადმყოფი იგივეა, რაც ბავშვი. გინდათ თუ არა, მე უნდა გაგსინჯოთ და გიმკურნალოთ.

ბრაზმორეულმა გადმომხედა.

- თუ ჩემი სურვილის წინააღმდეგ დამაყენებთ თავზე ექიმს, ის მაინც უნდა მომიყვანოთ, ვისაც ვენდობი.

- მაშ, მე არ მენდობით?

- თქვენს მეგობრობას - სავსებით, რა თქმა უნდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. თქვენ, უოტსონ, ბოლოს და ბოლოს ჩვეულებრივი ექიმი ხართ, ძალიან მცირე გამოცდილებისა და კვალიფიკაციისა. მიმძიმს ასე ლაპარაკი, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს.

ღრმად შეურაცხყოფილი ვიყავი.

როგორ კადრულობთ ასეთ ლაპარაკს, ჰოლმს. თქვენი ნათქვამი იმის დასტურია, რომ ნერვული სისტემა ძალზე მოშლილი გაქვთ. მაგრამ თუ არ მენდობით, ძალით არ მოგახვევთ თავზე ჩემს სამსახურს. ნება მომეცით, მოგიყვანოთ ჯასპერ მიკი ან პენროზ ფიშერი, ან ლონდონის სხვა რომელიმე ყველაზე უფრო ცნობილი ექიმი. ასე თუ ისე, ვინმემ დახმარება უნდა აღმოგიჩინოთ, თუ იმას ფიქრობთ, რომ დავდგები და მშვიდად ვუყურებ, როგორ მოკვდებით, სასტიკად ცდებით.

- თქვენ ჩემი სიკეთე გინდათ, უოტსონ, - თქვა ჰოლმსმა წყნარი ამოკვნესით. - მაგრამ გინდათ დაგიმტკიცოთ თქვენი უმეცრება? მითხარით, გეთაყვა, რა იცით ტაპანულის პროვინციის ციებაზე ან ფორმოზის შავ წყლულზე?

- არასოდეს არ გამიგონია არც ერთი და არც მეორე.

- აღმოსავლეთში, უოტსონ, ბევრი უცნაური სნეულება და ნორმიდან მრავალი გადახრაა, - ჰოლმსი ყოველი ფრაზის შემდეგ ისვენებდა, რომ ძალა მოეკრიბა. - უკანასკნელ ხანებში მე ეს გავიგე ერთ სამედიცინო - სისხლის სამართლის დანაშაულის კვლევასთან დაკავშირებით. თქვენ, უოტსონ, მე ვერ მიმკურნალებთ.

- შესაძლოა ასეც იყოს. მაგრამ შემთხვევით გავიგე, რომ ექიმი ენსტრი, ტროპიკულ სნეულებათა საუკეთესო მცოდნე მთელს მსოფლიოში, ამჟამად ლონდონში იმყოფება. ნუ დამიშლით, ჰოლმს, მე ახლა მასთან მივდივარ და მალე აქ მოგგვრით!

ვთქვი და გადაჭრით გავბრუნდი კარისაკენ.

არასოდეს არ განმიცდია ასეთი ძრწოლა! მომაკვდავი თვალის დახამხამებაში ვეფხვის ნახტომით წინ გადამეღობა და კარის საკეტში გასაღების გადატრიალების

მკვეთრი ხმა გავიგონე. მომდევნო წუთს ჰოლმსი ისევ ლოგინში ეგდო, ენერგიის ამ დაუჯერებელი მოზღვავებით სულშეგუბებული და არაქათდაშრეტილი.

- ძალით ვერ წამართმევთ გასაღებს, უოტსონ. გაებით, ჩემო მეგობარო. აქ ჯდომა მოგიწევთ, ვიდრე გაგიშვებთ. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ (ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ძლივს სუნთქავდა) , იყოს ნება თქვენი, ოღონდ მაცალეთ, ცოტა სული მოვითქვა, უოტსონ. ახლა ოთხი საათია. ექვსზე გაგიშვებთ.

- მაგრამ ეს სიგიჟეა, ჰოლმს!

- სულ ორი საათი, უოტსონ. ექვსზე წახვალთ. მოითმენთ?

- არჩევანის უფლებას თქვენ არ იძლევით.

- სწორედაც ვიქცევი. გმადლობთ, უოტსონ, საბნის გასწორება თვითონაც შემიძლია. უფრო შორს იყავით ჩემგან - ავადმყოფი კაცისაგან - და კიდევ ერთი პირობა, უოტსონ, თქვენ მოიყვანთ არა ენსტრის, არამედ იმას, ვინც მე მინდა, ხომ?

- თანახმა ვარ.

- აი, პირველი გონივრული სიტყვა, რაც თქვენგან მოვისმინე მას შემდეგ, რაც აქ შემოხვედით. ჯერ იმ წიგნებს მიხედეთ, თაროზე რომ აწყვია. მე ცოტა დავიღალე... საინტერესოა, რასა გრძნობს ელექტრობატარეა, როცა ცდილობენ მისი დენი გაუმტარ საგანში გაუშვან?.. ექვს საათზე, უოტსონ, ჩვენს საუბარს განვაგრძობთ.

მაგრამ ჩვენი საუბარი ბევრად უფრო ადრე შედგა და ისეთ გარემოებაში მიმდინარეობდა, რომ ამ ამბავმა უფრო შემაძრწუნა, ვიდრე ჰოლმსის საოცარმა ნახტომმა კარისაკენ.

რამდენიმე წუთს ვიდექი და ლოგინში მწოლ გვამივით მდუმარე მეგობრის სხეულს დაჟინებით ვუცქერდი. ჰოლმსის სახეს სანახევროდ საბანი ფარავდა. თვალები მიელულა და თითქოს ჩასძინებოდა. კითხვა არ შემეძლო და ოთახში ბორიალს მივყავი ხელი, თან კედლებზე დაკიდებულ სახელგანთქმულ ბოროტმოქმედთა სურათებს ვათვალიერებდი. ასე უმიზნოდ გადავდიოდი ადგილიდან ადგილზე, ვიდრე ბოლოს ბუხართან არ მივედი. ბუხრის თავზე უწესრიგოდ ეყარა ჩიბუხი, თამბაქოს ქისები, შპრიცები, ჯიბის დანები, რევოლვერის ვაზნები და სხვა წვრილმანი. ჩემი ყურადღება მიიპყრო შავ-თეთრსამკაულებიანმა, გამოსაწევსახურავიანმა სპილოს ძვლის კოლოფმა, ძალიან ლამაზი ნივთი იყო და ის იყო ხელი გავიწოდე, რომ უკეთ დამეთვალიერებინა, მაგრამ ანაზდად...

ჰოლმსმა ისე გულგამგმირავად შეჰყვირა, რომ მის ხმას უთუოდ ქუჩის ბოლოშიც გაიგონებდნენ. ტანში სუსხმა დამიარა, სმენისწამღებმა შეყვირებამ თმები ყალყზე დამიყენა. მოვბრუნდი და დავინახე ჰოლმსის დაბღენჯილი სახე, კარგად შევნიშნე მისი გიჟური გამოხედვა. გავქვავდი და პატარა კოლოფს ხელი მოვუჭირე.

- დადექით ადგილზე! დაუყოვნებლივ უშვით ხელი, უოტსონ, ახლავე, შეასრულეთ, რასაც გეუბნებით!

როცა კოლოფი თავის ადგილზე დავაბრუნე, გულზე მოეშვა, ბალიშს როგორღაც უღონოდ მიეყრდნო და თავი უკან გადაუვარდა.

- ვერ ვიტან, როცა ჩემს ნივთებს ხელს ტანტრავენ, უოტსონ, ეს ხომ იცით! და რა გაუთავებლად მიდი-მოდიხართ, პირდაპირ აუტანელია. თქვენ, ექიმი კაცი, პაციენტს სიგიჟემდე მიიყვანთ. დაჯექით და მომასვენეთ.

მომხდარმა ამბავმა ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ველური, უმიზეზო აღგზნება, რაც სულაც არ ახასიათებდა, ჩვეულებრივ, თავშეკავებულ ჰოლმსს, მიჩვენებდა, თუ რა შორს წასულა მისი ნერვული მოშლილობა. კეთილშობილი გონების დაცემა - რა უნდა იყოს ამაზე სავალალო და სამწუხარო? სრულიად დათრგუნვილი განწყობილებით ვიჯექი სკამზე, ვიდრე დანიშნული

საათი დაჰკრავდა. როგორც კი ისრებმა ექვსი აჩვენეს, ჰოლმსი იმავე ციებიანი აგზნებით ამეტყველდა:

- უოტსონ - მკითხა, - ხურდა გაქვთ თან?

- მაქვს.

- ვერცხლი?

- ჰო, საკმაოდ ბევრი.

- რამდენი ნახევარკრონიანი გიძევთ ჯიბეში?

- ხუთი.

- ცოტაა, ძალიან ცოტა! - შესძახა - რა უბედურებაა და რა საწყენია! მაგრამ მაინც გადადევით საათის ჯიბეში, მთელი დანარჩენი ფული კი შარვლის მარცხენა ჯიბეში იქონიეთ. გმადლობთ. ეს თქვენ რამდენადმე გაგაწონასწორებთ.

ეს უკვე აშკარა შეშლილობა იყო. შეაცახცახა და ჩაახველა თუ ჩაისლუკუნა.

- ახლა გაზი აანთეთ, უოტსონ. ძალიან ფრთხილად! გაზი მხოლოდ სანახევროდ უნდა გააღოთ. გეხვეწებით, სიფრთხილე დაიცავით. კარგია, გმადლობთ. არა, ფარდებს ნუ გასწევთ. ახლა, უოტსონ, შაქრის მაშას ხედავთ? იმით აიღეთ ბუხარზე ის შავი ზარდახშა, გთხოვთ. ფრთხილად. დადგით აქ, მაგიდაზე ქაღალდებს შორის. ჩინებულია! ჰო, ახლა კი წადით და მომიყვანეთ მისტერ კელვერტონ სმითი - იგი ლოუერ-ბერკ-სტრიტზე, ცამეტ ნომერ სახლში ცხოვრობს.

სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი განზრახვა, ექიმისთვის დამეძახა და მომეყვანა, ცოტა განელდა, რადგან ჩემი საბრალო მეგობარი ბოდავდა და მისი მარტო დატოვებისა მეშინოდა. მაგრამ ახლა ის დაჟინებით ითხოვდა სმითის მოყვანას, მოითხოვდა ისევე გადაჭრით, როგორც უწინ ყოველგვარ დახმარებაზე უარს ამბობდა.

- ასეთი ექიმის სახელი და გვარი არასოდეს გამიგონია, - ვუპასუხე მე.

- ძალიან ადვილი შესაძლებელია, ძვირფასო უოტსონ, და იქნებ გაგიკვირდეთ, რომ ამ სნეულების საუკეთესო მცოდნეა არა ექიმი, არამედ პლანტატორი. მისტერ კელვერტონ სმითი სუმატრის მკვიდრია და იქ კარგად იცნობენ, ლონდონში კი მხოლოდ საქმეზეა ჩამოსული. ამ სნეულების გავრცელებამ მის პლანტაციებში, სადაც ახლომახლო სამედიცინო დაწესებულება არაა, აიძულა, რომ თვითონ მოეკიდა ხელი მისი შესწავლისათვის და თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწია. სმითი მეტისმეტად თანმიმდევრული, პედანტი კაცია. თქვენი გაშვება ექვსზე ადრე არ მინდოდა იმიტომ, რომ შინ არ დაგხვდებოდათ. თუ თქვენ მოახერხებთ და დაიყოლიებთ, რათა ჩემზე გამოიყენოს თავისი განსაკუთრებული ცოდნა მედიცინის ამ დარგში, უსათუოდ მიშველის.

მე გადმოგცემთ ჰოლმსის სიტყვებს ერთმანეთთან დაკავშირებულს. სინამდვილეში კი მისი ლაპარაკი ხშირად წყდებოდა სულის ხუთვითა და ხელების კრუნჩხვით, რაც მოწმობდა, როგორ ტანჯავდა ავადმყოფობა. იმ მცირე ხანში, რაც მასთან დავყავი, მდომარეობა გაუუარესდა. ციებიანის სიწითლე უფრო მკვეთრად გამოეხატა, ღრმად ჩამუქებული ფოსოებიდან თვალები კიდევ უფრო უბრწყინავდა, შუბლზე კი წარამარა ცივი ოფლი ასხამდა. მიუხედავად ამისა ჩემმა მეგობარმა მაინც შეინარჩუნა თავისი მშვიდი, მკაფიო მეტყველება. ვატყობდი, რომ იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაუტეხელი დარჩებოდა.

- დაწვრილებით მოუთხრობთ ჩემს მდგომარეობას, - თქვა - აუწერთ შთაბეჭდილებას, რაც თქვენზე მოვახდინე, ეტყვით, რომ მე ვბოდავ, რომ მე უკანასკნელ დღეში ვარ და ვკვდები. პირდაპირ გაუგებარია, რატომ არ წარმოადგენს მთელი ოკეანის ფსკერი ხამანწკების ერთიან მასას, - ისინი ხომ ასე სწრაფად

მრავლდებიან! ოჰ, მე კიდევ გადავუხვიე! საინტერესოა, როგორ უწევს ტვინი კონტროლს საკუთარ თავს... რას ვამბობდი, უოტსონ?

- თქვენ მაძლევდით მითითებებს, როგორ უნდა ველაპარაკო მისტერ კელვერტონ სმითს.

- აჰ, მახსოვს. ჩემი სიცოცხლე იმაზეა დამოკიდებული, უოტსონ. ეცადეთ დაიყოლიოთ. მასთან ცუდი ურთიერთობა მაქვს. მისი ძმისწული მოკვდა, უოტსონ... რაღაც ურიგო ეჭვი შევიტანე, ეს იყნოსა და იგრძნო. ყმაწვილი საშინელი ტანჯვით მოკვდა. სმითი ჩემზე გაბრაზებულია. როგორმე გული მოულბეთ, უოტსონ. სთხოვეთ, შეევედრეთ, რაიმე ღონისძიებით მომიყვანეთ აქ. მხოლოდ მას შეუძლია ჩემი ხსნა, მხოლოდ მას!

- გპირდებით, რომ კებით მოგიყვანთ აქ, თუნდაც ძალით მომიხდეს მისი კებში ჩასმა.

- არა, ეს არ გამოდგება. უნდა დაარწმუნოთ, რომ მოვიდეს. თვითონ კი უფრო ადრე მოდით. რაიმე მიზეზი მოიგონეთ, რომ მასთან ერთად მოსვლა არ მოგიხდეთ. არ დაგავიწყდეთ, უოტსონ, არ მიმატოვოთ. თქვენ ხომ არასოდეს გაგიწბილებივართ. უეჭველია, რომელიღაც ბუნებრივი მტრები აფერხებენ ხამანწკების გამრავლებას. მე და თქვენ, უოტსონ, გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. ნუთუ მთელი მსოფლიო ხამანწკებით აივსება? არა, არა, ეს მეტად საშინელია. გადაეცით სმითს თქვენი შთაბეჭდილება ჩემს ავადმყოფობაზე, რაც შეიძლება დაწვრილებით უამბეთ ყოველივე.

მე წავედი და თან გამყვა სახე ამ უჭკვიანესი ადამიანისა, რომელიც ბავშვივით ტიტინებდა. გასაღები გადმომცა და მაშინვე მომივიდა ბედნიერი აზრი, რომ თან წამეღო გასაღები, რათა ჰოლმსს ოთახი შიგნიდან არ ჩაეკეტა. თვალცრემლიანი მისის ჰადსონი გარეთ, დერეფანში მელოდა. წასვლისას გავიგონე, როგორ გააბა ჰოლმსმა რაღაც გიჟური სიმღერა. ვიდრე ქუჩაში კებს მოვუხმობდი, ნისლიდან გამოსული ვიღაც ბნელით მოცული კაცი აჩრდილივით მომიახლოვდა.

- როგორაა მისტერ ჰოლმსი? - მკითხა.

იგი ჩემი ძველი ნაცნობი ინსპექტორი სკოტლენდ-იარდელი მორტონი აღმოჩნდა. სამოქალაქო სამოსელი ეცვა და ძლივს შევიცანი.

- ძალიან ცუდად, - ვუპასუხე მე.

რაღაც უცნაურად გადმომხედა. რაღაც ძალიან დაუჯერებელი რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, რომ მაღლიდან მომავალ შუქზე მისი სახე კმაყოფილებით გაიბადრა.

- კი, გავიგე ეს ამბავი, - თქვა.

ლუერ ბარკ სტრიტი გრძელი, ლამაზი სახლების რიგი იყო ნოტინგ ჰილსა და კესინგტონს შორის. შენობას, რომელთანაც კები გაჩერდა, რაღაც ამპარტავნული და შთამაგონებელი სახე ჰქონდა. სპილენძის ბრწყინვალესახელურებიანი მძიმე ორფრთიანი კარი ამშვენებდა და ირგვლივ ძველმოდური რკინის ზღუდე იყო აღმართული. საერთო შთაბეჭდილებას შეეფერებოდა დიდებული მსახურთუფროსი, ელექტროჭაღის ვარდისფერ შუქზე ზღურპლზე რომ გამოჩნდა.

- დიახ, მისტერ კელვერტონ სმითი შინ გახლავთ. დოქტორი უოტსონი? კეთილი, სერ, მიბოძეთ თქვენი სადარბაზო ბარათი.

ჩემი უბრალო სახელი და პროფესია, ეტყობოდა, მისტერ კელვერტონ სმითს დიდად არ ეპიტნავა. ნახევრად ღია კარში გავიგონე გაღიზიანებული კაცის გამყივანი ხმა:

- ეს ვინღაა? რა უნდა? რამდენჯერ მითქვამს, სტეპლს, რომ, როცა მე ვმუშაობ, ხელის შეშლა არ შეიძლება!

მერე მომესმა მსახურთუფროსის წყნარი, დამამშვიდებელი ხმა.

- არ მივიღებ, სტეპლს. ვერ ვიტან ასეთ დაბრკოლებებს. შინ არა ვარ. ასე უთხარით. თუ ვჭირდები, ხვალ დილით მოვიდეს.

ისევ წყნარი დუდუნი.

- წადით, წადით, ასე უთხარით. დილით მოვიდეს, ან სულაც ნუ მოვა.

მე თვალწინ დამიდგა ჰოლმსი, როგორ ბორგავდა ლოგინში და ელოდა მხსნელს. აქ ხათრიჯამობის დრო აღარ იყო. ჰოლმსის სიცოცხლე დამოკიდებული იყო ჩემს მოწადინებასა და დაჟინებაზე. ვიდრე მსახურთუფროსი თავისი ბატონის განმარტებას გადმომცემდა, განზე ვუბიძგე და ოთახში შევედი.

კაცი, რომელიც ბუხართან იჯდა სავარძელში, გაბრაზებული შეძახილით წამოიჭრა. მე დავინახე დიდი, ყვითელი სახე, უხეში ნაკვთები, მძიმე, ორმაგი ნიკაპი, ბრიალა და ბოროტი რუხი თვალები, წითური, ბანჯგვლიანი წარბების ქვემოდან რომ რისხვით შემომცქეროდნენ. ვარდისფერ მელოტ თავზე ხავერდის პატარა, გვერდზე კოხტად გადახრილი ქუდი დაეკოსებინა. თავის ქალა კი უზარმაზარი ჰქონდა. მაგრამ თვალი რომ დავაყოლე, განცვიფრებულმა შევნიშნე, რომ იგი დაბალი ტანისა იყო, გონჯი, გალეული, მხრებსა და ზურგის მხარეს მოღრეკილი, ალბათ, ბავშვობაში რაქიტი ჰქონდა გადატანილი.

- ეს რას ნიშნავს? - ყვიროდა ხმამაღლა, მკივანა ხმით. - რას ნიშნავს ეს შემოჭრა? მე ხომ გიბრძანეთ, რომ ხვალ დილით მოსულიყავით!

- მაპატიეთ, - ვუპასუხე, - მაგრამ გადაუდებელი საქმეა და მოთმინების თავი არა მაქვს, მისტერ შერლოკ ჰოლმსი... - ჩემი მეგობრის ხსენებამ კაცუნაზე საოცარი ზეგავლენა მოახდინა. ბრაზი მაშინვე გაუქრა. სახე დაეძაბა და დიდი ყურადღებით შემომაცქერდა.

- ჰოლმსის გამოგზავნილი ხართ? - მკითხა.

- სწორედ იქიდან მოვდივარ.

- რა სჭირს ჰოლმსს?

- ძალიან, ძალიან მძიმედაა ავად, ამისათვის მოვედი თქვენთან.

მასპინძელმა სკამი მიჩვენა და თვითონ ისევ სავარძელში ჩაჯდა. ბუხრის თავზე, სარკეში გაიელვა მისმა სახემ. ფიცის ქვეშ შემიძლია განვაცხადო, რომ საზიზღარი, ბოროტი ღიმილი გადაეფინა სახეზე. მაგრამ იქვე დავაჯერე თავი, რომ ეს იყო მხოლოდ ნერვული კრუნჩხვა. ერთი წუთის შემდეგ, როცა ჩემსკენ შემობრუნდა, სახეზე გულწრფელი წუხილი ჰქონდა გამოხატული.

- რა მითხარით, გული მეტკინა, - თქვა. - მისტერ ჰოლმსს მხოლოდ საქმიან ნიადაგზე შევხვედრივარ, მაგრამ ფრიად პატივსა ვცემ ტალანტისა და პირადი ღირსებებისათვის. ის დანაშაულობათა მესაიდუმლეა, მე კი სნეულებათა მცოდნე ვარ. ის ებრძვის ბოროტმოქმედებს, მე - მიკრობებს. აი, ჩემი ტყვეები, - განაგრძო და მიჩვენა ბოთლები და ქილები, კედელთან მაგიდაზე რომ ედგა... - ამ ჟელატინის დამუშავებულ ხსნარებში იხდიან სასჯელს ძალზე საშიში დამნაშავეები.

- ჰოლმსს თქვენი ხილვა სწორედ თქვენი სპეციალური ცოდნის გამო სწადია. უაღრესად დიდი აზრისაა თქვენზე და სჯერა, რომ მთელს ლონდონში მხოლოდ თქვენ ერთს შეგიძლიათ მისი შველა.

კაცუნა უცებ წამოდგა და მისი კოხტა ქუდი იატაკზე დავარდა.

- რატომ? - მკითხა. - რატომ ჰგონია მისტერ ჰოლმსს, რომ მე გაჭირვებაში მისი შემწე ვიქნები და ვუშველი?

- იმიტომ, რომ თქვენ აღსავლურ სნეულებათა მცოდნე ხართ.

- მაგრამ რატომ ფიქრობს, რომ სნეულება, რაც მას აწუხებს, აღმოსავლურია?

- იმიტომ, რომ ჩინელ მეზღვაურებს შორის, დოკებში მოუხდა მუშაობა.

მისტერ კელვერტონ სმითმა თავაზიანად გაიღიმა და ქუდი აიღო.

- აი, თურმე რა ყოფილა, - თქვა. - იმედი მაქვს, საქმე არც ისეთ დიდ საფრთხესთან გვაქვს, როგორც გგონიათ. რამდენი ხანია, რაც ავადაა.

- დაახლოებით სამი დღე.

- აბოდებს?

- დროდადრო.

- ეს არაა კარგი საქმე. არაადამიანი ვიქნებოდი, რომ მისგან ხმობა ყურად არ მეღო. ძალიან არ მიყვარს, როცა მუშაობას მაწყვეტინებენ, ექიმო უოტსონ, მაგრამ ეს გამოძახება, ცხადია, განსაკუთრებული შემთხვევაა. ახლავე გამოგყვებით.

მე ჰოლმსის მითითება მომაგონდა.

- მე ერთ ადგილას მელოდებიან, - ვუპასუხე.

- კეთილი, მარტო წავალ. მისტერ ჰოლმსის მისამართი ჩაწერილი მაქვს. ნახევარ საათში მასთან ვიქნები.

გული მეკუმშებოდა, ჰოლმსის საწოლ ოთახში რომ შევდიოდი. ამ ხანში შეიძლებოდა ყველაზე უარესი რამ მომხდარიყო. მაგრამ, ჩემდა სასიხარულოდ, მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო. მართალა, სახე მკვდარივით ფერწასული ჰქონდა, მაგრამ ბოდვის კვალიც აღარ დარჩენილიყო. თუმცა ისევ სუსტი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ ჩვეულებრივზე ნათლად და ცოცხლად.

- ნახეთ, უოტსონ?

- კი, ახლავე მოვა.

- ჩინებულია, უოტსონ, ჩინებული. თქვენ გამორჩეული დესპანი ხართ.

- ჩემთან ერთად წამოსვლა მოიწადინა:

- ეს არ შეიძლებოდა, უოტსონ. აშკარად შეუძლებელი იქნებოდა. სნეულების მიზეზები გკითხათ?

- მე ვუთხარი, ისტ-ენდის ჩინელი მეზღვაურები ვუხსენე.

- სწორია! თქვენ გააკეთეთ ყველაფერი ისე, როგორ ნამდვილ მეგობარს შეჰფერის. ახლა, უოტსონ, თქვენ შეგიძლიათ სცენიდან გახვიდეთ.

- უნდა დავიცადო და მისი აზრი მოვისმინო, ჰოლმს.

- ცხადია, მაგრამ მე მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ თავის აზრს ბევრად უფრო გულახდილად იტყვის, თუ მე და ის მარტონი ვიქნებით. ჩემს სასთუმალს უკან საკმაო ადგილია, რომ დაიმალოთ, უოტსონ.

- ძვირფასო ჰოლმს!..

- მეშინია, რომ არჩევანი აღარა გაქვთ, უოტსონ. ოთახში დასამალავი ადგილი არ არის და იქ უკეთესია, სადაც მე გეუბნებით. იქ ყოფნა არავითარ ეჭვს არ გამოიწვევს.

უეცრად ლოგინში წამოჯდა. მის ღონემიხდილ სახეზე სრული სიმტკიცე და გამბედაობა იყო გამოხატული.

- ბორბლების ხმაა, უოტსონ. თუ გიყვარდეთ, იჩქარეთ და არ გაინძრეთ, რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა მოხდეს, გასაგებია? არც ილაპარაკოთ, არც იმოძრაოთ. ოღონდაც ისმინეთ ყოველივე გულდასმითა და, რაც შეიძლება, დიდი ყურადღებით. უეცრად ისევ გამოელია ღონე და მისი მკაფიო, მბრძანებლური სიტყვა იქცა სუსტ, ბუნდოვან ბუტბუტად. კაცი ნახევრად ბოდავდა.

ჩემს სამალავში, სადაც ასე მოულოდნელად აღმოვჩნდი, ჯერ კიბიდან მომავალი ნაბიჯების ხმა შემომესმა, შემდეგ საწოლი ოთახის კარის გაღებისა და

დახურვის ხმა მოსწვდა ჩემს ყურთასმენას. მერე ჩემდა გასაკვირველად, გამეფდა ხანგრძლივი დუმილი, რასაც დროდადრო ავადმყოფის მძიმე სუნთქვა არღვევდა.

ალბათ ჩვენი სტუმარი საწოლთან იდგა და ავადმყოფის ტანჯვას შესცქეროდა. ბოლოს და ბოლოს უჩვეულო დუმილი დაირღვა.

- ჰოლმს, ჰოლმს! - ჩასძახოდა სმითი დაჟინებითა და შეუპოვრად. ჰოლმს, გესმით ჩემი? - მერე მომესმა შრიალი, ალბათ ჩვენი სტუმარი უხეშად ჩააფრინდა მხრებში სნეულს და ანჯღრევდა.

- ეს თქვენა ხართ, მისტერ სმით? - ჩურჩულით თქვა ჰო-ლმსმა - არ მეგონა, რომ მოხვიდოდით.

სმითმა გაიცინა.

- ოღონდაც, - თქვა, - და მაინც აქა ვარ, როგორც ხედავთ. აქა ვართ. მინდა სიავისათვის სიკეთე მოგაგოთ, დიახ, სიავისათვის - სიკეთე.

- ეს ძალიან სასახელო და ძალიან კეთილშობილური საქციელია თქვენის მხრივ. მე ძალიან ვაფასებ თქვენს ცოდნას.

ჩვენი სტუმარი ქირქილებდა.

- საბედნიეროდ, მთელს ლონდონში თქვენს ერთს აღმოგაჩნდათ უნარი ჩემი ცოდნის შეფასებისა. თქვენ იცით, რა გჭირთ?

- იგივე, - თქვა ჰოლმსმა.

- ხედავთ? დაავადების სიმპტომები გამოიცანით?

- დიახ, მეტისმეტად კარგად გამოვიცანი.

- რა გაეწყობა, ჰოლმს, არ გამიკვირდება და სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ის დაავადება იყოს. თუ ასეა, თქვენი საქმე ძალიან ცუდადაა. საწყალი ვიქტორი მეოთხე დღეს მოკვდა, ის კი მაგარი და ჯანიანი ახალგაზრდა იყო. თქვენ მაშინ უნაურად მოგეჩვენათ, რომ ის ლონდონის შუაგულში დაავადდა უცნაური აზიური სნებით, რომელსაც მე საგანგებოდ ვსწავლობ. საოცარი დამთხვევაა, ჰოლმს. თქვენ ეს მარჯვედ შენიშნეთ, რომ თქვენის მხრივ მეტისმეტი სიმკაცრე იყო მტკიცება, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ მიზეზიცა და დამდგარი შედეგიც.

- ვიცოდი, რომ ეს თქვენი ნამოქმედარი იყო.

- თქვენ ეს იყნოსეთ, მაგრამ დამტკიცება არაფრით შეგეძლოთ: ჯერ ჩემს წინააღმდეგ საქმე აღძარით და ახლა თვითონ აღმოჩნდით გასაჭირში, ჩემს წინაშე იხლაკნებით და დახმარებას მეღრიჯებით, არა? რა ვუწოდოთ ყოველივე ამას? ა? როგორი თამაშა გამოვიდა?

მე გავიგონე ავადმყოფის ხრინწიანი, გაძნელებული სუნთქვა. - მომეცით წყალი, - თქვა ისე ჩურჩულით სნეულმა, თითქოს იგუდებოდა.

- ძალიან მალე გამოგივათ წირვა, უძვირფასესო. მაგრამ ისე არ წავალ, რომ ერთი-ორი სიტყვა არ გითხრათ. მხოლოდ ამისათვის გაძლევთ წყალს. დაიჭირეთ! არ გადმოაფურთხოთ.

აი, ასე. გესმით, რასაც გეუბნებით?

ჰოლმსმა დაიკვნესა.

- მიშველეთ, რითაც შეგიძლიათ. დავივიწყოთ, რაც იყო, - ჩურჩულებდა ჰოლმსი, მე თავიდან ამოვიშანთავ მთელ ამ საქმეს. ვფიცავ, ოღონდ განმკურნეთ, ყველაფერს დავივიწყებ.

- რას დაივიწყებთ?

- ვიქტორ სევეჯის სიკვდილის ამბავს. ახლა არ აღიარეთ, რომ ეს თქვენი მოწყობილი საქმე იყო? ამას დავივიწყებ.

- შეგიძლიათ დაივიწყოთ ან, თუ გნებავთ, გახსოვდეთ, მე აღარ მენაღვლება. მოწმეებს შორის თქვენ ვეღარ იქნებით. თქვენ მალე სულ სხვა ადგილას გადაბარგდებით, ჩემო ძვირფასო ჰოლმს, თქვენ იცით, რითაც მოკვდა ჩემი ძმისშვილი, ჰოდა, კეთილი. ახლა თქვენზეა ლაპარაკი და არა იმაზე.

- დიახ, დიახ.

- თქვენმა მეგობარმა, რომელიც ჩემთან გამოაგზანეთ, - სახელი დამავიწყდა, - თქვა, რომ სნეულება ისტ-ენდში, მეზღვაურებისაგან შეგეყარათ.

- მე ნამდვილად აგრე მგონია.

- და მერე თქვენ ამაყობთ თქვენი ჭკუა-გონებით, ჰოლმს! თქვენ თქვენს თავს თვლით ძალიან საზრიანად, ხომ ასეა? მაგრამ ვიღაც თქვენზე გონიერიც აღმოჩნდა. კარგად დაფიქრდით, ჰოლმს, სნეულება რაიმე სხვა გზით ხომ არ შეგეყარათ?

- ფიქრი არ შემიძლია. თავი აღარ მუშაობს, ღვთის გულისათვის, მიშველეთ და გადამარჩინეთ.

- დიახ, გიშველით და დაგეხმარებით იმის დადგენაში, თუ რა და როგორ მოხდა. მე მინდა ეს გაიგოთ, ვიდრე მოკვდებით.

- მომეცით რამე, რომ ეს ტკივილი შემიმსუბუქოს!

- აჰა, თქვენ უკვე ტკივილები დაგეწყოთ? კი, ჩემი ყულიებიც კიოდნენ სიკვდილის წინ. ისეთი განცდა გაქვთ, როგორც კრუნჩხვის დროს, არა?

- ჰო, ეს კრუნჩხვაა.

- არა უშავს, მოსმენაში არ შეგიშლის. მაშ მისმინეთ! ხომ ვერ გაიხსენებთ რაიმე უჩვეულო შემთხვევას თქვენს ცხოვრებაში, ვიდრე ეს ავადმყოფობა შეგეყრებოდათ?

- არა, არაფერი არ მახსენდება.

- კარგად დაფიქრდით.

- მეტისმეტად მძიმე ავად ვარ და ფიქრის თავი არა მაქვს.

- მაშინ მე დაგეხმარებით. ფოსტით ხომ არაფერი მიგიღიათ?

- ფოსტით?

- მაგალითად, კოლოფი.

- მე მგონი ჩემი აღსასრულის წამები დადგა.

- მომისმინეთ, ჰოლმს! - ჩანდა, ეს ჯუჯა ლოგინში მწოლ ჰოლმსს ანჯღრევდა. მე მოუთმენლობამ შემიპყრო და მიჭირდა საფარში გაჩერება.

- თქვენ უნდა გამიგონოთ! გახსოვთ კოლოფი სპილოს ძვლისა? თქვენ ის ოთხშაბათს მიიღეთ. თქვენ ის გააღეთ... გახსოვთ?

- დიახ, დიახ, იქ იყო რაღაც მახვილი ზამბარა. რაღაც ხუმრობა...

- ის რომ ხუმრობა არ გახლავთ, ამაში მალე დარწმუნდებით. რაც შეგემთხვათ, თქვენს თავს დააბრალეთ, ბრიყვო. რატომ გადამიდექით გზაზე? ის თქვენი ახირება რომ არაა, თქვენ არაფერს დაგიშავებდით.

- მომაგონდა! - ჰოლმსი იხრჩობოდა. - ზამბარა! ხელი გავიკაწრე, სისხლი დამედინა. აი, ის კოლოფი, მაგიდაზეა.

- სწორედ ისაა! ახლა ჩემს ჯიბეში ჩაეშვება, ჩასრიალდება და გაქრება. ამრიგად, ჩემს წინააღმდეგ არც ერთი სამხილი აღარ დაგრჩებათ. აბა, ჰოლმს, ახლა სიმართლე იცით და შეგიძლიათ მოკვდეთ იმ შეგნებით, რომ ბოლო მე მოგიღეთ. თქვენ მეტისმეტად ბევრი რამ იცოდით ვიქტორ სევეჯის სიკვდილზე, ამიტომ გაგხადეთ მისი ბედის ზიარი. თქვენ ძალიან მალე მოკვდებით, ჰოლმს. მე აქ დავჯდები და დაველოდები, როგორ ამოგხდებათ სული.

ჰოლმსის ხმა ლამის მიწყდა. ჩურჩულიც ძლივს ისმოდა.

- რა ვქნა? - ჰკითხა სმითმა - სინათლეს მოვუმატო? ლანდები უკვე გამოჩნდნენ? ჰო, გადავატრიალებ გაზის ასაწევ-დასაწევს, რომ უკეთ დაგინახოთ. - ოთახი გადაკვეთა და უეცრად შუქმა ოთახი გააჩახჩახა. - კიდევ ხომ არ აღმოგიჩინოთ რაიმე დახმარება, ჩემო ძვირფასო მეგობარო?

- ცეცხლი და სიგარეტი.

სიხარულით კინაღამ შევყვირე. ჰოლმსი თავისი ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობდა. მართალია, ცოტა მისუსტებულით, მაგრამ მე ხომ ვცნობდი მის ხმას. ამას მოჰყვა გრძელი პაუზა და მე ვიგრძენი, რომ კელვერტონ სმითი უხმო გაოცებით დასცქეროდა ჰოლმსს.

- რას ნიშნავს ეს? - ჰკითხა ბოლოს მშრალი, მკაფიო ხმით.

- იმისათვის, რომ კარგად შეასრულო როლი, უნდა გაითავისო, შეისისხლხორცო ის. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ სამი დღეა არაფერი მიჭამია და არაფერი დამილევია, სანამ თქვენ არ მომაწოდეთ ჭიქა წყალი თავაზიანად, მაგრამ ყველაზე ძნელი მოწევაზე ხელის აღება ყოფილა. სიგარეტიც აქაა! - მე გავიგონე ასანთის გაკვრა-გატკაცუნების ხმა. - აი, ერთბაშად უკეთ გავხდი. ოჰო, მგონი ჩემი მეგობრის ნაბიჯის ხმაც შემომესმა!

გარედან მართლაც მოისმა ნაბიჯების ხმა, კარი გაიღო და ზღურბლზე ინსპექტორი მორტონი გამოჩნდა.

- ყველაფერი რიგზეა, შეგიძლიათ შეიპყროთ, - თქვა ჰოლმსმა.

- თქვენ დაპატიმრებული ხართ ვიქტორ სევეჯის მკვლელობის ბრალდების გამო! - მიუბრუნდა ინსპექტორი ჯუჯას.

- და შეგიძლიათ დაუმატოთ, შერლოკ ჰოლმსის მკვლელობის ცდისათვის! - დაუმატა ჩემმა მეგობარმა, სიცილით, - ავადმყოფი რომ ზედმეტად არ შეეწუხებინა, - მიმართა ინსპექტორს ჰოლმსმა, - კელვერტონ სმითმა თვითონვე მოგცათ ნიშანი, სინათლეს რომ აუწია. სხვათა შორის, პატიმარს პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში ერთი პატარა კოლოფი უდევს. ის უნდა ნივთმტკიცებად დავიტოვოთ, მაგრამ ამის ნივთებთან ძალიან ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. დადევით კოლოფი მაგიდაზე, სასამართლოში გამოგვადგება.

უცებ უეცარი ნახტომის ხმა შემომესმა, რასაც თან ბღლამუნისა და რკინის ჩხარუნის ხმები ახლდა. მერმე ტკივილისაგან გამწარებული კაცის შეძახილიც გავიგონე.

- მხოლოდ თავს დაისახიჩრებთ - უთხრა ინსპექტორმა. - იდექით მშვიდად!

- ეს ხომ მახეა! შესძახა წრიპინა ხმით კაცუნამ. საბრალდებო სკამზე მე კი არა, თქვენ დაგსვამენ, ჰოლმს. გამომიძახა, მიმკურნალეო, მეც ვეახელი, ახლა, რა თქმა უნდა, იტყვის, რომ რაღაც სისულელეებს ვროშავდი, რაც თვითონვე მოიგონა თავისი გიჟური ეჭვების დასადასტურებლად. რამდენიც გენებოთ, იმდენი იცრუეთ, ჰოლმს. ჩემს სიტყვებს თქვენსაზე არნაკლები წონა და გასავალი ექნება.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ჰოლმსმა. - მე ხომ სულ გადამავიწყდა ჩემი მეგობარი. ძვირფასო უოტსონ, ათას ბოდიშს გიხდით. წარმოგიდგენიათ? როგორ გამომრჩა მხედველობიდან, რომ თქვენ ამ ამბების თვალით მხილველი ბრძანდებით და ყველაფერი თქვენი საკუთარი ყურით მოისმინეთ. კელვერტონ სმითს აღარ გაგაცნობთ, კარგად იცით, დღეს უკვე ნახეთ, კები გაქვთ, ინსპექტორო? უკან გამოგყვებით, როგორც კი ჩავიცვამ, ალბათ დავჭირდები პოლიციას.

ჩაცმისას რამდენიმე ნამცხვარი შეჭამა და ჭიქა კლარეტით წყურვილი მოიკლა.

- ასეთი კმაყოფილებით არც არასოდეს მიჭამია და არც მისვამს, - თქვა მან. - თუმცა ჩემი ცხოვრების წესი რაიმე განსაკუთრებული წესრიგით არ გამოირჩევა და

ასეთი საგმირო საქმეების ჩადენა ჩემთვის უფრო იოლია, ვიდრე სხვებისათვის. აუცილებელი იყო, მისის ჰადსონს ერწმუნა ჩემი ავადმყოფობა, რადგან ეს ახალი ამბავი მას უნდა ეუწყებინა თქვენთვის, უოტსონ, თქვენ კი, თქვენის მხრივ, მისტერ სმითი უნდა დაგერწმუნებინათ. ხომ არაფერი გეწყინათ, უოტსონ? თქვენ ძალიან ნიჭიერი კაცი ხართ, მაგრამ აღიარეთ, რომ ავადმყოფის როლის შესრულება ჩემსავით არ შეგიძლიათ. თქვენ რომ ჩემი საიდუმლო წინასწარ გცოდნოდათ, ვერასოდეს დაარწმუნებდით მისტერ სმითს, რომ საჭირო იყო მისი ჩემთან მოსვლა. ხოლო მისი მოსვლა ჩემი გეგმის მთავარი ნაწილი იყო. ვიცოდი მისი შურისმაძიებლური ხასიათი და დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიდოდა, რათა თავისი წინასწარგანზრახული მოქმედების დანაშაულებრივი შედეგი თავისი თვალით ეხილა.

- მაგრამ თქვენი გარეგნობა, ჰოლმს, სიკვდილის მაუწყებელი ფერი და დამჭკნარი სახე?

- სამი დღის სრული მარხვა ადამიანს უცებ ახდუნებს. დანარჩენს კაცი იოლად მოახერხებს, ცოტაოდენი ვაზელინი შუბლზე, ბელადონას წვეთები თვალში, ფერუმარილი ღაწვებზე, ცვილის თხელი ფენა ტუჩებზე - ყველაფერი ამით სრულიად დამაკმაყოფილებელი ეფექტის მიღწევა შეიძლება. სნეულებით სიმულაციას, ალბათ, ერთ კარგ მონოგრაფიას მივუძღვნი. ხოლო ბოდვა ხანმანწკებზე, ნახევარკრონებზე და სხვა საგნებზე, რომელთაც საქმესთან კავშირი არა აქვთ, ისეთ ჩინებულ შთაბეჭდილებას ახდენს, ვითომ მართლა ბოდავ, ხომ ასეა, უოტსონ?

- მაგრამ რატომ არ მიმიშვით ახლოს, როცა არავითარი გადამდები ავადმყოფობა არ გჭირდათ.

- ამას როგორ მეკითხებით, ძვირფასო უოტსონ! თქვენ მართლა ხომ არ გგონიათ, რომ თქვენს სამედიცინო ცოდნას არ ვაფასებდე? განა შემეძლო იმის იმედი მქონოდა, რომ თქვენს გამოცდილ თვალს შეუმჩნეველი დარჩებოდა მომაკვდავი კაცის მაჯისა და ტემპერატურის უცვლელობა? ხოლო თუ ჩემს ავადმყოფობას ვერ დაგაჯერებდით, მაშინ სმითს ვინ მომიყვანდა? იმ კოლოფს კი თუ გვერდიდან შეხედავთ, ნახვრეტს აშკარად შეამჩნევთ. კოლოფს რომ გააღებთ, იმ ნახვრეტიდან ზამბარა ისარს გამოახტუნებს და გველივით დაგგესლავთ. ეტყობა, რაღაც ამნაირი მოწყობილობით იქნა მოკლული საბრალო სევეჯი, რომელიც ამ ურჩხულსა და სამემკვიდრო ქონებას შორის იდგა. თქვენ კარგად იცით, რომ ძალზე მრავალფეროვან კორესპონდენციებს ვიღებ და უკვე მივეჩვიე საფრთხეს. ყოველ უცნაურ ამანათს ეჭვით ვუყურებ. მე წინასწარ ვვარაუდობდი, თუ სმითს დავარწმუნებდი, რომ მისი ბოროტი განზრახვა წარმატებით დაგვირგვინდა, აღსარებას იტყოდა და ყველაფერს ამოღერღავდა. ჩემი მოგონილი სნეულება კი ისე გავითამაშე, როგორც ნამდვილმა არტისტმა.

თქვენი დიდად მადლობელი ვარ, უოტსონ, ახლა კი დამეხმარეთ, პალტო ჩავიცვა. როცა პოლიციაში საქმეს მოვრჩებით, ვფიქრობ, არ გვაწყენდა, თუ დასანაყრებლად სიმპსონთან შევივლიდით.

ლედი ფრენსის კარფექსის გაუჩინარება

- მაგრამ რაღა თურქული? - მკითხა შერლოკ ჰოლმსმა და დაჟინებით შეათვალიერა ჩემი წაღები. მე მაღალ წნულ სავარძელში, ფეხებგაჭიმული ვიჯექი და მისი მუდამ ფხიზელი მზერა ჩემმა ფეხსაცმელმა მიიპყრო.

- ინგლისურია, - გაოცებით გამოვეპასუხე მე. - ლატიმერთან ვიყიდე ოქსფორდ-სტრიტზე.

ჰოლმსმა გაიღიმა და სახეზე დიდად მომთმენი კაცის გამომეტყველება გამოეხატა.

- აბანო, აბანოა თურქული და არა წაღები! რატომ მიმასუსტებელი და ძალიან ძვირად ღირებული თურქული აბანო და არა ჩვენი საკუთარი აბაზანა, შინ?

- იმიტომ, რომ დახანებული რევმატიზმი მაწუხებს, თურქული აბანო კი სწორედ ისაა, რასაც ჩვენ, მედიკოსები ასეთ შემთხვევაში ვურჩევთ ადამიანებს. კარგა ლაზათიანი დაზელა კუნთებისა და ტანის შეხურება, რის შემდეგაც თითქოს ხელახლა იბადები, ყველას უხდება.

- სხვათა შორის, ჰოლმს, - განვაგრძე მე, - ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისათვის ჩემს ფეხსაცმელსა და თურქულ აბანოს შორის კავშირი თავისთავად ცხადია, მაგრამ ძალიან დაგიმადლებთ, თუ მაინც ამიხსნით თქვენ რას გულისხმობთ და სწორ კვალზე დამაყენებთ.

- მიხვედრა, გონისა და ჭკუის მოხმობა, სწავლება და ყოველივე ეს არც ისე მიუწვდომელი რამაა, ძვირფასო უოტსონ. ჰოლმსის თვალებში დამცინავი ნაპერწკლები გაკრთა. - ამ საქმეში სრულიად უბრალო დასკვნების გამოტანაა საჭირო. რითაც მე ხშირად ვსარგებლობ ხოლმე. შეიძლება ასეთი კითხვაც დაიბადოს: ვინ მგზავრობდა დღეს კებით თქვენთან ერთად?

- ეს უკვე დაკითხვაა და არა ახსნა, - ცოტა საყვედურგარეული კილოთი მივუგე მე.

- ყოჩაღ, უოტსონ, პირადი ღირსების გრძნობით და სავსებით ლოგიკურადაა ნათქვამი. მაშ, საიდან დავიწყეთ? მოდით, გავარჩიოთ ჯერ კების ამბავი. თქვენი პალტოს მარცხენა მხარზე და სახელოზე ტალახის შხეფებია. შუა ადგილას რომ მჯდარიყავით, ალბათ სულაც არ მოისვრებოდით, ან პალტოს ორივე კალთა ერთნაირად დაგესვრებოდათ. მაშ, მარცხენა მხარეს იჯექით, და მაშასადამე, მარტო არ ყოფილხართ.

- ჰო, ახლა ყოველივე ნათელია.

- ისე ჩვეულებრივი ამბავია, რომ სასაცილოც კია, არა?

- მაგრამ აბანო და წაღები?

- ო, ეს კიდევ უფრო ბავშვურ გასართობად მოგეჩვენებათ. თქვენ ხომ ფეხსაცმელის ყაითნებს ყოველთვის ერთნაირად იკრავთ. ახლა კი ვხედავ იკლიკანტური ორმაგი მარყუჟი გაგიკეთებიათ. რომელიც სულაც არა ჰგავს თქვენს ნახელავს. ვის შეეძლო თქვენი ყაითნების შეკვრა? ან ხარაზს, ან მოსამსახურეს აბანოში. ხარაზი გამორიცხულია, რადგან ფეხსაცმელი სრულიად ახალია. რა რჩება? რჩება აბანო. ძალიან უბრალო ამბავია, არა? მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, უოტსონ, თურქულმა აბანომ მაინც კეთილი საქმე გიყოთ.

- რას გულისხმობთ?

- თქვენ აღიარეთ, რომ იქ წახვედით სხეულის შესანჯღრევად, კარგა ლაზათიანად დაზელვისა და გამოცოცხლების მიზნით. ნება მიბოძეთ კვლავ მოგცეთ ტანის შენჯღრევისა და გამოცოცხლების შესაძლებლობა. რას იტყვით ლოზანაში გამგზავრებაზე, ძვირფასო უოტსონ, - პირველი კლასის სალონ-ვაგონით, ყველა ხარჯი უკვე გადახდილია და თანაც პრინცივით იმგზავრებთ, ჰა?

- ჩინებულია! მაგრამ რისთვის?

ჰოლმსი თავისებურად გადაწვა სავარძელში და ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო.

- ამქვეყნად ადამიანთა მოდგმის ყველა წარმომადგენელს შორის - დაიწყო ჩემმა მეგობარმა, - ყველაზე უფრო საშიშია მარტოხელა ქალი, უსახლკარო და უმეგობრო. ეს, ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარი და შესაძლოა ყველაზე უფრო სასარგებლო წევრიც კი საზოგადოებისა უცვლელი მიზეზია ბევრი და ბევრი დანაშაულისა. ეს უმწეო არსება დღეს აქაა და ხვალ სხვაგან, მას საკმაო სახსრები აქვს, ქვეყნიდან ქვეყანაში ხეტიალობს, ერთი სასტუმროდან მეორეში გადადის და აი, რომელიმე ცნობილ საეჭვო პანსიონში, ან ტოლებში, მისი კვალი გაქრება; თითქოს წიწილა იყოს, მელიების ქვეყანაში გზააბნეული. და თუ გადასანსლა ვინმემ, მომკითხველიც არავინ აღმოუჩნდება. ალბათ, ლედი ფრენსის კარფექსის თავს ფათერაკი უნდა იყოს.

ზოგადი მსჯელობიდან კონკრეტულ ამბავზე ასეთმა სწრაფმა გადასვლამ გამახარა. ჰოლმსი ფურცლავდა უბის წიგნაკის პატარა ფურცლებს და განაგრძობდა:

- ლედი ფრენსისი - ერთადერთი პირდაპირი შთამომავალია გრაფ რაფტონისა. ამ გვარში, მიწები, იქნებ გახსოვთ კიდეც, ვაჟიშვილების ხელში გადადიოდა. ლედი ფრენსისმა მცირე ქონება მიიღო, მაგრამ მას დარჩა უიშვიათესი ძვირფასეულობა, ძველი ესპანური ნამუშევრები, არაჩვეულებრივი ოსტატობით დაწახნაგებული, ვერცხლში ჩამჯდარი ბრილიანტები. ეს სამკაულები ქალს იმდენად უყვარდა, რომ არ სურდა მათი დატოვება თავის ბანკირთან და ყოველთვის თან დაჰქონდა. ძალიან მანაღვლებს ლედი ფრენსისის ყისმათი. გუნებისა თუ ღვთის უცნაური ახირებით ამ ლამაზ, ჯერაც ახალგაზრდა ქალს ბედის განჩინებაში უწერია იყოს ამ რაღაც ოცი წლის წინ ჯერაც მძლავრი და გაფურჩქნული ხის უკანასკნელი ტოტი, რომელიც ხმება.

- კი, მაგრამ, რა მოუვიდა?

- რა მოუვიდა ლედი ფრენსის კარფექსს? ცოცხალია თუ მკვდარი? აი, ამ დილემის წინაშე ვიმყოფებით. იგი მკაცრი ჩვეულებების მქონე ადამიანია. ოთხი წელია, ორ კვირაში ერთხელ თავის მოხუც გუვერნანტ ქალს, მის დობნის, რომელიც კამბერუელში ცხოვრობს და უკვე დიდი ხანია აღარ მუშაობს, წერილებს სწერს. ამჟამად საქმის ვითარება ასეთია: მის დობნიმ მომმართა და მითხრა: აი, უკვე ხუთი კვირაა, რაც ლედი ფრენსისს არც ერთი სტრიქონი აღარ მოუწერიაო. უკანასკნელი წერილი ლოზანიდან, ოტელ «ნაციონალიდან» მოვიდაო, საიდანაც ისე წასულა, რომ მისამართი არ დაუტოვებია. ახლობლები შფოთავენ. მეტისმეტად შეძლებული ხალხია და რა თქმა უნდა, არავითარ ხარჯს არ დაერიდებიან, თუ გავარკვევთ, რა მოხდა.

- და ეს მის დობნი - ერთადერთი წყაროა, საიდანაც ცნობების მიღება ძალგვიძს? ნუთუ ლედი ფრენსისს სხვა კორესპონდენტები არ ჰყოლია?

- ჰყავდა, უოტსონ, ჰყოლია ერთი კორესპონდენტი, და სწორედ მისგან გავიგე ბევრი რამ საგულისხმო. ეს კორესპონდენტი ბანკი გახლავთ. ლედი ფრენსისის ფული სილვესტრის ბანკში ძევს. მე გავსინჯე მისი ანგარიში. უკანასკნელის წინ ფული გამოუტანია ლოზანის ოტელში ანგარიშის გასასწორებლად, მაგრამ დიდი თანხა აუღია, ასე რომ ხელზეც კაი ძალი ფული დარჩებოდა. შემდეგ გასანაღდებლად მხოლოდ ერთი ჩეკი იქნა წარდგენილი.

- ვის მიერ და სად?

- მადმუაზელ მარი დევინისაა, მაგრამ სად გამოწერეს, არ ჩანს. ის თანხა სამი კვირის წინ ბანკ «ლიონის კრედიტის» მონპელიეს ფილიალს დაუხურავს. ჯამი - ორმოცდაათი გირვანქაა.

- მადმუაზელ მარი დევინი ვინღაა?

- ამისი გარკვევაც მოვახერხე. დავადგინე, რომ მადმუაზელ მარი დევინი ლედი ფრენსის კარფექსს ემსახურებოდა, როგორც მოახლე, მაგრამ რისთვის დასჭირდა მის ფრენსისს, რომ თავისი ფული მოახლისთვის გადაეცა, ეს ჯერ კიდევ ვერ დამიდგენია. ისე, ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ თქვენი ძიება მოკლე ხანში ამის გარკვევაშიც დაგვეხმარება.

- ჩემი ძიება?

- დიახ, თქვენ ხომ ლოზანაში მიემგზავრებით, რათა ცოტა გავარჯიშდეთ. ჩემი წასვლა კი ლონდონიდან არ შეიძლება, ვიდრე აბრაჰამსის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ისედაც, მრავალი მოსაზრებით, ჩემი წასვლა ინგლისის საზღვრებს იქით ამჟამად შეუძლებელია. სკოტლენდ-იარდი უჩემოდ მოიწყენს, სისხლის სამართლის სამყაროში კი გამოცოცხლება დაიწყება. თქვენ გაემგზავრეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, და თუ ჩემი მორიდებული რჩევის ყოველი სიტყვისათვის ორი პენსი გადასახადი მეტისმეტად ძვირი არ მოგეჩვენებათ, დღისა და ღამის ნებისმიერ დროს მზად ვიქნები თქვენდა სამსახურად კონტინენტური ტელეგრაფისათვის მისაწვდომ ფარგლებში.

ორი დღის შემდეგ ლოზანის ოტელ «ნაციონალის» კარი შევაღე. ოტელის სახელგანთქმული მმართველი მუსიე მოზერი განსახიერებული თავაზიანობა იყო. დიახ, ლედი ფრენსისმა მათთან რამდენიმე კვირა იცხოვრა ოტელში. ყველა მოხიბლა. მადამი ჰა და ჰა, ალბათ, ორმოცისა თუ იქნება, მეტის არაა. ახლაც ძალიან კარგი შესახედავია, და აბა წარმოიდგინეთ, ჯეელობისას რა მშვენიერი იქნებოდა; ოჯახური განძისა მუსიე მოზერმა არაფერი იცოდა, მაგრამ მსახურებისაგან გაუგონია, რომ მადამ კარფექსის მძიმე ჩემოდანი საწოლ ოთახში მუდამ დაკეტილი იყო. მოახლე მარი დევინიც ყველას ისე უყვარდა, როგორც მისი ქალბატონი. მარი დევინი დანიშნულიც კი ყოფილა ოტელის ერთ-ერთ ოფიციანტზე და მისი მისამართის გაგება სულაც არ აღმოჩნდა რთული საქმე. «მონპელიე, ტრაიანეს ქუჩა, სახლი 11», - ჩავწერე ჩემს წიგნაკში და გავიფიქრე, რომ თვითონ ჰოლმსს შეშურდებოდა ის სიმარჯვე, რითაც ეს ცნობები მოვიპოვე.

ერთი რამ რჩებოდა ბნელით მოცული და ვერა და ვერ მოვახერხე ამ კუთხისათვის ნათელი მიმეყენებინა, რატომ წავიდა ასე მოულოდნელად ლედი ფრენსისი ლოზანიდან? მისი ცხოვრება აქ ხომ ძალზე სასიამოვნოდ აეწყო! ბუნებრივი იქნებოდა, რომ მთელი სეზონი ლოზანაში გაეტარებინა. ის კი, ერთ მშვენიერ დღეს, უცებ მოემზადა და წავიდა, დაკარგა ერთი კვირის გადახდილი ქირა მშვენიერი ბინისა, რომლის ფანჯრებიც ტბას გადაჰყურებდა. ამ ამოცანის ამოხსნა ვერავინ შეძლო. ერთადერთი ვარაუდი გამოთქვა მოახლის საქმრომ ჯიულის ვიბარმა: ფრენსისის უეცარი წასვლა ოტელიდან დაკავშირებულია ერთი შავგვრემანი, წვერმოშვებული, მაღალი მამაკაცის გამოჩენასთანო, ოტელში ის კაცი წინა დღეს მოსულა. «გტ თფგმფპუბ გტ მუკშეფიდუ თფგმფპუ1» (ველური, ნამდვილი ველური) - გაიძახოდა ჯიულის ვიბარი. ის კაცი ჩვენს ქალაქში სადღაც დაქირავებულ ბინაში უნდა ცხოვრობდესო. ბევრს დაუნახავს, რომ, ერთხელ, როცა მადამი სანაპიროზე სეირნობდა, ის კაცი მიუახლოვდა და აღელვებით ლაპარაკი დაუწყო. ინგლისელიაო, ამბობდნენ, მაგრამ მისი სახელი არავინ იცოდა. მეორე დღეს მადამი სადღაც გაემგზავრა. ჯიულის ვიბარიცა და რაც მთავარია, მისი დანიშნულიც ამტკიცებდნენ, რომ იმ ვაჟბატონის გამოცხადება იყო მიზეზი მადამის წასვლისა. ლედი ფრენსის კარფექსის გაუჩინარება მომხდარი ამბების შედეგია. ჯიულის ვიბარმა უარი თქვა მხოლოდ ერთი რამის ახსნაზე: თუ რატომ წავიდა მარი, რისთვის

მიატოვა თავისი ქალბატონი. ან არ იცოდა, ან არ სურდა ამაზე ლაპარაკი. «თუ ეს გაინტერესებთ, ჩაბრძანდით მონპელიეში და თვითონ მას ჰკითხეთო», - თქვა.

ასე დასრულდა ჩემი ძიებისა და კვლევის პირველი ნაწილი. ახლა უნდა გამერკვია, საით წავიდა ლედი ფრენსის კარფექსი ლოზანიდან. რაკი ეს გარემოება დამალა, მაშასადამე, განზრახული ჰქონდა, თავისი წასვლით ვიღაცისათვის კვალი აებნია. სხვაგვარად როგორ უნდა აგვეხსნა, რომ მისი ბარგის ფურცლაკზე ბადენი არ იყო აღნიშნული? თვითონაცა და მისი ბარგიც რაინის დასახელებულ კურორტზე არა პირდაპირი, არამედ შორი გზით, შემოვლით გაემგზავრნენ. კუკის ადგილობრივი განყოფილების ბიუროში რომ ეს გავიგე, მე ბადენში გავეშურე, წინასწარ კი ჰოლმსს შევატყობინე ტელეგრაფით მთელი ჩემი მოქმედება, რაც მან გულკეთილი ხუმრობით მომიწონა და შემაქო.

ბადენში იოლად ვიპოვე თითქოს დაკარგული კვალი. ლედი ფრენსისი გაჩერებულა ოტელ «ალბიონში» და იქ ორი კვირა უცხოვრია. იქვე გაუცვნია ვიღაც ექიმი შლეზინგერი, სამხრეთ აფრიკელი მისიონერი და მისი ცოლი. როგორც თითქმის ყველა მარტოხელა ქალი, ლედი ფრენსისი ნუგეშსა და შვებას რელიგიაში ეძიებდა. ამ ქალზე არაჩვეულებრივი ზეგავლენა მოეხდინა დოქტორ შლეზინგერის პიროვნებასა და მის მტკიცე რწმენას. იმ ხანებში შლეზინგერს თურმე ტანჯავდა ის სნეულება, რომელიც მაშინ შეყროდა, როცა სამხრეთ აფრიკაში თავგანწირვით მოღვაწეობდა. ლედი ფრენსისი გულმოდგინედ ეხმარებოდაო მისის შლეზინგერს წმინდანის მოვლაში, როგორც ეს ამბავი ოტელის მმართველმა მიამბო. წმინდანი მთელი დღე აივანზე იჯდა ხოლმე, ღრმა სავარძელში, ორ მანდილოსანს შორის და წმინდა მიწის რუკის შედგენაზე მუშაობდაო. იგი განსაკუთრებით მიდიელების ისტორიით ყოფილა დაინტერესებული, რაზედაც თურმე მონოგრაფიას ამზადებს. ბოლოს დოქტორის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესებულა და ის ცოლთან ერთად ლონდონში დაბრუნებულა. ლედი ფრენსისიც მათ გაჰყოლიათ. ეს ამბავი სამი კვირის წინ მომხდარა და შემდეგ იმ სამის თაობაზე მმართველს აღარაფერი სმენია. რაც შეეხება მოახლე მარის, ლედი ფრენსისის გამგზავრებამდე სამი დღით ადრე, ის ქალბატონისაგან ნამტირალევი გამოსულა, ოტელის მოსამსახურე გოგოებისათვის შეუჩივლია, ქალბატონთან აღარ ვიმსახურებო და საშინლად დანაღვლიანებული გამგზავრებულა. დოქტორ შლეზინგერს თავისი ანგარიშიცა და ლედი ფრენსის კარფექსის დანახარჯებიც თვითონ გადაუხდია.

- და იცით, - თქვა ბოლოს ოტელ «ალბიონის» მმართველმა, - ლედი ფრენსისს მარტო თქვენ კი არა, სხვებიც დაეძებენო. ერთი კვირის წინ მისი ამბის საკითხავად ჩვენთან ვიღაც მამაკაცი მოვიდა.

- სახელი თქვა?

- არა. ინგლისელია, თუმცა გარეგნობა ტიპური ინგლისელისა არა აქვს.

- ველურს ჰგავს, არა? - ვკითხე და ამით ჩემი მეგობრის სახელოვანი ჰოლმსის, მეთოდის თანახმად, შევაპირისპირე ჩემთვის ცნობილი ფაქტები.

- დიახ, დიახ, სწორედ ველურსა ჰგავდა. ეს სიტყვა მის საქციელსა და გარეგნობას ძალიან შეეფერება. აყლაყუდა, მზით დამწვარი, წვეროსანი, ასეთის ადგილი სოფლის ტრაქტირია და არა ფეშენებელური სასტუმრო. კაცი კი არა, რაღაც მრისხანე ურჯულკია, სულ ცოფებსა ყრის, ჩემდათავად ასეთის განაწყენებას მოვერიდებოდი.

როგორც იქნა, იდუმალების ფარდის ახდა დაიწყო - ასე თანდათან უფრო ნათლად და მკაფიოდ ვხედავთ ქუჩებში მოსიარულეებს, როცა ნისლი იფანტება. ღვთისნიერ ქალს, ყველას რომ ენდობა, კვალდაკვალ დასდევს ბედითი აჩრდილი.

ქალს ეშინია თავისი მდევრისა, თორემ ლოზანიდან ასე ანაზდად არ წავიდოდა. ადრე თუ გვიან დაეწევა. ან იქნებ უკვე დაეწია? ამით ხომ არ აიხსნება ლედი კარფექსის ხანგრძლივი დუმილი? მაშადასამე, ბადენში გაცნობილ კეთილ ადამიანებს არ შესძლებიათ დაეცვათ ქალი მუქარისა და დევნისაგან. რა საშინელი საიდუმლო, რა მიუწვდომელი განზრახვა აიძულებს იმ ველურ კაცს, რომ ლედი ფრენსისს კვალდაკვალ სდიოს? ეს კითხვები მთელი სიგრძე-სიგანით აღიმართნენ და ჩემს წმინდა გადაწყვეტილებას ელოდნენ.

ყველაფერი მივწერე ჰოლმსს, კმაყოფილმა, რომ საქმის არსს ასე მალე ჩავწვდი. პასუხად მიღებულ დეპეშაში ჰოლმსი მთხოვდა, ამეწერა დოქტორ შლეზინგერის მარცხენა ყური. რაღაც თავისებური იუმორის გრძნობა მოევლინება ხოლმე ჰოლმსს, ზოგჯერ სხვისი შეურაცხმყოფელიც. მე, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ დავტოვე მისი უალაგო ხუმრობა, - სხვათა შორის, მისი დეპეშა მივიღე უკვე მონპელიეში, სადაც მარი დევინის სანახავად წავედი.

ყოფილი მოახლის სახლი იოლად ვიპოვნე. მან ყველაფერი, მიამბო, რაც იცოდა. მარი დევინს ძალიან ჰყვარებოდა თავისი ქალბატონი და მხოლოდ იმიტომ დამშვიდობებია, რომ, მისი აზრით, ახლა ლედი კარფექსს გარს მეგობრები ეხვია. ამაში მარი დევინი დარწმუნებული იყო, ისედაც ჩემი ქორწინების დღე ახლოვდებოდა და მაშინ, სულერთია, ქალბატონს უნდა დავშორებოდიო, მითხრა. შეწუხებულმა ყოფილმა მსახურმა აღიარა ისიც, რომ მისის ფრენსისი ბადენში ყოფნის დროს ხშირად მიწყრებოდა, თითქოს ჩემს ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა და ერთხელ დაკითვაც კი მომიწყოო. ამიტომ მასთან განშორება არც ისე მიმძიმს, როგორც ვფიქრობდიო. ლედი ფრენსისს საქორწინო საჩუქრის სახით მარი დევინისათვის თურმე ორმოცდაათი გირვანქა გაუმეტებია. როგორც მე, ისე მოახლე გოგოსაც სერიოზულ საფრთხედ მიგვაჩნდა ის უცნობი კაცი, რომელსაც ქალბატონი ლოზანიდან გაეცალა. მოსამსახურე გოგომ თავისი თვალით ნახა ის ველური ლედი კარფექსს ყველას თვალწინ ხელში როგორ ჩააფრინდა. საშინელი კაცია, ვიღაც ცოფიანი და ოხერი. ლედი ფრენსისი ალბათ იმიტომ გაემგზავრა ლონდონში შლეზინგერებთან ერთად, რომ იმ კაცისა ეშინოდაო. ქალბატონს ჩემთან იმ კაცზე არასოდეს ულაპარაკია, მაგრამ ბევრი ნიშნის მიხედვით ვხედავდი, რომ ქალბატონს ერთთავად მძიმე შიში ტანჯავდაო.

- ეგერ, შეხედეთ! - უცებ შეწყვიტა ლაპარაკი გოგომ და სკამიდან წამოვარდა, - ნაძირალა კიდევ იმის კვალს ეძებს.

სასტუმროს ღია ფანჯარაში მე დავინახე ძალიან მაღალი კაცი, რომელსაც შავი ხუჭუჭა წვერ-ულვაში ჰქონდა. ნელა მიდიოდა ქუჩაში, ქვაფენილზე, და სახლების ნომრებს გულმოდგინედ ათვალიერებდა. უეჭველია ისიც ლედი კარფექსის მოსამსახურეს დაეძებდა. დაუფიქრებლად გავიჭერი გარეთ და შევაჩერე.

- თქვენ ინგლისელი ხართ? - ვკითხე.

- მერე თქვენ რა, თუნდაც ინგლისელი ვიყო? - აგდებულად მითხრა უცნობმა.

- ნება მომეცით გკითხოთ, რა გქვიათ?

- რა თქვენი ჭკუის საქმეა, - მომიჭრა სიტყვა თავხედმა.

ვითარება დაიძაბა. გადავწყვიტე ჯიქურ მისვლა - პირდაპირი გზა ხომ ყველაზე მოკლეა! - და მკაცრად ვკითხე:

- სადაა ლედი ფრენსის კარფექსი?

გაოცებული მომაშტერდა.

- რა დაატეხეთ თავს? რატომ დევნით იმ ქალს? მე პასუხს ვითხოვ!

როგორც ვეფხვი, ისეთი გაშმაგებული ღმუილით მეცა ის კაცი. არაერთხელ გამილახავს მოწინააღმდეგე ჩხუბში. მაგრამ იმ გიჟს რკინის თათები და ცოფიანი ხარის ღონე აღმოაჩნდა. სამი წამიც არ გასულა, რომ ყელში მწვდა, წამიჭირა და უკვე გრძნობას ვკარგავდი, რომ ჩემს ბედს, უცებ, იქვე სამიკიტნოდან გამოვარდა ვიღაც გაუპარსავი ფრანგი, ლურჯხალათიანი შეგირდი, ჩემს დამჯაბნელს მარჯვედ ჩასცხო მხრებში კეტი და ხელი გააშვებინა. ის ოხერი წუთით კიდევ იდგა, მერყეობდა ცოფმორეული და ალბათ ფიქრობდა, კიდევ ხომ არ ვეცეო, შემდეგ ბოროტად ჩაიბურტყუნა რაღაც და იმ კაბარესკენ წავიდა, საიდანაც ის იყო გამოვედი. შემოვბრუნდი, რომ მადლობა მეთქვა ჩემი მხსნელისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ქვაფენილზე იდგა, და უეცრად გავიგონე:

- აბა, გილოცავ, უოტსონ, საქმის ასე გაფუჭებას მოფიქრება არ უნდა? ჩანს, ჩემთან ერთად მოგიხდებათ ღამის ექსპერსით ლონდონს დაბრუნება.

ერთი საათის შემდეგ შერლოკ ჰოლმსი, უკვე თავისი საკუთარი სახით, როგორც ყოველთვის სუფთა და ელეგანტური, ჩემს გვერდით იჯდა ოტელში. მისი მოულოდნელი ბედნიერი გამოჩენა უბრალოდ არ მომხდარა: გარემოებებმა საშუალება მისცეს, ლონდონიდან წამოსულიყო და გადაუწყვეტია გამოვეჭირე იქ, სადაც, მისი ვარაუდით, იმჟამად უნდა ვყოფილიყავი. მუშის სამოსი ჩაუცვამს და ჩემს მოლოდინში სამიკიტნოში მოკალათებულა.

- და როგორ თანმიმდევრულად მოქმედებდით, ძვირფასო უოტსონ! ყველა იმ შეცდომიდან, რაც შეიძლებოდა კაცს მოსვლოდა, ხელიდან არც ერთი არ გაუშვით. საბოლოოდ ყველა დააფრთხეთ და ვერც ვერაფერი გაარკვიეთ.

- იქნებ ვერც თქვენ მოახერხებდით მეტის გაგებას, - წყენით მივუგე მეც.

- არავითარი «იქნება» არ არსებობს, რაკიღა მე მართლაც მეტი მოვახერხე. აგერ დიდად პატივცემული ფილიპ გრინიც გამოჩნდა, იგი თქვენი მეზობელია სასტუმროში. შესაძლოა, მისი დახმარებით საქმე უფრო წარმატებით წავიყვანოთ.

ლაქიამ სინით მოგვართვა სადარბაზო ბარათი და ოთახში შემოვიდა ის წვეროსანი ხულიგანი, რომელიც ქუჩაში თავს დამესხა, მე რომ შემომხედა, შეკრთა და შეჩერდა.

- ეს რას ნიშნავს, მისტერ ჰოლმს? - იკითხა მან. - თქვენი ბარათი მივიღე და აქეთ გამოვეშურე. მაგრამ როგორ ავხსნა აქ ამ კაცის ყოფნა?

- ეს კაცი - ჩემი ძველი მეგობარი და კოლეგა, ექიმი უოტსონია, იგი ჩვენს სამძებრო საქმეში დახმარებას გვიწევს.

უცნობმა მზით დამწვარი მიხაკისფერი თათი გამომიწოდა და რამდენიმე საბოდიშო სიტყვა მითხრა: - მგონი დიდი ზიანი არ მოგაყენეთ. როცა თქვენ ბრალი დამდეთ, ვითომ იმ ქალის წინაშე რაიმე დამეშავებინოს, ვეღარ მოვითმინე. ამ დღეებში ისე ვცხოვრობ, რომ ჩემი მოვალეობა და პასუხისმგებლობა კარგად აღარ მესმის. ნერვებმა მიღალატა, მაგრამ ყველაზე ძალიან ის მაინტერესებს, მისტერ ჰოლმს, საერთოდ როგორ გაიგეთ ჩემი არსებობა?

- მე ველაპარაკე ლედი ფრენსისის გუვერნანტ ქალს, მის დობნის.

- საყვარელი მოხუცი სუსან დობნი თავისი უზარმაზარი ჩაჩით! კარგად მახსოვს!

- იმასაც ახსოვხართ. ისეთი, როგორიც იყავით უწინ, აფრიკაში წასვლამდე.

- მაშ, თქვენ მთელი ჩემი ცხოვრების ამბავი იცით! კარგია, რომ დამალვა და დაფარვა არაფრისა მჭირდება, მისტერ ჰოლმს. გეფიცებით, ქვეყნად არ მოინახება კაცი, რომელსაც ეყვარებოდა ქალი უფრო ძლიერ, ვიდრე მე მიყვარდა ლედი ფრენსისი. მაგრამ ახალგაზრდობაში თავაშვებულ ცხოვრებას ვეწეოდი, როგორც

ჩვენი წრის მრავალი ახალგაზრდა კაცი, თუმცა სხვებზე ცუდი არ ვყოფილვარ. იმ ქალის სული კი უბიწო თოვლივით სპეტაკი იყო. ყოველივე ტლანქი და მდაბალი, მოუთმენელი და აუტანელი იყო მისთვის. როცა ჩემგან ჩადენილი ამბები მის ყურს მისწვდა, ჩემი ნახვა აღარ მოისურვა. არადა მე ვუყვარდი ამ წმინდა ქალს - აი, რაა საკვირველი! ვუყვარდი ისე, რომ ჩემი გულისათვის მთელი სიცოცხლე გაუთხოვარი დარჩა.მე ბარბერტონში წავედი. გავიდა მრავალი წელი, მოვიხვეჭე სიმდიდრე და ბოლოს გადავწყვიტე ძველი სატრფოს პოვნა, იქნებ გული მოვულბო-მეთქი. ვიცოდი, რომ არ გათხოვილა. ლოზანაში აღმოვაჩინე, წარსული გავახსენე, შევევედრე, პატიება ვთხოვე. მგონია, ჩემს თხოვნას ყრუდ არ შეხვედრია, მაგრამ გაუტეხელი ნებისყოფისა იყო და, როცა მეორე დღეს მასთან მივედი, შევიტყვე, რომ ლოზანა მიეტოვებინა: მოვახერხე იმის გაგება, რომ ბადენში წასულა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ისიც დავადგინე, რომ აქ ცხოვრობს მისი მოახლე. უხეში, ტლანქი კაცი ვარ, გამოვლილმა ცხოვრებამ გამხადა ასეთი და, როცა დოქტორმა უოტსონმა იმ ქალზე ლაპარაკი დამიწყო, ვიფეთქე. მაგრამ, ღვთის გულისათვის, მითხარით, რა შეემთხვა ლედი ფრენსისს?

- სწორედ ეს გვინდა გავიგოთ, - თქვა ჰოლმსმა ძალიან სერიოზულად. - თქვენ სად გაჩერდებით ლონდონში?

- ოტელ «ლანგჰემში».

- მაშინ გთხოვთ დაუყოვნებლივ გაეშურეთ ლონდონს და, თუ დაგვჭირდებით, მზად იყავით. აუხდენელი იმედებით არ მინდა აგავსოთ, მისტერ გრინ, მაგრამ ლედი ფრენსისის გადასარჩენად, გარწმუნებთ, გაკეთდება ყველაფერი, რაც შესაძლებელია. ახლა მეტის თქმა არ შემიძლია. აი, ჩემი სადარბაზო ბარათი. როცა გენებოთ, დამიკავშირდით. ახლა კი, უოტსონ, თუ თქვენ გაემზადებით, მე გავვარდები ტელეგრაფში და ვთხოვ მისის ჰადსონს, ხვალ რვა საათზე ორ დამშეულ კაცს თავისი, როგორც მზარეულის, ხელოვნება გვიჩვენოს.

ბეიკერ-სტრიტზე დეპეშა გველოდა. ჰოლმსმა ხარბი ინტერესით წაიკითხა და გამომიწოდა. დეპეშა გამოგზავნილი იყო ბადენიდან და სულ ერთ სიტყვას შეიცავდა: «მოგლეჯილი».

- რა არის ეს? - გამიკვირდა.

- ამ ერთ სიტყვას უზარმაზარი აზრი აქვს, - თქვა ჰოლმსმა. - იმედი მაქვს, გახსოვთ ჩემი თხოვნა, რაც ერთი შეხედვით სულელური მოგეჩვენებოდათ: მე გთხოვდით, აგეწერათ პატივცემული მისიონერის მარცხენა ყური. თქვენ ის დეპეშა უპასუხოდ დატოვეთ.

- მე არც შემეძლო მაგ ცნობის მოწოდება, მე ხომ იმ დროს ბადენში არ ვიყავი.

- მართალს ბრძანებთ. სწორედ ამიტომ გავუგზავნე იგივე დეპეშის ასლი «ალბიონის» მმართველს და აგერ პასუხი.

- მერე, რაზე მეტყველებს მისი პასუხი?

- იმაზე, ჩემო ძვირფასო უოტსონ, რომ საქმე გვაქვს უაღრესად ეშმაკ და საშიშ კაცთან. მისიონერი სამხრეთ აფრიკიდან, დოქტორი შლეზინგერი ჰოლი პიტერს-წმინდანი, გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამობრძმედილი ბოროტმოქმედთაგანი, რომელიც ავსტრალიიდან მოგვევლინა. ეს ახალგაზრდა ქვეყანა უკვე მრავალი სამაგალითო ნიმუშის აკვანია. პიტერსი მარტოხელა ქალებზე მონადირეა, იგი მათ თავის მახეში აბამს, ბოროტად იყენებს მათს რელიგიურ გრძნობებს, ხოლო ინგლისელი ქალი, სახელად ფრეიზერი, მისი ეგრეთწოდებული ცოლი, ამ საქმეში ეხმარება. დოქტორ შლეზინგერის ტაქტიკამ მომცა საფუძველი დავეჭვებულიყავი, რომ შლეზინგერი კი არა, პიტერს-წმინდანია, მისი მარცხენა

ყურის ის აღწერილობა კი, რომელიც დეპეშაშია მოცემული, ჩემს ეჭვს ადასტურებს. პიტერს-წმინდანს მარცხენა ყური მიაკნიტეს მთვრალებმა ქ. ადელაიდაში ჩხუბის დროს. 1889 წელს საბრალო ლედი ფრენსისი საშინელი ადამიანების ხელშია ჩავარდნილი, უოტსონ. ისინი არაფრის წინაშე არ დაიხევენ უკან. ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ ქალი ცოცხალიც აღარ იყოს. თუ ცოცხალია, ალბათ ცხრაკლიტულში ჰყავთ გამომწყვდეული და წერილის დაწერას ვეღარ ახერხებს. შესაძლოა, ლონდონს ვერც ჩააღწია, თუმცა ვინ იცის, კონტინენტურ პოლიციასთან ხუმრობა სახიფათო რამაა, მათ რეგისტრაციის ისეთი სისტემა აქვთ, რომ შლეზინგერი და მისი ამფსონი ქალს ვერ გამოაპარებდნენ; ან იქნებ შორსაც წავიდა, მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა, რადგან ლონდონი ერთადერთი ადგილია მთელს ინგლისში, სადაც არამზადებს შეუძლიათ ქალი ისე შეინახონ, ეჭვი არავინ აიღოს. ინსტინქტით ვგრძნობ, რომ ლედი კარფექსი ლონდონშია, მაგრამ ისიც არ ვიცი, სად ვეძიოთ. ამიტომ გამოსავალი ერთია: მოთმინება. ახლა ვისადილოთ, მოგვიანებით კი სკოტლენდ-იარდში შევივლი და ჩვენს მეგობარ ლესტრეიდს გავესაუბრები.

დრო გადიოდა, მაგრამ ვერც პოლიციამ, ვერც ჰოლმსის ინფორმაციის საკუთარმა ბიურომ - პატარა, მაგრამ უაღრესად მოქმედმა ორგანიზაციამ - ვერ შეძლო ლედი კარფექსის ადგილსამყოფელის აღმოჩენა. ადამიანები, რომელთაც ვეძებდით, ისე დაიკარგნენ მრავალმილიონიან ლონდონში, თითქოს ამქვეყნად არც ყოფილიყვნენ. ვაქვეყნებდით გაზეთებში განცხადებებს, ფხიზლად ვმეთვალყურეობდით ყველა ბუნაგს, სადაც შეიძლებოდა პიტერსი გამოჩენილიყო, მხედველობის არეში გვყავდა ხალხი, რომელთანაც მას ოდესღაც კავშირი ჰქონია, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მთელი კვირის უნაყოფო ძიებასა და მტანჯველ ფიქრებს შედეგად ის მოჰყვა, რომ უეცრად ჩვენს რუდუნებასა და გარჯას ნათელი მოეფინა. ბევინგტონის ლომბარდში ვესტმინსტერ-როუდზე ძველი ესპანური ნამუშევარი, ბრილიანტებით გაწყობილი ვერცხლის საკიდი მოიტანეს. ნივთი ჩაცმულობით სამღვდელომ, ტანმაღალმა, უწვერულვაშო კაცმა დააგირავა. ეტყობა, მოგირავნეს სახელიცა და მისამართიც ყალბი დაუტოვა. მისტერ ბევინგტონს არ შეუმჩნევია, დამგირავებელს რანაირი ყური ჰქონდა, მაგრამ, სიტყვიერი პორტრეტის მიხედვით, იგი უდავოდ შლეზინგერი იყო.

ჩვენი წვეროსანი მეგობარი ოტელ «ლანგჰემში» ცხოვრობდა, იგი სამჯერ გვესტუმრა ამბის გასაგებად. მესამედ სწორედ იმ დროს მოგვადგა, როცა ბრილიანტის ჩაბარების ამბავი გავიგეთ. დარდმა იგი რამდენიმე წლით დააბერა, ტანსაცმელი ტანზე ისე ეკიდა, როგორ საკიდზე. «ნეტავ რაიმეთი შემეძლოს თქვენი დახმარება!» - გვეუბნებოდა სასოწარკვეთილი. როგორც იქნა, ჰოლმსმა მისთვის საქმე გამონახა.

- რაკი ძვირფასი ქვების დაგირავებას მიჰყო ხელი, ახლა ნამდვილად შევიპყრობთ.

- მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ლედი ფრენსისს რაღაც უბედურება დაემართა?

ჰოლმსმა თავი რაღაც საეჭვოდ გადააქნ-გადმოაქნია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი აქამდე ტყვეობაში ტანჯავდნენ ქალს. მისი განთავისუფლება მათ არ შეუძლიათ, რადგან ეს ამბავი დაღუპავთ. მისტერ გრინ, ჩვენ უარესი და უარესი ამბების მოლოდინი უნდა ვიქონიოთ.

- მე რა უნდა გავაკეთო?

- თქვენ ხომ არ გიცნობენ ისინი?

- არა.

- შესაძლებელია, მეორედ ის სხვა ოქრომჭედელთან მივიდეს. მაშინ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. თუმცა ბევინგტონთან კარგი ფასი აიღო და არც არაფერი უკითხავს ვინმეს, ამიტომ ჩემი ვარაუდით, როცა ფული ისევ დასჭირდება, ალბათ მასთანვე მიცუნცულდება. ბევინგტონს წერილს გავუგზავნი და გავაგებინებ, რომ ამ დღეებში მის მაღაზიაში თქვენი ყოფნა აუცილებელია: თუ პიტერსი მოვა, მას სახლამდე უნდა მიჰყვეთ და სდიოთ. ოღონდ ნაჩქარევი ნაბიჯი არ გადადგათ და, რაც მთავარია, არავითარი ძალადობა! მომეცით კაცური სიტყვა, რომ ჩემთან შეუთანხმებლად არაფერს მოიმოქმედებთ.

ორი დღე ისე გავიდა, პატივცემულ გრინისაგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია (სხვათა შორის, ის სახელგანთქმული ადმირალის გრინის შვილი იყო. ადმირალი გრინი ხომ ყირიმის ომში აზოვის ფლოტს სარდლობდა). მესამე დღეს გრინი აკანკალებული და ფერდაკარგული შემოვარდა ბეიკერ-სტრიტის სასტუმრო ოთახში.

- ხელში ჩაგვივარდა, ხელში ჩაგვივარდა, - როგორც იყო ამოთქვა, რაც უნდოდა.

მღელვარებისაგან ხმა უწყდებოდა. ჰოლმსმა იგი სავარძელში ჩასვა და დასამშვიდებლად რამდენიმე ტკბილი სიტყვა უთხრა.

- ყველაფერი დალაგებულად გვიამბეთ, - სთხოვა ბოლოს.

- ქალი ამ ერთი საათის წინ მოვიდა. დიახ, ამჯერად ცოლი მობრძანდა და ზუსტად ისეთივე საკიდარი მოიტანა, როგორიც პირველად. მაღალი, ფერმკრთალი ქალია, ქრცვინის თვალები აქვს...

- ეს ის ქალია, - დაუდასტურა ჰოლმსმა.

- გავყევი. კენინგტონ-როუდზე შეუხვია, კუდში მივდევდი. უცებ მეკუბოვის დუქანში შევიდა...

ჰოლმსი შეკრთა. - მერე, - იკითხა მან გაბზარული ხმით და გასცა ის შინაგანი ცეცხლოვანი მღელვარება, რასაც მისი ცივი გამომეტყველება და ნაცრისფერი სახე ნიღბავდა.

- შევყევი. ლედი დახლთან მდგარ ქალს ელაპარაკებოდა, ჩემს ყურს მოსწვდა მისი სიტყვები: «რა დიდხანს აყოვნებთ!» იმანაც თავი იმართლა: «ყველაფერი სათანადო მისამართით მოვა. ჩვენ ხომ საგანგებო შეკვეთით მოგვიხდა კეთება, ამან ოსტატები შეაფერხა...» ამ დროს მე დამინახეს და გაჩუმდნენ. რაღაც-რუღაც წვრილმანები მივიკითხ-მოვიკითხე და ქუჩაში გამოვედი.

- სწორად მოქცეულხართ. შემდეგ რა მოხდა?

- ქალიც გამოვიდა, მაგრამ ვერ დამინახა, მე მეზობელ შესასვლელში დავიმალე. ალბათ ეჭვი აიღო, რადგან სულ აქეთ-იქით იყურებოდა. შემდეგ კებს მოუხმო და წავიდა. ბედზე მეც მაშინვე დავიჭირე კები და დავედევნე. ბრიკსტონზე ამოვყავით თავი. სადაც შევიდა, მისამართი შემიძლია გითხრათ: პოულტნი-სკვერი, სახლი 36. მე გზა განვაგრძე. კებმენი გავუშვი და სახლის დაზვერვას შევუდექი.

- შუქი მხოლოდ ერთ ფანჯარაში ენთო, პირველ სართულზე, მაგრამ ფარდა დაშვებული იყო და ვერაფერი გავარჩიე. ვიდექი და ვფიქრობდი, რა მომემოქმედა. უცებ აივანთან დახურული ფურგონი გაჩერდა. ორი მამაკაცი ქვაფენილზე გადმოხტა, რაღაც გამოათრიეს ფურგონიდან და აივანზე აიტანეს... მისტერ ჰოლმს, ეს იყო კუბო.

- აჰ...

- იმწამს მინდოდა მეც ოთახში შევვარდნილიყავი. კარი გაიღო, რომ კუბოს მიმტანი კაცები შიგნით შეეშვათ და კუბო შეეტანათ. კარის ზღურბლზე მე იგივე ქალი დავინახე: იმანაც შემომხედა და მგონი მიცნო. შევამჩნიე, რომ შეკრთა და კარი ხმაურით მოხურა. მე მომაგონდა, რასაც დაგპირდით, და აქეთ გამოვეშურე.

- საქმის ასეთი სანაქებო გაძღოლისათვის მადლობის მეტი რა მეთქმის, - ჰოლმსმა მაგიდიდან ქაღალდის ნაგლეჯი აიღო და სწრაფად რაღაც დაწერა. - უორდეროდ დაპატიმრების ნება არა გვაქვს. ახლა ყველაფერს აჯობებს, მისტერ გრინ, ეს ჩემი ბარათი პოლიციაში მიიტანოთ და ორდერი აიღოთ. შეიძლება წამოიჭრას რაღაც სიძნელეები, მაგრამ, ვფიქრობ, დაკარგული ძვირფასეულობის გაყიდვა საკმარისი საბაბია ეჭვმიტანილზე დაჭერის ორდერის გასაცემად. წვრილმანებს ალბათ ლესტრეიდი გაარკვევს.

- ამასობაში ხომ იმ ლედის მოკლავენ! აბა, რად უნდოდათ ის კუბო და ვისთვისაა, თუ არა იმ ლედისთვის?

- მისტერ გრინ, ყველაფერს ვიღონებთ, რაც ძალგვიძს. წუთსაც არ დავკარგავთ. გვენდეთ. აბა, უოტსონ, - მომიბრუნდა ჰოლმსი, როცა გრინი გაიქცა. - ახლა ის კანონის ძალას მოგვაშველებს, ჩვენ კი, როგორც ყოველთვის, კანონს გვერდს ავუვლით. ვშიშობ, საქმე ისე შავადაა, ყველა ზომა გამართლებას პოულობს. აბა, სწრაფად პოულტნისკვერისაკენ!

- ვცადოთ და მთელი სურათი აღვადგინოთ, - მითხრა ჰოლმსმა, როცა ჩვენი კები პარლამენტის გვერდით მიჰქროდა და მერე ვესტმინსტერის ხიდზე გადიოდა. - არამზადებმა უბედური ქალი ლონდონში გაიტყუეს, წინასწარ კი აიძულეს, თავიდან მოეშორებინა ერთგული ქალიშვილი. თუ ლედი ფრენსისმა მოახერხა და ვინმეს რაიმე მისწერა კიდეც, წერილებს ალბათ ის გარეწრები იგდებდნენ ხელთ. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ვიღაც თანამზრახველმა ლონდონში მათ ბინა უქირავა, ალბათ მთელი სახლი. იმ კარის ზღურბლზე გადასული ლედი ტყვედ აქციეს და ძვირფასეულობა, რისი ხელში ჩაგდებაც თავიდანვე სურდათ, მათი ნადავლი გახდა. ისინი თანდათანობით ყიდიან სხვის ქონებას და არავითარი საფრთხე არც ანაღვლებთ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მსხვერპლის ბედი არავის აინტერესებს, თუ ტყვე ხელიდან დაუსხლტებათ, რა თქმა უნდა, ის მათ ამხელს. ამიტომ ეცდებიან, რომ იგი ხელიდან არ გაუშვან. მაგრამ მთელი სიცოცხლე ჩაკეტილი ხომ არ ეყოლებათ?! შექმნილი მდგომარეობიდან მათი ერთადერთი გამოსავალი მკვლელობაა.

- ყველაფერი უაღრესად ნათელია.

- ახლა საქმის მეორე მხრიდან შევხედოთ. სადაც აზრის განვითარების ორი გზა ერთიმეორეს გადაკვეთს, ეს ადგილი ყველაზე უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. ამოსავალ წერტილად ავიღოთ არა ლედი ფრენსისი, არამედ კუბო და უკან დავიხიოთ. მე მგონია, კუბო იმის დამადასტურებელია, რომ ლედი ფრენსისი გარდაიცვალა. მაგრამ ამას გარდა ეს ნიშნავს ოფიციალურ დაკრძალვას, ექიმის მოწმობასა და პოლიციის ნებართვას. ლედი ფრენსისი რომ რომელიმე მარტივი საშუალებით მოეკლათ, გვამს ეზოში დაფლავდნენ. მაგრამ აქ ყველაფერი ცხადი და დაუფარავია. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ლედი ფრენსისი მოკლეს ისეთი უჩვეულო ხერხით, რომ ძალადობა ექიმმაც კი ვერ გამოიცნო. ალბათ რაღაც იშვიათი შხამით მოწამლეს. მაინც უცნაურია, რომ დამნაშავეებმა ექიმს ნება დართეს, გვამი ენახა, იქნებ ექიმი მოისყიდეს? რაღაც დაუჯერებლი ამბავია.

- ყალბ საბუთს ვერ დაამზადებდნენ?

- ეს საშიშია, უოტსონ, ძალიან საშიში. არა მგონია ასეთი რამ გაებედათ... ჰეი, კები შეაჩერეთ! ესაა ლობარდი გავიარეთ, მაშ მომდევნო სახლი - მეკუბოვისაა. უოტსონ, თქვენი სახე ნდობას შთააგონებს ადამიანს. შედით და ჰკითხეთ, რა დროისთვისაა დანიშნული ხვალ გასვენება პოულტნი-სკვერიდან.

მეკუბოვის ქალმა გულახდილად მითხრა, ხვალ დილით რვა საათზეაო გასვენება.

- აი, ხედავთ, უოტსონ, არავითარი იდუმალება, ყველაფერს დღისით, მზისით აკეთებენ. როგორღაც მოუხერხებიათ ყველაფრის ოფიციალურად გაფორმება და ახლა აღარაფრის შიში არა აქვთ. რა გაეწყობა, ჩვენ ერთი გამოსავალი გვაქვს: ჯიქურ მივიდეთ, შინ შევეჭრათ, თქვენ შეიარაღებული ხართ?

- აი, ჩემი ხელჯოხი.

- არა უშავს, ჩვენ მაგრები ვართ ჩვენი სიმართლით. ვისაც სინდისი სუფთა აქვს, ის სამგზის შეიარაღებულია. საქმე ისეთი საშურია, რომ ახლა კანონიერების დაცვა არ მოხერხდება, პოლიციას ვერ დაველოდებით, გაეშურეთ, გთხოვთ, ერთად ვცადოთ ბედი, უოტსონ. პირველი შემთხვევა ხომ არ არის!

ესა თქვა და შავი, დიდი სახლის კართან ზარის თოკი მაგრად ჩამოქაჩა. კარი მაშინვე გააღეს. ნახევრად ბნელი ჰოლის კართან, ზღურბლზე, მაღალი ქალი იდგა.

- რა გნებავთ? - იკითხა ცივად, თან ცდილობდა ბნელში კარგად შევეთვალიერებინეთ.

- დოქტორ შლეზინგერს მინდა ველაპარაკო, - მიუგო ჰოლმსმა.

- ასეთი აქ არავინა ცხოვრობს.

ქალს უნდოდა კარი მოეხურა, მაგრამ ჰოლმსმა ფეხი კარსა და ზღურბლს შუა ჩადგა.

- თუ ასეა, მაშინ ის კაცი მელაპარაკოს, ვინც ამ სახლში ცხოვრობს, რა სახელსაც არ უნდა იკუთვნებდეს! - შეუპოვრად უთხრა ქალს.

ქალმა შეგვაყოვნა, მაგრამ მაინც შეგვიშვა.

- რა გაეწყობა, შემოდით, ჩემს ქმარს არავისი არ ეშინია.

სადარბაზო კარი ჩაკეტა, სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა, შუქი აანთო. მისტერ პიტერსი ახლავე აქ გაჩნდებაო, გვითხრა და ოთახიდან გავიდა.

ქალის სიტყვები სრული სიმართლე გამოდგა. ნახევარი წუთის ლოდინიც არ დაგვჭირვებია, ოთახის შეთვალიერებაც ვერ მოვასწარით, - მხოლოდ ჩრჩილისაგან დაჭმული ავეჯი შევნიშნეთ, - რომ კარი გაიღო და სასტუმროში მსუბუქი ნაბიჯით შემოვიდა სუფთად გაპარსული, მაღალი მელოტი კაცი. ფართო, ღაჟღაჟა, დღლაში სახე და დაკიდებული ლოყები გადამეტებული გულკეთილობით უცინოდა, რასაც არაფრით არ ესადაგებოდა ბაგეებზე აღბეჭდილი სასტიკი გამომეტყველება.

- აქ უთუოდ რაღაც შეცდომაა, ბატონებო, - ძალდაუტანებლად მოგვმართა, ყველაფრის შემსუბუქება რომ უნდათ ხოლმე, ისეთი კილოთი, - ჩანს, მისამართი შეგეშალათ და თუ ცოტას კიდევ გაივლით მარცხნივ...

- არსადაც არ წავალთ, მტკიცედ მიუგო ჩემმა მეგობარმა. - ჩვენ არა გვაქვს ზედმეტი დრო, მისტერ ჰენრი პიტერს ადელაიდელო, ანუ უწინდელო ბადენელო და სამხრეთ აფრიკელო დოქტორო შლეზინგერო. თქვენი პერსონა ამოცნობილია და ეს ისევე უეჭველია, როგორც ის, რომ ჩემი სახელია შერლოკ ჰოლმსი.

პიტერსი - ამიერიდან ასე მოვიხსენიებ - შეცახცახდა და თვალი მიაშტერა კვალში მდგომ მადევარს.

- რას იზამ, ყველაფერი ხდება, მისტერ ჰოლმს, მაგრამ თქვენმა მრისხანე სახელმა ვერ დამზაფრა, - თქვა მან. - როცა კაცს სინდისი სუფთა აქვს, იმას არაფრის ეშინია. რა გნებავთ ჩემს სახლში?

- გვინდა გავიგოთ, რა უყავით ლედი ფრენსის კარფექსს, რომელიც ბადენიდან ჩამოიყვანეთ.

- ძალიან დიდ პატივს დამდებთ, თუ მეტყვით, სად იმყოფება იგი ამჟამად, - მშვიდად მიუგო პიტერსმა. - ასი გირვანქა ჰმართებს ჩემი, სანაცვლოდ კი წყვილი ყალბქვებიანი უგემოვნო საკიდარი შემომაჩეჩა. ლომბარდში მათი შეხედვაც არ ისურვეს. ლედი ფრენსის ბადენში აგვეკიდა მე და მისის პიტერსს - იქ მართლაც სხვა სახელით ვცხოვრობდი - და ლონდონამდე არ ჩამოგვცილდა. მე გავასწორე მისი ანგარიში სასტუმროში, გადავიხადე აგრეთვე ბილეთის საფასური. ლონდონში კი სადღაც გაუჩინარდა, და ვალში, როგორც მოგახსენეთ, რაღაც ძველმოდური სამკაულები დაგვიტოვა.

ლედი კარფექსს თუ იპოვნით, მისტერ ჰოლმს, ძალიან დამავალებთ.

- აუცილებლად, - მიუგო ჰოლმსმა. - არ მივატოვებ მის ძებნას ამ სახლში, ვიდრე არ ვიპოვნი.

- სად არის ჩხრეკის ორდერი?

ჰოლმსმა ჯიბიდან პისტოლეტს ამოაყოფინა თავი და პიტერსს უჩვენა. ჯერჯერობით ამით უნდა დავკმაყოფილდეთ.

- თქვენ რა, ჩვეულებრივი ბანდიტი ხართ!

- სულაც არ მწყინს ასეთი შეფასება, - გაიცინა ჰოლმსმა, - ჩემი თანამგზავრიც მეტად საშიში და თავზეხელაღებული ადამიანია, ჩვენ ვიწყებთ ჩხრეკას.

პიტერსმა შემოსასვლელის კარი გააღო.

- ენი, პოლიციაში გაიქეცი!

კიბეზე კაბის შრიალი გაისმა, სადარბაზო კარი გაიღო და დაიხურა.

- ძალიან ცოტა დრო გვაქვს, უოტსონ, - თქვა ჰოლმსმა. - წავიდეთ! თუ ჩვენ ხელის შეშლას განიზრახავთ, პიტერს, უარესი იქნება. სადაა კუბო, რომელიც დღეს მოგაყენეს კარზე?

- რად გინდათ კუბო? მასში განსვენებული წევს.

- უნდა ვნახო!

- არასოდეს! ნებას არ მოგცემთ!

- თქვენი ნებართვის გარეშეც იოლად გავალთ, - ჰოლმსმა ელვის სისწრაფით უბიძგა პიტერსს, განზე მიაგდო და ჰოლში შევიდა. ჩვენ წინ ნახევრად ღია კარი დავინახეთ. შევედით. სასადილოში გაზის სანათის სუსტ შუქზე შევნიშნეთ, მაგიდაზე კუბო იდგა. ჰოლმსმა შუქს მოუმატა და კუბოს სახურავი ახადა. კუბოს სიღრმეში საცოდავი და დამჭკნარი არსება ესვენა. ბებრულ, დანაოჭებულ სახეს გაზის კაშკაშა შუქი მოხვდა. ვერც სნეულება და ვერც ყოვლად მხეცური წამება ასე მოკლე დროში ამ მიხრწნილ გვამად ვერ აქცევდნენ ლამაზ ქალს, რომლის სიცოცხლეც ჰყვაოდა. ჰოლმსის სახეზე გაოცება სიხარულმა შეცვალა.

- მადლობა ღმერთს, შესძახა, - ეს ის ქალი არაა!

- დიახ, ამჯერად სასტიკად მოტყუვდით, მისტერ ჰოლმს, - გაისმა ხმა პიტერსისა, რომელიც სასადილოში შემოგვყოლოდა.

- ვინ არის ეს ქალი?

- რაკი ასე გაინტერესებთ, შემიძლია გითხრათ. ეს ქალი - მოხუცი ძიძაა ჩემი ცოლისა, სახელად როუზ სპენდერი, ბრიკსტონის ხანაგიდან მოვიყვანეთ. მოვიწვიეთ ექიმი ჰორსომი, ცხოვრობს ფირბენკ-ვილასში, სახლი 13, - არ დაივიწყოთ ჩაწერა, მისტერ ჰოლმს! - ზრუნვით დავტრიალებდით, როგორც გვიბრძანებს ქრისტიანული ვალი. მესამე დღეს გარდაიცვალა. მოწმობაში წერია «ბებრული მარაზმით», მაგრამ ეს მხოლოდ ექიმის აზრია, - თქვენთვის, მისტერ ჰოლმს, მისი სიკვდილის ნამდვილი მიზეზი უკეთაა ცნობილი, ვიდრე ექიმისათვის! ჩვენ მივმართეთ ფირმას «სტიმსონი და კომპანია», კენინგტონ-როუდზე, დაკრძალვა ხვალ რვა საათზე გვაქვს

გათვალისწინებული. რამე საჩოთიროდ და საჭოჭმანოდ ხომ არ გეჩვენებათ, მისტერ ჰოლმს? აღიარეთ, მისტერ ჰოლმს, რომ თქვენ ძალზე სულელურ ყოფაში აღმოჩნდით. ოჰ, რა გულუხვად გავიღებდი გასამრჯელოს, რომ ახლა ფოტოგრაფი მყოლოდა აქ და თქვენი სახის გამომეტყველება სურათზე აღმებეჭდა, ასე მხედრულად რომ შემოიჭერით კუბოსთან და მისის ფრენსისის ნაცვლად ოთხმოცდაათი წლის დედაბერი დაგხვდათ კუბოში ჩაწვენილი.

ჰოლმსი ჩვეული სიმშვიდით იდგა. ალბათ იმას ფიქრობდა, დაცინვას კაცი არ მოუკლავსო, მხოლოდ მუშტები ეკუმშებოდა და ამით საცნაურდებოდა, რომ ღელავდა.

- მე განვაგრძობ ჩხრეკას.

- ამასაც ვნახავთ! - შესძახა პიტერსმა. ამ დროს შემოსასვლელში ქალის ხმა გაისმა და მალე მას მძიმე ნაბიჯების ხმაც მოჰყვა: - აქეთ ბატონებო, ეს ორი კაცი ძალით შემოიჭრა ჩემს სახლში და ვერაფრით მოვიშორე თავიდან. გთხოვთ დამეხმაროთ!

ზემდეგი და კონსტებლი ზღურბლზე დადგნენ. ჰოლმსმა საფულედან სადარბაზო ბარათი ამოიღო და გაუწოდა.

- აი, ჩემი სახელი და მისამართი. ეს კი ჩემი მეგობარია, ექიმი უოტსონი.

- როგორ გეკადრებათ, სერ, რად გვინდა თქვენი სადარბაზო ბარათი! ბრიყვები როდი ვართ, რომ თქვენ არ გიცნობდეთ! - თქვა ზემდეგმა. მაგრამ ორდერის გარეშე ხომ ჩხრეკა არ შეიძლება?!

- ვიცი, რომ არ შეიძლება.

- დააპატიმრეთ! - შესძახა პიტერსმა.

- ჩვენ ვიცით, სად ვიპოვოთ ეს ჯენტლმენი, თუ საჭიროება მოითხოვს, - მედიდური იერით მიუგო ზემდეგმა. - მაგრამ თქვენ მაინც წასვლა მოგიხდებათ, მისტერ ჰოლმს.

- ჰო, უოტსონ, ჩვენ წასვლა მოგვიწევს.

ერთი წუთის შემდეგ ისევ ქუჩაში ვიყავით. ჰოლმსი მშვიდი ჩანდა, როგორც ყოველთვის, მე კი ლამის ცეცხლი მომედო ბრაზისა და დამცირებისაგან. ზემდეგიც ჩვენ გამოგვყვა.

- გვაპატიეთ, მისტერ ჰოლმს. რას იზამ კანონია.

- ყველაფერი სწორია, ზემდეგო, სხვანაირად ვერ მოიქცეოდით.

- ცხადია, თქვენ იქ ტყუილად არ მიხვიდოდით, მესმის. თუ შემიძლია რაიმე დახმარება გაგიწიოთ...

- ქალია დაკარგული, ზემდეგო, და გვაქვს ეჭვი, რომ ამ სახლში ჰყავთ დამალული, წუთი-წუთზე ველი ორდერს.

- მაშ, მე აქაურობას თვალს არ მოვაცილებ, მისტერ ჰოლმს, და თუ რაიმე შევნიშნე, მაშინვე გაცნობებთ.

მხოლოდ ცხრა საათი იყო, მე და ჰოლმსი დაუყოვნებლივ გზას გავუდექით. პირველ რიგში ბრიკსტონის ხანაგას მივაკითხეთ და გავიგეთ, რომ რამდენიმე დღის წინ იქ მართლაც ყოფილა ცოლ-ქმარი და განუცხადებიათ სურვილი, რომ წაეყვანათ ღრმად მოხუცი ქალი, რომელიც უწინ თურმე მათ ემსახურებოდათ. ნებართვა აუღიათ და შინ წაუყვანიათ. როცა ვთქვით, რომ დედაბერი მოკვდა, დავრდომილთა თავშესაფარში ეს არავის გაჰკვირვებია.

ჯერი ექიმ ჰორსომზე მიდგა. მან გვითხრა, რომ წინა დღით გამოიძახეს ავადმყოფთან, რომელიც, მისი აზრით სიბერის მიხრწნილობით კვდებოდა. სწორედ

ჩემს თვალწინ განუტევაო სული. მოწმობა ყველა წესისა და რიგის დაცვით შევადგინე და ხელიც მოვაწერეო.

- დარწმუნებით შემიძლია განგიცხადოთ, იმ ქალის გარდაცვალება იყო ყველაზე უფრო ბუნებრივი რამ, და ყოველგვარი ეჭვი უბრალოდ გაუმართლებელი იქნება, - დაასკვნა მან.

- არაფერი საეჭვო სახლში არ შეგვიმჩნევია, მხოლოდ იმ უცნაურ ამბავზე შემიძლია მივაქციო თქვენი ყურადღება, რომ ასეთი შეძლებული ხალხი მოსამსახურეების გარეშე ცხოვრობს. აი, ყველაფერი, რაც ჩვენ ექიმ ჰორსომისაგან გავიგეთ.

ბოლოს წავედით სკოტლენდ-იარდში. აღმოჩნდა, რომ ორდერის გაფორმების ამბავი გაჭიანურებულიყო, მოსამართლის ხელმოწერას დილამდე ვერ მივიღებდით. თუ მისტერ ჰოლმსი ხვალ ცხრა საათზე შემოივლის, შეუძლია ინსპექტორ ლესტრეიდს გაჰყვეს და დაპატიმრებას დაესწროსო. მეტი იმ დღეს არაფერი ისეთი არ მომხდარა, თუ შუაღამისას ზემდეგის ვიზიტს არ ჩავთვლით. მან თქვა, რომ სახლის ბნელ ფანჯრებში რამდენჯერმე იელვა შუქმა, მაგრამ სახლიდან არავინ გასულა და არც არავინ შესულაო. ისღა დაგვრჩენოდა, დილამდე მოთმინებით დაგვეცადა.

შერლოკ ჰოლმსი მეტისმეტად გაწბილებული იყო, ასე რომ საუბარი ვერ აეწყობოდა. იგი ისე ღელავდა, რომ ვერც იძინებდა, მე ჩემს ოთახში წავედი, ის კი სასტუმროში დარჩა. მუქი დაფანჩული წარბები კიდევ უფრო დაბლა ჩამოეშვა, სავარძელში იჯდა, თითებით აკაკუნებდა მის სახელურებზე, სიგარეტს სიგარეტზე ქაჩავდა და ეძებდა და ეძებდა საქმის გახსნისათვის მოსარგებ გასაღებს. ღამით რამდენიმეჯერ მომესმა მისი ნაბიჯების ხმაც. დილით, პირს რომ ვიბანდი, ფერწასული შემოიჭრა ჩემთან, ლოყები ჩაცვივნილი ჰქონდა, წუთითაც ვერ მოეხუჭა თვალი.

- როდისაა დაკრძალვა? რვაზე, არა? ახლა რვის ოცი წუთია. - ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, - სად ჯანდაბაში წამოვიდა აზროვნება, რომელმა უფალმა მომკერძა? ჩქარა, უოტსონ, ჩქარა! აკი ახლა წყდება: სიცოხლე ან სიკვდილი, სიცოცხლის გადარჩენის ერთი შანსია, სიკვდილისა კი ასი. თუ დავაგვიანებთ, ვერასოდეს თავს ვერ ვაპატიებ ამ ჩემს მიუხვედრელობას.

ხუთი წუთიც არ გასულა და ჩვენ უკვე კებით ბეიკერ-სტრიტზე მივქროდით. მაგრამ პარლამენტს რომ მივუახლოვდით, რვას ოცდახუთი აკლდა. ბრიკსტონ-როუდზე ისრები უკვე რვასთან მივიდნენ. ბედზე მარტო ჩვენ არ აღმოვჩნდით დაგვიანებულნი. ცხრის ათ წუთზე კებმენმა გაოფლილი ცხენები შეაჩერა იმ აივანთან, რომელთანაც ჯერ კიდევ იდგა კატაფალკი, კარში კი სამ მუშას კუბო გამოჰქონდა. ჰოლმსი წინ გაიჭრა და გზა გადაუღობათ.

- შეჩერდით! - უყივლა და ტვირთისაგან დაძაგრულ პირველსავე კუბოსმზიდავს მკერდში ხელი მიაბჯინა, - დაუყოვნებლივ წაიღეთ უკან კუბო!

- რა ეშმაკი და დოზანა გინდათ აქ?! სადაა თქვენი ორდერი, ახლავე მიჩვენეთ! - დაიღრიალა ჰოლიდან ჭარხალივით გაწითლებულმა პიტერსმა.

- ორდერი იქნება. კუბო კი სახლში დარჩება, ვიდრე ორდერი მოვა.

ჰოლმსის მბრძანებლურმა ხმამ კუბოს მზიდავებზე ზეგავლენა მოახდნა. პიტერსი შეუმჩნევლად გაქრა რომელიღაც კარში, და კუბო უკანვე შეიტანეს. - მალე, მალე, უოტსონ, აგერ სახრახნისი! - წყვეტილი ხმით ბრძანებდა ჰოლმსი და მაგიდაზე დადგმულ კუბოს გარშემო უტრიალებდა. თქვენც აიღეთ სახრახნისი. თუ ერთ წუთში სახურავს ახდით, სოვერენს მიიღებთ, მეგობრებო. არავითარი კითხვები! ჩქარა,

ჩქარა! ასე, კარგია! ერთი ხრახნიც!.. უკანასკნელი. ყველამ ერთად ავქაჩოთ, აჰა, სახურავი ეხდება, უფ! როგორც იქნა!

ხუთმა ავხადეთ სახურავი და მაშინვე ლამის გაგვაბრუა ქლოროფორმის მწვავე სუნმა. განსვენებულის თავი ნარკოტიკებით გაჟღენთილი ბამბის სქელი ფენით იყო შეხვეული. ჰოლმსმა ის მოაცილა და ჩვენ დავინახეთ ორმოციოდე წლის მშვენიერი ქალის ნატიფი სახე. ჰოლმსმა ქალს მხრებში ხელი მოხვია, წინ წამოსწია და ბოლოს დასვა.

- ცოცხალია, უოტსონ? ნუთუ დავაგვიანეთ? ნუთუ ყველაფერი გათავდა?

ნახევარი საათი მძაფრ ლოდინში გავიდა. მეგონა, რომ მართლა ყველაფერი გათავდა, რომ ჰაერის ნაკლებობასა და ქლოროფორმის შხამიან ანაორთქლს სხეული ვერ აიტანდა, სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი ჩაქრებოდა და ამაოდ ვშვრებოდით და ვირჯებოდით. ეთერს ვუშხაპუნებდით, ხელოვნურ სუნთქვას მივმართეთ და, საერთოდ, ვაკეთებდით ყველაფერს, რასაც ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს თანამედროვე მედიცინა უნიშნავს ხოლმე. ბოლოს ქალის ქუთუთოები ოდნავ შეირხა, ტუჩებთან მიტანილი სარკე დაინისლა - მას სიცოცხლე უბრუნდებოდა! აივანთან კები გაჩერდა. ჰოლმსმა ფარდა ასწია და ფანჯარაში გაიხედა. - როგორც იქნა, გამოჩნდა ლესტრეიდი ორდერით, - თქვა, - მაგრამ მისი ჩიტები უკვე გაფრინდნენ... როცა დერეფნიდან სწრაფი ნაბიჯების ხმა შემოესმა, ჰოლმსმა განაგრძო: - მოდის ადამიანი, რომელიც ლედი ფრენსისს უკეთ მიეშველება, ვიდრე ჩვენ შევძელით. გამარჯობათ, მისტერ გრინ! რაც უფრო მალე წავიყვანთ აქედან ლედი ფრენსისს, მით უკეთესი იქნება. დაკრძალვის ცერემონია კი გაგრძელდეს, ოღონდ ახლა ეს საწყალი დედაბერი, კუბოში რომ დარჩა, თავის უკანასკნელ გზაზე მარტოკა წავა.

- თუ თქვენ გსურთ, ეს ეპიზოდი თქვენს ანალებში ჩაურთოთ, ძვირფასო უოტსონ, - მეუბნებოდა იმ საღამოს ჰო-ლმსი, - მოიტანეთ იგი, როგორც ჩემი აზროვნებისა და გონის დროებითი დაბნელების მაგალითი. ჭეშმარიტად შეიძლება, ასეთი რამ თვით ყველაზე უფრო ფხიზელ გონებას დაატყდეს თავს. არც ერთი მოკვდავი არაა დაზღვეული ასეთი მარცხისაგან, მაგრამ პატივისცემის ღირსია ის, ვისაც აქვს უნარი დროზე შენიშნოს ასეთი ჩავარდნა და გამოასწოროს. მთელი ღამე არ მასვენებდა აზრი, რომ იყო, იყო რაღაც წვრილმანი ამბავი, რასაც სათანადო ყურადღება ვერ მივაქციე, მონადირესავით კვალში ვედექი ნადირს, მაგრამ გამომრჩა რაღაც არა მთლად ჩვეულებრივი, რაღაც სიტყვა, მოძრაობა, გამოხედვა... და როცა გათენდა, უეცრად მომაგონდა მეკუბოვის ცოლის სიტყვები... «კეთება მოგვიხდა განსაკუთრებული შეკვეთით, და ოსტატებსაც იმიტომ შეაგვიანდათო». ისინი კუბოზე ლაპარაკობდნენ. კუბოს ამზადებდნენ განსაკუთრებული შეკვეთით. რაღა თქმა უნდა, ზომებიც განსაკუთრებული იქნებოდა. მაგრამ რისთვის? ვისთვის? მაშინ თითქოს ხელახლა დავინახე უჩვეულო მაღალი კუბო, რომლის ფსკერზეც საცოდავი მილეული დედაბერი ესვენა, რატომ შეუკვეთეს ასეთი პატარა არსებისათვის ამოდენა კუბო? რომ შინ კიდევ ერთი გვამისათვის დარჩენილიყო ადგილი! ორივეს ერთი მოწმობით დამარხავდნენ. ყველაფერი თავიდანვე აშკარა იყო, მაგრამ მე როგორღაც დავბრმავდი. დილის რვა საათზე ლედი ფრენსისს კუბოში ჩაასვენებდნენ და კატაფალკზე დაუდებდნენ. ერთადერთი ჩვენი იმედი ის იყო, რომ, ვიდრე სახლიდან გაიტანდნენ მიცვალებულს, დამმარხველები შეგვეჩერებინა. ვარაუდი, რომ ქალი ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა, სიგიჟე იყო, მაგრამ რაღაც შანსი მაინც არსებობდა. რამდენადაც ვიცი, იმ ადამიანებს მკვლელობა არასოდეს არ ჩაუდენიათ. ვფიქრობდი,

რომ ისინი მკვლელობას არც ახლა ჩაიდენდნენ. ისე მოიწადინებდნენ ქალის დამარხვას, რომ არ დაეტოვებინათ კვალი, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ლედი ფრენსისის ძალადობით მკვლელობის დადგენა. თუნდაც შემდეგ გვამი საფლავიდან ამოეღოთ ისინი მაინც როგორმე თავს დაიძვრენდნენ. იმედი მქონდა, რომ დამნაშავენი სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ. რაც მოხდა შემდეგ - თვითონაც იცი, და ნახეთ ის საშინელი სხვენიც, სადაც არამზადებს ქალი დამწყვდეული ჰყავდათ. ისინი დღეს დილით ავიდნენ მასთან, ქლოროფორმი ასუნთქეს, ჩააძინეს, ძირს ჩამოიტანეს, თავზე მოახვიეს ქლოროფორმით გაჟღენთილი ბამბა, რათა ვეღარ გაღვიძებოდა და კუბოს სახურავი ჩახრახნეს. ჭკვიანურად მოფიქრებული გეგმაა, ვერაფერს იტყვი! არაფერი მსგავსი დანაშაულობათა ანალებში მე არ შემხვედრია. თუ დამნაშავენი ლესტრეიდს გაექცევიან, მათი კარიერა, უნდა ვივარაუდოთ, არანაკლებ ბრწყინვალე საქმეებით დაგვირგვინდება.

ეშმაკის ფეხი

ჩემს ჩანაწერებს ჩემს ძველ მეგობარზე, მისტერ შერლოკ ჰოლმსზე, დროდადრო ახალი საკვირველი მოვლენებითა და საინტერესო მოგონებებით ვავსებდი. მაგრამ მისი საკუთარი აზრი და შეხედულება ჩემი ჩანაწერების გამოქვეყნების თაობაზე, რაც რაღა თქმა უნდა, უშუალოდ მას შეეხებოდა, დიდ სიძნელეებს მიქმნიდა. ამ პირქუშ ცინიკოსს ზიზღსა ჰგვრიდა გარშემო მყოფთა ხმაურიანი ქება-დიდება და დანაშაულის საიდუმლოების ფარდის ახდის შემდეგ დიდი ხალისით მიეცემოდა ხოლმე შვება-ლხენას და გართობას, თავის დაფნას კი გულგრილად უთმობდა რომელიმე სკოტლენდ-იარდელ მოსამსახურეს და დამცინავი ღიმილით უსმენდა ხოლმე აურზაურთან მილოცვებს, რაც მათ მიმართ წარმოითქმოდა. ჩემი მეგობრის ასეთმა საქციელმა და არა იმ ამბავმა, რომ გამოსაქვეყნებელი მასალები არა მქონდა, განაპირობა ის, რომ უკანასკნელ წლებში იშვიათად თუ ვახერხებდი ახალი ჩანაწერების ბეჭდვას. საქმე ის გახლავთ, რომ მონაწილეობა მის მიერ ჩატარებული ძიების ზოგიერთ საქმეში, ყოველთვის პატივად მიმაჩნდა, მაგრამ ჩემი მეგობარი მერე ჩემგან კეთილგონიერებას, თავშეკავებას ითხოვდა და მასალებს აღარ მაქვეყნებინებდა.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა გასულ სამშაბათს ჰოლმსის დეპეშა მივიღე. წერილს არასოდეს არ გზავნიდა, როცა საქმის მოგვარება ტელეგრაფითაც შეიძლებოდა. დეპეშა იუწყებოდა: «რატომ არ უნდა დაიწეროს კორნუელის საშინელებაზე - ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო უჩვეულო შემთხვევაზე?» რამ წამოატივტივა ჰოლმსის მეხსიერებაში ეს შემთხვევა, ან რა უცნაურობამ გაუღვიძა სურვილი, რომ ჩემთვის დეპეშა გამოეგზავნა - ვერაფრით ავხსენი. მაგრამ იმის შიშით, ვაითუ გამოქვეყნების ამბავი ისევ გადაიფიქროს-მეთქი, ძველ ჩანაწერებს ვეცი, ამ მოვლენის ზუსტი წვრილმანები მეხსიერებაში აღვიდგინე და ვჩქარობ, მკითხველს ყველაფერი მოვუთხრო.

1897 წ. გაზაფხულზე მძიმე, დაძაბული მუშაობის შედეგად ჰოლმსის რკინის ჯანმრთელობა რამდენადმე შეირყა. იგი არას დაგიდევდათ და თავს სულაც არ იბრალებდა. მარტში ექიმმა მურ ეგერმა, რომელიც ჰოლმსს უაღრესად დაძაბულ დრამატულ გარემოებაში გაეცნო, რაზედაც როგორმე სხვა დროს მოგითხრობთ, კატეგორიულად განაცხადა, რომ სახელოვანმა მაძებარმა აუცილებლად უნდა შეწყვიტოს მუშაობა, ყველაფერი გვერდზე უნდა გადადოს და დაისვენოს, თუ არ

სურს ჯანმრთელობა საბოლოოდ შეირყიოსო. ჰოლმსი ამ ამბავსაც გულგრილად შეხვდა, რადგან მისი გონებრივი მუშაობა სრულებით არ იყო დამოკიდებული მის ფიზიკურ მდგომარეობაზე. მაგრამ როცა ექიმმა გულახდილად უთხრა, მალე საერთოდ ვერ შეძლებო მუშაობას, რო გორც იქნა, გადაწყვიტა რომ ცხოვრების წესი შეეცვალა. ჰოდა, იმ წლის ადრეულ გაზაფხულზე ჩვენ დავსახლდით ქალაქტის გარეუბნის ერთ პატარა კოტეჯში, პოლდუს ყურის მახლობლად, კორნუელის ნახევარკუნძულის უკიდურეს ბოლო კიდეში.

ეს თავისებური მხარე ყველაზე კარგად შეეფერებოდა ჩემი პაციენტის დაღვრემილ განწყობილებას. ჩვენი შეთეთრებული სახლის ფანჯრებიდან, მწვანე მოლით დამშვენებული კონცხის გორაკზე რომ იდგა, იშლებოდა მაუნტს-ბეის უბის ავბედითი რკალი, უხსოვარი დროიდანვე რომ იალქნოსანთა დამღუპველ ადგილად იყო სახელდებული. რამდენმა მეზღვაურმა ნახა აღსასრული მის შავ კლდეებსა და წყალქვეშა ბრაგებზე! ჩრდილოეთის ქარის ქროლვისას ყურე გამოიყურებოდა უშფოთველ, ქარიშხლისაგან დაცულ წყნარ ადგილად, თავისკენ იზიდავდა ამოვარდნილი გრიგალისაგან თავდაღწეულ გემებს და მათ სიმშვიდესა და მყუდრო სავანეს აღუთქვამდა. მაგრამ ანაზდად სამხრეთ-დასავლეთიდან ღმუილით აღიძვროდა ქარაშოტი, გემებს ღუზიდან წყვეტდა, და ვითომ ქარისაგან დაცულ სანაპიროზე, აქაფებულ ტალღებში იწყებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. გამოცდილი ზღვაოსნები ახლოსაც არ ეკარებოდნენ ამ წყეულ ადგილს.

ჩვენი პატარა სახლის შემოგარენში ხმელეთიც ისევე უსიხარულო შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ზღვა. ირგვლივ გადაშლილი იყო ჭაობიანი ვაკე. მოღუშული, უკაცრიელი და მხოლოდ კენტად აღმართული სამრეკლოებით თუ მიაგნებდით პატარა ძველებურ სოფლებს. ყველგან ჩანდა კვალი რომელიღაც ძველი ტომისა, რომელიც დიდი ხნის წინ გადაშენებულა და თავის არსებობას გვაუწყებს მხოლოდ უცნაური ქვის ძეგლებით, უწესრიგოდ მიმოფანტული სასაფლაო ყორღანებით და საინტერესო მიწური სიმაგრეებით, რომელნიც მეხსიერებაში წინარეისტორიულ ბრძოლებს აღადგენდნენ. ამ იდუმალებით მოცული ადგილის ჯადო, დავიწყებულ ტომთა ავბედითი აჩრდილები ჩემი მეგობრის წარმოსახვაზე ისე მომწუსხველად მოქმედებდნენ, რომ ღრმა ფიქრებით მოცული ჰოლმსი ტორფის ჭაობებში დიდხანს დაეხეტებოდა ხოლმე. იგი დაინტერესდა აგრეთვე ძველი კორნუელური ენით და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამტკიცებდა, კორნუელური ენა ძველ ქალდეველთა ენის მონათესავეაო, საგრძნობლად უსესხებიათო სიტყვები აგრეთვე ფინიკიელებისაგან, რომელნიც აქ თურმე კალის მოსაპოვებლად ჩამოდიოდნენ. ფილოლოგიური წიგნების მთელი დასტა გამოიწერა და ის იყო უნდა დაეწყო თავისი თეზისის დამუშავება, როცა უეცრად, ჩემდა ღრმად სამწუხაროდ და მისდა უსაზღვროდ გასახარებლად, ჩვენ ერთ საიდუმლო ამბავში ჩათრეულნი აღმოვჩნდით. უფრო ღრმა, რთული, უფრო ამაღელვებელი და, რაღა თქმა უნდა, უფრო იდუმალებით მოცული გახლდათ ეს საიდუმლო, ვიდრე რომელიც გნებავთ იმათგანი, რომელთაც გვაიძულეს ლონდონი დაგვეტოვებინა. ჩვენი მოკრძალებული ცხოვრება, მშვიდობიანი, ჯანსაღი დასვენება უხეშად დაირღვა და მორევში ჩვენ დაგვაბრუნ-დაგვატრიალეს მოვლენებმა, რომელთაც შეძრეს არა მარტო კორნუელი, არამედ მთელი დასავლეთი ინგლისიც. ბევრ მკითხველს ახსოვს უთუოდ «კორნუელის საშინელება», როგორც მაშინ უწოდებდნენ, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ლონდონის პრესას სრული მონაცემები არ გააჩნდა. და ახლა, ცამეტი წლის შემდეგ, დადგა დრო, როცა შემიძლია ამ მიუწვდომელი მოვლენის წვრილმანები მოგითხროთ.

მე უკვე განგიცხადეთ, რომ იშვიათი სამრეკლოები შუქურებივით გვიჩვენებდნენ კორნუელის ამ ნაწილში მიმოფანტულ სოფლებს. ჩვენგან ყველაზე ახლოს იყო ტრიდენიკუოლესი, სადაც სოფლის მცხოვრებთა ასობით პატარა სახლი იდგა. იმ სოფლის მცხოვრებნი ძველი დახავსებული ეკლესიის კედლების გარშემო იყვნენ ხოლმე მიყუჟული. ამ მრევლის მღვდელი, მისტერ რაუნდჰეი არქეოლოგიის ტრფიალი გახლდათ. ამ ნიადაგზე გაეცნო მას ჰოლმსი. ეს იყო შუახნის გულღია, სქელი კაცი, რომელიც აქაურობას რიგიან-პირიანად იცნობდა. ერთხელ შინ მიგვიპატიჟა და ჩაით გაგვიმასპინძლდა. მასთან გავიცანით მისტერ მორტიმერ ტრიჯენისი, შეძლებული კაცი, რომელიც მღვდლის მცირე შემოსავალს ბინის ქირით ზრდიდა. მღვდლის დიდსა და უთავბოლოდ აშენებულ სახლში მისტერ მორტიმერს ოთახები ჰქონდა დაქირავებული, მარტოხელა მოძღვარი ამით კმაყოფილი იყო, თუმცა ცოტა რამ ჰქონდა საერთო თავის მდგმურთან, სათვალიან, გამხდარ, შავგვრემან კაცთან, ვინც წელში იმდენად გადრეკილიყო, რომ ერთი შეხედვით კუზიანი გეგონებოდათ. მახსოვს, ჩვენი ხანმოკლე სტუმრობისას, მღვდელმა დაუღალავი მოსაუბრის შთაბეჭდილება დატოვა. სამაგიეროდ, მისი მდგმური უცნაურობამდე უკარება, ნაღვლიან და ფიქრიან კაცად მოგვეჩვენა. იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა, ეტყობოდა, საკუთარ ფიქრებში იყო ღრმად ჩაფლული.

სამშაბათს, თექვსმეტ მარტს, როცა ნასაუზმევს თუთუნს ვაბოლებდით და, ჩვეულებისამებრ, ტორფის ჭაობებში სასეირნოდ ვემზადებოდით, ჩვენს პატარა სასტუმრო ოთახში ეს ორი კაცი შემოიჭრა.

- მისტერ ჰოლმს, - თქვა აღლევებულმა მღვდელმა, - წუხელ ღამით საშინელი ტრაგედია დატრიალდა, პირდაპირ გაუგონარი ამბავია! ალბათ თვითონ განგებამ მოგიყვანათ ასე დროულად ჩვენს მხარეში, ჩვენ ხომ ვიცით, ინგლისში თუ ვინმეს შეუძლია ჩვენი დახმარება, ეს თქვენა ხართ!

არც თუ ძალიან მეგობრულად გადავხედე მღვდელს, მაგრამ ჰოლმსმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და, როგორც გამოცდილმა მეძებარმა მონადირის ძახილზე, ყურები დაცქვიტა. ჰოლმსმა მღვდელს ანიშნა, დაჯექიო და ჩვენი აწრიალებული სტუმარი თავის თანამგზავრთან ერთად დივანზე ჩამოჯდა. მისტერ მორტიმერ ტრიჯენისს უფრო რიგიანად ეჭირა თავი, მაგრამ მისი გამხდარი ხელების უნებური კრუნჩხვა და მუქი თვალების ციებიანივით ციმციმი მოწმობდა, რომ ისიც გვარიანად შეფუცხუნებული იყო.

- ვინ მოუთხრობს, მე თუ თქვენ? - ჰკითხა მღვდელმა.

- მე ხომ არ ვიცი, რა მოხდა თქვენთან, - თქვა ჰოლმსმა, - მაგრამ რაკი ისე ჩანს, რომ პირველად ეს ამბავი თქვენ აღმოაჩინეთ, თქვენვე მოყევით: მღვდელმა ხომ ეს თქვენგან გაიგო.

სახელდახელოდ ჩაცმულ მღვდელს გადავხედე, მერე მის კოხტად ჩაცმულ მდგმურს შევავლე თვალი და გულში სასიამოვნო ხიცინი ვიგრძენი იმ გაოცების გამო, რაც მათ სახეებზე ჰოლმსის უბრალო ლოგიკურმა დასკვნამ გამოიწვია.

- ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა გითხრათ, - დაიწყო მღვდელმა. - და მაშინ თქვენ თვითონ გადაწყვეტთ, მისტერ ტრინეჯისს მოუსმინოთ და საქმის ვითარება დაწვრილებით შეიტყოთ, თუ დაუყოვნებლივ უნდა გაეშუროთ ადგილობრივი დათვალიერების ჩასატარებლად, შემთხვევის ადგილზე. მე კი აი, რა მინდა გაუწყოთ: გუშინ საღამოს ჩვენი მეგობარი სტუმრად იყო თავის ძმებთან, ოუენთან და ჯორჯთან. იქვე იყო მათი და ბრენდა. მათი სახლი ტრიდენიკ უორთში, ტორფის ჭაობებში, ძველი ქვის ჯვრის მახლობლადაა. თერთმეტი საათი რომ დაიწყო, მისტერ ტრიჯენისი უკან გამობრუნდა. მანამდე სასადილოში ბანქოს თამაშობდნენ, თავს

ყველა ჯანმრთელად და მხიარულად გრძნობდა. დღეს დილით, ჯერ კიდევ საუზმობამდე, ჩვენი მეგობარი (რომელიც ყოველთვის ადრე დგება) სასეირნოდ წავიდა თავისი დედმამიშვილების სახლისაკენ. გზაზე წამოეწია ექიმ რიჩარდსის ეტლი. აღმოჩნდა, რომ ექიმი ის-ის იყო ტრიდენიკ უორთში გამოეძახათ. რა თქმა უნდა, მისტერ მორტიმერ ტრიჯენისიც მასთან ერთად გაემგზავრა. ადგილზე მისულები რაღაც გაუგონარი ამბის მოწმენი შეიქნენ. და-ძმები მაგიდას ისევ ისე უსხდნენ, როგორც მორტიმერმა წინა ღამეს დატოვა. წინ ისევ ის ბანქო ჰქონდათ გაშლილი, მაგრამ სანთლები ბოლომდე ჩამწვარიყო. ბრენდა სავარძელში მკვდარი ეგდო, აქეთ-იქით კი ძმები ისხდნენ: ყვიროდნენ, მღეროდნენ, ხარხარებდნენ... ერთი სიტყვით ნამდვილი გიჟებივით იქცეოდნენ. სამივეს, მკვდარ დასა და ორ ჭკუადაკარგულ ძმას სახეებზე ჰქონდათ შეყინული გამოუთქმელი შიში და ზარი, რომლის ხილვაც საშიში და ელდის დამცემია. არავითარი კვალი არა ჩანს, რომ სახლში ვინმე გარეშე ყოფილიყო. მისის პორტერმა, მოხუცმა მზარეულმა, არაფერი იცის, მნემ განაცხადა, რომ მთელი ღამე ეძინა და არაფერი გაუგია. მოპარული არაფერი არაა, ყველა ნივთი თავის ადგილზეა და ამიტომ სრულიად გაუგებარია, ასე რამ დააშინა ის საბრალო ადამიანები, რომ ქალმა სიცოცხლე დაკარგა, ხოლო ძმები კი ჭკუიდან შეიშალნენ. აი, მოკლედ ყველაფერი, მისტერ ჰოლმს და თუ თქვენ დაგვეხმარებით მომხდარი ამბის გარკვევაში, დიდ საქმეს გააკეთებთ.

მე ჯერ კიდევ იმედი მქონდა, ჩემს მეგობარს დავიყოლიებდი, ეფიქრა დასვენებაზე, რაც ჩვენი იქ ყოფნის მიზანს შეადგენდა. მაგრამ ჰოლმსის ჩაფიქრებულ, დაძაბულ სახეს რომ შევხედე და მისი შეყრილი წარბები დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ ყველა იმედი ფუჭი იყო. ჰოლმსი დუმდა. იგი მთლიანად შთაენთქა იმ არაჩვეულებრივ დრამას, რომელიც ჩვენს წყნარ ცხოვრებაში შემოიჭრა.

- მე ამ საქმის კვლევას დაუყოვნებლივ შევუდგები - თქვა ბოლოს. - რამდენადაც მესმის, სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა. თვითონ იყავით იქ, მისტერ რაუნდჰეი?

- არა, მისტერ ჰოლმს. როგორც კი გავიგე მისტერ ტრიჯენისისგან ეს უბედურება, მაშინვე თქვენთან გამოვეშურეთ რჩევისთვის.

- შორსაა ის სახლი, სადაც ეს საზარელი ტრაგედია დატრიალდა?

- აქედან ერთი მილი მანძილი იქნება.

- მაშ ერთად წავიდეთ. მაგრამ ჯერ, მისტერ მორტიმერ ტრიჯენის, მინდა რამდენიმე კითხვა მოგცეთ.

ტრიჯენისი დუმდა, ხმა-კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ შევნიშნე, რომ სულის სიღრმეში ის უფრო შეშფოთებული იყო, ვიდრე მცქმუტავი და სიტყვაუხვი მღვდელი. ის უბედური გაფითრებულ, დაბღნეჯილ, მოუსვენარ მზერას ჰოლმსს არ აცილებდა და გამხდარი ხელები ნერვიულობისაგან ხან ეკუმშებოდა და ხან ეშლებოდა. მღვდელი რომ იმ საშინელ ამბავს ჰყვებოდა, ტრიჯენისს ფერწასული ბაგეები უთრთოდა, და მომეჩვენა, თითქოს ის საშინელი სურათი მის თვალებში ირეკლებოდა.

- ყველაფერი მკითხეთ, რასაც საჭიროდ ჩათვლით, მისტერ ჰოლმს, - თითქოს ხალისით წარმოთქვა ტრიჯენისმა. - ჩემთვის ძნელია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ არაფერს დაგიმალავთ.

- მომიყევით გუშინდელი საღამოს ამბავი.

- რაც მისტერ რაუნდჰეიმ მოგახსენოთ, ყველაფერი ისე გახლდათ. ერთად ვისადილეთ, შემდეგ უფროსმა ძმამ ჯორჯმა ვისტის თამაში შემოგვთავაზა. ბანქოს

ცხრა საათზე მივუსხედით. თერთმეტის თხუთმეტზე შინ დასაბრუნებლად მოვემზადე. მაგიდას უსხდნენ, ჯანმრთელები და მხიარულები.

- თქვენ რომ წამოხვედით, ვინ გამოგაცილათ და კარი ვინ დახურა?

- მისის პორტერი უკვე დაწოლილი იყო, არავის გამოვუცილებივარ, თვითონ მოვიხურე კარი. ფანჯარა იმ ოთახისა, რომელშიაც და-ძმები დავტოვე, დახურული იყო, მაგრამ ფარდები არ ჰქონდათ ჩამოშვებული. დღეს დილითაც კარ-ფანჯარა ისევე დახურული აღმოჩნდა. ცხადია, დახურულ კარსა და სარკმელებში უცხო ვინმე ვერ შეიპარებოდა. და მაინც აგრე მგონია, რომ შიშმა ჭკუიდან გადაიყვანა ჩემი ძმები, შიშმავე მოკლა ბრენდა... რომ გენახათ, როგორ ეგდო, სავარძლის სახელურიდან გადმოკიდებული... სიკვდილამდე რა დამავიწყებს იმ ოთახს!

- რასაც თქვენ ამბობთ, უბრალოდ, გაუგონარი ამბავია, - თქვა ჰოლმსმა. - მაგრამ რამდენადაც მესმის, მომხდარის მიზეზი ჩვენთვის სრულიად უცნობია? თქვენ ხომ არა გაქვთ რაიმე ვარაუდი, ან მოსაზრება მომხდარი უბედურების მიზეზსა და საბაბზე?

- ეს ეშმაკის საქმეა, ჰოლმს, ეშმაკის საქმე! - შესძახა მორტიმერ ტრიჯენისმა. - ამ საქმეში უწმინდური სულის ხელი ურევია, რაღაც საშინელება მოხდა და ადამიანებმა ჭკუა დაკარგეს. განა ადამიანს შეუძლია, ასეთი რამ მოიმოქმედოს?

- თუ მომხდარი ამბის დასადგენად ადამიანური ძალა და უნარი არა კმარა, მაშინ გამოცნობა და გამოძიება მეც გამიჭირდება, - შენიშნა ჰოლმსმა. - მაგრამ, ვიდრე თქვენს ვერსიას დავეთანხმები, ყველა რეალური მიზეზი, ვარაუდი, მოსაზრება და ეჭვი უნდა ავწონ-დავწონო, შევამოწმო, უარვყო, ანდა დავადასტურო, მხოლოდ და მხოლოდ სამხილითა და ფაქტებით. მისტერ ტრიჯენის, თქვენ რაღაც უთანხმოებაც გექნებოდათ თქვენს ნათესავებთან, - თქვენ ხომ ცალკე ცხოვრობთ, არა?

- დიახ, ასეც გახლდათ, მისტერ ჰოლმს, თუმცა ეს წარსულის საქმეა. ჩვენს წინაპრებს რედრუტში კალის საბადოები ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ კომპანიას მივყიდეთ, საშუალება მოგვეცა გვარიანად გვეცხოვრა და იქაურობას გავეცალეთ. არ დავფარავ, რომ გაყოფის დროს წავიჩხუბეთ და ერთხანს კიდევ ვემდუროდით ერთმანეთს. მაგრამ რაც იყო, იყო, უკმაყოფილება წარსულს ჩავაბარეთ და ჩვენ ისევ ერთგულ მეგობრებად დავრჩით.

- ჩვენ მაინც გუშინდელ ამბავს მივუბრუნდეთ. ხომ ვერ გაიხსენებთ რაიმეს, რაც ოდნავ მაინც, თუნდაც არაპირდაპირი გზით, ამ იდუმალებით მოცულ ამბავს შუქს მოჰფენდა? კარგად დაფიქრდით, მისტერ ტრიჯენის, მომხდარი უბედურების ასახსნელად ყოველი მინიშნება გამომადგება.

- არა, სერ, არაფერი ასეთი არ მაგონდება.

- თქვენ რომ წამოხვედით, თქვენი ნათესავები ჩვეულებრივ გუნებაზე იყვნენ?

- დიახ, ძალიან კარგ გუნებაზე.

- ხომ არ ნერვიულობდნენ. მეტისმეტად აღგზნებულნი, აფორიაქებულნი ხომ არ იყვნენ, მოახლოებული საფრთხის წინათგრძნობა ხომ არა ჰქონდათ?

- არა, არა.

- მაშ, მეტით არაფრით შეგიძლიათ დამეხმაროთ?

მორტიმერ ტრიჯენისმა მეხსიერება დაძაბა.

- აი, რა მომაგონდა, - თქვა ბოლოს, - როცა ბანქოს ვთამაშობდით, ზურგი ფანჯრისკენ მქონდა მიქცეული. ხოლო ჩემი ძმა, ჯორჯი ჩემი პარტნიორი, ფანჯარაში იცქირებოდა. უცებ შევნიშნე, რომ ჩემი მხრების უკან, დაძაბულად უმზერდა რაღაცას. მეც მოვბრუნდი და გავიხედე. ფანჯარა დახურული იყო, მაგრამ ფარდები არ გვქონდა ჩამოშვებული, და მინდორზე ბუჩქები შევნიშნე. მომეჩვენა, თითქოს იმ

ბუჩქებში რაღაც მოძრაობდა. ვერ გავარკვიე, კაცი იყო თუ ცხოველი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იქ ვიღაც იყო. როცა ძმას ვკითხე საით გაიყურები ასე დაჟინებით-მეთქი, მიპასუხა, რაღაც მომეჩვენაო. აი, სულ ეს იყო.

- მერე, არ დაინტერესდით, რა იყო ეს?

- არა, იმწუთას დამავიწყდა.

- როცა გზას გაუდექით, ცუდი წინათგრძნობა ხომ არა გქონდათ? ხომ არ გეშინოდათ?

- სულაც არა.

- კარგად ვერ გავიგე, როგორ შეიტყეთ ასე ადრიანად ახალი ამბავი?

- ჩვეულებრივ, ადრე ვდგები და საუზმობამდე სასეირნოდ გავდივარ ხოლმე. დღეს დილით გზაზე ექიმის ორთვალა ეტლი დამეწია. ექიმმა მითხრა, ეს არის, მოხუცმა მის პორტერმა ყმაწვილი გამოგზავნა და სასწრაფოდ მიხმოო. მეც ორთვალაში ჩავხტი და ერთად წავედით. როგორც კი ადგილზე მივედით, მაშინვე ოთახში შევცვივდით. სანთლები და ბუხარში ცეცხლი დიდი ხნის ჩამქრალი იყო, ოთახში გათენებამდე წყვდიადი ყოფილა. ექიმმა თქვა, ბრენდა ექვსი საათის წინ მომკვდარაო. ძალადობის არავითარი კვალი და ნიშნები არ ემჩნეოდა. იწვა სავარძელში სახელურზე გადაკიდებულ და სახეზე შიშის ზარი ეხატა. ჯორჯი და ოუენი სხვადასხვა ხმაზე მღეროდნენ და რაღაცას მაიმუნებივით ბურტყუნებდნენ. ო, ეს საშინელი სანახაობა იყო! მე ძლივს მოვითმინე, ძლივს გავუძელი, ხოლო ექიმი ტილოსავით გათეთრდა, ცუდად გახდა და სავარძელში ჩავარდა. კიდევ კარგი, ჩვენი მოსავლელი არ შეიქნა.

- ძალიან საყურადღებო ამბავია... ძალიან საყურადღებო! - წარმოთქვა ჰოლმსმა, ადგა და ქუდი აიღო. - ვფიქრობ, დრო რომ არ დავკარგოთ, პირდაპირ ტრიდენიკ უორთში გავეშუროთ. უნდა ვაღიარო, იშვიათად შემხვედრია საქმე, რომელიც თავიდანვე ესოდენ უჩვეულოდ მომჩვენებია.

იმ დილით ჩვენს ძიებას დიდი წარმატება არ ეწერა. თუმცა დასაწყისშივე მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც ჩემს გონებაზე ძალზე დამთრგუნველად იმოქმედა. შემთხვევის ადგილისაკენ ვიწრო შუკას მივუყვებოდით. მოულოდნელად, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მორახრახე ეტლი გამოჩნდა. გზისპირს გადავუხვიეთ, რომ გზა დაგვეცალა. ეტლი რომ გაგვისწორდა, აწეული მინის ქვემოდან გამოჩნდა თვალებგადმოკარკლული, კბილებდაკრეჭილი, მოქცეული სახე. დაჭყეტილმა თვალებმა და გადმოყრილმა კბილებმა მართლაც საშინელ მოლანდებასავით ჩაგვიქროლა.

- ჩემი ძმები! - შესძახა ერთიანად გათეთრებულმა მორტიმერ ტრიჯენისმა, - ისინი ჰელსტონში მიჰყავთ!

შეძრწუნებულებმა გავაყოლეთ თვალი შავ კარეტას, გზას რომ გამაყრუებელი რახრახით მიუყვებოდა. შემდეგ იმ სახლისაკენ გავწიეთ, სადაც იმ უბედურებს მართლაც უცნაური ბედი ეწიათ.

ეს იყო ფართო, ნათელი სახლი, უფრო ვილა ეთქმოდა, ვიდრე კოტეჯი, დიდი ბაღით, სადაც, რბილი კორნუელური ჰავის წყალობით, გაზაფხულის ყვავილები უკვე სურნელს აფრქვევდნენ. ამ ბაღში სასტუმროდან გადიოდა ფანჯარა, საიდანაც, მორტიმერ ტრიჯენისის მტკიცებით, სახლში ავი სული შეიჭრა და სახლის პატრონები დაასაპყრა და მოკლა კიდეც. ვიდრე აივანზე ავიდოდით, ჰოლმსმა ნელა, დაფიქრებულმა დაათვალიერა ყვავილნარები და ბაღის გზები მიიარ-მოიარა. მახსოვს, იგი ისე იყო ფიქრებში გართული, რომ სარწყულს წამოედო, წყალი დაღვარა და ფეხები დაგვისველა. სახლში დაგვხვდა მოხუცი მწე, მისის პორტერი, რომელიც

ახალგაზრდა მოსამსახურე გოგოს დახმარებით მეურნეობას უძღვებოდა. იგი ხალისით პასუხობდა ჰოლმსს ყველა კითხვაზე. არა, ღამით არაფერი გამიგიაო, თქვა. ბატონები უკანასკნელ დროს ძალიან კარგ გუნებაზე იყვნენ. არ მახსოვს, ოდესმე ასე მხიარულები და კმაყოფილები ყოფილიყვნენ. დილით რომ ავდექი, ოთახში შევედი და ვნახე, რა ყოფაშიც უსხდნენ ძმები მაგიდას, გულწასული ძირს დავეციო. გონს რომ მოვედი, ფანჯარა გამოვაღე, ოთახში ჰაერის გასაწმენდად, მერე გზაზე გავვარდი, ფერმერის ყმაწვილს დავუძახე და ექიმთან გავაგზავნეო. თუ დახედვა გინდათ, დიასახლისი თავის საწოლში ასვენია. ოთხი ჯანმაგარი სანიტარი ძლივს მოერია ორ გაგიჟებულ ძმას და ეტლში რის ვაივაგლახით ჩასვეს. ხვალამდეც ვეღარ დავრჩები ამ სახლში, დაუყოვნებლივ სენტაივსში, ჩემს სახლში უნდა წავიდეო, განაცხადა ბოლოს მნემ.

ზემოთ ავედით და ვნახეთ ბრენდა ტრინეჯისის გვამი. მართალია, შუახანს გადაცილებული იყო, მაგრამ ახლაც ყველა მხილველი იტყოდა, ახალგაზრდობაში მზეთუნახავი ყოფილაო. სიკვდილის შემდეგაც კი მის მშვენიერ, თუმცა შავგვრემან, სახის ნატიფ ნაკვთებზე შიშის დაღი ირეკლებოდა - ეს იყო მისი უკანასკნელი განცდა სიკვდილის წინ. საწოლიდან ჩამოვედით სასტუმროში, სადაც მოხდა ეს უმაგალითო ტრაგედია. ბუხარში ცეცხლი ჯერ კიდევ ბჟუტავდა. მაგიდაზე ოთხი ჩამწვარ-ჩაღვენთილი სანთელი მოჩანდა. ბანქო აქეთ-იქით იყო მიმობნეული. სკამები კედლებთან იყო მიდგმული, სხვა ნივთებს არავინ შეხებოდა. ჰოლმსმა მსუბუქი, სწრაფი ნაბიჯებით დაიარა ოთახი. სკამებზე ჯდებოდა, სხვა ადგილზე გადაჰქონდა და დგამდა ისე, როგორც წინა საღამოს იქნებოდნენ მიდგმულ-მოდგმულნი. არკვევდა, რამდენად ჩანდა ბაღი სხვადასხვა კუთხიდან. გასინჯა იატაკი, ჭერი. ბუხარი, მაგრამ ერთხელაც ვერ შევნიშნე მის თვალებში ის გაელვება, ვერც მოკუმული ბაგეები, რაც ჩემთვის იმისი დასტური იქნებოდა, რომ თავსატეხის გასაღები მიგნებული ჰქონდა. - რისთვის ენთო ბუხარში ცეცხლი? - იკითხა უცებ, - ნუთუ ასეთ პატარა ოთახს გაზაფხულზეც ათბობენ?

მორტიმერ ტრიჯენისმა განმარტა, რომ საღამოს ციოდა და სინესტე იყო. ამიტომ, როცა ის მივიდა, ბუხარში ცეცხლიც გააჩაღეს.

- შემდეგ რას აპირებთ, მისტერ ჰოლმს? - ჰკითხა მერე თვითონ.

ჩემმა მეგობარმა ღიმილით დამადო ხელი მხარზე.

- იცით, უოტსონ, მე ალბათ ისევ მომიხდება ჩიბუხის ქაჩვა და თქვენი სამართლიანი საყვედურების მოსმენა. თქვენი ნებართვით, ბატონებო, ჩვენ შინ დავბრუნდებით, რადგან აქ რაიმე ახალის პოვნის იმედი აღარა მაქვს. ყველა ცნობილ ფაქტს დიდი ყურადღებით გავაანალიზებ, მისტერ ტრიჯენის, და, თუ რაიმე დამიჯდება ჭკუაში, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ თქვენა და მღვდელს. ჯერ კი, ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

კოტეჯში რომ დავბრუნდით, ჰოლმსი დაძაბულ დუმილს მიეცა. ღრმა სავარძელში იჯდა, თამბაქოს ბოლქვებით გარემოცული. შავი წარბები დაბლა დაეშვა, შუბლს ისე ჭმუხნიდა, რომ ნაოჭები გაუჩნდა, განდეგილის ნატანჯ სახეზე ფიქრის დაღმა იელვა და თვალები ჯიუტად აშტერდებოდნენ ერთ წერტილს. ბევრი ფიქრის შემდეგ ჩიბუხი გადააგდო და ზეზე წამოიჭრა.

- არაფერი არ გამოდის, უოტსონ! - გაიცინა, - ჯობს, წავიდეთ, გავიაროთ, კაჟიანი ისრები ვიპოვოთ. უმალ ასეთ იშვიათობას ვნახავთ, ვიდრე ამ თავსატეხის პასუხს. ტვინი რომ აიძულო, მაშინ იმუშაოს, როცა არაა საკმაო მასალა სამუშაოდ - ეს იგივეა, რომ მოტორი გაახურო და გადაწვა. ტვინი ნამსხვრევებად იქცევა. ზღის ჰაერი, მზე და მოთმინება - აი, რა გვჭირდება, უოტსონ, დანარჩენი კი მოგვარდება.

- ახლა კი დამშვიდებით განვსაჯოთ შექმნილი მდგომარეობის ავკარგი, - განაგრძო მან, როცა ხრამის თავზე ბილიკს მივუყვებოდით. - მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ ის მაინც, რაც გაგვაჩნია, იმ დროისათვის, როცა ახალი ფაქტები გამოჩნდება. ჯერ ერთი, შევთანხმდეთ, რომ ეშმაკის მანქანები აქ არაფერ შუაშია. ეს აზრი თავიდან უნდა ამოვიგდოთ. ჩინებულია. ჩვენს თვალწინაა სამი უბედური მსხვერპლი რომელიღაც განაზრახი ან უნებური დანაშაულისა, რაც ადამიანმა ჩაიდინა. აი, ესაა საყრდენი წერტილი ჩვენთვის. ახლა წავიდეთ წინ. როდის მოხდა უბედურება? თუ მორტიმერ ტრიჯენისს ვერწმუნებით, სახლიდან მისი წასვლისთანავე. ეს ძალზე მნიშვნელოვანი წვრილმანია. ეტყობა, ყველაფერი მისი წასვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყო და დასრულდა. თურმე მაგ დროისათვის, ჩვეულებრივ, დასაძინებლად წვებოდნენ ხოლმე. ისინი კი ისევ სხედან, სკამებიც კი არსაით მიუდგ-მოუდგამთ. ამრიგად, ვიმეორებ: ეს მოხდა დაუყოვნებლივ სტუმრის წასვლის შემდეგ და არა უგვიანეს საღამოს თერთმეტი საათისა.

ახლა კვალდაკვალ მივყვეთ, რამდენად არის შესაძლებელი ის, რაც მორტიმერ ტრიჯენისმა ჩაიდინა, ოთახიდან რომ გავიდა. ეს სულაც არაა ძნელი საქმე და იგი თითქოს ეჭვს გარეშე დგას. თქვენ იცნობთ ჩემს მეთოდებს და სარწყავზე დაუდევრობით ფეხის წამოკვრაც იმისათვის დამჭირდა, რომ მისი ფეხის მკაფიო ანაბეჭდს დავკვირვებოდი. სველ ქვიშაზე ჩინებული ანაბეჭდი დაუტოვებია. გუშინ საღამოსაც, როგორც გახსოვთ, ნიადაგი სველი იყო და მე იოლად მივყევი მის ნაკვალევს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ის კაცი მღვდლის სახლისაკენ მიისწრაფოდა.

რაკი მორტიმერ ტრიჯენისი სცენიდან ქრება, მაშასადამე, ბანქოს მოთამაშეებს ვიღაც სხვა გამოეცხადათ. ვინ იყო ის კაცი და რით გამოიწვია ასეთი ელდა? მისის პორტერი გამორიცხულია. იგი აშკარად არაფერ შუაშია. შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ ვიღაცა ბაღიდან გამოვიდა, ფანჯარას მიადგა და თავისი გამოჩენით ასეთი უბედურება დაატრიალა? ჩვენ ამის თაობაზე ერთადერთი ჩვენება გვაქვს და ის ჩვენებაც ისევ მორტიმერ ტრიჯენისს ეკუთვნის. ეს მან შეამჩნია, რომ მისმა ძმამ ბუჩქებში ვიღაცა დალანდა. ბაღში ვიღაცა თუ რაღაცა მოძრაობდა. ეს უცნაურია, რადგან ბნელი საღამო იყო, წვიმდა, და თუ ვინმე მართლა აპირებდა ტრიჯენისების დაშინებას, იმ ადამიანს ფანჯრის მინაზე ცხვირი და პირი ზედ უნდა მიეჭყლიტა. ფანჯრის ქვეშ კი დიდი ყვავილნარია და იქ ფეხის არავითარი ნაკვალევი არაა. ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოეხერხებინა უცნობს ასე შორიდან ეგზომ საზარელი შთაბეჭდილება მოეხდინა. ამას გარდა, ვერა ვხედავ შესაფერის მოტივს ასეთი ამოუხსნელი საქციელისათვის. ხვდებით, რა სიძნელეებია ჩვენ წინ, უოტსონ?

- ოღონდაც! - დაბეჯითებით ვუპასუხე მე.

- და მაინც, თუ მცირეოდენი ახალი მონაცემები მოვიპოვეთ, ამ სიძნელეებს იოლად დავძლევთ. ჩემი ფიქრით, ჩვენს უზარმაზარ არქივებში, უოტსონ, ბევრი იქნება ასეთივე ამოუხსნელი შემთხვევა. ეს საქმე მანამდე უნდა გადავდოთ, ვიდრე უფრო ზუსტ ცნობებს შევკრებთ. ეს დილა კი ნეოლითის ადამიანის ძებნას შევწიროთ.

მგონი, მოგახსენეთ, რომ ჩემი მეგობარი ძიებიდან სხვა საქმეზე გადართვის საოცარი უნარით განირჩეოდა. მაგრამ არასოდეს ეს ამბავი ისე ძლიერ არ გამკვირვებია, როგორც იმ გაზაფხულის დილას კორნუელში, როცა თითქმის მთელი ორი საათი იგი კელტებზე, თავის ქალებზე და კაჟის ბუნიკებზე მსჯელობდა და თანაც ისე უდარდელად ირჯებოდა, თითქოს ავბედითი საიდუმლო სულაც არ აწუხებდა. შინ დაბრუნებულებს ისეთი სტუმარი გველოდა, რომელმაც მაშინვე

სინამდვილის სარბიელზე დაგვაბრუნა. ჩვენ მას კარგად ვიცნობდით. ახმახი აღნაგობა, ტლანქი ნაოჭებით დაღარული სახე, ცეცხლოვანი თვალები, არწივისებური კეხიანი ცხვირი, შეჭაღარავებული თავი, თითქმის ჭერს რომ უსწორდებოდა, ოქროსფერი წვერი აქა-იქ შეთეთრებული და ბაგეების გარშემო სიგარისაგან ჩაყვითლებული - ეს ნიშნები კარგად იყო ცნობილი ლონდონსა და აფრიკაში და შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ადამიანისათვის მიგეკუთვნებინათ, ეს გახლდათ ექიმი ლეონ სტერნდეილი, სახელგანთქმული მკვლევარი და ლომებზე მონადირე.

გაგონილი გვქონდა, რომ იგი სადღაც ჩვენს მახლობლად ცხოვრობდა და არაერთხელ დაგვინახავს კიდეც ეს ზორზოხი კაცი ტორფის ჭაობებში. ჩვენი გაცნობა მას არ უცდია, და მიძალება გასაცნობად არც ჩვენ მოგვსვლია აზრად, რადგან ვიცოდით, რომ განმარტოებისადმი სიყვარულიღა აიძულებდა მოგზაურობიდან მოგზაურობამდე დრო ამ მიყრუებულ კუთხეში გაეტარებინა, აქ ცხოვრობდა იგი სრულიად მარტო, წიგნებითა და რუკებით გარემოცული, თვითონვე აწარმოებდა თავის მარტივ მეურნეობას და სულაც არ აინტერესებდა, რით სულდგმულებდნენ მისი მეზობლები. ამიტომ ძალიან გამაოცა მისმა სიფიცხემ, რითაც ჰოლმსს ეკითხებოდა, მოახერხეთ თუ არა ამ მიუწვდომელი საიდუმლოებიდან რაიმეს გამოცნობაო.

- პოლიცია ჩიხში მოექცა, - თქვა მან, - მაგრამ იქნება თქვენმა მდიდარმა გამოცდილებამ იძალოს და საქმის გამოძიება შეიძლოთ. გთხოვთ, მენდოთ, რადგან ამ მხარის ხშირი სტუმარი ვარ, ტრიჯენისების ოჯახს ახლოს ვიცნობ, დედის მხრიდან ნათესავებადაც კი მომხვდებიან. თავადაც მოგეხსენებათ, მათმა საშინელმა ბედმა დამამწუხრა. აფრიკაში მივემგზავრებოდი, უკვე პლიმუტში ვიყავი, როცა ამ დილით ეს შემზარავი ამბავი გავიგე და მაშინვე აქეთ გამომიწია გულმა, რომ ძიებაში დაგხმარებოდით.

ჰოლმსმა წარბები აზიდა.

- ამისათვის ჩამოხვედით გემიდან?

გემებს რა გამოლევს, სხვას გავყვები.

- ღმერთო ჩემო, აი მეგობრობაც ასეთი უნდა!

- აკი მოგახსენეთ, ნათესავები ვართ-მეთქი.

- დიახ, მახსოვს, დედის მხრიდან. ბარგი უკვე გემბანზე იყო?

- ნაწილი. მეტი წილი ჯერ კიდევ სასტუმროში მქონდა.

- მესმის. მაგრამ თქვენი ნათესავების დაღუპვის ცნობა დღეს დილითვე ხომ ვერ მოხვდებოდა პილმუტის გაზეთებში?

- არა, სერ, დეპეშა მივიღე.

- ნება მომეცით, გკითხოთ, ვისგან მიიღეთ დეპეშა?

მკვლევარს გამხდარი სახე მოექუფრა.

- თქვენ მეტისმეტად ცნობისმოყვარე ხართ, მისტერ ჰოლმს.

- ასეთი გახლავთ ჩემი პროფესია.

ექიმმა სტერნდეილმა ძლივს დაიბრუნა უწინდელი სიმშვიდე.

- რატომ უნდა დაგიმალოთ სიმართლე, - თქვა მან. - დეპეშა გამომიგზავნა მისტერ რაუნდჰეიმ, მღვდელმა.

- მადლობელი ვარ, - სიტყვა ჩამოართვა ჰოლმსმა. - რაც შეეხება თქვენს კითხვას, შემიძლია ასეთი პასუხი გაგცეთ, ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვარ საქმის არსში, მაგრამ მტკიცედ მწამს, რომ ჭეშმარიტებას მივაგნებ. ჯერჯერობით სულ ესაა.

- ხომ ვერ მეტყვით, ეჭვი თუ გაქვთ ვინმეზე?

- ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

- მაშინ ტყუილად მოვსულვარ, მეტს აღარ შეგაწუხებთ.

სახელგანთქმული ექიმი ფართო ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან, იგი საგრძნობლად შეწუხებული გახლდათ. ხუთ წუთში ჰოლმსიც თან გაჰყვა. ჩემი მეგობარი საღამომდე აღარ გამოჩენილა. როცა დაბრუნდა, დაღლილი და უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა, რითაც დავრწმუნდი, რომ ძიებამ კვლავ უშედეგოდ ჩაიარა. შინ დეპეშა ელოდა. თვალი გადაავლო და ბუხარში ისროლა.

- პლიმუტიდანაა, უოტსონ, სასტუმროდან, - ამიხსნა, - მღვდელს შეკითხვა გავუგზავნე და დეპეშით შევამოწმე ექიმ სტერნდეილის სიტყვების სიმართლე. მას მართლა გაუთევია იქ ღამე და მისი ბარგის ნაწილი მართლაც აფრიკაში წასულა. თვითონ კი დაბრუნდა, რომ კვლევა-ძიებაში მონაწილეობა მიიღოსო. რას იტყვით, უოტსონ?

- ჩანს, ეს საქმე გულთან ახლო მიუტანია.

- ძალიან. აი, ეს უნდა იყოს ის ძაფი, რასაც ჯერ კიდევ ვერ მივყოლივართ და რასაც შეუძლია ლაბირინთიდან გამოგვიყვანოს. მხნედ იყავით, უოტსონ, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ჯერ კარგად არ ვიცით. როცა მეტს გავიგებთ, ყველა სიძნელე უკან დაგვრჩება.

ვერანაირად ვერ ვივარაუდებდი, რომ ჰოლმსის სიტყვა ასე მალე აცხადდებოდა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რა უცნაური და საზარელი აღმოჩნდებოდა ჩვენი აღმოჩენა, რომელმაც ძიება სულ სხვა, ახალი გზით წარმართა. დილით, როცა პირს ვიპარსავდი, ცხენის ფლოქვების ხმა შემომესმა. ფანჯარაში გავიხედე და ორთვალა ეტლი დავინახე. ეტლი დიდი სისწრაფით მოჰქროდა. იგი ჩვენს ჭიშკართან გაჩერდა, ორთვალიდან მღვდელი გადმოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბაღის გზაზე გამოიქცა. ჰოლმსი უკვე მზად იყო და ჩვენ საჩქაროდ შევეგებეთ.

მღელვარებისაგან ჩვენი სტუმარი ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ქოშინით ამოღერღა:

- ჩვენ ეშმაკის ხელში ვართ, მისტერ ჰოლმს! ჩემი უბედური მრევლი ეშმაკის ხელში მოხვდა! - გაიძახოდა და თან სული ეხუთებოდა. - თვითონ სატანა დასახლდა იქ. დაგვიმონა, დაგვასაპყრა. მღელვარებისაგან ადგილზე ცეკვავდა და ეს სასაცილო იქნებოდა, ნაცრისფერი სახე და გიჟური თვალები რომ არა. ნათქვამს საშინელი ახალი ამბავი მოაყოლა:

- მისტერ მორტიმერ ტრიჯენისიც ისევე მოკვდა წუხელ, როგორც მისი და-ძმანი დაიხოცნენ.

ნათქვამზე ენერგიით აღსავსე ჰოლმსი პირდაპირ შეხტა და შემოტრიალდა.

- თქვენი ორთვალა ჩვენ ორს შემთხვევის ადგილზე ვერ მიგვიყვანს?

- როგორ არა!

- უოტსონ, მერე ვისაუზმოთ. მისტერ რაუნდჰეი, ჩვენ მზადა ვართ! ჩქარა, ჩქარა, ვიდრე იქ ყველაფერი ხელუხლებელია!

მორტიმერ ტრიჯენისს მღვდლის სახლში კუთხის ორი ოთახი ეჭირა, ორივე განცალკევებული, ერთი მეორის თავზე. პირველ სართულზე სასტუმრო იყო, მეორეზე საწოლი. ფანჯრები კროკეტის მოედანს გადაჰყურებდა. ჩვენ ექიმსაც გავუსწარით და პოლიციასაც. ასე რომ, შემთხვევის ადგილზე ყველაფერი მართლაც ხელუხლებელი დაგვხვდა. ნება მომეცით, აღვწერო მთელი სცენა, რაც მარტის თვის იმ ნისლიან დილას ვნახეთ. სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში ის სურათი და ჩემი გონებიდან მას ვერა ძალა ვერ ამოშლის.

ოთახში დახუთული, მახრჩობელა-მგუდავი ჰაერი იდგა. მოსამსახურე გოგოს რომ დილით ფანჯარა არ გაეღო, სუნთქვა შეუძლებელი იქნებოდა. ნაწილობრივ ეს

იმით აიხსნებოდა, რომ მაგიდის შუაზე იდგა და ჯერ კიდევ ხრჩოლავდა ნავთის ლამპა. მაგიდასთან მდგარი სავარძლის საზურგეზე მიყრდნობილი მკვდარი მორტიმერი იჯდა. თხელი წვერი აბურძგნოდა, სათვალე შუბლზე ჰქონდა აწეული, ხოლო ფანჯრისკენ მიქცეულ შავგვრემან, გამხდარ სახეზე ისეთივე შიშის დაღი შეჰყინვოდა მისი განსვენებული დის სახეზე რომ ვიხილეთ. დაკრუნჩხული ხელ-ფეხითა და დაგრეხილ-დაწმაწნული თითებით იოლად გამოიცნობდით, რომ შიშის პაროქსიზმით დაღუპულიყო. ჩაცმული იყო, თუმცა ისიც შეინიშნებოდა, რომ ტანსაცმელი ჰაიჰარად ჰქონდა გადაცმული. რაკი ვიცოდით, რომ საღამოს დაწვა, უნდა გვევარაუდა, რომ აღსასრული ალიონზე ეწვია.

როგორც კი საბედისწერო ოთახში შევედით, ჰოლმსი გარდაიქმნა. მისი გარეგნული ფლეგმატურობა უცებ შეცვალა მოზღვავებულმა ენერგიამ. იგი ჯერ მთლად ყურადღებად იქცა, თვალები გაუბრწყინდა, სახეგაქვავებული ციებიანივით სწრაფად მოძრაობდა, აღგზნებულად და გამალებულად. იგი გარეთ, მოლზე გაიჭრა, მერე ფანჯრიდან უკან, ოთახში შემოძვრა, შემოირბინა ოთახი, აირბინა ზემოთ, - მოკლედ, მწევარივით იქცეოდა, რომელმაც ნადირის სიახლოვე იგრძნო და გეში აიღო. სწრაფად მოათვალიერა საწოლი ოთახი და ფანჯარა გამოაღო. ეტყობა, რაღაც ახალი მიზეზი აღმოაჩინა. ისევ აღეგზნო, ფანჯარაში თავი გაჰყო და სიხარულის ხმამაღალი შეძახილი აღმოხდა. მერე დაბლა დაეშვა, ბაღში გავარდა, ბალახში გაიშხლართა, წამოხტა და ისევ ოთახში შევარდა. ყველაფერი ეს მოიმოქმედა იმ მონადირის მღელვარებით, რომელიც ნადირის კვალზე მიდის. განსაკუთრებით დაინტერესდა ლამპით, რომელიც, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი იყო, გაზომა მისი რეზერვუარი, შემდეგ ლინზის მეშვეობით გასინჯა შუქფარი, რომელიც ლამპის მინას ზემოდან ფარავდა, გარეთა ზედაპირიდან ცოტა ჭვარტლი ჩამოფხიკა, კონვერტში ჩაყარა, კონვერტი კი საფულეში შეინახა. ბოლოს, პოლიციისა და ექიმის გამოცხადების შემდეგ, მღვდელს ანიშნა და ჩვენ მოლზე გავედით.

- მოხარული ვარ შეგატყობინოთ, რომ ჩემმა ძიებამ უქმად არ ჩაიარა, - განუცხადა ყველას. - არ ვაპირებ ამ საქმის განსჯას პოლიციის თანდასწრებით, მაგრამ თქვენ, მისტერ რაუნდჰეი, გთხოვთ ჩემი ღრმა პატივისცემა ინსპექტორის მიმართ დამიდასტუროთ სიტყვიერად და მისი ყურადღება საწოლი ოთახის ფანჯარასა და სასადილოს მაგიდაზე მდგარ ლამპას მიაქციოთ. ერთიც და მეორეც გარკვეულ ეჭვს ბადებს, ორივე ერთად კი გარკვეული დასკვნის საფუძველს იძლევა. თუ ინსპექტორს რაიმე ცნობები დასჭირდება, მოხარული ვიქნები მისი ხილვით. ახლა კი, უოტსონ, ჯობს, აქაურობას გავეცალოთ.

შესაძლოა, ინსპექტორს თავმოყვარეობა შეულახა კერძო მაძებრის საქმეში ჩარევამ, იქნებ ეგონა კიდეც, რომ სწორ გზაზე იდგა, ყოველ შემთხვევაში, მომდევნო ორი დღის მანძილზე ის ჩვენთან არ გამოჩენილა. იმ დღეებში ჰოლმსი შინ იშვიათად რჩებოდა და, თუ რჩებოდა, თვლემდა ან ეწეოდა. იგი ხანგრძლივად სეირნობდა სრულიად მარტო. კრინტს არ ძრავდა იმაზე, თუ სად იყო. მისმა ერთმა ცდამ მაინც მიმახვედრა, სადაც დადიოდა. მან ისეთივე ლამპა იყიდა, როგორიც მორტიმერ ტრიჯენისის ოთახში ტრაგედიის ღამეს ენთო. ლამპაში ნავთი ჩაასხა, როგორც ამას მღვდლის სახლში სჩადიოდნენ და ზუსტად გამოთვალა, რამდენ ხანს გაძლებდა ანთებული. მისი მეორე ცდა ერთი შეხედვით ბევრად უფრო მარტივი იყო, მაგრამ არც თუ ისე უწყინარი. მე ის აღსასრულის დღემდე არ დამავიწყდება.

ერთ საღამოს ჰოლმსი ალაპარაკდა. - ალბათ გახსოვთ, უოტსონ, ყველა ჩვენებაში, რაც ჩვენ გვსმენია, არის რაღაც საერთო ხაზი. მხედველობაში მაქვს ის, თუ როგორ მოქმედებდა ოთახში დაგუბებული ჰაერი ყველაზე, ვინც იქ პირველი

შედიოდა. თუ გაგონდებათ, როცა მორტიმერ ტრიჯენისი აღწერდა თავის უკანასკნელ მისვლას ძმების სახლში, თქვა, ექიმმა იქ შესვლისთანავე კინაღამ გრძნობა დაკარგა და სკამზე მოცელილივით დავარდაო, ნუთუ დაგავიწყდათ? მე კი მშვენივრად მახსოვს. მერე, ხომ გახსოვთ, მნე მისის პორტერი რომ გვეუბნებოდა, შევედი ოთახში და ცუდად გავხდი, ფანჯარა გამოვაღე, თორემ გავიგუდებოდიო! მორტიმერ ტრიჯენისის სიკვდილის შემდეგ, ნუთუ დაგავიწყდათ, რა საშინელი შეხუთული ჰაერი იყო ოთახში, თუმცა მოსამსახურე გოგოს უკვე მოესწრო ფანჯრების გაღება. როგორც შემდეგ შევიტყე, ის მოსამსახურე გოგო ისე ცუდად გამხდარა, რომ ლოგინად ჩავარდნილა. დამეთანხმებით, უოტსონ, ეს ძალიან საეჭვო ამბავია. ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე მოვლენაა: ჰაერის მოწამვლა. ორსავე შემთხვევაში ოთახში რაღაც ენთო. პირველ შემთხვევაში - ბუხარი, მეორედ - ლამპა. ცეცხლი უცილოდ დაისაჭიროვეს, მაგრამ მეორეჯერ ლამპა აანთეს მას შემდეგ, რაც გათენდა, - ამაზე მეტყველებს ნავთის დონე. რატომ? იმიტომ, რომ არის რაღაც კავშირი სამ საგანს შორის: წვა, ჰაერის მოწამვლა და საბოლოოდ სიგიჟე, ან იმ უბედურთა სიკვდილი, რომლითაც ყველაფერი მოთავდა. იმედი მაქვს, გამიგეთ?

- კი, თითქოს გასაგებია.

- ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია ეს სამუშაო ჰიპოთეზად დავიტოვოთ. დავუშვათ, რომ იქ ორსავე შემთხვევაში ენთო რაღაც ნივთიერება, რომელიც ჰაერს წამლავს. ჩინებულია. პირველ შემთხვევაში ტრიჯენისებთან ეს ნივთიერება ბუხარში შეაგდეს. ფანჯარა დახურული იყო, მაგრამ შხამიანი ანაორთქლი, რაღა თქმა უნდა, საკვამურში ადიოდა. ამიტომ ზემოქმედებაც უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე მეორედ, როცა ანაორთქლს გარეთ გამოსავალი არა ჰქონდა. ეს ჩანს დანაშაულებრივი შედეგებიდან: პირველ შემთხვევაში მხოლოდ ქალი მოკვდა, როგორც უფრო სუსტი არსება, მამაკაცები კი დროებით შეიშალნენ ან საბოლოოდ გაგიჟდნენ, რაც მოწამვლის პირველი ნიშანია. მეორე შემთხვევაში სასურველი შედეგი სავსებით მიღწეულია. ამრიგად, მომხდარი ფაქტები ადასტურებენ რაღაც ნივთიერების წვით გამოწვეულ მოწამვლას.

აქედან გამომდინარე, მე ვცდილობდი მორტიმერ ტრიჯენისის ოთახში იმ ნივთიერების ნაშთისათვის მიმეკვლია. ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო იმ ნივთიერების დანალექის პოვნა ლამპის ჭვარტლში, შუქფარზე. როგორც ვვარაუდობდი, იქ მართლაც იყო ჭვარტლის ფანტელები, იქვე აღმოჩნდა კიდეებზე მიხაკისფერი ფხვნილი, რომელმაც დაწვა ვერ მოასწრო. თუ გახსოვთ, ამ ფხვნილის ნახევარი ჩამოვფხიკე და კონვერტში შევინახე.

- რატომ მარტო ნახევარი, ჰოლმს?

- პოლიციისთვის ხელის შეშლა და მათ გზაზე გადადგომა ჩემი ცხოვრების წესი არ გახლავთ, უოტსონ. მე მათ ყველა სამხილი დავუტოვე. ნახავენ რამეს შუქფარზე თუ ვერა, ეს უკვე მათი საზრიანობის საქმეა. ახლა კი, უოტსონ, ავანთოთ ლამპა, მაგრამ ჯერ ჩვენს საზოგადოებას, რომ ორი ღირსეული წევრი არ დავუღუპოთ, ფანჯრები გავაღოთ. დაჯექით ამ ფანჯარასთან ამ სავარძელში... თუ, რასაკვირველია, როგორც ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, თანახმა ხართ მონაწილეობა მიიღოთ ჩემს მიერ დაყენებულ ცდაში. როგორც ვხედავ, უკან დახევას არ აპირებთ! ტყუილად კი არ მწამდა თქვენი ყოველთვის, ძვირფასო უოტსონ! თვითონ თქვენს პირდაპირ დავჯდები, სახით თქვენკენ, და ჩვენ ერთნაირი მანძილით ვიქნებით დაშორებული ლამპიდან. კარი ნახევრად ღია დავტოვოთ. ახლა შეგვიძლია ერთიმეორეს თვალი ვადევნოთ და თუ სიმპტომები საგანგაშო იქნება, ცდა მაშინვე უნდა შეწყდეს. გასაგებია? მაშ ვიღებ კონვერტიდან ფხვნილს, ან უფრო სწორად, რაც მისგან დარჩა,

და ანთებულ ლამპაზე ვყრი. მზადაა! ახლა, უოტსონ, დაჯექით და უცადეთ მოვლენათა განვითარებას.

ცდა დიდხანს არ მოგვიხდა. ძლივს მოვასწარი დაჯდომა, რომ მძიმე, მსუყე, გულისამრევი სუნი ვიგრძენი. პირველივე ჩასუნთქვის შემდეგ გონება თითქოს დამიბნელდა, თავს ვეღარ ვერეოდი. თვალწინ ხშირი შავი ღრუბელი ჩამომეფარა და უეცრად ვიგრძენი, რომ მასში იმალვოდა ყველაფერი საშინელი, ჯოჯოხეთური, ბოროტი, რაც კი ქვეყნად არსებობს, და ეს უჩინარი ძალა მზად იყო ჩემს მოსაკვდინებლად. ამ შავ ნისლში ვტრიალებდი და ვირწეოდი, ბუნდოვანი ლანდები მაუწყებდნენ, რომ უეჭველად გამოჩნდება რაღაც საშინელი არსება და მარტო ამის გაფიქრებაზეც ლამის გული ორად გამეპო. შიშისაგან გავიყინე. თმა ყალყზე დამიდგა, თვალები გადმომეკარკლა, პირი ფართოდ გავაღე და ენა აბედივით გამიხდა. თავში ისეთი არაჩვეულებრივი ხმაური ატყდა, რომ მომეჩვენა, ტვინი ვეღარ გაუძლებს, თავი ნამსხვრევებად იქცევა-მეთქი. დაყვირება ვცადე, მაგრამ ხრინწიანი ჩხავილიღა აღმომხდა. ძლივს მოვისაზრე, რომ ეს ჩემი საკუთარი ხმა იყო. იმავე წამს გაჭირვებით გავარღვიე ავბედითი სუდარა და თვალწინ წარმომიდგა თეთრი ნიღაბი, შიშისაგან დაღმეჭილი ისეთი სიფათი, ტრიჯენისების სახლში რომ ვიხილე... ახლა ამას ჰოლმსის სახეზე ვხედავდი. აქ წამით გონება გამინათდა. სავარძლიდან წამოვხტი, ჰოლმსს ხელები შემოვხვიე და ბარბაცით გასასვლელისაკენ გავემართე. მერე ბალახზე ვიწექით და ვგრძნობდით, როგორ ფანტავდა მზე შიშის ზარს, რამაც ასე შეგვბოჭა. ნელ-ნელა ტოვებდა ჩვენს სხეულებს ელდა, მსგავსად დილის ნისლისა, ბოლოს გონიც დაგვიბრუნდა და მასთან - სულიერი სიმშვიდეც. ბალახზე წამოვჯექით, ცივ ოფლს ვიწმენდდით და შიშით შევცქეროდით ჩვენი სახიფათო ცდის ნაკვალევს ერთიმეორის სახეებზე.

- ღმერთმანი, უოტსონ, ძალიან ვნანობ, რომ ასეთ ხათაბალა საქმეში გაგხვიეთ, - მონანიე ხმით თქვა ბოლოს ჰოლმსმა, - პატიებას ვითხოვ თქვენგან. არ შეიძლებოდა ასეთი ცდის მოწყობა. და მით უმეტეს ასეთ საძაგელ საქმეში მეგობრის ჩათრევა. მერწმუნეთ, გულწრფელად ვნანობ.

- თქვენ ხომ იცით, - ვუპასუხე, ჰოლმსის გაუგონარი გულითადობით აღელვებულმა, - რომ თქვენი დახმარება ჩემთვის უდიდესი პატივი და სიხარულია.

აქ ის კვლავ ჩვეულებრივი, ნახევრად ხუმრობის, ნახევრად სკეპტიკური ხმით ამეტყველდა: - მაინც, ძვირფასო უოტსონ, ნამეტანი კი იყო ასეთ ხიფათში თავის ჩაგდება: რა თქმა უნდა, გარედან მაყურებელი იფიქრებდა, რომ ჩვენ უკვე ამ ცდის დაწყებამდე შევიშალეთ ჭკუიდან. უნდა ვაღიარო, არ ველოდი, რომ ფხვნილის მოქმედება ასეთი უეცარი და ძლიერი იქნებოდა. ეს რომ თქვა, - სახლში შევარდა, ანთებული ლამპა შორს გაწვდილი ხელით გარეთ გამოიტანა და მაყვლის ბუჩქებში ისროლა. - დაე, ცოტა გასუფთავდეს ოთახი. ახლა, უოტსონ, ალბათ ეჭვი აღარ გეპარებათ, თუ როგორ გათამაშდა ტრიჯენისების სახლში ის უბედურება ორჯერ?

- არავითარი ეჭვი აღარ მაქვს.

- მაგრამ მიზეზი იმ უბედურებისა ისევე აუხსნელია, როგორც აქამდე იყო. გავიდეთ ფანჩატურში და იქ მოვილაპარაკოთ. მე ახლაც ყელს მიხუთავს იმ საზიზღარი ფხვნილის ანაორთქლი. ყველა ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბოროტმოქმედი პირველ შემთხვევაში მორტიმერ ტრიჯენისი იყო. მეორედ კი იგი თვითონ აღმოჩნდა მსხვერპლი. არც იმისი დავიწყება შეიძლება, რომ ოჯახში ჯერ წაიჩხუბნენ და მერე შერიგდნენ. მე, მორტიმერ ტრიჯენისი, ის ნამდვილი კაცუნა, მელიის წრიპინა ნიკაპი რომ ჰქონდა და ეშმაკის თვალებს აჭყეტდა სათვალის ქვემოდან, საკმაოდ ბოროტ ადამიანად და გულღრძოდ მეჩვენებოდა. გახსოვთ თანაც,

მანვე გვითხრა, ბაღში ვიღაც შევნიშნეო - ეს იყო ცნობა, რამაც ჩვენი ყურადღება მთავარ მიზეზს დროებით ჩამოაშორა. მას სჭირდებოდა, რომ ჩვენთვის კვალი აერია. ეს მან ჩაყარა ფხვნილი წასვლის წინ ბუხარში. აკი ყველაფერი მისი წასვლისთანავე მოხდა! ახალი სტუმარი რომ მოსულიყო ვინმე, ოჯახი, ცხადია, აიშლებოდა და სტუმარს მიეგებებოდა. მაგრამ განა მშვიდობიან კორნუელში სტუმრები საღამოს ათი საათის შემდეგ მოდიან? ამრიგად, ყველა ფაქტი იმას მოწმობს, რომ მორტიმერ ტრიჯენისი დამნაშავე იყო.

- მაშ, მან თავი მოიკლა?

- დიახ, უოტსონ, ძალაუნებურად ასე უნდა ვიფიქროთ. ისეთ მძიმე დამნაშავეს, რომელმაც დაღუპა დედმამიშვილები, იოლად შეეძლო თვითმკვლელობამდე მისვლა. მაგრამ არის საწინააღმდეგო აზრისა და მისი მტკიცების სარწმუნო მონაცემებიც. საბედნიეროდ, ინგლისში არის ადამიანი, რომელმაც ყოველივე წვრილად იცის ამ საქმის ირგვლივ, და მე ვიზრუნე იმისათვის, რომ ყველაფერი მისი პირიდან მოვისმინოთ, თანაც დღესვე. აგერ ისიც! აქეთ, აქეთ, ამ ბილიკით, მისტერ სტერნდეილ! ჩვენ კოტეჯში ქიმიური ცდა ჩავატარეთ და ისეთი გამოჩენილი სტუმრის მისაღებად, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ჩვენი სასტუმრო აღარ გამოდგება.

ბაღის ჭიშკრის ჭრიალი გავიგონე, და გზაზე გამოჩნდა აფრიკის ცნობილი მკვლევარი. მან ოდნავ გაოცებულმა მოაშურა ფანჩატურს, სადაც ჩვენ ვისხედით.

- თქვენ გამომიგზავნეთ კაცი, მისტერ ჰოლმს. თქვენი ბარათი ამ ერთი საათის წინ მივიღე და თქვენკენ გამოვეშურე, თუმცა ნამდვილად არ მესმის, რატომ უნდა შევასრულო თქვენი მოთხოვნები.

- ვფიქრობ, ჩვენი საუბრის მსვლელობაში ყველაფერს გაიგებთ, - მიუგო ჰოლმსმა. - ახლა კი დიდად მადლიერი ვარ, რომ მოხვედით. გვაპატიეთ, რომ ამ ფანჩატურში გხვდებით, მაგრამ მე და უოტსონმა კინაღამ ახალი მსხვერპლი მივუმატეთ «კორნუელის საშინელებას», როგორც უწოდებენ ამ უბედურებას გაზეთები, ამიტომ სუფთა ჰაერს ვამჯობინებთ. იქნებ ასეც ჯობდეს, რადგან ისე ვისაუბრებთ, რომ უცხო მსმენელის შიში არ გვექნება, მით უმეტეს, რომ ამას თქვენთან უშუალო დამოკიდებულება აქვს.

მოგზაურმა პირიდან სიგარა გამოიღო და ჩემს მეგობარს მკაცრად შეხედა.

- ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, სერ, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ ამას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩემთან?

- მორტიმერ ტრიჯენისის მკვლელობას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს თქვენთან, - მიუგო ჰოლმსმა.

იმ წუთას ვინანე, რომ შეიარაღებული არ ვიყავი. სტერნდეილი სახეზე ჭარხალივით წამოწითლდა, გაშმაგდა, თვალები აუბრიალდა, შუბლზე ძარღვები დაეჭიმა, მტევნები მუშტებად შეკრა და პირდაპირ ჩემს მეგობარს ეცა. ბედზე იმავე წამს გონს მოეგო, შედგა, ზებუნებრივი ძალდატანებით კვლავ დაიოკა თავი, დაიბრუნა სიმშვიდე, რომელშიაც ალბათ მეტი საფრთხე იფარებოდა, ვიდრე იმ წამიერ აფეთქებაში.

- მე ისე დიდხანს ვიცხოვრე ველურთა შორის, რომ კანონი არ ვიცი - ჩემს თავს თვითონვე ვუდგენ კანონებს. არ დაივიწყოთ ეს, მისტერ ჰოლმს და გაითვალისწინეთ ისიც, რომ თქვენი დასახიჩრება არ მოვიწადინე!

- არც მე მსურდა თქვენთვის ზიანის მოყენება, დოქტორ სტერნდეილ! ამის საბუთად ისიც კმარა, რომ წერილი გამოგიგზავნეთ თქვენ და არა პოლიციას.

სტერნდეილი დაჯდა, იგი მძიმედ ქშინავდა. მთელი მისი მდიდარი, ფათერაკებიანი ცხოვრების მანძილზე მან ალბათ პირველად იგრძნო მოწიწება, რიდი, კრძალვა და შიში. შეუძლებელი იყო ჰოლმსის უდრეკი სიმშვიდის წინაშე ქედი არ მოგეხარათ. ჩვენი სტუმარი კი აყოვნებდა, ხელებს მუშტად კრავდა და ისევ შლიდა.

- რას გულისხმობთ, - ჯიქურ იკითხა ბოლოს. - თუ ეს ჩემი გამოწვევაა, მისტერ ჰოლმს, ცოტა შეგეშალათ, ჩემთან თამაშს არ გირჩევთ. მე ის კაცი არა ვარ, ვისი გაცუცურაკებაც შეიძლება, ახლა პირდაპირ მითხარით, რას გულისხმობთ?

- ახლავე გეტყვით, მიუგო ჰოლმსმა. - გეტყვით იმიტომ, რომ იმედი მაქვს გულახდილობას გულახდილობით უპასუხებთ. თუ როგორი აღმოჩნდება ჩემი შემდომი ნაბიჯი, ეს დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, თავს როგორ იმართლებთ.

- მე ვიმართლებ თავს?

- დიახ, სერ.

- თავი უნდა ვიმართლო?

- დიახ, მორტიმერ ტრიჯენისის მკვლელობაში უნდა იმართლოთ თავი.

სტერნდეილმა ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა.

- ეს ბრალდება საიდანღა შეთითხნეთ, აღშფოთდა ბუმბერაზი. - ნუთუ მთელი თქვენი დიდება ასეთ ხელოვნურ ოინბაზობაზეა აგებული?

- ეს თქვენ ეწევით ოინბაზობასა და უფრო მეტსაც, დოქტორო სტერნდეილ, და არა მე, - მკაცრად უპასუხა ჰოლმსმა. - ახლავე მოგახსენებთ ფაქტებს, რომელთაც ჩემი დასკვნა ემყარება. თქვენმა დაბრუნებამ პლიმუტიდან იმ დროს, როცა თქვენი ბარგი უკვე აფრიკაშია გაგზავნილი, იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ თქვენ ამ საქმით განსაკუთრებით ხართ დაინტერესებული.

- მე დავბრუნდი, რათა...

- უკვე მოვისმინე თქვენი განმარტება და ნათქვამი მიზეზები დამაჯერებლად არ მიმაჩნია, მაგრამ ამას მოვეშვათ. შემდეგ ჩემთან მოხვედით, რათა გაგეგოთ, ვისზე მაქვს ეჭვი. ამაზე არ გიპასუხეთ. თქვენ გაეშურეთ მღვდლის სახლში, იქ იცდიდით, შიგნით არ შესულხართ, შემდეგ კი შინ დაბრუნდით.

- საიდან იცით?

- თვალს გადევნებდით.

- მე არავინ შემიმჩნევია.

- დიახ, თქვენ მე ვერ შემამჩნიეთ, მთელი ღამე მოუსვენრად გაატარეთ. თვალი არ მოგიხუჭავთ, გეგმებს ადგენდით, დილით როგორ გემოქმედათ. ის იყო ინათა, როცა სახლიდან გამოხვედით, თქვენს ჭიშკართან დაყრილი ხრეშიდან რამდენიმე წითელი კენჭი აიღეთ, ჯიბეში ჩაიყარეთ და ჰაიჰარად იქაურობას გაეცალეთ.

სტერნდეილი შეკრთა და გაოცებული ჰოლმსს მიაშტერდა.

- შემდეგ სწრაფად წახვედით მღვდლის სახლისაკენ, რომელსაც კარგა მანძილი გაშორებდათ. სხვათა შორის, იგივე ტენისის დაღარულძირიანი ფეხსაცმელი გეცვათ, ახლა რომ გაცვიათ. იქ ბაღი გადაკვეთეთ, ზღუდეზე გადახვედით და პირდაპირ ტრინეჯისის ფანჯარასთან გაჩერდით. უკვე გათენებული იყო, მაგრამ სახლში ჯერაც ეძინათ. თქვენ ჯიბიდან კენჭები ამოიღეთ და მეორე სართულის ფანჯარას ესროლეთ.

სტერნდეილი წამოხტა.

- თქვენ თვითონ ეშმაკი ხართ! - შესძახა ჩვენმა სტუმარმა.

ჰოლმსს გაეღიმა. - ორჯერ-სამჯერ ისროლეთ, ბოლოს ტრინეჯისი ფანჯარასთან მოვიდა. თქვენ ანიშნეთ, ძირს ჩამოდიო. მან საჩქაროდ ჩაიცვა ტანსაცმელი და

სასტუმრო ოთახში ჩავიდა. ფანჯარაში გადაძვერით და თქვენ შორის გაიმართა მცირე ლაპარაკი, ამასობაში ბოლთას სცემდით. ბოლოს ისევ გადმოძვერით ფანჯრიდან და სარკმელი მიხურეთ. მერე მოლზე დადექით, კარგა ხანს დაჰყავით, სიგარას ქაჩავდით და თვალს ადევნებდით, თუ რა ხდებოდა სასტუმროში. როცა მორტიმერ ტრიჯენისი მოკვდა, თქვენ იმავე გზით გამობრუნდით უკან. აბა, დოქტორო სტერნდეილ, რით ახსნით თქვენს ასეთ მოქმედებას და რა არის მიზეზი თქვენი ასეთი საქციელისა? ცუდ-უბრალოდ არა სცადოთ თავის დაძვრენა და ჩემი მოტყუება ცბიერებით, გაფრთხილებთ, მაშინ ამ საქმეს სხვები მოჰკიდებენ ხელს.

ჰოლმსს საბრალდებო სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ჩვენს სტუმარს სახეზე ნაცრისფერი გადაეკრა. ახლა სახე ხელებით დაიფარა და ღრმა ფიქრს მიეცა. შემდეგ სწრაფი მოძრაობით შიდა ჯიბიდან ფოტოსურათი ამოიღო და გაურანდავ მაგიდაზე დააგდო.

- აი, ამის გამო ჩავიდინე ეს ამბავი.

- ეს იყო ძალიან ლამაზი ქალის სურათი. ჰოლმსმა დიდხანს უყურა და მერე წყნარად თქვა - ბრენდა ტრიჯენისია.

- დიახ, ბრენდა ტრიჯენისია, - დაუმოწმა სტუმარმა. - წლების მანძილზე მისი სიყვარულის სახმილი მწვავდა. წლების მანძილზე ვუყვარდი მასაც. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ კორნუელში განდეგილური ცხოვრება მომწონდა. მხოლოდ აქ ვიყავი ახლოს ქვეყნად ყველაზე უფრო ძვირფას არსებასთან. ბრენდაზე დაქორწინება არ შემეძლო, რადგან ცოლიანი ვარ. თანამეცხედრემ რამდენიმე წლის წინ მიმატოვა, მაგრამ სულელური ინგლისური კანონი განქორწინების ნებას არ მაძლევს. წლობით ველოდი ბრენდას. და აი, რას შევესწარი. - სტერნდეილის გიგანტური სხეული უცნაურად შეირხა და მან კრუნჩხვით იტაცა ყელზე ხელი, რომ ქვითინი არ დაეწყო. როგორც იქნა, შეიკავა თავი ტირილისაგან. და განაგრძო: - მღვდელმა იცოდა ეს ამბავი. ჩვენი საიდუმლო გავანდეთ. ის გიამბობთ, რა ანგელოზიც იყო ის ქალი. აი, რატომ გამომიგზავნა დეპეშა მღვდელმა პლიმუტში და მეც აქეთ გამოვეშურე, რა ჯანდაბად მინდოდა ბარგი და აფრიკა, როცა შევიტყვე, ჩემს საყვარელ ადამიანს რა ბედიც ერგო? აი, ჩემი საქციელის გამართლება, მისტერ ჰოლმს!

- განაგრძეთ, - უთხრა ჩემმა მეგობარმა.

დოქტორმა სტერნდეილმა ჯიბიდან ამოიღო ქაღალდის შეკვრა და მაგიდაზე დადო. ჩვენ წავიკითხეთ: «კფვშჩ ზუვშთ ვშფიწდშ», წითელ იარლიყზე ეწერა «შხამი». შეკვრა ჩემკენ გამოაჩოჩა.

- ვიცი, რომ ექიმი ხართ. გაგიგონიათ ასეთი შხამ-საწამლავი?

- ეშმაკის ფეხის ფესვი? პირველად მესმის.

- ეს ამბავი არ ამცირებს თქვენს პროფესიონალურ ცოდნას, - შენიშნა მისტერ სტერნდეილმა, - რადგან ესაა ევროპაში ერთადერთი ნიმუში, თუ არ ჩავთვლით იმას, რომელიც ბუდას ლაბორატორიაში ინახება. ეს შხამ-საწამლავი უცნობია როგორც ფარმაკოპეაში, ასევე ტოქსიკოლოგიურ ლიტერატურაში. ფესვი ფორმით ფეხს მოგვაგონებს. იგი ადამიანის ფეხსაცა ჰგავს და თხისასაც, აი, რისთვის მისცა მისიონერმა ბოტანიკოსმა ასეთი უჩვეულო სახელწოდება. დასავლეთ აფრიკის ზოგ რაიონში ჯადოქრები მას თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ და საიდუმლოდ ინახავენ. ეს ნიმუში უბანგჰის ქვეყანაში ვიშოვე, ამ სიტყვებზე ქაღალდის შეკვრა გაშალა და ჩვენ დავინახეთ მუქი-წითელი ფხვნილი, რომელიც ბურნუთს მიაგავდა.

- განაგრძეთ, სერ, - მკაცრად უთხრა ჰოლმსმა.

- მე თითქმის უკვე დავასრულე, მისტერ ჰოლმს. თქვენ თვითონ ძალიან ბევრი რამ იცით ჩემზე, მაგრამ მაინც მინდა ბოლომდე ყველაფერი იცოდეთ. მე უკვე

გითხარით ტრიჯენისებთან ჩემი ნათესაობის ამბავი. დის პატივისცემით ძმებთან მეგობრობა მქონდა. ფულის გაყოფის ამბავს რომ ჩხუბი მოაყოლეს, იმის შემდეგ მორტიმერი ცალკე გამოეყოთ და მარტო ცხოვრობდა. შემდეგ თითქოს ყველაფერი მოგვარდა და მასაც ისევე ვხვდებოდი, როგორც მის ძმებს. იგი ცბიერი, პირფერი ინტრიგანი იყო და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო არც ვენდობოდი, მაგრამ ჩხუბის მიზეზი არა მქონდა.

ამ ორი კვირის წინ, მან კოტეჯში შემომიარა, მე ჩემი აფრიკული იშვიათი რამეები ვუჩვენე. როცა საქმე ამ ფხვნილამდე მივიდა, მოვუყევი მისი უცნაური თვისების ამბავი, თუ როგორ აღაგზნებს ფხვნილი ნერვულ სისტემას, შიშის მაკონტროლებელ ცენტრებს და როგორ იხოცებიან ან გიჟდებიან საცოდავი ველურები, რომელთაც ჯადოქარი ამ წამალს უნიშნავს. ვუთხარი ისიც, ევროპული მეცნიერული აზრი ჯერჯერობით იმ დონეზე არ არის, რომ ამ შხამ-საწამლავის მოქმედებაზე კონტროლი დააწესოს-მეთქი. ვერ გამიგია, როგორ აწაპნა ფხვნილის ნაწილი, რადგან ოთახიდან არ გავსულვარ. ეტყობა, ეს მაშინ ჩაიდინა, როცა კარადებს ვაღებდი ან ყუთებში ვიქექებოდი. კარგად მახსოვს, როგორ დამაყარა კითხვები, თუ რამდენია საჭირო ეს ფხვნილი ან როგორ უნდა ხმარება, რამდენ ხანში მოქმედებს, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია, რა განზრახვა ჰქონდა გულში. ამას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა პლიმუტში მღვდლის დეპეშამ მომისწრო. არამზადა ტრიჯენისმა ალბათ ის ივარაუდა, რომ მე უკვე ზღვაში ვიქნებოდი გასული და აფრიკის უღრან ტყეებში ისე გავატარებდი რამდენიმე წელიწადს, რომ მომხდარ ამბავს ვერ შევიტყობდი. მაგრამ მე დაუყოვნებლივ დავბრუნდი. როგორც კი დაწვრილებით გავიგე მომხდარი ამბავი, მივხვდი, მორტიმერმა ჩემი ფხვნილით დაღუპა ბრენდა და მისი ძმები. შევიტყვე რომ ძიებას თქვენ უძღვებოდით და გამოვეშურე, რათა დანამდვილებით გამეგო, მომხდარი ამბის სხვა ახსნა ხომ არ არსებობს-მეთქი. მაგრამ ამ დრამის მეორეგვარი ახსნა არ არსებობს. დავრწმუნდი, მკვლელობა მორტიმერ ტრიჯენისმა ჩაიდინა ანგარებით. თუ მისი ოჯახის წევრები შეიშლებოდნენ, ან ამოწყდებოდნენ, მთელს საგვარეულო ქონებას თვითონ დაეპატრონებოდა. ამიტომაც ისარგებლა ეშმაკის ფეხის შხამით, გააგიჟა ძმები და მოკლა ბრენდა, ერთადერთი, ვინც მე მიყვარდა და ერთადერთი არსება, ვისაც მე ვუყვარდი. აი, რა იყო მისი დანაშაული. რა ეკუთვნოდა ამისათვის სამაგიეროდ! სასამართლოში მეჩივლა? რა დამამტკიცებელი საბუთები გამაჩნდა? ცხადია, ფაქტები უდავოა, მაგრამ დაიჯერებდნენ ნაფიცი მსაჯულები ასეთ ფანტასტიკურ ამბავს? ან - კი, ან - არა. მე საეგებიოდ ვერაფერს გავხდი და სასწორის პინაზე ვერას დავდებდი. ჩემი სული შურისძიებას ითხოვდა. უკვე გითხარით, მისტერ ჰოლმს, რომ მთელი სიცოცხლე კანონის გარეშე გავატარე, ბოლოს მე თვითონ დავიწყე საკუთარი კანონების დადგენა ჩემთვის. ახლა სწორედ ასეთი შემთხვევა მომეცა. მტკიცედ გადავწყვიტე, მორტიმერს უნდა გაეზიარებინა მისი ვერაგობით დახოცილი და-ძმების ხვედრი. თუ ფხვნილით მისი დაღუპვის გეგმას ვერ განვახორციელებდი, ჩემი საკუთარი ხელით უნდა გავსწორდებოდი. მთელს ინგლისში არ მოიძებნება კაცი, რომელიც თავის სიცოცხლეს ჩემზე ნაკლებად აფასებდეს.

ახლა ყველაფერი იცით. მართალია ისიც, რომ უძილო ღამის შემდეგ სახლიდან გავედი. ვიცოდი, მორტიმერის გაღვიძება ადვილი არ იქნებოდა, ამიტომ ხრეშის გროვიდან კენჭები წამოვკრიფე და ისე წავედი. ფანჯარაში კენჭების სროლით გავაღვიძე. ბრალი დავდე დანაშაულში. ვუთხარი, რომ მის წინაშე დგას მოსამართლე და ჯალათი. რევოლვერი რომ დაინახა, მოცელილივით ჩავარდა სავარძელში. ლამპა ავანთე, აბაჟურზე შხამი დავყარე, ოთახიდან გავედი და გარეთ დავდექი. გაქცევა რომ

დაეპირებინა, ტყვიას ვესროდი. ხუთ წუთში გათავდა. ღმერთო, როგორ იტანჯებოდა! მაგრამ გული გამიქვავდა, რადგან ასევე იტანჯებოდა ჩემი საყვარელი ბრენდა, მან რომ არ დაინდო. ესაა ყველაფერი, მისტერ ჰოლმს. თქვენც რომ ისე გყვარებოდათ, როგორც მე ბრენდა მიყვარდა, ალბათ ასევე მოიქცეოდით. ასეა თუ ისე, მე თქვენს ხელთა ვარ. გადადგით ისეთი ნაბიჯი, როგორსაც საჭიროდ ჩათვლით. როგორც გითხარით, სიცოცხლე არაფრად მიღირს.

ჰოლმსი დუმდა.

- შემდეგისათვის რა გეგმები გქონდათ? - ჩაეკითხა ბოლოს.

- სამუდამოდ დავრჩებოდი ცენტრალურ აფრიკაში. ჩემი სამუშაო მხოლოდ სანახევროდაა შესრულებული.

- გაემგზავრეთ და დაასრულეთ, - უთხრა ჰოლმსმა. - ყოველ შემთხვევაში, მე არ ვაპირებ ხელი შეგიშალოთ.

ახმახი და მოსული სტერნდეილი წამოიმართა, საზეიმოდ დაგვიკრა თავი და ფანჩატურიდან გავიდა. ჰოლმსმა ჩიბუხი გააბოლა, მომიბრუნდა და თუნუქის ქისა გამომიწოდა.

- იმედი მაქვს, ამისი კვამლი ბევრად უფრო სასიამოვნოდ მოგეჩვენებათ, - მითხრა, - უოტსონ, ალბათ ჩვენ არა გვმართებს ამ ამბავში გარევა? ჩვენ კერძოდ ვიძიებდით ამ საქმეს და შემდეგაც ზუსტად ასევე შეგვიძლია განვაგრძოთ. ბრალს ხომ არ სდებთ ამ კაცს?

- რა თქმა უნდა, არა, - მივუგე მე.

- მე არავინ მყვარებია, უოტსონ, მაგრამ ვინმე რომ ასე შემყვარებოდა, ალბათ მართლა ისევე მოვიქცეოდი, როგორც მოიქცა ეს ლომებზე მონადირე კაცი, რომელსაც სძაგს კანონები. ვინ იცის... აბა, უოტსონ, არ მინდა გაწყენინოთ და აგიხსნათ ის, რაც ისედაც კარგად იცით. საწყისი წერტილი, საიდანაც საქმის ძიება დავიწყე, იყო კენჭები ფანჯრის რაფაზე. მღვდლის ბაღში ხრეში არ ეყარა. კენჭების ამბავი კი მაშინ გავიგე, როცა სტერნდეილის პიროვნებითა და სახლით დავინტერესდი. დღისით- მზისით ანთებული ლამპა და მის აბაჟურზე აღმოჩენილი ფხვნილი უკვე რგოლები იყო სავსებით ნათელი ჯაჭვისა. ახლა კი, ძვირფასო უოტსონ, მოვიშოროთ გონებიდან ეს ამაზრზენი ამბავი და სუფთა სინდისით დავუბრუნდეთ ქალდეა და ქალდეველთა ენის ძირების ძებნას, რაც დიდი კელტური ენის კორნუელის განტოტებაში უსათუოდ მოიძებნება.

გამოსათხოვარი თავისდაკვრა

ორი აგვისტოს საღამოს ცხრა საათი იყო. მთელს მსოფლიო ისტორიაში, ალბათ ამაზე უსაშინლესი აგვისტო არც ყოფილა. კაცი იფიქრებდა, რომ სიბილწეში ჩაფლულ დედამიწას უკვე დაატყდა თავს უფლის რისხვა. ირგვლივ ზარდამცემი დუმილი სუფევდა. უძრავი ჰაერი გამასავათებელ ლოდინს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა. მზე კარგა ხნის ჩასული იყო, მაგრამ დასავლეთში, ზედ ჰორიზონტზე, ღია ჭრილობასავით ღვიოდა რაღაც სისხლისფერი ლაქა. ცაზე მკაფიოდ ციმციმებდნენ ვარსკვლავები, დაბლა ყურეში გემებიდან დაფრქვეული სინათლე კიაფობდა. ბაღის ბილიკზე, ქვის ზღუდესთან, ორი სახელოვანი გერმანელი ბაასობდა. მათ ზურგს უკან იდგა ქვისმოაჯირიანი გრძელი დაბალი, სახლი, ყოველ მხარეს რომ ფრონტონები ჰქონდა. გერმანელები შვებით დასცქეროდნენ ფართოდ გაშლილ ზღვის მოლივლივე ზედაპირს ცარცის კლდის ძირას, რომლის თავზეც, ოთხი წლის

წინ, მძლავრი გადამფრენი არწივის მსგავსად ერთ-ერთი მოსაუბრე, ბატონი ფონ ბორკი, დაჯდა. ისინი ჩუმად მუსაიფობდნენ. მათი სიგარების ანთებული ბოლოები, თუ ქვევიდან შეხედავდით, შეიძლებოდა იმ სიბნელეში ჯოჯოხეთის მოციქული სატანის მოელვარე თვალებად მიგეჩნიათ.

არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ ეს ფონ ბორკი. კაიზერის უერთგულეს აგენტებს შორის ასეთს მეორეს ვერ ნახავდით. ყველაზე საპასუხისმგებლო «ინგლისის მისია» სწორედ იშვიათი ნიჭის წყალობით მიანდეს. იმ წუთიდან კი, რაც მის შესრულებას შეუდგა, მისი ნიჭი სულ უფრო მკაფიოდ იფურჩქნებოდა, რის მოწმეც იყო მხოლოდ ხუთი განდობილი კაცი. ერთ-ერთი იმ ხუთეულთაგანი იყო მის წინ მდგარი საელჩოს პირველი მდივანი ბარონ ფონ ჰერლინგი. უზარმაზარი, ასი ცხენის ძალის მქონე «ბენცი» ფონ ჰერლინგს სოფლის თემშარაზე დაეყენებინა და გზა მთლიანად ჩაეხერგა. იდგა დადუმებული მანქანა სოფლის თემშარაზე იმის მოლოდინში, როდის გააქროლებდა პატრონი ლონდონისკენ.

- თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ განვითარდება მოვლენები, კვირის ბოლოს, ალბათ, უკვე ბერლინში იქნებით, - თქვა მდივანმა. - შეხვედრა, რასაც იქ გიმზადებენ, ჩემო ძვირფასო ფონ ბორკ, გაგაოცებთ. ჩემთვის ცნობილია, რა მაღალ შეფასებას აძლევენ თქვენს მოქმედებას ამ ქვეყნის მაღალ წრეებში.

მდივანი იყო ძალზე სოლიდური, სერიოზული კაცი, ახოვანი და მხარბეჭიანი, ლაპარაკობდა ხმადაბლდა, მძიმე-მძიმედ და დამაჯერებლად, რამაც განსაზღვრა მისი წინსვლა დიპლომატიურ სარბიელზე.

ფონ ბორკმა გაიცინა.

- მათი გაცურება არც ისე ძნელია, - შენიშნა ფონ ბორკმა. - წარმოუდგენელია უფრო დამყოლი და გულღია ხალხი.

- არ ვიცი, არ ვიცი, - ფიქრიანად ჩაილაპარაკა მისმა თანამოსაუბრემ. - მათ ხასიათში აქვს რაღაც ზღვარი, მიჯნა, თუ სამანი, რომლის იქით ვერ შეაღწევ, რომლის იქითაც ვერ გადააბიჯებ, და ეს უნდა გვახსოვდეს. ხალხის სწორედ ეს უბრალოება და გულუბრყვილობა უგებს უცხოელებს ხაფანგს. პირველი შთაბეჭდილება მაცთუნებელია. თითქოს ასეთი მორჩილი, რბილი ხალხია და უეცრად წააწყდები რაღაც მტკიცესა და შეუვალს. ხედავ, რომ ესაა მიჯნა, იქით ვერ გადახვალ. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ეს ფაქტი, ამასთან ყველაფერს უნდა შეგუება. მათ აქვთ საკუთარი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ადათობრივი პიროვნითობა, რომელსაც აუცილებლად ანგარიში უნდა გავუწიოთ.

- თქვენ მხედველობაში გაქვთ «კარგი ეტიკეტი», «ყოფა-ქცევის წესები» და სხვა მისთანები?

ფონ ბორკმა ღრმად ამოიოხრა, რითაც საცნაურყო, რომ ამ ცერემონიული ამბებიდან ბევრი უსიამოვნება ჰქონდა ნანახი და განცდილი.

- მე მხედველობაში მაქვს ტიპიური ბრიტანული პიროვნითობა მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მაგალითისათვის შემიძლია გითხრათ ერთი ამბავი, რაც მე შემემთხვა, როცა საშინელი შეცდომა დავუშვი. შემიძლია თავს ნება მივცე და ვილაპარაკო საკუთარ მარცხზე, რადგან საკმაოდ კარგად იცნობთ ჩემს მუშაობას და იცით, რაოდენ წარმატებული და ნაყოფიერია იგი. ეს ამბავი აქ ჩემი პირველი ჩამოსვლისას გადამხდა. «უიკენდზე» ვიყავი მიწვეული მინისტრთა კაბინეტის წევრთან ქალაქგარეთ სახლში. საოცრად მოურიდებელი და გაუფრთხილებელი ლაპარაკი გვქონდა.

ფონ ბორკმა თავი დაუქნია. - ვყოფილვარ იქ, - თქვა ცივად.

- ჰოდა, ბუნებრივია, ჩემი დაკვირვების რეზიუმე ბერლინში გავაგზავნე. საუბედუროდ, ჩვენი ძვირფასი კანცლერი ყოველთვის როდი იცავს სიფრთხილეს. ერთი ისეთი შენიშვნა დასცდა, რომელმაც გაამჟღავნა, რომ მან იცოდა, რა საგანზეც მიმდინარეობდა ჩვენი მოლაპარაკება. ინფორმაციის წყაროს გაგება, ცხადია, ძნელი მისახვედრი არ იყო. ვერ წარმოიდგენთ, რა ზიანი მომაყენა ამ ამბავმა. სად გაქრა ჩვენი ინგლისელი მასპინძლების თავაზიანობა და ლმობიერება! თითქოს ამდგვარი რამ არც არსებულა ოდესმე. ორი წელი დამჭირდა, რომ ყველაფერი მიწყნარებულიყო. აი, თქვენ თავი სპორტსმენად მოგაქვთ...

- არა, კი არ მომაქვს, ნამდვილად სპორტსმენი ვარ. დიახ, სპორტსმენად ვარ დაბადებული. მე ვაღმერთებ სპორტს.

- მერე რა, ამით თქვენი საქმიანობა უფრო ეფექტურია. თქვენ მათთან ერთად მონაწილეობთ იალქნოსანთა შეჯიბრებაში, ნადირობთ, თამაშობთ პოლოს - მათ არაფერში ჩამორჩებით. თქვენი გამოსვლა ოთხცხენა ეტლით ოლიმპიაში პრიზით აღინიშნება. ყური მოვკარი, თითქოს კრივშიც კი მონაწილეობთ, ახალგაზრდა ინგლისელ ოფიცრებთან ერთად. მერე, შედეგი? შედეგი ისაა, რომ სერიოზულ ადამიანად თითქმის არავინ გთვლით. ვინა ხართ? «კარგი ბიჭი», «გერმანელობის კვალზე სავსებით წესიერი კაცი», მსმელი, ღამის კლუბების მუდმივი სტუმარი - მხიარული, უდარდელი ახალგაზრდა უსაქმური. ვის მოუვა აზრად, რომ თქვენი წყნარი ქალაქგარეთა სახლი ის ცენტრია, საიდანაც გამოდის ინგლისის სამეფოს უბედურებათა ნახევარი, რომ თქვენთვის სპორტული სარბიელი და საიდუმლო სამსახური ერთი და იგივეა, რომ თქვენა ხართ ყველაზე გაქნილი და უნარიანი კაცი მთელს ევროპაში? თქვენ გენიოსი ხართ, ჩემო ძვირფასო ფონ ბორკ, გენიოსი!

- თქვენ პირფერობთ, მაგრამ მე ნამდვილად შემიძლია განვაცხადო, რომ ოთხი წელი ტყუილად არ გამიტარებია ამ ქვეყანაში. თქვენთვის არასოდეს მიჩვენებია ჩემი პატარა საიდუმლო საცავი? იქნებ წუთით შინ შევიდეთ?

კაბინეტი პირდაპირ აივანზე გადიოდა. ფონ ბორკმა კარს უბიძგა, შევიდა, ელექტრო ჩამრთველი გაატკაცუნა და, როგორც კი მის უკან მიმავალმა ფონ ჰერლინგმა ზღურბლს გადააბიჯა, ფონ ბორკმა კარი დახურა და ფანჯრის მძიმე ფარდა ფრთხილად გააფარა. როცა სიფრთხილის ყველა ღონე იხმარა, მხოლოდ მაშინ მიაბრუნა სტუმრისაკენ თავისი მზით გარუჯული, მკვეთრნაკვთებიანი სახე.

- საიდუმლო ქაღალდების ნაწილი უკვე გაგზავნილია, - თქვა მან, - უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი რაც იყო, ცოლმა წაიღო. იგი გუშინ ფლუშინგენში გაემგზავრა თავისიანებთან ერთად. ვიმედოვნებ, რომ დანარჩენის დაცვას საელჩო ითავებს.

- თქვენ უკვე პირადი შემადგენლობის სიაში ხართ ჩაწერილი. ისე რომ, არც პირადად თქვენსა და არც თქვენი ბარგის მიმართ არავითარ გართულებასა და სიძნელეს ადგილი არ ექნება. ვინ იცის, იქნებ არც კი მოგვიხდეს გამგზავრება, თუ ინგლისი საფრანგეთს საშუალებას მისცემს, თვითონ განაგებდეს საკუთარ ბედს. ჩვენ სარწმუნოდ ვიცით, რომ მათ შორის არავითარი ურთიერთდავალების ხელშეკრულება არაა დადებული.

- ახლა ბელგია?

- ბელგიის მიმართაც იგივე ამბავია.

ფონ ბორკმა თავი გააქნია.

- არა მგონია. ბელგიასთან ხელშეკრულება ნამდვილად არსებობს. თუ არადა, ასეთ სირცხვილს ინგლისი კარგა ხანს ვერ ჩამოირეცხავს.

- ყოველ შემთხვევაში, მას ექნება დროებით სულის მოთქმის საშუალება.

- მაგრამ ქვეყნის ღირსება და პატივი...

- ე, ჩემო ძვირფასო, ჩვენ ხომ სარგებლისა და გამორჩენის ეპოქაში ვცხოვრობთ; სახელი და პატივი - შუა საუკუნეების ცნებები გახლავთ, გარდა ამისა, ინგლისი არაა მომზადებული. ეს თითქოს პირდაპირ გაუგებარი ამბავია, მაგრამ თვითონ ჩვენმა სპეციალურმა სამხედრო ბეგარამ, რამაც ორმოცდაათ მილიონს გადააჭარბა, და რომლის მიზანიც ისევე ნათელია, თითქოს «ტაიმსის» პირველ გვერდზე იყოს ყოველივე დაბეჭდილი, ვერაფერს მიახვედრა ეს ხალხი. დროდადრო დასმულ კითხვას მოჰკრავ ყურს. იმ კითხვებზე მე უნდა გავცე პასუხი. დროგამოშვებით უკმაყოფილებაც იფეთქებს ხოლმე. მე უნდა დავაწყნარო ხალხი, ავუხსნა. მაგრამ რაც შეეხება ყველაზე მთავარს - საჭურველის მარაგს, წყალქვეშა ნავების თავდასხმების საწინააღმდეგო ღონისძიებებს, ფეთქებად ნივთიერებათა დამზადებას - არაფერი არაა ამ მხრივ გაკეთებული. როგორღა ჩაებმება ინგლისი ნამდვილ პოლიტიკურ ქარტეხილებში, მეტადრე ახლა, როცა ასეთი ჯოჯოხეთური ფაფა ავადუღეთ, ირლანდიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, ფურიები ფანჯრებს ამტვრევენ და კიდევ, ღმერთმა იცის, რას არ ვახდენთ, რათა ამ ქვეყნის მთელი ყურადღება შინაურ საქმეებს შეელიოს?

- ინგლისს თავის მომავალზე ფიქრი მოუწევს.

- აი, ეს სხვა საქმეა. მე ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი ძალიან გარკვეული გეგმები ინგლისის მომავლის თაობაზე. თქვენი ინფორმაცია მაშინ ძალიან საჭირო იქნება. მისტერ ჯონ ბულს შეუძლია აირჩიოს - დღეს ან ხვალ. თუ სურთ, დღესვე მოხდეს ყველაფერი, ჩვენ მზად ვართ. თუ ხვალინდელ დღეს ამჯობინებენ, ხვალისთვის მოვემზადებით. ჩემი თვალსაზრისით, ჭკვიანური იქნება, თუ მოკავშირეებთან ერთად იომებენ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. მაგრამ ეს მათი საქმეა. ამ კვირამ უნდა გადაწყვიტოს ინგლისის ბედი. მაგრამ თქვენ ხომ თქვენს საიდუმლო ქაღალდებზე მელაპარაკებოდით? - ბარონი სავარძელში ჩაჯდა. მზის სხივები პირდაპირ მის მელოტ კეფაზე ბრწყინავდა. იგი აუღელვებლად ქაჩავდა სიგარას.

მუხის ხით აკრულ და წიგნის თაროებით დამშვენებული დიდი, ფართო ოთახის ბოლოში ფარდა ეკიდა. ფონ ბორკმა ფარდა გადასწია და ფონ ჰერლინგმა თითბრით მოჩუქურთმებული კარგა მოზრდილი სეიფი დაინახა. ფონ ბორკმა საათის ძეწკვიდან გასაღები მოხსნა, რამდენჯერმე გააჩხაკუნა საკეტში და მძიმე კარი გააღო.

- გთხოვთ, - უთხრა სტუმარს, ხელს მოძრაობით მიიპატიჟა და გვერდზე გადგა.

ღია სეიფში შუქი იღვრებოდა და საელჩოს მდივანი დიდხანს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მის მრავალრიცხოვან განყოფილებებს. მტრედების შესაძრომის მაგვარ ხვრელებზე იარლიყები ეკიდა და ფონ ჰერლინგი კითხულობდა: «ფონები», «ნავსადგურების დაცვა», «ჰაეროპლანები», «ირლანდია», «ეგვიპტე», «პორტსმუტის სიმაგრე», «ლამანში», «როზაიტი» და ათობით სხვა დასახელება. ყველა განყოფილება სავსე იყო დოკუმენტებით, ნახაზებითა და გეგმებით.

- კოლოსალურია! - თქვა მდივანმა. სიგარა გადასდო და მსუქანი ხელებით ტაში შემოჰკრა.

- და ეს სულ ოთხ წელიწადში, ბარონო. მცირე როდია მემამულის, მსმელისა და მონადირისათვის მაგრამ ის ძვირფასი ქვა, რამაც ჩემი კოლექცია უნდა გაამდიდროს, აქ ჯერ კიდევ არაა - მალე ისიც აქ გაჩნდება, ჩარჩო უკვე მომზადებულია. ფონ ბორკმა სტუმარს უჩვენა განყოფილება წარწერით «სამხედრო-საზღვაო სიგნალიზაცია».

- მაგრამ თქვენ აქ უკვე საკმაოდ სოლიდური დოსიე გაქვთ...

- მოძველდა, ეგ ახლა უკვე ცარიელი ქაღალდებია. საადმირალომ რაღაც იყნოსა, განგაში ატეხა და ყველა კოდი შეიცვალა. დიახ, ეს იყო ნამდვილი დარტყმა! არასოდეს ასეთი ჩავარდნა არ მიწვნევია. მაგრამ, ჩემი საჩეკო წიგნაკისა და ყოჩაღი ოლტემონტის წყალობით, დღეს საღამოს ყველაფერი მოგვარდება.

ბარონმა საათს დახედა და მაშინვე სინანულის გამომხატველი ხორხისმიერი ბგერა აღმოხდა.

- არა, კმარა, მეტი ლოდინი არ შემიძლია. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა როგორ ყველაფერი დუღს და გადადუღს კარლტონ-ტერასზე - თქვენ აქ თქვენს ადგილზე ხართ, ყველას თავისი პოსტი უნდა ეჭიროს. იმედი მქონდა, თქვენს ბოლო ნანადირევზე წავიღებდი ცნობას. განა თქვენმა ოლტემონტმა ზუსტად ვერ დანიშნა მოსვლის საათი?

ფონ ბორკმა დეპეშა გაუწოდა.

«აუცილებლად მოვალ. საღამოს ჩამოვიტან ფალიის ახალ სანთლებს.

ოლტემონტი».

- ფალიის სანთლებს?

- იცით, თავს მექანიკოსად ასაღებს, მე კი აქ მთელი გარაჟი მაქვს.

ჩვენი კოდის ყოველი სიტყვა ავტომობილის ტერმინებითაა დაშიფრული. რადიატორზე რომ მწერს, იგულისხმება სახაზო გემი, ზეთი ტუმბოკრეისერია. ფალიის სანთლები - ესაა სამხედრო-საზღვაო სიგნალიზაცია.

- დეპეშა პორტსმუტიდანაა შუადღისას გამოგზავნილი, - თქვა მდივანმა, ქაღალდს რომ დახედა. - სხვათა შორის, რამდენს უხდით?

- ხუთას გირვანქას ვაძლევ მარტო ამ დავალებისათვის. გარდა ამისა, რეგულარულ ხელფასსაც ხომ იღებს!

- ურიგოდ არ ხვეტავს. ისინი ჩვენთვის სასარგებლონი არიან, თავიანთი სამშობლოს გამყიდველები, მაგრამ მაინც საწყენია, გამცემლობისათვის რომ ამდენ თანხას იჯიბავს, თუმცა რა - სისხლის ფასი ფულია.

- ოლტემონტისათვის ფული არ მენანება, ჩინებულად მუშაობს. მართალია, ბევრს ვუხდი, სამაგიეროდ, «ნაღდი საქონელი» მოაქვს, მისივე გამოთქმა რომ გავიმეოროთ. გარდა ამისა, ის სულაც არაა მოღალატე. რაც შეეხება ინგლისისადმი მის დამოკიდებულებას, იგი ჩვენი, ყველაზე უფრო თავგმოდებული მომხრე და მხარდამჭერი, წარმოშობით ირლანდიელი გახლავთ და ამერიკაშია ჩასახლებული.

- აი, რა ყოფილა! ის კაცი ამერიკელი ირლანდიელია?

- ერთი მოგასმენინათ, როგორ ლაპარაკობს და ეჭვიც აღარ შეგეპარებოდათ. ზოგჯერ მისი გაგებაც არ მიჭირს. თითქოს ომი აქვს გამოცხადებული არა მარტო ინგლისისათვის, ინგლისურ ენასაც აუგად იხსენიებს. თქვენ მართლა აღარ შეგიძლიათ ლოდინი? წუთი წუთზე ველი.

- არა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ისედაც დავაგვიანე. ხვალ დილაადრიან დაგელოდებით, თუ მოახერხებთ და სასიგნალო კოდებიან ქაღალდს მოიტანთ იორკის ჰერცოგის ძეგლის წინ, ეს ამ კუნძულზე თქვენი მოღვაწეობის ბრწყინვალე ფინალად შეგიძლიათ ჩათვალოთ. ოჰო! ტოკაურია!

თავის ქნევით მიუთითა მაგრად დახუფულ, მტვრით დაფარულ ბოთლზე, რომელიც ორ ჭიქასთან ერთად ლანგარზე იდგა.

- ნება მომეცით წასვლის წინ ერთი ჭიქა შემოგთავაზოთ.

- არა, გმადლობთ. თქვენთან, როგორც ვატყობ, ქეიფი მზადდება.

- ოლტერმონტი ჩინებულად ერკვევა ღვინოებში და ჩემი ტოკაური მოეწონა. ძალიან თავმოყვარე და ფხუკიანია. იოლად იცის განაწყენება და სხვა რა გზაა, უნდა

დავუყვავო. გარწმუნებთ, მასთან მუშაობა არც ეგრე იოლია. ისევ გავიდნენ და აივნის ბოლომდე გაიარეს. იმავე წამს ბარონის უზარმაზარი მანქანა, აივნის მხარეს რომ იდგა და ჩიხს ფარავდა, აძაგძაგდა, აგუგუნდა და შოფრის ხელის მსუბუქი შეხებისთანავე შეირხა.

- ეგერ, იქ, ალბათ, ჰარვიზის სინათლეები მოჩანს, - თქვა მდივანმა და სამგზავრო ლაბადა მოიხურა. - რა მშვიდად და წყნარად გამოიყურება ყველაფერი! სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ აქ სხვა ცეცხლი გაჩაღდება და ინგლისის სანაპირო თავის იდილიურ სახეს დაკარგავს. ასევე - ზეცა, თუ ჩვენი სახელოვანი ცეპელინი დაპირებას აასრულებს. ეს ვინღაა, იქ რომ მოყუჩებულა?

შუქი სახლის მხოლოდ ერთ ფანჯარაში ჩანდა. ლამპა ენთო და მაგიდას უჯდა სათნო შესახედავი, ჭაღარა მოხუცი ქალი, მას სოფლური ჩაჩი ეხურა, ქსოვაში იყო გართული და დროგამოშვებით წყვეტდა ხოლმე მუშაობას, რათა მის გვერდით სკამზე მოკალათებული დიდი შავი კატისათვის ხელი გადაესვა.

- მართაა, მოსამსახურე ქალი. სახლში მხოლოდ ის დავიტოვე. - მდივანს ჩაეცინა.

- ბრიტანეთის განსახიერებას ჰგავს - თავის თავში ჩანთქმულა და თვლემს. აბა, ფონ ბორკ, ნახვამდის!

ხელის აქნევით დაემშვიდობა, მანქანაში ჩახტა და იმწამსვე ფარების სინათლემ სიბნელე გაჰკვეთა. მდივანი მდიდრული ლიმუზინის ბალიშებზე გადაწვა და ევროპის მომავალ ტრაგედიაზე ფიქრებში იმდენად ჩაეფლო, რომ ვერც შეამჩნია, მათმა მანქანამ როგორ კინაღამ გადათელა პატარა «ფორდი», როცა სოფლის ქუჩაზე უხვევდნენ და პირისპირ შემოეყარათ.

როცა ლიმუზინის ფარების უკანასკნელი შუქიც ჩაქრა შორეთში, ბარონი თავის კაბინეტში ნელა შებრუნდა. მისი სამუშაო ოთახი ხომ ბაღში გადიოდა და მან შეამჩნია, რომ მოხუცმა მოსამსახურემ ლამპა ჩააქრო და დასაძინებლად დაწვა. დუმილი და წყვდიადი, რამაც ფართო სახლი აავსო, ფონ ბორკისათვის უჩვეულო რამ იყო. ბარონს დიდი ჯალაბი ჰყავდა და გულზე მოეშვებოდა ხოლმე, როცა ყველანი სამშვიდობოს ეგულებოდა. თუ სამზარეულოში მოფუსფუსე მოხუც ქალს არ ჩათვლიდით, იგი სახლში სრულიად მარტო იყო. გამგზავრების წინ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა მოსაწესრიგებელი, ზოგი რამ საბუთი უნდა მოესპო კიდეც. საქმეს შეუდგა და მანამდე მუშაობდა, ვიდრე მისი საზრიანი, ლამაზი სახე ქაღალდებისაგან დანთებულმა ცეცხლის ალმა არ გააწითლა. მაგიდასთან იატაკზე იდგა ტყავის ჩემოდანი. ფონ ბორკმა სეიფში შემონახული ძვირფასი ქაღალდების ჩალაგებას მიჰყო ხელი. უცებ შორით მომავალი ავტომობილის ხმა შემოესმა. მან სიხარულით რაღაც შესძახა, ჩემოდანს ღვედები შემოაკრა, სეიფი დაკეტა და საჩქაროდ აივანზე გავიდა. სწორედ ამ დროს გაჩერდა ჭიშკართან პატარა ავტომობილი. იქიდან გამოვარდა მაღალი კაცი და სწრაფად გამოეშურა ბარონისაკენ. მძღოლი, მკვრივი, ხანდაზმული, ულვაშებიანი, შეჭაღარავებული კაცი თავის ადგილზე ისე მოხერხებულად დაჯდა, ეტყობოდა, ლოდინი კარგა ხანს მოუწევდა.

- როგორაა საქმე? - ჰკითხა ფონ ბორკმა და სირბილით შეეგება მოსულს.

პასუხის ნაცვლად მაღალმა კაცმა თავს ზემოთ ტრიუმფალურად შეათამაშა პატრა შეკვრა.

- კი, მისტერ, დღეს კმაყოფილი დარჩებით! - შესძახა, - საქმე გაიკვაჭა.

საიდუმლო კოდია?

- დიახ, როგორც დეპეშაში ვწერდი. ყველა საიდუმლო ნიშანი აქ გახლავთ - ხელით სანიშნებელი ლამპით, მაროკნით - ცხადია, ასლები მოგიტანეთ, დედნები ძალიან საშიში იქნებოდა. მაგრამ საქონელი ნამდვილად ღირს ერთ რამედ.

მოსულმა ტლანქად, ვითომ შინაურულად დაჰკრა ხელი მხარზე გერმანელს. ბარონი მოიღუშა.

- შემოდით, შინ მარტო ვარ, - უთხრა. - ასლები, უეჭველია, დედნებზე უკეთესი რამ იქნება. ორიგინალი რომ დაკარგულიყო, ყველა კოდი მაშინვე შეიცვლებოდა. როგორი ასლებია? ყველაფერი სწორია? როგორ ფიქრობთ?

კაბინეტში რომ შევიდა, ამერიკელი ირლანდიელი სავარძელში ჩაჯდა და გრძელი ფეხები გაჭიმა. სამოც წელს მისცემდით, ძალიან მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, მკვეთრი, მკაფიო სახის ნაკვთები ჰქონდა. პატარა, თხასავით წვერი ძია სემს ამსგავსებდა, როგორც კარიკატურებზე ხატავენ ხოლმე. პირის ერთ კუთხეში მოწეული სიგარის ჩამქრალი ნარჩენი ედო. დაჯდა თუ არა, უმალვე მოუკიდა.

- გზას ადგეხართ? - იკითხა მას მერე, რაც თვალი ირგვლივ მიმოატარა. მზერა სეიფზე შეაჩერა, რომელიც აღარ იყო ფარდით დაფარული. ახლა არ მითხრათ, რომ ამ ყუთში ინახავთ თქვენს ყველა ქაღალდს!

- რატომაც არა?

- ეშმაკმა დალახვროს - ამ ჯაბახანაში? თანაც უმაღლესი კლასის ჯაშუშად ითვლებით. რომელიც გნებავთ ქურდი იანკი მას ჯიბის დანითაც კი გააღებს, მე რომ მცოდნოდა, ჩემს წერილებს ასეთ სკივრში ინახავდით, სულაც არაფერს მოგწერდით.

- ამ სეიფს ვერცერთი ბაცაცა ვერაფერს დააკლებს. - მიუგო ფონ ბორკმა. - ლითონი, რისგანაც ისაა დამზადებული, არც ერთი ხელსაწყოთი არ იჭრება.

- კლიტეს რას უზამთ?

- კლიტე განსაკუთრებით, ორმაგი საკეტი აქვს, გაიგეთ?

- არაფერიც არ მესმის!

- ეს კლიტე რომ გააღო, უნდა იცოდე განსაკუთრებული სიტყვა და გარკვეული ციფრი, - ფონ ბორკი ადგა და აჩვენა ორმაგი დისკი ბოქლომის ხვრელთან. - გარეთა წრე ასოებისაა, შიდა - ციფრებისა.

- დიდებულია, დიდებული!

- ისე უბრალოც არაა, როგორც გეგონათ. ოთხი წლის წინ შევუკვეთე, და იცით, რა სიტყვა და ციფრი ავარჩიე?

- საიდან მეცოდინება?

- მაშ მოისმინეთ: სიტყვა - «აგვისტოა», რიცხვი - 1914. გაიგეთ?

ამერიკელის სახეზე აღტაცება გამოიხატა.

- აი, ეს მარჯვე მიგნებაა, ღმერთმანი! ესე იგი პირდაპირ გამოიცანით, - შესძახა გაოცებულმა.

- დიახ, ზოგ ჩვენგანს უკვე მაშინ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ზუსტი თარიღი. აი, ახლა დრო დადგა და ხვალ დილით ყველა საქმეს მოვამთავრებ.

- მომისმინეთ, მისტერ, თქვენ მეც უნდა გამიყვანოთ აქედან. ამ წყეულ ქვეყანაში ვერ გავჩერდები. ერთიც ვნახოთ, ამ ერთი კვირის შემდეგ, ან უფრო ადრეც, ჯონ ბული უკანა ფეხებზე შედგეს და აბობოქრდეს. ვამჯობინებ, ასეთ ამბავს ოკეანის გადაღმიდან ვუყურო.

- მაგრამ თქვენ ხომ ამერიკელი მოქალაქე ხართ!

- მერე რა? ჯეკ ჯეიმსიც ამერიკელი მოქალაქეა, მაგრამ ახლა თავის სასჯელის ვადას პორტლენდში იხდის. ინგლისელ პოლიციელს ყინულივით გაბლიკებულ გულს ვერ მოულბობთ იმით, თუ განუცხადებთ, რომ ამერიკელი ხართ. «აქ ჩვენ

საკუთარი კანონები გვაქვს, ბრიტანულიო», - გეტყვის. ჰო, რაკი სიტყვა მისტერ ჯეკ ჯეიმსზე ჩამოვარდა, უნდა გითხრათ, მეჩვენება, რომ სრულიად არ უფრთხილდებით ადამიანებს, რომლებიც თქვენ გემსახურებიან.

- რას გულისხმობთ და რა გინდა თქვათ? - მკვახედ ჰკითხა ფონ ბორკმა.

- თქვენ ხომ მათი უფროსივით ხართ, არა? თქვენ ხომ უნდა იზრუნოთ, რომ ისინი არ გაებან. სინამდვილეში კი ბევრი მათგანი უკვე გაება და ერთიც კი არ გამოიხსენით? ავიღოთ თუნდაც იგივე ჯეიმსი...

- ჯეიმსი თვითონაა დამნაშავე, ეს თქვენ კარგად იცით. საქმეში მეტად უგერგილოდ ირჯებოდა.

- ჯეიმსი ლაყე თავია, გეთანხმებით. მაგრამ ჰოლისი?

- ჰოლისი გიჟივით იქცეოდა.

- კი, ბოლო დროს ცოტა აურია. აურევ, როცა დილიდან დაღამებამდე თამაშობ, როგორც თეატრში, ირგვლივ კი ასობით პოლიციელი მეძებარი დაძრწის - სულ იმას უნდა ელოდე, რომ ჩაგავლებენ და მორჩა... რაც შეეხება სტეინერს...

ფონ ბორკი ისე შეკრთა, რომ წითური სახე ერთიანად გაუთეთრდა.

- სტეინერს რა მოუვიდა?

- რა უნდა მოსვლოდა, ისიც შეიპყრეს. გუშინ ღამით დაეცნენ მის დუქანს, ახლა ისიცა და ყველა მისი ქაღალდიც პორტსმუტის ციხეშია. თქვენ გაუჩინარდებით, იმ საცოდავს კი ცხელი დღე მოელის, კიდევ ბედი, თუ ცოცხალი გადარჩა. აი, ამიტომაც მინდა, დაუყოვნებლივ გადავბარგდე ოკეანის გადაღმა.

ფონ ბორკი ძლიერი ხასიათის კაცი იყო, თავშეკავებული, მაგრამ სულ ადვილად შეამჩნევდით, რომ ამ ახალმა ამბავმა მას თავზარი დასცა.

- როგორ მიაგნეს სტეინერს? - ბუტბუტებდა იგი, - აი, ეს ნამდვილად თავზარდამცემი ამბავია.

- შეიძლება უარესიც მოხდეს, იქნება ჩემზეც მოუწვდეთ ხელი და მეც დამიჭირონ.

- როგორ გეკადრებათ!

- მერწმუნეთ. ჩემი ბინის დიასახლისთან ვიღაც მაძებრები მისულან და თურმე ჩემს ამბავს ეკითხებოდნენ. ეს რომ გავიგე, გავიფიქრე, დროა გუდა-ნაბადი ავიკრა და ავითესო-მეთქი. აი, ეს კი ვერ გამიგია, მისტერ, როგორ ახერხებენ პოლიციის მაძებრები ასეთი რამეების დაყნოსვას? მას შემდეგ, რაც ჩვენ აქ შევთანხმდით, სტეინერი უკვე მეხუთეა, რომელსაც ჩაავლეს, და მე ვიცი, ვინც იქნება მეექვსე, თუ დროით არ გავასწარი. როგორ ახსნით ყოველივე ამას? ანდა როგორ არა გრცხვენიათ, თავისიანებს რომ დასაღუპად სწირავთ?

ფონ ბორკი ბრაზისაგან აენთო.

- როგორ ბედავთ ჩემთან ასე ლაპარაკს?

- არ ვიქნებოდი ასე თამამი, მისტერ, ასეთ სამუშაოზე რომ არ აგეყვანეთ. მაგრამ მე ყველაფერს გულახდილად გადმოგილაგებთ. გამიგონია, აგენტი რომ თავის საქმეს მორჩება, თუ მას გააქრობენ, თქვენ, გერმანელი პოლიტიკოსები, გლოვით თავს არ იტკიებთ.

ფონ ბორკი სავარძლიდან წამოიჭრა.

- თქვენ გყოფნით თავხედობა განაცხადოთ, რომ მე საკუთარ აგენტებს ვღალატობ?

- ამას არ ვამბობ, მისტერ, მაგრამ ვიღაც მოღუღუნე მტრედი გამოჩნდა, რომელიც ჩვენებსაც ემსახურება და თქვენებსაც. თქვენ კი მოვალე ხართ გამოჩხრიკოთ, ვინ არის იგი. ყოველ შემთხვევაში, მე ამ საქმიდან ხელი დამიბანია.

ფონ ბორკმა სიფიცხე დაიცხრო.

- ჩვენ ძალიან დიდხანს ვიმუშავეთ ერთად და ახლა, გამარჯვების წინ, საჩხუბარი არა გვაქვს რა, - თქვა მან, - თქვენ მუშაობდით ბრწყინვალედ, მიდიოდით დიდ რისკზე და ამას არ დაგივიწყებთ. რაღა თქმა უნდა, შეგიძლიათ ჰოლანდიაში გაემგზავროთ. როტერდამში გემში ჩაჯდეთ და ნიუ-იორკში წახვიდეთ. ყველა სახომალდო ხაზი ერთი კვირის შემდეგ სახიფათო იქნება. ასე რომ, ამ თქვენს სიას ავიღებ და სხვა დოკუმენტებთან ერთად შევინახავ.

ამერიკელი პაკეტს ხელიდან არ იშორებდა.

- მონეტის ამბავი როგორღა იქნება?

- რა თქვით?

- აი, ფულების ამბავი. შრომის ანაზღაურებისა. ჯანდაბას ჩემი თავი, ჩემი ხუთასი გირვანქა მერგება და კეთილი. მაგრამ ვინც ეს საქმე მომიკვარახჭინა, ბოლო დროს ისე გაჯიქდა, დაყაბულება მომიხდა. ასი დოლარი მივაშავე. არ მიმეცა და მშრალზე დაგვტოვებდა მეცა და თქვენც. «არ გამოვაო», მეუბნება და, ვხედავ, არ ხუმრობს. ასე რომ მთელი ამ ნაჯაფისათვის ორასი დოლარი მივეცი. ვიდრე ჩემსას არ მივიღებ, ქაღალდებს არ მოგცემთ.

ფონ ბორკმა მწარედ გაიღიმა.

- თქვენ, ეტყობა, არც ისეთი მაღალი შეხედულება გაქვთ ჩემს წესიერებაზე, - თქვა მან - ხომ არა გნებავთ ფული მანამ მიიღოთ, ვიდრე ქაღალდებს ჩამაბარებდით?!

- რას იზამთ, მისტერ, საქმიანი ხალხი ვართ.

- კარგი, იყოს ნება თქვენი. - ფონ ბორკი მაგიდას მიუჯდა, ჩეკი შეავსო, ჩეკის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია, მაგრამ გადაცემას არ ჩქარობდა. - რაკი ჩვენ, მისტერ ოლტერმონტ, ასეთ ურთიერთობაზე გადავედით, მე რაღად უნდა გენდოთ იმაზე მეტად, რამდენადაც თქვენ მენდობით? გესმით ჩემი? - დასძინა და მხარს უკან მჯდარ ამერიკელს გადახედა - მე ჩეკს მაგიდაზე დავდებ და უფლებას ვიტოვებ, პაკეტში გახვეული ქაღალდები დავათვალიერო, მხოლოდ ამის შემდეგ მოგცემთ ნებას, აიღოთ ჩეკი.

ამერიკელმა უსიტყვოდ გადასცა პაკეტი. ფონ ბორკმა ზონარი გახსნა და ორმაგი შესახვევი ქაღალდი მოაშორა. რამდენსამე წამს იგი თვალს არ აცილებდა და გაოცებული დასცქეროდა ლურჯ გარეკანში ჩასმულ პატარა წიგნს, რომელზედაც ოქროს ასოებით იყო ამოტვიფრული: «პრაქტიკული სახელმძღვანელო მეფუტკრეობაზე». მაგრამ ფონ ბორკს ამ წარწერის ცქერა დიდხანს არ მოუხდა. ვიღაცის რკინის მარწუხივით მაგარი ხელები უცებ შემოეჭდო კისერზე და სახეზე ქლოროფორმით გაჟღენთილი ღრუბელა მიადეს.

- ერთი ჭიქაც, უოტსონ? - თქვა მისტერ შერლოკ ჰოლმსმა და ტოკაურის ბოთლი გაუწოდა.

მკვრივმა, ჩასკვნილმა შოფერმა, რომელიც მაგიდას უჯდა, ხალისით მისწია თავისკენ სასმისი.

- ღვინო ურიგო არაა, ჰოლმს.

- ჩინებულია, უოტსონ. ჩვენი მეგობარი, ახლა დივანზე რომ წევს, მარწმუნებდა, ფრანც-იოსების პირადი სარდაფისა არისო, შოენბრუნის სასახლიდან. ფანჯრის გაღებას გთხოვთ, თუ შეიძლება. ქლოროფორმის ანაორთქლი ამო სურნელს არ აფრქვევს და სასიამოვნო გრძნობებს ვერ აძლიერებს.

სეიფი ღია იყო და ჰოლმსი იქიდან, დოსიეს დოსიეზე ალაგებდა, სწრაფად ათვალიერებდა და მერე კოხტად აწყობდა ფონ ბორკის ჩემოდანში. გერმანელს

დივანზე ეძინა, ხვრინავდა და მძიმედ სუნთქავდა. ხელ-ფეხი კი ღვედით ჰქონდა შეკრული.

- შეგვიძლია არ ვიჩქაროთ, უოტსონ. ხელს ვერავინ შეგვიშლის. თუ შეიძლება, ზარის ღილაკს დააჭირეთ თითი. სახლში მოხუცი მართას მეტი არავინაა. თავისი როლი იმანაც ჩინებულად შეასრულა. იგი მაშინვე მოვაწყვე აქ, როგორც კი ამ საქმის ძიებას მოვკიდეთ ხელი. აი, მართა, ეს თქვენა ხართ? ალბათ გესიამოვნებათ იმის გაგება, რომ საქმე კარგად მიდის.

პატივცემული მოხუცი ქალი კარებში იდგა. იგი ღიმილით მიუჯდა გვერდით ჰოლმსს, მაგრამ დივანზე გაშხლართული ფონ ბორკის ფიგურას ერთგვარი შიშით გადახედა.

- ნუ ღელავთ, მართა. არავითარი ზიანი არ მოსვლია.

- ძალიან მიხარია, მისტერ ჰოლმს. თავისებურად ურიგო ბატონი როდია. ისიც კი უნდოდა, რომ მის ცოლს გერმანიაში გავყოლოდი, მაგრამ ეს თქვენს დავალებასა და საქმეს აშკარად ხელს შეუშლიდა, ხომ მართალია, სერ?

- რაღა თქმა უნდა, ვერ წახვიდოდით. თქვენ რომ აქ მეგულებოდით, დამშვიდებული ვიყავი. მაგრამ წუხელ კარგა ხანს ველოდეთ თქვენს სიგნალს.

- მდივნის მიზეზით დავაგვიანე, სერ.

- ჰო, ვიცი, ჩვენ მის მანქანას გზაზე გადავეყარეთ.

- მე უკვე ვფიქრობდი, ეს კაცი თავის გზაზე არასოდეს აღარ წაშავდება-მეთქი. ვიცოდი, სერ, მისი აქ დახვედრა თქვენს განზრახვას რომ არ ეთანხმებოდა.

- რა თქმა უნდა, არა. ნახევარი საათი ვიცადეთ, რა დაშავდა! როგორც კი თქვენი ლამპა ჩაქრა, მივხვდი, რომ გვანიშნეთ, გზა თავისუფალიაო. მართა, ხვალ შეგიძლიათ ჩემთან შემოიაროთ, ოტელ «კლარიჯში».

- მესმის, სერ.

- ვფიქრობ, გასამგზავრებლად ყველაფერი გამზადებული გაქვთ.

- დიახ, სერ. დღეს შვიდი წერილი გაგზავნა. როგორც ყოველთვის, მისამართები გადმოვიწერე.

- ჩინებულია, მართა. მათ ხვალ გადავხედავ. ღამე ნებისა. ამ ქაღალდებს, - განაგრძო მან, როცა მოხუცი ქალი გავიდა, - დიდი ღირებულება არა აქვს. ცნობები, რომელსაც ისინი შეიცავენ, დიდი ხანია გერმანიაშია გადაგზავნილი. ესაა დედნები, რომელთა გატანა საზღვარგარეთ არც ეგრე იოლია.

- მაშ უსარგებლო ქაღალდებია?

- ამას ვერ ვიტყოდი, უოტსონ. ყოველ შემთხვევაში, ამ ქაღალდებით შეგვიძლია გავიგოთ, რა არის ცნობილი გერმანული დაზვერვისათვის და რა არა. უნდა შევნიშნო, რომ ზოგი მათგანი ჩემი ხელიდან გადიოდა და მათ არავითარი ფასი არა აქვთ. ხანდაზმულობაში სიამოვნებით მივადევნებ თვალს, როგორ შევა გერმანელთა კრეისერ სოლენტში, დანაღმვის იმ სქემით, რომელიც ჩემი შედგენილია. აბა, უოტსონ, ერთი შემოგხედოთ. ჰოლმსმა საქმე გადადო და მეგობარს ხელი მხრებზე მოუთათუნა. - შუქზე ჯერ არ დამინახიხართ, ხომ არ შეიცვალეთ ამ ხნის მანძილზე? მგონი, ისეთივე სიცოცხლით აღსავსე ჭაბუკად დარჩით, როგორც ყოველთვის იყავით.

- ახლა ოციოდე წლით ახალგაზრდა მგონია თავი, ჰოლმს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამეხარდა, როცა მივიღე თქვენი დეპეშა წინადადებით, რომ თქვენთან ჰარვიკში ჩამოვსულიყავი. ჰოლმს, თქვენ თითქმის არ შეცვლილხართ. მხოლოდ ეს საშინელი წვერი...

- სამშობლო მსხვერპლს ითხოვს, უოტსონ, - და ჰოლმსმა ნიკაპზე წამოზრდილი თხელი წვერი მოსწია, - ხვალ ეს მხოლოდ მოგონებად იქცევა, წვერს მოვიპარსავ, კიდევ რაღაც შეიცვლება გარეგნობაში და ისევ ის ჰოლმსი ვიქნები «კლარიჯში», როგორიც ვიყავი, ვიდრე ამერიკელ მოქალაქეს გავითამაშებდი. მაპატიეთ, ძვირფასო უოტსონ, მე ალბათ სულ გადავეჩვიე ინგლისურად ლაპარაკს. მინდოდა მეთქვა, როგორიც ვიყავი მანამდე, ვიდრე ამერიკელის როლში გამოვიდოდი.

- მაგრამ თქვენ ხომ სამძებრო საქმეებს ჩამოსცილდით, ჰოლმს. ჩვენამდე ისეთი ხმები მოდიოდა, თითქოს თქვენ სამხრეთ დაუნის განდეგილის ცხოვრებას ეწეოდით, თქვენს ფუტკრებთან და წიგნებთან ერთად პატარა ფერმაში გამოკეტილი.

- სრული სიმართლეა, უოტსონ. და აი, ამ უკანასკნელი წლების ნაყოფი, ქფპტგქ წზგთ (მთავარი ნაწარმოები). - მაგიდიდან წიგნი აიღო და ხმამაღლა წაიკითხა: «პრაქტიკული სახელმძღვანელო ფუტკრის მოშენებაზე, აგრეთვე დედაფუტკრის გამონაყოფზე წარმოებული ზოგიერთი დაკვირვება». - «ეს მე ერთმა მოვიმოქმედე» (შექსპირი). შეხედეთ ღამეული ფიქრებისა და გრძელი დღეების შრომის ნაყოფს, ოფლის ღვრით მოპოვებულ შედეგს, როდესაც თვალს ვადევნებდი შრომისმოყვარე ფუტკრების გარჯას სწორედ ისევე, როგორც ოდესღაც ლონდონში ვაკვირდებოდი დამნაშავეთა მოქმედებას.

- მაგრამ როგორ მოხდა, რომ ისევ ამ სამუშაოს მოჰკი-დეთ ხელი?

- თვითონაც არ ვიცი. როგორ გითხრათ: საგარეო საქმეთა მინისტრის შემოტევას კიდევ გავუძლებდი, მაგრამ, როცა თვითონ პრემიერ-მინისტრმა ინება ჩემს მყუდრო სახლში მობრძანება... საქმე ისაა, უოტსონ, რომ ეს ჯენტლმენი, დივანზე რომ წევს, მაგარი კაკალი აღმოჩნდა ჩვენი კონტრდაზვერვის მოსამსახურეთა კბილებისათვის. თავისებურად ეს უმაღლესი რანგის სპეციალისტია. ჩვენთან რაღაც საქმეები ირეოდა და ვერავინ მიხვდა და გაიგო, რა ხდებოდა და რა მიზეზით. ვიღაც-ვიღაცეებზე ჰქონდათ ეჭვი, იჭერდნენ კიდეც აგენტებს, მაგრამ ბოლოს ცნობილი ხდებოდა, რომ მათ საქმიანობას ვიღაცის ძლიერი ხელი წარმართავდა. აუცილებელი იყო მისი მიგნება და უვნებელყოფა. ძლიერი იერიში მოიტანეს, პირდაპირ მოითხოვდნენ, რომ ამ საქმისათვის ხელი მომეკიდა. ორი წელი შევწირე ამას უოტსონ, და ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო მღელვარება არ განმაცდევინა. ჯერ ჩიკაგოში ჩავედი, საიდუმლო ირლანდიურ საზოგადოებაში, ბუფალოში სკოლა გავიარე. მცირე საზრუნავი როდი გავუჩინე სკიბერინის კონსტებლებს, ბოლოს და ბოლოს ფონ ბორკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წვრილი აგენტის ყურადღება მივიქციე. ბორკმა, როგორც სრულიად შესაფერისი კაცი, ჩემი თავი შეფს წარუდგინა. მალე მოვიპოვე ფონ ბორკის ნდობა, თუმცა ბორკის საქმეები რატომღაც სულ იფუშებოდა, ხუთი საუკეთესო აგენტი საპატიმროში მოხვდა. მე ვზვერავდი და შეუნელებელი ინტერესით ვუთვალთვალებდი აგენტებს, იმწამსვე ვიჭერდი მათ, როგორც კი საქმე მომწიფდებოდა ხოლმე... აბა, სერ, იმედი მაქვს, არც ისე ცუდად გრძნობთ თავს?

ეს უკანასკნელი შენიშვნა მიმართული იყო ფონ ბორკისადმი, რომელიც თავდაპირველად წყლიდან ამოყვანილი ლოქოსავით ისუნთქავდა ჰაერს, სული ეხუთებოდა, თვალებს ხშირად ახამხამებდა, მერე კი მშვიდად იწვა და ჰოლმსის მოთხრობას ისმენდა. უეცრად სახე ბრაზით მოეღრიცა და მისი პირიდან გერმანული ლანძღვის ნიაღვარმა იფეთქა; ვიდრე ტყვე ილანძღებოდა, ჰოლმსი სწრაფად და საქმიანად სინჯავდა დოკუმენტებს.

გერმანული ენა თუმცა მუსიკალობას მოკლებულია, მაგრამ ყველა ენაზე უფრო გამომეტყველია, - შენიშნა ჰოლმსმა, როცა ძალაგამოცლილი ფონ ბორკი გაჩუმდა. - ეჰე, ეტყობა კიდევ ერთი ჩიტი გაება მახეში! - შესძახა ჰოლმსმა და დააკვირდა რაღაც

ნახაზის პირს. - დიდი ხანია შენიშნული მყავს ეს ხაზინდარი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასეთი არამზადა აღმოჩნდებოდა. მისტერ ფონ ბორკ, თქვენ ძალიან ბევრამეზე მოგიხდებათ პასუხისგება.

ტყვემ დიდი ვაივაგლახით წამოიწია და თავის მტერს შეხედა, ამ გამოხედვაში იყო გაოცებისა და სიძულვილის ნაზავი.

- მე თქვენ ანგარიშს გაგისწორებთ, ოლტემონტ, - დაიწყო წყნარად ფონ ბორკმა, იგი ყოველ სიტყვას გამოკვეთილად წარმოთქვამდა. - თუნდაც ამას შეეწიროს მთელი ჩემი ცხოვრება, აუცილებლად გაგისწორდებით.

- კეთილი ძველი სიმღერაა, - მიუგო ჰოლმსმა. - რამდენჯერ მსმენია ის გარდასულ დროში! ეგ ნეტარხსენებული პროფესორ მორიარტის საყვარელი მოტივი იყო. როგორც ცნობილია, პოლკოვნიკ სებასტიან მორენსაც უყვარდა ეს სიმღერა. მე კი დღემდე ცოცხალი ვარ და საუთდაუნში ფუტკრებს ვუვლი.

- წყეულიმც იყავ, ორგზის მოღალატევ! - შესძახა გერმანელმა, რომელიც ღვედებისაგან თავის დახსნას ლამობდა და ჰოლმსს მძულვარე თვალებით ნთქავდა.

- არა, არა, საქმე არც ისე ცუდადაა, - გაიღიმა ჰოლმსმა. - როგორც ჩემი ლაპარაკიდან გაიგებდით, მისტერ ოლტემონტ ჩიკაგოელი ფაქტიურად არ არსებობს, მე მისი სახელი გამოვიყენე და ახლა საპნის ბუშტივით გაქრა.

- მაშ ვინა ხართ?

- საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ამას, მაგრამ თუ ასე გაინტერესებთ, მოგახსენებთ, მისტერ ფონ ბორკ, რომ თქვენი ოჯახის წევრებს კარგა ხანია ვიცნობ. არაერთი საქმე გავხსენი გერმანიაში და იქნებ ჩემი სახელი თქვენთვის უცნობი არ იყოს.

- მინდა ვიცოდე, - თქვა კუშტად პრუსიელმა.

- ჩემი ხელშეწყობით გაწყდა კავშირი აირინ ადლერსა და ბოჰემიის განსვენებულ მეფეს შორის, როცა თქვენი ბიძაშვილი ჰაინრიხი ელჩად იყო. მე გადავარჩინე გრაფი ფონ გრაფენშტეინი, თქვენი დედის უფროსი ძმა, როცა ნიჰილისტ კოპმენის ხელით სიკვდილი ემუქრებოდა. მე...

განცვიფრებული ფონ ბორკი წამოჯდა.

- არის მხოლოდ ერთი ადამიანი, - წამოიყვირა ფონ ბორკმა, - რომელმაც...

დიახ, დიახ...

- სწორედაც - დაუმოწმა ჰოლმსმა.

ფონ ბორკმა დაიკვნესა და ისევ დივანზე დავარდა.

- და თითქმის მთელი ინფორმაცია თქვენგან მოდიოდა! - შესძახა მან. - რა ფასი აქვს ასეთი ინფორმაციას? ეს რა ჩავიდინე და რა მოვიმოქმედე? მე განადგურებული ვარ! ჩემი კარიერა სამუდამოდ დაიღუპა!

- თქვენი მასალა, რა თქმა უნდა, ვერ არის საიმედო, - თქვა ჰოლმსმა. - იგი გადამოწმებას მოითხოვს, მაგრამ საამისოდ ძალიან ცოტა დრო გაქვთ. თქვენი ადმირალი შეიტყობს, რომ ახალი ქვემეხების ყელი ბევრად უფრო ფართო და დიდია, კრეისერები კი რამდენადმე უფრო სწრაფად დაცურავენ, ვიდრე ადმირალი ფიქრობს.

სასოწარკვეთილმა ბორკმა ყელში ხუთვა იგრძნო.

- თავის დროზე ნათელი მოეფინება თქვენი წარუმატებელი მუშაობის სხვა ბევრ წვრილმან მხარესაც, - განაგრძობდა ჰოლმსი, - მაგრამ თქვენ გაქვთ ერთი ძვირფასი ნიჭი, რაც ასე იშვიათი რამაა გერმანელებისათვის, თქვენ სპორტსმენი ხართ. ჩემდამი პრეტენზია აღარ გექნებათ, როცა გაიგებთ, რომ თქვენ, ვინც მრავალი ვინმე გააბრიყვეთ და ანკესზე წამოაგეთ, თვითონ აღმოჩნდით ჩემგან გაბრიყვებული და ანკესზე წამოგებული. თქვენ თქვენი ქვეყნის სიკეთისათვის მეცადინეობდით, მეც -

ჩემი ქვეყნისათვის ვირჯებოდი. რა უნდა იყოს ამაზე უფრო ბუნებრივი? ამას გარდა, - დასძინა სრულიად უბოროტოდ და ხელი გართქმულ ფონ ბორკს მხარზე დაადო, - მაინც ჯობს კეთილშობილი მტრის ხელით დაღუპვა. უოტსონ, ყველა ქაღალდი გასინჯულია. თუ ტყვის აწევაში მომეშველებით, მგონი დროა, რომ პირდაპირ ლონდონს გავეშუროთ.

ფონ ბორკის ადგილიდან დაძვრა იოლი არ აღმოჩნდა. იგი ძლიერიც იყო და საშიშიც, სასოწარკვეთილებამ კი ორმაგი ძალა მისცა. ბოლოს, ორმა მეგობარმა გერმანელს ორსავე მხარეს იდაყვებში ჩაავლო ხელი და ნელა წააძუგძუგეს ბაღის გზაზე. ეს სწორედ ის გზა გახლდათ, რომელზედაც ფონ ბორკი ამ ორიოდე საათის წინ ასე თავდაჯერებული დააბიჯებდა და სახელგანთქმული დიპლომატის ქათინაურებს იფერებდა. ხანმოკლე ჭიდილის შემდეგ ჯერ კიდევ შეკოჭილი გერმანელი პატარა მანქანის თავისუფალ ადგილზე დასვეს და ძვირფასი ჩემოდანიც მის გვერდით ჩატენეს.

- მე ვფიქრობ, რომ საკმაოდ მოხერხებულად მოგათავსეთ, რამდენადაც გარემოება ამის საშუალებას იძლევა? - მიმართა ჰოლმსმა, როცა ყველაფერი დამთარდა, - კადნიერებად ხომ არ ჩამითვლით, თუ სიგარას მოვუკიდებ და პირში ჩაგიდებთ?

მაგრამ გაცოფებულ გერმანელთან მთელი ეს თავაზიანობა წყალში იყო გადაყრილი:

- თქვენ ალბათ გრძნობთ, მისტერ ჰოლმს, რომ თუ თქვენი მთავრობა მოიწონებს თქვენს მოქმედებას ჩემს მიმართ, ეს ომს მოასწავებს?

- თქვენი მთავრობისა და მისი მოქმედების საქმე როგორღა იქნება? - თავისი მხრივ ჰკითხა ჰოლმსმაც და მის ჩემოდანს დაჰკრა ხელი.

- თქვენ კერძო პირი ხართ. თქვენ არა გაქვთ ჩემი დაპატიმრების უფლება. თქვენ ჩემს დასაპატიმრებლად ორდერი უნდა გქონდეთ. მთელი მოქმედება კანონსაწინააღმდეგო და აღმაშფოთებელია.

- აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, - დაეთანხმა ჰოლმსი.

- გერმანიის ქვეშევრდომის გატაცება...

- და მისი პირადი ქაღალდების მოპარვა.

- საერთოდ, თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რაც მოიმოქმედეთ, თქვენ და თქვენს თანამზრახველს კარგი არა მოგელით რა, თუ მაშველს დავუძახებ, როცა სოფელს გავივლით...

- ძვირფასო სერ, თუ თქვენ ასეთ სისულელეს ჩაიდენთ, ჩვენი სასტუმროების აბრებს კიდევ ერთი განსხვავებული წარწერა დაამშვენებს: «პრუსიელი თოკზე» ინგლისელი - მომთმენი სულიერი არსება გახლავთ, მაგრამ ახლა ცოტა აიბურძგნა და ჯობს მის ცთუნებას ერიდოთ. არა, მისტერ ფონ ბორკ, თქვენ წყნარად წამოხვალთ ჩვენთან ერთად სკოტლენდ-იარდში და იქიდან, თუ გსურთ, თქვენს მეგობარ ბარონ ფონ ჰერლინგთან გაგზავნეთ ვინმე: ვინ იცის, თქვენთვის იქნებ შენახულია ადგილი საელჩოს პირადი შემადგენლობის სიაში. რაც შეგეხებათ თქვენ, უოტსონ, როგორც გავიგე, სამხედრო სამსახურში ბრუნდებით და ლონდონი სწორედ თქვენს გზაზე იქნება. მოდით, გავჩერდეთ ეგერ, იმ ტერასაზე - იქნებ ეს უკანასკნელი მშვიდობიანი საუბარია, რითაც მე და თქვენ შეგვიძლია დავტკბეთ.

მეგობრებმა გაიხსენეს გარდასული დღეები, მათი ტყვე კი ამაოდ ცდილობდა თავის დაღწევას ღვედებიდან, რომლებითაც საიმედოდ იყო შეკოჭილი. როცა ავტომობილთან მობრუნდნენ, ჰოლმსმა მთვარის შუქზე აციმციმებულ ზღვაზე მიუთითა და ფიქრიანად გააქნია თავი:

- მალე აღმოსავლეთის ქარი ამოვარდება, უოტსონ.

- არა, მგონია, ჰოლმს... ძალიან თბილა.

- ეჰ, უოტსონ, მართლა ძველო!.. ამ ცვალებად დროში მხოლოდ თქვენ არ იცვლებით. დიახ, მალე ამოვარდება ისეთი აღმოსავლური ქარი, როგორიც ინგლისს ჯერ არ უხილავს. ცივი, მსუსხავი ქარი, უოტსონ, და შესაძლოა ბევრი ჩვენგანი მისი გამყინავი სუნთქვისაგან დაიღუპოს. მაგრამ ის მაინც ღმერთისაგან მოვლენილი იქნება და რომ გადაივლის, მზისქვეშეთი უფრო სუფთა, ძლიერი და უკეთესი შეიქმნება; დავიძრათ, უოტსონ, ჯიბეში ხუთასი გირვანქის ჩეკი მიდევს, ხვალ უნდა წარვადგინო, რაც შეიძლება ადრე და მალე, თორემ, ერთიც ვნახოთ, ვინც ის მომცა, გადახდაზე აღარ დათანხმდეს!

ჰოლმსის უკანასკნელი საქმე

გულდამძიმებული ვავსებ ჩანაწერების წიგნს უკანასკნელი სტრიქონებით, რომლებიც ჩემი მეგობრის, მისტერ შერლოკ ჰოლმსის არაჩვეულებრივი ნიჭის ამბავს მოგვითხრობენ.

თუმცა აგერ უკვე ორი წელი გავიდა, მაგრამ გამოგიტყდებით და გულახდილად გეტყვით, რომ მეგობრის დაკარგვამ ჩემს ცხოვრებაში ისეთი სიცარიელე დატოვა, ვეღარაფრით შემივსია. ჰოლმსზე მოთხრობების წერას აღარ ვაპირებდი, მაგრამ პოლკოვნიკ ჯეიმს მორიარტის უკანასკნელმა წერილებმა, რომლებშიაც იგი თავის განსვენებულ ძმას იცავს, ისევ ამაღებინეს ხელში კალამი. ჩემს მოვალეობად ვრაცხ, საზოგადოებას ამბავი ისე მოვუთხრო, როგორც სინამდვილეში მოხდა. სიმართლე მხოლოდ ჩემთვისაა ცნობილი და მოხარული ვარ, რომ დადგა დრო, როცა მისი დაფარვის მიზეზი აღარ მაქვს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გაზეთებში გამოქვეყნდა მხოლოდ სამი ცნობა: «ჟურნალ დე ჟენევის» 1891 წლის 6 მაისის ნომერში მოთავსებული შენიშვნა, 7 მაისის რეიტერის სააგენტოს დეპეშა ინგლისურ პრესაში და ბოლოს, ახლახან გამოქვეყნებული წერილები, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ამ წერილებიდან პირველი და მეორე ძლიერ შემოკლებულია, ხოლო უკანასკნელი - როგორც ახლა დავამტკიცებ - ნამდვილ ფაქტებს ამახინჯებს. ჩემი, როგორც ჰოლმსის მეგობრის, პირდაპირი ვალია და მოქალაქეობრივი სინდისიც იმას ჩამძახის, რომ ბოლოს და ბოლოს ვაუწყო ქვეყანას, თუ რა მოხდა სინამდვილეში პროფესორ მორიარტისა და მისტერ შერლოკ ჰოლმსს შორის.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ახლო ურთიერთობა, რაც ჩემსა და ჰოლმსს შორის არსებობდა, ჩემი დაქორწინების დღიდან რამდენადმე შეიცვალა. იმ ხანებში კერძო საექიმო პრაქტიკაზე გადავედი. ჰოლმსი ჩემთან დროგამოშვებით შემოივთლიდა ხოლმე, ისიც მხოლოდ ისეთ დროს, როცა ძიებისას დამხმარე ესაჭიროებოდა. მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდებოდა, ხოლო 1890 წელს მის თავგადასავლიდან მხოლდო სამი ამბავი გამოვაქვეყნე.

1890 წლის ზამთარში და 1891 წლის გაზაფხულზე გაზეთები წერდნენ, რომ ჰოლმსი საფრანგეთის მთავრობამ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეზე მიიწვია, თვითონ ჰოლმსმა ნარბონიდან და ნიმიდან ორი წერილი გამომიგზავნა, საიდანაც ის დასკვნა გამოვიტანე, რომ მისი ყოფნა საფრანგეთში ძლიერ გაჭიანურდებოდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაოცებული დავრჩი, როცა 24 აპრილს საღამოს უეცრად

ჰოლმსი ჩემს სამუშაო ოთახში გაჩნდა. მაშინვე თვალში მეცა, რომ კიდევ უფრო ფერმკრთალი და გამხდარი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ გახლდათ ხოლმე.

- დიახ, საგრძნობლად გამოვიფიტე, - მითხრა უმალ ჩემი სახის გამომეტყველების, ვიდრე სიტყვის პასუხად. - უკანასკნელ დროს, ცოტა გამიჭირდა... რა იქნება, რომ დარაბები დავხურო?

ოთახი განათებული იყო მხოლოდ მაგიდის ლამპით, რომლის შუქზეც ვკითხულობდი ხოლმე. ჰოლმსი ფრთხილად გაჰყვა კედელს და ოთახს ირგვლივ შემოუარა, დარაბები ხმაურით დახურა და ურდულებით გულმოდგინედ ჩაკეტა.

- განა რამის გეშინიათ? - ვკითხე.

- დიახ, მეშინია.

- რისი?

- უხმაურო თოფიდან გასროლილი ტყვიის.

- ჩემო ძვირფასო ჰოლმს, ვერ გამიგია, რა საფრთხე გემუქრებათ?

- უოტსონ, მგონი, საკმაოდ კარგად მიცნობთ, და თქვენთვის ცნობილია, რომ ლაჩართა რიცხვს არ ვეკუთვნი, მაგრამ კაცმა რომ ანგარიში არ გაუწიო საშიშროებას, რაც გემუქრება - ეს უმალ სისულელეა, ვიდრე სიმამაცე. მომეცით, გეთაყვა, ასანთი.

პაპიროსი მოსწია და, ეტყობოდა, თამბაქოს კვამლმა ოდნავ დაამშვიდა.

- ჯერ ერთი, ბოდიში უნდა მოვიხადო ასე გვიან მოსვლისათვის, - მითხრა ჩემმა მეგობარმა, - და ამას გარდა, ნებართვა უნდა გთხოვოთ იმ საქციელისათვის, რის ჩადენასაც ახლა ვაპირებ. მინდა თქვენი ბაღის უკანა კედელზე გადავძვრე, რადგანაც თქვენი სახლიდან სწორედ ამ გზით წასვლა განვიზრახე.

- მაგრამ რისი გულისათვის? - ჩავკითხე მე.

ხელი ლამპის სიახლოვეს მიიტანა და მაშინ დავინახე, რომ ორ თითზე სახსრები გადაჭრილი და სისხლით მოსვრილი ჰქონდა.

- როგორც ხედავთ, საქმე მთლად სახუმროდ არაა, - თქვა ღიმილით. - ასე კაცმა შეიძლება მთელი ხელიც დაკარგოს. მისის უოტსონი სადაა? შინ არის?

- არა, ნაცნობებთან წავიდა სტუმრად.

- აჰა! მაშ, თქვენ მარტო ხართ?

- სრულიად მარტო.

- რაკი ასეა, უფრო ადვილად შემოგთავაზებთ ერთი კვირით კონტინენტზე გაყოლას.

- სახელდობრ, საით?

- სულ ერთია საითაც წავალთ. ჩემთვის ამ ამბავს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

სულ ერთია საით წავალთო, ეს აზრი უკიდურესად უცნაურად მეჩვენა. ჰოლმსს ჩვეულებად არ ჰქონდა უქმად დროის ტარება. ამავე დროს მისი ფერწასული, დაქანცული სახე უსიტყვოდ ლაპარაკობდა უკიდურესობამდე მისულ ნერვულ დაძაბულობაზე. მზერაზე შემატყო, რომ საგონებელში ჩავვარდი. იგი იდაყვებით დაეყრდნო მუხლებს, თითების ბოლოები შეკრა და საქმის ვითარების ახსნა დამიწყო.

- ხომ არაფერი გსმენიათ პროფესორ მორიარტზე? - მკითხა მან.

- არაფერი.

- გენიალური და მიუწვდომელი ვინმეა. ადამიანმა თავის ბადეში გაახვია მთელი ლონდონი, და კაცის შვილს მისი სახელი კი არ გაუგონია, აი, სწორედ ამ ამბავმა აიყვანა იგი სისხლის სამართლის სამყაროს კვარცხლბეკზე. გარწმუნებთ, უოტსონ, მორიარტის დამარცხებას რომ მოვახერხებდე და იმ არამზადებისაგან საზოგადოებას დავიხსნიდე, ეს იქნებოდა ძიების დარგში ჩემი მოღვაწეობის

გვირგვინი, ჩემს კარიერას დასრულებულად ჩავთვლიდი და ხელს უფრო მშვიდ საქმიანობას მოვკიდებდი. ჩვენს შორის რომ ითქვას, უოტსონ, უკანასკნელმა ორმა საქმემ, რომელთაც შესაძლებლობა მომცეს ერთგვარი სამსახური გამეწია სკანდინავიის სამეფო გვარისა და საფრანგეთის რესპუბლიკისათვის, მომცეს საშუალება ისე ვიცხოვრო, როგორც ჩემს მისწრაფებებს შეეფერება, და ჩემს საყვარელ პროფესიას, ქიმიურ ცდებს დავუბრუნდე. მაგრამ მანამდე ვერ დავისვენებ და სავარძელში მშვიდად ვერ ჩავჯდები, ვიდრე ისეთი ადამიანი, როგორიც პროფესორი მორიარტია, ლონდონის ქუჩებში თავისუფლად დასეირნობს.

- რა ჩაიდინა ასეთი?

- ო, იმ კაცს არაჩვეულებრივი ბიოგრაფია აქვს! კარგი ოჯახიდანაა, ბრწყინვალე განათლება მიუღია და ბუნებისაგან ფენომენალური მათემატიკური ნიჭი აქვს მიმადლებული. ოცდაერთი წლისას ნიუტონის კანონზე დაუწერია ტრაქტატი, რითაც მთელ ევროპაში მოუხვეჭია სახელი. ამის შემდეგ ჩვენს ერთ-ერთ პროვინციულ უნივერსიტეტში მათემატიკის კათედრა მიუღია და ბედი ბრწყინვალე მომავალს უქადდა. მაგრამ მორიარტის მემკვიდრეობითი მიდრეკილება აქვს არაადამიანური სისასტიკისადმი. მის ძარღვებში ბოროტმოქმედის სისხლი ჩქეფს. ეს სისასტიკე მისი არაჩვეულებრივი ჭკუის წყალობით კიდევ უფრო საშიში გახდა. ამ კაცზე საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც ასწავლიდა, ცუდი ხმები დაირხა. ბოლოს და ბოლოს, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა კათედრა და გადასულიყო ლონდონში, სადაც ოფიცრის ხარისხის მისაღები გამოცდებისათვის ახალგაზრდების მომზადება დაიწყო... ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები გახლავთ. ახლა კი მოისმენთ იმას, რისი გაგებაც მე თვითონ მოვახერხე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ლონდონის სისხლის სამართლის სამყაროს ჩემზე კარგად არავინ იცნობს. დიდი ხანია ვგრძნობ, რომ ჩვენს ქალაქში, მრავალ დამნაშავეს ზურგს უმაგრებს რაღაც ჩემთვის უცნობი ხელი - ძალუმი მაორგანიზებელი ძალა, რომელიც ყალბი პირების საფარვლის უკან კანონის საპირისპიროდ მოქმედებს. რამდენიმეჯერ სრულიად სხვადასხვა შემთხვევაში - ეს სიყალბის ჩადენა იყო, ძარცვა, თუ მკვლელობა, - ვგრძნობდი ამ ძალის არსებობას და ლოგიკური დასკვნების გზით ვაგნებდი მის კვალს იმ გაუხსნელ დანაშაულობებშიც, რომელთა გასარკვევად უშუალოდ არავის მივუწვევივარ. მრავალი წლის მანძილზე ვცდილობდი იმ ფარდის უკან შეჭრას, რაც ამ ძალას ფარავს, და აი დადგა დრო, როცა დახლართული ძაფის ბოლო ვიპოვნე, დავიწყე კვანძების გახსნა და ათასობით მზაკვრული მარყუჟის გახსნის შემდეგ სახელგანთქმულ მათემატიკოსს, ყოფილ პროფესორ მორიარტის მივადექი.

უოტსონ, ეს კაცი - დანაშაულობათა სამყაროს ნაპოლეონია. ლონდონში მომხდარი ბოროტმოქმედებების ნახევრის ორგანიზატორი სწორედ ისაა. მორიარტივეა სულისჩამდგმელი ყველა გაუხსნელი ბოროტმოქმედებისა, რაც ამ ქალაქში ხდება. ესაა გენიოსი, ფილოსოფოსი. ესაა კაცი, რომელსაც უნარი შესწევს აბსტრაქტულად იაზროვნოს. იგი მაღალგანვითარებული ჭკუის პატრონია. თვითონ, როგორც ობობა, ქსელის შუაგულში უძრავადაა, მაგრამ ქსელის ათასობით ძაფის რხევას იმწამსვე გრძნობს. პირადად იშვიათად მოქმედებს და მხოლოდ გეგმების შედგენითაა გართული. მაგრამ მისი აგენტების რიცხვი დიდია და საუცხოოდაც არის ორგანიზებული. თუ ვინმეს დასჭირდა დოკუმენტის მოპარვა, სახლის გაძარცვა, გზიდან ადამიანის ჩამოცილება, - საკმარისია ეს სურვილი პროფესორს აუწყოს, და დანაშაული მყისვე მომზადდება, მერე კი ელვისებურად ასრულდება. აგენტი შეიძლება დაიჭირონ. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის მოინახება ფული, რომ

თავდებით გააშვებინონ ან დამცველი აუყვანონ. მაგრამ მთავარი ხელმძღვანელი, ის, ვინც საქმეზე გააგზავნა აგენტი, არასოდეს ჩავარდება - ეჭვი არასოდეს არ შეეხება ამ ადამიანს. ასეთია, უოტსონ, ორგანიზაცია, რომლის არსებობა ლოგიკური გზით დავადგინე და მთელი ენერგია იმისათვის გავწირე, რომ ის აღმოვაჩინო და გავტეხო.

მაგრამ პროფესორი ეშმაკურადაა შენიღბული და ისე ბრწყინვალედაა დაცული, რომ მთელი ჩემი მონდომების მიუხედავად შეუძლებელი ხდება სასამართლოს განაჩენისათვის საკმარისი მტკიცებულების წარდგენა. მოგეხსენებათ, რისი უნარიც მაქვს, ძვირფასო უოტსონ, და მაინც სამი თვის თავზე იძულებული გავხდი მეღიარებინა, რომ ღირსეულ მეტოქეს გადავეყარე. საშინელებამ, რასაც მის მიერ მომზადებული დანაშაულობანი მინერგავდნენ, ადგილი დაუთმეს მისი ოსტატობით გამოწვეულ აღტაცებას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს პატარა შეცდომა დაუშვა, პატარა, სრულიად პატარა შეცდომა, - მაგრამ მორიარტის არც ეს შეცდომა უნდა მოსვლოდა, რადგანაც განუწყვეტლივ თვითონ მე ვუთვალთვალებდი. რაღა თქმა უნდა, იმ შეცდომით ვისარგებლე, სწორედ ეგ შეცდომა გამოვიყენე ამოსავალ წერტილად და მორიარტის გარშემო ჩემი საკუთარი ბადის ქსოვას შევუდექი. ახლა ეს ქსელი თითქმის მზადაა, და სამი დღის შემდეგ, ესე იგი, ორშაბათს, ყველაფერი დასრულდება - პროფესორი თავის ბრბოს მთავარ წევრებთან ერთად მართლმსაჯულებას წარუდგება. მერე კი დაიწყება ჩვენი საუკუნის ყველაზე უფრო დიდი სისხლის სამართლის პროცესი, გაიხსნება ორმოცზე მეტი საიდუმლოებით მოცული დანაშაული და ყველა დამნაშავე დაისჯება. მაგრამ ოდნავი აჩქარება, ერთი უმართებულო ნაბიჯის გადადგმა და ბოროტმოქმედნი მართლმსაჯულებას თვით უკანასკნელ წამს დაუსხლტებიან ხელიდან.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, მე რომ მომეხერხებინა და ისე მემოქმედა, რომ პროფესორ მორიარტის ამაზე არაფერი სცოდნოდა. მაგრამ ის ვაჟბატონი მეტისმეტად ცბიერი ბრძანდება. მისთვის ცნობილი გახდა ჩემი ყოველი ნაბიჯი, რაც კი გადამიდგამს, იმისათვის, რომ ჩემს ბადეში მომექცია. ბევრჯერ ეცადა გასხლტომას, მაგრამ ყველა გზა გადავუღობე. მერწმუნეთ, მეგობარო, ამ ჩემი ბრძოლის დაწვრილებითი აღწერილობის გაზეთებში გამოქვეყნება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ის დეტექტივის ისტორიის უბრწყინვალეს და ყველაზე უფრო ამაღელვებელ წიგნებს შორის ღირსეულ ადგილს დაიჭერდა. ძიებისას ასეთ მწვერვალამდე არ ავმაღლებულვარ და არც მოწინააღმდეგის მოქმედებას ჩავუგდივარ ასეთ გასაჭირში. მის ძლიერ დარტყმებს მოხერხების წყალობით ვიცდენდი. დღეს დილით უკანასკნელი სამზადისი ჩავატარე და კიდევ სამი დღე მჭირდებოდა, რათა საქმე დამესრულებინა. ჩემს ოთახში ვიჯექი და სწორედ ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ უეცრად კარი გაიღო და ჩემ წინ პროფესორი მორიარტი აღიმართა.

ფოლადის ნერვები მაქვს, უოტსონ, მაგრამ, ვაღიარებ, შევკრთი, როცა ჩემ წინაშე ის ადამიანი ვიხილე, რომელსაც მთელი ჩემი ფიქრი დასტრიალებდა. გარეგნულად მორიარტის უწინაც კარგად ვიცნობდი. იგი ძალიან გამხდარი და მაღალია. თეთრი შუბლი აქვს, უზარმაზარი და გამობურცული, თვალები - ღრმად ჩავარდნილი, სახე - სუფთად გაპარსული, ფერმკრთალი, ასკეტური იერისა, - რაღაც ნაპერწკალი პროფესორ მორიარტისა ამ ადამიანში კიდევ დარჩენილა. მხრებში მოხრილია - ალბათ საწერ მაგიდასთან მუდმივი ჯდომით, თავი გველივით აღერილი აქვს და აქეთ-იქით ასარსალებს. შემოვიდა და მსუსხავი მზერა მომაპყრო.

- არც ისე განვითარებული გქონიათ შუბლის ძვლები, როგორც მეგონა, - ამოღერღა ჩემმა სტუმარმა. - მისტერ ჰოლმს, გატენილი რევოლვერის ჯიბით ტარება ძალიან საშიში ჩვეულებაა.

პროფესორის დანახვისთანავე მივხვდი, რა უზარმაზარი საფრთხეც მემუქრებოდა: მისი ხსნის ერთადერთი გზა ხომ ის იყო, თუ მე სამუდამოდ დამადუმებდა! ამიტომ რევოლვერი მაგიდის უჯრიდან ელვის სისწრაფით ამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე. მორიარტის შენიშვნის შემდეგ კი რევოლვერი ჯიბიდან ამოვიღე, ფეხზე შევაყენე და მაგიდაზე დავდე. მორიარტი კვლავ იღიმებოდა და თვალებს ჭუტავდა, მაგრამ მის თვალთა გამომეტყველებაში ისეთი ნაპერწკალი იმალვოდა, რომ იარაღის სიახლოვე განსაკუთრებით მახარებდა.

«ვატყობ, არ მიცნობთ», - მითხრა პროფესორმა.

«პირიქით, - მივუგე მე, - მგონი, არ გაგიჭირდებოდათ იმის გაგება, რომ გიცნობთ. დაბრძანდით, გთხოვთ. თუ რაიმე სათქმელი გაქვთ, შემიძლია ხუთი წუთი დაგითმოთ».

«ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა, უკვე გამოიცანით», - მიპასუხა სტუმარმა.

«ამ შემთხვევაში თქვენც ალბათ უკვე გამოიცანით ჩემი პასუხი».

«მაშ, მტკიცედ დგახართ თქვენს განზრახვაზე?»

«დიახ».

როგორც კი მორიარტიმ ხელი ჯიბისაკენ წაიღო, მაგიდიდან რევოლვერი ავიღე. მაგრამ მან ჯიბიდან ამოიღო უბის წიგნაკი, რომელშიაც აჩხაბაჩხად იყო გამოყვანილი რაღაც თარიღები.

«თქვენ გზაზე პირველად ოთხ იანვარს გადამეღობეთ, - თქვა მან. - ოცდასამ იანვარს კიდევ მომაყენეთ უსიამოვნება. თებერვლის შუა რიცხვებში ფრიად სერიოზულად შემაშფოთეთ. მარტის მიწურულში სრულიად ჩაშალეთ ჩემი გეგმები. ახლა კი თქვენი განუწყვეტელი თვალთვალის გამო ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ თავისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხე მემუქრება. ასე გაგრძელება არ შეიძლება».

«რას მირჩევთ?» - ვკითხე მე.

«მიატოვეთ ეს საქმე, მისტერ ჰოლმს. თქვენ მეტისმეტად ჭკვიანი ხართ და გამიგებთ: აუცილებლად გზიდან უნდა ჩამომცილდეთ. ინტელექტუალურად ვტკბებოდი, როცა ვაკვირდებოდი თქვენი ბრძოლის მეთოდს და დამერწმუნეთ, ნაწყენი დავრჩებოდი, თუ მაიძულებდით უკიდურესი ღონისძიებისათვის მიმემართა... თქვენ იღიმებით, სერ, მაგრამ გარწმუნებთ, გულახდილად გელაპარაკებით».

«საფრთხე ჩემი პროფესიის განუყრელი თანამგზავრია», - შევნიშნე მე.

«ეს საფრთხე კი არა, გარდუვალი განადგურებაა, - ჩაურთო პროფესორმა. - თქვენ გზაზე გადაუდექით არა ერთ ადამიანს, არამედ უზარმაზარ ორგანიზაციას, რომლის მთელს ძლიერებას, მიუხედავად თქვენი ჭკუისა, ვერ მისწვდებით. განზე უნდა გადგეთ, მისტერ ჰოლმს, ან გადაგთელავენ».

«ვშიშობ, - ვთქვი წამოდგომისას, - რომ ჩვენი სასიამოვნო საუბრის მიზეზით გამომეპარება ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რაც სხვაგან მიხმობს».

თვითონაც ადგა, უსიტყვოდ მიყურებდა და თავს ნაღვლიანად აქნევდა.

«მაშ, რა გაეწყობა! - თქვა ჩემმა დაუპატიჟებელმა სტუმარმა. - ძალიან ვნანობ, მაგრამ ყველაფერი, რაც შემეძლო, გავაკეთე. მე ვიცი თქვენი თამაშის ყოველი სვლა. ორშაბათამდე უძლური ხართ. ეს ჩვენი დუელია, მისტერ ჰოლმს, თქვენ იმედი გაქვთ

ბრალდებულის სკამზე დამსვამთ - გიცხადებთ, ეს არასოდეს არ მოხდება. თქვენ იმედი გაქვთ - დამამარცხებთ - გიცხადებთ, ამასაც ვერასოდეს მოახერხებთ. თუ გეყოფათ უნარი, რომ დამღუპოთ, გარწმუნებთ, თვითონაც ჩემთან ერთად დაიღუპებით».

«იმდენი ქათინაურიმითხარით, მისტერ მორიარტი, რომ მინდა იმითვე გიპასუხოთ, ამიტომ გეტყვით, საზოგადოების სიკეთის გულისათვის სიამოვნებით დავთანხმდებოდი მეორე ამბავზე, რომ საბრალდებულო სკამზე დამესვით».

«ნურას უკაცრავად, მისტერ ჰოლმს, და ჩემი მხრით, სიამოვნებით გპირდებით, რომ გაგანადგურებთ». - მიპასუხა და ბოროტად გაიცინა. მერე მოხრილი ზურგი მომაქცია, გავიდა, თან უკან იხედებოდა და თვალს ჭუტავდა.

ასეთი იყო ჩემი თავისებური შეხვედრა პროფესორ მორიარტისთან, და სიმართლე გითხრათ, ამ შეხვედრამ არასასიამოვნო გრძნობა დამიტოვა. მისი მეტყველების რბილი და ზუსტი მანერა გაიძულებთ ერწმუნოთ მის გულწრფელობას, რაც არ ახასიათებთ ჩვეულებრივ დამნაშავეებს. ეს არ არის ლაყე ბაქია. ცხადია, მეტყვით: «რატომ არ უნდა მიმართოთ დახმარებისათვის პოლიციასო?» მაგრამ დარტყმას მომაყენებს არა თვითონ ის, არამედ რომელიმე აგენტი - ამაში დარწმუნებული ვარ. საამისო საბუთებიც მაქვს.

- უკვე დაგესხნენ თავს?

- ჩემო ძვირფასო უოტსონ, პროფესორი მორიარტი არ გახლავთ იმათთაგანი, საქმის გადადება რომ დიდი ხნით უყვართ ხოლმე; მისი წასვლის შემდეგ, ასე თორმეტ საათზე ოქსფორდსტრიტისაკენ უნდა წავსულიყავი. ბენტინკსტრიტისა და უელბეკსტრიტის კუთხეში ქუჩაზე რომ გადავდიოდი, დავინახე ორცხენა ეტლი, რომელიც საშინელი სისწრაფით პირდაპირ ჩემკენ მოჰქროდა. ძლივს მოვასწარი ტროტუარზე გადახტომა. რაღაც წამის პატარა მონაკვეთიც და სასიკვდილოდ დავშავდებოდი. ეტლმა კუთხეში შეუხვია და ელვასავით გაქრა. ახლა უკვე გადავწყვიტე აღარ გადავსულიყავი ტროტუარიდან, მაგრამ უირსტრიტზე ერთ-ერთი სახლის სახურავიდან აგური ჩამოვარდა და ჩემს ფეხებთან დაიმსხვრა. პოლიციელს ვუხმე და ვუბრძანე დაეთვალიერებინა შემთხვევის ადგილი. სახურავზე რემონტისთვის გამზადებული აგურები და ფიქალის ფილები ეწყო. ყველამ ის მითხრა, ალბათ აგური ქარმა გადმოაგდოო. რა თქმა უნდა, მე უკეთ ვიცოდი, რაც ხდებოდა, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები არა მქონდა. კები ავიყვანე, ჩემს ძმასთან მივედი პელ-მელში და ღამე იქ გავათიე. იქიდან პირდაპირ თქვენკენ გამოვწიე. გზაში რომელიღაც კომბლიანი არამზადა დამესხა თავს. წავაქციე და პოლიციამ დააკავა. მაგრამ სიტყვას გაძლევთ, ვერავინ აღმოაჩენს კავშირს იმ ჯენტლმენსა, რომლის წინა კბილებზეც ხელი დავისისხლიანე, და მათემატიკის უბრალო მასწავლებელს შორის, რომელიც ამ წუთს ალბათ აქედან ათიოდე მილის მანძილზეა და ამოცანებს წყვეტს გრიფელის დაფაზე. ახლა ალბათ გასაგებია, უოტსონ, რატომ დავხურე მოსვლისთანავე დარაბები და რატომ გთხოვეთ გამიშვათ არა სადარბაზო კარიდან, არამედ მეორე, ნაკლებად შესამჩნევი გასასვლელიდან.

არა ერთხელ ვყოფილვარ აღტაცებული ჩემი მეგობრის სიმამაცით, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით გამაოცა მის მიერ სრულიადაც არა შემთხვევით მომხდარი ამბების მშვიდად ჩამოთვლამ.

- იმედი მაქვს, ღამეს ჩემსას გაათევთ? - ვკითხე მე.

- არა, ჩემო მეგობარო, შეიძლება საშიში სტუმარი გამოვდგე. უკვე მოვიფიქრე მოქმედების გეგმა და ყველაფერი კარგად დასრულდება. ახლა საქმე იმ სტადიაზეა, რომ დაპატიმრება უჩემოდაც შეუძლიათ მოახდინონ. ჩემი დახმარება მხოლოდ

ძიების დროს დასჭირდებათ. იმ რამდენიმე დღით, რაც ჯერ კიდევ რჩება პოლიციის გადამწყვეტ მოქმედებამდე, ჩემთვის ყველაფერს სადმე გამგზავრება აჯობებს, მოხარული ვიქნებოდი, თუ შეძლებდით და ჩემთან ერთად კონტინენტზე წამოხვიდოდით.

- ახლა ავადმყოფები ცოტა მყავს, - ვუთხარი მე, - ჩემი კოლეგა, რომელიც მეზობლად ცხოვრობს, სიამოვნებით შემცვლის. ასე რომ, სიამოვნებით წამოგყვებით.

- და შეგვიძლია ხვალ დილითვე გავემგზავროთ?

- დიახ, თუ ეს აუცილებელია.

- ნამდვილად გადაუდებელი ამბავია. ახლა მოისმინეთ ჩემი ინსტრუქცია და გემუდარებით, უოტსონ, დაიცავით იგი ზედმიწევნითა და დიდი გულმოდგინებით, რადგანაც ჩვენ ორს ბრძოლა უნიჭიერეს თაღლითთან და მთელ ევროპაში დამნაშავეთა ყველაზე დიდ გაერთიანებასთან მოგვიწევს. მომაპყარით ყურნი და გულდასმით მომისმინეთ. დღეს საღამოსვე საიმედო კაცის ხელით, ვიქტორიას ვოგზალზე ისე უნდა გააგზავნოთ თქვენი ბარგი, რომ ზედ დანიშნულების სადგური არ აღინიშნოს, დილით მსახურს კების მოყვანა დაავალეთ, მაგრამ მკაცრად გააფრთხილეთ, რომ პირველ ორ გზად გადაყრილ ეტლს ნუ აიყვანს. ეტლში რომ ჩაჯდებით, კებმენს უბრძანეთ სტენდისაკენ წაგიყვანოთ. საბოლოო გაჩერება ლოუსერის პასაჟზე გექნებათ. სად უნდა მიგიყვანოთ კებმა, ეს ქაღალდის ფურცელზე გექნებათ დაწერილი. მეეტლეს ხელში ჩასჩრით და გააფრთხილებთ, არავითარ შემთხვევაში არ გადააგდოს. ფული წინასწარ გადაიხადეთ და როგორც კი კები დანიშნულების ადგილას გაჩერდება, იმავე წამს შეიმალეთ პასაჟში იმ ვარაუდით, რომ ზუსტად ათის თხუთმეტ წუთზე პასაჟის მეორე ბოლოში აღმოჩნდეთ. იქ ტროტუარის კიდეზე, პატარა ეტლს შენიშნავთ. ეტლის სადავეები ხელ ექნება შავი ფერის მოსასხამიან კაცს, რომლის საყელოზე წითელ არშიას შენიშნავთ. მის ეტლში ჩაჯდებით და სწორედ დროზე გახვალთ ვოგზალზე, რათა კონტინენტისაკენ მიმავალ ექსპრესზე მოხვდეთ.

- სად უნდა შეგხვდეთ?

- სადგურზე. ჩვენთვის მზად იქნება პირველი კლასის მეორე კუპე.

- მაშ, ჩვენ უკვე ვაგონში შევხვდებით?

- დიახ.

ამაოდ ვთხოვდი ღამის გასათევად ჩემს სახლში დარჩენილიყო. ნამდვილად ვიცოდი, ეშინოდა უსიამოვნება არ შეეხვედრებინა იმ ადამიანისათვის, ვინც თავშესაფარს სთავაზობდა და ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რაც ჩემი სახლიდან წასვლას აიძულებდა. რამდენიმე ნაჩქარევი მითითება კიდევ მომცა მეორე დღის გეგმებთან დაკავშირებით. შემდეგ სხარტად წამოიმართა და ბაღში გავედით თუ არა, კედელს პირდაპირ მორტიმერსტრიტისაკენ გადააცოცდა, სტვენით მოიხმო კები და მალე მიმავალი ბორბლების ხმაური გავიგონე.

მეორე დილით ჰოლმსის მითითებათა ზუსტად შესრულებას შევუდექი. კები ძალიან ფრთხილად დავიქირავე. ისე, რომ ხაფანგში არ მოვხვედრილიყავი და საუზმის შემდეგ დანიშნულ ადგილზე დაუყოვნებლივ გავემგზავრე. ლოუსერის პასაჟს რომ მივაღწიე, რაც ძალა და ღონე შემწევდა, იმ სისწრაფით გავიქეცი, და ვნახე კარეტა, რომელიც პირობისამებრ მელოდა. როგორც კი ჩავჯექი, შავ მოსასხამში გახვეულმა უზარმაზარი ტანის მეეტლემ ცხენს მათრახი გადაჰკრა და ერთ წამში ვიქტორიას ვოგზალში მიმაქროლა. ძლივს მოვასწარი ჩამოსვლა, რომ ეტლი მიაბრუნა და ისე გააქროლა, რომ ჩემკენ არც მოუხედავს.

თითქოს ყველაფერი საუცხოოდ მიმდინარეობდა. ჩემი ბარგი ვოგზალში მელოდა. ჰოლმსის მიერ მინიშნებული კუპე იოლად ვიპოვე. ალბათ, ეს იყო ერთდაერთი კუპე, რომელსაც ეწერა «დაკავებულია». ახლა მხოლოდ ის მაშფოთებდა, რომ თვითონ ჰოლმსი არ ჩანდა. ვოგზლის საათს დავხედე და ელდა მეცა, მატარებლის გასვლამდე სულ შვიდი წუთი რჩებოდა. ამაოდ ვეძებდი მგზავრებისა და გამცილებლების ბრბოში ჩემი მეგობრის გამხდარ ფიგურას. რამდენიმე წუთი იმაში მოვკალი, რომ ვეხმარებოდი ერთ პატივსაცემ იტალიელ პატერს, რომელიც დამტვრეულ ინგლისურ ენაზე ცდილობდა აეხსნა მუშისათვის, ჩემი ბარგი პირდაპირ პარიზში უნდა გაიგზავნოსო. შემდეგ ერთხელ უკვე ნაცნობი მიხრწნილი იტალიელი პატერი აღმოვაჩინე. მას ჩემი კუპის ბილეთი არა ჰქონდა, მაგრამ მუშას მაინც ჩემთან დაესვა. ამაოდ ვუხსნიდი დაუპატიჟებელ თანამგზავრს, რომ მისი შემოჭრა არ მსიამოვნებდა, მე მისი იტალიური არ მესმოდა და მას ჩემი ინგლისური. ამიტომ მხოლოდ მხრები ავიჩეჩე და მეგობრის მოლოდინში შეშფოთებით ვიცქირებოდი სარკმელში. თანდათანობით შიში მეუფლებოდა: იქნებ მისი მოუსვლელობის მიზეზი ღამით შემთხვეული რაიმე უბედურება იყო, უკვე ექსპრესის ყველა კარი ჩაკეტეს და სასტვენის ხმაც გავიგონე, რომ უეცრად, ჩემს გვერდით, ჩემი მეგობრის ხმა გაისმა:

- ძვირფასო უოტსონ, თქვენ ჩემთვის სალმის მოცემაც კი არ ინებეთ!

განცვიფრებულმა მივიხედე. ხნიერი პატერი ჩემ პირისპირ იდგა. ერთ წამში ნაოჭები გაუსწორდა, ცხვირი ნიკაპს დაშორდა, ქვედა ბაგე წინ წამოწეული აღარ მეჩვენებოდა, პირმა ჩიფჩიფი შეწყვიტა, მიმქრალ თვალებში ჰოლმსისებურმა ცეცხლმა იელვა, მოხრილი წელი გასწორდა. მაგრამ ყველაფერი ეს ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, და ჰოლმსი ისევე სწრაფად გაქრა, როგორც გამოჩნდა.

- ღმერთო მოწყალეო! - შევძახე მე. - მაგარი შიში კი მაჭამეთ!

- ჯერ კიდევ უდიდესი სიფრთხილე გვმართებს, - მითხრა ჩურჩულით ჩემმა მეგობარმა. - ასე მგონია, ჩვენს კვალს მოაგნეს. ეგერ, თვითონ მორიარტიც!

ამის თქმა და მატარებლის დაძვრა ერთი იყო.

ფანჯრიდან თავი გამოვყავი, უკან მივიხედე და დავინახე მაღალი კაცი, რომელიც გაშმაგებით იკვლევდა ბრბოში გზას და ხელს აქნევდა, თითქოს მატარებლის შეჩერებას ლამობსო. მაგრამ უკვე გვიან იყო. მატარებელმა სვალს უმატა, და სულ მალე სადგური უკან დარჩა.

- აი, ხედავთ, - თქვა სიცილით ჰოლმსმა, - მთელი ჩვენი სიფრთხილის მიუხედავად ამ ადამიანებს ძლივს გავუსხლტით კლანჭებიდან.

ადგა, მღვდლის შავი ანაფორა გაიხადა, თავსაბურავი მოიძრო და ეს თავისი სამასკარადო სამოსელი ბარგში შეინახა.

- დილის გაზეთები წაიკითხეთ, უოტსონ?

- არა.

- მაშასადამე, ჯერ კიდევ არ იცით, რა მოხდა ბეიკერსტრიტზე?

- ბეიკერსტრიტზე?

- წუხელ ჩვენი ბინა გადაწვეს, მაგრამ დიდი ზარალი არ მოგვსვლია.

- რა უნდა ვიღონოთ, ჰოლმს? ეს პირდაპირ აუტანელი ამბავია.

- ალბათ მას შემდეგ, რაც მათი კომბლიანი აგენტი დააპატიმრეს, ჩემი კვალი დაკარგეს, თორემ აბა, საიდან მოისაზრებდნენ, რომ შინ დავბრუნდებოდი. შემდეგ კი, ეტყობა, თქვენ დაგიწყეს თვალთვალი - აი, რამ მოიყვანა მორიარტი ვიქტორიას ვოგზალზე. რაიმე შეცდომა ხომ არ დაუშვით, უოტსონ?

- ყველა თქვენი მითითება ზუსტად შევასრულე.

- ეტლი ადგილზე დაგიხვდათ?

- დიახ, მელოდა.

- მეეტლე იცანით?

- ვერა.

- ჩემი ძმა იყო, მაიკროფტი. ასეთ საქმეებში დაქირავებულ კაცს საიდუმლოება არ უნდა გაანდო. ახლა კი უნდა მოვიფიქროთ, რა ვუყოთ მორიარტის.

- რაკი ექსპრესით მივდივართ და გემიც, მატარებლის ჩასვლისთანავე გადის, მე მგონია, ვერანაირად ვერ დაგვეწევიან.

- ჩემო ძვირფასო უოტსონ. აკი გითხარით, როცა ლაპარაკია გონიერებასა და გამჭრიახობაზე მორიარტის მოქმედება ისევე უნდა შევაფასოთ და ავწონ-დავწონოთ, როგორც პირადად ჩემი. დავიჯერო გგონიათ, თუ მდევრის ადგილზე მე ვიქნებოდი, ასეთი უმნიშვნელო დაბრკოლება შემაჩერებდა? აბა, თუ ასე არ ფიქრობთ, რატომა გაქვთ პროფესორზე ასე ცუდი წარმოდგენა?

- მაგრამ რა უნდა იღონოს?

- იგივე, რასაც მე გავაკეთებდი.

- მაშინ მითხარით, მის ადგილზე თქვენ როგორ მოიქცეოდით?

- საგანგებო მატარებელს შევუკვეთდი.

- მაგრამ სულ ერთია დააგვიანებს.

- არავითარ შემთხვევაში. ჩვენი მატარებელი კენტენბერში შეჩერდება. გემი კი თხუთმეტი წუთით ყოველთვის აგვიანებს ხოლმე. აი, იქ დაგვეწევა.

- ისე გამოდის, რომ დამნაშავეები ჩვენა ვართ და არა ის. ვუბრძანეთ ჩამოსვლისთანავე დააპატიმრონ.

- ეს გაანადგურებდა სამი თვის მუშაობის ნაყოფს. ჩვენ დავიჭერდით დიდ თევზს, წვრილი თევზები კი ბადიდან დაგვისხლტებოდნენ და სხვადასხვა მხარეს გაცურავდნენ. ორშაბათს ყველანი ჩვენს ხელთ იქნებიან. არა, ახლა მორიარტის დაპატიმრება ყოვლად დაუშვებელია.

- მაშ, რა ვქნათ?

- კენტენბერში უნდა გადმოვიდეთ.

- მერე?

- მერე ნიუჰევენში გამგზავრება მოგვიწევს, იქიდან კი - დიეპში. მორიარტიც იმასვე მოიმოქმედებს, რასაც მე, მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი: პარიზში ჩამოვა, ჩვენს ჩემოდნებს დანიშნავს და ორი დღე დაგველოდება საბარგო კამერაში. ამასობაში ჩვენ ორ ნოხისებრ საგზაო ტომარას შევიძენთ, რითაც იმ ადგილების სავაჭრო მრეწველობას წავახალისებთ, რომელ მხარეშიც მოგვიხდება მოგზაურობა და ლუქსემბურგისა და ბაზელის გავლით, შვეიცარიაში ჩავალთ.

ძალიან გამოცდილი მოგზაური ვარ და ბარგის დაკარგვა არ დამნანებია, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, და ვაღიარო, ის აზრი, რომ თავს ვარიდებდით და ვემალებოდით ბოროტმოქმედს, რომელსაც აუარებელი საზიზღარი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, უსიამოვნო ჟრუანტელს მგვრიდა. ცხადია, ჰოლმსს ჩემზე უკეთ ესმოდა საქმის ვითარება. ამიტომ კენტენბერიში გადმოვედით. აქ გავიგეთ, რომ მატარებელი ნიუჰევენისაკენ მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გავიდოდა.

ჯერ კიდევ ნაღვლიანად გავცქეროდი ვაგონს, რომელიც თანდათან ეფარებოდა თვალს და თან მთელი ჩემი გარდერობი მიჰქონდა, როდესაც ჰოლმსმა ანაზდეულად ჩამავლო ხელი და მითხრა:

- ხედავთ, რა სწრაფად მოჰქრის?

შორს, კენტის ტყეებში კვამლის წვრილი სვეტი ირხეოდა. ერთი წუთის შემდეგ სადგურისაკენ მსრბოლი მეორე მატარებელი შევნიშნე, რომელიც მხოლოდ ორთქმავალისა და ერთი ვაგონისაგან შედგებოდა. ძლივს მოვასწარით გამოკრული ფუთების უკან მიმალვა, რომ მატარებელმა გრიალით ჩაგვიქროლა და სახეში გახურებული ორთქლის ნაკადი შემოგვაფრქვია.

- ჩაგვიქროლა! - თქვა ჰოლმსმა და თვალი გააყოლა ვაგონს, ოდნავი ხტომითა და მსუბუქი რწევით რომ მიჰყვებოდა ლიანდაგს. - როგორც ხედავთ, ჩვენი მეგობრის გამჭრიახობასაც აქვს საზღვრები. ჭეშმარიტად, სასწაული იქნებოდა, რომ მასაც იგივე დასკვნები გაეკეთებინა, რაც მე გავაკეთე, და მათ შესაბამისად ემოქმედნა.

- რას იზამდა, რომ დაგვწეოდა?

- უეჭველად ჩვენს თავიდან მოშორებას შეეცდებოდა. არც მე დაველოდებოდი გულხელდაკრეფილი. ახლა საკითხავი ისაა, აქ ვისაუზმოთ, თუ შიმშილით სიკვდილის რისკი გავწიოთ და ნიუჰევენამდე დავიცადოთ.

იმავე ღამეს ჩავედით ბრიუსელში, იქ ორი დღე დავყავით და მესამე დღეს სტრასბურგს გავემგზავრეთ.

ორშაბათს დილით ჰოლმსმა ლონდონის პოლიციას დეპეშა გაუგზავნა. საღამოს, ჩვენს სასტუმროში რომ მოვბრუნდით, უკვე პასუხი დაგვხვდა. ჰოლმსმა დეპეშა წაიკითხა და წყევლა-კრულვით ისროლა ბუხარში.

- ეს უნდა გამეთვალისწინებინა! - აღმოთქვა მან სინანულით. - გაიქცა.

- მორიარტი?

- იმ ერთის გარდა მთელი ბანდა იგდეს ხელთ! მეთაური კი პოლიციას დაუსხლტა! ჰო, რა თქმა უნდა, მე წამოვედი, და ის ხალხი მორიარტის რას გაუსწორდებოდა! თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ პოლიციას ყველა გზა ვუჩვენე. იცით, უოტსონ, ჯობია ახლავე ინგლისში დაბრუნდეთ.

- ვითომ რატომაო?

- ამიერიდან მე საშიში თანამგზავრი ვარ. თუ მორიარტი ლონდონში დაბრუნდება, იცის, რომ დაღუპულია. რამდენადაც მის ხასიათს ვიცნობ, ახლა მთელ თავის ძალას და მოხერხებას იქით მიმართავს, რომ ჩემზე შური იძიოს. ეს აშკარად მითხრა ჩვენი ხანმოკლე შეხვედრის დროს, და დარწმუნებულიც ვარ, ეს არ იყო ლიტონი მუქარა. გულწრფელად გირჩევთ დაბრუნდეთ ლონდონს და თქვენს პაციენტებს მიხედოთ.

მაგრამ მე, ძველი ჯარისკაცი და ჰოლმსის ერთგული მეგობარი გახლდით და ასეთ დროს როგორ მივატოვებდი. ნახევარ საათზე მეტ ხანს ვდავობდით სტრასბურგის სასტუმროს რესტორანში, და იმავე ღამეს გზა ჟენევისკენ განვაგრძეთ.

მთელი კვირა სიამოვნებით დავეხეტებოდით რაინის ხეობაში, მერე კი ლეიკი უკან მოვიტოვეთ, გავიარეთ ჯერ კიდევ ღრმა თოვლით დაფარული უღელტეხილი და ინტერლაკენის გავლით პატარა სოფელ მაირინგენს მივაშურეთ. ეს იყო საუცხოო გასეირნება. ნაზი გაზაფხულის სიმწვანე ფიანდაზად გვეგებოდა ფეხქვეშ და ქათქათა სპეტაკი თოვლის საფარველი მაღლიდან დავცქეროდა. ჩემთვის აშკარა იყო, რომ ჰოლმსს წუთითაც არ ავიწყდებოდა მის თავს მოსალოდნელი განსაცდელი. პატარა მყუდრო ალპურ სოფლებში, განმარტოებულ მთის ბილიკებზე - ყველგან ვამჩნევდი მის სწრაფ, დაკვირვებულ მზერას, ყურადღებით რომ სწავლობდა ყოველი შემხვედრი მგზავრის სახეს - ეტყობოდა, მტკიცედ სჯეროდა, რომ გარდუვალი საფრთხე კვალდაკვალ მოსდევდა.

მახსოვს ასეთი შემთხვევა: ჟემის სანახებში მივდიოდით და დამაფიქვრელ დაუბენზესს ნაპირებს შევცქეროდით, უეცრად ქვის დიდი ლოდი მოწყდა კლდეს,

მარჯვენა მხარეს რომ იყო აღმართული ჩვენს თავს ზემოთ, ძირს დაგორდა და ჩვენს უკან ტბაში ჩავარდა. ჰოლმსმა ბრეკებიან ბექობზე აირბინა, კისერი წაიგრძელა და მიდამო კარგად შეათვალიერა. ამაოდ არწმუნებდა გამყოლი, გაზაფხულობით ამ ადგილებში ლოდების დაგორება სრულიად ჩვეულებრივი ამბავიაო. ჰოლმსმა არაფერი უპასუხა, მაგრამ იმ კაცის სახით გამიღიმა, რომელმაც უკვე კარგა ხანია განჭვრიტა მოსალოდნელი საფრთხე. მიუხედავად სიფრთხილისა, ჩემი მეგობარი სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა. პირიქით, არ მახსოვს ოდესმე ისეთ ხალისიან განწყობილებაზე ყოფი მეხილოს. ხშირად იმეორებდა, საზოგადოება რომ განთავისუფლებული იყოს პროფესორ მორიარტისაგან, ჩემს მოღვაწეობას სიამოვნებით შევწყვეტდიო.

- მგონია, უფლება მაქვს ვთქვა, უოტსონ, რომ მთლად უქმად არ მიცხოვრია. თუნდაც ჩემი სიცოცხლე დღეს დასრულდეს, ასე მგონია, განვლილი გზის გადახედვა სულიერ კმაყოფილებას მანიჭებს-მეთქი. ჩემი წყალობით ლონდონის ჰაერი უფრო გასუფთავდა. ბევრ საქმეში მიმიღია მონაწილეობა და ჩემი გავლენით ბოროტად არასოდეს მისარგებლია. მტყუანის მხარე არ დამიჭერია და სიმართლისათვის ზურგი არ მიქცევია. მართალია, უკანასკნელ ხანებში ერთბაშად თვალში საცემ მოვლენებზე უფრო იმ გამოცანების ამოხსნა მიზიდავდა, რომელთაც ბუნება გვთავაზობს და რომელთა გამოც პასუხისმგებლობა ჩვენს ჯერ კიდევ მოუწყობელ საზოგადოებას ეკისრება, მაგრამ იმ დღეს, უოტსონ, როცა ჩემს კარიერას მთელ ევროპაში ყველაზე უფრო საშიში და ყველაზე უფრო ნიჭიერი დამნაშავის შეპყრობით ან განადგურებით დავაგვირგვინებ, თქვენი მემუარებიც დასრულდება.

ახლა შევეცდები მოკლედ, მაგრამ ზუსტად გადმოგცემთ ჩემი მეგობრის შესახებ ის ცოტა რამ, რაც კიდევ უთქმელი დამრჩა. ამ წვრილმანების გადმოცემა ძალიან მიმძიმს, მაგრამ ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, არც ერთი მათგანი არ გამოვტოვო.

3 მაისს დაბა მაირინგენში ჩავედით და შევჩერდით სასტუმრო «ინგლისში», რომლის პატრონიც მაშინ პეტერ შტაილერ უფროსი გახლდათ. ჩვენი მასპინძელი ჭკვიანი ადამიანი იყო და საუცხოოდ ლაპარაკობდა ინგლისურად, რადგან სამიოდე წელს ლონდონის სასტუმრო «გროსვენორში» მიმტანად ემუშავნა. ოთხ მაისს, დღის მეორე ნახევარში მისი რჩევით ორივე მთებში წავედით, რათა ღამე პატარა სოფელ როზენლაუში გაგვეთია. მასპინძელი განსაკუთრებით რაიხენბახის ჩანჩქერის დათვალიერებას გვირჩევდა. ეს ჩანჩქერი დაახლოებით აღმართის შუა ადგილასაა, ოღონდ გზიდან ცოტა განზე უნდა გადაუხვიო. ჩანჩქერი საინტერესო და თან საშინელი სანახავიც გამოდგა. გამდნარი თოვლისაგან მოდიდებული და აქაფებული მთის ნაკადი უძირო უფსკრულში ეშვებოდა და შხეფები იქიდან ისე ამოდიოდა, როგორც კვამლი ალმოდებული სახლიდან. ხეობა, რომელშიც ნაკადი ეშვება, მოელვარე, ნახშირივით შავი კლდეებითაა გარემოცული. იგი ძირს, მიუწვდომელ სიღრმეში ვიწროვდება, იქ აქაფებულ, მდუღარე ჭად იქცევა, რომელიც განუწყვეტლივ ივსება და საშინელი ძალით ისვრის წყალს უკანვე, კბოდოვან მთებში. მწვანე ნაკადთა მუდმივი მოძრაობა, განუწყვეტელი ზათქითა და ღრიალით ძირს დაშვება და შეუკავებელ ქარბუქად მაღლა ასვლა, - ყოველივე ეს ადამიანს თავბრუს ახვევს და თავისი შეუსვენებელი ღმუილით აბრუებს. კლდის კიდეზე ვიდექით და ჩავცქეროდით უფსკრულს, სადაც მოციმციმე წყალი სადღაც დაბლა, შავ ქვებზე იმსხვრეოდა. ვიდექით და ვუსმენდით იდუმალ ხმაურს, ქვესკნელიდან რომ ამოდიოდა და ბრბოს შორეულ გუგუნს მოგვაგონებდა.

ბილიკი, რომელსაც ავყევით, რკალივით იხრებოდა, რათა ტურისტებს საშუალება მისცემოდათ უკეთ დაენახათ ჩანჩქერი, მაგრამ ეს გზა ხრამით

თავდებოდა და მგზავრები უკან იმავე გზით უნდა დაბრუნებულიყვნენ, რითაც მაღლა ამოდიოდნენ. ჩვენც უკან მივბრუნდით და წასასვლელად მოვემზადეთ, როცა უეცრად შევნიშნეთ ყმაწვილი - შვეიცარიელი, რომელიც ჩვენკენ მორბოდა. მან ხელში წერილი მომაჩეჩა. კონვერტზე იმ სასტუმროს ბეჭედი შევიცანი, რომელშიაც შევჩერდით. წერილი სასტუმროს პატრონს დაეწერა და ჩემი მისამართით გამოეგზავნა. წერდა, წახვედით თუ არა, სწორედ რამდენიმე წუთის შემდეგ სასტუმროში მოვიდა ინგლისელი ქალი, რომელიც ჭლექისაგან დაფერფლილი და სულთმობრძავიაო. ზამთარი დავოსში გაუტარებია, ახლა კი თავის მეგობრებთან მიდიოდა ლუცერნში, მაგრამ გზად მოულოდნელად პირიდან სისხლის ნთხევა დასწყებიაო. ეტყობა, რამდენიმე საათის სიცოცხლეღა დარჩენია, მაგრამ მისთვის დიდი ნუგეში იქნება სიკვდილის წინ ინგლისელი ექიმის ხილვაო, და თუ მოუსწრებთ... და ა.შ. პოსტკრიპტუმში კეთილი შტაილერი დასძენდა, დიდად დავალებული დავრჩები, თუ სასწრაფოდ მოხვალთ, რადგან მომაკვდავი კატეგორიულ უარს აცხადებს შვეიცარიელი ექიმის სამსახურზე, და როგორც სასტუმროს პატრონი, უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვგრძნობო.

ჩემი პირდაპირი მოვალეობისა და ასეთი მგზნებარე მოწოდების უგულისყუროდ დატოვება, რა თქმა უნდა, არ შემეძლო. არ შემეძლო არ შემეწყნარებინა თხოვნა იმ თანამემამულისა, რომელიც უცხო მხარეში კვდებოდა. მაგრამ ჰოლმსის მარტო დატოვებაზე ფიქრიც ზაფრის მომგვრელი იყო. ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ მასთან გამყოლად და თანამგზავრად იქნებოდა ყმაწვილი შვეიცარიელი და მე მაირინგენში დავბრუნდებოდი. ჩემი მეგობარი ერთ ხანს ჩანჩქერის სიახლოვეს დარჩებოდა დამერე გორაკების გავლით გაემართებოდა როზენლაუში, სადაც საღამოს მეც შევუერთდებოდი. ცოტა გზა რომ გავიარე, უკან მოვიხედე და შევნიშნე, რომ ჰოლსი კლდეს მიყრდნობოდა, გულხელი დაეკრიფა და ძირს, ჩანჩქერის ფსკერს ჩაჰყურებდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემი მეგობრის ხილვა აღარ მეწერა.

ძირს დავეშვი და ისევ მივიხედე. იმ ადგილიდან ჩანჩქერი აღარ ჩანდა, მაგრამ ვნახე მისკენ მიმავალი გზა, რომელიც მთის შვერილის გასწვრივ იკლაკნებოდა. ამ გზაზე ვიღაც კაცი სწრაფი ნაბიჯით ადიოდა მაღლა. მისი შავი სილუეტი გარკვევით ჩანდა ნათელ მწვანე ფონზე. შევნიშნე ეს კაცი, შევნიშნე მისი ნაბიჯების არაჩვეულებრივი სისწრაფეც, მაგრამ ჩემს ავადმყოფთან მიმეჩქარებოდა და ამიტომ მალე ყოველივე დავიწყებას მივეცი.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მივაღწიე ჩვენს სასტუმროს მაირინგენში. მოხუცი შტაილერი ზღურბლზე იდგა.

- რას იტყვით? - ვკითხე და მასთან მივირბინე. - იმედი მაქვს, ავადმყოფის მდგომარეობა არ გაუარესებულა?

სახეზე გაოცება გამოეხატა და წარბები ასწია. მე გული ჩამწყდა.

- მაშ, თქვენ არ მოგიწერიათ? - ვკითხე და ჯიბიდან წერილი ამოვიღე. - სასტუმროში ავადმყოფი ინგლისელი ქალი არაა?

- რა თქმა უნდა, არა! - შესძახა მან. - მაგრამ ეს რას ნიშნავს? კონვერტს ჩემი სასტუმროს ბეჭედი აკრავს?.. აჰა, მესმის! ჩანს, წერილი დაწერა მაღალმა ინგლისელმა, რომელსაც ერთი ფეხით გაასწარით. ასე თქვა...

მაგრამ მასპინძლის შემდგომი განმარტებისათვის აღარ დამიცდია. ელდანაკრავი გავრბოდი სოფლის ქუჩაზე იმავე მთის ბილიკისაკენ, საიდანაც ის იყო დავეშვი.

ჩამოსვლას ერთი საათი მოვუნდი, და თუმცა აღმართზე თავდაუზოგავად ავრბოდი, კიდევ ორი საათი დავკარგე, ვიდრე ისევ რაიხენბახის ჩანჩქერთან აღმოვჩნდებოდი. ჰოლმსის ალპენშტოკი კლდეზე მიყუდებული დამიხვდა ისევ იმ ადგილას, სადაც დავტოვე, მაგრამ თვითონ ჰოლმსი არა ჩანდა, და ამაოდ ვეძახდი. ერთადერთი პასუხი გახლდათ გარემო მომცველ ფრიალო კლდეთა ექო, ომახიანად რომ იმეორებდა ჩემს ხმას.

ალპენშტოკის დანახვაზე სისხლი გამეყინა. მაშასადამე, ჰოლმსი როზენლაუში არ, ან ვერ წასულა. აქ დარჩენილა, სამი ფუტის სიგანის გზაზე, ცალ მხარეს რომ ციცაბო კლდით იყო შემოზღუდული და მეორე მხარეს ფრიალო ხრამით თავდებოდა. აქ წამოეწია მტერი. აღარც ყმაწვილი შვეიცარიელი ჩანდა. ეტყობა, მორიარტიმ მოისყიდა და მოწინააღმდეგენი ერთიმეორეს პირისპირ შეატოვა. მაგრამ რა მოხდა შემდეგ?

ორიოდე წუთი შიშის ზაფრისააგნ გაქვავებული, უძრავად ვიდექი და ვცდილობდი გონს მოვსულიყავი. მერე თვით ჰოლმსის მეთოდი გავიხსენე და ვცადე გამომეყენებინა, რათა როგორმე ამეხსნა აქ გათამაშებული ტრაგედია. ვაგლახ, ეს ძნელი არ იყო! ჩვენი საუბრის დროს მე და ჰოლმსი არ მივსულვართ ბილიკის ბოლომდე და მიტოვებული ალპენშტოკი მიჩვენებდა იმ ადგილს, სადაც ჩვენ შევჩერდით. მოშავო ნიადაგი ნაკადის უწყვეტი შხეფებისაგან აქ არასოდეს არ შრება. ასე რომ ჩიტი რაა, ისიც კი კვალს დატოვებდა. ბილიკის ბოლოს გარკვევით მოჩანდა ორი ადამიანის ნაფეხურები. ორივე კვალი მაღლა ადიოდა და უკან კი არც ერთი არ ბრუნდებოდა. იქიდან რამდენსამე ნაბიჯზე მიწა ერთიანად გათელილი და გადათხრილი გახლდათ, ხოლო უფსკრულის თავზე მაყვლის ბარდები და ამოგლეჯილი და ტალახით დასვრილი გვიმრის ღეროები ეყარა. პირდაღმა დაწოლილმა ჩავხედე აქაფებულ ნაადს. ღამდებოდა და მხოლოდ სინესტისაგან მოციმციმე შავი ქვის ტინები, თუ სადღაც სიღრმეში მოელვარე ნაკადის ურიცხვი შხეფები შევნიშნე. ერთი ძალუმად შევყვირე, მაგრამ მხოლოდ ჩანჩქერის იგივე, რაღაც ადამიანის ხმის მინაგვარი ზათქი და გუგუნი მოსწვდა ჩემს სმენას.

მაგრამ ბედმა ინება, რომ მეგობრისა და მყვასის უკანასკნელი სალამი მაინც მოსულიყო ჩემამდე. როგორც უკვე ვთქვი, ჰოლმსის ალპენშტოკი ბილიკზე გადმომდგარ მაღალ კლდეზე მიყუდებული დამრჩა. უეცრად ამ კლდის თავზე რაღაცამ იელვა. მრივუახლოვდი დავნახე, რომ ეს იყო ვერცხლის პორტსიგარი, რასაც ჰოლმსი მუდამ თან ატარებდა. როცა ავიღე, მის ქვეშ ამოდებული რამდენიმე პატარა ფურცელი მიწაზე დაცვივდა. სათითაოდ ავკრიფე. სულ სამი ფურცელაკი იყო, ბლოკნოტიდან ამოეხია, დაეწერა და ჩემთვის დაეტოვებინა. დამახასიათებელია, რომ მისამართი ჰოლმსს ისე მშვიდად და მკაფიოდ დაეწერა, თითქოს ეს თავის კაბინეტში გაეკეთებინოს.

«ძვირფასო ჩემო უოტსონ, - ნათქვამი იყო ბარათში. - ამ სტრიქონებს მისტერ მორიარტის თავაზიანობის წყალობით გწერთ. იგი აქვე მელოდება იმ საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად, რომლებიც ორივე ჩვენგანს ეხება. მორიარტიმ გაკვრით დამისურათა ის ხერხები, რომელთა შემწეობითაც დაუსხლტა ინგლისის პოლიციას და გაიგო ჩვენი მარშრუტი. ეს ხერხები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ჩემს მაღალ წარმოდგენას მის გამორჩეულ ნიჭზე. ჩემთვის სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ შემიძლია გადავარჩინო საზოგადოება შემდგომი საფრთხისგან, რაც დაკავშირებულია მის არსებობასთან, მაგრამ ვიცი, რომ ეს მიღწეული იქნება იმ ფასად, რაც გულს ატკენს ჩემს მეგობრებს და მეტადრე თქვენ, ძვირფასო უოტსონ. თუმცა, მე უკვე გითხარით, რომ ჩემმა ცხოვრების გზამ თავის უმაღლეს წერტილს

მიაღწია და უკეთეს აღსასრულს არც ვინატრებდი. სხვათა შორის, გულახდილად რომ ვთქვა, ოდნავადაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ მაირინგენიდან გამოგზავნილი წერილი - ხაფანგი იყო, და თქვენ როცა გაგიშვით, მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ რაღაც ამდაგვარი მოხდებოდა. გადაეცით ინსპექტორ მეტერსონს, რომ ბანდის მხილებისათვის აუცილებელი ქაღალდები ჩემს მაგიდაშია, იმ ურაში, «მ» ლიტერის ქვეშ, ლურჯ კონვერტში, რომელზედაც აწერია «მორიარტი». ინგლისიდან გამგზავრების წინ ჩემს საკუთრებაზე ყველა აუცილებელი განკარგულება მოვახდინე. მთელი ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება დავუტოვე ჩემს ძმას მაიკროფტს. გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი სალამი მისის უოტსონს.

გულწრფელად თქვენი ერთგული

შერლოკ ჰოლმსი».

დანარჩენი ამბავი შეიძლება ორი სიტყვით ითქვას. შემთხვევის ადგილის გასინჯვამ, რაც ექსპერტებმა მოახდინეს, არავითარი ეჭვი არ დატოვა იმისა, რომ შეტაკება დამთავრდა ისე, როგორც ამ ვითარებაში გარდუვალად უნდა დამთავრებულიყო. ეტყობა, ჰოლმსი და მორიარტი, ერთად გადავარდნენ უფსკრულში. გვამების პოვნის ყოველგვარი ცდა მაშინვე უიმედო საქმედ მიიჩნიეს, და იქ, იმ აქაფებულ წყლით სავსე საშინელი ქვაბის სიღრმეში საუკუნოდ დარჩა თავისი დროის ყველაზე საშიში დამნაშავისა და მართლმსაჯულების ყველაზე უფრო დახელოვნებული დამცველის გვამები. ყმაწვილი შვეიცარიელი უგზო-უკვლოდ გაქრა. რა თქმა უნდა, ეს იყო მორიარტის განკარგულებაში მყოფი ერთი მრავალრიცხოვანი აგენტთაგანი. რაც შეეხება თვითონ ბრბოს, ლონდონში ალბათ ყველას ახსოვს, როგორ ამხილა მთელი ორგანიზაცია ჰოლმსის მიერ შეგროვილმა ცნობებმა, დაამტკიცა, თუ როგორ რკინის მარწუხით ეჭირა ეს ორგანიზაცია განსვენებულ მორიარტის - მის მეთაურსა და შთამაგონებელს. პროცესზე ამ საშინელი დამნაშავისა და ბოროტმოქმედის პიროვნება თითქმის გაუშუქებელი დარჩა, და თუმე აქ მომიხდა მთელი სიმართლის გადმოშლა მის დანაშაულებრივ მოქმედებაზე, ეს გამოიწვიეს იმ არაკეთილსინდისიერმა დამცველებმა, რომლებიც ლამობდნენ მორიარტისათვის ნამუსი მოეწმინდათ და ლაფში ამოესვარათ სახელი იმ ადამიანისა, რომელსაც მუდამ ჩავთვლი უკეთილშობილესად და უბრძნესად ჩემთვის ცნობილ ყველა ადამიანთა შორის.

ჟღალთმიანთა კავშირი

შარშან შემოდგომაზე, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს მეგობარ შერლოკ ჰოლმსს ვეწვიე. იგი ვიღაც უზომოდ ზორზოხ, ცეცხლივით თმაწითელ კაცთან საუბრობდა. უკან გამობრუნება დავაპირე, მაგრამ ჰოლმსმა ხელი მტაცა, სავარძელში ჩამსვა და კარიც დახურა.

- სწორედ რომ დროზე მოხვედით, უოტსონ, - გულითადი ხმით მითხრა ჰოლმსმა.

- ვიფიქრე, ძალიან დაკავებულია და ხელს შევუშლი-მეთქი, - ვუთხარი მე.

- ნამდვილად დაკავებული ვარ და ერთი წამი დრო არა მაქვს.

- მეორე ოთახში დაგელოდებით, - ვუთხარი მე.

- არავითარ შემთხვევაში, მისტერ უილსონ, - მიმართა ჰოლმსმა ჟღალთმიანს, - ამ ჯენტლმენის დახმარებით ძალიან ბევრი საქმე გამომიძიებია, მე მგონია, იგი თქვენს საქმეშიც დამეხმარება და ღირსეულ წვლილს შეიტანს.

ჟღალთმიანი სკამიდან ოდნავ წამოიწია, თავი დამიკრა და სიმსუქნისაგან ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები გამომცდელად მომაპყრო.

- დაჯექით, - მითხრა ჰოლმსმა, თვითონ შესწორდა სავარძელში და, როგორც ფიქრისა და განსჯის დროს ჩვეულებადა ჰქონდა, თითების ბოლოები ერთმანეთს მიაბჯინა. - ჩემო ძვირფასო უოტსონ, ვიცი, რომ ჩემი არ იყოს, თქვენც გიტაცებთ ისეთი ამბების კვლევა, რომლებიც ჩვენს გამაბეზრებელ გულის მომწყვლელ ყოველდღიურობაში იჭრებიან და ამ რუტინადქცეულ მოსაწყენ ერთფეროვნებას არღვევენ. თქვენ რომ ამ საქმის ენთუზიასტი არ იყოთ, მაშინ ხომ იმ ჩანაწერებსაც არ შექმნიდით, რომლებიც ჩემს პატარა მოღვაწეობას ასახავენ. მაპატიეთ ამას რომ გეუბნებით, მაგრამ თქვენს ქრონიკებში ჩემი თავგადასავალი ერთგვარად შელამაზებულია.

- თქვენი საქმენი, ძიების დაუცხრომელი ჟინი, ბეჯითობა, დაკვირვების და განზოგადების უნარი, ალღო, გერგილიანობა და ვარაუდები ჩემთვის მუდამ იყო, არის და იქნება წარმტაცი და საინტერესო, - ვუპასუხე მე.

- თუ გახსოვთ, ამ რამდენიმე დღის წინათ, მის მერი საუთერლენდის ამბავთან დაკავშირებით გეუბნებოდით, რომ არავითარ ფანტაზიას არ შეუძლია წარმოიდგინოს ისეთი არაჩვეულებრივი, ენით უთქმელი, დაუჯერებელი, გასაოცარი და საზღაპრო ათერაკები, რომლებსაც თვითონ ცხოვრება გვთავაზობს.

- მე მაშინვე ეჭვი შევიტანე თქვენი ნათქვამის სისწორეში.

- მიუხედავად ამისა, უოტსონ, მოგიხდებათ თქვენივე ეჭვების გაქარწყლება, თორემ იმდენ ფაქტს დაგისახელებთ, რომ მარტო მათი სიმძიმე გატეხს წელში თქვენს უსაფუძვლო ეჭვებს, აი, თუნადც ჯაბეზ უილსონის მონაყოლი ამბავი რად ღირს. ჩემგან ხშირად გაგიგონიათ, რომ უცნაური და უნიკალური ნივთები, ხშირად დიდზე უფრო პატარ-პატარა ბოროტმოქმედებების ჩადენასთან არიან კავშირში. ხანდახან ეს პატარა ამბები თითქოს ისე უბრალო და უმნიშვნელოა, რომ ვერც გაარჩევ და ეჭვიც არ შეგეპარება, რომ უთუო ბოროტმოქმედებასთან გაქვს საქმე. აი, ახლაც, ამ შემთხვევაში, რაც მისტერ უილსონისაგან მოვისმინე, ვრე გეტყვით, შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი არის თუ არა ბოროტმოქმედება, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ ასეთი რამ ჯერ არ გამიგონია. მე გთხოვთ, მისტერ უილსონ, კვლავ გაიმეოროთ თქვენი ნაამბობი. ამას მარტო იმიტომ კი არა გთხოვთ, რომ თქვენი ამბავი დოქტორმა უოტსონმაც მოისმინოს, არამედ იმიტომაც, რომ ყოველი წვრილმანი კვლავ გავიგონო, გონებაში აღვნუსხო ავწონ-დავწონო. ჩვეულებრივ, როცა ჩემი კლიენტები ამბის მოყოლას იწყებენ, ჩემს გონებაში მსგავსი ათასი შემთხვევა ამოტივტივდება ხოლმე, ჩემს გონებაში მსგავსი ათასი შემთხვევა ამოტივტივდება ხოლმე, ახლა კი იძულებული ვარ განვაცხადო, რომ უნიკალურ შემთხვევასთან მაქვს საქმე და მისი მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მომისმენია.

ჩასუქებული კლიენტი ჰოლმსის ნათქვამმა, ცოტა არ იყოს, გააამაყა, მან მკერდი წინ წამოსწია, პალტოდან გაჭუჭყიანებული, დაჭმუჭნული გაზეთი ამოიღო და მუხლებზე გაიშალა. მერე კისერი წაიგრძელა და განცხადებების კითხვას მოჰყვა. ვიდრე ის გაზეთში თავჩარგული გაფაციცებით დაეძებდა რაღაცას, მე, ჩემი მეგობრის მეთოდის გამოყენებით, ვცდილობდი მისი გარეგნობისა და ჩაცმულობის მიხედვით დამედგინა, ვინ და რა პროფესიისა იყო ჰოლმსის სტუმარი.

მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ბევრი ვერაფერი დავადგინე. ჩემი დაკვირვებიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს კურატივით ჩასუქებული, ზანტი და თვითკმაყოფილი კაცი ვაჭარი უნდა ყოფილიყო. მონაცრისფრო უჯრედებიანი შარვალი ტანზე ტომარასავით ადგა, შეკურავ შავ სერთუკს შიგნით ეცვა მიხაკისფერი ჟილეტი, რომელზედაც თითბრის მძიმე ძეწკვი მოუჩანდა. ძეწკვს ბოლოში მოსართავივით ჰქონდა ჩამოკონწიალებული რომელიღაც გახვრეტილი ოთხკუთხა ლითონი. გაცვეთილი ცილინდრი და ხავერდის საყელოიანი, გამოხუნებული ყავისფერი პალტო მოსულს იქვე გვერდზე დაეწყო. რამდენიც არ დავუკვირდი, ისეთი საყურადღებო ვერაფერი შევნიშნე, რაიმე დასკვნა გამეკეთებინა გარდა იმისა, რომ ცეცხლისფერი თმა ჰქონდა და სახეზე რაღაც წყენა და დარდი ეტყობოდა.

შერლოკ ჰოლმსის სწრაფ მზერას არ გამოჰპარვია ჩემი საქმიანობა. ჩემს სახეზე ამოკითხულ ცნობისმოყვარეობაზე გაეღიმა და დინჯად დაიწყო: სავსებით ნათელია, რომ ჩვენი სტუმარი ერთ დროს თავს ფიზიკური შრომით ირჩენდა, ბურნუთს ეტანებოდა, ფრიიმასონია, ჩინეთში ყოფილა და ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს წერს.

მისტერ ჯაბეზ უილსონი ადგილიდან წამოიჭრა, მაგრამ თითი გაზეთში ნაპოვნი რომელიღაც ადგილისათვის არ მოუშორებია. მზერა კი ჩემი მეგობრისათვის მიეპყრო.

- ღვთის გულისათვის, მითხარით საიდან შეიტყვეთ ეგ ყოველივე, მისტერ ჰოლმს? - იკითხა მან. - აბა, საიდან გაიგეთ, რომ ფიზიკურად ვშრომობდი, თუმცა სახარებასავით მართალია,რომ გემზე ხუროდ ვმუშაობდი.

- ეს საიდუმლო თქვენმა ხელებმა გასცა, ჩემო ძვირფასო სერ. თქვენი მარჯვენა მარცხენაზე გაცილებით გრძელია. თქვენ მარჯვენით მუშაობდით და კუნთებიც უფრო განვითარებული მარჯვენა ხელზე გაქვთ.

- ბურნუთს ეტანებაო? ფრიიმასონია? ეგ საიდანღა მოიტანეთ?

- ეგეც ადვილი გამოსაცნობია. მიუხედავად ამისა, რომ წესდება სასტიკად გიკრძალავთ, თქვენ მაინც ატარებთ ფრიიმასონის წევრთა ემბლემას საკინძეზე.

- ჰო, დიახ, ეს სულ დამავიწყდა.

- მაგრამ იმას საიდანღა მიხვდით, რომ ამ ბოლო დროს ბევრსა ვწერ?

- ამაზე ნათლად მიუთითებენ თქვენი სერთუკის მარჯვენა სახელო და მარცხენა მხარეს იდაყვის თავის ადგილი. მაუდი ამ ადგილებში ერთთავად გაცრეცილი და გაპრიალებულია.

- ჩინეთში ყოფნაზე რაღამ მიგანიშნათ?

- თევზის ის სვირინგები, რომელიც მარჯვენა ხელზე გაქვთ, მხოლოდ ჩინეთში შეიძლება იყოს გაკეთებული. სვირინგების საკითხი თავის დროზე საკმაოდ კარგად შევისწავლე და ამის თაობაზე მეცნიერული გამოკვლევებიც მაქვს გამოქვეყნებული. თევზის ქიცვის ვარდისფრად შეღებვა მხოლოდ ჩინეთში იციან. მას მერე, რაც თქვენი საათის ძეწკვზე ჩინური ფული შევნიშნე, დასკვნის გამოტანა აღარ გამჭირვებია.

მისტერ ჯაბეზ უილსონმა ხმამაღლა გადაიხარხარა და როცა სიცილს მორჩა, თქვა:

- მე მეგონა, ყოველივე ამას ათასი ბრძნული მეთოდი და საშუალება სჭიროდა. თურმე ყველაფერი ასე ადვილად და უბრალოდ მისახვედრი კი ყოფილა.

- ახლა კი ვგრძნობ, უოტსონ, რა გზითაც აღწევ წარმატებას, ყველაფერი არ უნდა გათქვა, თორემ ხომ გახსოვთ: «წქტუ შპტწეგქ ზკწ ქწპტშაშსწ» (რაც არ ვიცით, ყველაფერი დიდებულად გვეჩვენება) კვლავ ძალაშია და ჩემს სახელსა და დიდებას აუცილებლად დაღუპვა მოელის. მონახეთ განცხადება, მისტერ უილსონ?

- დიახ, მოვნახე, - უპასუხა სტუმარმა და თან სქელი, წითელი საჩვენებელი თითი გაზეთისათვის არ მოუცილებია. - აი, ის განცხადებაც, სერ. თქვენ თვითონვე წაიკითხეთ, სერ, - თქვა ესა და გაზეთი მე გამომიწოდა.

გაზეთი ჩამოვართვი და მინიშნებულ ადგილას შემდეგი ამოვიკითხე:

«ჟღალთმიანთა კავშირი. აწ გარდაცვლილი ლებანონელი (აშშ პენსილვანიის შტატი) იეზეკია ჰოპკინსის ანდერძის თანახმად, ამჟამად გვაქვს ერთი თავისუფალი ადგილი კავშირის წევრისათვის. ჯამაგირი წმინდა ნომინალური სამსახურისათვის კვირაში ოთხი ფუნტი სტერლინგი. სამუშაოზე შეიძლება აყვანილ იქნას ყველა ჟღალთმიანი, რომელსაც შეუსრულდა ოცდაერთი წელი და ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელია. მთხოვნელებმა ორშაბათს, თერთმეტი საათიდან კავშირის კონტორაში პირადად დუნკან როსს უნდა მიმართონ. კონტორის მისამართი: ჰოუპსკორტი, ფლიტსტრიტი».

- ღმერთმა არ იცის, რას ნიშნავს, - წამოიძახე მე, როცა განცხადება მეორედაც წავიკითხე.

ჰოლმსმა უხმოდ ჩაიცინა და თითქოს სავარძელში გაიკლაკნა, ასე იცოდა ხოლმე, როცა რაიმე ესიამოვნებოდა.

- როგორ ფიქრობთ, მგონი, არ უნდა იყოს გაცვეთილი განცხადება, არა? - იკითხა ჰოლმსმა. - აბა, მისტერ უილსონ, განაგრძეთ თხრობა, გვიამბეთ თქვენს ცხოვრებაზე, ოჯახზე და არც ის დაივიწყოთ, რა ამბები შეგამთხვიათ ამ განცხადებამ; თქვენ კი, უოტსონ, ჩაინიშნეთ, რა გაზეთია და რომელი რიცხვისაა.

- «დილის ქრონიკა», 1890 წ. 27 აპრილითაა დათარიღებული, ესე იგი, სწორედ ორი თვის წინანდელი გაზეთი გახლავთ.

- ძალიან კარგი, აბა, განაგრძეთ, მისტერ უილსონ.

- როგორც უკვე გითხარით, მისტერ შერლოკ ჰოლმს, - წამოიწყო ჯაბეზ უილსონმა და თან შუბლი მოიწმინდა, - მე გობორგსკვერზე, სიტისთან ახლო, პატარა სავახშო სალარო მაქვს. ეს დიდ არაფერ შემოსავალს მაძლევს და თავი რის ვაი-ვაგლახით გამაქვს. წინათ სალაროში ორი დამხმარე მყავდა, მაგრამ ახლა იძულებული ვარ ერთს დავჯერდე. ამ ერთი ადამიანის გასასტუმრებული თანხის გადახდაც ძალიან მიჭირს, მაგრამ საქმეს ის მიიოლებს, რომ იგი ნახევარ ხელფასზე თანახმაა, ოღონდაც სავახშო საქმე შეისწავლოს.

- რა ჰქვია იმ თქვენს ხათრიან ახალგაზრდას? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- მისი სახელი და გვარია ვინსენტე სპაულდინგი, და არაფერი ახალგაზრდაც არაა. ძნელი სათქმელია, რამდენი წლისა უნდა იყოს. მაგრამ მაგდაგვარ საზრიან და მარჯვე დამხმარეს კაცი იშვიათად თუ ნახავს. მჯერა, რომ უჩემოდაც კარგად შეუძლია მუშაობა და ორჯერ მეტ ხელფასსაც იშოვის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თუკი თვითონ კმაყოფილია, ჩემდა საზარალოდ მე ხომ არ ჩავაგონებ, სხვაგან იმუშავე-მეთქი?

- მართალი ბრძანდებით. თქვენ ბედმა გაგიღიმათ და ნახევარ ფასად იშოვეთ დამხმარე, როცა სხვები მთლიან ხელფასს იხდიან. თქვენი თანაშემწის უანგარობა კი ისევე უცნაურია ჩვენს დროში, როგორც თქვენ მიერ მოტანილი განცხადება.

- მაგრამ ჩემს თანაშემწეს თავისი ნაკლოვანებებიც აქვს, - თქვა მისტერ უილსონმა. - ფოტოსაქმის ასეთი თავგადაკრული მოყვარული მთელ დუნიაზე მეორე არ მოიძებნება. ხანდახან სამუშაო საათებში მთელი დღე აჩხაკუნებს აპარატს, სურათებს იღებს და მერე, როგორც კურდღელი სოროში, ისე ჩაძვრება სარდაფში და ახლა მათ გამომჟღავნებას უნდება. აი, ეს ახირება სჭირს, თორემ სხვაფრივ კარგი და თავდადებული მუშაკია.

- ახლაც თქვენთან მუშაობს, არა?

- დიახ, სერ, ისა და ერთი თოთხმეტი წლის გოგონა, რომელმაც ცოტაოდენი მზარეულობაც იცის და გარეცხვა-დასუფთავებასაც ახერხებს. მეტი მე ქვეყნად არავინ გამაჩნია. ცოლი მომიკვდა, შვილები კი არა მყავდა. ჩვენ სამნი ერთად ძალიან წყნარად ვცხოვრობთ. ჭერში წყალი არ ჩამოგვდის, დანახარჯს ვიხდით, ჩვენთვის ვჯახირობთ და ცხოვრებას მივაჩანჩალებთ. ჩვენი ყოველდღიური მყუდრო ცხოვრება აი, ამ განცხადებამ დაარღვია. სწორედ რვა კვირა გავიდა იმ დღიდან, რაც სპაულინგმა ეს გაზეთი შემომიტანა და მითხრა: ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მისტერ უილსონ, მეც თქვენსავით ჟღალთმიანი რომ ვყოფილიყავიო.

«რატომ»? - ვკითხე მე.

«აი, ჟღალთმიანთა კავშირში თავისუფალი ადგილი გამოჩნდა. ბედს ის ეწევა, ვინც იმ შემოსავლიან ადგილზე მოეწყობა. იქ ადგილი ბლომადა აქვთ, ხალხი კი არა ჰყავთ და ანდერძის აღმსრულებელებმა არ იციან, რა უყონ ნაანდერძევ ქონებას. თმის ფერის შეცვლა რომ შემეძლოს, აუცილებლად იმ ადგილზე მოვეწყობოდი».

«კი, მაგრამ რას წარმოადგენს ეგ ჟღალთმიანთა კავშირი? - ვკითხე მე. - ხომ იცით, მისტერ ჰოლმს, მე ერთთავად შინ ვზივარ, ვინაიდან საქმეზე გარე-გარე სიარული არ მიხდება, რამდენიმე კვირა ისე გავა ხოლმე, ცხვირსაც არ გამოვყოფ ქუჩაში. ამიტომაა, რომ წარმოდგენაც არა მაქვს, რა ხდება ქვეყნად და სწორედ ამიტომვე მიყვარს ახალი ამბების შეტყობა».

«როგორ, თქვენ ჟღალთმიანთა კავშირზე სულ არაფერი გაგიგონიათ?» - მკითხა თვალებდაჭყეტილმა სპაულინგმა.

«არა».

«ეგ მე ძალიან მაკვირვებს, რადგან თქვენ ერთი იმათთაგანი ხართ, ვისაც უფლება აქვს ის თავისუფალი ადგილი დაიკავოს».

«მაინც ხელფასს რამდენს იძლევიან?»

«წელიწადში ორასი გირვანქა სტერლინგი, მაგრამ ახლა სამუშაოს არ იკითხავთ? საქმე სულ არაფერი აქვთ, ასე რომ კაცს შეუძლია სხვაგანაც იმუშაოს».

- რაღა თქმა უნდა, ყურები იმწამსვე დავცქვიე, რადგან ჩემი ხელობით ბოლო დროს ძალიან ცოტა რამეს ვშოულობ და ის ორასი გირვანქაც კარგად წამომეხმარებოდა.

«აბა, მიამბეთ, რაც იცით იმ კავშირის შესახებ».

«როგორც თქვენ თვითონ განცხადებიდან მშვენივრად ხედავთ, კავშირში ამჟამად აქვთ თავისუფალი ადგილი, განცხადებაში მისამართიც აღნიშნულია, ასე რომ, შეგიძლიათ გაიკითხოთ და ყველაფერი დაწვრილებით შეიტყოთ. როგორც ვიცი, კავშირი დააარსა ერთმა გამოთაყვანებულმა ამერიკელმა მილიონერმა ეზეკია ჰოპკინსმა. იგი თვითონაც ჟღალთმიანი ყოფილა და თურმე ყველა ჟღალთმიანი ებრალებოდა. სიკვდილის სარეცელზე მყოფს, ანდერძის აღმსრულებელნი დაუბარებია და ჟღალთმიანთა დასახმარებლად დიდძალი ქონება გადაუცია. ასე გამიგონია, ამ ადამიანებს, სამუშაოს ძალიან ცოტას სთხოვენ და ჯამაგირს კი კარგს აძლევენო».

«მაგრამ ჟღალთმიანები ხომ მილიონობით არიან და ყველა იმ თავისუფალ ადგილზე მოკალათებას მოინდომებს».

«არც იმდენი არიან, თქვენ რომ გგონიათ, ამასთან, განცხადება ეხება მხოლოდ ლონდონში მცხოვრებ ჟღალთმიანებს, თანაც ოცდაერთ წელს გადაცილებულთ. ჰოპკინსი ლონდონში დაბადებულა, აქვე გაუტარებია ახალგაზრდობა და ალბათ ამიტომ მოინდომა თანამოქალაქეთა პატივისცემა მერე. როგორც ყური მოვკარი,

ვისაც ღია ფერის ჟღალი თმა აქვს, ანდა მუქი ჟღალი, ისინი თავს ცუდუბრალოდ შეიწუხებენ. თავისუფალ ადგილზე მიიღებენ მხოლოდ იმას, ვისაც ცეცხლისფერი ჟღალი თმა გააჩნია. თუ თქვენ, მისტერ უილსონ, ეგ ამბავი გაინტერესებთ, ყველაფერს აჯობებს ჟღალთმიანთა კავშირის კონტორაში შეიაროთ. მაგრამ მე მაინც იმას ვფიქრობ, რომ თქვენთვის ასე მცირე თანხას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და დროს ტყუილად დაკარგავთ».

- ჯენტლმენებო, თქვენ თვითონვე ამჩნევთ, რომ მე მართლაც ცეცხლოვანი ჟღალი თმა მაქვს და, თუ საქმე ასეთი კაცის შერჩევაზე მიდგებოდა, მაშინ წარმატების იმედი უნდა მქონოდა. ვინსენტე სპაულდინგმა, როგორც შევამჩნიე, ამ კავშირზე ბევრი რამ იცოდა, ამიტომ გადავწყვიტე ისიც თან წამეყვანა. დარაბები დავახურინე, და ისიც, როგორც საჭირო კაცი, თან გავიყოლიე. სამუშაოდან მთელი დღით განთავისუფლებამ იგი ძალიან გაახარა და დიდი სიამოვნებით იკისრა ჩემი გამყოლობა. არა მგონია, ოდესმე კიდევ ვიხილოთ ისეთი სანახაობა, რაც ადგილზე მისულს თვალწინ გადამეშალა. - ვისაც კი ოდნავ მაინც წითელი ფერის თმა ჰქონოდა, ბედის საძიებლად ყოველის მხრიდან აქ მოსულიყო. მთელი ფილსტრიტი ჟღალთმიანებით იყო სავსე. ჰოპსკორტზე კი იფიქრებდით ფორთოხლის ურემი ჩამოუტარებიათ და ხალხი ბუზებივით მას დასევიაო. არ მეგონა, თუ ჩვენს ქვეყანაში ამდენი ჟღალთმიანი მოიძებნებოდა. ისინი ფილსტრიტზე ერთადერთ განცხადებას შეეკრიბა. აქ იყვნენ ჟღალთმიანთა ყველა გვარეობის და სახის წარმომადგენლები, ისინიც, ვისაც ღია ჩალის, ლიმონის, ფორთოხლის, აგურის, ირლანდიური სეტერის, ღვიძლის, წითელი თიხის ფერის თმა ჰქონდა. რაც შეეხება ნამდვილ ცეცხლისფერ თმის პატრონებს, ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ. როცა ამდენი ხალხი დავინახე, სასო წარმეკვეთა და ხელი ჩავიქნიე. სპაულდინგმა კი ამდენი ხალხის შეკრების ამბავი აინუნშიაც არ ჩააგდო. არ ვიცი, როგორ მოახერხა, მაგრამ იმდენი იძრომიალა, რომ ბოლოს ორივენი კიბეზე აღმოვჩნდით. აქ ჩემი თვალით ვიხილე ხალხის ორი ნაკადი: ერთი იმედიანად მაღლა მიმავალი. ხოლო მეორე იმედგაცრუებული ყურებჩამოყრილი და ცხვირჩამოშვებული დაბლა ჩამომავალნი. უკანასკნელი ღონეც მოვიკრიბეთ და კონტორაში აღმოვჩნდით.

- ძალიან საინტერესო თავგადასავალი კი შეგხვედრიათ, - ჩაურთო ჰოლმსმა, როცა მისი კლიენტი შეჩერდა, რათა ბურნუთისათვის ეყნოსა და ცხვირშიც შეეტენა. - განაგრძეთ, გეთაყვა, განაგრძეთ.

- კონტორაში მხოლოდ ორი სკამი და ერთი მაგიდა დავლანდე. მაგიდასთან კი ჩემზე უფრო ცეცხლოვანი თმის პატრონი ჩია კაცი იჯდა. იგი რამდენიმე სიტყვით იწუნებდა და ისტუმრებდა თავისუფალი ადგილის მაძიებლებს. ეტყობოდა, იმ ადგილის დაკავება არც ისე იოლი იყო, როგორც სპაულდინგს ეგონა. მაგრამ მაგიდას რომ მივუახლოვდით, ჩია კაცი სხვებზე უფრო ლმობიერად გამომელაპარაკა. ამავე დროს კარი მიხურა, ალბათ იმისათვის, რომ ჩვენთან სხვების თანდაუსწრებლად ემუსაიფა.

«ეს მისტერ ჯაბეზ უილსონი გახლავთ, - წარმადგინა ჩემმა თანაშემწემ, - მისი სურვილია თავისუფალ ადგილზე მოეწყოს».

«მგონი, ნამდვილად შესაფერი კანდიდატი ვიპოვე, - წარმოთქვა ჩია კაცმა, - ასეთი მშვენიერი თმა კარგა ხანია არ მინახავს!»

მან ნაბიჯი უკან გადადგა, თავი გვერდზე გადახარა და ჩემს თმებს იმდენ ხანს აკვირდებოდა, რომ თავი უხერხულად ვიგრძენი. მერე უეცრად წინ წამოვიდა, მარჯვენა ხელში მეცა და მომილოცა.

«ჩემი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა, რომ შევყოყმანებულიყავი, მაგრამ იმედი მაქვს, სიფრთხილისათვის გადადგმულ ნაბიჯს მაპატიებთ», - თქვა თუ არა ეს, ჩია კაცი თმაში ჩამაფრინდა და ისე მომქაჩა, რომ ტკივილისაგან ამოვიგმინე. «თქვენ თვალზე ცრემლი მოგადგათ, ესე იგი, ყველაფერი რიგზეა. სიფრთხილეს თავი არა სტკივაო , ხომ გაგიგონიათ, იძულებული ვართ, ხალხი შევამოწმოთ, რადგან ორჯერ პარიკით, ხოლო ერთხელ საღებავით გაგვაცურეს. შემეძლო ბევრი ისეთი შემთხვევა მეამბნა, რომ ადამიანთა მოდგმა შეგძულდებოდათ». - იგი ფანჯარასთან მივიდა და რაც ძალა ჰქონდა, იყვირა: ადგილი უკვე დაკავებულიაო. - იმედგაცრუებულთა ამოძახილმა იქაურობა შესძრა. მალე მთელი ფილტსტრიტი დაცარიელდა და ჩემსა და იმ კაცის გარდა ყველა ჟღალთმიანი თვალს მიეფარა.

«ჩემი სახელი და გვარია მისტერ დუნკან როსი. მეც იმ თანხიდან ვღებულობ პენსიას, რომელიც სახელგანთქმულმა ჰოპკინსმა დაგვიტოვა, - მომმართა ჩია კაცმა. - თქვენ ცოლშვილიანი ხართ, მისტერ უილსონ?»

ვუპასუხე, უშვილო ქვრივი ვარ-მეთქი. ჩია კაცს სახე წამსვე შეეცვალა და სეტყვასავით დამაყარა: «ძვირფასო! ეს ძალიან სერიოზული ნაკლია! ვწუხვარ, რომ უშვილო ქვრივი ყოფილხართ. ფონდი მარტო იმიტომ კი არ არსებობს, რომ ჟღალთმიანებს და სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, არამედ იმიტომაც, რომ ისინი გამრავლდნენ. ძალიან საწყენია, რომ უშვილო აღმოჩნდით».

- ის რომ ამ ლაპარაკში იყო, მე შიშისაგან, ვაითუ აღარ ამიყვანოს-მეთქი, სახე დამიგრძელდა, მისტერ ჰოლმს. მერე ცოტა ხანს იყუჩა და მითხრა: - სხვა შემთხვევაში გამონაკლისს არ დავუშვებდით და თქვენი ბედიც ობიექტური მიზეზების გამო გადაწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ თქვენნაირი თმის პატრონისათვის ღირს თავის გამოდება. როდის შეგეძლებათ ახალი მოვალეობის შესრულებას შეუდგეთ?

«ცოტა უხერხულობას ის მიქმნის, რომ სხვაგანაც ვარ დაკავებული», - ვუთხარი მე.

«ოჰ, მაგნაირი დაბრკოლება რა სახსენებელია, მისტერ უილსონ, - მითხრა მაშინვე სპაულდინგმა. - თქვენს სამუშაოს იქ მე შევასრულებ».

«რომელ საათებში ვიქნები დაკავებული?» - ვკითხე მე.

«ათიდან ორამდე», - მიპასუხა როსმა.

რამდენადაც სავახშო სალაროში მუშაობა, ძირითადად, დღის მეორე ნახევარშია და განსაკუთრებული გაცხოველება შეინიშნება ოთხშაბათობითა და პარასკევობით, გადავწყვიტე, ძვირფასო ჰოლმს, დილის საათებში ახალ ადგილზე მემუშავნა. მით უმეტეს, რომ ჩემს თანაშემწეს თავისუფლად შეეძლო შევეცვალე და სანდო კაციც არის.

«ჩემთვის სწორედ ზედგამოჭრილი დროა, - ვუთხარი მე. - ხელფასი რა მომეცემა?

«კვირაში ოთხი ფუნტი სტერლინგი».

«სამუშაო როგორი იქნება?»

«წმინდა ნომინალური».

«რას ეძახით წმინდა ნომინალურ სამუშაოს?»

«იმას, რომ თქვენ ათიდან ორამდე სამუშაოდან ფეხი არ უნდა მოიცვალოთ. თუ ერთხელაც არის, სამუშაო საათებში სადმე გახვალთ, სამუშაოს სამუდამოდ გამოეთხოვებით. ანდერძნამაგის დამტოვებელმა ამ ამბავს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. თუ სადმე გახვედით, ეს იმას ნიშნავს, რომ ანდერძის მოთხოვნას არ ასრულებთ და მყისვე დაგითხოვთ».

«თუ მარტო ოთხი საათი უნდა ვიჯდე, მაშინ ადგილიდან ფეხსაც არ მოვიცვლი».

«არაფერს არ მივიღებთ მხედველობაში, არც ხვეწნა-მუდარას, არც სამსახურის მომიზეზებას, არც ავადმყოფობას. ან კონტორაში იქნებით დანიშნულ ოთხ საათს, ანდა სამუშაოს დაემშვიდობებით».

«რა სახის სამუშაოა?» - ერთხელ კიდევ შევეკითხე როსს.

«თქვენ გადასწერთ ბრიტანეთის ენციკლოპედიას. აი, ამ კარადაში დევს პირველი ტომი. მელანი, ქაღალდი, საშრობი და სხვა მისთანანი თვითონ უნდა იშოვოთ. ჩვენ გთავაზობთ მაგიდასა და სკამს. შეგიძლიათ ხვალვე შეუდგეთ საქმეს?»

«რაღა თქმა უნდა», - ვუპასუხე მე.

«აბა, კარგად იყავით, მისტერ უილსონ, და ნება მომეცით გამოთხოვებისას ერთხელ კიდევ მოგილოცოთ ის წარმატება, რასაც ამ სამუშაოს შოვნით მიაღწიეთ». მისტერ როსმა ოთახიდან გამოსვლისას თავი დამიკრა და ჩემი თანაშემწის შინისაკენ გამოვემართე. მომხდარი ამბით ისე ნასიამოვნები ვიყავი, რომ აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

მთელი დღე ამ ამბავზე ვფიქრობდი და საღამოს უქეიფოდაც კი შევიქენი, ვინაიდან თავში გამიელვა, ყოველივე ეს თვალთმაქცობა და მუხთალი საქმე უნდა იყოს-მეთქი, თუმცა ვერასგზით ვერ მივმხვდარიყავი, სად იყო დამარხული ძაღლის თავი. დაუჯერებლად მეჩვენებოდა, რომ ასეთი ანდერძი არსებობდა და იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ბრიტანეთის ენციკლოპედიის გადაწერაში ასე დიდ თანხას იხდიდნენ, ვინსენტე სპაულდინგი ყოველნაირად ცდილობდა წავექეზებინე, მაგრამ დაწოლისას მაინც მტკიცედ გადავწყვიტე, უარი მეთქვა ახალ სამუშაოზე. მეორე დილით, ავდექი თუ არა, ვიფიქრე, საინტერესოა ფლიტსტრიტზე ისე მაინც გავიარო-მეთქი. ასეცმოვიქეცი. გზაზე მელანი, კალამი და საწერად საჭირო სხვა საგნებიც შევიძინე, და ახალ სამუშაოზე ისე გამოვცხადდი.

ადგილზე მისულს, ყველაფერი წესიერად დამიხვდა, რამაც ძალიან გამახარა. მაგიდა მოემზადებინათ და მისტერ როსი ჩემს მისვლას ელოდა. მან მითხრა, რომ წერა ანბანის საწყისი ასოდან დამეწყო და თვითონ სადღაც წავიდა, თუმცა დროდადრო შემოივლიდა ხოლმე და დამხედავდა, ვმუშაობდი, თუ არა. ორ საათზე დამემშვიდობა, შემაქო და კონტორის კარი გამოკეტა.

ასე მიდიოდა საქმე. შაბათს მისტერ როსმა ოთხი სტერლინგი ჩამითვალა. ასე გავიდა მეორე და მესამე კვირაც. ყოველ ცისმარე დღე ათ საათზე გამოცხადებული, შინ ორზე ვბრუნდებოდი. დუნკან როსი ახლა მხოლოდ დილაობით მოდიოდა, მერე დილაობით სიარულიც შეწყვიტა. მე მაინც ვერ ვბედავდი ოთახიდან გამოსვლას, რომ ასეთი სარფიანი სამუშაო არ დამეკარგა.

ასე დაძაბულ შრომაში გავიდა რვა კვირა. ამასობაში მოვამთავრე «ა» ასოზე ყოველი სიტყვის გადაწერა და «ბ»-ზე გადასვლას ვაპირებდი, რომ საქმე სრულიად მოულოდნელად შეწყდა.

- შეწყდა?

- დიახ, სერ, შეწყდა. მე, ჩვეულებრივ, ათი საათისათვის ფილსტრიტისაკენ გავემართე, მაგრამ კიბეზე რომ ავედი, კარი დაკეტილი დამიხვდა, კარზე მიკრულ მუყაოს ნაჭერზე კი აი, ეს წარწერა მიემაგრებინათ.

უილსონმა მუყაოს პატარა ნაჭერი გამოგვიწოდა, რომელზეც შემდეგი რამ ამოვიკითხეთ: «ჟღალთმიანთა კავშირი 1890 წლის 9 ოქტომბრიდან აღარ არსებობს».

მე და შერლოკ ჰოლმსი კარგა ხანს ვათვალიერებდით მუყაოს ნაჭერსა და ჯაბეზ უილსონის დაძმარებულ სახეს, მაგრამ ბოლოს თავი ვეღარ შევიკავეთ და სიცილი წაგვსკდა.

- მე აქ სასაცილოს ვერაფერს ვხედავ, - წამოიყვირა ჩვენმა კლიენტმა და თავისი თმასავით წამოწითლდა, - თუ თქვენ ჩემი დაცინვის მეტი არაფერი შეგიძლიათ, მაშინ დახმარებისათვის სხვას მივმართავ!

- არა, არა! - ხმამაღლა უთხრა ჰოლმსმა, და უილსონი სავარძელში ჩასვა, - ამ საქმეს არაფრის გულისათვის არ მოვეშვები. ძალიან უცნაური ამბავია. ალბათ, მაპატიებთ ასეთ გამოთქმას, და ცოტათი სასაცილოცაა. ახლა ის მითხარით, რა მოიმოქმედეთ მას მერე, როცა კარზე მიკრულ მუყაოზე ეს წარწერა წაიკითხეთ?

- რეტდასხმულივით შევიქენი, სერ, და არ ვიცოდი, რა მექნა. მერე მეზობელი კონტორები შემოვიარეკ, მაგრამ მათ ამ საქმის ასავალ-დასავალიც არ იცოდნენ. დაბოლოს, სახლის პატრონთან მივედი, რომელიც დაბლა სართულში ცხოვრობდა. და ვკითხე, რა მოხდა «ჟღალთმიანთა კავშირში» რომ კარი გამოუკეტავთ-მეთქი. მან კი მითხრა, არც ვიცოდი, ასეთი ორგანიზაცია თუ არსებობდაო. მერე ისღა დამრჩენოდა მეკითხა, სად იყო დუნკან როსი, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, სახლის პატრონმა მიპასუხა, რომ ეს გვარიც პირველად ჩემგან ესმოდა.

«მე იმ ჯენტლმენზე გეკითხებით, რომელიც №4 ოთახში ცხოვრობდა».

«აა, ჟღალთმიანზე?»

«დიახ».

«ის ხომ უილიამ მორისია და არა დუნკან როსი. იგი იურისტია და, ვიდრე მის კონტორას შეაკეთებდნენ, ჩემგან დროებით იქირავა ოთახი. გუშინ გადავიდა».

«სადა ვნახავ?»

«თავის კონტორაში, მეფე ედვარდის ქუჩაზე № 17-ში, სადაც წმიდა პავლეს ტაძარია».

- მეც აღნიშნულ მისამართზე გავწიე, მისტერ ჰოლმს, მაგრამ იქ ხელოვნური წვივისა და მუხლის კვერის სახელოსნო დამიხვდა. მისტერ დუნკან როსი და უილიამ მორისი რომ ვიკითხე, მითხრეს, ასეთი გვარი და სახელი პირველად გვესმისო.

- მერე რა მოიმოქმედეთ? - ჩაეკითხა ჰოლმსი.

- მერე შინ დავბრუნდი და ჩემს თანაშემწეს დავეთათბირე, მაგრამ ამაოდ. მან მხოლოდ ის მითხრა, ალბათ ფოსტით შეგატყობინებენ, რაც მოხდაო, მაგრამ ეს ხელს არ მაძევს, მისტერ ჰოლმს, ასეთ სარფიან ადგილს უბრძოლველად არავის დავუთმობ. ხშირად გამიგონია, რომ დაჩაგრული და გაუბედურებული ხალოხის დამხმარე ბრძანდებით და თქვენთან სწორედ ამიტომ მოვედი.

- და ძალიან ჭკვიანურადაც მოიქცევით, რომ ჩემთან მოხვედით, - უთხრა ჰოლმსმა. - ის, რაც თქვენ შეგემთხვათ, ყურადსაღები ამბავია. ბედნიერი ვარ, რომ მისი ძიება მე მომიხდება. თქვენი ნაამბობი უფრო სერიოზული საქმეა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

- მეტი სერიოზული რაღა უნდა იყოს, კვირაში ოთხი გირვანქა გამომწირეს.

- თქვენ პირადად ჟღალთმიანთა კავშირზე სამდურავი არ გეთქმით. პირიქით, იმ კავშირმა თქვენ ერთი ოცდაათი გირვანქა შეგძინათ, თუ აღარ ვიტყვით იმ ცოდნაზე, რაც ამ რვა კვირაში გადაწერით მიიღეთ. ასე რომ, თქვენ, თუ შეიძინეთ, თორემ არაფერი დაგიკარგავთ.

- მართალი ბრძანდებით, სერ. მაგრამ მე მაინც მინდა ის ხალხი ვნახო. გავიგო, ვინ არიან და ეს თამაშა რას ნიშნავს, თუ ნამდვილად თამაშაა და მეტი არაფერი. თუ

ეს ხუმრობაა, მაშინ იგი საკმაოდ ძვირი დაუჯდათ. ოცდათორმეტი ფუნტი სტერლინგი არც ისე უბრალო თანხაა.

- ჩვენ შევეცდებით მაგ საქმეს ნათელი მოვფინოთ, მისტერ უილსონ. მხოლოდ ნება მომეცით წინასწარ რამდენიმე კითხვით მოგმართოთ. დიდი ხანია, რაც თქვენი თანაშემწე, ვინც განცხადება გიჩვენათ, თქვენთან მუშაობს?

- ვიდრე განცხადებას მოიტანდა, მანამდე ჩემთან ერთი თვე იმუშავა.

- საიდან მოიყვანეთ, ან ვისი რეკომენდაციით მიიღეთ?

- იგი მოვიდა იმ განცხადების საფუძველზე, რომელიც გაზეთში გამოვაქვეყნე.

- გამოქვეყნებულ განცხადებას მხოლოდ ის გამოეხმაურა?

- არა, ერთი თორმეტი კაცი გამომეცხადა.

- რაღა მაინცდამაინც ის ამოირჩიეთ?

- ჯერ ერთი, მარჯვეა და, მეორეც, ნახევარ ხელფასზე დამეთანხმა.

- და თქვენც

ამიტომ აიყვანეთ?

- დიახ.

- როგორი კაცია თქვენი ვინსენტე სპაულდინგი?

- დაბალი ტანისაა, ჩაფსკვნილი, ჯმუხი, ძალიან ცოცხალი, ქოსაა და ასე, ოცდაათი წლისა იქნება. შუბლი მჟავისაგან აქვს დამწვარი.

აღელვებული ჰოლმსი სანახევროდ წამოიწია სავარძლიდან.

- ასეც ვივარაუდე, - ჩაურთო მან, - თუ შეამჩნიეთ, ყურის ბიბილოები დახვრეტილი ხომ არა აქვს?

- შევნიშნე, სერ, მაგრამ ასე მითხრა, ვიღაც ბოშამ გამიხვრიტა პატარაობისასო.

- ჰმ! - წარმოთვა ჰოლმსმა, და ფიქრებში წასული სავარძელში გადაწვა. - ეს სპაულდინგი ისევ თქვენთანაა?

- დიახ, სერ. ვიდრე თქვენთან წამოვიდოდი ვესაუბრე კიდეც.

- რაც თქვენ ადგილზე აღარ იყავით, როგორ შეატყვეთ, კარგად უმუშავია?

- სამდურავს ვერ ვიტყვი, სერ, ვინაიდან დილაობით სავახშო სალარო თითქმის არ მუშაობს.

- კარგი, მისტერ უილსონ, ორ-სამ დღეში ჩემს მოსაზრებას შეგატყობინებთ. დღეს შაბათი დღეა და ვფიქრობ, ორშაბათამდე ყველაფერში გავერკვევით.

- აბა, რას ფიქრობთ, უოტსონ, ამ ამბავზე? - მკითხა ჰოლსმა, როცა ჩვენი სტუმარი წავიდა.

- იმდენად საიდუმლოებით მოცულ ამბად მეჩვენება, რომ ვერაფერში გავრკვეულვარ, - ვუპასუხე მე.

- როგორც წესი, - თქვა ჰოლმსმა, - რაც უფრო უცნაურ საქმესთგან გვაქვს საქმე, მით უფრო ნაკლები საიდუმლოებითაა მოცული ყოველივე. ჩვეულებრივ, გაცვეთილი, უსახო დანაშაული უფრო საგონებელში აგდებს კაცს და უფრო მეტ თავსატეხს უჩენს, ვიდრე უცნაური შემთხვევა. თქვენ თვითონვე განსაჯეთ: ბრბოში ჩვეულებრივი, უსახო კაცი უფრო ძნელი მოსაძებნი არაა? ასევეა აქაც, მაგრამ ამ საქმეს კი ბოლო მალე უნდა მოვადევნო.

- რას აპირებთ? - ვკითხე მე.

- გაბოლებას, - მიპასუხა ჰოლმსმა. - ამ ამოცანის გადაწყვეტას იმდენი დრო სჭირდება, რამდენიც ჩიბუხის სამ გაბოლებას და ამიტომ, გთხოვთ, ერთი ათი წუთი ნუ დამელაპარაკებით.

იგი ისე მოიკეცა სავარძელში, რომ გამხდარი მუხლისთავები შევარდნისებრ კაუჭა ცხვირთან მიიტანა, თვალები მილულა და პირში ჩიბუხგაჭრილი მართლაც

რომელიღაც მტაცებელ ფრინველს მიაგავდა. ვიფიქრე, ჩაეძინა-მეთქი და თვითონაც თავის კანტური დავიწყე, რომ ჩემი მეგობარი უცებ ისე წამოიჭრა ადგილიდან, თითქოს მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და ახლა მის შესრულებას უნდა შესდგომოდა.

- ამ საღამოს სენტ ჯეიმს ჰოლში სარასატე უკრავს, -თქვა ჰოლმსმა, - როგორ ფიქრობთ, უოტსონ, თქვენი ავადმყოფები გაძლებენ უთქვენოდ რამდენიმე საათს, თუ ვერა?

- არც ისე დიდი პრაქტიკა მაქვს და დღეს თავისუფალი ვარ, - ვუპასუხე მე.

- მაშ, ქუდი დაიხურეთ და გზას გავუდგეთ. პირველ ყოვლისა, სიტიში უნდა მივიდეთ და გზად სადმე წავიხემსოთ. აფიშის წაკითხვისას შევნიშნე, რომ სარასატეს პროგრამაში იტალიურსა და ფრანგულ მუსიკას გერმანული სჭარბობს, რაც ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელობვანი ამბავია და კონცერტის ღირებულებასაც ფასს მატებს. მას მერე, რაც საკუთარი თვალით ვნახავთ და დავუკვირდებით, ყოველივე წვრილმანი საკუთარი ჭკუით უნდა ავწონ-დავწონოთ და გავაანალიზოთ. აბა, ახლა კი გავწიოთ!

ჩვენ მეტროთი ოლდერსგეიტს მივაღწიეთ დამერე სექს-კობურგსკვერამდე ფეხით გავუყევით. აქ მომხდარიყო ყოველივე, რაც უილსონმა გვიამბო. ეს იყო ვიწრო, პატარა, ღატაკი ადგილი, სადაც ოთხრიგად ჩაემწკრივებინათ ორსართულიანი, აგურით ნაგები ჭუჭყმოდებული სახლები. ამ გამჭვარტლული სახლების ფანჯრები გადასცქეროდნენ პატარა ბაღს, რომელშიც სარეველა ბალახს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რამდენიმე დაფნის ბუჩქიღა გადარჩენოდა. კუთხის სახლზე ოქროთი მოვარაყებული სამი ბურთი და ყავისფერ აბრაზე თეთრად წარწერილი «ჯაბეზ უილსონი» იუწყებოდა, რომ აქ იყო ჩვენი კლიენტის სავახშო სალარო.

შერლოკ ჰოლმსი სახლის წინ შეჩერდა. თავი გვერდზე გადაეწია, სანახევროდ მოჭუტული თვალები უბრწყინავდა და სახლს ისე ათვალიერებდა. მერე ქუჩას აუყვა, ისევ უკან გამობრუნდა და თან სახლებს უკვირდებოდა. სავახშო სალაროს წინ შეჩერდა, ხელჯოხი სამჯერ ძლიერად დაჰკრა ქვაფენილს და მერე სალაროს კარზე დააკაკუნა. კარი იმწამსვე სუფთად გაპარსულმა ახალგაზრდამ გამოაღო და შინ შეგვიპატიჟა.

- გმადლობთ, - უთხრა ჰოლმსმა, - მე მხოლოდ ის მაინტერესებს, აქედან სტრენდში რა გზით გავალთ.

- მესამე შესახვევი მარჯვნიდან, ხოლო მარცხნივ წახვალთ, მეოთხე შესახვევში შებრუნდებით. - თქვა ეს და კარი მაშინვე დახურა.

- ძალიან მარჯვე ყმაწვილი ჩანს! - თქვა ჰოლმსმა. - ვფიქრობ, სიმარჯვით იგი მთელ ლონდონში მეოთხე ადგილზე უნდა იყოს, ხოლო გაბედულებაში მესამე ადგილს არავის დაუთმობს. მის შესახებ რაღაც-რაღაც ცნობები მაქვს.

- ცხადია, - წამოვიწყე მე, - მისტერ უილსონის თანაშემწე ამ საიდუმლოებით მოცულ ჟღალთმიანთა ამბავში გარეული უნდა იყოს. ალბათ, სწორედ იმიტომ გამოიხმეთ, რომ მისი ნახვა გაინტერესებდათ.

- პირადად მისი სახისა არა და მისი შარვლის მუხლისთავების შეთვალიერება კი მინდოდა.

- მერე რა გამოარკვიეთ?

- რასაც მოველოდი, სწორედ ის შევნიშნე.

- ქვაფენილზე რაღას ურტყამდით თქვენს ხელჯოხს?

- ჩემო ძვირფასო უოტსონ, ახლა ადგილის დათვალიერება მოვამთავროთ და მერე ვიმასლაათოთ. ჩვენ ამჟამად მტრის ტერიტორიაზე მოქმედი მზვერავები ვართ

და სექს-კობურგსკვერში ცოტა რამ ვიყნოსეთ. ახლა ამ სახლებს გადაღმა მდებარე ქუჩები უნდა დავზვეროთ.

როგორც კი სექს-კობურგსკვერის მოსახვევს გავცდით, ჩვენს თვალწინ ისეთი კონტრასტული სურათი გადაიშალა, როგორც ძფირფას მხატვრულ ნამუშევარს და მის უკანა მხარეს შორის არსებობს. სექს-კობურგსკვერის მოსახვევიდან პირდაპირ ქალაქის მთავარ ქუჩაზე გავედით, რომელიც სიტის ქალაქის ჩრდილო და დასავლეთ მხარეებთან აერთებდა. მთავარი ქუჩა სავსე იყო ორივე მხარეს ორ-ორ წყებად მავალი ეტლებით. ტროტუარზე კი უამრავი ხალხი მიმოდიოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ მშვენიერი მაღაზიებისა და ბრწყინვალე კონტორების უკან უსიცოცხლოდ ჩამკვდარი, მიყრუებული სკვერი იყო.

- მინდა ძალიან კარგად დავათვალიეროთ ამ რიგში მდგარი სახლები, რომ დავიმახსოვრო რომელი შენობა რომელს მოსდევს. კარგად მოგეხსენებათ, ჩემი საყვარელი საქმე ლონდონის ყოველმხრივი შესწავლაა. ჯერ მორტ-მერის თამბაქოს სავაჭრო სახლია, მერე გაზეთებით სავაჭრო, მას მოსდევს ქალაქისა და გარეუბნის ბანკის კობურგის განყოფილება, მერე ვეგეტარიანელთა რესტორანელთა რესტორანი, ის კი მარკფერლენის ეტლების სახელოსნო სახლია, ამის მერე კი სხვა კვარტალი იწყება. ჩვენი სამუშაო უკვე დამთავრებულია, უოტსონ, და შეგვიძლია ცოტა გავერთოთ. ახლა სანდვიჩი და ყავა ძალიან მოგვიხდება. მერე კი ჩავეფლოთ ვიოლინოს ტკბილ, ნაზ, ჰარმონიულ ჰანგებში, იქ, სადაც ვერ მოგწვდებიან ჟღალთმიანი კლიენტები და ვეღარ შეგვაწუხებს მათი თავსატეხი ამოცანები.

შერლოკ ჰოლმსს ძალზე უყვარდა მუსიკა. იგი არა მარტო კარგი შემსრულებელი, არამედ კარგი კომპოზიტორიც გახლდათ. მთელ საღამოს ხმაამოუღებლივიჯდა ხოლმე სავარძელში და თავის გრძელ თითებს მუსიკის ტაქტზე ამოძრავებდა. მისი ღიმილგადაფენილი სახისა და სიამოვნების ბურანში ჩაძირულ თვალთა ისრის დანახვაზე სრულიად გადაგავიწყდებოდათ, რომ იგი მაძებარი შერლოკ ჰოლმსი გახლდათ, ის გამჭრიახი შერლოკ ჰოლმსი, რომელიც დამნაშავეთა სამყაროს შიშის ზარს სცემდა. მის ხასიათში დუალისტურად მონაცვლეობდნენ საკვირველი გამჭრიახობა და საგნების და მოვლენების პოეტური ჭვრეტა. მის ხასიათში ერთმანეთს ეცილებოდა უკიდრესი დაქანცულობა და ყოვლისშთანთქავი უზარმაზარი ენერგია. როგორც შემოქმედს, საღამოობით, თავდავიწყებამდე სწვავდა საკუთარი იმპროვიზაციები და ნოტები. მაგრამ მასში უეცრადვე იფეთქებდა მონადირის ავხორცული ვნება და მისი ბრწყინვალე ინტუიცია და შესანიშნავი გონებრივი ძალა ახლა ამ ასპარეზზე შეისხამდა ხორცს. ვინც არ იცნობდა ჰოლმსსა და მის მეთოდს, სწორედ ამიტომ თვლიდა მას უჩვეულო არსებად და, როგორც არაბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, ეჭვით უცქეროდა.

იმ საღამოს სენტ ჯეიმს ჰოლში მუსიკის ჰანგებში ჩაფლულ ჰოლმსს რომ ვუცქერდი, ვგრძნობდი, რომ, ვინც მის კლანჭებში მოექცეოდა, კარგი დღე არ დაადგებოდა.

- ალბათ სახლში წასვლას აპირებთ არა, უოტსონ? - მკითხა მან, როცა კონცერტის დასასრულს გარეთ გამოვედით.

- დიახ, რა თქმა უნდა.

- მე კი კობურგსკვერზე უნდა დავბრუნდე და ერთი საქმე მოვამთავრო, რომელსაც ორი-სამი საათი დასჭირდება. ძალიან სერიოზული საქმეა.

- სერიოზული?

- იქ მზადდება ძალიან მნიშვნელოვანი დანაშაული. ჩემი აზრით, ჯერ კიდევ შეიძლება მისი თავიდან აცილება. მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ დღეს შაბათი დღეა. თქვენი დახმარება დამჭირდება, უოტსონ.

- რომელ საათზე?

- ათზე.

- ათ საათზე ბეიკერსტირტზე გავჩნდები.

- ძალიან კარგი. მხოლოდ გაითვალისწინეთ, რომ სახიფათო საქმე მოგველის და ჯიბეში რევოლვერის ჩადება არ დაგავიწყდეთ. - ხელი დამიქნია, ქუსლებზე შემობრუნდა და ხალხში გაუჩინარდა.

მე მჯერა, რომ გონებრივად სხვებზე დაბლა არ ვდგავარ, მაგრამ ჰოლმსის სიახლოვეს საკუთარი თავის რწმენა მეკარგება. ყველაფერი, რაც მან მოისმინა, მეც მოვისმინე, ყოველივე, რაც მან ნახა, მეც საკუთარი თვალით ვიხილე, მაგრამ თუ რაიმე დანაშაული მზადდებოდა, ჩემი გონება ამას ვერ ჩასწვდა. აქედან დასკვნა, ჰოლმსმა არა მარტო ის იცის, რაც მოხდა, არამედ ისიც, რაც უნდა მოხდეს. მე კი ჯერჯერობით ყველაფერი მიუღწეველ ამოცანად მესახებოდა. კენსინგტონისაკენ რომ მივემგზავრებოდი, ყოველივე წვრილად გავიხსენე: უილსონის უცნაური მონათხრობი ჟღალთმიანთა კავშირსა და ბრიტანეთის ენციკლოპედიის გადაწერაზე და სექს-კობურგსკვერში ჩვენი ვიზიტი, გავიხსენე ჰოლმსის სიტყვებიც, ამაღამ სახიფათო საქმე მოგველისო. ბევრი ვიფიქრე იმაზეც, რატომ უნდა შევიარაღებულიყავი და რას ნიშნავდა ჩვენი საღამოს ექსპედიცია? საით უნდა გავმგზავრებულყავით და რა უნდა მოგვემოქმედა? გავიხსენე ისიც, ჰოლმსმა რომ მითხრა, უილსონის ქოსა თანაშემწე დიდი გაიძვერაა და მისგან ძალიან მძიმე დანაშაულია მოსალოდნელი. ყველაფერზე ბევრი ვიფიქრე, თავი ვიმტვრიე, მაგრამ შედეგს რომ ვერ მივაღწიე, გადავწყვიტე, ჰოლმსთან საღამოს შეხვედრამდე აღარაფერზე მეფიქრა.

9-დან თხუთმეტი წუთი იყო გადასული, რომ შინიდან გამოვედი, ჰაიდპარკი გადავჭერი, ოქსფორდსტრიტზე გავედი და ბეიკერსტრიტზე გავჩნდი. სახლთან ორი კები შევნიშნე. ჰოლში შესულს ოთახიდან სხვადასხვა ხმ აშემომესმა. ოთახში შევედი თუ არა, დავინახე, ჰოლმსი ორ კაცს ესაუბრებოდა. ერთი მათგანი სკოტლენდიარდელი მაძებარი, პიტერ ჯოუნზი, იმწამსვე ვიცანი. მეორე კი ვიღაც მაღალ-მაღალი, გამხდარი, უჟმურად გამომეტყველი, მბრწყინავ ცილინდრიანი და შესანიშნავ ფრაკში გამოწყობილი კაცი იყო და ცხოველ მონაწილეობას იღებდა მათ საუბარში.

- ყველანი აქა ვართ, - წარმოთქვა ჩემს დანახვაზე ჰოლმსმა, მოკლე ქურთუკის ღილები შეიბნია და ხელი მონადირის რკინისტარიან მათრახს წამოავლო. - უოტსონ, თქვენ პიტერ ჯოუნზს იცნობთ, არა? მაშინ ნება მომეცით გაგაცნოთ მისტერ მერიუოთერიც, ვისთან ერთადაც მოგვიხდება ამაღამინდელი ექსპედიციის ჩატარება.

- როგორც ხედავთ, ექიმო, ჰოლმსთან ერთად ვნადირობთ, - წამოიწყო ჯოუნზმა. - ჩვენი მეგობარი დიდი ფასდაუდებელი მონადირეა, მაგრამ ნადირის გამოსაგდებად გამოცდილი ბებერი ძაღლი სჭირდება.

- მე მგონია ნადირის ნაცვლად ნადირობის დასასრულს ხელთ ბატი შეგვრჩება, - უჟმურად ჩაილაპარაკა მერიუოთერმა.

- ჰოლმსი ისეთი ჩიტი არაა, ასე ადვილად შეცდეს, - გამოეპასუხა ჯოუნზი, - მას თავისი საკუთარი, თეორიული და, მართალია, ცოტა ფანტასტიკური მეთოდები გააჩნია, მაგრამ საკვირველ შედეგებს აღწევს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ

ვიტყვით, რომ ბევრჯერ ჩვენ შევმცდარვართ ხოლმე და ეგ კი მართალი გამომდგარა. მაგალითად, შოლტოს მკვლელობის საქმე, აგრას განძის საქმე და სხვ.

- თუ თქვენ ამ აზრისა ხართ, მისტერ ჯოუნზ, მაშინ ყველაფერი კარგად ყოფილა, - უკვე სხვაგვარი სიმღერა წამოიწყო უცნობმა. - მაინც ძალიან ვწუხვარ, რომ შაბათი დღეა და რობერს მოვცდები. ამ ოცდაშვიდ წელიწადში ეს პირველი შაბათი იქნება, როცა კარტს ვერ ვითამაშებ.

- ამაღამინდელი თამაში უფრო დიდ თანხაზეა, ვიდრე მთელი ოცდაშვიდი წლის მანძილზე ჩასულხართ, მისტერ მერიუოთერ, თანაც თამაში უფრო წარმტაცი და მადის აღმძვრელი გველის. თქვენთვის ამ თამაშს რაღაც ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგის ფასი ექნება, ხოლო თქვენთვის, მისტერ ჯოუნზ, იმ ადამიანის ფასი, რომლის შეპყრობაც აგერ ამდენი ხანია გულში გიდევთ.

- ჯონ კლეი მკვლელი, ქურდი, მოძალადე და ყალბისმქმნელია. მართალია, მისტერ მერიუოთერ, იგი ახალგაზრდაა, მაგრამ თავის პროფესიაში დახელოვნებულია. მთელ ლონდონში ისეთი მონდომებით არავის შევუბორკავდი ხელებს, როგორც კლეის. ახალგაზრდა ჯონ კლეი მთლად განსაცვიფრებელი კაცია. მისი პაპა ჰერცოგი გახლდათ, თვითონ იტონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში სწავლობდა. ჭკუა ისევე მოქნილი აქვს, როგორც თითები და მიუხედავად იმისა, რომ მისი ნამოქმედარის კვალს ხშირად ვაწყდებით, თვითონ ვერსად მოვიხელთეთ. ერთ დანაშაულს რომ შოტლანდიაში ჩაიდენს, მეორე დანაშაულზე უკვე კონუელში ვხვდებით. აგერ უკვე მერამდენე წელია კვალდაკვალ დავდევ და თვალით არც კი მინახავს.

- იმედი მაქვს დღეს საღამოს გაგაცნობთ. ერთ-ორ საქმეში მისტერ ჯონ კლეის მეც შევხვედრივარ და გეთანხმებით, რომ მთელ ინგლისში ძნელად მოიძებნება ასეთი დახელოვნებული ქურდი და გაიძვერა. ახლა კი, მე მგონია, დროა გზას გავუდგეთ. თუ თქვენ ორნი პირველ ეტლში მოთავსდებით, მეორეში მე და უოტსონი ჩავჯდებით და უკან გამოგყვებით.

შერლოკ ჰოლმსს მთელი გზა ხმა არ ამოუღია და კონცერტზე მოსმენილ მელოდიებს სტვენდა. გაზით განათებული ქუჩების ლაბირინთებში აღმა-დაღმა სიარულს მორჩით და, როგორც იქნა, ფარინგდონსტრიტს მივაღწიეთ.

- ახლა კი ახლოსა ვართ, - შენიშნა ჩემმა მეგობარმა. - ეს ყმაწვილი მერიუორთი ბანკის დირექტორია და ამ საქმით სისხლხორცეულადაა დაინტერესებული. ჯოუნზი ცუდი ყმაწვილი არაა, მართალია, თავისი საქმისა არა გაეგება რა, მაგრამ ბულდოგივით მამაცია და კიბორჩხალასავით მოეჭიდება რამეს, თუკი კლანჭი გამოსდო. აი, ჩვენც მოვედით, ისინი კი უკვე გველიან.

ჩვენ ისევ იმ ხალხმრავალ ქუჩაზე ამოვყავით თავი, სადაც დილით ვიდექით. მეეტლეები გავისტუმრეთ და მერიუოთერს მივყევით. რომელიღაც ძალიან ვიწრო დერეფანი გავიარეთ და მერე გვერდით კარში შევედით, აქედან თავი მოკლე ტალანში ამოვყავით, მის ბოლოში კი რკინის მასიური კარი დაგვიხვდა. კარი გამოვაღეთ, ხვეულ კიბეს დაბლა ჩავყევით და კიდევ ერთ კარს მივადექით. მისტერ მერიუოთერი შეჩერდა, რათა სინათლე აენთო და მერე ბნელ ტალანში წაგვიძღვა. ცხვირს მიწის სუნი მიღიზიანებდა, კიდევ ერთი კარი მოვიტოვეთ უკან და თავი უზარმაზარ სარდაფსა თუ აკლდამაში ამოვყავით. იგი მძიმე ყუთებითა და კალათებით იყო სავსე.

ჰოლმსმა ფარანი მაღლა ასწია, ჭერი დაათვალიერა და მერე წარმოთქვა, - ზევიდან არც ისეთი ადვილი მისადგომია.

- არც ქვევიდანაა ადვილი შემოსაძრომი, - გამოეპასუხა მერიუოთერი და ხელჯოხი ჰკრა ფილაქანს, რომელიც, ეტყობოდა, იატაკად იყო დაგებული. - დასწყევლის ღმერთი, ისეთი ხმა აქვს, თითქოს გამოფუღრულიაო! - გაკვირვებით წარმოთქვა მან.

- დაბეჯითებით გთხოვთ, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ, - მკაცრად უთხრა ჰოლმსმა. - თქვენი საქციელით კრიალოსანივით აწყობილი საქმე ჩაგვეფუშება. იმდენი სიკეთე გვიყავით, რომელიმე ყუთზე ჩამოჯექით და ხელს ნუ შეგვიშლით.

ზვიადი მერიუოთერი ჰოლმსის ხმაში აჟღერებულმა ფოლადმა მაინც დაიმორჩილა და განაწყენებული კაცის იერით ყუთზე ჩამოჯდა. ჰოლმსი მუხლებზე დაემხო და მაშუქითა და გამადიდებელი ლინზით ფილებს შორის ნაპრალების ძებნას შეუდგა. რამდენიმე წამის გაფაციცებული კვლევისა და ძიების შემდეგ იგი წამოდგა, ლინზა ჯიბეში ჩაიდო და სახეზე ისეთი იერი გამოეხატა, ეტყობოდა, თავისი კვლევის შედეგებით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო.

- ჩვენ ერთი საათი დრო მაინც გვაქვს, რადგან ისინი საქმეს მანამდე არ შეუდგებიან, სანამ უილსონი ღრმა ძილს არ მიეცემა. მერე კი წუთსაც არ დაკარგავენ, რადგან საქმეს მოამთავრებენ თუ არა, გაუჩინარებისათვის უფრო მეტი დრო მოიტოვონ. თქვენ ალბათ უკვე მიხვდით, უოტსონ, რომ ჩვენ ახლა ვიმყოფებით ლონდონის ერთ-ერთი უმდიდრესი ბანკის სარდაფში. მისტერ მერიუორთი ამ ბანკის დირექტორი გახლავთ და აგიხსნით, რა სჯიდათ ინგლისის დამნაშავეთა სამყაროს გაბედულ წარმომადგენლებს, რომ თავიანთი ყურადღება ამ სარდაფზე გადმოეტანათ.

- ამისი მიზეზი ის ფრანგული ოქროა, რომელსაც ბანკში ვინახავთ, - ჩურჩულით თქვა მერიუორთმა. - ჩვენ რამდენჯერმე გაგვაფრთხილეს, ოქროს გატაცებას შეეცდებიანო.

- საიდანა გაქვთ ფრანგული ოქრო?

- ამ რამდენიმე ხნის წინათ შინა რესურსების შესავსებად ოცდაათი ათასი ნაპოლეონდორი საფრანგეთის ბანკს დავესესხეთ. როგორც გამოირკვა, თურმე არავითარი შევსება არ გვესაჭიროებოდა და ეს ფული როგორც მივიღეთ, ისევ ისე აწყვია. ამ ყუთში, რომელზედაც მე ვზივარ, ტყვიის ფურცლებში ჩაწყობილი ორი ათასი ოქროა. ჩვეულებრივ, ოქროს ამდენ მარაგს არც ერთი ბანკის განყოფილება არ ინახავს და ჩემი შეშფოთების მიზეზიც ესაა.

- შეშფოთებისა და ხიფათის მოლოდინის მიზეზი ნამდვილად აქვთ, - ჩაურთო ჰოლმსმა. - ახლა კი, ჩემი აზრით, დროა მოვემზადოთ. ჩემი ვარაუდით, ამ ერთ საათში ყოველივე უნდა დამთავრდეს. ეგ მაშუქიც უნდა ჩავაქროთ, მისტერ მერიუოთერ.

- და ბნელში დავრჩეთ?

- მეტი გზა არაა. მე თან წამოვიღე კარტი, რომ თქვენ დღევანდელი შაბათი არ დაგეკარგათ და რობერი გეთამაშათ. მაგრამ, ვატყობ, მტერი ისე მომზადებულა, რომ სინათლის დატოვება სახიფათოა. პირველ ყოვლისა, ადგილები შევიცვალოთ, ისინი ძალიან გამბედავი და თავზე ხელაღებული ხალხია. მართალია, თავს მოულოდნელად დავესხმებით, მაგრამ თუ ფრთხილად არ მოვიქეცით, შეუძლიათ დიდი ზიანი მოგვაყენონ. მე ამ ყუთის უკან დავიმალები, თქვენ კი აი, იმ ყუთს ამოეფარეთ. როგორც კი შუქს მივანათებ, მაშინვე ეცით და ხელები შეუბორკეთ. თუ სროლას დაიწყებენ, უოტსონ, თქვენც უყოყმანოდ ამოიღეთ მიზანში.

ფეხშემართული რევოლვერი ყუთზე დავდე და თვითონ ყუთს ამოვეფარე. ჰოლმსმა ფარანას რაღაც გადააფარა და სრურ უკუნეთ სიბნელეში დაგვტოვა.

გაცხელებული ლითონის სუნმა მიმახვედრა, რომ შუქი ჩამბრალი არ იყო და საჭიროების შემთხვევაში სინათლის სხივი ერთბაშად იელვებდა. ამ უკუნეთში დაძაბული მოლოდინისა და მიწის სინოტივისაგან რაღაც ენით უთქმელ დეპრესიას განვიცდიდი და თითქოს სული დამიმძიმდა.

- მათ ერთი გასაქცევი გზა რჩებათ, ესაა უკან გაბრუნება, - წაიჩურჩულა ჰოლმსმა. - ალბათ შეასრულეთ, რაც გთხოვეთ, არა ჯოუნზ?

- სექს-კობურსკვერზე, უილსონის სახლის კართან მათ ინსპექტორი და ორი ოფიცერი ელოდებათ.

- მას მერე, რაც ყველა ხვრელი დავგმანეთ, ისღაც დაგვრჩენია, ნადირთა გამოჩენას განაბულნი ველოდოთ.

ოჰ, როგორ მიიზლაზნებოდა დრო. სინამდვილეში ერთი საათი არ იყო გასული და მე კი ისევ მეჩვენებოდა, რომ ღამე გაიცრიცა და ალბათ აღმოსავლეთი უკვე ცისკარმა ცეხლისფრად შეღება-მეთქი. გაუნძრევლად ჩაყუნცულსა და დაძაბულად მომლოდინეს ფეხები დამიბუჟდა და ძარღვებში სისხლი გამეყინა, მაგრამ მაინც არ ვინძრეოდი. ჩემამდე აღწევდა ჩემს თანამოსანგრეთა სუნთქვა, მაგრამ იმდენად მოთენთილი ვიყავი, რომ ზორზოხი ჯოუნზის ქშენა აყლაყუდა მერიუოთერის ფშვინისაგან ვერ გამერჩია. ისეთი პოზიცია მეჭირა, რომ პირდაპირ ფილაქანს შევცქეროდი. უეცრად სინათლის სხივის ციალი შევნიშნე.

პირველად ფილაქანიდან სინათლის პატარა სხივი გამოკრთა. ცოტაც და ის სხივი უკვე დიდ სინათლედ გადაიქცა. მერე მთლად უხმაუროდ ფილაქანი ვიღაცის უხილავმა ხელმა აჰყარა და მალე თეთრი, ქალური ხელიც ვიხილე. იატაკიდან ამოშვერილი ის ხელი თითქოს თითებით რაღაცას დაეძებდა ბნელში. ამოშვერილი თეთრი ხელი ისევე უცებ გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა, და ყველაფერი ისევ უკუნმა მოიცვა. ჩამტვრეული ფილაქნიდან, საიდანაც ცოტა ხნის წინათ თეთრი ხელი გამოჩნდა, ახლა ოდნავ მბჟუტავი სინათლე გამოკრთოდა.

უეცრად ერთმა განიერმა ფილამ ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს გააპესო, თუ გაგლიჯესო, და მის ადგილზე კარგა მოზრიდილი ხვრელი გაჩნდა. იქიდან ფარნის შუქმა იელვა. იმ ხვრელის თავზე სუფთად გაპარსულ, ბიჭურ სახეს მოვკარი თვალი. ან ირგვლივ გულდასმით შეათვალიერა ყველაფერი, მერ ეხვრელის ორივე მხარეს ხელებს დაეყრდნო და მაღლა ამოძვრა. ამოვიდა თუ არა, ახლა ვიღაცას უხმო და ამოძრომაში დაეხმარა. ისიც ჩია ტანისა ჩანდა, ფერმკრთალი და ჟღალთმიანი.

- ყველაფერი კარგადაა, - ჩურჩულით თქვა მან, - საჭრეთელი და ტომრები ხომ შენა გაქვს?.. უკანვე ჩახტი, არჩი, უკანვე და ამათ მე მოვუვლი.

როცა შერლოკ ჰოლმსი მძარცველს კისერში სწვდა, მეორე მძარცველი ხვრელში ჩაძვრა და გაუჩინარდა. ჯოუნზს უნდოდა დაეჭირა, მაგრამ, ეტყობა, ვერ მოახერხა. ტანსაცმლის ფხრეწა-გლეჯის ხმა მოსწვდა ჩემს სმენას. ეს ალბათ მაშინ მოხდა, როცა მძარცველი ჯოუნზს ხელიდან გაუსხლტა. სინათლეზე რევოლვერის ლულამ იელვა, მაგრამ ჰოლმსმა მძარცველს მათრახის რკინის ტარი დაჰკრა ხელში და რევოლვერმა ფილაქანზე მოიღო ზრიალი.

- წნააღმდეგობას აზრი არა აქვს, ჯონ კლეი, - მშვიდად უთხრა ჰოლმსმა.

- ვხედავ, რომ ჩავვარდი, - უპასუხა მძარცველმა გულგრილად. - მაგრამ ჩემმა მეგობარმა მოასწრო გაქცევა და მის მაგიერ ხელში ფალასფულასი შეგრჩათ.

- იქ მას გამოსასვლელ კარში სამი კაცი ელოდება.

- ძალიან კი გიმუშავიათ, ნამდვილად ქების ღირსად მიმაჩნიხართ.

- მეც იგივე უნდა გითხრათ, თქვენი გამოგნება ჟღალთმიანთა კავშირის თაობაზე ახალი იყო და ძალიან ეფექტურიც.

- ახლავე ნახავთ თქვენს მეგობარს, - ჩაურთო ჯოუნზმა, - ის ჩემზე უკეთ დაძვრება ხვრელებში, მაგრამ ცუდუბრალოდ გაისარჯა და ახლავე გაქაჩავენ. თქვენ კი ხელებზე ბორკილები უნდა დაგადოთ.

- თავიდან მომაშორეთ თქვენი ბინძური ხელები, - წარმოთქვა დაპატიმრებულმა, როგორც კი ხელბორკილი დაადო ჯონზმა. - იქნებ არ იცით, რომ ჩემს ძარღვებში მეფური სისხლი ჩქეფს? კეთილი ინებეთ და მომართვისას მიწოდეთ «სერ» და «ინებეთ».

- ძალიან კარგი, - დაეთანხმა ჯოუნზი; თან თვალები დააჭყიტა და ჩაიხითხითა. - კეთილი ინებეთ, სერ, მაღლა აბრძანდით, იქ კებს დავიჭერთ, შიგ ჩაგაბრძანებთ და თქვენს ბრწყინვალებას პოლიციაში მივიყვანთ.

- აი, ასე ჯობია, - მშვიდად წარმოთქვა ჯონ კლეიმ. მან მედიდურად დაგვიკრა თავი და მაძებარს უშფოთველად გაჰყვა.

- მისტერ ჰოლმს, წამოიწყო მერიუოთერმა, სარდაფიდან რომ გამოგვიყვანა, - არ ვიცი, ჩვენმა ბანკმა რით უნდა გადაგიხადოთ მადლობა, რომ თავიდან აგაცილეთ ასეთი უბედურება. ჩემი აზრით, ეს ი ქნებოდა უდიდესი ძარცვა, რაც კი ოდესმე გამიგონია.

- მე ჯონ კლეისთან საკუთარი ანგარიშიც მქონდა, - უთხრა ჰოლმსმა. - ფული ამ საქმეზე ბევრი არ დამიხარჯავს, ასე რომ იმედია, თქვენი ბანკი ამინაზღაურებს, თუმცა უკვე დაჯილდოებული ვარ იმით, რომ «ჟღალთმიანთა კავშირზე» ასეთი შესანიშნავი ამბავი შევიტყვე.

- ხედავთ, უოტსონ, - წამოიწყო მეორე დილით ჰოლმსმა, როცა ბეიკერსტრიტზე სოდიან ვისკის შევექცეოდით, - ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ჟღალთმიანთა კავშირზე ფანტასტიკური განცხადება და ბრიტანეთის ენციკლოპედიის გადაწერა მხოლოდ იმისთვის მოიგონეს, რომ ის ჭკუისკოლოფი უილსონი სახლიდან რამდენიმე საათით გამოეტყუებინათ ხოლმე. მართალია, ამის მისაღწევად ძალიან კურიოზული გზა აირჩიეს, მაგრამ ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტეს. მთელი ეს გამოგონება, კლეის გამჭრიახ გონებას ალბათ მისი თანამზრახველის ჟღალმა თმამ ჩააგონა. კვირაში ოთხი გირვანქა სტერლინგი მათ უილსონის საცთუნებლად გადაყარეს. მაგრამ, აბა, რაა ოთხი გირვანქა იმ ათასებთან შედარებით, რასაც გამოელოდნენ. მათ განცხადება გამოაქვეყნეს გაზეთში. ერთმა კონტორა დაიქირავა, მეორემ თავისი უფროსი აცთუნა, განსაზღვრულ საათებში უილსონი თავიდან მოიშორა და ორივენი თავისუფლად შეუდგნენ განზრახულის სისრულეში მოყვანას. რაწამს გავიგონე, უილსონის თანაშემწე ნახევარ ხელფასზე მუშაობსო, მაშინვე ეჭვი აღმეძრა, რომ მას სულ სხვა, ხელფასზე უფრო ძლიერი მოტივი ამოძრავებდა.

- მაგრამ როგორ მიუხვდით განზრახულს?

- უილსონის სახლში რომ ქალი ყოფილიყო, ეჭვს ასეთ შემთხვევაში სასიყვარულო ამბავზე მივიტანდი და ვიფიქრებდი, ქმრის გამოტყუება რამდენიმე საათით იმის გამო სურთ, რომ ცოლთან დრო გაატარონ-მეთქი. მაგრამ ეს ამბავი გამორიცხული იყო, ხოლო ჩვენი ჟღალთმიანი კლიენტის სავახშო სალარო კი იმდენად პატარა დაწესებულებაა, რომ არავისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა. მაშასადამე, მიზეზი უნდა სახლის გარეთ მეძია. რა უნდა ყოფილიყო ეს? მომაგონდა უილსონის ნაამბობი, რომ ჩემი თანაშემწე ფოტოსაქმეზე ჭკუას კარგავს, სულ აპარატს აჩხაკუნებს და მერე სარდაფში იმის გამომჟღავნებას უნდებაო. სარდაფი, აი, სად უნდა ყოფილიყო დამარხული ძაღლის თავი. მერე უილსონს წვრილად გამოვკითხე თავისი თანაშემწის ამბავი და დავადგინე, რომ იგი ლონდონის დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და გულადი

წარმომადგენელთაგანია. იგი ორი თვე ყოველდღიურად ჩადიოდა სარდაფში და იქ საათობით რჩებოდა. რა უნდა ეკეთებინა სარდაფში, თუ არა რომელიმე შენობის მისადგომი საიდუმლო გვირაბი? მაშინ გადავწყვიტე დამეთვალიერებინა მისი მოღვაწეობის ადგილი. გახსოვთ, ქვაფენილს ორმ ხელჯოხი დავკარი? მინდოდა გამეგო, გვირაბი სახლის წინ გამოდიოდა თუ სახლს უკან მიიმართებოდა. როგორც დავადგინე, იგი წინ არ გამოდიოდა. მაშასადამე, უილსონის თანაშემწეს გვირაბი სახლს უკან რომელიმე შენობისაკენ გაჰყავდა. ზარი დავრეკე და რგორც მოველოდი, კარი თვანაშემწემ გამიღო. ჩვენ წინათაც შევხვდრივართ საქმეში ერთმანეთს, მაგრამ კლეის სახით არ ვიცნობდი. სახეზე არც ახლა შემიხედავს. მე მხოლოდ მისი მუხლისთავების ნახვა მეწადა. თქვენ თვითონვე ნახეთ, მუხლისთავებს როგორი ჭუჭყიანი, დაჭმუჭნილი და გაცვეთილი შარვალი უფარავდა. სწორედ შარვლის ტოტები იყო გვირაბში გატარებული მრავალი საათის უტყვი მოწმე. ახლა იმის დადგენა იყო საჭირო, რომელი შენობისაკენ მიიმართებოდა გვირაბი. როცა სკვერიდან შევუხვიეთ და სიტიში უილსონის სახლის გადაღმა ბანკის შენობა დავლანდე, იმწამსვე მივხვდი, რომ მძარცველები სწორედ ამ შენობის ქვეშ თხრიდნენ გვირაბს. კონცერტის დამთავრების შემდეგ თქვენ რომ შინ წახვედით, მე სკოტლენდ-იარდში შევირაე, ჯოუნზს მოვეთათბირე, დროც დავუთქვი და მერე ბანკის დირექტორიც ვნახე. დანარჩენი ამბავი კი თქვენ თვალწინ მოხდა.

- ის როგორღა დაადგინეთ, რომ მძარცველები სწორედ წუხელ აპირებდნენ ბანკში გვირაბით შესვლას?

- მათ რომ ჟღალთმიანთა კავშირი დახურეს, ამით აშკარად მივხვდი, რომ მუშაობა დაამთავრეს, გვირაბი გაამზადეს და უილსონის სახლიდან გატყუებას მათთვის უკვე აზრი აღარა ჰქონდა. რაკი გვირაბი მზად იყო, ისინი ეცდებოდნენ, რაც შეიძლება მალე გამოეყენებინათ იგი და ძირითადი მიზნისათვის მიეღწიათ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გვირაბის არსებობა არ გამჟღავნებულიყო და, მეორეც, ხომ შეიძლებოდა, ოქროს სხვა ადგილზე გადაეტანათ. შაბათი დღე კი მათი საქმისათვის პირდაპირ ზედგამოჭრილი რამ იყო, ვინაიდან თავის გადასარჩენად მათ განკარგულებაში ორი დღე იქნებოდა. ყველა ამ მიზეზების გამო ვვარაუდობდი, რომ ძარცვა წუხელ ღამით მოხდებოდა.

- თქვენი მსჯელობა ადამიანს აღტაცებას ჰგვრის, - გულწრფელად წამოვიძახე მე, - რამსიგრძე ჯაჭვია და ყოველი რგოლი რა მტკიცე მარჯვენითაა ნაჭედი.

- მაშ, საქმემ კარგა ხნით მიხსნა მოწყენილობისაგან, - მთქნარებით თქვა ჰოლმსმა. - მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ ჭმუნვა კვლავ მეძალება და ალბათ დამჯაბნის კიდეც! მთელი ჩემი ცხოვრება - ესაა ყოველდღიურ ერთფეროვნებასთან განუწყვეტელი ჭიდილი და ამ ერთფეროვნებით გამოწვეულ სევდა-ნაღველთან ბრძოლა. ასეთი პატარ-პატარა თავსატეხი ამბები მიქარვებენ სევდას და გულიდან გადამიყრიან ხოლმე შემოჩვეულ დარდს.

- თქვენ ის ქველმოქმედი ხართ, რომლის მოწყალე გულიც კაცობრიობისათვის არის საჭირო.

ჰოლმსმა მხრები აიჩეჩა.

თითქოსდა ჩემი საქმიანობით მართლაც სარგებლობა მომაქვს ადამიანებისათვის, - დასძინა მან. -

«დძრწქქუბ სძუთე კშუტ - დძწუგმკუბ სძუთე ეწგე» - «ადამიანი არარაა - საქმეა ყველაფერი», როგორც თავის ბარათში სწერდა გულსტავ ფლობერი ჟორჟ სანდს.

გათეთრებული მეზრძოლი

ერთი მეგობრობის ამბავი, მოთხრობილი თვითონ შერლოკ ჰოლმსის მიერ

როგორც მე მეჩვენებოდა, ჩემი მეგობრის უოტსონის შეხედულებანი ერთგვარი შეზღუდულობითა სცოდავენ. სამაგიეროდ, რაიმე გადაწყვეტილებას რომ მიიღებს, თავს არ დაიზოგავს და დიდის დაჟინებით შეეცდება ხოლმე მის განხორციელებას. ასე, დიდხანს ჩამჩიჩინებდა, რომელიმე შენი პროფესიონალური შემთხვევა მაინც აღწერეო. შესაძლებელია, მე თვითონ მივეცი საამისო საბაბი, სულ რომ ვსაყვედურობდი, ხალხის გემოვნებას ნუ კი მისდევ კუდში, მშრალ ფაქტებს დაეყრდენი-მეთქი.

- თქვენი აღწერა ნაჯახირევია, - ვეუბნებოდი ხშირად.

- თვითონ სცადეთ, ჰოლმს, მოჰკიდეთ საქმეს ხელი, - ასეთ პასუხს მაძლევდა ყოველთვის უოტსონი.

აი, მეც ვცადე, მის რჩევას მივყევი. უნდა ვაღიარო, რომ ახლა უკვე მესმის ჩემი მეგობრის გასაჭირი, ასევე ყველა დანარჩენისა, ვინც კალამს ხელსა ჰკიდებს. საინტერესოდ წერა არც ისე იოლი საქმე ყოფილა, როგორც პირველად მქონდა წარმოდგენილი, ხოლო ის შემთხვევა, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, ამ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. ამას გარდა, ეს ამბავი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უფრო უცნაურ შემთხვევათა რიცხვში შედის, თუმცა უოტსონი თავის ჩანაწერებში მას რატომღაც არ ახსენებს.

ჩემს უბის წიგნაკში აღნიშნულია, რომ ის მოვლენები, რომელთა გადმოცემითაც უნდა დავიწყო ჩემი მოთხრობა, მოხდა 1903 წლის იანვარში, ინგლის-ბურების ომის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ. იმ დროს უკვე მარტო ვცხოვრობდი. ჩემმა ერთგულმა უოტსონმა ცოლი შეირთო და ჩვენი საერთო ბინა, ბეიკერსტრიტზე რომ გვქონდა დაქირავებული, სამუდამოდ მიატოვა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მეგობრობის მრავალი წლის მანძილზე, ეს ქორწინება, მისი მხრივ, ეგოიზმის ერთადერთ გამოვლინებას წარმოადგენდა.

ჰოდა, იმ დღეს მისტერ ჯეიმს კ. მ. დოდი მესტუმრა, მაღალი, ფართო მხარბეჭიანი, მზით გარუჯული ინგლისელი. მე ჩვეულებრივ, ფანჯრისგან ზურგშექცევით ვჯდები ხოლმე, კლიენტს კი ჩემს პირდაპირ ვსვამ ისე, რომ შუქი სახეზე სცემდეს. ახლაც ასე გავაკეთე.

მისტერ დოდს, ეტყობოდა, უჭირდა. ვერ გადაეწყვიტა, საიდან დაეწყო თხრობა. არც მე დავხმარებივარ, რადგან მოგებული დრო საშუალებას მაძლევდა მის გარეგნობას დავკვირვებოდი. მცირე დუმილის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი დასკვნებით გამეოცებინა იგი. გამოცდილებით ვიცოდი, ეს უაღრესად სასარგებლო იყო, რადგან კლიენტების გულახდილობასა და ნდობას იწვევდა მუდამ.

- ვგონებ, ახლახან უნდა იყოთ დაბრუნებული სამხრეთ აფრიკიდან, არა? - ვკითხე უცნობ სტუმარს.

- დიახ, სერ, - მიპასუხა გაკვირვებულმა.

- გეტყობათ, ცხენოსანთა ნაწილში მსახურობდით.

- სავსებით სწორია, მისტერ ჰოლმს, თქვენ ჯადოქარი ყოფილხართ! - დაბნეულად წარმოთქვა მოსულმა.

გავიღიმე.

- ყველაფერი უბრალო ამბავია. განა ცხადი არ არის, რომ ასეთი ვაჟკაცური, წარმოსადეგი, მხედრული იერის კაცი, ისიც მზედაკრული, ლონდონელი არ უნდა

იყოს და ეს არის ჩამოსულა ბრძოლის ველიდან, ესე იგი სამხრეთ აფრიკიდან? თანაც, წვერი დაგიყენებიათ, მაშასადამე, კადრის მოსამსახურე არა ხართ. მიხრა-მოხრა კი ისეთი გაქვთ, უთუოდ კავალერისტი იქნებით და ასე შემდეგ.

- საკვირველია, მისტერ ჰოლმს! თქვენ ყველაფერს ხედავთ, თვით უმნიშვნელო წვრილმანებსაც კი. - წამოიძახა დოდმა.

- მე თქვენზე მეტს ვერაფერს ვამჩნევ, მაგრამ თქვენზე უკეთ ვაანალიზებ იმას, რასაც ვხედავ, - ვუპასუხე მე და განვაგრძე: - მაგრამ არა მგონია, მხოლოდ იმისათვის მოსულიყავით, რომ ჩემს დაკვირვების უნარში დარწმუნებულიყავით. რა მოხდა ძველი ტაქსბერგის პარკში?

- ო, მისტერ ჰოლმს! - ჩაიბუტბუტა დოდმა.

- ჩემო ძვირფასო სერ, არაფერია ზებუნებრივია იმაში, რაც მე გითხარით. თქვენი წერილის კონვერტზე აი, ეს ბეჭედია დასმული. სასწრაფოდ მიმიღეთო, მთხოვთ. მაშასადამე, მოხლა რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი.

- დიახ, მართალი ბრძანდებით. მაგრამ მას შემდეგ ამბებმა კიდევ უფრო ცუდი სახე მიიღო. პოლკოვნიკმა ემსუორდმა პირდაპირ გამომაგდო...

- ესე იგი, როგორ გამოგაგდოთ?

- სწორედ ასე. არც აცია, არც აცხელა და მაიძულა, რომ გუდა-ნაბადი ამეკრა. ერთი გაჩვენათ, რა კაცია ეს პოლკოვნიკი ემსუორდი! გოდფრი რომ არა, მის სიახლოვეს ერთ წამსაც არ გავჩერდებოდი.

აუჩქარებლად მოვუკიდე ჩიბუხს და სკამის ზურგს გადავეყრდენი.

- იქნებ ამიხსნათ როგორმე, რა მოხდა, მისტერ დოდ?

ჩემმა სტუმარმა თვალი ეშმაკურად მოჭუტა.

- მე კი მეგონა, ჩემზე უკვე ყველაფერი იცოდით, - მითხრა მან. - მაგრამ ვილაპარაკოთ სერიოზულად: მე გადმოგიშლით ყველა ფაქტს, თქვენ კი ამიხსენით, რას უნდა ნიშნავდეს ეს. წუხელ თვალი არ მომიხუჭავს, თავს ვიტეხდი, იქნებ რამეს მივხვდე-მეთქი. მაგრამ რაც მეტსა ვფიქრობ, მით უფრო წარმოუდგენლად და დაუჯერებელად მეჩვენება მომხდარი ამბავი.

ამგვარად, არმიაში მოვხვდი 1901 წლის იანვარში, ზუსტად ამ ორი წლის წინათ. ჩვენს ესკადრონში მსახურობდა ვინმე გოდფრი ემსუორდი, ახალგაზრდა მოხალისე. მის ძარღვებში წინაპარ თაობათა მეომრული სისხლი ჩქეფდა. მთელ პოლკში ერთიც არ მოიძებნებოდა იმაზე უკეთესი ყმაწვილი. ჩვენ ძლიერ დავმეგობრდით, ისევე, როგორც იციან მეგობრობა ადამიანებმა, რომელთაც ერთი სასიცოცხლო მიზანი აერთიანებთ.

მთელი ერთი წელი მხარდამხარ ვიბრძოდით, ერთად ვიტანდით ლაშქრული ცხოვრების ყველა სიძნელეებს. შემდეგ კი გოდფრი დაიჭრა და ჰოსპიტალში გაგზავნეს. ჰოსპიტალი კეიპტაუნში იყო. იქიდან მივიღე ერთი წერილი, ერთიც ინგლისიდან, საუტჰემპტონიდან. შემდეგ კი არც ერთი სიტყვა, გესმით, მისტერ ჰოლმს, არც ერთი სიტყვა.. ჩემი უახლოესი მეგობრისაგან.

როცა ომი დასრულდა და შინ დავბრუნდი, მაშინვე მივწერე გოდფრის, შვილის ამბავი ვკითხე. პასუხი არ მიმიღია. ხელახლა მივწერე ამჯერად მოკლე და ცივი პასუხი მივიღე. გოდფრის მამა იტყობინებოდა, ჩემი შვილი სამოგზაუროდ წავიდა და ერთ წელზე ადრე მისი დაბრუნება მოსალოდნელი არ არისო.

ამ პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა. მთელი ეს ამბავი რაღაც ჯოჯოხეთურად უცნაური მეჩვენებოდა. ვერ დამეჯერებინა, რომ ისეთმა ყმაწვილმა, როგორიც გოდფრი იყო, უახლოესი მეგობარი ასე მოკლე ხანში დაივიწყა. ერთი სხვა გარემოებაც მიკარგავდა მოსვენებას. გოდფრი დიდი ქონების ერთადერთი

მემკვიდრე იყო. მისი გადმოცემით ვიცოდი, რომ მამას ვერ ეწყობოდა. ბერიკაცს საძაგელი ხასიათი ჰქონდა, გოდფრი კი სრულებით ვერ ეგუებოდა მის სიფიცხეს. არა, საშინლად არ მომწონდა მთელი ეს ამბავი და გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჭეშმარიტებისათვის მიმეკვლია. ერთ ხანს პირადი საქმეების მოგვარებას მოვუნდი. მაგრამ ახლა განზრახული მაქვს, მთელი დრო და ძალა ჩემი მეგობრის ბედის გარკვევას შევწირო.

თქვა ეს და ჩემი სტუმრის თვალებში ცეცხლმა იელვა, თანაც კუთხოვანი ყბა გვერდზე მოექცა.

ინტერესით შევავლე თვალი ჩემს თანამოსაუბრეს. მისტერ ჯეიმს დოდი ისეთი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომლის ხილვაც უსაზღვროდ უფრო სასიამოვნოა მეგობრებს შორის, ვიდრე მტრებს შორის.

- შემდეგ რაღა გააკეთეთ? - ვკითხე მე.

- ვიფიქრე, ყველაფერს ემჯობინება, ტაქსბერგის პარკი მოვინახულო ბედფორდში, სადაც ემსუორდების მამული და კარ-მიდამოა-მეთქი. ამ მიზნით გოდფრის დედას მივწერე. სიმართლე რომ მოგახსენოთ, დავრწმუნდი, რომ მამამისთან საქმის დაჭერა ძნელი საქმე იყო. ქალს მივწერე, გოდფრი ჩემი უახლოესი მეგობარია და ერთად ვიბრძოდით სამხრეთ აფრიკაში; თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თქვენს შვილთან ლაპარაკი მინდა. მოკლე ხანში ბედფორდის მახლობლად მომიწევს ჩამოსვლა და ცოტა ხნით ტაქსბერგში შემოვივლი-მეთქი. პასუხად თავაზიანი მიწვევა მივიღე ემსუორდების მამულში. ჩავჯექი მატარებელში და გავემგზავრე.

ვიდრე სადგურიდან მამულში ჩავაღწევდი, დაღამდა კიდეც. ემსუორდების საგვარეულო ციხე-სიმაგრე ერთი დიდი მთლიანი ნაგებობა გახლდათ, რომლის ხუროთმოძღვრებაშიც აღრეული იყო ყველა ეპოხის დამახასიათებელი სტილი. შენობის შუა ნაწილი ელისაბედის დროის სტილზე აეგოთ, მაგრამ გარშემო ვიქტორიას დროინდელ ყაიდაზე შემოეშენებინათ უცნაური ნაგებობანი. ციხე-კოშკის გარშემო მშვენიერი ფართო პარკი იყო გადაშლილი. შიგნით სახლის კედლები წითელი ხით მოეპირკეთებინათ. თვით კედელი კი მძიმე ჩარჩოებში ჩასმული სურათებით იყო დაფარული. მთელ სახლში სიძველისა და იდუმალების სულს დაესადგურებინა.

წინ მსახურნი შემომეგებნენ: მოურავი რალფი, თვით ამ სახლის კედლებივით ხნიერი მოხუცი და მისი ცოლი, რომელიც მასზე დაჩაჩანაკებული ჩანდა. მომაგონდა, ოდესღაც ეს ქალი გოდფრის ძიძა იყო. ჩემი მეგობარი ხშირად მეუბნებოდა, დედის შემდეგ ისე არავინ მყვარებია, როგორც ჩემი მოხუცი ძიძაო. გოდფრის დედამ, პატარა, სუსტმა ქალმა, მაშინვე მოინადირა ჩემი გული. სამაგიეროდ მამა არ მომეწონა.

მისვლისთანავე მიმიწვია პოლკოვნიკმა თავის კაბინეტში. გამოგიტყდებით, მასთან საუბრის მომლოდინეს გუნება შემეცვალა. ერთი წამით გავიფიქრე, უარს ვიტყვი-მეთქი ასეთ ოინზე. მაგრამ მეგობრის გახსენებამ სულმოკლეობა დამაძლევინა.

პოლკოვნიკის პირქუშ, ავეჯით დამძიმებულ კაბინეტში უფრო გულდასმით მოვახერხე მისი შეთვალიერება. გოდფრის მამა მაღალი, ფართო მხარბეჭიანი მოხუცი გახლდათ, წინ წამოწვდილი ნიკაპითა და გრძელი, ჭაღარა წვერით. დიდი ცხვირი სისხლძარღვებით დასერვოდა, ხოლო მისი წვრილი, მკაცრი თვალები ჭაღარა, ბანჯგვლიანი წარბების ქვემოდან იბღვირებოდნენ.

«ამგვარად, - სერ, - მომმართა ჭრიალა ხმით, - თუ საწინააღმდეგო არ გექნებათ, მინდა გავიგო თქვენი სტუმრობის მიზეზები».

მე თავაზიანად ვუპასუხე, რომ მისი მეუღლისადმი მიწერილ ბარათში წერია მიზეზები, რომელთაც მაიძულეს მომენახულებინა ჩემი მეგობრის მშობლები-მეთქი.

«სხვათა შორის, - განაგრძო მოხუცმა, - გარდა თქვენი სიტყვიერი განცხადებისა, მე არ გამაჩნია სხვა საბუთი იმისა, რომ ჩემს შვილს ნამდვილად ახლოს იცნობდით».

«მე მაქვს გოდფრის წერილები», - ვუპასუხე და შევეცადე, შემენარჩუნებინა გულგრილი გამომეტყველება.

«ხომ ვერ მიჩვენებთ, სერ?»

«რა თქმა უნდა».

მისტერ ემსუორდმა სწრაფად გადაავლო თვალი წერილებს და დამიბრუნა.

«ჰო, კიდევ რას გვეტყვით?» - მკითხა მოხუცმა.

«გამიგეთ, სერ, - ვუპასუხე აღელვებულმა, - თქვენი შვილის გულითადი მეგობარი ვარ და რატომ გიკვირთ, რომ ვცდილობ ჩემი უახლოესი მეგობრის კვალს მივაგნო?»

«მაგრამ მე მახსოვს, სერ, რომ ჩემს წერილში უკვე გიპასუხეთ ყველა კითხვაზე. შემიძლია გაგიმეოროთ: აფრიკაში სამსახურის შემდეგ გოდფრის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეირყა. მას ესაჭიროებოდა სრული სიმშვიდე, დასვენება და ჰაერის გამოცვლა. ამიტომ ჩვენ, მე და დედამისმა, გადავწყვიტეთ სამოგზაუროდ გაგვეშვა. გთხოვთ, გადასცეთ ყველაფერი ეს ჩემი შვილის ყველა მეგობარს, ვისაც მასზე გული შესტკივა».

«რა თქმა უნდა, ამ თხოვნას შეგისრულებთ, სერ, - მშვიდად ვუპასუხე მე, - მაგრამ ჩემის მხრივ გთხოვთ, გამოიჩინოთ თავაზიანობა და მითხრათ, როდის და რომელი ხომალდით გაემგზავრა თქვენი შვილი. მინდა წერილი მივწერო».

როგორც შევატყვე, ჩემმა სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო და თანაც გააბრაზა პოლკოვნიკი. პასუხი მაშინვე არ გაუცია. კუშტი თვალები ღრმად ჩამალა ბანჯგვლიან წარბებში და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ნერვიულად ააკაკუნა მაგიდაზე. ბოლოს იმ მოთამაშესავით შემომხედა, რომელიც მოპირდაპირეს ეშმაკურ სვლას მიუხვდა.

«ჩემს ადგილზე, მისტერ დოდ, - წარმოთქვა აუჩქარებლად, - სხვას მოთმინებას დააკარგვინებდით თქვენი უადგილო დაჟინებით, რომელიც თავხედობას ედრება».

«უნდა გამიგოთ კადნიერების მიზეზები, სერ, - ავღელდი მეც, - ერთადერთი ჩემი განზრახვა გახლავთ...»

«ვიცი, ვიცი, - შემაწყვეტინა ემსუორდმა, - მხოლოდ ამიტომა ვარ ასე მომთმენი, მისტერ დოდ. იძულებული ვხდები, კატეგორიულად გთხოვოთ, შეწყვიტოთ შემდგომი ჩარევა ჩემს პირად ცხოვრებაში. ოჯახის საქმე მეკითხება მხოლოდ მე და სხვას არავის. გარეშე კაცი, რარიგ კეთილმოსურნეც არ უნდა იყოს, სწორად ვერ შეაფასებს ამა თუ იმ მოვლენას, რაც სხვის ოჯახში ხდება. ეს დაიმახსოვრეთ. სულით და გულით გირჩევთ, შეწყვიტეთ ეს უსარგებლო ძიება და საქმე მონახეთ. ახლა კი, - განაგრძო მისტერ ემსუორდმა და წამოდგა, - ჩემს ცოლს ეახლებით. სიამოვნებით მოისმენს ყველაფერს, რასაც გაიხსენებთ და მოუთხრობთ გოდფრიზე».

სულ ეს იყო, მისტერ ჰოლმს. გოდფრის მამის სასტიკი სიკერპე თითქმის ყოველგვარ იმედს მიკარგავდა. მაგრამ გულში იქვე დავიფიცე, არ მოვისვენებ, ვიდრე სრულ სიმართლეს არ მივაკვლევ-მეთქი.

უზარმაზარ, პირქუშ სასადილო ოთახში გამართულმა სადილობამ უღიმღამოდ ჩაიარა. სუფრაზე მხოლოდ სამნი ვიყავით. გოდფრის დედა ხარბად მეკითხებოდა

ყოველ წვრილმანს, რაც კი მის შვილზე ვიცოდი. მამა კი კუშტად დუმდა. ისეთ დაძმარებულ გუნებაზე ვიყავი, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში მადლობა გადავუხადე დიასახლისს და ჩემთვის განკუთვნილ ოთახში შევედი.

ეს იყო დიდი, ძუნწად მორთული ოთახი, რომელიც ისეთსავე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორსაც მთელი შენობა. მაგრამ თქვენ გამიგებთ, მისტერ ჰოლმს, ლაშქრული ცხოვრების შემდეგ. არც ისე დახარბებული ვიყავი მორთულობას. ფანჯარაში გავიხედე. ნათელი, მთვარიანი ღამე იდგა.

შემაჟრჟოლა. ფანჯარა მივხურე. მერე ფარდები ჩამოვუშვი, წიგნი გადავშალე და მოგიზგიზე ბუხარს მივუჯექი.

მაგრამ მარტო ყოფნა დიდხანს არ მომიხდა. კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. ოთახში მოხუცი მსახური შემოვიდა, შეშა შემოიტანა.

«მაპატიეთ, სერ, - მომმართა კრძალვით, - ვაითუ ბუხარს შეშა არ ეყოს-მეთქი, გავიფიქრე. ამ ოთახებში მეტისმეტი სინესტე იცის».

კართან რომ მივიდა, მოხუცი შეჩერდა.

«იცით, სერ, - წარმოთქვა მორიდებით, თითქოს პატიებას ითხოვსო, - შემთხვევით გავიგე, რაც გითქვამთ სადილობისას გოდფრიზე. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი ცოლი ძიძა იყო იმ ყმაწვილისა. ორივეს ძალიან გვიყვარს ჩვენი ბატონი, ახალგაზრდა მისტერი. თქვენ, მგონი, ისიც გითქვამთ, მისტერ გოდფრიმ ომში თავი გამოიჩინაო».

«მთელს პოლკში ვერავინ შეედრებოდა სიმამაცითა და კეთილშობილებით, ვუპასუხე ხალისით, - ის რომ არა, მე ახლა აქ ჯდომა და თქვენთან საუბარი აღარ მეწერა».

მოხუცმა კმაყოფილებით მოიფშვნიტა დანაოჭებული ხელები.

«სწორედ ასე გახლავთ, სერ. ასეთი იყო მუდამ. მთელს პარკში ერთი ხეც არაა, რომ ჩვენი ყმაწვილი კენწეროზე არ მოქცეოდა. ვერაფერი შეაშინებდა. დიახ, - დაუმატა ცრემლმორეულმა მოხუცმა, - არაჩვეულებრივი ყმაწვილი იყო და... არაჩვეულებრივი ადამიანიც».

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ადგილიდან წამოვიჭერი.

«გამიგონეთ, რალფ, თქვენ თქვით, იყოო, თითქოს გოდფრი უკვე აღარ არის ცოცხალი! ეს რას ნიშნავს? ახლავე მიპასუხეთ».

მოხუცს ხელები მხრებში ჩავავლე. თავის დაღწევას ლამობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

«არ ვიცი, რას გულისხმობთ, სერ, - ჩაიბურტყუნა მან. - მე უფლება არა მაქვს, ჩავერიო სხვის საქმეში. ჯობს, ოჯახის უფროსს ჰკითხოთ».

«ერთ კითხვაზე მაინც მიპასუხეთ, რალფ, თორემ ისე ამ ოთახიდან ვერ გახვალთ. ცოცხალია გოდფრი, თუ მკვდარი?»

სახეში ჩავაცქერდი. ბერიკაცს სახე მოღრეცილი ჰქონდა, თითქოს ძლიერი ტკივილისაგან იტანჯებაო. თვალები ცრემლით ავსებოდა, მჭიდროდ მოკუმული ბაგე ვერ გაეხსნა. ბოლოს წაიჩურჩულა:

«ჯობდა მომკვდარიყო».

მოულოდნელობამ დამაბნია, მხარზე ხელი შევუშვი. ამით ისარგებლა და ოთახიდან გაქრა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მისტერ ჰოლმს, როგორ ამაფორიაქა რალფის სიტყვებმა. «რა უნდა ჩაედინა გოდფრის ისეთი, რომ მოხუცი მსახური სიკვდილს ამჯობინებს მის სიცოცხლეს? - ვფიქრობდი გულანთებული. - ნუთუ დანაშაულში

ჩაითრიეს, იმდენად სერიოზულში, რომ ოჯახის უფროსმა უმჯობესად ჩათვალა მისი გადაკარგვა, რათა ქვეყნად ვერავის ენახა იგი და სამარცხვინო ამბავი არ გახმიანებულიყო? გოდფრი მუდამ თავზე ხელაღებული ყმაწვილ-კაცი იყო. ამავე დროს იოლად ექცეოდა გარეშეთა ზეგავლენის ქვეშ. ალბათ რომელიმე არამზადის ხელში ჩავარდა, ყმაწვილის ნდობითა და დიდსულოვნებით ისარგებლეს, ასეთ შემთხვევაში ჩემი მოვალეობაა, მისთვის მძიმე წუთებში გოდფრის გვერდით ვიყო».

ამ ფიქრში ვიყავი, როცა თავი ავწიე და... როგორა ფიქრობთ, მისტერ ჰოლმს, ვინ დავინახე ბაღში, ჩემი ფანჯრის წინ? სწორედ ის, გოდფრი ემსუორდი!

ამ ადგილას ჩემი სტუმარი ისე აღელდა, რომ ერთ ხანს თხრობის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

- მე დიდი ყურადღებით გისმენთ, მისტერ დოდ, - ვუთხარი ბოლოს. - თქვენი ამბავი თანდათან უფრო საინტერესო ხდება.

- გოდფრის სახე ფანჯრის მინაზე მოედო, - განაგრძო დოდმა, - ფარდა მჭიდროდ არ ჩამომიფარებია და გარკვევით დავინახე გოდფრის სახე. იგი მკვდარივით გაფითრებული იყო. ასეთი სითეთრე ცოცხალი ადამიანისა ჯერ არ მენახა. ალბათ ასე გამოიყურებიან მოჩვენებანი. უნდა ვთქვა, რომ გოდფრიმ ჩემზე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა, მარტო უჩვეულო თეთრი სახით კი არა, მოჩვენებასავით რომ ანათებდა ღამის სიბნელეში. რაღაც ერთი წამით ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მისმა საცოდავმა, დამნაშავის მაგვარმა მზერამ შემაძრწუნა. ეს იმდენად განირჩეოდა ჩემი მეგობრის ვაჟკაცური და უდარდელი გამომეტყველებისაგან, რომ თავზარი დამეცა. როგორც კი შენიშნა, რომ ფანჯარაში მას ვუცქერდი, მაშინვე განზე გადახტა და სიბნელეში გაუჩინარდა.

მაგრამ მე ტყუილად როდი გამივლია ჯარისკაცური ცხოვრების სკოლა. იქ ადამიანი სწავლობს ელვისებურ მოქმედებას და სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას. გოდფრიმ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გაუჩინარება, რომ ფანჯარასთან მივირბინე და ბაღში გადახტომა ვცადე. მაგრამ ანჯამები დაჟანგული ყოფილიყო და ფანჯარა ერთბაშად ვერ გამოვაღე. ერთი წუთის შემდეგ მეც იმ ბილიკზე გავრბოდი, რომლითაც ჩემი ვარაუდით გოდფრიმ აირჩია წასვლა.

ბილიკი მთვარის მკრთალ ნათელს გაეშუქებინა და მომეჩვენა, რომ ჩემ წინ რაღაც ლანდი იყო ატუზული. გოდფრის დავუძახე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. გზაჯვარედინამდე მივედი, გაუბედავად შევდექი და უცებ გარკვევით გავიგონე, როგორ მიიხურა კარი. მივხვდი, რომ გოდფრი დამემალა. რაღა უნდა მექნა? შეწუხებული გავბრუნდი უკან. ღამის დარჩენილ დროის განმავლობაში ტანჯვით ვცდილობდი, როგორმე ამომეხსნა უცნაური ფაქტები, რომელთაც ამ დღეებში წავაწყდი.

საუზმეზე სახლის პატრონი ნაკლებ სასტიკი მეჩვენა. მისის ემსუორდმა შენიშნა, რომ მამულის მეზობლად არის რამდენიმე ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელთა ნახვაც ღირსო. დაუყოვნებლივ ვისარგებლე ამ შემთხვევით და ვკითხე, ხომ არ შეიძლება ამ მიზნით ერთი დღე-ღამე კიდევ დავრჩე თქვენსა-მეთქი. ჩემს გეგმას მასპინძლის აღტაცება არ გამოუწვევია, მაგრამ ნებართვა მაინც მივიღე.

გადავწყვიტე, მთელი დღე შემეწირა იმ საიდუმლო კარის ძებნისათვის, რომლის მიღმაც დამეკარგა მეგობარი. თუ გოდფრი მოისურვებდა, იოლად დამემალებოდა თვით სახლში. აქ მთელი პოლკი თავისუფლად მოთავსდებოდა. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, გოდფრი პარკში იმალებოდა. ოღონდ რა ადგილას და რატომ - ეს ჩემთვის ამოცანად რჩებოდა.

ნასაუზმევს ჩემმა მასპინძლებმა, როგორც ჩანს, თავიანთ საქმეებს მიხედეს და ყურადღებას აღარ მაქცევდნენ. ამით ვისარგებლე და შევეცადე პარკი გულმოდგინედ გამომეკვლია. ჩემი ყურადღება მიიქცია განმარტოებულმა ფანჩატურმა, გვერდითი ხეივნის განაპირას რომ იყო გაშენებული. იქიდან ხომ არ მომესმა კარის ჯახუნი? ფანჩატურს უდარდელი სტვენით მივუახლოვდი, თანაც ისეთი სახე მივიღე, ვითომ უმიზნოჟ დავეხეტებოდი პარკში. ამ დროს ფანჩატურიდან საშუალო ტანის, ფართო წვერიანი მამაკაცი გამოვიდა. ჩემდა გასაოცრად, კარი დიდის გულმოდგინებით ჩაკეტა და მე რომ დამინახა, ადგილზე დაესო.

«ვინა ხართ, სტუმარი?» - მკითხა ისე, რომ სალამი არ მოუცია.

ავუხსენი, ჩემი გულითადი მეგობრის გოდფრის მშობლების სანახავად ჩამოვედი-მეთქი.

«რა სამწუხაროა, რომ ჩემი მეგობარი გამგზავრებულა, - დავძინე წყენით, - ძალიან გაეხარდებოდა ჩემი ნახვა».

«ჰო, ძალიან საწყენია. იმედი მაქვს, სხვა დროს გაგიღიმებთ ბედი». - ამ სიტყვებზე თანამოსაუბრემ ცივად დამიკრა თავი და სახლისაკენ წავიდა. მეც, სხვა რა გზა მქონდა, მის მაგალითს უნდა მივყოლოდი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, მოვიხედე და დავინახე, რომ წვეროსანი კაცი იდგა და თვალს მადევნებდა.

ვიდრე გამოვბრუნდებოდი, ფანჩატურის დათვალიერება მაინც კარგად მოვასწარი. ფანჯრებზე მძიმე ფარდები იყო ჩამოფარებული, მთელი ნაგებობა უკაცრიელი მეჩვენა.

ჩემთვის ცხადი იყო, ფრთხილად ყოფნა მმართებდა. მცირეოდენი დაუდევრობა და - ჩავვარდებოდი. მაშინ უბრალოდ მიბრძანებდნენ, გავცლოდი იქაურობას და ვერაფერს გავხდებოდი. ამიტომ გადავწყვიტე, ღამემდე დამეცადა.

როცა ყველაფერი მიყუჩდა, ჩუმად გამოვძვერი ფანჯრიდან და საიდუმლოებით მოცულ პავილიონისაკენ გავემართე. ფარდების გარდა ფანჯრებს დარაბებიც ფარავდა. ერთ-ერთი დარაბიდან სინათლე გამოდიოდა. სწორედ ამ ადგილზე ფარდაც ოდნავ გადაწეული იყო. ასე რომ, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაარჩევდა კაცი ოთახის მორთულობას. ოთახი მყუდრო და კარგად მოწყობილი ჩანდა. მაგიდას ამ დილით გაცნობილი კაცი უჯდა, ჩიბუხს ეწეოდა და რაღაცას კითხულობდა.

- მაინც რას? - შევაწყვეტინე დოდს.

ჩემმა კითხვამ საგონებელში ჩააგდო.

- ნუთუ ამასაც აქვს რაიმე მნიშვნელობა?

- უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

მე კი არ მიმიქცევია ყურადღება.

- იქნებ ის მაინც შენიშნეთ, რა ეჭირა ხელში - წიგნი, გაზეთი თუ ჟურნალი?

- მგონი, რაღაც ჟურნალს უფრო ჰგავდა, - მიპასუხა დოდმა ფიქრის შემდეგ, - მაგრამ მაშინ ასეთი წვრილმანის თავი აღარა მქონდა.

ოთახში კიდევ ერთი კაცი იმყოფებოდა. მისი სახე არ დამინახავს. და მაინც დარწმუნებული ვიყავი: ეს იყო გოდფრი. მეცნაურა მისი ტანის მოყვანილობა: მხრები, კისერი. იგი იჯდა ღრმა მწუხარებით დაჩაგრული ადამიანივით ბუხრისაგან პირშექცეული. ფანჯარასთან გავქვავდი. უეცრად ვიღაცამ მხარზე მძიმე ხელი დამადო: ჩემ გვერდით იდგა პოლკოვნიკი ემსუორდი.

«აი, თურმე როგორ გიჭირავთ თავი სტუმრობაში, სერ, - ავბედითად წარმოთქვა ჩემმა მასპინძელმა, - ინებეთ, მომყევით».

ამ სიტყვებზე შებრუნდა და სახლის მიმართულებით წავიდა. ცხვირპირჩამოშვებული გავყევი. პოლკოვნიკს დუმილი არ დაურღვევია, სანამ ჩემთვის განკუთვნილ ოთახში არ აღმოვჩნდით. იქ ცუდად დაფარული ღვარძლით შემომხედა და თვალების ბრიალით მითხრა:

«ხვალ დილით პირველი მატარებლით გაემგზავრებით. ეტლი რვის ნახევარზე დაგელოდებათ. ჩემი სურვილია აღარასოდეს ვიხილო თქვენი სიფათი».

პასუხის გასაცემად ენა ვერ მოვიბრუნე, რაღაც წავიბუტბუტე გაურკვევლად, ვითომ მოვუბოდიშე და კვლავ გავიხსენე ჩემი მხურვალე სურვილი, მეგობრის პოვნა მინდა-მეთქი...

«გვეყოფა ამაზე მსჯელობა, - მკვახედ მიპასუხა ემსუორდმა, - თქვენ ყოვლად უმსგავსად გეჭირათ თავი, სერ. გაუგონარი თავხედობა გამოიჩინეთ, თქვენთვის ნაკლებად ცნობილ ადამიანთა ცხოვრებაში რომ შემოიჭერით. ჩემი შვილის ბედისათვის თქვენი მეტიჩრული თავგამოდებით ბევრი უსიამოვნება მოგვაყენეთ მე და ჩემს მეუღლეს. გარდა ამისა, თქვენ, სტუმარი, ისე იქცეოდით ჩემს სახლში, როგორც ჯაშუში. მეტი რაღა გინდათ?»

აქ ნერვებმა მიმტყუნა, მისტერ ჰოლმს, და მეც მკაცრი კილოთი ვუპასუხე:

«მისტერ ემსუორდ, მე ვნახე აქ გოდფრი, ამ პარკში. მეტიც, მე ვიცი, რომ ის კაცი ძალადობის მსხვერპლია. მე არ ვიცი, რისთვის უმალავთ ხალხის თვალს თქვენს შვილს, მაგრამ იცოდეთ: ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ გოდფრის საფრთხე არ ემუქრება, მთელი ჩემი ძალ-ღონით შევეცდები ამოვხსნა ის საიდუმლოება, რომლითაც არის გარემოსილი ჩემი მეგობარი, რაც არ უნდა მითხრათ თქვენ და რაც არ უნდა გააკეთოთ».

მოხუცმა შემომიღრინა და მუქარით გამოიწია. ერთი თვალის დახამხამებაც და დამარტყამს კიდეც-მეთქი, გავიფიქრე. პოლკოვნიკი ნამდვილი ბუმბერაზი იყო, გამხდარი, ძარღვმაგარი, და მე უნებურად გავიფიქრე, რომ ამ კაცთან გამკლავება ადვილი საქმე არ იქნებოდა. ერთ ხანს თავისი წვრილი ფოლადისებრი თვალებით შემომცქეროდა და გაჯავრებული მიბღვერდა, მერე ქუსლებზე მოწყვეტით შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

რაღა თქმა უნდა, ტაქსბერგის პარკიდან იმავე დილით მომიხდა წასვლა, და აგერ თქვენ წინა ვარ, მისტერ ჰოლმს, იმ იმედით, რომ დამეხმარებით იმ საქმეში, რაც ამაჯამად ქვეყნად ყველაზე მეტად მაღელვებს.

ასეთი იყო ფაქტები, ჯეიმს დოდმა რომ გადმომიშალა.

გამჭრიახი მკითხველი ალბათ უკვე მიხვდებოდა, რომ იმ პრობლემის გადაწყვეტა დიდ სიძნელეს არ შეადგენდა, რადგან ლოგიკური გადაწყვეტილების ვარიანტების რიცხვი მეტად შეზღუდული იყო. ამის მიუხედავად ეს, ერთი შეხედვით, ელემენტარული ამოცანა შეიცავდა არცთუ ისე უმნიშვნელო მომენტებსა და მოულოდნელ ხრიკებს, რომელთაც მაიძულეს მისი აღწერა.

გადავწყვიტე გამომეყენებინა ჩემი ჩვეულებრივი ნაცადი მეთოდი ლოგიკური ანალიზისა და უწინარეს ყოვლისა მიმეცა სტუმრისათვის რამდენიმე კითხვა.

- რამდენი მსახურია სახლში?

- რამდენადაც გავიგე, მხოლოდ ორი: რალფი და მისი ცოლი. ემსუორდების ოჯახი მეტად ხელმოკლედ ცხოვრობს.

- მაშასადამე, ფანჩატურს არავინ ემსახურება?

- ჩანს, არავინ, თუ წვეროსანს არ ჩავთვლით. თუმცა, ის მსახურს არა ჰგავს.

- ხომ არ შეგინიშნავთ, რა გზით მიაქვთ საკვები მის სამყოფელში, ან ვის მიაქვს?

- ერთხელ დავინახე, რალფი მიდიოდა პარკში, კალათი მიჰქონდა, მაგრამ მაშინ ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია.

- გარეუბნებში ხომ არ გიცდიათ რაიმე ცნობების შეგროვება?

- კი, როგორ არა. ვესაუბრე სადგურის უფროსსა და სოფლის სასტუმროს პატრონს. ორივე ერთხმად მიმტკიცებდა, ახალგაზრდა ემსუორდი შინ ცოტა ხანს დარჩა, შემდეგ კი სამოგზაუროდ წავიდაო. ეს ვერსია, ეტყობა, არავითარ ეჭვს არ იწვევს გარეუბნის მცხოვრებთა შორის.

- არავისთვის არაფერი გითქვამთ თქვენს ეჭვებზე?

- რა თქმა უნდა, არა.

- და სწორადაც მოქცეულხართ. ჰო, მაშ ასე, მისტერ დოდ, თქვენი ამბავი ღირს იმად, რომ კაცმა სერიოზულად მოჰკიდოს ხელი.

იმ დროს სწორედ ორ სხვა საქმეს ვამთავრებდი. ერთი მათგანი აღწერილი აქვს ჩემს მეგობარს უოტსონს სახელწოდებით «სასულიერო სკოლა». მეორე დაკავშირებულია თურქეთის სულთანის დავალებასთან. ეს იყო მეტად სასწრაფო და საკირკიტო საქმე, რადგან დაგვიანებას შეიძლებოდა არასასიამოვნო შედეგები მოჰყოლოდა. ამიტომ მხოლოდ მომდევნო კვირას მოვახერხე ხელი მომეკიდა გოდფრი ემსუორდის საიდუმლოდ გაქრობის საქმისათვის.

ჩვენ სამნი წავედით ბედფორდში: მისტერ დოდი, თქვენ მორჩილი მონა და კიდევ ერთი სიტყვაძუნწი, მკაცრი იერის ჯენტლმენი, რომლის შესახებაც ჩემს კლიენტს შემდეგი ვუთხარი:

- ეს ჩემი ძველი ნაცნობია. შეიძლება დაგვჭირდეს მისი დახმარება, შეიძლება - არა. ყველაფერი ადგილზე გაირკვევა.

უოტსონის ანგარიშებმა მკითხველი ალბათ მიაჩვიეს ზოგიერთ თავისებურებას. მე არ მიყვარს ზედმეტი სიტყვები, კიდევ უფრო ნაკლებად მიყვარს ჩემი აზრების გადაშლა, ვიდე ამა თუ იმ დახლართულ საქმეზე ვფიქრობ ხოლმე.

დოდი გაკვირვებული იყო, მაგრამ დუმდა. და ჩვენ სამნი გავემგზავრეთ. მატარებელში ჩემს კლიენტს რამდენიმე კითხვა მივეცი, მათი პასუხი გათვალისწინებული მქონდა ჩვენი სიტყვაძვირი თანამგზავრისათვის.

- თქვენ სრულიად დარწმუნებული ხართ, იმ ღამეს თქვენი მეგობრის სახე დაინახეთ ფანჯრიდან?

- ამაში არავითარი ეჭვი არ მეპარება.

- მაგრამ თქვენ ხომ თქვით, გოდფრი ძლიერ გამოცვლილაო?

- გამოცვლილი ჰქონდა მხოლოდ სახის ფერი: უჩვეულოდ ფერწასული იყო, მკვდრის ფერი ედო, თითქოს თეთრი საღებავი წაეცხოთ.

- ხომ არ გახსოვთ, მთელი სახე ჰქონდა დაფარული ამ უცნაური თეთრი ფერით, თუ მხოლოდ მისი ნაწილი?

- მგონი, სახის ცალკეული ნაწილები უფრო გამოირჩეოდნენ სითეთრით. მე ყურადღება მივაქციე შუბლს, ფანჯრის მინაზე რომ ჰქონდა მიდებული: თითქოს ზოლები აჩნდა ზედ.

- გამოეხმაურეთ თქვენს მეგობარს?

- მეტისმეტად აღელვებული ვიყავი. როგორც მოგეხსენებათ, დავედევნე განცვიფრებული, მაგრამ ვერ ვიპოვე.

შემთხვევა ჩემთვის თითქმის უკვე ნათელი იყო. რჩებოდა ერთი დეტალი, რაც ადგილზე უნდა გარკვეულიყო.

ბოლოს მივაღწიეთ უცნაურ შენობას, რომელიც ჩემმა კლიენტმა ამიწერა. ჩვენი სიტყვაძვირი თანამგზავრი ეტლში დარჩა.

მე და დოდმა სადარბაზო შესასვლელში დავრეკეთ. კარი მოხუცმა რალფმა გაგვიღო. მას ლივრეი ეცვა. ვთხოვეთ შეეტყობინებინა მასპინძლისათვის ჩვენი მოსვლა. თვალში მეცა ის ამბავი, რომ მოხუც მსახურს ხელებზე მძიმე ტყავის ხელთათმანი ეცვა. როგორც კი დაგვინახა, გაიხადა და აჩქარებით დადო პატარა მაგიდაზე, ჰოლში.

არ ვიცი, აღნიშნა თუ არა თავის ჩანაწერებში ჩემმა მეგობარმა უოტსონმა, რომ ბუნებით მეტისმეტად განვითარებული ჰნოსვა მაქვს. მაშინვე ვიგრძენი სუსტი, მაგრამ რაღაც სუნი, რომელიც იმ მაგიდიდან მოდიოდა, სადაც ხელთათმანი ეწყო. სწრაფად მივედი პატარა მაგიდასთან და დავიხარე, ვითომდა ფეხსაცმლის გახსნილი ზონრის შესაკრავად. დიახ, უდავო იყო, სუნი ხელთათმანს ასდიოდა. ამ დეტალმა საბოლოოდ გადაჭრა საკითხი.

სამწუხაროდ, დროზე ადრე მიხდება საიდუმლოს გამხელა. აქ ხომ თვითონვე მოგითხრობთ საკუთარ საქმეს. იმ შემთხვევაში, როცა ამას უოტსონი აკეთებს, მე ვახერხებ თვითონ მის მოქცევას გაურკვეველ მდგომარეობაში საქმის დაბოლოებამდე.

დაბრუნებულმა რალფმა კაბინეტში მიგვიწვია, სადაც დიდხანს არ მოგვიხდა მარტო დარჩენა, მოისმა მძიმე, აჩქარებული ნაბიჯის ხმა და ოთახში სახლის უფროსი შემოვიდა.

სახე ბრაზისაგან დაღრეჯოდა, თვალები ცეცხლივით უბრიალებდა. ხელში ჩვენი სადარბაზო ბარათები ეჭირა. როგორც კი შემოგვხედა, ბარათები დაფლითა და ნაკუწები ფეხით გათელა.

- აკი გითხარით, რომ ამ სახლიდან დათხოვნილი ხართ, ღვთისგან დაწყევლილო? - მიმართა ღრენით მისტერ დოდს. - იცოდეთ, თუ კიდევ გამოჩენილხართ ამ არემარეზე, ძაღლივით ჩაგკლავთ. ვფიცავ, ამას გავაკეთებ. რაც შეგეხებათ თქვენ, სერ, - მომიბრუნდა მე. - რაც აქ ითქვა, თქვენც გეხებათ. ვიცი, რა საქმიანობასაც ეწევით. შეგიძლიათ გამოიჩინოთ თქვენი ნიჭი, სადაც გნებავთ, ოღონდ აქ, ჩემს კარ-მიდამოში კი არა.

- მე მაინც არ დავტოვებ თქვენს სახლს, - მტკიცედ მიუგო დოდმა, - ვიდრე გოდფრის პირით არ მოვისმენ, რომ აქ იმყოფება თავისი სურვილით და არა იძულებით.

პასუხის ნაცვლად ემსუორდმა გაშმაგებით დააწკარუნა ზარი.

- რალფ, მიმართა შემოსულ მსახურს, - დარეკეთ პოლიციაში და სთხოვეთ ორი კონსტებლი გამოგზავნონ. უთხარით, რომ სახლში მძარცველები შემომეჭრნენ.

- ერთი წუთით მოიცადეთ, - ჩავერიე მე, - მისტერ დოდ, ერთ რამეში პოლკოვნიკი ემსუორდი სრულიად მართალია. მისი სურვილის წინააღმდეგ აქ ერთი წუთით ყოფნის უფლებაც არა გვაქვს. მეორე მხრით, ჩვენმა პატივცემულმა მასპინძელმა უნდა გაიგოს, რომ ჩვენი აქ ყოფნა მხოლოდ და მხოლოდ მისი შვილის კეთილდღეობის სურვილთანაა ნაკარნახევი. მე ვფიქრობ, რომ თუ პოლკოვნიკი რამდენიმე წუთს მაჩუქებს მასთან საუბრისათვის, მისი შეხედულება ამ საკითხზე შეიცვლება.

- თქვენ სასტიკად ცდებით! - შესძახა პოლკოვნიკმა და თვალები მრისხანედ დამიბრიალა. - მე არასოდეს არ ვიცვლი შეხედულებებს. რალფ, გააკეთეთ ის, რაც გიბრძანეთ! რა ეშმაკს უცდით, დარეკეთ პოლიციაში!

- დარწმუნებული ვარ, სწორედ ამის გაკეთება არ ივარგებს, - ვუთხარი მე და რალფს კართან გადავეღობე. - პოლიციის ჩარევა თქვენ სარგებლობას არ მოგიტანთ, მისტერ ემსუორდ.

ამ სიტყვებზე ბლოკნოტიდან ფურცელი ამოვხიე, ორი სიტყვა დავწერე და ვაჩვენე.

- აი, რამ მოგვიყვანა აქ, - დავუმატე მე.

ჩემი ნაწერი რომ წაიკითხა, პოლკოვნიკი ჯერ კიბორჩხალასავით გაწითლდა, მერე კი საფეთქლებში მოწოლილი სისხლი უკანვე მიაწყდა.

- ეს საიდან იცით? - წაიჩურჩულა სულშეხუთულმა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

- ყველაფრის ცოდნა, - ასეთია ჩემი პროფესია, - მშვიდად ვუპასუხე მე.

ერთი წუთით პოლკოვნიკი გაირინდა, ალბათ ფიქრობდა, თანაც ნერვიულად იწიწკნიდა წვერს. ბოლოს ამოიოხრა და თქვა:

- რა გაეწყობა, რაკი ასე გსურთ გოდფრისთან შეხვედრა, მოგცემთ ამის საშუალებას, მაგრამ გახსოვდეთ, ეს არ მინდოდა.

უსიტყვოდ მივყევით მასპინძელს. ხეივნის ბოლომდე მივედით და სწორედ იმ საიდუმლოებით მოცულ ფანჩატურთან შევჩერდით, რომელზეც დოდმა მიამბო.

- რალფ, - მიმართა პოლკოვნიკმა მსახურს, რომელიც უკან მოგვყვებოდა, - წადით, გააფრთხილეთ მისტერ გოდფრი, რომ უნდა ვინახულოთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ საშუალო ტანის სქელწვერა კაცი გამოვიდა. უკიდურესი გაოცება აღბეჭდილიყო მის სახეზე.

- არ ველოდი თქვენს ვიზიტს, პოლკოვნიკო ემსუორდ, - წამოიძახა კაცმა. - მეშინია, რომ ეს ჩვენს გეგმებს ხელს შეუშლის.

- ვერაფერს გავხდი, მისტერ კენტ, - უგუნებოდ მიუგო პოლკოვნიკმა. - იძულებული გავხდი ეს ნაბიჯი გადამედგა. შეუძლია მისტერ გოდფრის ჩვენი მიღება?

- კი, რა თქმა უნდა, გელოდებათ.

ამ სიტყვებზე კენტი შებრუნდა სახლში და შეგვიპატიჟა. დიდ, ფართო ოთახში შევედით. ბუხართან, ზურგშექცევით მამაკაც იდგა.

- გოდფრი, ძველო მეგობარო! ძლივს არ გიხილე, - შეჰყვირა დოდმა და მივარდა. მაგრამ გოდფრი სწრაფად გახტა განზე.

- არ შემეხო, ჯიმი. შორს დადექი, მეგობარო. შორიდან შეგიძლია დატკბე ჩემი მზერით. ხომ ვგავარ იმ მამაც კაპრალს - გოდფრი ემსუორდს, კავალერიის ესკადრონის საყვარელ ყმაწვილს?

გოდფრის გარეგნობა მართლაც უჩვეულო იყო. მისი ოდესღაც მშვენიერი, მზედაკრული სწორნაკვთიანი სახე თეთრ ნაშრევებს დაეღარა. შუბლი არაბუნებრივად თეთრი ჰქონდა, ნიკაპი - მუქი, ცხვირის ერთი ნახევარი - თეთრი, მეორე ნახევარი - შავი, რის გამოც კიდევ უფრო შავად მოჩანდა. შეძრწუნებული დოდი გაოცებული მიაჩერდა თავის მეგობარს.

- აი, რატომ არ ვწყალობ ხოლმე მნახველებს, ჯიმი, - კუშტი იერით ჩაილაპარაკა გოდფრიმ. - ჩემი დამახინჯებული გარეგნობა მნახველს ზიზღსა ჰგვრის. ვიცი, ეს შენზე არ ითქმის, ჯიმი, ჩემო ძველო მეგობარო, მაგრამ მაინც მარტოობას ვამჯობინებ.

- გოდფრი, მე კი როგორ მაშინებდა შენი ბედი! მეჩვენებოდა, რომ საფრთხე გემუქრებოდა და უნდა დამეხსენი. პირდაპირ ჭკუას ვკარგავდი...

- რალფისაგან შევიტყვე, რომ აქა ხარ. იცი, რა ძლიერი იყო ეს ცთუნება? გადავწყვიტე, ცალი თვალით მაინც შევხედავ-მეთქი. მაგრამ შენ შემნიშნე. და იძულებული გავხდი, თავქუდმოგლეჯილი გამოვქცეულიყავი ჩემს ბუნაგში.

- ღმერთო, გოდფრი, მერედა რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

- ოჰ, რა გაეწყობა, ყველაფერს გიამბობ, რაც გადამხდა. ეს დაიწყო პრეტორიაში, იმ ბრძოლის შემდეგ, სადაც დავიჭერი.

- ეს გაგონილი მაქვს, მაგრამ დაწვრილებით არაფერი ვიცი.

- ჩვენი სამი მებრძოლი: სიმსონი, ანდერჩენი და მე ჩამოვცილდით ნაწილს და ალყაში მოვხვდით. ორი მოკლეს, მე კი მძიმედ დავიჭერი. როგორც იყო, ცხენზე შეჯდომა მოვახერხე და გავიქეცი, არ ვიცოდი, საით. ვიქროლე, ვიდრე ცნობა არ დავკარგე და ცხენიდან არ გადმოვვარდი.

გონს რომ მოვედი, უკვე ღამე იყო. სისხლისაგან დაცლილი მთლად დაუძლურებული ვიყავი, თანაც ჯოჯოხეთურად ციოდა. გახსოვს ის უჩვეულო სინესტე, ძვალსა და რბილში რომ გვატანდა და სულაც არა ჰგავს ჩვენი მხრის ჯანსაღ, სასიამოვნო ყინვას? მოკლედ, კბილს კბილზე მაცემინებდა და ვგრძნობდი, როგორ მეცლებოდა ძალ-ღონე.

ჩემდა გასაოცრად, უცებ საკმაოდ მოზრდილი სახლი დავინახე, მრავალფანჯრიანი. ვგრძნობდი, სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი იმედი ახლა ისღა იყო, რომ ხოხვით მიმეღწია იმ სახლამდე. მეც იმ თავშესაფარს მივაშურე. მივდიოდი ბარბაცით, ხან ვეცემოდი, ხან ვდგებოდი და ბოლოს, სანახევროდ გრძნობადაკარგულმა, მივაღწიე სახლის აივანს. კარში შევედი, ბუნდოვნად გავარჩიე დიდი ოთახები და რამდენიმე ლოგინი. ერთ-ერთ ლოგინთან მივედი, ცარიელი იყო, ჩავწექი და გრძნობაც დავკარგე...

დილით, გამომეღვიძა თუ ბურანიდან გამოვფხიზლდი, არ ვიცი. სანახაობა, რაც მაშინ თვალწინ დამიდგა, დღემდე მაძრწუნებს.

წარმოიდგინე დიდი ოთახი, მზით გასხივოსნებული, და შიგ ჩამწკრივებული ერთნაირი საწოლები, თეთრ კედლებს შორის ჩემ მახლობლად იდგა არსება, რომელსაც ძნელად თუ უწოდებდი ადამიანს. ეს იყო ჯუჯა, უზარმაზარ თავიანი, თითქოს მხრებზე დაუდგამთ ბურთი და თანაც სრულიად მელოტი. იგი რაღაცაზე გაცხარებული ლაპარაკობდა, მგონი, ჰოლანდიურად და თანაც ძლიერ იქნევდა ხელებს. მე გაოცებული შევყურებდი. ამან, ეტყობა, კიდევ უფრო გააბრაზა, რადგან საშინელი შავი, მრუდე ხელები გამომიწოდა, რომელიც გარეული მხეცის საცეცებს უფრო ჰგავდა.

ლოგინიდან ცოტა მოშორებით ადამიანთა ჯგუფი იდგა და ცნობისმოყვარეობით შემომცქეროდნენ. მათ დანახვაზე გული შიშისაგან გამეყინა.

ესენი იყვნენ შესაბრალისი, დამახინჯებული, გასიებული არსებანი, რომელთაც დაჭმულ-გადაგვარებული კიდურები ჰქონდათ, სახეები კი წყლულებით დაფარული. ყველანი ყაყანებდნენ, ხითხითებდნენ, შემომცქეროდნენ და ისე ხალისიანად იცინოდნენ, რომ მუცელი ხელით ეჭირათ. მათი ჯოჯოხეთური ხარხარი ახლაც ჩამესმის ყურში.

სასტიკმა ჯუჯამ, ალბათ ლოგინის პატრონმა, თავისი საზარელი საცეცები ჩამავლო მხრებში. ჩვენს შორის ბრძოლა გაიმართა. ჩემი ჭრილობიდან სისხლმა ითქრიალა. მაგრამ ჩემი მტანჯველი ამან ვერ შეაჩერა. ძალთა უპირატესობა აშკარად მის მხარეზე იყო. უცებ რეტი დამესხა და გრძნობა დავკარგე.

გონს მეორე ოთახში მოვედი. ჩემს გვერდით ვეღარც ჯუჯა დავინახე, ვეღარც ის საფრთხობელები. ფანჯარასთან იდგა ხნიერი, ჩემთვის უცნობი ადამიანი. როცა დაინახა, რომ გონს მოვედი, მომიბრუნდა:

«თავს როგორა გრძნობთ? ახლავე შეგიხვევთ ჭრილობას».

«სადა ვარ, ექიმო?» - სუსტი ხმით ვკითხე მე.

ექიმს სახე მოეღრუბლა.

«ჯობს, არ იკითხოთ, ახალგაზრდავ. თქვენს ჭრილობებს განვკურნავთ, მაგრამ აქ ბევრად უფრო დიდი საფრთხე გემუქრებათ, ვიდრე ბრძოლის ველზე. თქვენ კეთროვანთა თავშესაფარში მოხვდით. ბედშავნი, რომლებიც დილას ნახეთ, კეთროვნები არიან».

ელდანაკრავმა დავიკვნესე.

«მაშ ეს ღამე კეთროვნის ლოგინში გავატარე?» - ჩურჩულით ვთქვი შეძრწუნებულმა.

«დიახ, უაღრესად სარისკო საქციელია, - დამიდასტურა ექიმმა. - მე კეთრისაგან შეუვალად ვთვლი თავს, მაგრამ ასეთ ნაბიჯს ვერც მე გადავდგამდი».

ყველაფერი გათავებული იყო, ჯიმი. განწირული ვიყავი სასიცოცხლოდ, რომელსაც სიკვდილი ჯობდა. და მაინც, მას შემდეგ, რაც პრეტორიის ჰოსპიტალში მიმიყვანეს, სულ სასწაულის იმედი მქონდა: იქნებ გადავურჩე სენს-მეთქი? - მეათასედ ვეკითხებოდი თავს. ჰოსპიტლიდან რომ გამოვეწერე, შინ წამოვედი. აქ კი ვნახე, რომ საზარელი სნეულების ნიშნებმა ჩემს სახეზე უკვე იჩინეს თავი. მშობლებს ყველაფერი ვუამბე. ერთადერთი გამოსავალი იყო ხმების დაყრა, ვითომ ხანგრძლივ მოგზაურობაში ვიყავი წასული, თვითონ კი აქვე დავსახლდი, სახლის მახლობლად, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, იმ იმედით, რომ არ გასცემდა ჩემს საიდუმლოებას. სხვა შემთხვევაში მე თავს მიკრავდნენ ლეპროზორიუმში, სადაც სიცოცხლის დასასრულამდე უნდა დამეყო ჩემებრ უბედურ ადამიანთა შორის. კაციშვილისათვის არ შეიძლებოდა ამ საიდუმლოს განდობა. არც შენთვის, ჯიმი, ჩემო მეგობარო. ვიცოდი; ჩემი დაშორება შენთვის მძიმე იქნებოდა, მაგრამ რა უნდა მექნა? აი, მთელი ჩემი თავგადასავალი.

გოდფრი დადუმდა. მე დავინახე, რაოდენ შეაძრწუნა დოდი მეგობრის მონათხრობმა. იჯდა წელში მოხრილი და თავი ხელებში ჩაერგო.

- ჩემი ბრალი არ არის, რომ ამ ადამიანებმა ჩვენს საიდუმლოებას მიაკვლიეს, - ამეტყველდა გოდფრის მამა. - აი, ეს კაცი, - და ჩემზე მოუთითა, - ყველაფერს მიხვდა. მაშინ გადავწყვიტე, მისთვის ყველაფერი გამენდო.

- სწორედ მოიქეცით, პოლკოვნიკო, - ვუპასუხე მე. - შეიძლება ჩემი ჩარევა სასარგებლო გამოდგეს. მითხარით, - მივუბრუნდი მე კენტს, - თქვენ ხომ ასეთ დაავადებათა სპეციალისტი ხართ?

- მე ამ დარგში იმდენივე ცოდნა მაქვს, რამდენიც ყოველ განათლებულ ექიმს, - ცივად მიპასუხა მკურნალმა.

- ეჭვი არ მეპარება თქვენს კომპეტენტურობაში, ექიმო, - არ დავაყოვნე პასუხი. - მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კიდევ ერთი სპეციალისტის კონსულტაცია. ვფიქრობ, მისტერ გოდფრი არც ერთ სხვა ექიმისთვის არ გიჩვენებიათ, რადგან გეშინოდათ საიდუმლოს გაცემისა.

მისტერ ემსუორდმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

- ეს გავითვალისწინე, - განვაგრძე მე. - ეტლში იმყოფება ჩემი ძველი ნაცნობი სერ ჯეიმს სონდერსი, ამგვარ დაავადებათა ცნობილი სპეციალისტი. ვფიქრობ, სერ ჯეიმსსაც ვთხოვოთ, გასინჯოს ეს ავადმყოფი და გვითხრას თავისი აზრი.

- ვის არ სმენია სახელოვანი პროფესორის სონდერსის სახელი! - შესძახა გაწითლებულმა დოქტორმა კენტმა. - სიამოვნებით გავეცნობოდი ასეთ შესანიშნავ ექიმს.

- მაშინ ვთხოვოთ სერ ჯეიმსს, მობრძანდეს, - განვაგრძე მე, - და...

მაგრამ პოლკოვნიკმა შემაწყვეტინა.

- ჩვენ კი გადავიდეთ ჩემს კაბინეტში, სადაც, იმედი მაქვს, მისტერ ძოლმსი აგვიხსნის, რანაირად ახადა ფარდა ჩვენს საიდუმლოებას.

აქ კი მივხვდი, როგორ მაკლდა თვალში ერთგული უოტსონი. მაგრამ სამწუხაროდ ჩემი მეგობარი ჩემთან აღარ იყო. ამიტომ თვითონ მომიხდა სიტყვით გამოსვლა პატარა აუდიტორიაში, რომელსაც გოდფრის დედაც შემოემატა.

- მე ჩვეულებრივ იქიდან ვიწყებ, რომ გამოვრიცხავ ხოლმე ყველაფერს, რაც შეუძლებელია, - დავიწყე ისევ. - ის, რაც რჩება, სიმართლე უნდა იყოს, რარიგ შეუძლებელიც არ უნდა ჩანდეს. ამასთან ყოველი დარჩენილი ვარიანტი ფრთხილად უნდა გავარჩიოთ და შევამოწმოთ.

იგივე პრინციპი გამოვიყენე ამ სამწუხარო ამბავშიაც. შესაძლებლად მივიჩნიე სამგვარი ახსნა ამ უცნაური შემთხვევისა, რაც მისტერმა დოდმა მიამბო. რისთვის უნდა ჰყოლოდათ ახალგაზრდა კაცი კარჩაკეტილი და მთელი გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი?

უპირველეს ყოვლისა, რაღაც დანაშაულში უნდა ყოფილიყო ჩათრეული. მეორე შესაძლებლობა იყო ის, რომ საქმე შეშლილთან გვქონოდა და მშობლებს არ სურდათ მისი მოთავსება საგიჟეთში.

დაბოლოს, მესამე. ახალგაზრდა კაცი შეპყრობილია სენით, რაც სრულ იზოლაციას მოითხოვს. სამივე შესაძლებლობა ერთნაირად მოსალოდნელი იყო და ყველა მოითხოვდა გულმოდგინედ შემოწმებას.

დანაშაულის ვარიანტი სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჯერ ერთი, არავითარი დანაშაულის ამბავი არა მსმენია, ამ არემარეზე რომ ვინმეს ჩაედინოს. მეორეც, ასეთ შემთხვევაში გოდფრის მშობლები შეეცდებოდნენ სადმე შორს გაეგზავნათ შვილი და არა აქვე ყურისძირში ჰყოლოდათ.

სიგიჟის ვარიანტი უფრო დამაჯერებელი ჩანდა. ამაზე მეტყველებდა ის გარემოება, რომ ახალგაზრდა კაცი ვიღაცის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ალბათ ექიმისა. გასხოვთ, მისტერ დოდ, მე რომ გკითხეთ, რას კითხულობდა-მეთქი თქვენს მეგობართან მყოფი კაცი? იმედი მქონდა, რომ მის ხელში სამედიცინო ჟურნალს ნახავდით.

მაგრამ ამ ვარიანტის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ შემდეგი ფაქტები. ახალგაზრდა ემსუორდი რომ გიჟი ყოფილიყო, ძნელად თუ ექნებოდა ასეთი თავისუფლება, რომ პარკში ევლო, თუნდაც ღამით. ამას გარდა, რატომ იყო ყველაფერი მის გარშემო ასეთი საიდუმლოებით მოცული? ბოლოს და ბოლოს, არაფერი კანონის საწინააღმდეგო არ არის იმაში, რომ სულით ავადმყოფი კარგი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს პავილიონში. არა, არც სიგიჟის თეორია ვარგოდა.

ამრიგად, რჩებოდა მესამე ვარიანტი, მართალია, ყველაზე უფრო დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტებით ყველაზე უკეთ დადასტურებული.

ახალგაზრდა კაცი სამხრეთ აფრიკაში იბრძოდა. კეთრი იმ ადგილებში ხშირი დაავადება გახლავთ. როგორ მოიქცეოდნენ მოყვარული მშობლები, თუ მათი შვილი ამ საშინელი სენით დაავადდებოდა?

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იქნებოდა, სასტიკი საიდუმლოებით დაცვა სნეულის ადგილსამყოფელისა. კანონის თანახმად კეთროვანი დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს ლეპროზორიუმში. ამიტომ ახალგაზრდა ემსუორდი მშობლებმა საკმაოდ დაფარულ ადგილზე მოათავსეს, რომ გარეთ სამყაროსთან კავშირი არ ჰქონოდა. ბოლოს, მას მიუჩინეს საიმედო კაცი, ალბათ ექიმი...

ასეთ შემთხვევაში გასაგებია სახის საოცარი გათეთრებაც - საშინელი სენის ჩვეულებრივი შედეგი, აგრეთვე სნეულის სეირნობა ღამით და ბევრი სხვა ფაქტი.

გადავწყვიტე ისე მემოქმედა, თითქოს ეს მესამე თეორია სავსებით დადასტურებული ყოფილიყო. მამულში რომ ჩამოვედით, მე შევნიშნე კიდევ ერთი დეტალი, რამაც ყველა ეჭვი გამიფანტა. რალფი, რომელიც პავილიონში საჭმელს ეზიდება, ტყავის ხელთათმანებს იცვამს. კარი რომ გაგვიღო, ეს ხელთათმანი ეცვა. ჩემი მახვილი ყნოსვით მივხვდი, რომ ხელთათმანები სადეზინფექციო ნივთიერებით იყო გაჟღენთილი.

ამ ადგილას ჩემი თხრობა სერ ჯეიმსის მოსვლამ შეწყვიტა. სახელოვანი დოქტორის ჩვეულებისამებრ პირქუშ სახეს მსუბუქი ღიმილი დასთამაშებდა. სწრაფად მიუახლოვდა მისის ემსუორდს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

- უფრო ხშირად მუდამ უბედურების მაუწყებელი ვიყავი ხოლმე, - მოგვიბრუნდა ყველას სერ ჯეიმსი. - მაგრამ დღეს შემიძლია გაგახაროთ, ბატონებო. ეჭვიც არ შეგეპაროთ... გოდფრი ემსუორდს არავითარი კეთრი არა სჭირს. ო, ვხედავ, დედამისი განცვიფრებულია ასეთი სასიამოვნო ახალი ამბით. ექიმო კენტი, მიხედეთ, გეთაყვა, მისის ემსუორდს. მაშ ასე, - განაგრძო სერ ჯეიმსმა. - კანის გათეთრება მართლაც ხშირი შედეგია კეთრისა. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაავადებასთან, რაც კანის არასწორ პიგმენტაციას იწვევს და რასაც ფსევდოკეთრი ეწოდება. ეს შეუპოვარი და ძნელად განსაკურნავი სნეულებაა, მაგრამ სულაც არაა ინფექციური, და არაფერი აქვს საერთო კეთრთან. საინტერესოა, რომ ამ დაავადებათა სიმპტომები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, ხოლო დაავადების მიზეზები უცნობია. არ არის გამორიცხული, რომ აქ დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთაც ჯერ კიდევ ნაკლებად ვიცნობთ. შესაძლებელია, ფსიქიურმა ტრავმამ, უსაზღვრო დაძაბულობამ და შიშმა, რაც განიცადა ახალგაზრდა კაცმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმ მომენტიდან, რაც კეთროვანთა შორის მოხვდა, ბოლოს და ბოლოს გამოიწვია სხეულის ცვლილება, მსგავსი იმისა, რისიც ავადმყოფს ეშინოდა. მაგრამ მე ვხედავ, - დასძინა სერ ჯეიმსმა, - რომ მისის ემსუორდი უკვე გონს მოდის. რა კარგია, რომ ბედნიერებისაგან ადამიანები არა კვდებიან!

ექვსი ნაპოლეონი

სკოტლენდიარდელი მაძებარი, მისტერ ლესტრეიდი, საღამოობით ჩვენი ხშირი სტუმარი იყო. შერლოკ ჰოლმსს სიამოვნებდა ხოლმე მისი მოსვლა. იგი ჩვენთვის იქცა პოლიციაში მომხდარი ყოველნაირი ამბების მაცნედ, რასაც ჰოლმსი დიდად უმადლიდა. ჩემი მეგობარი გულისყურითა და სიამოვნებით ისმენდა ლესტრეიდის მოთხრობებს იმ საქმეებზე, რომლებიც დავალებული ჰქონდა მაძებარს და თან თითქოს უნებურად აძლევდა რჩევა-დარიგებებს, თავისი გამოცდილებისა და ფართო ცოდნის საგანძურიდან.

ერთ საღამოს ლესტრეიდი მხოლოდ ამინდსა და საგაზეთო ცნობებზე ლაპარაკობდა. მერე უეცრად გაჩუმდა და ჩაფიქრებულმა სიგარა დაფერფლა. ჰოლმსი დაჟინებით დააცქერდა:

- ჩემთვის რაიმე საინტერესო საქმე ხომ არა გაქვთ?

- არა, მისტერ ჰოლმს, საინტერესო არაფერი მომხდარა.

- მაინც მომიყევით.

ლესტრეიდმა გაიცინა:

- თქვენ ხომ კაცი ვერაფერს დაგიმალავთ, მისტერ ჰოლმს. მართლაც, მაქვს შენიშნული ერთი შემთხვევა, მაგრამ ისე უმნიშვნელო, რომ თქვენი შეწუხება არ მინდოდა, თუმცა ერთი შეხედვით უბრალო და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ საკმაოდ უცნაური კია და მე ვიცი, უცნაური და უჩვეულო ყველაფერი გიზიდავთ. სიმართლე რომ ითქვას, ამ საქმემ უფრო დოქტორი უოტსონი უნდა დააინტერესოს, ვიდრე მე და თქვენ.

- ავადმყოფობაა? - ვკითხე მე.

- სიგიჟე. თანაც საკმაოდ უცნაური სიგიჟე. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანს, რომელიც ჩვენს საუკუნეში ცხოვრობს, იმდენად სძულდეს იმპერატორი ნაპოლეონ პირველი, რომ ანადგურებდეს მის ყველა გამოსახულებას, რაც კი ხელთ მოხვდება.

ჰოლმსი სავაოძლის საზურგეს მიეჰრდნო:

- ეს ჩემი საქმე არ არის.

- აი, აკი გეუბნებოდით. მაგრამ ის ადამიანი არ ერიდება ქურდობას, სახლებს ტეხს და ანადგურებს ნაპოლეონის იმ გამოსახულებათ, რომლებიც ეკუთვნიან არა მას, არამედ სხვებს.

ჰოლმსი წელში გაიმართა:

- სახლებს ტეხს და ძარცვავს? ეს ძალიან საინტერესო ამბავია. ბარემ ამ საქმის ყოველივე წვრილმანი კუნჭულებიც გამაცანით.

ლესტრეიდმა სამსახურის საქმეთათვის განკუთვნილი უბის წიგნაკი გადაფურცლა, რათა მეხსიერებაში ყოველი წვრილმანი აღედგინა.

- პირველ შემთხვევაზე ამ ოთხი დღის წინ შეგვატყობინეს, - თქვა მან, - ეს ამბავი მოხდა მორზ ჰადსონის დუქანში. ჰადსონი სურათებითა და ქანდაკებებით ვაჭრობს კენინგტონროუდში. ნოქარი ერთი წუთით გავიდა მაღაზიიდან და უეცრად რაღაც ჭახანი შემოესმა. უკან შებრუნდა თუ არა, ნახა, რომ ხელოვნების სხვა ნაწარმოებებთან ერთად დახლზე მდგარი ნაპოლეონის თაბაშირის ბიუსტი ნამსხვრევებად ქცეული ეყარა იატაკზე. ნობარი ქუჩაში გაიჭრა, და, თუმცა გამვლელები ამტკიცებდნენ, ამ წუთში დუქნიდან ვიღაც კაცი გამოვარდაო, უცნობი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გაიგო. ეტყობა, ესეც ერთი ისეთი უაზრო ხულიგნობაა, რომლის მსგავსიც დროდადრო ხდება ხოლმე... ასეც მოახსენეს ადგილზე მისულ კონსტებლს. ნაპოლეონის თაბაშირის ბიუსტი სულ რამდენიმე შილინგი ფასობს, და მთელი საქმე ისე წვრილმანი ჩანდა, რომ ძიების წარმოებად არა ღირდა.

ახალი შემთხვევა კი უფრო სერიოზულია და თან არა ნაკლებ უცნაური. ეს წუხელ ღამით მოხდა. კენინგტონროუდში, მორზ ჰადსონის დუქნიდან სულ რამდენსამე ასეულ ნაბიჯზე, ცხოვრობს ცნობილი ექიმი, დოქტორი ბარნიკოტი, რომელსაც თემზის სამხრეთ ნაპირზე კარგა გვარიანი პრაქტიკა აქვს. დოქტორი ბარნიკოტი ნაპოლეონის მხურვალე თაყვანისმცემელია. მთელი სახლი საფრანგეთის იმპერატორის წიგნებით, სურათებითა და რელიქვიებით აქვს გამოჭედილი. ამას წინათ მორზ ჰადსონთან შეუძენია ფრანგი მოქანდაკე დევინის მიერ თაბაშირისაგან ჩამოსხმული ნაპოლეონის თავის ორი ერთნაირი ასლი. ერთი თავის ბინაში დაუდგამს, კენინგიონროუდზე, მეორე კი ლაუერ-ბრიქსტონროუდზე მდებარე ქირურგიულ კაბინეტში ბუხრის თავზე. დღეს დილით შინ დაბრუნებულ დოქტორ ბარნიკოტს უნახავს, რომ ღამით მისი სახლი გაუძარცვავთ, ოღონდ არაფერი არ წაუღიათ გარდა თაბაშირის ბიუსტისა, შესასვლელში რომ ედგა. მძარცველს

გაუტაცნია ბიუსტი და ბაღის მესერზე დაუმსხვრევია. დილით ღობის ძირას ნამსხვრევთა ზვინი უპოვიათ.

ჰოლმსმა ხელები მოიფშვნიტა.

- შემთხვევა მართლაც არაჩვეულებრივია! - თქვა მან.

- დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს შემთხვევა დაგაინტერესებდათ. მაგრამ ჯერ არ დამისრულებია. დოქტორი ბარნიკოტი თორმეტ საათზე მისულა ქირურგიულ განყოფილებაში, და წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა ქირურგიული კაბინეტის ფანჯარა ღიად დახვედრია და მთელი იატაკი ნაპოლეონის მეორე ბიუტის ნამსხვრევებით მოფენილი უნახავს. ქანდაკება ვიღაცის მსახვრალ ხელს სულ ნაცარტუტად უქცევია. ორივე შემთხვევა გულდასმით გამოვიკვლიეთ, მაგრამ დამნაშავის ვინაობა ვერ დავადგინეთ... გიჟი თუ, ასეთ საქმეებს როგორ სჩადის. მისტერ ჰოლმს, ყოველივე წვრილმანი ამ საქმის გარშემო, რაც გიამბეთ, ესაა.

- ორიგინალური და თან უჩვეულო ფაქტებია, - თქვა ჰოლმსმა. - საინტერესოა, დაადგინეთ თუ არა, რა მსგავსებაა დოქტორ ბარნიკოტსა და ქირურგიულ განყოფილებაში დამსხვრეულ ბიუსტებსა და მორზ ჰადსონის დუქანში გატეხილ ნეპოლეონის ბიუსტს შორის.

- ისინი ერთ ყალიბშია ჩამოსხმული.

- მაშასადამე, უაზრობაა იმის მტკიცება, თითქოს კაცს, რომელმაც ეს ბიუსტები დაამსხვრია, ნაპოლეონის სიძულვილი ამოქმედებდეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ლონდონში დიდი იმპერატორის გამომსახველი რამდენიმე ათასი ბიუსტია, ძნელი წარმოსადგენია, რომ უცნობ ფანატიკოსს შემთხვევით დაეწყო ეს უცნაური თამაში და სამი სრულიად ერთნაირი ბიუსტი გაენადგურებინა.

- ეს მეც ვიფიქრე, - თქვა ლესტრეიდმა. - თქვენ რას ფიქრობთ, დოქტორ უოტსონ?

- სულიერი აშლილობა უსაზღვროდ ნაირსახოვანია, - ვუპასუხე მაძებარს. - არსებობს მოვლენები, რომელთაც თანამედროვე ფსიქოლოგები უწოდებენ «აკვიატებულ იდეებს». ეს იდეა შეიძლება იყოს სრულიად უმნიშვნელო, და ამით შეპყრობილი ადამიანი ყველა სხვა ურთიერთობაში სრულიად ნორმალური გახლდეთ. დავუშვათ, რომ მანიაკმა ადამიანმა მეტისმეტად ბევრი რამ წაიკითხა ნაპოლეონზე, ან შეიტყო რაიმე წყენის ამბავი, მის წინაპრებს რომ ნაპოლეონის ომების დროს მიაყენეს. ასე შეიქმნება «აკვიატებული იდეა», და მისი ზეგავლენით გამომუშავდება უნარი უაღრესად ფანტასტიკური ოინების ჩასადენად.

- თქვენი თეორია ჩვენთვის გამოუსადეგარია, ჩემო საყვარელო უოტსონ, - მითხრა თავის ქნევით ჰოლმსმა, - რადგან ვერავითარი «აკვიატებული იდეა» ვერ უკარნახებდა იმ უცნაურ მანიაკს, რომელზეც ლესტრეიდმა მოგვითხრო, თუ სად და ვის ბინებში უნდა ეძებნა ნაპოლეონის ბიუსტები.

- თვითონ როგორღა ხსნით ამ ამბავს?

- მე არცა ვცდილობ კვანძის წინასწარ გამოხსნას. მე მხოლოდ ვხედავ, რომ ამ ჯენტლმენის უცნაურ საქციელში არის რაღაც სისტემა.

შემდგომ მოვლენები უფრო სწრაფად წარიმართა და უფრო ტრაგიკულადაც დასრულდა, ვიდრე ვვარაუდობდით. მეორე დილით, როცა ჩემს საწოლ ოთახში ვიცვამდი, ჰოლმსმა კარზე დამიკაკუნა და შემოვიდა. მას ხელში დეპეშა ეჭირა, რომელიც ხმამაღლა წაიკითხა:

«სასწრაფოდ ჩამოდით კენსინგტონში, პიტსტრიტის 131. ლესტრეიდი».

- ეს რას ნიშნავს? - ვკითხე მეგობარს.

- არ ვიცი. რაც გნებავთ, ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ მე მგონია, ესაა ბიუსტების ისტორიის გაგრძელება. თუ არ ვცდები, აქედან ჩანს, რომ ჩვენმა მეგობარმა მანიაკმა თავისი საქმიანობა ქალაქის მეორე ნაწილში გადაიტანა... ყავა მაგიდაზეა, უოტსონ, და კები კართან გველოდება.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე პიტსტრიტზე ვიყავით - ვიწრო მოსახვევში, ლონდონის ერთი ყველაზე უფრო მღელვარე მაგისტრალის პარალელურად რომ მიემართება. სახლი №131 აღმოჩნდა ერთი ულაზათო ნაგებობა, რომელშიაც რომანტიკული ვერაფერი შევნიშნე. როცა სახლს მივაღწიეთ, მისი ბაღის ღობესთან უსაქმურების ჯგუფი შემოგვხვდა, ჰოლმსმა დაუსტვინა:

- ეშმაკმა დალახვროს, აქ, მე ვფიქრობ, მკვლელობა უნდა იყოს!

ლესტრეიდი შემოგვეგება და ცხვირჩამოშვებულმა გაგვიყვანა სასტუმრო ოთახში, სადაც არაჩვეულებრივად გაჩეჩილი, თივთიკისხალათიანი ხნიერი კაცი ადგილს ვერ პოულობდა და იქეთ-აქეთ აწყდებოდა. გაგვაცნეს. ოჯახის უფროსი აღმოჩნდა, მისტერ ჰორეს ჰარკერი, ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალური სინდიკატის გაზეთის მუშაკი.

- ნაპოლეონის ბიუსტების ისტორია გრძელდება, - თქვა ლესტრეიდმა. - გუშინ საღამოს თქვენ ამ ამბით დაინტერესდით, მისტერ ჰოლმს, და ვიფიქრე, რომ გესიამოვნებოდათ ამ საქმის ძიებაში მონაწილეობა, მეტადრე ახლა, როცა მას ასეთი სავალალო შედეგი მოჰყვა.

- რა მოხდა?

- მკვლელობა. მისტერ ჰარკე, გეთაყვა, უამბეთ ამ ჯენტლმენს ყველაფერი, რაც მოხდა.

ხალათიანმა, ხნიერმა ჯენტლმენმა თავისი დაბნეული სახე მოგვაპყრო.

- უცნაური ამბავია, - თქვა მან. - მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაზეთებში იმ ამბებზე ვწერდი, რაც თავს სხვებს გადახდენიათ, ხოლო როცა ბოლოს მე თვითონ გადამხდა თავს უცნაური ამბავი, ისე დავიბენი, ორი სიტყვის დაწერაც არ შემიძლია. მაგრამ თქვენი სახელი ჩემთვის ცნობილია, მისტერ შერლოკ ჰოლმს, და თუ შეძლებთ, ამოხსნათ ეს საიდუმლოებით მოცული საქმე, ამით ამინაზღაურებთ ამ ამბის ხელახლა მოყოლის არასასიამოვნო აუცილებლობას.

ჰოლმსი დაჯდა და სმენად იქცა.

- ეს მკვლელობა დაკავშირებულია ნაპოლეონის ბიუსტთან, რომელიც ოთხი თვის წინ, ჰაისტრიტის ვოგზლის ახლოს, ძმები ჰარდინგების მაღაზიაში იაფფასად შევიძინე. საგაზეთო წერილებს ჩვეულებრივ ღამით ვწერ და ზოგჯერ საწერ მაგიდასთან ვათენებ ხოლმე. ასე მოხდა წუხელ ღამითაც. ჩემს სოროში ვიჯექი, როცა დაახლოებით სამ საათზე ქვემოდან რაღაც ხმაური შემომესმა. ყური მივუგდე, მაგრამ ხმაური აღარ განმეორებულა, და მეც ხელი ჩავიქნიე, ალბათ ქუჩიდან თუ მომეყურა-მეთქი. მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ საზარელი გოდება გავიგონე - ჯერ კიდევ არასოდეს არ მსმენია, მისტერ ჰოლმს, ასეთი საშინელი ხმა. ეს გოდება ალბათ სიკვდილამდე არ მოასვენებს ჩემს ყურთასმენას. ერთი თუ ორი წუთი შიშისაგან გარინდებული უძრავად ვიჯექი, შემდეგ გელა ავიღე და დაბლა დავეშვი. ამ ოთახში რომ შემოვედი, ვნახე, რომ ფანჯარა ღიაა და ბუხარზე მდგარი ბიუსტი სადღაც გამქრალიყო. ვერაფრით ვერ გავიგე, რისთვის უნდა დახარბებოდა მძარცველი იმ ბიუსტს. ჩვეულებრივი ნივთი გახლდათ და მოსაპარად არა ღირდა. როგორც თვითონ კარგად ხედავთ, ვინც ამ ფანჯრიდან გადახტება, მოხვდება სადარბაზო შემოსასვლელის კიბის საფეხურებზე. რაკი მძარცველს სწორედ ეს გზა ერჩია, წინა ოთახი გავიარე და გარეთ გავედი. ბნელში რომ მივაბიჯებდი, რაღაცას ფეხი წავკარი

და კინაღამ მიცვალებულზე დავვარდი. უკან დავბრუნდი და სანათი წავიღე. მოკლულს ყელზე ღრმად აჩნდა ნაჭრილობევი. ყველა ზედა საფეხური სისხლით იყო მოსვრილი. ზურგზე იწვა, მუხლები აეწია და პირი დაეღო. საშინელი სანახაობა ვიხილე, ალბათ, ყოველღამე დამესიზმრება. ჩემი პოლიციური სასტვენი დავუსტვინე და მაშინვე გრძნობა დავკარგე. მეტი აღარაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, შევამჩნიე, წინა ოთახში ვიყავი და გვერდით პოლიციელი მედგა.

- ვინაა მოკლული? - ჰკითხა ჰოლმსმა.

- ეს ვერ დავადგინეთ, - თქვა ლესტრეიდმა. - შეგიძლიათ გვამი თვითონვე დაათვალიეროთ ლაზარეთის მიცვალებულთა ოჯახში გადაიტანეს. ჩვენ უკვე ყველაფერი ვცადეთ, ვიკვლიეთ, მაგრამ ვერაფერი შევიტყვეთ. ტანადი, მზით დამწვარი, ძალიან ღონიერი მამაკაცა, ოცდაათი წლისაც არ იქნება. ღარიბულად აცვია, მაგრამ მუშას არა ჰგავს. მის გვერდით, სისხლის გუბეში, ის დასაკეცი ძვლისტარიანი დანა ეგდო. არ ვიცი, მკვდარს ეკუთვნოდა თუ მკვლელს. მიცვალებულის სამოსელზე არ იყო არავითარი ნიშანი, რითაც შესაძლებელი გახდებოდა მისი სახელის გამოცნობა, გაჩხრეკისას ჯიბეში უპოვეს ვაშლი, თოკი, ლონდონის რუკა და ფოტოსურათი. აი, ეს სურათიც.

ეს იყო, პატარა აპარატით, ნაუცბათევად გადაღებული სურათი. ფოტოზე გამოსახული იყო გამოკვეთილნაკვთებიანი, ხშირწარბება, პავიანივით წინ წამოშვერილი ყბების პატრონი ახალგაზრდა მამაკაცი. საერთოდ მასში იყო რაღაც მაიმუნისებური.

- რა მოუვიდა ბიუსტს? - იკითხა ჰოლმსმა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ფოტოსურათს.

- ბიუსტის აღმოჩენა მხოლოდ თქვენი მოსვლის წინ მოხერხდა. კემპდენჰაუროუდზე, უკაცური სახლის წინ, ბაღში დამსხვრეული იპოვეს. სწორედ იქით მივდივარ, მინდა ჩემი თვალით ვნახო იქაურობა. გნებავთ წამოსვლა?

ადგილი, სადაც ბიუსტის ნამსხვრევები იპოვეს, სულ რამდენიმე იარდით იყო დაშორებული სახლიდან. პირველად ვნახე ისეთი შემთხვევა, როცა დიდი იმპერატორის გამოსახულებამ ასეთი გიჟური სიძულვილი გამოიწვია ვიღაც უცნობის გულში. ბიუსტი ბალახში ეგდო, დაქუცმაცებული. ჰოლმსმა რამდენიმე ნამსხვრევი აიღო და ყურადღებით გასინჯა. მის დაძაბულ სახეზე ამოვიკითხე, რომ კვალს მიაგნო.

- რას იტყვით? - ჰკითხა ლესტრეიდმა.

ჰოლმსმა მხრები აიჩეჩა.

- კიდევ ბევრი ჯახირი მოგვიხდება ამ საქმესთან დაკავშირებით, - თქვა ჰოლმსმა. - და მაინც... ზოგიერთი რამ... გვაქვს კვლევა-ძიების დასაწყისასათვის. ეს რამდენიმეგროშიანი ბიუსტი იმ ახირებული დამნაშავის თვალში ადამიანის სიცოცხლეზე ძვირად ფასობს. აი, პირველი ფაქტი, რაც ჩვენ დავადგინეთ. არის მეორე ფაქტიც, არა ნაკლებ უცნაური. თუ დამნაშავის ერთადერთი მიზანი იყო ბიუსტის დამსხვრევა, რატომ არ დაამსხვრია სახლში ან სადმე სახლის მახლობლად.

- ალბათ თავგზააბნეული იყო იმ კაცთან შეხვედრით, რომელიც შემოაკვდა და თვითონაც არ ესმოდა, რას აკეთებდა.

- ეგ ნათქვამი სიმართლეს ჰგავს. მაგრამ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ სახლს, ბაღში რომ დგას, იქ, სადაც ბიუსტი დაამსხვრია.

ლესტრეიდმა ირგვლივ მიმოიხედა.

- ეს სახლი უკაცრიელია, - თქვა მან, - და დამნაშავემ იცოდა, რომ აქ ხელს არავინ შეუშლიდა.

- დიახ, - გამოეპასუხა ჰოლმსი, - მაგრამ ამ ქუჩაზე არის მეორე უკაცრიელი სახლი, და იმის წინ უნდა ჩაევლო, რომ აქამდე მოეღწია. რატომ არ დაამსხვრია ბიუსტი პირველ უკაცრიელ სახლთან? ხომ იცოდა, ერთი ზედმეტი ნაბიჯი და შეიძლებოდა ვინმეს გადაჰყროდა!

- ამას კი ვერ მივაქციე ყურადღება, - თქვა ლესტრეიდმა.

ჰოლმსმა თითით ანიშნა ქუჩის ფარანზე, თავზე რომ დაგვნათოდა, და თქვა:

- აქ იმ კაცს შეეძლო დაენახა, თუ რას აკეთებს, იქ კი არ შეეძლო. აი, რამ მოიყვანა სწორედ ამ ადგილზე.

- თქვენ მართალი ხართ, დალახვროს ეშმაკმა! - თქვა მაძებარმა. - ახლა მომაგონდა, რომ დოქტორ ბარნიკოტის კუთვნილი ბიუსტი მისი წითელი ლამპის ახლოს გატეხა. მაგრამ რა ვუყოთ ახლა ამ ფაქტს, მისტერ ჰოლმს?

- დავიმახსოვროთ. შემდეგში შეიძლება ისეთ ამბებს წავაწყდეთ, რაც გვაიძულებს ამ ფაქტს უკანვე დავუბრუნდეთ. რა ზომების მიღებას აპირებთ ახლა, ლესტრეიდ?

- ჩემი აზრით, ახლა ყველაზე უფრო საჭირო ის გახლავთ, რომ მოკლულის ვინაობა დავადგინოთ. ეს საქმე არც ისე ძნელია. როცა გვეცოდინება, ვინ არის და ვინ ჰყავს ამხანაგები, იმასაც გავიგებთ, რას აკეთებდა პიტსტრიტზე, ვის შეხვდა და ვინ მოკლა მისტერ ჰორეს ჰარკერის კიბეზე. არ მეთანხმებით?

- გეთანხმებით. მაგრამ მე ამ ამოცანას სულ სხვა მხრიდან მივუდგებოდი.

- რა მხრიდან?

- მე არ მინდა თქვენზე ზეგავლენა მოვახდინო. თქვენ თქვენებურად წარმართეთ ძიება, მეც ჩემებურად ვიმოქმედებ. შემდეგ ჩვენი ძიების შედეგებს შევაერთებთ და ასე დავეხმარებით ერთმანეთს.

- ჩინებულია! - თქვა ლესტრეიდმა.

- თქვენ ახლა დაბრუნდებით პიტსტრიტზე და, რა თქმა უნდა, მისტერ ჰორეს ჰარკერს შეხვდებით. გადაეცით მას, რომ ჩემი აზრით, წუხელ მისი სახლი ინახულა ნაპოლეონის მძულვარების მანიით შეპყრობილმა სისხლისმსმელმა გიჟმა. ეს გამოადგება მას საგაზეთო სტატიისათვის.

ლესტრეიდმა გაოცებით შეხედა ჰოლმსს.

- ნუთუ ნამდვილად ასე ფიქრობთ?

ჰოლმსმა გაიღიმა:

- იქნებ სრულიად საწინააღმდეგო აზრი მაქვს, მაგრამ ასეთი ვერსია ძალიან საინტერესოდ მოეჩვენებათ მისტერ ჰორეს ჰარკერს და ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალური სინდიკატის ხელისმომწერლებს... აბა, უოტსონ, დღეს დავიდარაბიანი დღე მოგველის. ბედნიერი ვიქნები, ლესტრეიდ, თუ საღამოს ექვსი საათისათვის, ბეიკერსტრიტზე შემოგვივლით. მანამდე კი ფოტოსურათს ჩემთან დავიტოვებ.

მე და შერლოკ ჰოლმსი ფეხით წავედით ჰაისტრიტზე და შევედით ძმები ჰარდინგების დუქანში, სადაც ბიუსტი იყიდეს. ახალგაზრდა ნოქარმა გვითხრა, მისტერ ჰარდინგი მხოლოდ დღის ბოლოს იქნება, მე კი არაფერი ცნობის მიცემა არ შემიძლია, რადგან ძალიან ცოტა ხანია, რაც აქ ვმუშაობო. ჰოლმსის სახეზე იმედგაცუება და უკმაყოფილება გამოიხატა.

- რას იზამთ, უოტსონ, ხომ არ შეიძლება ადამიანს მუდამ წარმატება ჰქონდეს, - თქვა ჩემმა მეგობარმა. - კიდევ მოგვიხდება აქ შემოვლა, რაკი მისტერ ჰარდინგი საღამომდე არ იქნება. ცხადია, მიმიხვდით, ამ ბიუსტების ჩამოსხმის ისტორია მინდა შევისწავლო. უნდა დადგინდეს, იყო თუ არა მათი შექმნისას რაიმე უცნაური გარემოება, რამაც იმპერატორის ბიუსტების საკვირველი ბედი განაპირობა. ჯერ კი

კენინგტონროუდზე ვეწვიოთ მისტერ მორზ ჰადსონს და ვნახოთ, მისი დაკითხვა ხომ არ მოჰფენს ცოტაოდენ შუქს ამ თავსატეხს.

სურათებით მოვაჭრის დუქნამდე გზას მთელი საათი მოვუნდით. ჰადსონი ჩია ტანის, სქელი, უცხვირპირო, წითური კაცი აღმოჩნდა.

- დიახ, სერ, ჩემს დახლზე დაამსხვრიეს, - თქვა მან. - რისთვის ვიხდით გადასახადებს, თუ ყოველი არამზადა შემოიჭრება ჩვენს დუქანში და საქონელს გააფუჭებს! დიახ, სერ, დოქტორ ბარნიკოტს ორივე ბიუსტი მე მივყიდე. სირცხვილი და თავის მოჭრა, სერ! ანარქისტული შეთქმულებაა, თუ რა? ჩემი აზრით, მხოლოდ თავზე ხელაღებულ ანარქისტს შეუძლია დაამსხვრიოს ქანდაკება. საიდან ვიშოვე ეს ბიუსტები? არ მესმის, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ამას საქმესთან. რა გაეწყობა, რაკი გაინტერესებთ, მოგახსენებთ. ჩერჩსტრიტზე, სტეპნიში ჰელდესა და კომპანიისაგან შევიძინე; კარგად ცნობილი ფირმაა, უკვე ოცი წელია არსებობს. რამდენი ცალი ვიყიდე? სამი. ორი მივყიდე დოქტორ ბარნიკოტს, ერთიც დღისით-მზისით დაამსხვრიეს ჩემს საკუთარ დახლზე. ხომ არ ვიცნობ ამ ფოტოსურათზე გამოხატულ ადამიანს? არა, არ ვიცნობ. თუმცა, ვიცნობ. ესაა ბეპო, იტალიელი ხელოსანი. ზოგჯერ ჩემს დუქანში პატარ-პატარა სამუშაოებს ასრულებს. შეუძლია ხეზე ფიგურების ამოკვეთა, ჩარჩოების მოვარაყება, ცოტ-ცოტა ყველაფერი ეხერხება. ერთი კვირის წინ წავიდა ჩემგან და მას შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცი. არც ის ვიცი, საიდან მოვიდა. სად იმყოფება ახლა? არც ეგ ვიცი. მის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შემიძლია. ცუდად არ მუშაობდა. ორი დღით ადრე დემათხოვა, ვიდრე ბიუსტს დამიმსხვრევდნენ...

- რა გვეთქმის, მორზ ჰადსონმა იმაზე მეტი ცნობები მოგვცა, ვიდრე ველოდით, - თქვა ჰოლმსმა, როცა დუქნიდან გამოვედით. - ამრიგად, იტალიელი ხელოსანი ბეპო მონაწილეობას იღებდა იმ მოვლენებში, რომლებიც კენინგტონში მოხდა. ასეთი ფაქტის დადგენისათვის ათი მილის გავლას არც ინანებ. ახლა კი, უოტსონ, სტეპნისაკენ გავწიოთ და ბიუსტების სამშობლოს, ჰელდერსა და კომპანიას ვესტუმროთ. ეჭვი არ მეპარება, იქ ბევრს რასმე საგულისხმოს შევიტყობთ.

სწრაფად გადავსერეთ ფეშენებელური სასტუმროების, თეატრალური, ლიტერატურული, კომერციული და საზღვაო ლონდონი, და ბოლოს შევედით სანაპირო რაიონში, რომელიც შემოსავლიანი სახლებით არის დაფარული. აქ ბუზივით ირევა ევროპის ოთხივე კუთხიდან გადმოსროლილი ღარიბი ხალხი. აქ, ფართო ქუჩაზე, ვიპოვეთ ის ქანდაკებათა სახელოსნო, რომელსაც ვეძებდით. სახელოსნო სასაფლაოს ძეგლებით გაჭედილ ფართო ეზოში იყო მოთავსებული. იგი შედგებოდა ერთი დიდი ოთახისაგან, რომელშიაც ამოკვეთასა და დაყალიბებაზე დასაქმებული ორმოცდაათამდე ხელოსანი მუშაობდა.

ტანმაღალმა ქერა მასპინძელმა თავაზიანად მიგვიღო და ჰოლმსის ყველა კითხვაზე, ნათელი, ამომწურავი პასუხები მოგვცა. მისი ჩანაწერების წიგნი მოწმობდა, რომ დევინის ნამუშევარი - ნაპოლეონის თავის მრავალი ასლი იქნა დაყალიბებული, მაგრამ ის სამი ბიუსტი, რომლებიც დაახლოებით ერთი წლის წინ გადაუგზავნეს მორზ ჰადსონს, შეადგენდა ექვსცალიანი ცალკე პარტიის ნახევარს. ამ პარტიის დანარჩენი სამი ცალი კენსინგტონელი ძმები ჰარდინგებისათვის მიეყიდნათ. არა, ის ექვსი ცალი ბიუსტი არაფრით არ განირჩეოდა ყველა დანარჩენისაგან. მან არ იცის, რა მიზეზით შეიძლება თავში მოუვიდეს ვინმეს ბიუსტების განადგურება, მსგავსი აზრი მას უბრალოდ სასაცილოდ მიაჩნდა. ბითუმი ფასი ამ ბიუსტებისა - ექვსი შილინგია, მაგრამ სათითაოდ შეიძლება თითოში თორმეტის და მეტის აღებაც. ეს ბიუსტები ასე მზადდება. ჩამოასხამენ თაბაშირის ორ

ტვიფარს სახის ორი ნახევრისაგან და შემდეგ ორსავე პროფილს ერთად შეაკავშირებენ. მთელ ამ სამუშაოს ჩვეულებრივ ასრულებენ იტალიელები აი, ამ ოთახში, როცა ბიუსტი მზადაა, მას დერეფანში დგამენ მაგიდაზე, რომ გამოშრეს, შემდეგ კი საწყობში გზავნიან. მეტი მოსათხრობი არაფერი მაქვსო, თქვა.

მაგრამ, როცა ჰოლმსმა მასპინძელს ფოტოსურათი უჩვენა, ამ ამბავმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი სახე ბრაზისაგან აენთო, ცისფერმა თვალებმა ცეცხლი დააკვესეს.

- აჰ, არამზადა! - შესძახა მან. - დიახ, ამას კარგად ვიცნობ. ჩვენი სახელოსნო საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს, მთელი მისი არსებობის მანძილზე აქ მხოლოდ ერთხელ იყო პოლიცია... აი, ამ ვიგინდარის მიზეზით! ეს ერთ წელზე მეტი ხნის წინათ მოხდა. თურმე, ვიღაც თავის თანამემამულეს დანა ჩასცა, პოლიცია დაედევნა და ის კი ჩემს სახელოსნოში შემოვარდა. აქ დაიჭირეს. ბეპო ჰქვია. გვარი არ ვიცი. სამართლიანად დავისაჯე იმისათვის, რომ სამუშაოზე ავიყვანე კაცი, რომელსაც ასეთი სახე ჰქონდა. თუმცა კარგი მუშა კი იყო, საუკეთესოც.

- რა მიუსაჯეს.

- დაჭრილი გადარჩა და ამიტომ მხოლოდ ერთი წლის პატიმრობა აკმარეს. ეჭვი არ მეპარება, უკვე თავისუფალიც იქნება, მაგრამ აქ ცხვირის შემოყოფას ვერ გაბედავს. ჩემთან მისი ბიძაშვილი მუშაობს. მე მგონია, მისგან შეიძლება გაიგოთ, სადაა ბეპო.

- არა, არა, - შესძახა ჰოლმსმა, - მის ბიძაშვილს არც ერთი სიტყვა არ უნდა ვუთხრათ... არც ერთი სიტყვა! ეს საქმე ძლიერ სერიოზულია. რაც უფრო ღრმად ჩავუკირკიმალდი, მით უფრო სერიოზული მეჩვენება. თქვენს სავაჭრო წიგნში აღნიშნულია, რომ ეს ბიუსტები შარშან სამ ივნისს გაყიდეთ. ხომ ვერ მეტყვით, რომელ რიცხვში დააპატიმრეს ბეპო?

- ეს შემიძლია საგადასახადო უწყისის საშუალებით დავადგინო, - მიუგო მასპინძელმა. - დიახ, - დასძინა თავის ქაღალდებში ჩარგულმა, - უკანასკნელი გასამრჯელო ოც მაისს მიუღია.

- მადლობელი ვარ, - უთხრა ჰოლმსმა. - მეტ დროს აღარ წაგართმევთ და თქვენი მოთმინებით ბოროტად არ ვისარგებლებ.

გამომშვიდობებისას ვთხოვეთ ჩვენი საუბრის თაობაზე არავისთვის არაფერი ეამბნა, შემდეგ სახელოსნოდან გავედით და დასავლეთისაკენ გავუხვიეთ.

შუადღე დიდი ხნის გადასული იყო, როცა საუზმობა მოვახერხეთ. რესტორანში შესასვლელთან გაზეთებს ყიდდნენ. უკანასკნელ ამბებში მსხვილი შრიფტით ეწერა: «დანაშაული კენსინგტონში. შეშლილი მკვლელი». გაზეთში რომ ჩავიხედეთ, დავრწმუნდით, რომ მისტერ ჰორეს ჰარკერს მაინც მოეხერხებინა თავისი სტატიის დაწერა. ორი სვეტი ეთმობოდა იმ სენსაციური ამბის აღწერას, რაც ჰორეს ჰარკერის სახლში მოხდა. ჰოლმსმა გაზეთი მაგიდაზე გაშალა და კითხვა ისე დაიწყო, რომ ჭამა არ შეუწყვეტია. ერთი-ორჯერ ნელა-ნელა ჩაიცინა კიდეც.

- ყველაფერი რიგზეა, უოტსონ, - თქვა მან. - სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ არ შეიძლება ამ მოვლენაზე ორი აზრი არსებობდეს, რადგან პოლიციის ერთი ყველაზე გამოცდილი მაძებარი მისტერ ლესტრეიდი და საქვეყნოდ ცნობილი კონსულტანტი და ექსპერტი მისტერ შერლოკ ჰოლმსი იმაზე შეთანხმდნენ, რომ ასე ტრაგიკულად დამთავრებული უცნაური მოვლენების ჯაჭვი მოწმობს სიგიჟეს და არა დანაშაულს. ჩვენ მიერ მოთხრობილი ფაქტები, თუ არა შეშლილობით, სხვანაირად ვერ აიხსნება. ბეჭდვითი სიტყვა ძიებაში ნამდვილი საგანძურია, უოტსონ, თუ ადამიანი მას უნარიანად გამოიყენებს. ახლა კი, თუ უკვე ისაუზმეთ, კენსინგტონში დავბრუნდეთ და მოვისმინოთ, რას გვეტყვის «ძმები ჰარდინგების» პატრონი.

ამ დიდი სავაჭრო სახლის დამაარსებელი აღმოჩნდა მკვირცხლი, მოუსვენარი, მოსაზრებული და ყბედი კაცი.

- დიახ, სერ, საღამოს გაზეთებიდან უკვე ყველაფერი ვიცი. მისტერ ჰორეს ჰარკერი - ჩვენი მუდმივი მუშტარია. საფრანგეთის იმპერატორის ბიუსტი მას რამდენიმე თვის წინ მივყიდეთ. სამი ბიუსტი ჰელდერსა და კომპანიისაგან მივიღეთ სტეპნიში. უკვე გავყიდეთ. ვინ და ვინ იყიდა? ერთი ჩავიხედო ჩემს სავაჭრო წიგნში და მაშინ გიპასუხებთ. აგერ, ყველაფერი წერია. ერთი ბიუსტი - მისტერ ჰორეს ჰარკერისათვის მიგვიყიდნია, მეორე - მისტერ ჯოზაიე ბრაუნისათვის, ჩიზიკში რომ სახლობს, მესამე კი - რედინგში, ლაუერგროვროუდზე მცხოვრებ მისტერ სენდფორდისათვის.

ვიდრე მისტერ ჰარდინგი ლაპარაკობდა, ჰოლმსი რაღაცას იწერდა. მეტისმეტად კმაყოფილი სახე ჰქონდა. მაგრამ ახსნით კი არაფერი უახსნია ჩემთვის და მხოლოდ მითხრა, უნდა ვიჩქაროთ, რადგან ლესტრეიდი გვიცდისო. მართლაც, როცა ბეიკერსტრიტზე მივედით, მაძებარი მოუთმენლად სცემდა ბოლთას ოთახში. მის საქმიან გამომეტყველებაზე შევნიშნე, რომ იმდღევანდელი დღე უნაყოფოდ არ დაეკარგა.

- როგორაა საქმე, მისტერ ჰოლმს? - ჰკითხა ჩემს მეგობარს.

- დაძაბული მუშაობა მოგვიხდა და დრო ფუჭად არც ჩვენ დაგვიკარგავს, - მიუგო ჰოლმსმა. - ორივე მედუქნე და სახელოსნოს პატრონი მოვინახულეთ. ყოველი ბიუსტის ბედი თავიდან ბოლომდე გავიგე.

- ყოველი ბიუსტის ბედი? - შესძახა ლესტრეიდმა. - კარგი, კარგი, მისტერ ჰოლმს, ყველას თავისი მეთოდი აქვს, და თქვენთან დავას არ ვაპირებ, მაგრამ მეჩვენება, რომ ამ საქმის ძიებაში თქვენზე მეტს მივაღწიე. მე დავადგინე მოკლულის ვინაობა.

- რასა ბრძანებთ!

- და გავარკვიე დანაშაულის მიზეზი.

- ჩინებულია!

- ერთი ინსპექტორი გვყავს, ლონდონის იტალიურ უბნებს თავისი ხუთი თითივით იცნობს. მოკლულს ყელზე კათოლიკური ჯვარი აღმოაჩნდა. ამას გარდა, მისი კანის ჩამუქებულმა ფერმა უნებურად გვაფიქრებინა, რომ სამხრეთელი უნდა ყოფილიყო. ინსპექტორმა ჰილმა მოკლულს დახედა თუ არა, იმწამსვე იცნო. იგი აღმოჩნდა პიეტრო ვენუჩი, წარმოშობით ნეაპოლელი, ლონდონის ერთი ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული ავაზაკი. როგორც ხედავთ, ყველაფერს შუქი ეფინება. ალბათ მკვლელიც იტალიელი იქნება. პიეტრო მკვლელს გადარაჯებია, როცა ის სახლში შესულა, თან კი მისი ფოტოსურათი ჰქონია, რომ მის მაგიერ სხვა ვინმე არ შემოკვდომოდა. დიახ, პიეტრო ვენუჩიმ თავისი მტრის კვალს მიაგნო, დაინახა სახლში შესული, გარეთ დაელოდა, თავს დაესხა და შეტაკების დროს სასიკვდილოდ დაჭრა... რას ფიქრობთ ამაზე, მისტერ შერლოკ ჰოლმს?

ჰოლმსმა აღელვებით ჩამოართვა ხელი.

- ჩინებულია, ლესტრეიდ, ჩინებული! - შესძახა მან, - მაგრამ ნათლად ვერ გავიგე, ბიუსტების გატაცებას, დამტვრევას და განადგურებას როგორღა ახსნით.

- ისევ ბიუსტები! ვერაფრით ვერ გამოგიგდიათ თავიდან ეს ბიუსტები. ბოლოს და ბოლოს მათი ისტორია რა საყურადღებო ამბავია. ეგ ხომ წვრილმანი ქურდბაცაცობაა, რისთვისაც დამნაშავეს, სულ დიდი, ექვსი თვის პატიმრობას მიუსჯიან. აი, მკვლელობის საქმე კი ღირს ხელის მოკიდებად, და როგორც ხედავთ, საქმის გახსნას ბევრი არაფერი მიკლია.

- რას აპირებთ, რა უნდა მოიმოქმედოთ?

- ძალიან უბრალო გეგმა მაქვს. ჰილს გავყვები იტალიურ უბანში, ვიპოვით სურათზე გამოსახულ კაცს, დავაპატიმრებთ და მკვლელი ხელში გვეყოლება, თან ხომ არ წამომყვებით?

- რა მოგახსენოთ. მგონი, ვერ გამოგყვებით. მე მგონია, ჩვენ უფრო იოლად მივაღწევთ წარმატებას. დაბეჯითებით თქმა არ შემიძლია, რადგანაც ეს დამოკიდებულია... ერთი სიტყვით, ეს დამოკიდებულია ერთ გარემოებაზე, რაც ჩვენს ხელთ არ არის. ჩემი აზრით, მკვლელი ამაღამ მახეში თავისი ფეხით უნდა გაებას. თუ თქვენ გამომყვებით, ამაღამვე შევიპყრობთ.

- იტალიურ კვარტალში?

- არა. ჩემი აზრით, იგი ჩიზიკში უნდა ვეძიოთ. თუ დღეს ღამით ჩიზიკში გამყვებით, ლესტრეიდ, ხვალ იტალიურ კვარტალში მე გეახლებით. დამერწმუნეთ, იტალიურ კვარტაში დღევანდელი წაუსვლელობა არავითარ ზიანს არ მოიტანს. ახლა კი ცოტა წავიძინოთ, რადგანაც თერთმეტ საათზე ადრე გასვლას აზრი არა აქვს, ხოლო დაბრუნება კი ალბათ, დილით მოგვიწევს. ისადილეთ ჩვენთან ერთად, ლესტრეიდ, და ამ დივანზე დაწექით. თქვენ კი, უოტსონ, დარეკეთ და შიკრიკი იხმეთ. წერილის გაგზავნა აუცილებელია და დაუყოვნებლივ უნდა გავაგზავნოთ.

ჰოლმსი მთელი საღამო იქექებოდა ძველ გაზეთებში, რითაც სავსე გვქონდა ერთ-ერთი საკუჭნაო. როცა საკუჭნაოდან გამოვიდა, თვალები საზეიმოდ უბრწყინავდა, მაგრამ თავისი ძიების შედეგებზე სიტყვა არ დასცდენია. ჩემი მეგობრის მეთოდებს ისე კარგად ვიყავი დაუფლებული, რომ უკვე ვხვდებოდი, რა გზით ფიქრობდა დამნაშავის შეპყრობას, თუმცა იმ წუთას მის ახალ ჩანაფიქრს ვერ ჩავწვდი. ეს ახირებული დამნაშავე ახლა ალბათ შეეცდებოდა დანარჩენი ორი ბიუსტი მოესპო, რომელთაგანაც ერთი, როგორც დავიმახსოვრე, ამჟამად ჩიზიკში იდგა. უეჭველია, ჩვენი ღამის ლაშქრობის მიზანი ის იყო, რომ ბოროტმოქმედი ადგილზე შეგვეპყრო. ჩემი მეგობრის ეშმაკობით აღტაცებული ვიყავი. მან ხომ განზრახ გამოაქვეყნა საღამოს გაზეთში სრულიად შემცდარი ვარაუდი, რათა დამნაშავე დაერწმუნებინა, ყოველგვარი რისკის გარეშე შეგიძლია მოქმედებაო. თვითონ კი თავის საყვარელ იარაღს - მონადირის არგანს წამოავლო ხელი, რომლის ტარში ტყვია იყო ჩასხმული.

თერთმეტ საათზე ჩვენს კართან ეტლი გაჩერდა, რომელმაც ჰამერსმითის ხიდით თემზის მეორე ნაპირზე გაგვიყვანა. მეეტლეს იქ დავაცდევინეთ, ჩვენ კი ფეხით განვაგრძეთ გზა და მალე კოხტა სახლებით გარემოცულ უდაბურ გზაზე აღმოვჩნდით. პატარ-პატარა სახლები მზრუნველ ხელს წალკოტში ჩაესვა. ქუჩის ფარნის შუქზე ერთი მათგანის ჭიშკარზე ასეთი წარწერა ამოვიკითხეთ: «ვილა ლაბურნუმი». სახლის პატრონებს ალბათ უკვე ეძინათ, რადგან მთელი სახლი წყვდიადს მოეცვა. მხოლოდ შესავალი კარის თავზე მრგვალი პატარა ფანჯრიდან ბჟუტავდა შუქი და ბაღის ბილიკზე ეფინებოდა. ჭიშკარში შევედით და ბაღსა და გზას შორის მესერის ხშირ ჩრდილს ამოვეფარეთ.

ჩვენი მოლოდინი ხანგრძლივი არ აღმოჩნდა და სრულიად მოულოდნელად და უცნაურად დამთავრდა. ანაზდად, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე, ბაღის კარი გაიღო და მაიმუნივით მოქნილი, შავი სხეული ბილიკს სირბილით გაჰყვა. ყველამ დავინახეთ, როგორ გაიელვა იმ სხეულმა ფანჯრიდან გამომავალ შუქზე და შავ ჩრდილში გაქრა. ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. ყველანი სუნთქვაშეკრულნი ვიდექით. ბოლოს ჩვენამდე სარკმლის ანჯამების სუსტმა ჭრიალის ხმამ მოაღწია. ამას ისევ დუმილი მოჰყვა. დამნაშავე უკვე სახლში დაბრუნებოდა. უეცრად დავინახეთ,

როგორ გაანათა ოთახში მისი ჯიბის ფარნის შუქმა. რასაც ეძებდა, ეტყობოდა, იქ არ აღმოჩნდა, რადგან წუთის შემდეგ შუქმა მეორე ოთახში გადაინაცვლა.

- ფანჯარასთან მივიდეთ და როცა გადმოხტება, მაშინვე შევიპყრობთ, - ჩურჩულით თქვა ლესტრეიდმა.

მაგრამ დამნაშავე ფანჯრიდან უფრო ადრე გადმოხტა, ვიდრე ადგილიდან დავიძროდით. იგი სინათლის შუქზე შეჩერდა. იღლიის ქვეშ რაღაც თეთრი საგანი ამოეჩარა. გარემო ქურდულად შეათვალიერა, მაგრამ უდაბური ქუჩის დუმილმა სიმშვიდე მოჰგვარა. ზურგი შემოგვაქცია, ტვირთი მიწაზე დაუშვა, და ერთი წამის შემდეგ ჩვენს სმენას ჯერ ძლიერი დარტყმის ხმა მოსწვდა, მერე კი კაკუნისა და მსხვრევის ხმაც გავიგონეთ. იგი თავისი საქმიანობით იმდენად იყო გატაცებული, რომ ჩვენი მიმპარავი ნაბიჯის ხმაც არ გაუგონია. ჰოლმსი ვეფხვივით დაახტა ზურგზე, მე და ლესტრეიდმა კი ხელები გავუკარით და ზედ ხელბორკილები ჩამოვაცვით. როცა შემოტრიალდა, გონჯი, ფერწასული, დაღრეჯილსახიანი ადამიანი წარმოგვიდგა. მე იმწამსვე დავრწმუნდი, რომ ეს იყო სწორედ ფოტოსურათზე გამოსახული მამაკაცი.

მაგრამ ჰოლმსმა შეპყრობილ მძარცველს თავი ანება და უაღრესად გულდასმით გამოიკვლია ის, რაც ჩვენმა ტყვემ სახლიდან გამოიტანა. ეს იყო ნაპოლეონის დამსხვრეული ბიუსტი, ტყუპის ცალი იმისა, რაც იმ დილით ვნახეთ. ჰოლმსს რიგრიგობით მიჰქონდა შუქზე ყოველი ნამუსრევი, ერთიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ, მაგრამ ისინი არაფრით არ განირჩეოდნენ თაბაშირის სხვა ნატეხებისაგან. ჩემმა მეგობარმა თავისი კვლევის დამთავრება ძლივს მოასწრო, რომ კარი გაიღო და ჩვენ წინ წარმოდგა სახლის პატრონი - პერანგითა და შარვლით შემოსილი გულკეთილი მსუქანი მამაკაცი.

- მისტერ ჯოზაია ბრაუნი, თუ არ ვცდები? - თქვა ჰოლმსმა.

- დიახ, სერ. თქვენ კ, უეჭველად, მისტერ შერლოკ ჰოლმსი უნდა იყოთ? შიკრიკმა მომიტანა თქვენი წერილი, და ისე მოვიქეცი, როგორც მირჩიეთ. ყველა კარი დავკეტეთ და ველოდით, რა მოხდებოდა. მოხარული ვა, რომ არამზადა ვერ გაგექცათ. გთხოვთ, მეწვიოთ, ჯენტლმენებო, ვიდრე გზას გაუდგებით, ცოტა გადავკრათ.

მაგრამ ლესტრეიდს დროზე უნდოდა პატიმრის მიყვანა საიმედო ადგილზე, და რამდენიმე წუთის შემდეგ კები ოთხივეს ლონდონისაკენ მიგვაქროლებდა. შეპყრობილს სიტყვაც არ დაუძრავს, თუმცა ავი თვალით კი შემოგვცქეროდა.

საპოლიციო უბანში გულმოდგინედ გაჩხრიკეს, მაგრამ რამდენიმე შილინგისა და გრძელი ხანჯლის გარდა, რომლის ტარზეც სისხლის ლაქები აღმოჩნდა, ვერაფერი უპოვეს.

- ყველაფერი რიგზეა, - თქვა ლესტრიედმა, როცა გვემშვიდობებოდა, - ჰილი იცნობს ამ ხალხს და არ გაუჭირდება მისი ვინაობის დადგენა. აი, ნახავთ, თუ ჩემი ვარაუდი მთლიანად არ დადასტურდება. მაგრამ მე დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მისტერ ჰოლმს, რომ დამნაშავეს ასე მოხერხებულად დაუგეთ მახე. მე ახლაც ვერ მივმხდარვარ, როგორ მოგივიდათ ეს თავში.

- ვგონებ, ძალიან გვიანაა და ახლა არა ღირს ახსნა-განმარტების მოცემა, - - თქვა ჰოლმსმა. - ამას გარდა, ზოგიერთი წვრილმანი ჯერაც არ არის დადგენილი. ამასთან ეს საქმე ისეთია, რომ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. თუ ხვალ ექვსი საათისათვის ბეიკერსტრიტზე შემოიხედავთ, დაგიმტკიცებთ, რომ ეს თავისებური საქმე ჩვენთვის ჯერ კიდევ ბნელითაა მოცული.

მომდევნო საღამოს რომ გვინახულა, ლესტრეიდმა შეგვატყობინა, დაპატიმრებულის ვინაობა დავადგინეთ. გვარი უცნობია, სახელად ბეპო ჰქვიაო. თურმე იტალიური კოლონიის არამზადებში თავზეხელაღებულობით გამოირჩევაო. ოდესღაც დახელოვნებული მოქანდაკე ყოფილა, მაგრამ შემდეგ გზას აცდენია და ციხეში ორჯერ მოხვედრილა: ერთხელ ბაცაცობისათვის დაუპატიმრებიათ, მეორედ - თავისი თანამემამულე დაუჭრია. ინგლისურად ჩინებულად ლაპარაკობს. დღესაც გაურკვეველია, რისთვის ამსხვრევდა ბიუსტებს. შეუპოვრად დუმს და იმის თაობაზე ლაპარაკის გაგონებაც არ უნდა. მაგრამ პოლიციამ შეძლო იმის დადგენა, რომ თვითონ შეუძლია ბიუსტების კეთება და უკეთებია კიდეც, როცა ჰელდერისა და კომპანიის სახელოსნოში უმუშავნია.

ლესტრეიდის მონათხრობი ამბებიდან უმრავლესობა ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, თუმცა ჰოლმსმა დიდი თავაზიანობით მოუსმინა, მაგრამ მე კარგად ვიცნობდი ჩემს მეგობარს და იოლად შევნიშნე, რომ რაღაცას ელოდა, ცმუკავდა და მოუსვენრობდა. ბოლოს თვალებგაბრწყინებული, სკამიდან წამოვარდა. სწორედ ამ დროს ჩემამდე ზარის ხმამ მოაღწია. წუთსაც არ გაუვლია, რომ ნაბიჯის ხმა შემოგვესმა და ოთახში ხნიერი, წითურქილვაშიანი კაცი შემოვიდა, რომელსაც მარჯვენა ხელში ძველებური პატარა ჩემოდანი ეჭირა. მოსულმა ჩემოდანი მაგიდაზე დადგა და ხმადაბლა იკითხა:

- შეიძლება შერლოკ ჰოლმსის ნახვა?

ჩემმა მეგობარმა თავი დაუკრა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

- თუ არ ვცდები, რედინგელი მისტერ სენდფორდი უნდა ბრძანდებოდეთ, არა? - ჰკითხა სტუმარს.

- დიახ, სერ. მგონი, ცოტა შემაგვიანდა, მაგრამ მატერებლების განრიგება ისე მოუხერხებლადაა შედგენილი... თქვენ ნაპოლეონის ბიუსტზე მწერდით ხომ?

- მართალი ბრძანდებით.

- თქვენი წერილი თან წამოვიღე. თქვენ მწერთ: «მსურს შევიძინო დევინის ნამუშევარი ნაპოლეონის ბიუსტის ტვიფარი და მზად ვარ გადავიხადო ათი სტერლინგი იმ ასლისათვის, რომელიც თქვენ გაქვთ». ასეა?

- დიახ, ასე გახლავთ.

- თქვენმა წერილმა პირდაპირ განმაცვიფრა. ვერანაირად ვერ მივხვდი, საიდან გაიგეთ, რომ ეს ბიუსტი მქონდა.

- სავაჭრო სახლის «ძმები ჰარდინგების» პატრონმა მისტერ ჰარდინგმა მითხრა, რომ ამ ბიუსტის უკანასკნელი ცალი თქვენ მოგყიდათ და თქვენი მისამართიც მომცა.

- მესმის. ის თუ გითხრათ, რამდენი გადავუხადე ამ ბიუსტში?

- არა, არ უთქვამს.

- მე პატიოსანი კაცი ვა, თუმცა არცთუ ისეთი მდიდარი გახლავართ. ამ ბიუსტში მხოლოდ ხუთმეტი შილინგი მივეცი, და ეს მინდა გაუწყოთ უმალ, ვიდრე თქვენგან ათ გირვანქას მივიღებ.

- ასეთი კეთილსინდისიერება პატივსა გდებთ, მისტერ სენდფორდ, მაგრამ თვითონვე აღგითქვით ეს ფასი და სიტყვას არ გადავალ.

- ეს, თქვენი მხრივ, მეტისმეტად კეთილშობილური საქციელია, მისტერ ჰოლმს. აი, ბიუსტიც, იგი თან წამოვიღე. - მისტერ სენდფორდმა ჩემოდანი გააღო. ბოლოს და ბოლოს გვეღირსა და დამსხვრეული ბიუსტისა და მისი ნატეხების ნაცვლად, სრულიად მთელი ბიუსტი ვიხილეთ.

ჰოლმსმა ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი და ათგირვანქიანი საკრედიტო ბილეთი ამოიღო.

- კეთილ ინებეთ, მისტერ სენდფორდ და მოწმეთა თანდასწრებით ხელი მოაწერეთ ამ ქაღალდს. აქ ნათქვამია, რომ მითმობთ ამ ბიუსტის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების, ერთი სიტყვით, ყველა უფლებას. როგორც ხედავთ, წინდახედული კაცი ვარ. შეუძლებელია წინდაწინ იმის ცოდნა, თუ რა მოხდება შემდეგში, როგორ იცვლებიან გარემოებანი... გმადლობთ, მისტერ სენდფორდ. ინებეთ თქვენი ფული. გისურვებთ ყოველივე კარგს.

როცა ჩვენი სტუმარი გაგვეცალა, შერლოკ ჰოლმსმა ხელახლა გაგვაკვირვა. განჯინიდან გაქათქათებული სუფრა გადმოიღო და მაგიდას გადააფარა. შემდეგ ახლად ნაყიდი ბიუსტი ზედ შუა სუფრაზე დადგა. მერე ასწია თავისი სანადირო არგანი და მძიმე ტარი ნაპოლეონს შიგ კეფაში ჩაჰკრა. ბიუსტი ნამსხვრევებად იქცა და ჰოლმსმა მთელი გულმოდგინებით გასინჯა მისი ყოველი ნატეხი. ბოლოს საზეიმო შეძახილით გამოგვიწოდა ერთი ნატეხი, რომელშიაც პუდინგში ჩარეული ქიშმიშის მარცვლის მსგავსი რაღაც მუქი მრგვალი საგანი აღმოჩნდა.

- ჯენტლმენებო! - შესძახა მან, - ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ბორჯიების სახელგანთქმული მარგალიტი.

მე და ლესტრეიდი გაოცებული ვდუმდით. შემდეგ, უეცრად აღგზნება დაგვეუფლა და ტაშის ცემას მოვყევით ისე, როგორც ეს თეატრებში დრამის კარგად გახსნილი კვანძის პატივსაცემად ხდება ხოლმე. ჰოლმსს ფერმკრთალი ლოყები აუვარდისფერდა და თავი ისე დაგვიკრა, როგორც დრამატურგმა, რომელსაც ტაშის ქუხილით კვლავ სცენაზე იწვევენ.

- დიახ, ჯენტლმენებო, - თქვა მან, - ეს დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო სახელგანთქმული მარგალიტია და საბედნიეროდ, ჩემი მეთოდის წყალობით მოვახერხე მისი ბედის კვალდაკვალ მიყოლა თავად კოლონას საწოლი ოთახიდან სასტუმრო «დაკრში», სადაც დაიკარგა, ვიდრე ნაპოლეონის იმ მეექვსე ბიუსტამდე, რომელიც ჰელდერისა და კომპანიის სახელოსნოში დამზადდა, და თქვენმა მონამორჩილმა, თქვენს თვალწინ დავამსხვრიე.

თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, ლესტრეიდ, ამ ძვირფასი ქვის დაკარგვის სენსაციური ამბავი და ლონდონის პოლიციის ამაო ცდა ეპოვათ იგი. - მაშინ დახმარებისათვის მეც მომმართეს, მაგრამ მეც უძლური აღმოვჩნდი. ეჭვი თავადის ქალის პირისფარეშზე ჰქონდათ, რომელიც ჩამომავლობით იტალიელი იყო. მას ლონდონში ჰყავდა ღვიძლი ძმა, მაგრამ, იმხანაჟ, მათ შორის ნათესაური კავშირი ვერ დაადგინეს. იმ მოსამსახურე გოგოს ერქვა ლუკრეცია, გვარად ვენუჩი და ეჭვი არ მეპარება, რომ პიეტრო ვენუჩი, რომელიც ამ ორი დღის წინ მოკლეს, მისი ძმა იყო. ძველი გაზეთები გადავსინჯე და აღმოჩნდა, რომ მარგალიტი ბეპოს დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე გაქრა. ბეპო კი ჰელდერისა და კომპანიის სახელოსნოში სწორედ იმ დროს დააპატიმრეს, როცა ეს ბიუსტები მზადდებოდა.

ახლა თქვენთვის ნათელია ამბავთა თანმიმდევრობა. მარგალიტი ბეპოს ჰქონდა. შეიძლება პიეტროს მოჰპარა. შეიძლება პიეტრო ბეპოს თანამონაწილეც იყო. ან პიეტსროსა და მის დას შუამავლობდა. არსებითად, ჩვენთვის არ არის მთავარი, რომელი ამ ვარაუდთაგანია სწორი. ჩვენთვის მთავარია, რომ მარგალიტი თან ჰქონდა სწორედ მაშინ, როცა პოლიცია მისდევდა.

ბეპომ თავი შეაფარა სახელოსნოს, სადაც მუშაობდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ სადაცაა გაჩხრეკდნენ და თუ ძვირფასი ნადავლის გადამალვას ვერ მოასწრებდა, უდავოდ უპოვიდნენ. ამ დროს სახელოსნოში ნაპოლეონის თაბაშირის ექვსი ბიუსტი შრებოდა. ერთი მათგანი ჯერ კიდევ სრულიად რბილი იყო. დახელოვნებულმა ოსტატმა ბეპომ ელვის სისწრაფით ჩადო ჯერ კიდევ სველ თაბაშირში შავი

მარგალიტი და ბიუსტს კარგა ხნის ჩამოსხმულის სახე მისცა. ეს იყო შესანიშნავი საცავი და მარგალიტს იქ ვერავინ იპოვნიდა. მაგრამ ბეპოს ერთი წლის ციხე მიუსაჯეს, ამასობაში კი ექვსივე ბიუსტი გაყიდეს. ბეპომ არ იცოდა, რომელ მათგანში იყო მისი მარგალიტი. ამიტომ განიზრახე ყველა მათგანის დამტვრევა და განძის აღმოჩენა.

ბეპო ძებნას შეუდგა შთაგონებით და თანმიმდევრულად. ჰელდერთან მომუშავე ბიძაშვილის დახმარებით გაიგო, რომელ ფირმებს მიჰყიდეს ბიუსტები. მორზ ჰადსონთან მოეწყო და მოახერხა გაეგო სამი ბიუსტის ბედი. ამ სამში მარგალიტი არ აღმოჩნდა. ნათესავ-თანამემამულეთა დახმარებით დაადგინა, ვის მიჰყიდეს დანარჩენი სამი ბიუსტი. პირველი მათგანი ჰარკერთან იყო. სწორედ აქ ბეპოს კვალს მიაგნო მისმა თანამოზიარემ, რომელიც მას თვლიდა მარგალიტის დაკარგვის მიზეზად, და მათ შორის მოხდა ხელჩართული ბრძოლა.

- თუ პიეტრო მისი თანამზრახველი იყო, რისთვის ატარებდა მის ფოტოსურათს? - ვკითხე მე.

- რათა გარეშეებისათვის გამოეკითხა ბეპოს ამბავი, ეს ყველაზე უფრო სარწმუნო ვარაუდია. ერთი სიტყვით, იმ რწმენამდე მივედი, რომ მკვლელობის შემდეგ ბეპომ არა თუ გადასდო, არამედ დააჩქარა კიდეც თავისი ძიება. იმით შეშინებული, რომ მისი საიდუმლო არ გამომჟღავნებულიყო და მარგალიტი არ დაეკარგა, ის ცდილობდა დაესწრო პოლიციისათვის და, რადაც უნდა დასჯდომოდა, მარგალიტისათვის მიეკვლია. რა თქმა უნდა, მე არ შემეძლო მტკიცება, რომ ჰარკერის კუთვნილ ბიუსტში მარგალიტი არ უპოვია. რას დაეძებდა, არც კი ვიცოდი. მაგრამ ჩემთვის ნათელი იყო, რომ რაღაც ძვირფას საგანს დაეძებდა, რადგანაც მოტაცებულ ბიუსტებს ამსხვრევდა მხოლოდ ისეთ ადგილებში სადაც შუქი იყო. როცა ჰარკერის ბიუსტი დაამსხვრია, ორი ბიუსტიღა დარჩა და აშკარა იყო, დაიწყებდა იმით, რომელიც ლონდონში ეგულებოდა. მე გავაფრთხილე სახლის მცხოვრებნი, რათა თავიდან ამერიდებინა მეორე ტრაგედია, და ბრწყინვალე შედეგებს მივაღწიეთ. ამ დროისათვის უკვე მტკიცედ მჯეროდა, რომ ჩვენ ბორჯიების მარგალიტზე ვნადირობდით. მოკლული პიეტრო ყველა ფაქტს ერთად აკავშირებდა. რჩებოდა მხოლოდ ერთი ბიუსტი - ის, რომელიც რედინგში გაიყიდა და მარგალიტი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ იმ ბიუსტში. მე ეს ბიუსტი თქვენი თანდასწრებით შევიძინე და მარგალიტიც სწორედ შიგ აღმოჩნდა.

რამდენსამე წამს ვდუმდით.

- დიახ, მისტერ ჰოლმს, - თქვა ლესტრეიდმა, - თქვენი არაჩვეულებრივი ნიჭიერების მოწმე ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ოსტატობით ამოხსნილი საიდუმლოება მაინც გასაოცრად მიმაჩნია.

- გმადლობთ! - თავმდაბლად წარმოთქვა ჰოლმსმა.

ფორთოხლის ხუთი კურკა

როცა 1882-1890 წლებში ჰოლმსის თავგადასავალის ჩემეულ ჩანაწერებს ვათვალიერებ, პირდაპირ აღარ ვიცი, რომელი ამოვარჩიო და მკითხველს რომელზე მოვუთხრო. ზოგ მათგანს მკითხველი უკვე იცნობს გაზეთებიდან, ხოლო ზოგი კი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებას მთელი ბრწყინვალებით ვუჩვენო ჩემი

მეგობრის ღვთაებრივი ნიჭი და დაკვირვების საოცარი უნარი, რომელიც ჰოლმსს ასე უხვად ჰქონდა მიმადლებული.

მე პირუთვნელად მოვუთხრე მკითხველს იმ შემთხვევებზეც, რომლებმაც ჩიხში მოამწყვდიეს ჩემი მეგობრის ანალიტიკური კვლევის მეთოდი და ძიების ხელოვნება. მაგრამ უმრავლესობა იმ საქმეთაგან, რომლებსაც შერლოკ ჰოლმსი იკვლევდა, ძალზე ბუნდოვანი, არეულ-დარეული, დახლართული და საიდუმლოებით მოცული გახლდათ და მათი ხსნის ერთადერთი გზა მის მიხვედრილობაზე, მსჯელობებსა და გუმანზე იყო დამოკიდებული და არა იმ ლოგიკურ მსჯელობებსა და თანმიმდევრულ მტკიცებულებათა ჯაჭვის რგოლებზე, რომლებიც მას აგრერიგად უყვარდა.

დროთა ვითარებაში ალბათ ყველა ჩემს ჩანაწერს გამოვაქვეყნებ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისე გამოკვეთილი და უცნაური ამბებით დაწნული, როგორც ის, ახლა რომ უნდა მოგითხროთ.

სექტემბრის ბოლო დღეები იდგა და ბუნიობის ძლიერი ქარები განსაკუთრებული სიავით მძვინვარებდა. მთელი დღე სტვენდა, ქროდა და ღრიალებდა ქარბორბალა, წვიმის მსხვილი წვეთები ფანჯრებს ეხეთქებოდნენ და სტიქიამ აქ ლონდონის შუაგულშიც კი მიგვაგნებებინა თავი ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისათვის და თავის თავზე ჩაგვაფიქრა. საღამოს უფრო მეტი სიძლიერით დაქროლა ქარმა და ბუხრის თავებში ახლა ბავშვივით ტირილი გააბა. შერლოკ ჰოლმსი მოწყენილი მისჯდომოდა ბუხარს და დანაშაულობათა მემუარული ჩანაწერები მოჰყავდა წესრიგში. მე მის პირდაპირ ვიჯექი და კლარკ რასელის მშვენიერ საზღვაო მოთხრობებს ვკითხულობდი. კითხვამ ისე გამიტაცა და წაკითხულ ამბებში ისე ღრმად შევიჭერი, რომ მეგონა ქარიშხალი წიგნის ფურცლებიდან სტვენდა, ხოლო ფანჯრებზე მოხეთქებული წვიმის წვეთების ხმაური წიგნში ამოკითხულ ზღვის ღელვის ხმად მივიჩნიე. ცოლი დეიდასთან იყო სტუმრად და მე რამდენიმე დღით ძველ საცხოვრებელ ადგილას ბეიკერსტრიტზე დავიდე ბინა.

- ვიღაც რეკავს, - ვუთხარი ჰოლმსს და მისკენ გავიხედე. - ვინ უნდა იყოს ამ შუაღამისას. ალბათ ვინმე თქვენი მეგობარი იქნება?

- თქვენს გარდა მე მეგობარი არა მყავს, - მიპასუხა ჰოლმსმა, - და ჩემთან სტუმრებიც არ დაიარებიან.

- აბა, კლიენტი ყოფილა და ისაა. - ვთქვი მე.

- თუ ასეა, მაშინ საქმე ძალიან სერიოზული იქნება. აბა, თუ რამე დიდი უბედურება არ სჭირს, ასეთ ამინდში და ამ დროს კაცს რა მოიყვანდა. მაგრამ იქნებ მოსამსახურე ქალის ვინმე ძველი მეგობარია.

ამჯერად შერლოკ ჰოლმსი შეცდა, რადგან კაკუნი ზედ ჩვენს კარზე გაისმა. ჰოლმსმა თავისი გრძელი ხელი გაიწოდა და ლამპა იმგვარად დადგა, რომ სტუმრის ჩამოსაჯდომად გამიზნული სკამი გაენათებინა.

- შემობრძანდით, - გასძახა მან.

ახალგაზრდა, რომელიც ოთახში შემოვიდა, ასე ოცდაორი წლისა იქნებოდა, კარგად ჩაცმულ-დახურული იყო და დახვეწილი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ხელში ჯერ კიდევ გაშლილი ქოლგა ეჭირა, რომლიდანაც წყალი წურწურით ჩამოდიოდა. ტანზე კი წყალგაუმტარი ლაბადა ეცვა. მოსულმა ოთახში სინოტივისა და სიცივის სურნელი შემოიტანა. იგი აღელვებული ჩანდა და დამფრთხალი ადამიანივით აცეცებდა თვალებს. ლამპის შუქზე შევნიშნე, რომ სახე ბაიასავით ყვითელი ჰქონდა და მის თვალებში შიშს დაესადგურებინა.

- ბოდიში უნდა მოგიხადოთ, - თქვა მან და თვალებზე ოქროს პენსნე გაიკეთა. - იმედია, ჩემს ამ შემოჭრას აბეზრობად არ ჩამომართმევთ. მაპატიეთ, რომ თქვენს წყნარ ბინაში ქარიწხლისა და წვიმის კვალი შემოვიტანე.

- მომეცით თქვენი ლაბადა და ქოლგა, - უთხრა ჰოლმსმა. - აი, ა ჩამოვკიდებ ორივეს და უფრო მალეც გაშრება. თქვენ სამხრეთ-დასავლეთიდან მოხვედით, არა?

- დიახ, ჰორშემიდან გეახელით.

- თიხისა და ცარცის ნარევი, რასაც თქვენი ფეხსაცმლის ცხვირზე ვხედავ, სწორედ ინგლისის სამხრეთ-დასავლეთისათვის არის დამახასითებელი.

- მე თქვენთან რჩევის მისაღებად მოვედი.

- ადვილი სამსახურია.

- უნდა დამეხმაროთ კიდეც.

- ეს ყოველთვის იოლი საქმე როდია.

- თქვენზე, მისტერ ჰოლმს, მაიორ პრენდერგასტმა ყველაფერი მიამბო. მითხრა, როგორ იხსენით ცილისწამებისაგან.

- ჰ, მას ცუდუბრალოდ დასწამეს კარტის თამაშის დროს თაღლითობა.

- მანვე მითხრა, რომ თქვენ შეგიძლიათ ყველაფერში გაერკვეთ.

- მეტისმეტი უთქვამს.

- მან მითხრა, რომ თქვენი დამჯაბნელი კაცი ქვეყანაზე არ დაიარება.

- აკი ოთხჯერ დამჯაბნეს კიდეც. სამჯერ მამაკაცებმა და ერთხელ ქალმა.

- მაგრამ ეს რაა თქვენს წარმატებებთან შედარებით?

- მართალია, ჩვეულებრივ, ჩემს საქმიანობაში წარმატებებს ვაღწევ ხოლმე.

- ასევე იქნება ჩემს საქმეშიც.

- ამ ლაპარაკს ის აჯობებს, სკამი ბუხრის წინ მოაჩოჩოთ და საქმის ყოველი წვრილმანი მიამბოთ.

- რაღაც არაჩვეულებრივი ამბავია.

- ჩმთან ყველა ამნაირი საქმე იყრის თავს. მე უმაღლესი საკასაციო ინსტანცია ვარ.

- მიუხედავად თქვენი გამოცდილებისა, სერ, მაინც მეეჭვება, რომ ისეთი იდუმალებით მოცული, გონებისათვის მიუწვდომელი და დაუჯერებელი ამბავი გაგეგონოთ, როგორიც ჩვენს ოჯახში დატრიალდა.

- თქვენ ძალიან დამაინტერესეთ, - უთხრა ჰოლმსმა. - გამაცანით საქმის ძირითადი შინაარსი და რომელ წვრილმან ამბებზე შეჩერებასაც საჭიროდ მივიჩნევ, თვითონ შეგეკითხებით.

ახალგაზრდა კაცმა თავისი სავარძელი მოგიზგიზე ბუხართან მიაჩოჩა, სველი ფეხსაცმელი ცეცხლს მიუფიცხა და დაიწყო:

- მე, ჯონ ოპენშოუ გახლავართ. ჩემი პირადი საქმეები ნაკლებად არის დაკავშირებული ამ საშინელებით მოცულ ამბავთან, ეს უფრო მემკვიდრეობით გადმოცემული საქმეა და ამიტომ თავს ნებას მივცემ, ჩემი მამა-პაპათა ისტორიაც გაგაცნოთ.

ჩემს პაპას ორი ვაჟიშვილი ჰყოლია. ჩემი ბიძა - ელიასი და მამაჩემი - ჯოზეფი. მამაჩემს კოვენტრში ჰქონდა პატარა ფაბრიკა, რომელიც მან ველოსიპედების წარმოების დაწყებით გააფართოვა.

მამამ გამოიგონა უცვეთი სალტეები, წარმოების საქმე მშვენივრად წაიყვანა და როცა იგი გაჰყიდა, კარგა დიდი თანხის პატრონი შეიქმნა.

ბიძაჩემი ელიასი ახალგაზრდობაში ამერიკაში წავიდა და ფლორიდას შტატში მდიდარი პლანტატორი გახდა. სამოქალაქო ომის დროს იგი ჯეკსონის არმიაში

იბრძოდა და მერე ჰუდის სარდლობის დროს პოლკოვნიკობას ეწია. როცა ლიმ იარაღი დაჰყარა, ბიძაჩემი, ისევ თავის პლანტაციას დაუბრუნდა, სადაც სამი თუ ოთხი წელი გაატარა. 1869 თუ 1870 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და ჰორშემის სიახლოვეს სასექსში იყიდა პატარა მამული. ამერიკაში მას საქმეები კარგად მიუდიოდა და დიდი ქონებაც შეიძინა, მაგრამ მიატოვა ის ქვეყანა და სამშობლოში დაბრუნდა, რადგან ზანგები არ უყვარდა და მათი განთავისუფლებისათვის რესპუბლიკური მთავრობის უმადური გახლდათ. იგი მკაცრი და ფიცხი კაცი იყო. გაჯავრებულმა დაუზოგავი ლანძღვა-გინება იცოდა. ჰორშემში, ჩემი აზრით, ისე იცხოვრა, რომ ქალაქში ფეხი არ გაუდგამს. მას ჰქონდა ბაღი, სახლს გარშემო ორი თუ სამი მინდორი ეკრა, სადაც სეირნობდა ხოლმე, თუმც მის ცხოვრებაში იყო ისეთი დღეები, როცა ოთახიდან ორი-სამი კვირა არ გამოდიოდა. ბევრს სვამდა და ეწეოდა, მაგრამ საზოგადოებას გაურბოდა, მეგობრები არა ჰყავდა, და საკუთარ ძმასაც კი ერიდებოდა. მე შემეჩვია და ძალიანაც შევუყვარდი, თუმცა, როცა პირველად მნახა, თორმეტი წლისა ვიყავი, ეს მოხდა 1878 წელს, მაშინ ამერიკიდან რვა თუ ცხრა წლის ჩამოსული გახლდა. იგი მამაჩემს შეეხვეწა, რომ მასთან მეცხოვრა. მამამ ნება დამრთო და ბიძასთან გადავსახლდი. ბიძაჩემი თავისი სიმკაცრის მიუხედავად, კარგად მექცეოდა. როცა ფხიზელი იყო, თვითონ მეთამაშებოდა ხოლმე. მევე მომანდო მოსამსახურეებისა და ვაჭრებთან ურთიერთობის საქმეც, ასე რომ თექვსმეტი წლისა მი სახლში ყველაფრის ბატონ-პატრონი ვიყავი. მე მებარა ყველა გასაღები, შემეძლო სადაც მსურდა წასვლა-მოსვლა, მხოლოდ ერთის პირობით: ხელი არ უნდა შემეშალა ბიძის სიმარტოვისათვის. ერთადერთი გამონაკლისი ის იყო, რომ სხვენზე მას ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, რომელიც მუდამ დაკეტილი იყო და შიგ შესვლა მის გარდა ყველას ეკრძალებოდა. ბავშვური ცნობისმოყვარეობის გამო, გასაღების ნახვრეტიდან ბევრჯერ შემიჭვრეტია ოთახში, მაგრამ სკივრებისა და რაღაც შეკრული საგნების მეტი არაფერი დამინახავს.

ერთ დღეს, ეს იყო 1883 წ. მარტის თვეში - ბიძაჩემმა წერილი მიიღო, რომელსაც საზღვარგარეთული საფოსტო ნიშანი ეკრა. იგი საერთოდ წერილებს არასოდე|ს ღებულობდა, რადგან მეგობრები არა ჰყავდა და ვაჭრებს კი ფულს ნაღდად უხდიდა.

«ინდოეთიდანაა, - თქვა მან, როცა წერილს დახედა. - პონდიშერის მარკა! რას უნდა ნიშნავდეს?» - მან სასწრაფოდ გახსნა წერილი და იქიდან ფორთოხლის ხუთი მარცვალი გადმოცვივდა და მის თეფშზე დაიყარა. მე სიცილი ამივარდა, მაგრამ ბიძაჩემის გაფითრებულ სახეს რომ შევხედე, იმწამსვე დავდუმდი. ტუჩი დაბლა ჩამოვარდნოდა, თვალები დაეჭყიტა და სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა. აცახცახებულ ხელში კვლავ კონვერტი ეჭირა და ზედ დაჰყურებდა.

«კ.კ.კ.! - წაიჩურჩულა მან და მერე დაუმატა,- ოჰ, ღმერთო! აი, სად მიწია ჩემმა ცოდვებმა».

«რა იყო, ძიავ?» - ვკითხე მე.

«სიკვდილი», - მიპასუხა მან, მერე წამოდგა და თავის ოთახისკენ გაემართა. მე შეშინებული ადგილზე გავქვავდი, არ ვიცოდი, რა მეღონა და ვისთვის მიმემართა.

კონვერტი ავიღე და დავხედე თუ არა, მაშინვე თვალში მეცა წითელი მელნით კონვერტის შიდა მხარეს წარწერილი «კ.კ.კ.». კონვერტში მარტო ფორთოხლის ხუთი მარცვალი აღმოჩნდა. მაშ, რაღამ შეაძრწუნა ბიძაჩემი? მაგიდა მივატოვე და კიბეს ზედა სართულისაკენ შევუყევი. კიბეზე ზევიდან ჩამომავალ ბიძაჩემს გადავეყარე. ერთ ხელში ძველი დაჟანგებული გასაღები ეჭირა, ალბათ თავისი ოთახისა, ხოლო მეორეში თითბრის პატარა ყუთი.

«რაც უნდათ, ისა ჰქნან! მე მაინც მტკიცედ ვადგავარ ჩემს აზრს» - თქვა მან და ლანძღვაც მიაყოლა. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: - «მერის ჩემს ოთახში ცეცხლი დაანთებინე და ჰორშემში კაცი გაგზავნე, რათა იქაური ნოტარიუსი ფორდჰემი მოიყვანოს».

მე ყოველივე ისე გავაკეთე, როგორც ბიძაჩემმა მიბრძანა, როცა ნოტარიუსი მოვიდა, ზევით ბიძის ოთახში მიხმეს. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და ცხაურზე ჩაშავებული ფერფლი ეყარა, ალბათ ბიძაჩემმა ქაღალდები თუ დასწვა... მაგიდაზე იდგა სახურავახდილი ცარიელი ყუთი, რომლის შიგნითა მხარეს სამი ისეთივე «კ» ამოვიკითხე, როგორც დილით მიღებულ კონვერტზე ეწერა.

«ჯონ, მე მინდა, რომ მოწმედ დაესწრო ჩემი ანდერძის შედგენას. მთელ ჩემს ქონებას ვუტოვებ ჩემს ძმას, რომლის ხელიდან იგი ალბათ შენ გადმოგეცემა. თუ ყოველივე ამას მშვიდობით მოიხმარ, ძალიან კეთილი და პატიოსანი. ხოლო, თუ ნახო, რომ ამ ქონებას თან რაიმე ხიფათი სდევს, მაშინ მიჰყევი ჩემს რჩევას და იგი შენს ყველაზე უბოროტეს მტერს უანდერძე. ძალიან ვწუხვარ, რომ ამნაირი მემკვიდრეობა გხვდა წილად, მაგრამ იქნებ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდეს. ახლა კი ხელი მოაწერე ანდერძს იმ ადგილას, სადაც ფორდჰემი მიგითითებს».

მე ხელი მინიშნებულ ადგილზე მოვაწერე და ქაღალდი ნოტარიუსმა თან წაიღო. ამ საოცარმა ინციდენტმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. თავს ვიმტვრევდი, გონების თვალით ათასჯერ ვუყრუნდებოდი ერთსა და იმავე კითხვას, რას ნიშნავდა ეს ყოველივე. მაგრამ მომხდარ ამბავს ვერავითარი ახსნა ვერ გამოვუძებნე. ამ შემთხვევამ ჩემს სულში რაღაც შეუცნობელი შიშის გრძნობა დატოვა, რომელიც ჟამთა სვლასთან თანდათანობით მინელდებოდა, რაკი ჩვეულებრივი ცხოვრების მდინარება არაფერს დაურღვევია, იმ დღის მერე ცვლილება მხოლოდ ბიძაჩემს შეეხო. მან სმას კიდევ უფრო უმატა და კიდევ უფრო განმარტოვდა. დროის უდიდეს ნაწილს იგი ახლა ოთახში ატარებდა, კარსაც კი შიგნიდან ჰკეტავდა ხოლმე. ხანდახან მთვრალი, რევოლვერით ხელში ბაღში გამოვარდებოდა და ხმამაღლა გაიძახოდა, რომ არავისი ეშინია და აც კაცსა და არც ეშმაკს იმის საშუალებას არ მისცემს, რომ ცხვარივით დაკლან. მაგრამ ეს გაცეცხლება გადაუვლიდა თუ არა, მაშინვე თავის ოთახს მიაშურებდა და კვლავ შიგნიდან იმ ადამიანივით იკეტებოდა, რომელსაც მხოლოდ უკიდურესი აღგზნების ჟამს შეუძლია შიშსა და პანიკას გაუბედოს შებრძოლება. ასეთი აღგზნების დროს მისი სახისათვის რომ შემიხედავს, ცივ ამინდშიაც კი ისეთ ოფლს ასხამდა, თითქოს ეს-ეს არის აბანოდან გამოვიდაო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო და თქვენი მოთმინებით ბოროტად არ ვისარგებლო, გეტყვით, რომ ერთ მშვენიერ ღამეს, როცა ახირებამ კვლავ წამოუარა და მთვრალი, რევოლვერით ხელში გარეთ გამოხტა, უკან აღარ დაბრუნებულა. იგი გუბურაში პირქვე ჩამხობილი ვიპოვეთ. ის პატარა გუბურა ბაღის ბოლოში გახლდათ. სხეულზე ძალადობის არავითარი ნიშანწყალი არ აჩნდა, მაგრამ წყლის სიღრმეც გუბურაში ორ ფუტს არ აღემატებოდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, მხედველობაში მიიღო რა ბიძაჩემის ექსცენტრიკული ხასიათი, დაადგინა, საქმე თვითმკვლელობასთან გვაქვსო. მაგრამ მე, რომელმაც კარგად ვიცოდი, როგორ თრთოდა და კანკალებდა ბიძაჩემი სიკვდილის უბრალო ხსენებაზეც კი, ვერაფრით ვერ დავიჯერე, რომ მან თავი მოიკლა. ასე იყო, თუ ისე, ბიძაჩემი მოკვდა და მამაჩემმა მემკვიდრეობით მიიღო თოთხმეტი ათასი ფუნტი სტერლინგი, რომელიც ბანკში მის სახელზე ძევს.

- ერთი მომენტი მინდა დავაზუსტო, - ჩაერია ჰოლმსი. - თქვენი ამბავი ისე საინტერესოა, რომ ამდაგვარი რამ ჩემს სიცოცხლეში მართლაც არ მომისმენია.

მხოლოდ ის მითხარით, როდის მიიღო წერილი და რა დრო გავიდა იმ დღემდე, როცა იგი გუბურაში ჩამხობილი იპოვეთ.

- წერილი 1883 წლის ათ მარტს მივიღეთ. თვითონ კი ვითომდა ეს თვითმკვლელობა შვიდი კვირის თავზე, ორ მაისს ჩაიდინა.

- გმადლობთ, გთხოვთ განაგრძოთ.

- შეუდგა თუ არა მამაჩემი სამკვიდროს მართვას, მაშინვე დაჟინებით მოვთხოვე, მეორე სართული, რომელიც მუდამ დაკეტილი იყო, კარგად გავჩხრიკოთ-მეთქი. ჩვენ იქ თითქრის ყუთი ვიპოვეთ, მაგრამ ცარიელი დაგვიხვდა. ყუთს შიგნითა მხარეს პატარა ქაღალდი ჰქონდა მიკრული და ზედ იგივე ინიციალები: «კ.კ.კ.» ეწერა. პატარა მიკრულ ქაღალდს ქვევით კიდევ იყო ერთი წარწერა: «წერილები, სამახსოვრო ბარათები, ხელწერილები და რეესტრი». ჩვენი აზრით, პოლკოვნიკმა ოპენშოუმ სწორედ ეს ქაღალდები დასწვა. გარდა ამისა, ზემოთ სართულში საყურადღებო აღარაფერი გვინახავს. მართალია, იქ მიყრილ-მოყრილი აუარებელი ჩანაწერი და ქაღალდი ეყარა, მაგრამ ისინი, მხოლოდ ბიძაჩემის ამერიკაში ცხოვრების ხანას შეეხებოდნენ. ბევრი მათგანი ომის დროინდელი იყო და ბიძაჩემის სამხედრო კარიერის ამსახველ ცნობებს შეიცავდა. მათი გაცნობის შედეგად შევიტყვეთ, რომ პოლკოვნიკი ოპენშოუ სამხედრო დავალებებს პირნათლად ასრულებდა და უმცროს-უფროსებში მამაცი მეომრის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. დანარჩენი ქაღალდები სამხრეთი შტატების პოლიტიკური ცხოვრების ახლებურად გარდაქმნას შეეხებოდნენ და იმას ადასტურებდნენ, რომ პოლკოვნიკი ოპენშოუ სამხრეთის შტატების დამარცხების შემდეგაც ჩრდილოეთის პოლიტიკურ მოღვაწეთ ოპოზიციაში ედგა და სიცოცხლეს უმწარებდა.

ასე და ამრიგად, 1884 წლის დასაწყისში გახლდათ, მამა რომ ჰარშემში ჩამოვიდა და სამკვიდრო მიიღო. 1885 წლის 4 იანვარამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. ამ დღეს სასაუზმედ რომ დავსხედით, მამაჩემმა უცებ წამოიყვირა. მას ერთ ხელში კონვერტი ეჭირა, მეორეში ხელისგულზე კი ფორთოხლის ხუთი მარცვალი ეყარა. იგი მუდამ დაცინვით იგონებდა პოლკოვნიკის გარშემო არსებულ ჭორებს, მაგრამ იმნაირი ამანათი რომ თვითონაც მიიღო, შეეშინდა.

«რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივე, ჯონ?» - მკითხა მე.

კონვერტის დანახვაზე გული გამეყინა.

«ისევ ის წყეული «კ.კ.კ.» არის», - ვუთხარი მე.

მამამ კონვერტის შიგნით ჩაიხედა, - დიახ, კონვერტის შიგნითაც იგივე ასოებია გამოყვანილი, მაგრამ მათ ქვეშ რაღა წარწერაა?

მამას თავზე დავადექი და მინაწერი წავიკითხე: «ქაღალდები მზის საათის ქვეშ დააწყვეთ».

«რა ქაღალდები, ან სად მზის საათის ქვეშ უნდა დავაწყო? - წარმოთქვა გაკვირვებულმა.»

«მზის საათი კი ბაღში გვაქვს, მაგრამ ქაღალდები რომ განადგურებულია?» - ვუთხარი მე.

«ფუჰ! - გულადად წარმოთქვა მამამ, - ჩვენ ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ასეთი სისულელის არ უნდა გვეშინოდეს. საიდანაა გამოგზავნილი წერილი».

«დანდიდან», - ვუპასუხე მე, როცა საფოსტო მარკას დავხედე.

«ვიღაცის უკბილო ხუმრობა იქნება, - თქვა მან, - რა საქმე მაქვს მზის საათსა და რაღაც ქაღალდებთან. ამნაირ სისულელეს კაცმა ყური არ უნდა ათხოვოს».

«მე თქვენს ადგილზე პოლიციას შევატყობინებდი», - გავაფრთხილე მშობელი.

«რომ მასხრად ამიგდონ, ეშინიაო, არა? ამნაირ რამეს მე არ ვიზამ».

«მაშინ მე შევატყობინებ», - შევთავაზე მამას ჩემი დახმარება.

«არავითარ შემთხვევაში! ასეთ სისულელეზე ხმაურის ატეხვა არ ღირს».

იგი ჯიუტი ადამიანი გახლდათ და მასთან კამათი არა ღირდა. მე კი გული ავ საქმეს მიწინასწარმეტყველებდა და სევდა მომერია.

წერილის მიღებიდან მესამე დღეს მამა ერთი თავისი კარგი მეგობრის მაიორი ფრიიბოდის სანახავად გაემგზავრა. ფრიიბოდი პორტსდაუნ ჰილში ერთ-ერთი ფოსტის უფროსად მსახურობს. მე ძალიან გამეხარდა, მამა რომ სახლიდან წავიდა, ჩემი მოკლე ჭკუით აგრე მეგონა, საფრთხე მარტო შინ მყოფს მოელოდა. ვაგლახ, რომ შევცდი! მამის გამგზავრების მეორე დღეს მაიორის ხელით გამოგზავნილი დეპეშა მივიღე, მთხოვდა, მალე ჩამოდიო. მამა ცარცის ერთ-ერთ მაღაზიაში ვნახე თავგაჩეხილი. ცარცის ასეთი მაღაროებით ხომ სავსეა ჩვენი მხარე. იგი უგრძნობლად იწვა და გონს მოვლა აღარც ეწერა. ეტყობა, ფარჰემიდან საღამოთი გამოემგზავრა, რადგან იქაურობას არ იცნობდა, ხოლო ცარცის მაღაროები შემოუღობავია. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ გასჭირვებია მიეღო დადგენილება: «უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი». მის სიკვდილთან დაკავშირებული ყველა ფაქტი დიდი სიფრთხილითა და გულმოდგინებით შევისწავლე, მაგრამ ისეთს ვერაფერს წავაწყდი, რომ მოკლეს-მეთქი, მეფიქრა. ძალადობის ნიშნები არა ჩანდა, კვალის არსად იყო, გაძარცული არ გახლდათ და გზაზეც უცხო არავინ ყოფილა. მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია გითხრათ, ჩემს გონებას არ შორდებოდა ის აზრი, რომ მამაჩემს ხაფანგი დაუგეს და მოკლეს.

ასეთი ავისმომასწავებელი ამბები უძღოდა წინ ნაანდერძევი ქონების მიღებას. თქვენ ალბათ მკითხავთ, რატომ არა ვთქვი უარი მემკვიდრეობაზე. გიპასუხებთ, ჩემი აზრით, მომხდარი ამბები დაკავშირებული იყო რაღაც ინციდენტთან ბიძაჩემის ცხოვრებაში და საფრთხე, რომელ სახლშიაც არ უნდა მეცხოვრა, მაინც განუყრელად თან მდევდა.

ჩემი საწყალი მამა 1885 წლის იანვარში გარდაიცვალა და მას მერე ორი წელი და რვა თვე გავიდა. ამ ხნის მანძილზე ჰარშემში თავს ბედნიერად ვგრძნობდი და ვიმედოვნებდი, რომ ის წყევლა, რომელმაც ჩვენი ოჯახის უფროსი თაობა ადრიანად ჩაიყვანა საფლავში, მე აღარ მდევნიდა. მაგრამ თურმე თავს ტყუილად ვინუგეშებდი. გუშინ დილით მეც იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როგორშიაც ამ ორი წლისა და რვა თვის წინათ მამაჩემი იყო.

ახალგაზრდა კაცმა ჯიბიდან დაჭმუჭვნილი კონვერტი ამოიღო, მაგიდისაკენ შებრუნდა და სუფრაზე ფორთხოლის ხუთი ცალი გამხმარი კურკა დაჰყარა.

- აი, კონვერტი, - განაგრძობდა იგი, - საფოსტო მარკა ლონდონისა აქვს, აღმოსავლეთი მხარე. შიგნით იგივე სიტყვები სწერია, რაც მამაჩემის მიერ მიღებულ წერილში ეწერა.

- რა მოიმოქმედეთ, - ჰკითხა ჰოლმსმა.

- არაფერი.

- არაფერი?

- მართალი რომ გითხრათ, - თქვა ესა და ჩვენმა სტუმარმა სახე თეთრ, გამხდარ ხელებში ჩამალა, - ისე ვიფიქრე, რომ საშველი არსით იყო და გველის დანახვაზე ადგილზე გაოგნებული კურდღელივით დამემართა. შეიძლება წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა, მე ცუდუბრალოდ ვებღაუჭები იმედს და ულმობელსა და დაუძლეველ ძალას ვფიქრობ წინ აღვუდგე. იქნებ მართლაც არაა საშველი და ჩემი დაცვა აღარავის ძალუძს.

- სისულელეა ასეთი ლაპარაკი, - წამოიძახა ჰოლმსმა. - თქვენ ან აქტიურად იმოქმედებთ, ან დაიღუპებით. მხოლოდ ენერგიულ მოქმედებას შეუძლია თქვენი ხსნა განსაცდელისაგან. ახლა სასოწარკვეთის დრო არაა.

- მე ვიყავი პოლიციაში.

- ჰო, მერე?..

- მათ ჩემი მონათხრობი რომ მოისმინეს, სიცილად არ ეყოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ პოლიციის ინსპექტორს ეს წერილები ხუმრობად მიაჩნია, ხოლო ჩემიანების სიკვდილი შემთხვევითობად, რომელიც უბრალოდ დაემთხვა ამ წერილების მოსვლის თარიღს.

ჰოლმსის მუშტმა ჰაერი გააპო.

- დაუჯერებელი გონებასუსტობაა, - წამოიყვირა მან.

- მათ მაინც გამომაყოლეს პოლისმენი, რომელიც სახლში ჩემთან ერთად იქნება.

- აქაც თან მოგყვათ?

- არა, ნაბრძანები აქვს ჩემს სახლში იყარაულოს.

ჰოლმსმა ისევ გააქნია მუშტები ჰაერში.

- რატომ მოხვედით ჩემთან? - თქვა მან. - რაც მთავარია, რატომ მაშინვე არ მოხვედით, როცა ეს ამბავი შეგემთხვათ?

- არ ვიცოდი თქვენი არსებობა. დღეს მაიორ პრენდერგასტს შევჩივლე ჩემი უიმედო მდგომარეობა და მან თქვენთან მოსვლა მირჩია.

- თქვენ წერილი ორი დღის წინათ მიიღეთ. მოქმედებაც ადრე უნდა დაგეწყოთ. გარდა იმისა, რაც ჩვენ გვითხარით, მე ვფიქრობ, თქვენ სხვა მონაცემები არ უნდა გქონდეთ. იქნებ რაიმე ისეთი წვრილმანი გაქვთ, რაც საქმეში მოგვეხმარება?

- არის ერთი საგანი, - გვითხრა ჯონ ოპენშოუმ. - მან მიიჩხრიკ-მოიჩხრიკა პალტოს ჯიბეები, იქიდან ლურჯი, გამოხუნებული ქაღალდის ნაგლეჯი ამოათრია, და მაგიდაზე დასდო. - როგორც მახსოვს, - დაიწყო ოპენშოუმ, - როცა ბიძაჩემმა ქაღალდები ცეცხლში შეჰყარა, ის პატარა კიდის ნაწილები, რაც ცეცხლს გადაურჩა, სწორედ ამ ფერისა გახლდათ. ეს ერთი ფურცელი შემთხვევით გადარჩენოდა დაწვას და მისი ოთახის იატაკზე ეგდო. აქ გარდა ფორთოხლის მარცვლებისა სხვა არაფერია ნახსენები და მეეჭვება, რომ ქაღალდი რამეში დაგვეხმაროს. ჩემი აზრით, ეს ქაღალდი რომელიღაც დღიურიდან ამოვარდნილი ფურცელი უნდა იყოს. ხელწერა ბიძაჩემისაა.

ჰოლმსმა ლამპა შემოაბრუნა და ჩვენ ორივენი ქაღალდისაკენ დავიხარეთ, რომ წაგვეკითხა. ქაღალდის ცალი მხარე ისე უსწორმასწორო გახლდათ, რომ ცხადი იყო მართლაც რომელიღაც დღიურიდან უნდა ყოფილიყო ამოვარდნილი. მაღლა ეწერა: «მარტი, 1869 წ.» დაბლა კი გაუგებარი მინაწერები მოსდევდა: -

4-ში. ჰადსონი მოვიდა. ისევ ძველი პლატფორმა.

7-ში. მარცვლები გაეგზავნა მაკ-კოულის, პარამორს და სენტ ავგუსტინელ ჯონ სვეინს.

9-ში მაკ-კოული გაეცალა.

10-ში ჯონ სვეინი გაეცალა.

12-ში. ესტუმრნენ პარამორს. ყველაფერი რიგზეა.

- გმადლობთ! - თქვა ჰოლმსმა, - ქაღალდი დაკეცა და პატრონს დაუბრუნა. - ახლა დრო აღარ უნდა დავკარგოთ. იმის დროც არაა, რომ ის გავარკვიოთ, რაც თქვენ მიამბეთ. თქვენ უნდა სახლში დაბრუნდეთ და იმოქმედოთ.

- რა უნდა გავაკეთო?

- ახლა მარტო ერთი რამაა გასაკეთებელი და ისიც დაუყოვნებლივ. თვენ ის ქაღალდი, რომელიც ჩვენ გვიჩვენეთ, თითბრის ყუთში უნდა ჩადოთ და წერილში მითითებულ ადგილზე მოათავსოთ. ყუთშივე უნდა ჩადოთ წერილი, რომელშიაც მკითხველს აუწყებთ, რომ თქვენმა ბიძამ ყველა სხვა ქაღალდი ცეცხლს მისცა და მხოლოდ ერთადერთი გადაურჩა დაუწვავი. თქვენ ეს ტექსტი ისეთი სიტყვებით უნდა შეადგინოთ, რომ მათ დაიჯერონ. როგორც კი ყოველივეს მორჩებით, თითქრის ყუთი მზის საათს ქვეშ დადგით. ხომ გასაგებია, რაც გითხარით?

- გასაგებია.

- ახლა შურისძიებისა და სხვა გრძნობების აყოლის დრო არაა. ჩემი აზრით, ჩვენ შეგვიძლია ამას კანონის სახელით მივაღწიოთ. მათ უვე მზადა აქვთ ქსელი, ჩვენ კი ახლა უნდა დავიწყოთ მახის დაგება. ამჯერად, უმჯობესია ის საფრთხე ავიცილოთ, რომელიც თქვენ გელით. მერე კი შეიძლება ამ საიდუმლოებით მოცული ამბის გახსნა და დამნაშავეთა დასჯა.

- გმადლობთ, - უთხრა ჰოლმსს ახალგაზრდა კაცმა, თან წამოდგა და ლაბადის ჩაცმა დაიწყო. - თქვენ მე სიცოცხლე დამიბრუნეთ და გულს იმედიც შთამინერგეთ. ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მირჩიეთ.

- დრო არ დაკარგოთ და რაც მთავარია, თავს გაუფრთხილდით, ვინაიდან თქვენ მართლაც რეალური და გარდუვალი საფრთხე გემუქრებათ. უკან რა გზით უნდა დაბრუნდეთ?

- ვატერლოოდან მატარებლით წავალ.

- ჯერ ცხრა საათიც არაა. ქუჩაში ბევრი ხალხი იქნება, ასე რომ დარწმუნებული ვარ, შინ მშვიდობით მიხვალთ. თქვენ თავს ძალიან უნდა გაუფრთხილდეთ.

- იარაღიც მაქვს.

- ეგ კარგია. ხვალიდანვე შევუდგები თქვენს საქმეს.

- მაშ, ჰორშემში გნახავთ, არა?

- არა, თქვენი საქმის საიდუმლო გასაღები ლონდონშია და მეც აქ უნდა ვეძებო.

- მაშინ ერთ ან ორ დღეში თვითონ მოგინახულებთ და თითბერის ყუთისა და ქაღალდების ამბავს მოგახსენებთ. ახლა კი წავალ და რაც რჩევა მომეცით, ყველაფერს სწორედ ისე შევასრულებ. - იგი დაგვემშვიდობა და ხელი მაგრად ჩამოგვართვა. გარეთ ისევ ისე უმოწყალოდ სტვენდა და ზუზუნებდა ქარი, წვიმაც ისევ ისე საშინელი ძალით ეხეთქებოდა ფანჯრებს. ეს უცნაური და ველური ამბავი თითქოს ქარიშხალმა შემოგვიგდო ოთახში და ახლა იმავე ქარიშხალმა შთანთქა. ისევე, როგორც ღელვის დროს ზღვამ იცის ხოლმე წყალმცენარეთა ნაპირზე გამორიყვა და მერე ისევ უკან წაღება.

ჰოლმსი რამდენიმე ხანს გაყურსული იჯდა და ცეცხლის ენებს შეჰყურებდა. მერე ჩიხუბი გააბოლა, სავარძელში გადაწვა და თამბაქოს წრეებად დახვეულ ბოლს აკვირდებოდა, რომლებიც ერთმანეთს ჭერთან ეწეოდნენ.

- მე მგონია, უოტსონ, - წამოიწყო ჰოლმსმა, - რომ ასეთი ფანტასტური საქმე ჯერაც არა გვქონია.

- თუ ოთხთა ნიშანს არ ჩავთვლით, მაშინ მართლაც აგრეა.

- არა, მე მაინც მგონია, რომ ჯონ ოპენშოუ უფრო მეტ განსაცდელშია ჩავარდნილი და უფრო დიდი საფრთხე ემუქრება, ვიდრე შოლტოს ემუქრებოდა.

- მაგრამ გაქვთ კი თქვენი მოსაზრება იმაზე, ოპენშოუს რა საფრთხე ემუქრება?

- ეგ რაღა საკითხავია, როცა ორი მაგალითი თვითონვე ოპენშოუმ დაასახელა?

- მაშ, ამიხსენით, რაშია საქმე? ვინაა ეს «კ.კ.კ.» და რა დაუშავა ამ უბედურმა ოჯახმა?

შერლოკ ჰოლმსმა თვალები მილულა, იდაყვები სავარძელს დააყრდნო და თითების ბოლოები ერთმანეთს მიაჭყლიტა.

- იდეალური მოაზროვნე, - წამოიწყო მან ჩემს საპასუხოდ, - ერთი რომელიმე ფაქტიდან, რომელიც მან ნახა, არა მარტო იმ ჯაჭვის შემადგენელ რგოლებს დასძებნის, რომელმაც ამ ფაქტამდე მიგვიყვანა, არამედ იმ შედეგებსაც იწანასწარმეტყველებს, რომლებიც ამ ფაქტიდან გამომდინარეობენ. როგორც კიუვეს შეეძლო ცხოველის ერთი ნაპოვნი ძვლიდან მთელი ჩონჩხი აღედგინა, ისე მოაზროვნემ უნდა შესძლოს ინცინდენტთა სერიიდან, ერთი რომელიმე შესწავლილი რგოლის საფუძველზე, ზუსტად დაადგინოს ყველა დანარჩენი რგოლი, როგორც ინცინდენტის წინათ მომხდარი, ისევე მისგან მომდინარე ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს ხელმოსაკიდებელი შედეგი, და, მისი მიღწევა მარტო გონებით შეიძლება. პრობლეა შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ საქმის გულმოდგინე შესწავლითა და კვლევა-ძიებით, და მაშინ იგი ჩიხში მოაქცევს ყველას, ვინც საქმის გახსნას და პრობლემის გადაჭრას მხოლოდ გონების შემწეობით ლამობს. თუ აზროვნების ხელოვნების აყვანა უმაღლეს დონეზე გვინდა, მაშინ მოაზროვნეს უნდა შეეძლოს არა მარტო ყველა ფაქტის გამოყენება, რომელიც თვითონ იცის და მის განკარგულებაშია, არამედ იმისიც, რაც კაცობრიობის ცოდნის სალაროშია და სხვებს მოუპოვებიათ. აქ შეუძლებელი არაფერია, რადგან ადამიანს შესაძლებლობა აქვს არა მარტო თავისი, არამედ სხვისი ცოდნით მოპოვებული შრომის ნაყოფი თავის საქმეში წარმატებით გამოიყენოს. ამ შემთხვევაში მე თვითონ ასე მოვიქეცი. თუ სწორად მახსოვს, ერთხელ, ჩვენი მეგობრობის ადრეულ დღეებში თქვენ სხვადასხვა დისციპლინებში ჩემი ცოდნა შეაფასეთ.

- დიახ, - ვუპასუხე მე სიცილით, - ის იყო არაჩვეულებრივი დოკუმენტი. ფილოსოფიაში, ასტრონომიასა და პოლიტიკაში, როგორც მახსოვს, ნოლი დაგიწერეთ, ბოტანიკის ცოდნა ცვალებადი გქონდათ, გეოლოგია ღრმად იცოდით, რადგან ქალაქის გარშემო ორმოცდაათი მილის მანძილზე ტალახისა და მიწის ყველა ნაირსახეობაში საფუძვლიანად ერკვეოდით, ქიმიაში თქვენი ცოდნა ექსცენტრიკულად შევაფასე, ანატომიაში - არასისტემატურად, სისხლის სამართლისა კი - უნიკალურად. გარდა ამისა ვწერდი, რომ იყავით: მევიოლინე, მოკრივე, მოფარიკავე, სამართლის მცოდნე და თავის მტერი, ვინაიდან საკუთარ ორგანიზმს კოკაინითა და თამბაქოთი იწამლავდით. ასეთი იყო, როგორც მახსოვს, ჩემი ანალიზის ძირითადი პუნქტები.

ბოლო პუნქტის ხსენებაზე ჰოლმსს ჩაეცინა.

- მე ვამბობდი და ვამბობ, - დაიწყო მან, - რომ ადამიანმა თავისი გონებრივი სალარო იმ ცოდნით უნდა შეავსოს, რისი გამოყენებაც შეუძლია, დანარჩენი კი თავისი ბიბლიოთეკის თაროებზე უნდა განალაგოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს. ისეთი საქმის კვლევა-ძიებისათვის, როგორსაც ამ ღამით გადავაწყდით, საჭიროა ჩვენი ყოველი რესურსის რაციონალურად გამოყენება. აბა, ერთი თაროდან ამერიკული ენციკლოპედიის ის ტომი გადმოიღეთ, რომელიც ასო «კ»-ზეა. გმადლობთ. ახლა ავწონ-დავწონოთ შექმნილი სიტუაცია და ვნახოთ, რა დასკვნების გაკეთება შეგვეძლება. პირველყოვლისა უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლკოვნიკ ოპენშოუს ჰქონდა ძალიან დიდი საბაბი იმისათვის, რომ ამერიკა დაეტოვებინა. მის ასაკში მყოფი ხალხი აგრე ადვილად არ აღალატობს თავის წეს-ჩვეულებებს. არც ისა მჯერა, რომ მას უმიზეზოდ, ერთი ახუშტურებით შეეძლო ფლორიდის შესანიშნავი კლიმატის ნაცვლად ინგლისის პროვინციული ქალაქის ცხოვრებაზე გაცვლა. ინგლისში ყოფნის დროს მის ძლიერ მისწრაფებას განმარტოებისაკენ იმ აზრამდე

მივყავართ, რომ მას რიღაცის ან ვიღაცის ეშინოდა. ამრიგად, ჩვენს სამუშაო ჰიპოთეზად უნდა მივიღოთ, რომ ამერიკა პოლკოვნიკმა ოპენშოუმ ვიღაცის ან რიღაცის შიშით მიატოვა. იმაზე, თუ რამ გამოიწვია ასეთი ძლიერი შიში, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ ავისმომასწავებელი წერილების მიხედვით, რომლებიც მიიღეს თვითონ პოლკოვნიკმა და მისმა მემკვიდრეებმა. თქვენ ნახეთ იმ წერილებზე დაკრული საფოსტო მარკები?

- პირველი პონდიშერიდან იყო გამოგზავნილი, მეორე - დანდიდან, მესამე კი - ლონდონიდან.

- აღმოსავლეთ ლონდონიდან. - ჩაურთო მან. - რა დასკვნა შეგიძლიათ გააკეთოთ აქედან?

- ყველა ეგ დასახელებული ადგილი საოკეანო გემების სადგომი ნავსადგურებია. ალბათ წერილების გამომგზავნი მართლაც გემბანზე ყოფილიყო. ახლა ამ საქმეს სხვა კუთხიდან შევხედოთ. პონდიშერიდან გამოგზავნილი მუქარის წერილის მიღებისა და მუქარის სისრულეში მოყვანამდე შვიდმა კვირამ განვლო, დანდიდან - კი მხოლოდ ოთხმა თუ სამმა დღემ. გულისხმაში გაგდებთ თუ არა, უოტსონ, ეს ამბები?

- პირველ შემთხვევაში უფრო მეტმა დრომ განვლო მუქარის სისრულეში მოყვანამდე.

- მაგრამ წერილსაც ხომ უნდა დიდი გზა განევლო, ვიდრე ადრესატს მიაღწევდა.

- მაშინ არ მესმის, რაშია საქმე.

- სავარაუდებელია, რომ გემი, რომელზეც წერილის გამომგზავნი იმყოფებოდა, იალქნიანი იყო. ჩანს, ისინი, ვიდრე თავისი მისიის სისრულეში მოყვანას დაიწყებენ, თავიანთ მსხვერპლს წინასწარ აფრთხილებენ, ხომ ნახეთ, დანდიდან მიღებულ მუქარას საქმეც რა მალე მოადევნეს. ისინი რომ პონდიშერიდან ორთქლით მავალ გემს გამოჰყოლოდნენ, მაშინ ინგლისში წერილი და წერილის გამომგზავნები ერთდროულად ჩამოვიდოდნენ. მაგრამ წერილის მიღებიდან მათ გამოჩენამდე შვიდმა კვირამ განვლო. ეს შვიდი კვირა კი, ჩემი აზრით, დროის ის მონაკვეთია, რა დროითაც პონდიშერიდან ორთქლით მავალმა გემმა იალქნიან გემს გამოუსწრო.

- შესაძლებელია.

- მე ნამდვილად აგრე მგონია. ახლა თქვენ კარგად ხედავთ, თუ რამდენად სახიფათო საქმესაა გადაყრილი ჩვენი ოპენშოუ და რატომ გავაფრთხილე რამდენჯერმე, თავს მოუარეთ-მეთქი. წერილის ავტორებს მუქარა სისრულეში მოჰყავდათ მხოლოდ იმ დროის უკანასკნელ მომენტში, რაც წერილის გამოგზავნის ადგილიდან, დანიშნულების ადგილამდე იალქნიანი გემის მგზავრობისათვის იყო საჭირო. ჯონ ოპენშოუს სახელზე მიღებული წერილი კი ლონდონიდანვე არის გამოგზავნილი და ამდენად ჩვენ ვერ გავითვალისწინებთ, რამდენ ხანს აცდიან წერილის ავტორები ადრესატს დავალების სისრულეში მოყვანას.

- ღმერთო ჩემო, - წამოვიძახე მე, - რას უნდა ნიშნავდეს ეს ულმობელი დევნა?

- ცხადია, იმ დოკუმენტებით, რომლებიც ოპენშოუმ დასწვა, სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ისინი, ვინც იალქნიან გემზე იმყოფებიან. იქ ერთი კაცი არ უნდა მოქმედებდეს. ერთ კაცს არ შეუძლია ორი მკვლელობა ისე ჩაიდინოს, რომ წინასწარი გამოძიება და სასამართლო დააბნიოს და ყველას გზა-კვალი აურიოს. ამ საქმეში რამდენიმე კაცის ხელი ურევია და თანაც მიზნად დაისახეს, ხელში ჩაიგდონ დოკუმენტები, რადაც უნდა დაუჯდეთ და ვის ხელშიაც უნდა იყოს ისინი. ასე და

ამრიგად, თქვენ კარგად ხედავთ, რომ «კ.კ.კ.» ერთი კაცის კი არა, მთელი ორგანიზაციის ინიციალებია.

- მაგრამ რომელია ეს საზოგადოება?

- თქვენ არასოდეს არ გაგიგონიათ კუ კლუქს კლანზე? - დაიხარა და ჩურჩულით მკითხა ჰოლმსმა.

- არასოდეს.

ჰოლმსმა მუხლებზე დადებული ამერიკული ენციკლოპედიის ტომი სათანადო ადგილზე გადაშალა და ხმადაბლა წაიკითხა: «სახელწოდება კუ კლუქს კლანი წარმოსდგება შაშხანის ჩახმახის დაკეტვის დროს წარმოქმნილი ხმაურიდან. ეს საშიში საიდუმლო საზოგადოება ჩამოაყალიბეს სამხრეთის არმიის ჯარისკაცებმა სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ. ორგანიზაციამ უმალვე შექმნა თავისი ადგილობრივი განყოფილებები სხვადასხვა შტატებში, უპირატესად კი: ტეხასში, ლუიზიანაში, ორთავე კაროლინას შტატებში, ჯორჯიასა და ფლორიდაში. ორგანიზაციამ თავისი ძალის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის დაიწყო. იგი პრინციპულად იბრძვის ზანგებისათვის საარჩევნო ხმის უფლების მიცემის წინააღმდეგ. ორგანიზაცია სდევნის ან სიკვდილით გზიდან იშორებს ყველას, ვინც მის შეხედულებებს ეწინააღმდეგება. მათი მხრიდან კანონის სასტიკ დარღვევასა და სიკვდილის მისჯას მუდამ წინ უსწრებდა გაფრთხილება, რომლებსაც ისინი თავიანთ მსხვერპლს უგზავნიდნენ. ეს გაფრთხილება სრულდებოდა რაღაც ფანტასტიკური, მაგრამ ისეთი გზით, რომ ყველას გაეგო ორგანიზაციის ხელწერა. მაგალითად, ზოგიერთ შტატში მსხვერპლს მუხის შტოსა და ფოთლებს უგზავნიდნენ, ზოგან ნესვის თესლს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ფორთოხლის გამომხმარ კურკებს. მიიღებდა თუ არა ასეთ გაფრთხილებას სამსხვერპლო, ან საჯაროდ უნდა გამოსულიყო და ეთქვა, რომ ჰგმობდა თავის ადრინდელ შეხედულებებს, ანდა ქვეყნიდან გადახვეწილიყო, ხოლო თუ გაფრთხილებისდა მიუხედავად არ მოიქცეოდა, სიკვდილი არ ასცდებოდა, თანაც ისეთ ფორმებში, ვითომ მისი დაღუპვა ბრმა შემთხვევასა და გაუთვალისწინებელ ამბავთან იყო დაკავშირებული. საქმე ისეთ მაღალ დონეზე იყო დაყენებული, ბრძოლის მეთოდები ისეთ სისტემად იყო ჩამოყალიბებული, რომ ორგანიზაციას თავისი არც ერთი მსხვერპლი ხელიდან არ გასხლტომია და ბოროტების ჩამდენნიც არაოდეს არავის უმხელია. მიუხედავად იმისა, რომ მაერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და სამხრეთის მოსახლეობის უკეთესმა ნაწილმა ორგანიზაცია დაჰგმეს და ბრძოლა გამოუცხადეს, მისი საქმიანობა რამდენიმე წელიწადს მაინც ჰყვაოდა. 1869 წლიდან ორგანიზაციის საქმიანობა მოულოდნელად შეწყდა, თუმცა ამდაგვარი ცალკეული შემთხვევები დღემდე კვლავ გრძელდება».

- აი, ხომ ხედავთ, - თქვა ჰოლმსმა და ენციკლოპედიის ტომი გვერდზე გადადო, - ორგანიზაციის საქმიანობის შენელება ოპენშოუს სამშობლოში უეცარ გამომგზავრებასთან რაღაც კავშირში უნდა იყოს. ჯონ ოპენშოუმ ხომ თქვა, ბიძაჩემმა ქაღალდები მთლიანად დასწვაო. აქედან ცხადია, რომ პოლკოვნიკს ორგანიზაციის დოკუმენტაცია თან წამოუღია. ადვილი შესაძლებელია ოპენშოუთა დევნის საბაბი სწორედ ეს იყოს და, ალბათ სწორედ ამიტომ ასე უმოწყალოდ ანადგურებენ მათ სგვარსა და ჯილაგს. ხომ გესმით, სამხრეთის რამდენ გამოჩენილ მოღვაწეს არ შეუძლია მშვიდად იძინოს მანამ, ვიდრე დღიური და ის დოკუმენტები, რაც პოლკოვნიკმა ოპენშოუმ გამოიტაცა, ხელთ არ ექნებათ?

- მაშასადამე, ფურცელი, რომელიც ჩვენი თვალით ვნახეთ...

- სშორედ ისეთი იყო, როგორის მოლოდინიც უნდა გვქონოდა. თუ სწორად მახსოვს, იქ ეწერა: კურკები გაეგზავნათ ა, ბ, გ-სო. ესე იგი, ამ ადამიანებს დაეგზავნათ გაფრთხილებანი. მერე ეწერა: «ა» და «ბ» გაეცალნენო (იგულისხმება ამერიკიდან წასვლა), ხოლო გ-ს ესტუმრნენო. ცხადია, «გ» მოკლეს. მე მგონია, უოტსონ, ჩვენ ერთგვარ ნათელს მოვფენთ ამ საქმეს, ხოლო ოპენშოუს გადარჩენა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად მალე შეასრულებს ჩემს დარიგებას. ამაღამ ჩვენ მეტს ვეღარაფერს ვიღონებთ. ამიტომ გთხოვთ, ჩემი ვიოლინო მომაწოდოთ და ამინდისა და ადამიანების უკეთურობაზე ფიქრი ჩვენი მეხსიერებიდან მუსიკის საამო ჰანგებით გავაქროთ.

დილით ქარიშხალი ჩადგა და მზის სხივები უზარმაზარ ქალაქს თვს დაწოლილ ნისლში აქა-იქ ცრიატებდა. დაბლა ჩამოსულს შერლოკ ჰოლმსი უკვე სასადილო მაგიდასთან დამიხვდა.

- მაპატიეთ, რომ საუზმეს უთქვენოდ შევექცევი, - მოიბოდიშა მან. - წინასწარ ვჭვრეტ, რომ ოპენშოუს დასახმარებლად ბევრი ზრუნვა დამჭირდება.

- რა ზომების მიღებას აპირებთ? - ვკითხე მე.

- ეს დამოკიდებულია იმაზე, რას მომცემს საქმის პირველი მოკვლევა. იქნებ, ჰორშემში არ მიემგზავრებით?

- არა, სიტიდან უნდა დავიწყო. ზარი დარეკეთ და მოსამსახურე ყავას შემოგვიტანს.

ყავის მოლოდინში დილის გაზეთის გადათვალიერება დავიწყე. უცებ ისეთ სათაურს მოვკარი თვალი, რომ ძარღვებში სისხლი გამეყინა.

- ჰოლმს, - წამოვიყვირე მე, - თქვენ უკვე დააგვიანეთ.

- რას ამბობთ! - იკითხა მან და ფინჯანი ხელიდან გააგდო, - მეშინოდა და ველოდი, რომ ეს უბედურება მოხდებოდა. მაინც როგორ მოუკლავთ? - ის ახლა უკვე მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ვატყობდი, რომ ერთიანად ამღვრეული იყო.

გაზეთის დათვალიერებისას თვალში გვარი ოპენშოუ და სათაური «ვატერლოოს ხიდზე მომხდარი ტრაგედია», - მეცა. აი, როგორ იყო მოთხრობილი მომხდარი ტრაგედია: დაახლოებით ათის ნახევარზე, პოლიციის კონსტებლმა კუკმა, რომელიც ვატერლოოს ხიდთან მორიგეობდა, გაიგონა ვიღაცის ყვირილი - მიშველეთო და წყალში ჩავარდნილის ტყლაშუნსაც მოჰკრა ყური. მაგრამ ღამე ძალიან ბნელი იყო, ქარიშხალი მძვინვარებდა და, მიუხედავად რამდენიმე გამვლელის თავგამოდებული ცდისა, განწირული ვერ გადაარჩინეს. საგანგაშო ნიშანზე მთელი სამდინარო პოლიცია ფეხზე დადგა და გვამი იპოვეს. დამხრჩვალს ჯიბეში უნახეს კონვერტი, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ იგი ჰორშემელი ჯონ ოპენშოუა. ვარაუდობენ, რომ იგი ვატერლოოდან გამავალ ბოლო მატარებელზე იჩქაროდა, სიბნელეში გზა დაკარგა და სამდინარო ტრანსპორტისათვის განკუთვნილ ბილიკზე მოხვდა. სხეულზე ძალადობის ნიშანი არ აღმოჩნდა და უეჭველია, რომ მთლად ახალგაზრდა კაცი უბედური შემთხვევის მსხვერპლი შეიქმნა. ეს უბედური შემთხვევა ქალაქის მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს და ნავმისადგომებს მიხედოს.

რამდენიმე წუთს ჩუმად ვისხედით. ჰოლმსი ასე დაბეჩავებული და მოტეხილი არაოდეს მინახავს.

- ეს ამბავი თავმოყვარეობას მილახავს, უოტსონ, - წარმოთქვა მან ბოლოს. - მართალია, თავმოყვარეობა პატარა გრძნობაა, მაგრამ ამ ამბავმა ჩემს თავმოყვარეობას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა. ოპენშოუს საქმე ახლა ჩემს პირად საქმედ იქცა და თუ შემოქმედმა ჯანმრთელობა არ წამართვა, მთელ ბანდას გამოვიჭერ. იგი ჩემთან

საშველად მოვიდა, მე კი სასიკვდილოდ გავგზავნე!.. - ჰოლმსი ფეხზე წამოიჭრა და ოთახში აღელვებული მიმოდიოდა. ფერმკრთალი სახე წამოსწითლებოდა და ნერვიულობისაგან თითებს იგრეხდა.

- სატანასავით გაქნილი ავაზაკები კი ყოფილან, - წამოიძახა მან ბოლოს. - როგორ შეაცდინეს და დაბლა როგორ ჩაიყვანეს? ნავმისადგომი სადგურისაკენ მიმავალ გზაზე როდია. ხიდზე ასეთ ამინდშიაც კი ბევრი ხალხი იქნებოდა. რაკი აგრეა, ვნახოთ, ბოლოს ვინ დარჩება გამარჯვებული. უოტსონ, ახლა კი მე წავალ!

- პოლიციაში?

- არა, მე თვითონ ვიქნები მაგათთვის პოლიცია. ისეთ ბადეს მოვქსოვ, რომ ვეღარსად გამიფრინდნენ და პოლიციის ხელში თვითონვე ჩაცვივდნენ.

მთელი დღე ჩემი საქმე მქონდა და ბეიკერსტრიტზე გვიან ღამით დავბრუნდი. შერლოკ ჰოლმსი ჯერ კიდევ არ მოსულიყო. ღამის ათი იქნებოდა, როცა დაღლილ-დაქანცული ოთახში შემოვიდა. იგი კარადასთან მივიდა, პური მოიტეხა, ჭამა დაუწყო და თან წყალს აყოლებდა.

- მშიერი ხართ? - ვკითხე მე.

- მგელივით. სულ გადამავიწყდა, რომ საჭმელი მეჭამა. დილიდან ლუკმა არ ჩამიდევს პირში.

- დილიდან?

- ჰო, მაგისი დრო არა მქონდა.

- საქმე, საქმე როგორღაა?

- კარგად.

- იპოვეთ გასაღები?

- დიახ, და ახალგაზრდა ოპენშოუ მალე შურნაძიები იქნება. ამ ავაზაკებს მათივე იარაღით უნდა ვებრძოლოთ და მათივე სატანური დაღი უნდა დავასვა. ცუდი აზრია?

- რას გულისხმობთ? ვერ მივხვდი.

მან კარადიდან ფორთოხალი გამოიღო, დაჭრა და თესლის კურკები გამოაცალა. მერე ხუთი გადათვალა და კონვერტში ჩაყარა. კონვერტის შიგნით შ. ჰ. წააწერა, ხოლო კონვერტზე - «კაპიტან ჯეიმს კოლჰაუნს, იალქნიანი ორჩხომელი «მარტოხელა ვარსკვლავი», სავანა, ჯორჯია».

- ეს წერილი კოლჰაუნს ნავსადგურში დაუხვდება და ამაღამ აღარც დაიძინებს, - ჩაიხითხითა ჰოლმსმა. - იგი ამ წერილს, რაღა თქმა უნდა, თავისი ბედისწერის აღსასრულად მიიჩნევს.

- ვინაა კაპიტანი კოლჰაუნი?

- ესაა მეთაური იმ ბანდისა, რომელმაც ოპენშოუთა ჯილაგი ამოსწყვიტა. მე სხვებსაც მოვუვლი, მაგრამ კოლჰაუნი პირველი იქნება.

- როგორ მიაგენით?

ჰოლმსმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, რომელზედაც სახელებისა და თარიღების მეტი არაფერი ეწერა.

- მთელი დღე ლოიდის რეგისტრაციის ჟურნალის ჩხრეკასა და ძველი ქაღალდების ქექვას მოვუნდი. რა გემიც კი პონდიშერიდან 1883 წლის იანვარ-თებერვალში ლონდონში შემოსულა, ყველას ასავალ-დასავალი შევიტყვე. სულ ოცდათექვსმეტი გემი ყოფილა ისეთი წყალწევისა, რომელიც მე მაინტერესებდა. მათ შორის ერთ-ერთმა - «მარტოხელა ვარსკვლავმა» უცებ მიიპყრო ჩემი ყურადღება, რადგან პონდიშერიდან მას კურსი პირდაპირ ლონდონისაკენ აუღია. ამასთანავე ამ გემის სახელი ამერიკის ერთ-ერთი შტატის ზედმეტი სახელია.

- მგონი, ტეხასისა, არა?

- კარგად არ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, რომლისა, მაგრამ ეჭვით ვგრძნობდი, რომ ასე იყო. მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ გემი ამერიკული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო.

- მერე?

- მერე 1885 წლის იანვარში დანდის ნავსადგურში გავსინჯე გემების მისვლა-მოსვლა და დავადგინე, რომ იალქნიანი გემი «მარტოხელა ვარსკვლავი» 1885 წლის იანვარში დანდში შემოვიდა. ჩემი ეჭვები თანდათან რწმენად იქცა. ამის მერე ამჟამად ლონდონში მყოფი გემების სია გადავსინჯე.

- და მერე?

- და აღმოვაჩინე, რომ «მარტოხელა ვარსკვლავი» ლონდონის ნავსადგურში წარსულ კვირას შემოვიდა. იმწამსვე ელბერტის დოკებისაკენ დავეშვი, მაგრამ ადგილზე მისულს მითხრეს, დღეს დილით «მარტოხელა ვარსკვლავმა» აფრა აუშვა, მდინარის დინებას გაჰყვა და გეზი სავანისაკენ აიღოო. იმწამსვე დეპეშა გავუგზავნე გრევეზენდს, მაგრამ იქაც ვერ მივუსწარი და, ვინაიდან აღმოსავლეთის ქარი უბერავს, ალბათ «მარტოხელა ვარსკვლავი» ახლა კუნძულ უაიტთან იქნება მისული.

- ახლა რა უნდა ჰქნათ?

- მთელ გემზე მხოლოდ კოლჰაუნი და ორიც სხვა მეზღვაური არიან ამერიკელები. ახლა ისინი თაგვებივით მყავს გამოჭერილი, ვიცი, რომ წუხანდელი ღამე გემზე არც ერთს არ გაუტარებია. ეს გემის მტვირთავმა მუშამ მითხრა. ვიდრე «მარტოხელა ვარსკვლავი» სავანას მიაღწევდეს, იქ უმალ საფოსტო გემით ჩემი წერილი მივა, ხოლო პოლიცია ტელეგრაფის საშუალებით შეიტყობს, რომ გემზე მყოფ სამ ჯენტლმენს ბრალი ედებათ ადამიანის განზრახ მკვლელობაში.

მაგრამ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნამდვილად ისეა. ჯონ ოპენშოუს მკვლელებმა ვეღარ იხილეს ჰოლმსისგან გაგზავნილი ფორთოხლის გამხმარი კურკები, რომელიც მათ შიშის ზაფრას დასცემდათ და გააგებინებდა, რომ მათზე უფრო საზრიანი და გამბედავი ადამიანი ჩაუდგათ კვალში. იმ წელიწადს ბუნიობის ქარიშხალი ძალიან ხანგრძლივი და ძლიერი გამოდგა. «მარტოხელა ვარსკვლავზე» სავანიდან ამბის გაგებას ბევრი ველოდეთ, მაგრამ ამაო იყო ჩვენი ლოდინი. დაბოლოს, შევიტყვეთ, რომ «მარტოხელა ვარსკვლავი» ქარიშხალსა და ღელვას სამუდამოდ დაეტოვებინა ატლანტიკის ოკეანეში.

ბასკომბის ველის საიდუმლოება

ცოლი და მე დილის საუზმეს შევექცეოდით, როცა მოსამსახურემ ჰოლმსის გამოგზავნილი დეპეშა შემომიტანა. დავხედე და აი, რა ამოვიკითხე: «შეგიძლიათ თუ არა ორი დღით განთავისუფლდეთ? გამომიძახეს ბასკომბის ველზე მომხდარი ტრაგედიის გამო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩემთან ერთად წამოსვლას ისურვებთ. ჰაერი და პეიზაჟი უჩვეულოა. თუ წამოხვალთ, პადინგტონიდან 11,15 წუთზე გამოემგზავრეთ».

- რას იტყვი, ძვირფასო, წახვალ? - ალერსიანად მკითხა ცოლმა.

- არ ვიცი, სწორედ ახლა იმდენი ავადმყოფი მყავს, ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე.

- იმათ შენი კოლეგა ანსტრუთერი მოუვლის. ამ ბოლო დროს ფერი დაკარგე და მოღლილი ადამიანის გამომეტყველება გაქვს. მე მგონია, ჰაერზე ჰოფნა მოგიხდება. ესეც არ იყოს, ჰოლმსის ყოველი საქმე ხომ ძალიან გაინტერესებს ხოლმე!

- დიდი უმადური ვინმე ვიქნებოდი, რომ არ დამენახა, რაც მოგება და მოსახვეჭელი ვნახე ჰოლმსთან მეგობრობით და მის საქმეებში მონაწილეობით. მაგრამ თუ წასვლას გადავწყვეტ, ამწუთსავე უნდა წავიდე, ვინაიდან ნახევარი საათიღა დამრჩა.

ავღანეთში მიღებულმა საბანაკო ცხოვრების ჩვევამ სათანადოდ გამომაწრთო და ცქვიტ და ყოველთვის მზადმყოფ მოგზაურად მაქცია. ასეთ დროს თან მუდამ სახელდახელო და ძალიან ცოტა რამ დამქონდა ხოლმე. ამჯერადაც უცებ მოვემზადე და პადინგტონისაკენ იმაზე ადრე გავემგზავრე, ვიდრე ვვარაუდობდი. შერლოკ ჰოლმსი ბაქანზე გამოსულიყო და ბოლთას სცემდა. მაღალი და გამხდარი ჰოლმსი რუხი ფერის კოსტიუმში გამოწყობილიყო და იმაზე უფრო მაღალი და გამხდარი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

- რა კარგი ჰქენით, რომ მოხვედით, უოტსონ, - მითხრა ჰოლმსმა. - ახლა სანდო ადამიანი ჰაერივით მჭირდებოდა. ასეთ დროს ადგილობრივი პოლიცია, ან მცდარ გზას ადგას ხოლმე, ან სრულ უმოქმედობას იჩენს. თუ მატარებელში კუთხის ადგილებს დაიჭერთ, მე ბილეთების ასაღებად გავეშურები.

მატარებელში ჩავსხედით თუ არა, ჰოლმსმა თან წამოღებულ გაზეთებს დაუწყო კირკიტი, ეტყობოდა, რაღაცას დაეძებდა, ხანდახან კითხვას წყვეტდა, ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა და მერე ფიქრს ეძლეოდა. ასე ჩავედით რელინგამდე. უცებ ჰოლმსმა მთელი გაზეთები ერთად დაახვია და ნივთების დასაწყობ ბადეზე დააგდო.

- გაიგონეთ რამე, უოტსონ, ამ საქმეზე? - მკითხა მან.

- არა, გაზეთები რამდენიმე დღეა თვალითაც არ მინახავს.

- ლონდონის პრესას ამ საქმის თაობაზე დაწვრილებითი ანგარიში თავის ფურცლებზე არ მოუთავსებია. სწორედ ახლა გადავათვალიერე ყველა გაზეთი იმ მიზნით, რომ წვრილმანებში გავრკვეულიყავი. რა ცნობებიც გამაჩნია, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, ეს მთლად უბრალო შემთხვევაა, მაგრამ გამოსაკვლევად ყველაზე ძნელი იქნება.

- თქვენი მსჯელობა პირდაპირ პარადოქსალურია.

- მაგრამ ნამდვილად ჭეშმარიტი კია. გამორჩეულ, არაჩვეულებრივ საქმეს გასაღებიც თან ახლავს, ჩვეულებრივი დანაშაული კი ძალიან ძნელი გამოსაძიებელია. ეს მკვლელობა, რომლის გამოსაკვლევადაც ჩვენ მივემგზავრებით, ძალიან აწეწილ-დაწეწილი საქმეა - შვილს მამის მკვლელობას აბრალებენ.

- მაშ, მკვლელობის საქმის საძიებლად მივდივართ?

- ასე ვარაუდობენ. მე კი ვიდრე პირადად არ დავადგენ ფაქტებს, წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ. თუ გსურთ, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით გეტყვით ამ საქმეზე ჩემს აზრს.

- ბასკომბის ველი ჰერდფორშირში სოფელ ადგილზეა და როსიდან ოდნავაა დაშორებული. ქვეყნის ამ ნაწილში ყველაზე დიდი მემამულე მისტერ ჯონ ტერნერია. მან ფული ავსტრალიაში იშოვა და სულ ცოტა ხანია, რაც ინგლისში დაბრუნდა. ჰათერლეიში მდებარე ერთ-ერთი თავისი ფერმა მან არენდით მისცა ავსტრალიიდანვე ჩამოსულ მისტერ ჩარლზ მაკართის. ისინი ერთმანეთს კოლონიაში გაეცვნენ და სავსებით ბუნებრივი გახლავთ, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე მეზობლად დასახლდნენ. მართალია, ტერნერი გამდიდრდა და მაკართი მისი არენდატორი შეიქნა, მაგრამ ამ ურთიერთობას მათ მეგობრობაზე გავლენა არ

მოუხდენია. მაკართის ერთი თვრამეტი წლის ვაჟიშვილი ჰყავდა, ხოლო ტერნერს ამავე ასაკის მხოლოდშობილი ქალიშვილი, ცოლები კი ორივეს დაეხოცათ. თითქოს ინგლისელთა ოჯახებთან ურთიერთობას გაურბიანო, მაკართებს მისვლა-მოსვლა არავისთან ჰქონდათ, თუმცა სპორტი ორთავე მამაშვილს უყვარდა და დოღზე სისტემატურად დადიოდნენ. მათ ოჯახში ორი მსახური ტრიალებდა - ერთი კაცი და ერთიც ქალი. ტერნერს დაახლოებით ექვსიოდე მსახური ჰყავს. აი, ყველა ის ცნობა, რისი შევსებაც ამ საქმის გარშემო შევიძელი.

ივნისის სამ რიცხვში, წარსულ ორშაბათს, მაკართი დაახლოებით სამ საათზე სახლიდან ბასკომბის ტბორის მიმართულებით წასულა. ეს ტბორი ბასკომბის ველზეა და იქ ჩამდინარი ნაკადულებისაგან არის დამდგარი. იმ დილით, სახლიდან გამოსვლის წინ, მსახურისათვის უთქვამს, ძალიან უნდა ვიჩქარო, რადგან სამ საათზე საქმიანი შეხვედრა მაქვს დანიშნული და მანამდე უნდა მოვასწრო როსში ჩასვლა და მობრუნებაო. ამ შეხვედრის შემდეგ კი ცოცხალი აღარ უნახავთ.

ჰათერლეის ფერმიდან ბასკომბის ტბორამდე მილის მეოთხედი მანძილია და ვიდრე ამ გზას გაივლიდა, იგი ორმა ადამიანმა ნახა. ერთმა მოხუცმა ქალმა, რომლის სახელი გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებში მოხსენიებული არაა, და მისტერ ტერნერის მეტყევე უილიამ კრაუდერმა. ორივე მოწმემ ძიებას უჩვენა, მისტერ მაკართი გზაზე მარტო მიდიოდაო. მეტყევემ ისიც განაცხადა, რომ მაკართისთან შეხვედრის შემდეგ ცოტა ხანში გზაზე მის ვაჟს ჯეიმს მაკართის გადაყრია, რომელიც, მისი აზრით, ალბათ მამას მიჰყვებოდა. ჯეიმს მაკართის მხარზე თოფი ჰქონია ჩამოკიდებული. ამ შეხვედრაზე აღარც მიფიქრია, მაგრამ საღამოს რომ მომხდარი ტრაგედიის ამბავი გავიგე, მაშინ გამახსენდაო, უთქვამს მეტყევეს.

მამა-შვილი მას მერეც უნახავთ ერთად, რაც ისინი უილიამ კრაუდერმა დაკარგა მხედველობიდან. ბასკომბის ტბორის გარშემო ხშირი, დაბურული ტყეა, ხოლო ტბორის ნაპირი ლერწმითაა დაფარული. მეველეს ქალიშვილს, თორმეტი წლის პეიშენზ მორანს, რომელიც იმ დროს ტყეში ყვავილების საკრეფად ყოფილა, თავისი თვალით უნახავს ტბორის ნაპირზე მყოფი მამა-შვილი. მან ძიებას უჩვენა, ისინი საშინლად ჩხუბობდნენო. გოგონას თავისი ყურით გაუგონია, რა უშვერი სიტყვებით ლანძღავდა თურმე უფროსი მაკართი საკუთარ ვაჟს და დაუნახავს, როგორ აღმართა შვილმა ხელი საკუთარ მშობელზე. ბავშვს ისე შეშინებია, რომ შინ გაქცეულა და მათი ჩხუბის ამბავი დედისათვის უამბნია. პეიშენზ მორანს დასრულებული არა ჰქონია სათქმელი, რომ მეველეს სახლში ჯეიმს მაკართი შევარდნილა და უთქვამს, მამაჩემი ტყეში ვიღაცას მოუკლავსო. იგი ძალიან აღელვებული ყოფილა, უთოფოდ და უქუდოდ შეჭრილა მეველეს ქოხში და ხელზე კი შეუმშრალი სისხლის ლაქები ჰქონია. მეველე გაჰყოლია და უფროსი მაკართის გვამი ტბორის ნაპირას გაშხლართული უნახავს. მოკლულს თავის ქალა რაღაც ბლანტი და მძიმე იარაღით ჰქონია ჩაჩეჩქვილი. ასეთი რამ შეიძლებოდა მის შვილს თოფის კონდახის ჩარტყმით ჩაედინა. თვითონ თოფი იქვე, გვამიდან რამდენიმე იარდის დაშორებით გდებულა. ამ მამხილებელი ფაქტების ერთობლიობის ძიება იმ აზრზე დაუყენებია, რომ მომხდარი იყო განზრახ მკვლელობა, რაშიც ბრალეულად ჯეიმს მაკართი უცნიათ. ოთხშაბათ დღეს ბრალდებული როსის მომრიგებელ მოსამართლეს წინაშე წარმდგარა, მას კი საქმე ნაფიც მოსამართლეთათვის გადაუცია. ასეთია ამ საქმეზე არსებული მთავარი ფაქტები, რაც პოლიციისა და ძიებისათვის არის ცნობილი.

- ამაზე უფრო საძაგელი და ამაზრზენი საქმე არც გამიგონია, - ვთქვი, მე. - თუ დანაშაულის არაპირდაპირი მამტკიცებელი საბუთები ოდესმე გამომდგარა დამნაშავის სამხილებლად, მე მგონია, მათ სწორედ ამ შემთხვევაში მოიყარეს თავი.

- არაპირდაპირი მამტკიცებელი საბუთები ხშირად ძიებას სწორ გზას ააცდენენ ხოლმე, - მიპასუხა ჩაფიქრებულმა ჰოლმსმა. - ისინი ხშირად ერთი მიმართულებით მიუთითებენ და თითქოს უდავოდ ადასტურებენ რაიმეს, მაგრამ თუ შექმნილ მდგომარეობაში გარკვევას შევძლებთ, ნათლად დაინახავთ, რომ ასეთ საბუთებს ხშირად ძიება მცდარი გზით მიჰყავთ. ამჟამად ყველა და ყველაფერი თითქოს ჯეიმს მაკართის წინააღმდეგ შეითქვა, და აც ისაა გამორიცხული, რომ მკვლელი სწორედ ის აღმოჩნდეს, მაგრამ მეზობლებში ისეთი ადამიანებიც არიან, და მათ შორის მემამულე ტერნერის ქალიშვილი - მის ტერნერი, რომელთაც სჯერათ ამ საქმეში ჯეიმს მაკართის უცოდველობა. მის ტერნერმა მოიწვია ჩვენი საერთო ნაცნობი მაძებარი ლესტრეიდი, რომ ჯეიმს მაკართის ინტერესები დაიცვას. ლესტრეიდმა კი ნახა, რომ საქმე თავსატეხი და ძნელი გადასაწყვეტი იყო და მე გადმომანდო. და აი ახლა შუახნის ჯენტლმენი, ნაცვლად იმისა, რომ შინ საუზმეს შეექცეოდეს, საათში ორმოცდაათი მილის სისწრაფით ბასკომბის ველზე მომხდარი ტრაგედიის გამოსაძიებლად მიისწრაფვის.

- საქმე იმდენად ნათელი ჩანს, რომ ვშიშობ, ჩვენი ჩასვლით ბრალდებულს რაიმე ეშველოს, - ვთქვი მე.

- ყველაზე მატყუარა რამ სწორედ ეს ნათელი ფაქტები არიან, - მიპასუხა სიცილით ჰოლმსმა. - გარდა მაგისა, ძიების პროცესში ჩვენ შეიძლება ისეთ ნათელ და ცხად ფაქტებს გადავეყაროთ, რაც მისტერ ლესტრეიდმა ვერ შენიშნა. თქვენ ძალიან კარგად მიცნობთ და ჩემს სიტყვებს კვეხნაში არ ჩამომართმევთ. ჩვეულეყრივ, მე, ან ვსარგებლობ ხოლმე ლესტრეიდის შეკრებილი მამხილებელი მასალებით, ანდა მთლიანად უარვყოფ ხოლმე მათ. თვითონ ლესტრეიდს არა აქვს იმისი თავი, რომ გამოიყენოს შეკრებილი ფაქტები, ან მათში გაერკვეს. აი, თუნდაც ერთი მაგალითი, რაც ახლა გამახსენდა. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს საწოლ ოთახში ფანჯარა მარჯვენა მხარესაა, იმას კი ვერ გეტყვით, ასეთ ცხად ფაქტს ლესტრეიდი შენიშნავს თუ ვერა.

- ნამდვილად მაგრეა, მაგრამ, ღვთის გულისათვის, მითხარით, ან თქვენ როგორ გამოიცანით, რომ ფანჯარა საწოლიდან რომ ავდგები, მარჯვენა მხარესაა?

- ჩემო ძვირფასო, მე თქვენ ძალიან კარგად გიცნობთ. ვიცი, რომ სამხედრო კაცის სიზუსტე და სიფაქიზე გახასიათებთ, ამიტომ პირს ყოველ დილით იპარსავთ, ხოლო წელიწადის ამ დროს კი მზის ამოსვლის მერე იპარსებით. ამავე დროს ვამჩნევ, რომ სახის მარცხენა მხარე მარჯვენაზე ცუდად გაპარსული გაქვთ და, თუ მარცხენა ნაწილს ავიღებთ, იგი სრულიად უყურადღებოდ გაპარსული ჩანს. აქედან დასკვნა. პარსვის დროს ეს მხარე უფრო ცუდადაა განათებული, ვიდრე სახის მარჯვენა მხარე. თქვენი ხასიათი ვიცი და ვერ წარმომიდგენია, რომ სახეზე ერთნაირად გეცემოდეთ სინათლე და ასეთი შედეგით დაკმაყოფილდეთ. ეს ამბავი სავსებით ტრივიალური მაგალითია. ჩემი წარმატების საიდუმლოება სწორედ ესაა ხოლმე და იქნებ ამ შემთხვევაშიც ბედმა გაგვიღიმოს. ამ საქმეში ერთი-ორი ისეთი ოდნავ საჭოჭმანო საკითხია, რომლებიც მხოლოდ დაკითხვების დროს გახდა ცნობილი. ჩემი აზრით, ღირს მათზე ყურადღების გამახვილება.

- სიამოვნებით მოგისმენთ.

- როგორც გავარკვიე, მაკართი მაშინვე კი არა, როცა ჰათერლეის ფერმიდან დაბრუნდა, მაშინ დაუპატიმრებიათ. ინსპექტორის სიტყვებს, რომ დაპატიმრებული ხარო, მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. პირიქით, უთქვამს, სასჯელს ისედაც ვიმსახურებო. მაკართის სიტყვებს, ცხადია, ბუნებრივი ეფექტი მოუხდენია და ყველას ყოველგვარი ეჭვი გაჰფანტვია.

- ეს ხომ აღიარებაა, - წამოვიძახე მე.

- არა, რადგან მას მერე მაკართის განუცხადებია, თავს დამნაშავედ არ ვცნობო.

- ამდენი მამხილებელი საბუთის შემდეგ ასეთ განცხადებას რაღა ფასი აქვს?

- პირიქით, - წამოიწყო ჰოლმსმა, - ეს ერთადერთი სხივია, რომელიც ჩამუქებულ ღრუბლებში მოჩანს. როგორი უცოდველიც უნდა იყოს, მან ხომ იცის, როგორმა დამამძიმებელმა ფაქტებმაც მოიყარა თავის მის გარშემო. იგი რომ გაჯავრებულიყო, რად მაპატიმრებთო, ანდა აღშფოთებულიყო, ეს უფრო საეფვოდ მომეჩვენებოდა, ვინაიდან შექმნილ მდგომარეობაში გაკვირვება და აღშფოთება უფრო არაბუნებრივად მიმაჩნია. ამ სიტუაციაში მისი გულწრფელობა ან იმის საბუთია, რომ იგი უცოდველია, ანდა მისი სულიერი სიმტკიცისა და განსაცდელის ჟამს მხნეობისა და თავდაჭერის გამომხატველი. რაც შეეხება დაპატიმრებისას მის მიერ ნათქვამ სიტყვებს, არც ისინი ჟღერს არაბუნებრივად, ვინაიდან იგი მამის ჯერაც გაუციებელი გვამის წინ იდგა და გრძნობდა, რომ ველარასოდეს გამოისყიდდა იმ ცოდვას, რაც სიტყვიერი და, გნებავთ როგორც მეველის პატარა გოგონა ამტკიცებს, ფიზიკური შეურაცხჰოფის მიყენების სურვილით გამოხატა. თავისი საქციელის მონანიება და კითხვა-დაგმობა ამ შემთხვევაში მისი ჯანმრთელი სულის გამომხატველ ნიშნად უფრო მიმაჩნია, ვიდრე დანაშაულის აღიარებად.

მე თავი გადავაქნიე: - ძალიან ბევრისათვის ამდენი დამამტკიცებელი საბუთიც არ წაუყენებიათ, ისე ჩამოჰკიდეს სახრჩობელაზე.

- მართალია, მაგრამ მათ შორის შეცდომით დასჯილიც ბევრია.

- თვითონ ეჭვმიტანილი რას ამბობს?

- საკუთარი დამცველების გამამხნევებელს მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს, თუმცა მის ჩვენებაში არის ერთი-ორი ჩამაფიქრებელი და აზრის გამომწვევი პუნქტი. შეგიძლიათ მისი ჩვენება ამ გაზათებში წაიკითხოთ, - თქვა ესა და გამომიწოდა ადგილობრივი გაზეთი, რომელშიც ასეთი რამ ამოვიკითხე: «მისტერ ჯეიმს მაკართიმ, მოკლულის ერთადერთმა შვილმა, დაკითხვისას აჩვენა შემდეგი: მაისის აქეთ შინ არ ვყოფილვარ, ბრისტოლიდან, სადაც სამი დღე დავყავი, სწორედ ორშაბათს, სამ რიცხვში დავბრუნდი. მამა სახლში არ დამიხვდა და მოსამსახურე გოგომ მითხრა, მეჯინიბე ჯონ კობთან ერთად როსში გაემგზავრაო. მალე მომესმა ორთვალას ბორბლების ხმაური და ფანჯრიდან მოვკარი თვალი, რომ იგი ეზოდან სწრაფად გავიდა. თოფი ავიღე და ბასკომბის ველზე კურდღლებზე სანადიროდ გავემართე. გზაზე უილიამ კრაუდერი შემომხვდა. მაგრამ მეტყევე ცდება, რაკი იმას ამბობს, თითქოს მამას ვედექი კვალში, წარმოდგენაც არ მქონდა, თუ იგი ჩემ წინ მიდიოდა. როცა ტბორამდე ასიოდე ნაბიჯიღა დამრჩა, უეცრად გავიგონე: «გუიი!» ეს იყო მამასა და ჩემს შორის დათქმული ნიშანი და ასე ვეძახდით ხოლმე ერთმანეთს. წინ გავქანდი და დავინახე, რომ ტბორის წინ იდგა. შევატყვე, ჩემმა გამოჩენამ გააკვირვა და მკვახედ მკითხა, აქ რას აკეთებო. წავლაპარაკდით და კინაღამ ხელით შევეხეთ ერთმანეთს, მამა ძალიან ფიცხი კაცი იყო. როცა შევატყვე, მისი განრისხება აგრე ადვილად არ დაცხრებოდა, გაცლა ვამჯობინე და ჰათერლეის ფერმის მიმართულებით გავწიე. ალბათ ის ორმოცდაათი იარდიც არ მექნებოდა გავლილი, რომ საზარელმა ყვირილმა მაიძულა უკან დავბრუნებულიყავი. ადგილზე მისულმა მშობელი თავგაჩეჩქვილი და მიწაზე გაშხლართული ვიხილე. ჯერ ისევ ცოცხალი იყო, თავი ავუწიე თუ არა, ხელებში ჩამაკვდა. რამდენიმე წამს გვამის წინ დაჩოქილი ვიყავი, მერე ავდექი და მისტერ ტერნერის მეველეს სახლისაკენ გავწიე. ყველაზე ახლოს სწორედ მისი სახლი იდგა. ყვირილის ხმაზე, როცა მამასთან მივირბინე, იქ არავინ დამხვედრია და არ ვიცი, ვის უნდა მოეკლა. იგი ხალხში გამოსული კაცი არ

იყო და თავისებურ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. რამდენადაც ვიცი, ისეთი აშკარა მტრები არცა ჰყავდა. ამის მეტს ამ საქმეზე ვერაფერს ვიტყვი.

გამომძიებელი: გითხრათ თუ არა რამე სიკვდილის წინ მამათქვენმა?

- მოწმე: რაღაც წაიბუტბუტა, მაგრამ მხოლოდ ერთი გავარჩიე, მგონი, თაგვიო, მითხრა.

გამომძიებელი: რას უნდა ნიშნავდეს მერე ეგ თაგვი?

- მოწმე: ჩემთვის არაფერს. მე მგონი, უკვე აბოდებდა.

გამომძიებელი: რა იყო თქვენ შორის ტბორთან მომხდარი ჩხუბის მიზეზი?

- მოწმე: ამაზე მირჩევნია არ გიპასუხოთ.

გამომძიებელი: მე მოვითხოვ მიპასუხოთ.

მოწმე: ნამდვილად არ შემიძლია მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა. ისე კი გარწმუნებთ, ჩვენს შელაპარაკებას იმ სამწუხარო ამბავთან, რაც მოხდა, არავითარი კავშირი არა აქვს.

გამომძიებელი: ამას სასამართლო გადაწყვეტს. მე მგონი, ზედმეტია იმისი ახსნა, რომ ამ კითხვაზე თქვენი სიჩუმე ზიანს თქვენვე მოგიტანთ.

მოწმე: მიუხედავად ამისა, დუმილს ვარჩევ.

გამომძიებელი: მე მგონი, სიტბვა «გუიის» ერთმანეთის დასაძახებლად ხმაროზდით არა?

მოწმე: დიახ.

გამომძიებელი: მაშ, როგორ მოხდა, რომ მამათქვენს არ დაუნახიხართ და დათქმული ნიშნით კი გეძახდათ, ან უფრო უარესი - იცოდა, რომ ბრისტოლში იყავით და გეძახდათ?

მოწმე: (შეშფოთებული) არ ვიცი.

ნაფიცი მსაჯული: როცა მამა თავგაჩეხილი იხილეთ, არაფერი გინახავთ ისეთი, რომ ეჭვი აღეძრა?

მოწმე: განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია.

გამომძიებელი: რას გულისხმობთ განსაკუთრებულში, მაინც რა ნახეთ?

მოწმე: როცა ტყიდან გამოვვარდი, ისეთი აღელვებული ვიყავი, მამის გარდა არაფერზე მიფიქრია. მართალია, ყოველივე ძალიან ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ მამასთან რომ მივირბინე, ჩემგან მარცხნივ მიწაზე რაღაც იდო. მაშინ ისე მომეჩვენა, რომ რუხი წამოსასხამი, პლედი თუ რაღაც ამდაგვარი იყო. როცა ფეხზე წამოვდექი, მინდოდა მენახა, რა ეგდო, მაგრამ უკვე ადგილზე აღარ დამიხვდა.

- თქვენი აზრით, იგი მანამდე გაქრა, ვიდრე მშველელის მოსახმობად წახვიდოდით?

- დიახ, მანამდე.

- მაინც არ შეგიძლიათ გარკვეულად თქვათ, რა იყო?

- არა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იქ რაღაც ეგდო.

- გვამიდან რა მანძილით იქნებოდა დაცილებული?

- მე მგონია, თორმეტი იარდით, ცოტა მეტი ან ნაკლები.

- ტყიდან?

- ასეთივე მანძილით.

- მაშასადამე, როცა ის ნივთი თუ რაღაც საგანი გაქრა, თქვენგან თორმეტი იარდით იყო დაცილებული, არა?

- სწორედ აგრეა, მაგრამ მე მისკენ ზურგშექცეული გახლდით.

ამით მთავრდება მოწმის დაკითხვა».

- უკვე ვგრძნობ, - ვთქვი მე, როცა გაზეთის კითხვა ჩავამთავრე, - რომ გამომძიებელი ასეთი პასუხების შემდეგ მაკართის ძალიან მკაცრად მოექცეოდა. მას ყურადღება მიუქცევია, და არცთუ უსაფუძვლოდ, იმ გარემოებისათვის, რომ მამა შვილს უხმობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც დაუნახავს, თანაც, მაკართის უარი განუცხადებია მამასთან უსიამოვნო წალაპარაკების მიზეზის დასახელებაზე, ვერაფერი საგულისხმო ახსნა ვერ მიუცია ძიებისათვის მომაკვდავი მამის უკანასკნელი სიტყვების თაობაზე. ყოველივე ეს კი, როგორც თვითონ გამომძიებელს უთქვამს ბრალდებულისათვის, ძალიან დამამძიმებლად იმოქმედებს მისი გასამართლების დროს.

ჰოლმსი სავარძელში გასწორდა და სიცილით თქვა:

- თქვენცა და გამომძიებელსაც ერთი ავადმყოფობა გჭირთ: უარყოთ ყოველივე, რაც ჯეიმს მაკართის მდგომარეობას შეამსუბუქებს და ჩაეჭიდოთ ყოველივეს, რაც მის მდგომარეობას დაამძიმებს. ზოგჯერ მას დიდ მოხერხებასა და გამჭრიახობას მიაწერთ, ზოგჯერ კი მთლად უსუსური გონების პატრონად მიგაჩნიათ. უსუსურის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თუ მართლაც ასეთი მოხერხებული და გამჭრიახი გონების პატრონია, როგორც თქვენ ფიქრობთ, ნუთუ მამასთან ჩხუბის მიზეზად ისეთს ვერაფერს მოიგონებდა, რომ ძიებისა და ნაფიც მსაჯულთა გული მოენადირებინა? რაც შეეხება მის გამჭრიახობასა და მოხერხებას, ნუთუ იმაზე კარგს ვერაფერს მოიგონებდა, რაც დაკითხვაზე განაცხადა: მომაკვდავმა მამამ თაგვი ახსენა და გვამთან დაგდებული წამოსასხამი თუ რაღაც პლედი ჩემდა შეუმჩნევლად სადღაც გაქრაო? არა, სერ, მე მტკიცედ დავადგები იმ აზრს, რომ ახალგაზრდა ჯეიმს მაკართი სრულ სიმართლეს ამბობს და ვნახოთ, სად მიგვიყვანს ეს ჰიპოთეზა. ახლა კი პეტრარკას პატარა წიგნის კითხვით შევიქცევ თავს და, ვიდრე ადგილზე არ მივალთ, ამ საქმეზე კრინტს ნუღარ დავძრავთ. საუზმე სუინდონში მივირთვათ. ჩემი აზრით, ოც წუთში იქ გავჩნდებით.

დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა, როცა ბოლოს და ბოლოს სტრაუდის მშვენიერი ველი გადავლახეთ, სივერნის ულამაზესი ადგილებიც უკან მოვიტოვეთ და პატარა, მაგრამ კოპწია ქალაქ როსში შევედით. გამხდარი, ქრცვინს დამსგავსებული, ცბიერი და მზაკვარი შესახედაობის კაცი ბაქანზე გველოდა. მართალია, ჭუჭყის ამტანი მიხაკისფერი წამოსასხამი და ჩექმა ეცვა, რომლებიც, ალბათ, ნესტიან ადგილას მაცხოვრებლისათვის ზედგამოჭრილად მიეჩნია, მაგრამ მე მაშინვე ვიცანი სკოტლენდიარდელი ლესტრეიდი. მასთან ერთად ჩავედით ჰირფორდ არმზში, სადაც ჩვენთვის ოთახები მოემზადებინათ.

- ვუბრძანე კები მოეყვანათ, - თქვა ლესტრეიდმა, როცა საუზმეს შევექცეოდით, - ვიცი თქვენი დაუდეგარი ბუნების ამბავი, მაინც ვერ მოისვენებთ, ვიდრე დანაშაულის ადგილზე არ ჩახვალთ.

- ძალიან კარგად მოქცეულხართ. - თქვა ჰოლმსმა, - მაგრამ ახლა მთავარია, რას გვიჩვენებს ბარომეტრი.

ლესტრეიდის სახეზე გაოცება ამოვიკითხე.

- ვერ გავიგე, რისი თქმა გსურდათ, - თქვა მან.

- რას აჩვენებს ბარომეტრი? ოცდაცხრა გრადუსს, როგორც ვხედავ, ქარი არაა და ცაზე ღრუბლები არ მოჩანს. ესეც არ იყოს, მთელი ყუთი სიგარეტი მაქვს მოსაწევი, და თანაც აქაური საწოლები სოფლისას ბევრად აჯობებს. ასე რომ, მგონი, იმ კებით დღეს ვერ ვისარგებლებ.

ლესტრეიდმა შემწყნარებლად გაიღიმა.

- თქვენ ალბათ გადახედეთ გაზეთებს და უკვე ჩამოაყალიბეთ ამ საქმეზე თქვენი შეხედულება, - თქვა მან. - ყველაფერი დღესავით ნათელია დ რაც უფრო მეტს იძიებ, მით უფრო ნათელი ხდება. რაღა თქმა უნდა, ქალწულს, რომელმაც ამ საქმის გამოსარკვევად მოგვიწვია, უარს ვერ ეტყვი კაცი, მით უფრო, რომ ასეთი ლამაზი ქალიშვილია. მას გაუგონია თქვენი სახელი და ძალიან აინტერესებს, რა აზრისა იქნებით, თუმცა მე კი ვუთხარი, იმაზე მეტის გაკეთებას, რაც გავაკეთე, ვერც ის შეიძლებს-მეთქი. ღმერთო, მისი ეტლი უკვე კართან დგას!

ლესტრეიდს სიტყვა დამთავრებული არა ჰქონდა, რომ ოთახში ისეთი ლამაზი გოგონა შემოიჭრა, ვისი მსგავსიც ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. სოსანისფერი თვალები უბრწყინავდა, ბაგე ოდნავ გაეპო და ღაწვებზე მეწამული ფერი გადაჰკრავდა. ეტყობოდა, აღელვებამ თავშეკავებისა და მორიდების ზღვარი გადაალახვინა.

- ოჰ, მისტერ შერლოკ ჰოლმს! - წამოიძახა მან და ხან ერთსა და ხან მეორეს შემოგვყურებდა, ვიდრე ქალურმა ინტუიციამ შეუმცდარად არ უკარნახა და პირი ჩემი მეგობრისაკენ არ აბრუნებინა. - როგორ მიხარია, რომ ჩამოხვედით. სწორედ ამის სათქმელად გეახელით. მჯერა, რომ ჯეიმსი ამას არ ჩაიდენდა. მინდა ძიება ისე დაიწყოთ, რომ ყოველივე უწყოდეთ, რაც მე ვიცი. მთავარია, ეჭვადაც კი არ გაივლოთ ჯეიმსის დამნაშავეობა. ჩვენ ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს, ყველა მისი ონავრული საქციელი ვიცი და ღრმადა მწამს, რომ უცოდველია. ბრალდება, რომელიც მას წაუყენეს, აშკარა აბსურდია მათთვის, ვინც მას იცნობს.

- იმედი მაქვს, ნათელს მოვფენთ ამ საქმეს, მის ტერნერ, - თქვა შერლოკ ჰოლმსმა. - დარწმუნებული იყავით, ძალასა და ღონეს არ დავიშურებ.

- მაგრამ თქვენ ხომ წაიკითხავდით ჩვენებებს და საკუთარი აზრი გექნებათ? როგორ ფიქრობთ, რაიმე იმედი უნდა ვიქონიოთ თუ არა? თქვენ თვითონ თუ გჯერათ მისი უცოდველობა?

- შეიძლება აგრეც იყოს.

- აი, ხედავთ! - წამოიყვირა მან და ლესტრეიდს შეხედა. - გაიგონეთ, რაც მითხრა? მან მე იმედი შთამინერგა.

ლესტრეიდმა მხრები აიჩეჩა.

- ვფიქრობ, რომ ჩემმა კოლეგამ ძალიან ნაადრევი დასკვნა გააკეთა, - წარმოთქვა მან.

- მაგრამ ის მართალია. ოჰ! ვიცი, რომ მართალს ამბობს. ჯეიმსი ამას არასოდეს არ ჩაიდენდა. რაც შეეხება მამასთან მომხდარ უსიამოვნებას, ამაზე იმიტომ არჩევს დუმილს, რომ ამბავი მე შემეხება.

- თქვენ რა შუაში ხართ? - იკითხა ჰოლმსმა.

- ახლა იმის დრო არაა, რომ რაიმე დავმალო. ჯეიმსს მამასთან ჩემ გამო ძალიან დიდი უსიამოვნება ჰქონდა. მისტერ მაკართის გულით უნდოდა, რომ ჩვენ დავქორწინებულიყავით. ჯეიმსსა და მე ერთმანეთი და-ძმასავით გვიყვარდა, მაგრამ იგი ძალიან ახალგაზრდაა, ცხოვრებაში გამოუცდელი და ჯერ ეს საქმე ვერ გადაეწყვიტა. ნამდვილად მწამს, როგორც წინათ, ახლაც სწორედ ამიტომ მოუვიდოდათ ჩხუბი.

- მამათქვენი, მამათქვენი რა აზრისა იყო თქვენს ქორწინებაზე?

- ისიც წინააღმდეგი გახლდათ. მისტერ მაკართის გარდა ამ ქორწინების მომხრე არავინ არ იყო. - ქალწულს ქორფა ღაწვები შეუფაკლდა, როცა ჰოლმსმა გამომცდელი მზერა მიაპყრო.

- გმადლობთ ინფორმაციისათვის, - უთხრა მან მის ტერნერს.

- შევძლებ თუ არა მამათქვენის ნახვას, ხვალ რომ შემოგიაროთ?

- მგონია, ექიმი მაგის ნებას არ დაგრთავთ.

- ექიმი?

- არ გაგიგიათ? მამა უკანასკნელ წლებში ძალიან მოტყდა, ამ ამბის გაგონებაზე კი ლოგინად ჩავარდა. ექიმი უილოზი ამბობს, მძიმე ნერვული ტრავმა აქვს მიღებულიო. მისტერ მაკართი იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვინც მამას ჯერ კიდევ ავსტრალიიდან, ვიქტორიიდან იცნობდა.

- ჰა! ვიქტორიიდანო? ასე თქვით, არა? ეს ძალიან საყურადღებოა!

- დიახ, მაღაროებიდან.

- ეს ის ოქროს საბადოებია, სადაც მისტერ ტერნერმა კაპიტალი დააგროვა, - თქვა ჰოლმსმა.

- რაღა თქმა უნდა.

- გმადლობთ, მის ტერნერ, თქვენ ძალიან დამეხმარეთ.

- თუ რაიმე ახალ ამბავს გაიგებთ, ხვალ შემატყობინეთ. ეჭვი არ მეპარება, რომ საპატიმროში ჯეიმსს ინახულებთ. ოჰ, თუ ნახავთ, მისტერ ჰოლმს, გადაეცით, რომ მჯერა მისი უდანაშაულობა.

- აუცილებლად გადავცემ, მის ტერნერ.

- ახლა კი შინ უნდა გავემგზავრო, რომ ავადმყოფი მამა მოვინახულო. იგი უჩემობას ძალიან განიცდის. კარგად ბრძანდებოდეთ და ღმერთი იყოს თქვენი შემწე ძიების საქმეში! - ქალიშვილი ოთახიდან ისევე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც შემოიჭრა. წამიც და ჩვენამდე მოაღწია ადგილიდან დაძრული ცხენების ფლოქვების ხმამ.

- თქვენს მაგიერ მწვავს სირცხვილი, ჰოლმს, - ამაყად უთხრა ლესტრეიდმა, წამიერი დუმილის შემდეგ. - რატომ უნერგავთ ახალგაზრდა ქალს იმედს, რომ მერე გული უფრო ძალუმად მოუკლათ? გულჩვილი ადამიანი არ გახლავართ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქალს სასტიკად მოექეცით.

- ვფიქრობ, რომ ჯეიმს მაკართის გადავარჩენ, - თქვა ჰოლმსმა. - ორდერი გაქვთ, რომ ციხეში მოვინახულოთ?

- ჰო, მაგრამ ორდერში მხოლოდ თქვენი და ჩემი გვარი წერია.

- მაშინ ჩემს გადაწყვეტილებას - დღეს სახლიდან გარეთ ფეხს არ გავადგამ- მეთქი, შევცვლი და პატიმარი ვნახოთ.

- ძალიან კარგი.

- თუ ასეა, ახლავე წავიდეთ. უოტსონ, თქვენ მარტო ალბათ მოიწყენთ, მაგრამ ორ საათში უკანვე დავბრუნდები.

ისინი სადგურამდე მივაცილე, მერე კოპწია ქალაქ როსის ქუჩებში ვისეირნე, ბოლოს ჰოტელში დავბრუნდი და წამოწოლილმა ბულვარული რომანის კითხვა დავიწყე, მაგრამ რომანის სიუჟეტური ქარგა, იმ ტრაგედიასთან შედარებით, რომლის გამოსაკვლევადაც როსში ჩამოვედით, იმდენად გაცვეთილი იყო, რომ წიგნი განზე ვისროლე და თავი სინამდვილეში მომხდარ ამბავზე ფიქრს მივეცი. თუ იმ უბედური ახალგაზრდა კაცის ჩვენება სიმართლეს შეიცავდა, მაშინ რა ღვთის წყრომა და ვაგლახი საქმე უნდა მომხდარიყო იმ წამებში, მამამისს რომ დასცილდა, ას ორმოცდაათამდე იარდი გაიარა და უკანვე მიირბინა?

რაღაც საშინელი მკვლელობა კი იყო, მაგრამ მაინც რა უნდა მომხდარიყო? იქნებ გვამის დაზიანებათა შესწავლას ეთქვა ჩემთვის, ექიმისათვის, ახალი რამ? ზარი დავერკე და უკანასკნელი კვირის ადგილობრივი გაზეთები მოვითხოვე, რათა მომხდარი ამბის დაწვრილებით ანგარიშებს გავცნობოდი. ქირურგის ჩვენებაში ნათქვამი იყო, რომ უკანა მესამე ძვალი, მარცხენა თხემის ძვლები და კეფის მარცხენა

მხარე რაღაც ბლანტი იარაღის დარტყმით იყო ჩაჩეჩქვილი. ეს ადგილი ხელის მოსმით საკუთარ თავზე მოვნახე. კეფის ძვლების ასე ჩაჩეჩქვა მხოლოდ უკანიდან დარტყმით შეიძლებოდა. ეს ნაწილობრივ მაინც ხსნიდა ბრალდებას ეჭვმიტანილს, ვინაიდან იგი ჩხუბის დროს მამასთან პირისპირ მდგარი იხილეს. თუმცა ისიც შეიძლებოდა, რომ მოხუცი მაკართი შვილისაკენ ზურგით შებრუნებულიყო, მაგრამ ამ ამბავზე მაინც უნდა მიმექცია ჰოლმსის ყურადღება. მერე მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვა «თაგვი» გამახსენდა და ახლა ამაზე დავფიქრდი. რას ნიშნავდა იგი? ყოველ შემთხვევაში, ბოდვა არ უნდა ყოფილიყო. ადამიანი, რომელიც უეცარი დარტყმის შედეგად კვდება, არასოდეს არ ბოდავს. არა, ალბათ მომაკვდავს უნდოდა შვილისათვის აეხსნა, სად წამოეწია მუხთალი ბედი და როგორ გაუსწორდა. მაგრამ რაზე მიუთითებდა ეს «თაგვი»? დიდხანს ვცდილობდი, მომაკვდავის სიტყვისათვის რამე საფუძვლიანი ახსნა-განმარტება გამომეძებნა. გავიხსენე რუხი წამოსასხამის ამბავიც. თუ ჯეიმს მაკართი მართალს ამბობდა, მაშასადამე, მკვლელს დანაშაულის ადგილზე თავისი წამოსასხამი დავარდნია და იმდენი თავხედობა გამოუჩენია, რომ მამის უეცარი დაღუპვით შეღონებული, მუხლებზე დავარდნილი ადამიანის იქ ყოფნის დროს, მისგან სულ რაღაც თორმეტიოდე ნაბიჯზე დაგდებული თავისი წამოსასხამის ასაღებად დაბრუნებულა და მერე გაუჩინარებულა. რანაირი იდუმალებით მოცული და დაუჯერებელი ამბები იყო ერთმანეთში გადაწნულ-გადახლართული. ლესტრეიდის თვალსაზრისი და დასკვნები არ მიკვირდა, მაგრამ ჰოლმსის შინაგანი რწმენა იმედს მინერგავდა, რომ ჯეიმს მაკართი მართლაც უცოდველი აღმოჩნდებოდა. ჩემი აზრით, ყოველი ახალი ფაქტი ჰოლმსის მოსაზრებას ამაგრებდა.

შერლოკ ჰოლმსი რომ დაბრუნდა, უკვე გვიანი იყო. იგი მარტო შემოვიდა ჰოტელში, ლესტრეიდი ქალაქში დარჩენილიყო.

- ბარომეტრი ისევ ისეა, - თქვა მან, როცა ჯდებოდა. - ნეტავ ჯერ არ გაწვიმდეს და შემთხვევის ადგილზე მისვლა მოვასწროთ. ამნაირ საქმეში ადამიანმა მთელი თავისი ცოდნა, ენერგია, გამოცდილება უნდა ჩააქსოვოს და არ მინდოდა სანამ კარგად არ დავისვენებდი, მის კვლევას შევდგომოდი. ჯეიმს მაკართი კი ვნახე.

- მერე რა შეიტყვეთ?

- არაფერი.

- არაფერი ახალი არ უთქვამს?

- არაფერი. მეგონა, იცოდა ვინაც მოკლა მამამისი და ამ ამბავს მალავდა, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თვითონაც საგონებელსაა მიცემული და მკვლელობის გარშემო არაფერიც არ იცის. იგი სწრაფად მოაზროვნე და მოხერხებული ყმაწვილი არა ჩანს, მაგრამ ძალიან კარგი სანახავი კია. ისე მომეჩვენა, რომ წესიერი ახალგაზრდა უნდა იყოს!

- ვერაფერიშვილი გემოვნება ჰქონია, - შევნიშნე მე, - თუ მართალია, რომ მშვენიერ მის ტერნერზე დაქორწინება არ სურდა.

- სწორედ ამ ფაქტს უკან იმალება უჩვეულო ამბავი. იმ ყმაწვილს ეგ ქალი სიგიჟემდე უყვარს. მაგრამ ორი წლის წინათ, როცა თვითონ მთლად ღვლიპი ყოფილა და სკოლაში გამწესებული მის ტერნერი უკვე ხუთი წელია თვალით არ ენახა, მართლაც შტერი, ვიღაც ბრისტოლელ მებუფეტე ქალს ჩავარდნია ხელში და მასზე ჯვარი დაუწერია. ეს არავის შეუტყვია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა სულიერი ტკივილების ამშლელი იქნებოდა ის გარემოება, რომ ჯეიმს მაკართის აქეთ აძალებდნენ იმ ქალზე დაქორწინებას, რომლის გულისთვისაც სიცოცხლესაც არ დაიშურებდა. მან ხომ იცოდა, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო. აი, სწორედ ასეთი

სულიერი ტკივილების აშლამ მიიყვანა იგი სიშმაგემდე, როცა უკანასკნელი შეხვედრისას მამამ მოსთხოვა მის ტერნერს ხელი სთხოვეო. მთავარი კიდევ ის იყო, ვაჟს არც სხვა რამ ხელმოსაკიდებელი მიზეზი გააჩნდა, რომ მამის სურვილს წინ აღდგომოდა. როგორც ამბობენ, მისტერ მაკართი ძალიან თავნება და უხიაგი კაცი ყოფილა. თუ ამ ამბავს შეიტყობდა, შვილს სამუდამოდ გააგდებდა სახლიდან. დაპატიმრებამდე უკანასკნელი სამი დღე ჯეიმს მაკართის ბრისტოლში თავის ჯვარდაწერილ ცოლთან გაუტარებია. მამას კი არ სცოდნია, სად იყო მისი ვაჟი. დაიმახსოვრეთ ეს ამბავი, იგი ძალიან საგულისხმო და საინტერესოა. თქვენ ხომ იცით, რომ ბოროტი და კეთილი მუდამ ერთმანეთზე გადაჯაჭვულია. როგორც კი ბრისტოლელმა მებუფეტე ქალმა გაზეთებიდან შეიტყო, ჯეიმს მაკართი დააპატიმრეს და მალე ჩამოახრჩობენო, წერილით აცნობა ყმაწვილს თავისი აღსარება და მოსწერა, ჩემი პირველი ქმარი ცოცხალია და ბერმუდის დოკებში მუშაობსო. ასე რომ, ჯეიმს მაკართისთან მას აღარავითარი კავშირი არა აქვს. მე მგონია, ბრისტოლელი ქალის აღსარებამ ჯეიმს მაკართი სულიერად გაამხნევა და ყველა სატანჯველი გადაავიწყა.

- მაგრამ თუ ჯეიმს მაკართი უცოდველია, მკვლელი ვინღაა?

- ვინა? თქვენს ყურადღებას ორ გარემოებას მივაქვეც. პირველი, მოკლულ მაკართის ტბორის ნაპირზე შეხვედრა ჰქონდა დანიშნული ვიღაც კაცთან და ეს ვიღაც არ შეიძლება მისი შვილი ყოფილიყო, რადგან მაკართიმ ისიც არ იცოდა, სად იყო ამ დროს ეს ყმაწვილი; მეორე, მოკლული მაკართი «გოიის» მანამდე ყვიროდა, ვიდრე შვილის დაბრუნებას შეიტყობდა. ამ ორ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან დანაშაულის თავსა და ბოლოში სწორად გარკვევა მხოლოდ მათი გათვალისწინებით შეიძლება. ახლა კი თუ გსურთ, ჯორჯ მერედიტზე ვისაუბროთ და მეორეხარისხოვანი ამბები ხვალისათვის გადავდოთ.

როგორც ჰოლმსმა ივარაუდა, წვიმა არ მოვიდა. მზიანი და უღრუბლო დღე დადგა. სრულ ცხრა საათზე ლესტრეიდი ეტლით მოგვადგა. და სამივენი ბასკომბის ველზე, ჰათერლეის ფერმისაკენ გავემგზავრეთ.

- ძალიან სერიოზული ამბებია, - წამოიწყო საუბარი ლესტრეიდმა, - ამბობენ, მისტერ ტერნერი ისე ავადაა, დიდხანს ვერ გაატანსო.

- ძალიან ხანდაზმულია? - იკითხა ჰოლმსმა.

- სამოცსაა მიღწეული, მაგრამ კოლონიიდან ჯანგატეხილი დაბრუნდა და ხშირად ავადმყოფობს. ამ საქმემ ერთობ სერიოზულად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. იგი მაკართის დიდი მეგობარი იყო და ჭირსა და ლხინში უანგაროდ ეხმარებოდა. როგორც დავადგინე, მაკართი ჰათერლეის ფერმის გადასახადსაც არ უხდიდა მას.

- მართლა! ეს კი ძალზე საინტერესოა, - ჩაურთო ჰოლმსმა.

- ოჰ, დიახ! მაკართის თურმე ათასგვარად უმართავდა ხელს. ყველას სალაპარაკოდ აქვს განსვენებულისადმი მისი სიკეთე და უანგაროება.

- კეთილი, მაგრამ ნუთუ ოდნავ მაინც არ დაგაეჭვათ იმან, რომ ესოდენ მცირე საკუთრების პატრონი, სხვის მიწაზე სამადლოდ შეხიზნული მაკართი მისტერ ტერნერის ქალიშვილზე აპირებდა თავისი ვაჟიშვილის დაქორწინებას? თანაც როგორი ამბიციით! თითქოს საკმარისი იყო ჯეიმს მაკართის მის ტერნერის ხელი ეთხოვა და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ეს ძალიან უცნაური ამბავია, მით უფრო, რომ მისტერ ტერნერს ამ ქორწინებაზე კრინტის დაძვრაც არ სურდა. ეს ხომ თვითონ მის ტერნერმა თქვა. თუ დედუქციის მეთოდს გამოიყენებთ, აქედან საკმაოდ უტყუარი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს.

- ჩვენ დედუქციის მეთოდიც გამოვიყენეთ და ბევრი სხვა რამეც, - თქვა ლესტრეიდმა და თვალი ჩამიკრა. - თუ ფაქტებს გვერდს ავუვლით, მაშინ ყოველგვარ თეორიაზე ლაპარაკი ზედმეტია და ჩვენ ფანტაზიის სფეროში გადავალთ.

- თქვენ მართალი თქვით, ფაქტების გვერდის ავლა არ შეიძლება, - ირონიულად ჩაურთო ჰოლმსმა.

- როგორც არ უნდა იყოს, ერთი ისეთი ფაქტი მაინც დავადასტურე, რომლის გვერდის ავლა და უარყოფა არ შეიძლება, - ნაწყენი კაცის კილოთი წარმოთქვა ლესტრეიდმა.

- რომელი ფაქტი?

- რომ მაკართი მამამ სიკვდილი საკუთარი შვილის ხელით ჰპოვა ბასკომბის ველზე და რომ ყოველგვარი თეორია, რომელიც ამ ფაქტს ეწინააღმდეგება, ლიტონი სიტყვები, სისულელე და მიქარვაა.

- თუ არა ვცდები, ჩვენ მარცხნივ უკვე ჰეთერლეის ფერმაა, - თქვა ჰოლმსმა.

- დიახ, სწორედ ისაა.

ეს იყო კრამიტის სახურავიანი ფართოდ გაშლილი ორსართულიანი კომფორტაბელური შენობა, რომელსაც კედლებზე დიდი ყვითელი ხავსის ლაქები ჰქონდა. დაშვებული ფარდები და უკვამლო ბუხრისთავები სახლს პირქუშ შესახედაობას მატებდნენ, თითქოს ის საშინელი დანაშაული მძიმე ლოდივით დასწოლიაო. კარზე დავაკაკუნეთ და ჰოლმსმა მოსამსახურე გოგოს სახლის პატრონის ის ფეხსაცმელი მოსთხოვა, რომელიც სიკვდილის დროს სცმოდა. მერე ჯეიმს მაკართის ის ფეხსაცმელიც მოითხოვა, ტბორისაკენ მიმავალს რომ ჩაეცვა. ჰოლმსმა ფეხსაცმელები რვა თუ ცხრა ადგილას გაზომა და მერე ბასკომბის ველისაკენ მიმავალ ბილიკს გავუყევით.

კვალში ჩამდგარი შერლოკ ჰოლმსი ერთიანად გარდაიქმნა. ვინც მას დინჯ კაცად იცნობდა, ვერაფრით ვერ დაიჯერებდა, რომ მის წინ ახლა იგივე ადამიანი იმყოფებოდა. სახეზე ხან ცეცხლი წამოენთებოდა, ხან სიშავე გადაჰკრავდა. ფართო შუბლს ქვემოთ წარბები ორ შავ ხაზად გაწოლილიყვნენ და მათ ქვემოთ, თვალებში ფოლადის სიმტკიცე ჩასდგომოდა. თავი დახრილი ჰქონდა, მხრებში მოღუნულიყო, ტუჩები მოეკუმა და ძარღვები დაბერვოდა. ცხვირის ნესტოები ნადირის სუნნაცემი ძაღლივით უთრთოდა. მისი გონება ისე შთაენთქა კვალის ძიებას, რომ კითხვებზე ან სულ არ გვპასუხობდა, ან ცალყბად გადმოგვიგდებდა ერთ-ორ სიტყვას. იგი სწრაფად და მდუმარედ მისდევდა იმ ბილიკს, რომელიც ტბორსა და ტყეს შორის იპოვა. ამ მიყრუებულ, დატბორებულ ადგილას ათასგვარი ნაფეხური მოჩანდა. ჰოლმსი ხან აჩქარდებოდა, და ხან ძალიან ნელა მოქმედებდა. ერთი პირობა შეჩერდა და მერე ტბორის შემოსასვლელ გზას დაადგა. ლესტრეიდი და მე უკან დავყვებოდით. სკოტლანდიარდელი მაძებარი მის საქმიანობას აგდებულად და უყურადღებოდ ეკიდებოდა, მე კი ჩემს მეგობარს დიდის ინტერესით შევყურებდი, რადგან მწამდა, რომ მისი ყოველი ნაბიჯი საქმის ნათელ დაბოლოებას აჩქარებდა.

ბასკომბის ტბორი სიგანით ორმოცდაათი იარდი იქნებოდა, ნაპირები დაჭაობებული ჰქონდა და ჰეთერლეის ფერმასა და მდიდარ მიწათმფლობელ მისტერ ტერნერის პარკს შუა მდებარეობდა. ტბორი თუ სიგანით ორმოცდაათ იარდზე მეტი არ იყო, სიგრძით თვალსაწიერამდე გრძელდებოდა და ბოლოში ტყეს ებჯინებოდა. ხშირფოთლოვანი ტყის სიმწვანიდან მისტერ ტერნერის წაწვეტებულკოშკებიანი სახლი მოჩანდა.

ჰეთერლეის მხრიდან ტბორს ხშირი ტყე ეკვროდა. ტყესა და ტბორს შუა იციოდე ნაბიჯი ლერწმების შქერით იყო დაფარული. ლესტრეიდმა ზუსტად გვიჩვენა ის

ადგილი, სადაც გვამი ეპოვნათ. ამ ადგილზე ნიადაგი ისეთი სველი იყო, რომ გვამის დაცემის ადგილი მეც კარგად გავარჩიე. ჰოლმსისათვის, როგორც მის სხივჩამდგარ და ყურადღებით გამომზირალ თვალებზე შევამჩნიე, ბევრი რამ გახდა ცნობილი. იგი გეშაღებული მაძებარი ძაღლივით მირბოდ-მორბოდა, ბოლოს ლესტრეიდს მიუბრუნდა. და ჰკითხა:

- რა სამძებრო სამუშაო ჩაატარეთ ტბორთან?

- დაკბილული ლარტყით მთელი ტბორი გადავჩხრიკეთ. ვფიქრობდი, რაიმე იარაღს ან კვალს წავაწყდებოდი, მაგრამ როგორც თქვენ...

- ოჰ, კმარა, კმარა! დრო აღარ ითმენს! თქვენ მარცხენა ფეხს რაღაცნაირად ატრიალებთ და მის კვალს ყველგან ტოვებთ. მას თხუნელაც კი მიჰყვებოდა, თუმცა ახლა მაგისი დრო არაა, კვალი ლერწმებში იკარგება. ოჰ, რა უბრალოდ ვიპოვიდით ყველაფერს, იმ კამეჩებისათვის რომ აქ მოსვლა დამესწრო. აი, აქ მეველის საყარაულოდან მოსულნი მდგარან და გვამიდან შვიდი ფუტის მანძილზე, ირგვლივ ყველაფერი გადაუთქერავთ. - მან ლინზა ამოიღო, წყალგაუმტარ წამოსასხამზე დაწვა, რომ უფრო ახლოს ენახა ნაკვალევები და ისე განაგრძო საუბარი, თუმცა თავის თავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე მე და ლესტრეიდს. - აი, ახალგაზრდა მაკართის ნაფეხურები ორჯერ გავლილი ჩანს... ერთხელ ისე ჩქარა გაურბენია, რომ ტერფის წინა ნაწილის კვალი მიწას კარგად დამჩნევია. ქუსლების კვალი კი სულ არ იძებნება. ეს მის მონათხრობს ადასტურებს. ისე გაქცეულა, როცა მიწაზე გაშხლართული მშობელი უხილავს. აქვეა გარდაცვლილის ნაფეხურები, მას ამ ადგილზე წინ და უკან უვლია. ეს კი თოფის კონდახის კვალია. ჰო, ჯეიმს მაკართი აქ მდგარა, როცა მამის საყვედურებს ისმენდა. ჰა, ჰა! ეს რაღა აღმოვაჩინე? ფეხის წვერების კვალი! რა უცნაური ოთხკუთხა ფეხსაცმელი სცმია! მოსულა, წასულა და ისევ დაბრუნებულა. ჰო, ალბათ წამოსასხამისათვის დაბრუნდა. მაგრამ საიდან მოვიდა?

ჰოლმსმა ისევ წინ და უკან სირბილი დაიწყო. ხან თითქოს კარგავდა კვალს, ხან ისევ პოულობდა, და მანამდე ირბინა, ვიდრე ტყის პირას მდგარი ბებერი წიფლის ხის ქვეშ არ აღმოვჩნდით. ჰოლმსმა აქაც იპოვა მის მიერ მკვლელობაში ეჭვმიტანილის კვალი, ისევ პირქვე დაწვა და ყურადღებით ჩააშტერდა. დიდხანს დახოხავდა მუცელზე დაწოლილი, მერე შეჩერდა, ფოთლები და ხმელი ტოტები შეაგროვა, მტვერის სინჯიც აიღო, გამადიდებელი მინით მიწა გასინჯა და, რამდენიც შეეძლო, ხის ქერქიც წამოკრიფა. იქვე ხავსზე ერთი უსწორმასწორო, დაკბილული ქვა ეგდო. ჰოლმსმა აიღო და კარგად გასინჯა. მერე ტყეში მიმავალ ბილიკს მიჰყვა და გზამდე გავიდა. იქ კი კვალი იკარგებოდა.

- ეს ძალიან საყურადღებო ქვაა, - თქვა მან სერიოზული კილოთი. - ჩემი აზრით, მარჯვნივ მეველის სახლი უნდა იდგეს. მე მორანს მოვინახულებ, პატარა ბარათს დავწერ და წამოგეწევით.

ათი წუთის შემდეგ ეტლს უკვე როსისაკენ მივყავდით. ჰოლმსს ისევ ის ქვა ეჭირა ხელში, რომელიც წიფლის ქვეშ იპოვა.

- ამ ქვამ თქვენში გარკვეული ინტერესი უნდა აღძრას. ლესტრეიდ, მკვლელობა სწორედ ამ იარაღითაა ჩადენილი, - უთხრა ჰოლმსმა.

- მაგრამ არავითარი ნიშანი ქვას არ ამჩნევია.

- დიახ, არ ამჩნევია.

- აბა, როგორ შეატყვეთ, რომ მკვლელობა ამ ქვით მოხდა?

- ქვისქვეშ ბალახი ისევე თავისუფლად იყო ნაზარდი, როგორც თვითონ მის შემოგარენში. ვერც ის ადგილი ვიპოვე, საიდანაც ქვა აიღეს, ვინაიდან მკვლელობის

სხვა იარაღი არაა აღმოჩენილი, ამ ქვას ბოროტმოქმედებასთან პირდაპირი კავშირი აქვს.

- მკვლელი ვინღაა?

- იგი მაღალია, ცაცია, მარჯვენა ფეხით კოჭლობს, მონადირის ჩექმებს ატარებს, რუხი წამოსასხამი ახურავს, მუნდშტუკით ეწევა ინდურ სიგარებს და ჯიბეში ბლაგვი დანა უდევს. კიდევ სხვა ნიშნებზეც შემიძლია მივუთითო, მაგრამ მის საპოვნელად ესეც კმარა.

ლესტრეიდმა ჩაიცინა.

- მე ჯერ სკეპტიკურად ვუყურებ თქვენს ნამოღვაწარს, - უთხრა მან ჰოლმსს. - ძალიან კარგი თეორიაა, მაგრამ გავიწყდებათ, რომ ჩვენ საქმე უნიჭო ინგლისელ ნაფიც მსაჯულებთან გვექნება.

- ვნახოთ, - მშვიდად უპასუხა ჰოლმსმა. - თქვენ მუშაობის თქვენი მეთოდი გაქვთ და მე კიდევ ჩემი. მგონია, საღამოს მატარებლით დღეს ლონდონში დავბრუნდები.

- და საქმეს შუა გზაზე მიატოვებთ?

- არა, დავამთავრებ.

- საიდუმლოება რომ ამოხსნილი არაა?

- ამოხსნილია.

- მკვლელი ვინაა?

- ის ჯენტლმენი, რომელიც მე აგიწერეთ.

- სახელდობრ ვინ?

- იგი არც ისე ძნელი საპოვნია. აქ ახლომახლო ბევრი ხალხი არ ცხოვრობს.

ლესტრეიდმა მხრები აიჩეჩა.

- მე პრაქტიკული კაცი ვარ, - წარმოთქვა მან. - და არ შემიძლია ძებნა დავუწყო კაცს, რომლის შესახებაც მარტო ის ვიცი, რომ ცაციაა და მარჯვენა ფეხით კოჭლობს. მაშინ ხომ მთელი სკოტლანდიარდის სასაცილო შევიქნები.

- კეთილი, - სწრაფად გამოეპასუხა ჰოლმსი, - მე მკვლელობის საიდუმლოების გასაღები ხელთ მოგეცით, თუ საქმეში ჩახედვა არ გინდათ, ძალას ვერ დაგატანთ. აი, თქვენი სადგომიც და კარგად ბრძანდებოდეთ. წასვლის წინ წერილს მოგწერთ.

ლესტრეიდი თავისი ოთახის წინ დავტოვეთ და ჩვენ ჰოტელისაკენ გავეშურეთ. საუზმე გაწყობილი დაგვიხვდა. ჰოლმსი წყნარად ილუკმებოდა და რაღაც ფიქრში იყო წასული. ეტყობა, რაღაც მძიმე და მტანჯველი აზრი აეკვიატა, ისე ჩამოსტიროდა ცხვირპირი.

როცა მაგიდა აალაგეს, იგი მომიბრუნდა და მითხრა:

- ძვირფასო უოტსონ, რჩევა მინდა გკითხოთ. იჯექით მაგ სავარძელში და ყური მიგდეთ. პირდაპირ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. სიგარას მოუკიდეთ და ყველაფერს წვრილად მოგიყვებით.

- დიდი სიამოვნებით მოგისმენთ.

- როცა ამ საქმის განსჯას შევუდგებით, ჩვენ მაკართის ჩვენებაში ორ პუნქტზე დავიწყეთ ჭოჭმანი. მე, როგორც გახსოვთ, ის ორი პუნქტი მკვლელობაში ეჭვმიტანილის სასარგებლოდ მივიჩნიე, თქვენ კი პირიქით. ეს პუნქტი გახლდათ: ერთი ის, რომ მამამ «გოიი», შვილის დანახვამდე დაიძახა, ხოლო მეორე ის, რომ მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვებიდან ჯეიმს მაკართიმ მარტო «ერეტ»1 გაიგონა. ჩვენი კვლევა-ძიებაც ამ ორი პუნქტიდან უნდა დაიწყოს, თანაც წინასწარ უნდა დავუშვათ, რომ ბრალდებულმა ძიებას აბსოლუტური სიმართლე უთხრა.

- მაშინ საკითხავია, რას ნიშნავს «გოიი»?

- ფაქტია, რომ მაკართი ამით შვილს არ უხმობდა, რადგან იგი ბრისტოლში ეგულებოდა. ამ ძახილზე ახალგაზრდა მაკართის გამოცხადება მამისათვისაც მოულოდნელი იყო. «გოიის» ძახილი იმ ადამიანისადმი იყო მიმართული, ვისთანაც მაკართის შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. «გოიის» ავსტრალიურია და «მოდი, გელის» ნიშნავს. ასე რომ, ამ შემთხვევაში მაკართის ძახილი ისე უნდა გავიგოთ, რომ იგი ავსტრალიელ ან ავსტრალიაში ნამყოფ და ნაცხოვრებ ადამიანს ელოდა.

- რას უნდა ნიშნავდეს მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვა «ერეტ».

შერლოკ ჰოლმსმა ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

- ეს კოლონია ვიქტორიას რუკაა. მე ის ბრისტოლიდან გამოვითხოვე. - მან რუკის ერთ ნაწილს ხელი დააფარა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: - აბა, რა წაიკითხეთ?

«ერეტ» - წავიკითხე-მეთქი, ვუთხარი.

მერე ხელი ასწია და კვლავ წაიკითხეო, მითხრა.

«ბალერეტ», - წავიკითხე.

- დიახ, სწორედ წაიკითხეთ, - მითხრა ჰოლმსმა. - ესაა ის სიტყვა, რაც მკვლელს ჰქვიან და რომლის მხოლოდ ბოლო ნაწილი გაიგონა ჯეიმს მაკართიმ. მომაკვდავს უნდოდა შვილისათვის ეთქვა თავისი მკვლელის სახელი. დიახ, მკვლელს ან ბალერეტი ჰქვია, ანდა ბალერეტიდანაა.

- შესანიშნავად მიგნებული ამბავია, - წამოვიძახე მე.

- დიახ, ეს სავსებით ნათელი ამბავია. ახლა თქვენ ხედავთ, რომ ბოროტმოქმედების არე თანდათან ვიწროვდება. მით უფრო, რომ არსებობს მესამე პუნქტიც - რუხი წამოსასხამი. ახლა ჩვენ მკვლელის შესახებ სამი მონაცემი გაგვაჩნია: იგი ავსტრალიელია, ბალერეტი ჰქვია ან ბალერეტიდანაა და რუხი წამოსასხამი აქვს.

- უფრო გარკვეულად?

- ადგილობრივი მცხოვრებია, რადგან ტბორს, ფერმისა და მისტერ ტერნერის სახლის მეტი, გარშემო არაფერი აკრავს და გადამთიელი აქ არავინ დაძრწის.

- მართალი ბრძანდებით.

- მერე დღევანდელი ჩვენი ექსპედიციაც ერთ რამედ ღირდა. მიწაზე კვალის აღმოჩენითა და სხვა დაკვირვებებით, მე შევძელი მკვლელის ვინაობის დადგენა, რაც გამოთაყვანებულ ლესტრეიდს განვუცხადე კიდეც.

- მაგრამ როგორ დაადგინეთ მკვლელის ვინაობა?

- თქვენ იცნობთ ჩემს მეთოდს. ის ხომ უმნიშვნელო წვრილმანი ამბების ერთობლიობას და მათ ურთიერთდაპირისპირებას ემყარება.

- დიახ, ალბათ მისი სიმაღლე ნაბიჯის საშუალებით გამოიანგარიშეთ, ხოლო ფეხსაცმლის ამბის გარკვევაში კვალი დაგეხმარათ.

- რაღაც განსაკუთრებული ფეხსაცმელი კი სცმია.

- მისი ხეიბროება საიდანღა დაადასტურეთ?

- მის მარჯვენა ფეხს ჭენჭყობშიც კი უფრო ზერელე ნაკვალევი დაეტოვებინა, ვიდრე მარცხენას. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ იგი ტანის მთელი სიმძიმით მარჯვენა ფეხს არ აწვებოდა, ესე იგი, კოჭლი უნდა იყოს.

- ცაციაააო, საიდან მოიტანეთ?

- ქირურგის ჩვენებაში დაზიანების აღწერამ თქვენ თვითონვე გაგაოცათ. უეცარი დარტყმა მოკლულს უკანა მხრიდან ჰქონდა მიყენებული და ისიც მარცხენა მხარეს. აბა, რაღა კითხვა უნდა, რომ ეს ცაციას ნახელავი უნდა ყოფილიყო. მამა-შვილის წალაპარაკების დროს იგი ხის ქვეშ მდგარა და სიგარაც გაუბოლებია. ადგილზე სიგარის ფერფლი აღმოვაჩინე და მივხვდი, რომ მკვლელი ინდურ სიგარას

ეწეოდა. როგორც იცით, პაპიროსის ფერფლზე მე შრომა გამოვაქვეყნე, რომელშიც ას ორმოცი სხვადასხვაგვარი თამბაქოს ფერფლი მაქვს შესწავლილი და გამოკვლეული. ფერფლს რომ წავაწყდი, სიგარის ნამწვის ძებნას მივყავი ხელი და ისიც ვიპოვნე. დიახ, ის მართლაც როტერდამში დამზადებული ინდური სიგარა გამოდგა.

- მუნდშტუკი?

- ნამწვს რომ დავაკვირდი, ზედ ნაკბილარები არ ემჩნეოდა. ესე იგი, მკვლელი სიგარას მუნდშტუკით ეწეოდა. ნამწვის ბოლო უსწორმასწოროდ იყო მოჭრილი და ამიტომ ვივარაუდე, მკვლელს ჯიბეში ბლაგვი დანა უნდა ჰქონდეს-მეთქი.

- ჰოლმს, - ვუთხარი მე, - თქვენ მკვლელის გარშემო ისეთი ბადე მოქსოვეთ, რომელსაც იგი ვერ დაუსხლტება, და ამით დაუმსახურებელი სასჯელისაგან იხსენით უცოდველი ადამიანი. თქვენ ჯეიმს მაკართი პირდაპირ სახრჩობელიდან ჩამოხსენით. მე გეტყვით მკვლელის გვარსა და სახელს...

- მისტერ ჯონ ტერნერი, - მოგვახსენა ჰოტელის მსახურმა და ოთახში ჯონ ტერნერს შემოუძღვა.

ოთახში შემოსულს უცნაური და დიდი შთაბეჭდილების მომხდენი შესახედაობა ჰქონდა. ფეხით სახიჩრობა და დაბლა ჩამოყრილი მხრები მნახველის თვალში ჯონ ტერნერს მოხუცებულ კაცად აქცევდნენ, ხოლო უზარმაზარი სხეული და უხეშად გამოკვეთილი სახის ნაკვთები მის ძლიერ ხასიათსა და დიდ ფიზიკურ ძალას მეტყველებდნენ. გაწეწილი წვერი, ჭაღარა თმა და დაფანჩული წარბები ამაყი და ძალაუფლების მოყვარე კაცის შეხედულებას აძლევდნენ. სახეზე მოთეთრო ნაცრისფერი გადაჰკრავდა და ცხვირის ნესტოების ბოლოებსა და ტუჩებზე სილურჯე მორეოდა. როგორც კი შევხედე, მყისვე შევატყვე, მისთვის რაღაც უკურნებელ სენს დაერია ხელი.

- სავარძელში დაბრძანდით, - უთხრა ზრდილობიანად ჰოლმსმა. - ალბათ ჩემი წერილი მიიღეთ?

- დიახ, მეველემ მომიტანა. მწერდით, რომ თქვენთან მოვსულიყავი, რათა თავიდან ამეცილებინა შერცხვენა და აურზაური.

- ვფიქრობ, რომ ხალხში ერთი მითქმა-მოთქმა შეიქმნებოდა, თუ სასამართლოში გამოსვლა დამჭირდა.

- რაში დაგჭირდათ? - ტერნერმა ისეთი სასოწარკვეთილი თვალებით გაჰხედა ჰოლმსს, თითქოს დასმულ კითხვაზე პასუხი უკვე მიეღოს.

- დიახ, - უფრო ტერნერის გამოხედვას უპასუხა ჰოლმსმა, ვიდრე დასმულ კითხვას, - მაკართის მკვლელობის ამბავი წვრილად ვიცი.

მოხუცმა სახე ვეება ხელებში ჩარგო.

- ღმერთო მიშველე! - წარმოთქვა მან. - მაგრამ ყმაწვილი კაცის დაღუპვას არც ვაპირებდი. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ თუ საქმე ნაფიც მსაჯულთ გადაეცემოდათ განსახილველად, ყოველივეს ვაღიარებდი.

- მოხარული ვარ, რომ მაგას ამბობთ, - მკაცრად თქვა ჰოლმსმა.

- თუ ჩემი პატარა გოგონა არა, ყოველივეს ახლაც ვიტყოდი. მაგრამ სიმართლის გაგება მას გულს გაუხეთქავს. ჩემი დაპატიმრება მისთვის ძალიან ძნელი ასატანი იქნება.

- შეიძლება არც დაგაპატიმრონ? - წარმოთქვა ჰოლმსმა.

- როგორ?

- მე ხომ პოლიციის ოფიციალური თანამშრომელი არა ვარ. მე სწორედ თქვენმა ქალიშვილმა მომიწვია აქ და მისი ინტერესები უნდა დავიცვა: ახალგაზრდა მაკართი საპყრობილედან უნდა გამოვიდეს.

- მე მომაკვდავი ვარ, - თქვა მოხუცმა ტერნერმა. - კარგა ხანია, რაც ჩემს სხეულს დიაბეტი ხრავს. ექიმის აზით, ალბათ ერთ თვესაც ვერ გავატან, მაგრამ საპატიმროში სულის ამოხდას, მაინც ჩემს ჭერქვეშ სიკვდილი მირჩევნია.

ჰოლმსი წამოდგა, საწერკალამი და ქაღალდი მოიმარჯვა და მაგიდასთან მივიდა.

- აბა, მოყევით ჰოველივე და მოკლედ ჩავიწერ. თქვენ ხელს მოაწერთ, უოტსონი კი დაამოწმებს. თქვენს ჩვენებას სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში წარვუდგენ, თუ ახალგაზრდა მაკართი ისე ვერ გავათავისუფლებინე. თუ მხოლოდ ეს აუცილებელი უკიდურესობა არ მაიძულებს, თქვენი საიდუმლო ჩემთან ერთად დაიმარხება.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა მოხუცმა და დაიწყო: - მე მგონია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეკრებამდე ვერც გავატან და ჩემი ამბავი არც მაწუხებს. მხოლოდ ალისას გადარჩენა მწადია. ახლა კი ყოველივეს თავიდან გიამბობთ. ეს ამბავი დიდხანს გაჭიანურდა, მაგრამ მოყოლით მალე მოგიყვებით.

- თქვენ არ იცნობდით გარდაცვლილ მაკართის. ის კაცი კი არა, ნამდვილი სატანა გახლდათ. მის კლანჭებში მოხვედრას მტერსა და ავს არ ვუსურვებდი. უკანასკნელი ოცი წელიწადი სული ამომხადა და სიცოცხლე მომიწამლა. ჯერ იმას მოითხრობთ, როგორ აღმოვჩნდი პირველად მის ხელში. ეს ამბავი ამ საუკუნის სამოციან წლებში ოქროს საბადოებზე მოხდა. მაშინ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი ვიყავი, სისხლი მიდუღდა და ყოველგვარ სისაძაგლეზე მივდიოდი. ცუდ წრეში მოვხვდი და ხელი სმას მივყავი. მაღაროს ის ნაწილი, რომელსაც მე ვამუშავებდი, მწირი აღმოჩნდა. თანდათან შევიჯავრე შრომა და ცოტა ხანში შარაგზის მძარცველად ვიქეცი. ექვსნი ვიყავით და თავისუფალ აღვირახსნილ ცხოვრებას ვეწეოდით. ხან რკინიგზის სადგურს ვეცემოდით და ვძარცვავდით, ხანაც ოქროს საბადოებიდან მომავალ ფურგონებს. სწორედ მაშინ შემარქვეს ბალერეტელი შავი ჯეკი და ჩვენს კოლონიაში აქამედ ახსოვთ ბალერეტის ბანდა...

ერთხელ ბალერეტიდან მელბურნისაკენ დაცვის თანხლებით ოქრო გააგზავნეს. ჩვენ ჩავუსაფრდით გზად მომავლებს და თავს დავესხით. დაცვა ექვსი კაცისაგან შედგებოდა და თავდამსხმელებიც ექვსნი ვიყავით. პირველი გასროლით ოთხი მცველი მოვკალით. მაგრამ როცა ნადავლს დავეპატრონეთ, ჩვენც სამნიღა დავრჩით. რევოლვერის ლულა მეეტლეს ზედ შუბლზე მივაბჯინე და ადგილიდან დაძვრა ვუბრძანე. ის მეეტლე გახლდათ მაკართი. ღმერთო, ნეტავ მაშინვე მომეკლა, მაგრამ დავინდე, თუმცა შევნიშნე, ისეთი ავი თვალებით შემომყურებდა, ჩემი სახის დამახსოვრება ეწედა. ასე დავეპატრონეთ ოქროს, გავმდიდრდით და სამშობლოში გამოვემგზავრეთ. ჩემს ძველ ამფოსნებთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე და წესიერ ცხოვრებას შევუდექი. ეს მამული სწორედ მაშინ იყიდებოდა და მეც არ დამიყოვნებია მისი შეძენა. მინდოდა წესიერი ცხოვრებით და საქმიანობით ნაწილობრივ მაინც გამომესყიდა ის დანაშაული, რაც ოქროს გატაცებით ჩავიდინე. დავქრწინდი და, მართალია, ცოლი ახალგაზრდობაშივე გარდამეცვალა, მაგრამ მან პატარა ალისა დამიტოვა. ჩემთვის მისი ნამცეცა უსუსური ხელები იყო ის ჯაჭვი, რომელმაც პატიოსან გზაზე დამაბა და ავსა და ბოროტ საქმეს ამაცდინა. მისმა გაჩენამ საბოლოოდ ამაღებინა ხელი ბოროტებაზე და ჩემსა და ჩემს წარსულ ცხოვრებას

შორის უფსკრული აღიმართა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე მაკართის ჩავუვარდებოდი კლანჭებში.

ფულადი საქმეების მოსაგვარებლად ქალაქს გავემგზავრე და რიჯენტსტრიტზე ჩამოგლეჯილ და დაქიაქებულ ტანსაცმელში გამოხვეულ მაკართის გადავეყარე.

- ჩვენ აქა ვართ, ჯეკ, - მითხრა მან და ხელი მკლავზე მომკიდა, - ჩვენ არა ვართ შენგან მოსაძულებელი დასაკარგავი ხალხი. მე და ჩემი ბიჭი ამიერიდან შენ უნდა შეგვინახო, თორემ ინგლისი კანონების მოყვარული მშვენიერი ქვეყანაა და პოლისმენებითაა სავსე.

ასე ჩასახლდა მაკართი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, ასე ჩაიგდო ჩემი მამულის საუკეთესო ნაწილი ხელში და ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფალი ცხოვრობდა უზრუნველად, თანაც აქეთაც მემუქრებოდა. ამ დღის მერე მოსვენება აღარ მქონდა, სადაც წავიდოდი, თანამდევი სულივით წინ ამეტუზებოდა, ან ერთთავად კუდში დამდევდა. ალისა რომ წამოიზარდა, მაკართიმ ახლა სულში დამიწყო ფათური, შენიშნა, რომ პოლიციაზე უფრო იმას ვუფრთხილდებოდი, ბავშვს არ გაეგო ჩემი წარსული. რასაც მაკართი მოისურვებდა, - ფული იქნებოდა, სახლი, თუ მიწა, ყველაფერს ვაძლევდი, ვიდრე ბოლოს ის არ მოისურვა, რისი მიცემაც არ შემეძლო. გათავხედებულმა ალისა მომთხოვა თავის შვილისათვის. ამ დროისათვის მისი ბიჭიც წამოიზარდა და, რაკი ყველამ იცოდა, რომ ჯანზე ვეღარ ვიყავი, მაკართიმ ახლა მთელი ჩემი ქონების დაპატრონება განიზრახა. მაგრამ აქ კი გამოვიჩინე სულის სიმტკიცე. არ მინდოდა, რომ მაკართის ბინძური სისხლი ჩემს სისხლში ათქვეფილიყო. არა იმიტომ, რომ მისი ვაჟიშვილი არ მომწონდა, ბიჭის ძარღვებში ხომ მამის სისხლი ჩქეფდა და მის შესაძულებლად ჩემთვის ესეც საკმაო იყო. მე მაგრად ვიდექი. მაშინ მაკართი დამემუქრა. ჩვენ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს ტბორთან, ჩვენი სახლებიდან თანაბარ მანძილზე.

როცა დანიშნულ ადგილზე მივედი, დავინახე, რომ თავის ვაჟიშვილს ელაპარაკებოდა. სიგარა გავაბოლე და დაველოდე როდის დამარტოვდებოდა. მაგრამ უნებურად მისი ლაპარაკი რომ მოვისმინე, რაც კი ჩემში ოდესმე ცუდი და ბოროტი ზნე ყოფილა, ყველაფერმა ერთბაშად იფეთქა და ხელი დამრია. მაკართი შვილს ჩემ ქალიშვილზე დაქორწინებას აძალებდა. ბიჭი ეურჩებოდა, ხოლო მაკართი დაჰკიოდა და ძალას ატანდა, თითქოს იმისი გაგება, როგორ შეხვდებოდა ჩემი ქალიშვილი ამ ამბავს, სრულიად არ იყო საჭირო. იმან, რომ მეცა და ჩემი ქალიშვილიც, რომელიც სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია ჩემთვის, ასეთი კაცის ხელში უნდა ჩავვარდნილიყავით, გამაცოფა. ჯობს ეხლავე დავგლიჯო ის მარწუხები, რომლითაც შებორკილი ვყავარ-მეთქი, ვიფიქრე. მე ხომ ავადმყოფი, სასიკვდილოდ განწირული კაცი ვარ და ორი დღის პარასკევი დამრჩენია. მართალია, გონება საღი მაქვს და ჯერჯერობით ძალაც მომდევს, მაგრამ ბედისაგან მაინც სასიკვდილოდ განაწირი გახლავართ. მაგრამ ჩემი ხსოვნა და ჩემი ქალიშვილის მომავალი რაღად უნდა წაბილწულიყო? ორივე შეიძლებოდა გადამერჩინა, თუკი მაკართის ენას სამუდამოდ დავადუმებდი. მე მოვკალი იგი და მისი გაცოცხლება რომ შეიძლებოდეს, კვლავ მოვკლავდი. მართალია, ცისა და ქვეყნის წინაშე დიდი შემცოდე გახლავართ, მაგრამ ჩემი მარტვილობა-მოწამეობით საკუთარი დანაშაული ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდე. ხოლო ჩემი უცოდველი ალისა კი რა შუაში იყო, რომ იმავე გაიძვერას მახეში გაბმულიყო, რომელმაც მე დამტანჯა და ბოლო მომიღო? მაკართი მოვკალი და სინდისი არ მქენჯნის, მოვკალი იმ სიკვდილით, როგორც შხამიან გველსა და გესლიან მხეცს ეკადრებოდა, მაკართის დაყვირებამ არემარე შესძრა და მისი ვაჟიშვილი უკანვე დააბრუნა, მაგრამ მე ტყეში მივიმალე, თუმცა მკვლელობის

ადგილზე დავარდნილი ჩემი წამოსასხამის წამოსაღებად მეორედაც მივედი იქ. ეს ამბავი, ჯენტლმენებო, ნამდვილად ასე მოხდა და ყოველივე გულახდილად მოგახსენეთ.

- თქვენთვის მსჯავრის გამოტანა ჩემს მოვალეობაში არ შედის, - თქვა ჰოლმსმა, როცა მისტერ ტერნერმა ჩვენებას ხელი მოაწერა, - მე მგონია, საქმის სასამართლოზე გადაცემა არც დაგვჭირდება.

- მაშ, რა უნდა გააკეთოთ?

- თქვენი ჯანმრთელობის შემხედვარემ, არაფერი. თქვენ ძალიან მალე წარსდგებით უფრო მაღალი მსაჯულის წინაშე, ვიდრე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოა. თქვენს აღიარებას საიდუმლოდ შევინახავ, თუ ჯეიმს მაკართის დასაცავად არ მაიძულეს სიმართლის გამხელა. თუ მაკართის გადასარჩენად არ დამჭირდა, გარწმუნებთ, თქვენს აღიარებას ძე-ხორციელის თვალი ვერ იხილავს და თქვენი საიდუმლო, ცოცხალი იქნებით თუ მკვდარი, მოკვდავთათვის სამუდამოდ დაიმარხება.

- აბა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, - მოზეიმე ხმით წარმოთქვა მოხუცმა, - როცა თქვენი აღსასრულის ჟამი დადგება, უფრო ადვილად და წყნარად შეხვდებით სიკვდილს, რადგან სამუდამო განსასვენებელში წასვლის წინ სიმშვიდე და ნათელი შეიტანეთ ჩემს სულში. - თქვა ესა და აცახცახებული უზარმაზარი სხეული ბარბაცით გაიტანა ოთახიდან.

- ღმერთო, გვიშველე! - თქვა ჰოლმსმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ. - ნეტავ რატომ გვათამაშებს ჩვენ უბედურთ და უსაშველოდ შთენილთ ასე უწყალოდ ბედი მდევარი?

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, ჰოლმსის მიერ წარდგენილი აურაცხელი გამამართლებელი საბუთის საფუძველზე, ჯეიმს მაკართი გაათავისუფლა. მოხუცმა ტერნერმა კიდევ შვიდი თვე იარა ამ ცოდვილ მიწაზე, - ახლა კი სამუდამო განსასვენებელშია დავანებული. ალბათ ჯეიმსი და ალისა უკვე დაქორწინდნენ და მათ ბედნიერებას შავი ღრუბლები აღარ ემუქრება.

<u>ბოჰემიაში მომხდარი აურზაური</u>

ჰოლმსისათვის ის მუდამ ჭეშმარიტი ქალი იყო. არ მახსოვს, იგი სხვა რამ სახელით ეხსენებინოს. მისი აზრით, აირენ ადლერი მთელ საქალეთში ყველას ჩრდილავდა და ყველაზე მაღლა იდგა. უყვარდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ყველა გრძნობა და მათ შორის სიყვარული, ჰოლმსის დარბაისლურ, ზუსტ აზროვნებასა და ცივ გონებას ახლოსაც არ ეკარებოდა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, ჰოლმსი გახლდათ ყველაზე ყურადღებიანი, დაკვირვებული და ჭკუადამჯდარი მანქანა, რომელიც კი ოდესმე ამქვეყნად შექმნილა. შეყვარებული ჰოლმსი მე ვერ წარმომიდგენია. და ალბათ, ამ როლში იგი ძალიან ყალბი იქნებოდა. იგი უზენაესსა და სათუთ გრძნობებზე მხოლოდ დაცინვითა და მასხრობით ლაპარაკობდა. მისი აზრით, ასეთი გრძნობები წარმოადგენდა მხოლოდ შორიდან დამკვირვებელთა შესწავლის საგანს, რომელიც ადამიანთა მოქმედების უჩინარ ხლართებს ჩამოაცილებდა იდუმალ საფარველს და ნათელს მოჰფენდა ამ მოქმედებათა აღმძვრელ მოტივებს. მაგრამ თუ გამოცდილი და ჭკუადამჯდარი ადამიანი ამ გრძნობებს საკუთარ სულში დაბუდების საშუალებას მისცემდა, ამით ნებაყოფლობით გაუხსნიდა გზას დამანგრეველ ძალებს

თავის აღუშფოთველ გონებრივ სამყაროში. სხეულში შეჭრილი ასეთი გრძნობა უფრო დამანგრეველი ძალისაა, ვიდრე მგრძნობიარე ინსტრუმენტში მოხვედრილი ქვიშა, ან უზარმაზარ სარკეზე გაჩენილი ბზარი. მიუხედავად ამისა, არსებობდა ერთადერთი ქალი და ისიც მეტად საეჭვო ყოფაქცევისა - აწ გარდაცვლილი, აირენ ადლერი, რომლისადმი შენამსჭვალებიც აღმოჩნდა ჩემი კეთილი მეგობარი.

ჰოლმსს ბოლოს დროს იშვიათად ვხვდებოდი ხოლმე. ჩემმა ქორწინებამ ერთმანეთს დაგვაშორა. პირადმა ბედნიერებამ, აგრეთვე იმ ინტერესებმა, რომელიც კაცის დაოჯახებისთანავე იჩენს თავს და მისი ბატონ-პატრონი შეიქმნება, ერთბაშად შთანქთა მთელი ჩემი ყურადღება. ბოჰემურ ცხოვრებას ჩვეული ყოლმსი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ფორმის მოძულე გახლდათ და ისეთადვე დარჩა. ძველ წიგნებში ჩაფლული ჩემი მეგობარი ისევ ბეიკერსტრიტზე ცხოვრობდა. კვირიდან კვირამდე კოკაინის ცთუნებას აყოლილი, პატივმოყვარეობის შემოტევას ნარკოტიკული საშუალებებით იგერიებდა და თავის არაადამიანურ, უხვ ენერგიასა და ძლიერ ბუნებას ალკოჰოლით იჩლუნგებდა. იგი უწინდებურად საგამომძიებლო საქმეებით იყო გატაცებული. თავის უდიდეს ძალასა და არაჩვეულებრივ დაკვირვების უნარს ისევ იმ დახლართული, აწეწილ-დაწეწილი და ბნელით მოცული საქმეების გახსნას და სააშკარაოზე გამოტანას ახმარდა, ოფიციალური პოლიციის მიერ უიმედო «მკვდარ საქმეებად» რომ იყო მიჩნეული. დრო და დრო ჩემამდე აღწევდა მონაჭორი თუ მართალი ამბები მის საქმიანობაზე. მითხრეს, ვინმე ტრეპოვის მკვლელობის საქმეზე ჰოლმსი ოდესაში მიიწვიესო. მანვე მოჰფინა შუქი ტრიკომალელი ძმების - ატკინსონების საქმეს; დაბოლოს, გავიგე ჰოლანდიის სამეფო კარზე მომხდარი ამბავი, რომელიც ჰოლმსმა დიდის გულმოდგინებითა და საქმის ცოდნით გამოიკვლია. გარდა ყოველდღიურ პრესაში გამოქვეყნებული ცნობებისა, მე ძალიან ცოტა რამ ვიცოდი ჩემი ყოფილი მეგობრისა და კომპანიონის ცხოვრებისეულ წვრილმანებზე.

1888 წელს ოც მარტს ერთი ავადმყოფი მოვინახულე და უკან ვბრუნდებოდი. ამ დროს უეცრად შევნიშნე, რომ გზად ბეიკერსტრიტზე უნდა გამევლო. თვალი მოვკარი თუ არა კარგად ნაცნობ კარს, წამსვე გამახსენდა ჩემი დაქორწინებისა და «ალისფერი კვალის» შავბნელი ამბავი, თანაც დაუძლეველი სურვილი დამეუფლა, მენახა ჩემი მეგობარი და გამეგო, იმჟამად რა თავსატეხი ამოცანის გადაწყვეტაზე მუშაობდა. მისი გაჩახჩახებული სამუშაო ოთახიდან სინათლის შუქი უხვად იღვრებოდა და მე ორჯერ მოვკარი თვალი ფანჯარაში ჩემი მეგობრის მაღალ. გამხდარ სილუეტს. მხრებში თავჩარგულ ჰოლმსს ხელები უკან შემოეწყო და გამალებული ბოლთასა სცემდა. მე, რომელმაც კარგად ვიცოდი მისი ჩვევები და ხასიათის თავისებურებანი, მაშინვე მივხვდი, რომ იგი, იმ წამს, რაღაც დახლართული საქმის კვანძის გამოხსნაზე ფიქრობდა. ახალმა ამოცანამ, ეტყობა, აიძულა გამაბრუებელი საშუალებებისათვის თავი მიენებებინა და ბუნებით ფხიზელი გონება ვინმეს სასიკეთოდ აემუშავებინა. ზარი დავრეკე და შემიშვეს იმ ოთახში, რომელიც ოდესღაც, ნაწილობრივ, ჩემიც გახლდათ.

ჰოლმსი ხმამაღალი შეძახილებითა და სიხარულის ცრემლთა ფრქვევით არ შემომგებებია. ამდაგვარ რამეს იგი ძალიან იშვიათად სჩადიოდა, მაგრამ მე აშკარად შევნიშნე, რომ ჩემმა დანახვამ გაახარა. კეთილი მზერით უსიტყვოდ მანიშნა, სავარძელში მოიკალათეო, სიგარების ყუთი ჩემს სიახლოვეს მოაჩოჩა და ღვინო შემომთავაზა. მერე ცეცხლის წინ დადგა და თავისი მახვილი მხერა მომაპყრო.

- ცოლის შერთვა მოგხდენიათ, უოტსონ. - მითხრა ჰოლმსმა, - მგონი, ქორწინების მერე, ერთი შვიდ-ნახევარი გირვანქა მაინც მტგიმატებიათ წონაში.

- შვიდი გირვანქა და არც ერთი მისხალი მეტი, - ვუპასუხე მე.

- მართლა? მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ შვიდ გირვანქაზე მეტი უნდა გქონდეთ მომატებული, უოტსონ. როგორც ვხედავ, პრაქტიკისათვისაც კვლავ მოგიკიდნიათ ხელი. თქვენ ჩემთვის არ გითქვამთ, რომ ასეთ დაძაბულ შრომაში აპირებდით ჩაბმას.

- საიდან გაქვთ ასეთი ინფორმაცია?

- მე რასაც ვხედავ, დასკვნები იქიდან გამომაქვს. აბა, საიდან უნდა ვიცოდე, რომ თქვენ ამას წინათ კარგა მაგრად დასველდით, რომ ძალიან უდარდელი და ჭრიჭინობელასავით უზრუნველი მსახური გოგო გყავთ?

- ეს კი მეტისმეტია, ძვირფასო ჰოლმს. თქვენ რომ ამ რამდენიმე საუკუნის წინათ გეცხოვრათ, ალბათ ჯადოქრობისათვის, ერეტიკოსივით დაგწვავდნენ კოცონზე. მართლაც, წარსულ ხუთშაბათს ქალაქგარეთ ვიყავი და მაგრადაც დავსველდი, მაგრამ ტანსაცმელი მთლიანად გამოვიცვალე და საიდან რა შემატყვეთ, ვერაფერი გამიგია. რაც შეეხება მერი ჯეინს, იგი მართლაც ზარმაცი და უქნარაა. ცოლმა გააფრთხილა კიდეც, გაგაგდებო. უნდა გითხრათ, რომ თქვენმა მიხვედრილობამ მაინც ძალიან გამაოცა.

ჰოლმსმა ჩაიცინა და თავისი გრძელი, ნერვულად მოცახცახე ხელები ერთმანეთს მაგრად გადააჭდო.

- აბა, რა მიხვედრა უნდა, ძვირფასო უოტსონ, თუ ჩემი საკუთარი თვალითა ვხედავ, რომ თქვენი მარცხენა ფეხსაცმელი, სწორედ იქ, სადაც სინათლის სხივი ეცემა, შიგნითა მხარეს ექვს ალაგასაა პარალელურად გაკაწრული. ცხადია, ეს განაკაწრები იმ ადამიანის დაუდევრობის ბრალია, ვინც ფეხსაცმელს ზედმიმხმარი ტალახი მოაცილა. აქედან მე ორმაგი დასკვნა გამოვიტანე. პირველი, რომ თქვენ წვიმიან ამინდში იყავით ქალაქგარეთ და მეორე, - ზარმაცი და უქნარა მსახური გყავთ. რაც შეეხება თქვენს სამედიცინო პრაქტიკას, როდესაც ჩემს ოთახში იოდიფორმის სურნელით გაჟღენთილი მამაკაცი შემოვა, რომელსაც მარჯვენა საჩვენებელ თითზე ტუტის შავი ლაქა ეტყობა, და სტეტესკოპისაგან ოდნავ გამობერილი ცილნდრი ახურავს, შტერი უნდა ვიყო, რომ ვერ მივხვდე, ჩემ წინ ექიმია-მეთქი.

თავი ვერ შევიკავე და გულიანად გამეცინა, ამ უბრალო ახსნა-განმარტებასა და დასკვნებზე.

- რლდესაც თქვენს დასკვნებს გადმომცემთ, ყოველივე ისე უბრალოდ მეჩვენება, რომ ვფიქრობ, ამას მეც მივხვდები-მეთბი. მაგრამ ყოველი ახალი შემთხვევის დროს, წინასწარ ვერაფერს ვხვდები და თქვენი დასკვნები, თითქოს თავზარს მცემს, თუმცა ამიხსნით თუ არა, როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე, ყველაფერი კვლავ ძალზე იოლად მეჩვენება. პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ თვალი და მხედველობა თქვენზე ნაკლები როდი მაქვს.

- სრულიად მართალი ბრძანდებით, - მიპასუხა ჰოლმსმა, სიგარეტი მოქაჩა და სავარძლიდან წამოიწია. - თქვენ ყოველივეს ხედავთ, მაგრამ არ აკვირდებით. მხოლოდ ეს განგვასხვავებს ერთმანეთისაგან. მაგალითად, თქვენ ალბათ ხშირად გინახავთ კიბე, რომელიც ამ ოთახს ამოუყვება?

- დიახ.

- მაინც რამდენჯერ.

- ალბათ, ათასჯერ და მეტჯერაც.

- აბა, მითხარით, რამდენი საფეხური აქვს ამ კიბეს?

- ვერ გეტყვით.

- ვერ მეტყვით, იმიტომ რომ არ დაკვირვებიხართ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გინახავთ ეს კიბე. სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული. მე კი გეტყვით, რომ ჩვიდმეტი საფეხურია, რადგან არა მარტო მინახავს, არამედ დავკვირვებივარ კიდეც. თუმცა, თქვენც გაინტერესებთ ხოლმე ისეთი პატარ-პატარა პრობლემები, რომელთა აღწერითაც თავი შეიწუხეთ და გამოაქვეყნეთ კიდეც. ამიტომ თქვენთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ეს წერილი. - თქვა ესა და ჰოლმსმა მაგიდაზე დაგდებული, ვარდისფერი, სქელი ბარათი აიღო და გადმომიგდო, - ახლახან მივიღე, - მითხრა და მთხოვა, წერილი ხმამაღლა წამეკითხა.

წერილი უთარიღო, უადრესატო და ხელმოუწერელი იყო. «დღეს საღამოთი რვა საათსა და თხუთმეტ წუთზე, - იუწყებოდა ბარათი, - თქვენთან ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე საკონსულტაციოდ მოვა ერთი ჯენტლმენი. ის დახმარება და სამსახური, რაც თქვენ ამ ცოტა ხნის წინათ გაუწიეთ ევროპის ერთ-ერთ მეფური წარმოშობის ოჯახს, სრულ საფუძველს იძლევა, რომ მოგანდოთ ფრიად საიდუმლო და საყურადღებო საქმე. სადაც კი არ გავიკითხ- გამოვიკითხე, ყველამ დადებითად დაგახასიათათ. დანიშნული დროისათვის შინ დამხვდით და ცუდს ნურაფერს გაიფიქრექთ, თუ თქვენი სტუმარი ნიღაბაფარებული გამოგეცხადებათ».

- ეს მართლაც საიდუმლოებით მოცული ამბავი უნდა იყოს, - ვთქვი მე, - თქვენ რას ფიქრობთ, ჰოლმს?

- ჯერჯერობით დასკვნებისათვის არავითარი მონაცემები არ გამაჩნია. პრაქტიკას მოწყვეტილი თეორია მუდამ განწირული და შემცდარია. ასეთ დროს ადამიანი ისეთ ფაქტებს დაეძებს, რომლებიც მის თეორიას განამტკიცებს, იმის ნაცვლად, რომ ფაქტებზე ააგოს თავისი ნააზრევი. თუმცა, წერილი თავისთავად ფაქტია. რა დასკვნები შეგიძლიათ გააკეთოთ ამ ბარათიდან?

- მე ძალიან გულდასმით დავათვალიერე ქაღალდიცა და თვითონ ბარათიც. წერილის დამწერი მდიდარი კაცი უნდა იყოს, - წამოვიწყე მე, გამახსენდა რა ჩემი მეგობრის დედუქციური მეთოდი, - ასეთი მკვრივი და მტკიცე ქაღალდის ფურცელი ნახევარი კრონი მაინცა ღირს...

- განსაკუთრებული და თავისებურია, - შემაწყვეტინა ჰოლმსმა, - ეს ინგლისური ქაღალდი არაა. აი, მიიტანეთ და სინათლესთან გასინჯეთ.

ბარათი სინათლესთან მივიტანე თუ არა, მთავრული ასოები «ე» და პატარა «ჯ» შევნიშნე, კარგად რომ დავაკვირდი, კიდევ აღმოვაჩინე «პ», მთავრული «ჯ» და პატარა «ტ».

- რა დასკვნა შეგიძლიათ გამოიტანოთ? - მკითხა ჰოლმსმა.

- ალბათ ქაღალდის გამკეთებელი ფაბრიკის მეპატრონის გვარი ან მისი მონოგრამა იქნება, - ვუპასუხე მე.

- თქვენ შეცდით, უოტსონ! დიდი «ჯ» პატარა «ტ»-სთნა გერმანული სიტყვა - პუთუდდთსრფაე-ია და კომპანიას ნიშნავს. ეს იგივეა, როგორც ჩვენი ქაღალდის აღმნიშვნელი სწყ ზყახლა უნდა ამოვხსნათ: «ე» და «ჯ». აბა, ჩვენს საკონტინენტთაშორისო ცნობარს გადავხედოთ. - ეს თქვა და ჰოლმსმა თაროდან ყავისფერ ლედერინგადაკრული მძიმე ტომი ჩამოიღო. «უპუკშფ» - ბოჰემიაში ეს ის ადგილია, სადაც გერმანულად ლაპარაკობენ, კარლსბადთან ახლოს. ვალენშტაინის სიკვდილის ადგილი განთქმულია მინისა და ქაღალდის ფაბრიკა-ქარხნებით. აბა, ჩემო ბიჭუნი, რა დასკვნები შეგიძოიათ გამოიტანოთ ყოველივე ამოკითხულიდან. - ჰოლმსს თვალები უბრწყინავდა და სიგარეტის ბოლი გამარჯვებული, მოხეიმე კაცის იერით გამოუშვა.

- ბოჰემიური ქაღალდია, - ვთქვი მე.

- რა თქმა უნდა. ბარათის დამწერი კი გერმანელი უნდა იყოს. აბა, ყურადღება მიაქციეთ ფრაზას «სადაც კი არ გავიკითხ-გამოკითხე, ყველამ დადებითად დაგახასიათათ». მხოლოდ გერმანელს შეეძლო ასეთი ფრაზის დაწერა. ფრანგი და რუსი მშობლიურ ენასა და ზმნას ასე აგდებულად არ მოეპყრობოდა. ახლა გამოსარკვევი ისაა, რა უნდა სურდეს ჩვენგან იმ გერმანელს, რომელიც ბოჰემიურ ქაღალდზე წერს და ნიღაბაფარებული დადის. მგონი, ერთხელ ქუჩაში თვალი რომ მოვკარი, ის უნდა იყოს და ალბათ ყველაფერს დაწვრილებით გავიგებთ.

ქუჩიდან ცხენის ფლოქვების თქარათქური და ეტლის ზამბარათა ჭრიალი შემოგვესმა. მალე ვიღაცის ძლიერმა ხელმა ზარი გაბმულად დარეკა. ჰოლმსმა გაოცებით დაუსტვინა.

- თუ ფლოქვების თქარუნის მიხედვით განვსჯით, - წამოიწყო ჰოლმსმა, - წყვილცხენიანი ეტლი უნდა იყოს. - დიახ, - დაადასტურა მან თავისი ვარაუდი, როცა სარკმლიდან გაიხედა.

- მშვენიერ ეტლში ისეთი წყვილი ბედაურია შებმული, თითო ას ორმოცდაათი გინეა ეღირება. არარაობაა და მეტი არაფერი. ამბავს ძალიან საინტერესო პირი უჩანს და დასანანი იქნება, რომ უთქვენოდ ჩაიაროს...

- თქვენი კლიენტი...

- არა უშავს რა. იქნებ, მასაც და მეც დაგვჭირდეს თქვენი დახმარება.

- აი, მოდის კიდევ. სავარძელში მოიკალათეთ და ყური ისე მახვილად გეჭიროთ, რომ არაფერი გამოგეპაროთ.

ნელი, მძიმე ნაბიჯები სწორედ კარს წინ შეწყდა და მერე ხმამაღალი კაკუნის ხმა გაისმა.

- შემობრძანდით,- გასძახა ჰოლმსმა.

ოთახში ექვსი ფუტისა და ექვსი დუიმის სიმაღლის, ჰერკულესივით აღნაგობის მამაკაცი შემოვიდა. ტანზე ძალიან მდიდრულად ემოსა. თუმცა ინგლისში ეს ცუდი გემოვნების მაჩვენებელია. პალტოზე, სახელოებსა და საყელოზე ძვირფასი კრაველი ჰქონდა მოვლებული. მხრებზე წამოგდებულ, ლურჯი ფერის წამოსასხამს საყელოსთან ცეცხლისფერი აბრეშუმი უმშვენებდა და ბერილის ძვირფასი ქვით იყო შებნეული, მოკლეყელიანი, ძვირფასი ბეწვმოვლებული ჩექმები კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი გახლდათ, იმისა, რომ მთლიანად მის მორთულობასა და გარეგნულ ბრწყინვალებას ბარბაროსული იერი ახლდა. ხელთ ფართოკიდეებიანი ქუდი ეჭირა და თვალებზე შავი ნიღაბი ეფარა. ეტყობოდა, ნიღაბი ოთახში შემოსვლის წინ გაეკეთებინა, რადგან ხელის დაშვება ჯერ კიდევ ვერ მოესწრო. თუ სახის დაუფარავი ნაკვთების მიხედვით განვსჯიდით, სტუმარი ძლიერი ხასიათის ადამიანი უნდა ყოფილიყო. სქელი, წინ წამობურცული ტუჩები და გრძელი, სწორი ნიკაპი პატრონის მტკიცე, ურყევ და ჯიუტ ხასიათზე მეტყველებდა.

- მიიღეთ ჩემი ბარათი? - იკითხა მან დაბალი, უხეში ხმითა და მკაფიო გერმანული აქცენტით. - მე გაცნობეთ, რომ მოვიდოდი. - იგი ხან მე შემომცქეროდა, ხან ჰოლმსს, რადგან არ იცოდა, ვისთვის მიემართა.

- დაბრძანდით, გეთაყვა, - შესთავაზა სავარძელი ჰოლმსმა. - ეს ჩემი მეგობარი და კოლეგა დოქტორი უოტსონია. იგი ისეთი კეთილი ადამიანი გახლავთ, რომ ხშირად მეხმარება ხოლმე ძიებაში. თქვენ ვინ ბრძანდებით?

- თქვენ შეგიძლიათ მიწოდოთ გრაფი ფონ კრამი. ვიმედოვნებ, თქვენი მეგობარი პატივსაცემი და ნდობით აღჭურვილი პიროვნებაა, რომელსაც შეიძლება გავანდო ფრიად საყურადღებო ამბავი. წინააღმდეგ შემთხვევაში მირჩევნია მარტოს მოგელაპარაკოთ.

მე წასასვლელად წამოვიწიე, მაგრამ ჰოლმსმა ხელით კვლავ სავარძელში ჩამსვა:

- ან ორივეს გვითხარით სათქმელი, ანდა სრულიად ნურაფერს გვეტყვით. ამ ჯენტლმენის თანდასწრებით ისევე თავისუფლად შეგიძლიათ ილაპარაკოთ, როგორც მარტოდ მყოფთან.

გრაფმა განიერი მხრები აიჩეჩა.

- მაშინ ისღა დამრჩენია, გაგაფრთხილოთ, რომ ამბავი, რომელსაც ახლა გაგანდობთ, ორი წელი მაინც უნდა შეინახოთ საიდუმლოდ. ამ ხნის მერე მის გამჟღავნებას აღარავითარი აზრი აღარ ექნება. ახლა კი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა გითხრათ, რომ ამ ამბის გახსმიანებამ შეიძლება ევროპის ისტორიაზე თავისი გავლენა მოახდინოს.

- გაძლევთ პატიოსან სიტყვას, - წარმოთქვა ჰოლმსმა.

- მეც ასევე, - დავძინე მე.

- მაპატიეთ, რომ ნიღაბაფარებული გელაპარაკებით, - გვითხრა ჩვენმა უცნობმა სტუმარმა. - მისმა უდიდებულესობამ, ვისი სახელითაც მე ვმოქმედებ, მოისურვა, რომ მისი რწმუნებული უცნობი დარჩეს თქვენთვისაც. ამიტომ გულახდილად მინდა გითხრათ, რომ ის ტიტული, რომლითაც თავი წარმოგიდგინეთ, პირობითია.

- ეს ჩემთვის უკვე ცნობილია, - მშვიდად მიუგო ჰოლმსმა.

- მდგომარეობა ძალზე რთულია და ყოველმხრივ სიფრთხილე გვმართებს, რომ ამ ამბის გარშემო აურზაური არ ატყდეს და ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის სამეფო დინასტიას სახელი არ გაუტყდეს. ერთი სიტყვით, საქმე ეხება ბოჰემიის სამეფო ორმსტეინთა გვარეულობას.

- მეც სწორედ აგრე ვფიქრობდი, - წამოიძახა ჰოლმსმა, სავარძელში უფრო ღრმად ჩაჯდა და თვალები მილულა.

ჩვენმა სტუმარმა გაოცებული მზერა მიაპყრო სავარძელში გადაწოლილ, თვალებმილულულ ჰოლმსს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჰოლმსი მას მთელ ევროპაში ყველაზე დაკვირვებულ, ალღოიან და გამჭრიახ გამომძიებლად მიაჩნდა. ამასობაში ჰოლმსმა თვალები ნელა გაახილა და გლიათური აღნაგობის სტუმარს მოუთმენლად დააცქერდა.

- თუ თქვენი უდიდებულესობა იმდენ პატივს დამდებს, რომ თავის საიდუმლოს გამანდობს, რჩევას უფრო ადვილად მივცემ, - წარმოთქვა ჰოლმსმა.

ჩვენი სტუმარი ადგილიდან წამოიჭრა და აღელვებული, ბოლთის ცემას მოჰყვა. მერე ხელი ჩაიქნია, მოსახდენი უნდა მოხდესო, თქვა, თვალებზე აფარებული ნიღაბი ჩამოიგლიჯა და იატაკზე დააგდო.

- თქვენ მართალი ხართ, - ხმამაღლა წარმოთქვა მან, - მე მეფე ვარ და რა მაქვს საკუკუმალო?

- ჭეშმარიტად მართალს ბრძანებთ, - წარმოთქვა ჰოლმსმა, - თქვენს უდიდებულესობას ლაპარაკი არც კი ჰქონდა დაწყებული. რომ მე უკვე ვიცოდი, ჩემ წინაშე იდგა კასელ ფელშტაინის უდიდესი ჰერცოგი და ბოჰემიის მემკვიდრე, მეფე ვილჰელმ გოტსრეის სიგიზმუნდ ფონ ორმსტეინი.

- მაგრამ თქვენ გამიგებთ, - წამოიწყო ჩვენმა უცნაურმა სტუმარმა. იგი კვლავ სავარძელში ჩაჯდა და მაღალ, თეთრ შუბლზე ხელი გადაისვა, - დიახ, გამიგებთ, რომ ასეთი საქმეების მოწესრიგება პირადად არ მჩვევია. თანაც მეჩოთირა, ეს საქმე სხვებისათვის მიმენდო და გადავწყვიტე, თვითონ მომეკიდა ხელი, რომ სხვების კლანჭებში არ ჩავვარდნილიყავი. პრაღიდან ინკოგნიტოდ ჩამოვედი, რათა თქვენთვის პირადად მომემართა.

- მზადა ვარ მოგისმინოთ, - წარმოთქვა ჰოლმსმა და თვალები კვლავ მილულა.

- ფაქტები მოკლედ ამდაგვარია: ამ ხუთიოდე წლის წინათ, კარგა ხანს ვიმყოფებოდი ვარშავაში, სადაც გავეცანი ცნობილ ავანტიურისტ ქალს აირენ ადლერს. ეს სახელი ალბათ თქვენთვის კარგად ცნობილია.

- კეთილი ინებეთ, უოტსონ და ჩემს ცნობარში მონახეთ, - ისე წაიდუდუნა ჰოლმსმა, რომ თვალები არ გაუხელია. ჩემმა მეგობარმა ადამიანებზე, მათს საქმიანობასა და თავსგადახდენილ ამბებზე რამდენიმე წლის წინათ დაიწყო საძიებლის შედგენა. ისე რომ, მისთვის საჭირო გვარის, სახელისა და საგნის მოძებნა ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა.

აირენ ადლერის ბიოგრაფიას ებრაელთა რაბინისა და ვიღაც შტაბის უფროსის (რომელსაც ზღვის სიღრმეში მობინადრე თევზთა შესახებ დაეწერა გამოკვლევა) ბიოგრაფიებს შუა წავაწყდი.

- აბა, მიჩვენეთ, - მითხრა ჰოლმსმა. - ჰმ! დაბადებულა ნიუჯერსში 1858 წელს. კონტრალტო - ჰმ! ლა სკალა, ჰმ! ვარშავის საიმპერიო ოპერის პრიმადონა, ეს მესმის! მიატოვა სცენა - ჰა? ამჟამად ცხოვრობს ლონდონში. სწორედ ასეა! თქვენო უმაღლესობავ, როგორც ეტყობა, ამ ქალის ბადეში ხართ მოხვედრილი. ალბათ ბარათები მისწერეთ, რომელთაც შეუძლიათ სახელი გაგიტეხონ და გინდათ მამხილებელი საბუთები უკანვე დაიბრუნოთ.

- ნამდვილად აგრეა, მაგრამ როგორ დავიბრუნო, საქმეც ეს არის.

- აირენ ადლერზე საიდუმლოდ ხომ არ დაგიწერიათ ჯვარი!

- არა.

- ამის თაობაზე ხომ არ გააჩნია მას რაიმე საბუთი?

- არა.

- მაშ, რა გაწუხებთ, თქვენო უმაღლესობავ! თუ ახალგაზრდა ქალი გამოძალვის მიზნით შეეცდება თქვენი ბარათების გამოყენებას, რით დაგიმტკიცებთ, რომ ნამდვილად თქვენ მისწერეთ?

- მაგრამ ჩემი ხელწერა?

- მიმსგავსებული ნაყალბევიაო, ვიტყვით.

- ჩემი პირადი საფოსტო ქაღალდი?

- მოპარულიაო, განვაცხადებთ.

- პირადი ბეჭდი?

- ყალბისმქმნელთაგან დამზადებულიაო, ვიტყვით.

- ფოტოსურათი?

- შესყიდულიაო, განვაცხადებთ.

- მაგრამ ფოტოსურათზე რომ ორივენი ვართ გამოსახული?

- აი, ეს კი ძალიან ცუდი ამბავია! თქვენო უმაღლესობავ, ნამდვილად დაუდევარი საქციელი ჩაგიდენიათ.

- ისე მიყვარდა, რომ ხელად მაქცია.

- ეს ნამდვილად სახელს გაგიტეხთ.

- მაშინ ახალგაზრდა უფლისწული ვიყავი, მხოლოდ ახლახან შემისრულდა ოცდაათი წელი.

- ფოტოსურათი უნდა დავიბრუნოთ.

- ბევრჯერ ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ.

- მაშინ უნდა გამოისყიდოთ.

- რომ არ ელევა?

- მაშინ მოვიპაროთ.

- ხუთჯერ ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. ორჯერ დავიქირავე მძარცველები. მთელი სახლი გადააქოთეს, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ, მოგზაურობის დროს, ბარგიც გავუჩხრიკეთ, მაგრამ მიზანს ვერ ვეწიეთ. ორჯერ შევიტყუეთ, მაგრამ საწადელი მაინც ვერ შევისრულეთ.

- ვერაფერს გახდით?

- ვერა.

- სრულებით ვერაფერს?

ჰოლმსმა ჩაიცინა.

- ეს საქმე ძალიან პატარა სასიამოვნო სამუშაო იქნება.

- მაგრამ ჩემთვის იგი ძალიან სერიოზული ამბავია, - შეესიტყვა მეფე.

- ჭეშმარიტად აგრეა. მაგრამ რას უპირებს თქვენს ფოტოსურათს?

- ალბათ, ჩემს დაქცევას ლამობს.

- მაგრამ როგორ მოახარეხებს?

- მე ხომ ჯვარის დასაწერად ვემზადები.

- მაგ ამბავს ყური მეც მოვკარი.

- ჯვარს ვიწერ სკანდინავიის მეფის მეორე ქალიშვილზე, კლოტილდა ლოთმენ ფონ საქს-მენინგენზე. იქნებ თქვენც გაგიგონიათ, თუ როგორი მკაცრი პრინციპებია დანერგილი მათ ოჯახში. თვითონ კლოტილდა ციდან მოვლენილი ანგელოზივით უცოდველია. ოდნავ ეჭვიც რომ აიღონ ჩემს წარსულ ცხოვრებაზე, საქმე გათავებულია.

- და აირენ ადლერმა რაო?

- იქადნება, ფოტოსურათს კლოტილდას მშობლებს გავუგზავნიო. და მე ვიცი, რომ ნამდვილად გაუგზავნის! თქვენ მას არ იცნობთ, იგი ფოლადისაგანაა გამოკვეთილი. მის ლამაზ და ნაზ, ამომავალ ცისკარივით ნათელ გარეგნობაში ვაჟკაცური სიმტკიცე და მრისხანე სული იმალება. იგი არაფერს დაერიდება, ოღონდ მე სხვაზე არ ვიქორწინო.

- თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ აირენ ადლერს ჯერ კიდევ არ გაუგზავნია თქვენი საცოლისათვის ფოტოსურათი?

- დიახ.

- რატომ?

- მან განაცხადა, რომ ფოტოსურათს სწორედ მაშინ გააგზავნის, როცა ჩემი ნიშნობა ოფიციალურად გამოცხადდება. ეს კი მომავალ ორშაბათს უნდა მოხდეს.

- აბა, ჩვენ ჯერ კიდევ დაგვრჩენია სამი დღე, - მთქნარებით წარმოთქვა ჰოლმსმა. - დიახ, საბედნიეროდ-მეთქი, ვამბობ, რადგან ამ ხნის განმავლობაში ერთი-ორი, ძალიან ყურადსაღები საქმის მოგვარებასაც მოვასწრებ. თქვენო უმაღლესობავ, ჯერჯერობით ალბათ ლონდონში დარჩებით, არა?

- რაღა თქმა უნდა. თქვენ შეგიძლიათ მომნახოთ სასტუმრო «ლენგჰემში», სადაც გრაფი ფონ კრამის სახელითა ვარ დაბინავებული.

- დიახ, მე ბარათებს გამოგიგზავნით ხოლმე და საქმის წარმატების თაობაზე ყოველივეს შეგატყობინებთ.

- ძალიანა გთხოვთ. ისე ვღელავ, როგორც პატარა ბიჭი.

- ფულის საკითხი როგორ მოვაგვაროთ?

- თქვენ გექნებათ სფკეუ იდფტსრუ. 1

- აბსოლუტური?

- მინდა გითხრათ, ჩემი სამეფოს რომელ პროვინციასაც გინდათ გავიღებ ჯილდოდ, ოღონდაც ის ფოტოსურათი მომაგდებინა ხელში.

- მიმდინარე ხარჯებისათვის?

მეფემ ტყავის მძიმე ქისა ამოიღო და მაგიდაზე დააგდო. - აქ სამასი პაუნდია ოქროთი და შვიდასი - ბანკნოტებით, - თქვა მან.

ჰოლმსმა ფულის მიღებაზე პატარა ხელწერილი დაწერა და მეფეს გადასცა.

- მადმუაზელის მისამართი როგორია? - იკითხა ჩემმა მეგობარმა.

- ბრაიონი-ლოჯი, სერპენტაინავენიუ. სენტ-ჯონზ-უედი.

ჰოლმსმა მისამართი ჩაიწერა. - კიდევ ერთი შეკითხვა მექნება, - თქვა მან, - ფოტოსურათი რა ზომისაა?

- 9 12, - უპასუხა მეფემ.

- ახლა კი დაგემშვიდობებით, თქვენო უმაღლესობავ, გისურვებთ მშვიდობის ღამეს და მალე კარგი ამბების შეტყობას. ღამე მშვიდობისა. უოტსონ, - მომმართა მე, როცა მეფის ეკიპაჟი დაიძრა. - თუ ხვალ სამი საათისათვის შემომივლით, ამ საქმეზე წავიმუსაიფებთ.

||

სრულ სამ საათზე ბეიკერსტრიტზე გავჩნდი, მაგრამ ჰოლმსი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. მწე ქალმა მითხრა, დილიდანვე სადღაც წავიდაო. ბუხართან იმ განზრახვით მოვკალათდი, რომ ჰოლმსისათვის თუნდაც მეორე დილამდე მელოდა. ამ საქმემ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ აღწერილ ამბებთან შედარებით მეტად უფერულად გამოიყურებოდა, მაინც ძალიან დამაინტერესა. თვითონ საქმის არსი და კლიენტის განსაკუთრებული მდგომარეობა ამ საქმეს ჩემს თვალში ბუნებრივ მომხიბვლელობასა და მიმზიდველობას ანიჭებდა. რომ არაფერი ვთქვათ თვითონ ამ საქმის გამოძიების ინტერესზე (რაც მე უთუოდ მქონდა), ჰოლმსი ყოველთვის მტკიცე მარჯვენით წარმართავდა ძიებას და ისეთ ოსტატობას, სიმარჯვეს, ხელოვნებასა და ალღოს იჩენდა ხოლმე, ისე ერკვეოდა დახლართულ, აწეწილ-დაწეწილ სიტუაციებში, რომ მე დიდ სიამოვნებას მგვრიდა და მატკბობდა მისი მუშაობის ცქერა. მისი დედუქციური მეთოდის, ვარაუდებისა და რკინისებური ლოგიკის წინაშე ხომ ყველა საიდუმლოებით სოცული ცხრაკლიტულის კარი იმსხვრეოდა. ჰოლმსის წარმატებებს ძიებაში ისე ვიყავი შეჩვეული, რომ არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, თუ იგი ოდესმე წაიფორხილებდა.

ოთხი საათი იქნებოდა, როცა კარი გაიღო და ოთახში შეზარხოშებული გაჩეჩილთმიანი, სახეზე ალმოდებული, ქილვაშებიანი და უხეიროდ ჩაცმული მეჯინიბე შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ შეჩვეული ვიყავი ჩემი მეგობრის მიერ სახეთა ცვლას, სამჯერ მაინც მაგრად ჩავაშტერდი, რომ ამომეცნო და მეთქვა, ნამდვილად ჰოლმსია-მეთქი. თავი ოდნავ დამიკრა თუ არა, თავის საწოლში გაუჩინარდა და იქიდან ხუთი წუთის შემდეგ ჩვეულებრივად მორთულ-მოკაზმული გამოვიდა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ფეხები ბუხრისკენ მთელ სიგრძეზე გასჭიმა და რამდენიმე წამს გულიანად ხარხარებდა.

- ძალიან კარგი, - წამოიყვირა მან, მერე ხველება აუვარდა, რომელსაც ისევ გულიანი სიცილი მოჰყვა და ბოლოს ქანცმილეული და დაოსებული ჰოლმსი სავარძელში გადაესვენა.

- რა მოხდა? - ვიკითხე მე.

- ნამდვილად სასაცილო ამბავია. თუ თვიონ არ გითხარით, ალბათ ვერასოდეს ვერ მიხვდებით, როგორ გავატარე დღევანდელი დილა და რა მოვიმოქმედე.

- ვერ წარმომიდგენია, მაგრამ, ალბათ აირენ ადლერის სახლს ზვერავდით, არა?

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ შედეგი რაღაც არაჩვეულებრივი გამოდგა. თუმცა თავიდან მოგიყვებით. ამ დილით, ცხრა საათი იქნებოდა, სახლიდან რომ უმუშევარი მეჯინიბის სამოსით გავედი. თქვენ ალბათ იცით, რომ ცხენების მოყვარულნი ერთმანეთსაც ერთგვარი სიმპათიით ეპყრობიან. აი, თუ როდისმე მეჯინიბე გახდებით, ყოველივეს გაიგებთ. ბრაიონი-ლოჯი მალე ვიპოვე. იგი ძალიან პატარა, ორსართულიანი ვილაა, რომელსაც უკან პატარა ბაღი აკრავს. თვითონ სახლი ქუჩის პირასა დგას. კარზე კარგა მოზრდილი ბოქლომი ადევს. მარჯვენა მხარეს კარგად მორთული ვეებერთელა სასტუმროა, რომელსაც დიდი, იატაკიდანვე ამოჭრილი ფანჯრები აქვს. ფანჯრების საკეტად მშენებლებს ინგლისური, უბრალო კონსტრუქციის ურდულები გაუკეთებიათ. მათ გაღებას ბავშვიც კი შეიძლებს. შიგნიდან საინტერესო არაფერი შემინიშნავს, გარდა იმისა, რომ დერეფანში გამომავალ ფანჯრებს ეტლის ფარდულის სახურავიდან შეიძლება მიუდგე. ეტლის დასაყენებელი ფარდული კარგად დავზვერე, ყოველმხრივ შემოვუარე, მაგრამ საინტერესო ვერაფერი აღმოვაჩინე. მერე ისევ ქუჩას დავუყევი და სადაც მოველოდი, სწორედ იქ, ბაღის გვერდზე მიშენებული საჯინიბო შევნიშნე. მეჯინიბეებს ცხენების წმენდაში წავეხმარე, რისთვისაც გასამრჯელოდ ორი პენსი, ჭიქა არაბი და თამბაქო მივიღე. აირენ ადლერსა და მის მეზობლებზე კი რამდენიც მინდოდა, იმდენი ცნობები შევკრიბე. მართალია, აირენ ადლერის მეზობლების ბიოგრაფიები არაფრად მეპიტნავებოდა, მაგრამ მეტი ჩარა არ იყო, ისინიც მოვისმინე.

- მერედა რა შეიტყვეთ აირენ ადლერზე? - ვიკითხე მე.

- ოჰ, ქალაქის ამ ნაწილში მცხოვრები მამაკაცები მთლად გადარეულნი არიან. ისეთი ლამაზია, რომ მთელ ცისქვეშეთში ბადალი არა ჰყავსო, ასე ამბობენ სერპანტაინელი მეჯინიბეები. წყნარ ცხოვრებას ეწევა. კონცერტებზე მღერის. ყოველდღიურად ხუთ საათზე სეირნობს და შვიდზე სადილისათვის უკანვე ბრუნდება. დღისით, სხვა საათებში სახლიდან იშვიათად გამოდის, გამონაკლისია, თუ მღერის სადმე. მამაკაცთაგან მასთან მხოლოდ ერთი ვინმე დაიარება, მაგრამ ძალიან ხშირად. იგი შავგვრემანია, ლამაზი და ამავე დროს გაბედულიც. დღეში ორჯერაც ხშირად უნახავთ აირენ ადლერთან მისული. იგი ინერ ტემპლელი მისტერ გოდფრი ნორტონი ყოფილა. ხედავთ, რა წარმატების მიღწევაა შესაძლებელი, თუ მეჯინიბეებს დაუახლოვდები. მათ მისტერ ნორტონი ერთი ოცჯერ მაინც მიუყვან-მოუყვანიათ და მასზე ყველაფერ წვრილმანს ყვებიან. მეჯინიბეთა ნალაპარაკევი რომ მოვისმინე, ბრაიონი-ლოჯის წინ დავიწყე სიარული და შემდგომი მოქმედების გეგმის შედგენას შევუდექი.

ამ საქმის წამომწყები იურისტი გოდფრი ნორტონი უნდა იყოს. ხოლო ის ამბავი, რომ იგი იურისტია, მეტად სახიფათოა და ჩვენს კლიენტს კარგს არაფერს უქადის. აბა, დავუფიქრდეთ, რა კავშირი უნდა ჰქონდეს მას აირენ ადლერთან და რას უნდა ნიშნავდეს მისი ხშირი მიმოსვლა. გასარკვევია: ნორტონი ქალის რწმუნებულია, მეგობარი, თუ სატრფო? თუ ნორტონი ადლერის რწმუნებულია, მაშინ ფოტოსურათი მასთან უნდა ვეძიოთ. ხოლო, თუ საყვარელია, მაშინ ფოტოსურათს ქალის მას არ გადასცემდა. ამ კითხვის გარკვევისთანავე გადაწყდება, სად უნდა განვაგრძო მუშაობა, ბრაიონი-ლოჯში, თუ იმ ჯენტლმენის სახლში, ტემპლში რომ მდებარეობს. ეს ძალიან თავსატეხი საკითხია და სამოქმედო სარბიელსაც მეტისმეტად აფართოებს. მეშინია, რომ ამდენი წვრილმანი ამბებით თავი შეგაწყინეთ, მაგრამ თუ ყოველივე ჩემი გასაჭირი არ გიამბეთ, უოტსონ, შექმნილ მდგომარეობაში ვერ გაერკვევით.

- მთელი გულისყურით გისმენთ, - ვუპასუხე მე.

- მე საქმის ყოველ წვრილმანს გონებაში ვწონიდი. ამ დროს ბრაიონი-ლოჯს შესანიშნავი ეკიპაჟი მოადგა. ეტლიდან მშვენიერი გარეგნობის შავგვრემანი ულვაშებაკოკრილი ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვიდა, რომელსაც არწივისებური ცხვირი უმშვენებდა სახეს. ჩემი აზრით, იგი ნორტონი უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა, ძალიან ჩქარობდა, რადგან ეტლიდან სწრაფად გადმოხტა, მეეტლეს მიაძახა, მომიცადეო და სადარბაზო კარში, რომელიც მოსამსახურე გოგომ გაუღო, ისე თამამად შეაბიჯა, როგორც საკუთარ ბინაში.

სახლში ალბათ ნახევარი საათი თუ დაჰყო. ჩემი სამალავიდან ვხედავდი, როგორ სცემდა ბოლთას, აღგზნებული ლაპარაკობდა, თუ ამტკიცებდა რაღაცას და საუბარში ხელებსაც იშველიებდა. ქალი არ დამინახავს. ქუჩაში გამოსვლისას შევნიშნე, რომ ის კაცი უფრო აღელვებული და აღგზნებული იყო. ეტლთან მისულმა, ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო და დახედა თუ არა, მეეტლეს უბრძანა: - ცხენები რაც შეგიძლია მარდად გააქროლე, ჯერ რიჯენტსტრიტზე გროსსა და ხენკესთან და მერე ედჯვარროუდისაკენ წმიდა მონიკას ეკლესიაში. თუ ოც წუთში მომიყვან, ნახევარ გინეაზე არ გალაპარაკებო.

ეტლი ადგილიდან მოსწყდა თუ არა, მაშინვე მოვისაზრე, რომ კარგი იქნებოდა, თუ უკან დავედევნებოდი. სწორედ იმ წუთას ჩემს წინ დაბარებულივით ულამაზესი ლანდო გაჩნდა. მეეტლეს სანახევროდაც ვერ მოესწრო პალტოს ღილების შებნევა, ჰალსტუხი ყურთან უფრიალებდა და კაზმულობა აბზინდების გარეთ დაეტოვებინა. სად იყო და სად არა, ეტლთან იმწუთასვე აირენი გაჩნდა და თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ უკვე ეტლში ჩაჯდა. მართალია, ქალის სახეს თვალი უცებ მოვკარი, მაგრამ გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ულამაზესი ქალია და კაცს მისთვის სიკვდილიც არ დაენანება.

- წმიდა მონიკას ეკლესიისკენ, ჯონ, - მიმართა მან მეეტლეს, - ნახევარ გინეას მოგცემთ, თუ ოც წუთში იქ გაჩნდებით.

ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება დანაშაულია, უოტსონ. და იმწამსვე იმაზე დავიწყე ფიქრი, უკან დავდევნებოდი, თუ პატარა ბიჭივით ეტლს უკან ჩამოვკონწიალებოდი. ფიქრი არ დამემთავრებინა, რომ ვიღაცამ ჩემ წინ ეტლი მოაგრიალა და გადმოვიდა. მეეტლემ ერთი-ორჯერ ეჭვის თვალით ამხედ-დამხედა, მაგრამ მე უარის თქმა არ ვაცალე და ელვის სისწრაფით ეტლში მოვკალათდი.

- წმიდა მონიკას ეკლესიისაკენ, - ვუთხარი მე, - და გაძლევთ ნახევარ გინეას, თუ ოც წუთში იქ გაჩნდებით. - თორმეტს ოცდახუთი წუთი აკლია და ძნელი მისახვედრი არ გახლავთ, თუ სად იყო ძაღლის თავი დამარხული. ეტლი ელვასავით მიჰქროდა. არა მგონია ოდესმე ასე ჩქარა მევლოს. მაგრამ როცა ადგილზე მივედი, ორივე ეტლი გაოფლიანებული ცხენებით ეკლესიის შესავალში იდგა. მეეტლეს ანგარიში გავუსწორე და ეკლესიაში შევედი. შიგნით, მღვდლისა და იმათ გარდა, ვისაც მივდევდი, ძე-ხორციელი არავინ ჩანდა. ისინი კი საკურთხეველთან იდგნენ და მღვდელი რატომღაც საყვედურით ელაპარაკებოდა. მე ეკლესიაში შემთხვევით შესული ადამიანივით დავიწყე კედლე-კედელ ხეტიალი. უცებ, ჩემდა გასაოცრად, სამივენი ჩემკენ შემობრუნდნენ და ნორტონი, იმწამსვე ჩემ წინ გაჩნდა.

- მადლობა ღმერთს. - წამოიყვირა მან, - სწორედ თქვენ გვჭირდებოდით. აბა, წამოდით, წამოდით!

- რა მოხდა, - ვიკითხე მე.

- მოდით. ძალიან გთხოვთ, მოწმედ დაგვესწარით, თორემ ჯვარს არა გვწერენ.

თითქმის ძალით მიმათრიეს საკურთხეველთან. იმაშიც ვერ გავრკვეულიყავი, რა ხდებოდა ან სად ვიყავი, რომ შევნიშნე, ჩემს უნებურად ვიმეორებდი იმას, რასაც

ყურში ჩამჩურჩულებდნენ. ასე დავესწარი ქალწულ აირენ ადლერისა და უცოლო გოდფრი ნორტონის ჯვარისწერას. ყოველივე ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. ერთის მხრივ, ჯენტლმენი მიხდიდა მადლობას, მეორე მხრივ, პირმშვენიერი ქალბატონი, ხოლო მესამის მხრივ, მადლობის ნიშნად მღვდელი მიღიმოდა. ასეთ სულელურ ყოფაში ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ და ახლა სწორედ ამის გამო ვიცინოდი. ალბათ მექორწინეთ რაღაც ფორმალური ამბები არა ჰქონდათ წინასწარ მოგვარებული, რაკი მღვდელმა მოწმის გარეშე ჯვარისწერაზე ცივი უარი განუცხადა მათ. ჩემმა იქ ყოფნამ კი დაიხსნა სასიძო ქუჩაში გამოსვლისა და იქ მოწმის ძებნისაგან. ქალმა ერთი სოვერინი მაჩუქა, რომელიც ამ ამბის სამახსოვროდ საათის ძეწკვზე უნდა შევიბა.

- საქმე სულ სხვაგვარად დატრიალებულა და მერე რა მოხდება, ღმერთმა უწყის, - ვთქვი მე.

- ჩემი ადრინდელი გეგმები, - განაგრძო ჰოლმსმა, - სულ ერთიანად დაიმსხვრა. ეტყობოდა, რომ ისინი იმწამსვე აპირებდნენ გამგზავრებას და მე სასწრაფოდ რაღაც უნდა მეღონა. მაგრამ გარეთ რომ გამოვიდნენ, ერთხელ კიდევ ამირიეს გზა-კვალი. კაცი ტემპლისაკენ გაემგზავრა, ხოლო ქალმა თავის სახლში წასვლა მოიწადინა. პარკში სასეირნოდ ჩვეულებრივ ხუთ საათზე გამოვალო, ქალისაგან წარმოთქმულ ამ სიტყვებს გარკვევით მოვკარი ყური. მეტი აღარაფერი გამიგონია. ისინი სხვადასხვა მხარეს გაემგზავრნენ, მე კი შინისკენ გამოვბრუნდი, რომ საღამოსათვის თადარიგი დამეჭირა.

- რა უნდა მოიმოქმედოთ?

- ცოტა ცივი ხორცი და ლუდი მომიტანეთ, - უთხრა ჰოლმსმა ზარის ხმაზე შემოსულ მსახურს. - იმდენად ჩავეფალი ამ საქმეში, რომ ჭამა სრულიად გადამავიწყდა და ამ საღამოს, ალბათ, უარესი რამ მომელის. ამავე დროს, უოტსონ, თქვენი დახმარება დამჭირდება.

- მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ თქვენს დახმარებას.

- კანონის დარღვევისა ხომ არ გეშინიათ?

- არა.

- ციხეში მოხვედრა ხომ არ გაძრწუნებთ?

- კარგი საქმისათვის ამაზეც ყაბულსა ვარ.

- დიდებული საქმეა!

- მეც თქვენთანა ვარ.

- მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასე იქნებოდა.

- მაგრამ რას ფიქრობთ?

- როგორც კი მისის ტერნერი საჭმელს მოიტანს, ჰოველივეს აგიხსნით. - ახლა, - დაიწყო ჰოლმსმა, როცა მისის ტერნერმა ხორცი და ლუდი შემოიტანა, - ჭამის დროს გეტყვით ყველაფერს, ვინაიდან მეტი დრო არა მაქვს. - მალე ხუთი საათი შესრულდება. ორ საათში ყველაფერი უნდა მოვასწროთ და ბრაიონი-ლოჯშიც მივიდეთ. მის აირენ ადლერი სეირნობიდან ამ დროისათვის დაბრუნდება და უნდა შევხვდეთ.

- მერე რა უნდა ვქნათ?

- ეს მე მომანდეთ. მე ყველაფერი მოვამზადე. რაც უნდა მოხდეს, მხოლოდ ერთი რამ გახსოვდეთ: თქვენ არ ჩაერიოთ.

- უბრალო მაყურებლის როლში უნდა გამოვიდე?

- დიახ. ალბათ რაიმე უსიამოვნება მოხდება. თქვენ არ უნდა ჩაერიოთ. ყოველივე იმით დამთავრდება, რომ მე სახლში შემიყვანენ. ოთხ-ხუთ წუთში ალბათ

სასტუმრო ოთახის ფანჯრებს გამოაღებენ და თქვენ იმ ღია ფანჯრის ქვეშ უნდა დადგეთ.

- ძალიან კარგი.

- უნდა მადევნოთ თვალი, რადგან ფანჯრიდან ოთახში ყველაფერი კარგად მოჩანს.

- ძალიან კარგი.

- როგორც კი ხელს, აი, ასე ავწევ, რასაც მე გადმოგცემთ, ოთახში შემოაგდებთ და დაიყვირებთ: ხანძარია! ხანძარი!

- ყოველივეს თქვენი დარიგების მიხედვით შევასრულებ.

- აქ საშიში არაფერია, - თქვა ეს და ჰოლმსმა ჯიბიდან სიგარის მოყვანილობის ასაბოლებელი რაკეტა ამოიღო, რომელსაც, ჩვეულებრივ, ორივე ბოლოში ასაფეთქებელი კაფსული აქვს. - თქვენი დავალება ამით ამოიწურება, როგორც კი დაიყვირებთ, ცეცხლიაო, იმწამსვე ჩემ მიერ დაქირავებული რამდენიმე კაციც აგყვებათ. მერე ქუჩის ბოლოსაკენ დაიძარით და რამდენიმე წუთში მეც თქვენთან გავჩნდები. მე მგონია, ყოველივე ნათელი და გასაგებია.

- მე არ უნდა ჩავერიო წაკინკლავებაში, საჭიროა მივიდე ფანჯარასთან, გითვალთვალოთ. ნიშანს მომცემთ თუ არა, რაკეტა ოთახში შემოვაგდო და ვიყვირო, ხანძარია, ხანძარი-მეთქი. მერე გავემართო ქუჩის ბოლოსაკენ და იქ დაგელოდოთ.

- დიახ, ყველაფერი კარგად დაგიმახსოვრებიათ.

- იქონიეთ ჩემი იმედი.

- ძალიან კარგია. ახლა კი დროა მოვემზადო იმ როლისათვის, რომლის გათამაშებაც საღამოს მომიწევს.

იგი საწოლ ოთახში შევიდა და ცოტა ხნის შემდეგ მღვდლის ანაფორაში გამოწყობილი დაბრუნდა. ფართოკიდეებიან ქუდს, ტმრისებურ შარვალს, თეთრ ჰალსტუხსა და სასიამოვნო ღიმილს, რომელიც სახეზე გადაჰფენოდა, ისე გამოეცვალა ჰოლმსი, რომ მღვდლის ასეთი სახის შექმნას ალბათ სახელმოხვეჭილი მსახიობი ჯონ ჰეარი თუ შეძლებდა. საქმე მარტო ის როდი იყო, რომ ჰოლმსმა ტანსაცმელი გამოიცვალა. მას გამომეტყველება, მანერები ნამდვილი მვდლისა ჰქონდა და იგი უდიდეს წარმატებას აღწევდა გარდასახვაში. მე მგონი, სცენამ მისი სახით უდიდესი მსახიობი დაკარგა, ხოლო მეცნიერებამ კი - შესანიშნავი მკვლევარი, როცა მან თავის პროფესიად დანაშაულის გახსნის და დამნაშავეთა პოვნის სახიფათო გზა აირჩია.

სახლიდან შვიდის თხუთმეტ წუთზე გამოვედით და როცა სერპენტაინს მივაღწიეთ, ათი წუთი კიდევ იყო ჩვენს განკარგულებაში. უკვე ბინდდებოდა და აქა-იქ შუქიც აანთეს. ჩვენ ბოლთის ცემას მოვყევით და გაფაციცებულნი ველოდით ბრაიონი-ლოჯის მკვიდრთა გამოჩენას. სახლი სწორედ ისეთი გამოდგა, როგორიც ჰოლმსმა ამიწერა, მაგრამ ქუჩა უფრო ხალხმრავალი მეჩვენა, ვიდრე ველოდი. ქალაქის განაპირა ქუჩა, მყუდრო და წყნარი კი არა, ხალხმრავალი გამოდგა და თითქოს გამვლელთაგან ტევა აღარ იყო. ქუჩის ერთ კუთხეში ვიღაც ნაძირალები უდარდელად აბოლებდნენ და იცინოდნენ, იქით დანების მლესავი მიმოდიოდა, გვარდიელები მოსამსახურე გოგოს ეარშიყებოდნენ. იქვე, შორიახლო, რამდენიმე კარგად ჩაცმული, სიგარაგაჩრილი ახალგაზრდა ყმაწვილი მიმოდიოდა.

- იცით, - წამოიწყო საუბარი ჰოლმსმა, - ეს ქორწინება უფრო ამარტივებს ჩვენს საქმეს. ის ფოტოსურათი ახლა აღარაა ქალისათვის გამოსადეგი. არც იარენ ადლერისათვის იქნება სასიამოვნო, რომ იგი მისტერ ნორტონმა იხილოს. ნორტონისთვის ფოტოსურათის ჩვენებას ადლერი ისევე უნდა უფხრთხოდეს,

როგორც ჩვენი კლიენტი უფრთხის, რომ იგი მისმა პრინცესამ არ იხილოს. ახლა საკითხავი ისაა, სად ვეძიოთ ფოტოსურათი?

- მართლაც ძალიან საინტერესო ამბავია.

- არა მგონია, აირენ ადლერს სურათი თან დაჰქონდეს. ფოტოსურათი, ჩვენი კლიენტის აღწერით, ისეთი ზომისაა, რომ ქალი უბეში ვერ დამალავს. ამავე დროს ქალმა შესანიშნავად იცის, რომ შეიძლება მეფემ იგი შეიტყუოს სადმე და გააჩხრეკინოს. ორჯერ ხომ უკვე უცდიათ ასეთი რამ. მაშასადამე, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქრობთ, რომ ფოტოსურათი ქალს თან არა აქვს.

- აბა, სად უნდა ინახავდეს?

- მე მგონია, თავის ვექილთან, ან თავის ბანკირთან. შესაძლებელია, მაგრამ მე ერთიც მეეჭვება და მეორეც. ქალებს ბუნებით უყვართ იდუმალებით მოცული ამბები, მაგრამ საკუთარ ხვაშიადს არავის ანდობენ. რატომ უნდა გაენდო ვინმესთვის თავისი საიდუმლოება აირენს? ამ შემთხვევაში ქალს შეუძლია ენდოს მხოლოდ საკუთარ თავს. რადგან თუ ვინმე საქმიან კაცს გაანდობდა ამ ამბავს, იმ ადამიანს შეეძლო პოლიტიკური კარიერის ან, ფულადი გამორჩენისა და ანგარების მიზნით ქალისათვის ეღალატა და საიდუმლო გაეცა. გარდა ამისა, აირენი ხომ დაემუქრა მეფეს, შენს საცოლეს სურათს სწორედ ნიშნობის დღეს გავუგზავნიო. ესე იგი, ფოტოსურათი მას ხელთა აქვს და საკუთარ სახლში ინახავს.

- მაგრამ სახლი ხომ ორჯერ გაქურდეს.

- იმ ბრიყვებმა არ იცოდნენ, სად უნდა ეძებნათ ფოტოსურათი.

- თქვენ როგორღა იპოვით?

- მე საგულდაგულოდ ძებნას არც დავუწყებ.

- აბა რას იზამთ?

- საქმეს ისე მოვაწყობ, რომ აირენი სურათს თვითონვე მიჩვენებს.

- აირენი ამას არასგზით არ იზამს.

- სხვა გამოსავალი არ ექნება. თუმცა ახლა მუსაიფის დრო აღარაა, გახსოვდეთ, უოტსონ, ჩემი მითითებანი და ყოველივე ზუსტად შეასრულეთ.

ამ დროს, მოსახვევში, ლანდოს გვერდით შუქს მოვკარი თვალი და თვალის დახამხამებაში წყვილცხენიანი მშვენიერი ეტლი ბრაიონი-ლოჯის წინ დადგა. როგორც კი ეტლი შეჩერდა, ვიღაც ქუჩის ნაძირალა ეტლის კარს მივარდა, რომ გამოეღო და ამ გზით ყელის ჩასასველებელი უზალთუნი ეშოვა, მაგრამ მეორემ არ აცალა და ისიც, იმავე მიზნით ლანდოს კარს დაეჯაჯგურა. ატყდა მათ შორის ხელჩართული ჩხუბი და ჭიდილი, რომელიც გვარდიელებისა და დანების მლესავის ჩარევით კიდევ უფრო გაძლიერდა. ლანდოდან გადმოსული ლედი, ერთ ხანს მუშტითა და ჯოხებით დაუზოგავად მოჩხუბართა შუაგულში მოექცა. ჰოლმსი მოჩხუბართა წრეში შეიჭრა, რომ ლედისათვის ეშველნა. მაგრამ ქალთან მივიდა თუ არა, ერთი საოცრად შეჰყვირა და სახეგასისხლიანებული მიწაზე გაიშხლართა. როგორც კი დაცემულ, სისხლში მოსვრილ კაცს მოჰკრეს თვალი, გვარდიელებმა იმწამსვე მოკურცხლეს, ქუჩის მაწანწალებმა რომ შენიშნეს, საქმე ცუდადააო, იმათაც მოუსვეს. ვიღაც წესიერად ჩაცმულმა გამვლელებმა ახლა კი მოხედეს ლედისა და მიწაზე გაშხლართულ დაზარალებულს. აირენ ადლერმა უცებ აირბინა კიბის საფეხურები, მაგრამ კიბის თავზე შეყოვნდა და ქუჩას გახედა. მისი კენარი ტანი ჰოლიდან გამომავალ შუქზე რაღაც ზღაპრულად იხრებოდა და იკვალთებოდა.

- საწყალი ჯენტლმენი, მძიმედ დაიჭრა? - იკითხა მან.

- მოკლეს, - უპასუხა რამდენიმე ხმამ.

- არა, ცოცხალია! - დაიყვირა ვიღაცამ. - მაგრამ ვიდრე საავადმყოფოში მიიყვანენ, მოკვდება.

- აი, გაბედული კაცი, - თქვა ვიღაც ქალმა, - ეგ რომ არა, ლედის საფულესა და საათს წაჰგლეჯდნენ. ეგ მაწანწალები კი არა, ნამდვილი მძარცველები იყვნენ. აჰ, მგონი, მობრუნდა და სუნთქვა დაიწყო.

- დაჭრილს ქუჩაში ხომ არ დავტოვებთ, თუ ნებას დაგვრთავთ, თქვენს სახლში შემოვიყვანთ, ქალბატონო.

- რაღა თქმა უნდა. აი, სასტუმრო ოთახში სავარძელზე დააწვინეთ.

ნელა, როგორღაც ზარ-ზეიმით შეიყვანეს ჰოლმსი ბრაიონი-ლოჯში და დივანზე დააწვინეს. სახლში შუქი აანთეს, მაგრამ დარაბები არ მოუხურავთ. ჩემი სათვალთვალო ადგილიდან ყოველივეს კარგად ვხედავდი. არ ვიცი, განიცდიდა თუ არა ჰოლმსი სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ ამ, მის მიერვე მოწყობილ თამაშში მონაწილეობდა. რაც შემეხება მე, იმაზე უხერხულად ჩემს ცხოვრებაში არ მიგრძნია თავი, როცა შევხედე, ის ულამაზესი და უტურფესი ქალი, რომლის საწინააღმდეგო შეთქმულებაშიც მე ჩამაბეს, რა გულმოდგინებითა და მზრუნველობით დაჰკანკალებდა თავს ჩემს მეგობარს. მაგრამ თუ ჰოლმსის მითითებებს ზუსტად არ შევასრულებდი, ესეც მეგობრის ღალატი იქნებოდა და ჩემს ცხოვრებას მუდამ შავ ლაქად დააჩნდებოდა. გულდამძიმებულმა ამოვიღე ჯიბიდან რაკეტა. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ მას ზიანს არ ვაყენებდით, მხოლოდ ხელს ვუშლიდით, რომ თვითონ სხვისთვის არა ევნო რა.

ჰოლმსი დივანზე წამოჯდა და ისე დაიკლაკნა, თითქოს ჰაერი არ ყოფნისო. მოსამსახურე ფანჯარას მივარდა და გამოაღო. იმავე წამს შევნიშნე, რომ ჰოლმსმა დათქმისამებრ ხელი ასწია. რაკეტა ოთახში შევაგდე და რაც ძალა და ღონე მქონდა ვიყვირე, ხანძარია, ხანძარი-მეთქი. სიტყვა დამთავრებულიც არა მქონდა, რომ მთელი ბრბო ამყვა. ოთახში ავარდნილი რაკეტის ბოლო ჯერ ადგილზე დატრიალდა, მერე კი ღია ფანჯრიდან გარეთ გამოიჭრა. მე დავინახე, როგორ დარბოდნენ ოთახებში შეძრწუნებული ადამიანები. ცოტა ხნის მერე ჰოლმსის ხმაც შემომესმა, ირწმუნებოდა, განგაში ცუდ-უბრალოდ ატახეს და არავითარი ხანძარი არ მომხდარაო. ხალხში გავძვერი და ქუჩის ბოლოსაკენ გავემართე. ათ წუთში ჩემი მეგობარიც წამომეწია, ხელკავი გამიკეთა და შფოთისა და აურზაურის ადგილს სწრაფად გავშორდით. იგი ხმაამოუღებლივ და ძალზე სწრაფად მოაბიჯებდა, ვიდრე თავი არ ამოვყავით იმ ქუჩაზე, რომელიც ედჯვარ-როუდზე გადიოდა.

- თქვენ დავალება პირნათლად შეასრულეთ, უოტსონ, - მითხრა ჰოლმსმა.

- ფოტოსურათი თქვენს ხელთაა?

- არა. მაგრამ ვიცი, სადაც ინახება.

- როგორ შეიტყვეთ?

- აირენმა თვითონვე მიჩვენა. ხომ გითხარით, თვითონვე მიჩვენებს-მეთქი.

- ჩემთვის მაინც ყველაფერი გაურკვეველია.

- მაინცდამაინც დიდი საიდუმლო ამბავი არაა, - სიცილით წარმოთქვა ჰოლმსმა. - პირიქით, ყოველივე ძალიან უბრალოდ მოხდა. თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ქუჩაში მყოფნი მე დავიქირავე და ჩემს მითითებებს ასრულებდნენ.

- დიახ, მაგას მაშინვე მივხვდი.

- მოჩხუბრებში რომ შევიჭერი, ხელში თხევადი წითელი საღებავი მეჭირა, ძირს დავეცი, ხელი სახეზე მოვისვი და თავგატეხილისა და მძიმედ დაჭრილის სცენა გავითამაშე - ეს ხომ ძველისძველი ხრიკია.

- ამასაც მივხვდი.

- მერე სახლში შემიყვანეს. აირენ ადლერი იძულებული იყო, სასტუმრო ოთახში დავეწვინე. ეს სწორედ ის ოთახი გახლდათ, რომელზეც ეჭვი მქონდა. მაგრამ შეიძლებოდა ფოტოსურათი საწოლ ოთახში ჰქონოდა დამალული. ჩემი ამოცანა ნათელი იყო, უნდა გამერკვია, სად ინახებოდა იგი. ჩემმა დაქირავებულმა ხალხმა სავარძელზე დამასვენა. მერე საქმე ისე წარმოვადგინე, თითქოს ჰაერი არ მყოფნიდა. მოსამსახურე გოგომ ფანჯარა გამოაღო და თამაშში თქვენც ჩაებით.

- რით დაგეხმარათ საბოლებელი რაკეტა?

- გადამწყვეტი როლი სწორედ რაკეტამ ითამაშა. როცა ქალი ფიქრობს, რომ მისი სახლი ცეცხლის ალშია გახვეული, იგი იმის გადარჩენას ცდილობს, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია. ეს ყველაზე მძლავრი იმპულსია და მისი გამოყენებით მრავალი წარმატებაც მომიპოვებია. დარლინგტონსა და არნსვორთის კოშკში მომხდარი ამბების ძიების დროსაც ეს მეთოდი გამოვიყენე. გაჭირვებაში ჩავარდნილი გათხოვილი ქალი ბავშვს გადაარჩენს, ხოლო გაუთხოვარი - ძვირფასეულობას. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ ამ ფოტოსურათზე უძვირფასესი განძი აირენ ადლერისათვის არაფერი მოიძებნება. განსაცდელის ჟამს იგი სწორედ ფოტოსურათის გადარჩენას ცდილობდა. მან მართლაც ირწმუნა თქვენს ყვირილზე, ხანძარი მოხდაო. მისი რკინისებური ნერვებიც შედრკა და მე შევიტყვე, რომ ფოტოსურათი ზარის დასარეკ ადგილას, საიდუმლო სამალავში აქვს საგულდაგულოდ შენახული. იგი თვალის დახამხამებაში გაჩნდა სამალავთან. ცდილობდა გადაერჩინა ფოტოსურათი, მაგრამ სწორედ იმ დროს მე დავიყვირე, არავითარი ხანძარი არ მომხდარა და ტყუილად გაჰკივიან-მეთქი. აირენმა ფოტოსურათი ისევ თავის ადგილას დატოვა, რაკეტას გადახედა, ოთახიდან გავარდა და მერე თვალითაც აღარ მინახავს. წამოვდექი, ბოდიში მოვიხადე და ოთახიდან ჰაიჰარად გამოვედი. ერთ ხანს შევყოყმანდი, ვიფიქრე. სამალავიდან ფოტოსურათს დღესვე წავიღებ-მეთქი, მაგრამ ოთახში მეეტლე შემოვიდა და ავი თვალით დამიწყო ცქერა. ვაითუ აჩქარებით ყველაფერი წავახდინო-მეთქი, ვიფიქრე და წამოვედი.

- მერე რა უნდა იღონოთ, - შევეკითხე მე.

- საძიებო სამუშაო პრაქტიკულად დავამთავრეთ. ხვალ მეფესა და თქვენთან ერთად, თუ თქვენ გინდათ მონაწილეობა მიიღოთ ამ საქმეში, აირენ ადლერს თავზე დავადგებით. ჩვენ დაგვაცდევინებენ სასტუმრო ოთახში. როცა ლედი სტუმრების სანახავად სასტუმრო ოთახში შემოვა, იქ არც ჩვენ და არც ფოტოსურათი აღარ დახვდება. იქნებ მისმა უდიდებულესობამ მოინდომოს და საკუთარი ხელით ამჯობინოს ფოტოსურათის სამალავიდან ამოღება.

- როდის შეატყობინებთ მეფეს?

- დილის რვა საათზე ჩვენ ბრაიონი-ლოჯში ვიქნებით. ლედი ჯერკიდევ ლოგინში იქნება და ჩვენ უეჭველად წარმატება მოგველის. უნდა ვიჩქაროთ, თორემ იქნებ ქორწინებამ აირენ ადლერს ხასიათი და ჩვევები შეუცვალოს. მეფეს ახლავე უნდა გავუგზავნო დეპეშა.

ამასობაში ბეიკერსტრიტს მივაღწიეთ და სახლის წინ გავჩერდით. ჰოლმსი ჯიბეებში გასაღებებს დაეძებდა, როცა ვიღაც გამვლელმა ღამე მშვიდობისა უსურვა.

ქვაფენილზე რამდენიმე კაცი ირეოდა, მაგრამ მშვიდობის ღამე, მგონი, ვიღაც მაღალმა ახალგაზრდამ უსურვა და უცბად გაგვცილდა.

- ეს ხმა სადღაც გამიგონია. - თქვა ჰოლმსმა და ნახევრად განათებულ ქუჩას გახედა, - დიახ, გამიგონია, მაგრამ ვეღარ გამიხსენებია, სად და როდის?

|||

ის ღამე ბეიკერსტრიტზე გავატარე. ჩვენ ჯერ ისევ ყავასა და შებრაწულ პურს შევექცეოდით, როცა კარებში ბოჰემიის მეფე შემოიჭრა.

- მართლა წაართვით ფოტოსურათი? - მხიარულად წამოიძახა მან და ჰოლმსს მხრებზე ხელები მოუთათუნა, თანაც სახეგაბრწყინებულმა თვალებში ჩახედა.

- ჯერ არა.

- მაგრამ იმედი გაქვთ, რომ აუიცლებლად ხელში ჩავიგდებთ, არა?

- ნამდვილად.

- მაშინ ახლავე წავიდეთ, რადგან მოთმინება აღარ მყოფნის.

- ჩვენ ხომ ეტლი გვესაჭიროება.

- ჩემი ეტლი გარეთაა.

- აბა, გავწიოთ.

ჩვენ დაბლა ჩავედით და ეტლში ჩავსხედით.

- აირენ ადლერი გათხოვდა, - თქვა ჰოლმსმა.

- გათხოვდა? როდის?

- გუშინ.

- ვის გაჰყვა?

- ინგლისელ ვექილს. გვარად ნორტონს.

- მაგრამ უსიყვარულოდ გაჰყოლია.

- მე მგონია, უყვარს.

- რატომ გგონიათ?

- იმიტომ, რომ ეს სიყვარული თქვენს უმაცღლესობას დაიფარავს მომავალში ყოველგვარი უსიამოვნებისაგან. თუ აირენ ადლერს თავისი ქმარი უყვარს, მაშასადამე, თქვენი უმაღლესობა აღარ უყვარს და ამიტომ არც გზაზე გადაგეღობებათ.

- მართალია, მაგრამ ნეტავ აირენი მეფური ჩამომავლობისა ყოფილიყო! ო, რა დედოფალი იქნებოდა! - მერე იყუჩა და ვიდრე სერპენტაინ-ავენიუზე არ გავედით, ხმა აღარ ამოუღია.

ბრაიონი-ლოჯის კარი ღია დაგვიხვდა და კიბის თავზე ვიღაც მოხუცი ქალი შემოგვეგება. ეტლიდან რომ ჩამოვდიოდით, ის ქალი რაღაც დამცინავი ღიმილით შემოგვცქეროდა.

- რომელია თქვენში მისტერ შერლოკ ჰოლმსი? - იკითხა მოხუცმა.

- მე გახლავართ, - უპასუხა ჩემმა მეგობარმა და სახეზე გაოცება გამოეხატა.

- დიახ, ჩემმა ქალბატონმა გამაფრთხილა, აუცილებლად შემოივლისო. იგი ქმართან ერთად ამ დილით, ხუთ საათსა და თხუთმეტ წუთზე ჩარინგ-კროსის ვოგზლიდან კონტინენტისაკენ გაემგზავრა.

- რაო, - წამოიძახა შერლოკ ჰოლმსმა და უკან დაიხია. იგი გაოცებული და აღელვებისაგან ფერგამკრთალი მეჩვენა. - თქვენ გინდათ თქვათ, რომ აირენ ადლერი ინგლისიდან გაემგზავრა?

- დიახ, და აღარც დაბრუნდება.

- და ქაღალდები, ყველაფერი დაიღუპა? - მთრთოლარე ხმით იკითხა მეფემ.

- ვნახოთ, - თქვა ჰოლმსმა, მოხუც ქალს გვერდი აუარა და ოთახში შევარდა. ჩვენც თან შევყევით. ავეჯი მიყრილ-მოყრილი დაგვიხვდა, უჯრები ღია და ცარიელი. ეტყობოდა, ლედის გაქცევის წინ მთელი სახლი ჰაიჰარად აეფორიაქებინა. ჰოლმსი სამალვს ეცა და იქიდან ფოტოსურათი და წერილი ამოიღო. ფოტოსურათიდან საღამურ ტანსაცმელში გამოკვალთული აირენ ადლერი შემოგვცქეროდა. წერილი კი

ჰოლმსის სახელზე იყო დატოვებული. ჩემმა მეგობარმა უცებ წაახია კონვერტს თავი და სამივემ წერილის კითხვა დავიწყეთ. წერილი წინა ღამის რიცხვით გახლდათ დათარიღებული და აი, რა ეწერა შიგ:

«ჩემო

ძვირფასო მისტერ შერლოკ ჰოლმს. ყველაფერი ისე კარგად გაითამაშეთ, რომ ეჭვი არაფერში შემპარვია. მაგრამ ხანძარზე რომ მიდგა საქმე, მაშინ კი დავეჭვდი. როცა ვნახე, როგორ დაუდევრად გავეცი საკუთარი თავი, მერე ყოველივეს ჩავუფიქრდი. რამდენიმე ხნის წინათ გამაფრთხილეს, თუ მეფე შეეცდება ვინმე მაძებარს მიანდოს თავისი საქმე, ის მაძებარი აუცილებლად წერლოკ ჰოლმსი იქნებაო. ეს ვინც მითხრა, თქვენი მისამართიც მანვე გადმომცა. თქვენ მაინც მიაღწიეთ იმას, რომ ჩემს საიდუმლოს ფარდა ახადეთ. ჩემი ეჭვის მიუხედავად იმ ძვირფას, კეთილ და მოხუც მღვდლეზე ცუდი მაინც არ მინდოდა მეფიქრა. თქვენ კარგად იცით, მე თვითონ ვიყავი მსახიობი. მამაკაცის ტანსაცმლის გადაცმა ჩემთვის ახალი ხილი არაა. მე თქვენს სათვალთვალოდ მეეტლე ჯონი გამოვგზავნე, თვითონ კი ზევით ავედი, მამაკაცის ტანსაცმელი გადავიცვი და უკან აგედევნეთ.

სწორედ თქვენს სახლის კარამდე მოგყევით და დავრწმუნდი, რომ ჩემი საქმით თვითონ ბრწყინვალე შერლოკ ჰოლმსი იყო დაინტერესებული. მერე საკმაოდ დაუდევრად გისურვეთ ღამე ნებისა და ქმართან ტემპლში გავემგზავრე.

ჩვენ ორთავემ ბევრი ვიფიქრეთ. მაგრამ ისეთ მოწინააღმდეგესთან შებმას, როგორიც თქვენა ხართ, გაქცევა ვამჯობინეთ. ასე რომ, ჩვენს ბინაში მოსულს, ჩვენი ბუდე ცარიელი დაგხვდებათ. რაც შეეხება ფოტოსურათს. თქვენს კლიენტს შეუძლია დამშვიდებული ბრძანდებოდეს. მე იგი აღარ მიყვარს და მასზე უკეთეს მამაკაცს ვუყვარვარ. მეფეს, როგორც მოენებება, ისე მოიქცეს. მე მისთვის ვნების მიყენებას არ მოვინდომებ. თუმცა თვითონ კი გამამწარა. ფოტოსურათს მხოლოდ თავდაცვის მიზნით შევინახავ. შევინახავ, როგორც იარაღს, იმ შემთხვევისათვის, თუ მეფე ჩემ წინააღმდეგ კვლავ საქმეს წამოიწყებს. მე ვტოვებ აქ ჩემს ფოტოსურათს და თუ მეფე მოინდომებს, თან წაიღოს. დავრჩები თქვენი ერთგული, აირენ ადლერი, ნორტონისა».

- ოჰ, რა ქალია, ოჰ, რა ქალია! - წამოიყვირა ბოჰემიის მეფემ, როცა წერილი ჩავათავეთ. - აკი გეუბნებოდით. ჭკვიანი და ძალიან მოხერხებულია-მეთქი! ოჰ, რა სათაყვანებელი და საგოგმანებელი დედოფალი იქნებოდა? სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მეფური სისხლისა არ იყო.

- მას მერე, რაც ეს ქალი შევიცანი, მეც იმ აზრისა ვარ, თქვენო უმაღლესობამ, რომ იგი თქვენი ტოლი მართლაც არ არის, - ცივად წარმოთქვა ჰოლმსმა. - ძალიან ვწუხვარ, თქვენო უმაღლესობავ, რომ საქმის უფრო უკეთ დაბოლოება ვერ შევძელი.

- პირიქით, ძვირფასო, სერ, - წამოიძახა მეფემ. - ამაზე უკეთესი დაბოლოება არც შეიძლებოდა. მე ვიცი, რა შეუვალი სიტყვის პატრონია აირენი. ფოტოსურათი ახლა ისევე უვნებელია, ვითომ ჩვენი ხელით დაგვეწვას.

- მოხარული ვარ, რომ თქვენი უმაღლესობის პირიდან ასეთი სიტყვები მესმის, - უთხრა ჰოლმსმა.

- მე თქვენგან ძალიან დავალებული ვარ და მინდა რითიმე გადაგიხადოთ, აი ეს ბეჭედი... - თქვა ეს, ხელიდან ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი წაიძრო და ჰოლმსს გაუწოდა.

- თქვენს უმაღლესობას უფრო ძვირფასი განძი გააჩნია, - უთხრა ჰოლმსმა.

- დამისახელეთ და მზადა ვარ.

- აი, ეს ფოტოსურათი.

მეფემ ჩემს მეგობარს გაოცებით შეხედა.

- აირენის ფოტოსურათი? - წამოიძახა მან,- ინებეთ. თუ ასე გინდათ.

- მადლობთ, თქვენო უმაღლესობავ. მაშასადამე, საქმე ამით დამთავრებულია.

- პატივი მაქვს, მშვიდობის დილა გისურვოთ, - ჰოლმსმა თავი დაუკრა მეფეს და მის მიერ გამოწვდილი მარჯვენა არც კი შეუმჩნევია, ისე წამოვიდა ჩემთან ერთად ბეიკერსტრიტისაკენ.

აი, რა მიზეზით მოხდა აურზაური ბოჰემიაში და ჩემი მეგობრის შესანიშნავი გეგმა როგორ იძლია ქალის ჭკუისა და მოხერხების წყალობით. ქალის ჭკუაზე რომ სიტყვა ჩამოვარდებოდა, ჰოლმსს ეს სასაცილოდ არა ყოფნიდა ხოლმე, მაგრამ ბოლო დროს რატომღაც ამ საკითხზე საუბრისას დუმილს არჩევს. - თუმცა, როცა აირენ ადლერს ახსენებს ან მის ფოტოსურათს დახედავს ხოლმე, მხოლოდ ერთი ეპითეტით ამკობს მას: «აი, ჭეშმარიტი ქალი!»